სრულიად საქართველოს მამულიშვილთა საგვარეულო კავშირი –
„გვარიშვილობა"

საქართველოს ეროვნული აკადემია
Национальная академия Грузии
Родовой союз патриотов всея Грузии "Гваришвилоба"

იაკობ ახუაშვილი
Яков Ахуашвили
Jakob ahuashvili

# ქართული გვარ-სახელები

## Грузинские фамилии и имена

## Georgian Names & SurNames

მასალები
ქართული გვარების ისტორიისთვის

# III

მთავარი რედაქტორები:
პროფესორი, საქ. მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
ავთანდილ სილაგაძე
პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი
მერაბ რაჭავა

სამეცნიერო რედაქტორი-აკადემიკოსი
ალექსანდრე ღლონტი

გამომცემლობა „მესხეთი"
თბილისი
2003

# რეცენზენტები

პროფესორები

## ნოდარ გაბლიშვილი
## შოთა თეთვაძე
## აკაკი მათიაშვილი

ამჯერად მკითხველს ვაახლებთ მასალას „ქართული გვარ-სახელებისათვის“. მოძიებულ ინფორმაციას ამდიდრებს ნაშრომში შესულ პიროვნებათა ბიოგრაფიები და ფოტოები. ცალკეულ გვართა შედარებით სრულად წარმოჩენის მიზნით გამოყენებული გვაქვს როგორც საარქივო მასალა, ისტორიული წყაროები, ონომასტიკასა და ანთროპონომიაში შესული გვარ-სახელები, ისე გვარის წევრთა შორის წინაპართაგან გადმოცემული თქმულებები, ლეგენდები და სხვ.

მესამე ტომი შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან. პირველში განხილულია გვარის სემანტიკასა და მორფოლოგიასთან, მის ჩამოყალიბება-განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები, ხოლო მეორე ნაწილში მკითხველი გაეცნობა ასო ა-ზე გაწყობილ ცალკეულ გვართა ისტორიას. ტომში შესულ მასალას სრულყოფილების პრეტენზია არ გააჩნია. როგორც საბა ბრძანებს: „სრული გვიან საპოვნარია“. „ვიცი, მრავალნი საბრალობელად დასდებენ ამა ნაშრომსა. მათ თუმცა წერილნი უყვარან, მრავალნი სხვანი არიან, საღვთონი და საერონი, და იგი იკითხნენ. ესე, ჩემებრ უცებისათვის აღაწერა (აღწერონ) და (ერს) დაუტეონ.“

*(საბა)*



ხოლო ქუეყანა ესე იწოდების სახელითა სამითა: პირველად – საქართველო, მეორედ – ივერია, მესამედ – გეორგია. ხოლო საქართველო არს სახელი ქართლოსის გამო, რომელსა წილად ხვდა ქუეყანა ესე და, სადა დაეშენა, უწოდა სახელითა თვისითა ქართლი, და მის გამო მორჩილთა ანუ წილ-ხდომილთა მისთა ეწოდა საქართველო. გინა შემდგომად მისსა, რომელნი ფლობდნენ ძენი და ძენი ძეთა მისთანი ადგილსა მისსა, ეწოდათ საქართველო. ხოლო მეორე სახელი, ივერია, ეწოდავე ქართველთა მიერ. რამეთუ „ი" არს შორისყრილი, რომელი არს სასიხარულო ხმა ზახილისა; ხოლო „ვერიე" – მოვერივე, არამედ წყობისათვის შეთხზულად ივერია. რამეთუ ოდეს მეფემან ადერკიმ მოკლა არშაკ, მეფე ქართლისა, გოლიათობითა თვისითა, მაშინ აღუტევა ხმა სპასთა მიმართ თვისთა: „ი, ვერიე", და განხდა ხმა ესე, და იწყოდიან ყოველნი, სიმხნისა მისისათვის, ამის გამო იწოდა ივერია... კვალად გეორგიაცა მხნედ მომყირნეობისა მუშაკობისა ქართველთათა ეწოდა (რამეთუ „გეორგი" მუშაკად თარგმნის). ვინათგან იცნეს სამება ერთარსება ჭეშმარიტი ღმერთი წმიდის ნინოს მიერ, რამეთუ მამა ნინოის იყო ზაბილონ და ესე ზაბილონ იყო კაბადუკიელი. ნათესავი წმიდისა დიდის მოწამისა გეორგისა; ამისთვის, მიერ ჟამითგან, ნიშნი და სასწაულნი უმრავლესნი არიან მთავარმოწამის გეორგისანი ყოველსა ივერიასა შინა. რამეთუ არა არიან შორიცუნი ანუ მაღალნი გორანი, რომელთა ზედა არა იყოს შენნი ეკლესიანი წმიდისა გეორგისანი. და ესეცა ამის მიერ იწოდა. არამედ ევროპელნი და ბერძენნი უხმობენ კორჯიანსა და რუსნი გრუზსა, და მაჰმადიანნი გურჯსა, მათითა ორთოგრაფიის გამო, არამედ იგივე გეორგიავე არს.

ხოლო არს სიგრძე ქუეყანისა ამის 80 ეჯი, ხოლო განი სპერის ზღვისაკენ 80 ეჯი, შუა ადგილი 32 ეჯი, ხოლო ბოლოთ-კერძი 35 ეჯი, და მდებარეობს კასპიისა და პონტოს ზღვათა შორის. გარნა არს ქუეყანა შუენიერი და ნაყოფიერი ყოვლითა, ღუთისა მიერ და არა ხელოვნებითა კაცთათა...

ვახუშტი





ვუძღვნი საყვარელი მშობლების
ვარდოს და როდესიძეს და ჩემი მოძღვრის,
ქართული ონომასტიკის ფუძემდებლის,
ბატონ ალექსანდრე ღლონტის
ნათელ ხსოვნას

*„ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდან იწყება, როცა იგი თავისს ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისი წარსულისა. დავიწყება თავისი წარსულისა მომასწავებელია ერის სულით და ხორცით დაშლისა, დარღვევის და მთლად წარწყმედისა...“*

„ყოველ კაცისათვის დიდად სასურველი არის, რომ იცოდეს ნამდვილი ისტორიით თავის გვარტომის შთამომავლობა, თუ ვინ იყო მისი წინაპართ მამა-მთავარი? სად ცხოვრობდა? რა ენაზე ლაპარაკობდა, რა შედეგი მიეცა მის შთამომავალთა? ვინ ჰყავდათ გმირნი თუ მეფეები? რა სარწმუნოებამ დააჯილდოვა ისინი? ვისთან? როგორი? ან რანაირი მდგომარეობა მიიღეს წარსამატებელი და როგორ ცხოვრობდნენ ქვეყანაზედა?!“

ივანე გვარამაძე
1881 წელი
(ქართლის ცხოვრების წინასიტყვაობა)

# შესავლის მაგიერ

მესამე ტომში ქართული ანბანის პირველი ასო ა-თი დაწყებული გვარები შევიდა. მათმა რიცხვმა ექვსასს გადააჭარბა. გამოსაცემად მზადდება მეოთხე ტომი. როგორც ვვარაუდობთ, ჩვენს ხელთ არსებულ მასალას ორი ათეული ტომი დასჭირდება, რასაც ქართველი საზოგადოება უახლოეს წლებში მიიღებს.

სამი ათეული წელიწადია, უპატრონოდ მიტოვებულმა ქვეყანამ თითქმის არაფერი იცის ქვეყნის მოსახლეობის დემოგრაფიის, თანამემამულეთა და გვართა რაოდენობის თაობაზე (უეროვნო ხელისუფლებას ადამიანთა გვარი კი არა, მათი არსებობაც არ აინტერესებს). არადა, საქართველო იბრძოდა, შრომობდა და იმარჯვებდა მამულის, ენისა და სარწმუნოების სიყვარულით. **გვარიშვილობა, მამულიშვილობა, ოჯახიშვილობა ის ფენომენებია**, რომლებმაც განაპირობა და გადაარჩინა საქართველო. სამწუხაროდ, ქართველი კაცის მონაგარსა და წეს-ჩვეულებებს წაშლა ემუქრება. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მავანთა ინიციატივით, პირადობის მოწმობიდან რეკვიზიტი „ქართველი" გააძევებინეს – ცივილიზებულ აქტად მიიჩნიეს ჩვენი პასპორტებიდან ისეთი „უხერხული იარლიყის" გაქრობა, როგორიცაა „ეროვნება – ქართველი". თურმე „საქართველოს მოქალაქე" უფრო მეტის მთქმელია (საქართველოს შვილობაზეც, ქართველობაზეც)...

ამიტომ, თვალი თუ მოვხუჭეთ, ადვილი შესაძლებელია, გვარიც წაგვართვან და ისეთ დღეში აღმოვჩნდეთ, როგორშიც – მოსკოვის ოლქში ერთ-ერთი ოჯახი, რომელთა გვარის აბრევიატურა ასო ე –ა.

ე ხომ ქართულში საგანძლავი სიტყვაა!

ამას ნუ ვიზამთ, თანამემამულე ქართველნო!

*პატივისცემით, იაკობ ახუაშვილი*
*(მუხათელი)*

# ნაწილი I

## საიდან მოვდივართ, ვისი გორისანი ვართ?

ახალი მსოფლიო წესრიგის“ მესვეურებმა და მსოფლიო შეთქმულების მონაწილეებმა საქართველოში ანტიეროვნული ისტერია გააჩაღეს და ისტორიის გამყალბებელთა როლის შესრულება იკისრეს. სცადეს, ხაზი გადაუსვან ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, ადამიანებს წაართვან ეროვნება და მამის სახელი, გააყალბონ რეალობა. ამ მიზნით დაიწყეს წერა და საუბარი იმაზე, რომ თითქოს ქართველებს გვარები მე-19 საუკუნის 80-იან (ფშავ-ხევსურეთში მე-20 საუკუნის 30-იან) წლებამდე არ გვქონდა და რუსებმა „დაგვიწესეს“, თითქოს მამის სახელიც მათვე შემოიტანეს საქართველოში.

ჩვენს წინაპრებს არასოდეს ჰქონია იმის საჭიროება, სხვისგან აელო რამე, პირიქით, საქართველოდან გაედინებოდა ბევრი ისეთი სიკეთე, რაზედაც ხშირ შემთხვევაში დასავლელს წარმოდგენაც არ ჰქონდა. წერილობითი წყაროების მიხედვით, ქართველ კაცს მამის სახელი მე-5 საუკუნიდან (იხ. „შუშანიკის წამება“ ვარსქენ არშუშას ძე), ხოლო გვარი მე-6 საუკუნიდან ჰქონდა. „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ქართლში „გვარობით აღწერა“ მე-7 საუკუნის პირველ ნახევარში ჩატარებულა. იგი ბიზანტიელებს მოუწყვიათ და აღწერის მასალა ბიზანტიას გაუტანიათ. საერთოდ, ჩვენს მამა-პაპათ გვარი უხსოვარი დროიდან ჰქონიათ, ამას ადასტურებს თუნდაც საქართველოს სინამდვილეში არსებული პირველყოფილი გვაროვნულ-თემობრივი წყობილება, მკვეთრად გამოხატული მატრიარქატითა და პატრიარქატით.

– გვარი, ტომი, ხალხი, ერი ხომ წარმოებითი ურთიერთობის საზოგადოებრივი ფორმებია.

საზოგადოებრივი განვითარების გარკვეული დროის მანძილზე ჩვენი წინაპრები გორაებზე ბინადრობდნენ, ვიდრე საზოგადოებრივ-საწარმოო ძალთა შემდგომმა განვითარებამ მათ ეს გორაები არ დაატოვებინა.

ეპოქა გორაებისა კი მეტად თვალნათლივი და განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობისა ჩანს. საჭირო იყო მეცნიერთა მიხვედრილობა და აი, ეს გორაები საოცარი სიმრავლითა და სიცხადით წამოიშალნენ ქართლსა და კახეთში, იმერეთსა თუ ოდიშ-გურიაში.

ვარაუდობენ, რომ აბულეთის გორაზე აბულეთის ძე იგივე აბაზაძეებს, ამირანაშვილებს, ამირიძეებს, აბულაშვილებს, აბულაძეებს უნდა ეცხოვრათ. ამირანის გორაზე იქვე გვაქვს არქილის გორა (სხვათაშორის, გვაქვს გვარი არაქელაშვილი). იგი სომხურ გვარადაა მიჩნეული იმის გამო, რომ რუსებმა შეამოკლეს, სუფიქსი შვილი რუსული ფორმანტი ოვ-ით შეცვალეს და როგორც არაქელიანი (თავისთავად), ისე არაქელოვი გადამთიელად გამოცხადდა. დიდგორი, თელათგორი, კახიანთ გორა,

კასპის გორა, კუდიგორა, ლარისგორა, ლაშარის გორი, ლომთაგორა, ნაცარგორა, ოკამის გორა, საქარეს გორა, სირის გორა (სირთა გორა), ქვედაგორი, შუაგორი, შუამთის გორა, ჩიკორანთ გორა, (იქნებ ჩეკურანთ გორა), ჭყონიგვარა, ხიზანაანთ გორა, ხოელი გორა, აჩიგვარა, აწანგვარა და სხვა.

ეს გორაები ზოგი ხელოვნურია, ზოგი – ნახევრად ხელოვნური, ზოგი კი ბუნებრივი. შესაძლოა, ადამიანი გორაზე არ იყოს, ქვაბულში რჩებოდეს, ან მეგალითს იყენებდეს. ამის მიუხედავად, წესი გორაებზე ბინადრობაა. გორაებზე ცხოვრება მთელი ეპოქაა, ამის შემდგომ განვითარება ეძლევა დასახლების შემდგომ სახეობას „სოფლებს, ქალაქებს, ხევობას“.

ასე, რომ ისახება ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების დამახასიათებელი ერთი დიდი საფეხური, როცა მოსახლეობის სახე გორაა.

შემდგომ, მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების განვითარებასთან ერთად, გვარები ნელ-ნელა, თანდათანობით დაბლა ჩამოდიან და იწყება დაბის ეპოქა.

დაბის ეპოქაში გარეშე ძალებთან შეხება–შეჯახება, ბუნებრივი მოვლენები და სხვა წინააღმდეგობები წარმოშობს რწმენის ელემენტებს, თანდათან ყოველივე იხვეწება და ჩნდება გორი, გვარი, ვევარი. სალოცავი ადამიანს გორაზე ბინადრობისასაც ჰქონდა. მოხდა შინაარსის დიფერენცირება, გამოიყო გორა, გვარა, გვარი, გორი–დან ერთს შერჩა „გორი,“ ხოლო მეორემ მიიღო „გვარი“. ისევე, როგორც „პატრონი“ და „ბატონი“. ონომასტიკაში გვარის პირველ საფეხურად მიღებულია სუფიქსები ეთ–ი, ათ–ი, თი და ბა.

ლიპარიტეთი, სუქიანეთი, დავითეთი.

მეორე საფეხურზე ჩნდება ელ–ი, იან–ი და ან–ი.

ხელობა–საქმიანობისა და სადაურობის აღმნიშვნელი გვარები

მესამე საფეხურზე მოდის ძე დასავლეთში, შვილი – აღმოსავლეთში. მას პარალელურად და მიყოლებით ჩნდება სუფიქსები – ია, უა, ვა, ყვა, სქუა და სხვა.

სამომავლო ამოცანად მიგვაჩნია შტო–გვარების წარმომავლობა–გავრცელების შესწავლა. მათი ცალ-ცალკე აღწერა–დახასიათება, გვართა სოციალური ფენების გენეალოგიის შესწავლა, წარჩინებულ გვართა ნომენკლატურის შეკვრება საქართველოს რეგიონების მიხედვით და, საერთოდ, გვართა ატლასის შედგენა, რომელიც უდიდეს როლს შეასრულებს ერის ისტორიის სრულყოფაში. გვართა განლაგების რუკა ეპოქათა მიხედვით ხომ მშვენიერი საცნობარო ძეგლი იქნებოდა. საზოგადოებამ უნდა შეძლოს პირველი ქართული გვარების გამოვლენა მეექვსე–მეთერთმეტე საუკუნეთა წერილობითი წყაროების მიხედვით. ამ გვარების ტრადიცია და ზოგი მათგანის ყოფიდან გამოსვლა, მათი განვითარების შეწყვეტა განპირობებულია სხვადასხვა გარემოებათა გამო. ამ რთული, მაგრამ მეტად საშური სამუშაოს შესრულება მოითხოვს საფუძვლიან ეთნოგრაფიულ მუშაობას და ისტორიულ წყაროებთან შეჯერებას. ერთ და ორ წელიწადში, ცხადია, ყოველივე ეს ვერ შესრულდება. ამას მეცნიერთა დიდი ძალისხმევა დასჭირდება წლების განმავლობაში, თანაც საკუთარი ძალები არც ეყოფა. საჭირო გახდება ფართო გეგმით გათვალისწინებულ სამუშაო–

თა შესრულებაში სხვა კერძო და სახელმწიფოებრივი სტრუქტურების, რეგიონული ორგანოების მონდომებაც. მათთან მჭიდრო კონტაქტების დამყარების გზით. მუშაობის ნულიდან დაწყება საჭირო არ არის, რადგან ბევრი რამ უკვე გაკეთებულია.

შემდგომ ეტაპად უნდა დაისახოს სახელის დარქმევის რიტუალების რეგიონული შესწავლა. ანთროპონიმიზაციის პროცესის წერილობითი და ზეპირი ტრადიციების ყოველმხრივ გამოკვლევა-შესწავლა.

საქართველოს მთისა და ბარის რეგიონებში შემონახულია ახალშობილთათვის სახელის დარქმევის მრავალსახეობიანი რიტუალი. რომელიც ჯერჯერობით სრულყოფილად არავის შესწავლია, გამოკვლეულიც არ არის. სპეციალისტებმა უნდა იკისრონ ამის შესწავლა. პირველყოფილი სახელების წარმომავლობა-გენეზისის გარკვევა ეს უწინარეს ყოვლისა. მხოლოდ ეთნოგრაფოსებთან ერთობლივი მუშაობით მოხერხდება. უნდა ითქვას ისიც, რომ ამ უაღრესად საინტერესო საკითხებით ამჟამად ჩვენში არცერთი სამეცნიერო ორგანიზაცია არ არის დაინტერესებული. მოგვეპოვება მხოლოდ ცალკეულ ლინგვისტთა და ეთნოგრაფთა ფრაგმენტული დაკვირვებები. რაც არ არის საკმარისი საკითხის გლობალურად შესწავლისათვის. საკითხი კი, როგორც ცნობილია, სიღრმისეული ხასიათისაა. ჩვენგან განსხვავებით, დასავლეთის მეცნიერებსა და საზოგადოებას ამ მხრივ დიდი სამუშაოები აქვთ შესრულებული.

საზოგადოების ერთ-ერთი უმთავრეს მოვალეობად „ფიცის კაცის" ინსტიტუტის, რწმენის ხალხური საწყისების შესწავლა უნდა იქნეს მიჩნეული. „ფიცის კაცის" ინსტიტუტი ჩვენში დიდი და საინტერესო ტრადიციების მქონეა. სამწუხაროდ, ფეოდალური საზოგადოების განვითარების მაღალ საფეხურებზე შერყა რწმენის ძალა, ფიცს ღონე დაეკარგა. სიტყვა გაუფასურდა. სიტყვა და საქმე დაშორდა, ულვაშიანი კაცი სანთლით საძებარი გაგვიხდა. ნამუსის ქუდი გაუფასურდა. ბუნებრივია, რომ ეს არის მორალური საყრდენების შერყევა. მოხდა რწმენის გაუფასურება, რამაც წინარე ტოტალიტარული რეჟიმის ბატონობის დროს აღზევებას მიაღწია. ახლა სხვა დროა. შეიქმნა რწმენის, ტრადიციის აღდგენის პირობები, რასაც გაფართოება და მოვლა უნდა. ყველაფრის გამომზეურება და იმის გაცოცხლება, რაც დრომოჭმულია, ცხადია, საჭირო არ არის, მაგრამ ბევრი დავიწყებული სიძველის გაცოცხლება და ცხოვრების ფერხულში ჩაყენება ნამდვილად აუცილებელია.

# ძირითად (მთავარ) გვარიდან ქვეგვარის, გამონაყოფის წარმოქმნის ტრადიცია ზოგად-ქართულია

ბევრ ქართველ მეცნიერსა და მათ შორის ქართული ონომასტოლოგიის ფუძემდებელს, პროფესორ ალექსანდრე ღლონტს ყურადღების მიღმა არ დარჩენია ერთი გვარიდან, სხვა, ახალი გვარის გამოყოფის პროცესი და მან იგი ძალზე საინტერესოდ აღწერა. რომელსაც დიდი სიამოვნებით ვურთავთ წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილ მასალას.

**ბ–ნი ალექსანდრე ღლონტი** წერს:

გვარის დროთა განმავლობაში გასჩენია გამონაყოფი, განტოტება. გვარი ერთია გამონაყოფი-რამდენიმე. განტოტებანი. უპირველეს ყოვლისა, მრავალრიცხოვან გვარებს შემორჩა. იგი უნდა ჰქონოდა გვართა უმეტესობას. ტრადიცია საერთო-ქართულია. ქართულ გვარებში ეს პროცესი ძველთაგანვე პროდუქტიული ყოფილა. რასაც დიაქრონიულ მონაცემებთან ერთად ენის სინქრონიული მდგომარეობაც ადასტურებს. ივ. ჯავახიშვილის ერთ გამოუქვეყნებელ ნაშრომში აღნიშნული აქვს: „ძველ საქართველოში წესად ჰქონდათ, რომ, საგვარეულო სახელებს გარდა, გვარის სხვადასხვა შტოების გასარჩევად კიდევ დამატებითს სახელწოდებასაც ურთავდნენ ხოლმე. ჩვეულებრივ, ასეთი განმასხვავებელი სახელწოდება ან პაპის მამის, ანდა პაპის სახელისაგან იყო ხოლმე ნაწარმოები. ძველი ქართველი ხალხის აღწერის დავთრებითგან ჩანს, რომ არა ერთს შემთხვევაში ასე განსხვავებული სახელწოდება შემდეგში გვარის სახელადაც კი ქცეულა". ჩვეულებრივ, განტოტებას გვარის (ოჯახის) მეთაურის საკუთარი სახელი ან მეტსახელი (თიკუნი) უძევს საფუძვლად. გვარის მეტსახელური განტოტება საერთო-ქართველური მოვლენა ყოფილა. ჩოლოყაშვილისა და მაყაშვილის წინაპარი, როგორც ი. ბაგრატიონის ცნობები გვარწმუნებენ, ირუფაქი. ძველქართული ანთროპონიმი (სახელი ან მეტსახელი) ყოფილა. ირუფაქისაგან კი გვაქვს ირუფაქისძე || ირუბაქისძე, შემდგომში რობაქიძე.

ყველაზე რელიეფურად ეს მოვლენა შემონახულია ქართული ენის ქიზიყურ დიალექტში (სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონების მცხოვრებთა ყოფასა და მეტყველებაში). აქ ხშირად გვარიდან აღმოცენებულია ამონაყოფი, ქვეგვარი, რასაც საუბნო გვარი ეწოდება. ამის შესატყვისია ქართული დიალექტიკის კილოკავებში გავრცელებული სიტყვა **სახინჯარი** (**ხინჯ, მახინჯ** ლექსემიდან). ანაგაში (სიღნაღის რ.) დღეს ერთ-ერთი ცნობილი გვარი **მირიანაშვილი** (წარმოქმნილი მირიან ნასესხებ ანთროპონიმზე -ა მაკნინებელი ელემენტისა და გვარსახელთა ჩვეულებრივ საწარმოებელ შვილ ლექსემის დართვით) სხვა რეგიონებშიც (სოფლებში, დაბებში, ქალაქებში)

გვხვდება, მაგრამ აქ უფრო კომპაქტურადაა დასახლებული და ფართო ტერიტორიაზეცაა განლაგებული. ამ გვარის მატარებელნი დღეს არიან სოფლის მუშაკნი, მუშები, მეცნიერების, კულტურისა და განათლების მოღვაწენი. თავად ანაგაში ცხოვრობს მირიანაშვილთა რამდენიმე ოჯახი, რომლებიც ნათესაობის სხვადასხვა დონეზე დგანან და მათ ნათესაობას ფესვები მეტად შორეულ წარსულში აქვთ გადგმული. სოფელი კარგად არჩევს მათი ნათესაობის დონეებს, მაგრამ, ამასთან, მირიანაშვილის გვარის ყველა გამონაყოფს (კომლს) აქვს თავისი სახინჯარი, რომელიც მომდინარეობს კომლის წინაპრის (ფუძემდებლის) მეტსახელისაგან (ზოგჯერ ოფიციალური სახელისაგანაც). ასეთებია, მაგალითად, **გოდორაანთი, სოლოაანთი, ლაყიაანთი, ნალბადიაანთი, ნონიაანთი, პაშტიაანთი, რუთიაანთი, ციკკვერაანთი, წიწუაანთი, ჭინჭრაკაანთი, ჯიბიაანთი.** პასპორტის მიხედვით ყველა მათგანი მირიანაშვილია, მაგრამ თანასოფლელები მათ პირველყოფელისა სახინჯრის მიხედვით არჩევენ. გოდორაანთი მომდინარეობს მირიანაშვილის გვარის იმ განტოტებისაგან, რომლის წინაპრის მეტსახელი გოდორა (დაბალი, მუცელგამობერილი დიდი კალათი) ყოფილა. გოდორა მოტივირებული მეტსახელია. მისი მატარებელი, ირკვევა, გოდორივით დაბალი, მსუქანი, მუცელგამობერილი ყოფილა და მეტსახელიც სიმსუქნე-სიდაბლის მიხედვით შერქმევია. ამჟამად სოფელმა არ იცის ამ წინაპრის ვინაობა, არც მისი ასაკი, არც ის, ნამდვილად იყო თუ არა ქვეყნად ამისთანა კაცი. მხოლოდ გვარის განშტოების სახინჯარი მოწმობს მის რეალურობას. ასევე მოტივირებულია სხვა სახინჯარიც: ლაყიაანთი (ამ განტოტების მეთაურის მეტსახელი არის ლაყე, ლაყუა). ნალბადიაანთი (–მეტსახელი ნალბანდი), პაშტიაანთი (–მეტსახელი პაშტა, პატარა), ციკკვერაანთი (–მეტსახელი ციკკვერა–, ჭინჭრაკაანთი (–მეტსახელი ჭინჭრაკა), ჯიბიაანთი (–მეტსახელი ჯიბია, სულ ჯიბეში რომ აქვს ხელი ჩაყოფილი), წიწუაანთი (–მეტსახელი წიწუა), ნონიაანთი (–სახელი ნონია), რუთიაანთი (–სახელი რუთი). ჩამოყალიბებულია სახინჯართა მთელი სისტემა. ზოგი სახინჯარი ძველთაძველია–შექმნილი ათობით, ეგების ასობით წლის წინათ, ზოგიც–ახალი, წარმოქმნილი ჩვენს დროს. სახინჯართა შექმნის პროცესი არ დამთავრებულა, ახლაც გრძელდება. ამ მიზნით გამოყენებულია სალიტერატურო ენისა და დიალექტთა ლექსიკის დიდი შესაძლებლობანი.

ჩვენ დავასახელეთ ერთი მაგალითი, მაგრამ სახინჯარი ამ რეგიონის გვართა დიდ უმეტესობას აქვს. იმავე ანაგაში მოსახლე ალხანაშვილებს (შტო ალიხანაშვილი) სამი განტოტება აქვთ: **მუწაკაანთი, ნაცარაანთი** და **ქედაანთი.** მუწაკაანთა წინაპრის მეტსახელი **მუწაკა** ყოფილა, ნაცარაანთა–**ნაცარა**, ქედაანთა–**ქედა**. სოფელში ამის მიხედვით შექმნილია უბნები; მუწაკაანთი || მუწაკაანი, ნაცარაანთი || ნაცარაანი, ქედაანთი || ქედაანი. ორიენტირად აღებულია არა გვარი (სამივე მათგანის გვარი ალხანაშვილია), არამედ სახინჯარი.

ქიზიყის დასახელებულ პუნქტებში განლაგებულ მრავალ გვარს ამჟამადაც აქვს განშტოებები (სახინჯარნი), თანაც ხშირად რამდენიმე, და უბნებში გამოყოფილია ქვეუბნები, მიკროუბნები. სახინჯრის საფუძველი, როგორც ითქვა, წინაპრის საკუთარი სახელი ან (უპირატესად) მეტსახელია. დავიმოწმოთ ამის კიდევ რამდენიმე ნიმუში, რომელიც ადგილზეა ჩვენს მიერ გამოვლენილი 1979 წლის ზაფხულში მოგზაურობისას.

ანაგაშივე **ანდრაზაშვილის** სახინჯრებია **მექუდაანთი** (იგულისხმება წინაპრის მეტსახელი ან ხელობა-საქმიანობა მექუდე) და წაწალაანთი (იგულისხმება ) წინაპრის მეტსახელი წაწალა), ასევე **გოგილაშვილისა**-გორკაანთი, გრუზაანთი, ეფროაანთი, მალაქოაანთი, რწყილტყავიაანთი, ტიმოთეაანთი, ფეტიაანთი და წინკანაანთი. სოფ. ოზაანში (დედოფლისწყაროს რ.) **მეხრიშვილის** სახინჯრებია: თიბელაანთი, წუწკუაათი, წუწკნაათი და ჯილუაანთი; **ოზაშვილისა**-თეთრაანთი, კაჭაჭაანთი, სტალარიაანთი, ფოთოლაანთი, ქუხარაანთი, ჯუბაანთი და ა. შ.

სხვადასხვა დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ ერთისა და იმავე გვარის განტოტებებს, თუ ეს განტოტება აღმოცენდა ახალ ადგილას დასახლების შემდეგ, სახინჯარიც სხვადასხვა აქვთ. მაგ., **ვაქირელი იასეშვილების** სახინჯრებია არტემიაანთი, გიორგელაანთი, კაკანაანთი, კოკლუაანთი, კოხიაანთი, ლეკურააანთი, სეურაანთი, ყაჭაანთი, ჩიკრიკულაანთი და ჩხუბაანთი; **მაშნაარელი იასეშვილებისა** კი-თავფქვილაანთი; ასევე: ანაგელი **მაისურაძეების** სახინჯარია ბუჭყიაანთი; ვაქირელთა კი-გირვანქაანთი და დაელაქიაანთი; **შუალახეველ ნიკვაშვილებისა**-ბეილაანთი, მღებრიაანთი, სეონიაანთი, პეტრიაანთი და სწორაანთი; **გოდააქნელთა ნიკვაშვილებისა** კი-ეთერაანთი, ზაზაანთი, მოსელაანთი, ნესტორაანთი, პეტრიაანთი და სწორაანთი; **ვაქირელი ნიკვაშვილებისა**-ტიგრაანთი; **მაშნაარელი ნიკვაშვილებისა**-ნაკვაურაანთი და ა. შ.

როდესაც გვარი ან მისი განაყოფი (ქვეგვარი) საცხოვრებელ ადგილს იცვლის, სახინჯარიც დავიწყებას ეძლევა და ტოპონიმიც იკარგება. თუ გვარი ერთ ადგილასაა ლოკალიზებული, სახინჯარი მემკვიდრეობით შთამომავლობას გადაეცემა. ცოცხლობს სახინჯარიცა და ამ სიტყვით გადმოცემული მიკროტოპონიმიც.

მეტსახელი (თიკუნი) ინდივიდუალური წარმოშობისაა და ადამიანს შეერქმევა კონკრეტულ გარემოებათა წყალობით. თითოეულ მეტსახელს უპირატესად ობიექტური მოტივაცია ახლავს. მიუხედავად ამისა, მეტსახელის მატარებელი პირის ფიზიკური სიკვდილი ყოველთვის არ იწვევს თავად მეტსახელის გაქრობას. პირიქით, დიდი ნაწილი სახინჯრად გადასული მეტსახელებისა საგვარეულოა და გვარში მთლიანად თაობიდან თაობას მემკვიდრეობით გადაეცემა ხოლმე. ამის უდავო მოწმე ქიზიყის დღევანდელი ანთროპონომიაა. ამიტომ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული აზრი, რომ მეტსახელი ინდივიდუალური მოვლენაა და მისი მატარებელი ადამიანის სიკვდილის შემდეგ ისიც გამოდის მწყო-

ბრიადანო. მართებულად ვერ მიიჩნევა. ყოველ შემთხვევაში ქართული (ქიზიყური) მასალა ამ შეხედულებას არ ადასტურებს. როცა ადამიანი კვდება და მემკვიდრე არ რჩება, მისი გვარიცა და მეტსახელიც წყვეტს არსებობას. მაგრამ როცა მეტსახელი გადასულია სახინჯარში, მაშინ კომლის უფროსის სიკვდილის შემდეგ ის არ წყვეტს არსებობას, ცოცხლობს კომლთან ერთად, მეტსახელი კომლს მემკვიდრეობით რჩება და მასთან ერთად ცოცხლობს. ე. ი. მეტსახელი იძენს სოციალურ ღირებულებას და ყოფიერებას განაგრძობს.

მეტსახელი ქიზიყის რეგიონში ამჟამად ორი სახისაა. ერთი ახასიათებს ცალკე პირს, ერთეულ ადამიანს და ცნობილია საზოგადოების მეტად ვიწრო წრისათვის. გვაჩვენებს ერთი პირის ინდივიდუალურ ნიშან-თვისებებს. მსგავსი ნიშან-თვისებები სხვა პირის ქცევაშიაც შეიძლება დავინახოთ, მაგრამ ერთი ადამიანის მეტსახელი მეორეზე არ გადადის. კვდება ამისთანა პირი და კვდება მეტსახელიც. იშვიათად შეიძლება აღორძინდეს, მაგრამ აღორძინდება როგორც აპელატივი და არა როგორც მეტსახელი. მეტსახელთა მეორე რიგს შეადგენს სახინჯრები, რომლებიც, მართალია წარმოშობით პირთა ინდივიდუალურ კუთვნილებას შეადგენენ, მაგრამ მათი ფარგლები გაფართოებულია, მთელი ოჯახის (კომლის) საკუთრებად გვევლინებიან. ოჯახის (კომლის) უფროსის მეტსახელი ამისთანა შემთხვევაში მემკვიდრეობით გადაეცემა შვილს, მთელ ოჯახს. სახინჯარი იძენს სოციალურ მნიშვნელობას და გვარის განტოტებად იქცევა. ოჯახი (კომლი) იყოფა, მაგრამ სახინჯარი მიჰყვება განაყოფს. სახინჯარი ინდივიდუალური მეტსახელი აღარაა, კოლექტიურია, გვარის განტოტებაა, ქვეგვარია.

პირველი რიგის მეტსახელი საყოველთაოდ ცნობილია. დადასტურებულია მრავალი ხალხის ყოფაში. მდიდრულადაა იგი ასახული ქართულ ყოფა-ცხოვრებაშიაც. კ. შ. მიკაილოვი სწორად ამბობს: **Прозвище — сугубо индивидуальною Оно не распространяется на родственников (даже ближайших) или потомков носителя его, но может служить в качестве апеллятива для образования как имени личного так и фамильного или тухумского названия?** (К.А. Микаилов, об аварских прозвищах. „Ономастики кавказа", Махачкала, 1976, 306).

სახინჯარი სხვაა. სახინჯარი მამის მხრით გადაეცემა მემკვიდრეობით შვილსა და გვარის განშტოებას ქმნის. ამიტომ ის აღარაა ინდივიდუალური მოვლენა. ბევრი გვარ-სახელი სახინჯრის მიხედვითაა განვითარებული. ამ მოვლენას კარგად იცნობს ქართული ანთროპონიმია (.ალ. ღლონტი. ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1967, გვ. 24–26; მისივე: ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1971, გვ. 153–155; 166–174).

საინტერესო დაკვირვებიდან, რომელიც ყუბანის რუსული კილოთქმების მეტსახელებზე ჩაუტარებია კ. ა. ფლოროვსკაიას, ირკვევა, რომ ზოგიერთი ცალკე **„Прозвища выступают в функции фамилии?"** (В.А. Флоровская,

Прозвища в русских говорах в кубани, „Ономастики кавказа", Махачкала, 1976, 304). მაგრამ ისინი სულ სხვა წარმომავლობის მოვლენებია. სახინჯარი სხვა ხალხებში, რამდენადაც ჩვენ ვიცით, იმ სახით, რა სახითაც ქართველურ ტომებშია შემონახული, არა ჩანს. იმ ტომებში კი, რომელთაც გვარები არ ჰქონდათ უკანასკნელ ხანებამდის, ეს პროცესი უფრო ინტენსიური უნდა ყოფილიყო. ჩვენი დაკვირვებით, როგორც უკვე ითქვა, დიდი ნაწილი გვარსახელებისა, რომლებიც გვიან გაჩნდა როგორც ენობრივი ფაქტი, საკუთარი სახელიდან ან მეტსახელიდან მომდინარეობს. ეს პროცესი ქართველ ტომებსაც გაუვლიათ, მაგრამ გაუვლიათ ადრე, გვარების ჩამოყალიბებამდის, VI–VIII–სს.–ზე ადრე, რადგან ამ ეპოქისთვის გვარების ჩამოყალიბება ძირითადად დამთავრებული ჩანს. სხვანაირად ვერ აიხსნება იმისთანა ძველი გვარების წარმოშობა, როგორიცაა ქართული ᲤᲔᲮᲨᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲙᲐᲢᲐᲞᲐᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲤᲔᲮᲛᲝᲭᲠᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲜᲐᲡᲧᲘᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲪᲐᲪᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲔᲧᲐᲜᲬᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲔᲪᲮᲕᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ... ფეხშველა, კატაპარია, ნასყიდა, ცაცია, მეყანწე, მეცხვარე და მისთ. მეტსახელები ათობითა და ასობით ვრცელდებოდა ხალხში, ბევრი მათგანი საკუთარ სახელთა დონეზეც ავიდა და ასე აღმოცენდა გვარსახელები. ამჟამად ეს გვარები ფართო პოპულარობით სარგებლობენ, მაგრამ წინაპართა მეტსახელებს იშვიათად თუ იცნობენ. ჩვენ ეს მოვლენა არ მიგვაჩნია ლოკალურად, ის მრავალი ხალხისა და ტომის ენთოგრაფიული ყოფისათვისაც ორგანულად უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. ასე უნდა იყოს წარმოქმნილი ისტორიულად სახელი და გვარსახელი, მთელი ტრადიციული ანთროპონიმია.

ქართველი ტომების ისტორია, ქართული ენის კილო–თქმების მონაცემები გვეუბნებიან, რომ სახინჯარი ადრე უნდა გაჩენილიყო და იგი საერთო ქართული მოვლენა უნდა ყოფილიყო.

ბუნებრივად იბადება კითხვა: რამდენად მიზანშეწონილია საუბნო გვარის ტოპონიმად მიჩნევა? სახინჯარი, საუბნო გვარი, გვარის განტოტება თავისი შინაგანი და გარეგანი ნიშან–თვისებებით არის თუ არა ტოპონიმი? როგორც ცნობილია, ტოპონიმი ადგილის სახელია. რამდენადაც უბანი ან მისი ნაწილი (ქვეუბანი) გვიჩვენებს სწორედ დასახლებული პუნქტის ადგილს, ბუნებრივია, იგი ტოპონიმად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო როდესაც უბანს ან მის ნაწილს (ქვეუბანს) ქმნიან გვარი და მისი განტოტებანი (განაყოფები), ისინიც ტოპონიმებია ყველა ნიშნის მიხედვით. ანაგის, როგორც ზემოთ ითქვა, მიკროტოპონიმებად უნდა მივიჩნიოთ მუწაკაანთი, ნაცარაანთი, ქედაანთი ისევე, როგორც მიკროტოპონომია თავად ალხანაანთი, რომლის განტოტებასაც ეს სამი ერთეული (მუწუკაანთი, ნაცარაანთი, ქედაანთი) წარმოადგენს.

მასალის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ:

1. **გვაროვნული სახელი**, როგორც ენობრივი და სოციალური ფენომენი, ქართველ ტომებში ადრინდელი ფეოდალიზმის ეპოქაში ჩასახულა და

VII–VIII-სს.-ში მისი ჩამოყალიბების პროცესი თითქმის დასრულებული ჩანს. გვარი მიუღია ოჯახის ყველა მეთაურს (შემდეგ ოჯახის თითოეულ წევრსაც) სოციალური წარმოშობისა და წოდებრივი მდგომარეობის მიუხედავად. ბევრი უძველესი ქართული გვარის ჩამომავლობა და ლოკალობა (განლაგების არეალი) ისტორიული რეალიებისა და წყაროთა მიხედვით ზუსტადაა დადგენილი, ბევრისა კი მიახლოებითაა განსაზღვრული ან ჯერჯერობით სრულად განუსაზღვრელიცაა. მწიგნობრობის წყაროთა მიხედვით შეგვიძლია თვალი მივადევნოთ ქართული გვარების განვითარებას ისტორიის გრძელ მანძილზე. ჩვენს ხელთ არსებული მასალა მოწმობს არა მარტო გვაროვნულ სახელთა დიდ ტრადიციას, არამედ ქვეგვართა, გვარების განშტოებათა, რაც ტოპონიმებსაც უკავშირდება, უძველეს ტრადიციასაც.

2. ქართულ საზოგადოებრივ ყოფაში ქვეგვარები აღმოცენებულა გვარის მეთაურთა მეტსახელის სემანტიკის გაფართოების საფუძველზე. მეტსახელიდან განვითარებულა გვართა განშტოებები, რომლებიც ბევრ შემთხვევაში მემკვიდრეობით (მამისგან შვილზე) გადასულა ან დამოუკიდებელ გვარსახელადაც ჩამოყალიბებულა. ქვეგვარების საფუძველი სახინჯარია, რომელიც ქართველურ ტომებში ადრიდანვე ფართოდ ყოფილა გავრცელებული, შემონახულია კილოთქმებში, ხოლო ამჟამად ქართული ენის კილო- თქმებიდან ყველაზე პროდუქტიულად ქიზიყურს დაუცავს, თუმცა ის არც სხვა კილო- თქმებისთვისაა უცხო (დასტურდება ქართლურში, რაჭულში, აჭარულში, მთის კილოებში). სპეციალურ ლიტერატურაში სწორადაა ხაზგასმული, რომ ბევრ ქართულ გვარს გასჩენია განაყოფი, განშტოება. გვარი ერთია, განშტოება– მრავალი. განშტოებას უპირატესად გვარის (ოჯახის) მეათაურის საკუთარი სახელი ან მეტსახელი (თიკუნი) უძევს საფუძვლად. გვარის მეტსახელური განტოტება (სახინჯარი) საერთო-ქართული მოვლენაა.

3. ქიზიყის რეგიონში განლაგებული მრავალი გვარის განშტოებების (სახინჯართა) მიხედვით დასახლებულ პუნქტთა უბნებში აღმოცენებულა ქვეუბნები, რომლებიც დღეს მიკროტოპონიმთა ფუნქციასაც ასრულებენ. სხვადასხვა დასახლებულ პუნქტში ერთისა და იმავე გვარის განშტოებებს, თუ ეს უკანასკნელი ახალ ადგილზე დასახლების შემდეგ აღმოცენდა, სახინჯარიც სხვადასხვა აქვთ. როდესაც გვარი ან მისი განაყოფი (ქვეგვარი) საცხოვრებელ ადგილს იცვლის და სხვა გვართა გარემოცვაში ექცევა, სახინჯარიც დავიწყებას ეძლევა და ტოპონიმიც იკარგება. თუკი გვარი ერთ ადგილასაა ლოკალიზებული, მაშინ სახინჯარი მემკვიდრეობით გადადის, მამის მხრით შთამომავლობას გადაეცემა: ცოცხლობს სახინჯარიცა და ამ სიტყვით გადმოცემული ტოპონიმიც.

4. მეტსახელი ამჟამინდელ ქართულ ყოფაში ორი სახით ფუნქციონირებს. ერთი ახასიათებს ინდივიდს და ცნობილია საზოგადოების მეტად ვიწრო წრი–

სათვის, გვაჩვენებს ერთი პირის (ინდივიდის) ნიშან-თვისებებს. მსგავსი ნიშან-თვისებები შეიძლება სხვა პირის ქცევაშიაც დავინახოთ, მაგრამ ერთი პირის მეტსახელი მემკვიდრეობით მის შთამომავლობაზეც არ გადადის, კვდება ინდივიდი და კვდება მისი მეტსახელიც. თუკი, იშვიათად მაინც, ის აღორძინდება, აღორძინდება როგორც აპელატივი და არა როგორც თიკუნი. მეტსახელთა მეორე რკალს ქმნიან სახინჯრები, რომლებიც, მართალია, წარმოშობით პირთა (ინდივიდუმთა) კუთვნილებას შეადგენენ, მაგრამ მათი სემანტიკური ფარგლები გაფართოებულია, მთელი ოჯახის (კომლის) საკუთრებად გვევლინებიან. ოჯახის (კომლის) უფროსის მეტსახელი (სახინჯარი) ამისთანა შემთხვევაში მემკვიდრეობით გადაეცემა შთამომავლობას. სახინჯარი იძენს სოციალურ მნიშვნელობას და კანონზომიერად გვარის განშტოებად იქცევა. სახინჯარი აქ უკვე „ინდივიდუალური მეტსახელი" აღარაა, კოლექტიური სახელია, გვარის განშტოების აღმნიშვნელია, ქვეგვარია ყველა ნიშნის მიხედვით. ამისთანა შემთხვევაში, ჩვეულებრივ, სახინჯარი მიკროტოპონიმის ფუნქციას ასრულებს, ეტოლება გვარს, ე. ი. სახინჯრის სემანტიკური ფუნქცია ფართოვდება. ეს პროცესი, ახლა რომ ქართულ კილო-თქმებში აქა-იქაა შემორჩენილი, ისტორიულად უფრო არეალური, საერთო-ქართული კანონზომიერი მოვლენა უნდა ყოფილიყო.

ცნობილია, რომ დროთა ვითარებაში ქართული სახელების დიდი ნაწილი მთლიანად ან ნაწილობრივ იცვლებოდა. ასევე სხვაფერდებოდა და ფორმას ნაწილობრივ ან მთლიანად იცვლიდა გვარიც. ამ საკითხზე პავლე ინგოროყვას მიერ გამოცემულ „სვანეთის საისტორიო ძეგლებზე" დაყრდნობით საინტერესო მაგალითებს გვთავაზობს როლანდ თოფჩიშვილი წიგნში „როდის წარმოიქმნა ქართული გვარ-სახელები".

ადრინდელი **ქალდიანები** დღევანდელი **ქალდანები** არიან. **უბილიანი** შემდგომში **უბილიანი** გამხდარა (ვარაუდით, აქედან უნდა იყოს სამეგრელოში ამჟამად არსებული გვარი **უბილავა**).

**ცხვიმიანი** დღევანდელი **ჩხვიმიანია**, **ქელბახიანი** – **ქელბაქიანი**, **გობეჩანი** – **გობეჩია**, **აფაქიანი** – **აფაქია** (**აფაქიძე**), **ფანჯიკიანი**– **ფანჯიკიძე**, **ქურდიანი** – **ქურდაძე** (გვარის ფუძეა ძველ საქართველოში გავრცელებული მამაკაცის საკუთარი სახელი „ქურდია", იყო აგრეთვე ქართველების მონათესავე ტომი „ქურდი", **ქურდაშვილი**–ი ეთნონიმი „ქურდნი" (კ. კეკელიძე, ეტიუდები, 1, 179). ამავე ძირისაა ქურდაძე, ქურდოვანიძე, ქურდობაძე" (ილ. მაისურ. 177).

საკუთარი სახელი **ქურდია** დაფიქსირებულია „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში", **ნაკვეხელიანი** (ლეჩხუმში მოსახლე **ლაკვეხელიანთა** წინაპრები), **კუარაცხელიანი** დღევანდელი **კვარაცხელია**, **სანიგიანი** დღევანდელი **სანიკიანი**, იგივე **სანიკიძე**, **გულედიანი** დღევანდელი **გულედანი**, **გურჩიანი** დღევანდელი **გურჩიანი**, **გოგიანი** იგივე **გოგანი**, **წიფურიანი** დღევანდელი **წიფურია**, **ხაზალიანი** დღევანდელი **ხაზალია**, **კვირკველიანი** დღევანდელი **კვირკველია**, **ჯამბურია**-

ნი დღევანდელი ჯამბურია და ჯამბურიძე. გვარამიანი დღევანდელი გვარამია, ბებიანი დღევანდელი ბებია, ხვერგუანი დღევანდელი ხორგუანი (ხორგუაშვილი), უშუხეანი დღევანდელი უშხვანი, ჯაფარაის ძე იგივე ჯაფარიძე, ჯაფარიფხე..

ვ. სილოგავა წიგნიდან „სვანეთის წერილობითი ძეგლების" პირველი ტომიდან (თბ. 1986) გვთავაზობს ასეთ მაგალითებს:

**გოშქოთელიანი-გოშხეთელიანი** (1299–1327 წ.წ. მე–14 ს. I ნახევარი, მე–15 ს.), **გელუანი – გელოვანი** (მე–13–მე–14 ს.), **ავალიანი** (მე–14 ს), **ჩარკვიანი** (მე–14–მე–15 ს. მე–16–მე– 17 ს. ). **მარეგიანი** (იგივე მარგიანი მე–14 ს. I ნახ. მე–15 ს.), **იოსელიანი** (მე–14 ს. I ნახ), **ფალიანი** (მე–14 ს. I ნახ. მე–14–15 საუკუნეების მიჯნა), **ჯაფარიანი** (იგივე ჯაფარიძე. მე–15 ს), **კორძიანი** (იგივე კორძაია, მე–14 ს. I ნახ), **ყოფიანი** (მე–14 ს. I ნახ.), **მარგველიანი** (მარგველანი, მე–14 ს. I ნახ.), **მაჭავარიანი** (მე–14 ს. I ნახ.), **ინასარიანი** (დღევანდელი ინასარიძე, მე–14 ს. I ნახ.), **გაბუნიანი** (დღ. გაბუნიების წინაპრები, მე–14 ს. I ნახ.), **ამროლიანი** (მე–14 ს. II ნახ). **ქურდიანი** (მე–14 ს. I ნახ.), **ხერგიანი** (მე–15 ს. ), **ონიანი** (მე–14–15 ს.), **ჩაგასიანი** (ჩარგაზიების წინაპრები, მე–14 ს.). **გადრანი** (მე–16 ს.), **გოჩუანი** (მე–18 ს.). **გურჩიანი** (მე–15–16 ს.). **ნავარიანი** (მე–18 ს.), **კვიციანი** (15–16 ს.), **კვანჭიანი** (მე–16–17 ს.). **ჭანტურიანი** (ჭანტურიების წინაპრები. მე–15–16 ს.), **პაიკელანი** (დღ. პაკელიანი. მე–16–17 ს.). **ცინდელიანი** (მე–15–16 ს. და ა. შ.).

იგივე გვარ–სახელები ფიქსირებულია მოგვიანო პერიოდის მე–17–18 საუკუნეების სვანურ დოკუმენტებში, რომლებშიც ბევრი ისეთი გვარია შეტანილი, რომლებიც წინა საუკუნეების საბუთებში ვერ მოხვდნენ **ჩართველიანი**, (**ჩართოლანი**), **კაჭარანი** (დღ. კაჭარავა), **დადეშანი**. **მილდანი**, **ცალანი** .. (გვ. 50–51).

**ნარჩომაშვილები**. იგივე **ნარჩემაშვილები** არიან. **მჭედლიძეებიდან** შემდეგში გამოყოფილან **ჭელიძეები**. **ციკვინაძე** და **ლომთათიძე** მე–16 საუკუნის საბუთების მიხედვით ერთიდა იგივე გვარია. ამგვარისანი დღესაც მკვიდრობენ სოფელ ოცხანაში (დღეს იგი ხიდისთავის სახელს ატარებს).

ხიბ'ში მე–16 საუკუნეში ცხოვრობდნენ ცხომარიები, ჭანტურიები, შონიები, კვარაცხელიები. იგივე გვარები ხობის 1904 წლის აღწერაშიც არიან შეტანილი. 1621 წლის საბუთით, ნაგვაზაურში აღრიცხულნი არიან **სურმავები**, ჩაწერილები არიან **სურმაად**: **ჯანაშიები**, ჩაწერილი არიან **ჯაენაშიებად**.

წინამდებარე ნაშრომში შესული მასალიდან მკითხველი უეჭველად დღემდე მისთვის უცნობ სიახლეებს შეიტყობს და შეიმეცნებს. წინამდებარე „აღმოჩენებმა," გადაჭარბებელი არ იქნება, თუ დავძენთ, საუკუნეობრივ საიდუმლოთა ამოხსნამ შესაძლებლობა მოგვცა, გაგვეკეთებინა შემდეგი სახის შენიშვნები:

ა). არც თუ იშვიათია შემთხვევა, როდესაც ერთი და იგივე გვარი ნაწარმოებია სულ სხვადასხვა თავად–აზნაურული (აღმოსავლეთ მთიანეთის გვარების გარდა სხვა გვარებში მსგავსი შემთხვევები იშვიათია) საგვარეულოებისაგან

(ბარათაშვილები, ლუდუშაურები, ციციშვილები, ზაალიშვილები, რევაზიშვილე-ბი...) ამასთან იგივე ზაალიშვილი, რევაზიშვილი, ზურაბიშვილი და სხვა წარმოქმნილია დამოუკიდებლადაც, ვინმე წინაპარ ზაალ, რევაზ, ზურაბისაგან.

ბ). დიდი მონდომების მიუხედავად, უმეტეს შემთხვევაში არ ხერხდება ზუსტი გამიჯვნა იმისა, თუ, მაგალითად, სვიმონიშვილები, საამიშვილები, გოჩაშვილები, დავითაშვილები და მისთანები რომელიმე საგვარეულოებიდან (ბაგრატიონები, აბაშიძეები, ბარათაშვილები, ფიცხელაურები...) მოდიან თუ შემდგომში დამოუკიდებლადაც გაჩნდა გვარი სვიმონიდან – სვიმონიშვილი, საამიდან – საამიშვილი, დავითიდან – დავითაშვილი და ა. შ. არადა, უდავოა, რომ ყველა ზემოთმოხსენიებული გვარი ჩამოთვლილი სამეფო და წარჩინებული საგვარეულოების ნაყარი (განაყოფი) გვარებიცაა. ძველი ფორმა დავითიშვილი, რომელიც თავადაზნაურულ წარმომავლობაზე მიანიშნებდა, დღეს იშვიათობაა. ვინ არ გაიზიარებს იმ აზრს, რომ წლების მანძილზე გვარის ჩაწერა-გადაწერისას ფუძესა და სუფიქსს შორის არსებული ასო ი ასო ა-თი შეიცვალა. მაგალითად, დავითიშვილი გახდა დავითაშვილი. სულხანიშვილი – სულხანაშვილი...

გ). იშვიათია, მაგრამ მაინც გვხვდება ისეთი გვარებიც, რომლებიც დღეისათვის ან იშვიათობაა, ანდა სულაც აღარაა, ისტორიის კუთვნილება გახდა. ბევრმა ფორმობრივი ცვლილება განიცადა (ჩაკაშვილი ჩოკოშვილი გახდა, ხომასურიძეთა აზნაურული გვარი რუსულ ტექსტში ხამაშურიძე გახდა (ცნობილია, რომ ზოგჯერ რუსულში ასო ო ასო ა-დ იკითხება).

ადრეული საუკუნეებიდან მოყოლებული ნაყარი ძმათაშვილობის შტოგვარების წარმოქმნის მიღებული წესი თვით მე-19 საუკუნისთვისაცაა ნიშანდობლივი და ასეთი მაგალითები დღესაც გვხვდება.

ჩვენს წინაპრებს გვარების მაწარმოებლად მრავალი გზა გამოუყენებიათ, უპირატესობა კი მამა-პაპათა სახელებისთვის მიუნიჭებიათ. როგორც ქვემოთ ვნახავთ, გვართა ასეთი მრავალრიცხოვნება და სურათის სიჭრელე თავისთავად მოწმობაა გვარის ცნების პირობითობისა ფეოდალურ საზოგადოებაში. წინაპართა სახელების უკვდავყოფის სურვილმა და ხნოვანებამ გვარი ოჯახის მემკვიდრეობით სახელად და საზოგადოებრივი ცხოვრების უჯრედად აქცია. გვარებად დაშლის საქმეში დიდი როლი ითამაშა ერთსახლიან ცხოვრების წესმა. სახლის წევრთა გაყრა სათავეს უდებდა ახალ გვარებს. მაგალითად, ბარათაშვილთა ცნობილი გვარის პირველი გაყრა 1523 წელს მომხდარა. გაყრას უშუალოდ მეფე დავით მე-10 ხელმძღვანელობდა. ბარათაშვილის სახლის დანაწილებამ საფუძველი ჩაუყარა გოსტაშაბიშვილების (გოსტაშაბისაგან) და გერმანოზიშვილების (გერმანოზისაგან) საგვარეულოებს. სახელიდან გერმანოზ (ბარათაშვილი) გვაქვს გვარი გერმანოზიშვილი. თავდაპირველად დიდხანს იხსენიებოდნენ გერმანოზიშვილი-ბარათაშვილი გერმანოზი, გერმანოზიშვილი-ბარათაშვილი ოთარი, გერმანოზიშვილი-ბარათაშვილი-პაატა. ხოლო 1679 წლიდან გოსტაშაბიდან (ბა-

რათაშვილი) მიღებულია გოსტაშაბიშვილი გოსტაშაბ, ყაფარ (ბეგი), ოთარ, ნიკოლოზ, ამილახვარ, ბეჟან, ვახუშტი, პაპუნა, დავით, ქაიხოსრო გოსტაშაბიშვილები. ფალავან-ხოსროსაგან მიღებულია გვარი ფალავან-ხოსროშვილი (ფალავან ხოსრო ძე, ქავთარ ბარათაშვილისა).

ბარათაშვილთა საგვარეულოში 1536 წელს კიდევ ერთი გაყრა მოხდარა. ამ წელს გიორგი ბარათაშვილის სახლის გაყრით საფუძველი ჩაეყარა კიდევ ორ ფეოდალურ საგვარეულოს: ოთამიშვილებისას და ორბელიშვილებისას. ორივე ამ გვარმა ცალკე სათავადოები შექმნა.

განსვენებული მკვლევარი იასონ ლორთქიფანიძე (ქვემო ქართლი ორ წიგნად) ვახუშტი ბატონიშვილის აღწერის მასალებზე დაყრდნობით იძლევა ბარათაშვილების გვარის შემდგომ დანაწილებას: **1. ქაჩიბაძეები. 2. გერმანოზიშვილები. 3. გოსტაშაბიშვილები. 4. ფალავან-ხოსროშვილები. 5. ოთამიშვილები. 6. ყაფლანიშვილები. 7. აბაშიშვილები. 8. იარალისშვილები. 9. ზურაბისშვილები. 10. ქავთარაშვილები. 11. დანარჩენი ბარათაშვილები** (იხ. იას. ლორთქიფანიძე, ქვ. ქართლი. ნაწ. 1-2, 1935, გვ. 128-129).

გვართა დაყოფა შტო-გვარებად. გვარში ნაყარი გვარების შემონახვა განსაკუთრებით ნიშანდობლივია ქართლ-კახეთის ფეოდალური საგვარეულოებისა და არაგვისპირა (ფშავ-ხევსურული) ყოფისათვის.

წარმოდგენილი პრიზმით გვარ-სახელთა წარმოჩენას აქვს როგორც წმინდა თეორიულ-ისტორიული, ისე პრაგმატული მნიშვნელობა. მაგალითისათვის შორს წასვლა არ გვჭირდება. მეტად მეუხასავით გარს მოხვეული, მოყვრად თუ მტრად მოსული უცხო თესლი არამარტო ქართველ გვარს იჩემებდა, არამედ ქართველს გვარ-სახელსაც უცვლიდა. ამ მიზნით უპირატესად კათოლიკურ-წესსა და რუსიფიცირებულ გვარებს, ფორმანტით „ოვ"-ი და „ევ"-ი (ნაცვლად ძე-სა და შვილი-ს) იყენებდა. მსგავს ხელოვნურ სიმახინჯეს გარკვეულ დროებაში მეტ-ნაკლებად ჰქონდა გასავალი და, წარმოიდგინეთ, თეთრი შავად საღდებოდა. კარგა ხანია, დადგა დრო, როცა სიყალბეს საბურველი ჩამოეხსნა და ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა, ისტორიული ჭეშმარიტების გამყალბებლებს დოკუმენტების ენით დამაჯერებელი პასუხი გავცეთ და ვუთხრათ: არა **საგინიანი**, არამედ – **საგინაშვილი**, არა **ყორღანოვი**, არამედ – **ყორღანაშვილი**, არა **სიმონგულოვი**, არამედ – **სიმონგულაშვილი**.

ამასთან, **ყორღანოვ-ყორღანაშვილი** არაა დამოუკიდებლად წარმოქმნილი გვარი. იგი მომდინარეობს **ავდრაზანაშვილ** (არდაზიან) **ყორღანაშვილისაგან**, რომ ყორღანაშვილები ერთიანდებიან ა ზ ნ ა უ რ უ ლ საგვარეულოში, რომელთაც შტო-გვარებია: **რონაშვილი, როსტომაშვილი, მერაბიშვილი, მდივანიშვილი**. შიდა ქართლელი **ამილახვრები** შინაურსა და გარეულს გადამთიელად რომ მიაჩნდა იგივე ცნობილი ისტორიული საგვარეულოს ციციშვილების (**ასპანიძე-ფანასკერტელ-ციციშვილების**) განაყოფები არიან. **ამილახვრებად** ჩაწე-

რილთა გვარში ფუძედაა გამოყენებული ტერმინი ამირბარი (ადრინდელი ფორმა ამ ტერმინიდან ნაწარმოები გვარის ამირბარაშვილი). ხოლო ზედაა მიბმული რუსული ფორმანტი ოვი, ნაცვლად შვილი-სა (თითქოს ქართველი კაცისთვის ოვი უფრო მომგებიანი ყოფილიყოს, ვიდრე შვილი ან ძე). ამირბარობა ციციშვილთა სახელო გახლდათ და აქედან წარმოიშვა გვარიც ამირბარაშვილი (ამილბარაშვილი).

ამერსა და იმერში ყოველ ნაბიჯზე სხვადასხვა მანიპულირების მეოხებით ქართველ კაცს გაღამთიელად რომ ხდიდნენ, ასომხებდნენ, აფხაზად, ოსად, თუ ოღლად რომ აქცევდა, ხელისუფლება უკუღმართობას ჩადიოდა, ქართველი კაცის უფლებათა შელახვით კეთდებოდა. „მესხეთში ამოდენა ქართველობას სახელი შეუცვალა და თათრად გადანათლა. განა ხერთვისელ გეგიძეს ან ჯაყისმანის ნემსაძეს და გიორგაძეს თათარი ეთქმის; კაცმა რომ რჯული გამოიცვალოს (იძულებით გამოაცვლევინონ), განა ხალხოსნობას და ეროვნებას დაკარგავს? რადგან რჯული და რწმენა სინდისის საქმეა, ეროვნება კი სისხლის, მოდგმის, ჩამომავლობისა," – წერდა ა. ფრონელი წიგნში „დიდებული მესხეთი," გვ. 125.

თავად სუმბათაშვილების გვარი ქართულ სინამდვილეში წარმომავლობის თვალსაზრისით საჭოჭმანო გვარადაა მიჩნეული, ერთ-ერთი წყაროს მიხედვით სუმბათაშვილ (სუმბატაშვილი) სომხური წარმოშობის ქართული თავადური საგვარეულოა. თითქოს-და ეს გვარი მცირე სომხეთის მფლობელ ბაგრატოვნების დინასტიიდან გაჩნდა. სუმბათაშვილები შეტანილი არიან 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატზე თანდართულ ქართლის თავადთა სიაში. ოდნავი დაინტერესების შემთხვევაშიც ირკვევა, რომ ზემოთაღნიშნული შეხედულება მხოლოდ ლეგენდაა და მას რეალობასთან არაფერი აქვს საერთო. სუმბათაშვილი ქვემოქართლელ მებატონე-მემამულე ᲛᲔᲘᲗᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ შტო-ნაყარი გვარია. 1749 წლის 28 იანვრის თარიღით, მეფე თეიმურაზის მიერ შედგენილ სიგელში მეითარის ვაჟიშვილი ქაიხოსრო მეითარიშვილი-სუმბათაშვილი და მისი შვილები აბდულ-ბეგი და პაატა იწოდებიან თავადებად. თავადად მოხსენიებულთა შორის ხშირად მეორდება მეითარი (მანუჩარ-მეითარი, მამუკა-მეითარი, პაატა-(პეტრე) მეითარი და სხვა).

მეითარიშვილის გვარში ფუძეა მეითარ. მეითარი (მეჰთარ) სპარსულია და უფროსს, წარჩინებულს, მეჯინიბეს, მეფის მსახურს აღნიშნავდა. ვახუშტი ბაგრატიონის განმარტებით, მეითარი ეჯიბის მსგავსი მოხელე ყოფილა. მეითარიშვილი ხელობა-საქმიანობის აღმნიშვნელი მეტსახელია და ქვემო ქართლში მემამულე-მებატონეები არიან, რომლებიც ფლობენ რიგ სოფლებსა და ჰყავთ ყმა-გლეხები.

ნაყარი შტო-გვარების წარმოქმნის ტრადიცია ამ საგვარეულოზეც გავრცელებულა და თვით სუმბათაშვილთა გვარიდან წარმოქმნილა პაატაშვილების

გვარი, ხოლო მას შვილიშვილებს მოუციათ თომასშვილების, იოანეს შვილების და სხვა გვარი (შდრ. იოანე ბაგრატიონი, აღწერა საქართველოს თავად-აზნაურთა გვარებისა. თბ. 1997, გვ. 56). მოგვიანებით მანუჩარ-სუმბათაშვილისაგან გაჩნდა აზნაური მანუჩარაშვილების გვარი (იქვე, 56). სუმბათაშვილების გაუცხოების ვერსიას აბათილებს ის გარემოებაც, რომ აჭარაშიც ადრინდელ საუკუნეებშიც გვხვდება სუმბათაშვილების გვარი, რომელსაც უჩნდება შტო-გვარი აფაქიძე და ბახტაძე. ცნობილია, რომ სამეგრელოში ამ დროისათვის უკვე არის აფაქიძე (აფაქიათა), ხოლო იმერეთში ბახტაძეთა ცნობილი გვარები.

ამ თემაზე საუბარი ნაშრომში სათანადო ადგილზე მოგვიწევს, აქ კი მხოლოდ იმას დავძენთ, რომ საქართველოს მტერი მუდამ ჰყავდა და მუშლი– მუხასავით შემოსეული ფიზიკურად რომ ვერ ჰგვიდნენ პირისაგან მიწისა, მრავალ გვართა უცხოეთიდან მოსვლის თეორიებით იყვნენ დაკავებული.

ღრმად პატივცემულ მკითხველს ვთხოვთ, გარკვეული დროით დარჩეს წინამდებარე წიგნთან, გულდასმით გაეცნოს მოხმობილ მასალას და თავად მიხვდება, თუ როგორ უსიამო ქურაშია ნაწრთობი ჩვენი გვარები და სახელები. ასე, მაგალითად, იარალაშვილი (რუსული გაფორმებით იარალოვი) თუ გადამთიელია, მაშინ ვინ ყოფილა მისი წინაპარი – თორელ-ქავთარაისძე-ქაჩიბაისძე-ბარათაშვილი? გვარი იარალაშვილი ხომ იარალ ბარათაშვილისგან იღებს სათავეს. 1721 წლის ქვემო ქართლის აღწერაში მოხსენიებული ՍԱԻԱՐԱԼԱՇՎԻԼՂ ხომ იგივე ՍԱԲԱՐԱԹԱՇՎԻԼՂԱ და იარალიშვილების სახელთანაა დაკავშირებული.

**ქართულ გვარ-სახელებში გადმოცემული და არეკლილია ცხოვრებისეული პერიპეტიები, ყოფითი და ნებელობითი პროცესები, ისტორიული რეალიები, მრავალსაუკუნოვანი წეს-ჩვეულებანი, ვის აქვს უფლება, მრავალტანჯული ისტორიის მქონე ერს, მსოფლიო ონომასტიკური გამოცდილების უბადლო ხალხს გვარიშვილობის ტრადიციები მოუშალოს და კანცელარიული წესით, ღილაკებზე ხელის დაჭერით წაართვას ეროვნება და მამის სახელი?**

მკითხველის წინაშეა უმდიდრესი მასალა, ეროვნული საგანძური, ამჯერად ანი-ზე გაწყობილი გვარ-სახელების ისტორია, რომელიც ნებისმიერი ქართველი კაცის ოჯახს წაადგება და მომავალში უფრო მეტ ისტორიულ ღირებულებას შეიძენს.

# საქართველოს მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

*(ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი ცნებები)*

ქართველ ხალხს (საქართველოს) თავისი ფიზიკური მიწა-წყალი, ისტორიული ტერიტორია აქვს. მის ზრდა-შემცირებას განაპირობებს პოლიტიკური მოვლენები, შემოსევები, დაპყრობები, ომები, ანექსიები და ა. შ. „გვარს, – აღნიშნავს ნიკოლოზ ბერძენიშვილი – ერთი ტერიტორია ახასიათებს, ხოლო ერს კიდევ სხვა და ეს შესაბამისად იმისა, რომ გვარი საზოგადოებრივი წარმოების ერთი გარკვეული სახეობის ზედნაშენია, „ხალხი" მეორისა, „ერი" კიდევ – სხვა. თუ ეს ასეა, მაშინ არ შეიძლება ერთი და იგივე ისტორიული ტერიტორია ახასიათებდეს გვარს, ერს, ხალხს, რადგანაც თითოეულ მათგანს თავისი ტერიტორია აქვს, ამასთან – სხვათაგან განსხვავებული და თავისებური (ნიკოლოზ ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ. 1990, გვ. 13).

## ქვეყანა

ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყანა", ისევე, როგორც მისი შემოქმედი საზოგადოება, ისტორიული კატეგორიაა. ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყნის" სახეობა, მისი შემოქმედი საზოგადოების შესაფერისია: მაგალითად, გამოქვაბულის დროის საზოგადოების „ქვეყანა" არსებითად განსხვავდება გვიანული ეპოქის საზოგადოების „ქვეყნისაგან" და ასე შემდეგ. „ქვეყანა" მოცულობის მიხედვით დიდია თუ პატარა, მისი განმსაზღვრელი, ძირითადად, ამ ქვეყნის შემოქმედი საზოგადოების ყოფა-ცხოვრებაა.

„ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყნის ხასიათი მხოლოდ მისი შემოქმედი საზოგადოების ხასიათზეა დამოკიდებული, მაშინ, როცა მის ტერიტორიულ გავრცელებაზე ამას გარდა ძლიერად მოქმედებენ როგორც ფიზიკურ-გეოგრაფიული, ისე ისტორიული ფაქტორები" (ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 19).

„ქვეყანა" მის შემოქმედ საზოგადოებასთან ერთად მუდმივ ცვლილებას განიცდის და საზოგადოებრივი ცხოვრების ევოლუცია თუ „ნახტომები" ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყნის" განვითარებაზე ისევე თვალსაჩინოდ შეინიშნება, როგორც ამ საზოგადოების სოციალურ წყობაზე. მაგალითად, მონათმფლობელური ურთიერთობის ისტორიული გეოგრაფია „სამოქალაქო" ქვეყნების წარმოქმნით აღინიშნება, ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვება – საციხისთაო ქვეყნების განვითარებით, ფეოდალური ქალაქი – ციხითა და მონასტრით ხასიათდება, ხოლო ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ურთიერთობის „ქვეყნის" უმთავრესი ისტორიულ-გეოგრაფიული ნიშანი რკინიგზიანი ქალაქებია.

ქვეყანა ამა თუ იმ საზოგადოების საარსებო მიწა-წყალია. ქვეყანა თავისი

საზოგადოების შენამოქმედია. „ქვეყნების“ ურთიერთისაგან განმასხვავებელი უმთავრესი ნიშანი ამ ტერიტორიის ათვისების ხასიათშია. „სამამასახლისო,“ „სახელისუფლო,“ „სამოქალაქო,“ „საციხისთავო,“ ასევე „საერისთავო,“ „სამეფო,“ ყველა ესენი სხვადასხვა დროსა და ვითარებაში წარმოქმნილი ურთიერთობისაგან განსხვავებული ხარისხის „ქვეყნებია“.

ქვეყანა განვითარების შემდეგი საფეხური უნდა იყოს. მანამდე ხევი იყო ქვეყანა, რომელსაც გააჩნდა თავისი ცენტრი. ამის უტყუარი მოწმობაა ახალგორის არქეოლოგიური ნაშთები, ასეთივე ცენტრია წინწყარო, კასპები, ნაბაღრები, უფლისციხეები, ზღუდრები, სურამი და სხვა მრავალი“ (ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 15).

მთელი ქართლი ერთ ქვეყნად („ქართლად“) წარმოდგება. მტკვრის დინებით, მტკვრის შენაკად მდინარეებზე განვითარებული, ხევებზე გაშენებული საკმაოდ ძლიერი ცენტრებით, რომლებიც დროთა განმავლობაში ქართლის ცენტრის ჰეგემონობის ქვეშ შედიან (ერისთავები და მეფე). არქეოლოგიური მასალით ცხადი ხდება (მსგავსება ბრინჯაოს დროის მონაპოვართა), რომ ქართლი, როგორც ერთიანი ქვეყანა, გვიანი ბრინჯაოს მიწურულს უკვე არსებობს. („რეცა თავადი“...)

– „დმანისი, ბოლნისი, მანგლისი, სამშვილდე, ყველა სამთავრო საერისთავო ცენტრია...“ (იქვე).

საქართველოს ნაწილების ეს საგეოგრაფიო სახელები (გურია, ეგრისი, არგვეთი, კახეთი, ქართლი და სხვა) ისტორიულ-გეოგრაფიული ნიშან-სვეტებია... (მ-2, 21. ფურც. 93–94. ნ. ბერძ. დასახ. ნაშრ. გვ. 14–15).

ქვეყანას წინ უსწრებდა გორაების ეპოქაც. ისინი საოცარი სიცხადითა და სიმრავლით ჩანან ქართლსა და კახეთში, იმერეთსა თუ ოდიშ-გურიაში. ამირანის გორა ჯავახეთში ტიპობრივია. ჩვენი ქვეყანა გარკვეულ დროს სულ ერთთავად გორაებზეა განლაგებული. ეს გორაები ზოგი ხელოვნური, ზოგი ნახევრად ხელოვნური, ზოგი კი ბუნებრივია. გორაებზე ცხოვრება ჩვენი წინაპრების მთელი ეპოქაა და მხოლოდ ამის შემდგომი განვითარება იძლევა დასახლების მორიგ სახეობას „სოფლობით, ქალაქობით.“ მაშასადამე, ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების დამახასიათებელი ერთი დიდი საფეხურია ის, როცა მოსახლეობის სახე გორაა: გორა, სოფელი და ნეკროპოლი (სასაფლაო, სამარხი) ურთიერთის თანამედროვეა და ეს ხომ უკვე მთელი ცხოვრებაა. ქორი (გორი, გვარი) შენობასაც ნიშნავს და სოციალურ ერთეულს, გვარს, ასეთივე შინაარსისაა სახლი (ციხე), შენობაც და სოციალური ერთეულიც (გვარი).

შემდგომში საწარმოო ძალთა განვითარებამ გორი მოშალა. ზოგი გორა სულ დაიცალა და დაბად დასახლდა. გორია ის ემბრიონი, საიდანაც განვითარდა, იშვა დაბა, ციხე, ქალაქი, სალოცავი (მ–2, 19 ფურც. 36). უძველესი სოფლები – ესაა გორის სოფლები. უფრო შემდგომი ხანისაა სოფლები ხეობიდან. ზოგი სო-

ფელი კიდევ უფრო გვიან წარმოიშვა და მისი გაჩენა სავაჭრო-სამიმოსვლო გზებს უკავშირდება. მაგრამ ეს მეტად გვიან ხდება, რადგან გზა ძველ დროს არც ისე მშვიდობის მაუწყებელი იყო და საფიქრებელია. ხშირი არ იყოს სოფლები: – ფუნდუკები, ქარვასლები, იამები, ასპინძები, ხიდისთავები...

ყველაფერი ზემოთ ნათქვამი ასეთი სახით წარმოგვიდგება:

1. სოფლები, რომელნიც შერჩნენ გორაებს.

2. სოფლები, რომელნიც წარმოიშვნენ გორაების გარეშე (გორაების ხანის შემდეგ).

3. სოფლები, რომელნიც წარმოიშვნენ რუის პირად (რუისპირები, სართიჭალა, რუისპირი და სხვ).

4. სოფლები, რომლებიც გაქალაქდნენ.

5. სოფლები აგარაკებით.

ქვეყანა უკვე ხევის მეტამორფოზია, ხევის გარდაქმნაა. მისი სახეცვლილებაა. ხევმა, როგორც დამოუკიდებელმა ერთეულმა, დაკარგა მნიშვნელობა უფრო ფართო და ხარისხობრივად მაღალ გაერთიანებაში. რამდენიმე ხევი ერთ ქვეყნად იქცა. ამ დროს წარმოიშვა ხევისუფალი, ხევისუფალი მეთაურია ხევისა (ხევის ეპოქაში).

ამ ხანაში ცენტრი უკვე ქალაქია (იგი ზღუდერიდან განვითარდა), ხოლო პოლიტიკური უფლება ერისთავის ხელში გადადის (ერისთავი სამხედრო დემოკრატიის ხანაში ჩნდება) და შემდეგ პერიოდში უფლებას მიიტაცებს, განიდიდებს, – მეუფე ხდება, მაგრამ მისი უფლება ძველებური (როცა თავადი) კი არა, არამედ ის აბსოლუტი ხდება – მეფე...

ხევისუფალი – ხევისთავი ზის „ზღუდერში" – მეფე ზის ქალაქში.

საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ საფეხურზე სახელმწიფო წარმოიქმნება და ციხე დიდები დედაციხეები, უფლისციხეები ჩნდება. ხევის გაერთიანებამ მოგვცა ხეობა. გაჩნდა დაბანისის (დღ. დმანისი), ატენის მდინარის ხეობა, ირაგის ხეობა. ხევები იგივე ქვეყნებია. ქვეყანა უდრის ხევს, მხარეს.

მირე ეუბნება არჩილს: „მიეცით ერისთავებს „ასულნი ჩემნი" და განუყვენ მათ ქუეყანანი ქართლისანი: ნახევარი შენ და ნახევარი მათ."

ქართლი ერთი ქვეყანაა (ქუეყანა ქართლისა) და იყოფა მთელ რიგ ქვეყნებად. აქ ნაგულისხმევია ხუთი ქვეყანა: კლარჯეთი–ჯავახეთი–თრიალეთი–ტაშირი–აბოცი, „ზენა სოფელი" – „ქართლი," კოტმანითგან ქურდის ხევამდე, ჯუარი–ხერკი–მთიულეთი–მანგლის ხევი–ტფილისი (მ–2,5, ფურც. 72).

სტეფანოზ მთავარმა თავის ორ შვილს „განუყო ყოველი ხუასტაგი „სამეფოსა მისისა..."

სამეფო გულისხმობს ქვეყანას, სოფელს, ხევს, სახლს.

აღნიშნული გეოგრაფიული დასახლებითი ხასიათის წარმონაქმნები ხალხის, ადამიანების საცხოვრისსა და სადგომებს წარმოადგენდა. ამ საცხოვრისებში და

სადგომებში საზოგადოება ესახლა. საზოგადოება ადამიანთა წარმოებითი გაერთიანებაა. თვით ადამიანი ჰომოსაპიენსს (მოაზროვნე ადამიანი) საზოგადოებასთან ერთად წარმოიქმნება. ადამიანთა წარმოებითი გაერთიანებანი სხვადასხვა სახისაა. გვარის წარმომქმნელი წარმოებითი გაერთიანება ერთია, ხალხის წარმომქმნელი წარმოებითი გაერთიანება – სხვა, ისევე, როგორც სხვაა ერის წარმომქმნელი წარმოებითი გაერთიანება. გვარი, ტომი, ერი, ხალხი წარმოებითი ურთიერთობის საზოგადოებრივი ფორმებია.

წინ მიდის საზოგადოებრივი განვითარება და ციხიდან (სპეციალურად გამაგრებული პუნქტიდან, გაჩნდა მე–6 საუკუნეში) ადამიანი დაბლა ჩამოდის, მრავლდება, მდიდრდება, უკეთ იარაღდება ტექნიკურად, სოციალურადაც თანდათან სახეს იცვლის: მცირე გვარების (სახლების) ნაცვლად გვართა კავშირები, ტომები იქმნება, ჩნდება ციხე, რომელთანაც გარკვეულ დამოკიდებულებაში აღმოჩნდებიან გარშემო მდებარე დაბები. დიდხანს ეს დამოკიდებულება არ ზღუდავს დაბას (გვაროვნულ ერთეულს) და ციხე მხოლოდ თავდასაცავი პუნქტი და საკულტო ადგილია, სადაც თავს იჩენს საერთოც – ამ თავისუფალი დაბების სალოცავის სახით (რა თქმა უნდა, თითოეულ დაბას, გვარს თუ კომლს – ამავე დროს თავისი კერძო სალოცავიც აქვს).

საერთო სალოცავის მოურავი ამავე დროს ამ საერთო თავდაცვის მოურავიცაა. ასეთი ტენდენცია სრულიად ბუნებრივია და თანდათან ისახება გვარი (ფენა, კლასი) განსაკუთრებული ფუნქციით.

ციხე დიდი შრომით შექმნილი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ციხისა და დაბების ცხოვრებაში. ისახება არისტოკრატია. ამ ციხის მოურავ გვარს თანდათან გვერდში ამოუდგებიან ცალკე დაბებიდან გამოსულებიც. ეს, რა თქმა უნდა, ერთობ გვიან.



# გორი და გვარი

*„გახსოვდეს ვისი გორისა ხარ!“*

ტერმინი გვარი (გუარი) ჩვენი წინაპრების თავდაპირველ საცხოვრისს უკავშირდება. ასეთს კი გორა ერქვა. „გორა – აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი – მეტ-ნაკლებად შემაღლებულ ადგილზე დასახლების ერთ-ერთი უძველესი სახეობაა.

ჩვენი წინაპრები გორაებზე რომ ბინადრობდნენ, ეს უდავოა. დასადგენია მხოლოდ „დრო,“ კონკრეტულად როდის უნდა ყოფილიყო ეს. უცილოა, რომ საწარმოო ძალთა განვითარების გარკვეულ სიმაღლეზე ჩვენი წინაპრები გორაებზე დაბინავდნენ და აი, საზოგადოებრივ საწარმოო ძალთა განვითარების ეს სიმაღლეა სწორედ დასადგენ-განსასაზღვრი. ისინი ამ გორაებზე ბინადრობას განაგრძობდნენ, ვიდრე საზოგადოებრივი საწარმოო ძალთა შემდგომმა განვითარებამ მათ ეს გორაები არ დაატოვებინა. ასე, რომ დგას საკითხი არა მარტო იმის შესახებ, თუ განვითარების რა საფეხურზე „ავიდნენ“ ჩვენი წინაპრები ამ გორაებზე, არამედ იმის შესახებაც, თუ განვითარების რა საფეხურზე დატოვეს მათ ეს გორაები (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, გვ. 24).

წინაპრებმა, როგორც ჩანს, ხოველიგორა თანდათან მიატოვეს და ხოველე დაბის სახელად შერჩა. შემდეგ დაბა გადასახლდა და თავისი სახელი ახალმოსახლეობას შეარქვა. ხოველიგორა კი დარჩა (2, 19, ფურც. 56–57).

აბულეთის გორაზე საუბრისას ნ. ბერძენიშვილი გამოთქვამს ვარაუდს, რომ შესაძლოა აბულეთში აბულ-ტოტემის და შემდეგ გვარის ყველა წევრის სახელი იყო ამ გორაზე მცხოვრების, ხოლო შემდეგ ამ აბულების კრებულის და მათი ადგილსამყოფელს აბულეთი გამოხატავდეს, გვიან ხანაში (საშუალო საუკუნეებში) აქ სოფელი ყოფილა (10–12 კომლი, უკეთ – 12-მდე ნასახლარი) ორი ეკლესიით... ის გარემოება, რომ სოციალური ტერმინი ადამიანთა საზოგადოების ერთობლიობის აღსანიშნავად გორი (ქორი) და სახლი (ციხე) გვაქვს, იმის მოწმობაა, რომ ეს ერთობლიობა (საგვარეულო წყობა) იმ პირობებში შემუშავდა, როცა ადამიანი მღვიმეში კი აღარ ბინადრობდა, არამედ გორაზე და აქ მის მიერვე შექმნილ შენობაში... ამის შედეგია და ამისივე მოწმობაა, რომ ქორი (გორი, გვარი) შენობასაც ნიშნავს და სოციალურ ერთეულს, გვარს. ასეთივე შინაარსისაა სახლი (ციხე), შენობაც და სოციალური ერთეულიც (გვარი). ტერმინი სახლი უთვისტომო არაა. მისი შესატყვისია მეგრული ოხორი... გორისა და დაბის განსხვავება სოციალური ხასიათისაა. გორი სახლად, ქორად, მიტკიცე ერთეულად (ერთ ჭერქვეშ) ცხოვრებას გულისხმობს... გორია ის ემბრიონი, საიდანაც განვითარდა, იშვა დაბა, ციხე, ქალაქი, სალოცავი (მ-2, 19, ფურც. 36).

...სოციალური ისტორიის თვალსაზრისით, გორა არის გვარის სამოსახლო, სამეურნეო, საკულტო ადგილი, სიმაგრე, ხშირად სამაროვანიც. ამისდამიხედვით

ვეაქვს გორასაცხოვრისი, გორანამოსახლარი, გორსახელოსნო, გორაციხე, გორასამლოცველო, გორასამარხი...

გვარი სისხლით ნათესავთა ჯგუფია, რომლის წევრები თავიანთ წარმომავლობას დედის ან მამის მხრიდან საერთო (რეალურ ან მითიურ) წინაპარს უკავშირებენ და საერთო სახელწოდებაც ჰქონდათ. გვარში დაცული იყო ეგზოგამია.

გვარი დაბადებით ან ქორწინებით მიღებული და შთამომავლობით გარდამავალი გვარეობითი სახელწოდებაა, რომელიც ერთვის ადამიანის საკუთარ სახელს.

გორაზე თუ გორზე ცხოვრობდა ერთეული მოსახლეობისა: ეს იყო ერთი გორი მოსახლეობა, რომელიც მეორე (თუ მესამე და ა. შ.) გორი მოსახლეობისაგან განსხვავდებოდა იმით, რომ ერთ განცალკევებულ სისხლით მონათესავეთა ორგანიზაციას წარმოადგენდა და ეს იყო მისი ნიშანი. ასე რომ გეოგრაფიული ცნება გორი შეერქვა გარკვეული ნიშნის მატარებელ მოსახლეობის ერთფეროვან ერთეულს (ეს უკვე შემდეგ). ე.ი სოციალურ ერთეულს – გვარს.

რაც შეეხება „გორისა“ და „გვარის“ განსხვავებას, ასეთი რამ ბუნებრივად მოხდა. რამდენადაც არსებობდა გამოთქმები: გორა, გორი, გვარა, გვარი. შინაარსის დიფერენცირებისას ერთს შერჩა „გორი,“ ხოლო მეორემ მიიღო „გვარი,“ ისევე, როგორც „პატრონი,“ „ბატონი,“ ფონეტიკური მოვლენა ადამიანმა ცნებების განსასხვავებლად გამოიყენა (ნ. ბერძენიშვილი).

გორისა და გვარს უკავშირდება ამ გვარის სალოცავი – ჯვარი.

გვარი სოციალური მოვლენაა. საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ საფეხურზე გვარები იშლებიან, ხდება სოციალური დანაწევრება, მრავალგვარ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ ნაწილებად დაყოფა, ყალიბდება საზოგადოება. ჩნდება სახელმწიფოც. ნ. ბერძენიშვილს მოჰყავს სვანეთის ხევის მაგალითი და წერს, რომ თვით სვანეთის ხევიც კი – „მეხევეთა“ ტერიტორიული ორგანიზაციაა. ხევის შემადგენლობა არაა ერთფეროვანი. აქ არიან ვარგნი და გლეხნი, დიდნი და მცირენი. ხევს საერთო ნორმები აქვს, ჰყავს ჩენილები, ჰყავს მელომე (მედროშე) – დიდი თანამდებობის პირი.

ჩენილები: ჩნდება თანამდებობები, ჩნდებიან დიდებულები, ქალაქები, ციხეები...

„დიდება“ – მეფის მიერ აზნაურისათვის დიდი სახელოსა (თანამდებობა) და მისი შესაფერისი ყმა-მამულის ბოძებას ერქვა. დიდებამინიჭებულ აზნაურს დიდებული აზნაური ეწოდებოდა. აზნაური იმთავითვე ცდილობდა, სახელო და ყმა-მამული სამემკვიდრეოდ ექცია. მე-11–12 საუკუნეებში დიდებულთა ცნობილი საგვარეულოების (კალმახელი, ჯაყელი, ხურსისძე, სურამელი, არიშიანი, ვარდანისძე, კახაბერიძე, და სხვა) წარმომადგენლები დიდმოხელეობას თაობიდან თაობამდე ფლობდნენ. მაგალითად, ქართლის ერისთაობა მე-12 საუკუნის

70-იანი წლებიდან მთელი მე-13 საუკუნის მანძილზე სურამელების ხელში იყო. რაჭა-არგვეთ თაკვერის ერისთავებად მე-11 საუკუნის დასაწყისიდან მე-13 საუკუნის 80-იან წლებამდე კახაბერის ძენი იყვნენ. სამცხის ერისთავთ-ერისთავებად და სპასალარად მე-11-13 საუკუნეებში ჯაყელთა სახლის წევრები ჩანან. ზოგი ერისთავი ამავე დროს სამეფო კარის მოხელეც იყო. მაგალითად, სვანთა ერისთავი ვარდანისძე თამარ მეფის დროს მეჭურჭლეთუხუცესიც იყო.

ქვეყნები ნებისმიერად ებოძებოდათ დიდებულებს: ვარდანისძეებს სვანეთი (დადიანები ვარდანისძეთა განშტოებად ითვლებიან). სვანეთისა და ოდიშის სანახები, თორელ-ქავთარისძე-ქავთარიშვილი-ქაჩიბაძე-ქაჩიბაძეებს (შემდგომში ბარათაშვილები), სომხითის ანუ ქვემო ქართლის ქვეყნები და ქალაქები – ციხეებით: ორბეთი, ქვეში, კაენი, კაიწონი, გაგი, მხარგრძელებს – რუსთავი, თმოგვი, ჭიაბერს – ყინვალი და ა. შ.

„მოიწივნეს ქუეყნად მხარგრძელთა, რამეთუ ივანე ათაბაგსა ეპყრა დვინი და ანისი მიეცა ძმისწულსა მისისა შანშესდა, მანდატურთ-უხუცესობისათჳს".

„ქუეყანა მხარგრძელთა" აღინიშნა მთავრის სახელით. ასეთივე სახელით აღინიშნა ამ სამთავროს ლაშქარი. გაჩნდა „ქუთათისის ქუეყანა" (ქალაქის), აფხაზეთის ქუეყანა (მხარის), საქართველოს ქუეყანა (სახელმწიფოს), „ავაგის" ქუეყანა (ფეოდალის). ასეთ საერისთავო და სავაზირო ქვეყნად დაიყო მთელი საქართველო.

თავდაპირველად ქვეყანას ბოლოსართად ერთვის ეთი – სომხითი, გელათი. შემდეგ ჩნდება და ფორმდება ეთი-თ (თუშეთი, ბაზალეთი). მას მოსდევს ართ-რონი სა-თი შემდგარი ქვეყანა (საქართველო, საბერძნეთი, სამეფო, სამთავრო). და ბოლოს, ამა თუ იმ მთავრის (სახელდებითი) ქუეყანა.

უმეფობის ხანაში მონღოლებმა საქართველოში ახალი ქვეყნები გამოკვეთეს: „და განაჩინეს თათართა ბევრისა მთავარი, რომელსა დუმნის თავად უწოდეს, და გამოარჩიენეს მთავარნი, პირველად ეგარსლან ბაკურციხელი, კაცი ღრმად მოუბარი, ხოლო არა ნიჭითა მქონებელი საკმართა, და მას ხელს უდევს სპა ჰერეთისა და კახეთისა კამბეჩიანისა, ტფილისითგან და აღმართ ვითარ მთამდე შამახიისა. და შანშეს ხელს უდევს ყოველი სომხითი, გრიგოლ სურამელსა ქართლი და გამრეკელსა თორელსა მსგავსადვე ეგარსლანისასა საჭაბუკოთა შინა, ხელთ უდვა ჯავახეთი, სამცხე და აღმართ ვიდრე კარნუ-ქალაქამდე. ხოლო ცოტნე დადიანსა და რაჭის ერისთავსა – ყოველი იმერი სამეფო.

ასე ექვს თუ შვიდ დუმნად, ე. ი. ათიათასი მეომრის გამომყვან ქვეყანად დაყვეს მონღოლებმა მთელი საქართველო (მ-გ, 27, ფურც. 31 ნ. ბერძენიშვილი, საქ. ისტ. საკითხები. წიგნი 1, გვ. 100–103).

კუთვნილებისდა (უკეთ, პატრონობისდა) მიხედვით საქართველო იყოფობა სამეფო ქვეყნად, სამცხეთო ქვეყნად და სამთავრო ქვეყნად.

ფეოდალური მფლობელობის წესის თანახმად, საბოლოო ანგარიშით, მთელი

მიწა-წყალი მეფის მისაკუთარი იყო, მაგრამ საქმით (პრაქტიკულად) სამეფო დომენში მეფის უფლება სულ სხვა სახით ხორციელდებოდა: ხოლო სამთავრო ქვეყანაში მეფე თავის საპატრონო უფლებას მთავარს (შეწყალებულს, ერისთავს) გადასცემდა. ამიტომ იყო, რომ ასეთი ყმა პატრონიც იყო. საპატრონო უფლების გადაცემა სხვადასხვა ხარისხისა ყოფილა. საკუთარ დომენში თვით მოურავეებსაც კი მეფე გადასცემდა უფლებას, მაგრამ ეს უფლება იმ ოდენობისა არ იყო, რომ მოურავს „პატრონობა" დაეწყო. მას პატრონადაც არავინ სცნობდა (ამ მხრივ მაგალითისათვის ნიშანდობლივია თარხანიანთ (იგულისხმება თარხნიშვილები) დავა თავიანთ სურნაბადელ ყმებთან, სადაც ყმები თავგამოდებით ამტკიცებენ, რომ ისინი მოურავის შვილებია, რომ ესენი თავადი მემამულეები არ არიან. ამ ნიადაგზე თარხნიშვილებმა გვარიც კი მოურავისშვილი უარყვეს და თარხნიშვილები შეირქვეს). ასე, რომ სამოურავეო ქვეყანა იგივე სამეფო ქვეყნად რჩებოდა. სულ სხვა უფლებისა იყო პატრონი. აქ მეფე მეტის თუ ნაკლები სისრულის მქონე ხელმწიფობას (პატრონობას, ანუ უფლებას) გადასცემდა შეწყალებულს. შეწყალებული სულ იმის ცდაში იყო, ეს პატრონობა შეენარჩუნებინა და სრული ხელმწიფობაც მოეპოვებინა. „არჩილის რეფორმები" (რომლითაც ქვეყნის ნახევარი ერისთავებს გადაეცათ სამკვიდროდ და სამამულოდ) ეპოქალური მაგალითია ამ მხრივ: **ამიერიდან შეიქმნა სამეფო და საერისთავო ქვეყნები** – უკეთ, ამიერიდან ერისთავებმა თარილად დაიდევს ქვეყნების ნამნითევად მიღება, ე. ი. განსხვავება სამეფო და საერისთავო ქვეყნებს შორის ახალ ხარისხში იქნა აყვანილი. და ეს ქვეყნები ასე მოიხსენიებიან: **სამეფო ქუეყანა, სამთავრო ქუეყანა** (მ–2, 7, ფურც. 37–38 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 102–104).



# მართვის სოციალური იერარქია საქართველოში

*ამ თავში საუბარია ისეთ სოციალურ ინსტიტუტებზე, როგორიცაა მეფე და მეფის ხელისუფლება, მთავარი და სამთავროები, ერისთავი, ერისთავთ-ერისთავი, საერისთავოები, თავადები და აზნაურები.*

## ა). მეფე, მეფის ხელისუფლება

*მეფეთა გვართათვის*

„ხოლო გუარნი მეფეთანი იყვნენ: პირველი ქართლოსიანნი და ნებროთიანნი, და არშაკუნიანნი, შემდგომად ამათთა იყო გუარი ხოსროვანთა_ შემდგომად ამათთა ბაგრატიონნი, რომელნი გამეფდნენ ქრისტესა ფ-ოე წელთა და არიან აწამდე. არამედ სიტყუა იყო ივერიას შინა მეფეთა ამათვის, რამეთუ იცნობის ქართლოსიან-ნებროთიან-არშაკუნიანნი გმირობითა, ხოლო ხოსროვანნი გოლიათობითა, ახოვნებითა, შემმართებლობითა, ხოლო ბაგრატიონნი მხნეობითა, სიბრძნე-ქუელობითა და ქუეყნისთვის თავდადებულობითა".

*ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, ტ—4, თბ. 1973. გვ. 27.*

ზემოთ მოხსენიებულ წოდებრივ იერარქიას საქართველოში სათავეში მეფე ედგა. მეფე მონარქიული სახელმწიფოს მეთაურის ქართული წოდებულება. მეფის ხელისუფლება წარმოიშვა ტომის ბელადის ძალაუფლების ან გვაროვნული წეს-წყობილების დაშლის, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის პერიოდში. ასეთი პროცესი საქართველოში ძველი წელთაღრიცხვის II–I ათასწლეულის მიჯნაზე განვითარდა. მეფის თავდაპირველი წოდებულება უნდა ყოფილიყო „მეუფე მამასახლისი", საიდანაც მარტივად „მეუფე", ბოლოს კი „მეფე" წარმოდგა. ახალი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნეში სპარსელებმა და ბიზანტიელებმა საქართველოში მეფის ხელისუფლება გააუქმეს. მეფობის აღდგენის შემდეგ მე-9 საუკუნის დასასრულს „ქართუელთა მეფის ტიტული პირველად ადარნესე II ბაგრატიონმა მიიღო. ფეოდალური საქართველოს თანდათანობითი გაერთიანების კვალობაზე ჩამოყალიბდა ქართველ მეფეთა წოდებულება „მეფეთა მეფე, მეფე აფხაზთა, ქართუელთა, რანთა და კახთა". მეფის ხელისუფლება საქართველოში მე-19 საუკუნის

დასაწყისამდე – ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების რუსეთთან შეერთებამდე არსებობდა. ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე იყო გიორგი მე-12, იმერეთისა – სოლომონ II.

ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოდან გამოსული თავადები ორ შტოდ განიყოფებიან: **უფროსი შტო** საქართველოში თავადობდა 1724 წლამდე, მომდინარეობს მეფე ბაქარ ვახტანგის ძიდან (1717–1719). **უმცროსი შტო** ბატონობდა საქართველოში 1800 წლამდე, მომდინარეობს საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი მე-12-ისგან (1798–1800).

## ა) უფროსი შტო

**ბაქარი** (7. 04. 1699 ან 1700 – 1. 02. 1750 წ.წ. მოსკოვი). ქართველი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, ვახტანგ მე-6-ის ძე, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, **გრუზინსკების** გვარის ფუძემდებელი. ქართლის ფაქტობრივი მეფე (შაჰნავაზ მესამის სახელით) 1717–19 წ.წ.-ში, ვახტანგ მეექვსის ირანში ყოფნის დროს. 1724 წელს მამასთან ერთად რუსეთში გადასახლდა, 1729 წლის 30 ნოემბერს გენერალ-ლეიტენანტის ჩინით დაინიშნა მოსკოვის ოლქში საარტილერიო კანტორის უფროსად. ბაქარი მონაწილეობდა მოსკოვის ქართული სტამბის აღდგენაში. 1743 წელს მისი თაოსნობით დაიბეჭდა ბიბლია, რომელიც ცნობილია ბაქარის ბიბლიის სახელით. გარდაიცვალა 1750 წლის 1 თებერვალს, დაბადებიდან 51-ე წელს. მეუღლე ანა გიორგის ასულ ერისთავისაგან დარჩა ორი ვაჟიშვილი ალექსანდრე და ლეონი (ლევანი). ბატონიშვილ ალექსანდრე ბატონიშვილს, რუსეთის გვარდიის კაპიტნის ცოლი იყო დარია ალექსანდრეს ასული მენშიკოვა, რომელთანაც ჰყავდა ორი ვაჟიშვილი და სამი ქალიშვილი. დედოფალ ელისაბედ ალექსანდრეს ასულს (გარდ. 1842 წ.) ქმრად ჰყავდა თავადი, გენერალ ლეიტენანტი ბორის ანდრიას ძე გოლიცინი. თავადი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე უცოლოდ გარდაიცვალა.

**ლევან ბატონიშვილი** (ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი) (1728–23. 07, 1763 წ.). ქართული კულტურის მოღვაწე, ბაქარის ძე. სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტში. ფლობდა ლათინურ, ფრანგულ, გერმანულ და რუსულ ენებს. მაიორის ჩინით მსახურობდა იზმაილის პოლკში. მისი მთავარი ნაშრომია „მსოფლიო ისტორია“ (მსოფლიო ისტორიის პირველი ქართული სახელმძღვანელო), რომელშიც 50-მდე ხალხისა და ქვეყნის ისტორია არის წარმოდგენილი. ლევანს ცოლად ჰყავდა დედოფალი ალექსანდრა იაკობის ასული სიბირელი. მასთან ეყოლა სამი ვაჟი: იაკობი, თავადი დიმიტრი ლეონის ძე და თავადი ლეონ ლეონისძე, რომელიც დანიშნული იყო პრასკოვია ევგრაფის ასულ ტატიშევაზე (დაბ. 1767 წ. გარდ. 1841 წ.), უფროსი იაკობ ლეონის ძე ეყოლა დედოფალ ვერა პეტრეს ასულ ურუსოვასაგან, მიატოვა დედოფალ ალექსანდრე იაკობის ასულის ქალიშვილი. დარჩა ოთხი ვაჟი: თავადი ნიკოლოზ იაკობის ძე, თავადი დიმიტრი იაკობის ძე, თავადი იაკობ იაკობის ძე და თავადი სერგო იაკობის ძე.

ბ) უმცროსი შტო

**ათანასე ბაგრატიონისაგან:** 1. **თეიმურაზ I** (1589–1663) კახეთის მეფე 1606–1616 წწ. ქართლ–კახეთის მეფე 1634–48 წ.წ. გამეფდა 16 წლისა. გარდაიცვალა 1663 წელს. ცოლად ჰყავდა: 1) დედოფალი ანა გურიელი. 2) დედოფალი ხორეშან ქართლელი. პირველი ქორწინებიდან ჰყავდა ორი ვაჟი, მეორე ქორწინებიდან ვაჟი და ქალიშვილი. **მეფე ლეონი, მეფე ალექსანდრე, მეფე დავითი** (გარდ. 1648 წ). დედოფალი დარეჯანი: თავადი დავით ერისთავის ძე. 2 იმერეთის მეფე ალექსანდრე მესამე. 3. თავადი ვახტანგ ჩოლოყაშვილი. 4. **ერეკლე I**, შემდგომში გამაჰმადიანებული ნაზარ–ალი–ხანი: კახეთის მეფე (გარდ. 1710 წ). 6. **მეფე ლუარსაბი**. 7. **გიორგი**, დედოფალი ქეთევანი: 1. იმერეთის მეფე ბაგრატ მეოთხე. 2. თავადი ლოლობერიძე. 3. ქართლის მეფე არჩილი: **დავითი**, შემდგომში გამაჰმადიანებული მემედ–ყული–ხანი, კახეთის მეფე. გარდ. 1729წ. 10). თეიმურაზ მეორე, გამგებელი ქართლისა და კახეთის მეფე 1709–1715 წლებში (გარდ. 1763 წ). დედოფალი ანა თაქალთოს ასული ციციშვილი. დედოფალი ელენე. ქართლის მეფე ევსევი, მეუღლე მაკრინე (გარდ. 1732 წელს). თავადი ჩოლოყაშვილი. 11. მეფე მემედ მირზა. 12. მეფე ალი მირზა. დედოფალი ქეთევან – ხანუმა სპარსელი ვაზირის კასუმის ასული: 13. მეფე ალექსანდრე: 14. **ერეკლე მეორე თეიმურაზის ძე**, კახეთის მეფე. (1744–62 წ.) ქართლ–კახეთისა – 1798 წ. წმინდა ანდრიას ორდენების კავალერი, გარდ. 1798 წელს. დაქორწინებული იყო 1. დედოფალ ანა აბაშიძეზე: 2. ქეთევანზე. 3. დედოფალ დარია გიორგის ასულ დადიან–მეგრელზე. დაბ; 1738 წ: გარდ. 1807 წ. 4. დედოფალი ქეთევან, ალი ყული ხანისა, – სპარსელი ნადირ შაჰის შვილიშვილზე: 5. დედოფალი ელისაბედზე თავად ამილახორისა – ანა, თავად დიმიტრი ორბელიანისა. 15. **გიორგი მე–12 ერეკლეს ძე**, საქართველოს უკანასკნელი მეფე. გარდ. 1800 წლის 18 დეკემბერს. ქორწინებაში იყო 1. დედოფალ ქეთევან ანდრონიკაშვილზე. 2). დედოფალ მარიამ გიორგის ასულ ციციშვილზე. დაბ. 1769 წ. 26 ოქტ. გარდ. 1850 წ. 30 მაისს. პირველი ქორწინებიდან ჰყავდა ოთხი ვაჟი და ხუთი ქალი. მეორე ქორწინებიდან – ხუთი ვაჟი და ორი ქალი. 16. **მეფე იულონ ერეკლეს ძე**, წმინდა ალექსანდრე ნეველის ორდენის კავალერი. დაქორწინებული იყო თავადი ამილახორის ასულ სალომეზე. 17. **მეფე ვახტანგ ერეკლეს ძე**. დაქორწინებული იყო დედოფალ ანდრონიკაშვილზე. 18. **მეფე ანტონ ერეკლეს ძე**, საქართველოს კათოლიკოსი, წმინდა ალექსანდრე ნეველის ორდენის კავალერი. გარდ. 1832 წელს. 19. **მეფე მირიან ერეკლეს ძე**. რუსეთის სამეფოს ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი და სენატორი. გარდ. 1834 წელს. 20. **ალექსანდრე ერეკლეს ძე**. გაიქცა ირანში. დაქორწინებული იყო მარიამ ისაკის ასულზე. 21. **მეფე ფარნაოზ ერეკლეს ძე**. დაქორწინებული იყო დედოფალ ანა გიორგის ასულ ერისთავზე. დედოფალი თამარ ერეკლეს ასული. გათხოვილი იყო დავით ორბელიანზე. დედოფალი მარიამ ერეკლეს ასული. გარდ. 1829 წელს. გათხოვილი იყო

თავად ციციშვილზე. ელენე ერეკლეს ასული, გათხოვილი იყო იმერეთის მეფე არჩილზე. დედოფალი ქეთევან ერეკლეს ასული, გათხოვილი იყო თავად ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე: დედოფალი ანასტასია ერეკლეს ასული, გათხოვილი იყო თავად რევაზ ერისთავზე. დედოფალი ეკატერინე ერეკლეს ასული, გათხოვილი იყო თავად ჩოლოყაშვილზე. დედოფალი თეკლე ერეკლეს ასული, გათხოვილი იყო თავად (პოლკოვნიკ) ვახტანგ ორბელიანზე. 22. **ႫႤႴႤ ႣႠႥႨႧ ႢႨႭႰႢႨႱ ႻႤ,** რუსეთის გენერალ-ლეიტენანტი, წმინდა ალექსანდრე ნეველის ორდენის კავალერი, გარდ. 1819 წელს. დაქორწინებული იყო ელენე სიმონის ასულ აბაშიძეზე. 23. **ႫႤႴႤ ႨႭႠႬႤ ႢႨႭႰႢႨႱ ႻႤ.** დაქორწინებული იყო დედოფალ ქეთევან ზურაბის ასულ წერეთელზე. 24. **ႫႤႴႤ ႡႠႢႰႠႲ ႢႨႭႰႢႨႱ ႻႤ.** რუსეთის სენატორი, გარდ. 1841 წელს. დაქორწინებული იყო დედოფალ ეკატერინე დურმიშხანის ასულ ჩოლოყაშვილზე. 25. **ႫႤႴႤ ႧႤႨႫႳႰႠႦႨႱ ႢႨႭႰႢႨႱ ႻႤ.** დაბ. 1782 წ. გარდ. 1846 წელს. დაქორწინებული იყო დედოფალ ელენე ოთარის ასულ ამილახორზე. დედოფალი ბარბარე გიორგის ასული. გარდ. 1810 წელს. გათხოვილი იყო თავად სიმონ ანდრონიკაშვილზე. დედოფალი სოფიო გიორგის ასული. გარდ. 1833 წელს. გათხოვილი იყო თავად ლუარსაბ თარხან-მოურავზე. დედოფალი ელენე გიორგის ასული. გარდ. 1847 წელს. გათხოვილი იყო სამეგრელოს მთავარზე. გრიგოლ დადიანზე. დედოფალი რიფსიმე გიორგის ასული, გარდ. 1847 წელს. გათხოვილი იყო თავად დიმიტრი ჩოლოყაშვილზე. დედოფალი გაიანე გიორგის ასული, გარდ. 1820 წელს, 22 ივლისს. გათხოვილი იყო გენერალ-მაიორ თავად გიორგი ევსევის ძე ერისთავზე. 26. **ႫႤႴႤ ႫႨႾႤႨႪ ႢႨႭႰႢႨႱ ႻႤ.** 27. **ႫႤႴႤ ႿႨႡႰႠႨႪ ႢႨႭႰႢႨႱ ႻႤ.** დაბ. 1788 წელს. გარდ. 1812 წელს. 28. **ႫႤႴႤ ႨႪႨႠ ႢႨႭႰႢႨႱ ႻႤ.** გარდ. 1854 წელს. დაქორწინებული იყო ანასტასია გრიგოლის ასულ ობოლინსკაიაზე. 29. **ႫႤႴႤ ႭႵႰႭႮႨႰ ႢႨႭႰႢႨႱ ႻႤ.** დაქორწინებული იყო გრაფინია ანა პავლეს ასულ კუტაისოვაზე (ქუთაისელზე). 30. **ႫႤႴႤ ႤႰႤႩႪႤ ႢႨႭႰႢႨႱ ႻႤ.** დაქორწინებული იყო დედოფალ თამარ გიორგის ასულზე. გარდ. 1850 წელს. 32. **ႧႠႥႠႣႨ ႣႨႫႨႲႰႨ ႨႳႪႭႬႨႱ ႻႤ.** დაქორწინებული იყო დედოფალ თამარ იულონის ასულზე. 33. **ႧႠႥႠႣႨ ႤႰႤႩႪႤ ႠႪႤႵႱႠႬႣႰႤႱ ႻႤ.** დედოფალი სალომეია ფარნაოზის ასული. დედოფალი ელენე ფარნაოზის ასული. 34. თავადი გრიგოლ ივანეს ძე. დაქორწინებული იყო ბარბარე თევდორეს ასულ ბუკრინსკაიაზე. 35. თავადი დავით ბაგრატის ძე. დაქორწინებული იყო მაზურინაზე. 36. თავადი ალექსანდრე ბაგრატის ძე. დაქორწინებული იყო დედოფალ ელენე ზაქარიას ასულ თარხან-მოურავზე. დედოფალი ბარბარე ბაგრატის ასული იყო თავად გენერალ-მაიორ დიმიტრი ითამას ძე ორბელიანის მეუღლე. 37. თავადი გრიგოლ ილიას ძე. 38. თავადი პეტრე ილია ძე, მოკლულ იქნა 1855 წლის 17 სექტემბერს ყარსზე იერიშის დროს. 39. თავადი დიმიტრი ილიას ძე. 40. თავადი ნიკოლოზ ილიას ძე. დედოფალი ეკატერინე ილიას ასული, ანა ილიას ასული, გათხოვილი იყო თავად დავით ალექსანდრეს

ძე ჭავჭავაძეზე. დედოფალი ნადია ილიას ასული. გათხოვილი იყო მიხეილ ალექსანდრეს ძე პისარევზე. დედოფალი ბარბარე ილიას ასული, ილია დიმიტრის ასულ ორბელიანის ქვრივი, დედოფალი ალექსანდრე ილიას ასული, თავადი გაიანე ილიას ასული, ელისაბედ ილიას ასული, ვერა ილიას ასული, ოლღა ილიას ასული. 41. თავადი გიორგი ოქროპირის ძე. 42. თავადი პავლე ოქროპირიძე. 43. თავადი იევანე გრიგოლის ძე. ქორწინებაში იყო გრაფინია ეკატერინე პავლეს ასულ ფალენზე; დედოფალი ქეთევან გრიგოლის ასული, გათხოვილი იყო თავად მიხეილ სუმბათაშვილზე; დედოფალი ეკატერინე გრიგოლის ასული.

სპეციალურ ლიტერატურაში აქა-იქ გაჟონილია აზრი, თითქოს პრივილეგირებულ ზედა ფენაში გვარი შედარებით ადრეა გაჩენილი, ვიდრე მდაბიო და უაზნოთა შორის. პროფესორი ალექსანდრე ღლონტი სპეციალურად ამახვილებს ყურადღებას ამ საკითხზე და წერს, რომ: „გვაროვნული სახელი, მკვიდრი ნაწილი ქართული ანთროპონომიისა, ადრინდელი ფეოდალიზმის ეპოქაში ჩასახულა და მეშვიდე-მერვე საუკუნეებში მისი ჩამოყალიბების პროცესი თითქმის დასრულებული ჩანს. ხნოვანებისადა მიუხედავად, გვარი მიუღია ოჯახის ყველა მეთაურს სოციალური წარმოშობისა და წოდებრივი მდგომარეობის მიუხედავად. გვარი იმთავითვე ჰქონიათ გლეხებს (ყმა-გლეხებს, თავისუფალ გლეხებს), აზნაურებს, თავადებს (მთავრებს), რელიგიური კულტის მსახურებს, ვაჭრებს, ხელოსნებს, თვით მეფეებსაც. ერთადერთი ისაა, რომ მეფეთა შთამომავალნი და მაღალი რანგის სასულიერო მოღვაწენი იწოდებოდნენ მხოლოდ სახელებით (შესაბამისად დაირთავდნენ: ბატონიშვილი, ეკლესია-მონასტრის სახელწოდება, ადგილმდებარეობის მიხედვით). დანარჩენი ფენები მოსახლეობისა გვარებად იყვნენ დაყოფილნი. ბევრი უძველესი ქართული გვარის წარმომავლობა და ლოკალიზება ისტორიული რეალიების მიხედვით ზუსტადაა დადგენილი, ბევრისა კი შეიძლება მიახლოებით განისაზღვროს. გვაქვს ისეთებიც, რომელთა ეთნიკური კუთვნილებისა და წარმომავლობის დადგენა ვერ ხერხდება (ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ. 1986 გვ. 41-42).

ონომასტიკის კვლევის დარგში ერთ-ერთი ცნობილი მეცნიერი ვ. ა. ნიკონოვი თავის მხრივ აღნიშნავს, რომ „უწინ გენეალოგია (საგვარეულო ხე) მხოლოდ და მხოლოდ არისტოკრატიული ფენის წარმომადგენლების კუთვნილება იყო, ხოლო უბრალო ხალხისთვის იგი მიზანშეუწონლად ითვლებოდა“ (ვ. ა. ნიკონოვი, გვარების გეოგრაფია, მ. 1988, გვ. 5). ერთი და მეორე მოსაზრებაც საფუძველს

არსებული წყაროების შეჯერებიდან იღებს სათავეს. მართლაც-და თითქმის იშვიათია, რომ სადმე შეეხვდეთ უბრალო, რიგითი გვარის წარმომადგენელს, რომელთა შესახებაც ვინმეს შეედგინა გენეალოგია. დიდებულ გვართა შორის კი ასეთი რამ არც თუ იშვიათია.

მეცნიერებაში ფეხმოკიდებულია აგრეთვე მოსაზრება იმის თაობაზე, თითქოს წარჩინებულ გვართა გარკვეული წყება არა აბორიგენი, არა ქართველია და სხვა, გარეშე ქვეყნიდანაა მოსული. მაგალითად, ლეონტი მროველს მთელი აზნაურობა არ მიაჩნია ქართველებად. თითქმის არცერთი დიდი აზნაური (მათ შორის მეფეც) თავის წარმომავლობას ქართველს (ქართველობას) არ უკავშირებს. იმავე მროველის მიხედვით აზნაურები ხომ აზონაურები, ე. ი. რომაელები არიან, ასეთი თეორიის მიხედვით, ბაგრატიონები თურმე ურიასტანიდან, ორბელიანები ჩინეთიდან, ხოლო წერეთლები ლეკეთიდან არიან. ციციშვილები ებრაელებიდან მოდიან და ა. შ.

გიორგი მერჩულე ქართველად მიიჩნევს ყველას, ვინც ქართულ-კულტურულ პოლიტიკურ წყობას ეზიარა. მერჩულესთვის პიროვნების ქართველობის დასადგენი საზომია ქართულად წირვა-ლოცვა (უკეთ, ქართული ქალკედონიტობა). მერჩულე ენის მომენტს უმთავრესად მიიჩნევს. ენა (ქართული) იყო, რაც აერთიანებდა, ერთ (ქალკედონიტურ) მსოფლიოში ათავსებდა ქართს თუ არა ქართს. „ქართველი" შეიძლება იყოს ყველა ეთნიკური ვინაობისაგან დამოუკიდებლად, ვისი კულტურის ენაც ქართულია (ესე იგი, ვინც ქართველი ქალკედონიტია და ქართულად ისმენს ღვთისმსახურებას").

მტრული სახელმწიფოებით გარშემორტყმულ საქართველოში ენა იყო ის მთავარი მამოძრავებელი ძალა, რომლის საფუძველზედაც ქართულ ტომებს შორის კულტურული მოქიშპეობა მიმდინარეობდა. ამ პროცესს ზურგს უმაგრებდა ქართული სარწმუნოება, ხოლო იგი გადაჭდობილი იყო ქართულ ფეოდალურ კულტურაზე, რომელიც მე-11-12 საუკუნეებში რუსთაველის კულტურად ჩამოინაკვთა (ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 414, 415).

ნიკო ბერძენიშვილი წერდა: „დავით სოსლანი, სარგის თმოგველი, ილარიონ ქართველი, გრიგოლ ბაკურიანის ძე, იოანე პეტრიწონელი, დვალები, ბაღვაში, და სხვა ათასი – ყველა ქართველი იყო". ქართული ფეოდალური კულტურის მოღვაწე, მიუხედავად იმისა, რომ ნათესავით ზოგი ოსი იყო, ზოგი ჰერი, ზოგი დვალი, ზოგი ტაოელი, ზოგი ქართი და ა. შ. ასე, რომ „საქართველო" ეს იყო ერთი ფეოდალური სამყარო, ერთი ენით, ერთი ფეოდალური კულტურით და მას უპირისპირდებოდა ასეთივე ფასის მქონე სამყაროები – საბერძნეთი, სომხეთი, თურქულ-მაჰმადიანური აღმოსავლეთი. საქართველოს სახელმწიფოში მხოლოდ ქართველები იყვნენ, რომელთაც ან ქართველებს, ან აფხაზებს უწოდებდნენ. ეს კარგად გამოჩნდა, როცა მონღოლებმა გურჯისტანი მოხაზეს (კულტურულ-პოლიტიკური მომენტი იქამდე ძლიერი აღმოჩნდა, რომ

მონღოლებმა სომხეთიც საქართველოს მიათვალეს და საფიქრებელია, რომ „სომეხ“ პოლიტიკურ მოღვაწეთა აქტიური მოქმედების შედეგად). ამიტომაც იყო, რომ არავითარი ტომობრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ფეოდალურმა საქართველომ არ იცოდა. ფეოდალები „საქართველოს“ განსახიერება და ქართული ფეოდალური საზოგადოების თანასწორად შემოქმედნი იყვნენ. ფეოდალი თუ სეპარატისტულად განწყობილი იყო, ის ამოდიოდა არა მისი საფეოდალოს კულტურული (ტომობრივი) თავისებურების ფაქტიდან, არამედ საკუთარი, ამბიციური, პირადული ფეოდალური, სამეურნეო-პოლიტიკური ინტერესებიდან. ამას მოწმობს ის გარემოება, რომ არცერთი პოლიტიკური დამოუკიდებლობამოპოვებული ფეოდალი (სამთავრო) არ ცდილა ქართული ფეოდალური კულტურის უარყოფას და მის ნაცვლად ძველის (წინაფეოდალური კულტურის) აღდგენას, ან ქართული ენისა და „ვეფხისტყაოსნის“ კულტურის უარყოფას. და თუ სადმე, ფეოდალური საქართველოს რომელიმე მხარეში ასეთი ტენდენცია იჩენდა თავს, ეს იყო გვაროვნული წყობილების (არაგვი, ქსანი, სვანეთი) ან ადრეფეოდალური ურთიერთობის (აფხაზეთი) აღდგენის ცდა. ეს იყო ქართული ფეოდალური ურთიერთობის წინააღმდეგ რეაქცია, პრიმიტიული ურთიერთობის შენარჩუნების მცდელობა და ამ აქტში ფეოდალების (როგორც ფეოდალების) მონაწილეობა გამორიცხულია. ეს იქნებოდა ფეოდალების მიერ თავისი თავის აუარყოფა.

ფეოდალური საქართველო მასში შემავალ ტომთა უარყოფა იყო. ტომი, როგორც ასეთი, მოშალა ახალმა (ფეოდალურმა) ერთეულმა – საერისთავომ, სათავადომ. ტომობრიობით შემოსული ფეოდალურ სამყაროში (თუ ასეთი რამ კი შეიძლებოდა...) ის გარდაქმნას, ასიმილაციას განიცდიდა მის ფეოდალურ ნაწილში განსაკუთრებით (ჯიქია, ჯიქიძე, თოფურია, თოფურიძე, გარდავა, გარდავაძე, გალდავა, გალდავაძე, ოდილავა, ოდილავაძე, ლაშქარია, ლაშქარაძე, ლაშქარაშვილი, ჩხეტია, ჩხეტიძე, აფაქია, აფაქიძე...)

გურიელი ნაკლები დაჟინებით არ იბრძოდა „დამოუკიდებლობისათვის.“ ვიდრე დადიანი ან შერვაშიძე, მაგრამ ამ „ბრძოლას“ ტომობრიობისათვის ბრძოლის იერი არ ჰქონდა, ვიდრე დადიანი, ან შერვაშიძე, მაგრამ ამ ბრძოლას ტომობრიობისათვის „ბრძოლის“ იერი არ ჰქონდა, ისევე როგორც არც კახთა ან მესხთა, რაჭველთა თუ სხვა ტომთა ბრძოლას ჰქონდა ტომობრიობისათვის ბრძოლის სახე. ტომობრიობა ფეოდალური ურთიერთობის მიერ უკვე გადალახული და მივიწყებული საფეხური იყო, ხოლო თუკი იგი სადმე რაღაც სახით კიდევ ბოგინობდა, ის რუდიმენტი იყო (წიგნი 56, ფურც. 27–32).

ქართველი კაცის ცხოვრება იყო ბრძოლა ქართული ენის შენარჩუნების, ქართული ქრისტიანობის გაძლიერება-დაცვის, ქართული კულტურის მეობის შენარჩუნების, კულტურული ინდივიდუალობის დაცვისათვის და მისი განვითარებისათვის (ენა, რელიგია, ისტორია, პოლიტიკური წყობა). საუკუნეთა მანძილზე მიმდინარეობდა დაუცხრომელი ბრძოლა მეზობლებთან, მომხდურებთან (ბერძნები,

სომხები, არაბები, თურქები...). ბრძოლა იყო შიგნით და გარეთ. ბრძოლაში იქმნებოდა, იკვეთებოდა კულტურული ცნებები, იხვეწებოდა და ახალი შინაარსით ივსებოდა ძველი პრიმიტიული ცნებები (ერი, ნათესავი, ტომი, ქართლი, ქართველი...). იქმნებოდა ახალი, დროის შესაფერისი ცნებები (საქართველო). დავით აღმაშენებელი აქაც გეორგიენი იყო ამ საქმისა: აკადემია).

ოდიშსა და გურიაში ძველი დინასტიების ადგილზე (ქობულეთი მოწმობს ალბათ, რომ აქ ქვაბლიძეები ბატონობდნენ გურიელებზე უწინ) ვარდანისძეები დასხდნენ საქართველოს ნება-სურვილით. ამ ვარდანისძეების გაძლიერებას მეფის კარზე მოჰყვა სვანი ვარგების გაზნაურება დასავლეთსა თუ აღმოსავლეთ საქართველოში, დღესაც ასე მრავლად რომ ჩანან (მაჭავარიანები, ჩარკვიანები, ჭაბუკიანები, ქორქოლიანები, დევდარიანები, იოსელიანები, ბერეჟიანები, ჯაფარიძეები, კუჭეიძეები, ყიფიანები, ნიჟარაძეები, ჩიქოვანები, ფარჯანიანები და სხვა). ესენი და ამათი მოგვარე ის წინაპარი მეომარი ვაჟკაცები იყვნენ, ბელადს (ერისთავს) რომ მოჰყვებოდნენ ბარში საომარზე. მათგან ზოგიერთი მთაშივე ბრუნდებოდა, სხვები ბარში სხდებოდნენ აზნაურებად (ყმები ეძლეოდათ სამხედრო სამსახურის სამუქფოდ). ასე მტკიცდებოდა სვანეთში მეფის ხელისუფლება. სხვანი ჩენილები მეფის ერთგული და მსანდონი ხდებოდნენ. ქართული ქრისტიანობაც ამ პროცესის თანამგზავრი და ხელშემწყობი იყო (უფრო დაწვრილებით იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ. 1990 წ).



ფოტო თამაზ ქიქავასი

ზნეთის ეკლესია მე-8 საუკუნე

# მთავარი

(სამთავროები)

ძველ საქართველოში ტერმინ „მთავარს“ ზოგადი პოლიტიკური და სოციალური შინაარსი ჰქონდა. იგი ნაწარმოებია ფუძისაგან „თავ“ (თავ-ი) და აღნიშნავს უფროსს, მეთაურს, მმართველს, ხელისუფალს, ხელმწიფეს. ქართლის (იბერიის) სამეფოს არსებობის ხანაში მთავარი უპირატესად ცენტრალური აპარატის დიდ მოხელეს ეწოდებოდა. პროვინციის მმართველ „ერისთავისგან“ განსხვავებით, მაგრამ ეს უკანასკნელიც ზოგადი აზრით მთავარი იყო.

VI–VII საუკუნეებში ქართული და უცხოური წყაროები საზოგადოების მმართველი წრეების წარმომადგენლებს ქართლში მთავრებს უწოდებდნენ, იმისდა მიუხედავად, რომ მათ სხვადასხვა სახელოები ეკავათ. უპირველესი ადგილი მთავართა შორის ქართლის ერისმთავარს ეჭირა, რომელსაც წყაროებში ხშირად მთავარი ეწოდება. VIII საუკუნეში, როცა ქართლის სამეფო პოლიტიკურად საბოლოოდ დაიშალა და ხელისუფლება ცალკეულ, დიდი ფეოდალების ხელში გადავიდა, „ქართლის ცხოვრების“ ცნობით,“ იქმნა სიმრავლე მთავართა ქუეყანასა ქართლისასა და შეერია ბრძოლა, იქმნეს მტერი ურთიერთას.“ მთავართა ასეთი სიმრავლის სურათია ასახული ბასილი ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში.“

VIII საუკუნის დასასრულსა და IX საუკუნის დასაწყისში ამ ბრძოლის შედეგად საქართველოს მიწა-წყალზე რამდენიმე მსხვილი პოლიტიკური გაერთიანება წარმოიქმნა, რომელთა სათავეში მთავრები იდგნენ. ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით, მთავრად იწოდებოდნენ, მაგალითად, კახეთის, ჰერეთისა და აფხაზეთის მმართველები.

საქართველოს გაერთიანების შემდეგ მთავარს შეესაბამებოდა დიდებული აზნაური. ჟამთააღმწერელი XIII–XIV საუკუნეებში საქართველოს უმაღლესი პოლიტიკური და სოციალური წრის წარმომადგენელთა აღსანიშნავად ხშირად ხმარობს ტერმინ „მთავარს“.

XV–XVI საუკუნეებში, საქართველოს ერთიანი სამეფოს პოლიტიკური დაშლის შემდეგ, ყოფილი საერისთავო ქვეყნების მოხელე ერისთავები (ათაბაგი, იგივე ჯაყელი, დადიანი, გურიელი, შერვაშიძე) დამოუკიდებელ ხელისუფლებად ანუ მთავრებად გადაიქცნენ, ისინი იშვიათად და ფორმალურად ემორჩილებოდნენ მეფეს. ეს ვითარება გაგრძელდა საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე. ამის შემდეგ მთავრების დამოუკიდებლობას ბოლო მოეღო. (იხ. ქსე, ტ.6, თბ., 1983, გვ. 663, სტატია „მთავარი“ – ანრი ბოგვერაძე).

სახელისუფლებო იერარქიის გასარკვევად მთავართან დაკავშირებით უნდა

ითქვას შემდეგი: მთავარი სამეფოს უმაღლესი მოხელეა და იგი უფრო ყმადნაფიცსა ჰგავს, ვიდრე მოსაკარგავეს (აი, ისეთს, როგორადაც ლამობდა ყოფნას ბალეაში), და პოლიტიკურ არჩევანს არა საკუთარი ქვეყნის ინტერესებით, არამედ პირადი ინტერესებით წყვეტს. მას ძლიერი პატრონი, და სურს, მისი მოქიშპე გაიპატრონოს (ესე იგი, დაიმორჩილოს). ასე მოქმედება ხელს არ აძლევს ქართლის თითქმის ყველა მთავარს.

ასე, რომ მეფეების პოლიტიკური ბედი თუ უბედობა ამ აზნაურების, ამ ყმადნაფიცი მთავრების ხელშია. პირველი მეფე, რომელმაც ამ მდგომარეობის ანუ დამოკიდებულების შეცვლა სცადა, გახლდათ საქართველოს გამაერთიანებელი მეფე ბაგრატ III; მხოლოდ ბაგრატ III-მ სცადა მეფის ხელისუფლების შინაარსის არსებითი შეცვლა (მ–2, 11, ფურც.6).

ბაგრატმა სულა კალმახელს უბოძა „მამულობით ციხისჯუარი და ოძრხე ბოლო-კლდითა, და სხუაცა მრავალი საქონელი და სამღვდელთმოძღუარონი, და რაცა უნდა.“

ეს მამულობით ბოძება საერისთავო ქვეყნისა, სწორედ მთავრობის დასაბამია, – მეფის, როგორც ქვეყნის ძალაუფლების მესაჭის, ნება-სურვილის ანუ მისი უმაღლესი ძალაუფლების გამოხატულებაა. ერთი მხრით, მამულობით ბოძება, ხოლო მეორე მხრით, ერთი ერისთავის ხელში ორისა და მეტი საერისთავოს გადაცემა. აი, ამის მაგალითი: აბუსერი, არტანუჯის ერისთავი, ამავე დროს არის ხიხათა (ე.ი. აჭარის), ციხისჯუარის (ე.ი. ძველი ოძრხის) და აწყუერის ციხის პატრონი“ (იქვე, 300). საქართველოს სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციულ მმართველობით სტრუქტურაში ეს იყო ახალი ტენდენცია, რომელიც ბოლოს სამთავროების ჩამოყალიბებით დასრულდა (XIII).

ბაგრატმა რომ ჰერეთ-კახეთი დაიპყრო, იქ თავისი ერისთავები დასხა. ბაგრატის გარდაცვალების შემდეგ (ალბათ, ბერძენთა მეფე ბასილის ომის შემდეგ) გიორგი მეფეს განუდგა ქუეყანა ჰერეთ-კახეთისა, და ლაღრობითა აზნაურთათა შეპყრობილ იქმნეს ერისთავნი.

აქ კარგადაა ერთმანეთისაგან განსხვავებული ერისთავი და აზნაური.

ერისთავი მოხელეა. ის შეიძლება ამ ქვეყნის მკვიდრი არც იყოს, არამედ მეფის მიერ სხვა კუთხიდან იყოს მოყვანილი და საერისთავოზე (საერისთავოს მმართველის თანამდებობაზე) დასმული. ერისთავი, უპირველეს ყოვლისა, მოხელეა. ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელია (საქვეყნოდ გამრიგეა, ანუ მეფის მიერ გარედან მოყვანილი (გარეთელი) მოხელეა. აზნაური კი ქვეყნის მკვიდრია, ხევის წარჩინებულია, სოციალურად დაწინაურებული ძირმაგარი მკვიდრია. მისი შევიწროება ძნელია, თუმცა შესაძლებელია, მაგრამ მისი მოშლა შეუძლებელია– ის საზოგადოებრივი სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების უშუალო ნაყოფია, მისი ღვიძლია– ის პატრონია თავისი ყმების მიმართ, ყმაა თავისი პატრონის მიმართ– (მ–2,11, ფურც. 4; 6. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 172–173).

მთავარი და ერისთავი სხვადასხვა წარმოშობისანი არიან და ეს მომენტი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეიმჩნევა. ვახუშტი ბატონიშვილი სწორად გრძნობს მთავრის განსხვავებას ერისთავისაგან და საესებით მართებულად გამოჰყავს მთავრისაგან თავადი...

ერისთავი, უპირველეს ყოვლისა, სამხედრო მოხელეა, მთავარი კი უფალია, პოლიტიკური ხელის მემკვიდრეობით მქონებელია, სენიორია (მ–2, 11, ფურც. 9).

აშოტ კურაპალატის შვილები და შვილიშვილები ზოგი კურაპალატია, ზოგი მამფალია, ზოგი კი – მეფე. „და სიცოცხლესა შინა სუმბატ არტანუჯელისასა მოისრა ნასრ; და ქვეყანა ნასრისი დაიპყრეს სხუათა ამათ მთავართა" (იქვე).

აქ, როგორც ვხედავთ, მთავარი მიემართება ყველას, ვინც საჯარო ხელისუფლების მატარებელია – მეფეს, მამფალს, კურაპალატს. მთავარი ზოგადი ცნებაა (მ–2,11, ფურც. 23).

თამარ მეფის დროისათვის მთავრები საქართველოში ბევრია. თამარი მიმართავს კრებას სიტყვით: "... ნუ თუალ ახუამთ მთავართა სიმდიდრისათვს, ნუცა გლახაკთა უდებჰყოფთ სიმცირისათვის."

მთავარი – დიდია, უფროსია, მდიდარია... (მ–2,11, ფურც.40, ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 176–177).

თამარს ჭყონდიდელ–მწიგნობართუხუცესის შერჩევა უნდოდა... ამისათვის მეფემ „მიმოიხილა ყოველთა ზედა სამეფოსა თვსისა მთავართა, და განიცადა თუალითა გონებისათა... მოიყვანა ანტონი გლონისთავისძე გარეჯისი..."

აქ მთავრის შინაარსი კიდევ უფრო ცხადია. ანტონ გლონისთავის ძე, უეჭველია, მონაზონია აზნაურის სახლიდან, მაგრამ მისი მთავრობა აქ მხოლოდ უფროსობას, წარჩინებულობას ნიშნავს და არა – პოლიტიკური უფლების ქონებას. სხვა არა იყოს ანტონ გლონისთავისძე გარეჯის მონაზონია (მ–2,11, ფურც. 42).

გრიგოლ სურამელი ქართლის ერისთავია. იგივე გრიგოლი თავის თავს უწოდებს წარჩინებულს (209) და იგივე გრიგოლი დასახელებულია მთავართა შორის (207).

ასე რომ, არავითარი ნიშანდობლივი განსხვავება მთავარსა და ერისთავთ–ერისთავს შორის არ შეიმჩნევა და სწორედ ესაა ავტორის ეპოქისათვის დამახასიათებელი: როცა ერისთავთ–ერისთავის მთავრობა ნიშანდობლივი მოვლენა გახდა, ვაზირი და ერისთავთ–ერისთავი მთავრის ძლიერ ტენდენციას (მთავრად გახდომისაკენ ლტოლვას) ამჟღავნებენ, ამას ხელს უწყობენ ხვარაზმელები, მონღოლები. ამას ებრძვის მეფის ხელისუფლება, რომელიც ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკური განვითარების პროგრესს განასახიერებს...

ეგარსლანი ერთ–ერთი „ერის მთავარია" ალამუტს მოლაშქრე ქართველთა შორის: ეს „ერისმთავარი" იგივე „მთავარია." ეგარსლანის ბრძანებას მორჩილებდეს „ყოველი ქართველთა ნათესავი." ამ „ყოველ ქართველთა ნათესავში" არიან

დასახელებულნი შანშე და ვარამ მხარგრძელები სხვა „ყოველ მთავრებთან“ ერთად.

ავტორი მხარგრძელებს ისევე ქართველთა ნათესავად სცნობს, როგორც ქართებს, მესხებს, ჰერკახებს, აფხაზებს – ყველა ესენი ქართველი მთავრებია (მ-2,11, ფურც. 77).

ვახუშტი ბატონიშვილი ძველ მთავართა შორის შემდეგ გვარებს ასახელებს: „ხოლო გუარნი მთავართა გუართათვის მათ ძუელთანი ესენი არიან: **ძობულისძე**, დინაური, არელმანელი, ბაღუში, რომელი იყო ლიპარიტის ძე, კახაბერისძე, ბაკურისძე, აბულელი, მხარგრძელი, ორბელიანი, ქაჩიბაძე, ვარდანისძე, გამრეკელი, მარუშისძე, ძაგანისძე, ასათისძე, კარიჭისძე, გაგელი, სამძივარი, ფარაჯანიანი, ნერსიანი, ადარნასიანი, ჯუანშერიანი, კავკასიძე, ჯაყელი, ირუფაქისძე, ჩოლაყაშვილი, აბაზაძე, კორინთელი, მახატელი, ნასიძე, შარვაშიძე, ქუენაფლაველი, ჯავახისშვილი, ბურსელი და სხუანი მრავალნი, რომელნი ერისთაობით იწერვიან და გუარნი არა წარიწერვიან ცხადად საცნობელად, ვითარცა იტყვს ყუთლუარსლანისას და ყუბასარისას და ქართლის ერისთავი გრიგოლ, და სურამელი რატი და გრიგოლი, კახეთის ხორნაბუჯის ერისთავი, და სამცხეს გუზანის და არტანუჯის ერისთავი, კალმახის ერისთავი, წუნის ერისთავი, ხოლო სომხით მანკაბერ სადუნი და არა გუარი მათნი წარწერილნი, არამედ დადიანობა არა არს გუარი, გარნა წესი ხელობისა, არა იყო ესე ოდიშს, არამედ კარის მხარესა ზედა დადიანობდა, ხოლო შემდგომად მეფის თამარის იქმნა ოდიშს დადიანად, და იყვნენ ერისთავად, ვითარცა ცოტნე დადიანი, და არა გუარი მისი საჩინო არს. გარნა შემდგომნი დადიანნი ამ ცოტნესაგან ჩამომავლობენ, ვითარცა აღვსწერეთ (ბატონიშვილი ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 33).

როგორც ჩანს, მთავართა ინსტიტუტი შემდგომ ხანებშიც ყოფილა შენარჩუნებული, რასაც მოწმობს იმავე ვახუშტის მიერ მოწოდებული მასალა, რომელიც აღნიშნულ წყაროში ასეა დასათაურებული „აწინდელთა მთავართა გუართათვს.“ „ხოლო აწინდელთა მთავართა და წარჩინებულთა გუარნი ესენი არიან: **ბარათაშვილი**, რომელთა უპყრავთ გაჩიანისა და გარდაბანისა საერისთონო ტფილისისა სამხრით, ვიდრე ლორე-ფანავრამდე, თვნიერ მეფისა სახასოთა და შეწირულობათა ეკლესიათათა. ხოლო იტყვან ესენი ჩამომავლობასა **ქაჩიბაძისასა**, რომელსა აცხადებს გუჯარნი და სიგელნი მათნი მეფეთაგან წყალობისანი. კუალად **ყაფლანისშვილი** და **აბაშისშვილი**. სამთა ძმათა შვილობასა. არამედ ყაფლანისშვილი იტყვს გუარობასა მათსა გინა ორბელიანობასა. გარნა იყო ორბელიანი სხუა და ქაჩიბაძე სხუა გუარი, არამედ ოდეს განიყვნენ ძმანი, ბარათასაგან არიან ბარათიანნი, რომლისა მიერ ეწოდა ადგილთა მათ საბარათიანოდ, ხოლო აბაშისაგან აბაშისშვილნი და ეგრეთვე სხუანი, რომელნი არიან ბარათიანთაგანნივე. გარნა საგონებელ არს ყაფლანიანთაცა

მესამესა ძმასა ეწოდა ორბელი, და მის მიერ ორბელიანნი იწოდნენ. თვარე წინათქმულნი არა განმართლდებიან. ხოლო ბარათაანთ გუჯარსა შინა, რომელ არს ბეთენიას, წერილ არს: მეფემან ალექსანდრემ, ძემან გიორგი მეფისამან, გაჰყარნა სამი ძმანი – აბაში, გუგუნა და დავით. აბაშისაგან აბაშიშვილნი, გუგუნასაგან ბარათიანნი და დავითისაგან ყაფლანიშვილნი არიან. ხოლო სომხითის მელიქი არ არის გუარი, არამედ ეისმე პატივსცა შაჰაბაზ გამაჰმადიანებისათვის. არღუთაშვილი აწ აზნაური, გარნა მხარგრძელნი არიან. ხოლო ზურაბისშვილს, იარალისშვილს და სოლოღაშვილს იტყვან არა ბარათიანობასა, არამედ მამულნი და სასაფლაონი მათნი აჩენენ მასვე ყოფასა–კუალად დოლენჯიშვილი აწ ჩამოსულნი მესხიდამ. ყარაბუდახიშვილი მოვიდა მარიამ–ჯუარის კახეთიდამ. ხოლო მცხეთის დასავლით და მტკუარის სამხრით ციციშვილი, რომელი ძუელად მოვიდა ფანასკერტიდამ, ჯავახისშვილი; ხოლო მოურავისშვილი არის სააკაძე და მეფისაგან გამთავრებული; როჭიკაშვილი არის შალიკაშვილი. მოვიდა სამცხიდამ. ხოლო შიდა ქართლს ამილახორი, არამედ არს გუარნი, გარნა წესი მეჯინიბეთუხუცესობისა, ვითარცა უწოდებენ სპარსნი. ხოლო გუარი ზედგენიძე არს და პატივცემული მეფეთაგან მთავრობით, ვითარცა აჩენს გუჯარნი მათნი. აბაშიძე, ფალავანდიშვილი და ამირეჯიბი. ამათ ერისთობასა შინა აქუნდათ მამულნი იმერეთს და ქართლსა შინა, და შემდგომად განაყოფისა სამეფოსა, ერთი ძმა იქით და ერთი აქათ დაშთნენ. ვითარცა აჩენს მამულნი და სიგელნი მათნი. ავალისშვილი, რა დაშთა ხელობა მეფესა ქართლისასა, ეგრეთვე ერთი ძმა დაშთა აქ და მეორე სამცხეს. მაჩაბელი იტყვს ანჩაფიძეობას, აფხაზეთიდამ მოსვლას, გარნა ახალი არს. ხერხეულიძე იყო სამცხეს, არს მოსვლა გაყრილებისა. ფავლენისშვილი იტყვის მხარგრძელობასა. ხოლო კუალად მესხი ამილახორისშვილი, დიასამიძე, შალიკაშვილი და თაქთაქისშვილი შემდგომად თათრობისა ჩამოვიდნენ სამცხიდამ; ჩხეიძე მოვიდა იმერეთიდამ. ხოლო რამაზისშვილი და დავითისშვილნი არიან ავ–გიორგის ძმის დიმიტრისაგან, რომელი არჩინა მეფემან, და არიან მიერითგან აქა. ხოლო იალბუზის კალთათა ქსნის ერისთავი და არა ქვენაფლაველისაგან, არამედ იტყვს ბიბილურობასა. ხოლო არაგვს ერისთავი – და აღვსწერეთცა, ვითარცა არიან, არამედ გუარს სიდამონობას იტყვს. ხოლო მუხრანის ბატონი და გოჩაშვილი, აწ მთავარნი, არამედ გუარი მეფეთა ბაგრატიონთა არიან, ვითარცა აღწერილნი არიან.

გარნა ამათ მთავართა შორის აწინდელთა ჟამთა უწარჩინებულესნი და შემძლებელნი ესენი იყვნენ და გაუყრელნი სახლნი აქუნდათ: პირველი მუხრანის ბატონი, არაგვს ერისთავი, ქსნის ერისთავი, ამილახორი და ყაფლანიშვილი, ზემო ციცისშვილი, ოდეს გაუყრელი იყო, და სომხითის მელიქი. ხოლო აზნაურნი მრავალნი არიან, სიგრძისათვის დავიდუმეთ, ვითარნი ძუელის გუარისანი, ვითარცა აბაზაძე, კორინთელი, მახატელი, არღუთაშვილი, გოგიბაშვილი, ნასიძე,

ლაზნელი. გაანაურებულიშვილნი: ვითარცა რატისშვილი, ქსნის ერისთავის განაყოფი. ვით იხილვების მამულისა, ხოლო აწ დამცირებულნი, ხოლო ზედგინიძე, სააკაძე, ელიოზიშვილი. ამათგან გამთავრებულნი ესრეთ, რომელნიმე ამაღლებულან და რომელნიმე დამდაბლებულან ჟამთა ცვლილებითა ანუ გაყრითა ძმათათა (ვახუშტი. ქართლის ცხოვრება, 1973, გვ. 33–34).

როგორც მკითხველმა ნახა, ვახუშტი ბატონიშვილი უაღრესად საინტერესო ცნობებს გვაწვდის ზოგიერთ გვართა შესახებ. გვკარნახობს თითოეული მათგანის სადაურობასა და მოძრაობა–გადაადგილებას ქვეყნის შიგნით. მიგვანიშნებს, თუ რომელი გვარიდან რომელი შტო–გვარი, განტოტება გაჩნდა. სადაოდ არ ხდის იმას, რომ დღევანდელი ქვემო ქართლის მთავრები ქაჩიბაძეები ყოფილან, საიდანაც შემდგომში გაჩენილა გვარები: ბარათაშვილი, აბაშიშისშვილი, ყაფლანიშვილი, ორბელიანი. ცოტა მოგვიანებით ზურაბისშვილები და იარალაშვილები: მეფეს გაუმთავრებია სააკაძე და მისი მეორე გვარია მოურავისშვილი; ამილახვრები ზედგენიძეები არიან. მაჩაბლების გვარი კი ადრე თაქხელიძე ყოფილა, ხოლო მხარგრძელების წინარე გვარია არღუთაშვილი. ქვენიფნეველ–ბიბილურები ქსნის ერისთავები ყოფილან. ბაგრატიონთა მეფე ავ–გიორგის ძმა დიმიტრის შვილებისაგან მომდინარეობს რამაზაშვილთა და დავითისშვილთა გვარი. ზემოთ დასახელებულ გვართა უმრავლესობა წარმოშობით მესხეთიდან ყოფილან. ადრინდელ მთავართა გვარებში ძირითადად სუფიქსი „ელი" „ძე" და „შვილი", დომინირებს.

ფოტო თამაზ ქიქავასი



„ანანურის ეკლესია" და ციხე მე-17—მე-18სს

# ႫႧႠႥႰႧႠႧႥႨႱ ႩႠႾႤႧႨႱႠႧႠ



ႨႭႠႬႤ ႣႠ ႿႳႠႬႸႤႰႨႱ გარდაცვალების შემდეგ განდგა გრიგოლი მთავარი და დაიპყრა კახეთი და გარდაბანი. ამის განდგომილებიდან მოყოლებული, როგორც გვაუწყებს ვახუშტი ბატონიშვილი, – დავით აღმაშენებლის ერთმეფობამდე კახეთს მთავარნი ისხდნენ. ჰერეთი დაიპყრეს ბრმა ადარნასეს ძმისშვილებმა, იწოდეს მეფედ და დასხეს ერისთავი მაჭისა.

ჯუანშერ ერისთავთ-ერისთავის გარდაცვალების შემდეგ განდგა გრიგოლი მთავარი, ამან დაიპყრო კახეთი, კუხეთი და გარდაბანი. იწოდა კახთა მთავრად ანუ ქორიკოზად. გრიგოლი მთავრობდა ლ-ზ წელთა.

გრიგოლის შემდეგ კახეთის მთავრებად ჩანან: ვაჩე ქობულისძე, სამოელ დონაური, გაბრიელ დონაური, ფადალა არევმანელი (ბრძენი, გონიერი და საქმისა მეცნიერი), კვირიკე (კვრიკე) ქორიკოზი, ფადალა (მეორე), კვირიკის ძე, კვირიკე ძე ფადალასი, შემდგომად კვირიკესა დაჯდა ძე მისი დავით ქორიკოზად (მთავრად), ხოლო შემდგომად დავითისა დაჯდა ძე მისი კვრიკე ქორიკოზად. ამან სრულყო სასახლე თიანეთის ხელოვანი, ამანვე ჰყო თელავი სასახლედ და ტახტად კახეთისა და ჰერეთისა. განმდიდრდა და მოითქმა ყოვლითურთ და ამისთვის ეწოდა დიდი კვირიკე. ვინაიდან კვირიკეს ძე არ ჰყავდა, კვირიკეს სიკვდილის შემდეგ დაჯდა მისი დისწული გაკი, გაკის სიკვდილის შემდეგ დაჯდა ძე გაკისა აღსართან მეფედ კახთა, დაჯდა შემდგომად აღსართანისა ძე ამისა კახთა მეფედ კვირიკე. „ესე კვრიკე იყო მხნე, ახოვანი და მეფობისა ღირსი და ჭეშმარიტი ქრისტიანე“ გამეფდა ძე კვირიკესი აღსართან. ეს იყო უგვანი, ცუნდრუკი, ხელადმქცევი და შეუმგზავსი მეფობისა. დავით აღმაშენებელმან დაიპყრა სრულიად ყოველი ჰერეთი და კახეთი და ამიერ ჟამითგან იყო ერთმეფობასა შინა.

# ცხოვრება სამცხე - კლარჯეთისა




ოძრახოს და ჯავახეთს მართავდნენ მცხეთოსის ძენი, მათი ნათესავები, ძენი და ახლობელნი განაგებდნენ ქვეყანას. ასე გრძელდებოდა ფარნაოზ მეფემდე. „ხოლო გამეფდა რა ფარნაოზ და დაიპყრა ყოველი საქართველო, ამან ფარნაოზ დასხნა ერისთავნი თვსნი: ერთი ოძრახოსს და მისცა წილი ოძრახოსი, მეორე წუნას და მისცა წილი ჯავახოსი, მესამე კლარჯეთს და მისცა სრულიად რომელი თვით დაიპყრა."

ხოლო შემდგომად გორგასალმა თავისი მკლავით დაიპყრო და სიკვდილის შემდეგ თავის ძეებს მისცა სამნი ესე საერისთავონი ლევანს და მირდატს, ბერძენის კეისრის ქალის ნაშობთა. ტაოს ერისთავი გახდა მირდატის დის ქმარი გურამი. გურამის შემდეგ მთავარი ხდება (გურამ მეორე), გურამ კურაპალატს დარჩა ერთი ძე ვარზაბაკური, ამან ვარზაბაკურმა დაიპყრა ნაქონები მამისა თვისისა და შემდგომად მეფემან არჩილ მისცა ვარზაბაკურს გარდაბანი და ამან მოაქცია სარწმუნოებასა ზედა ჭეშმარიტსა გარდაბანელნი.

– შემდგომად მოკუდა ვარზაბაკური და დაუტევა ძე მხოლოდ ნერსე და ნერსემ დაიპყრა ყოველი ესე ქუეყანა და ერისთავთ-ერისთაობდა მორჩილებასა შინა ბერძენთასა. შემდგომ მთავრობდნენ: ადარნასე, აშოტი, გურგენი, ბაგრატი (ძე აშოტისა), ადარნასე II, გურამ მამფალი, გურგენ II, ადარნასე ერისთავთ-ერისთავი, გურგენ ერისთავთ-ერისთავი, დავით ერისთავთ-ერისთავი, სუმბატ არტანუჯელი, დავითი...

სამცხე-კლარჯეთში ჩნდება პირველი სათაბაგო. მისი ფუძემდებელი გახდა ყუარყუარე. შემდგომად მისა დაჯდა ძე ყუარყუარესი ათაბაგად ბადურ. შემდგომად ბადურისა დაჯდა ათაბაგად მანუჩარ, ძე ყუარყუარისავე და ძმა ბადურისა. და დაჯდა შემდგომად მანუჩარისა ათაბაგად ძე ალბუღა, ამან დაიპყრო სრულიად სათაბაგო. შემდგომ ათაბაგადაა ყუარყუარე II, შემდგომ მისსა დაჯდა ათაბაგად ძე ყუარყუარესი ქაიხოსრო, ქაიხოსროს შემდგომად დაჯდა ძე ამისი ათაბაგად დიდი მზეჭაბუკი, იგი შესცვალა მისმა ძემ ყუარყუარემ. ყუარყუარე შეიპყრეს და მოართვეს ბაგრატს. „ხოლო ბაგრატ პატიმარ-ჰყო ყუარყუარე იმერეთს და მოკუდა პატიმრობასა შინა ყუარყუარე ათაბაგი" (ვახუშტი, გვ. 709-713).

– და ბაგრატ მეფემან დაიპყრა სამცხე თავისად და იმყოფებოდა სამცხეს...

# ერისთავი

ერისთავი (ძველად ქართულში „ერი" – ხალხი, ჯარი და თავი" – უფროსი, გამგებელი), სახელმწიფო ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის გამგებელი ძველ საქართველოში. ერისთაობა გვაროვნული წყობილების წიაღში შექმნილი ინსტიტუტი ჩანს.

დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო სისტემაში ერისთაობის ინსტიტუტი, როგორც ჩანს, დამკვიდრდა X საუკუნიდან აღმოსავლეთ საქართველოს ანალოგიით. ამ დროიდან ვხვდებით აფხაზთა მეფის მოხელე ერისთავებს, მის მიერ აღმოსავლეთ საქართველოში დაქვემდებარებულ სხვადასხვა კუთხის გამგებლებად. წყაროები X საუკუნეზე ადრეც იხსენიებენ ლიხთ-იმერეთში ერისთავებს: ლეონტი მროველი – ეგრისის ერისთავს, ხოლო ჯუანშერი „მატიანე ქართლისაი" და ვახუშტი ბაგრატიონი – აფხაზთა ერისთავს. წყაროების ეს ცნობები, როგორც ჩანს, არ უნდა იყოს ზუსტი (იხ. ქსე, ტ. 4, გვ. 192).

თავდაპირველად ერისთავი ქართლის მეფის მოხელე იყო. თანდათანობით ერისთავებმა ეს მოხელეობა სამემკვიდრეოდ გაიხადეს, რაშიც მათ ხელი შეუწყო უცხო ძალამ. ლეონტი მროველისა და ჯუანშერის ცნობით, ეს მოხდა VI ს-ში, როდესაც ერისთავებმა მიიღეს მკვიდრობის სიგელები სპარსთა და ბერძენთა (ბიზანტიის) მეფეებისგან.

ქართლში მეფობის გაუქმების (523 წ.) შემდეგ, VI ს-ის II ნახევრიდან IX ს-ის დასაწყისამდე, ქართლის სახელმწიფოს გამგებლად გვევლინება ქართლის ერისთავი, ანუ ერისმთავარი – მეთაური ახალი აღმოსავლურ-ქართული ფეოდალური სახელმწიფოსი.

IX ს-ში აღმოსავლეთ საქართველოში, თრიალეთში, წარმოიქმნა კლდეკარის საფეოდალო, რომლის დამფუძნებელი იყო არგვეთის დიდი ფეოდალი ლიპარიტ I ბაღვაში. XV ს-ის 80-იანი წლებიდან ბაღვაშები ერისთავებად იწოდებიან, ხოლო XI ს-ში – ერისთავთ-ერისთავებად.

X ს-ში ქართლის ერისთავებად იწოდებიან აფხაზთა მეფის მოხელე-გამგებლები შიდა ქართლში. მათი რეზიდენციაა უფლის ციხე. ქართლის ერისთავებად აფხაზთა მეფე ნიშნავს ჯერ ადგილობრივი დიდი ფეოდალების სახლის ტბელების წარმომადგენელს, ხოლო შემდეგ (როდესაც ტბელები გაძლიერდნენ და მოისურვეს ქართლის განცალკევება) – უფლისწულებს (X ს-ში ქართლის ერისთავებად იყვნენ აფხაზთა მეფის გიორგის ძენი: ჯერ კონსტანტინე, ხოლო შემდეგ – ლეონი). X ს-ის 70-იან წლებში აფხაზთა მეფის ერისთავად ქართლში ჩანს დასავლეთ საქართველოს დიდი ფეოდალი იოანე მარუშისძე. XI ს-ში, ბაგრატ IV-ის დროს ქართლის ერისთავად არის იოანე აბაზასძე (აბაზასძეთა გვარი ტბელების განშტოება იყო). XII ს-ში ქართლის ერისთაობა მიიღეს

ორბელებმა. ხოლო ორბელთა აჯანყების შემდეგ (1177 წ.) გიორგი III-მ ქართლის ერისთაობა გადასცა სურამელთა საგვარეულოს, რომელიც ამ ხელის მფლობელად ჩანს XIV საუკუნის დასაწყისამდე. ქართლის ერისთავის სახელი წყაროებში ჩანს XV ს-მდე.

X ს-ის II ნახევარში აფხაზთა მეფეს ერისთავები ჰყავდა არა მარტო შიდა ქართლში, არამედ – ჯავახეთშიც: კუმურდოს 964 წლის წარწერაში იხსენიება აფხაზთა მეფის ლეონის ერისთავი ზვიადი (როგორც ჩანს, მარუშიან მარუშისძეთა საგვარეულოს წარმომადგენელი).

XI-XV ს.ს-ში (გაერთიანებული საქართველოს სამეფოს არსებობის ხანაში), ერისთავები საქართველოს მეფის მოხელეები იყვნენ: განაგებდნენ სახელმწიფო-ადმინისტრაციულ ერთეულებს. საქართველოს სამეფოს მიწები დაყოფილი იყო სამ ნაწილად: სახელმწიფო მიწებს განაგებდნენ ერისთავები, აგრეთვე, მათდამი დაქვემდებარებული ხელისუფლები (საერისთავოზე უფრო მცირე ადმინისტრაციული ერთეულების – ხევების გამგებლები) და ციხისთავები; სამეფო მიწებს (სამეფო დომენს) განაგებდნენ მოურავები და მემამულეები. ყოფილი ქართველთა სამეფოს ტერიტორიაც (სამხრეთ-დასავლეთ საქართველო) ამ პერიოდში სამად გაიყო: ნაწილი დარჩა სამეფო დომენად, ნაწილი სამამულედ გადაეცა ფეოდალებს, ხოლო ნაწილზე შეიქმნა ახალი საერისთავოები. XI ს-ში წყაროების მიხედვით აქ ჩანან შავშეთის, არტანუჯის, ყუელის, თუხარისის და კალმახის ერისთავები. საქართველოს ფეოდალური მონარქიის წარმოქმნის შემდეგ დიდმა ერისთავებმა, რომლებიც აქამდე, ფაქტობრივად, დამოუკიდებელი გამგებლები იყვნენ, მოისურვეს ძველი პრივილეგიების შენარჩუნება და გააჩაღეს ბრძოლა მეფის ცენტრალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა დავით აღმაშენებლის დროს მეფის სასარგებლოდ წარიმართა. დავითმა ძლიერ შეასუსტა ერისთაობის ინსტიტუტი, დაამარცხა და გაანადგურა დიდი ერისთავები (ბაღვაშები, აბულეთისძეები...), შექმნა ცენტრალური საუწყებო გამგებლობის სისტემა, რომელსაც სათავეში ჩაუყენა მეფის თანაშემწე – ვაზირი. ამიერიდან საქართველოს ფეოდალურ მონარქიაში ადგილობრივი გამგებლობის სისტემას დაუპირისპირდა ცენტრალური საუწყებო გამგებლობა, საერისთავოებს – სავაზირო-საუხუცესოები.

საქართველოს პოლიტიკური დაშლილობის ხანაში (XV-XVIII ს.ს.) ზოგიერთმა მთავარმა თავის სამთავროში შექმნა ახალი საერისთავოები, რომელთა ერისთავები იყვნენ მთავრის მოხელე-გამგებლები (მაგ. გურიის სამთავროში).

XII ს-ის 80-იან წლებში სვანთა ერისთავად იხსენიება ბარამ ვარდანისძე. ამავე საუკუნის მეორე ნახევარში სვანთა ერისთავია ვარდანი:

თვით ერისთავების გვარის გაჩენის თარიღად 1028 წელს ასახელებენ. მათ სათავე დაუდო თორნიკე ერისთავმა (არის ვარაუდი, რომ თორნიკე გვარად

ხურსიძე იყო). იგი შემდგომში რამდენიმე ხაზად გაიყო.

გაჩნდა თავად არაგვისა და თავად ქსნის ერისთავთა გვარი.

რუსეთის მთავრობამ 1828 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილებით, თავადობის ხარისხში დაამტკიცა 1) პრაპორშჩიკი დავით რაფიელის-ძე და მისი ვაჟი რაფიელი და 2) გიორგი გიორგის-ძე ერისთავი;

თავად ქსნის ერისთავების გვარი ერთვის 1783 წლის 24 ივლისის ხელმოწერილ ტრაქტატს, ასევე ისინი შეტანილი არიან 1850 წლის 6 დეკემბერს შედგენილ „ხავერდოვან წიგნში" (ინახება სანკტ-პეტერბურგში). იქვე შეტანილნი არიან თავად ერისთვისშვილის 18 საასნაურო სახლი (არაგვის თავადები სიაში არ შეიტანეს).

1859 წლის 6 დეკემბერს შედგენილ საგვარტომო წიგნში შეტანილნი არიან რაჭისა და გურიის ერისთავთა თავადური გვარის წარმომადგენლები.

თავად ერისთავების გენეალოგია

(ერთ-ერთი შტო)

თავადი დათუნა ერისთავი

ოთარი იასონი გიორგი

თეიმურაზი რევაზი

ზურაბი სპირიდონი ბეჟანი

პაპუნა ბეჟანი

ზაალი რაფაელი გიორგი

ლოიკა ივანე მაიორი დავითი გიორგი

დავითი ნუგზარი რაფაელი

სტეფანე თავადი მაიორი ერისთავი

რუსეთის მთავრობამ თავადებად ცნო და 1850 წლის 6 დეკემბერს საგვარტომო წიგნში შეიტანა: **ერისთავი. პრაპორშჩიკი სიმონ ივანეს ძე.** მეუღლე მისი **მართა.** ვაჟიშვილი კონსტანტინე. მე-14-ე კლასის მოხელე დავით ივანეს ძე. მეუღლე მისი **სალომე,** ვაჟიშვილი იოსები, ქალიშვილი ელისაბედი; **ივანე ივანეს ძე,** მეუღლე მისი **ქეთევანი.** ვაჟიშვილი ალექსანდრე. ქალიშვილები: ანა, ეკატერინე; **ლუარსაბ გრიგოლის ძე,** მეუღლე მისი **მატრონა.** ვაჟიშვილი გრიგოლი, ქალიშვილი მაგდანა, ლუარსაბის ძმა მიხეილი. მათი და მარიამი, დედა ელენე; **მირმანოზ დავითის ძე,** ძმა სპანდიერი. და სალომე. დედა ელისაბედი; **სიმონ ქაიხოსროს ძე,** დედა იელიტა; **მაიორ გიორგი ბარძიმის ძის ქვრივი, ალათია.** ვაჟიშვილი თევდორე. ქალიშვილები: ანა, ტასო, ევა, ფუმია; **ვახტანგ პეტრეს ძე,** მეუღლე მისი თამარი. ვაჟიშვილები: პეტრე, პრაპორშჩიკი ნიკოლოზი, როსტომი, კონსტანტინე; პეტრეს მეუღლე ეკატერინე. ნიკოლოზის მეუღლე მაიკო; **მაიორი როსტომ გრიგოლის ძე,** მეუღლე მისი **მზეხათუნა; პოდპორუჩიკი გრიგოლ მეთოდეს ძე.** მეუღლე მისი **მაია.** ვაჟიშვილები: მეთოდე, ასლანი. ქალიშვილები: ეგიპტა, სარა; **პრაპორშჩიკი**

**ივანე ანტონის ძე**. მეუღლე მისი **მაია**. ვაჟიშვილი ალექსანდრე. ქალიშვილი ევდოკია. იოანეს ძმა პოდპორუჩიკი დიმიტრი. მეუღლე სოფიო; **პრაპორშჩიკი დავით ლევანის ძე**, მეუღლე მისი **ელისაბედი**. ვაჟიშვილები: ნესტორი, ბარინი. ქალიშვილები: მაკრინე, რახელი. დავითის ძმა პოდპორუჩიკი გრიგოლი. მისი მეუღლე ელისაბედი. ვაჟიშვილები: ვარლამი, იორამი. ქალიშვილი გულჩინა, დედა მარიამი; **გიორგი გიორგის ძე** მეუღლე მისი **ელისაბედი**. ვაჟიშვილები: პრაპორშჩიკი ქაიხოსრო, ლევანი, როსტომი. ქალიშვილები: მართა, ეკა. ქაიხოსროს მეუღლე ქეთევანი; **პრაპორშჩიკი ოტია გედევანის ძე**, მეუღლე მისი **ხვარაშანი**. ვაჟიშვილი იოანე; **გიორგი ივანეს ძე**, მეუღლე მისი **ეკატერინე**. ვაჟიშვილი ლუარსაბი. ქალიშვილები: მარუა, ელისაბედი, მაია. გიორგის დედა ხვარამზა; **შოშიტა ივანეს ძის ქვრივი, ევდოკია**. ვაჟიშვილები: გედევანი, კონსტანტინე, ვლადიმერი. ქალიშვილები: კესარია, მაია."

თავადთა სიაში შეტანილი არიან აგრეთვე ერისთავები: **ინფანტერიის გენერალი, სენატორი გიორგი ევსევის ძე**, მისი ვაჟი, მაიორი ზაქარია, ქალიშვილი მარიამი, ზაქარიას მეუღლე ელენე; **მაიორი თორნიკე ევსევის ძე**, პორუჩიკი ელიზბარ შანშეს ძე. მეუღლე მისი ქეთევანი, ძმა მისი პორუჩიკი დიმიტრი, დედინაცვალი მარიამი; **პორუჩიკი ალექსანდრე შანშეს ძე**, მეუღლე მისი **მართა**, ქალიშვილი მარიამი, ძმის იასეს ქვრივი ნინო; **შტაბს-კაპიტანი გრიგოლ შანშეს ძე**, მეუღლე მისი **ალექსანდრა**, ვაჟიშვილები: ევგენი, ლევანი; **პრაპორშჩიკი როსტომ დავითის ძე**, მეუღლე მისი **ბარბარე**; **შტაბს-კაპიტანი გიორგი დავითის ძე**, მეუღლე მისი **ელისაბედი**, დედა მარიამი; **პრაპორშჩიკი ივანე დავითის ძე**; **შალვას ქვრივი თამარი**; **პრაპორშჩიკი ევსტაფი მირმანოზის ძე**, მეუღლე მისი **ეკატერინე**, ვაჟიშვილები: იოანე, ზაქარია, ალექსანდრე, დავითი, ქალიშვილები: ნინო, ქეთევანი, ანა, ელისაბედი; **იაკობ მირმანოზის ძე**, მეუღლე მისი **დარო**, ვაჟიშვილები: მიხეილი, ელიზბარი; **დავით ივანეს ძე**; **ტიტულოვანი მრჩეველი შალვა რევაზის ძე**, მეუღლე მისი **ეკატერინე**, ვაჟი რევაზი, ქალიშვილები: ელენე, სოფიო; **პრაპორშჩიკი ბიძინა რევაზის ძე**, მეუღლე მისი **თამარი**, ვაჟიშვილები: პრაპორშჩიკი მიხეილი, პრაპორშჩიკი ლუარსაბი, ნიკოლოზი, იოსები, კონსტანტინე, იასონი. ქალიშვილები: დარია, სოფიო, ბარბარე; **პოლკოვნიკი გიორგი რევაზის ძე**, მეუღლე მისი **ანა**, ვაჟი ზაქარია; **14-ე კლასის მოხელე ივანე ელიზბარის ძე**, მეუღლე მისი **თინათინი**. ვაჟიშვილები: გიორგი, გრიგოლი, ნიკოლოზი. ქალიშვილები: ეკატერინე, ანა, ანასტასია, მარიამი, ბარბარე, დარია, ოლია; **შტაბს-კაპიტანი ალექსანდრე ზურაბის ძე**. მეუღლე მისი **მანანა**. ალექსანდრეს ძეები: პრაპორშჩიკი სოლომონი, ლუარსაბი, დავითი, შანშე. სოლომონის მეუღლე ეკატერინე; დიმიტრი ელიზბარის ძე. ვაჟიშვილები: პოდპორუჩიკი ნიკოლოზი, გიორგი, კონსტანტინე, ელიზბარი. ქალიშვილი ქეთევანი; **პრაპორშჩიკი ლევან ლუარსაბის ძე**. მეუღლე მისი **თამარი**. ვაჟიშვილები: ლუარსაბი, ალექსანდრე,

მიხეილი, ნიკოლოზი, ივანე. ქალიშვილები: დარეჯანი, ელისაბედი; **პრაპორშჩიკი რევაზ ლუარსაბის ძე**, მეუღლე მისი **ეკატერინე**, ქალიშვილი ელენე; პოდპორუჩიკი დავით ლუარსაბის ძე, მეუღლე მისი სალომე, ვაჟიშვილი შალვა."

ქართულ ენციკლოპედიაში შეტანილი არიან:



**ერისთავი გიორგი დავითის ძე** [1813, სოფ. ოძისი, ახლანდ. დუშეთის რ-ნი, – 9 (22). IX. 1864, გორი; დაკრძალულია იკორთის მონასტერში (სოფ. ზემო იკორთა, შიდა ქართლი)], ქართველი დრამატურგი, პოეტი, თეატრის მოღვაწე. სწავლობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში (1824–25), შემდეგ მცირე ხნით მოსკოვში, კერძო პანსიონში. 1830 წლიდან მონაწილეობდა მეფის რუსეთის საწინააღმდეგო შეთქმულებაში, რისთვისაც 1832 წლის დეკემბერში დააპატიმრეს. 1834 წელს გადაასახლეს ქ. ვილნოში, სადაც ქვეით დივიზიაში გაამწესეს. ერისთავმა შეისწავლა პოლონური ენა და ლიტერატურა, დაუახლოვდა მოწინავე პოლონურ ოჯახებს. 1838 წელს მას ნება დართეს, დროებით ჩამოსულიყო საქართველოში, სადაც საბოლოოდ 1842 წელს დაბრუნდა. ერთხანს თბილისში სახელმწიფო სამსახურში იყო, 1854 წლიდან კი სოფ. ხიდისთავში დასახლდა.

ერისთავის პირველი გამოქვეყნებული ნაწარმოებია პოემა „ოსური მოთხრობა" (ნაწ. 1, „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი", 1832), რომელიც სრული სახით და ახალი სათაურით „ზარე და ყანიმათ" 1853 წელს ჟურნალ „ცისკარში" დაიბეჭდა. ერისთავის პოეზიაში მნიშვნელოვანია ეროვნულ-პატრიოტული („თ. სვიმონ მაჩაბელს", 1833; „უცხო ქვეყნის ჭაბუკს", 1835; „მტკვრისადმი", „ყაბახისადმი", 1836; „თ. ნიკოლოზ მელიტონის ძის ბარათოვის გარდაცვალებაზედ") და სატრფიალო („თეოდოსია მირეცკას", 1840; „მოგონება, 1844; „გულს", 1845; „კნიაჟნა დარია ბეგთაბეგოვისას", 1849) მოტივები. სატირულ-იუმორისტულ ლექსებში ერისთავი კიცხავს ე.წ. მაღალი საზოგადოების ზნეობრივ გადაგვარებას („დედა და ქალი", 1838; „ფიქრი ყმაწვილი ქალისა", 1839; "– „ერთი კაცი წვა სნეული", 1854).

ერისთავის შემოქმედების უმნიშვნელოვანესი ნაწილია დრამატული თხზულებები. მან ერთ-ერთმა პირველმა დაუდო სათავე ქართულ კრიტიკულ რეალიზმს, მტკიცე საფუძველი ჩაუყარა კომედიოგრაფიას, დააარსა ქართული პროფესიული თეატრი, რომელსაც 1850–54 წლებში ხელმძღვანელობდა. იყო უდიდესი კულტურული წამოწყების ინიციატორი: პირველი ქართული სალიტერატუ-

რო ჟურნალის „ცისკრის“ დამაარსებელი და რედაქტორი (1852–53 წლებში).

ერისთავის პირველი კომედია, დრამატული პოემა „შეშლილი“ (1839 წ.) ეხება პოეტის დანიშნულებას, გადმოსცემს მის ხვედრს თანამედროვე საზოგადოებაში, მაღალი წრის ზნეობრივ დაცემას და განათლებული ახალგაზრდობის უნაყოფო მისწრაფებებს. ერისთავმა-დრამატურგმა, თანადროულობის პირუთვნელმა მემატიანემ, გვიჩვენა საქართველოში სავაჭრო კაპიტალის განვითარებით გამოწვეული ფეოდალურ-ნატურალური მეურნეობის ბუნებრივი რღვევის შედეგი – დაცემის გზაზე დამდგარი თავად-აზნაურობის სრული უნიათობა, გონებრივი სიღატაკე და ზნეობრივი გადაგვარება. ერისთავის კომედიებში დახატული ძველი თაობის წარმომადგენლები ამაოდ ებღაუჭებიან წარსულ დიდებას (ამირინდო და ონოფრე – „დავა“, 1840; ანდუყაფარ, პავლე დიდებულიძეები – „გაყრა“, 1849). რუსეთში სწავლამიღებული ახალი თაობა კი სრულიად მოუმზადებელია პრაქტიკული საქმიანობისათვის. ეს ახალგაზრდები უსუსური მეოცნებენი არიან და ადვილად თმობენ თავიანთ მრწამსს (ბეგლარი და მიხეილი – „დავა“, ივანე დიდებულიძე – „გაყრა“). ერისთავმა წარმოაჩინა ბატონყმური წყობილების მანკიერებანი, ქართულ სინამდვილეში პირველად ასახა სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენლები, მათი სიძუნწე, მომხვეჭელობა და მექრთამეობა (მიკირტუმ ტრდატოვი „გაყრა“, კარაპეტ დაბალოვი – „ძუნწი“, 1850), მეფის რუსეთის ბიუროკრატიული აპარატის მოხელეთა ანგარება და ბიწიერება (სარქის კუმუხტოვი – „დავა“, რამაზი – „გაყრა“). ერისთავის პიესების ცხოვრებისეულმა სიმართლემ, სოციალურ-პოლიტიკურმა სიმახვილემ და აქტუალობამ სრულიად ახალი ეტაპი შექმნა ქართულ ლიტერატურაში. ერისთავის სკოლას ეკუთვნიან ცნობილი დრამატურგები: ზ. ანტონოვი, გ. დევანაძე, გ. ჯაფარიძე და სხვ.

ერისთავს თარგმნილი და გადმოკეთებული პიესებიც აქვს („უჩინმაჩინის ქუდი“, „თილისმის ხანი“, „ყვარყვარე ათაბაგი“, ა. გრიბოედოვის „უბედური ჭკუისაგან“). მან დრამად გადააკეთა „ვეფხისტყაოსანი“, ხოლო კ. ლაფჩინსკისთან ერთად პოემა პოლონურ ენაზე პროზაულად თარგმნა. მანვე ქართულ ენაზე გადმოთარგმნა ა. მიცკევიჩის, ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, ე. ჰიუგოს, პ. ბერანჟეს და სხვათა ლექსები.

1862 წელს ერისთავმა იმოგზაურა ევროპაში. მოგზაურობის შთაბეჭდილებანი გადმოსცა დაუმთავრებელ დღიურებში „ჩემი მოგზაურობა ევროპაში 1862 წელსა 13 ივნისიდგან“.

**ერისთავი გიორგი იასეს ძე** (1759–1864 წ.წ.). რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (1826 წ.). 1802 წლიდან მუშკეტერთა ლეგიონის პოდპოლკოვნიკი. 1803 წელს მონაწილეობდა ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში. რუსეთ-ირანის ომის (1826–28 წ.წ.) წინ კავკასიაში საზღვრისპირა ჯარებს მეთაურობდა, ხოლო ომის დროს ირანელებზე რამდენიმე გამარჯვება მოიპოვა და აიღო ქ. თავრიზი. მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის (1827–29 წ.წ.) ომში. ამ ომებში გამოჩენილი

მამაცობისათვის ერისთავმა დაიმკვიდრა რუსეთის არმიის მამაცი გენერლის სახელი.

**ერისთავი დავით გიორგის ძე** [28. VIII (9.IX). 1847 წ. სოფ. ხიდისთავი, ახლანდ. გორის რ-ნი, – 11 (23). X. 1890. თბილისი]. მწერალი. 1867–71 წლებში სწავლობდა ჯერ ოდესის უნივერსიტეტში, შემდეგ პეტერბურგის სამედიცინო აკადემიაში, რომელიც არ დაუმთავრებია. 1871 წლიდან თანამშრომლობდა „დროებაში", „ტიფლისსკი ვესტნიკსა" და „ფალანგაში". 1882 წლიდან გაზეთ „კავკაზს" რედაქტორობდა. სალიტერატურო მოღვაწეობა ლექსებითა და ფელეტონებით დაიწყო. იყო „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენი კომისიის წევრი (1882). ქართული დრამატული საზოგადოების ერთ-ერთი ინიციატორი. ერისთავმა თარგმნა და გადმოაკეთა მრავალი დრამატული ნაწარმოები. განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა მისმა ისტორიულმა პიესამ „სამშობლო" (1881), რომელსაც საფუძვლად დაედო ფრანგი დრამატურგის ვ. სარდუს ამავე სახელწოდების დრამა. სარდუს სიუჟეტი ერისთავმა ბრწყინვალედ მიუსადაგა ქართულ სინამდვილეს, პიესას ეროვნული კოლორიტი შესძინა და წინაპართაგან სამშობლოსათვის თავდადება მაგალითად დაუსახა იმდროინდელ ქართველობას. „სამშობლოს" წარმოდგენამ (1882 წ. 20 იანვარს) ეროვნული მანიფესტაციის ხასიათი მიიღო.



ერისთავს ეკუთვნის აგრეთვე გადმოკეთებული პიესები „მეორედ გაყმაწვილება", „სადაო მფლობელობა", „დროებითი სიყვარული", „დავიდარაბა ანუ არლანი და ლეკვი", „საძაგელი" და სხვ.

**ერისთავი დიმიტრი ვახტანგის ძე** (დ. 18. VI. 1931, თბილისი), გრაფიკოსი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი (1967). დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია (1956). ერისთავის მიერ შექმნილი ჟანრული კომპოზიციები და პორტრეტები გამოირჩევა ზუსტი და დახვეწილი ნახატით, ხასიათის გადმოცემის სიმახვილით, რიტმული კომპოზიციით. მთავარი ნამუშევრებია: „კლასობანა" (1959, საქართველოს ხელოვნების მუზეუმი), „იების გამყიდველი" (1964, კერძო კუთვნილება, თბილისი), „გაზაფხული" (1965, ავტორის კუთვნილება), „ჩვენი ახალგაზრდობა" (1968, საქართველოს სურათების გალერეა). პორტრეტები: „მანანა აბაზაძე" (1963, ავტორის კუთვნილება), „მარინე მაჭავარიანი" 1973, კერძო კუთვნილება, თბილისი). გააფორმა ფილმები: „გიორგობისთვე" (1966), „არაჩვეულებრივი გამოფენა" (1968), „იყო შაშვი მგალობელი" (1970), „გზა მშვიდობისა,

ჯაყო" (1973) და სხვ.

**ერისთავი, სიდამონ-ერისთავი, დიმიტრი იოსების ძე** (20. III. 1903, თბილისი, – 18. VIII. 1971, იქვე). ქიმიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1961), პროფესორი (1946), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1950). დაამთავრა თსუ (1928). იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე (1930–50 წ.წ.), საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ანალიზური ქიმიის კათედრის გამგე (1944–71), ამავე ინსტიტუტის პრორექტორი სამეცნიერო დარგში (1958–71 წ.წ.). დიდია ერისთავის დამსახურება საქართველოში ანალიზურის ქიმიის განვითარების საქმეში. მან შექმნა იშვიათი და გაბნეული ელემენტების განსაზღვრის მთელი რიგი ახალი მეთოდები. დაამუშავა იშვიათ და გარდამავალ ელემენტთა დაყოფის ახალი ქრომატოგრაფიული მეთოდები. გამოიკვლია მინერალური წყლების ქიმიური შედგენილობა. ავტორია ანალიზური ქიმიის სახელმძღვანელოების და მონოგრაფიებისა.

ერისთავი (ერისთვისშვილი), ელიზბარ გიორგის ძე (1738–1813 წ.წ.), პოეტი და პოლიტიკური მოღვაწე. ერეკლე II-ის პოლიტიკის წინააღმდეგი იყო, რისთვისაც გააძევეს ქართლიდან. ბესიკთან ერთად დიდი გავლენა ჰქონდა იმერეთის სამეფო კარზე. სოლომონ II-ის დროს იძულებული გახდა, იმერეთი დაეტოვებინა. ერისთავი ბესიკის სკოლის წარმომადგენელია. მის ლექსებში გამოხატულია სოციალური და პოლიტიკური პრივილეგიების დაკარგვით გამოწვეული სევდა. მისი პოეტური მემკვიდრეობა დაცულია ხელნაწერების სახით.

**ერისთავი ელიზბარ შანშეს ძე** (1810–1870 წ.წ., გორი), 1832 წლის შეთქმულების აქტიური მონაწილე. შანშე ქსნის ერისთავის შვილი. 1830 წელს დაამთავრა საარტილერიო სკოლა. იქ იგი დიმიტრი ბატონიშვილის ხშირი სტუმარი იყო. 1830–32 წლებში ერისთავი ა. ორბელიანთან და ს. დოდაშვილთან ერთად წარმართავდა ფარული საზოგადოების მთელ საქმიანობას. მისი უშუალო მონაწილეობით შედგა აჯანყების გეგმა („პირველი ღამის განკარგულება"). შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, რომელიც შემდეგ ჰელსინგფორსში (ფინეთი) გადასახლებით შეუცვალეს, სადაც 11 წელი დაჰყო. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ერისთავი მონაწილეობდა ქვეყნის კულტურულ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. ერისთავი შედიოდა იმ ჯგუფში, რომელიც მიზნად ისახავდა ჟურნალისტთა საზოგადოების დაარსებასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალის „სინათლის" გამოცემას. XIX ს-ის 40-იან წლებში ერისთავმა გორის მაზრის სოფელ ღვარებში ააგო მინის ქარხანა, სადაც ასამდე კაცი მუშაობდა.

**ერისთავი თამარ ლევანის ასული** (დ. 30. IV. 1932, თბილისი), პოეტი, მთარგმნელი. დაამთავრა თსუ-ის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი (1956). პირველი ლექსები გამოაქვეყნა 1954 წელს, პირველი

წიგნი – რ. ბერნსის ლექსების თარგმანი – 1959 წელს. 1964 წელს გამოსცა ბერნსის „ლირიკა“. ერისთავი ავტორია პოეტური კრებულებისა „იარე მზეზე“ (1965) და „ლექსები“ (1975). მისი ლექსები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, უზბეკურ ენებზე. ერისთავმა თარგმნა აგრეთვე შექსპირის, ბაირონის, ჟ. პრევერის, მ. ლერმონტოვის, ნ. ტიხონოვის და სხვათა ლექსები.

**ერისთავი კონსტანტინე დავითის ძე** [22.I (2. II). 1889 წ. ქუთაისის მაზრის სოფ. სალომინაო, ახლანდ. სოფ. კიროვი, ვანის რ-ნი, – 12. III. 1975, თბილისი]. ქირურგი და საზოგადო მოღვაწე. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1926), პროფესორი (1929), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1941), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1950). 1914 წელს დაამთავრა იურიევის (ახლანდ. ტარტუ) უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. I მსოფლიო ომის დროს მოქმედ არმიაში იყო. 1981 წლიდან მუშაობდა საქართველოში. 1928–41 წლებში (1931 წლამდე თსუ-ში) განაგებდა ზოგადი ქირურგიის, 1941–50 წლებში – საფაკულტეტო ქირურგიის, ხოლო 1949–60 წლებში ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრებს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში. 1938–41 წლებში იყო თბილისის რკინიგზის საავადმყოფოს უფროსი, 1941–50 წლებში – თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორი, ერთდროულად 1948–50 წლებში იყო საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სისხლის გადასხმის ინსტიტუტის დირექტორი, 1950–74 წლებში კი ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორი. 1951–55 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიისა და მედიცინის განყოფილებას, 1957–72 წლებში იყო ჯანდაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. ერისთავმა დანერგა საქართველოში გულის, სისხლის ძარღვების, ფილტვების, საყლაპავი მილის, თავის ტვინის და სხვ. ოპერაციები. იგი ითვლება ჩვენში სისხლის გადასხმის, სინთეზური მასალის გამოყენებისა და გაუტკივარების ერთ-ერთ პიონერად; დიდი დამსახურება მიუძღვის აგრეთვე ტრავმატოლოგიისა და ონკოლოგიის განვითარების საქმეში. ერისთავი იკვლევდა ინფიცირებული ჭრილობის, ჩირქოვანი პლევრიტის, ღვიძლის ექინოკოკის, წყლულოვანი დაავადების, სანაღვლე გზებისა და სხვა ქირურგიული მკურნალობის მეთოდებს. თანამშრომლებთან ერთად დაამუშავა სისხლძარღვთა ტრანსპლანტაციის, ინდუცირებული სიმსივნის განვითარების საკითხები. შეიმუშავა პოსტტრანსფუზიული გართულებების და დამწვრობის მკურნალობის მეთოდი და სხვ. სისხლძარღვთა აღდგენით ქირურგიაში გამოკვლევებისათვის 1975 მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია (გ. იოსელიანთან, დ. კანდელაკთან და მ. კომახიძესთან ერთად). ერისთავი იყო საქართველოს ქირურგთა საზოგადოების საპატიო თავმჯდომარე. დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

**ერისთავი რაფიელ დავითის ძე** [9 (21). IV. 1824, სოფ. ქვემო ჭალა, ახ-

ლანდ. კასპის რ-ნი. – 19. II (4. III). 1901, თელავი], მწერალი, ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი, საზოგადო მოღვაწე. ერისთავი კახეთში ჩასახლებულ არაგვის ერისთავთა შთამომავალი იყო. ბავშვობა მამულში, სოფ. ქისტაურში გაატარა. ქართული წერა-კითხვა დედამ ნინო ამილახვარმა შეასწავლა, რუსული ენა – მოწვეულმა მასწავლებელმა. სწავლობდა თელავის სამაზრო სასწავლებელში, შემდეგ შუამთის მონასტერში, ფილადელფოს კიკნაძის ხელმძღვანელობით. თბილისის გიმნაზიის დასრულების (1844) შემდეგ მუშაობდა თუშ-ფშავ-ხევსურეთის სამმართველოში თარჯიმნად, თბილისში – მეფისნაცვლის კანცელარიაში, ქუთაისში – განსაკუთრებულ მინდობილობათა უფროს მოხელედ; 1857–67 წლებში ზუგდიდის მაზრის უფროსი იყო, 1867–70 წლებში – ქუთაისის გუბერნიის სამმართველოს განყოფილების უფროსი, 1889–96 წლებში – კავკასიის საცენზურო კომიტეტის ცენზორი.

1846 წლიდან რუსულის პრესაში („კავკაზ", „სიევერნოე ობოზრენიე") იბეჭდებოდა ერისთავის მიმოხილვები, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის წერილები და ნარკვევები, რომელთა მიზანი იყო ქართული კულტურის პოპულარიზაცია. 1847 წლიდან მრავალ სასარგებლო ცნობას აწვდიდა ქართული კულტურითა და ისტორიით დაინტერესებულ აკადემიკოს მარი ბროსეს. ერისთავს წვლილი მიუძღვის ქართული მუზეუმისა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების საქმეში; იგი იყო ქართული პროფესიული თეატრის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ქართული დრამატული საზოგადოების თავმჯდომარე (1884–86 წლები), აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენი კომისიის (1882 წ.) ერთ-ერთი ინიციატორი და მონაწილე. ერისთავის შემოქმედება მრავალფეროვანია. მისი პირველი ლექსები („დარიგება", „ყვავილს"), რომლებშიც უკვე იგრძნობოდა სიახლოვე ხალხურ კილოსთან, 1852 წელს გამოქვეყნდა „ცისკარში". ერისთავმა, ილია ჭავჭავაძის თქმით, პირველმა დაძრა ენა ბატონყმობის წინააღმდეგ. „მამებისა" და „შვილების" ბრძოლას ერისთავი გამოეხმაურა მოთხრობით „ლიტერატურული ქეიფი" („ცისკარი", 1862 წ.), რომელშიც მწარედ დასცინა უქნარა თავადაზნაურობას.

70–80-იან წლებში ერისთავის პოეზიაში ახალი ძალით გამოვლინდა ჰუმანიზმი და დემოკრატიზმი. გლეხკაცობის დაბეჩავებულსა და უნუგეშო ყოფას ააშკარავებდნენ პოეტის ლექსები. იმთავითვე დიდი პოპულარობა მოიპოვა და მალე სიმღერადაც იქცა (მუსიკა დაწერა ნ. სულხანიშვილმა) პატრიოტული ლირიკის ბრწყინვალე ნიმუშმა „სამშობლო ხევსურისა" (1881).

ერისთავი ქართული საბავშვო ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მისი ლექსები სისტემატურად იბეჭდებოდა იმდროინდელ საყმაწვილო წიგნებსა და ჟურნალებში: „ბუნების კარი", „დედაენა", „ნობათი", „ჯეჯილი" და სხვ.

ერისთავის ორიგინალურმა თუ გადმოკეთებულმა პიესებმა გაამდიდრა ქართული თეატრის რეპერტუარი. მას მიიჩნევენ ვოდევილის ჟანრის დამამკვიდრე-

ბლად ქართულ დრამატურგიაში. მისი პირველი ეოდევილია „მბრუნავი სტოლები“ (1868 წ.). მას მოჰყვა პიესები „დედაკაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარის უძლიერესია“, „ადეოკატები“, „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, სცენები – „სურათები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან“ და სხვ.

ერისთავმა დიდი ამაგი დასდო ქართულ ფოლკლორისტიკასა და ეთნოგრაფიას. ილია ჭავჭავაძესთან ერთად 1873 წელს გამოსცა კრებული „გლეხური სიმღერები, ლექსები და ანდაზები“, ამავე წელს ჟურნალ „კრებულში“ (№ 7) გამოაქვეყნა „ქართული სახალხო პოეზია“ წინასიტყვაობითა და ნიმუშებით; შეკრიბა, შეადგინა და 1877 წელს გამოსცა ქართული გამოცანების კრებული.

ერისთავი იკვლევდა ხევსურების, ფშაველების, თუშების, კახელების, იმერლების, მეგრელებისა და სვანების სამეურნეო ტრადიციებს, შრომა-საქმიანობას, საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებს, დასახლების ფორმას და განსახლებას, გვარისა და თემის სტრუქტურას, საოჯახო ყოფას, საქორწინო წეს-ჩვეულებებს და სხვ. დიდი ღვაწლი მიუძღვის რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიური განყოფილების ეთნოგრაფიულ მუშაობაში და ამ საზოგადოების მიერ დაარსებული კავკასიის მუზეუმის (დღევანდელი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი) ისტორიულ-ეთნოგრაფიული ფონდების შეგროვება- მოწესრიგებაში.

ერისთავმა დაამუშავა მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიისა და სხვა სამეცნიერო ტერმინოლოგია. 1873 წელს გამოსცა „შემოკლებული ლათინურ-რუსულ-ქართული მცენარეთა ლექსიკონი“, 1884 წელს – მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი“: „მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამკურნებებიდგან“. 1884 წელს ერისთავის რედაქტორობით პირველად გამოიცა სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“. ერისთავის ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლის იუბილე, რომელიც 1895 წელს ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ინიციატივით გაიმართა, დიდ სახალხო ზეიმად იქცა.

ერისთავის თხზულებანი მრავალგზის გამოიცა ცალკე წიგნად (თხზ., ნაწ. I–II, 1882–90; ტ. 1, 1893; რჩეული ლექსები, 1927; რჩეული, 1958 და სხვ.).

**ერისთავი რევაზ შალვას ძე** (1827, სოფ. ოძისი, ახლანდელი დუშეთის რნი, – 1899 წ.). პოეტი, მთარგმნელი. XIX ს-ის 50-60-იან წლებში თანამშრომლობდა ჟურნალ „ცისკარში“. პოპულარული იყო მისი ლექსები „ბიძაჩემს ყაფლანს“ და „ყაფლან ორბელიანს“. ერისთავმა თარგმნა ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, ვ. ჟუკოვსკის ნაწარმოებები. ი. კოზლოვის პოემის „შეშლილის“ ერისთავისეული თარგმანი მკაცრად გააკრიტიკა ილია ჭავჭავაძემ („ცისკარი“, 1861, № 4), რითაც დაიწყო „მამებისა“ და „შვილების“ ბრძოლა. ერისთავის წერილს „პასუხი თავადი ილია ჭავჭავაძის კრიტიკისა“ („ცისკარი“, 1861, № 5) ილია ჭავჭავაძე გამოეხმაურა სტატიაში „პასუხი“ („ცისკარი“, 1861, № 6).

**ერისთავ-ხოშტარია ანასტასია გიორგის ასული** [3 (15). II. 1868 წ.,

გორი. – 1. V. 1951, თბილისი], მწერალი და საზოგადო მოღვაწე. დუტუ მეგრელის მეუღლე. გორის პროგიმნაზიის დამთავრების (1885 წ.) შემდეგ მშობლიურ სოფ. ფცაში (ახლანდელი ქარელის რ-ნი) დააარსა უფასო სკოლა გლეხთა ბავშვებისათვის მოგვიანებით, 1931 წელს, გორში მან დააარსა ქალთა საზოგადოება „მანდილოსანი", რომელიც I მსოფლიო ომამდე იარსება. 1885 წელს ჟურნალ „სიბათში" გამოქვეყნდა ერისთავ-ხოშტარიას მიერ თარგმნილი ოსური ლეგენდა „ბესო", ხოლო 1893 წელს გაზეთ „კვალში", ა. წერეთლის რეკომენდაციით, – მისი პირველი ორიგინალური მოთხრობა „ბატონებმა არ დაიწყნეს". მოთხრობაში „ეკლესიის გარშემო" მწერალმა ამხილა სამღვდელოება, რომელსაც ეკლესია პირადი შემოსავლის წყაროდ აქცია. ერისთავ-ხოშტარიამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქართულ ლიტერატურაში რომანის ჟანრის დამკვიდრებას. 1896 წლიდან ჟურნალ „მოამბეში" იბეჭდებოდა მისი პირველი რომანი „მოლიპულ გზაზე", რომელშიც მძაფრი ფერებითაა გადმოცემული დაღუპვის პირას მისულ თავად-აზნაურთა ყოფა, განქიქებულია მოლიბერალო და ფუჭად მოაზროვნე ინტელიგენცია. მწერალი ქალთა უფლებების მოსარჩლეა (რომანები „მოლიპულ გზაზე", „ბედის ტრიალი", მოთხრობა „კერა" და სხვ.). მასვე ეკუთვნის საბავშვო მოთხრობები „შეუბრალებელი", „პატარა მკურნალი", „ფქლამუში", „პატარა ნებიერი" და სხვ.

**ერისთოვი (ერისთავი) ბესარიონ სარდიონის ძე** [24. I (6. II). 1905, თბილისი. – 11. IX. 1975, მოსკოვი], ჰიდროტექნიკოსი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (1968), პროფესორი (1963), რუსეთის დამსახურებული მშენებელი (1970), დიდი სამამულო ომის მონაწილე. პოლკოვნიკ-ინჟინერი. დაამთავრა ლენინგრადის მიმოსვლის გზათა ინჟინრების ინსტიტუტი (1928). ხელმძღვანელი პოსტები ეკავა დნეპრპესის, რიონჰესის, ხრამჰესის, ნოვოსიბირსკის ჰესის, თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობაზე, ელექტროსადგურების, აგრეთვე ელექტროსადგურების მშენებლობის საკავშირო სამინისტროებში. 1963 წლიდან მუშაობდა მოსკოვის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტის ჰიდროტექნიკურ სამუშაოთა კათედრის გამგედ. მისი სამეცნიერო შრომები ეხება უმთავრესად ჰიდროტექნიკის მშენებლობის საკითხებს. დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

**ერისთავი ანა ვასილის ასული** (1957. 01. 02., ონი). დაამთავრა ონის 1-ლი საშუალო სკოლა (1974 წ.), თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობა-ბიბლიოგრაფიის ფაკულტეტი (1983);

მუშაობდა ონის №2 ბიბლიოთეკის გამგედ (1980–84); 1984 წლიდან მუშაობს ონის ცენტრალური ბიბლიოთეკის გამგედ. მისი ლექსები ხშირად იბეჭდება რაიონულ და რესპუბლიკურ პრესაში.

1997 წელს გამომცემლობა „ლომისმა" დაბეჭდა ა. ერისთავის ლექსების კრებული „განაფხული".

**ერისთავი დავით (დუტუნა) ბიძინას ძე** (1936. 10. 07., სეფა. ონის რ-ნი). ეკონომისტი. 1937 წელს მამა გადაასახლეს ციმბირში. ამის გამო ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა თბილისში და საშუალო განათლება აქვე მიიღო. მუშაობდა თბილისის საავიაციო ქარხანაში (1953–55 წლები); გაწვეულ იქნა არმიაში (1955–58 წ.წ.); მუშაობდა მეცნიერებათა აკადემიის ელექტრონიკის, ავტომექანიკისა და ტელემექანიკის კვლევითი ინსტიტუტის უფროს ტექნიკოსად (1960 წ.); პარალელურად სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე (1960–66 წ.წ.); 1966 წლიდან მუშაობდა თბილისში მარცხენა სანაპიროს სასადილოების ტრესტში. 1977 წლიდან რესტორან „არაგვში", ჯერ დირექტორის მოადგილედ, შემდეგ – დირექტორად.

ამჟამად მუშაობს სახელმწიფო საწარმო „გურჯის" დირექტორად. მიღებული აქვს მადლობები და ჯილდოები.

**მარიამ ერისთავი-ხიმშიაშვილისა** (1851–1917 წ.წ.). ამ მშვენიერმა ამაყმა ქალბატონმა კარგად იცოდა საკუთარი თავის ფასი. თურმე სულ მორთულ-მოკაზმული დადიოდა.

ერთხელ თავად ვორონცოვ-დაშკოვი სწვევია და მეჯლისზე მიპატიჟება უთხოვია. ამ მეჯლისზე მარიამი თამარ მეფის სამოსელში გამოწყობილა და დიდი მოწონება დაუმსახურებია.



# ერისთავთ-ერისთავი, საერისთავოები

საზოგადოების განვითარებასთან ერთად იცვლებოდა ერისთავთა ფუნქციებიც. მაგალითად, XI-XII საუკუნეებში საქართველო ახალ ადმინისტრაციულ ერთეულებად – საერისთავოებად დაიყო. ძველ საერისთავოებთან, ლეონტი და ჯუანშერი რომ მოგვითხრობენ, ამ ახალ საერისთავოებს თითქმის არაფერი ანათესავებდა. ახალი საერისთავოები ახალი შინაარსის მქონე ადმინისტრაციულ ერთეულებს წარმოადგენდნენ. სრულიად განსხვავებული საერისთავოების წარმოშობა მოხდა ახალ პირობებში და ახალ ურთიერთობაში. ამ ხანებში საქართველოში ბევრი ახალი საერისთავო გაჩნდა: თრიალეთის, რაჭის, გურიის, სამოქალაქოს, ჰერეთის, კახეთის, არტანუჯის, ხიხათა და სხვ. ზოგიერთი ძველი საერისთავო – სამშვილდის, გარდაბნის... კი გაქრა.

ჩამოყალიბდა სანაპირო ქვეყნები: ჰერეთი, კამბეჩიანი, სომხითი (გაგი), ძორაკეტი, ანისი... თმოგვი, ტაო. ახალი საქართველო ადმინისტრაციულად სრულიად ახალი ქვეყნებისგან შედგება... საფუძველი ეძლევა ახალ სამთავროებს. ერისთავთ-ერისთავები დიდი ქვეყნების მთავრებისათვის მფლობელნი არიან. მთელი საქართველო ასეთი საერისთავოერისთავოებით იფარება. მაგრამ ერისთავთერისთავები საქვეყნოდ გამრიგე, ან კარისა და საქვეყნოდ გამრიგე მოხელენი არიან... და ასეთი ერისთავთერისთავების მოხსენიება მთავრობით, ეს არის ჩვენი XIV საუკუნის ავტორის პოლიტიკის წარმოდგენის გადატანა იმ ძველ დროზე: XIV საუკუნეში მთავართა ინსტიტუტს უკვე 150 წლის ისტორია ჰქონდა (საუბარია ახალი დროის მთავრებზე) და ამ დროს ეს ინსტიტუტი სავსებით ჩამოყალიბებული იყო ყველა თავისი პოლიტიკური ნიშნით.

დიდი აზნაურობა სოციალური საფუძველი იყო ერისთავების გამთავრებისა. ერისთავი თვითონაც [illegible]. უმეტეს ყველა საუკეთესო ზრახვებს გამოეკიდებოდა, და, როგორც კი გასუქდებოდა, ივიწყებდა პატრონის (მეფის) მიერ მასზე გაწეულ კეთილისყოფას. მართლაცდა, რომელი ერისთავი იყო ამ ახალ ხანაში, რომელიც [illegible] ფსკერიდან არ ყოფილიყო გამოყვანილი? ამ საქმეში დავით აღმაშენებელმა სხვა მეფეებთან შედარებით რეკორდი დაამყარა, ხოლო მისმა ისტორიკოსმა პრინციპულ სიმაღლეზე აიყვანა, დაიცვა თეორია მეფის მოქმედების კანონიერებისა ამ საქმეში

ორბელები, მხარგრძელები, ჭიაბერი, სურამელები, ყუთლუ-ყუბასარ-ავრიდონები ხომ სულ ახალკაცები იყვნენ (გვარის რომ იძველებდნენ, სწორედ ეს იყო იმის მოწმობა, რომ რეალურ ძალას ჯერჯერობით არა მეფის ხელისუფლებაში იცნობდნენ, არამედ დიდ აზნაურთა ძირძველობაში ხედავდნენ), მაგრამ პროგრესი მეფის მხარეზე იყო და ერთგულთა და მოსწრაფედ მორჩილთა მხარე სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

განსაკუთრებით საინტერესოა კარის მოხელეთა გაერისთავება. ეს პირები

საქვეყნოდ გამრიგე მოხელენი იყვნენ, რომელნიც ქვეყნის მპყრობელი მეფის მიმართ ყველაზე ადრე და გამოხატულად ახდენდნენ ქედფიცხელობას, დაუმორჩილებლობას და მთავრულ (ძველი გაგებით) თვისებებს. ბაღვაშები, აბაზაძენი, ქვაბულისძენი, ვარდანისძენი ამის თვალსაჩინო მაგალითები არიან. პერსონალური ღონისძიებით (ამა თუ იმ პირის ნაცვლად სხვა პირით დაღგინება) საქმეს საშველი არ ადგებოდა და სამეფო კარზე შემუშავდა ასეთი იდეა: საერისთავოერისთავოს ხელის გაერთიანებისა სამეფო კარის მოხელეობასთან (ვაზირობასთან). გადაწყდა ვაზირობის ინსტიტუტის შემოღება.

ერისთავთა ერთგული მოხელეობა, რაც მათ თითქოს ძველ დროსაც ახასიათებდათ (თუმცა, აქვე უნდა ითქვას, არც თუ ასე ერთგულნი იყვნენ ეს ერისთავები – საურმაგი და სხვანი არაერთხელ გამოსულან მეფეთა წინააღმდეგ) სხვათა შესახედავად ქართლოსიანობენ, პატრიოტობენ... ვახუშტი ბაგრატიონი ეყრდნობა რა ლეონტი მროველის ამ ცნობას, ხაზს უსვამს მთავრების ქართლოსიანობას და მახვილგონივრულად შენიშნავს, რომ ერთი საქმე იყო ერისთავენი – მეფის მოხელენი, ხოლო მეორე – მთავარნი – შემდეგ რომ თავადად იქცნენ. გარკვეულ დროს მთავარს ჰქონდა ციხე-ქალაქი, ხეობანი... ვახუშტი არ ეძებს ამ მთავართა წარმომავლობას, მხოლოდ მათ ქართლოსიანობას უსვამს ხაზს. მაგრამ, როგორც მის აზრთა მსვლელობაზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, ვახუშტი ამ მთავრებს იმთავითვე ვარაუდობს. ვახუშტს შეუმცდარად აქვს შემჩნეული, რომ საზოგადოებრივი განვითარების ძირი, საფუძველი ერისთავი კი არ იყო, არამედ მთავარი – ქართლოსიანნი ანუ ქართლის ძირძველი მკვიდრნი, ხეობათა და ციხე-ქალაქთა მფლობელნი.

ისტორიული განვითარების გამოისობით პროგრესული ძალები დამარცხდნენ და ერისთავი (დიდებული) მთავარი გახდა. სახელმწიფოს წარმოქმნის შემდეგ, როდესაც ერთმანეთს შეერწყა სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლება, ერისთავები ქართლის ძირძველი მკვიდრნი, ხეობათა და ციხე-ქალაქთა მფლობელნი არიან.

ერისთავები ქართლის სამეფოში სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულების გამგებლებიც გახდნენ. ლ. მროველის ცნობით, ქართლის მეფემ ფარნავაზმა (ძვ. წ. III ს.) განაწესა 7 ერისთავი და 1 სპასპეტი. 1. **მარგვის** ანუ **არგვეთის** ერისთავი განაგებდა ტერიტორიას ლიხის მთიდან ეგრისის საზღვრამდე; 2. **კახეთისა** – კახეთისა და კუხეთს (მდინარე არაგვიდან – პერეთამდე); 3. **ხუნანისა** – გარდაბანს (მდინარე ბერდუჯიდან თბილისამდე); 4. **სამშვილდისა** – ტაშირსა და აშოცს; 5. **წუნდისა** – ჯავახეთს, კოლას და არტაანს (ფარავნის ტბიდან მტკვრის თავამდე); 6. **ოძრხისა** – სამცხესა და აჭარას (ტასისკარიდან არსიანის მთამდე, ნოსტის თავიდან ზღვამდე); 7. **კლარჯეთისა** – არსიანის მთიდან ზღვამდე. შიდა ქართლს განაგებდა სპასპეტი (ქართლის ერისთავი), რომელიც ამავე დროს აღნიშნული 7 ერისთავის უფროსიც იყო. ერისთავებს ექვემდებარებოდ-

ნენ სპასალარები, ხოლო სპასალარებს – ათასისთავები. – ხშირად ერისთავებთან აიგივებენ პიტიახშს. ზოგიერთი მკვლევარი კი პიტიახშს აიგივებს სპასპეტთან. დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო სისტემაში ერისთავობის ინსტიტუტი, როგორც ჩანს, დამკვიდრდა X საუკუნიდან აღმოსავლეთ საქართველოს ანალოგიით. (იხილეთ ქსე. ტ. 4. თბ. 1979. გვ. 192).

თავდაპირველად ერისთავი ქართლის მეფის მოხელე იყო. თანდათანობით ერისთავებმა ეს მოხელეობა სამემკვიდრეოდ გაიხადეს, რაშიც მათ ხელი შეუწყო უცხო ძალამ. ლეონტი მროველის და ჯუანშერის ცნობით, ეს მოხდა VI საუკუნეში, როდესაც ერისთავებმა მიიღეს მკვიდრობის სიგელები სპარსთა და ბერძენთა (ბიზანტიის) მეფეებისაგან.

ქართლში მეფობის გაუქმების (523 წელი) შემდეგ, VI საუკუნის II ნახევრიდან IX საუკუნის დასაწყისამდე, ქართლის სახელმწიფოს გამგებლად გვევლინება ქართლის ერისთავი ანუ ერისმთავარი – მეთაური ახლო აღმოსავლურ-ქართული ფეოდალური სახელმწიფოსი.

IX-X საუკუნეებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში არსებობდა ქართული სახელმწიფო "იბერთა საკურაპალატო" (888 წლიდან – ქართველთა სამეფო), რომელსაც სათავეში ედგა კურაპალატი – მეფე. აქ ერისთავობას და ერისთავთერისთავობას მემკვიდრეობით იღებდნენ ამ სახელმწიფოს გამგებელი დინასტიის – ბაგრატიონთა სახლის წევრები. საკურაპალატოს პოლიტიკური იერარქია ასეთი იყო: ქართველთა მეფე-კურაპალატი, ერისთავთერისთავი, მაგისტროსი, ერისთავი.

თრიალეთში წარმოქმნილ კლდეკარის საფეოდალოში ლიპარიტ IX საუკუნის 80-იანი წლებიდან ბაღვაშები ერისთავებად იწოდებიან, ხოლო XI საუკუნეში – ერისთავთერისთავებად. სხვადასხვა დროს ერისთავებად არიან აფხაზთა მეფის გიორგისძენი: ჯერ კონსტანტინე, ხოლო შემდეგ – ლეონი (X ს.), – ტბელები, საქართველოს დიდი ფეოდალი მარუშისძე (XI საუკუნეში). ბაგრატ IV-ის დროს ქართლის ერისთავი არის ივანე აბაზასძე. XIII საუკუნეში ქართლის ერისთავობა მიიღეს ორბელებმა, გიორგი III-მ ეს სახელო გადასცა სურამელთა საგვარეულოს, რომელიც ამ ხელის მფლობელად ჩანს XIV საუკუნის დასაწყისამდე. ქართლის ერისთავის სახელო წყაროებში ჩანს XV საუკუნემდე. თამარის მეფობის ხანაში, XII საუკუნის 80-იან წლებში, საქართველოში ყოფილან შემდეგი ერისთავები: სვანთა, რაჭის, ოდიშის, ქართლის, კახეთის, ჰერეთის, სამცხის (ეს უკანასკნელი სპასალარად იწოდებოდა). ამ დიდ ერისთავებს ერისთავთერისთავის ტიტულიც ჰქონდათ. ერისთავთერისთავთა რიცხვი გაიზარდა XIII-XV საუკუნეებში. განსაკუთრებით ფართოდ დამკვიდრდა ერისთავთერისთავის ტიტული ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა საგვარეულოში. XV-XVI საუკუნეებში ზოგიერთი ერისთავთერისთავი დამოუკიდებელი თუ ნახევრადდამოუკიდებელი სამთავროს მთავარი გახდა.

ერისთავი სათავეში ედგა საერისთავოს პოლიტიკურ ორგანიზაციას. ის იყო, ერთი მხრით, საერისთავოს გამგებელი მოხელე, ხოლო, მეორე მხრით, მემამულე-ფეოდალი. გარდა საგამგებლო სახელმწიფო ტერიტორიისა- საერისთავოსი, მას ჰქონდა თავისი საფეოდალოც. ერისთავი სათავეში ედგა საერისთავო ქვეყნის ფეოდალურ იერარქიას, ის იყო პატრონი-სიუზერენი, რომელსაც ექვემდებარებოდნენ ყმა-ვასალი აზნაურები. ერისთავი იყო უმაღლესი სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფალი საერისთავოში, საერისთავო ჯარის სარდალი. მას ჰქონდა სასამართლო ხელისუფლება, კრეფდა სახელმწიფო გამოსაღებებს და საერისთავო გადასახადს („ხარკი საერისთავოი“ ან „საერისთავოი გამოსავალი“). მისი მოხელეები განაგებდნენ საერისთავო ქვეყნის სხვადასხვა მხარეებს, მას ჰქონდა საკუთარი კარი, ხელისუფლების ინსიგნიები (დროშა, ბეჭედი, საყურე, განსაკუთრებული სამოსელი), ისევე, როგორც ყველა დიდ ფეოდალს, ერისთავსაც ჰქონდა საგვარეულო მონასტერი და თავისი ციხე-დარბაზი.

ერისთავად საგანგებო ცერემონიალით აკურთხებდნენ ხოლმე.

ერისთავობის სისტემამ არსებობა ძირითადად XV საუკუნეში დაასრულა. ამ პერიოდიდან სამხრეთ და დასავლეთ საქართველოში ერისთავები გადაიქცნენ მთავრებად (ოდიშის, სვანთა, აფხაზეთის, სამცხის) ან თავადებად, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში – თავადებად ან მეფის მოურავებად (კახეთში). ზოგ ფეოდალს ისევ ჰქონდა ერისთავის წოდება, რომელიც უკვე გვარად იყო გადაქცეული (ქსნის, არაგვის ერისთავები), მაგრამ, ფაქტობრივად, ისინი თავადები იყვნენ და არა ერისთავები (წყარო: ქსე, ტ. 4, თბ., 1979 წ.; ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. 1–2, თბ., 1955–1959 წ.წ.; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოცემა, ტ. 2, თბ., 1965 წ.; ლიტერატურა: ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წგნ. 2, ნაკვ. 1, ტფ., 1928 წ.).



-შუცეხის ციხე-

# საქართველოს სამხარეო ერთეულები
## (XII- XIV სს)
## და მათი ერისთავები

ძველი საქართველოს სახელმწიფო მე-XII-XIV საუკუნეებში დიდ სახელმწიფოებრივ ერთეულს წარმოადგენდა.

საქართველოს სახელმწიფო „ყოველი საქართველო" (სრულიად საქართველო) „შეიდ სამეფოდ განწესებული," „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე" მოიცავდა ამიერკავკასიას. მასში შედიოდა:

ა) საკუთრივ საქართველო;

ბ). არარატის სომხეთი;

გ). შირვანი (შედიოდა ავტონომიურ სამეფოდ, სათავეში ედგა ადგილობრივი დინასტი – შირვანშა).

ერთი რიგი ქვეყნებისა ითვლებოდა საქართველოს სახელმწიფოს პროტექტორატად, შეადგენდნენ საქართველოს სახელმწიფოსთან მჭიდროდ დაკავშირებულ ერთს პოლიტიკურ გაერთიანებას. ეს ქვეყნები იყვნენ:

ა). პროტექტორატები ჩრდილო კავკასიისა:

1 ღუნძეთი (დაღესტნის სამფლობელოებით);

2 დურძუკეთი (საჩეჩნო);

3. ოვსეთი;

4. ქაშაგეთი (საჩერქეზო).

ბ). პროტექტორატები დასავლეთისა:

5. ტრაპიზონის საკეისრო;

6. კარნუქალაქის (არზრუმის) საამირო.

ეს ქვეყნები ითვლებოდნენ საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური მფარველობის ქვეშ და ყველა ეს მოკავშირე ქვეყნები საქართველოს სახელმწიფოს მიერ იყვნენ „თავისუფლებითა ცხოვრებასა და მტერთაგან უზრუნველობასა" (ჟ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტომი I. თბ. 1963. გვ. 548–549).

საქართველოს სახელმწიფოსთან პოლიტიკურად დაკავშირებული ქვეყნების მეორე ჯგუფს შეადგენდა საქართველოს სახელმწიფო ვასალური მუსულმანური ს ა მ ე ფ ო ს ა მ თ ა ვ რ ო ე ბ ი. ესენი იყვნენ:

1 არანის (განძის) სასულთნო;

2 ნახჭევანის საამირო;

3. შაჰ-არმენთა სასულტნო;

### 4. ეზინკის (ერზინჯანის) საამირო.

საქართველოს სახელმწიფო, გარდა შირვანის ავტონომიური სამეფოსი, განიყოფებოდა 25 ძირითად ტერიტორიულ–ადმინისტრაციულ ერთეულად, მხარეებად, რომელთაც საერისთავოები (დიდი საერისთავოები) ეწოდებოდა. ამათგან საკუთრივ საქართველო შეიცავდა ოც, ხოლო არარატის სომხეთი – ხუთ საერისთავოს.

მოგვყავს მათი სია.

**ს ა კ უ თ რ ი ვ  ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს  ს ა ე რ ი ს თ ა ვ ო ნ ი**

I. ჰერეთსა და კახეთში

1. ჰერეთის საერისთავო (მასთან დაკავშირებულია კაბალას მხარე).

2. რუსთავის საერისთავო;

(1192 წლიდან გაერთიანდა ჰერეთის საერისთავოსთან).

3. კახეთის საერისთავო;

(3–ა. კს–თან გაერთიანებულია დიდოეთის თემი).

II. ქართლში:

4. თბილისი (მეფის დომენი);

5. ქართლის საერისთავო;

6. ორბეთის საერისთავო.

III. სამხრეთ ქართლში:

7. ლორეს სანაპირო საერისთავო (საამირსპასალარო);

8. კაენის სანაპირო საერისთავო;

9. გაგის სანაპირო საერისთავო;

(9–ა. გაგის სანაპირო საერისთავოსთან შემოერთებულია შამქორის თემი).

IV. ზემო ქართლში (მესხეთის მხარეში):

10. თორი–ჯავახეთი (საუფლისწულო);

თორი–ჯავახეთთან შემოერთებული თემები: 10–ა. ზარიშტიანი. 10–ბ. კარი (კეჩროლის და კაღზევანის კანტონებით).

XVIII საუკუნის დასასრულიდან კარი უერთდება სამცხის სასპასალაროს და შედის „სამცხის ხუთი თემის“ შემადგენლობაში.

11. თმოგვის სანაპირო საერისთავო;

(დაარსდა 1191 წელს. გამოეყო თორ–ჯავახეთს).

12. სამცხის სასპასალარო;

თემები:

12 ა – სამცხე. 12 ბ – არტაანი; 12 გ –კოლა (ხორტევანით). 12–დ კარნიფორი – ბასიანი (მე–13 საუკუნის დასასრულიდან შემოუერთდა მეხუთე თემი: კარი).

13. ტაოს (შავშეთ–კლარჯეთ–ტაოს) საერისთავო;

(მე–13 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაკავშირებულია სამცხის სასპასალაროსთან).

13–ა. ჭანეთი რიზეს მხარე – რკინის პალომდე.

V. ლიხთ იმერეთში:

14. ქუთაისი და სამოქალაქო (მეფის დომენი);
15. არგვეთის საერისთავო;
16. რაჭისა და თაკვერის საერისთავო;
17. სვანეთის საერისთავო;
18. გურია (საუფლისწულო);
19. ოდიშის საერისთავო;
20. ცხუმის საერისთავო;

არარატის სომხეთის საერისთავონი

21. ანისის სახლი;
22. დვინის სახლი (1225 წლამდე);
23. ბიჯნისის სახლი (1225 წლამდე);
22–23. გაერთიანებული დვინის სახლი (1225 წლიდან);
24. სივნიეთი;
25. ხაჩინი (არწახი).

შირვანი

ა ე ტ ო ნ ო მ ი უ რ ი ს ა მ ე ფ ო

შ. განიყოფებოდა ორ ქვეყნად:

26. საკუთრივ შირვანი;
27. დარუბანდი.

# მთავარი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების (მხარეების) უმაღლესი ხელისუფალნი „ერისთავთ-ერისთავნი"

## მე-12, მე-13 და მე-14 საუკუნეებში

აღნიშნულ საუკუნეებში მხარეების სათავეში იდგნენ ხელისუფალნი, რომელთაც ეწოდებოდათ „ერისთავთ-ერისთავნი".

ამ სამხარეო ერთეულთა ერისთავთ-ერისთავნი ინიშნებოდნენ ვიწროდ შემოფარგლულ წრიდან, დიდი ფეოდალური გვარებიდან.

**ს ა კ უ თ რ ი ვ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ე რ ი ს თ ა ვ ო ნ ი**

I. ჰერეთის საერისთავო. ერისთავთ-ერისთავნი:

1. ჰერეთის ბაგრატიონნი (1117–1145);
2. კოლონკელისძენი (1145–1162);
3. ჰერეთის ბაგრატიონნი (1163–1177);
4. კოლონკელისძენი (1178–1191).

ჰერეთის ბაგრატიონნი (1191- მე-14 საუკუნე) (ჰერეთის ბაგრატიონთა ორგზისი ჩამომცრობა და მათ ადგილას კოლონკელისძეთა გვარის დანიშვნა იმით იყო გამოწვეული, რომ ჰერეთის ბაგრატიონებმა ორგზის მიიღეს მონაწილეობა აჯანყებაში, 1145 და 1177 წლებში).

II. რუსთავის საერისთავო. ერისთავთ-ერისთავნი:

3. არიშიანნი (1105/15 – 1150) 60- იანი წ).
4. იობის – ძენი (არიშიანის მემკვიდრენი, „არიშიანის ადგილისა მსხდომნი" 1150 (60– 1191) წ).
5. ჰერეთის ბაგრატიონნი (1192–3–14 ს);

III. კახეთის საერისთავო. ერისთავთ-ერისთავნი:

5. პანკელნი (მე–12 ს.–1255წ.).
6. უჯარმელნი (1255– მე–13 საუკუნის ბოლო).
7. ბურსელნი (მე–13–14 ს).

IV. თბილისი (მეფის დომენი):

V. ქართლის საერისთავო. ერისთავთ-ერისთავნი:

8. აბულეთისძენი (მე–12 ს.–1145 წლამდე – 1155–56 წწ).

9. ორბელიანნი (1145–1155 წწ. 1156– 1177 წწ).

10. სურამელნი (1178–მე–14 ს.).

VI. ორბეთის საერისთავო. ერისთავთ–ერისთავნი:

(9). ორბელიანნი (მე–12 ს.–1177 წ.)

(23). დადიანნი (1178– 1191 წწ).

(9) ორბელიანნი მე–13–14 ს.

1. 1177 წლის შემდეგ (როდესაც ო რ ბ ე ლ ი ა ნ ე ბ მ ა მონაწილეობა მიიღეს დემნას აჯანყებაში) ორბელიანთა სამფლობელონი– ო რ ბ ე თ ი ს ს ა ე რ ი ს თ ა ვ ო და კ ა ე ნ ი ს ს ა ე რ ი ს თ ა ვ ო გადაეცა საგამგებოდ ოდიშის ერისთავთ–ერისთავებს დ ა დ ი ა ნ ე ბ ს, რომელნიც განაგებდნენ ამ მხარეს 1191 წლამდე).

VII. ლორეს სანაპირო საერისთავო (საამირსპასალარო.

ამირსპასალარის გამგებლობაშია:

ლორის მხარის ცალკეულ თემთა „მკვიდრნი“ (მემკვიდრე მფლობელნი) არიან:

(9). ორბელიანნი (1177 წლამდე).

11. მხარგრძელნი (1180–იანი წლებიდან მე–14 ს).

VIII. კაენის სანაპირო საერისთავო. ერისთავთ–ერისთავნი:

(9). ორბელიანნი (1177 წლამდე);

(23). დადიანნი (1178–1191 წ.).

(11). მხარგრძელნი (1191 წ.–მე–14 ს.).

IX. გაგის სანაპირო საერისთავო.

დამოუკიდებელ სამხარეო ადმინისტრაციულ ერთეულად გაგის სანაპირო საერისთავოდ ჩამოყალიბდა 1191 წელს. ერისთავთ–ერისთავნი:

(11). მხარგრძელნი–გაგელნი;

IX-ა. გაგის თემი.

(3). არიშიანნი (1123–1150/60 წ.).

(22–ბ) ვარდანისძენი II (ვარდანისძე–გაგელნი) 1150/1160–1191 წ.

IX-ბ. ხუნანის თემი.
(9). ორბელიანნი (1177 წლამდე);
(მფლობელნი 1178 წლიდან – 1191 წლამდე უცნობია);

IX-გ. ქურდევაჴრის თემი.
(9). ორბელიანნი (1177 წლამდე);
(11). მხარგრძელნი (1177–1191წწ);

IX-დ. ნორბერდის თემი.
კვირიკეანნი

IX-ე. თავუშის თემი.
(მფლობელნი 1191 წლამდე უცნობია);
რაც შეეხება კ ა ი წ ო ნ ი ს თემს, რომელიც 1177 წლამდე ორბელიანთა, ხოლო 1178–1191 წლებში მ ა ყ ა  კ ა ი წ ო ნ ე ლ ი ს მფლობელობაში იყო, იგი 1191 წლიდან შეუერთდა კ ა ე ნ ი ს სანაპირო საერისთავოს (მე–13 ს.)

X. თორი–ჯავახეთი (საუფლისწული). გამრიგე ხელისუფალნი – ერისთავთ–ერისთავნი:
12. თორელნი.

XI. თმოგვის სანაპირო საერისთავო. ერისთავთ–ერისთავნი:
14. ჯაყელნი–ბოცოსძენი (მე–12 ს. – 1191 წლამდე).
15. ჯაყელნი–ციხისჯვარელნი (1191 წ.– მე–14 ს).

XIII. ტაოს (შავშეთ–კლარჯეთ–ტაოთა) საერისთავო. ერისთავთ–ერისთავნი:
16. ტაოსკარელნი (მე–12 ს.–1191 წლამდე).
17. ასპანისძე–ფანასკერტელნი (1191 წ. – მე–13 ს).
18. ფანასკერტელნი (მე–13– 14 ს).

XIV. ქუთათისი და სამოქალაქო (მეფის დომენი). გამრიგე ხელისუფალნი და ერისთავთ–ერისთავნი:
19. სალირისძენი.

XV. არგვეთის საერისთავო. ერისთავთ–ერისთავნი:
20. აზნაურისძენი.

XVI. რაჭისა და თაკვერის საერისთავო. ერისთავთ–ერისთავნი:
21. კახაბერისძენი.

XVII. სვანეთის საერისთავო. – მე–18 გურია (საუფლისწული). – ერის-თავთ–ერისთავნი –
22. ვარდანისძენი (სვანთ–ერისთავ/გურიელნი).

XIX. ოდიშის საერისთავო. ერისთავთ–ერისთავნი:
23. დადიანნი.

XX. ცხუმის საერისთავო. ერისთავთ–ერისთავნი:
24. შარვაშისძენი (ჩაჩასძენი).

არარატის სომხეთის საერისთავონი.
XXI. ანისის სახლი. ერისთავთ–ერისთავნი:
(11). მხარგრძელნი. (1204 –1225).
(12). თორელი (1204 –1225).
XXII. დვინის სახლი (1225 წლამდე). ერისთავთ–ერისთავი:
XXIII. ბიჯნისის სახლი (1225 წლამდე). ერისთავთ–ერისთავი:
(11). მხარგრძელი (1201–1225).
XXII-XXIII. გაერთიანებული დვინის სახლი (რომელშიაც შევიდა 1225 წლიდან დვინისა და ბიჯნისის სახლნი). ერისთავთ–ერისთავნი:
(11). მხარგრძელნი (1225–მე–14 ს.).

XXIV. სივნიეთი. ერისთავთ–ერისთავნი:
25. ორბელიანნი სივნიეთისა.

XXV. ხაჩინი (არწახი). ერისთავთ–ერისთავნი:
26. ხაჩინელნი. (პ. ინგოროყვა, ტ. I. თბ. 1963. გვ. 551–559).

# ძველი საქართველოს სახელმწიფოს მთავრობა
# სავაზირო
## *მე–12, მე–13, მე–14 საუკუნეებში*

საქართველოს სახელმწიფოს მთავრობის –ს ა ვ ა ზ ი რ ო ს – ინსტიტუტი ჩამოყალიბდა მე–12 საუკუნის დასაწყისში, დავით აღმაშენებლის დროს.

სავაზიროს სათავეში ედგა თვით მეფე. იგი თავმჯდომარეობდა სავაზირო სხდომებს. სახელმწიფო განკარგულებანი ქვეყნდებოდა მეფისა და ვაზირთა საერთო „ბ რ ძ ა ნ ე ბ ი ს“ სახით.

**1. მწიგნობართ–უხუცესი – პირველი ვაზირი;**
**2. ამირსპასალარი;**
**3. მანდატურთ–უხუცესი;**
**4. მეჭურჭლეთ–უხუცესი;**
**5. მსახურთ–უხუცესი;**
**6. ჩუხჩარხი;**
**7. მეჯინიბეთ უხუცესი**
**8. ამირახორი**

სამი სპასპეტი (მხედართმთავარი) უმცროს ვაზირთა უფლებებით.

ერისთავნი და ხელისა მქონებელნი (ვაზირნი)
დიდისა თამარ მეფისა
რომელნიცა განაჩინა ერთნებაობითა
შვიდთავე სამეფოთა დიდებულთათა

პირველად გარდაცვალებასა (ქართლისა კათალიკოზისა, ჭყონდიდელისა და მწიგნობართუხუცესისა მიქაელ მირიანის ძისა), და გამორჩევასა ორთა ვაზირთა და სპასპეტთასა, – თანადგომითა და ერთნებაობითა შვიდთავე სამეფოთა დიდებულთათა, ბრძანა (მეფემან თამარი) დამტკიცებად:

**1. ვაზირთა უპირველესი (1) ჭყონდიდელად და მწიგნობართ–უხუცესად და ვაზირთა უპირველესად გაზრდილივე მამისა მათისა ანტონი გლონის თავისძე კაცი ბრძენი და გონიერი, პატრონთათვის სვიანი და ერთგული და შემეცნებული საურავთა.**

**2. ვაზირი სპასპეტთა უპირველესი (2) და განაჩინა ამირსპასალარად სარგის მხარგრძელი, კაცი გუარიანი და აღზრდილი ლაშქრობათა შინა და ჭაბუკობათა და უბოძა ლორე სათავადო და სამთავრო სომხითსა შინა**

**3–4. ვაზირნი (3) და განაჩინა და უბოძა ჭიაბერსა მ ა ნ დ ა ტ უ რ თ–**

–უ ხ უ ც ე ს ო ბ ა და მისცა არგანი ოქროსა ხელთა მისთა (4) და კუალად უბოძა მეჭურჭლეთ–უხუცესობა დიდსა და გუარიანსა კაცსა კახაბერ ვარდანისძესა.
5. უმცროსი ვაზირი (5) და მსახურთ–უხუცესობა – ვ ა რ დ ა ნ ს დ ა დ ი ა ნ ს ა.
6. სპასპეტი (6) ჩუხჩარხობა – მ ა რ უ შ ი ა ნ ს ა, ვინაიცა მათ ორი–თავე მამანი მომხცოვნებულ იყვნეს, და დასდვა მამისა პატივი მათისა და დასხნა სასთაულითა.
7–8. სპასპეტნი (7) და უბოძა მეჯინიბეთ–უხუცესობა.
(8) და უბოძა ამირახორობა გამრეკელსა თორელსა, რომელიცა ამირს–პასალარიცა იქმნა შემდგომად სარგის მხარგრძელისა.

და შეამკუეს ტანსა მისსა სკარამანგი. და დასუეს სელებითა ოქრო–ჭედი–ლითა. რომელნიმე მარჯუენით მისსა (თ ა მ ა რ ი ს ა) და რომელნიმე მარცხე–ნით.

და ერისთავნი მის ჟამისანი ესენი იყვნეს: (ლიხთ იმერით)
გაერთიანებული სვანეთი (საერისთავო) და გურია (საუფლისწულო). (1).
1. ბ ა რ ა მ  ვ ა რ დ ა ნ ი ს  ძ ე – სუანთა ერისთავად.
2. რაჭა–თაკუერის საერისთავო (2), კ ა ხ ა ბ ე რ  კ ა ხ ა ბ ე რ ი ს ძ ე – რაჭისა და თაკუერის ერისთავად.
3. ცხუმის საერისთავო (3) და ო თ ა ღ ო  შ ა რ ვ ა შ ი ს  ძ ე – ცხუმის ერისთავად.
4. არგუეთის საერისთავო (4) ა მ ა ნ ე ლ ი ს  ძ ე – არგუეთის ერის–თავად.
5. ოდიშის საერისთავო (5) და ოდიშის ერისთავად – ბ ე დ ი ა ნ ი.
ლიხთამერით:
6. ქართლის საერისთავო (6) ქართლის ერისთავად – რ ა ტ ი  ს უ რ ა–მ ე ლ ი.
7. კახეთის საერისთავო (7) და კახეთის ერისთავად – ბ ა კ უ რ–ყ მ ა ძ ა გ ა ნ ი ს ძ ე.
8. ჰერეთის საერისთავო (8) და ჰერეთის ერისთავად – გ რ ი გ ო ლ ი ს ძ ე ასათ, რომელმან მისტაცა მძლავრობით და მორევით სალირს კოლონკელიძეს.
9. რუსთავის საერისთავო
(„არიშიანის ადგილი“)

(9) და მცირედ–ჟამ ქონებასა შინა იაჯა ა რ ი შ ი ა ნ ი ს ა ადგილ-სა დაჯდომა, სასთაულითა, და ხელთ უდვა შვილსა მისსა გრიგოლის ჰერეთის ერისთავობა.

10. სამცხის სპასალარი (10) და სამცხის ერისთავად და სპასალარად აჩინეს ბ ო ც ო ჯ ა ყ ე ლ ი.

11. ტაოს საერისთავო (11) ). (აკლია ცნობა ტაოს საერისთაოს შესახებ).

და სხუანი ხელისუფალნი, ტაძრისა და საყდრისა სამეუფოსა წინაშე მდგო-მელნი, განაჩინეს წესისაებრ სახლისა (იხ. ისტორია და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II. გვ. 32–34 (შეად. კარის გარიგება, გვ. 16).

ბრძანების გამცემელნი არიან:

მ ე ფ ე თ  მ ე ფ ე ნ ი:

თამარი და გიორგი–ლაშა;

ვ ა ზ ი რ ნ ი:

1. მწიგნობართ–უხუცესი: ანტონი გლონისთავის ძე ჭ ყ ო ნ დ ი დ ე ლ ი;
2. ამირსპასალარი: ზ ა ქ ა რ ი ა მხარგრძელი.
3. მანდატურთ–უხუცესი: შ ა ლ ვ ა თორელი–ახალციხელი.
4. მეჭურჭლეთ–უხუცესი: ო ვ ს ე – ყ მ ა (კახთ ერისთავი).
5. მსახურთ–უხუცესი: ი ვ ა ნ ე მხარგრძელი.



# ძველი საქართველოს სახელმწიფოს მთავრობა

## სავაზირო

### მე-12, მე-13 და მე-14 საუკუნეებში

<u>I ხანა</u>

1100-1145 წლები.
დავით აღმაშენებლის მეფობის მეორე პერიოდი;
დიმიტრი I-ის მეფობის პირველი პერიოდი.
მეფენი: დავით IV აღმაშენებელი 1089–1125 წ.
დიმიტრი I. 1125-1155 წ.

ვაზირნი:

I. <u>მწიგნობართ-უხუცესი:</u> 1. გიორგი I დიდი
მწიგნობართ-უხუცესი, ჭყონდიდელი 1100–1118 წ.
2. სვიმეონ IV გულაბერისძე
ა) მწიგნობართ-უხუცესი, 1118–1150 წ.
ბ) ბედიელ-ალავერდელი, 1118–1120 წ. 30-იანი წ.
გ) ჭყონდიდელი, 1120, 30-იანი წ. – 1142 წ.
დ) ქართლისა კათალიკოზი და ჭყონდიდელი 1142–1150 წ.

II. <u>ამირსპასალარი</u> 3. აბულეთი
ა) ერისთავთ-ერისთავი, ქართლის ერისთავი
1120-იანი წ. – 1145 წ.
ბ) ამირსპასალარი 1125– 1130 წ.
4. ივანე აბულეთის ძე
ამირსპასალარი 1130–1145 წ.

III. <u>მანდატურთუხუცესი</u>
5. ასათ I (გრიგოლ I-ის ძე), ჰერეთის ბაგრატიონი
უკანასკნელი მეფე აღმოსავლეთ-ჰერეთისა (1117 წლამდე).
შემდეგ ერისთავთ-ერისთავი ჰერეთისა, ვაზირი.
(მანდატურთუხუცესი) 1117/20–1145 წ.

IV. <u>მეჭურჭლეთ-უხუცესი</u>
6. არიშიანი.

ერისთავთ ერისთავი, რუსთავის (არიშის) ერისთავი
მეჭურჭლეთ-უხუცესი 1105 15 -1150 60 წ.

V. <u>მსახურთუხუცესი</u>:

7. კონსტანტინე დადიანი
ერისთავთ-ერისთავი, ოდიშის ერისთავი;
მსახურთუხუცესი 1140–50–იანი წ. –1180–83 წ.

VI. ჩუხჩარხი ვარდანისძენი

8. (ვარდან) ვარდანისძე
ერისთავთ-ერისთავი, სვანთ-ერისთავი, გურიელი;
ჩუხჩარხი 1140–50იანი წ. 1180–83 წ.

VII. <u>მეჯინიბეთ-უხუცესი:</u>

VII. <u>ამირახორი</u>:

## <u>II ხ ა ნ ა</u>

## 1145–1177 წლები

დიმიტრი I-ის მეფობის მეორე პერიოდი;
დავით V-ის მეფობა;
გიორგი III-ის მეფობის პირველი პერიოდი.

<u>მეფენი:</u>

დიმიტრი I, 1125-1155 წ.
დავით V, 1155-1156 წ.
გიორგი III, 1156-1184 წ.

### ვ ა ზ ი რ ნ ი

I. <u>მწიგნობართ-უხუცესი:</u> 2) სვიმეონ IV გულაბერის ძე.
მწიგნობართ-უხუცესი 1118–1150 (იხ. ზევით, 2).

9. იოვანე (ქობულისძე)
მწიგნობართ-უხუცესი 1150–1177 წ.

II. ამირსპასალარი:

10. ივანე ორბელიანი ა) ერისთავთ-ერისთავი, ორბეთისა და ლორეს მხარეთა ერისთავი, 1145–1177 წ;
ბ) ამირსპასალარი, 1145–1155 წ. 1156–1177 წ.
11. თირქაშ ივანეს ძე აბულეთის ძე
ერისთავთ-ერისთავი, ქართლის ერისთავი;
ამირსპასალარი, 1155–56 წ.

III. მანდატურთ-უხუცესი,

12. სუმბატ ორბელიანი
ა). ერისთავთ-ერისთავი, ორბეთისა და ლორეს მხარეთა ერისთავი 1120-იანი წ. – 1145 წ.
ბ). ერისთავთ-ერისთავი, ქართლის ერისთავი 1145–1160-იანი წ.
მანდატურთ-უხუცესი, 1145–1163 წ.
13. გრიგოლ II (ასათ I-ის ძე), ჰერეთის ბაგრატიონი
ერისთავთ-ერისთავი, ჰერეთის ერისთავი, ვაზირი
(მანდატურთ-უხუცესი) 1163–1177 წ.

IV. მეჭურჭლეთ-უხუცესი:

(6) არიშიანი
ერისთავთ-ერისთავი, რუსთავის ერისთავი
მეჭურჭლეთ-უხუცესი 1105–15 – 1150–60 წ.
14. ივანე ვარდანის ძე II (არიშიანის მემკვიდრე)
ერისთავთ-ერისთავი

IV. მეჭურჭლეთ-უხუცესი

1150–60, 1177 წ.
V. მსახურთ-უხუცესი: (7) კონსტანტინე დადიანი
ერისთავთ-ერისთავი, ოდიშის ერისთავი;
მსახურთ-უხუცესი 1140–50, 1130– 33 წ.

VI. ჭუხჩარხი

(8) ვარდან ვარდანის ძე (აბულეთის ძე)
ერისთავთ-ერისთავი, სვანეთის ერისთავი, გურიელი
ჭუხჩარხი 1140 50 – 1180/3 წ.

VII. <u>მეჭურჭლეთ-უხუცესი:</u>

15. ქავთარ ივანეს ძე (აბულეთის ძე)
მეჭურჭლეთ-უხუცესი 1160-იანი წ.-1177 წ.

VIII. <u>ამირახორი,</u>

16. ლიპარიტ (სუმბატის ძე) ორბელიანი
ერისთავთ-ერისთავი, ქართლის ერისთავი 1163-1177 წ.
ამირახორი 1150-იანი – 1162 წ.

17. (კახა) თორელი
ერისთავთ-ერისთავი, თორი-ჯავახეთის ერისთავი.
ამირახორი 1162-1177 წ.

## <u>III ხ ა ნ ა</u>

1178-1184/5 წლები.

გიორგი III-ის მეფობის მეორე პერიოდი (1177-1184 წ.წ.);
თამარის მეფობის დასაწყისი (პირველი წელი, 1184/5 წ.წ.)
<u>მეფენი:</u> გიორგი III 1156-1184 წ.წ.
თამარი ა. თანამოსაყდრე გიორგი III-ისა 1178-1184 წ.წ.
ბ. მ ე ფ ე 1184-1212 წ.წ.

### ვ ა ზ ი რ ნ ი:

I. <u>მწიგნობართ-უხუცესი:</u>

18. ანტონ გლონისთავისძე
მწიგნობართ-უხუცესი, ჭყონდიდელი
1178-1184/5 წ.წ.; 1189/90-1210-იანი წ.წ.

II-III. <u>ამირსპასალარი,</u>

მანდატურთ-უხუცესი:

19. ყუბასარი
ამირსპასალარი და მანდატურთ-უხუცესი
1178-1184/5 წ.წ.

IV. <u>მეჭურჭლეთ-უხუცესი:</u>

20. ყუთლუ-არსლან ჯაყელი-კორიდელი
ჩრდილო ჭანეთის კორიდეთის თემის ერისთავთ-ერისთავი;

მეჭურჭლეთ-უხუცესი 1178–1184/5 წ.წ.

V. <u>მსახურთ-უხუცესი:</u>

(7). კონსტანტინე დადიანი
ერისთავთ-ერისთავი, ოდიშის ერისთავი;
მსახურთ-უხუცესი 1140/1150–1180/3 წ.წ.

21. აფრიდონი
მსახურთ-უხუცესი 1180/3–1184/5 წ.წ.

VI. <u>ჩუხჩარხი:</u>

(8). [ვარდან] ვარდანისძე
ერისთავთ-ერისთავი, სვანთ-ერისთავი/გურიელი;
ჩუხჩარხი 1140/1250–1180/3 წ.წ.

22. ვარდან (კონსტანტინეს ძე) დადიანი
ერისთავთ-ერისთავი, ოდიშის ერისთავი;
მეჯინიბეთ-უხუცესი 1178–1184/5 წ.წ.

VII. <u>მეჯინიბეთ-უხუცესი:</u>

23. ჭიაბერი
ჰერეთის მხარის მანავის თემის ერისთავთ-ერისთავი;
მეჯინიბეთ-უხუცესი 1178–1184/5 წ.წ

VIII. <u>ამირახორი:</u>

24. ივანე 1178–1184/5 წ.წ.

## <u>IV ხ ა ნ ა</u>

1184/5–1191 წლები.

თამარის მეფობის პირველი პერიოდი.

<u>მეფე</u>:

თამარი 1184–1212 წ.წ.

ვ ა ზ ი რ ნ ი

I. <u>მწიგნობართ-უხუცესი:</u>

25. მიქაელ III მირიანის ძე
მწიგნობართ-უხუცესი, ქართლისა კათალიკოზი

და ჭყონდიდელი 1184/5–1189/90 წ.წ.
(18). ანტონ გლონისთავის ძე
მწიგნობართ-უხუცესი, ჭყონდიდელი
1178–1184/5; 1189/90–1210-იანი წ.წ.

II. <u>ამირსპასალარი</u>:

26. სარგის მხარგრძელი
ერისთავთ-ერისთავი ლორეს მხარისა;
ამირსპასალარი 1184/5–1187 წ.წ.
27. გამრეკელი I (კახას ძე ) თორელი
ერისთავთ-ერისთავი, თორი-ჯავახეთის ერისთავი
ა. ამირახორი 1184/5–1187 წ.
ბ. ამირსპასალარი 1187–1191 წ.წ.

III. <u>მანდატურთ-უხუცესი</u>:

(23) ჭიაბერი
ჰერეთის მხარის მანავის თემის ერისთავთ-ერისთავი;
ა. მანდატურთ-უხუცესი 1184/5–1205 წ.
ბ. მანდატურთ-უხუცესი და
ამირსპასალარი 1191 წ.

IV. <u>მეჭურჭლეთ-უხუცესი</u>:

28. კახაბერ ვარდანისძე (არიშიანისა მემკვიდრე)
ერისთავთ-ერისთავი;
მეჭურჭლეთ-უხუცესი 1184/5–1190 წ.
29. აბულასან იობის ძე (არიშიანისა მემკვიდრე)
ა. ერისთავთ-ერისთავი, რუსთავის ერისთავი 1173–1191 წ.
ბ. ნაცვალი მეჭურჭლეთ-უხუცესისა
1184/5–1190 წ.წ.
გ. მეჭურჭლეთ-უხუცესი 1190–1191 წ.წ.

V. <u>მსახურთ-უხუცესი</u>:

(22) ვარდან (კონსტანტინეს ძე) დადიანი
ერისთავთ-ერისთავი, ოდიშისა და ქართლის

სამხრეთ თემთა ერისთავი;
დასავლეთ–საქართველოს სადროშოს (სამხედრო ოლქის) მხედართ–მთავარი;
მსახურთ–უხუცესი 1184/5–1191 წ.

VI. ჩუხჩარხი:

30. მარუშიან ვარდანისძე
ერისთავთ–ერისთავი, სვანთ–ერისთავი/გურიელი;
ჩუხჩარხი 1184/5–1191 წ.წ.

VII. მეჯინიბეთ–უხუცესი:

VIII. ამირახორი:

(27) გამრეკელი I (კახას ძე) თორელი
ერისთავთ–ერისთავი, თორი–ჯავახეთის ერისთავი;
ა. ა მ ი რ ა ხ ო რ ი 1187–1191 წ.წ.
ბ. ა მ ი რ ს პ ა ს ა ლ ა რ ი 1187–1191 წ.წ.

V ხ ა ნ ა:

1191–1125 წლები.

თამარის მეფობის მეორე პერიოდი (1191–1212);
გიორგი–ლაშას მეფობა (1212–1222);
რუსუდანის მეფობის დასაწყისი (1222–1225).

მეფენი: თამარი 1184–1212 წ.წ.
გიორგი IV ლაშა 1212–1222 წ.წ.
რუსუდანი 1222–1242 წ.წ.

ვ ა ზ ი რ ნ ი

I. მწიგნობართ–უხუცესი:

(18) ანტონ გლონისთავისძე
მწიგნობართ–უხუცესი, ჭყონდიდელი,
1178/1184/5 წ.წ.; 1189/90–1210–იანი წ.წ.
31. დავით ჭყონდიდელი
მწიგნობართ–უხუცესი, ჭყონდიდელი,
1210–იანი–1220–იანი წლები.



ილიკო ანთაძე

II-III. <u>ამირსპასალარი</u> (1191–1211)

ათაბაგ-ამირსპასალარი (1211–1227)

32. ზაქარია I მხარგრძელი

ა. ლორეს სანაპირო მხარის ერისთავთ-ერისთავი
1191–1211 წ.წ.

ბ. ანისის მხარის ერისთავთ-ერისთავი
XII ს-ის ბოლო – 1211 წ.

გ. ა მ ი რ ს პ ა ს ა ლ ა რ ი 1191–1211 წ.წ.

დ. მ ა ნ დ ა ტ უ რ თ-უ ხ უ ც ე ს ი 1210–1211 წ.წ.

33. ივანე I მხარგრძელი

ა. კაენის სანაპირო მხარის ერისთავთ-ერისთავი 1191–1227 წ.წ.

ბ. ბიჯნისის მხარის ერისთავთ-ერისთავი 1201–1225 წ.წ.

გ. დვინი-ბიჯნისის გაერთიანებულ მხარეთა
ერისთავთ-ერისთავი 1225–1227 წ.წ.

დ. მსახურთ-უხუცესი 1191–1211 წ.

ე. ათაბაგ-ამირსპასალარი 1211–1237 წ.წ.

IV. <u>მანდატურთ-უხუცესი</u>

(23) ჭიაბერი

ა. მანდატურთ-უხუცესი 1184/5–1205 წ.წ.

ბ. ამირსპასალარი 1191 წ.

34. შალვა თორელი-ახალციხელი

ა. ერისთავთ-ერისთავი თორი-ჯავახეთისა
1190-იანი წ. – 1225 წ.

ბ. ერისთავთ-ერისთავი დვინის მხარისა
1204–1225 წ.წ.

გ. მეჭურჭლეთ-უხუცესი 1204/5 წ.წ.

დ. მანდუტურთ-უხუცესი 1205–1210 წ.წ.

35. ბედიანი I დადიანი

ერისთავთ-ერისთავი, ოდიშის ერისთავი;
მანდატურთ-უხუცესი 1210–1225 წ.წ.

V. <u>მეჭურჭლეთ-უხუცესი</u>

36. ასათ II (გრიგოლ II-ის ძე) ჰერეთის ბაგრატიონი

ა. აღმოსავლეთ ჰერეთის ერისთავი 1190 წლამდე;
ბ. ერისთავთ-ერისთავი, ჰერეთის ერისთავი 1190–1192 წ.წ.
გ. ერისთავთ-ერისთავი, რუსთავის ერისთავი და
მეჭურჭლეთ-უხუცესი 1192/3–1195/1200 წ.წ.
37. გრიგოლ III (ასათ II-ის ძე) ჰერეთის ბაგრატიონი
ა. ერისთავთ-ერისთავი, ჰერეთის ერისთავი 1192–1196 წ.წ.
ბ. ერისთავთ-ერისთავი, ჰერეთის და რუსთავის ერისთავი,
მეჭურჭლეთ-უხუცესი 1195/1200–1204 წ.წ.
(34) შალვა თორელი-ახალციხელი
მეჭურჭლეთ-უხუცესი 1204/5 წ.წ.
38. ოვსე-ყმა [პანკელი]
[ერისთავთ-ერისთავი, კახეთის ერისთავი];
მეჭურჭლეთ-უხუცესი 1205–1212 წ.წ.
39. ყვარყვარე-ივანე II ჯაყელი-ციხისჯვარელი
ა. ერისთავთ-ერისთავი, სამცხის ერისთავი და სპასალარი
1191–1245 წ.წ.
ბ. მეჭურჭლეთ-უხუცესი 1212–1245 წ.წ.

VI. მსახურთ-უხუცესი

(33) ივანე I მხარგრძელი
მსახურთ-უხუცესი 1191–1211 წ.წ.
40. ვარამ გაგელი მხარგრძელი
ერისთავთ-ერისთავი, გაგის მონაპირე ერისთავი;
მსახურთ-უხუცესი 1211–1250 წ.წ.

## VI ხ ა ნ ა:

1225–1259 წლები.

რუსუდანის, დავით VI-ისა და დავით VII-ის მეფობა
(სამეფოს ორად განყოფამდე)
მეფე: რუსუდანი 1222–1242 წ.წ.
უმეფობა 1242–1247 წ.წ.
მეფენი: დავით VI (რუსუდანის ძე) 1236; 1247–1293 წ.წ.
დავით VII (გიორგი-ლაშას ძე) 1247–1270 წ.წ.

ვ ა ზ ი რ ნ ი:

I. <u>მწიგნობართ-უხუცესი:</u>

41. არსენი IV ბულმაისიმისძე
მწიგნობართ-უხუცესი 1230-იანი წ. – 1248 წ.
ა. ჭყონდიდელი მწიგნობართ-უხუცესი 1230-იანი წ. – 1242 წ.
ბ. ქართლისა კათალიკოზი, ჭყონდიდელი
და მწიგნობართ-უხუცესი 1242–1248 წ.წ.
(+ 1250-იან წლებში).

42. ბასილი უჯარმელი
მწიგნობართ-უხუცესი 1248–1265 წ.წ.
(ა. მწიგნობართ-უხუცესი, ჭყონდიდელი 1248–1255/60 წ.წ.)
(ბ. მწიგნობართ-უხუცესი, მთავარი [ერისთავთ-ერისთავი, კახეთის ერისთავი] 1255/60-1265 წ.წ.)

II-III. ა თ ა ბ ა გ ი

<u>ამირსპასალარი:</u>

(33) ივანე I მხარგრძელი
ათაბაგ-ამირსპასალარი 1212–1227 წ.წ.

43. ავაგ (ივანე I-ის ძე) მხარგრძელი
დვინი-ბიჯნისის გაერთიანებულ მხარეთა ერისთავი;
ა. ამირსპასალარი 1227–1241 წ.წ.
ბ. ათაბაგ-ამირსპასალარი 1241–1259 წ.წ.

44. ზაქარია II (შანშე I-ის ძე) მხარგრძელი
ამირსპასალარი (1241) 1259–1261 წ.წ.

IV. <u>მანდატურთ-უხუცესი:</u>

45. შანშე (ზაქარია I-ის ძე) მხარგრძელი
ერისთავთ-ერისთავი ანისის მხარისა;
მანდატურთ-უხუცესი 1225–1261 წ.წ.

V. <u>მეჭურჭლეთ-უხუცესი:</u>

(39). ყვარყვარე-ივანე II ჯაყელი-ციხისჯვარელი
ა. ერისთავთ-ერისთავი, სამცხის ერისთავი და სპასალარი
1191–1245 წ.წ.

ბ. მეჭურჭლეთ–უხუცესი 1212–1245 წ.წ.
46. შოთა III (გრიგოლ III-ის ძე) ჰერეთის ბაგრატიონი, რუსთაველი 1165–1250 წ.წ.
ა. ერისთავთ–ერისთავი, რუსთავის ერისთავი (რუსთველი) 1196/1200 წლების ახლო დროიდან.
ბ. ერისთავთ–ერისთავი, ჰერეთისა და რუსთავისა 1210/20–იანი წ.წ. – 1250 წ.
მეჭურჭლეთ–უხუცესი 1245–1250 წ.წ.
47. გამრეკელი II თორელი
ა. ერისთავთ–ერისთავი, თორი–ჯავახეთის ერისთავი 1225–1257 წ.წ.
ბ. მესხეთის მხარის სადროშოს (სამხედრო ოლქის) მხედართ–მთავარი („დუშმნის თავი“) 1242–1248 წ.წ.
გ. მეჭურჭლეთ–უხუცესი 1250–1257 წ.წ.
48. კახა II თორელი
ერისთავთ–ერისთავი, თორი–ჯავახეთის ერისთავი; მეჭურჭლეთ–უხუცესი 1257–1270 წ.წ.

VI. <u>მსახურთ–უხუცესი:</u>
(49) ვარამ გაგელი მხარგრძელი
ერისთავთ–ერისთავი, გაგის მონაპირე ერისთავი; მსახურთ–უხუცესი 1211–1250 წ.წ.
50. მანაველი
ჰერეთის მხარის მანავის თემის ერისთავთ–ერისთავი მსახურთ–უხუცესი (რუსუდანის მეფობის დროს).
51. გრიგოლ (სულას ძე) სურამელი
ა. ერისთავთ–ერისთავი, ქართლის ერისთავი 1225–1250 წ.წ.
ბ. მსახურთ–უხუცესი 1250–1260–იანი წ.წ.

## VII ხ ა ნ ა:
1259–1329 წლები.

(სამეფოს განყოფის ხანა).
აღმოსავლეთი საქართველო

მეფენი:

დავით VII (გიორგი-ლაშას ძე) 1247–1270 წ.წ.
დიმიტრი II თავდადებული 1271–1289 წ.წ.
ვახტანგ II 1289-1292 წ.წ.
დავით VIII 1298-1312 წ.წ.
ვახტანგ III 1298-1309 წ.წ.
გიორგი VI მცირე 1312–1314 წ.წ.
გიორგი V ბრწყინვალე – 1299; 1314–1346 წ.წ.

## ვაზირნი:

I. მწიგნობართ-უხუცესი:

42. ბასილი უჯარმელი
მწიგ[illegible]ართ-უხუცესი 1248–1265 წ.წ.

II-III. ათაბაგი,
ამირსპასალარი:

(44) ზაქარია II (შანშე I-ის ძე) მხარგრძელი
ამირსპასალარი 1241–1261 წ.წ.
51. სადუნ მანკაბერდელი
ა. ამირსპასალარი 1260-იანი წლები;
ბ. ათაბაგ-ამირსპასალარი 1271–1281 წ.წ.
52. სარგის I ჯაყელი-ციხისჯვარელი
ა. ერისთავთ-ერისთავი, სამცხის ერისთავი და
სპასალარი 1245–1268 წ.წ.
ბ. სამცხის მთავარი (სამცხის სპასალარი) 1268–1284 წ.წ.
გ. მეჭურჭლეთ-უხუცესი 1270–1281 წ.წ.
დ. ათაბაგი 1281–1284 წ.წ.
53. ტარსაიჭ ორბელიანი
ერისთავთ-ერისთავი სივნიეთის მხარისა;
ათაბაგი 1284–1289 წ.წ.
54. ხუტლუბუღა სადუნის ძე
ამირსპასალარი 1281–1289 წ.წ.
ათაბაგ-ამირსპასალარი 1289–1296 წ.წ.
55. შანშე II (ივანე II-ის ძე) მხარგრძელი

ერისთავთ–ერისთავი ანისის მხარისა;
ა. მანდატურთ–უხუცესი 1290–1296 წ.წ.
ბ. მანდატურთ–უხუცესი და ამირსპასალარი 1296–1302 წ.წ.
გ. ათაბაგ–ამირსპასალარი 1309–1320 წ.წ.
56. ზაქარია III (შანშე II-ის ძე) მხარგრძელი
ერისთავთ–ერისთავი ანისის მხარისა;
ათაბაგ [ამირსპასალარი] 1320-1330 წ.წ.

IV. <u>მანდატურთ–უხუცესი</u>

(45) შანშე I (ზაქარია I-ის ძე) მხარგრძელი
ერისთავთ–ერისთავი ანისის მხარისა;
მანდატურთ–უხუცესი 1225–1261 წ.წ.
57. ივანე II (შანშე I-ის ძე) მხარგრძელი
ერისთავთ–ერისთავი ანისის მხარისა;
მანდატურთ–უხუცესი 1261–1290 წ.წ.
(55) შანშე II (ივანე II-ის ძე) მხარგრძელი
ა. მანდატურთ–უხუცესი 1290–1296 წ.წ.
ბ. მანდატურთ–უხუცესი და ამირსპასალარი 1296–1302 წ.წ.
58. ბექა I ჯაყელი–ციხისჯვარელი, კანონმდებელი
ა. სამცხის მთავარი 1284–1309 წ.წ.
ბ. მეჭურჭლეთ–უხუცესი 1281–1302 წ.წ.
გ. მანდატურთ–უხუცესი 1302–1309 წ.წ.
59. სარგის II ჯაყელი–ციხისჯვარელი
სამცხის მთავარი;
მანდატურთ–უხუცესი 1309–1334 წ. წ.

V. <u>მეჭურჭლეთ–უხუცესი</u>

(48) კახა II თორელი
ერისთავთ–ერისთავი, თორი–ჯავახეთის ერისთავი;
მეჭურჭლეთ–უხუცესი 1257–1270 წ.წ.
(52) სარგის I ჯაყელი–ციხისჯვარელი
სამცხის მთავარი;
ა. მეჭურჭლეთ–უხუცესი 1270–1281 წ.წ.
ბ. ათაბაგი 1281–1284 წ.წ.

(68) ბექა I ჯაყელი–ციხისჯვარელი

სამცხის მთავარი;

ა. მეჭურჭლეთ–უხუცესი 1281–1302 წ.წ.

ბ. მანდატურთ–უხუცესი 1302–1309 წ.წ.

VI. მსახურთ–უხუცესი:

(50) გრიგოლ (სულას ძე) სურამელი

ა. ერისთავთ–ერისთავი, ქართლის ერისთავი 1225–1250 წ.წ.

ბ. მსახურთ–უხუცესი 1250–1260–იანი წ.წ.

60. ბეგა (გრიგოლის ძე) სურამელი V

ა. ერისთავთ–ერისთავი, ქართლის ერისთავი 1250–1280/90–იანი წ.წ.

ბ. მსახურთ–უხუცესი 1260–იანი–1280/90–იანი წ.წ.

61. ჰამადა (ბეგას ძე) სურამელი

ერისთავთ–ერისთავი, ქართლის ერისთავი;

მსახურთ–უხუცესი 1280/90–იანი წ.წ. – XIV-ს–ის დასაწყისი.

VII-ბ დასავლეთი საქართველო

მ ე ფ ე ნ ი:

დავით VI (რუსუდანის ძე) 1236; 1247–1293 წ.წ.

კონსტანტინე I 1293-1327 წ.წ.

მიქელ I 1327-1329 წ.წ.

ვ ა ზ ი რ ნ ი

I. მწიგნობართ–უხუცესი:

II. ამირსპასალარი:

62. კახაბერ კახაბერისძე

ერისთავთ–ერისთავი, რაჭისა და თაკვერის ერისთავი;

[ამირსპასალარი] 1259-1260-იანი წ.წ.

–[ამანელისძენი (?) 1260–იანი წ. – XIV ს–ის

დასაწყისი]

III. მანდატურთ–უხუცესი:

63. ცოტნე დადიანი

ერისთავთ–ერისთავი, ოდიშის ერისთავი;

ა. ლიხთ-იმერეთის დასავლეთი სადროშოს (სამხედრო ოლქის) მხედართ-მთავარი ("დუმნის თავი") 1242–1248 წ.წ.
ბ. მანდატურთ-უხუცესი 1259-1260 წ.წ.

64. ბედიანი II (ჯუანშერის ძე) დადიანი
ერისთავთ-ერისთავი, ოდიშის ერისთავი;
მანდატურთ-უხუცესი 1260–1290–იანი წ.წ.

65. ხაჟიგ დადიანი
ერისთავთ-ერისთავი, ოდიშის ერისთავი; .
მანდატურ-უხუცესი 1290–იანი წ. – XIV ს.ის დასაწყისი.

66. ბეშქენ ვარდანისძე
ერისთავთ-ერისთავი, სვანთ-ერისთავი/გურიელი;
მანდატურთ-უხუცესი XIV ს–ის დასაწყისი – 1329 წ.

IV. <u>მეჭურჭლეთ-უხუცესი:</u>

V. <u>მსახურთ-უხუცესი:</u>

ვარდანისძენი.

67. არიშინიანი ვარდანისძე
ერისთავთ-ერისთავი, სვანთ-ერისთავი/გურიელი;
მსახურთ-უხუცესი 1270–იანი წ. – XIII ს–ის ბოლო.

68. ივანე ვარდანისძე
ერისთავთ-ერისთავი, სვანთ-ერისთავი/გურიელი;
მსახურთ-უხუცესი XIV ს–ის დასაწყისი – 1350 წ.

## <u>VIII ხ ა ნ ა:</u>

## 1329–1393 წლები.

სამეფოს გაერთიანების ხანა
გიორგი V ბრწყინვალის, დავით IX-ისა და
ბაგრატ V დიდის მეფობა).

<u>მ ე ფ ე ნ ი:</u>

გიორგი V ბრწყინვალე 1299; 1314–1346 წ.წ.
დავით IX 1346-1360 წ.წ.
ბაგრატ V 1360-1393 წ.წ.

## ვ ა ზ ი რ ნ ი

**I.** <u>მწიგნობართ-უხუცესი:</u>

69. გიორგი II ჭყონდიდელი

მწიგნობართ-უხუცესი 1340/1360-იანი წ.წ.

**II-III.** ა თ ა ბ ა გ ი,

<u>ამირსპასალარი:</u>

(56) ზაქარია III (შანშე II-ის ძე) მხარგრძელი,

ერისთავთ-ერისთავი ანისის მხარისა;

ათაბაგ-ამირსპასალარი 1320-1330/35 წ.წ.

70. ყვარყვარე II ჯაყელ-ციხისჯვარელი

სამცხის მთავარი;

ამირსპასალარი 1330/35-1361 წ.წ.

71. შალვა ჯაყელი-ციხისჯვარელი

სამცხის მთავარი;

ა. ათაბაგი და სამცხის სპასალარი 1330/5-1361 წ.წ.

ბ. ათაბაგ-ამირსპასალარი 1361-1370 წ.წ.

72. აღბუღა ჯაყელი-ციხისჯვარელი, კანონმდებელი,

სამცხის მთავარი;

ათაბაგ-სპასალარი 1370-1391 წ.წ.

73. ივანე II ჯაყელი-ციხისჯვარელი

სამცხის მთავარი;

ათაბაგ-ამირსპასალარი 1391-1444 წ.წ.

**IV.** <u>მანდატურთ-უხუცესი:</u>

(59) სარგის II ჯაყელი-ციხისჯვარელი

სამცხის მთავარი;

მანდატურთ-უხუცესი 1309-1334 წ.წ.

74. [მამია დადიანი

ერისთავთ-ერისთავი, ოდიშის ერისთავი;

მანდატურთ-უხუცესი (?) 1334-1345 წ.წ.]

75. გიორგი (მამიას ძე) დადიანი

ერისთავთ-ერისთავი, ოდიშის ერისთავი;

მანდატურთ-უხუცესი 1345-1370-იანი წ.წ.

76. ვამეყ (გიორგის ძე) დადიანი

ერისთავთ-ერისთავი, ოდიშის ერისთავი;
მანდატურთ-უხუცესი 1370-იანი წ. – 1396 წ.

V. <u>მეჭურჭლეთ-უხუცესი:</u>

ფანასკერტელნი

77. ზაზა ფანასკერტელი

ერისთავთ-ერისთავი, შავშეთ-კლარჯეთ-ტაოთა ერისთავი;
მეჭურჭლეთ-უხუცესი 1380/90-1410-იანი წ.წ.

VI. <u>მსახურთ-უხუცესი:</u>

(68) ივანე ვარდანისძე

ერისთავთ-ერისთავი, სვანთ-ერისთავი/გურიელი;
მსახურთ-უხუცესი 1329-1350 წ.წ

79. <u>სვიმონ ვარდანისძე</u>

ერისთავთ-ერისთავი, სვანთ-ერისთავი/გურიელი;
მსახურთ-უხუცესი 1350-1370 წ.წ.



„მუხრანის ხიდი" ახლანდელი ბარათაშვილის სახელობის

ფოტო თამაზ ქიქავასი

# თავადები



თავადი დიდებულის სოციალური მემკვიდრეა. ზოგიერთი ფეოდალური გვარი, რომელიც მე–15 საუკუნემდე დიდებული იყო, მე–15 საუკუნიდან თავადად იწოდა.

მე–15 საუკუნის შემდეგაც წყაროებში თავადი და დიდებული ერთსა და იმავეს ნიშნავდა.

თავადები საქართველოს მეფე–მთავართა, დედოფალთა და ბატონიშვილთა ვასალები იყვნენ. თავის მხრივ, მათ ვასალებად ჰყავდათ აზნაურები. თავადის სამფლობელო–სათავადო შედგებოდა ნაწყალობევი, ნასყიდი და სხვა სახის ყმა–მამულისაგან, რომელიც თავადს „სამკვიდროდ, სამამულედ, უცილობლად და ხელშეუვალად“ ჰქონდა გასხვისების უფლებით და იმუნიტეტით. თავადის წოდებრივი უფლებები ვრცელდებოდა მისი სახლის ყველა წევრზე და გადადიოდა მემკვიდრეობით. მეფეს ბეითალმანის უფლება ჰქონდა – ამოწყვეტილ თავადთა მამული მეფის საკუთრებაში გადადიოდა. ყოველ ახალ მეფეს თავადის სამფლობელოს განახლების უფლება ჰქონდა, მაგრამ გვიანდელ საშუალო საუკუნეებში წყალობის განახლებას ფორმალური ხასიათი მიეცა.



თავადის ასულის ტიპი

XIV-XVII საუკუნეებში, როცა ცენტრალური ხელისუფლება სუსტი იყო, მნიშვნელოვნად გაიზარდა თავადების ეკონომიური და პოლიტიკური სიძლიერე, მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ. ხშირად ისინი მეფისაგან დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდნენ, აწყობდნენ შეთქმულებებს და ზოგჯერ პირადი სარგებლობისათვის უცხოელ დამპყრობლებსაც კი ემხრობოდნენ. ზოგი თავადი (არაგვის, ქსნის და რაჭის ერისთავები, აბაშიძეები და სხვ.) ისე გაძლიერდა, რომ თითქმის მთავრის უფლებები მოიპოვა. თავადებმა სამემკვიდროდ დაიჩემეს დიდი თანამდებობები (სახლთუხუცესი, ბოქაულთუხუცესი, მეჯინიბეთუხუცესი, ზინდართუხუცესი, მოურავი, ნაცვალი, ბოქაულები, იასაულები, მდივანი და სხვ.) თავადები მოხელეებად თავისივე აზნაურებს და მსახურებს ნიშნავდა. მას აზნაურებისა და მსახურებისაგან შემდგარი სამხედრო და საპოლიციო რაზმები ჰყავდა,

რომელთა საშუალებით ერთი მხრივ, სამეფო ლაშქარში გამოდიოდა, მეორე მხრივ კი მორჩილებაში ჰყავდა გლეხობა. თავადის და მისი ყმა-მამულის მთავარი მოვალეობა მეფე-მთავრებისადმი ლაშქარ-ნადირობა იყო. გარდა ამისა, თავადის მამულს ედო „სახელმწიფო კოდის პური", საური, საბალახო და სხვა. ზოგიერთი თავადის ყმა-გლეხობა ერთ ან ორი სახის გადასახადს იხდიდა, ზოგჯერ თავადის ყმების მხოლოდ ერთი ნაწილი იხდიდა სახელმწიფო გადასახადს, ზოგიერთი თავადის ყმა-მამული კი სულ თავისუფლდებოდა ყოველგვარი სახელმწიფო გადასახადისაგან.



თავადის ტიპი

თავადის სახლს ჰქონდა მეფისაგან ნაბოძები „სახლისკაცობის რიგი და წესი", სადაც ჩამოყალიბებული იყო სახლის უფროსისა და სხვა წევრების უფლება-მოვალეობანი, ყმა-მამულის მოვლის წესი, შემოსავლის განაწილების რიგი და სხვა. თავადის სახლს თავისი უფროსი და ბატონი ჰყავდა, რომელსაც მეფე ნიშნავდა „სახლისკაცების ნებაყოფლობით". თუმცა ხშირად იძულებული იყო, სახლისკაცების მიერ არჩეული ან თავისით „დამჯდარი" სახლის უფროსი ეცნო. ეს იყო სიუზერენის მიერ ვასალის შეწყალება-დალოცვის წესის გადმონაშთი. **სახლის უფროსს თავადი, ხოლო სახლიკაცებს თავადიშვილები ეწოდებოდათ.** სახლის უფროსი იყო უზენაესი გამგებელი სათავადოში. მას ეკისრებოდა მამულის მართვა-გამგეობა, ურთიერთობა მეფესთან, მეზობელ თავადებთან და სხვ. სახლის უფროსი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობით თავადიშვილზე მაღლა იდგა.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მიხედვით საქართველოში თავადთა სამი კატეგორია იყო: 1. **დიდებული თავადი**. 2. **შუა თავადი** და 3. **დაბალი თავადი** ანუ **მესამე თავადი**. ქართლში ე ქ ვ ს ი  დ ი დ ე ბ უ ლ ი  თ ა ვ ა დ ი  ი ყ ო (**არაგვისა** და **ქსნის ერისთავები**, **ბარათაშვილი**, **ამილახვარი**, **მუხრან-ბატონი** და **ციციშვილი**), იმერეთში მე-17 საუკუნის შუა წლებისთვის – ა თ ი (**აბაშიძე**, **რაჭის ერისთავი**, **წერეთელი**, **წულუკიძე** და სხვა.). **კახეთის დიდებული თავადები** იყვნენ **ჩოლოყაშვილები**, **ვაჩნაძეები**, **ჯანდიერები** და სხვ. დიდებული თავადები აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის მართავა-გამგეობაში და დიდ გავლენას ახდენდნენ სახელმწიფო საქმეებზე, ხშირად მეფის წინააღმდეგაც გამოდიოდნენ.

# თავადი რაჭის ერისთავები

რაჭა, – ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული ფეოდალურ საქართველოში. ჩამოყალიბდა X საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, ერთიანი ქართული მონარქიის შექმნის შემდეგ. წერილობითი წყაროების მიხედვით, რაჭის პირველი ერისთავი იყო ბაღვაშთა საგვარეულოს წარმომადგენელი რატი. რატის შემდეგ რაჭის ერისთავი გამხდარა მისი ძე კახაბერი (ამ სახელიდან გაჩნდა გვარსახელი – კახაბერის ძე), რომელსაც შუა საუკუნეებში ატარებდა ბაღუაშთა ის შტო, რომელიც რაჭის საერისთაოს განაგებდა.

რაჭის საერისთაო ერთიანი საქართველოს სამეფოში მნიშვნელოვან ერთეულს წარმოადგენდა. მისი ერისთავები დიდ როლს თამაშობდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

## რაჭის პირველი ერისთავები

(ისტორიიდან)

დასავლეთ საქართველოს უძლიერესი ფეოდალური გვარის წარმომადგენელი ლიპარიტ ბაღვაში (ბაღვას-ძე) IX საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოში გადაიდა, თრიალეთისა და შიდა ქართლის საზღვარზე. თრიალეთის ქედის კლდოვან უღელტეხილზე 80-იან წლებში კლდეკარის ციხე ააგო და საერისთაო ჩამოაყალიბა.

ლიპარიტის საერისთაო მოიცავდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ქვეყანას, თრიალეთს, მანგლისის ხევს და სკვირეთს. ერისთავმა მდინარე ქციის მარჯვენა ნაპირას საფუძველი ჩაუყარა სოფელ ლიპარიტისუბანს და იქ ლიპარიტის მონასტერიც დააარსა (დღევანდელი წალკის რაიონის ადგილი „კაკლიანი"). ეს მონასტერი ვახუშტი ბატონიშვილის დროსაც ცარიელი იყო (სხვათა შორის, ლიპარიტი ვულკანური ქანია, რომელიც ქიმიური შემადგენლობით შეესაბამება გრანიტს: ჩვეულებრივ ძალიან მდიდარია მინით, ხშირად აქვს პორფირისებური ჩანაწინწკლები. ეს სახელწოდება მიღებულია სიცილიის ჩრდილოეთით არსებულ ლიპარის კუნძულების სახელის მიხედვით, სადაც პირველად აღმოაჩინეს ეს ქანი). საერისთაოს ცენტრი ატენში მდებარეობდა.

975 წელს დიდმა დავით კურაპალატმა თავისი შთამომავალი ბაგრატი ქართლის მეფედ გამოაცხადა. სამი წლის შემდეგ ბაგრატ მესამემ დასავლეთ საქართველოც შემოიერთა. ამით ჩაეყარა საფუძველი საქართველოს გაერთიანებას, რომელიც შემდეგ დავით აღმაშენებელმა დიდგორის ომით და თბილისის შემოერთებით დააგვირგვინა.

ბაღვაშებს ფრიად დამოუკიდებლად ეჭირათ თავი. რატი წინ აღუდგა ბაგრატ მესამეს. მაშინ საქართველოს მეფემ 989 წელს მოულოდნელად ალყა შემოარტყა კლდეკარის ერისთავს, რატი იძულებული შეიქმნა ბაგრატისთვის დაეთმო,

თეითონ გამოეიდა ციხიდან ვაჟით ლიპარიტით. იგი მონაგრით უვნებლად გაატარეს თავის არგვეთში, სადაც ისინი მამაპაპეულ მამულში დასახლდნენ.

პ. ინგოროყვას გამოკვლევით ერისთავყოფილ, ჰიმნოგრაფ რატის ეკუთვნის საგალობელი ტიტე მოციქულისა (დაცულია 1049 წ. გოლგოთურ კრებულში). მას მონაწილეობა მიუღია X-XI საუკუნის იმ საწელიწადო იადგარის შედგენაში, რომელსაც „ახალს“ უწოდებენ.

იმ პერიოდში რაჭის მოსახლეობა ძლიერ გამრავლდა. ბაგრატ მესამემ გადაწყვიტა იქ საერისთაოს ჩამოყალიბება. ერისთავმა არჩევანი შეაჩერა ლიპარიტის მესამე ძეზე – რატიზე. გადაწყდა – რატი გახდა რაჭის პირველი ერისთავი. მეფე ამითაც არ დაკმაყოფილდა, რატის მეორე ძე ლიპარიტი თავის მოხელედ – კლდეკარის ერისთავად დასვა და ეს ქვეყანა ამგვარად დაიმორჩილა.

რატი ძალზე მადლიერი დარჩა საერისთავოს წყალობით და მეფეს ერთგულად ემსახურებოდა. 1010 წელს რატის საერისთავოს მეომრებით გაძლიერებულ ბაგრატის ლაშქარს შეუერთდნენ ლიპარიტის კლდეკარელები და კახეთ–ჰერეთი შემოიერთეს.

ბაგრატ მესამის დაღუპვის შემდეგ, რატიმ უერთგულა ბაგრატის თორმეტი წლის ვაჟს გიორგი პირველს და მთელს ცხოვრებას ცხენზე ამხედრებული, უნაგირზე ხმალამოწვდილი ატარებდა. ჭაბუკ მეფეს საქართველოს გაერთიანების ბრძოლაში გვერდით ედგა. 1021 წელს სამხრეთ საქართველოში, სოფელ შირიმში დიდ ბრძოლაში დაიღუპა სახელოვანი სარდალი რატი, სადაც ის გიორგი პირველის გვერდით ბიზანტიის კეისარ ბასილისაგან საქართველოს დამოუკიდებლობას იცავდა. ამ მამულიშვილებმა საფუძველი ჩაუყარეს დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქას.

რატის დაღუპვის შემდეგ, რაჭის ერისთავად ეხედავთ მის ვაჟს კახას. კახა ერისთავმა პატარა ონში თავის მეუღლე დალიდასთან ერთად ააგო წმ. ნიკოლოზის ეკლესია, შემდეგ ჯრუჭში „კახა ერისთავის ხელმწიფებასა“ ააგო ბაზილიკა. 1031 წელს კახა ბერად აღიკვეცა და კირილე ეწოდა (ბერად აღკვეცილი კახა ერისთავი ისტორიაში შევიდა კახაბერის სახელით). მამის საერისთავო რატი კახაბერის ძეს გადაეცა.

რაჭის ერისთავებმა თავის ადგილსამყოფელად ბარაკონი აირჩიეს. თრიალეთის კლდეკარის მსგავსად გაამაგრეს კოშკებით ხიდიკარი და სკოდორა – მათაც კლდეკარი უწოდეს. დაიწყეს მშენებლობა რიონსა და ლუხუნს შორის მდებარე კლდეზე თავიანთი წინაპრების „მოდინახეს“ ციხის მსგავსი შენობისა, რომელსაც შემდეგ „მინდაციხე“ ეწოდა. ააგეს რიონის პირას „ნინიას ციხე“ (ალბათ ციხის ამშენებელ ნინია კახაბერის–ძის პატივსაცემად „ნინიას ციხე“ ერქვა ადრე). ბატონი აკაკი გეწაძის სიტყვით, ამ ციხიდან მეციხოვნე მოჯალაბე გოგობერიშვილები კარგად ხედავდნენ: მინდაციხეს, სკოდორას, ხიდიკარს და ველიეთის წმინდა გიორგის.

იმ პერიოდში რაჭაში უძველესი ხანის კულტურის ცენტრთაგანი იყო ჭელიშის უდაბნო – წმინდა ამბროსის თქმით ჭელიძის მიერ დაარსებული. აქ დუღდა სამონასტრო ცხოვრება. ბერების მიერ იწერებოდა წიგნები, იჭედებოდა ხატები. ჭელიშის ახლოს შენდება მთის წმინდა გიორგის ეკლესია (X ს.); სორის (IX-X ს.ს.) ეკლესია საკვირაოს გორაზე; ველიეთის წმ. გიორგი (IX-X ს.ს.), ჯოისუბანი (VIII-IX ს.ს.) და ა.შ.

ჭელიშიდან ოთხ ვერსზე დაშორებით იგება ხუროთმოძღვრების უშესანიშნავესი ძეგლი – ნიკორწმინდის გუმბათიანი ტაძარი (1010–1014 წლებში; X-XI ს.ს-ის საზღვარზე შენდება კრიხის ჩუქურთმიან-წარწერიანი ეკლესია; XI ს–ში იქმნება მრავალძალის ეკლესია; შენდება სხვავის მეორე ეკლესია– კულტურის ცენტრმა ნიკორწმინდისკენ გადმოიწია.

ნიკორწმინდის წარწერებში იხსენიებენ ბაგრატ მესამეს და მის ძეს გიორგი პირველს, ერისთავთერისთავს და ნოველესიმოსს ნიანიას, კახაბერსა და რატის, ერისთავთერისთავის რატის ასულს დედოფალთდედოფალს ევფემიას, ერისთავთერისთავს რატის კახაბერყოფილს კირილეს–ძეს.

რაჭის ერისთავებმა არც არგვეთი დაივიწყეს. ყვირილას ხეობაში რატი კახაბერისძემ ააშენა მღვიმევის ეკლესია. ვახუშტი წერს: "არს მღვიმევი, კლდე დიდი გამოკვეთილი, და მას შინა მონასტერი უგუნბათო, წითლის ბრწყინვალის ქვეთ შენი." მღვიმევს რატის, მისი მეუღლის და ძმის ნიანიას ფრესკა ამშვენებს.

ხელოვნების უნიკალური ნიმუშების ჯვრებს სწირავს კაცხს, სხვავას, ნიკორწმინდას კახაბერყოფილი კირილე. კაცხის ჯვარს ამშვენებს წარწერა: „მე კახაბერ–ყოფილმან კირილე, ძემან სულკურთხეულისა ერისთავთერისთავსა რატისმან, მოვჭედე ხატი ესე ჯვარცმისაი ნუგეშის მცემლად და სალხინებლად სულისა ჩემისა ცოდვილისად და სადღეგრძელებლად ძისა ჩემისა ერისთავთერისთავსა რაჭის ერისთავსა რატისად."

სხვავის „ძელი ჭეშმარიტი" ძველ ეკლესიაში ინახებოდა ხის დიდი ჯვარი ვერცხლით მოჭედილი. 1927 წლამდე შემკული იყო მაცხოვრის, ღვთისმშობლის, წმ. გიორგის, ნათლისმცემლის და სხვა ხატებით, აგრეთვე ასომთავრული წარწერით: „მეოხ და მფარველ ეყავ ორთავე შინა ცხოვრებათა მამკობს შენსა რატის რაჭის ერისთავსა და ძესა მისსა კახაბერს, და ააშენენ აზნაურნი ეკლესიასა შენსა შემავალნი და მოხევენი და ხევნი, და ეკლესიისა შეილნი."

კახაბერ (კირილეს) ხატი, რომელიც ნიკორწმინდას შეწირა, განადგურდა 1920–იან წლებში ნიკორწმინდის გაქურდვისას (მისი სახე მხოლოდ დ. ერმაკოვის ფოტომ შემოგვინახა).

უამრავ, ნატიფ ხელოვნებიან ხატებს სწირავენ კაცხს მღვიმევის ერისთავთერისთავი კახაბერი, რატი და მისი მეუღლე დედოფალთდედოფალი რუსუდანი. ამ ხატებმა ღირსეული ადგილი დაიკავეს ქართული ოქრომჭედლობის ისტორიაში.

კაცხის და მღვიმევის ხატების შესწავლის შემდეგ შალვა ამირანაშვილი დაასკვნის, რომ რაჭის საერისთავოში არსებობდა ოქრომჭედლობის სამხატვრო სკოლა, რომელსაც ახასიათებდა თავისებური სტილი და მიმართულება.

მარადიული თოვლით დაფარული მშოდა-კედელას მთის ძირში დღეს მშოდას ნასოფლარია. აქ იყო მონასტერი, რომელიც თავის დროს ქართული კულტურის მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა. რაჭის სოფლებში დაცული ხატების უმრავლესობა აქედან არის გატანილი. ამ ხატებს აქაური ბერები ჭედავდნენ. ამას თვით ხატები გვიდასტურებენ თავიანთი წარწერებით.

რაჭის ერისთავებმა არაფერი დაიშურეს იმისათვის, რომ მღვიმევის მონასტერი მდიდრულად ყოფილიყო მორთული. მონასტერი დაამშვენეს ორნამენტებითა და ფიგურული რელიეფებით მოჩუქურთმებული კარებით. ნიკო ჩუბინაშვილის მოსაზრებით, ის კარები მღვიმევის მონასტრის მშენებლობის დროს სხვა ხატებთან ერთად გადაიტანეს რაჭიდან. XIX საუკუნის ბოლოს ეს კარები ჩამოხსნეს და ინახებოდა მონასტერში, არახელსაყრელ პირობებში, რის გამოც საკმაოდ დაზიანდ 1920 წელს მღვიმევიდან კარები საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ჩამოიტანეს. დღეს ეს კარები მუზეუმის დამთვალიერებლებს ხიბლავს (იხ. შუქრი ჭელიძე).

სხვავის ეკლესიის ჯვრის XI საუკუნის წარწერაში მოხსენიებულია რაჭის ერისთავი რატი და მისი ძე კახაბერი. მკვლევართა აზრით, იგივე კახაბერი, უკვე ბერად შემდგარი, კირილეს სახელით იხსენიება თავის ძესთან, ერისთავთ-ერისთავ რატისთან ერთად ნიკორწმინდის ჯვარცმის ხატის XI საუკუნის წარწერაში. კახაბერისძეებმა გააფართოვეს თავიანთი სამფლობელო და მიწა-წყალი. თამარის მეფობის დასაწყისისთვის ისინი ფლობდნენ არა მხოლოდ რაჭას, არამედ თაკვერსაც (ლეჩხუმს) და რაჭისა და თაკვერის ერისთავებად იწოდებოდნენ. კახაბერისძენი მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ XII-XIII საუკუნეების საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

კახაბერ კახაბერისძემ (XII ს-ის 80-იანი წლების მოღვაწე). რაჭისა და თაკვერის ერისთავი გიორგი III-ის გარდაცვალების შემდეგ, თამარის მეორე კორონაციის დროს, ქუთათელ მთავარეპისკოპოს ანტონ საღირისძესთან ერთად სამეფო გვირგვინი დაადგა თამარს. შემდეგ კახაბერისძეები ოპოზიციაში ჩაუდგნენ თამარს.

კახაბერ კახაბერისძემ (XIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი პოლიტიკური მოღვაწე), სხვა დიდებულებთან ერთად დიდად შეუწყო ხელი დავით VI ნარინის გამეფებას დასავლეთ საქართველოში. შემდგომში მონღოლმა იმერეთში დავით ლაშას ძის გამეფება, მაგრამ უშედეგოდ. კავშირი დაამყარა მონღოლებთან. დავით ნარინს აუმხედრა აბაღა-ყაენის წინააღმდეგ აჯანყებული და დასავლეთ საქართველოში თავშეფარებული ღალღური. კახაბერისძე ყაენის კარზეც გაჰყვა ღალღურს და იქ დავით ნარინის საწინააღმდეგო საქმიანობას ეწეოდა. იქიდან კახაბერისძე ქართლში, ატენში დაბრუნდა. დავით ნარინმა შეიწყალა

ორგული ერისთავი და რაჭაც დაუბრუნა. მცირე ხნის შემდეგ კვლავ ულალატა მეფეს. მონღოლ სარდალ ალიყანთან გააბა მიმოწერა დავით ნარინის შეპყრობის თაობაზე. მეფემ ხელთ იგდო კახაბერი, თვალები ამოშანთა და ცალი ხელი და ცალი ფეხი მოჰკვეთა, ერისთავის ორი შვილი განდევნეს კონსტანტინეპოლში. ამით დასრულდა კახაბერისძეების მფლობელობა რაჭაში. კახაბერისძეთა საგვარეულო, როგორც ჩანს, ამოწყდა. XIV საუკუნის მიწურულს, კვლავ აღდგენილ რაჭის საერისთავოს სხვა საგვარეულო ჩაუდგა სათავეში.

X-XIII საუკუნეებში რაჭის საერისთავოს ჩრდილოეთით სვანეთის საერისთავო ესაზღვრებოდა. მათი გამყოფი იყო ლეჩხუმის ქედი. კავკასიონის მთავარ ქედამდე რაჭის საერისთავო მდინარე ჭანჭახის სათავეებამდე აღწევდა. სამხრეთით რაჭის ქედი ესაზღვრებოდა. დასავლეთით თაკვერიდან მას გამოყოფდა გუელისთავის ქედი (ლაბეჭინის სერი), ხოლო უშუალოდ მდ. რიონის ხეობაში ის ვიწროები, რომლებიც სოფელ ალპანის სამხრეთით იწყება. მდ. ჯეჯორის აუზში საზღვრები დაღვერილას ქედამდე აღწევდა. ამ ქედის ჩრდილოეთით მხარე კუდარო იყო.

X-XIII საუკუნეებში რაჭის ერისთავები მეფის მოხელეებს წარმოადგენდნენ, მათ ევალებოდათ საერისთავოში სამეფო გადასახადების აკრეფა, ლაშქრის გამოყვანა და წინამძღოლობა. ამ პერიოდში რაჭის ერისთავთა მთავარი რეზიდენცია მინდაციხე იყო. დიდი ციხე-დარბაზი იყო კვარის ციხეც.

X-XIII საუკუნეებში რაჭის საერისთავო დაყოფილი იყო ხევებად, რომლებიც ერთად რამდენიმე სოფელს აერთიანებდნენ. ხევში გლეხებთან ერთად ხევის აზნაურებიც შედიოდნენ. თითოეულ ხევს ჰქონდა თავისი სამლოცველო, რომლის მთავარ დღეობაზე მთელი ხევის მოსახლეობა იყრიდა თავს. X-XIII საუკუნეებში რაჭის საერისთავოში ქართული ხელოვნების მრავალი ძეგლი ააგეს (პატარა ონის, მთის წმინდა გიორგის, კრიხის საყდრები, ნიკორწმინდის ტაძარი და სხვ.)

XIV ს-ის 30-იან წლებში გიორგი V ბრწყინვალემ საქართველოს ერთიანობა აღადგინა და რაჭა მის შემადგენლობაში შევიდა. შემდგომში საქართველოს მეფეებმა რაჭის საერისთავო აღადგინეს. თავდაპირველად რაჭის ერისთავთა ტიტულს ჭარელიძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები ატარებდნენ, ხოლო დაახლოებით 1488 წლიდან -ჩხეტიძეები. XV საუკუნის მე-2 ნახევარში, საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ, რაჭის საერისთავო იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა. დაახლოებით ამ პერიოდში რაჭის საერისთავოს შემადგენლობაში შევიდა ძველი სვანეთის საერისთავოს ერთი ნაწილი – "მთიულეთი" (მდინარე რიონისა და მდინარე ცხენისწყლის სათავეებში).

გვიანდელ შუა საუკუნეებში რაჭის საერისთავო ჩრდილო-აღმოსავლეთით უშუალოდ კავკასიონის მთავარ ქედს ებჯინებოდა. სვანეთიდან მას ლეჩხუმის ქედი მიჯნავდა. ლეჩხუმიდან – მდინარე ასკისწყალი, ხოლო მდინარე რიონის

სამხრეთით – რაჭის ქედი, რომელიც რაჭის საერისთავოს იმერეთისგან გამოყოფდა. გვიანდელ შუა საუკუნეებში მდინარე ჯეჯორას ხეობაში საკუთრივ რაჭის საზღვრები დალევერილას ქედამდე აღწევდა. ამ მდინარის ზემოთში მდებარე კუდარო უმეტეს შემთხვევაში რაჭის ერისთავებს ემორჩილებოდა. თავდაპირველად კუდარო ქართველებით იყო დასახლებული. XV-XVII საუკუნეებში მათი ადგილი დვალეთიდან გადმოსულმა ოსებმა დაიკავეს. XVI საუკუნის 30-იან წლებში იმერეთის მეფემ ბაგრატ III-მ რაჭის ერისთავებს მინდაციხე–დარბაზი გადასცა და იმერეთის სამეფოს ახლად შექმნილი სადროშოების მესამე–რაჭის სადროშოს სარდლობა ჩააბარა. რაჭის ერისთავებს საკუთარი სათავადო ჰქონდათ, რომელიც თავდაპირველად მდინარე ლუხუნის ხეობას, სოფელ წესსა და მდინარე რიონის ხეობის ერთ ნაწილს მოიცავდა. რაჭის ერისთავთა მთავარი რეზიდენცია გახდა მინდაციხე და სასახლე სოფელ წესში. აქვე იდგა ერისთავთა საგვარეულო ეკლესია–ბარაკონი. XV- საუკუნეში რაჭის საერისთავოს აზნაურები იყვნენ ჭარელიძეები, ბაქრაძეები, კოტრიძეები, ჯაფარიძეები, ლაშხიშვილები და გარაყანიძეები. მომდევნო ხანაში ჭარელიძეები, კოტრიძეები გადაშენდნენ. გარაყანიძეებმა და ლაშხიშვილებმა რაჭა დატოვეს. ჯაფარიძეებმა თავიანთი სათავადო ჩამოაყალიბეს. XVI-XVII საუკუნეებში შეიქმნა წულუკიძეების, იაშვილებისა და ყიფიანების სათავადოები. XV-XVII საუკუნეების რაჭის საერისთავოში იმერეთის მეფეები ფლობდნენ ყმა–მამულს, მათვე ეკუთვნოდათ ხოტევისა და კვარის ციხეები, სოფელი ნიკორწმინდა. საზაფხულო რეზიდენცია იყო სოფელი შაორი, სოფელი ამბროლაური. იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც სამეფოში ფეოდალური ანარქია სუფევდა, რაჭის ერისთავები შინაომების აქტიური მონაწილეები და ხშირად ინიციატორებიც იყვნენ. მათ სურდათ გაეფართოებინათ თავიანთი სათავადოები, თავი დაეღწიათ იმერეთის მეფის მოხელეობისგან და საერისთავო დამოუკიდებელ სამთავროდ ექციათ. თავდაპირველად ერისთავმა შოშიტა II-მ იმერეთში გაჩაღებულ შინაომში კანონიერ მეფეს ბაგრატ IV-ს დაუჭირა მხარი. 1678 წელს შოშიტა დაეხმარა არჩილ II-ს იმერეთის სამეფო ტახტის დაკავებაში, ბაგრატ IV-ს თურქები დაეხმარნენ და არჩილი ტახტიდან გადააყენეს. 1679 წელს თურქები პირველად შეესივნენ რაჭას და სასტიკად ააოხრეს. რაჭის ერისთავებს რუსეთში წასვლის შემდეგაც არ შეუწყვეტიათ ბრძოლა იმერეთის ხელისუფლებასთან. ერისთავმა შოშიტა III-მ კარგი ურთიერთობა დაამყარა ქართლის მეფეებთან, განსაკუთრებით ვახტანგ VI-სთან. თავდაპირველად რაჭის ერისთავები საერისთავოს თავადებს ეყრდნობოდნენ იმერეთის სამეფო ხელისუფლებასთან ბრძოლაში. მოკავშირეებმა პირველ რიგში რაჭის საერისთავოში მეფის კუთვნილი ყმა–მამული მიითვისეს: იაშვილებმა– კვარის ციხე, წულუკიძეებმა – ხოტევისა; სამეფო ყმა–მამულის დიდი ნაწილი კი რაჭის ერისთავების ხელში გადავიდა. მათვე დაიმორჩილეს რაჭის აზნაურთა დიდი ნაწი–

ლი, ხოგიც საერისთაოს ტერიტორიიდან გააძევეს. შოშიტა III-მ ჯერ ჯაფარიძეები დაიმორჩილა, შემდეგ კი იაშეილებს კვარისა და სადმელის ციხეები ჩამოართვა და რაჭიდან გააძევა. როსტომ რაჭის ერისთავის დროს რაჭის საერისთავო ფაქტობრივად დამოუკიდებელ სამთავროს წარმოადგენდა, მაგრამ იმერეთის მეფემ სოლომონ I-მა 1769 წლის მეორე ნახევარში როსტომი ოჯახიანად შეიპყრო. ხოლო რაჭის საერისთავო გააუქმა. 1784 წელს რაჭის საერისთავო იმერეთის მეფემ დავით გიორგისძემ აღადგინა. მეფის გადაწყვეტილების მიღებაში დიდი როლი ითამაშა კაცია დადიანმა. მეფემ ერისთავობა ერთ-ერთ თავის დისწულს ანტონს უბოძა. ამით უკმაყოფილო წულუკიძეებისა და წერეთლების გამოსვლა მარცხით დამთავრდა. 1785 წელს იმერეთის მეფემ რაჭის ერისთავად ანტონის ნაცვლად მისი მამა, გიორგი როსტომის ძე დასვა. ბერი წულუკიძე და პაპუნა წერეთელი ახალციხეში გაიქცნენ და 1786 წელს იანვარში 500 ლეკისა და 1000 თურქისაგან შემდგარი ლაშქრით რაჭაში შეიჭრნენ. იმერეთის მეფემ ოდიშის ლაშქარი მოიშველია და რაჭაში ილაშქრა. გადამწყვეტ ბრძოლაში 1786 წლის 26 იანვარს სოფელ სხვავასთან დავით გიორგისძემ გაიმარჯვა: 1787 წელს გიორგი რაჭის ერისთავი ბრძოლაში დაიღუპა და მის ადგილას დავით გიორგისძემ კვლავ ანტონ გიორგისძე დასვა: 1789 წელს იმერეთში გამეფდა სოლომონ II, რომელმაც საბოლოოდ გააუქმა რაჭის საერისთავო (იხ. ქსე, ტ. 8, გვ. 313–314).

ძველი ხანის რაჭის ერისთავებად ჩანან: რატი (ბაღუაში), კახაბერისძე (–ბაღუაში) (კახაბერ კახაბერისძე ერისთავი "რაჭისა და თაკუერისა"), XIII საუკუნის 80–იან წლებში მეფემ გააუქმა რაჭის საერისთავო და ერისთავთა სამფლობელო თავის სახასო მამულად გამოაცხადა. ასე დამთავრდა რაჭის საერისთავოს არსებობის ძველი ხანა.

### მეორე (ახალი ხანის) რაჭის ერისთავთა ქრონოლოგიური სია ასე წარმოგვიდგება:

1. ალბუღა (ჭარელიძე) – XIV ს–ის დასასრული–XV ს–ის დამდეგი.
2. გიორგი ჭარელიძე – 1413–1444 წ.წ.
3. ციცი ჭარელიძე – 1432 წ.
4. ქველი ჭარელიძე – XV ს–ის 30–80–იან წლებს შუა?
5. გიორგი აბლაჭელიძე – 1486–1488 წ.წ.
6. ივანე ჩხეტიძე – 1488 წ.
7. კახაბერი, ივანეს ძმა – 1497–1503 წ.წ.
8. ბედან (ჩხეტიძე?) – 1504–1533 წ.წ.
9. შოშიტა I - 1534-1565 წ.წ. (დაახლოებით).
10. ლომინი შოშიტა I-ის ძე – ზეობის წლები ცნობილი არ არის. 1566 წლი–

დან XVI ს–ის ბოლომდე?

11. პაპუნა I ლომინის ძე? – 1651–1660 წ.წ. (დაახლოებით).

12. შოშიტა II პაპუნა I-ის ძე – 1661–1684 წ.წ.

13. პაპუნა II შოშიტა II-ის ძე – 1684–1696 წ.წ.

14. შოშიტა III პაპუნა II-ის ძე – 1696–1731 წ.წ.

15. გრიგოლი შოშიტა III-ის ძე – 1732–1743 წ.წ.

16. ვახტანგ შოშიტა III-ის ძე – 1743–1749 წ.წ.

17. როსტომ შოშიტა III-ის ძე – 1749 წ–ის მიწურული ან 1750 წ. მეორე ნახევრის დამდეგი.

18. ანტონ გიორგისძე, შვილიშვილი როსტომისა – 1784–1785 წ.წ.

19. გიორგი როსტომის ძე – 1785–1787 წ.წ.

20. ანტონი – 1787–1789 წ.წ. (მეორედ).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: იეანე ჩხეტიძედან დაწყებული, რაჭის ყველა ერისთავი ჩხეტიძეთა ანუ ჩხეიძეთა საგვარეულოდან იყოს. არ იხსენიება მხოლოდ ბედანის გვარი, მაგრამ ფიქრობენ, რომ ისიც ამ საგვარეულოს ეკუთვნოდა (იხ. ო. სოსელია, დასახ. ნაშრ., გვ. 118–119).

რაჭის ერისთავთა აზნაურები იყვნენ: ლორთქიფანიძეები, ბამრეკელიძეები, დარახველიძეები, ლომინაძეები, დემეტრაძეები, საკანდელიძეები, ლაპყე-პიანები, ბუზაშვილები, ჯაფარიძეები, გამყრელიძეები, ბაქრაძეები, იაშვილები და მოცირიძეები. ერისთავი თავის საერისთავოს მოხელეთა საშუალებით მართავდა. ერისთავთა საგვარეულო საბუთებში იხსენიებიან: მათი მოურავეები, ხელოსნები, მორდალი, მამასახლისი, კარისკაცი, მდივანი, საეკლესიო მსახურთაგან კიდევ – "კარის დეკანოზ–მწიგნობარ–მდივან–მოძღვარი"[?], "კარის წინამძღვარი", მოძღვარი ან მოძღვარ–მღვდელი და მღვდლები.

ერისთავთა მოურავეებად ვხედავთ მათ აზნაურებს: შიოშ ჯაფარიძეს (1731–1743 წ.წ.), დავით ჯაფარიძეს (1789 წ.), ოტია ჯაფარიძეს (1811 წ.), ბერი ბაქრაძეს (1754 წ.), კიდევ ბერი (II) ბაქრაძეს (1791 წ.), დავით საკანდელიძეს (1805 წ.), ფრიდონ გამყრელიძეს (1812 წ.) და ფირან ლომინაძეს (1813 წ.).№IX

# აზნაურები

**XIX** საუკუნეში, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, ცვლილებები მოხდა თავადთა წოდებაშიც. მნიშვნელოვნად შეიზღუდა თავადების შეძლებულობა. მათ დაკარგეს პოლიტიკური უფლებები. თავადების ვასალობიდან გათავისუფლდნენ აზნაურები, ორგანიზაციულად გაფორმდა თავად-აზნაურთა წოდება.

ადრინდელი ფეოდალური ხანის საქართველოში ქართველ ფეოდალთა კლასი წარმოდგენილი იყო აზნაურობის სახით. ამავე ხანაში გაჩნდნენ დიდებული აზნაურები, რომლებიც დანარჩენ ჩვეულებრივ აზნაურებზე უფლებრივად და ეკონომიკურად მაღლა იდგნენ. დიდებულ აზნაურებს ვასალი აზნაურები ჰყავდათ. XV ს-ში დიდებული აზნაურების ცალკე ფენა თავადთა წოდების სახით ჩამოყალიბდა და შეიქმნა გაბატონებული კლასის ორი წოდებრივი კატეგორია: **თავადთა წოდება** და **აზნაურთა წოდება**. ნაწილი აზნაურებისა **თავადთა** დამოკიდებულებაში მოექცა. აზნაურები ჰყავდათ აგრეთვე მეფეს (სამეფო აზნაურები) და ეკლესიას (**საეკლესიო აზნაურები**) (იხ. ქსე, ტ. 4, თბ., 1979 წ., გვ. 560–561; ნ. ასათიანი. საადგილმამულო ურთიერთობისა და სათავადოების არსებობის საკითხისათვის XVI-XVIII საუკუნეებში კახეთის სამეფოში "თსუ შრომები", 1959, ტ. 77; ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი 2, თბ., 1965; დ. გეგიტიშვილი. ნარკვევები ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბ., 1985; ო. სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), ტ. 1, თბ., 1973; მისივე. ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან (სათავადოების სისტემა), თბ., 1966)..

აზნაური ფეოდალური საზოგადოების გაბატონებული კლასის წარმომადგენელი. უძველეს ქართულ ნათარგმნ ლიტერატურაში (ძველი და ახალი აღთქმის წიგნები) სიტყვა აზნაური "თავისუფალის" მნიშვნელობითაა ნახმარი. "აზნაურთა", "დიდ-დიდ აზნაურთა" და "უაზნოთა" არსებობა ქართლში უკვე V საუკუნის II ნახევრის ორიგინალურ ძეგლში "შუშანიკის მარტვილობაშია" დადასტურებული. იმდროინდელ საქართველოში არსებობდა წოდებრივი ჯგუფები, კერძოდ, მემკვიდრეობითი პრივილეგიებით აღჭურვილი მემამულეთა წოდება. სახელწოდება "აზნაური" მომდევნო პერიოდში ყველა წარჩინებულზე გავრცელდა და სწორედ ამ წოდებას აღნიშნავდა. ასე რომ, ქართული "აზნაური" დაახლოებით იმასვე აღნიშნავდა, რასაც დასავლეთ ევროპაში ნობილი (წარჩინებული). X-XIII საუკუნეებში აზნაურთა წოდების სტრუქტურა ასე წარმოგვიდგება: ყველაზე მაღალ წრეს შეადგენენ " დიდებულნი აზნაურნი" ან მარტივად "დიდებულნი" – მსხვილი ფეოდალური არისტოკრატია. დიდებულად იწოდებო-

და ისეთი აზნაურიც, რომელიც დიდი მამულისა და მრავალრიცხოვან ყმათა მფლობელი იყო და ამიტომ ესა თუ ის დიდი თანამდებობაც ეჭირა. ასეთ აზნაურს საკუთარი ციხეც ჰქონდა. ამდენად, "დიდებული აზნაური" და "ციხი-ეანი" ანუ "ციხის უფალი აზნაური" მეტ-ნაკლებად ერთი და იგივე იყო. იყვნენ აგრეთვე "უციხო აზნაურნი" – საშუალო და წვრილი აზნაურობა. რადგან აზნაურული პრივილეგიები მემკვიდრეობითი ხასიათისა იყო,ამიტომ ამ წოდების დიდი უმრავლესობა "მემამულე", "ნათესავით" (ე.ი. მემკვიდრეობითი) აზნაურებისაგან შედგებოდა. შედარებით იშვიათად შეიძლებოდა "გააზნაურებაც", განსაკუთრებით მეფის სამსახურში დაწინაურების გზით. ამგვარად ჩნდებოდა "მსახურეულ აზნაურთა" ჯგუფი ("ტაძრეულნი აზნაურნიც" ალბათ იგივენი იყვნენ), რომელიც "დიდგვაროვანთა" "მსახურეული სახლებისაგან" განსხვავებით ახლად იძენდა წოდებრივ პრივილეგიებს.

ოქტომბრის რევოლუციამ მოსპო აზნაურობა, როგორც მემამულეთა კლასის ნაწილი და პრივილეგიური წოდება (იხ.: ქსე, ტ. 4, თბ., 1979. გვ. 214–215; დ. ყიფიანი, მემუარი, ს. ხუნდაძის რედ. ტფ., 1940; ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წგნ. 1. ტფ., 1928; წგნ. 2. ნაკვ. 1–2, ტფ. 1928–29.).

# ქართული გვარის გეოგრაფია

ქართული
გვარ-სახელების
ფორმები დიდი
მრავალფეროვნებით
გამოირჩევა. ამას ერთის
მხრივ განაპირობებს
საქართველოს ისტორიულ-
გეოგრაფიულ მხარეთა
და შესაბამისად ქართული
ენის დიალექტთა
სიმრავლე და მეორეს
მხრივ, თვითონ
ქართული გვარ-სახელის
სიძველე.



# ნაწილი II

# საქართველოს ისტორია გვარ-სახელებში

## მასალები ისტორიულ-ბიოგრაფიული ლექსიკონისათვის

ანი არს პირველი ასო და ხმიანი და ართრონი (ართრონი არიან ასოები, რომელიმე წინა მოეზავებიან სიტყვათა და რომელიმე უკანა და გვარიან ჰყოფენ და დაატკბობენ – ართრონი არიან ესენი: ა, აი, აე, ან, ანუ, ალ, გა, გან, გე, გი.

ა. 1 ნაწილაკი; იგივეა, რაც აჰა (მნიშვ.).

2. შორისდებული, იგივეა, რაც ააჰ!

ა- წინსართი ზმნისა: 1). აღნიშნავს მიმართულებას ქვევიდან ზევით. მაგ., ა-ფრინდა ქორი. ა-ფრინდა; რწყილი ა-ხტა, დახტა. 2). ზმნის უსრული სახის ფორმას აქცევს სრული სახისად. მაგ. ა-აშენა (შდრ. აშენა), ა-არჩია (შდრ. არჩია). აწმყოს ფორმას აძლევს მყოფადის მნიშვნელობას. მაგ. ა-არჩევს (შდრ. არჩევს). ა-შრიალებს (შდრ. აშრიალებს).

– ა არის მეშველი ზმნის შეკვეცილი სახე (შედგენილ შემასმენელში). ლამაზია (ლამაზი არის), ავადაა (ავად არის) (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, თბ, 19, 86, გვ.11).

გვარებში ანჯაფარია, ანჯაფარიძე ან ართრონია, ფუძე -ჯაფარ (შდრ. ჯაფარიძე).

და, დალა;
ჳ
ვ
ი, აი;
მ, მე, მი;
ნ, ნა;
ს, სა;
უ
შე;
წ, წა
ბოლოს ართრონი ესე:
ა, აო,
გან,
და, დე, დი, დო,
ე
თ,
ი, აი,
მ
ნ, ნა, ნე, ნი, ნო, ნი,
ო,
ს, სა,
ლა,
ში,
ც
წიე
ესენი არიან და საშუალო სხვანიცა. მრავალნი და თავად მოგალს ყოველთა სიტყვათანა და ბოლოდთაცა."

*(სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, 1991, გვ. 63).*

ა). ქვემო ქართლში 1721 წლის აღწერით ა-ნით ნაწარმოები გვარით შემდეგი მებატონე-მემამულეები ყოფილან:

აბაზიშვილი ბაინდურა, აბაშაშვილი||აბაშიშვილი დავითი და სხვ. (იგივე ბარათაშვილი), აბულაშვილი გივი, ბარათა, გიორგი–, აბულფათიშვილი ბეჟანი–, (მებატონე ყაითმაზაშვილის განაყოფი), ალთუნაშვილი, აჯალიშვილი როსტომი–, ამილახორი, აფხაზიშვილი (იხ. ივ. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, ნაწ. I და II, 1935; ნაწ. III და IV, 1938); აბულეთისძენი–

ბ) ა-ნით გაწყობილი ქვემოთ ჩამოთვლილი გვარებიდან თავადები და მებატონე-მემამულეები ყოფილან:

აბაზაშვილი
აბაზაძე
აბაკელია
აბაშიშვილი
აბაშიძე
აბდუშერიშვილი
(აბდუშელიშვილი)
აბელაშვილი (აბელიშვილი)
აბელ-მელიქიშვილი
აბესაძე
აბრამია
აბრამიშვილი
აბულაშვილი
აბულაძე//ობოლაძე
აბულვარდისშვილი– დღეს
აღარაა
აბულფათიშვილი –
დღეს აღარაა
ადამია
ადანაია
ადიბეგაშვილი
ავალიანი
ავალიშვილი
ავთანდილიშვილი//
ბეჟანიშვილი
ავთანდილიშვილი//

ტერტერაშვილი//
იეგანაშვილი
აზნაურაშვილი
ალადაშვილი//
აველადაშვილი//ალავიძე
ალიბეგისშვილი
ალექსიშვილი
ალექსი-მესხიშვილი
ალთუნაშვილი
ყაითმაზაშვილი–
ალთუნაშვილი
ალიბეგაშვილი
ალიყულაშვილი
ალიყულიშვილი//სააკაძე
ალიხანაშვილი
ალშიბაია
ალხაზიშვილი
ამაღლობელი
ამაშუკელი
ამბერსიძე
ამილახორი//ამილახვარი
ამილბარაშვილი//
ციციშვილი
ამირანაშვილი
ამირეჯიბი
ანთაძე

ანანიაშვილი
ანდრონიკაშვილი
ანთელავა
ანჩაბაძე
ანჯაფარიძე
არბელაძე
არდაშელიშვილი
არდიშვილი
არებაშვილი
არეშიშვილი//არებაშვილი
არეშიძე//არიშიძე
არღუთაშვილი//ჯაულელი
არჯევანიძე
ასათიანი
ასასაშვილი
ასლამაზიშვილი//
ბარათაშვილი
აფაქიძე//აფაქა
აფხაზიშვილი
აქირთავა
ალაშვილი
ალსაბაძე//ახვსაბაძე
ახვლედიანი
აჯიაშვილი

## შტო-გვარები

***მონიშნულები გვარები წარმოადგენენ როგორც სხვა გვარებთან გამოყოფილ შტო-გვარებს, ასევე წარმოქმნილი არიან დამოუკიდებლადაც.***

**ყორღანაშვილი - 411 საგარეჯო - 121, თბილისი - 95, სიღნაღი - 84**

**ყორღანთელი 20 (იგივე ყოფილი ყორღანაშვილები)**

**აბაზასშვილი-აბაზაშვილი** სათავეს იღებს მამაკაცის საკუთარი სახელისაგან – ა<u>ბაზა</u>. აბაზა უძველესი სახელია და არაერთ ისტორიულ წყაროში გვხვდება. შდრ. აბაზა – „მამაცი". მოწმე ზაალ ბარათაშვილის მიერ ზაალ ყორღანაშვილისათვის მიცემული ადგილის ნასყიდობის წიგნისა (1662 წ. №1. 1450-1.52). 1721 წლის აღწერაში მოიხსენიება აზნაური <u>აბაზა</u>. აბაზაშვილების საგვარეულოს წარმოშობას 984 წლით ათარიღებენ. XVII საუკუნიდან აბაზაშვილები ქვემო ქართლის მემამულე-აზნაურები ყოფილან. მაგალითად, <u>არაზა</u> <u>აბაზაშვილი</u> – 1695-1699 წწ. მირიმანიძეთა აზნაურიშვილია (1697 წ.), აზნაურთა შორის მოიხსენიებიან **ბეჟანა** და **შერმაზან ყორღანაშვილები (იგივე აბაზაშვილები)**.

ზოგი შეცდომით **აბაზას** ირანულ მონეტა <u>აბაზ</u>-ს უკავშირებს, რაც შეცდომაა. საკუთარი სახელი <u>აბაზა</u> IX საუკუნიდან მოიხსენიება, ირანში კი ფულის ეს ერთეული აბას I-მა XVII საუკუნეში შემოიღო.

**რეზიუმე:** აბაზაშვილების გვარის სახელი **„აბაზაშვილი"** ფუძეში შეიცავს საკუთარ სახელს – **„აბაზა"**. XVII საუკუნის საისტორიო საბუთების მიხედვით აბაზაშვილები ქვემო ქართლში ჩანან. **ისინი თავადი მელიქიშვილების აზნაურთა შორის იხსენიებიან.**

ღმერთისა და საქართველოსთვის აზნაური აბაზაშვილები გამოდიოდნენ ქართლის სამეფო ლაშქრის მოწინავე სადროშოში.

ამჟამად აბაზაშვილები ცხოვრობენ შიდა ქართლში – გორის მხარეში და შიდა კახეთში – გურჯაანის რაიონში, მცირე რაოდენობით ქვემო ქართლსა და გარე კახეთშიც არიან.

**აბაზაშვილი საშუალო რიცხოვნობის გვარია.**

## რაოდენობა

***აქ და ყველგან რაოდენობა მითითებულია 1995 წლის მიღებული ტაბულების მიხედვით. გამოყენებულია ავთანდილ სილაგაძის და ანზორ თოთაძის წიგნი „გვარ-სახელები საქართველოში". თბილისი, 1997წ.***

**აბაზაშვილი - 291 სული (გურჯაანი - 127, გორი - 100, რუსთავი - 19).**

**არდაზიშვილი (?) - 296 (გურჯაანი - 13, თბილისი - 103, თიანეთი - 46).**

**რთინიშვილი - 566 (თბილისი - 205, ქუთაისი - 107, ქარელი - 82).**

**მერაბიშვილი - 2778 (თბილისი - 1224, ადიგენი - 529, გარდაბანი - 187).**

**როსტომაშვილი - 1288 (თბილისი - 367, საგარეჯო - 249, თელავი - 180).**

# აბაზასძე–აბაზაძე–აბაზაზძე

**აბაზაძე** უძველესი, ისტორიული ქართული გვარ-სახელი, სოციალურად დაწინაურებული გვარი ყოფილა. იყვნენ მთავრები, თავადები და აზნაურები. გვარი პირველად მოხსენიებულია 1032 წელს. შემდეგ 1260, 1297, 1404, 1606 და ა.შ. წელს.

აბაზა ტბელი
აბულეთისძენი
აბაზაშვილი

ვახუშტი ბაგრატიონი ადრინდელ მთავართა შორის სხვა გვარებთან ერთად აბაზასძეებსაც მოიხსენიებს *(იხ. ვახუშტი. ქ. ცხ. ტ. IV, გვ. 26; ექვთ. თაყაიშვილი. საქართველოს სიძველენი. I, გვ. 312–313).*

გვარი ნაწარმოებია ქართველებში გავრცელებული მამაკაცის საკუთარი სახელიდან აბაზა, აბაზ კათალიკოსი პერთა *(თ. ჟორდანია. ქრონიკები I, 54. 319).*

აბაზაძეების თავდაპირველ საცხოვრებელ ადგილად აბასთუმანს ვარაუდობენ (ადიგენის რაიონი). გ. ახვლედიანის მითითებით, აბასთუმანი აბაზაძეთა უბანს აღნიშნავდა *(იხ. მისი დიალექტთა შერევის საკითხისათვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. VII, №9-10. 1946).*

აბაზაძე – 550 (თბილისი – 263, ქუთაისი – 122, წყალტუბო – 88). შდრ. (აბაზოვი იგივე აბაზაშვილები არიან).

<u>აბაზასძენი.</u> საქართველოს ფეოდალური საგვარეულო.

<u>აბაზასძე ივანე</u>, XI საუკუნის I ნახევრის საქართველოს პოლიტიკური მოღვაწე ქართლის ერისთავთერისთავი ბაგრატ IV-ის დროს. ბაგრატის მცირეწლოვნებისას ქვეყნის ფაქტობრივი გამგებელი იყო. ილაშქრა საქართველოს სამეფოსგან განდგომილი განძის ამირა ფადლონის დასასჯელად. 1032 წელს ივანე აბაზასძემ (ლიპარიტ ბაღვაშთან ერთად) შეიპყრო თბილისის ამირა ჯაფარი, მაგრამ საქართველოს სამეფო კარზე არსებული უთანხმოების გამო, თბილისის შემოერთება ვერ მოხერხდა. „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების“ ცნობით, ივანე აბაზასძემ შეთქმულება მოუწყო ბაგრატ IV-ს. მეფემ შეთქმულნი შეიპყრო. ქართლის ერისთავობა გადაეცა ლიპარიტ ბაღვაშს.

აბაზაძეებს ეკავათ ჯვარისმტვირთველის, ბაზიერთუხუცესის, მეჭურჭლეთუხუცესის, ამირეჯიბის, ამილახორის, მეაბჯრეთუხუცესის, ბოლოს კი – აბაზასძე ხიმშია – „აბულეთისძედაა დასმული“.

აბულეთისძე – აბაზასძე – მარიდელი ხიმშია – <u>ამილახორი</u>, აბულეთის ძე ივანე ერისთავთ-ერისთავი, აბულეთისძე ლიპარიტ-შვილი ძაგან აბულეთის ძისა, დამტკიცა მამამისის. ძაგან აბულეთის ძის მიერ მღვიმის მონასტრისათვის მიცემული სოფელ ანგროინის შეწირულების დაწერილი (1260 წლის ახლოს).

აბულეთისძენი ფლობდნენ ზედაზნის ციხესა და მუხრანს, წილკანს (მცხეთის მონასტრის კუთვნილი ციხე და მარანი მთას. სოფელი მატერი. თავად მცხეთის მონასტერს ციხედ და სადგომად *(იხ. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, წიგნი 1, თბ, 1991, გვ. 43–45, 65–66).*

ჯვარის მონასტრის მოსახსენებელთა XXVIII ჯგუფში 153 ნომრად მოიხსენიება (მოსახსენებელი №92. 89) **ნავროზ აბაზასძე**. მოსახსენებელი გადმოგვცემს: **4 დეკემბერი. „ამასვე დღესა ნავროზისთვს პანაშვიდი გარდაიხდებოდეს ყოვლთა მონასტერი ესე ეგოს.“**

მოსახსენებელში დასახელებულია **ნავროზ აბაზასძე ამირეჯიბი** და ამირახორი სამეფო კარისა, ახლო თანამოღვაწე დავით VIII-ისა *(იხ. დავით VII-ის სიგელი 1297 წლისა. ს. კაკაბაძის გამოცემა. საისტორიო მოამბე. II, 1924წ; გვ. 141–142).* დავით VIII, როგორც აღნიშნულია ჯვარის მატიანეში, იყო ჯვარის მონასტრის „მეორედ აღმაშენებელი“ (განმაახლებელი), და ბუნებრივია, რომ ჯვარის აღაპებში, დავით VIII-სთან ერთად, გვხვდება სახელი მისი თანამოღვაწის ნაეროზ აბაზასძისა. მოსახსენებელში ჩანს, რომ აბაზაძეებს აქვთ სამფლობელო „აბაზასძეთა მამული“. (პ. ინგოროყვა, გვ. 758–759).

ა გვარი გვხვდება ფორმით: **აბაზასძე აბაზაძე აბაზაზძე**

**აბაზაძეებში** გავრცელებული ყოფილა სახელები: **ამილახვარ, ბართლომე, ზაალ, გიორგი, დავით, დათუნა, რამაზ, როშაქ ქაიხოსრო, ზაზა, ზურაბ, თათარა, ხიმშია, ნავროზ, ოთარ, რამაზ, როშნა, სეხნია, ქაიხოსრო, შანშე ჭილა.**

**აბაზაშვილი არაზა** – 1695–1699 წწ. მირიმანიძეთა აზნაურიშვილი (1697 წ Hd.- 404), მოწმე: ლევანბეგ მელიქიშვილის მიერ ალავერდა (იაგულაშვილისათვის) მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1695 წ. VI, 15 1450–9.125), ავთანდილ მირიმანიძის მიერ გივი თუმანიშვილისათვის მიცემული შამირზას ნასოფლარის ნასყიდობის წიგნისა (1697 წ. XI Hd- 403), ზაქუმ ალიყულიშვილ–ზაქუმიშვილის მიერ ალავერდა იაგულაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1699 წ. V. 10 1450–9.119); მისი მიწა ესაზღვრებოდა მერაბ სარდარაშვილის მიერ იაგულაანთ ალიხანაშვილ ალავერდასათვის მიყიდულ მიწას *(XVII ს. ბოლო მეოთხ. 1450–9.124).*

**აბაზაშვილი ბერონა** – მოწმე თამაზ ყორღანაშვილის მიერ თავისი განაყოფის, შიოშ (ყორღანაშვილისათვის) მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1680 წ. VII. 1450-19.22).

**აბაზაშვილი შერმაზან** – იხ. **(ყორღანაშვილი) შერმაზან**

ქართულ ისტორიულ საბუთებში მოიხსენიებიან: **აბაზაძე ამილახვარ, ბართლომე, გიორგი, დავით, რამაზ, როშაქ გიორგი (მეორე), დავით, სეხნია, ქაიხოსრო, ზურაბ, თათარა, ოთარ, რამაზ (მეორე), შანშე ქაიხოსრო (მეორე), ქაიხოსრო (მესამე), შანშე, რამაზ (მესამე)** *(იხ. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, თბ, 1992 წ. გვ. 43–44).*

რუსეთის მთავრობამ აზნაურებად აღიარა და საგვარტომო „ხავერდის" წიგნში შეიტანა: **აბაზაძე ივანე ბექანის ძე**, მეუღლე მისი **ანა**. ვაჟიშვილი ნიკოლოზი. იოანეს დაი ერმონია; **ლევან ბექანის ძე; ზურაბ გაბრიელის ძე**, მეუღლე მისი **მარიამი**. ვაჟიშვილები: მიხეილი, ალექსანდრე. ქალიშვილი ტასო; **ზაალ ავთანდილის ძე**. მეუღლე მისი **დარო**. ვაჟიშვილი სოლომონი. ქალიშვილი თინათინი; **გიორგი ავთანდილის ძე**, მეუღლე მისი **ზეხათუნა**. ვაჟიშვილი იოსები. ქალიშვილი ეკატერინე. იოანეს დედა ელენე; **ლუარსაბ რევაზის ძე**, მეუღლე მისი **სალომე**. ვაჟიშვილები: ზაალი, გიორგი, რევაზი, გიგო, გრიგოლი. ქალიშვილები: როდამი, მაია. **ბექანის ქვრივი ეფროსინე. დიმიტრის ქვრივი სოფიო**. ვაჟიშვილი ალმასხანი; ლუარსაბის, ბექანისა და დიმიტრის დედა დარეჯანი.

**აბაზასძე ხიმშია** – „აბულეთისძედ დასმული". აბულეთისძე-აბაზაძე – მარილელი ხიმშია – ამილახორი, ჰყავს მამა თათარა აბაზასძე, თანამეცხედრე ესნია, შვილი იმარინდო, მისი ძველი გვარია აბაზას ძე, მეფეს იგი შეუწყალებია და აბულეთის ძედ დაუსვამს ელიოზის კათალიკოსობის დროს სვეტიცხოველს.

**ნაზარალი ხანმა** – (ელენე) დედოფლის მიერ ნაბოძები ლანიძის ყმა-მამული უწყალობა (1695 წ. Hd - 2106); მოწმე პაპუა, შიო, ნიკოლოზ, ოთარ, ლევანსა და თევდორე. პეტრე. საბა კეხიშვილებს შორის სასისხლო დავის გარიგებისა (1688 წ. Sd - 18).

**აბაზაძე ზაალ** – მეჯალაბეთუხუცესი. უცნობმა მას უწყალობა მეჯალაბეთუხუცესობა (XVII ს. Sd - 141).

**აბაზაძე ზაზა** – ჰყავს ძმა ოთარ. მიჰყიდა იასე მურვანისშვილის ჯაფნაურში ორი დღის მიწა ჯორბაური ტყითურთ, ჩიტირეკას, მერაბასა და ახალბედაშვილის მიწებამდე (1691 წ. 9. Hd - 14927).

**აბაზაძე ზურაბ** – პაპა რამაზ აბაზაძისა. იხ.

**აბაზასძე თათარა** – მამა ხიმშია აბულეთისძე-მარილელ-აბაზასძისა, იხ.

**აბაზასძე ნავროზ** – ამირეჯიბი და ამილახორი, მოწმე დავით მეფის მიერ გრიგოლ ჭარმაულ-ჭაჭნასშვილისათვის მიცემული სოფელ ლაუშას წყალობის წიგნისა (1297 წ. Hd - 1330).

**აბაზაძე ოთარ** – ძმა ზაზა აბაზაძისა. იხ.

**აბაზაძე რამაზ** – ჰყავს: პაპა ზურაბ, ძმა ქაიხოსრო, შვილი ზაალ, სახლისკაცი როშნა. მის განაყოფებს უღალატიათ თეიმურაზ მეფისათვის, თვითონ კი მეფის ერთგული დარჩენილა. ამ ერთგულების საფასურად თეიმურაზმა მას უწყალობა მისი პაპის, ზურაბის და (სახლისკაცის), როშნას ნაქონი მამულები (1633 წ. VII. II. Sd - 501).

**აბაზაძე რამაზ** – შვილი შანშე აბაზაძისა, იხ.

**აბაზაძე როშნა** (ვარ. როშნე) – 1691–1695 წწ. ძმა ზაალ აბაზაძისა, იხ.

მოწმე ზაზა აბაზაძის მიერ იასე მურვანის'შვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1691წ. I, 9, Hd -14287).

**აბაზაძე როშნა** – (სახლისკაცი) რამაზ აბაზაძისა, იხ.

**აბაზაძე სეხნია** – შვილი ზაალ აბაზაძისა, იხ.

**აბაზაძე ქაიხოსრო** – ძმა რამაზ აბაზაძისა, იხ.

**აბაზაძე ქაიხოსრო** – 1689–1695 წწ. ძმისწული ზაალ აბაზაძისა, იხ. დამწერი და მოწმე სულხან გოგალაძის მიერ არდაშელ ბუნიათი'შვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1689 წ. Hd - 811).

**აბაზაძე შანშე** – პაპუს 'შვილი რამაზ. დავა მოსვლია მიწაზე გიორგი ღაღანიძესთან. ამ დავის მოსაგვარებლად მოდავე მხარეებმა მიწები გაცვალეს (1658–1675 წწ. Ad - 1334 ბ). **(იხ. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტომი I, თბ, 1991, გვ. 43–44).**

**აბაზასძენი** აღმოსავლეთ საქართველოს ფეოდალური საგვარეულო იყო. წარმომავლობით დაკავშირებული ჩანს X საუკუნების შიდა ქართლის ერისთავების – ტბელების – ფეოდალურ სახლთან. ვარაუდობენ, რომ აბაზასძეთა გვარის ფუძემდებელია **ბორცვისჯვრის** X საუკუნის წარწერა'ში მოხსენიებული **ტბელი აბაზი**. 1405 წლის შემდგომ აბაზასძეთა ერთი შტო აბულეთისძეებში ჩანს.

მეფე ვახტანგ VI–ს 1724 წელს ამალაში დიდნი თუ მცირენი დარბაისელნი და მსახურნი ახლდნენ. მათ შორის იყვნენ „აბაზაძე მურვანიძით, სხვათაც ბევრთ ქნეს რება ლხენით.“ ამალაში ექვსი მემამულე აბაზაძეა დასახელებული: **დავითი, ზურაბი, ამილახორი, ზურაბ დავითის ძე** (ერთი ზურაბი საქართველოში დაბრუნდა 1727 წელს, მეორე – 1728 წელს), სეხნია და უთრუთი“ *(სოლომონ ყუბანეიშვილი. დავით გურამიშვილი ქართულ რუსართა პოლკში. თბილისი. 1955. გვ. 21).*

ქართულ ენციკლოპედიაში შეტანილია **აბაზასძე ივანე**, XI საუკუნის I ნახევრის საქართველოს პოლიტიკური მოღვაწე. ქართლის ერისთავთერისთავი ბაგრატ IV–ის დროს. ბაგრატის მცირეწლოვნობისას ქართლ–კახეთის სხვა გამგებლებთან ერთად ილაშქრა საქართველოს სამეფოსაგან განდგომილი განძის ამირა ფადლონის დასასჯელად. 1032 წელს აბაზასძემ და ლიპარიტ ბაღვაშმა შეიპყრეს თბილისის ამირა ჯაფარი და ხელთ იგდეს ბირთვისის ციხე. საქართველოს სამეფო კარზე არსებული უთანხმოების გამო, თბილისის შემოერთება ვერ მოხერხდა. „გიორგი მთაწმინდლის ცხოვრების“ ცნობით, აბაზასძე და მისი ოთხი ძმა იმდენად განდიდდნენ და გაძლიერდნენ, რომ შეთქმულება მოუწყვეს ბაგრატ IV–ს. მეფემ შეთქმულნი შეიპყრო. ქართლის ერისთაობა გადაეცა ლიპარიტ ბაღვაშს.

**აბაზაძე ნიკოლოზ ლევანის ძე**, სურამი, ეთნოგრაფი და საზოგადო მოღვაწე დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1890 წელი).

მუშაობდა თბილისსა და სურამში. იყო ნაფიცი მსაჯული, ადვოკატთა კოლეგიის წევრი. ს. აბაზაძე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართველი ხალხის სოციალური და სამეურნეო ყოფის შესწავლაში.

მისი მთავარი შრომებია „სათავადო თემი ქართველებში" (1893 წ.), „ხანუმობა" - წყლისში მონაწილეობის წეს-ჩვეულება" *(1898 წ. ორივე რუსულ ენაზე). (ქსე ტ. 1. თბ. 1975. გვ. 11).*



***აბაზაძე გელა შალვას ძე** დაიბადა თბილისში 1938 წლის 12 იანვარს, მოსამსახურის ოჯახში, მამა შალვა ილიას ძე აბაზაძე მშენებელი ინჟინერი.*

*დედა ელენე ნოეს ასული წერეთელი ეკონომისტი.*

1957 წელს დაამთავრა თბილისის 62-ე საშუალო სკოლა. 1957–1960 წ.წ. მუშაობდა ლილოს და დიღმის საბჭოთა მეურნეობებში მუშად.

1960 წელს მისაღები გამოცდები ჩააბარა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში და დაამთავრა 1965 წელს, სწავლული აგრონომის დიპლომით.

1965–1975 წლებში განაწილებით მუშაობდა „საქკონსერვტრესტის" სისტემაში - კრწანისის ქარელის რაიონის აგარის საკონსერვო ქარხანაში სხვადასხვა თანამდებობებზე: ტექნოლოგი, საკონსერვო საამქროს უფროსი, დირექტორის მოადგილე. საიდანაც გადმოვიდა ქალაქ თბილისში ავლაბრის საკონსერვო ქარხნის დირექტორად.

1975 წლიდან 2001 წლის ჩათვლით მუშაობდა „თბილგამწვანების" სისტემაში იყო აგრონომი, უფროსი აგრონომი, მთავარი აგრონომი, დირექტორის მოადგილე, 1997 წლიდან - დირექტორი.

2002 წლიდან არის ფერმერი. ოჯახით ადებულ ტერიტორიაზე აქვს მეცხოველეობის ფერმა.

ჰყავს მეუღლე დარიკო ივანეს ასული თოდრია. ორი ქალიშვილი და ორი შვილიშვილი ჯემალი და გელა.



**აბაზაძე ზაალ დავითის ძე,** დაიბადა 1929 წ. 27 იანვარს, ხაშურის რაიონის დაბა სურამში, მოსამსახურის ოჯახში. დაამთავრა თბილისის მე-7 ქალთა საშუალო სკოლა. შემდეგ კი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიური ფაკულტეტი. სწავლის პერიოდში იყო ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, კომკავშირის ცკ-ს წევრი.

1955 წელს მთავრობის დავალებით გააგზავნეს ლაგოდეხის რაიონის სოფ. სუპრობოლისოვეს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. საიდანაც დაწინაურებული იქნა საქართველოს კომკავშირის ლაგოდეხის რაიკომის პირველ მდივნად.

შემდეგ მუშაობდა სახალხო კონტროლის კომიტეტის ინსპექტორად, საიდანაც საქართველოს კომპარტიის ცკ-ს ინსპექტორად გადაიყვანეს. 31 წლის ასაკში არჩეული იქნა საქართველოს კომპარტიის ხაშურის რაიკომის პირველ მდივნად (1961–1967 წ.წ.).

1967–1979 წ.წ. მუშაობდა საქართველოს სახალხო კონტროლის კომიტეტში სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ, ხოლო 1979–1992 წ.წ. პენსიაში გასვლამდე მუშაობდა საქართველოს მებაღეობის ამხანაგობათა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარედ, რომლის დროსაც რესპუბლიკაში ჩამოყალიბდა და შემდგომ განვითარდა კოლექტიური მებაღეობები.

სხვადასხვა წლებში არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის ცკ-ს წევრობის კანდიდატად, წევრად, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით.

ზაალ დავითის ძე აბაზაძე გარდაიცვალა 2000 წელს. ბატონ ზაალ აბაზაძეზე არაერთი წერილ-ა დაბეჭდილი. ვბეჭდავთ ერთ-ერთ მათგანს:

„იმერეთის ამ კასებულ მთაგორებს ფიანდაზად შეპფენია ზინდისი. აქ სამოთხისებური სილამაზე ზურმუხტსა და ოქრო-ცურვილშია გახვეული.

აქ, აბაზაძეების საბუდარში, მუდმივი სიმშვიდე და მწვანე სინათლე მეფობს. გული ყოველთვის აქეთ მოუწევდა. ასაკში რომ შევიდა, ძალუმად მოეძალა საკუთარი კერიის სიყვარული და აქ დაივანა კიდევაც. უყვარდა, განუზომლად უყვარდა თავისი კარ-მიდამო ბატონ ზაალს. დღეს ამ ოაზისში მისი სული ტრიალებს, გვმასპინძლობს და გვესაუბრება, თითქოს იგი სადღაც ახლოს არის. მისი ბუბუნა ხმაც კი გვესმის. აქვეა მისი ცხოვრების მესაიდუმლე, ოჯახის საჭეთმპყრობელი და ოჯახის დედა, ქალბატონი ლამარა. სწორედ მას შევყავართ ამ განუმეორებელი პიროვნების ცხოვრების ლაბირინთებში, რომელიც ხან ცასავით ნათელი და ოცნებასავით მსუბუქია, ხან კი ბურუსში გამოხვეული და ალპინისტის სავალივით რთული.

თავადის სისხლი ჩქეფდა მის ძარღვებში. ხასიათიც, ხმაც გამორჩეული ჰქონდა. ადამიანებთან ურთიერთობის განსაკუთრებული უნარითაც იყო დაჯილდოებული. თურმე, რაიკომის პირველი მდივანი რომ იყო, ვიღაც გაავებულ-გაბოროტებული შეუვარდა კაბინეტში, იქიდან კი რამდენიმე წუთში, – იგონებს ერთ-ერთი მისი ყოფილი თანამშრომელი, – ის კაცი სულ ბოდიშებითა და ღიმილ-ღიმილით გამოვიდაო.

ერუდიცია და ორგანიზატორული ნიჭი, პრინციპულობა და პუნქტუალურობა – აი, მისი დამახასიათებელი ძირითადი თვისებები, რომელთა მეშვეობითაც ასე მსუბუქად განვლო მაშინდელი ბიუროკრატიული-საკარიერო კიბე, რიგითი კომკავშირული მუშაკიდან რაიონის ხელმძღვანელამდე.

სწამდა, ძალიან სწამდა ის, რასაც აკეთებდა და ემსახურებოდა, და როცა ქვეყნად ყველაფერი შეიცვალა და რომანოვების ურემივით აყირავდა, სამშობლოს

მომავალმა ბედმა მწარედ ჩააფიქრა. მამული იყო მისი ხატი და სალოცავი. ამიტომაც უწოდებდნენ მას დიდ ქართველს (ლ. სანიკიძე), ჭეშმარიტ ქართველს (ჯაბუა ამირეჯიბი), მამულის ჭირისუფალს (შოთა ნიშნიანიძე) და... ეს შემთხვევითი არ იყო – ასე იოლად არ იმეტებდნენ ასეთ მაღალფარდოვან სიტყვებს ეს საქვეყნოდ ცნობილი ადამიანები. როცა ომი გაჩაღდა სამაჩაბლოში, იქიდან ლტოლვილები საკუთარ კაბინეტში და სამუშაო ოთახებში შეიფარა, მოეფერა და დაამშვიდა. მზრუნველობა არ მოაკლო სამაჩაბლოდან ოტებულ ბედკრულ თანამემამულეებს.

როგორც ყველა მაშინდელ ჩინოვნიკს (ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით) ძალიან ცოტა დრო რჩებოდა ოჯახისათვის, ახლობლებისათვის და აი, როცა ასაკმა იძალა, სამსახური დატოვა, მთელი არსებით ჩაეფლო ოჯახურ საქმეებში, მთელ დღეს შვილებსა და შვილიშვილებთან ატარებდა, საკუთარ არქივს აწესრიგებდა, მემუარებსა და მოგონებებს სწერდა, პოეზიამ გაიტაცა. როგორც ყველა ქართველი, სულით პოეტი იყო.

მის არქივში ერთ დოკუმენტს წავაწყდი, ძალიან საინტერესო მომეჩვენა, რადგან მასში მისი ჩამოღვაწარია ჩამოთვლილი. ადგილი დოკუმენტიდან: „აშენდა და ექსპლუატაციაში გადაეცა ხიდი მტკვარზე ქალაქის წყალსადენის პირველი რიგი, 104 ადგილიანი სასტუმრო, კავშირგაბმულობის შენობა, საბავშვო ბაგა-ბაღი, პიონერთა ბანაკები, ტაშისკარის სკოლა-ინტერნატი, ერთი საშუალო და ერთი 8 წლიანი სკოლა, ექსპლუატაციაში შევიდა 14 საცხოვრებელი სახლი 22 ბინით და ა.შ. ამ დოკუმენტში საუბარია მშენებარე და დაპროექტებულ ობიექტებზე, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში მოპოვებულ წარმატებებზე.

დიახ, იყო ასეთი კაცი – ზაალ დავითის ძე აბაზაძე, კაცი მქმნელი ბევრი სიკეთისა, მომხმარე და მხარში მდგომი ბევრი ახალგაზრდისა, შემწე და მოჭირნახულე მშრომელი კაცისა. საბედნიეროდ, სიცოცხლე გრძელდება – აბაზაძეების ფუძემაგარ კერიაზე კიდევ ერთი ზაალ აბაზაძე იზრდება. დაე, იმრავლონ!" *(რ. საჟანელი).*



**მიხეილ ანდრიოს ძე აბაზაძე** დაიბადა 1931 წლის 28 აგვისტოს ხაშურის რაიონ სოფელ ურთხვაში, მოსამსახურის ოჯახში. 1952 წელს დაამთავრა სურამის პირველი საშუალო სკოლა. სწავლა გააგრძელა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების სამხედრო საერთო საჯარისო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1955 წელს გადმოდის ქალაქ თბილისში. ამავე წელს მიავლინეს შორეულ აღმოსავლეთში, ლეიტენანტის წოდებით დაჰყო სამი წელი.

1958 წელს გადმოჰყავთ საქართველოში სასაზღვრო ჯარების საგუშაგოს უფროსის მოადგილედ.

1959 წელს მიენიჭა მორიგი სამხედრო წოდება – უფროსი ლეიტენანტი.

1960–61 წლებში ხიჩაურში მსახურობდა სსრკ-ს საზღვრების დაცვის უში-

შროების კომიტეტის სასაზღვრო საგუშაგოს უფროსად.

1964 წელს მიენიჭა კაპიტნის წოდება.

1965 წელს მიავლინეს მოსკოვში უმაღლესი სასაზღვრო ჯარების ოფიცრის კურსებზე. მისი დასრულების შემდეგ, მიენიჭა მაიორის წოდება.

1966 წელს გადმოჰყავთ ქალაქ ახალციხეში, სასაზღვრო ექსპერიმენტალური რაზმის საგუშაგოს უფროსად.

1968 წელს დაინიშნა იმავე ქალაქის სასაზღვრო ჯარების კომენდანტის მოადგილედ. შემდეგ აწინაურებენ კომენდატურის უფროსად და ანიჭებენ მორიგ პოდპოლკოვნიკის წოდებას.

1978 წელს გავიდა თადარიგში.

1979 წელს სამსახური დაიწყო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სამხედრო კათედრაზე, უფროსს მასწავლებლად. მან მონაწილეობა მიიღო ეროვნული სასაზღვრო ჯარების ჩამოყალიბების საქმეში.

1992 წლიდან მუშაობს სასაზღვრო ჯარების საბრძოლო სამმართველოს უფროსად. ანიჭებენ პოლკოვნიკის სამხედრო წოდებას და აწინაურებენ ლილოს სასაზღვრო ძალების სასწავლო ცენტრის უფროსად.

1993 წელს დაინიშნა ლაგოდეხის სასზღვრო რაზმის უფროსად. 1995 წელს კვლავ ბრუნდება თსუ სამხედრო კათედრაზე ციკლის უფროსად.

2001 წელს გავიდა თადარიგში. როგორც გამოცდილ ოფიცერს იწვევენ ახლადჩამოყალიბებულ საქართველოს კაზაკთა კავშირში, ოფიცერთა ღირსების თავმჯდომარედ და ანიჭებენ გენერალ-მაიორის სამხედრო წოდებას.

მიღებული აქვს არა ერთი ორდენი, მედალი, მადლობა, მათ შორის, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი. შეტანილია საპატიო დიდების წიგნში.

**ᲐᲑᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ 446**
**(თბილისი – 293,**
**ქუთაისი – 34,**
**ამბროლაური – 25);**
**ᲐᲑᲐᲘᲐᲫᲔ – 150**
**ხულო (თბილისი –**
**19, რუსთავი – 14,**
**ქარელი – 11);**
**ᲐᲑᲐᲘᲫᲔ 98**
**(ახმეტა – 48,**
**თბილისი – 25,**
**თელავი – 14).**

**აბაიშვილი** გვარის ფუძე საკუთარი სახელი **აბა**. შემონახულია გვარებში: **აბაიაძე, აბაიძე, აბაშიძე, აბაიშვილი** (*ილია მაისურაძე, ქართული გვარსახელები, თბ. 1981, გვ. 15*). **შდრ: აბა, აკ. შანიძე ხევსურეთი, 232, აბა-ი, პ. ინგოროყვა, სვანეთი, 1, მესტია; წიგნში** *ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ. 1986, გვ. 66*).

„**აბაიშვილი, გორის, ონის და ამბროლაურის რაიონებში; საკუთარი სახელი აბა** (*ივ. ჯავახიშვილი, ქართული ისტორიის ძეგლები, 127. ს. მაკალათია, ხევსურეთი, 101*). ამავე ძირისაა: აბაიაძე, აბაიძე, აბაშიძე" (*ილ. მაისურაძე გვ. 15*).

**აბაკელი** – გვარის ეტიმოლოგიას **ბაკანს** უკავშირებენ. ბაკანი იგივეა, რაც ფეხების გაბმული ბაკბუკი. შდრ: ჯორის ბაკანი (მეგრ.), – კურხის მესი უბაკუა (ფეხებს რატომ აბაკუნებ). წყნარად, ფეხებს ნუ აბაკუნებ (წყნარასი კურხეფს ვაუბაკუა). (**ინფ. ბორის გოგია**).

**აბაკელია** დასახ. ტოპონიმ: ლეაბაკელი-საბაკელი – უბანი ტენდრის მარცხენა მხარეს (თარგამეული). საბაკელი – უბნები დაუთიანსა (ოქრომჭრის თემი) და სადგანი-საფარეულში (ზემო ქედლების თემი).

1904 წლის სიაში მცხოვრები აბაკელიები აზნაურები იყვნენ. შესაძლებელი არაა, რომ აბაკელი აბბაკის ან აბაკუმის ვარიანტი იყოს. მეორეს მხრივ, პირსახელ აბა-საგან (იხ. აბაშიძე კლიმიაშვილის ორმაგი სუფიქსით შეიძლება წარმოქმნილიყო ფორმა აბაკელი (ა. ცხადაია. *გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში. თბ. 2000. გვ. 48*). შესაძლოა სულაც გვარში აბაკელია, ა იყოს ართრონი (წინსართი), ბაკა (-ბაკი) ტოპონიმი, სადაური? აბაკელი, და თავისთავად გვარის გამაფორმებელი სუფიქსია (ია).

**აბაკელია**
**651 (ზუგდიდი – 146, თბილისი – 116, სენაკი – 55). კოდის ზემო ქალაქი – 19, ოქტომბერი – 11, თამაკონი – 8, ხეთა – 8, ინგირი – 4, ქარიატა – 4, ახალსოფელი (სენაკის რ) – 3, დიდი ნეძი – 3**



**აბაკელია თამარ გრიგოლის ასული** – *(1905, დ. ხონი, – 1953, თბილისი) ქართველი მოქანდაკე, გრაფიკოსი და თეატრის მხატვარი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1942). (ქსე).*

**აბაკელია იოსებ კონსტანტინეს ძე** – (1888, ქუთაისი, – 1938), ფთიზიატრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1924), პროფესორი (1930) *(ქსე) (ნ. ჯოხიდაძე. 3000 მეგრული გვარსახელი. თბ., 2000. გვ. 8).*

**აბალაკი-ძ.** კირბალი, ზერბუკი (გორის რაიონი). გვარად ქცეული სახელი აბალა. აბალაკი მოხსენიებულია 1467 წლის მცხეთის შეწირულების სიგელში, ქართლის კათალიკოსი **აბრამ აბალაკი** *(ს. კაკაბაძე. ისტ. საბ., II. გვ. 19-20).*

შდრ. აბალა-ს-შვილი (1689წ).

**აბალოიძე – 42 (ახმეტა – 33, თბილისი – 2, თელავი – 7).**

**აბალოიძე-მირზაშვილი.** აბალოიძეები ჩაღმა თუშები არიან. გვარის ფუძეა მამაკაცის საკუთარი სახელი **აბალა**. აქედანაა ნაწარმოები აბალია, აბალო, აბალუა. შდრ. გვარი **აბალასშვილი** ასლამაზ – მოწმე. მიცემული მიწისა და წისქვილის ნასყიდობის წიგნისა (1689წ).

თუშეთში მათი საცხოვრისი სოფელი ჭეშო. გადმოცემით აბალოიძეთა წინაპარი მირზაანთ გვარის ქიზიყელი წინაპარი ყოფილა. იგი მესისხლეობას გამოპარვია და თუშეთში გახიზნულა. აბალოიძეებს იქ ციხე აუგიათ.

**მირზაშვილები (მირზაანი)** აზნაურული გვარი იყო (1783 წლის ტრაქტატის დანართით). მათი აზნაურობა დასტურდება ბერიძენიშვილებთან დაეთაც (იხ. რ. **თოფ., გვ. 90-91).**

ამჟამად აბალოიძეები ცხოვრობენ თუშეთში ალვანის ველზე, თელავში და თბილისში.

**აბამელიქი. აბამელიქი (აბამელიქ) ლაზარევი** თავადი **აბამელიქი**, ქართველი თავადი იყო და XVIIს-ით თარიღდება.

**საქართველოს სამეფოს თავადის ხარისხში მეფე ერეკლემ აბამელიქი აღიარა 1794 წლის 1 მარტს ბოძებული სიგელით.**

რუსეთის მთავრობამ 1823 წ. 29 მარტს **აბელ ივანეს ძე აბამელიქიშვილი სცნო რუსეთის თავადად.**

ეს გვარი მოიხსენიება რუსეთის მთავრობის მიერ დამტკიცებული საქართველოს თავად-აზნაურთა საოჯახო სიაში (1850წ. 6 დეკემბერი).

რუსეთის მთავრობამ ნება დართო თადარიგის გენერალ-მაიორ **თავად სიმონ დავითის ძე აბამელიქს**, მიეღო გარდაცვლილი სიმამრის, საგანგებო საილჩო მრჩევლის **ქრისტეფორე იაკიმეს ძე ლაზარევის** (ალბათ ლაზარეშვილის) გვარი და შემდგომში ეტარებინა სამემკვიდრეო სახელი – **თავადი აბამელიქ ლაზარევი** (Васильевич Сергей,Титулованныу роди,российской империи, с.п.1910, стр. 49).

**აბაააშვილი, საკუთარი სახელი <u>აბააა</u> (ალ. ღლ, 66)**
**აბაააშვილი–28**
**(თბილისი 24, გორი– 1, საჩხერე 1)**

**აბაშვილი** – 285
(თბილისი – 120,
მცხეთა – 97,
გარდაბანი – 40).

**აბაშვილი.** ქართულ ისტორიულ წყაროებში ხშირად გვხვდება მამაკაცის საკუთარ სახელი **აბა (–აბაი)**. ამის შესაბამისად რამდენიმე გვარიცაა, რომელსაც ფუძედ აქვს აღნიშნული სიტყვები. აბაშვილთა გვარი XV საუკუნიდან გვხვდება. მაგალითად, XV-XVI საუკუნეებს ეკუთვნის ჯვარის სამი ფრესკა. ერთ-ერთი მათგანია ფრესკა **დანიელ აბაშვილისა**. მე-9 ფრესკაზე, სადაც ეხატა პალესტინელი ქართველი მოღვაწე **გიორგი ბერი**, გვიან ხანაში დაუხატავთ **„დანიელ აბაშვილი ქართველი"**.

დანიელის ფრესკა პ. ინგოროყვას ვარაუდით შესრულებული უნდა იყოს მე-15 საუკუნის დასასრულს, 1497 წელს. როგორც ჩანს მუშაობა ჩაუტარებინებია ჯვარის წინამძღვარ დანიელს (პ. **ინგოროყვა, გვ. 849–840**);

**დანიელ აბაშვილი იგივე ჯვარის მამა დანიელი ნიქოზელია.**



**აბაშვილი გიორგი სიმონის ძე (დ. 8.1/1910 თბილისი).** საბჭოთა ვიცე-ადმირალი, დაამთავრა ლენინგრადის სამხედრო-საზღვაო სასწავლებელი და დაინიშნა ბალტიის ფლოტის საესკადრო ნაღმოსან „ბოლოდარსკის" შტურმანად. 1932–34 წლებში საესკადრო ნაღმოსან „ლენინის" შტურმანი იყო. 1935–36 წლებში სასწავლო გემის უფროსის მოადგილე. 1936 წელს საგუშაგო ხომალდ „პურგას", ხოლო 1939 წელს საგუშაგო ხომალდების დივიზიონის მეთაური. მონაწილეობდა თეთრფინელების წინააღმდეგ ომსა და დიდ სამამულო ომში. 1944 წელს მეთაურობდა საესკადრო ნაღმოსნების დივიზიონს, თავი გამოიჩინა ლენინგრადის ბლოკადის გარღვევისათვის ბრძოლებში. დაჯილდოებულია ლენინის, წითელი დროშის, წითელი ვარსკვლავის ნახიმოვის ორდენებითა და მედლებით.

აბაშია – 179
(ზუგდიდი – 33,
თბილისი – 31,
ფოთი – 30).

**აბაშიძე.** გვარის ფუძეა აბაშ. მამაკაცის საკუთარი სახელიდანაა ნაწარმოები ქართული გვარისახელებია: **აბაშერიძე, აბაშია, აბაშიშვილი, აბაშიძე, აბაშმაძე** (ფუძის შესახებ აბაშ დაწერილებით იხილეთ გვართან აბაშიძეები).

იოსებ გრიშაშვილმა „ქალაქურ ლექსიკონში" მოგვცა აბაშ-ის ახლებური გააზრება. იგი ეყრდნობა მოსე ჯანაშვილს და წერს, რომ აბაში ქართულია და აღნიშნავს: **„აბაში – 1. ექიმი, შინაური მკურნალი. 2. შინაური წამლებით მკურნალი"** (გვ.13).

სამეგრელოში დაფიქსირებულია აბაშა, როგორც რაიონული ცენტრი, ისე საბაშიო – ახუთი (ჩხოროწყუს რაიონი), საბაშიო – აბაშის რაიონი. შდრ. მდინარე აბაშა (აბაშისა და მარტვილის რაიონებში).

როგორც ვნახეთ სამეგრელოში სახელწოდება აბაშ-ი რამდენჯერმე მეორდება.

„აბაშია, – წერს პ. ცხადაია, – **წარმოქმნილია ფორმისაგან აბაშ-ია სუფიქსის დართვით ან აბაშიძის გამეგრულებული ვარიანტია"** (გვ. 48). ნიკოლოზ ჯღამაიას წიგნში „3000 მეგრული გვარ-სახელი", თბ., 2000, გვ. 8), იზიარებს არაბ სარდალ მურვან ყრუსთან ერთად ვინმე ყმა ბეგირა შთამომავლობის მისვლას ქართლში, სახელად აბაშ-ი და მისგან გვარის წარმოქმნას. „VI–VII საუკუნეში ქართლიდან მოსახლეობა მტრის შიშით კოლხეთში ეფუძნებოდა. მათ შემოიტანეს გვარის დაბოლოება „ძე" და აბაშიები **აბაშიძეები გახდნენ, გაძლიერდნენ.**

ასეთ გაბედულ და უსაფუძვლო მოსაზრებას ავტორი ამაგრებს ოლღა სოსელია წიგნიდან ჩვენი მსჯელობისათვის მიუსადაგარ ტექსტს: **„აბაშიძეთა სამთავრო ფლობდა 80-ზე მეტ სოფელს და 1500-მდე ტყვეს"** (გვ. 157–156).

— პირველი გალში (საბაშოს უბანში) ჩაწერილი გადმოცემით, იმერეთიდან ჩამოსულა სამი ძმა აბაშიძე. ერთი მათგანი დამკვიდრებულა სამქვარში (სამურზაყანოში), მეორე – ახუთში, მესამე – ჭალადიდში. გვარის დაბოლოება შეუცვლიათ. აბაშიძეებთან ერთად ყოფილან წულუკიძე და მიქელაძე, ისინიც ასევე მოქცეულან. წულუკიძე წულუკია, ხოლო მიქელაძე მიქელიად დაწერილა. 1616–1621 წლებში „საცაიშლო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარში" ისინი საეკლესიო გლეხთა შორის მოიხსენიებიან და მართებთ ცაიშის ეკლესიის ბეგარა: **„მართებს აბაშიას 1 საკლავი, 1 ქათამი, 1 პური, 3 ლიტრი ღომი, 3 ფოხალი ღვინო და გოჭკომური მისის ღომითა, ღვინითა, ხორცითა, თევზითა, ყველითა, კვერცხითა, სამარხოთა, რაც იმ დღეს მოუნდებოდეს"** *(ისიდორე დოლიძე. ქართული სამართლის ძეგლები. ტომი III. თბ., გვ. 454).*

არსებობს მასალა იმის თაობაზეც, რომ აბაშიძეებს მამულები ჰქონიათ სამეგრელოშიც. კერძოდ, ნაგვაზავოში, ლეგოგიეში, გურძემში, კურზუში.

დღეისათვის აბაშიძეების 5 ოჯახი ცხოვრობს სოფ. ახუთში, ოწყარიის მარჯვენა მხარეს. უბანს, სადაც ისინი სახლობენ, ეწოდება **საბაშო საბაშიო კუნთხუ** (კუთხუ) კუთხე.



[illegible]

აბაშიშვილი. ამ გვარის წარმოშობის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ქალბატონი გალია აბაშიშვილი -ყოველ ჩვენგანს ადრე თუ გვიან უჩნდება საკუთარი ფესვების მოძიების სურვილი. გვარის გენეალოგიით დაინტერესებულმა გულდასმით შევისწავლე ბებიას სკივრში საუკუნეზე მეტ ხანს სათუთად შემონახული ქაღალდები და გადავეწყვიტე მათი გამომზეურება. ეს გახლავთ თბილისის საგუბერნიო სასამართლოს 1871 და 1873 წლების გადაწყვეტილებები (შესრულებული, რა თქმა უნდა, რუსულ ენაზე ციციშვილებსა და აბაშიშვილებს შორის 1852 წლიდან ატეხილ დავაზე. საქმე ეხება „მტკვრის ზემოთ აღმოსავლეთით სოფელ კეხიჯვრიდან დასავლეთით უწყლოს ხევამდე სალეთეთე აგარაკის მამულებს". რომლებიც ძმების გაყრის შემდეგ წილში რგებია მოქიშპე ციციშვილების მამას. აღნიშნულ ტერიტორიაზე ათი დასახელების (ორგორების, ნაჯიხურალის, კოროულის, ლეთეთის, თევზაურების, ნაფუზრის და სხვა მიწები), მამული, რომლის საერთო ფართობი 27 ჰექტარს აღემატება (56 დღის სახნავ-სათესი), ციციშვილების წინაპრის მიერ (შესყიდული უმემკვიდროდ დარჩენილი ციციშვილების სიძის თავად ბელეშიშვილისაგან) საჩუქრად მიუღია სესია აბაშიშვილს ყოველგვარი გადასახადისაგან გათავისუფლებით, სამუდამოდ და სამემკვიდროდ ლაშქრობებსა და ბრძოლებში გულმოდგინებისა და დამსახურებისთვის.

სესიას შთამომავლების: ივანე, იასე, ანდრია, სოსიკო და ალექსი პეტრეს ძეების, სტეფანე პავლეს ძის და სტეფანე და გოგო დიმიტრის ძეების მიერ წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე ილია, მიხეილ, იაკობ და არჩილ დავითის ძე ციციშვილებს უარი ეთქვათ სარჩელზე და დავა აბაშიშვილების სასარგებლოდ გადაწყდა 1873 წელს.

დავის მიუხედავად, ჩვენს წინაპრებს ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონიათ ციციშვილებთან, რის შესახებაც ბევრი მსმენია აწ განსვენებული მამიდებისგან (ხუთივე დაიბადა და აღიზარდა მე-19 საუკუნის ქარელში. შემდგომ კი, რევოლუციამდე, ცხოვრობდნენ ნოვოროსიისკსა და ბაქოში). მწერალ-აკადემიკოს გიორგი ციციშვილისა და ქარელელებისთვის კარგად ცნობილი შაქრო ციციშვილისგან, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის მე-20 საუკუნის 50-60-იანი წლების ბევრი ახალგაზრდის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებასა და დაკვალიანებაში. ამასვე ადასტურებს ჩვენს საოჯახო ალბომში შემონახული მე-20 საუკუნის დასაწყისში შესრულებული ფოტოები: ერთ-ერთ მათგანზე აღბეჭდილია ჭაბუკი ალექსანდრე (შურკა) ციციშვილი და ისააკ აბაშიშვილი (მამაჩემი), მეორე - მამაჩემის ნათლია თავადი იასონ ციციშვილი, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, რომელსაც „ლიტერატურულმა საქართველომ" რამდენიმე წლის წინ ვრცელი სტატია მიუძღვნა. მასში მოთხრობილი იყო იასონ ციციშვილის ღვაწლზე სათავადაზნაურო ბანკის საქველმოქმედო საქმიანობაში, დანგრეული ყინწვისის აღდგენაში და ა.შ.

გადმოცემით, მე-20 საუკუნის დასაწყისში იასონ ციციშვილთან თბილისიდან ფაეტონით მოსულ ილია ჭავჭავაძეს გზაში შემოღამებია. დაძინებული თავადი რომ

არ შეუწუხებიათ. იქვე მეზობლად მცხოვრებ მის ნათლიმამას ანტონ აბაშიშვილს – თამადობითა და მჭერმეტყველებით თავის დროზე განთქმულ პაპაჩემს – სტუმარი ღამის გასათევად ოჯახში შეუპატიჟებია, რაზედაც დიდი ილია სიამოვნებით დათანხმებულა. აღნიშნული სახლი, მისი ახლანდელი მფლობელების მიერ გადაკეთებული, მდებარეობს საბჭოს ქუჩაზე, ე. წ. ანტონაანთ წყაროსთან.

ანტონ სტეფანეს ძე აბაშიშვილის ოჯახის სიძლიერე, აგრეთვე მისი დაინტერესება ზემოთ ნახსენები დოკუმენტების ძვირადღირებული ასლების მოპოვებითა და შენახვით, განაპირობა იმ გარემოებამ, რომ იგი ერთადერთი შვილიშვილი იყო სესიას შუათანა ვაჟის პავლესი და, მაშასადამე, თავისი დიდი პაპის მამულების მესამედის მესაკუთრე. დაახლოებით მეორე მესამედი მან 1911 წელს შეისყიდა უძეოდ დარჩენილი თავისი ბიძაშვილისგან – ილიკოსგან, რომელიც აგრეთვე ერთადერთი მემკვიდრე იყო სესიას უმცროსი ვაჟის დიმიტრისა. სამწუხაროდ, იგივე ბედი ეწიათ ანტონის შვილიშვილებს – ჩემი სამივე ძმა (გიორგი, შალვა, ნოდარი) სრულიად ახალგაზრდა ასაკში უმემკვიდროდ გარდაიცვალა. თუმცა ანტონ აბაშიშვილის გენებს აგრძელებენ მისი უმცროსი ქალიშვილის, მარიამის შთამომავლები – ბეთლემიძეები სკრაში, ისაკის ქალიშვილებისა – კალმახელიძეები ქარელში და ხაბულიანები თბილისში.

სესიას უფროს შვილს პეტრეს სამი ვაჟი ჰყოლია: ივანე, ისე და ანდრია. ივანეს ოთხი ვაჟი ჰყავდა: ბესარიონი, დავითი, აბრამი და მოსე; ისეს – ხუთი: პეტრე, თედორე, გიორგი, მიხეილი და ნიკოლოზი; ანდრიას კი ერთი – ეფრემი.

სამყო გვარიშვილების პატივისცემასა და ურთიერთსიყვარულს გვასწავლიდნენ ჩვენი შრომისმოყვარე და უპრეტენზიო მამა-ბიძები: ილია, სერგო, ლექსო, ივანე თედორეს ძენი, გიგო გიორგის ძე, ისაკ ანტონის ძე, ალექსანდრე, ესტატე და დავით ეფრემის ძენი, მარკოზ მოსეს ძე, იოსებ პეტრეს ძე, ლევან დავითის ძე, ვანო, იაგორ და იასონ ბესარიონის ძენი, მიხეილ და კოტე ნიკოლოზის ძენი.

სიტყვა-პასუხითა და სიდარბაისლით გამორჩეული ძია იასონი ომისა და უსამართლობის ქარტეხილების გავლის შემდეგ საერთო საქმისთვის ჯერ კიდევ ახალგაზრდა დაიღუპა. შთამომავლობას კი დაუტოვა სასიქადულო გვარიშვილისა და უკეთილშობილესი კაცის სახელი. პირველ მსოფლიო ომს შეეწირა გიორგი ანტონის ძე, ასევე სამი ვაჟკაცის (დავით ეფრემის ძე, იაგორ ბესარიონის ძე, კოტე ნიკოლოზის ძე) სიცოცხლე, უფროსი თაობიდან ოთხისა (ვახტანგ იოსების ძე, შალვა ისაკის ძე, ვალოდია ალექსანდრეს ძე და თედო ლექსოს ძე). 1993 წელს კი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაიღუპა აფხაზეთში მიხეილის ძე წასული დათო აბაშიშვილი, მომავალი ისტორიკოსი, ქართველობითა და გვარიშვილობით ამაყი 22 წლის მეოცნებე ჭაბუკი.

დედმამიშვილობის რანგში აყვანილ ბიძაშვილ-მამიდაშვილობის გრძნობების გაფრთხილებას ასწავლიდა ჩვენს შვილებს თავის გვარზე, ქარელზე და სიმღერაზე უზომოდ შეყვარებული ძია ოთარი ძმის ხელში მოწყობილი ლაშქრობებით,

რომელთაც შემეცნებითის გარდა, სხვა, უფრო მნიშვნელოვანი დატვირთვა ჰქონდათ-დამკვიდრებულიყვნენ ნაფიცხულობით ქარელში თავშეყრილი აბაშიშვილების ქალ-ვაჟების პატარა ყმაწვილები. ზიარებოდნენ ისინი ქარელის ბუნების სიმშვენიერეს.

დედულეთის სიყვარულით აღზარდეს თავიანთი შვილები ჩვენმა მამიდებმა: მარ-გალიტა და ნადია თევდორეს ასულებმა (ქერიძეშვილები და გოთოგაძეები), თიკო პეტრეს ასულმა (ცხვირაძეები), ვარა, ელენე, ნატალია და მარიამ მიხეილის ასულებმა (ზუბიაშვილები და სამხარაძეები), თამარ ნიკოლოზის ასულმა (ლონდაძეები), სოფიო ევგენის ასულმა (ალიხანაშვილები), ეკატერინე, თამარ, აღათი, ბაბალე, მარიამ ანტონის ასულებმა (ბაღდავაძეები და ბეთლემიძეები), ვარა და სონა მოსეს ასულებმა (მწარიაშვილები და ფაფელაშვილები), ქეთევან ბესარიონის ასულმა (გელაშვილები). ამჟამად ქარელში მცხოვრები აბაშიშვილები სესიას შთამომავლობის ანუ სესკელაანთ მეექვსე, მეშვიდე და მერვე თაობას წარმოადგენენ. მეხუთე თაობიდან კი ერთადერთი წარმომადგენელია ქეთევან აბაშიშვილი, სიკეთისა და სათნოების განსახიერება.

როდის და საიდან ჩამოვიდა ქარელში აბაშიშვილების წინაპარი? „ქართლის ცხოვრებაში“ ბრწყინვალე დიდებულებს შორის მოხსენიებული დმანისელი აბაშიშვილების, იმერელი აბაშიძეების, თუ რაჭველი აბაიშვილების შთამომავალი იყო იგი? – ამ საკითხებით დაინტერესებული დიდი თუ პატარა გულისყურით ისმენდა ძია ილას ნაამბობს მის მეხსიერებაში შემორჩენილ მამა-პაპისგან გაგონილ ლეგენდასა თუ სინამდვილეზე იმის შესახებ, რომ ქარელში გადმოხვეწილი სესია, რომელსაც ერისთავი შემოკვდომოდა, მოურავად დადგომია ციციშვილს. ლეკიანობის ჟამს კი ვაჟკაცობით გამოუჩენია თავი, ამის შესახებ მოხუცებულო-ბისას მემუარების სახით ჩანაწერები გაუკეთებია ძია მიტოსაც. ამავე მიზნით, მე-20 საუკუნის 60-იანი წლების ახალგაზრდების ავთანდილ, მიხეილ (მიშო), სპარ-ტაკ აბაშიშვილების თაოსნობით 1964 წელს ჩვენი გვარების ოჯახების წარმო-მადგენლები რაჭაში, სოფელ სევაში მცხოვრებ აბაიშვილებს ეწვივნენ.

აბაშიშვილების წინაპრის წარმომავლობა ჯერ კიდევ კვლევისა და მსჯელო-ბის საგანია. კითხვაზე – „როდის?“ – პასუხს გვამცნობს ზემოთ აღნიშნული დოკუმენტი: სესიკას მამულებით დასაჩუქრება, ე.ი. აბაშიშვილების ქარელში დამკვიდრება უნდა მომხდარიყო არაუგვიანეს მე-18 საუკუნის ბოლო ათწლეულისა, საქართველოში საგუბერნიო მმართველობის შემოღებამდე, რაზედაც მიუთითებს გამჩუქებელთა ვინაობა – თბილისის მოურავი თავადი დავით ციციშვილი და მისი მეუღლე, მეფის ასული მარიამი, ერეკლე მეორის შვილიშვილი, რომლის ნეშტი ქარელის ღვთისმშობლის ეკლესიაში განისვენებს.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ რაიონულ გაზეთში რამდენიმე წლის წინ გამო-ქვეყნებულ ერთ-ერთ სტატიაში, რომელიც ქარელში გავრცელებულ გვარებს ეხე-ბოდა, ქარელში ცხოვრების ორსაუკუნოვანი ისტორიის მქონე აბაშიშვილების გვარი მოხსენიებული არ ყოფილა.“



# აბაშიძეთა გვარი

# აბაშიძეები

## აბაშიძეთა საგვარეულოს წარმომავლობა და ხნოვანება

დღემდე არ არსებობდა ფაქტობრივი მასალა, როგორც სახელ აბაშ–თან დაკავშირებით (რომელმაც აწარმოა აბაშიძეების ცნობილი ფეოდალური საგვარეულო), ისე უტყუარი ცნობა იმის თაობაზე, თუ რა დროიდან, რომელი საუკუნიდან მოიხსენიებიან ისინი ისტორიაში. ამ საკითხზე პირველად გაზეთ "ივერიაში" გამახვილდა ყურადღება. მასში გამოქვეყნებული ლეგენდები, თავის დროზე იოანე ბაგრატიონმა შეკრიბა და გაჩნდა სიყალბით აღსავსე წიგნი სათაურით „აღწერა საქართველოს თავად–აზნაურთა გვარებისა". მასში თავმოყრილი მასალა უაღრესად ტენდენციურია და თითქმის ყველა წარჩინებულ საგვარეულოს უცხო ქვეყნებიდან მოსულად, არააბორიგენად მიიჩნევს.

წიგნში „თავადი აბაშიძე" ნათქვამია, რომ ისინი არიან „ადგილით აბაშით, რომელ არს ეთიოპია. ესენი იყვნენ ჩინებულნი გვარნი მას ჟამსა. ამათგანი წინაპარნი დაშთნენ იმერეთს შინა, დროსა მეფისა არჩილისასა, ქრისტეს აქეთ წელსა 668, ოდეს აღაოხრა მურვან ყრუმან დისწულმან მამადისამან საქართველო და იმერეთი და დაიპყრო ოდიშიცა და მიიწია აფხაზეთს და ბრძო ანაკოფის მყოფთა მეფესა მისის და არჩილს, რომელ მეფე მოიწყალა მან მძიმედ და მოკვდა, ხოლო არჩილ იქნა მეფედ, ძმა მისისა, და ვერა რაისა დამკლემან მურვან ყრუმ და ძლეულმან იწყო უკან ქცევა და მოვიდა ცხენის წყალს ზედა. და დაიბანაკა. რომელსა ეწია ღვთისა რისხვა და ღამე გადიდდა წყალი იგი და გარდავარდა ბანაკსა მათსა ზედა, რომელნიცა მოაშთო მხედარნი მისნი, ვიდრე ოცდაათიათასამდის და უმრავლესნი ცხენნი და საკიდარნი, რომელისა გამო ეწოდების მდინარეს ამას ცხენისწყალი და ესრეთ განგებისა ღვთისათა წარვიდა მამულად თვისა მურვან ყრუ სირცხვილეული და მხედრობათაგან მისთა დაშთნენ მრავალნი ტყვედ და თვისისა ნებითაცა და რიცხვთა ამათ შინა ყრმა ვინმე ბეგისა შთამომავლობისა ა ბ ა შ ი (ხაზგასმა *ჩვენია*. ი.ა.). დაშთა მან, რომელსაც მეფე არჩილ უყოფდა პატივსა და ზრდიდა თვის თანა, ხოლო შემდგომად ამისა ნადირობას შინა ძესა მეფისა არჩილისასა თანეს ზედა

**შეახლტა მგელი განსაბრძანავად და მაშინ აბაშმან აღმოიწოდა ხმალი და მით მოკლა მგელი იგი. და განარინა ძეი მეფისა და ამისა ჯილდოდ უბოძა მეფემან არჩილ თავადობა და გვარად მისცა აბაშის ძეობა და მიუბოძა მამული, ჭალასა და ზოსიათ ხევსა შინა და სხვანიცა მასთან მყოფნი აბაშანი მიიღო აზნაურობისა ხარისხითა და დაასახლა ჭალას, რომელნიცა იწოდებიან ჭალელ აბაშიძეებად."** (*თბ, 1997, გვ. 23-24*).

წიგნიერმა მკითხველმა იცის, რომ საქართველოს ისტორია იცნობს სამ არჩილს. მათგან არჩილ პირველი იყო ქართლის მეფე და მეხუთე საუკუნის ოცოცდაათიან წლებში მოღვაწეობდა (*420–430-იანი წლები მისი მეფობისა არანაირად არ ემთხვევა წლებს 668*). არჩილ მეორე (*1647–1713*) ვახტანგ მეხუთის ძე იმერეთში მეფობდა 1661–1663 წლებში. დაგვრჩა არჩილ სტეფანოზის ძე. ძველი ქართლის ერისმთავარი მერვე საუკუნეში ჯუანშერის მატიანეში მოხსენიებულია მეფედ. მერვე საუკუნეც (რვაასიანი წლები) ვერ თავსდება მოცემული ეპოქის ჩარჩოებში.

მეისტორიეებმა დაიჯერეს, რომ მურვან ყრუ მერვე საუკუნეში ცხოვრობდა და საქართველოში ლაშქრობა 735–736 წლებში მოხდა. მას სათავეში მურვან ყრუ ედგა და არაბების შემოსევა საქართველოს საბოლოო დამორჩილებას ისახავდა მიზნად. სხვათა შორის, არაბობა საქართველოში მურვან ყრუს შემოსევით იმკიდრებს ფეხს.

ახლა იმის თაობაზე, **აბაში მართლა ეთიოპელია** თუ არა. ამ კითხვაზე პასუხს გვაძლევენ ისტორიკოსი მოსე ჯანაშეილი და პოეტი-აკადემიკოსი, თბილისის ბოჰემა იოსებ გრიშაშვილი უნიკალურ წიგნში „ქალაქური ლექსიკონი", რომლის ავტორია ი. გრიშაშვილი. სიტყვა **აბაში-თან** დაკავშირებით წერს: **აბაში – 1. ექიმი, შინაური მკურნალი, 2. შინაური წამლეულობით მკურნალი** (*თბ, 1997, გვ. 13*).

ხელაღებით თქმა იმისა, რომ ესა თუ ის სიტყვა ქართული არაა, სპარსულია, არაბული და ა.შ. დაუშვებელია. შეიძლება ამა თუ იმ სიტყვას სხვა ერიც ხმარობდეს, მაგრამ საკითხავია, ვინ ვისგან წაიღო? ქართველები ერთი პირველი მოდგმაა აღმოსავლეთში. "მაშ, ჩვენი წინაპრები რა ენაზე ლაპარაკობდნენ?" – სამართლიანად წერს მოსე ჯანაშეილი: **"საადრევად მიგვაჩნია ზოგიერთი მეცნიერის აზრი, თუ ქართულსა და სპარსულში, ან ქართულსა და ბერძნულში არის მსგავსი ან ერთნაირი სიტყვა, უეჭველად იგი უნდა იყოს ან სპარსული, ან ბერძნული და არა ქართული. მართალია, ქართლშიც ირანიდან შემოდიოდა მძლავრი ტალღა, მაგრამ არა ნაკლები სიძლიერით ჩვენგან იქითაც მიედინებოდა."** როგორც მკითხველი მიგვიხვდა, ზემოთ მოხმობილ ამონარიდში ბევრი წყალია და იგი ისტორიულ რეალობასთან თანხვედრაში ვერ ჯდება.

ქართული ენციკლოპედიაც თავისებურად სცოდავს და რბილად რომ ვთქვათ, ისტორიას ისიც აყალბებს. ენციკლოპედიაში აბაშიძეების გვარის

გასწერიე წერია: „პირველი დოკუმენტური ცნობა ამ საგვარეულოს შესახებ, მეთხუთმეტე საუკუნის მეორე ნახევარს ეკუთვნის. იმერელი აბაშიძეების განაყოფად მიიჩნევენ ქართლის აბაშიძეებსაც. მეცამეტე საუკუნის პირველ ნახევარში იმერელი აზნაური აბაშიძეები ბათუმის მხარეში ჩასახლდნენ და ოსმალეთის მთავრობისაგან სანჯაყ-ბეგობა მიიღეს“ (ქსე, ტ. I, თბ, 1975, გვ. 21).

მაშ, ასე: აბაშიძეები მეთხუთმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩანან საბუთებში და მეცამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ბათუმის მხარეში ჩასახლებულან?! მოტანილი შეუსაბამობა კომენტარს არ საჭიროებს. სხვათა შორის, მსგავსი თეთრი ძაფითაა ნაკერი წიგნში აღწერილი თითქმის ყველა გვარი. ციციშვილების ცნობილი გვარის ფუძემდებელი თურმე ურია ყოფილა. ხომ წერია: “ციციშვილები ურიასტანიდან არიანო“. არავინ წინ არ წაიღდა, არ ჩაუღრმავდა საკითხს და არ დასვა კითხვა: მაშ, რა ვუყოთ ასპანისძე-ფანასკერტელებს? ციციშვილთა წინაპარი ხომ ასპანისძეა. მესხეთიდან გადასვლის შემდეგ ასპანისძენი ფანასკერტელებად იწოდნენ, ხოლო ციცი ფანასკერტელმა დაუდო სათავე ციციშვილების გვარს.

ვახუშტი ბატონიშვილი ქვეთავში “მთავართა გუართათვის“ აღნიშნავს: “აბაშიძე, ფალავანდიშვილი და ამირეჯიბი ამათ ერთობასა შინა აქუნდათ მამულნი იმერეთსა და ქართლსა შინა და შემდგომად განაყოფისა სამეფოსა ერთი ძმა იქით და ერთი ძმა აქეთ დაშთნენ, ვითარცა აჩენს მამულნი და სიგელნი მათნი“ (ვახუშტი, ქართლის ცხ., ტ. IV, თბ, 1973, გვ. 35).

აბაშიძეების გვარის წარმოშობის ისტორიის ასათვალსაჩინოდ უაღრესად საინტერესოა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ალაპები და ამ მონასტრის წინამძღოლთა სიის გაცნობა, რომელიც აღწერეს პაველ ინგოროყვამ და ელენე მეტრეველმა. ლუკა პირველი აბაშიძე იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღოლია ათას სამოციან წლებში, ხოლო ლუკა მეორე მუხაის ძე – “წმიდაი ლუკა“ აბაშიძე – 1274 წელს.

1274 წლის 27 ივნისს ალაპი (№ 256-252) განუწესებიათ ლუკა მოწამესათვის (იგივე ლუკა მუხაის ძე აბაშიძისათვის). „27 ივნისსა. ამასვე დღესა ალაპი და ღამისთევაი ღირსისა მამისა ჩუენისა მოწამისა ლუკაისი, რომელი მონასტრისათვის იწამა. გარდაიხდებოდის დაუკლებლად, ვითარცა წმიდათა მოწამეთა. უნაკლულოდ, რაითა ღმერთმან ჩუენ უნაკლულოდ გუყვნეს მისითა მეოხებითა.“

„ლუკა მუხაის ძე აბაშიძე, წინამძღვარი ჯვარისა, აწამეს 1274 წელს, როდესაც ჯვრის მონასტერი დაიპყრეს მუსულმანებმა (პ. ინგოროყვა, ტ. I, თბ, 1963, გვ. 6/751-752).

ჩვენ დავასრულეთ აბაშიძეთა გვარის ფუძედ გამოყენებული სახელის აბაშ სადაურობისა და გვარის ხნოვანების გამორკვევა. პირველი საკითხი ამოწურულად და გადაჭრილად გვესახება. როგორც ჩანს, ეიდრე ეთიოპელური სახელად

ვინმე აბაშს გამოგზავნიდნენ, იგი ჩვენს წინაპრებს უკვე ჰქონიათ. მეორე საკითხი სანახევროდაა გადაჭრილი. უნდა ვივარაუდოთ, რომ აბაშიძეების წინაპრები მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევრამდე უნდა ყოფილიყვნენ. მით უმეტეს, რომ წყაროები 668, 901, 1060, 1274, 1488 და ა.შ. წლებს ასახელებენ (*იხ. წინამდებარე ნაშრომები*). ასე მარტივად როდი ხდება, რომ გვარის წევრი, თუ მას ძლიერი ზურგი არა აქვს და საზოგადოებაში სოციალურად დაწინაურებული მდგომარეობა არ უკავია, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღოლამდე ამაღლებულიყო. ამას ნათლად ადასტურებენ და ნათქვამს ამაგრებენ ისეთი გვარების წარმომადგენლები, როგორიცაა: ეფთვიმე და გიორგი მთაწმინდელები, დავით ტბელი და სტეფანე სანანოისძე, საბა სულაისძე, მიქელ ჭულაიძე, ეფთვიმე გრძელისა, იოანე რეხვაისძე, გოშოსძენი, ხაფთაისძენი (*დღევ. ხაფთასი*), აფაქისძე, აბაშიკელი, აბაზასძე და სხვა.

ისტორიული წყაროებით (*პ. ინგოროყვა, ე. მეტრეველი*) მოხმობილი თარიღებიდან ყველაზე სარწმუნო უნდა იყოს 901 წელი. ასე, რომ აბაშიძეები უძველეს ქართულ საგვარეულოთა რიცხვს მიეკუთვნება.

## აბაშიძეთა საგვარეულო ისტორიიდან

აბაშიძეთა საგვარეულო, რომელმაც საქართველოს მრავალი გამოჩენილი პიროვნება მისცა, საქართველოს ძველი ფეოდალური გვარეულობაა. აბაშიძეთა დინასტია ერთგულად იდგა ქვეყნისა და მეფის სამსახურში სულ ცოტა, ათი და მეტი საუკუნის მანძილზე. მეცხრე საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული დღემდე. აბაშიძეთა გვარი შთამომავლობით მარგვეთიდან (*დღევანდელი იმერეთი, სოფელ ჭალიდან*) იყო. ჭალელი აბაშიძეების განაყოფები არიან ქართლელი, კახელი, თუში, სვანი და აჭარელი აბაშიძეები. იმერელი აბაშიძეების შემდეგ ერთ-ერთი მთავარი შტოა აჭარელი აბაშიძეები, რომლებმაც განუზომელი ღვაწლი გაიღეს საქართველოს გაერთიანებისათვის. "ამ გვარის ყველა წარმომადგენლის ცხოვრებისეული გზა მეტად თუ ნაკლებად პირადი შეძლების შესაბამისად საქართველოს კეთილდღეობისკენ იყო მიმართული. ეს შეუმჩნეველი არ რჩებოდათ გარეშე მტრებს და, ბუნებრივია, მათი უმეტესობა შეეწირა ამ კეთილშობილურ საქმეს" (*თეიმურაზ კომახიძე "აჭარის მთამგენი", ბათუმი, 1995, გვ. 115*).

აბაშიძეები განსაკუთრებით დაწინაურდნენ იმერეთის სამეფოში. მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეების მიჯნაზე ზემო იმერეთში ჩამოყალიბდა აბაშიძეების სათავადო, რომელიც განსაკუთრებით მე-17 საუკუნის მიწურულსა და მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში გაძლიერდა. 1774 წელს ერეკლე მეორემ თავის სიმამრს ზაალ აბაშიძესა და მის შვილებს კახეთში უბოძა ყმა-მამული.

კახეთის აბაშიძეები მათგან მომდინარეობენ.

დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში აბაშიძეთა მკვიდრობის შესახებ ვახუშტი წერს: **"აბაშიძეებს ერთობასა შინა აქუნდათ მამული იმერეთისა და ქართლისა შინა და შემდგომად განყოფისა სამეფოსა ერთი ძმა იქით და ერთი აქეთ დაშთნენო"** (*იხ. მისი აღწერა, გვ. 24–25*).

ვახუშტის შემდეგ **"გუარი თავადის აბაშიძისა უმეტეს განადიდდა მეფეთაგან და მამულიცა უფროჲს შეიძინეს"** (*ხელნაწ. ინსტ. ფ. 5, № 3729, გვ. 10, აგრეთვე გვ. 77*). განსაკუთრებით გაფართოვდა აბაშიძეების სათავადო მე–17 საუკუნის მიწურულსა და მომდევნო საუკუნის პირველ ნახევარში. აღნიშნულ პერიოდში ამ სათავადოში მთლიანად ან ნაწილობრივ შედიოდა შემდეგი სოფლები: ჭალა, სვერი, ღვერე, ნუმაღალი, სვიმონაური, სასუშეთი, ხირთი (ხორითი, ხოვრეთი?), კუადაური, ფაქუთი, წიფლა, ჭიჭილაური, ელაზნაური, ფარსმანული, უსიანი, თეთრაწყარო, მლაშე, ჭარტალი, ფარცხანი, ნატბეური, აჭარა, ზესტაფონი, თურინი, ძირულა, კაცხი, წევა, ილემი, ქორეთი, უბისა, სავანე, ლიჩი, ლოდორა (გოდორა), ლორეშა, ვეზროული, ბეინევი, ხოსიელი, ნაფარცხევი, მაქათუბანი (მესათუბანი), ვერტყვილა (ვერტყვია), ხუნევი, ხარაგოული, ჩხერი, წიფლავაკე, საწაბლია, ცხრაწყარო, ქვები, ბაბი, გოლათუბანი, ზედუბანი, ვახანი, ჩრდილი, ნებოძირი (ნებოზირი–მებოძირი), წიფა, გდეისი, შალიური, რუფოთი, კვახჭირი, შორაპანი, ნავარძეთი, ჭალატყე, ჯოყოეთი, საზანო, რიგანი, ვაჭევი, საკურწე, რკვია, საქარა, მორძგვეთი, სარგვეში, სალვინე, სულევი.

**აბაშიძეთა სათავადოს საზღვარი ჩრდილოეთით რაჭის საერისთავომდე აღწევდა, სამხრეთით – მდინარე ძირულამდე, აღმოსავლეთით – ლიხის მთამდე, დასავლეთით – არგვეთა–ჩხარამდე.**

აბაშიძეები ზემოხსენებულ სოფლების გარდა, მეტ–ნაკლებად ყმა–მამულს ფლობდნენ ჩიხას, ქვიტირს, ფარცხანაყანევს, ჯიხაიშს, ტყაჩირს, ბაკისუბანს, ზორეთს, წყალოფორეთს, ტელეფას, უხადოს, ოკრიბასა და სხვაგან (*ხელნაწ. ინსტ. ფ. საბ. № 1037, 1315, 1335*).

აბაშიძეების აზნაურები იყვნენ: **ორჯონიკიძეები, ყიფიანები, მაჭავარიანები, წერეთლები, კიკნაძეები, ასათიანები** (*ქვიტირს*), **გაბეხაძეები** (*ჯიხაიშს*) **და სხვ.** (*ლ. სოსელია, ნარკვევები, გვ. 160*).

1818 წელს შედგენილი ქართლის აბაშიძეთა აზნაურების ყმა–მამულის აღწერილობიდან ჩანს, რომ იქ შეტანილი საბაშიძეოს აზნაურები მხოლოდ რამდენიმე დღიურ სახნავსა და თითო ან ნახევარ დღის ბაღს ფლობენ. ჰყავთ რამდენიმე ყმა, ანდა ზოგჯერ სრულიად უყმონი არიან. რამდენიმე აზნაურის შესახებ ნათქვამია, რომ ისინი სრულიად უმიწაწყლონი არიან. ასეთი აზნაურები, უმეტესწილად, ბატონის კარზე იმყოფებოდნენ და იქ პოულობდნენ სარჩოს.

ერეკლე მეორე ენერგიულად იღვწოდა თავისი ხელისუფლების განმტკიცებისათვის და ერთდროულად ზრუნავდა აზნაურთა ფენის გაფართოება–შემომტკი–

ცერისათვის. აზნაურთა გადმოსაზიარებლად მოქმედებდა წეს–კანონების ფარგლებში. ის ფრთხილად, გარკვეული წესისა და რიგის დაცვით აკეთებდა ამ საქმეს. როდესაც გიორგი აბაშიძემ თავის აზნაურს დავით ყიფიანს სახელი ჩამოართვა და ამ აზნაურმა ჩანს მეფესთან იჩივლა, მეფე ბრძანებით კი არ მიმართავს გიორგი აბაშიძეს დაუბრუნოს ყიფიანს წართმეული სახელი, არამედ წერილის საშუალებით შუამავლობს ამ საქმეზე აბაშიძესთან (*ს. ფ. 1448. № 853*).

"პაპუნა დოქიძე ზაზა აბაშიძისგან ყიდულობს მეტეხელ ბერია ტყაპუნაშვილს, ზაზა აბაშიძის ყმების აზრამიშვილებისაგან ყიდულობს საწისქვილოს და მიწებს. აშენებს წისქვილს და მეწისქვილედ აზრამიშვილების თხოვნით მათ აყენებს. აზრამიშვილები იძლევიან პირობას, რომ მინდის ორ წილს მას, დოქიძეს მისცემენ და მესამეს თვითონ დაიტოვებენ, ხოლო რასაც ბოსტანს გააკეთებენ, სანახევრო იქნება (*ხელნაწ. ინსტ. ფ. აა 1589*).

აბაშიძეებს სამ ადგილას ჰქონდათ რეზიდენცია – ჭალას (*სასახლით, კარის ეკლესიით, საძვალეთი*). კაცხს (*სასახლე*), –საძვალე (*კაცხის მონასტერში*) და უბისას.

ზემო იმერეთის თითქმის ყველა ციხე–სიმაგრე აბაშიძეების ძლიერების ხანაში მათ ეკუთვნოდათ. ციხეთა სიმრავლით მხოლოდ რაჭის ერისთავი თუ გაუტოლდებოდა მათ ლიხთ–იმერეთში. აბაშიძეების მფლობელობაში იყო ვახანის, ჩხერის, სვერის, ხარაგოულის, ნავარძეთისა და კაცხის ციხეები.

არახანგრძლივად, მაგრამ აბაშიძეების ხელთ იყო აგრეთვე შორაპანის, შროშის, ჭალატყის და ცუცხვათის ციხესიმაგრეები.

აბაშიძეების სათავადოს თავისი მმართველობის აპარატი ჰქონდა, ამ აპარატში ვხედავთ სახლთუხუცესს, მოურავს, ხელოსანს თუ მოხელეს, მამასახლისსა და მემარნეს.

მოურავის თანამდებობაზე ჩანან გიორგი ალაბიძე (*1768*), საჩინო ორჯონიკიძე (*1817*) და ფირან მაჭავარიანი (*1836*). აბაშიძეთა ხელოსნებად დასახელებულია ებანოიძე, მანჯავიძე და კალანდაძე. აბაშიძეთა დაწინაურება, როგორც ითქვა, მე–15 საუკუნიდან იწყება. აღნიშნულ საუკუნეში იმერეთში ამ საგვარეულოს წარმომადგენელს აქ მაღალი თანამდებობა – ამირეჯიბობა უჭირავს.

ბათუმის მხარეში ჩამოსახლებული აბაშიძეები გამაჰმადიანდნენ. თურქეთის მთავრობამ შემდეგ მათ ადგილ–მამული და სანჯაყ–ბეგის სახელი მისცა და ეწოდათ „სანჯაყ–ბეგ–აბაშიძე". აჭარული აბაშიძეები იმერელ აზნაურ აბაშიძეთა ჩამომავლები არიან (*ო. სოსელია, ნარკვევები...*).

აქ საუბარი კომლობრივ გადასვლაზე ისე კი მკითხველს გვინდა ვაუწყოთ, რომ 1463 წელს იმერეთის თავად აბაშიძეებს გამოეყო კახაბერ ვარდანის ძე ერისთავი (აბაშიძე), აჭარაში გადავიდა და იქ აჭარის ერისთავად დაინიშნა.

მკითხველისთვის უინტერესო არ უნდა იყოს, იცოდეს, თუ როგორ პირობებში მოხდა აჭარა–ლაზისტანის კუთხის მმართველად კახაბერ ვარდანის ძის

გამოგზავნა. იმერეთის მომავალი მეფე **ბაგრატ მეორე** საქართველოს მეფის **გიორგის** წინააღმდეგ ჯარით დაეხმარა სამცხე-საათაბაგოს მფლობელს **ყვარყვარე ათაბაგს**. საქართველოს მეფე **გიორგი მერვე** ამ ბრძოლაში დამარცხდა. მხარდაჭერის სანაცვლოდ ყვარყვარე ათაბაგმა ბაგრატს აჭარა-ლაზისტანი გადასცა და მანაც ამ კუთხის მმართველად 1463 წელს **კახაბერ ვარდანისძე** ერისთავი გამოგზავნა. ამ უკანასკნელმა **1483** წელს თავისი სამფლობელო იმერეთის სამეფოსაგან დამოუკიდებელ **სამთავროდ** გამოაცხადა. **კახაბერი** გარდაიცვალა **1483** წელს და მისი სამთავრო გადაეცა მის მემკვიდრეს – **გიორგი კახაბერის ძე აბაშიძეს.**

როგორც ითქვა, აბაშიძეთა გვარის დაწინაურება იმერეთის სამეფოში მე-15 საუკუნის პირველი ნახევრიდან იწყება. ამ დროს მათ სამეფო კარზე **ამირეჯიბის** მაღალი თანამდებობა უჭირავთ. მე-15–მე-16 საუკუნეების მიჯნაზე ზემო იმერეთში ჩამოყალიბდა **აბაშიძეების სათავადო**, რომელიც გაძლიერდა მე-17 საუკუნეში. მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში დასავლეთ საქართველოში უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლება – **კათალიკოსობაც** აბაშიძეთა სახლის წევრს **მალაქიას** აქვს. იგი ძლიერი პიროვნებაა, მის "ბრძანებას" თვით იმერთა მეფეც უსმენს. აბაშიძეების გაძლიერება უფრო იზრდება ალექსანდრე მესამის მეფობის დროს. ამ პერიოდში **როსტომ აბაშიძე** მეფის **სახლთუხუცესია**, ხოლო საგვარეულოს მეთაური (*ეთნარქია*) **პაატა აბაშიძე**. მისი სიკვდილის შემდეგ აბაშიძეთა საგვარეულოს უფროსად მისი ძმა **გიორგი** გვევლინება. **1701–1707 წლებში გიორგი აბაშიძე იმერეთის ფაქტიური მმართველი (*მეფე*) იყო.**

როგორც ყველა ქართველის (*რომელიც მოექცა თურქეთის მონობაში*), ისე აბაშიძეთა საგვარეულოსთვის მუსლიმანობის ქვეშ ყოფნამ უკვალოდ არ ჩაიარა: მიუხედავად დიდი ტანჯვა-ვაებისა, მართალია, აბაშიძეებმა მიიღეს ისლამის რჯული, თურქული სახელებიც დაირქვეს, მაგრამ მშობლიური ქართული ენისთვის არასდროს უღალატიათ და არც გვარი შეუცვლიათ. როგორც ერთი, ისე ყველა აბაშიძის მხრიდან ასეთი საქციელი გმირობის ტოლფასი იყო. გამუსლიმანება ნებაყოფლობით არ მომხდარა. თურქეთის სულთან **სელიმ პირველის** დროს 1500–1520 წლებში დაიწყო პირველი დაპყრობითი შეტევები სამცხე-საათაბაგოზე და პირველ რიგში ჭანეთზე, ე.ი. კახაბერის სამფლობელოზე. საქართველოს ცალკეულ მთავრებს არ შეეძლოთ, ბრძოლით გამასპინძლებოდნენ ისეთ ძლიერ და შეუპოვარ მტერს, როგორიც მაშინ ოსმალეთის იმპერია იყო. ამიტომაც კახაბერის მემკვიდრემ, გიორგიმ გამონახა მოსახლეობის გადარჩენის ერთადერთი გზა – ის თავისი ამალით მივიდა **მაჭრიალში**, ინახულა სულთანი სელიმი და აღუთქვა მორჩილება. მიიღო ისლამის რჯული და დაირქვა სახელად **მემედი**. მსგავსი გზით შემოვიდა ქართველებში ასლანი, მემედი, იბრაიმი, სეითი, სულთანი, სელიმი და სხვა მრავალი.

**აბაშიძეები იყვნენ იმერეთის მეფის უძლიერესი ვასალები. ხშირად მათი ნე-**

ბისამებრ წყდებოდა იმერეთის მეფეთა ტახტზე ასვლა–დარჩენის საკითხი.

აბაშიძეები არგვეთის სათავადოთა შორის ერთ-ერთი უდიდესი საგვარეულოა. იგი ბალეაშთა (ბალუაშთა) ყოფილ სამფლობელოზე აღმოცენდა. ზოგი მეცნიერი იმ ვარაუდსაც უშვებს, რომ თითქოს ბალეაშებსა და აბაშიძეებს შორის გენეტიკური კავშირიც კი უნდა არსებულიყო და აბაშიძეები სულაც ბალუაშთა სახლის რომელიმე შტოდან მომდინარეობენო. ერთი რამ უდავოა, რომ ბალეაშთა (ბალუაშთა) სამკვიდრო მამულის კაცხისა და მისი მიდამოების მემკვიდრეებად გვიან ხანებში აბაშიძეები გვევლინებიან.

ლუკა პირველი და ლუკა მეორე მუხაისძე აბაშიძის შემდეგ ამ გვარიდან უძველესი, ისტორიულად ცნობილი წარმომადგენლები არიან თაყა და აბაშა, რომლებიც მოწმეებად იხსენიებიან ფალავანდიშვილთა 1488 წლის სასისხლო სიგელში (იქვე). ამ სიგელში მოხსენიებული აბაშა უნდა იყოს ის აბაშ აბაშიძე, რომელიც შემდეგ დიდ სამშენებლო საქმიანობას ეწევა – სოფ. ჭალაში აშენებს ეკლესიას წმინდა გიორგის სახელზე. ამ ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე გამოსახულია მისი ამშენებლის მეუღლე კეკელიკა, აბაშის ძმა დომანი მეუღლე გულნარათი და იქვე აბაშის კიდევ ორი ძმა: იანქო და შერმაზანი.

იმავე სოფელში, აღნიშნული ეკლესიის მახლობლად, 1502 წელს აბაშ აბაშიძე აგებს აგრეთვე მეორე ეკლესიას ღვთისმშობლის სახელზე ამ დროისათვის უკვე გარდაცვლილი მისი თანამეცხედრის, ჩიჯავაძის ასულ კეკელიკის სულის "საოხად".

1517 წელს ჩანს გელათის წინამძღვარი მელქიზედეკ აბაშიძე.

ჯრუჭის მონასტრის დასავლეთის პორტიკის მარცხნივ არის ერთი უთარიღო წარწერა, რომელშიც იხსენიება აბაში და მისი ძე გიორგი ფალავანდიშვილი. ამ წარწერის საფუძველზე დ. ბაქრაძე და მ. ბროსე ასკვნიან, რომ აბაშიძეები ფალავანდიშვილთა გვარიდან მომდინარეობენ, მაგრამ ამ დასკვნას არა აქვს შემამაგრებელი ცნობა. ო. სოსელიამაც გაამახვილა ამ ფაქტზე ყურადღება და აღნიშნა, რომ აბაშიძეები ფალავანდიშვილთა გვარიდან არ მომდინარეობენო (იხ. *ოლღა სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), თბ., 1980. გვ. 153–154*).

## თავადი აბაშიძეები მტო-გვარები და ოჯახები

ქართულ გვარ-სახელებში ჭარბობს პატრონიმული მოდელის (*წინაპრის სახელისაგან ნაწარმოები*) გვარ-სახელები. მრავალი მაგალითი მოიპოვება იმის საილუსტრაციოდ, რომ მამა და შვილი სხვადასხვა გვარ-სახელით აღინიშნება (*მაგალითად, რომელიმე გაბრიელა ბეთაშვილის შვილი, განონას გვარ-სახელია გაბრიელაშვილი*). პატრონიმული

გვარ-სახელის არასტაბილურობა, საერთოდ, დამახასიათებელი მოვლენაა ფეოდალური ეპოქისათვის. ერთი საგვარეულო სახლის წარმომადგენლები, როგორც ამას საბუთები ადასტურებს, პატრონიმის ფუძე-სიტყვად იყენებენ ხან მამის, ხან ბიძის, ხან პაპის, ხან კიდევ უფრო შორეული წინაპრის საკუთარ სახელს (*მაგ.: ბარათაშვილი ავთანდილ არის იგივე იესეს შვილი ავთანდილ, მამის სახელის მიხედვით. თამაზიშვილი ავთანდილ – პაპის სახელის მიხედვით*). გვარ-სახელების ერთ დიდ წყებას მრავალი შტო, ქვეგვარი გამოჰყოფია. ამ მხრივ არც აბაშიძეთა საგვარეულოა გამონაკლისი.

საყანეთში (*ვანის რაიონი*) მცხოვრებმა აბაშიძეებმა სოფლის სახელწოდება გაიგვარეს და დღეს საქართველოში მცხოვრები საყანელები გვარად აბაშიძეობას ამბობენ.

## შტო-გვარები

სვანეთი

აჭარა

იმერეთი

8322 სული

თბილისი – 1109

ხელვაჩაური – 924

ქართლი

კახეთი

ყვირილის ხეობა

ქობულეთი – 938

თუშეთის თემი

არაგვის მიდამოები

ბეშიძე 247

აბაშიძისშვილები (კახეთში) 0

მგებრისშვილები (ქართლში) 0

საყანელები (საყანეთი) ვანში 77

ქაიხოსროშვილები (ქართლში) 55

სვიმონიშვილები (კახეთში) 497

გაბუაშვილი–ლაბუაშვილი 0

ნიკოლოზიშვილები (ქართლში) 154

აბაშიძე-ფინეზიშვილი 0

ამილახვარიშვილი–აბაშიძე 0

მამუკაშვილი 1441

აბაშიძე-გორლენკო 0

საქართველოში ყველაზე გავრცელებულ გვართა შორის
აბაშიძეები რაოდენობით 21-ე ადგილზე არიან

„თავადი აბაშიძე — გვარი ამ თავადის აბაშიძისა უმეტეს განდიდდა მეფეთაგან და მამულიცა უფროირე შეიძინეს დროსა გიორგის მეფობისასა წელსა ქრისტეს აქეთ 1605 და მერე დროსა მეფისა ვახტანგისასა. რომელნიმე გარდმოსახლდნენ ქართლსა შინა ხეობასა სურამისასა და რომელნიმე დაშთნენ იმერეთსავე. აწ არიან განყოფილნი ქართლში მცხოვრებნი: 1) ქაიხოსროს შვილები, 2) ევგენისაშვილები, 3) ნიკოლოზისაშვილები, ხოლო კახეთსა შინა — იოანე აბაშიძის შვილები და 2) სვიმონიშვილები და ესენიცა არიან სამ ხარისხათ: 1) ქაიხოსრონი, მეორე ნიკოლოზისა და სხვანი მესამე თავადობისა ხარისხსა შინა, ხოლო კახეთს მცხოვრებთა პირველი არის იოანეს შვილი პირველის ხარისხით, ხოლო მეორე თავადის ხარისხით — სვიმონიშვილნი (*იოანე ბაგრატიონი, აღწერა..., გვ. 23–24*).

თავადი აბაშიძე ესენი არიან, ვითარცა ზეით აღვწერეთ აბაშიძეების შთამომავლობანი და იყო ივანე აბაშიძე, ძე ზაალ აბაშიძისა, რომლისა ქალი მეფესა ერეკლესა ჰყვა ცოლად, რომლისაგან იშვა მეფე მე–13 გიორგი და არიან კახეთსა შინა მცხოვრები ორ სახლად: 1) ივანეს შვილები, 2) სვიმონის შვილები (*იქვე, 40*).

აზნაური სავანელი. ამათნი წინაპარნი არიან მონათესავენი მდაბალთა აბაშიძეთა, დამდაბლებულნი მათთან, ხოლო სავანელობა მიიღეს ამათ ადგილისა გამო სავანეთისა, რომელ არს საწერეთლოსა ხეობასა შინა, და მუნ ესახლნენ პირველ და მერე მოვიდნენ ქართლს, დროსა ვახტანგ მეფისასა და არიან ცნობილ აზნაურად და ტრაქტატსა შინა მოხსენიებულ.

შენიშვნა: მეორე ვარიანტი: სევავან არის ციხე ვანის მხარეს, მაგარი და მკიითგან არიან მოსრულნი, მის გამო ეწოდათ სავანელნი ქართულის ენის თვისებით. ესენი არიან დროსა თათართაგან დაპყრობისა მათ ადგილთა, რომელნიც იყვნენ ციხის მის უფროსად. ესენი იყვნენ ძველისავე 901 წელს (*იქვე, 104*).

თავადი აბაშიძეები მამულებს ფლობდნენ ყორნისის ხეობაშიც (*სოფელი ავნევი, სოფელი მტვლიანა*). აბაშიძეების ერთი შტოგვარი მამულებს ფლობდა მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში „ალონის“ (*ალევანის*) მიდამოებში, რის გამოც მიიღო მათი მიწებმა თუშეთის თემში „*გათუშება*“ (*იქვე, 130*).

აბაშიძეთა საგვარეულოში მრავალი პირია დაწინაურებული. მათ შორის თაყა, აბაშ, მელქიზედეკ, მალაქია (*აფხაზთა კათალიკოსი 1529 წელს*), აბულასარი ამირეჯიბი, გიორგი (*მდივან-მწიგნობარი*), პაატა (*ოთხი პაატაა ამ გვარში*), ლევანი (*სამი*), ამილახვარი, ნიკოლოზი (*ამილახვარიშვილ–აბაშიძე*), ვახუშტი, სვიმონი (*ხუთი*), ზურაბი, ქაიხოსრო, ევგენი, დავითი, იოანე (*იოვანე–ივანე*), ზაალი (*1774 წლიდან ზაალი და მისი ძენი კახეთში დამკვიდრდნენ და მათგან მომდინარეობდნენ კახეთის აბაშიძეები*), გიორგი, ფინეზი (*აქედან გვარი ფინეზიშვილ–აბაშიძე*), ერთი როსტომი, ნიკოლოზი (*მეორე*), ბეჟანი, მაქსიმე, ხახუტა, დათიკა, გრიგოლი, დიმიტრი, ლეონ...

[illegible]

აბაშიძეთა ერთ-ერთ შტოს წარმოადგენდნენ, აგრეთვე, ლაბუაშვილები, ანუ გაბუაშვილები, რომელნიც მე-19 საუკუნის დამდეგს გვხვდებიან (*ხელნაწ. ინსტ. საბ. № 8354, 8396, 10082*). ისტორია იცნობს აბაშიძე-მამუკაშვილსა და ფინეზაშვილ-აბაშიძეს. როგორც ცნობილია, ფეოდალურ საზოგადოებაში ფეოდალის ძლიერებას ციხესიმაგრე უწყობდა ხელს. ციხის მფლობელი ადგილობრივი მოსახლეობის მბრძანებელი იყო.

აბაშიძეთა კიდევ ერთი შტო-გვარი, განაყოფი უჩნდებათ პაატასაგან. პაატას მემკვიდრეები აბაშიძე-პაატაშვილებად იწოდებოდნენ (*ხელნ. ინსტ. ფ. № 2317; 4354, სცია, ფ. 229, (4) დავთარი 17, საქ. № 128*).

სოლომონ მეფემ ისარგებლა აბაშიძეებს შორის ატეხილი მტრობით და 1754 წელს გიორგი აბაშიძე-მამუკაშვილისაგან იყიდა ხარაგოულის ციხე მისი მამულითა და მასში შემავალი აზნაურით, მსახურითა და გლეხით (*ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, 2, 3, 1921, გვ. 3*).

უფრო მოგვიანებით, 1762 წელს მეფემ ნიკო ფინეზიშვილი-აბაშიძისგან ჩხერის ციხეც შეისყიდა (*ო. სოსელია, ნარკვ. ფეოდ. ხანის დასავ. საქ. სოც. ეკონომ. ისტ-დან, თბ, 1973, გვ. 165*).

აბაშიძე და აბაშიძე-გორელენკო. თავად აბაშიძე - გორელენკოს გვარი მომდინარეობს თავად პაატა აბაშიძისაგან, რომელიც მე-17 საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდა.

ეს გვარეულობა შეტანილია მეფე ერეკლე მეორის მიერ 1783 წლის 24 ივლისს ხელმოწერილ ტრაქტატზე დართულ ქართლის თავადთა სიაში.

უზენაესისა და მისი აღმატებულობის წარდგენითა და სახელმწიფო საბჭოს 1825 წლის 20 სექტემბრის დამტკიცებულობით, თავადის ხარისხი ებოძათ დავით ივანეს ძეს, ზაალს, ნიკოლოზსა და ევგენი სიმონის ძე აბაშიძეებს. მისი აღმატებულობის ძალით, 1874 წლის 29 ივლისს შტაბსროტმისტრს თავად სიმონ ქაიხოსროს ძე აბაშიძეს ნება დართეს, თავისი გერბისა და გვარისათვის მიეერთებინა სიმამრის მაიორ სიმონ დავითის ძე გორელენკოს გვარი იმ პირობით, რომ ასეთნაირად შეერთებული სამგვაროვანი სახელი გვარში უფროსიდან მოკიდებული გადასულიყო მის შთამომავლობაზე (*Васильевич С. Титулованне роды, გვ. 50*).

1850 წლის 6 დეკემბერს რუსეთის იმპერატორმა თავადის ხარისხში დაამტკიცა და საგვარტომო (*ხაგვარდოვან*) წიგნში შეიტანეს: პოროუჩიკი ივანე გიორგის ძე აბაშიძე, მეუღლე მისი თამარი, პრაპორშიკი დიმიტრი ლევანის ძე, მეუღლე მისი ოლღა, ქალიშვილები ივლიტა, მარიამი, კონსტანტინე ივანეს ძე, მისი ძმები მიხეილი, გაბრიელი, დები: ქეთევანი, მართა, დავითის ქვრივი ბარბარე, შტაბსკაპიტან ლევანის ქვრივი ქეთევანი, ქალიშვილი სალომე (*Список князям и дворянам Грузии, ტ. I, გვ. 2-5*).

აბაშიძე-გენათელი - გიორგი მეფემ იგი გენათელად დასვა და ჯვარისმტ-

ცირთველად მიაბარა საყდრის დეკანოზი კლდიაშვილ–შალიკაშვილი (*1563–1564 წ.წ. შდ–8727*).

აბაშიძე – მისი მამულები შედიოდა ამილახორის სადროშოში (*1606–1643 წ.წ. შდ–2124*).

აბაშიძე – მისი სახლთუხუცესი იყო თამაზ საგანელი (*მე–17 ს–ის II ნახ., შდ–301*).

აბაშიძე ბეჟან – ეხმარებოდა პაატა აბაშიძეს როსტომ მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბანანა ჩხეიძესთან ერთად საომრად დახვდა ბეჟან საგინაშვილს, რომელმაც ბანანა ჩხეიძეს თავი მოჰკვეთა, ხოლო იგი დაატყვევა და მეფეს მიჰგვარა. ეს ამბავი მოთხრობილია როსტომ მეფის მიერ ბეჟან საგინაშვილისათვის (*1638 წ. 27. 1450–30/63*) და ნაზარალი–ხანის მიერ ფარემუზა საგინაშვილისათვის (*1689 წ. 1. 10–1450–30/65*) ბოძებული თარხნობის წიგნში.

აბაშიძე გიორგი – ალექსანდრე მეფემ მას უწყალობა ბიძამისის, ლაბუა აბაშიძის წილი ყმა–მამული: ჭარტალი და ელაზნაური ათი კომლი გლეხითა და აზნაურიშვილით (*1633–1675 წ.წ. ქ.ძ. № 1455*).

აბაშიძე ლევან – ეკუთვნოდა გორისას ოთხი კომლი კაცი და ერთი პარტახტი. არგვეთის – ერთი გლეხი. "ქართველთა ბატონს" (*შაჰნავაზს*) ეს მამულები ფალავანდიშვილისთვის მიეცა. როდესაც დიმიტრი მეფემ იმერეთი დაიჭირა, მისი კუთვნილი მამულები ქაიხოსრო წერეთელს უბოძა (*1663 წ. შდ–514*). აბაშიძე ლევანს ჰყავდა გლეხები გორისას. იქვე გორისას – ბაგიასეული პარტახტი არგვეთის ყველაფერი ეს ბაგრატ მეფემ ქაიხოსრო წერეთელს უწყალობა (*1660–1681*).

## საისტორიო წყაროებში მოიხსენიებიან:

***აბაშიძე, თაჭალელი, აბაშ, ბადურ, ბეჟან, ბერი, გედევან, გოგია, გიორგი, გიორგი (იგივე მალაქია), გიორგა, (მამა მამუკა, ბიძა ლაბუა, გიორგი, სეხნია, დარეჯან (აბაშიძის ასული), ესტატე, ვახუშტი, ზურაბ, თამარ (თამარ აბაშიძე), თაყან, იესე, ოთარ, კოზმან, ლევან, პაატა, ლომინი, მალაქია, მამუკა, მამუკა, მამუკა (მამა გიორგი აბაშიძისა, პაატა, პაატა, პაატა, პაატა, პაატა, პაატა, პაატა, პაატა, რევაზ, როსტომ, სეხნია, ფინეზ, ქაიხოსრო, ლომანა (ვარაუდით ლომენა), ხახუტა, აბდულია, აბდულა (მეორე) (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, თბ, 1992 გვ. 51–54).***

ვურთავთ თავად პაატა აბაშიძის შთამომავალთა სიას, რომლებიც ცხოვრობდნენ მე–17 საუკუნის პირველ ნახევარში.

1 **თავადი პაატა აბაშიძე** თავადი პაატა 1684, 3. № 4. **თავადი მალაქია**, ჯერ ქუთაისის **მიტროპოლიტი**, შემდეგ დაბრუნდა საერო წოდებაში სახელწოდებით **გიორგი**. იყო ცოლიანი და **მართავდა იმერეთს 1701 წლიდან 1707 წლამდე** 5. **თავადი ლევანი**. 6 . **თავადი სიმონი**. ცოლად ჰყავდა უფლისწულ გიორ–

გის ქალიშვილი დარია. 7. **თავადი ზურაბი.** 8. **თავადი ნიკოლოზი,** მონაზონი. 9. **თავადი ვახუშტი.** ცოლად ჰყავდა მეფე ვახტანგ მეექვსის ქალიშვილი, საქართველოს უფლისწული **ანუკა.** 10. **თავადი პაატა.** 11. **თავადი ლევანი.** თავადის ასული **მარიამი** ცოლად ჰყავდა საქართველოს უფლისწულ **ვახუშტის** (*საქართველოს ისტორიკოსი*). თავადის ასული **ელენე** ცოლად ჰყავდა თავად **მამია გურიელს.** **თამარი** იყო იმერეთის მეფე **ალექსანდრე მეოთხის** მეუღლე. 12. **თავადი დავითი.** 13. **თავადი ზაალი.** 14. **თავადი ქაიხოსრო,** ცოლად ჰყავდა იმერეთის უფლისწული **დარია,** მეფე სოლომონ პირველის ქალიშვილი. 15. **თავადი ივანე** (*მისი შთამომავლები იყვნენ ქართლში*). 16. თავადი **ივანე.** 17. თავადის ასული **ანა,** იყო მეუღლე ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორის, თეიმურაზის ძისა. **18. თავადი გიორგი. 19. თავადი სიმონი.**

**1850 წლის 6 დეკემბერს სანკტ-პეტერბურგში დამტკიცებულ სახელობით საოჯახო სიაში იმერეთის თავად აბაშიძეებიდან შეტანილი არიან: პრაპორშჩიკი ივანე დავითის ძე,** მეუღლე მისი **მარიამი,** ვაჟები: ნიკოლოზი, ალექსი, დავითი, გიორგი, სამსონ, კონსტანტინე. ქალიშვილები: მართა, ალექსანდრა, ნატალია, დარო. კოლეჟის რეგისტრატორი **სიმონ დავითის** ძე, მეუღლე მისი **მაკრინე,** ვაჟი ნიკოლოზი, ქალიშვილი ნინა; **ივანეს ქვრივი ელისაბედი,** ვაჟები: შტაბს-კაპიტანი გიორგი, სიმონი, ქალიშვილი ეკატერინე; შტაბს-კაპიტანი **დიმიტრი როსტომის ძე,** მეუღლე მისი **ელისაბედი,** გარდაცვლილი ვაჟები: ნიკოლოზი, კაპიტონა; **შტაბს-კაპიტანი თომა,** გიორგის ქვრივი **ელენე,** ვაჟები: ქაიხოსრო, ქაიხოსროს მეუღლე ნინა, მათი ვაჟები: გიორგი, სიმონი, ლევანი, მიხეილი, ქალიშვილები: ნინა, კესარია; **კონსტანტინე ლევანის ძე,** მეუღლე მისი **ეკატერინე,** ვაჟები: ივანე, დავითი, ქალიშვილები: ელისაბედი, მარიამი, ტერეზა; **ვახუშტი ქაიხოსროს ძე,** მეუღლე მისი **ხვახვა;** ვაჟები: გიორგი, ლევანი, ტარიელი, ტარასი, ივანე. ქალიშვილები: კესარია, ნინა; **გიორგის მეუღლე მართა.** ვაჟები: სამსონი, მელიტონი; **დავით დავითის ძე,** ქალიშვილი ევა; **პრაპორშჩიკი დიმიტრი სიმონის ძე,** მეუღლე მისი **ირინე,** ვაჟი ალექსანდრე, ქალიშვილები: ვენერა, ნატო, დარო; **ზურაბ ზურაბის ძე,** მეუღლე მისი **გაიანე,** ვაჟი სამსონი; **გიორგი გიორგის ძე,** ვაჟი, პრაპორშჩიკი **ქაიხოსრო,** მეუღლე მისი **ბარბარე,** ქალიშვილი შარისოზა; გიორგის ქალიშვილები: იელიტა, ასინეთა, ალექსანდრა; **ივანე როსტომის ძე,** მეუღლე მისი **მაია;** ივანეს ძმები: სიმონი, ლევანი, დიმიტრი, გიორგი, ზურაბი. სიმონის მეუღლე ნატო, ვაჟი როსტომი, გიორგის მეუღლე მაია. **ზურაბ გიორგის ძე,** მეუღლე მისი **მზეხათუნა.** ქალიშვილები: იელიტა, ანტიოფა. ზურაბის ძმა ნიკოლოზი, მათი და თათია. **დავით პაატას ძის ქვრივი ქეთევანი,** ვაჟიშვილები: პრაპორშჩიკი პაატა, ესტატე, პაატას მეუღლე ანა. ვაჟები: გიორგი, კონსტანტინე, ქალიშვილი მარიამი; ქეთევანის ქალიშვილები: ვარდი, ეკატერინე, მართა, **ლევან ჯაბასპის ძე,** მეუღლე მისი **თეკლე,** ვაჟი ფინეკი. ქალიშვილი ნატო. ლევანის ძმები: მიხეილი, გიორგი. **ზურაბ ალმასხანის ძე,** ძმისშვილები:

იეანე ნიკოლოზის ძე. დავით ქაიხოსროს ძე და მისი მეუღლე ანასტასია, დისშვილი ზურაბი. გარდაცვლილ სიმონის ქალიშვილები: ელისაბედი, დესპინე. **სიმონ დავითის ძის ქვრივი ანასტასია**, ვაჟები: დავითი, იასონი, გიორგი, ქალიშვილები: ბარბარე, იუსტინა; **ქაიხოსრო გედევანის ძე**, მეუღლე მისი **ტასო**, ვაჟები: ალექსანდრე, დემეტრე, ქალიშვილები: მარიამი, კესარია, მზეხა; ქაიხოსროს ძმა როსტომი, მეუღლე მისი მარიამი, ვაჟები: სიმონი, კონსტანტინე, ალექსანდრე, ქალიშვილი ტასო (*Список князям*, *I*, *11–14*).

აზნაურებად ჩაწერეს: **აბაშიძე ნიკოლოზ ბეჟუას ძე**, მეუღლე მისი **მარიამი; ქაიხოსრო ბესარიონის ძე**, მეუღლე მისი **მარიამი; ლევან ხოსიას ძე**, მეუღლე მისი **ელისაბედი; რევაზ პაატას ძე**, მეუღლე მისი **თეთია**, ვაჟიშვილები: პაატა, ნიკოლოზი, პაატას მეუღლე ქეთევანი, ვაჟიშვილები: ანტონი, ასლანი, ქალიშვილები: ტურფა, ფატმანი; **ზურაბ პაატასძე**, მეუღლე მისი **მართა**, ვაჟიშვილები: სიკო, მიხეილი, მეუღლე მისი ევა, ვაჟიშვილები: არჩილი, იასე, ქალიშვილები: რასელა დოფინა; **ჯოგორია ივანეს ძე**, მეუღლე მისი **მარიამი**, ვაჟიშვილები: იეანე, გოგია, დავითი, სიმონი, ვლადიმერი, ქალიშვილები: ევდოკია, მარიამი, იეანეს მეუღლე თეკლე; **დავით ხოსიას ძე**, მეუღლე მისი **დარეჯანი; ივანე დავითის ძე**, მეუღლე მისი **ფუფელა**, ვაჟიშვილი როსტომი, მისი მეუღლე როდამი, ვაჟიშვილები: სიმონი, პლანტონი, ნესტორი, ქალიშვილები: ეკატერინე, ტერეზა, მაია, ციცია; **გიორგი ბეჟანის ძე**, მეუღლე მისი **როდამი**, ვაჟიშვილები: ბერი, კონსტანტინე, ქალიშვილები: ანა, ნინა, დარეჯანი; ბერის მეუღლე მაკრინე; **ლევან ზაალის ძე**, მეუღლე მისი **ანა**; **გიორგი ზაალის ძის ქვრივი სალომე**, ვაჟიშვილები: ბერი, ნიკოლოზი, სოლომონი, ბერის მეუღლე მარიამი, მათი ვაჟი იეანე; **ბიჭია ივანეს ძე**, ვაჟიშვილი ნიკოლოზი, ქალიშვილები: მაკრინე, სოფიო; **გრიგოლ ივანეს ძე**, მეუღლე მისი **ნატო**, ვაჟიშვილები: კონსტანტინე, აბესა; **როსტომ მამუკას ძე**, მეუღლე მისი **სალომე**, ვაჟიშვილები: კონსტანტინე, არჩილი, **გიორგი ლევანის ძე**, მეუღლე მისი ანასტასია, ვაჟიშვილები: ალექსი, მინა, ქალიშვილი ჯუფა, სიმონის ქვრივი დარეჯანი, ვაჟიშვილი ლუკა, ქალიშვილი ეფროსინე; **დავით სიმონის ძე**, მეუღლე მისი **თათია**, ქალიშვილები: იელიტა, ქრისტინე, ლარისა, ბარბარე; **ფილიპე ალექსის ძე** და ირინე, **იოსებ ითამის ძე**, მეუღლე მისი **ელისაბედი**, ვაჟიშვილები: სიმონი, ალექსანდრე, ქალიშვილი თინათინი; იოსების ძმა დავითი, მეუღლე მისი რუსუდანი, ვაჟიშვილები: ნიკოლოზი, იეანე, ქალიშვილები: მაგდალინა, თამარი, თალალო; ნიკოლოზის მეუღლე ანუსია, ვაჟიშვილი სამსონი. **სიმონ იასეს ძე**, მეუღლე მისი **ელისაბედი**. ქალიშვილი ირინე. ძმა ქაიხოსრო. მეუღლე მისი მაია. ვაჟიშვილი თარხანი. ქალიშვილი ელისაბედი. **დავით სიმონის ძე**, მეუღლე მისი **თათია**. ვაჟიშვილი ზურაბი. **ბესო ქაიხოსროს ძე**, მეუღლე მისი **მელანო**. ვაჟიშვილები: გრიგოლი, გიორგი, ქალიშვილი ირინე, ბესოს ძმა როსტომი, მეუღლე მისი სიდონია. ვაჟიშვილები: კონსტანტინე, მინა, სიმონი, იეანე; ლევან იეანესძე, მეუღლე მისი რუსუდანი, ქა-

ლიშვილები: კიკინა, მელანო; **სარიონ დავითის ძე** მეუღლე მისი **ხათუნა**, ქალიშვილი სიდონია; **ზაალ გიორგის ძე** მეუღლე მისი **ანა**, ვაჟიშვილები: დიმიტრი, ანტონი, ყარამანი, ქალიშვილები: ელისაბედი, პელაგია. დიმიტრის მეუღლე ეკაკა, ანტონის მეუღლე ალათია. **სიმონ ერასტის ძე**, ქალიშვილი მაკრინე. **პაატა სიმონის ძე**, ძმა მისი ალექსი, დედა ტასო; **ქაიხოსრო ბერუას ძე** მეუღლე მისი **სოფიო**, ვაჟიშვილები: გარსევანი, მალაქია, ქალიშვილები: ბარბარე, ტასო; **ფარსადან ბერუას ძე** მეუღლე მისი **როდამი**, მათი ვაჟიშვილი გრიგოლი, ქალიშვილები: მაკრინე, მართა, ელისაბედი, ალათია, ტასო; **ნიკოლოზ იესეს ძე** მეუღლე მისი **მაია**, ქალიშვილი მაკრინე; **ნიკოლოზ თოთიკას ძე** მეუღლე მისი **მასუა**, ვაჟიშვილები: მალხაზი, იეანე, სპირიდონი, სარდიონი, ქალიშვილები: ხათუნა, გაიანე, სურათა; **კაცია ზაალის ძე** მეუღლე მისი **მაია**, ქალიშვილი ათათო. **იოანე გედევანის ძე**, მისი ძმა სიმონი, დედა მაია; **წმინდანი იოსებ იოსების ძე** მეუღლე მისი **ეკატერინე**, ვაჟიშვილი ნიკოლოზი. იოსების ძმები: ალექსი, ლუარსაბი. ალექსის მეუღლე მაკრინე, ვაჟიშვილები: ალფეზი, იოსები, იორამი, ქალიშვილი მზეხათუნა. ლუარსაბის მეუღლე გულქანი. ვაჟიშვილები: ნესტორი, სამსონი, იეანე, ქალიშვილები: ვასასი, ასთანდარა. **გედევან თეიმურაზის ძე** მეუღლე მისი **თეკლე**, ვაჟიშვილები: გამგე, გრიგოლი, ქალიშვილები: ნატო, ელისაბედი; გედევანის ძმა დავითი, მეუღლე მისი სოფიო. ვაჟიშვილი ილიკო, ქალიშვილი მაკრინე, დედა პელაგია. გედევანის დები: სამრამია, იმილა, მარინე. **ჯავახო ბექანის ძე** მეუღლე მისი **ალათია**. ვაჟიშვილები: ბექანი, მურზაყანი, ილარიონი, ქალიშვილი ეფროსინე; **გიორგი ვახტანგის ძე**, ვაჟიშვილი მისი იასონი, ქალიშვილი ნატო; **ლუარსაბ გიორგის ძე** მეუღლე მისი **ნინა**, ქალიშვილი მელანო; **ზურაბ სიმონის ძე** მეუღლე მისი **ბარბარე**, ქალიშვილები: ეკა, ოლღა, მარიამი, თამარი; **მერაბ პაპუნას ძე** მეუღლე მისი **ჯეჯგარა**. ქალიშვილები: თებრონე, ელისაბედი. მერაბის ძმა მაქსიმე, მეუღლე მისი ევდოკია. ვაჟიშვილი სიმონი, ქალიშვილი მარიამი; **ნიკოლოზ იოანეს ძე** მეუღლე მისი **ტასო**. ვაჟიშვილი აბესალომი. **იოანე სპირიდონის ძე**, დედა მისი ანუსია, იეანეს დები: მარიამი, მაკრინე; **დარისპან პაატას ძე** მეუღლე მისი **ელენე**, მათი ვაჟიშვილი კონსტანტინე, დარისპანის ძმა იეანე, დედა თინათინი; **იოსებ ზაალის ძე** მეუღლე მისი **სოფიო**, ვაჟიშვილი დიმიტრი. ქალიშვილები: კეკელა, სალომე თებრონე; თათუა ზაალის ძე, მეუღლე მისი ელისაბედი. ვაჟიშვილები: მალხაზი, იეანე, ალექსანდრე, ქალიშვილები: მაგდალინა, მარიამ; **ფეშანგ ზაალის ძე** მეუღლე მისი **მაია**, ვაჟიშვილი ეფემია, ქალიშვილები: ჯუფარა, პელაგია, ანა; **ბესარიონ ვახტანგის ძე** მეუღლე მისი **ბარბარე**, ვაჟიშვილები ელისე, ილარიონი, ქალიშვილი ელისაბედი; **მიხეილ იოანეს ძე** მეუღლე მისი **ტურფა**. ქალიშვილი კეკელა; **მამუკა იოანეს ძე** მეუღლე მისი **ელისაბედი**. ვაჟიშვილები გარსევანი, ხეხუტა, ქალიშვილები ჯუფარა, ნატო, ქეთევანი; **გიორგი სიმონის ძე** მეუღლე მისი **თინათინი**, ვაჟიშვილები: ნიკოლოზი, დავითი, ანტონი, ქალიშვილები: მარფა,

სოფიო; **ზურაბ სიმონის ძე**, მეუღლე მისი ეკატერინე. ქალიშვილები: მაია, რუსუდანი, ნატო; **მამუკა ხუხუტას ძე**, მეუღლე მისი **ტასო**. ქალიშვილი ელისაბედი; **დიმიტრი როსტომის ძე**, მეუღლე მისი **მაია**, ძმები დიმიტრი, მეთოდე, და ნინა. დედა გულქანა; **ივანე სიმონის ძე**, მეუღლე მისი **ელისაბედი**. ვაჟიშვილები: სოსო, შამშე, ანდუყაფარი, ქალიშვილები: რახილა, ელისაბედი, მაკრინე; **ქაიხოსრო დავითის ძე**, მეუღლე მისი **მაგდანა**, ვაჟიშვილები: გიორგი, ყარამან, ივანე, ნიკოლოზი, ქალიშვილი მარფა; **ლევან ლევანის ძე**, მეუღლე მისი **მაია**, ქალიშვილი სალომე; **მარკოზ იაკობის ძე**, მეუღლე მისი **თათია**. ვაჟიშვილები: ელიზბარი, ნიკოლოზი, ეფრემი. ქალიშვილები: მარფა, ხათუნა, გაიანე; **ლევან იაკობის ძე**, მეუღლე მისი **სალომე**. ვაჟიშვილი ბიჭია; **ივანე თამაზის ძე**, მეუღლე მისი **მარფა**. ვაჟიშვილები: პრაპორშიკი როსტომი, ვახუშტი, ნიკოლოზი, თარხანი. ქალიშვილები: მზეხათუნა, ნინა; **ზურაბ ვახტანგის ძე**, მეუღლე მისი **ელისაბედი**. ქალიშვილი იელიტა. ზურაბის ძმები: ქაიხოსრო, ლევანი. **დიმიტრი ბეჟანის ძე**, მეუღლე მისი **ტასო**. ვაჟიშვილი გიორგი, ქალიშვილები: გაიანე, იელიტა; **ხოსია სიმონის ძე**, მეუღლე მისი **ვარდო**, ქალიშვილები: მაგდალინა, ალათია; **ზაალ ბერუას ძე**, მეუღლე მისი **თინათინი**, ვაჟიშვილი სოლომონი, მეუღლე მისი ვარდი. ვაჟიშვილი ნარიმანი; **მაქსიმე დავითის ძე**, ძმა მისი ქაიხოსრო; **იოსებ ივანეს ძე**, **ბერი გოგიას ძე**, მეუღლე მისი **მარფა**. ქალიშვილები: ტასო, ია, ბერის ძმა ედიშერი, მეუღლე მისი მელანო; **კაცია იესეს ძე**, მეუღლე მისი **ტურფა**. ვაჟიშვილები: ივანე, როსტომი, სიმონი, მიხეილი, ივანეს მეუღლე თებრონე, კაცias ძმა დავითი, მეუღლე მისი მარიამი, ვაჟიშვილი იოსები; **ბეჟან პაატას ძე**, მეუღლე მისი **თათია**: ვაჟიშვილები: ლევან, დიმიტრი, იოთამი, პაატა, მამუკა, ლევანი, მეუღლე მისი მელანო, ქალიშვილი მაია, დიმიტრის მეუღლე თათია, ვაჟიშვილები ხახულა, კონსტანტინე, დავითი, ქალიშვილები: კესარია, მარიამი, იოთამის მეუღლე რუსუდანი, ვაჟიშვილი სპირიდონი, პაატას მეუღლე გულქანი, მამუკას მეუღლე ტურფა, ვაჟიშვილი ასისო; კაკუჩა ბერუას ძე, მეუღლე მისი მაგდალინა, ვაჟიშვილი ბესო. ქალიშვილი ირინე; ზაალის ქვრივი ანა, ვაჟიშვილები: სიმონი, ქაიხოსრო, პლატონი, დიმიტრი; **ვახუშტი ზაალის ძე**, ვაჟიშვილები: ზურაბი, როსტომი, ზურაბის ვაჟი სიმონი, ქალიშვილი მატრონა, როსტომის მეუღლე მზეხათუნა; **სიმონ დავითის ძე**, მეუღლე მისი სოფიო. ვაჟიშვილები: დავითი, გიორგი, ქალიშვილები: ალათია, თებრონე,

# აბაშიძეებს ქორწინებრივი კავშირები ჰქონდათ შემდეგ საგვარეულოებთან:

პელაგია, ელისაბედი". (*Список князям. I, №№ 194–226, გვ. 44–54*).

**ზაალ აბაშიძის** ასული **ანა დედოფალი** გათხოვილი იყო **მეფე ერეკლე II**-ზე.

**თავად სიმონ აბაშიძეს** ცოლად ჰყავდა უფლისწულ გიორგის ქალიშვილი დარია.

**თავად ვახუშტი აბაშიძეს** ცოლად ჰყავდა **მეფე ვახტანგ VI**-ის ასული, საქართველოს უფლისწული **ანუკა.**

**თავად ლევან აბაშიძის** ასული **მარიამი** ცოლად ჰყავდა საქართველოს უფლისწულს **ვახუშტი ბაგრატიონს.**

– **ელენე** ცოლად ჰყავდა თავად **მამია გურიელს.**

– **თამარი** იყო იმერეთის მეფის **ალექსანდრე IV**-ის მეუღლე.

**თავად ქაიხოსრო აბაშიძეს** ცოლად ჰყავდა იმერეთის უფლისწული **დარია,** მეფე სოლომონ II-ის ქალიშვილი.

**თავადის** ასული **ანა აბაშიძე** იყო ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის ძის, **თეიმურაზის** მეუღლე.

**ოუფქმე აბაშიძე ქობულეთელი ბეგის თავდგირიძის მეუღლე იყო.**

**მინიერე აბაშიძე გათხოვილი იყო ფოცხოვის მფლობელ ახმედ ბეგ ათაბაგზე.**

**სეფურე ათაბაგის ქალი ცოლად ჰყავდა მემედ აბაშიძეს.**

**ასლან აბაშიძის** მეუღლე იყო **მაგული გოგიტიძე.**

**გიორგი აბაშიძე** იმერეთის სარდლის **ქაიხოსრო პაპუნას ძე წერეთლის** სიმამრი იყო.

**დავით აბაშიძეს** ცოლად ჰყავდა **მუხრან-ბატონის** ასული **სალომე.**

**დავით აბაშიძისა და სალომე მუხრან-ბატონის ასული თამარი იყო ცოლი მირმანოზ ერისთავისა და დედა ცნობილი მანანა ორბელიანისა.**

**დარეჯან აბაშიძე** იყო **ქაიხოსრო აბაშიძის** მეუღლე. **მეფე სოლომონ I**-ის ასული და **ივანე აბაშიძის** დედა.

**ევგენი** (*გეგენა*) **აბაშიძის ასული** იყო **ომარ ხან ავარიელის** ცოლი.

**ევგენი აბაშიძის** შეილი მაია შეირთო **ომარ ხანმა, ელენე** მიათხოვა

თავის იბრაჰიმ ხანს – ყარაბაღის (*შუშის ხანს*). მათას მეორე მეუღლე იყო მერაბ წულუკიძე.

ივანე აბაშიძემ ცოლად მოიყვანა იქ ჩასახლებული აზნაურის ჩიკვაიძის ასული.

ეკატერინე აბაშიძე იყო სარდალ ქაიხოსრო წერეთლის მეუღლე.

დავით აბაშიძის დედა – აიშე გოგიტიძე, მეუღლე – გეროგლიძე.

ჯემალ აბაშიძის დედა – ნიგარ ხალვაში, მეუღლე – ლიანა ნიჟარაძე.

ვახტანგ აბაშიძე – დედა ემინე ზაქრაძე, მეუღლე – ჟუჟიან ნაკაშიძე.

ვახტანგ აბაშიძე – დედა ნელი ჟორდანია, მეუღლე – ნატო ხომერიკი.

ვახუშტი აბაშიძემ ვახტანგ VI-ს მიათხოვა თავისი ასული ანუკა ბატონიშვილი.

ზურაბ აბაშიძე – დედა ნელი ჟორდანია, მეუღლე – ნელი ფალიაშვილი.

ავთანდილ აბაშიძე – მეუღლე მარინა ენდელაძე.

ივანე აბაშიძე – მეფე ერეკლე II-ის მეუღლის ანა დედოფლის ძმა.

ლევან აბაშიძე – მისი ასული ალექსანდრე V-ის მეუღლე და სოლომონ I-ის დედა.

ქაიხოსრო აბაშიძე იყო სიძე იმერეთის მეფის სოლომონ I-სა, ცოლად ჰყავდა მისი შვილი დარეჯანი.

იოანე აბაშიძე – მეფე ერეკლე II-ის ცოლის ძმა.

იოანე ქაიხოსროს ძე აბაშიძე – დედით სოლომონ I-ის შვილიშვილი. მისი ცოლის ძმა იყო გიორგი გურიელი. იოანე აბაშიძის ასული ეკა იყო აკაკი წერეთლის დედა.

ტასო აბაშიძე – ვასო აბაშიძისა და მაკო საფაროვა-აბაშიძის ქალიშვილი.

პაატა აბაშიძის თანამეცხედრე იყო ბაგრატ მეფის ასული დარეჯანი.

თამარ აბაშიძე – ნიკოლოზ ორბელიანის ცოლი და სხვ.

# აჭარელი აბაშიძეები და მათი საშვილიშვილო ღვაწლი

მდიდრე აბაშიძეების საშვილიშვილო ღვაწლზე ვისაუბრებთ. უწინარეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ მათი საქმე ყველაზე უფრო სრულყოფილად და ნათლად წარმოაჩინეს ბატონებმა თეიმურაზ კომახიძემ და გურამ შარაძემ. აჭარელ აბაშიძეებზე წინამდებარე წიგნში ჩვენ უხვად ვიყენებთ სწორედ მათ ნაშრომებს „აჭარის მოამაგენი“ და „მემედ აბაშიძე“.

თეიმურაზ კომახიძე წერს, რომ: „ – აბაშიძეებიდან დიდი მამულიშვილობითა და სამშობლოს სიყვარულით გამოირჩეოდნენ მემედი და მისი ძმა ასლანი, მემედის ღვიძლი ბიძა ხუსეინი და მისი შვილები ზია, რიზა და ფეზლი. მოგვიანებით ამ კოჰორტას აქტიურად შეუერთდა ჰაიდარ აბაშიძე – ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, რომელსაც მემედ აბაშიძე ბიძად ეკუთვნოდა.

რა თქმა უნდა, ოსმალეთის საქართველოში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, მარტო აბაშიძეთა წარმომადგენლებით არ შემოიფარგლებოდნენ, მაგრამ ამ დიდი საქმის წარმმართველნი ზემოთ აღნიშნული პირები იყვნენ, რომლებსაც წინაპრებისგან მოსდგამდათ დედასაქართველოს დიდი სიყვარული და ამიტომაც ამქვეყნიურ ცხოვრებისეულ სიამეს სამშობლოსათვის თავგანწირვა ამჯობინეს.“

მემედ აბაშიძის ბაბუა იუსუფი, როგორც ითქვა, ლაზისტან-ბათუმის სანჯაყ-ბეგი (*სადროშოს ბეგი*) თურქეთის სულთანმა 1848 წელს მოაწამვლინა ტრაპიზონში. მიზეზი მისი საქართველოსაკენ ორიენტაცია, სულთანისადმი დაუმორჩილებლობა და ქართული ტრადიციების შენარჩუნება-განმტკიცება იყო.

**იუსუფი**

- ემინი
- ხალილი
  - შუქრი
    - ნური
    - მუსტაფა
  - ალი
    - ჰაიდარი (ცნობილი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი)
    - იუსუფი
    - ყადირი
    - ომერი
    - ოსმანი
    - ხალილი
  - აბდული
- ხუსეინი
  - ზია
  - რიზა
  - ფეიზლი
- ახმედი
- იბრაიმი
  - მახმუდი
  - ხასანი
  - მემედ აბაშიძე 1873-1937
  - ასლანი

ბათუმ-ჭანეთის ბოლო სანჯაყ-ბეგს თუსუფს ხუთი შვილი დარჩა.

როგორც გენეალოგიიდანაც ჩანს, მემედ აბაშიძე იყო უმცროსი ძმის იბრაიმის შვილი, რომელიც ქალაქ ბათუმში დაიბადა 1873 წელს. იბრაიმი მეტად განათლებული და პროგრესული პიროვნება იყო. მან ძმასთან, ხუსეინთან ერთად დიდი წვლილი შეიტანა აჭარის კულტურისა და განათლების აღორძინების საქმეში.

პირველი ქართული სკოლის გახსნაზე ბათუმში ჩამოსული ილია ჭავჭავაძე სპეციალურ თათბირს აწყობს ნური ხიმშიაშვილის სახლში – ხუსეინ აბაშიძის, ხუსეინ ბეჟანიძისა და ბათუმის „უჩასტკის" უფროსის გაბუნიას თანდასწრებით.

1881 წელს ბათუმში გახსნილ პირველ ქართულ საშუალო სკოლაში ჩარიცხული 30 ახალგაზრდიდან 9 აბაშიძე იყო, მემედ აბაშიძის უახლოესი ნათესავები. კერძოდ: ზია ხუსეინის ძე, უღფრე ხუსეინის ასული, ალი სალიხის ძე, ახმედ ხუსეინის ძე, ალი ხუსეინის ძე, ფეიზული ხუსეინის ძე და მემედ იბრაიმის ძე აბაშიძეები. აბაშიძეთა გმირობის მაგალითს სხვა აჭარელთა ოჯახებმაც მიბაძეს. ყოველივე ეს მიუთითებს აბაშიძეთა გვარის პროგრესულობასა და დიდ ქართველობაზე.

იბრაიმ აბაშიძეს ოთხი ვაჟი და ერთი ქალიშვილი ჰყავდა.

იბრაიმი

ხასანი — მამუდი — მემედი — ასლანი — მინირე

იბრაიმის ყველა შვილს განათლება ძირითადად ოჯახში მოწვეული მასწავლებლების საშუალებით მიუღიათ. ისინი მშობლიურ ქართულთან ერთად სრულყოფილად ფლობდნენ სხვა ენებსაც, ღრმად ერკვეოდნენ პოლიტიკაში, ეკონომიკაში და სამხედრო საქმეში.

მემედ აბაშიძე გვევლინება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშედ და აჭარის დიდ განმანათლებლად.

„მემედს ორი ვაჟი ჰყავდა: იბრაიმი და მამუდი. იბრაიმი ნამდვილი ჯენტლმენი იყო. მას მამის თვალები გამოჰყვა. მაღალი, ელეგანტური, კრისტალური, საოცრად სათნო ვაჟკაცი, ძვირფასო თანამოსაუბრე გახლდათ, ახლა იშვიათად არიან მისთანები.

მამუდი კი აღარ ვიცი, როგორ აღვწერო: უულამაზესი ვაჟკაცი გახლდათ, შუაზე გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ლორდ ბაირონს". – წერს ბატონი თეიმურაზ კომახიძე (*„მამულიშვილი". ბათუმი. 1994. გვ.18*).

კომახიძისვე აღწერით: „მემედი იყო უაღრესად განათლებული, მოაზგე, კულტურული, მოღვაწე, მგზნებარე პატრიოტი და მოუსყიდველი პოლიტიკოსი.



# მემედ აბაშიძე

ქუჩაში და საზოგადო ადგილებში მუდამ იპყრობდა გამვლელ მოქალაქეთა ყურადღებას თავისი გოლიათური ახოვანებითა და უბადლო სილამაზით. იგი ტიპიური ბათუმელი იყო – გულღია, ბავშვიერი სპეტაკი გულით... თვალები მოლურჯო, თილისმურად მიმზიდველი.

თხელი, პატარა ტუჩები, ეაკაკური ნიკაპი, გულმკერდი განიერი, მხრები აკუნთული, მიხვრა-მოხვრა დარბაისლური. ზრდილი და თავდაჭერილი ყველანაირ ქცევაში, მამაცი და უშიშარი, როგორც ვეფხვი.

უდიდესი მცოდნე აღმოსავლური ლიტერატურისა, თეატრის, პიესებისა და სხვა საქმეების ხელოვნებათმცოდნე, შარიათსა და ყურანთან ერთად პატივს სცემდა მსოფლიო კლასიკურ ლიტერატურას. გატაცებით საუბრობდა ომარ ხაიამზე, ზეპირად იცოდა დიდბუნებოვანი სენტენციები. თაყვანს სცემდა მისი ფილოსოფიის გენიასა და წარმატებით თარგმნიდა კიდეც.

ზედმიწევნით იცოდა შექსპირი. მეშელი ბრწყინვალე პოეტური ნიჭით იყო დაჯილდოებული, მაგრამ მას, მუდმივად დევნილს, არ ეცალა საკუთარი შემოქმედებისათვის.

ეს არ მოხიბლავს და არ აღამაღლებს თავად ჰაიდარ ალის ძე აბაშიძის *(15.08.1893. ბათუმი. – 3. 01.1960 წ. თბილისი)* საქმენი სადიდებელნი. იგი ისტორიამ, ქართულმა მიწამ მიიღო, როგორც ქართველი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, პედაგოგი, სანჯაყ-ბეგ აბაშიძეთა შთამომავალი."

1918 წლის 26 მაისს საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. ამ დროისათვის აჭარა რიგ სხვა ოლქებთან ერთად *(1913 წ. 1 აპრილიდან)* თურქეთის ხელშია. 1918 წლის 1 აპრილამდე აჭარელთა მცირე ჯგუფი, რომელშიც სხვასთან ერთად იყვნენ ჰაიდარი და ზია აბაშიძეები, ტოვებენ აჭარას და თბილისში გადადიან. ამ ჯგუფმა 1918 წლის 15 მაისს თბილისში დააარსა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი", რომლის თავმჯდომარედაც დაუსწრებლად არჩეულ იქნა მემედ აბაშიძე.



**მემედ იბრაჰიმის ძე აბაშიძე მემედ-ბეგი**, ქართველი საზოგადო მოღვაწე, მწერალი და პუბლიცისტი იყო. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა მეოცე საუკუნის დასაწყისში. სისტემატურად ბეჭდავდა პუბლიცისტურ წერილებს ქართულ პრესაში. აქტიურად იბრძოდა მუსლიმან ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისა და საქართველოს ერთიანობისათვის, რის გამოც რამდენჯერმე დააპატიმრეს და გადაასახლეს. 1917 წელს დაბრუნდა ბათუმში. ხელმძღვანელობდა ქართველ მუსლიმანთა საქველმოქმედო საზოგადოებას. 1918 წელს პროტესტით შეხვდა აჭარაში შემოსულ თურქებს, რისთვისაც დააპატიმრეს და ტრაპიზონის ციხეში ჩასვეს. საპატიმროდან გაიქცა, ჩამოვიდა თბილისს და სათავეში ჩაუდგა ჰაიდარ აბაშიძის, ზია აბაშიძის, ახმედ ბეჟანიძის, სულეიმან დიასამიძის, ხასია თხილაიშვილის, ჯემალ ნოღაიდელის, ყადირ შე–

რეაშიძის და იუნუს წულუკიძის მიერ დაარსებულ ზემოთ აღნიშნულ „კომიტეტს“. კომიტეტის მიზანს შეადგენდა აჭარის,ართვინის, ახალციხის გათავისუფლება თურქთა ჯარებისაგან და საქართველოს ამ კუთხეების საქართველოსთან შეერთება. ჩანაფიქრის ხორცშესასხმელად და ბრესტის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული თვითგამორკვევის უფლებების დაცვის აღსრულების მიზნით საზღვარგარეთ გაემგზავრა დელეგაცია ზია-ბეგ აბაშიძისა და ყადირ-ბეგ შერვაშიძის შემადგენლობით.

„სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმა“ აჭარასთან ახლო მდებარე ოზურგეთის მაზრაში შექმნა „ქართველ მუსლიმანთა“ ბატალიონი ასლან აბაშიძის მეთაურობით. როცა მხარეს ინგლისელი ოკუპანტები დაეუფლნენ და ეითარება დაიძაბა, მემედ აბაშიძემ „სსგკ“-ს დაუყენა საკითხი, რომ კომიტეტს თავისი მუშაობა უნდა მიემართა, როგორც „სამუსლიმანო საქართველოს“ ოსმალეთის ჯარებისგან გასათავისუფლებლად, ისე მისი საქართველოს „ავტონომიურად“ შემოსაერთებლად.

აჭარის გათავისუფლებისა და ავტონომიურ საფუძველზე მოწყობის გზაზე ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო ბათუმში გამართული პირველი ყრილობა (*1919 წ. 31 აგვისტო*). ერთ-ერთი გამოსვლისას ამ ყრილობაზე მემედ-ბეგ აბაშიძემ თქვა: „ზოგიერთი ფიქრობს, რომ სარწმუნოება და ეროვნება ერთი და იგივეა. ჩვენ მტკიცე მუსლიმანები ვართ, საქართველოს ღვიძლი შვილები. ჩვენ უნდა შევიგნოთ, გარდა საქართველოსი, ჩვენი ხსნა არ არის. მოიგონეთ, რომ როცა ჩვენ ვიბრძოდით ცეცხლისა და მახვილის ქვეშ, ჩვენი მშველელნი იყვნენ მხოლოდ ჩვენი ძმები – ქართველი ქრისტიანები. გახსოვდეთ, რომ თქვენ ხართ პასუხისმგებელნი ისტორიისა და შთამომავლობის წინაშე, – რას წარმოვადგენთ ჩვენ ახლა, ჩვენს სახლში, ჩვენს ქვეყანაში, როცა ჩვენი ქვეყნის მართვა-გამგეობაში ვერავითარ მონაწილეობას ვერ ვიღებთ და ჩვენს ბედსა და იღბალს უცხოელები განაგებენ. მაგრამ დღეს ჩვენმა ხალხმა გაიღვიძა ხანგრძლივიძილისაგან და გადაწყვიტა, შეერთებული ძალებით თვითონ შეიქმნას თავისი ბედის პატრონი, რასაც მოწმობს დღევანდელი კრება“ (გაზ. *„ერთობა“ №. 1919 წ., 4.09. იხ. მურად ჩაველეიშვილი. „მემედ აბაშიძე და აჭარის ავტონომია“, ბათუმი, 1999, გვ. 11-12*).

ყრილობამ აირჩია მეჯლისი (*პარლამენტი*) მემედ აბაშიძის თავმჯდომარეობით. მასში შევიდნენ პროგრესული ინტელიგენციისა და გლეხობის წარმომადგენლები: ჰ. აბაშიძე, რ. ნიჟარაძე, ქ. ნოღაიდელი, ი. ქათამაძე და სხვა. ყრილობის მიერ მიღებულ განცხადებაში ნათქვამია: „ამიერიდან სამარადისოდ ბათუმი და ბათუმის ოლქი შეუერთდეს თავის ბუნებრივ სამშობლოს, საქართველოს რესპუბლიკას, სამუსლიმანო საქართველოს ფართო ავტონომიის ნიადაგზე და ამ ავტონომიურ საზღვრებში ეროვნულ უმცირესობებს მიეცეს ჩვენთან თანაბარი პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლებები“ (*დასახელებული წყაროები*).

1919 წლის 31 აგვისტოს დამფუძნებელმა კრებამ ერთხმად დაადგინა ბათუმისა და მისი ოლქის საზღვრებში აჭარის ავტონომიის შექმნა. დადგენილების შესასრულებლად არჩეულ 20-კაციან კომისიას მემედ-ბეგ აბაშიძე ხელმძღვანელობდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და მენშევიკური პარტიის ხელმძღვანელობამ აჭარისათვის ავტონომიის მიცემის საკითხი გაცილებით ადრე გადაწყვიტა, ვიდრე ქართველ მუსლიმანთა პირველი ყრილობა 1919 წლის 31 აგვისტოს მიიღებდა ამის შესახებ გადაწყვეტილებას. ქართველი ხალხის საერთო ბედისაგან გამოთიშულმა მუსლიმანმა ქართველებმა ვერ შეწყვიტეს სულიერი კავშირი თავიანთ ხალხთან. მიუხედავად მკაცრი დევნისა და შევიწროვებისა, მათ შეინარჩუნეს წინაპრების ენა და ზნე-ჩვეულებები. ფართო ავტონომიის მიცემასთან ერთად აჭარაში მცხოვრებ ადამიანებს აღუთქვეს, რომ რელიგიის საქმეებში ქრისტიანი ქართველები არ ჩაერეოდნენ და თავიანთ ძმებთან, ქრისტიან ქართველებთან მოაწყობდნენ მშვიდობიან და მეგობრულ ცხოვრებას.

ამრიგად, **1919 წლის 25 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა სამუსლიმანო საქართველოს ავტონომია გამოაცხადა.**

მ. აბაშიძე 1919-21 წლებში რედაქტორობდა გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს". მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე. ქართულად თარგმნა ომარ ხაიამის, ნამიკ ქემალის ნაწარმოებები. ავტორია არაერთი შთამბეჭდავი სტატიისა და მიმართვისა, პუბლიცისტური წერილებისა. თარგმნა ჯელილ მამედ-ყული ზადე.

პროფესორმა **იური სიხარულიძემ** შეადგინა, რედაქცია გაუკეთა და შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთო მემედ აბაშიძის რჩეულ ნაწერებს. იური სიხარულიძე წერს: „ბათუმის ქართული სკოლა, რომელიც ილია ჭავჭავაძის თაოსნობით გაიხსნა 1881 წლის 23 მარტს, ნაყოფიერი გამოდგა. მისი „პირმშოს" ფართო ეროვნულ სარბიელზე გამოსვლას საქართველოს „უგვირგვინო მეფეც" მოესწრო. ეს პირმშო მემედ აბაშიძე იყო.

ნიჭიერი ყმაწვილი ქართულ სკოლაში ხარბად დაეწაფა ცოდნას. საყვარელი მასწავლებლის მოსე ნათაძის ხელმძღვანელობით კარგად შეიცნო სამშობლოს ჭირ-ვარამი და ღრმად ჩაინერგა გულში მისი გაერთიანებისათვის ბრძოლის იდეა.

ბათუმის სანჯაყ-ბეგთა შთამომავლებს საამისოდ შინაც კარგი პირობები ჰქონდა. მისი მამა იბრაჰიმი და ძმები, ჰუსეინი და სალიხი ახლო ურთიერთობაში იყვნენ ქართველი ერის მოწინავე შვილებთან, კერძოდ, ილია ჭავჭავაძესთან და ყოველთვის სიმპათიით ხვდებოდნენ მის წამოწყებებს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. პირველად მათ მიაბარეს შვილები ქართულ სასწავლებლებში და გულმოდგინედ ზრუნავდნენ მათ კეთილდღეობაზე. მედროვეთა გვერდის ავლა და ქართულ სკოლაში შვილების გაგზავნა ამ დროის ძნელი საქმე

იური სიხარულიძე

იყო.

დედაენის გვერდით მემედი საფუძვლიანად დაეუფლა რუსულ, არაბულ, სპარსულ და თურქულ ენებსაც.

**მემედ აბაშიძე იყო დედასამშობლოს ფარგლებში სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიის მთავარი ინიციატორი. მანვე შეადგინა ავტონომიის კონსტიტუციის პირველი პროექტიც.**

მ. აბაშიძე იმ მოღვაწეთა ბედნიერ გამონაკლისს ეკუთვნოდა, რომლებიც, დიდ ავტორიტეტთან ერთად, დაჯილდოებულნი იყვნენ ვაჟკაცობით, მჭერმეტყველების უნარით და სიმპათიური გარეგნობით.

ცნობილმა მოღვაწემ პუბლიკაციებითაც გაითქვა სახელი. ქართველი საზოგადოება დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს მ. აბაშიძის წერილებს „სახალხო ფურცელ"ში", „საქართველოში", „ნიშადურში" და სხვა მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში.

თვალსაჩინოა მ. აბაშიძის, როგორც მთარგმნელის მოღვაწეობაც. იგი აქაც მრავალფეროვნებას იჩენდა. ქართულად გადმოჰქონდა სპარსული, თურქული, აზერბაიჯანული ლიტერატურის შედევრები. თურქულად თარგმნიდა ქართულ დრამატულ და პოეტურ ქმნილებებს.

მ. აბაშიძის თარგმანებიდან განსაკუთრებით პოპულარობა ხვდათ ოსმალო მწერლისა და დრამატურგის ნამიკ ქემალის (*1837–1888* წ.წ.) დრამას „სილისტრას", რომელიც „სამშობლოს" სახელწოდებით დაიბეჭდა „მოამბეში" 1904 წელს (*№ 4, 6, 7, 11*) და გუზიდე საბრის მოთხრობას "მუნეკერ" (*ცალკე წიგნად გამოიცა 1931 წელს*).

მ. აბაშიძის ნათარგმნ თხზულებებს შორის გამოირჩევა აგრეთვე „გულნელპალ", რომელიც გაზეთ „საქართველოს" სურათებიან დამატებაში დაიბეჭდა 1916 წელს (*№ 40, 42, 45, 49*), სეფეთ-ნუზიჰის "შეკითხვა და განმარტება" (*გამოქვეყნდა იმავე წელს გაზეთ „სახალხო ფურცლის" სურათებიან დამატებაში № 93, 101, 103*), *ჯელილ მემედ-ყული ზადეს "მიცვალებულნი"* (*დაიბეჭდა 1927 წ.*) და სხვა.

მანვე თურქულად თარგმნა ს. შანშიაშვილის „ანზორი" და, რაც განსაკუთრებით საინტერესოა, შეუდგა „ვეფხისტყაოსნის" ამ ენაზე თარგმნას, მაგრამ აღარ დასცალდა – გარდაიცვალა 1941 წლის 6 მარტს, 68 წლის ასაკში. მემედ აბაშიძეზე დაიბეჭდა სამი წიგნი, ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში დაიდგა სპექტაკლი „მზე", მიძღვნილი მემედ აბაშიძისადმი, ბათუმის ერთ-ერთ სკოლას მიენიჭა მემედ აბაშიძის სახელი და ა.შ. (***გამოყენებულია მასალები თეიმურაზ კომახიძის ნარკვევიდან „მამულიშვილი"; მემედ აბაშიძე, რჩეული ნაწერები, შედგენილი იური სიხარულიძის მიერ, თბ., 1967, გვ. 3–7.***)

მემედი დიდი რაინდი და გულუხვი მასპინძელი იყო. არავინ იცოდა მისებრ სტუმრის მიღება.

მემედ აბაშიძეს სამი ძმა და ერთი და ჰყავდა. **ხასანი, მამუდი, ასლანი და მინირე.** მინირეს ორი შვილი შეეძინა, ვაჟი და ქალი.

მემედის უმცროსი ძმა ასლანი 1877 წელს დაიბადა ბათუმში.



**ასლან აბაშიძის** კეთილშობილების შესახებ სოფელ კირნათის მცხოვრებ ნატო აბაშიძეს უთქვამს: „როგორც ბაბუაჩემმა ხემზე აბაშიძემ მითხრა (*ასლან აბაშიძის მეჯვარეა*), მუჰაჯირად ყოფნის დროს ქალაქ სამსუნთან ყაჩაღებს წაურთმევიათ მისთვის ქონება პირუტყვითურთ. ეს გაუგია მემედ აბაშიძის ძმას – ასლანს, რომელსაც პრინციპულად დაუყენებია საკითხი გაქურდვის შესახებ ადგილობრივ პოლიციაში, რის შედეგადაც ბაბუას კუთვნილი ქონება დაუბრუნეს. ამის შემდეგ მისივე დახმარებით პატარა მიწის ნაკვეთიც გამოუყვეს. მუჰაჯირობიდან დაბრუნების შემდეგ ბაბუასთვის ასლანს უჩუქებია ოქროს საათი, რომელიც დღესაც ინახება ჩვენს ოჯახში" (*იქვე, გვ. 26*).

ასლან აბაშიძე ნამდვილად დიდი მამულიშვილი იყო.

მემედ აბაშიძის უახლოესი თანამებრძოლი იყო ზია აბაშიძე. მასთან ერთად ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა მამისი ხუსეინი, ძმები რიზა და ფეიზლი.



**ზია ხუსეინის ძე აბაშიძის** მამა ბათუმის სანჯაყ-ბეგის იუსუფის შვილია, ხოლო ხუსეინი მემედ აბაშიძის მამის, იბრაიმის ძმა. ხუსეინ აბაშიძე საზოგადოებაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. თურქეთში მიღებული ჰქონდა გენერლის (ფაშა) წოდება. ხუსეინი ფლობდა დიდ ქონებას, რაც მას მემკვიდრეობით ერგო. მისი სამფლობელოები განლაგებული იყო კახაბერში, ანგარისში, ურეკში და თვით ბათუმში.

ხუსეინ აბაშიძეს ხუთი შვილი ჰყავდა, მათ შორის სამი ვაჟი: **ზია, რიზა ფეიზლი, ლუთბიე, ულფიე.**

მემედ აბაშიძე 1937 წელს დააპატიმრეს შვილებთან, იბრაიმთან და იფეთთან ერთად. ერთმა ვაჟიშვილმა მამუდმა თავს გაქცევით უშველა. დაპატიმრებისას გადარჩენილი ოჯახის წევრები: იბრაჰიმის მეუღლე **შაესტერი**, რომელიც მაშინ ფეხმძიმედ იყო, და **ᲓᲔᲓᲐ ᲡᲔᲤᲣᲠᲔ** ქუჩაში გამოაგდეს.



მემედ აბაშიძე თვენახევარში თბილისში დახვრიტეს. შვილები იბრაიმი და იფეთი შორეულ აღმოსავლეთში გადაასახლეს ციმბირის რკინიგზის მშენებლობაზე. რაც შეეხება მამუდს, ის წლების განმავლობაში იმალებოდა და როდესაც მსოფლიო ომი დაიწყო, მოხალისედ წავიდა ჯარში, საიდანაც ცოცხალი აღარ დაბრუნებულა.

18 წლის შაესტერი და მისი დედამთილი, ქალბატონი სეფურე უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ქალბატონი შაესტერი იძულებულია, დედამთილთან ერ-

თად დროებით შეეკედლოს ბაბუას, **მემედ გვარიშვილის** ოჯახს. ცოტა ხანში უკან ბრუნდებიან ბათუმში და იკავებენ მიგდებულ, საცხოვრებლად უვარგის ოთახს ბიძის, **სულეიმან გვარიშვილის** დახმარებით. ქალბატონი შაესტერი იძულებულია, დაიწყოს მუშაობა მაღაზიაში, ხოლო ცოტა მოგვიანებით კი – საავადმყოფოში მომმარაგებლად. ოჯახის მოთხოვნას მის მიერ აღებული ხელფასი მინიმუმითაც ვერ აკმაყოფილებს და ამიტომაც ის იძულებულია, ერთდროულად რამდენიმე ადგილზე იმუშაოს. ამასთანავე, ყველაფერს აკეთებს გადასახლებიდან **იბრაიმისა** და **იფეთის** გამოსახსნელად. მისმა



ძალისხმევამ შედეგი გამოიღო და ორი წლის პატიმრობის შემდეგ იბრაიმი და იფეთი სამშობლოში ბრუნდებიან, მაგრამ მათ ქალაქში ცხოვრება ეკრძალებათ. იბრაიმს უარს ეუბნებიან ინსტიტუტში აღდგენაზე და იმ დღიდან მათი ოჯახისთვის იწყება მრავალტანჯული ბოშური ცხოვრება. რომელ რაიონში არ ნახავდით იბრაიმ აბაშიძის ოჯახს. ის მუშაობას იწყებს ქობულეთის რაიონის **სოფ. ხალას** საშუალო სკოლაში ჯერ მასწავლებლად, მერე კი დირექტორად. იწყება მსოფლიო ომი, ცხოვრება ძვირდება და მასწავლებლის ხელფასი ველარ წვდება ხუთსულიან ოჯახს *(ამ დროისათვის **იბრაიმს და შაესტერს** ქალ-ვაჟი ჰყავთ – **ასლანი და ნარგიზი**).* ოჯახი იძულებულია, ჩოლოქში მიწის ნაკვეთი აიღოს და იქ ბრინჯი დათესოს. მუშაობის ძირითადი ტვირთი აქაც ქალბატონ შაესტერის მხრებზე გადადის. გადის დრო და შავი ასირდილის კლანჭები იბრაიმის ოჯახს სოფელ ხალაშიც წვდება და მას, როგორც ხალხის მტრის შვილს, სამსახურიდან ითხოვენ. ის იძულებულია, სამუშაოდ **ხულოში** გადავიდეს. სადაც ვიღაც მადლიანი რაიონის ხელმძღვანელის თანადგომით ხულოს კულტურის სახლის დირექტორად ინიშნება. ოჯახური ბიუჯეტის შესავსებად აქაც ქალბატონი შაესტერი მებაღჩეობას მიჰყოფს ხელს, რითაც დამატებითი სარჩო შემოაქვს ოჯახში. წლები გადის, ასლანი და ნარგიზი წამოიზარდნენ, ისინი სწავლას აგრძელებენ ხულოს საშუალო სკოლაში. „სამშობლოს დამცველმა" შავმა ურჩხულმა იბრაიმ აბაშიძის ოჯახს ხულოშიც მიაგნო, აქედანაც რაღაც მოგონილი მიზეზით სამსახურიდან ითხოვენ.

მემედ აბაშიძე შვილებთან



იბრაიმთან და მამუდთან ერთად



მემედ აბაშიძის რეაბილიტაციის შემდეგ, 1957 წლიდან იბრაიმ აბაშიძის ოჯახს ოფიციალურად ეძლევა უფლება ქალაქში ცხოვრებისა. ნასესხები ფულით ისინი ბათუმში იძენენ ოთახნახევრიან ბინას ქუთაისის 30-ში, მუსლიმანური მეჩეთის გვერდით. მეჩეთის მესვეურებმა, პირადი სიმპათიებიდან გამომდინარე, სამზარეულოდ მათ საკუჭნაო გამოუყვეს. აქ ცხოვრობდნენ ისინი 1961 წლამდე.

**ბატონი იბრაიმი ბათუმში დაბრუნების შემდეგ მუშაობას იწყებს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში რეფერენტად, სადაც მოამზადა რამდენიმე საინტერესო მეცნიერული ნაშრომი აჭარელთა ყოფა-ცხოვრებიდან, აქედან ის სამუშაოდ გადადის საზოგადოება „ცოდნაში“ რეფერენტად.**

ბატონი იბრაიმი ახალ სამსახურს მოერგო და დიდი ავტორიტეტიც მოიპოვა. სულ მალე მას მიანიჭეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება. ამის შემდეგ მას აწინაურებენ და ნიშნავენ ახლად შექმნილი შავი ზღვის სანაოსნოს საზოგადოება „ცოდნის“ განყოფილების უფროსად. აქ მან წლების განმავლობაში იმუშავა სპეტაკად, მაგრამ აქაც აღმოჩნდა „სახელმწიფო ინტერესების დამცველი“, რომელმაც ერთ-ერთი ლექტორის მიერ მომზადებულ ლექციაში აღმოაჩინა მექანიკურად გაპარული ლ. ბერიას გამონათქვამი. „სახელმწიფო ინტერესების დამცველმა“ გადაწყვიტა, ჯოხი იბრაიმ აბაშიძეზე გადაეტეხა და გაათავისუფლა იგი სამსახურიდან, რაც იბრაიმისთვის სასიკვდილო ლახვრის ტოლფასი აღმოჩნდა. იმ პერიოდისათვის ბატონი იბრაიმის ოჯახი ეკონომიურად გამართულად ცხოვრობდა, მაგრამ მშვიდობამ მათ ოჯახში კარგახანს ვერ დაისადგურა. **„დათმობის პერიოდი“ იბრაიმის ოჯახისა და მისი შვილებისათვის 60-იანი წლებიდან დაიწყო.**

აჭარაში ერთ-ერთი უძველესი და დიდი გვარი ბეჟანიძეთა გვარი იყო. ამ საგვარეულოს წარმომადგენლები მხოლოდ სიკეთეს თესავდნენ და იბრძოდნენ მე-12 საუკუნიდან დღემდე.

**დღეს ბეგების წარმოშობის ბეჟანიძეთა გვარის წარმომადგენელი სა-**

მარგარიტ ბეჟანიძე-აბაშიძისა



შვილიშვილებთან ასლანთან და ნარგიზასთან ერთად

**ქართველობში მცირერიცხოვანია. ხუსეინ ბეჟანიძის ერთ-ერთი შთამომავალი გახლდათ ბატონ ასლან და ქალბატონ ნარგიზა აბაშიძეების დედა.**

სანჯაყ-ბეგ აბაშიძეთა შთამომავალი იყო **აბაშიძე ჰაიდარ ალის ძე** *(15.8. 1893. ბათუმი – 3.1. 1960. თბილისი).* ქართველი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, პედაგოგი. ოსმალთა მიერ ძალით გამაჰმადიანებულ ქართველებში აღვიძებდა ეროვნულ თვითშეგნებას. ილაშქრებდა პანთურქიზმისა და პანისლამიზმის წინააღმდეგ. პირველი მსოფლიო ომის დროს ხალხს განუმარტავდა ომის ნამდვილ მიზნებს. მისი ინიციატივით აჭარაში გაიხსნა ქართული სკოლები. 1916 წლიდან იგი აჭარიდან გაასახლეს. 1918–20 წლებში იყო „სამუსლიმანო საქართველოს გამათავისუფლებელი კომიტეტის" აქტიური წევრი. მოითხოვდა მემამულური მიწათმფლობელობის ლიკვიდაციასა და გლეხებისთვის მიწის უსასყიდლოდ გადაცემას *(წერილები. თბ., 1963. ქსე. ტ. I. 1975. 21).*



„ჰაიდარ აბაშიძე აღმოჩნდა ილიას ანდერძის, მისი მგზნებარე ქადაგების ხორცშემსხმელი და ცხოვრებაში გამტარებელი. მან მთელი თავისი გონებრივი, ზნეობრივი, სულიერი და ფიზიკური ძალებიც კი, რითაც ის ბუნებას დაეჯილდოებინა, ილიას ბრძნული და საშვილიშვილო მოწოდების განხორციელებას მოახმარა" *(ი. ვართაგავა. ლიტერატურული აჭარა. 1963. 5. 21).*

„ჰაიდარი ილიას უპატიოსნეს და ღრმა გრძნობის პოპულარიზაციას თავგანწირვით, უშიშრად ეწევა თანამოძმე მუსლიმანთა შორის და ცდილობს, დიდი ილიას მოსიყვარულე გულის სითბო და სიტკბო უკლებლივ ჩააწვეთოს თანამოძმეთა სულში და ამ წვეთების სიმხურვალით გაათბოს ჟამთა ვითარებისაგან საკმაოდ გაციებული და ფანატიზმის ბურუსით დაბინდული მათი სული და გული. ჰაიდარის გაცხარებულ პოლემიკას გატაცებით კითხულობდნენ თავის დროზე შეგნებული ქრისტიანი ქართველი და აჭარელი მკითხველები. დღესაც ამ წერილებს არანაკლები ინტერესით კითხულობს საქართველოს წარსულის ყველა მოყვარული და მომავალი თაობაც წაიკითხავს" *(იქვე. 83).*

1964 წლის 21 მარტს თბილისში, საქართველოს მწერალთა სასახლეში გაიმართა მგზნებარე ქართველი პატრიოტის, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის ჰაიდარ აბაშიძის დაბადების 70 წლისთავის იუბილე.

მწერალმა ლევან გოთუამ ჰაიდარ აბაშიძის მოღვაწეობას შემდეგი შეფასება მისცა: „ჩვენი ერის უგრძესი და უძნელესი ისტორიის გზაზე ყველაზე უფრო მძიმე და საბედისწერო თავსატეხი – ჩვენი ტომებისა და სხვადასხვა მხარეთა ერთიანი მთლიანობა იყო.

ამ დიდი ასპარეზის მოღვაწე იყო და არის ჩვენი ჰაიდარ აბაშიძე, საქართველოს სამხრეთის ღირსეული შვილი. იგი დიდი თანაც საბაძისეული შეგნებითა და შემართებით, ფეხმოუცვლელად, წარბშეუხრელად დგას ამ სადარაჯოზე და მისი ყოველი სიტყვა გულში გვეღვრება ჩვენცა და საჩვენოს იქით დარჩენილ ქართველ სამყაროს შვილთაც. არიან თქვენებრ მოღვაწენი, დიდად პატივცემულო ბატონო ჰაიდარ, რომელთა ყოველთა თარიღი და მაჯისცემა, სამშობლოს საერთო თარიღ-

*სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი*



ზია აბაშიძე



მემედ აბაშიძე

ჰაიდარ აბაშიძე



სულეიმან დიასამიძე



სულეიმან ბეჟანიძე



ხასან თხილაიშვილი



ყედირ მერვაშიძე



იუნუს წულუკიძე



იუსუფ ქათამაძე



ქემალ ნოღაიდელი



ებსა და გულისთქმას ემთხვევა, ავსებს და თავადაც უფრო ივსება ხალხთან განუყრელობის გრძნობა, რომელიც თქვენ მუდამ გახლდათ და გასულდგმულებდათ უდიდეს გრძნობათა ყველა სამოღვაწეოში. ამიტომ არის, რომ დღეს ყოველი შეგნებულად მოაზროვნე ქართველი სულიერად თქვენთან არის და ზეიმობს თქვენს კარგად ყოფნასა და მხცოვან სიბრძნის კიდევ ერთ ბედნიერ თარიღს.

გულმართალი მოღვაწე და ქრისტიანული ძნელბედობის ჟამს მოწმდება და უფრო მჟღავნდება ხოლმე. თქვენი ფაქიზი სიბრძნე და სულიერი შემართება იყო დიდი თავდები და საწინდარი ღვთის ძმათა შორის ურყევ ძმობისა და განუყრელობისა.

ჩვენ ყველანი, თქვენი უმცროსი თანამედროვენი, კრძალვითა და სიყვარულით შემოგხარით თქვენ – ახლად მოწოდებულსა და სამაგალითოდ ნათელს. თქვენ აქამდე არასოდეს არ მოგიღიათ თქვენი ნამაგარის ესოდენ ხმამაღლა აღიარება, არც გსურდათ იგი. თქვენთვის ეროვნულ-საზოგადოებრივი საქმიანობა შინაგანი მისწრაფებისა და მრწამსის მოთხოვნილების უშრეტი წყარო იყო და არის. ჩვენ კარგად ვიცით, რომ სწორედ ასეთმა მოღვაწეებმა შემოგვინახეს ისტორიული საქართველო აურაცხელ ზეცის ქვეყნათა და მიწის ძმათა მიუხედავად, და დღეს ლაღად რომ ძგერს ქართული გული, სიტყვა და სულისკვეთება მთელ ჩვენებურ შემორჩენილ მიწა-წყალზე, აჭარიდან საინგილომდე, ამაში არის თქვენი მაღალი და დამსახურება.

მადლიერი ხალხის გულში მუდამ სახლობს და სახელოვნობს ისეთი მოღვაწე, რომელიც თქვენებრ აერთიანებს თავდადებასა და გამჭრიახობას, მშობლიური ხალხის უანგარო სიყვარულსა და იმ ძარღვს შებლისას, რომელიც წინაპრებიდან მოდის და შთამომავლობას უნდა უწყვეტად გაჰყვეს და გაჰყვეს.

ყოველი ერი დიდია მხოლოდ თავის შვილთა ღირსეული ღვაწლით, ხოლო იმ ხალხს, რომელსაც ახსოვს და უყვარს თავის მოღვაწენი, იცის მათი მოვლა და ფასი, არც ასეთ ძეთა კვლავ შობა და აღზრდა არ გაუჭირდება.

ჩვენ ვიცით, რომ ყოველ ქართულ სახლში კიდელში ერთ-ერთი კუთხის ქვაბალავრად დევს თქვენი მართალი საქმე, ფიქრი და წიგნი, მაგრამ წინაც დიდი გზასაკვალავი გიწევთ ამ სარბიელზე. სიბერისათვის არა გცალიათ. ქართული ტაძრიონის მოწინავენი ხომ მუდამ იყვნენ მესხნი და კლარჯნი. მიიღეთ ჩვენი სიყვარული და აღფრთოვანება, ჩვენი მოქალაქობის საამხნეული ალამი, დაუღალავი, დაუშრეტელი" *(იხ. თემურაზ კომახიძე. "აჭარის მთამაგენი". ბათუმი. 1995. გვ. 168–169).*

– ჰაიდარ აბაშიძემ ჰირნათლად დააგვირგვინა აბაშიძეთა გვარის უფროსი თაობის დიდი საქმენი, რომელსაც დღეს ღირსეულად აგრძელებს მათი შთამომავალი – აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე. ამიტომაცაა, რომ მადლიერი ქართველი ერი ამ გვარის სათანადო პატივს მიაგებს.



**ასლან, ზია, პაილაჰ და-ჰიზა აბაშიძეები**
*აჭარელ მოლოდინეებთან ერთად*

**ასლან აბაშიძე, მემედ აბაშიძე**
*და მათი ნიძე-(ძის ქმარი)*
**აჰმედ ათაბაგი**





ძმები აბაშიძეები
(სხედან მარ-
ცხნიდან): ჯადირი,
ჰაიდარი, ოსმანი,
იუსუფი;
(დგანან მარ-
ცხნიდან):
ომერი, სალიხი





მემედ-ბეგ აბაშიძეს

მოსაგონებლად ამ ძვირფასი სამსახურისა, რომელიც გაგვიწიეთ [illegible] ჩვენს საქმეში, გვაქვს პატივი მოგა-რთვათ სამახსოვრო ნიშანი ქართველთა ლეგიონისა

ნიშანი უნდა იტარებოდეს მკერდის მარცხენა მხარე-ზე ქვემოდან

[illegible] 10 სექტემბერი 1918



თამარ
მეფის
[illegible]
[illegible]

[illegible]

# საითაც აბაშიძენი იქნებიან, სხვანიც იქით!

გვიან შუა საუკუნეებში იმერეთიდან გადმოსული აბაშიძეთა დიდგვაროვანი წინაპარი აჭარაში საფუძველს უყრის უძლიერეს ფეოდალურ ოჯახს, რომლის წარმომადგენლები ოსმალთა შემოსევის შემდეგ ბათუმის სანჯაყ-ბეგები ხდებიან. ასე გაგრძელდა მე-19 საუკუნის შუა ხანამდე, როცა სულთან მეჯიდის რეფორმით, იუსუფ აბაშიძეს 1848 წელს ბათუმ-ლაზისტანის სანჯაყ-ბეგობა ჩამოერთვა და დაენიშნა მემკვიდრეობითი პენსია. აგრეთვე გამოეყო საკუთარი მიწები. სულთანმა მას არ აპატია ქართულ ეროვნულ ნიადაგზე დგომა, ტრაპიზონში მიიპატიჟა და იქ მოაწამვლინა. სწორედ ბათუმ-ლაზისტანის ამ უკანასკნელი სანჯაყ-ბეგის იუსუფ აბაშიძის ხუთიდან ერთ-ერთი შვილის – იბრაიმის ძე გახლდათ მემედ აბაშიძე.

„დავიბადე ქალაქ ბათუმში, 1873 წელს. მამაჩემი იბრაიმი იყო ბათუმის სანჯაყ-ბეგის – იუსუფის შვილი, რომელიც ითვლებოდა ბათუმის სადროშოს მმართველად. დაწყებითი სწავლა მივიღე ქართულ ენაზე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პირველდაწყებით სკოლაში. ამ სკოლის დამთავრების შემდეგ მივიღე შინაური განათლება მამაჩემის ხელმძღვანელობით, ვსწავლობდი არაბულ, თურქულ და სპარსულ ლიტერატურას.

თუ მხედველობაში მივიღებთ მაშინდელი განათლების კულტურულ დონეს, საუკუნოებით განმტკიცებულ ტრადიციებს, გასაკვირია, რომ მამაჩემი და მთელი ჩვენი ოჯახი ლიბერალობდა, მფარველობდა მწერლობას, მეცნიერ-სწავლულებს და ჩვენც აქედან გამოგვყვა ლიბერალური სული და ბუნებრივი რევოლუციონერობა, მუდამჟამს ვიმყოფებოდით მეფის ხელისუფლების საწინააღმდეგო განწყობილებაში", – წერდა მემედ აბაშიძე ავტობიოგრაფიაში.

მემედ აბაშიძის მამის – იბრაიმის გარდა ბათუმ-ლაზისტანის უკანასკნელ სანჯაყ-ბეგს იუსუფ აბაშიძეს კიდევ ოთხი შვილი ჰყავდა: ემინი, სალიხი, ხუსეინი და ახმედი. ამათგან ემინსა და ახმედს ოჯახები არ შეუქმნიათ, ხოლო სალიხს, ხუსეინსა და იბრაიმს მრავალრიცხოვანი შთამომავლობა დარჩა.

სალიხს ოთხი ვაჟი გაუჩნდა: ფეზლი, ალი, აბიდინი და სულეიმანი. ამ ორ უკანასკნელს ბავშვები არ ჰყოლიათ, ხოლო ფეზლის შეეძინა ორი ვაჟიშვილი – ნური და მუსტაფა, ალის კი ექვსი – ჰაიდარი (შემდეგში ცნობილი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი), იუსუფი, ყადირი, ომერი (მამა სახელგანთქმული ფალავნის, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონის როსტომ აბაშიძისა), ის-

**მანი და სალიხა**

ხუსეინს ჰყავდა სამი ვაჟიშვილი: **ზია** (ცნობილი პარტიოტი და საზოგადო მოღვაწე), **რიზა** და **ფეიზლი** (ასევე აქტიური მონაწილენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა), აგრეთვე ორი ასული – **ლუტფიე** (ქობულეთელი ბეგის თავდგირიძის მეუღლე) და **ულფე**.

თვითონ ხუსეინ აბაშიძე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა საზოგადოებაში, მართალია, თურქეთისგან მას მიღებული ჰქონდა ფაშის (გენერლის) წოდება, მაგრამ რუსეთ-თურქეთის 1877–78 წლების ომში მან ორიენტაცია რუსეთზე აიღო, რადგან კარგად იცოდა, რომ ომში მხოლოდ რუსეთის გამარჯვების გზით შეიძლებოდა აჭარის დაბრუნება დედასაქართველოსთან. ამ ღვაწლისთვის მას რუსეთის მთავრობამ პოდპოლკოვნიკის ჩინი უბოძა. ხოლო 1878 წლის ნოემბერში თბილისში აჭარიდან წარგზავნილ მეტად საპატიო დელეგაციაში შერიფ ხიმშიაშვილთან, ხუსეინ ბეჟანიძესთან და სხვებთან ერთად შედიოდა ხუსეინ აბაშიძეც. უფრო მოგვიანებით, 1888 წელს, როცა შეიქმნა ბათუმის ქალაქის თვითმმართველობა, პირველად არჩეულ საბჭოს სათათბიროში შევიდნენ ძმები ხასან და იბრაიმ აბაშიძეები.

იბრაიმს კი ჰყოლია ოთხი ვაჟი – **მამუდი, ხასანი, ასლანი** და ერთი ქალიშვილი – **მინირე**. ამათგან ხასანის, მამუდისა და მინირეს შესახებ **თეიმურაზ კომახიძე** წერს:

„მემედის უფროსმა ძმამ ხასანმა ტრაპიზონში დაამთავრა გიმნაზია. იქვე მიიღო უმაღლესი იურიდიული განათლება. მუშაობდა ქალაქ ბაღდადისა და მოსულის, აგრეთვე თურქეთის სხვა ოლქების პროკურორად და სასამართლოს თავმჯდომარედ. იგი სისტემატიურად ილაშქრებდა თურქეთის უკანასკნელი სულთნის აბდულ ჰამიდის შოვინისტური პოლიტიკის წინააღმდეგ, რისთვისაც სამუშაოდანაც კი დაითხოვეს, ამის გამო დიდხანს განიცდიდა დევნასა და რეპრესიებს. 1916 წლიდან საცხოვრებლად ბათუმში ჩამოვიდა და 1923 წლამდე აქ ცხოვრობდა. იმავე წელს ანტისაბჭოთა პროპაგანდის ბრალდებით აპატიმრებენ და სამშობლოდან გაძევებული ხასანი 1857 წელს გარდაიცვალა თურქეთში.

მეორე ძმა მამუდი ფიზიკურად მეტად ძლიერი პიროვნება და იმ დროისათვის ცნობილი ფალავანი იყო. როგორც ამბობენ, იგი მსოფლიოს ცნობილ ფალავნებთან შეჯიბრებასაც კი მართავდა. დღემდე გაურკვეველი მიზეზით, 25 წლისა, სრულიად ჯანმრთელი თურქეთში გარდაიცვალა.

მემედის და, მინირე გათხოვდა ფოცხოვის მფლობელზე ახმედ ბეგ ათაბაგზე. ახმედი მემედ აბაშიძის თანამებრძოლი და მისი პოლიტიკის გამტარებელი იყო. მინირეს ორი შვილი შეეძინა – ვაჟიშვილი და ქალიშვილი. მის ქმარს თურქოფილებმა ქართული ორიენტაცია არ აპატიეს და 16 წლის ვაჟიშვილთან ერთად სიცოცხლეს გამოასალმეს. ქალიშვილიდან მინირეს მრავალრიცხოვანი

შთამომავალი დარჩა. რომლებიც თურქეთის რესპუბლიკაში ცხოვრობენ“ *(მამულიშვილი. ბათუმი. 1994. გვ. 23–24).*

მემედ აბაშიძესა და მის მეუღლეს- სეფურე ათაბაგის ქალს შეეძინათ ხუთი ვაჟი - ქემალი, ბექირი, ჰამიდი, იბრაიმი, მამუდი და ერთი ასული - ოფეთი. ამათგან ორი უფროსი ვაჟიშვილი - ქემალი და ბექირი ტრაპიზონში იძულებითი ცხოვრების დროს, 1910–იან წლებში გარდაიცვალნენ მატერიალური სიდუხჭირისა და უსახსრობის გამო. მომდევნო ვაჟიდან - იბრაიმიდან დარჩა ქალ-ვაჟი - ასლან და ნარგიზ აბაშიძეები, ხოლო უმცროსი ვაჟიშვილი - მამუდი, 1943 წელს დაიღუპა მეორე მსოფლიო ომის ფრონტზე ისე, რომ პირდაპირი შთამომავალი არ დარჩენია.

იბრაიმის ყველაზე უმცროს ვაჟიშვილს, გენერალ ასლან აბაშიძეს, მართალია, სამი შვილი - როსტომი, ნაზიე და სერიფე ჰყავდა, მაგრამ საკუთარი ოჯახი ვერც ერთმა ვერ შექმნა და ამიტომ გენერალი ასლან აბაშიძეც უმემკვიდრეოდ გადაეგო. იბრაიმ აბაშიძის ლიბერალობის, ქართული მწერლობისა და მეცნიერ-სწავლულების მფარველობა-მეცენატობის შესახებ მემედ აბაშიძის სიტყვები ზემოთ უკვე მოვიტანეთ, ახლა სხვა წყაროს მივმართოთ, რომელიც მოწმობს, თუ როგორ ზრუნავდა იბრაიმ აბაშიძე თავის ძმებთან ერთად ბათუმში ილია ჭავჭავაძის მიერ დაარსებული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქართული სკოლისათვის, კერძოდ, მიწის ახალი ფართობის გამოყოფაზე.

„იბრაიმ აბაშიძემ სკოლის ნაკვეთის გამოყოფის თაობაზე თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას 1883 წლის 19 თებერვალს გაუგზავნა საგანგებო წერილი. მასში აღნიშნულია: ჩვენ ძმები ვართ, ისტორიული უკუღმართობით თურქეთის ხელში ჩავარდნილი და ახლა გამოხსნილი. ჩვენ წინათ გვქონდა საკუთარი სკოლა, იგი დაანგრიეს და ვიღაც ჩინოვნიკმა ხელი მოითბო. მიწის ფართობის დაბრუნებას ვცადეთ, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. ამ საქმის დაბოლოება თქვენ უფრო შეგიძლიათ. ჩემი წერილი არ ჩაითვალება კერძო წერილად, რადგან იგი შეიცავს მთელი ბათუმის მაჰმადიანი ქართველების აზრს და შეხედულებას“ *(იხ. გ. ნიორაძე. პირველი ქართული სკოლა ბათუმში. თბ. 1958. გვ. 85–86).*

ავტორი განაგრძობს: „როცა სკოლისათვის საკუთარი შენობის ასაგებად მიწის ნაკვეთის შოვნის საქმე გაძნელებულა, ხუსეინ აბაშიძეს 27 აპრილს სპეციალური ბარათი გაუგზავნია ილია ჭავჭავაძისათვის, შეუტყობინებია - „ჩემი მამულიდან მიწას შევწირავ ბათუმის სკოლის ასაგებადო“ და მართლაც, მან პირობა შეასრულა და სკოლას შენობისათვის გამოუყო უსასყიდლოდ მიწის ნაკვეთი, სადაც ახლა ილია ჭავჭავაძის სახელობის №1 ქართული სკოლა არის განლაგებული“ *(გ. ნიორაძე, იქვე).*

1881 წლიდან ბათუმში ილიას მიერ გახსნილ პირველ ქართულ სკოლაში

ამეტყველდა იაკობ გოგებაშვილის დედაენა. ჰაიდარ აბაშიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „აჭარელთაგან ამ სკოლის ერთ-ერთი პირველი მოსწავლე იყო მემედ აბაშიძე, შემდეგში ცნობილი საზოგადო მოღვაწე, რომელმაც ფრიად დიდი ღვაწლი დასდო საქართველოს ამ კუთხის აღორძინების საქმეს".

მას შემდეგ სიკვდილამდე მემედ აბაშიძეს ილიას გზიდან არ გადაუხვევია!

ბათუმში იგი დაუახლოვდა ილიას მიმდევრებს – იონა მესხს, გრიგოლ ვოლსკის (პოეტ უმწიფარიძეს), დავით კლდიაშვილს, ლუკა ასათიანსა და სხვებს.

1897 წელს აჭარაში მოგზაურობისას თედო სახოკია ქედაში შეხვედრია ახალგაზრდა მემედ აბაშიძეს და დაგვიტოვა მისი მშვენიერი პორტრეტი. „ქედის ბოლოში შემოგვიერთდა ახალგაზრდა ბეგი მემედ აბაშიძე, მეტად კოხტა, აჭარულადვე სირმიან ტანისამოსით გამოწყობილი. ქართულს წმინდად ლაპარაკობდა, თურქულ სიტყვებს არც კი ურევდა ლაპარაკში. აღმოჩნდა, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლაში უსწავლია ბათუმში. რომ უფრო გესიამოვნეთ, მოგვიყვა აკაკის, ჭალადიდელის, მამია გურიელის ლექსებს. თანაც იმღერა „სამშობლო ხევსურისა", რომლის როგორც კილო, ისე სიტყვები მეტად მოსწონდა."

1899 წლის დამლევიდან, თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, როცა აქ გაეცნო ცნობილ თეატრალურ მოღვაწესა და მწერალ-დრამატურგს, ილიას დიდ თაყვანისმცემელს, გაზეთ „ცნობის ფურცლის" რედაქტორს ვალერიან გუნიას, მემედ აბაშიძეს უკვე გზა გაეხსნა, უშუალოდ დამოწაფებოდა ერის დიდ მოძღვარს ილია ჭავჭავაძეს და მის თანამოსაგრეებს, რამაც კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა მემედ აბაშიძის პატრიოტულ და პოლიტიკურ წრთობაზე, მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. ამიტომაც წერდა იგი მოგვიანებით: „გასული საუკუნის ბოლოდან ურყევად ვიდექი საქართველოს მთლიანობის ნიადაგზე და ბრძოლის ამ ხაზზე არაერთი და ორი სასტიკი იერიში მომიგერიებია როგორც პრესაში, ისე ყრილობებზე გამოსვლით. ვიცავდი და ვატარებდი ზემოაღნიშნულ იდეებს, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო და სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს შორის ჩატეხილი ხიდი კვლავ გაამთელა".

ერთ ხანს მემედ აბაშიძე იდეურად არჩილ ჯორჯაძის მიერ დაარსებულ სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიას მიემხრო (მეგობრობდა სანდრო გაბუნიასთან, სიმონ მდივანთან), მაგრამ ადრევე დაშორებია მას: „სოც. ფედერალისტების პარტიის პროგრამიდან გულწრფელად მიზიდავდა ბრწყინვალე იდეა ფედერაციისა ხალხთა ერთიერთთანასწორობის ნიადაგზე, იდეურადაც ამ პარტიას დავუახლოვდი. 1906 წლამდე ამ პარტიის ერთ-ერთ აქტიურ წევრთაგანად ვითვლებოდი. შემდეგ კი გარემოებათა მიხედვით, ჩემი განსაკუთრებული მდგომარეობით, სამუსლიმანო საქართველოში აღარ მქონდა საშუალება, ვიწროდ მოვთავსებულიყავი ერთი რომელიმე პოლიტიკური პარტიის პროგრამის ჩარჩოებში და დავრჩი ყოველგვარი პარტიის გარეშე", – მოგვითხრობს მემედ აბაშიძე.

# ასლან აბაშიძე-არაორდინარული პიროვნება

აბაშიძეობა იოლიცაა და ძნელიც. ამ საგვარეულოს ზედწოდების ტარება საამაყოცაა და საპასუხისმგებლოც. მამაპაპური შეგონებით თუ მიუუდგებით და უფლება არ გვაქვს, ასე არ მოვიქცეთ, შეუძლებელია, იმ წინაპართა მაგალითს არ მივდიოთ, რომელთა შესახებაც წინამდებარე წიგნში გვაქვს საუბარი. ადრეული საუკუნეებიდან მოყოლებული, აბაშიძეებმა ხომ დიდად იღვაწეს და დღესაც დიდი ძალისხმევით იღვწიან ხალხისა და ქვეყნის კეთილდღეობისათვის.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ჯერ კიდევ XI საუკუნის მეორე ნახევარში ისეთნაირადაა გვარი სოციალურად ამაღლებულ-დაწინაურებული, რომ იერუსალიმში ქართველთა ჯვრის მონასტერში წინამძღოლადაა ლუკა I აბაშიძე და იქვე XIII საუკუნის მე-2 ნახევარში მოღვაწეობს ლუკა II მუხაისძე აბაშიძე.

ისტორიულმა და სხვა სახის წყაროებმა მრავალი მასალა შემოგვინახა მათ შესახებ.

პრესამ მიუკერძოებელი წერილი დაბეჭდა აჭარის რესპუბლიკის ხელმძღვანელ ბატონ ასლან აბაშიძეზე. წერილი დასათაურებული იყო ასე: „აბაშიძე ლომი". სათაურმა ბევრი დააფიქრა და სხვადასხვანაირად აღიქვა. გაოგნების ექომ ჩემამდეც მოაღწია. ნაცნობი ტელეფონით მეკითხება, წავიკითხე თუ არა წერილი და რა აზრისა ვარ სათაურზე. მე მას მივუგე, რომ უჩვეულო არაფერია. სიტყვა ასლანი ხომ ჩვენმა წინაპრებმა ისესხეს თურქებისაგან და შვილს არქმევდნენ იმის სურვილით, რომ მათი პირმშო ლომის სადარი, ლომგული, ვაჟკაცი გაზრდილიყო. მაშინაც არ გამიკვირდებოდა, რომ ბატონ ასლან აბაშიძისათვის ეპითეტად სიტყვა ასლან-ის (თურქ. ლომი) გვიანდელი ფორმები „გმირი", „გოლიათი", „დიდი" ეწოდებინათ. წარმოიდგინეთ, გვარიც რომ გვეთარგმნა, რამდენად ზედმორგებული იქნებოდა წინაპართა ღირსეული ჩამომავლისათვის. აბაშ თურქულად აღნიშნავს თავს, წინამძღოლს, მმართველს. პირდაპირი მნიშვნელობით. სიტყვასიტყვით გვექნებოდა „გმირი წინამძღოლი, „გოლიათი თავი" (კარგი გაგებით), „დიდი მმართველი". ეს რომ ასეა, ამას მისი საქმეებიც ადასტურებენ. „კვიცი გვარზე ხტისო", – სულმნათმა წინაპრებმა რომ თქვეს, ზედგამოჭრილია აჭარელთა მეთაურზე.

ბატონ ასლან აბაშიძეს დითირამბები და სახოტბო სიტყვები არ სჭირდება. კაცს, პირველ რიგში, საკუთარი თავი, შემდგომ ოჯახი, ცოლი და შვილი, გვარი და გვარიშვილები, მამული და მასზე მსახლობელი მარჯვენადალოცვილი ადამიანები უნდა უყვარდეს და აი, ამის შემდეგ შეგიძლია ანდო ისე–



თი დიდი საქმე, როგორიცაა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თავკაცობა. ყველა ზემოთ მოხმობილი თვისება უხვადაა შესისხლხორცებული ბატონ ასლანში. ესაა თავდები იმ წესრიგისა, ალმშენებლობისა და სიქათქათისა, ამ ლამაზ კუთხეს სულ ერთიანად რომ დაუფლებია. ბატონი ასლანი ხელოვანი, მხატვარი, მშენებელი, შემოქმედი, სულიერად ამაღლებული კოლორიტული პიროვნებაა, რომელმაც უზენაეს დონეზე აიყვანა თეატრალური და საოპერო ხელოვნება. ხელთუქმნელი შედევრი შექმნა თუნდაც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახით. დაათვალიერებ: თვალს მოავლებ აუდიტორიებს, კაბინეტ-ლაბორატორიებს, ცალკეული საგნების სწავლე-

ბის კაბინეტებსა და სამეცნიერო საბჭოს სხდომათა დარბაზებს, გაიოცებ, გაიკვირვებ. სრულიად საქართველოში კიდობნის, ნგრევის, ტირილისა და შიმშილის პირობებში ეს ითავა და ხორცი რა გენიამ შეასხაო, იტყვი. ჩემს უნივერსიტეტის შენობაში ყოფნას დაემთხვა უცხოური დელეგაციის მოსვლა. ერთმა სტუმარმა მასპინძლების მისამართით შენიშვნა გამოთქვა: „თქვენ ამბობთ, ევროპულ დონეზეა ყველაფერი მოწყობილ-გადაწყვეტილიო. დაიჯერეთ, მეგობრებო, სიტყვა „ევროპული", რაში სჭირდება ქართულ გენიას ვინმესთან შედარება. გარწმუნებთ, რომ ის, რაც ჩვენ აქ ვიხილეთ, სცილდება, როგორც ევროპულ, ისე ამერიკულ და მსოფლიო სტანდარტებს." როგორც უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ნუგზარ ცეცხლაძემ გვითხრა, ამ ლამაზი და გაცისკროვნებული შენობის არქიტექტორი და ყველა ნიუანსის ავტორი – შემოქმედი ბატონი ასლან აბაშიძეა.

ჩემს რწმენასა და საქართველოს სინამდვილეში ასლან აბაშიძე წინაპართა სახელოვანი შთამომავალი და მათი საქმეების სწორუპოვარი გამგრძელებელია.

ახლა კი ცოტა რამ გამორჩეული მამულიშვილის ბიოგრაფიიდან:

**ასლან აბაშიძე**, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, სრულიად საქართველოს დემოკრატიული აღორძინების კავშირის თავმჯდომარე, გენერალ-მაიორი. დაიბადა ბათუმში 1938 წლის 20 ივლისს. მეუღლე – **მაგული გოგიტიძე** (1951–2003), შვილები: **გიორგი** (1976), **დიანა** (1979), შვილიშვილები **გიორგი და რიკარდო**.

დაამთავრა ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი (1984). მუშაობდა კომკავშირულ სამუშაოზე და პარალელურად ბათუმის მუსიკალური სასწავლებლის ინგლისური ენის მასწავლებლად (1962–65 წლებში იყო №44 პროფესიულ-ტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლების დირექტორი (1965–80), ბათუმის საქალაქო კომიტეტის აღმასკომის თავმჯდომარე (1981–84), აჭარის ა/რ საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი, საქართველოს საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის მოადგილე (1984–89), კონცერნ „საქყოფსერვისის" პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი (1991, 1992–95, 1995–99), პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე (1991, 1992–95), აჭარის ა/რ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეა 1991 წლიდან.

ბატონმა ასლან აბაშიძემ და მისმა მეუღლემ მაგული გოგიტიძე-აბაშიძისამ ორი შვილი – გიორგი და დიანა აღუზარდეს დედაქვეყანას. ქალბატონი მაგული მიმდინარე წლის ივლისში გარდაიცვალა.

მისი სახით ქართველმა ხალხმა დაკარგა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და ბრწყინვალე მამულიშვილი.

ბატონი ასლანი ლექსით „ვედრება" გამოეხმაურა საყვარელ თანამეცხედრეს:

* * *

შენ, სულო ჩემო და გულო ჩემო,
სიცოცხლევ და ოცნებავ ჩემო,
უკურნებელო ტკივილო და
ტანჯვავ ჩემო და ცრემლო ჩემო.
ცად აფრენილო ანგელოზო,
ღმერთო ჩემო, ულამაზესო,
გულისსწორო, გულისმწველო,
კაეშანო და სევდავ ჩემო.
სწორუპოვარო მეგობარო,
მეუფევ და მეუღლევ ჩემო,
შენ, თეთრფრთიანო დედოფალო,
და სანუკვარო ოცნებავ ჩემო.
შეჭირვებულთა, უმწეოთა,
ქვრივთა, ობოლთა და მაშვრალთა,
შენ, ალესილო ქომაგო და
გულმოწყალე დიდო იმედო.
ცად აღვლენილო, ლოცვავ ჩემო,
ასე ანაზდად, ასე უხმოდ
რომ დამტოვე მოუსაფარი.
მითხარ, სად გნახო, სად გეძიო.
ვის რა ვუთხრა, ვის რა შევჩივლო,
ვის შევევედრო, ვინ მიშველის
და დროის წარსულს ვინ დამიბრუნებს,
რომ ჩაგეკრა და გეამბორო.
ისიც მითხარი, რა ვუთხრა ხალხს,
გარინდულ ქალაქს, ქვეყანას ჩვენს,
თვალცრემლიან მოყვარეს თუ მტერს
და შენს წინაშე თავდახრილ ერს.
თუმცა, თავად ვუწყი,
მუხლმოდრეკილი,
ფიქრის მორევში ჩაძირული,
შენზედ მლოცველი, მარტოსული,
ცრემლშეუშრალი, მინა ვარ მე.

ყველაზე უფრო ხომ შენ იცი,
რომ მიყვარდი მე უსასრულოდ,
ისე, როგორც შენ, უზადო და
საოცნებო არსებავ ჩემო.
ალევლინარ, დათუთქულმა,
სთქვა ვიღაცამ, ჩემო, ქვითინით
და ბურთი ყელში ჩამრჩა იქვე,
თუმცა, ვიცოდი, ცდებოდა იგი.
შენ ცოცხალი აქვე ხარ, ჩემთან,
და კვლავ მიცქერ
თაფლის თვალებით,
ისე, ვით იმ დღეს, მომხიბვლელმა
სამუდამოდ რომ დამიმონე.
მახსოვს ის დღეც, როცა ჩვენ ერთად,
ფიცი დავდეთ გაუტეხელი,
ვფიცავარ უფალს, რომ სიკვდილამდე
კვლავ ვიქნები ერთგული შენი.
ყველას ის სჯობდა, შენ კი არა,
წმინდა საუფლოს მე პირველად
შემეღო კარი და ჟამს შემდეგ,
მომელოდინე იქ დაგხვედროდი.
უსურვაზებით მოგხვეოდი,
დამეკოცნა თვალები შენი.
და ფერმიხდილნი შეგხვედროდით
წინაპართ ჩვენთა და ღმერთის მადლს.
თუმცა, შენთან ვარ სულით და გონით,
ოცნება დამრჩა მხოლოდ ერთი;
ვიხადო ვალი ხალხის, ქვეყნის,
შთამომავალთა, შენი და ჩემი.
ისე, როგორც შენ მაანდერძე
და იმავ წამს, ღმერთისვე ნებით
ანგელოზივით გავჩნდე შენთან,
და სამუდამოდ დავრჩეთ ერთად.



ქალბატონი მაგული შვილიშვილ რიკარდოსთან ერთად



ბატონი ასლანი და ქალბატონი მაგული შვილიშვილ
გიორგისთან ერთად

# მონატრება

ქალიშვილმა დიანამ „მონატრება" დაარქვა დედისთვის გულიდან ამოსულ აზრებს:

*„დედა – აწი ვილას ვუთხრა – „დედა"?!*

*იცი, რა სევდისფერია სამყარო უშენოდ, სიცოცხლეც – რომელიც შენ მაჩუქე!*

*უცებ გავიზარდე, დავქალდი, თურმე აქამდე ბავშვი ვყოფილვარ, დიდი ბავშვი, რომელსაც ღმერთმა არგუნა ბედად, საოცარი ადამიანების შვილად მოვლენოდა ქვეყანას. ამის გაცნობიერება მხოლოდ ახლა შევძელი, ამის თქმის უფლებას შენთან მხოლოდ პირველად და უკანასკნელად ვაძლევ ჩემს თავს!*

*ამას მხოლოდ შენ გეუბნები, შენ, რომელიც მიწიერ სამყაროში აღარ განმეორდები, ჩემო დიდო და ლამაზო ტკივილო!*

*მე სულ მენატრები! ფიქრით თან დაგყვები, ჩემს შიგნით კი სული სავსეა შენით და უშენობით, შენ მე ვერ მიმატოვებ, ვერ მიმატოვებ, დედა!*

*არადა, როგორ დამძიმდა მხრები, თურმე, რამხელა ტვირთია სიცოცხლე, რა მძიმე სატარებელია ტკივილი, „უშენობა" რომ ჰქვია სახელად!*

*ცრის სევდის ცრემლები სულში, დედა!*

*ფასი?! შენი ფასი?! რას მიქვიან, რომ არ გიცოდი?!*

*ჩემო დედავ, ჩემო სულის მოთქმავ, დედავ, ჩემო დიდო იმედო, შენ, ხატო ჩემო, სალოცავო!*

*ახლა უფრო ვგრძნობ, იმ საბედისწერო ღამეს როგორ განივთდა ჩემს სხეულში შენი სულის უხმაურო შემოსვლა.*

*ახლა თითქოს უფრო ერთად ვართ სულით, მაგრამ სხეულით, ხორცით, ცით და მიწით მენატრები, მიყვარხარ, გმადლობ, გეფერები, ჩურჩულით გელაპარაკები და ფეხაკრეფით და უზარმაზარი პასუხისმგებლობით მივყვები იმ ბილიკებს, შენი ლამაზი სიცოცხლის გაგრძელება რომ ჰქვია".*

* * *

ქალბატონმა ლალი ტაბატაძემ ასეთნაირად გადმოსცა თავის წერილში მაგული გოგიტიძე-აბაშიძის სათქმელი:

„ადამიანებო, მე თქვენ მიყვარხართ! – ასე შეიძლება, შევაფასოთ ქალბატონი მაგული გოგიტიძე-აბაშიძის ამქვეყნიური ცხოვრების აზრიც და არსიც – ადამიანი იყო მისი უპირველესი საზრუნავი, მისი ფიქრისა და განსჯის საგანი.

რამდენი ადამიანისათვის გაუწვდია დახმარების ხელი, რამდენი სნეულის განკურნებას შეშველებია, რამდენი გზასაცდენილი დაუყენებია სწორ გზაზე, რამდენი სწავლამოწყურებულისათვის გაუხსნია ცოდნის კარი.

დიდი ილია ბრძანებს: „კაცი (ადამიანი) ის არის, რომელიც თავისი გონების ნამუშევარს, გულის სიკეთეს, ხიდად გასდებს, რომ, თუ არა თითონ, სხვამ მაინც მშვიდობით გაიაროს".

თითქოს ამ მაღლიან ქალბატონზეა დაწერილი ეს სიტყვები – ისიც ხომ ყველას თანაბრად უნაწილებდა თავის გულის სითბოსა და სიკეთეს, ისეთი საერთოერთო ხიდების გადებას ლამობდა, სხვებს რომ მშვიდობით გაევლოთ ზედ.

და ყველაფერ ამას ეს დიდებული ქალბატონი აბსოლუტურად უანგაროდ, აბსოლუტურად გულწრფელად აკეთებდა – აკეთებდა იმის ღრმა რწმენით, რომ მართალ საქმეს, ქრისტესმიერ საქმეს ემსახურებოდა. აკეთებდა იმიტომ, რომ ამაში ხედავდა თავისი ცხოვრების საზრისს და ამქვეყნიურ გზას.

ქალბატონი მაგული კარგად აცნობიერებდა, თუ რას ნიშნავდა დიდი მემედ აბაშიძის გვართან დაკავშირება და ბატონ ასლან აბაშიძის მეუღლეობა. ამიტომ აზროვნებდა მასშტაბურად, სახელმწიფოებრივად. იგი დიდი იმედით შეჰყურებდა საქართველოს ხვალინდელ დღეს და თავისი დიდი წვლილიც შეჰქონდა მის აღორძინებაში. იგი თანაბარი მზრუნველობით ემსახურებოდა მოზარდსა თუ ზრდასრულს, ერსა თუ ბერს.

ამიტომაა დიდად დასანანი მისი ასე ნაადრევად წასვლა ამ ქვეყნიდან. ეს დიდი ტკივილია, რომელიც გვიძლიერებს პასუხისმგებლობას, გულმხურვალედ იმსახურო სიკეთის ქმნის მეტად ძნელად სავალ გზაზე.

დიდი ილია ადამიანის ორ სახელზე ლაპარაკობდა, რომელთაგან ერთი აქ დასარჩენია, მეორე – თან წასაყოლი. ქალბატონმა მაგული გოგიტიძე-აბაშიძემ ნამდვილად შეძლო აქ მადლიერ ადამიანთა ხსოვნაში თავისი სახელის უკვდავყოფა, ხოლო სამუდამო განსასვენებელში – ცათა სასუფევლის დამკვიდრება.

სამარადჟამოდ ნათელით მოსილიყოს დიდი ქალბატონის ფაქიზი სული!"

(გაზეთი "ახალი ერა", 22 ივლისი, 2003 წელი).

# გენერალი აბაშიძეები



აბაშიძე ასლან (ასლან-ბეგ) იბრაჰიმის ძე. დაიბადა 1877 წელს ბათუმში, გარდაიცვალა 1924 წელს სტამბულში. სამხედრო წოდება მიენიჭა 1918 წელს.

თავისი მხედრული ოსტატობა და საბრძოლო ოპერაციების სწორად წარმართვის უნარი ასლან აბაშიძემ ჯერ კიდევ რუსეთის პირველი რევოლუციის დროს (1905 წ.) წარმოაჩინა, როცა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ იბრძოდა.

ა. აბაშიძის რაზმში, რომელმაც ასე გაითქვა სახელი ბათუმისა და ნასაკირალის ბრძოლებში, გამოირჩეოდნენ მურად და რეზმან მეგრელიძეები, სულეიმან რომანიშვილი, მემედ გოგიბერიძე, ივანე ბერიძე და ბევრი სხვა გულადი მეომარი.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი გამოდგა ბათუმს გამართული საომარი ბატალიები.

ბრძოლა ქალაქის სანაპირო ქუჩაზე დაიწყო და მალე ფიცხელ ხელჩართულ შეტაკებაში გადაიზარდა, სადაც წარმატება აბაშიძის მეომრებს ხვდათ წილად.

პირველი გამარჯვების შემდეგ, აჯანყებულებმა მთავრობის ჯარების სადგომებზეც მიიტანეს იერიში, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში მიზნის მიღწევა ვეღარ მოხერხდა.

შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ ბათუმში და მთელ იმპე-

რიაშიც „შავი რეაქცია" გაბატონდა და ასლან აბაშიძე და მისი თანამებრძოლები იძულებული გახდნენ, თავშესაფარზე ეზრუნათ. ვინ სად შეაფარა თავი და ვინ – სად. ასლან აბაშიძე და მემედ გოგიბერიძე კი ოსმალეთს გადაიხვეწნენ.

მოწინავე ქართული საზოგადოება ენერგიულად ექომაგებოდა ლტოლვილთ და მოითხოვდა მათ უკან დაბრუნებას.

ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდნენ აბდი-ბეგ ხიმშიაშვილის შთამომავალი კონსტანტინე დავითის ძე ერისთავი (1859–1930), ყემბერ ხაბაზი და სხვები.

საზოგადოებრივი აზრის დაჟინებამ გასჭრა და ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი ფონ-პარკაუც იძულებული გახდა, ასლან აბაშიძისა და მემედ გოგიბერიძის დაბრუნებაზე დათანხმებოდა.

გუბერნატორი დაბრუნებულებს „თავისუფალი ცხოვრების" გარანტიას ჰპირდებოდა. მაგრამ ეს რომ ასე არ იქნებოდა, ამას ნათლად ითვალისწინებდნენ ასლანი და მისი მეგობრები და პირველ ხანებში მაინც, მეტად კორექტულად და ფრთხილად მოქმედებდნენ, მაგრამ შემდეგ ისევ მოძრაობის შუაგულში აღმოჩნდნენ და პოლიციამაც განაახლა მათი დევნა.

ზოგიერთები კიდეც შეიპყრეს და კატორღის გზას გაუყენეს. ასლანმა, მემედ გოგიბერიძემ და ნესტორ კალანდარიშვილმა კი გაქცევა მოახერხეს, თუმცა მემედი მაინც ვერ ასცდა პატიმრობას და თითქმის ათი წელი დაჰყო იმპერიის საპყრობილეებში, მოგვიანებით საზღვარგარეთ გაქცევა სცადეს მემედ აბაშიძემ და მისმა თანამებრძოლებმაც (ზია, რიზე, ფეიზე აბაშიძეებმა), მაგრამ წარუმატებლად. საზღვრის გადალახვისას ლტოლვილები შეიპყრეს ოსმალებმა და ხოფის ციხეში გამოკეტეს.

ვინ მოსთვლის, რა ჭირ-ვარამი გამოიარეს მემედ და ასლან აბაშიძეებმა რეაქციის წლებში და შემდეგაც – მეტადრე მემედმა, რომელმაც ოსმალეთის საპყრობილეშიც (ხოფა, ათინა, რიზე, ტრაპიზონი) დიდხანს დაჰყო და რუსეთის იმპერიის დილეგშიც (ბათუმი, ნოვოჩერკასკი, თბილისის მეტეხი, ენისეის გუბერნია) და ა.შ.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ასრულდა წამებული ძმების ოცნება და ბათუმში დაბრუნების უფლებაც მიიღეს. პირველ ხანებში მართლაც ნორმალურად მიმდინარეობდა ცხოვრება. 1917 წლის 23 ნოემბერს მემედ აბაშიძე საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად აირჩიეს და მალე ასლან აბაშიძესაც გაეხსნა სააპარეზო.

ამ მხრივ დიდი როლი შეასრულეს ძმებმა რამიშვილებმა – დავითმა და ნოემ, რომლებიც ასლანს, მემედსა და სხვა ბათუმელ აბაშიძეებს საუკუნის დამდეგიდან იცნობდნენ.

განსაკუთრებით ახლო მეგობრობა აკავშირებდათ ბათუმელ მკურნალს და-

ეით რამიშვილსა და ასლან აბაშიძეს. ამ მეგობრობას დიდად აფასებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი **ნოე რამიშვილი** (1881–1930).

სწორედ ნ. რამიშვილის მხარდაჭერით შეძლო ასლან აბაშიძემ თავისი ლეგენდარული სამხედრო ათასეულის ჩამოყალიბება და ფართო მამულიშვილურ სარბიელზე გამოსვლა.

ბრწყინვალე მოქართულემ და მომღერალმა, თავისი მოხალისეებისათვის თვითონვე შექმნა ჩინებული მხედრული სიმღერა **(ასლანური)**.

ასლან აბაშიძე არა მარტო მუსიკალური ტალანტითა და მხედრული შემართებით იპყრობდა ყურადღებას, არამედ ფართო განათლებითა და ენების ცოდნითაც. ის შესანიშნავად ფლობდა როგორც აღმოსავლურ ენებს (არაბული, სპარსული, თურქული და სხვა), ისე დასავლეთ ევროპულსაც. საქართველოს სამხედრო სამინისტრომ და მთავარმა შტაბმა კარგად იცოდნენ ყოველივე ეს და გულისყურითაც ადევნებდნენ თვალს მის მოღვაწეობას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ნოე რამიშვილმა იმ დროს, როდესაც ის სამხედრო სამინისტროსაც განაგებდა (1917–1920) ასლან აბაშიძეს რეკომენდაცია მისცა გენერლის წოდების მისანიჭებლად.

დემოკრატიული საქართველოს მთავარმა შტაბმა სულ რამდენიმე სამხედრო მოღვაწე სცნო ამ მაღალი სამხედრო წოდების ღირსად, მათ შორის ერთ-ერთი პირველი იყო ასლან აბაშიძე.

გენერალი ა. აბაშიძე თავისი ათასეულით ფხიზლად იდგა ქვეყნის თავისუფლების სადარაჯოზე ბათუმსა თუ მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში.

როგორც კი სიტუაცია რთულდებოდა, გენერალი თავის შენაერთს მოხალისეებით აძლიერებდა. ასე იყო 1921 წლის თებერვალშიც, როდესაც ქვეყნის დამოუკიდებლობას საბედისწერო საფრთხე დაემუქრა.

16 თებერვალს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ მოიწონა ა. აბაშიძის ინიციატივა და გენერალს მოხალისეთა რაზმის შედგენის ნება დართო.

მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. გარდა იმისა, რომ ქვეყანას შიგნიდან არღვევდა ათასი ჯურის ორგული და მოღალატე, საგარეო მტერიც მასობრივად დაიძრა რამდენიმე მხრიდან.

აღმოსავლეთიდან მე–11 არმია (სარდალი ა. ი. ჰეკერი, შტაბის უფროსი ა. კ. რემეზოვი) მოემართებოდა ორ ჯგუფად გაყოფილი (ჯარების ერთ ჯგუფს ვერიკანოვი სარდლობდა, ხოლო მეორეს – პურიშკო).

ჩრდილოეთის ფრონტი თერგის ოლქის ჯარებმა გახსნეს. ამ ჯარების ერთ ნაწილს (ჯვრის უღელტეხილით რომ მოდიოდა) მე–11 არმიის ყოფილი სარდალი, თბილისელი მ. კ. ლევანდოვსკი უძღვებოდა, მეორეს კი (მამისონით მომავალს) – სერგეი კიროვი.

მესამე ფრონტს (ჩრდილო-დასავლეთისას) მე–11 არმია (სარდალი ვ. ნ. ჩერ-

ნიშოვი, შტაბის უფროსი – ბ. ნ. კონდრატიევი) უზრუნველყოფდა.

ყველა ამ სამხედრო ძალის კოორდინაციას კავკასიის ფრონტი (სარდალი ვ. მ. გიტისი, შტაბის უფროსი – ს. ა. პუგაჩოვი) ახორციელებდა.

გარდა რეგულარული ჯარებისა, საომარ მოქმედებაში მრავლად მონაწილეობდნენ მოხალისეებიც.

ასეთ მოწინააღმდეგესთან წარმატებული ბრძოლა არ იყო ადვილი, მაგრამ საქართველოს არმიამ ამ უთანასწორო ომში არა ერთგზის შეძლო შეუძლებელი და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.

ეს განსაკუთრებით თბილისის დაცვაზე ითქმის. კოჯორ–ტაბახმელას, სოღანლუღს, ორხევსა თუ ვაზიანთან ქართველმა მეომრებმა ისეთი წინააღმდეგობა შეაგებეს მტერს, რასაც დავიწყება არ უწერია.

ამის ნაყოფი გახლდათ ის, რომ მოწინააღმდეგემ არა თუ 19 თებერვალს ვერ შეძლო თბილისის აღება, რასაც ასე გულდაგულ ესწრაფოდა, არამედ 23 თებერვალს ისეთი დარტყმა იწვნია, რომ ახლო მომავალში დედაქალაქში შეღწევაში ეჭვიც კი შეეპარა.

აუცილებელი იყო მოხალისეთა მოძრაობის უკეთ ორგანიზება და მობილიზაციის მკაცრად განხორციელება. ამ საქმეებს მრავალი დაბრკოლება ელობებოდა წინ, მაგრამ გენერალ ასლან აბაშიძის შენაერთს მათ ვერაფერი აენეს და როცა აშკარა გახდა ფრონტზე მათი გამგზავრების აუცილებლობა, ისინიც საომრად გაეშურნენ.

ამ ამბის მომსწრე მხცოვანი ბათუმელი ბატონი ვლადიმერ გელაძე იგონებდა: „იმ დროს, როდესაც ეს მოხდა, ყმაწვილი ვიყავი, მაგრამ მაინც ნათლად მახსოვს მოხალისეთა თბილისისაკენ გამგზავრება. იმ დროს ბათუმის რკინიგზის სადგური ახლანდელი თავისუფლების მოედნის მახლობლად მდებარეობდა და იქვე მოხდა სამხედრო ეშელონის ფორმირებაც. გენერალ აბაშიძეს პირადად ვიცნობდი ახლოს, ახლოს ვიცნობდი მისი მოხალისეების ზოგიერთ წარმომადგენელსაც, კერძოდ, რაჟდენ ჯოჯუას. რაჟდენი მეფე ჯარში ნამსახური და გულადი ახალგაზრდა კაცი იყო. ზამთრის იმ დღეს ბათუმის რკინიგზის სადგურში მე სწორედ მისი მეშვეობით აღმოვჩნდი და ამ ისტორიული ფაქტის მოწმეც გავხდი.“

ამასვე ადასტურებს მარინე იესეს ასული სახარულიძის (1847–1950) მოგონებაც: „ახლაც თვალწინ მიდგას გენერალ აბაშიძის ბიჭების მატარებელში ჩასხდომის მომენტი, მხედრები მათ საყვარელ სიმღერას „ასლანურს“ მღეროდნენ, მაგრამ არ იკითხავთ, რა ისტატობითა და სიმხნევით.

ამ გულში ჩამწვდომი სიმღერის ნაყოფიც იყო ის, რომ რკინიგზის სადგურში იმ საღამოს ასე ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი. ხალხი დიდი სიყვარულით აცილებდა ფრონტზე მიმავალთ. ვინ ტკბილეულს სთავაზობდა მეომრებს, ვინ – თამბაქოს, ვინ – ტანსაცმელს და ა. შ. ზოგიც ტიროდა.“

*„დიდება თქვენც, ივერთა შვილნო,*
*გიკურთხოთ ღმერთმა ეს შემართება!*
*თქვენ უეჭველად დაძლევთ მომხდურებს*
*და გამარჯვებაც ჩვენი იქნება!“*

ასე მთავრდება ერთი ლექსი, რაც გენერალ აბაშიძის ბატალიონის ფრონტზე გამგზავრებას ეძღვნება.

**შემდეგ – ემიგრაცია.**

სამშობლოს თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის ბრძოლა ა. აბაშიძეს არც დევნილობაში შეუწყვეტია. ქართული ემიგრაციის ერთი ნაწილი კონსტანტინეპოლიდან პარიზს გაემგზავრა, ხოლო ნაწილიც – ვარშავას. პოლონეთში გამგზავრება ასლანსაც შესთავაზეს, მაგრამ კონსტანტინეპოლს დარჩენა არჩია.

20–იანი წლების პირველ ნახევარში, ვიდრე ა. აბაშიძე ცოცხალი იყო (და შემდეგ ერთხანსაც) კონსტანტინეპოლი ქართული ემიგრაციის უმთავრესი საკომუნიკაციო პუნქტი იყო სამშობლოსთან ურთიერთობის თვალსაზრისით.

განსაკუთრებით აქტიური გახდა ეს ურთიერთობა 1924 წლის გაზაფხულიდან, როდესაც საქართველოში დიდი აჯანყება მზადდებოდა. ამ საქმეში გენერალი ა. აბაშიძეც ენერგიულად მონაწილეობდა.

აჯანყების დამარცხების შემდეგ, კონსტანტინეპოლში ჩაიდა სამშობლოდან ლტოლვილთა დიდი ჯგუფი, რომელშიც ქაქუცა ჩოლოყაშვილიც შედიოდა. პარიზისკენ მიმავალი ქართველი ემიგრანტები თითქმის ორ კვირას დარჩნენ კონსტანტინეპოლს.

**„ამ ხნის განმავლობაში ემიგრანტებთან თითქმის ყოველდღე მოდიოდა ასლან აბაშიძე და ქაქუცას ეპატიჟებოდა. ქაქუცას კონსტანტინეპოლში სხვებიც იწვევდნენ, მაგრამ მას გული მაინც უფრო ასლანისკენ მიუწევდა,“** – იგონებდა **ნოე რამიშვილის** დისწული **შალვა ბერიშვილი** (1893–1989).

ამის შემდეგ ასლან აბაშიძეს დიდხანს აღარ უცოცხლია.

ემიგრანტი ქართველების და მათ შორის, გენერალ ასლან აბაშიძის სახელს დიდხანს ტაბუ ჰქონდა დადებული.

ახლა, როცა საქართველო ცდილობს აღდგენილი დამოუკიდებლობის განმტკიცებას, განსაკუთრებულია ინტერესი იმ პიროვნებებისადმი, რომლებმაც წარუშლელი კვალი დააჩნიეს სამშობლოს თავისუფლებისა და ეროვნული სუვერენიტეტისათვის ბრძოლას.

ამ სასახელო მამულიშვილთა შორისაა ასლან აბაშიძეც, რომლის ვაჟკაცობას, ქართველობასა და რაინდულ სულს თავის დროზე ასე გამოხატავდა მადლიერი ხალხი:

**„გზა მიეცით გენერალს, მობრძანდება ქებული,**
**საქართველოს ფარი და მისთვის თავდადებული...“**

რუსეთის დროშის ქვეშ მებრძოლ სხვა უამრავ მხედართმთავართა შორის

* * *

თავად აბაშიძეთა საგვარეულოდან რუსეთის სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწეები იყვნენ:

გენერალ-მაიორი, თავადი **როსტომ ნიკოლოზის ძე აბაშიძე**. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის (1877-1878 წ.წ.) ომში, იყო ალექსანდრეპოლის (ამჟამად გიუმრის სომხეთში) სამხედრო ჰოსპიტლისა და ქუთაისის გუბერნიის სამხედრო მეთაური.

მისი ვაჟიშვილი – გენერალ-მაიორი **დიმიტრი როსტომის ძე აბაშიძე** იყო მე-6 არმიის შტაბის მორიგე გენერალი.

გენერალ-მაიორი, თავადი **კონსტანტინე გიორგის ძე აბაშიძე** ქალაქ სარატოვში (1912-1913 წ.წ.) იყო 47-ე საარტილერიო ბრიგადის მეთაური, შემდგომ 46-ე ბრიგადისა (1913-1916 წ.წ.), ხოლო 1916 წლიდან – არტილერიის 46-ე საარმიო კორპუსის ინსპექტორი.

* * *

აბაშიძე ლერი ივანეს ძე ქართველ გენერალთა შორის ხალხის ხსოვნაში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და პოპულარულია გენერალ-ლეიტენანტი ლერი ივანეს ძე აბაშიძე. იგი ყოველთვის მობილიზებული, სიცოცხლისუნარიანი, ურთიერთობაში უბრალო, სხვათა გაჭირვების გამზიარებელი და მზრუნველი, ქართველი ოფიცრისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა მატარებელი გახლდათ.



**ლერი აბაშიძე** დაიბადა 1935 წლის 25 დეკემბერს ხაშურში. იგი ორი წლის იყო, როდესაც მამა, **ვანო ილიას ძე აბაშიძე**, პროფესიით ვეტექიმი, გარდაიცვალა. მის დედას, ლერის გარდა, ხელზე დარჩა ოთხი თვის ვაჟი და სამი წლის გოგონა. ბავშვობიდან ლერიმ მრავალნაირი სიდუხჭირე გადაიტანა. დედა საშუალო განათლების ქალი იყო და მძიმე მდგომარეობა ჰქონდათ საცხოვრებელი ბინის მხრივაც. ისინი შეიფარა ბიძამ, დედის ძმამ – ბ. ა. ჩხეიძემ. ბავშვები ზესტაფონის რაიონის სოფელ ალავერდში ცხოვრობდნენ და ბიძასთან იზრდებოდნენ. ბიძისა და განსაკუთრებით დედის – **მარიამ აპოლონის ასულის** გარჯითა და შრომით ამ ენერგიული და მამაცი ქალის მეშვეობით, შვილები ფიზიკურად და მორალურად ჯანმრთელები გაიზარდნენ. ლერის ბავშვობიდან იტაცებდა ფიზიკური კულტურა, გამოირჩეოდა უბადლო ამტანობით, ხასიათის სიმტკიცითა და ნებელობით.

1954 წელს, საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ, ლერი აბაშიძე გაწ-

ვეული იქნა საბჭოთა არმიის რიგებში. ორი წელიწადი სანიმუშოდ ასრულებდა სამსახურს ლენინგრადის სამხედრო ოლქის საჰაერო-სადესანტო ჯარებში. შემდგომ მან სწავლა დაიწყო ერთ-ერთ უძველეს სამხედრო სასწავლებელში – რსფსრ უმაღლესი საბჭოს სახელობის მოსკოვის უმაღლეს საერთო საჯარისო სამეთაურო სასწავლებელში. სასწავლებლის დასრულების შემდეგ, მიიღო რა პირველი საოფიცრო წოდება, გაიგზავნა კიევის სამხედრო ოლქში. აქ მან მიიღო პირველი საოფიცრო ნათლობა – ჩააბარეს ოცეულის მეთაურობა. რამდენიმე ხნის შემდეგ უნარიანი მეთაური ასეულის მეთაურად დაინიშნა. კიდევ ცოტა დრო და ქართველმა ოფიცერმა შრომისმოყვარეობით, კარგი სამხედრო წრთობით, უბრალოებითა და თავმდაბლობით თავის მეთაურებს შორის მოიპოვა ავტორიტეტი და აღიარება. იგი არაერთხელ წაახალისეს, აღნიშნეს ბრძანებებში, წარადგინეს მეთაურთა შორის, როგორც სამაგალითო.

ცოდნისადმი წყურვილის უდიდესმა გატაცებამ, უფრო მეტის გაკეთების სურვილმა შეაგულიანა ლერი აბაშიძე, სწავლა განეგრძო მოსკოვის მ. ვ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიაში.

1968 წელს, აკადემიის წარმატებით დასრულების შემდეგ, ლ. აბაშიძე დაინიშნა ბაიკალისპირეთის სამხედრო ოლქის ერთ-ერთი ბატალიონის მეთაურად, სადაც 5 წელი იმსახურა. აქ მთელი ძალით იჩინა თავი ქართველი ოფიცრის უჩვეულო ნიჭმა და უნარმა. მოკლე დროის მანძილზე ლერი აბაშიძე ინიშნება პოლკის მეთაურის მოადგილედ, შემდეგ პოლკის მეთაურად და დივიზიის მეთაურის მოადგილედ.

1973 წელს ქართველი მეთაური დაინიშნა მოტომსროლელთა დივიზიის მეთაურად, რომელიც განლაგებული იყო ციმბირსა და მონღოლეთში. ლერი აბაშიძემ, ფლობდა რა მაღალ მომთხოვნელობას, სიკეთესთან შეზავებულ პრინციპულობასა და გულითადობას, ბრწყინვალე შედეგებს მიაღწია. დივიზია, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა, ოლქში მოწინავე გახდა და სამი წელი ზედიზედ ფლობდა გარდამავალ წითელ დროშას. ჯარის ნაწილების ხელმძღვანელობის განუზომელი ნიჭი და უნარი, რომელიც მას აღმოაჩნდა, ხდება საფუძველი იმისა, რომ ქართველი ოფიცრისთვის მიენიჭებინათ ისეთი მაღალი სამხედრო წოდება, როგორიცაა გენერალ-მაიორობა. მაშინ ლერი აბაშიძე 40 წლის იყო.

1979 წელს გენერალ-მაიორი ლერი აბაშიძე ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ სამხედრო ოლქში დაინიშნა კორპუსის მეთაურის მოადგილის თანამდებობაზე და ამ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე იგი სანიმუშოდ ემსახურებოდა სამშობლოს.

ორი წლის შემდეგ ლ. აბაშიძე დაინიშნა აფხაზეთის ასსრ სამხედრო კომისრად და სოხუმის გარნიზონის მეთაურად. მრავალმხრივი და რთული გახლდათ სამხედრო კომისრის მუშაობა. მთავარი კი იყო საბჭოთა არმიისა და შეიარაღებული ძალების ჯარისკაცთა და სამეთაურო შემადგენლობის შევსება. ეს

მუშაობა წარმატებით მიმდინარეობდა აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში.

„ჩვენს ახალგაზრდობას, – ამბობდა გენერალ-მაიორი ლერი აბაშიძე, – ახასიათებს სწრაფვა მამაცობისადმი, მათ იზიდავს შრომითი გზის რომანტიკა, ზორული მომავალი. დღევანდელი ჭაბუკები ჯერ კიდევ სკოლის წლებში იღებენ წარმოდგენას არმიისა და ფლოტის მომზიდველ და ამავე დროს მკაცრ ცხოვრებაზე, ამაში მათ ეხმარებათ დაწყებითი სამხედრო მომზადების გაკვეთილები, საბრძოლო დიდების ადგილებში ლაშქრობები. მოზარდი თაობისთვის ცნობილია აგრეთვე სამხედრო სასწავლებლების უმაღლესი რეპუტაცია, რომლებიც ამჟამად მათ აძლევს უაღრესად სოლიდურ ცოდნას და პრაქტიკული საქმიანობისათვის აღსაზრდელთა სერიოზულ მომზადებას.“

ლ. აბაშიძე სამხედრო კომისარი იყო, როდესაც დაამთავრა სოხუმის უნივერსიტეტის ისტორიულ-იურიდიული ფაკულტეტი. გენერალ-მაიორ ლერი აბაშიძის წარდგინებაში ქებისა და დიდების სიტყვების გარდა ვერაფერს შეხედებით. თანაც ისეთს, ყველას რომ შეშურდება. ყოველივე ეს ბატონ გენერალს, როგორც თვითონ ხშირად ამბობდა, მისცა ბუნებამ და ცხოვრებამ.

1989 წლის ბოლოს გენერალ-მაიორ ლ. აბაშიძეს ნიშნავენ ამიერკავკასიის წითელდროშოვან სამხედრო ოლქში მხედართმთავრის მოადგილედ უმაღლესი და სამხედრო მომზადების დარგში. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა სამხედრო ოლქში ასეთ თანამდებობაზე დაინიშნა ქართველი გენერალი. მრავალმხრივ გაიზარდა გენერალ აბაშიძის პასუხისმგებლობა ქვეყნისა და ხალხისადმი.

გენერალი აბაშიძე და მისი სახელოვანი ოჯახი ქვეყანაზე და ქართველ ხალხზე ფიქრში ათენ-აღამებდა. იგი ოთხი შვილისა და ორი შვილიშვილის მამა და ბაბუა იყო. მეუღლე – დარეჯან დანელია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატია. მან ბრწყინვალედ იცის ქართველი ერის ისტორია, სათუთად ინახავს ოჯახური კერის სითბოს.

სიკვდილის წინა წლებში გენერალ-მაიორი ლერი აბაშიძე დანიშნული იქნა საქართველოს სამხედრო შეიარაღებული ძალებისა და თავდაცვის მთავარსარდლის კონსულტანტ-ინსპექტორად. ამ მაღალ თანამდებობაზე ქართველი გენერალი ემსახურებოდა საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებასა და ქართულ მიწაზე მშვიდობის განმტკიცების საქმეს.

1993 წლის 15 თებერვალს, პარლამენტის თავმჯდომარის მთავარ სამხედრო მრჩეველს ლერი ივანეს ძე აბაშიძეს მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის მაღალი სამხედრო წოდება.

ლ. ი. აბაშიძე გარდაიცვალა 1994 წლის 14 ივლისს.

დარეჯან დანელია-აბაშიძის მოგონებიდან: „იყო გულღია, მხიარული, მუხლჩაუხრელი, ოჯახის მოყვარული. მძიმე ბავშვობაგამოვლილი. ობლად დარჩენილს დედა, ახალშობილი ძმა და 3 წლის და დარჩა საზრუნავი და მოსავლელი. თავად მცირეწლოვანი, დღე საკოლმეურნეო ნაკვეთში მუშაობდა, ღამის სკო-

ლაში სწავლობდა და წიგნებზე ათენებდა. შემდეგ სამხედრო აკადემიაში ჩააბარა. სამხედრო სამსახურში საბრძოლო ტექნიკის მართვაში დაოსტატდა. ასევე სპორტის ოსტატი გახდა ტყვიით სროლაში. სპორტი ბავშვობიდან იტაცებდა. ჰქონდა სხვადასხვა თანრიგი ტანვარჯიშში და ფეხბურთში.

იყო არაჩვეულებრივი მამა, ყურადღებიანი მეუღლე, გამტანი მეგობარი და თბილი ბაბუა. შვილების მიმართ მომთხოვნი იყო, მაგრამ არა მკაცრი.

მას მიაჩნდა, რომ ვაჟს განსაკუთრებული მიდგომა სჭირდება აღზრდის საკითხებში. ის დარწმუნებული იყო, რომ „ყოველი ახალგაზრდა ვალდებულია, გაიაროს აუცილებელი სამხედრო სამსახური. არმია და ფლოტი არა მარტო აკაჟებს მის სულს და სხეულს, არამედ უყალიბებს ახალგაზრდას იმ ხასიათის სიმტკიცეს და ჩვევებს, რომლებიც ყოველთვის მაღალ შეფასებას იმსახურებს ოჯახში და მეგობარ-ამხანაგებში."

აფხაზეთი ტკიეილად ექცა. ამ საკითხზე საუბარს გაურბოდა. შეცდომას ევრაეის პატიობდა. მიუხედაეად იმისა, რომ მას საშინელი დააეალება ებრძოდა, დამარცხება ვერ წარმოედგინა.

★ ★ ★



**აბაშიძე ასლან იბრაიმის ძე**, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა 1994 წლის 31 დეკემბერს.

„ვინ ვარ მე? (გაზეთ „შანსისათვის" მიცემულ ინტერვიუში) თქვა: „მეც ჩემი ქვეყნის – საქართველოს ჭირ-ვარამის მუდმივ და უცვლელ თანაზიარ აბაშიძეთა დიდი გვარიდან მოვდივარ და დაუფარავად და საფუძვლიანად ვამაყობ ჩემი ახლო თუ შორეულ წარსულში მოღვაწე წინაპრებით, რომლებმაც საქართველოს მთლიანობასა და კეთილდღეობას შესწირეს თავი. მიუხედავად იმისა, სად დამკვიდრდნენ და სად ცხოვრობდნენ ისინი – იმერეთში, ქართლში, კახეთში, აჭარაში თუ სხვაგან, რადგან ჩვენ ერთი დიდი, მძლავრი ოჯახის განაყოფი ვართ. ვამაყობ იმით, რომ ჩვენმა გვარმა, რომელმაც უდიდესი მსხვერპლის ფასად ღირსეულად გამოიარა ბობოქარი საუკუნეები, ღრმა, ნათელი კვალი დატოვა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში როგორც საერო, სამხედრო-პოლიტიკურ, ისე რელი-

გურ ასპარეზზე. უპირველესად თავისი ქვეყნის – საქართველოს ინტერესებს ემსახურებოდნენ უცხოეთში მოღვაწე აბაშიძეები თუ აბაშიძეთა გენის მატარებლებიც."

ასლან აბაშიძე არჩეულია ევროპარლამენტის ჰუმანიტარულ საკითხთა საერთაშორისო დამოუკიდებელი ბიუროს საბჭოს წევრად (ქ. ჟენევა). ასევე არის საქართველოს აღმოსავლეთმცოდნეობის ასოციაციის საპატიო პრეზიდენტი, საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსი, საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის საპატიო წევრი, ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნისა" და „მეგობრობის" ორდენით, რუსეთის ფედერაციის საპატიო ნიშნით „კავკასიაში სამსახურისათვის" და მედლებით. რუსეთის საქცოო საზოგადოების („კოსმოსი და დედამიწა") გადაწყვეტილებით, რომელსაც ცნობილი კოსმონავტი გერმანე ტიტოვი ხელმძღვანელობს, მშვიდობის თანავარსკვლავედში მდებარე უსახელო ვარსკვლავს ასლან აბაშიძის სახელი დაერქვა. მიენიჭა წოდება „ახალგაზრდობის დამრიგებელი". ფართო საქველმოქმედო მოღვაწეობის, ინტერნაციონალური პოლიტიკის გატარებისა და ზოგადსაკაცობრიო ჰუმანური იდეებისადმი ერთგულებისათვის მიენიჭა დიდი ნორვეგიელი ჰუმანისტის (მშვიდობის დაცვის საქმეში ნობელის პრემიის ლაურეატის), ფრიტიოფ ნანსენის სახელობის პრემია.

„ქვეყნისათვის ამ ურთულეს დროს ჩვენ დღენიადაგ ვზრუნავდით კულტურისა და ხელოვნების აღორძინებისათვის.

ღრმად მწამს, რომ თუ დღეს თუ ხვალ არა, ახლო მომავალში მაინც აღდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, აღორძინდება ქვეყანა, მოვიპოვებთ სრულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას. მაგრამ უმთავრესი მაინც ისაა, რომ ყველა ჩვენს მიზანს მაღალი ზნეობა ედოს საფუძვლად, ხოლო გვირგვინად – გასხივოსნებული სული, რომ ყველგან და ყოველთვის კეთილშობილება და სიკეთე სუფევდეს. მხოლოდ და მხოლოდ მაღალი ზნეობისა და მდიდარი სულიერი სამყაროს მქონე ადამიანებს შეუძლიათ, ააშენონ ჭეშმარიტად დემოკრატიული, მაღალგანვითარებული ქვეყანა და მტკიცედ დაიცვან თითოეული მოქალაქის უფლება და ღირსება, მიუხედავად ეროვნების, რელიგიისა და სხვა ნიშნისა."

*ასლან აბაშიძე*



**აბაშიძე დულა ვაჟას ძე**, გენერალ-მაიორი (წოდება მიენიჭა 1993 წლის 15 მარტს), დაიბადა 1941 წლის 26 აგვისტოს, თბილისში. 1958 წელს დაამთავრა მე–12 საშუალო სკოლა და ჩააბარა ბაქოს უმაღლეს საერთო-საჯარისო სამხედრო სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1962 წელს სპეციალობით საერთო-საჯარისო მეთაური უმაღლესი ზოგადი განათლებით.

1975 წელს დაამთავრა მოსკოვის სამხედრო-პოლიტიკური აკადემია წარჩინებით (სწავლების წლები 1971-1975), სპეციალობა – სამხედრო–პოლიტიკური საერთო–საჯარისო. 1962–1965 წლებში იმყოფებოდა უნგრეთში საბჭოს ჯარების შემადგენლობაში. 1979–1981 წლებში იმყოფებოდა ავღანეთში. იყო ავღანეთის ჯარის სამხედრო მრჩეველი. 1958–1991 წლების განმავლობაში მსახურობდა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში სხვადასხვა თანამდებობაზე და სხვადასხვა რეგიონში (სომხეთი, აზერბაიჯანი, უნგრეთი, ბელორუსია, უზბეკეთი, ყაზახეთი – ორჯერ, მოსკოვი, საქართველო, ავღანეთი, უკრაინა). იყო პოლკის, დივიზიისა და 32–ე საარტილერიო კორპუსის (ყირიმი) პოლიტგანყოფილების უფროსი. 1979–81 წლებში მონაწილეობდა საბრძოლო მოქმედებებში ავღანეთში. 1966–68 წლებში მიღებული აქვს მონაწილეობა სამხედრო მშენებლების დიდ რაზმთან ერთად (60 ათასი კაცი) ქალაქ ტაშკენტის აღდგენაში. 1999 წლის აპრილში ყირიმში ჩამოყალიბდა იქ მცხოვრებ ქართველთა სათვისტომო, რომლის ხელმძღვანელი იყო დ. აბაშიძე.

დულა აბაშიძე არჩეული იყო ქალაქების – ყარაგანდის, სიმფეროპოლისა და ყირიმის საოლქო საბჭოს დეპუტატად.

1992–2002 წლებში მსახურობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში. მათ შორის იყო სამშვიდობო ძალების პირველი სარდალი ცხინვალის რეგიონში (1992–1993 წ.წ.) და ზუგდიდში (1994–95 წ.წ.).

დაჯილდოებულია „წითელი ვარსკვლავის" ორდენით და მედლებით, მათ შორის – ავღანეთის.

*შ ე ნ ი შ ვ ნ ა :* **ხუსეინ აბაშიძე** – თურქეთმა მას ფაშის (გენერლის) წოდება მიანიჭა. აქტიურად მონაწილეობდა რუსეთ–თურქეთის 1877–1878 წწ. ომში.

ამრიგად, აბაშიძეთა ცნობილმა და მსოფლიოში სახელგანთქმულმა საგვარეულომ დედა–საქართველოს რვა გენერალი (შვიდი გენერალ–მაიორი და ერთი გენერალ–ლეიტენანტი) მისცა.

# აბაშიძეთა წინაპრები და თანამედროვენი

აბაშიძეთა ფეოდალური საგვარეულო მრავალმხრივაა ნიშანდობლივი და საინტერესო, რეალურად საქართველო ის ქვეყანაა, რომელმაც სრულყოფილად გაიარა პირველყოფილი თემურ-გვაროვნული განვითარების სტადია. დადგენილი ფაქტია, რომ წინაპრები გორებზე (გორაკებზე) გვარებად ცხოვრობდნენ. როგორც მეცნიერთა მიერაა დადგენილი, თანამედროვე ფორმით გვარები უკვე მოგვიანებით ჩვენი წელთაღრიცხვის მე–4–6 საუკუნიდანაა გაჩენილი და მათ შორის ქართველებს ერთ–ერთი წამყვანი ადგილი უკავიათ.

„ქართლის ცხოვრების“ პირველ ტომში საუბარია იმის შესახებ, რომ **ქართლში გვაროვნობითი აღწერა ბერძნებს მეშვიდე საუკუნის პირველ ნახევარში ჩაუტარებიათ.** და აი, ამ ინფორმაციათა ფონზე, იოანე ბაგრატიონთან საუბარია იმის თაობაზე, რომ **აბაშიძეები ვინმე აბაშისაგან ჩნდებიან 668 წელს, ხოლო სავანელები, რომლებიც აბაშიძეთა შტო–გვარს (განაყოფს) წარმოადგენს, 901 წელს მოიხსენებიან.** 901 წლის უტყუარობას ადასტურებს და ამაგრებს ის გარემოება, რომ მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში (1060 წელი) იერუსალიმში ქართველთა ჯვარის მონასტრის წინამძღოლადაა ლუკა I აბაშიძე, იქვე XIII საუკუნის II ნახევარში (1274 წელი) როგორც მონასტრის წინამძღვარი, მოღვაწეობს ლუკა II მუხაის ძე აბაშიძე.

საისტორიო მასალების შესწავლიდან ირკვევა, რომ იერუსალიმის ჯვრის ქართული სავანის დაარსებიდან მოკიდებული, მე–11 საუკუნის პირველი ნახევრიდან, ვიდრე მე–15 საუკუნის დასაწყისამდე (1410–იან წლებამდე) ჯვარის სავანის წინაპრად იყო 19 პირი.

ამათგან ჯვარის მთავარ სააღაპე წიგნში და მასთან დაკავშირებულ სხვა სამონასტრო მატიანეებში შეტანილია სახსოვარი უკანასკნელი ათი წინამძღვრისა მე–13 საუკუნიდან მე–15 საუკუნის დასაწყისამდე). ხოლო პირველი წინამძღვრები (მე–11 საუკუნიდან ვიდრე მე–13 საუკუნის დასაწყისამდე) მოხსენიებული არ არიან.

მოგვყავს ჯვრის წინამძღვართა სრული სია:

1. პროხორე (გიორგი-პროხორე I) ჯვარის აღმაშენებელი.

ჯვარის წინამძღვარი 1020–30–იანი წლებიდან 1060–იან წლებამ-დე. გარდაიცვალა 1066 წელს.

2. გიორგი II
3. ლუკა I აბაშიძე
4. მარტვიანე I
5. გაბრიელ I სანატრელი
6. მარტვიანე II
7. საბა I
8. სვიმონ I
9. სვიმონ II 1060–იანი წლებიდან მე–13 საუკუნის დასაწყისამ-დე
10. გერმანოზ I, XIII საუკუნის დასაწყისი – 1250/5 წ.
11. იოვანე I (მთავარეპისკოპოს ყოფილი) 1250/5 – 1271 წ.
12. ლუკა II მუხაის ძე აბაშიძე 1271–1274 წ.

(მოიხსენიება ჯვრის აღაპში) №276–252.

13. სოლომონ I 1274–1310 წ.
14. სვიმონ III ელმელიქისძე 1310–1320–იანი წ.
15. საბა II 1320/30–იანი – 1350 წ.
16. იოსებ I ქერიმადინისშვილი 1350–1395 წ.
17. ქერაბინ I 1395–1400 წ.
18. პიმენ I (მაწყვერელ მთავარეპისკოპოს ყოფილი) 1400–1410 წწ.
19. იოვანე II 1410/20–იანი წლები. *(პავლე ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტომი I, თბ, 1963, გვ. 701–702).*

ჯვრის ქართულმა სავანემ ორგზის განიცადა ტყვეობა. პირველი ტყვეობა მოხდა XII საუკუნის დასასრულს. იგი გაგრძელდა 1187–1200 წლებში.

მეორე ტყვეობა მოხდა XIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIV საუკუნის დასაწყისში; იგი უფრო ხანგრძლივი იყო, გაგრძელდა 31 წელს, 1274–1305 წლები.

ამ მეორე ტყვეობის შესახებ გადმოგვცემენ ცნობებს როგორც ქარ–

თული წყაროები („აღწერა ლუკას (იგულისხმება ლუკა II მუხაისძე აბაშიძე) მარტვილობისა, ცნობები ჯვარის სამონასტრო მატიანეთა), – ისე არაბი ავტორები XIV–XV საუკუნეთა: ელომარი (გარდაიცვალა 1348 წელს), იბნ-კესირი, ელკალკაშანდას, მაკრიზი, ელაინი, მუჯირედინი (წერდა 1496 წელს).

ქართული წყაროს – ლუკას მარტვილობისა და არაბული წყაროების შეჯერებიდან ირკვევა, რომ ჯვარი დაიჭირა შეიხ ხიდარმა ეგვიპტის სულტანის ბეიბარსი ბუნდუკდარის მეფობის დროს 1260–1277 წლებს შორის.

ჯვრის სამონასტრო მატიანის ერთი ცნობა იძლევა შესაძლებლობას, ეს თარიღი უფრო დაზუსტდეს – ჯვარი დაუჭერიათ მუსულმანებს 1274 წელს.

ჯვრის დაჭერის დროს მუსულმანებმა აწამეს ჯვარის წინამძღვარი ლუკა მუხაისძე აბაშიძე. ლუკას მარტვილობაში მოთხრობილია, რომ შეიხი ხიდარი **„მოუდგა ძმათა ჩუენთა ქართველთა და არა შეარჩინა არცა მონასტრით და არცა თვისაი, რაიცა თვისაგან ჰქონდა, და ესეთი გაძარცუილნი გამოასხნა“** *(იხ. მარტვილობა, გვ. 61; პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ., გვ. 744–745).*

აქ კიდევ ერთხელ უნდა შევჩერდეთ ლუკა მოწამეზე.

ა დ ა პ ი . განწესებული ლუკა მოწამისათვის (№256/252)

27 ივნისი

**„ამავე დღესა ადაპი და დამისთევაი**
**ღირსისა მამისა ჩუენისა და მოწამისა ლ უ კ ა ი ს ი ,**
**რომელი მონასტრისათვის იწამა.**
**გარდაიხდევოდეს დაუკლებლად,**
**ვითარცა წმიდათა მოწამეთა,**
**უნაკლულოდ,**
**რაითა ღმერთმან ჩუენ**
**უნაკლოდ გუყვნეს მისითა მეოხებითა.“**

ლუკა მუხაის ძე აბაშიძე, წინამძღვარი ჯვარისა, როგორც მოვიხსენიეთ, აწამეს 1274 წელს, როდესაც ჯვარის მონასტერი დაიჭირეს მუსულმანებმა; ხოლო ადაპი განწესებულია 1305 წლის შემდეგ, როდესაც მონასტერი განთავისუფლებულ იქნა ტყეობისაგან.

# აბაშიძენი

არგვეთს ბუდობდა ძველთაგან რიცხემრავალი და შემძლებელი და სახელოვანი გვარი აბაშიძეთა.

მე-15-მე-16 საუკუნეთა მიჯნაზე შეიქმნა იმერეთში უძლიერესი სათავადო აბაშიძეთა. თავად აბაშიძეთ ეპყრათ ციხენი: ვახანისა, სვერისა, კაცხისა, ჩხერისა, შორაპნისა, ნავარძეთისა, ცუცხვათისა და სხვანი. აბაშიძეთა სახლს ეკუთვნოდა რამდენიმე ეკლესია-მონასტერი და კიდევ ოთხმოცამდე სოფელი ზემო იმერეთში.

მე-17 საუკუნიდან ზემო იმერელნი თავადნი აბაშიძენი ზემო ქართლს გადმოვიდნენ და ხაშურ-სურამის მხარეში დაიჭირეს სოფლები: ქვიშხეთი, ტაშისკარი, ციხისძირი, მონასტერი, წიქარაული, ცხრამუხა, ბეკამი და სხვანი.

ამავე საუკუნეში აბაშიძენი გურიაში და აჭარაშიც დამკვიდრდნენ აზნაურის ხარისხით. აჭარაში აბაშიძენი გამაჰმადიანდნენ. ამათგან მოდიან სანჯაყ-ბეგი აბაშიძენი.

მე-18 საუკუნეში აბაშიძეთ ყმა-მამული ებოძათ შიგნით კახეთში. ამათგან მოდიან კახთაბაშიძენი. არიან აბაშიძენი თუშნი.

იმერეთის, ქართლ-კახეთის და გურია-აჭარის აბაშიძეთა ერთი ძირი აქვთ.

იმერეთში აბაშიძენი გელათის ღვთისმშობლის წინამძღვრად, მთავარეპისკოპოსად, კათალიკოსად, მდივან-მწიგნობარად, ბოქაულთუხუცესად და სახლთუხუცესად ემსახურებოდნენ მეფეს და საქართველოს, ხოლო ქართლ-კახეთში-მილახვარბაშად. ალის და ბორჩალოს მოურავეებადაც აბაშიძენი მსახურობდნენ.

**აბაშიძეთა გვარის იყო იმერეთის მეფე გიორგი მეხუთე.**

პატრიარქ იბრაჰიმის მონასტერს აღაშენებდა წმინდა ქალაქ იერუსალიმში და მრავალს ჯვარსა და ხატს ამკობდა და აჭედინებდა და მრავალს ძველს ხელნაწერს განაახლებდა იმერთა მეფე გიორგი მეხუთე აბაშიძე.

მოყვრობა აქვნდათ აბაშიძეთ ბაგრატიონთა სამეფო სახლთან, იმერეთშიც, ქართლშიც და კახეთშიც. იმერთა მეფეს ალექსანდრე მეხუთეს თავადის ლევან აბაშიძის ასული ჰყავდა დედოფლად. აბაშიძის ქალის გაზრდილი იყო სოლომონ I. ქართლის მეფის, ვახტანგ მეექვსის ასული, ბატონიშვილი ანუკა, ვახანის ციხის პატრონის თავადის ვახუშტი აბაშიძის მეუღლეც აბაშიძეთა სიძე გახლდათ.

ღმერთისა და საქართველოსთვის და ბაგრატიონთა ტახტის ძლიერებისათვის აბაშიძენი გამოდიოდნენ იმერეთის სამეფოს ლაშქრის მემარცხენე და ქართლის სამეფო ლაშქრის მემარჯვენე სადროშოებში.

ამჟამად აბაშიძენი ცხოვრობენ კვლავ იმერეთში, ქართლში, კახეთში, გურიაში, აჭარაში, თუშეთში, ლეჩხუმში, ოდიშში, სამცხესა და ჰერეთში.

საქართველოში აბაშიძეთა დიდ-პატარის, ქუდოსან-მანდილოსნის საერთო რიცხვი რვა ათას სამასს აჭარბებს.

ღმერთმა აჰრაელოს გვარი აბაშიძეთა *(ალექსანდრე ნაზღაიძე).*

* * *

დასავლეთ საქართველოს ანუ ლიხთ-იმერეთის ფეოდალური ხანის საგვარეულოთა შორის ერთ-ერთი ყველაზე წარჩინებული **აბაშიძეების** გვარია. ეს გვარი ზემო იმერეთში, კერძოდ, არგვეთში მკვიდრობდა. აბაშიძეთა სათავადო ბაღდაშთა ყოფილ სამფლობელოზე აღმოცენდა. არ არის გამორიცხული, რომ ისინი ბაღდაშთა სახლის რომელიმე შტოდან მომდინარეობდნენ. ყოველ შემთხვევაში, მათი სამკვიდრო მამულის კაცხისა და მისი მიდამოების მემკვიდრეები სწორედ აბაშიძეები არიან.

მე-16 საუკუნიდან აბაშიძეები მრავლად ჩანან იმერეთში, რასაც იმდროინდელი საბუთები ადასტურებს. მომდევნო საუკუნის ბოლოდან კი დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ უძლიერეს საგვარეულოდ გვევლინებიან. მათ გამგებლობაში შედიოდა 81 სხვადასხვა სოფელი. ჰყავდათ საკუთარი ყმა-გლეხები და აზნაურები, ჰქონდათ საგვარეულო ეკლესია-მონასტრები ყმა-მამულით. მე-18 საუკუნის ოთხმოციან წლებში არგვეთის უდიდესი ნაწილი აბაშიძეთა საგვარეულოს ხელში იყო. ამ სათავადოს ჩრდილოეთი საზღვარი რაჭის საერისთავომდე აღწევდა, სამხრეთით მდინარე ძირულამდე, აღმოსავლეთით – ლიხის მთამდე, დასავლეთით – არგვეთა-ჩხარამდე. აბაშიძეებს სამგან ჰქონდათ რეზიდენცია: ჭალას, კაცხსა და უბისას. ამ სამყოფელთაგან უძველესად კაცხი არის მიჩნეული. სათავადოს საკუთარი მმართველობის აპარატი გააჩნდა. ამ აპარატში ვხვდავთ სახლთუხუცესს, მოურავს, ხელოსანს ანუ მოხელეს და მამასახლისს და მეჯინიბეს. რა თქმა უნდა, ისევე, როგორც სხვა სათავადოებში, მათ მოვალეობებს აბაშიძეთა აზნაურები ასრულებდნენ.

აბაშიძეთა საგვარეულოს ახლო ურთიერთობა ჰქონდა აღმოსავლეთის მეზობელ ქართლის სამეფოსთან. ისტორიაში ცნობილია სხვადასხვა მაგალითები, როცა ამ გვარის წარმომადგენლები ქართლის მეფეებთან ერთად იმერეთის მეფეთა წინააღმდეგ იბრძოდნენ. ქართლის მეფეები დიდად აფასებდნენ მათ ერთგულებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ვახანის ციხის მფლობელი აბაშიძის პოზიცია: ეს ციხე იმ გზას დარაჯობდა, რომელიც ვახან-ბორჯომის გავლით ახალციხეში გადადიოდა. ბუნებრივია, ამ ციხის მფლობელ აბაშიძეზე იყო დამოკიდებული ქართლის სამეფოს დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი საზღვრის დაცვა. იმერეთის აბაშიძეთა არაერთ წარმომადგენელს აუღია ხელი საკუთარ მამულზე, ქართლის თუ კახეთის მეფეს ხლებია და მტერთან ბრძო-

ლაში „მრავალჯერ სახელოვნად გარჯილა“. ასეთი ერთგულებისათვის ერეკლე მეორემ იმერეთიდან ქართლ'ში გადმოხვეწილ ზაალ აბაშიძესა და მის შვილებს ჯერ ხეთინის ხევი უბოძა, ხოლო შემდეგ – მამული კახეთში. იმერეთის აბაშიძეთა ამგვარმა მიგრაციამ ქართლისა და კახეთის აბაშიძეთა საგვარეულო სახლები წარმოშვა, თუმცა ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს, რომ აბაშიძეებს **„ერთობასა შინა აქუნდათ მამული იმერეთსა და ქართლსა შინა და შემდგომად განყოფითა სამეფოსა ერთი ძმა იქით და ერთი აქეთ დაშთნენო“.**

ჩრდილოეთის მეზობელ რაჭის ერისთავებთან ერთად აბაშიძეები მთავრული განკერძოებისკენ ლტოლვის გამო შეთანხმებულად ებრძოდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას. მართალია, ეს ბრძოლა მეფის გამარჯვებებით მთავრდებოდა, მაგრამ მე–17 საუკუნის ბოლოს ისინი მაინც აღწევენ წარმატებას. ამ დროს აბაშიძეთა საგვარეულოს უფროსად გიორგი (მალაქია) ზის. ენერგიულმა და გამჭრიახმა თავადმა თავიდანვე დაიწყო იმერეთში პირველობისთვის ბრძოლა, ცოლად შეირთო გიორგი გურიელისა და კაცია ჩიქოვანის „მდიდარი ფრიად“ ნაცოლარი. შემოიერთა ჩხეიძეთა ციხე–ქალაქი შორაპანი, ცუცხვათის ციხე და სხვა მამულები, რითაც თავის პირველობას მტკიცე საფუძველი შეუქმნა.

აბაშიძეს ასეთმა ეკონომიურმა ძლიერებამ საშუალება მისცა, კულტურულ სამშენებლო საქმიანობისთვისაც მიეყო ხელი. 1700 წელს თავისი სახსრებით აღადგინა იერუსალიმის „პატრიარქის აბრაჰამის“ მონასტერი.

გიორგი აბაშიძის ოთხი ქალიშვილი, მამის პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, რამდენჯერმე იყვნენ დაქორწინებულ–განქორწინებულნი. უფროსი ასული თამარი ჯერ იმერეთის მეფის ალექსანდრე მეოთხის თანამეცხედრე იყო, მისი გარდაცვალების შემდეგ, იმერეთის მეფესთან გიორგი მეოთხე გოჩიად წოდებულთან იქორწინა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ გაშორდა და გიორგი ლიპარტიანს გაჰყვა. მეორე ასული ანუკა თავდაპირველად ნასყიდა იაშვილის მეუღლე იყო, ხოლო შემდეგ – იმერეთის მეფის სიმონის. მესამე ქალი ელენე მამია მესამე გურიელზე იყო დაქორწინებული, ხოლო მეოთხე – მარიამი ისტორიკოს ვახუშტი ბატონიშვილს ჰყავდა ცოლად. ასე რომ, მთელი თხუთმეტი წლის განმავლობაში იმერეთის მეფეები გიორგი აბაშიძისა და მისი მომხრეების ნებისამებრ მოქმედებდნენ. ვახუშტი გადმოგვცემს, რომ გიორგი მეოთხე (გოჩია) მეფობის დროს იმერეთის სამეფოს **„მართავდა აბაშიძე გიორგი და თაობდა ყოველთა იმერთა ზედა“**. შემდეგ სიმონ მეფე, რომელიც მისი სიძე იყო, ვერაგულად მოაკვლევინეს მისივე თაოსნობით. სიმონის შემდეგ იმერეთს მცირე ხნით მამია გურიელი განაგებდა, რომელიც ასევე გიორგი აბაშიძის მიერ იყო დაყენებული და **„თუმცა იყო მეფედ, გარნა წარსაგებელითა თვისითა“**, რადგან ამ დროს სამეფო მამულები აბაშიძეების ხელში იყო მოქცეული. ბუნებრივია, იგი არ შეურიგდა ასეთ მდგომარეობას და მალე გურიაში დაბრუნდა. მომდევნო სამი წელი (1701–1703) მართალია, იმერეთი უმეფოდ დარჩა, მაგრამ „განე–

**გებოდა მის გიორგი აბაშიძის მიერ ყოველი იმერეთი"** (ზოგიერთი ისტორიკოსი მას ამ წლების იმერეთის მეფედაც კი მიიჩნევს).

მიუხედავად იმერეთის სამეფოში შექმნილი ამგვარი ვითარებისა, ქვეყნისათვის ცუდი არაფერი ყოფილა. პირიქით: **„ვერავინ იკადრებდა პარვად რისამე და განყიდვად ტყვისა"** (ვახუშტი).

ოსმალეთის სულთანი ვერ შეურიგდა გიორგი აბაშიძის ამგვარ აღზევებას და 1703 წელს მის წინააღმდეგ არზრუმის ფაშა გამოგზავნა დიდძალი ჯარით. მართალია, გიორგი აბაშიძე და მისი მოკავშირეები დამარცხდნენ ამ ბრძოლაში, მაგრამ იგი მაინც ისეთ ძლიერ თავადად ევლინებოდათ, რომ ოსმალთა მიერ დასმული გიორგი მეექვსე მისი შიშით რამდენიმე წელს ქუთაისის ციხიდან ვერ გამოვიდა. მალე იმერეთის თავადებს მოსწყინდათ გიორგი აბაშიძის ასეთი გაბატონებული მდგომარეობა და მეფეს მიემხრნენ. იგი იძულებული შეიქმნა, ქართლში გადასულიყო. სიცოცხლის ბოლო წლები გიორგი აბაშიძემ მეფე ვახტანგ მეექვსის მფარველობის ქვეშ გაატარა. გარდაიცვალა 1722 წლის 15 ოქტომბერს, თბილისში. დაკრძალეს კაცხს, საგვარეულო მონასტერში.

გიორგი აბაშიძის გარდაცვალების შემდეგ აბაშიძეთა გვარის ძლიერება არ შესუსტებულა. მხოლოდ სოლომონ პირველმა შეძლო ამ გვარის ძლიერებისათვის ბოლო მოეღო.

1802 წელს მეფე სოლომონ მეორემ თავის მომხრე დავითსა და გიორგი აბაშიძეებს **„ხელახლა უბოძა მათი სამკვიდრო სასაფლაო კაცხის ეკლესია ყმა-მამულით"** მაგრამ ეს იყო მხოლოდ მცირედი ნაწილი იმასთან შედარებით, რაც გააჩნდათ აბაშიძეებს თავისი ძლიერების ხანაში. ამ დროს იმერეთის სამეფოში ყმა-მამულით მომრავლებული წერეთლები პირველობდნენ.

აბაშიძეების გვარი არამარტო საერო, არამედ სასულიერო მოღვაწეობითაც არის ცნობილი. მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში დასავლეთ საქართველოს კათალიკოსად **მალაქია** პირველი გვევლინება, ხოლო მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს – **მაქსიმე მეორე აბაშიძე** ასევე ცნობილია ამ გვარის სხვა სასულიერო წარმომადგენლებიც.

მართალია, იმერეთში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ აბაშიძეების სათავადო ადმინისტრაციულად გაუქმდა, მაგრამ ამ გვარის წარმომადგენლები მაინც გარკვეულ როლს თამაშობდნენ ქვეყნის ყოფა-ცხოვრებაში. 1819-20 წლების იმერეთის აჯანყების დროს ტახტის პრეტენდენტად **იოანე აბაშიძე** (სოლომონ პირველის შვილიშვილი) იქნა დასახელებული და მას წარჩინებულთა შორის მომხრეებიც ჰყავდა.

აბაშიძეთა გვარს დღეს ენათესავებიან სხვადასხვა გვარები. ასე, მაგალითად: **გიორგი (მალაქია) აბაშიძის** უფროსმა ვაჟმა **ფინეზმა** სათავე დაუდო **აბაშიძე-ფინეზიშვილების** ანუ, უბრალოდ, **ფინეზიშვილების** შტოს. ამ გვარის ერთ-ერთ შტოს წარმოადგენენ აგრეთვე **ლაბუაშვილები (გაბუაშვილები)**, რომელნიც

მე-19 საუკუნის დამდეგიდან ჩანან. მე-18 საუკუნის პირველი ნახევრიდან ბათუმის მხარეში ჩასახლებულ გამაჰმადიანებულ აბაშიძეებს ადგილ-მამული და *სანჯაყ-ბეგის* წოდება მიეცათ. ეს აბაშიძეები მოიხსენიებიან, როგორც **სანჯაყბეგ აბაშიძეები** (*ოლღა სოსელია*).

**შ ე ნ ი შ ვ ნ ა :**

აბაშიძეთა გვარეულობის კვლევამ ნათელჰყო, რომ ისტორიული წყაროების მიხედვით, აბაშიძეები, კერძოდ, ლუკა I აბაშიძე და ლუკა II მუხაის ძე აბაშიძე იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვრები არიან. პირველი მოიხსენიება 1060, ხოლო მეორე – 1274 წელს. ლუკა მუხაის ძე აბაშიძე წმინდანადაა ხელდასხმული. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათ შესახებ ალაპები დაბეჭდილია პაველ ინგოროყვას შრომაში.

**მალაქია აბაშიძე** – XVI საუკუნის პირველი ნახევრის დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი.

**მელქისედეკ აბაშიძე** – 1517 წელს გელათის წინამძღვარი. გელათში აბაშიძეები არიან წინამძღვრები, მთავარეპისკოპოსები, კათალიკოსები;

**მალაქია I აბაშიძე** – აფხაზთა კათალიკოსი 1529 წელს.

**აბაშიძე-გენათელი** – 1563-1564 წლებში აბაშიძეები გენათელებად ხშირად ისხდნენ; **თავადი მალაქია აბაშიძე** – ქუთაისის მიტროპოლიტი 1695-იანი წლებში; **თავადი ნიკოლოზ აბაშიძე** – მონაზონი 1700-იან წლებში და სხვ.

ვანის წმინდა გიორგის ეკლესიის დასავლეთის კედელზე გამოსახულია **ალექსანდრე მეფეთ მეფე**, ხოლო საკურთხევლის აბსიდში წმიდა მამების გვერდით **მელქიზედეკ აბაშიძეა** წარმოდგენილი.

ორთავე ეს პირი, როგორც ირკვევა, მე-16 საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა. უფრო ზუსტად, მელქიზედეკ აბაშიძე გელათის წინამძღვარი მოხსენიებულია გელათის ერთ-ერთ სიგელში, რომელიც 1505-1519 წლებითაა დათარიღებული, ე.ი. მელქისედეკ აბაშიძესთან ერთად გამოსახული ალექსანდრე მეფეთ მეფე არის იმერეთის მეფე **ალექსანდრე მეორე** (1478-1510).

რაკი ალექსანდრე მეორე 1510 წელს გარდაიცვალა, ხოლო 1505 წლამდე გელათის მონასტრის წინამძღვრად **მანასე** ყოფილა, მაშასადამე ვანის ეკლესიის მხატვრობა შესრულებულია 1505-1510 წლებში.

ამ თარიღს მხარს უმაგრებს შემდეგი გარემოება: თავისი სტილით ვანის

მხატვრობა ზუსტი ანალოგიაა ჭალის პატარა ეკლესიის ყვირილის ხეობაში მოხატულობისა, რომელიც შექმნილია ამავე დროს, მე–16 საუკუნის პირველ წლებში.

გარდა მელქისედეკისა, ვანის ეკლესიის კედლებზე გამოსახულნი არიან აბაშიძეთა გვარის სხვა წარჩინებულნი. მათ შორის საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მაღალი თანამდებობის პირი, სახელმწიფო მოხელე, მოლარეთუხუცესი, სამწუხაროდ, სახელი აღარ იკითხება. ეს ფაქტი მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ მე–16 საუკუნის მოლარეთუხუცესის შესახებ აბაშიძის საგვარეულოდან დღემდე არავითარი სხვა ცნობა არ გაგვაჩნია.

ამგვარად, ვანის ეკლესია მე–16 საუკუნის დასაწყისში საფუძვლიანად აღუდგენიათ, ხოლო მისი შიდა კედლები ერთიანად მოუხატავთ (ისტორიული პორტრეტების გარდა, კონქში შემორჩენილია ტახტზე მჯდომი მაცხოვრის ფეხები, ქვევით, აბსიდში – წმინდა მამები, დასავლეთის კედელზე – ჯვარცმა და გარდამოხსნა).

ნაგებობა უფრო გვიანაც შეუკეთებიათ, ალბათ, მე–19 საუკუნეში (მთავარი ნავის ფართო სარკმელი აღმოსავლეთით).

*დასასრულ, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ვანის ეკლესიამ შემოგვინახა ერთი ეპიგრაფიკული ნიმუში: ჩრდილოეთ მინაშენის აღმოსავლეთ სარკმლის ქვაზე ამოკვეთილია ასომთავრული წარწერა. წარწერის ტექსტი, მართალია, ბევრს არაფერს გვეუბნება, მაგრამ პალეოგრაფიულად ის ძალზე საყურადღებოა. ეს ქვა, რომელიც ახლა ძირსაა ჩამოვარდნილი, აშკარად ძეგლის თავდაპირველი ფენისეულია.*

ალფაბეტის მიხედვით წარმოგიდგენთ აბაშიძეთა გვარის იმ ღირსეულ წარმომადგენლებს, რომლებიც სხვადასხვა ქართულ ისტორიულ წყაროებში არიან მოხსენიებული. მკითხველი ნუ გაჰკვირდება იმის გამო, თუ პიროვნებათა წარმოდგენისას ისტორიული ჩარჩოები არ იქნება დაცული.

წინაპრებთან ერთად წარმოგიდგენთ თანამედროვე აბაშიძეებსაც, რომლებიც გვარის ღირსეული გამგრძელებლები არიან.



**აბაშიძე ავთანდილ ბიჭიკოს ძე,** დაიბადა 1952 წლის 5 იანვარს, მოსამსახურის ოჯახში.

მამა – **ბიჭიკო ელიზბარის ძე,** დაბადებული 1925 წელს ჭიათურის რაიონის სოფელ ხრეითში, გარდაიცვალა 1984 წელს.

დედა – **თინა გიორგის ასული,** დაბადებული 1929 წელს, ჭიათურის რაიონის სოფელ წირქვალში, გარდაიცვალა 2001 წელს.

ავთანდილ აბაშიძემ 1969 წელს დაამთავრა ჭიათურის მესამე საშუალო სკოლა. სკოლაში სწავლის პერიოდში მონაწილეობდა სასკოლათაშორისო ოლიმპიადებში ცეკვის ანსამბლთან ერთად. მიღებული აქვს ქალაქის ნორჩ მხატვართა მეორე ხარისხის დიპლომი, მონაწილეობდა სპორტულ სპარტაკიადებში კალათბურთის, ხელბურთის, მძლეოსნობის და ჭიდაობის გუნდებში სკოლის სახელით. კლასიკურ ჭიდაობაში მიღებული აქვს პირველი ადგილი პირად შეჯიბრებებში. მონაწილეობდა საქართველოს საზაფხულო სპარტაკიადებზე ხელბურთის გუნდში ქალაქის სახელით.

სკოლის დამთავრებისთანავე ჩააბარა მისაღები გამოცდები საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე თვითმფრინავთმშენებლობის სპეციალობით.

1974 წელს, ინსტიტუტის წარმატებით დამთავრების შემდგომ გაგზავნილ იქნა სამუშაოდ თბილისის საავიაციო ქარხანაში, სადაც იგი მსახურობდა ოსტატად, უფროს ოსტატად, ტექნოლოგიური ბიუროს უფროსად, საამქროს უფროსის მოადგილედ, საამქროს უფროსად, სატვიფრავი და საამწყობო ტექნოლოგიური განყოფილებების უფროსად. ამჟამად საინჟინრო სამმართველოს ტექნოლოგიური საკონსტრუქტორო სამსახურის უფროსია იმავე საწარმოში. არის უამრავი რაციონალიზატორული წინადადებების ავტორი. საწარმოდან მივლინებული იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის რამდენიმე საავიაციო ქარხანაში და სამხედრო საავიაციო ნაწილებში. მივლინებულ იქნა აგრეთვე საზღვარგარეთ საავიაციო ტექნიკის საგარანტიო მომსახურების ჯგუფის უფროსად. მონაწილეობდა კოსმოსში გასაშლელი ანტენის დასამზადებლად საჭირო ტექნოლოგიური სამარჯვების დაპროექტება-დამზადებაში.

ჰყავს მეუღლე – **შურგულაშვილი დარეჯან დუდუშის ასული** და ორი შვილი, **გიორგი** – დაბადებული 1978 წელს და **ნინო** – დაბადებული 1986 წელს



**აბაშიძე ავთანდილ პლატონის ძე**, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი. დაიბადა ლენტეხის რაიონის სოფელ ჩიხარეშში 1959 წლის 1 აგვისტოს. მშობლები: **დოდო აბაშიძე, პლატონ აბაშიძე**. მეუღლე – **მარინა ენდელაძე**. შვილები: **დავითი, თორნიკე, ნინო**. მიღებული აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (1986). იყო საქართველოს პროკურატურის გამომძიებელი, პროკურორის თანაშემწე, პროკურორი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი (1986–96). საქართველოს პარლამენტის წევრი (1995–96). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრია 1996 წლიდან. ამჟამად არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლოს თავმჯდომარე.

**ანა დედოფალი კახეთისა** (1730–1749). ზაალ აბაშიძის ქალი. ერეკლე II-ის მეორე მეუღლე. 1744 წელს ერეკლეს გარდაეცვალა პირველი მეუღლე ქეთევანი. ამის შემდეგ „**აბაშიძის ზაალის ქალი გარდმოიყვანეს ქიზიყს, ანუკა ბატონიშვილი, ვითარც მეფის ირაკლის დედიდა იყო, და ამან მოინდომა და მიათხოვა მეუღლედ**“ (*პაპუნა ორბელიანი. ზ. ჭიჭინაძის გამოც. გვ. 102–103*). ერეკლემ იქორწინა ქიზიყს 1745 წელს. ანა დედოფალს 1746 წლის 9 ოქტომბერს ეყოლა ვაჟი გიორგი (შემდეგში **მეფე გიორგი მეთორმეტე**). ორი წლის შემდეგ მას ეყოლა ქალი თამარი, რომელიც შემდგომში მიათხოვეს დავით რევაზის ძე ორბელიანს (1739–1796). თამარსა და დავით ორბელიანებს რვა შვილი ჰყავდათ. ანა დედოფალი გარდაიცვალა 1749 წელს 19 წლისა, დასაფლავებულია მცხეთას. „დედოფალი კახეთისა ანნა დაიმარხა ქალაქს, დეკემბერს 8-ს. ქორონიკონს ულზ. მოიღეს მცხეთას“ (პაპუნა, გვ. 167). ხელნაწერ ჰ–983-ის 44–ე გვერდზე მოთავსებულია ანა დედოფლის ეპიტაფია.



**აბაშიძე ანასტასია (ტასო) ალექსანდრეს ასული**, დაიბადა 1920 წლის 23 ივნისს ზემო იმერეთის ლამაზ სოფელში, ჭალაში. ბავშვობა, ისევე როგორც მთელი შემდგომი ცხოვრება, მძიმე და გაჭირვებული ჰქონდა. ოთხი წლის ასაკში ტასო და მისი სამი დედმამიშვილი (ნიუ, სულიკო და გიორგი (ჟორჟიკა) დაობლდნენ. მათი მამა, **ალექსანდრე ნიკოს ძე აბაშიძე** 1924 წელს შორაპანში სხვა თავად-აზნაურებთან ერთად დახვრიტეს, თუმცალა მის სიკვდილთან დაკავშირებულმა ლეგენდის მსგავსმა ამბავმა ჩვენამდეც მოაღწია. ბავშვების აღზრდა დედას, ეკატერინე გიგოს ასულ მაჭავარიანი-აბაშიძისას უხდებოდა მარტო. ბოლშევიკების მიერ დევნას ემატებოდა ოსების მხრიდან რამდენიმეჯერ განხორციელებული თავდასხმა. სოფელი ჭალა, სადაც ტასოს ოჯახი ცხოვრობდა, ოსების საზღვართან ახლოს მდებარეობს. ერთ-ერთი თავდასხმის დროს თანასოფლელ ედიშერ ჩაბრაძის სახლში რომ არ დამალულიყვნენ, მთელ ოჯახს ამოხოცავდნენ. მორიგი შემოსევის დროს უმოწყალოდ სცემეს ტასოს ბებია, ზენათი ჯაფარიძე, რომელიც მიღებული ტრავმების შედეგად გარდაიც–

ეალა.

ტასოს მამის, ალექსანდრე აბაშიძის გარდაცვალების ამბავი ბურუსით არის მოსილი. 1924 წელს იმ მატარებელში, ალექსანდრესთან ერთად იმყოფებოდა მისი ცოლის ძმა, ვალერიან მაჭავარიანი, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ ოჯახს ცოცხალი დაუბრუნდა. მისი მონათხრობიდან ვიცით, რომ ალექსანდრე და ვალერიანი ერთად გაიქცნენ მატარებლიდან და დახვრეტას გადაურჩნენ. შემდეგ ტყეს შეაფარეს თავი და ერთმანეთს დაშორდნენ, რომ ერთ-ერთი მაინც გადარჩენილიყო. ამის შემდეგ ვალერიანმა ალექსანდრეს კვალი დაკარგა და ოჯახისთვისაც არაფერია ცნობილი. მხოლოდ ერთი ამბავი-ლეგენდაა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სახლში დაბრუნებულმა საჩხერის რაიონის ერთ-ერთი სოფლის მკვიდრმა უამბო აბაშიძეების ოჯახს. ამ ისტორიაში არ არის ცნობილი არც ზუსტი ადგილი, არც ზუსტი დრო. ვიცით მხოლოდ ის, რომ სამამულო ომის დროს გერმანელების ბანაკში ტყვედ ჩავარდნილ რუს მეომრებს დასახვრეტად მიერეკებოდნენ. ამ დროს მანქანების კოლონას ჩაუვლია და ერთ-ერთი მანქანა გაჩერებულა. ავტომობილიდან მაღალჩინოსანი „გერმანელი" გადმოსულა. ტყვეებს შორის ქართველებიც იმყოფებოდნენ, მათ შორის საჩხერის რაიონის ერთ-ერთი სოფლის მკვიდრიც. ქართული ლაპარაკი რომ გაუგია, „გერმანელი" მათკენ წამოსულა და ქართულადვე გამოლაპარაკებია ტყვეებს. მეომრის მიერ აღწერილი „გერმანელის" გარეგნობა ზუსტად ემთხვევა ალექსანდრე აბაშიძის გარეგნულ ნიშნებს. ტყვეთა კითხვაზე, თუ ვინ არის თავად იგი, „გერმანელს" ამგვარი პასუხი გაუცია:

„– მე ვარ ოცდაათხ წელს დახვრეტილი ალექსანდრე ნიკოს ძე აბაშიძე საჩხერის სოფელ ჭალიდან. მე თქვენმა მთავრობამ მომკლა. გერმანელებმა კი შემიფარეს და ამის შემდეგ მათ ვემსახურები. ოჯახთან კი ყოველგვარი კავშირი გავწყვიტე, რადგან კარგად ვიცი, რა დღეშიც ჩააგდებენ ჩემს გამო."

მისი ჩინი იმდენად დიდი იყო, რომ მისი ბრძანებით ქართველი ტყვეები გაათავისუფლეს.

ეს ამბავი სახლში დაბრუნებულმა მეომარმა აბაშიძეების ოჯახს უამბო და მადლობაც გადაუხადა. როდესაც ოჯახმა თხოვნით მიაკითხა მეომარს, დაეკონკრეტებინა ადგილი და დრო მომხდარი ფაქტისა, მან ყველაფერი უარყო და ეს ისტორია მეორედ აღარ გაუმეორებია. სავარაუდოა, მაშინ არსებული პოლიტიკური ვითარების გაანალიზების შემდეგ მას შეეშინდა, თავი საფრთხეში არ ჩაეგდო.

მიუხედავად გაუთავებელი დევნისა და რეპრესიებისა, ტასო აბაშიძემ მაინც მიაღწია ცხოვრებაში გარკვეულ სიმაღლეებს.

1947 წელს მუშაობდა საჩხერის რაიკოოპერატივში რევიზორ-ბუღალტრად.

1948–59 წლებში ხე-ტყის დამამზადებელი ქარხნის ბუღალტერია.

1966–1976 წლებში ტასო აბაშიძე თბილისის №1 სანატორიუმში სამეურ-

ნეო ნაწილის გამგედ მუშაობდა.

მიღებული აქვს ჯილდოები და მედალი სამამულო ომის დროს ზურგში თავდაუზოგავი მუშაობისათვის.

მისი შვილები: გია ქამუშაძე, თოლიკო, ავთო, ლია ბოლქვაძეები და შვილიშვილები: ეკა, მაკა ქამუშაძეები, გიორგი ჩხეტიანი, გიგა, ვასილ ფერაძეები, წარმატებულად მოღვაწეობენ საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ.

**აბაშიძე ანდრო ბესარიონის ძე** (19.12.1907, ხონი – 27.1.1976, თბილისი). მშობლები: დედა – **ელისაბედ (იზა) ბესარიონის ასული მოდებაძე**, მამა – **ბესარიონ ივანეს ძე აბაშიძე**, საქართველოს დამსახურებული ექიმი (1964).

ჩრდილოეთის ექსპედიციების მონაწილე.

1931 წელს დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი. 1931–32 წლებში ექიმად მუშაობდა თეთრი ზღვის ექსპედიციაში ყინულმჭრელ „რუსანოვზე“, 1932–35 წლებში – ჩრდილო-აღმოსავლეთის პოლარულ ექსპედიციაში ყინულმჭრელ „ლიტკეზე“.

მონაწილეობდა ჩელუსკინელთა გადამრჩენი ჯგუფის მუშაობაში. არქტიკაში ყოფნის დროს ასრულებდა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების დავალებასაც. შეაგროვა მდიდარი საკოლექციო მასალა.

1934 წლიდან მუშაობდა თბილისის I საავადმყოფოს ენდოკრინოლოგიურ განყოფილებაში. იყო მარნეულის რაიონული საავადმყოფოს მთავარი ქირურგი, თბილისის I საავადმყოფოს ბავშვთა ქირურგიული განყოფილების გამგე. მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში. ანდრო აბაშიძე არის სამეცნიერო შრომების ავტორი. მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



**აბაშიძე ასლან იბრაჰიმის ძე**, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, სრულიად საქართველოს დემოკრატიული აღორძინების კავშირის თავმჯდომარე, გენერალ-მაიორი. დაიბადა ბათუმში 1938 წლის 20 ივლისს. მეუღლე – **მაგული გოგიტიძე** (1951–2003), შვილები: **გიორგი** (1976), **დიანა** (1979), შვილიშვილები **გიორგი, რიკარდო**.

დაამთავრა ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი (1984). მუშაობდა კომკავშირულ სამუშაოზე და პარალელურად ბათუმის მუსიკალური სასწავლებლის ინგლისური ენის მასწავლებლად (1962–65 წლებში იყო №44 პროფესიულ-ტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლების დირექტორი (1965–80), ბათუმის საქალაქო კომიტეტის აღმასკომის თავმჯდომარე (1981–84), აჭარის ა/რ საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი, საქართველოს საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის მოადგილე (1984–89), კონცერნ „საქყოფსერვისის“ პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი (1991, 1992–95, 1995–99), პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე (1991, 1992–95), აჭარის ა/რ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე 1991 წლიდან.

ბატონმა ასლან აბაშიძემ და მისმა მეუღლემ მაგული გოგიტიძე-აბაშიძისამ ორი შვილი – გიორგი და დიანა აბაშიძე აღუზარდეს დედაქალაქს. ქალბატონი მაგული მიმდინარე წელს გარდაიცვალა.

**აბაშიძე გიორგი (ზალაქია) პაატას ძე** – მე-17–მე-18 საუკუნე იმერეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე. პირველად იხსენიება 1658–76 წლებში „საფიცრის წიგნში". აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობის დაწყებამდე ბერად იყო აღკვეცილი. დაახლოებით 1684 წელს საერო ცხოვრებას დაუბრუნდა. პოლიტიკური მოსაზრებებით დაუმოყვრდა იმერეთის ძლიერ ფეოდალებს, მთავარსა და სამეფო ოჯახებს. შემდეგ ისარგებლა შინაფეოდალური ომების შედეგად სამეფო ხელისუფლების დასუსტებით და საგვარეულო სამფლობელოების გაფართოებას შეუდგა. ხელთ იგდო თავად ჩხეიძეთა ციხე-ქალაქი შორაპანი, მიითვისა მეფის სახასო მამულები ზემო-იმერეთში, აგიაშვილებს წაართვა ციხისთავობა და ცუცხვათის ციხე. 1701–07 წლებში იმერეთის ფაქტობრივი მმართველი გახდა. სამეფოში ერთგვარი წესრიგი დამყარდა და ოსმალეთსაც შეუწყვიტეს ხარკის მიცემა. აბაშიძე კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობასაც ეწეოდა. მისი განკარგულებითა და „საფასით" გადაიწერა მრავალი ხელნაწერი, შეიმკო და მოიჭედა არაერთი ხატი და ჯვარი. 1700 წელს მისივე სახსრებით შეკეთდა პატრიარქ აბრაამის მონასტერი იერუსალიმში. იმერეთის თავადებს არ მოსწონდათ აბაშიძის გაძლიერება, მიეხმარნენ ოსმალთა მიერ გამეფებულ გიორგი მეექვსეს და აბაშიძეებს საგვარეულო ციხესიმაგრეები წაართვეს. 1711 წელს აბაშიძე ქართლის ჯანიშანს ვახტანგ მეექვსეს შეეკედლა და სიცოცხლის ბოლო წლები თბილისში გაატარა. დაკრძალულია კაცხში, მამა-პაპათა საგვარეულო მონასტერში.

**აბაშიძე გიორგი** – იმერეთის სარდლის ქაიხოსრო პაპუნას ძე წერეთლის სიმამრი. იმერლებს უბიძგებდა რუსეთის ერთგულებისაკენ. ციციანოვის წარდგინებით ებოძა პოლკოვნიკობა და 700 მანეთი პენსია წელიწადში. ამის შემდეგ მალე გარდაიცვალა, დარჩა ქვრივი რვა ქალითა და სამი ვაჟით.

1810 წლის აპრილში მისი ქვრივი (ანა ამილახორის ასული) სთხოვს ტორმასოვს დახმარებას, იგი აცხადებს, რომ გაათხოვა შვიდი ასული და სიღარიბეში ჩავარდა.

აბაშიძე გიორგის ხელით იულონ ბატონიშვილმა გაუგზავნა წერილი ციციანოვს. ციციანოვი იხმარდა მას იმერეთის საქმეებში („აქტები". *II, 165*).



**აბაშიძე გიორგი ასლანის ძე** დაიბადა 1976 წლის 1 ოქტომბერს ქ. ბათუმში, ცნობილი ქართველი პოლიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, დიდი მამულიშვილის **მემედ აბაშიძის** შვილიშვილის, **ასლან აბაშიძის** ოჯახში.

დედა (აწ გარდაცვლილი) **მაგული გოგიტიძე-აბაშიძისა**, ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, მეცენატი – იყო „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" აჭარის

რეგიონალური ორგანიზაციის, აჭარის კულტურის ფონდისა და აფხაზეთიდან იძულებითი გადაადგილებულ პირთა საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე.
სწავლობდა ბათუმის №1 და თბილისის №53-ე საშუალო სკოლებში.
1992–1997 წ.წ. სწავლა განაგრძო ინგლისში, კემბრიჯის წმინდა ანდრიას სახელობის კოლეჯში. სადაც დაეუფლა ბიზნესისა და ეკონომიკის სპეციალობას. აქვს იურიდიული განათლება.
სწავლის დამთავრების შემდეგ გახდა ქართულ-გერმანული ევროპული ტიპის ერთიბლივი საწარმოო ფირმის „აღორძინება-მ"-ის გენერალური დირექტორი.
1998 წლიდან ხელმძღვანელობს „დემოკრატიული აღორძინების" ახალგაზრდულ კავშირს.
იმავე წელს იგი არჩეულ იქნა ბათუმის საკრებულოს წევრად, ხოლო 2001 წლის სექტემბერში საკრებულომ ერთხმად აირჩია ბათუმის მერად.
2000 წლიდან გიორგი აბაშიძე წარმოადგენს ქ. ბათუმს ევროსაბჭოს ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების კონგრესში.
მერის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში განახორციელა ქალაქის აღმშენებლობის, კეთილმოწყობისა და საქალაქო მეურნეობის განვითარების ფართომასშტაბიანი ღონისძიებები.
გიორგი აბაშიძე ფლობს ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ და ბერძნულ ენებს. არის საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, მეცენატი.
ჰყავს მეუღლე – **სალომე ბაჯელიძე**, სტუდენტი.

**აბაშიძე გიორგი (ტგიჟე ჩალაქია)** (1658) 1663–1677. 1701. ჰყავს შვილები **ფინეზ** (1658), **პაატა** (1663), ასულები: ალექსანდრე მეფის თანამეცხედრე **დედოფალი თამარ**, სვიმონ მეფის თანამეცხედრე **დედოფალი ანა** (1698–1701).
უწყალობა ქაიხოსრო წერეთელს **მამუკა** და **ნასყიდა წირქაძეები** (1700). მას უწყალობა: დემეტრე მეფემ ხუნევს ექვსი კომლი კაცი ცოლ-შვილითა და მამულით (1663), ბაგრატ მეფემ ოცი კომლი ვეტყვილას, ხუნევს, ლაშეს და ლუდახას.
მისი გარიგებით, ხოსია ჯაფარიძემ პირობა დაუდო კაცხის ეკლესიას, საცილობელ მიწაზე უდაობის შესახებ. მათი საქმე გაარჩიეს ჯერ როსტომ და ალექსანდრე მეფეებმა, შემდეგ – შაჰნავაზმა. აბაშიძეები შერიგდნენ. მან პაატას სისხლში გადაუხადა ჩხერის ციხე, გოგიჩაშვილი, ივანა ნიჟუაძე, უბისას – დათუ აბლუაშვილი მამულით, თევდორე შვილითა და მამულით, ნასყიდა კაპანაძე, ზაქუტა მაქაძე, ილემს – მამუკა გიორგაძე.
გარდა ამისა, თავისი თავი, შვილი და მამული პაატას განკარგულებაში გამოაცხადა (1658–1676), მოწმე სვიმონ მეფის მიერ მამია გურიელისათვის მიცემული საფიცრის წიგნისა (1698–1701).



**აბაშიძე გივი (გიგუშა) ვარლამის ძე**, დაიბადა 1928 წლის 9 სექტემბერს საჩხერის რაიონის არგვეთის თემში, ზოსლეველი თავადის ალოზ აბაშიძის ოჯახში. მამა ვარლამ ალოზის ძე აბაშიძე გახლდათ საგზაო ინჟინერი, დედა, ლუბა ნარიმანის ასული აბაშიძე – დიასახლისი, ექესი შვილის მშობელი. გივი იყო მეექვსე შვილი. ოჯახი გაკულაკების შემდეგ საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა. გაკულაკებას შეეწირა ბაბუა ალოზი, თუმცა გლეხები მას პატივისცემით ეპყრობოდნენ და ჩამორთმეული ხოდაბუნებისა და ვენახების გასაღებები მას ჩააბარეს. 1935 წელს შევიდა თბილისის 77-ე სკოლაში, რომლის სრული კურსი იმავე სკოლაშივე დაამთავრა.

დააპატიმრეს უფროსი ძმა, შემდეგ – მამა, ოჯახური სიდუხჭირის გამო შრომით საქმიანობას იწყებს 16 წლის ასაკიდან. მეუღლისა და შვილის დაპატიმრებას გადაჰყვა ბებია (ადათი მარჯანიშვილი). მთელი ოჯახის სიმძიმე დააწვა 16-18 წლის გივის. მან დაიწყო მუშად მუშაობა №3 ლუდის ქარხანაში. გაიარა ყველა საფეხური: იყო მუშა, ექსპედიტორი, მზა ნაწარმის საამქროს უფროსი, ქარხნის ადმინისტრაციის რეკომენდაციით მოეწყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე დამთავრებამდე იყო №3 ლუდის ქარხნის დირექტორის მოადგილე მშენებლობის დარგში (კერძოდ, ლუდის ბარი „შატილი"), შემდგომ „თბილლუდის" გენერალური დირექტორი, №1 ლუდის ქარხნის დირექტორი, თბილისის არყის ქარხნის ტექნოლოგი, გურჯაანის ღვინო-მჟავა ნედლეულის ქარხნის დირექტორი, მარნეულის საკონსერვო ქარხნის დირექტორი და ბოლოს, გარდაცვალებამდე, „თბილპურის" სასწავლო-საწარმოო კომბინატის დირექტორი. იყო კომპარტიის წევრი 1961 წლიდან. მიღებული ჰქონდა მრავალი მადლობა და საპატიო სიგელი. 1985 წელს დაჯილდოვდა მედლით „შრომის ვეტერანი". ჰყავს ორი შვილი: **მარინა**, რომელიც პროფესიით პედიატრია და **ნინო**, რომელიც 22 წლის ასაკში იყო ასპირანტი პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტისა სპეციალობით „სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა". ქალიშვილის გარდაცვალების შემდეგ (1988 წ.) გიგუშა აბაშიძე გულით დაავადდა და 1990 წლის 5 ოქტომბერს გარდაიცვალა მიოკარდის ინფარქტით. მეუღლე **ლამარა თოფურია-აბაშიძისა**, 2002 წ. 7 ოქტომბერი)



**აბაშიძე გრიგოლ გრიგოლის ძე** (დაბ. 19.08.1914, სოფ. ზედა რგანი, ჭიათურის რ-ნი).

ქართველი პოეტი და პროზაიკოსი.

დაამთავრა თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტი (1936), იყო ჟურნალ „ნიანგის, „დროშისა" და „მნათობის" რედაქტორი.

1967 წლიდან საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანია, ხოლო 1973 წლიდან – თავმჯდომარე.

1970 წლიდან სსრკ მწერალთა კავშირის სამდივნოს წევრია. პირველი კრებული გამოსცა 1938 წელს. ავტორია ისტორიული რომანებისა „ლაშარელა“ და „დიდი ღამე“.

თარგმნა ა. მიცკევიჩის, პ. ნერუდას, შ. პეტეფის, ხ. ბოტევის, ი. ვაზოვისა და სხვათა ლექსები.

**აბაშიძე გრიგოლ დავითის ძე** (დაბ. 1866 წ., სოფ. დილიკაური, ზესტაფონის რ-ნი – 1903 წ., პეტერბურგი). ქართველი პოეტი.

სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა მე-19 საუკუნის 80-იან წლებში.

თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, მონაწილეობდა თეატრალურ წარმოდგენებში, სალიტერატურო საღამოებში.

მისი პოეზია ქართველ სამოციანელთა ლიტერატურულ ტრადიციებს მისდევდა. თარგმნიდა ი. ლერმონტოვს, ფ. კოპეს, ე. არნოლდის.

პოეტის ლექსებზე შექმნილი პოპულარული სიმღერები შედიოდა დები იშხნელებისა და ვანო სარაჯიშვილის რეპერტუარებში.

**აბაშიძე გრიგოლ ლევანის ძე**, დაიბადა 1881 წლის თელავის რაიონის სოფელ ზემო ალვანში. საშუალო სკოლა დაამთავრა ნოვოროსიისკში. 1914 წელს წარჩინებით დაამთავრა იმპერატორ ნიკოლოზ I-ს სახელობის პეტერბურგის უნივერსიტეტი (მექანიკური განყოფილება). 1914–1937 წლებში საქართველოს ქალაქების კეთილმოწყობის სამშენებლო ტექნოლოგიურ ინჟინრად მუშაობდა. ოთხი წლის განმავლობაში იყო წითელი არმიის სამხედრო-საინჟინრო განყოფილების რაიონული ინჟინერი. 1916 წლიდან ახორციელებს პედაგოგიურ მოღვაწეობას საშუალო და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ფიზიკისა და გეოდეზიის კურსის წაკითხვით. 1930–1938 წლებში იყო თბილისის სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტის გეოდეზიის კათედრის დოცენტი, პარალელურად, გეოდეზიის კათედრის გამგე. 1933 წელს დაიწყო მუშაობა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში გეოდეზიის ფაკულტეტის კათედრის გამგედ, სადაც მუშაობდა სიცოცხლის ბოლომდე. დამთავრებული ჰქონდა მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტის კურსი. გრიგოლ აბაშიძე აწარმოებდა გეოდეზიურ გადაღებებს, ადგენდა ნახაზებს მიჩურინის საცდელი გამოკვლევებისათვის. ჰქონდა მრავალი სამეცნიერო შრომა, დაწერილი აქვს წიგნები გეოდეზიის კურსით. სატყეო-ტექნიკურ ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში იყო სამეცნიერო მივლინებებში საკვლევ ინსტიტუტებში და პულკოვის ობსერვატორიაში, რის შემდეგაც აღნიშნული ინსტიტუტის საბჭომ, დისერტაციის დაცვის გარეშე მიანიჭა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. პერიოდულად იღებდა მონაწილეობას თბილისის გეოდეზიური გადაღებების კომისიებში, როგორც სპეციალისტ-კონსულტანტი. კითხულობდა ლექციებს მეშახტეებისთვის. გრიგოლ აბაშიძე გარდაიცვალა 1963 წელს. ჰყავდა მეუღლე – ნინა თეოდორეს ასული დეკანოზიშვილი და ვაჟიშვილი

– **ლევანი,** რომელიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მარიუპოლში და დაიღუპა მეორე მსოფლიო ომის დროს.



**აბაშიძე გურამ სერგოს ძე,** დაიბადა 1936 წლის 20 აპრილს ჭიათურაში. 1953 წელს დაამთავრა თბილისის ყოფილი მე–7 ვაჟთა სკოლა (ახლანდელი 53–ე სკოლა) ოქროს მედალზე, ხოლო 1959 წელს – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიურ–ტექნოლოგიური ფაკულტეტი. 1961–65 წლებში სწავლობდა ყოფილი საბჭოთა კავშირის მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემიის ასპირანტურაში (მოსკოვი). იქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია (1966). უკანასკნელი ოცდაათი წლის მანძილზე მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამთო მექანიკის (ამჟამად სამთო) ინსტიტუტში სექტორის ხელმძღვანელის თანამდებობაზე.

გ. აბაშიძის სამეცნიერო მოღვაწეობის სფეროა მიწისქვეშა მშენებლობასთან დაკავშირებული პრობლემები (ნაგებობების კოროზიისაგან დაცვა, მათი უსაფრთხო ექსპლოატაცია და ა.შ.) და მასალათამცოდნეობა (კომპოზიციური მასალების შექმნა, მათი ყოველმხრივი კვლევა და გამოყენება). არის ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1993), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი, კითხულობს ლექციების კურსს სხვა სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებშიც.

გამოქვეყნებული აქვს 11 სამეცნიერო ნაშრომი. არის ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი ორი სპეციალიზებული საბჭოს წევრი.

გ. აბაშიძის მამა – **სერგო სილოვანის ძე** პროფესიით ეკონომისტი, დაბადებული 1904 წელს, გარდაიცვალა 1988 წელს. დედა – **თამარ მიხეილის ასული მაჭავარიანი,** დაბადებული 1916 წელს, გარდაიცვალა 1960 წელს.

ჰყავს მეუღლე – **ზეინაბ გიორგის ასული გიორგაძე,** რომელიც მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში უფროს რედაქტორად და შვილი – **არჩილი,** დაბადებული 1977 წელს, უცოლო, რომელიც ამჟამად სწავლობს პოლიტოლოგიას მაგისტრატურაში (გერმანია)

**აბაშიძე დავით ლუარსაბის ძე** – „ნადეორნი სოვეტნიკი", დაბ. 1744 წელს. ცოლად ჰყავდა **სალომე** მუხრან ბატონის ასული. ამათი ქალი თამარ იყო ცოლი მირმანოზ ერისთავისა და დედა ცნობილი **მანანა ორბელიანისა** (თამარ აბაშიძე–ერისთავი გარდაიცვალა 1809 წ. 15.03–ს 19 წლისა).

1761 წლიდან იყო ერეკლეს ქეშიკჩიბიში, იგივე თანამდებობა ეკავა გიორგი მეფის დროსაც. 1805 წლის 25 ივნისიდან სახაზინო ექსპედიციის სოვეტნიკი. 1808 წლის 8 მაისიდან – „სოვეტნიკი უგალოენი ექსპედიციისა".

მეფეებთან სამსახურის სამაგიეროდ ებოძა „ნადეორნი სოვეტნიკობა" და 2000 მანეთი პენსია.

**აბაშიძე დავით** – მე-18 საუკუნის მე-2 ნახევრის იმერეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე.

ხელმძღვანელობდა სოლომონ I-ის წინააღმდეგ მოწყობილ თავადთა შეთქმულებას. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ სოლომონმა სახლთუხუცესობიდან გადააყენა, ყმა-მამული ჩამოართვა და იმერეთიდან გააძევა. დავით აბაშიძემ ახალციხის საფაშოს შეაფარა თავი.



**აბაშიძე დიანა ასლანის ასული** დაიბადა 1970 წლის 25 ივლისს ქ. ბათუმში.

დიანა აბაშიძემ 1987 წელს დაამთავრა ბათუმის №6 საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში დასავლეთ ევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1992 წელს.

პარალელურად, 1990 წელს წარმატებით დაამთავრა ESL სტუდენტებისათვის სასაუბრო ენის კურსი (ESL 123) კალიფორნიის შტატის ქ. ლოს-ალტოსის ფუთჰილის კოლეჯში „Foothili Colege.“

2002 წლის 11 სექტემბერს, აჭარის ა/რ ჩოგბურთის ფედერაციის პირველ ყრილობაზე არჩეულ იქნა ა/რ ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტად.

არის ქართულ-იტალიური კულტურული ურთიერთობის ცენტრის – „ბათუმი – ფლორენცია“ გამგეობის თავმჯდომარე.

ფლობს ქართულ, რუსულ, ინგლისურ, იტალიურ ენებს.

ეწევა მთარგმნელობით საქმიანობას.

ინგლისურად თარგმნა და გამოსაცემად გამზადებული აქვს რობერტ ლ. ჯერმენის მიერ შედგენილი სამტომეული „დოკუმენტაცია ბრიტანეთის არქივებში აჭარის შესახებ“ („აჭარა ოსმალეთის იმპერიაში, 1830–1878“, „აჭარა რუსეთის იმპერიაში, 1878–1915“, „აჭარა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, 1918–1939“).

ამჟამად ქართულიდან ინგლისურ ენაზე თარგმნის მერაბ ვაჩნაძისა და ვახტანგ გურულის მიერ შედგენილ საქართველოს ისტორიის IX–X–XI კლასების სახელმძღვანელოებს.

დიანა აბაშიძე სულ ახლახან მკითხველის წინაშე წარსდგა, როგორც ნიჭიერი შემოქმედი. ამის დასტურია ქართულ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული მისი ლექსები და ჩანახატები.

დიანა აბაშიძის ჰობი ქველმოქმედებაა.

ამ ამაღლებული სულიერი მოწოდების კარნახით არაერთი საქველმოქმედო აქციის ორგანიზატორი და მონაწილეა.

უშუალოდ დიანა აბაშიძის ინიციატივით და ქველმოქმედებით გამოიცა ჟურნალი „მონატრება“, რომელიც დაბადების დღის აღსანიშნავად მიეძღვნა გამოჩენილ ქართველ საზოგადო მოღვაწეს – მაგული გოგიტიძე-აბაშიძეს.

ჰყავს მეუღლე მარკო კანესტრარი და ორი ვაჟიშვილი – გიორგი და რიკარდო.

გიორგი ბათუმის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლე, დაბადებულია 1992 წელს. რიკარდო კანესტრარი – დაიბადა 1999 წელს.

**აბაშიძე დიმიტრი ალექსანდრეს ძე** (დაბ. 9.10. 1893, თბილისი).

ქართველი რეჟისორი. საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ქართული სამეცნიერო-პოპულარული კინემატოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

1925 წლიდან მუშაობდა საქართველოს კინოსტუდიაში. მისი ფილმებიდან აღსანიშნავია: „სილოსი", „განწყობის როლი ცხოველთა ინდივიდუალურ ქცევაში", „ერთი ცდის ამბავი" (1959, დიპლომი მინსკის საკავშირო კინოფესტივალზე; (1960), საპატიო დიპლომი, ვარშავის სამეცნიერო კინოს საერთაშორისო ასოციაციის მე-16 კონგრესი, 1962), „იერიში ღრუბლებზე", „დაბრუნება ბგერათა სამყაროში" (1965, დიპლომი, კიევის საკავშირო კინოფესტივალი, 1966) და სხვა.



**აბაშიძე დავით (დოდო) ივანეს ძე** (დაბ. 1.05. 1924, თბილისი), საქართველოს სახალხო არტისტი (1967). დაამთავრა რუსთაველის სახ. თეატრალური ინსტიტუტი (1949) და ჩაირიცხა რუსთაველის თეატრის დასში. განასახიერა გოდუნის (ლავრენიევის „რღვევა"), გიორგის (ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი"), როლერის (შილერის „ყაჩაღები") და სხვა როლები. 1956 წლიდან მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში". შექმნა ბიჭიკოს („ჭრიჭინა"), აბდუშაპილის („ბაში-აჩუკი"), დღეირას („თეთრი ქარავანი"), ალუდას („ხევსურული ბალადა"), ომარის („მაცი ხვიტია"), სოსანას („დიდი მწვანე ველი"), ალექსანდრეს („სინათლე ჩვენს ფანჯრებში"), ნიკოს („როცა აყვავდა ნუში"), მამამზე ერისთავის („დიდოსტატის მარჯვენა") და სხვა სახეები. მიენიჭა პრემია მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის-მინსკის კინოფესტივალი, 1970 წ.).

**აბაშიძე დავით ილიას ძე** (დაბ. 1946, 17.07, ქობულეთი). მშობლები: **აიშე გოგიტიძე, ილია აბაშიძე**, მეუღლე – **დარეჯან გურულიძე-აბაშიძისა**. შვილები – **ზური, ზაური**. დაამთავრა სპი-ს სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის ფაკულტეტი (1972). იყო აჭარკოოპმშენის საქმეთა მწარმოებელი (1970–72), ხელვაჩაურის რაიაღმასკომის კაპ. მშენებლობის განყოფილების უფროსი (1973–75), საქართველოს მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს დასავლეთ საქართველოს სამშენებლო სამმართველოს უფროსი (1975–85), ტრესტ „კოლხიდმშენის" მე-6 სამმართველოს მთავარი ინჟინერი (1985–88), ბათუმის გემთსაშენი ქარხნის კომერციული დირექტორი (1988–2000), ქალაქ ბათუმის ვიცე-მერი, ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელი. დაჯილდოებულია აჭარის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით (1997). არის სრულიად

საქართველოს დემოკრატიული აღორძინების კავშირის წევრი.



**აბაშიძე დავით ლევანის ძე**, დაიბადა 1884 წელს თელავის რაიონის სოფელ ზემო ალვანში **ლევან გრიგოლის ძე აბაშიძის** ოჯახში. საშუალო განათლება მიიღო თელავის გიმნაზიაში, რომელიც 1899 წელს დაამთავრა. შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის მიწათმზომელთა სასწავლებელში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1903 წელს და მიიღო მიწათმზომლის წოდება.

1903 წლიდან 1905 წლამდე მუშაობდა თბილისის მაზრაში გარე კახეთის სოფლებში მიწის მზომელის თანამდებობაზე.

უმაღლესი განათლების მიღების მიზნით, აღნიშნულ სამმართველოს თავი დაანება და 1906 წელს გიმნაზიაში მიღებული სიმწიფის ატესტატით შევიდა იმპერატორ ნიკოლოზ I-ს სახელობის პეტროგრადის უნივერსიტეტის ბუნებისმეტყველების ფაკულტეტზე მათემატიკური განხრით, რომელიც 1913 წელს დაამთავრა.

1910–1914 წლებში მუშაობდა პეტროგრადში „ცარსკოე სელოში" ჯერ პეტერგოფის მიწათმომწყობად, შემდეგ კი ლენინგრადის ოლქის მიწათმომწყობთა ხელმძღვანელად.

1914–1917 წლებში მუშაობდა სვერდლოვსკის ოლქში (ლუგის) მიწათმომწყობად. 1918 წელს დაბრუნდა საქართველოში.

1921–1926 წლებში მუშაობდა თელავის რაიონის აღმასკომში რაიონის მიწათმომწყობად.

დავით აბაშიძის პროექტით არის გაშენებული სოფლები ზემო და ქვემო ალვანი.

1927 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა თბილისში. მუშაობდა საქართველოს მინსახკომში დასავლეთ საქართველოს მიწათმოწყობის ხელმძღვანელად. მონაწილეობდა კოლხეთის დაბლობის ათვისებაში *(მის შესახებ წერს კ. პაუსტოვსკი თავის ნაწარმოებში 1967. I ტ.).*

დავით აბაშიძე გარდაიცვალა 1944 წლის 5 აპრილს თბილისში. ჰყავდა მეუღლე ნინა სიმონის ასული სირაძენკო და ქალიშვილი **ელენა აბაშიძე**, რომელიც ამჟამად ისრაელში ცხოვრობს.

**აბაშიძე დალი ნიკოლოზის ასული** (დაბ. 1946 წლის 9 ნოემბერს, სოფ. კონდოლში, თელავის რ-ნი).

მშობლები: **თამარ აბაშიძე, ნიკოლოზ აბაშიძე**. დაამთავრა თბილისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი (1968).

იყო კომკავშირის თელავის რაიკომის II და I მდივანი (1970–76), თელავის რაიონის გამგებლის მოადგილე (1992–94), კახეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატის სამსახურის უფროსი (1994–95). საქართველოს პარლამენტის წევრი. საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარის

პირველი მოადგილე (1995–99 წ.წ.). არის საქართველოს პარლამენტის წევრი (1999–2003).

**აბაშიძე დარეჯან სოლომონ I–ის ასული** (1756–1827). ქაიხოსრო აბაშიძის მეუღლე, სოლომონ I–ის ასული და ივანე აბაშიძის დედა. მისი საშუალებით მე–19 საუკუნის პირველ ხანებში წარმოებდა ქართლ–კახეთის ორივე დედოფლისა (დარეჯანისა და მარიამის) და დავით ბატონიშვილების წერილების გადაცემა იმერეთში.

იმერეთის აჯანყების დროს (1819–20) მეფის მთავრობამ დარეჯანი შეიპყრო და თავისი მცირეწლოვანი შვილით, გაქცეული ივანეს ვაჟით გიორგით გადაასახლა რუსეთს, ჯერ ქ. პენზას, შემდეგ მოსკოვში (*„1810 წ. 16 ნოემბერს მოიყვანეს თბილისს, დეკემბრის 19–ს გაისტუმრეს ვორონით“–ს. ა–1580. 100 ვ. აღწ. V. გვ. 111*). გარდაიცვალა მოსკოვს 1827 წლის 25 იანვარს. დასაფლავებულია იონას სახელობის ეკლესიაში.

აკაკი წერეთლის სიტყვებით, სოლომონ I–ის ქალს დარეჯან ბატონიშვილს უწერია ლექსები, მაგალითად, ძილისპირები და საგალობლები ლექსად. ჩვენამდე მოსულა მისი „ანბანთქება“ და „ღვთისმშობლის შესხმა“. მასვე მიაწერენ მრისხანე სატირას თეოფილაქტეზე „გახსენება“ (*„კვალი“, № 14*).

მოსკოვს, პოკროვის მონასტერში, ძირის საყდარში იონა მიტროპოლიტისა და პანფუტი არქიეპისკოპოსის საფლავეთა მახლობლად, არის დარეჯანის საფლავი. ტარას ალექსი–მესხიშვილის გადმონაწერით იკითხეის:

**„სახსოვარსა ამას ქვეშე განისვენებს მტვერი ასულისა იმერეთისა მეფისა სოლომონ დიდისა, საქართველოს თავადისა ქაიხოსრო აბაშიძის მეუღლისა დარიასი ჩღნვ–სა წელსა შობილისა. ჩყკზ–სა წელსა იანვრის კდ–სა დღესა აღსრულებულისა რაყლნ აღმომკითხველმან ძეგლწერილისა ამის შევედროს უფალსა მისა მიტევებისათვის განსვენებულისა ყ–თა შეცოდებათა მისთა“.**

მ. ბროსეს სიტყვით, „**დარია სოლომონის ასული, ასული სოლომონ დიდისა, დაიბ. 1756, მეუღლე ქაიხოსრო აბაშიძისა, ქართლის (სიც) თავადისა, გარდ. 24 იანვარს 1827. საფლავი იმყოფება მოსკოვს, „პოკროვის“ ღვთისმშობლის საფარველის მონასტერში.**“



**აბაშიძე დევი კონსტანტინეს ძე,** დაიბადა 1924 წლის პირველ მაისს ხარაგაულის რაიონის სოფელ ისლარში. მატერიალურად ღარიბ ოჯახში. სწავლობდა ჯერ ხარაგაულში, შემდეგ თბილისში, მერე კი, როდესაც მამა ლეიბა ბრონშტეინთან (ჰუონია ტინოცკი) „მეგობრობისათვის“ 1937 წელს სიკვდილით დასაჯეს, მთელი ოჯახი სოფელში გადასახლდა.

დევი და მისი უფროსი ძმა სკოლიდან გარიცხეს, როგორც საზოგადოებისთვის საშიში ელემენტები.

კარგა ხნის მერე დიდმა ბელადმა ბრძანა, შვილები მამის დანაშაულზე პასუხს

არ აგებენო და შვილები შორეულ სოფლის სკოლაში გაამწესეს.

დევი აბაშიძემ 1941 წელს ფრიადზე დაამთავრა ხარაგაულის საშუალო სკოლა და უგამოცდოდ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში. დაიწყო ომი.

მისი კურსელების უმეტესობა ფრონტზე გაიწვიეს, დევი კი შემთხვევით გასროლილმა ტყვიამ მძიმედ დაჭრა, როცა სასწავლებრივად სიკვდილს ხელიდან დაუსხლტა. თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტზე შევიდა. სტუდენტობისას იყო მარჯანიშვილის სახელობის სტიპენდიანტი. სადიპლომო სპექტაკლი დადგა ქუთაისის სახელმწიფო თეატრში, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი ცნობილი რეჟისორი ვასილ ყუშიტაშვილი იყო. სახელმწიფო კომისიამ სპექტაკლს უმაღლესი შეფასება მისცა და დ. აბაშიძეც იქვე დატოვეს სამუშაოდ, ისე კი განაწილებული იყო ინსტიტუტში სამუშაოდ. მან ქუთაისში ათამდე პიესა დადგა, მათ შორის, როგორც თანამედროვე ქართული, ისე კლასიკური და უცხოური რეპერტუარიდან. 1956 წლიდან მუშაობს კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ დამდგმელ რეჟისორად (უმაღლესი კატეგორია).

არის უამრავი სცენარის ავტორი. დადგმული აქვს მრავალი ფილმი. მათ შორის, საკმაოდ გახმაურებული „დიდოსტატის მარჯვენა“ (ვახტანგ ტაბლიაშვილთან ერთად), „ყვარყვარე“, „გამოაღეთ ფანჯრები“, „ომი ყველასათვის ომია“, „ყველა კომეტა როდი ქრება“, „წითელი პატეფონი“ და სხვა.

არის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. მიღებული აქვს მრავალი ჯილდო, ორდენი, მედალი (მათ შორის ღირსების ორდენი).

ბატონი დევი ბედნიერად თვლის თავს, იმის გამო, რომ მან იმუშავა ისეთ სახელგანთქმულ ადამიანებთან, მწერლებთან, მხატვრებთან, კომპოზიტორებთან, მსახიობებთან, როგორიც იყვნენ: კონსტანტინე გამსახურდია, პოლიკარპე კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, დიმიტრი თაყაიშვილი, არჩილ კერესელიძე, რეზო ლაღიძე, ჯანსუღ კახიძე, ერიკო ანჯაფარიძე, სესილია თაყაიშვილი, დუდუხანა წეროძე, ლია ელიავა, აკაკი ვასაძე, ვასო გოძიაშვილი, ეროსი მანჯგალაძე, დოდო აბაშიძე და სხვები.

დევი აბაშიძეს ფილმები გადაღებული აქვს საზღვარგარეთაც. ჰქონდა უამრავი მიწვევა, მათ შორის ყველაზე დასამახსოვრებელია „გოლგოთა“ და „ქრისტეს სამლავი“.

ჰყავს ვაჟიშვილი მეუღლითა და სამი შვილიშვილით.

შვილი ინჟინერ-მშენებელია. უფროსი ვაჟი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, 1992 წელს დაიღუპა, მისგან დარჩა ორი შვილი. დევი აბაშიძე ხუთი შვილიშვილის ბაბუაა. მათგან სამი სტუდენტია.

ბატონმა დევიმ თავის ბიოგრაფიას ასეთი მინაწერი მოაყოლა:

„არა ვარ, არც ვყოფილვარ და ვერც ვიქნები რომელიმე პარტიის წევრი,

რადგან სხვისი ნაბოდვარი „იდეების“ მორჩილება არ შემიძლია.
ღვთის მადლით, ჯერ თავს მხნეთ ვგრძნობ; გაგრძელებ დროსთან ჭიდილს.
ვეღოდები უკეთეს მომავალს. დ. აბაშიძე 2002 წ., თბილისი.“

აბაშიძე დუდა სერგოს ასული, დაიბადა 1938 წელს თბილისში, მოსამსახურის ოჯახში.

მამა – სერგო აბაშიძე ეკონომისტია, ხოლო დედა – თამარ მაჭავარიანი, დიასახლისი.

დუდა აბაშიძემ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიის ფაკულტეტი 1964 წელს. მუშაობა დაიწყო 1967 წელს ბავშვთა მე-17 პოლიკლინიკაში, შემდგომში პოლიკლინიკა გადაკეთდა ვაკის რაიონის სამკურნალო-პროფილაქტიკურ №1 ცენტრად.

ამჟამად დუდა ამ ცენტრში მუშაობს ექიმ-პედიატრის თანამდებობაზე აღნიშნულ ცენტრში მუშაობს 38 წელია. მიღებული აქვს მთავრობის სხვადასხვა ჯილდოები

ჰყავს მეუღლე, გოგი ნიქაბაძე, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი და შვილები: ირაკლი, რომელიც პროფესიით ექიმია და თამარი, ინჟინერ-ტექნოლოგი.

**აბაშიძე ევგენი (გეგენა)** – ხევსინისხევის ბატონი. უარყოფითად ეკიდებოდა რუსეთის ჯარის შემოსვლას.

ს. ბეკამიდან მიწერ-მოწერას მართავდა (1830 წ.) იმერეთში გაქცეულ ბატონიშვილებსა და ლეკის ჯარის მეთაურებთან.

მასთან ცხოვრობს მისი ქალი, ომარ ხან ავარიელის ქვრივი, რომელსაც ემსახურება ორი ლეკი.

**აბაშიძე ელენე ევგენის ასული** – ჯავარ ხანუმი. როდესაც 1783 წ. ომარ ხან ავარიელი თავს დაესხა ევგენი (გეგენა) აბაშიძის ვახანის ციხეს, ევგენი აბაშიძის ორი ქალი ტყვედ წაიყვანა. ერთი – მაია შეირთო თვით ომარ ხანმა, მეორე – ელენე მიათხოვა თავის სიძეს, იბრაჰიმ ხანს – ყარაბაღის (შუშის) ხანს.

ჯავარ ხანუმმა ციციანოვის წინადადებით ურჩია თავის ქმარს, იბრაჰიმ ხანს რუსეთის მფარველობა მიეღო.

იბრაჰიმ ხან ყარაბაღელი მოკლეს შუშის ციხის აღების დროს.

– მასთან ერთად მოკლეს მისი და აბაშიძე ელენეს – ჯავარ ხანუმის შვილი, 11 წლის აბასყული.

1807 წ. აბაშიძე ჰპირდება იმპერატორს, რომ თავისი ქალი გოუხარ ნისასთან (ჯაფარ ყული ხან-შექელის ცოლთან) ერთად პეტერბურგს ჩავიდოდა და ქრისტიანობას მიიღებდა, თუ ის იხსნიდა მას და მის ქალს უცხო ხალხისგან“.

ჯავარ ხანუმი ცხოვრობდა შუშაში.

როგორც ხანის ქვრივი, იგი ინარჩუნებდა ხანის შესაფერ დიდებას. იყო მაჰმადიანი, მაგრამ ბოლომდე გულგრილად ვერ ისმენდა ეკლესიის ზარის ხმას, მხლებლების დიდი ამალით იყო თბილისში, ვორონცოვის მეუღლესთან სტუმრად



**აბაშიძე ელენე** – დაიბადა ქ. ჭიათურაში, 1922 წლის 18 მარტს საშუალო სკოლა დაამთავრა ოქროს მედალზე. უნივერსიტეტი დაამთავრა 1944 წელს ჰიდროლოგიის სპეციალობით. 1967 წელს დაიცვა დისერტაცია. 1967–86 წლებში მუშაობდა სადოქტორო თემაზე „კარბონატულ ქანებში კარსტის წარმოშობის ჰიდროქიმიური და ჰიდროდინამიური მექანიზმი". ორი საუკუნის მანძილზე კაცობრიობა ცდილობდა, აეხსნა კარსტული პროცესის არსი, ე.ი. კარბონატული ქანების ხსნადობის ხარისხი. დასაწყისში მეცნიერები ფიქრობდნენ, რომ რადგან კარბონატული ქანები ძალიან მცირე რაოდენობით (14 მგ-ლ) იხსნებიან დამდგარ წყალში, ამიტომ შეიძლებოდა მასიურად კარბონატული ქანების წიაღში წყალსაცავებისა და სხვა წყალმეურნეობის ობიექტების აღმშენებლობა. მაგრამ უამრავი შემთხვევაა ცნობილი წყლის ფილტრაციის გამო წყალსაცავების ჩაქცევისა, კატასტროფებისა, ავარიებისა და ა.შ. ამიტომ კვლავ დაისვა საკითხი, გაერკვიათ, რა იწვევდა კარსტული პროცესის გააქტიურებას. ორი საუკუნის მანძილზე არსებობდა ხსნადობის თეორია, რომელიც პირიქით, ამუხრუჭებდა, ზღუდავდა ამ საკითხის შესწავლას. ელენე აბაშიძის დამსახურებად ჩაითვლება ის, რომ მან უარყო არსებული თეორია და მეთოდები და მის მიერ მარტივად დაისვა საკითხი – გადმოიტანა ლაბორატორიაში ის პროცესები, რომლებიც ბუნებაში მიმდინარეობდა კარბონატულ ქანებში. ამ პროცესის ლაბორატორიულ პირობებში მოდელირებით მიიღო კარბონატული ქანის ნაპრალებში მიმდინარე პროცესების მათემატიკური გამოსახულება. როგორც ზემოთ აღინიშნა, მსოფლიოს საერთაშორისო ბიოგრაფიების ინსტიტუტის მონაცემებით, რომელიც ამერიკაშია, ელენე აბაშიძე მეცნიერ ქალთა შორის 1998 წელს „წლის მეცნიერ ქალად" იყო გამოცხადებული.

**ეკატერინე აბაშიძე-წერეთლისა.** იმერეთის აჯანყების (1810) აქტიური მონაწილე. სარდალ **ქაიხოსრო წერეთლის** მეუღლე. აჯანყების დროს სათავეში ედგა „მოდი ნახეს" ციხის გარნიზონს. წინააღმდეგობა შეწყვიტა მხოლოდ მაშინ, როცა სოლომონ მეორემ და მისმა მომხრეებმა საქართველო დატოვეს. 1810 წლის იმერეთის დალაშქრის დროს, უამრავი ჯარი და ტექნიკა შეუსიეს დასავლეთ საქართველოს რუსებმა. მეფეს გარს ეხვია თავისი ერთგული სათავადოები. ყველა ციხე-კოშკი გამაგრებული ჰქონდათ და თავდაუზოგავად იბრძოდნენ ბოლო წუთამდე.

დავით აბაშიძე და სარდალი ქაიხოსრო წერეთელი აგულიანებდნენ და იმედს უნერგავდნენ აჯანყებულებს. წერეთელთა გვარის გაუტეხელ თავშესაფარს „არწივის საბუდარს" ციხე „მოდი ნახეს" სარდლის მეუღლე ეკატერინე აბაშიძე იცავდა. გენერალ ტორმასოვს „მოდი ნახეს" მცველი ქართველი ქალის საოცარი გაუტეხლობა-შეურიგებლობა ასეთ დიდ ძალასთან, რომელმაც მთელი იმერეთი აიღო და მეფეც კი ხელთ ჩაიგდო, მეტად უცნაურ მდგომარეობაში აყენებდა. მას ჯარების მაიორ პრიბილევსკის მეთაურობით

იერიში მიუტანია და არტილერიის ცეცხლი დაუნთია „მოდი ნახეს“ ციხისთვის. სარდალი ქალი არ შემდრკალა, ბრძანება გაუცია და ციხის ზარბაზნებიდან სროლა აუტეხია. თვითონ ეკატერინე ისროდა ერთი ზარბაზნიდანო, წერს ისტორიკოსი პოტტო *(იხ. ტ. II. გვ. 458)*. მაგრამ ამ სროლამ მეტოქეობა ველარ გაუწია რუსულ ახალ ზარბაზნებს. ეკატერინე მაინც არ ფიქრობდა „მოდი ნახეს“ გასაღების ასე ადვილად მტრისთვის გადაცემას. მდგომარეობა თანდათან მწვავდებოდა.

ეკატერინე აბაშიძე-წერეთლის დასამარცხებლად საუკეთესო რაზმები არ დაუზოგავს გაბრაზებულ გენერალს. საბრძოლო ძალასთან ერთად მან გამოიყენა უფრო ეფექტური მომენტი – ღალატი, რომელიც ასე მომგებიანად მუშაობდა მტრის მხარეზე ადრეც და ახლაც. მტერმა ყველაზე მოხერხებულად ქაიხოსრო წერეთლის ბიძის, გავლენიანი ფეოდალის, სახლთუხუცესის ზურაბ წერეთლის ოჯახის წევრები და თვითონ ზურაბიც გამოიყენა. ციხის კარებზე მოციქულები მოციქულებს ცვლიდნენ. მიტროპოლიტი დავით ზურაბის ძე არწმუნებდა ეკატერინეს, რომ ბრძოლის კიდევ გაგრძელებით ისედაც წამხდარ მდგომარეობას კიდევ უფრო გააფუჭებდა და მხოლოდ დამორჩილებით შეიძლება ბევრი რამის შენახვა და გადარჩენაო. სარდლის მეუღლეს, მის პირად სიმხნევეს, მამაცობას ახლა აღარაფრის გამოსწორება აღარ შეეძლო. როცა ეკატერინეს მაიორ პრიბილევსკის უკანასკნელი ულტიმატუმი გადასცეს და თან ახლოვდებოდა საათი საშინელი შეტევისა, სამღვდელოება წარსდგა „მოდი ნახეს“ მამაცი დედოფლის წინ და სთხოვეს, მორიდებოდა უაზრო მსხვერპლს, რომელსაც უამრავი მეომარი შეეწირებოდა და შედეგად მთელი იმ მიდამოს ნაცარტუტად ქცევა და ხანგრძლივი ეკზეკუციები მოჰყვებოდა.

მეფე სოლომონს სარდალი ქაიხოსრო წერეთელი და დავით აბაშიძე ძმებთან ერთად ახლდა. ეკატერინეს ქმრისგან არანაირი ცნობა არ ჰქონდა მიღებული. მარაგშემოლეული, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ჯიუტად არ თმობდა პოზიციას. ამილახვარმა დრო იხელთა, მან ვითომდა მოლაპარაკების მიზნით, როგორც სარდლის მეუღლისა და ოჯახის ახლობელმა და კეთილმოსურნე პირმა, მოახერხა ექვსი იერიშით გალავანში შესვლა, როგორც მოციქულმა. გალავანში შესულმა ამილახვარმა მოულოდნელად ციხის კარი გააღო. ციხის ეზო გაივსო ჩასაფრებული რუსი ოფიცრების ჯგუფებით. ასე დაეცა „მოდი ნახეს“ „არწივის საბუდარი“. ეკატერინეს, ტყვეობაში მყოფს, ყველაზე მეტად ის უკლავდა გულს, რომ ამილახვარის მუხანათობით, ციხის გალავანში არსებულ საბრძოლო მასალებთან ერთად, რუსებმა ხელთ იგდეს იმერეთის სარდლის საამაყო დროშები და მან, სარდლის მამაცმა მეუღლემ, ეს უფრო ძვირად ვერ დაუჯინა მომხედურთ.

*თ. პაპავა. წიგნიდან*
*„დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“.*



**აბაშიძე ვასო (ვასილ) ალექსის ძე** (22.11.1854, დუშეთი – 9.10.1926, თბილისი). ქართველი მსახიობი, ქართული რეალისტური აქტიორული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქ. სსრ პირველი სახალხო არტისტი (1922). სწავლობდა ჯერ თბილისის, მერე ქუთაისის გიმნაზიაში. მასწავლებლობდა ქუთაისში, მუშასა და ყაზახში). გიმნაზიაში სწავლის დროს მონაწილეობდა საოჯახო წარმოდგენებში, შემდეგ ქუთაისის სცენისმოყვარეთა სპექტაკლებში. 1879 წლიდან კი, როცა მუდმივი ქართული თეატრი აღადგინეს, პროფესიონალი მსახიობი გახდა. შექმნა მრავალი კოლორიტული სახე. ეწეოდა რეჟისორულ მოღვაწეობას. დაწერა რამდენიმე პიესა, თარგმნა და გადმოაკეთა მრავალი კომედია, ვოდევილი და ოპერეტა. 1885 წელს დააარსა გაზეთი „თეატრი“ და შეადგინა და გამოსცა პიესათა და საესტრადო მასალათა კრებულები. მის სახელობისაა თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრი.



**აბაშიძე ვახტანგ გრიგოლის ძე.** დაიბადა 1928 წელს ხარაგაულის რაიონის სოფელ ისლარში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის დედამიწის ქერქის დინამიკის განყოფილების გამგე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

1951 წელს დაამთავრა პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი ფიზიკის განხრით, ხოლო შემდეგ ექსტერნად – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გეოფიზიკის სპეციალობით.

1952–58 წლებში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკის ფაკულტეტის გეოფიზიკის კათედრაზე ლაბორანტად, ხოლო 1954 წლიდან – ასისტენტად. 1958 წლიდან მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად (1958–1965), უფროს მეცნიერ თანამშრომლად (1965–69 წ.წ.), ხოლო 1969 წლიდან – დედამიწის ქერქის განყოფილების გამგედ.

1963 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1995 წელს სადოქტორო დისერტაციები. 1994 წელს მიღებული აქვს საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერების დარგში, 2002 წელს მიღებული აქვს აკად. მ. ალექსიძის სახელობის პრემია. 1995 წლიდან არის თბილისში ევროსაბჭოს მიერ დაფუძნებული „მაღლივი კაშხლების გეოდინამიკური რისკის“ ცენტრის დირექტორის მოადგილე.

ვ. აბაშიძის შრომები შეეხება კავკასიის ტერიტორიის გრავიტაციული ველისა და მისი დროში ცვალებადობისა და ენგურჰესის რაიონში დეფორმაციული პროცესების გეოფიზიკური მეთოდებით კვლევებს. ამ კვლევების საფუძველზე მიღებულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული და მეცნიერული ხასიათის დასკვნები, რომელთა დაცვა უზრუნველყოფს ამ უნიკალური ნაგებობის უსაფრთ-

ხო ექსპლუატაცია. მას გამოქვეყნებული აქვს ასზე მეტი სამეცნიერო შრომა. მათ შორის, ორი მონოგრაფია და ორი მეთოდური ხასიათის ნაშრომი უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის.

1988 წლიდან შეთავსებით მუშაობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჯერ დოცენტად, ხოლო 1996 წლიდან – პროფესორად.

გეოფიზიკური მეცნიერების განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის 2000 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ოთხი შვილიშვილი.

შვილები: **ქეთევანი** ქიმიკოსია, მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად.

**ზურაბი** ინჟინერ-გეოფიზიკოსია. მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაერთიანებული პროფკომის თავმჯდომარის მოადგილედ. ამჟამად ჰავაის ამერიკული უნივერსიტეტის თბილისის ფილიალის დირექტორთა საბჭოს წევრია.

**აბაშიძე ვახტანგ იოსების ძე** (1897–1937). რეჟისორი.

დაამთავრა ვ. მჭედლიშვილის დრამატული სტუდია მოსკოვში, იყო თბილისის მუშათა, მარჯანიშვილის სახელობისა და თელავის თეატრების, მაიაკოვსკის მცირე თეატრის ფილიალის – ზესტაფონის საკოლმეურნეო თეატრის რეჟისორი.

დამხმარე რეჟისორად მუშაობდა კ. მარჯანიშვილთან. დადგა ი. მიკიტენკოს „ჩვენი ქვეყნის ქალიშვილები", ე. კორნეიჩუკის „საყვირი", ვ. შკვარკინის „ჭირი", ი. ეაკელის „აპრაკუნე ჭინჭიმელი" და სხვა სპექტაკლები.



**აბაშიძე ვახტანგ ირაკლის ძე**, ჟურნალისტი, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1960 წლის 14 აპრილს. მშობლები: **ნელი ჟორდანია, ირაკლი აბაშიძე**. მეუღლე – **ნატო ხომერიკი**. შვილები: **ირაკლი, ანდრია, ლევანი, ზურაბი**. დაამთავრა თსუ-ს ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. იყო გაზეთ „ზარია ვოსტოკას" კორესპონდენტი, კულტურისა და ხელოვნების განყოფილების გამგე, გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" მთავარი რედაქტორი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მდივანი, დამოუკიდებელი გაზეთის „7 დღის" დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი, „საქინფორმის" დირექტორი, საქართველოს პრეზიდენტის პრეს-სამსახურის უფროსი, სახელმწიფო საინფორმაციო-საგამომცემლო კორპორაციის თავმჯდომარე, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი.

**აბაშიძე ვახტანგ ხასანის ძე**, საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა სოფ. ურეხში (ბათუმის რაიონი), 1941 წლის 5 იანვარს. მშობლები: **ემინე**

**ზაქარაძე–აბაშიძე, ხასან აბაშიძე**. მეუღლე **ჟბიან ნაკაშიძე**. შვილები: **მარინე, დარეჯანი, ელგუჯა, ლეილა**. დაამთავრა მოსკოვის კოოპერაციული ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტი. იყო ბათუმის რაიკოოპერატივის ეკონომისტი, ხელვაჩაურის რაიკოოპერატივის თავმჯდომარის მოადგილე ვაჭრობის დარგში, ხელვაჩაურის რაისაფინანსო განყ–ბის უფროსი, აჭარის ა/რ ფინანსთა მინისტრი. პარლამენტის წევრია 1995 წლიდან.

**აბაშიძე ვახუშტი ლევანის ძე**, ქართლის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე მე–18 ს–ის პირველ ნახევარში. ვახტანგ VI–ის პოლიტიკის მიმდევარი. 1711 წელს იმერეთიდან ქართლის გადავიდა. ვახტანგს ეყმო და მისგან მიიღო უძეოდ გადაგებული პაატა აბაშიძის მამული (ქვიშხეთი, ტაშისკარი, ციხისძირი, მონასტერი და სხვ.). ამასთან, ვახუშტის მამულიც (იმერეთის სოფ. ვახანი ციხით, მიმდგომი ადგილებითა და ყმებითურთ) ქართლის სამეფოს ფარგლებში შევიდა. ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ოსმალო და ლეკ მოთარეშეთაგან ქართლის დას. საზღვრების დასაცავად (ვახანზე გადიოდა ახალციხიდან ქართლისკენ მიმავალი ერთ–ერთი გზა). 172 წელს ვახტანგ VI–მ მიათხოვა თავისი ასული ანუკა ბატონიშვილი. მე–18 საუკუნის 40–იან წლებში ვახუშტი აბაშიძე სხვა თავადებთან ერთად მეთაურობდა ქართლის აჯანყებას ნადირ–შაჰის წინააღმდეგ.

1712 წლის მზითვის წიგნი ანუკა ბატონიშვილისა: **„საქართველოს გამგებელმან, ბატონიშვილმან პატრონმან ვახტანგ და თანამეცხედრემან ჩვენმან ჩერქეზთ მეფის ასულმან დედოფალთ დედოფალმან პატრონმან რუსუდან, ნებითა განგებითა და წადილითა ჩვენითა. წყალობა ვყავით და მივუბოძეთ დიდგვარი თავადსა დიდებულსა და წარჩინებულსა ერთგულსა და მისანდოსა ხვაშიადის ჩვენთა შემნახავსა, თანაშეზრდილსა და გაზრდილსა მრავალგზის გამოცდილსა და უცხო სახედ თავდადებით ნამსახურსა, მეუნებლეთა ჩვენთა მბრძოლად თავდადებულსა, განძლიერებისა და დიდებისა ჩვენისათვის მომჭირნეს ძალმწესა, აბაშიძეს ბატონს ვახუშტის მივათხოვეთ მეუღლეთ და თანამეცხედრედ ასული ჩვენი სასურველი, ქრისტეს სარწმუნოებაზე აღზრდილი, მზისა ციმციმთაებრ თვალშეუდგამი, მისთა სხივთა მიმზგავსებით ნათელმოფენილი, თვარის მოდავედ მქონედი. ბატონიშვილი ანუკა“** *(მასალები საქართველოს სოციალურ–ეკონომიკური ისტორიისათვის. თბ. 1974. გვ. 42–59).*



**აბაშიძე ვერა (ვერიჩკა) დავითის ასული**, დაიბადა საჩხერის რაიონის სოფ. ირტაკაზში 1897 წლის 22 ივნისს, თავად–მემამულის ოჯახში. მისი დედა იყო ქართლიდან – **ოლინკა მცხვედაძე**. ოლინკას ჰყავდა ორი ძმა – **პატო და სამსონი**. პატო მცხვედაძემ შეირთო ცოლად მაშო სანაკოევი და დასახლდა ჯავაში, სადაც შეეძინათ ორი ვაჟი: ლავრენტი და გიორგი და ერთი ქალი – ნინა. ბავშვებმა სკოლაში რომ დაიწყეს სიარული, რუსულ სკოლაში ოსებთან ერ–

თად სწავლობდნენ და რადგანაც ქართველები იყვნენ, გვარის გამო დასცინოდნენ. ბავშვებმა სკოლაში სიარულზე უარი თქვეს, თუ გვარს არ გამოიცვლიდნენ. ამის გამო გადაიყვანეს დედის გვარზე და სანაკოევები გახდნენ. მათგან ამჟამად ცოცხალია გიორგი სანაკოევი (მცხეთელიძე). ნინა გარდაიცვალა და ლავრენტი დიდ სამამულო ომში დაიკარგა. ეფროსიკას დაუბარა, შენს შვილს ან ლავრენტი დაარქვი ანდა, თუ გოგონა დაიბადება, ზამირა, რადგან ჩემს შვილს ჰქვიაო. ეს ანდერძი ვერავ შეასრულა. გაუჩნდა ნაბოლარა გოგო და მას ზამირა დაარქვა. ჯავაში არიან ამჟამად მათი შვილები და შვილიშვილები, რომლებმაც იციან, რომ ქართველები არიან და ქართულიც იციან. ეფროსიკას მეორე ძმა მასზე უმცროსი იყო, რევოლუციონერი. სამსონ მცხეთელიძემ (მგონი, მისი გვარიც სანაკოევი იყო) დაწერა პოემა არსენა ჯორჯიაშვილზე, რომელიც ძველი ქართულით იყო ნაწერი და ჩვენს ბავშვობაში ძნელად ვიგებდი იმ ნაწერს. დედაჩემმა ვერა აბაშიძემ მაჩვენა ეს ხელნაწერი, რომელსაც სათუთად ინახავდა. შემდეგ კი უფროს შვილს, მიხეილ მაჭავარიანს გადასცა, რომელიც იმ პერიოდში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი იყო. ვერა აბაშიძის შესახებ ბოლნისის გაზეთ „გამარჯვების დროშაში" გამოქვეყნდა ინფორმაცია.

ვერას მამის – **დათა აბაშიძის** დანატოვარი ადგილმამულები ჰქონდათ სოფ. ირტავაზაში, არგვეთში და საჩხერის რაიონის სხვადასხვა ადგილებში. დედას გადმოცემით, დიდი მოსავალი რომ მოჰყავდათ ყმებს, მას სამად ანაწილებდნენ. სიმინდის ტაროებს დაახვავებდნენ სამ ნაწილად, იქიდან ერთს ეფროსიკას არჩევინებდნენ, რომელიც გინდა, აირჩიეო. ორი მესამედი კი გლეხებს რჩებოდათ და ყველა კმაყოფილი იყო. ყმებთან სულ სიყვარული და კარგი დამოკიდებულება ჰქონდათ. ვერა მათთან სტუმრობდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ისინი ისევ პატივით იღებდნენ მას და „ბატონიშვილს" ეძახდნენ. მათი შვილები და შვილიშვილებიც პატივისცემით ეპყრობოდნენ და აღნიშნავდნენ, რომ წარსული დრო სჯობდა ახლანდელს. ვერა აბაშიძის ბიძაშვილის შვილები, აბაშიძეები – კოტე, ანზორი, მიტუშა თავიანთი ოჯახებით ახლაც არგვეთში ცხოვრობენ. კოტეს უფროსი ძმა კიტა საჩხერეში დასახლდა. იგი ამჟამად გარდაცვლილია. მას ძალიან აფასებდნენ საჩხერის რაიონში. კიტას ორი ვაჟი – ტარიელი და ავთანდილი, ქალიშვილი დარეჯანი და მეუღლე ლამარა ცქიტიშვილი ჰყავს. კიტას ძმა პეტრე აბაშიძე ქორეთში დასახლდა. მას ორი ვაჟი ჰყავს, მესამე აფხაზეთში დაიღუპა.

ეფროსიკა ძალიან ლამაზი ქალიშვილი იყო და გლეხის ბიჭს რომ არ მოეტაცა, თექვსმეტი წლის გაათხოვეს გოგა (გიორგი) მაჭავარიანზე.

**აბაშიძე ზაალ,** ძმა 1812 წლის აჯანყების მონაწილე დავით და ნიკოლოზ აბაშიძეებისა, რომლებიც გადაასახლეს. 1812 წლის აჯანყებაში თვითონ მონაწილეობას არ იღებდა.

**აბაშიძე ზურაბ გიორგის ძე**, დაიბადა 1929 წლის 14 ივლისს ქუთაისში, დედულეთში. მისი მამა, გიორგი აბაშიძე ზემოიმერელ დიდგვაროვან აბაშიძეთა შთამომავალია სოფელ საეანიდან. მისი მამა, დიმიტრი აბაშიძე, დიდი ვახო აბაშიძის ღვიძლი ბიძაშვილი, იყო ჭიათურის მანგანუმის მრეწველთა გაერთიანების წევრი და ნოტარიუსი. გიორგი აბაშიძე სანკტ-პეტერბურგის კადეტთა კორპუსში სწავლის დროს ძლივს გადაურჩა წითელ ტერორს და შემდეგ თბილისის უნივერსიტეტის პირველი თაობის სტუდენტი იყო. დაამთავრა ფილოლოგიის ფაკულტეტი, მუშაობდა სკოლებსა და ტექნიკუმებში ქართული, რუსული და გერმანული ენების მასწავლებლად. 1937 წელს დააპატიმრეს, იმყოფებოდა გულაგის ბანაკში მაგადანში და თუ სუკ-ის ინფორმაციას ვირწმუნებთ, იქვე გარდაიცვალა 1938 წელს. ოცდაათიანი წლებიდან მოკიდებული, მათი ოჯახი საეანეში ცხოვრობდა.

დედა, **ლიდა არსენის ასული ჯახუტაშვილი-აბაშიძისა** მუშაობდა მეზობელ სოფელ არგვეთის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებლად, იგი გარდაიცვალა 1984 წელს. 1931 წელს დაბადებული ზურაბის ძმა, თენგიზი, განათლებით პროვიზორი, ამჟამად პენსიაზეა. და ეთერი, 1937 წელს დაბადებული, პროვიზორია და მუშაობს თბილისის კახიძის სახელობის რკინიგზის საავადმყოფოში. მეუღლე **მანანა შერაზადიშვილი-აბაშიძე** გერმანულის მასწავლებელია, ვაჟი – **გიორგი**, 35 წლის, არქიტექტორი, ქალიშვილი **დალი** – მხატვარი-გობელენისტი, 34 წლის; **ქეთინო**, 29 წლის – გერმანულის მასწავლებელია, გათხოვილია, ჰყავს 6 წლის **სანდრო** და 4 წლის **სოფიო**.

ზურაბი სკოლაში სწავლობდა ჯერ არგვეთში, მამის დაპატიმრების შემდეგ – თბილისში და ომის დაწყების შემდეგ ისევ არგვეთის სკოლაში, რომელიც 1952 წელს დაამთავრა ვერცხლის მედალზე, ხერხემლის დაავადების გამო.

1957 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენათა ფაკულტეტის გერმანული განყოფილება. ხუთი წელი მუშაობდა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობის საზოგადოების რეფერენტად. შემდეგ სწავლობდა თსუ-ს ასპირანტურაში და 1970 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და დღემდე მუშაობს თსუ-ს გერმანული ფილოლოგიის კათედრის ჯერ მასწავლებლად, შემდეგ – დოცენტად.

თუმცა დისერტაცია ლინგვისტიკას ეხებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდიდან მისი განსაკუთრებული ინტერესის საგანი იყო ლიტერატურა.

მისი, როგორც მთარგმნელის დებიუტი იყო იან პეტერსენის „იეონა", რომელიც 1971 წელს დაისტამბა; უკვე დიდი „ზღაპრები ტაუკომ მეფე, მანგაზეთა და ლექსები", 1994 წ. გეორგ ბიუხნერი „ლენა და ლეონსი, არტურ შნიცლერი „მარტოსულის გზა", გეორგ კაიზერი „ბულვარული ამბავი", 1992 წ., იოზეფ როტი „იობი", „სადგურის უფროსი ფალმერაიერი", 1989, იოახიმ კნაუთის პიესები. ამ უკანასკნელის საბავშვო კომედიის „როგორ აპირებდა მეფე მთვარეზე ასვლას" მისეულ-

მა თარგმანმა თბილისის გოეთეს ინსტიტუტის მიერ გამოცხადებული კონკურსის პრემია დაიმსახურა 2000 წელს. ქართულიდან გერმანულად თარგმნა ნანა ქავთარაძის წიგნი „ელდარ ისაკაძე“ (1999) დასაბეჭდად მზად აქვს გეორგ ბიუხნერის შემოქმედების სრული კრებული წინასიტყვაობითა და კომენტარებით. იოზეფ როდის „მკვლელის აღსარება“, „წონა ცდომილი“, არტურ შნიცლერის „კარუსელი“.

1998 წელს გამოვიდა მისი თარგმანი თანამედროვე ლუთერად წოდებული ტიუბინგელი თეოლოგის, ჰანს კიუნგის წიგნისა „მსოფლიო ზნეობა“, ამჟამად ამთავრებს მუშაობას ამავე ავტორის წიგნზე „მსოფლიო ზნეობა მსოფლიო პოლიტიკასა და მსოფლიო ეკონომიკაში.“ ბოლო ნამუშევრებმა შეაფერხა მისი მოღვაწეობა ბელეტრისტიკის თარგმანის დარგში, რომელსაც ღმერთის შეწევნით, ალბათ, შემდეგ კვლავ მიუბრუნდება.

**აბაშიძე ზურაბ გიორგის ძე**, იურისტი, საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრი. დაიბადა თბილისში, 1973 წელს. მშობლები: **ლიანა ნაცვალაძე, გიორგი აბაშიძე**. დაამთავრა თსუ-ს საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი. იყო საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის იურიდიული განყოფილების მთავარი სპეციალისტი, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე, სახელმწიფო კანცელარიის უფროსის თანაშემწე, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის რეფერენტი. არის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი.



**აბაშიძე ზურაბ ირაკლის ძე**, საქართველოს სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი რუსეთის ფედერაციაში. დაიბადა თბილისში, 1951 წლის 11 ივნისს. მშობლები: **ნელი ჟორჟოლიანი, ირაკლი აბაშიძე**, მეუღლე – **ნინო ფალიაშვილი**. შვილები: **თამარი, ირინე**. დაამთავრა მოსკოვის უცხო ენათა ინსტიტუტი. არის მეცნიერებათა კანდიდატი. იყო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი მდივანი, სსრკ გენ. საკონსულოს ატაშე ბომბეიში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგე, საქართველოს კომპარტიის ცკ-ს ინსტრუქტორი, სსრკ საელჩოს მრჩეველი ესპანეთში, საქართველოს უცხოეთთან მეგობრობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საქართველოს ელჩი ბენილუქსის ქვეყნებში, ევროკავშირთან და ნატოსთან საქართველოს მისიის ხელმძღვანელი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩია 2000 წლიდან.

**აბაშიძე თამარ ასლანის ასული** (1892 წ. ზესტაფონი – 1960 წ., თბილისი) ქართველი მსახიობი, **საქართველოს სსრ სახალხო არტისტი**.

სწავლობდა დონის როსტოვის დრამატულ სტუდიაში. მოღვაწეობა დაიწყო ჭიათურის თეატრში. შემდეგ იყო სხვადასხვა ქალაქების – გორის, ჭიათურის თეატრების მსახიობი. განასახიერა ხანუმას (ცაგარელის „ხანუმა“), რიფსიმეს (ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“), მელანოს და ელენეს (კლდიაშ-

ვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“), კრუჩინინის (ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“), ვასა ჟელეზნოვას (გორკის „ვასა ჟელეზნოვა“), კატარინას (შექსპირის „ჭირვეული ცოლის მორჯულება“), ბერსენიევას (ლავრენევის „რღვევა“), იოკასტეს (სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“) და სხვა დრამატული და სახასიათო როლები.



**აბაშიძე იასონ ლევანის ძე** (დ. 28.03.1904) სოფ. ზემო ალვანი (ახმეტის რ-ნი). მეტყევე. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე. დაამთავრა თსუ-ს აგრონომიული ფაკულტეტის სატყეო განყოფილება. 1960 წლიდან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ზოგადი მეტყევეობისა და დენდროლოგიის კათედრის გამგე. დაამუშავა საქართველოში ტყის კულტურების განვითარების, დენდროლოგიისა და მთიან ადგილებში სატყეო მეურნეობის წარმოების საკითხები. დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის ორდენითა და მედლებით.

**აბაშიძე ივანე (ვანიკო) დავითის ძე** (17.01.1896, ქუთაისი – 1937). მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, ა. ფალავას დრამატულ სტუდიაში. 1924–36 წლებში შ. რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობია. განასახიერა სოლომონ მორბელაძის (ს. კლდიაშვილის „შემოდგომის აზნაურები“, დ. კლდიაშვილის მოთხრობების მიხედვით), იბრაჰიმის (შანშიაშვილის „ანზორი“) და სხვა სახასიათო და კომედიური როლები. დადგა შ. დადიანის „ნინოშვილის გურია“ (ეგ. ნინოშვილის მოთხრობების მიხედვით), გ. ბუხნიკაშვილის „ნაბიჭვარი“ (შკვარკინის კომედიის „სხვისი ბავშვის“ მიხედვით).

ივანე აბაშიძე. საჩხერის რაიონის სოფ. ჭალის აბაშიძეებს დიდი დამსახურება მიუძღვით ერისა და გვარის წინაშე. მათი წარმომადგენლები მონაწილეობდნენ ქვეყნის გმირული ისტორიის შექმნაში. აბაშიძეები საგვარეულოს უფროსებად, ძირითადად, ბატონიშვილობით ირჩევდნენ. გადმოცემით, ეს მისია გედევანის შთამომავლებს ჰქონდათ ხელთ. წინაპრად ივანე აბაშიძეს მიიჩნევენ. ივანე ქაიხოსრო აბაშიძის მამის, ივანე აბაშიძის ბაბუა ყოფილა. იგი მე-17 საუკუნეში კახეთში გადასახლებულა. მიზეზი ის გამხდარა, რომ ლევან აბაშიძე მეფეს (თავის სიმამრს) განუდგა. ამას მოჰყვა აბაშიძეების გვარის წევრთა შევიწროება და კახეთს გარდა, აბაშიძეები სხვა ადგილებშიც წავიდნენ. მოგვიანებით, ვითარების შეცვლის შემდეგ, ივანესა და სხვა ოჯახები იმერეთს რომ ბრუნდებოდნენ, მათ კახელს ეძახდნენ. მათი შთამომავალი, მეცნიერი ელენე აბაშიძე იგონებს: „ერთხელ, როცა მე გულანთებული მნახა ბიძაჩემმა ლავრენტიმ, არ დააყოვნა და მომაძახა: „ოჰ, შე კახელო, კახელოო“. მე გამაოცა ასეთმა მომართვამ, სიტყვა შევუბრუნე და ვკითხე „კახელი რა შუაშია“-მეთქი. „იმაში, რომ თქვენს ოჯახს კახელებს ეძახდნენ, რადგან კახეთიდან იყავით უკან დაბრუნებულიო“.

ფაქტი იყო ისიც, რომ ჩემი ბაბუის, ქაიხოსრო აბაშიძის მამამ, რომელსაც ასევე იოანე ერქვა, ცოლი კახეთიდან მოიყვანა, იქ ჩასახლებული აზნაურ ჩიქვაიძის ასული." ამის გარდა, ელენე აბაშიძის მამის და ბაბუის ოჯახში ინახებოდა მეფე ერეკლე II-ის მიერ დიდი იოანე აბაშიძისთვის ბოძებული ხმალი. როგორც თანამედროვენი – ქაიხოსროს დისშვილები გუგული, ქსენია, ლავრენტი და ეკატერინე ამბობდნენ, ქაიხოსრო აბაშიძე, თურმე, ხმალს დიდი დღესასწაულების წინ შემოარტყამდა ხოლმე და თავმომწონედ დაიარებოდა. მეფე ერეკლეს სამეფო კარის წინაშე იოანე აბაშიძის დამსახურების თაობაზე წერს ჩანსევეტაშვილი და პლატონ იოსელიანი. იოანე აბაშიძის შთამომავლებში საგვარეულო სახელები ყოფილა იოანე და ქაიხოსრო, რომელიც დღესაც მეორდება.

ერთ-ერთი იოანე აბაშიძე ისტორიაში „კახთა აბაშიძის" სახელითაა ცნობილი. **ქაიხოსრო აბაშიძის ქალიშვილია სახელოვანი მეცნიერი, ამერიკის ბიოგრაფიების საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ მსოფლიოში მეცნიერ ქალთა შორის 1998 წლის საუკეთესო მეცნიერ ქალად აღიარებული გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქალბატონი ელენე აბაშიძე.**

**აბაშიძე ივანე (იოანე) ზაალის ძე,** ბორჩალოს მოურავი და ქართლ-კახეთის სამეფოს ქიზიყიბაში 1768-99 წლებში. ერეკლე II-ის მეუღლის ანა დედოფლის ძმა. იგი ერეკლე II-ის პოლიტიკის ერთგული და მიმდევარი იყო, მონაწილეობდა კრწანისის ბრძოლაში. როგორც კახეთის მკვიდრს, „კახთ აბაშიძეს" უწოდებდნენ. ასევე იხსენიებს მას ნ. ბარათაშვილი პოემაში „ბედი ქართლისა".

აბაშიძე იოანე ზაალის ძე ქიზიყიბაში ერეკლე მეორისა, ერეკლე მეორის ცოლის ძმა, **„მეფემან ირაკლი მეორემან აბაშიძისა ზაალის ასული ანნა მოითხოვა რა ცოლად, მაშინ გარდმოიყვანა სიმამრიცა თვისი ზაალ და ცოლისძმანი თვისნივე ძენი ზაალისა ნი იოანე და სვიმონ, მიუბოძა კახეთ მამულნი და ყმანი ამოწყვეტილის ენდრონიკაშვილის ჯვანის შვილისანი"** *(დავით ციციშვილი. „შემოკლებითი მოთხრობა საქართველოს თავადთა და აზნაურთა". 560. გვ. 29).*

1769 წლის 9 მარტის საბუთით ერეკლე II-მ უბოძა ხევინისხევი ზაალ აბაშიძეს და მის შვილებს – იოანეს და სვიმონს (2189).

1774 წლის საბუთით ერეკლე II უბოძებს იოანე ქიზიყთუხუცესს ანდრონიკაშვილის ნაქონ მამულს (2383).

1776 წლის 18 მაისის საბუთით იოანე აბაშიძეს მამულები აქვს ნეკრესის სამწყსოში *(საქ. ცა. ფ. 226. № 489).*

ენდრონიკაანთ მამულის იოანე აბაშიძისათვის მიცემის შესახებ იხ. 1793 წ. 28 აპრილის საბუთი. დაბეჭდილია *„მასალებში საქ. ეკ. ისტ.". III. № 175.*

1784 წ. 22 მარტს ქიზიყიბაში იოანე (ამოვარდნილი ჯვანო ანდრონიკაშვილის მემკვიდრე), ზაალ ანდრონიკაშვილი (ზურაბიშვილთა წარმომადგენელი) და ერისტიშვილები მამულს იყოფენ. ერეკლე ამტკიცებს ამ გაყოფის წიგნს

1784 წლის 25 მარტს *(ხელნაწ. აღწერილობა. 1380. გვ. 465–466)*.

ანდრონიკაშვილთა ჩამომავალი ზურაბიშვილი 1864 წლის სექტემბერში მიართმევს თხოვნას ალექსანდრე პირველს. იგი ითხოვს, რომ ამოვარდნილი ჯანო ანდრონიკაშვილის მამული (სამკვიდრო ყმა-მამული ოთხმოც კომლამდე, რომელიც ერეკლე II-მ იოანე აბაშიძეს უბოძა), დაუბრუნდეს ჯანო ანდრონიკაშვილის ძმების ჩამომავლებს. *(„მწყემსი". 1893. 14.5. № 9. მელიტონ კელენჯერიძე. საისტორიო მასალა.)*

მღვდელ პ. ვარძელაშვილს „ივერიის" „1890 წ. პირველი ნოემბრის № 232-ში დაბეჭდილი აქვს „ისტორიული მასალა მეფე ირაკლის ცხოვრებისა", რომელშიაც ის ახსენებს აბაშიძეების საბუთებს.

**„ირაკლის საკუთარი ხელით დაწერილი და ბეჭედ სმული. სწერს იოანე აბაშიძეს ქეშიკჩიბაშს, რომლის მემკვიდრენი დღეს სცხოვრობენ სოფელ ვეჯინსა და გურჯაანში. 21 წერილი".**

იოანე აბაშიძეს ახსენებს ნ. ბარათაშვილი ლექსში „ბედი ქართლისა": „თამაზ ენისელთ მოურავის ძე და იოანე კახთ აბაშიძე განუმტკიცებენ მკლავეთა ქართველთა".

თეიმურაზ ბატონიშვილი ამბობს, რომ **„1795 წელს დაიღუპა თ. იოანე აბაშიძე", მაგრამ ქეშიკჩიბაში იოანე 1795 წელს მხოლოდ დაიჭრა. „აბაშიძე იოანეს, ცოლისძმას მეფისას მოსწყვიტეს თითნი ლეკთა მათ ხმლითა"** *(მასალები დავით ბატონიშვილისა და სხვათა. გვ. 21)*.

ი. აბაშიძე ცოცხალია 1799 წ. ამ წლის 12 მაისს მას წერილს სწერს გიორგი მეთორმეტე (**„ბოძანებენს ქეშიკჩიბაშს ბორჩალოს მოურავს – აბაშიძე იოანეს"**, *(საქ. ცა. ფ. 226. № 642)*.

**აბაშიძე იოანე ქაიხოსროს ძე** (?–1822). იმერეთის 1820 წლის აჯანყების მეთაური და იმერეთის მეფედ დასახელებული კანდიდატი, დედით სოლომონ პირველის შვილიშვილი. როდესაც იმერეთის აჯანყების ჩახშობის შემდეგ იმერეთის მღვდელმთავრები დოსითეოსი, ექვთიმე და სხვები რუსეთში გადაასახლეს, მთავარმართებელ გენ. ერმოლოვის ბრძანებით უნდა დაეჭირათ იოანე აბაშიძეც, მაგრამ იგი გაიქცა გურიაში თავის ცოლისძმასთან გიორგი გურიელთან. იმერეთის ახლადდანიშნული მმართველი პოლკოვნიკი ი. ო. პუზირევსკი, ცნობილი თავისი დაუნდობლობითა და ხალხის სიძულვილით, დაედევნა მას შესაპყრობად. შეამბოხეთა შესაპყრობად გურიაში ჩასული პუზირევსკი იოანე აბაშიძემ, ნიკოლოზ აბაშიძემ და ქაიხოსრო გურიელმა შეიპყრეს სოფელ შემოქმედთან და თავი მოჰკვეთეს *(„მასალები საქართველოს ისტორიისათვის", გვ. 148–149. „ივერია". 1877. № 14; ნიკო დადიანი, „მასალა ჩვენი ისტორიისათვის. ტ. I. ნვ. 48)*.

**1820 წელს ი. აბაშიძე მეფედ აირჩიეს.**

მალე, როცა გურიაშიც აჯანყებამ იფეთქა და რუსის მთავრობა მას აქრობ–

და, იგი იძულებული შეიქმნა, ახალციხეს გახიზნულიყო (*ტ. II გამ. გვ. 50*). აქედან სტამბოლში, ხონთქართან აპირებდა გადასვლას. ვახტანგ ბაგრატიონის (ეს იყო შვილი დავით მეფის უკანონო შვილის როსტომ ბუშისა) მიგზავნილმა კაცებმა მოკლეს ი. აბაშიძე ახალციხეში 1822 წელს (*„ივერია“. 1877. № 18*).

ი. აბაშიძის ოჯახი – დედა დარეჯანი, უმცროსი ძმა, მეუღლე ელისაბედი (მამია გურიელის და) და ასული ეკა 1820 წელსვე გადაასახლეს რუსეთს. გურიელის თხოვნით, მეუღლე და ასული გზიდან დააბრუნეს და გურიელთან დაასახლეს, სხვები კი დაასახლეს ქალაქ პენზას (*„მასალები“, გვ. 152*).

1838 წლის აღწერით, ივ. აბაშიძის მეუღლე ელისაბედი ცხოვრობს ქ. ქუთაისში, ქალი ეკა კი შორაპნის ოკრუგში და იღებს 1000 მ. პენსიას ასიგნაციებით.

**ივ. აბაშიძის ასული ეკა იყო აკაკი წერეთლის დედა** (*იხ. აკაკის „ჩემი თავგადასავალი“. რჩეული ნაწერები. 1925 წ. გამოც. ტ. I. გვ. 17*).



**აბაშიძე ირაკლი ბესარიონის ძე** 10 (23) 11. 1909, ხონი – 14.1.1994, თბილისი), პოეტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1960), ქართული ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი (1966–92). 1939–44 წლებში იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი. 1953–66 წლებში – პირველი მდივანი, 1966–67 წლებში გამგეობის თავმჯდომარე, 1968–70 წლებში – სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მდივანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1970–76), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის თავმჯდომარე (1963–85), სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პირველი თავმჯდომარე (1988), რუსთაველი სახ. სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1965), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1988), ჯ. ნერუს სახ. საერთაშორისო პრემიის ლაურეატი (1972), თბილისის საპატიო მოქალაქე (1980).

დაიბადა მოსამსახურის ოჯახში. დედა – **ელისაბედ (ლიზა) ბესარიონის ასული მოდებაძე**, მამა – **ბესარიონ ივანეს ძე აბაშიძე**. დაწყებითი განათლება მიიღო ხონში. დაამთავრა თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტი (1931). რედაქტორობდა ჟურნალ „ჩვენს თაობას“ (1938–39), „მნათობს“ (1946–53).

ირაკლი აბაშიძის პირველმა ლექსებმა, რომლებიც 1928–29 წლებში იბეჭდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, მაშინვე მიიპყრო ყურადღება პოეტური ხმის ძალით, ნათელი სახეებით, ორატორული ინტონაციით. მისი პირველი კრებულებია „რამდენიმე ლექსი“ (1932), „ახალი ლექსები“ (1938), „ლექსები“ (1941). პოემა „წულუკიძის სიკვდილი“ (1940). 1941–45 წლების ომის პერიოდის ალიარებული ლექსები: „კაპიტანი ბუხაიძე“ და „ლესელიძის ხსოვნას“ თავდაპირველად საფრონტო გაზეთების ფურცლებზე იბეჭდებოდა. ომისშემდგომი ლექსე-

ბი პოეტის მაღალ მოქალაქეობრივ მოვალეობას ეძღვნება. ისინი სავსეა „კაენის სულის აღზევებით" მოგვრილი ტკივილებითაც, ეჭვებითაც და ნათელი ხილვებითაც. 50–60-იან წლებში ი. აბაშიძემ იმოგზაურა ინდოეთში, 1960 წელს მონაწილეობდა იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიციაში. სწორედ ამ პერიოდში მიაღწია უმაღლეს მწვერვალს მისმა პოეზიამ; თვალსაჩინოდ გამოიხატა მიბრუნება დიდი და დახვეწილი პოეზიის სათავეისაკენ. პოეტი საკუთარ სულს ჩაუღრმავდა. აქედან დაედო სათავე მის ფილოსოფიურ ლირიკას. ციკლი საერთო სათაურით „მიახლოება" (1957–59; 1969) განახლების მაუწყებელი იყო. ლექსების წიგნი „რუსთაველის ნაკვალევზე", რომელიც აერთიანებს ციკლებს „მწველ ინდოეთში" (1959; წიგნთან „ინდოეთის გზებზე" ერთად მიენიჭა ჯ. ნერუს სახ. პრემია, რომელიც 1972 წელს გადასცა ინდირა განდიმ) და „პალესტინა, პალესტინა!" (1963; რუსთაველის სახ. სახელმწიფო პრემია, 1965), ქართული ფილოსოფიური და პატრიოტული ლირიკის ერთ-ერთი საუკეთესო ფურცელია. ეს ციკლი, რომელმაც საყოველთაო აღიარება მოუტანა პოეტს სამშობლოშიც და მის ფარგლებს გარეთაც, რუსთაველს ეძღვნება. შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი დიდი იუბილე, რომელმაც საერთაშორისო მასშტაბი მიიღო, გაიმართა ირაკლი აბაშიძის პირადი ინიციატივით. იუბილემ დიდი როლი შეასრულა ქართული პოეტური სიტყვის, საერთოდ, ქართული კულტურის საყოველთაო აღიარების ახალი ტალღის წარმოქმნაში.

ირაკლი აბაშიძეს ეკუთვნის აგრეთვე რამდენიმე ლირიკული ციკლი – „მონადირის ღამეები", „ჰყვავის გურია", „ჰიმნი სიცოცხლეს დედამიწაზე", „მონოლოგი ამრიდილებთან", „ქარები რიონის ხეობაში", საბავშვო ლექსები და პოემები („რას გადაურჩა თბილისი" და სხვა). წიგნისათვის „ოცი ლექსი გალაკტიონ ტაბიძეს" (1986) მიენიჭა გ. ტაბიძის სახ. პრემია (1987). ავტორია ლიტერატურულ-კრიტიკული წერილებისა, თარგმანებისა. აღსანიშნავია მოგზაურობის შთაბეჭდილებათა ამსახველი ნაწარმოებები: „ევროპა თვალის ერთი გადავლებით", „ამერიკა თვალის ერთი გადავლებით", „პალესტინის დღიური" და სხვა. პოეტი შემოქმედებით მოღვაწეობას უთავსებდა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ საქმიანობას. იყო სოციალისტური შრომის გმირი (1979).

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.



**აბაშიძე კიტა (ივანე) გიორგის ძე** (16.1.1870, სოფ. ლესა, ახლანდელი ლანჩხუთის რაიონი – 17.12.1917, თბილისი). ქართველი ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ (1889), პარიზში ისმენდა ლექციებს ფილოსოფიასა და ხელოვნების თეორიაში. 1890–95 წლებში სწავლობდა ოდესის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1895 წლიდან მუშაობდა თბილისის „საკონტროლო პა-

ლატაში", შემდეგ მომრიგებელ მოსამართლედ, ჯერ რაჭის მაზრაში, მერე ქუთაისში. 1901 წლიდან იყო ქუთაისის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს „საურთიერთო ნდობის ბანკის" თავმჯდომარე, შემდეგ შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ბოლოს – თავმჯდომარე. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ იყო ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის წევრი და ამიერკავკასიის განათლების კომისარი. სალიტერატურო სარბიელზე 1893 წლიდან გამოდის და იმდროინდელ პრესაში სისტემატიურად აქვეყნებს ლიტერატურულ და კრიტიკულ წერილებს მე-19–მე20 საუკუნეების ქართული, რუსული და ევროპული ლიტერატურის საკითხებზე, თეატრალურ რეცენზიებს, თარგმანებს, პუბლიცისტურ სტატიებს და სხვა.

მისი ლიტერატურულ-კრიტიკული მოღვაწეობა ახალ ალმაცალ ერას ქმნის ქართულ ლიტერატურასა და აზროვნებაში.

**აბაშიძე კონსტანტინე (კოსტალე) ლევანის ძე,** დაიბადა 1895 წელს თელავის რაიონის სოფ. ზემო ალვანში, სადაც გაატარა ბავშვობა. სწავლა დაიწყო ზემო ალვანის სკოლაში, შემდეგ სწავლა გააგრძელა თელავის გიმნაზიაში. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ შეუდგა მუშაობას.

მსახურობდა რუსეთის არმიაში. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში, დაბრუნდა ოფიცრის ჩინით და წმინდა გიორგის ჯვრით. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან მუშაობდა თელავის რაიმილიციის უფროსად. იყო სამართლიანი, დაუძინებელი მტერი სიყალბისა, უწესრიგობისა, მექრთამეობისა და ძალმომრეობისა.

1929 წლის დაიწყო მუშაობა უდაბნოს მეცხვარეობის მეურნეობის დირექტორად. ენერგიული მუშაობით მეურნეობა სწრაფად დააწინაურა. ოთხი წლის შემდეგ, 1932 წელს, კოსტალე აბაშიძე გადაიყვანეს წითელწყაროს რაიონში ელდარის მეცხვარეობის მეურნეობის დირექტორად. აქაც სწრაფად დააწინაურა „უდაბნოს სუნთქვით ნაწრთობმა" მანამდე ჩამორჩენილი და დაქვეითებული მეურნეობა.

1937 წელს კოსტალე აბაშიძე დახვრიტეს, როგორც ხალხის მტერი. შემდგომში იგი რეაბილიტირებული იქნა.

ჰყავდა მეუღლე – **ანა დიმიტრის ასული ცისკარიშვილი** და ორი ვაჟი: **ილია,** რომელიც 1920 წელს დაიბადა და გარდაიცვალა 1943 წლის 17 იანვარს და **ირაკლი** (გოგა), დაბადებული 1922 წელს, გარდაიცვალა 1939 წელს.

**აბაშიძე ლამარა იასონის ასული,** დაიბადა 1934 წელს ახმეტის რაიონის სოფელ ზედა ალვანში. 1954 წელს დაამთავრა თბილისის მე-6 ქალთა საშუალო სკოლა. 1954–59 წლებში სწავლობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა სპეციალობით „მეტყევე-ინჟინერი":

1959 წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტ-

რის საპროექტო ინსტიტუტში ინჟინრად.

1963 წელს სამუშაოდ გადავიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის გეობოტანიკის განყოფილებაში ლაბორანტის თანამდებობაზე.

1966 წლიდან მუშაობდა ამავე ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ თანამშრომლად.

1977 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „აღმოსავლეთის წიფლის მორფოლოგიური ნიშნების გეოგრაფიული და ეკოლოგიური ცვალებადობა", რისთვისაც მიენიჭა ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

1986 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ბოტანიკის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

გამოქვეყნებული აქვს 14 სამეცნიერო შრომა.

1978 წელს დაჯილდოებულია მედლით „სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებული". 1989 წელს მედლით „შრომის ვეტერანი".

ლამარა აბაშიძე გარდაიცვალა 2000 წელს.

**აბაშიძე ლევან, ქართლის თავადი.** ალექსანდრე ბატონიშვილი, გაქცეული, წერილობით თხოვს ხელს ლევან აბაშიძის ძმის, დიმიტრის ქალს. ეს წერილი ლ. აბაშიძემ მთავრობაში მიიტანა. ერმოლოვი 1819 წლის 15 იანვარს წერილობით მადლობას უხდის ლ. აბაშიძეს და მოითხოვს მისგან, ხელი შეუშალოს ამ ქორწინებას.

**აბაშიძე ლევან (გიორგი) მალაქიას ძე,** მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში იმერეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე. მისი ასული თამარი იყო ალექსანდრე V-ის მეუღლე და სოლომონ I-ის დედა. მეთაურობდა თავადთა რეაქციულ ჯგუფს, რომელმაც ახლადგამეფებული სოლომონ პირველი ტახტიდან გადააყენა. მალე სოლომონმა ტახტი დაიბრუნა, შეთქმული თავადები დასაჯა. ლევან აბაშიძეს კაცხის ციხე წაართვა. დაიღუპა ხრესილის ბრძოლაში, სადაც სოლომონ I-ის მოწინააღმდეგეთა ბანაკში იყო. მისი წილი მამული მეფემ სახასო საკუთრებად გამოაცხადა.



**აბაშიძე ლეილა მიხეილის ასული:** „დავიბადე 1929 წლის 1 აგვისტოს ქალაქ თბილისში, მოსამსახურის ოჯახში.

**მამა–მიხეილ ალექსანდრეს ძე აბაშიძე** დაბადებული ქალაქ თბილისში. ცხოვრების ბოლო წლებში მუშაობდა მოსკოვში (საკავშირო მინერალური წყლების გენერალურ დირექტორად). 1937 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს ციმბირში. უდანაშაულო დახვრიტეს, შემდეგ კი რეაბილიტირებული იქნა.

დედა – **მარიამ გრიგოლის ასული ბახტაძე**– განათლებით მედიკოსი, გარდაიცვალა 1973 წელს.

ვიყავით სამი დედმამიშვილი: ლეილა მიხეილის ასული, ალექსანდრე მიხეილის ძე და გიორგი მიხეილის ძე.

ალექსანდრე გარდაიცვალა 2001 წლის 1 ნოემბერს.

ჩემი მეუღლე გახლავთ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი გიორგი სერგის ძე დანელია. ამჟამად გახლავთ ჩაჩავას სახ. მეანობა-გინეკოლოგიური ლაბორატორიის გამგე. მეუღლესთან განქორწინებული ვარ. მყავს ერთი ვაჟი, რამაზ გიორგის ძე დანელია. დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, გახლავთ სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტი. ჰყავს მეუღლე ქეთევან როგავა, რომელმაც დაამთავრა კონსერვატორია სოლო სიმღერის განხრით და მუშაობს ოპერის თეატრში.

მყავს შვილიშვილი – გიორგი რამაზის ძე დანელია, დაბადებული 2001 წლის 29 მაისს.

კინოში გადაღება დავიწყე 8 წლის ასაკიდან. პირველი ჩემი ფილმი იყო „ქაჯანა“, რეჟისორი კონსტანტინე პიპინაშვილი, სადაც ვასრულებდი ქაჯანას დის, კატოს როლს. ეს ფილმი შესულია მსოფლიო საბავშვო ფილმთა ოქროს ფონდში. სკოლის ასაკშივე შესრულებული მაქვს როლები ფილმებში: „ოქროს ბილიკი“ (იუტა, რეჟ. კონსტანტინე პიპინაშვილი), „აკაკის აკვანი“ (ნაზიბროლა, რეჟ. კონსტანტინე პიპინაშვილი).

სკოლის დამთავრების შემდეგ, 1948 წელს შევედი თბილისის შ. რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში სამსახიობო ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 1952 წელს წითელ დიპლომზე. იმავე წელს ჩამრიცხეს შ. რუსთაველის აკადემიური თეატრის დასში, სადაც ვიმუშავე 1962 წლამდე.

1952 წელს შემეძინა ვაჟი, რამაზ გიორგის ძე დანელია.

დეკრეტში ყოფნის დროს შემომთავაზეს მთავარი როლი ფილმში „ჭრიჭინა“ (რეჟ. სიკო დოლიძე). ამ ფილმმა დიდი პოპულარობა და აღიარება მოიტანა საბჭოთა კავშირისა და მსოფლიო მასშტაბით.

ვარ არაერთი მსოფლიო ფესტივალისა და კინო-ჟიურის მონაწილე.

1964 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ცნობილმა კინოკრიტიკოსმა ბენ ლევინმა შემადარა ამერიკელ კინოვარსკვლავს მერი პიკფორდს და გამოაქვეყნა ალტაცებული სტატია გაზეთში „დეილი უორკერ“, სათაურით „საბჭოეთს ჰყავს თავისი მერი პიკფორდი“.

1954 წელს ვითამაშე ფილმში „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“ (რეჟ. ნიკოლოზ სანიშვილი), 1955 წელს ფილმში „ჩვენი ეზო“ (რეჟ. რეზო ჩხეიძე), 1956 წელს ფილმში „აბესარა“, 1958 წელს ფილმში „მაია წყნეთელი“ (რეჟ. რეზო ჩხეიძე).

ვარ საქართველოს დამსახურებული არტისტი და საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი და ხელოვნების აკადემიკოსი.

მიღებული მაქვს შრომის წითელი დროშისა და ღირსების ორდენი. საბჭოთა კავშირისა და ამიერკავკასიის ფესტივალებზე მიღებული მაქვს ჯილდოები ქალთა შორის საუკეთესო როლის შესრულებისთვის ფილმში „შეხვედრა

წარსულთან" (რეჟ. სიკო დოლიძე), მიღებული მაქვს ჯილდო „პრომეთეოსი", იმავე ფილმში ნინოს როლის შესრულებისთვის. მივიღე მონაწილეობა აზერბაიჯანის და რუსეთის ერთობლივ ფილმში „მე ვიცეკვებ" (რეჟ. ტოფიკ ტაგიზადე).

1963 წელს კვლავ დავუბრუნდი შ. რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრს, სადაც ვითამაშე სამი მთავარი როლი სპექტაკლებში „ამირანი" (თეონა), „დაკარგული ბარათი" (კუკონა ზოია), „სეილემის პროცესი" (აბიგაილი).

1964 წელს კვლავ მიწვევენ კინოში, სადაც ფილმში „ხევისბერი გოჩა" ვასრულებ ძიძიას როლს (რეჟ. კონსტანტინე პიპინაშვილი), შემდეგ კვლავ ფილმში „შეხვედრა წარსულთან" (ნინო), „შეხვედრა მთაში" (ლალი მინდელი და მზევინარი), „თბილისი და თბილისელები" (მანანა), „დიდოსტატის მარჯვენა" (რეჟ. ვ. ტაბლიაშვილი, ვარდისახარი).

1984 წელს საკუთარი სცენარის მიხედვით დავდგი ფილმი, როგორც დამდგმელმა რეჟისორმა „თბილისი – პარიზი – თბილისი", სადაც ამავე დროს ვასრულებდი მთავარი გმირის, თეას როლს.

ამ ფილმის გარდა, ვარ რამდენიმე კინოსცენარის ავტორი: „მოლოდინი" (შ. მანაგაძესთან თანაავტორობით), სადაც მთავარ როლს მე ვასრულებდი. ფილმი პრემირებულია კარლოვი-ვარის კინოფესტივალზე, ქალის საუკეთესო როლის შესრულებისათვის.

კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა" შეიძინა და განუხორციელებელია სცენარი „კოშკები დუმან".

მიწვეული ვიყავი 2-2-ჯერ იტალიაში, საფრანგეთსა და ისრაელში.

მქონდა ჩემი ფილმების რეტროსპექტიული ჩვენება ისრაელსა და ამერიკაში.

ამჟამად ვმუშაობ კინოსცენარზე „ცრუპენტელა", სადაც ჩაფიქრებული მაქვს ჩემი ასაკის ქალის როლი. ფილმი ტრაგიკომედიაა, რომელიც ასახავს საქართველოს დღევანდელობას და ამ ქალის ბიოგრაფია ერთგვარად ქართლის დედის მასშტაბით უნდა იყოს სულიერებითა და ტრაგიზმით, სულგრძელობითა და მომავლის იმედით. სცენარი დამთავრებული მაქვს და ვფიქრობ მის კონკურსზე წარდგენას, რათა, გამარჯვების შემთხვევაში, გამოჩნდეს მისი დამდგმელი და სპონსორიც.

ჩვენი საგვარეულო თავისი წარმომავლობით, იმერეთის, კერძოდ, საჩხერის რაიონის სოფელ ჭალის მკვიდრი იყო. ოჯახი გამოირჩეოდა განსაკუთრებული არტისტიზმითა და სტუმართმოყვარეობით. ჩემი ბებია მამის მხრიდან, მარიამ ბარათაშვილი იმ დროისათვის ულამაზესი და განსწავლული ქალი ყოფილა. ის არაჩვეულებრივად მღეროდა და ცეკვავდა. ასევე მღეროდნენ და ცეკვავდნენ მისი ექვსი შვილი და შვილიშვილები. როცა ისინი ერთად შეიკრიბებოდნენ, მათ მოსმენას არაფერი სჯობდა. ჩვენს ოჯახში იკრიბებოდა იმ დროისათ-

ეის საუკეთესო ინტელიგენცია. არაერთხელ ყოფილა თვით აკაკი წერეთელიც. პროფესიონალი მსახიობი მხოლოდ ერთი ბიძა მყაედა, **დავით აბაშიძე**, რუსთაველის თეატრის წამყვანი მსახიობი, რომელმაც 1941 წელს სამამულო ომში მონაწილეობის დროს დაკარგა მარჯვენა ხელი, დაინვალიდდა და სრულიად მოწყდა ხელოვნებას.

ამჟამად ცოცხალი მყავს მხოლოდ ორი მამიდა, ორი ძმა და 4 ძმის შვილიშვილი".

**აბაშიძე მაია გეგენას ასული.** როდესაც 1783 წელს, ომარ ხანმა აიღო ეახანი, ტყვედ ჩაიგდო გეგენა, იგივე ეეგენი, აბაშიძის ორი ასული – ელენე და მაია. ელენე მიათხოვა იბრაიმ-ხან შუშელს, მაია კი თვითონ შეირთო 1785 წელს. **„ომარ ხან მოვიდა, აბასთუმანი სადაცა არის, იქ დადგა, გეგენა აბაშიძის ქალი შეირთო მაია"** *(იესე ოსეს ძის თავგადასავალი. ს. კაკაბაძის გამოც., გვ. 136-137).*

გრიგოლ ორბელიანი იგონებს ამ მაიას შესახებ: **„მე როდესაც ვიყავ ავარიის მმართველად, ვდეგ იმ სახლში, სადაცა ჰსცხოვრებდა მაია, ომარ ხანის ცოლი, ბებიის ჩემის და. ზოგნიერთნი მაიას მსახურნი იყვნენ ისევ ცოცხალნი და მე მემსახურებოდნენ** *(გრ. ორბელიანის შენიშვნა პლ. იოსელიანის „ცხოვრება გიორგი მე-8-ისა". ა.კ. გაწერელიას გამოცემა. გვ. 286).* სინამდვილეში მაია იყო გრიგოლ ორბელიანის ბებიის – **თამარ პაატა აბაშიძის** ასულის ბიძაშვილი – და არა და. გრიგოლის მამა ზურაბი იყო შვილი ნიკოლოზ რევაზის ძე ორბელიანისა და თამარ პაატას ასულ აბაშიძისა. ეს თამარი დაიბადა 1740 წლის 15 თებერვალს და გარდაიცვალა 1804 წლის 4 მარტს. დასაფლავებულია თბილისის სიონში *(მ. ბროსე. რაპპორტს. 5. გვ. 39).*

**„ომარ-ხან დამარცხდა 1801 წ. მცირედის ჯარით მივიდა ზაქათალას და იქ მოკვდა დიდი მწუხარებით. ავარიიდამ მოვიდა აქა მაია სიცილით თავის ქმრის საფლავსა ზედა და აქედამ საქართველოსა"** *(გრ. ორბელიანი. მოგონებები. გვ. 286).*

1803 წ. მაია ცხოვრობდა თავის მამასთან **გეგენა აბაშიძესთან** სოფ. ბეკამში *(აქტები. II. 1803 წ., 7 მე-6-ის მოხსენება მაინოვისა ციციანოვისადმი).* 1803 წ. 23 მე-7-ს მაია აბაშიძეს, ომარ ხანის ქვრივს იმპერატორ ალექსანდრე პირველის ბრძანებით დაენიშნა პენსია 500 მანეთის რაოდენობით *(აქტები. მე-2. 768).*

1818 წ. მაია მისთხოვდა იმერეთის თავადს მერაბ გიორგის ძე წულუკიძეს. ამასთან დაკავშირებით შეუწყვიტეს პენსიის მიცემა 1819 წ. 1 იანვრიდან. 1820 წ. 20 თებერვალს მაია აბაშიძე-წულუკიძე წერს თხოვნას პენსიის განახლების შესახებ. პენსია მას აღუდგინეს *(საქ. ც.ა. ფ.2-8. საქმე 734. ფ. 15).*

მაიას მეორე მეუღლე მერაბ წულუკიძე „გარდამავლობისათვის რჯულთა მთავრობისა მიერ წარიგზავნა ციმბირს". მერაბის ცოლის დის, მაიას უმცროსი და თინათინ, წერეთლის კნეინა 1835 წ. 10 ნოემბერს სთხოვს იმერეთის მმართველის თანამდებობის აღმასრულებელს პოლკოვნიკ სტეფანე ვასილის ძე

ჯიხირეეს. დაუბრუნონ მას მერაბ წულუკიძის გარდაცვლილი მეუღლის ქონება *(საქ. ც. ა. ფ. 226. № 7422). ჟ. ი. მარი აბაშიძე-წულუკიძე გარდაცვლილა 1835 წელს.*



**აბაშიძე მედეა ვარლამის ასული,** გვარიშვილობას ოდითგანვე დიდ ყურადღებაა აქცევდნენ საქართველოში. თავადიშვილთა გვარის წარმომადგენლები მართლაც თითქოს განსხვავდებოდნენ სხვებისგან თავიანთი ქცევით. მიხვრა-მოხვრით. მანერებით და იტყოდნენ კიდეც: „როგორ ეტყობა. რომ ცისფერსისხლიანიაო“.

სწორედ თავისი სილამაზით. გამორჩეული სიარულის მანერით, საქციელით. სისადავითა და სულგრძელობით გამოირჩეოდა ქალბატონი მედეა აბაშიძე. ქალი. რომლისგანაც მართლაც ბევრი რამეს სწავლა შეიძლებოდა.

ქალბატონი მედეა (მედიკო). დაიბადა 1922 წელს ქალაქ თბილისში. დედა **– ლუბა გამყრელიძე, მამა – ვარლამ აბაშიძე, და – მარო (მარუსა), ძმები – გივი (გოგუშა) და ბიძინა.**

ბავშვობის უმეტესი ნაწილი ქალბატონმა მედიკომ სოფელ საჯავახოში გაატარა. საიდანაც იყო წარმოშობით.

ქალთა გიმნაზიის დამთავრების შემდეგ. მედეამ სწავლა გააგრძელა სამედიცინო ტექნიკუმში.

იყო დიდი სამამულო ომის მონაწილე. ტექნიკუმის დამთავრებიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა სამედიცინო დაწესებულებებში. მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში იყო ბაგა-ბაღის გამგე. დაჯილდოებულია მრავალი სიგელითა და ორდენით. იყო პერსონალური პენსიონერი.

1945 წელს დაქორწინდა ბატონ გრიგოლ (გრიშა) ჩლაიძეზე. მედიკოს ბებია იყო მარჯანიშვილის ქალი და. რა თქმა უნდა. თავისი ლამაზი, მომხიბვლელი შვილიშვილისთვის მხოლოდ თავადიშვილური გვარის წარმომადგენელი ეძებდა. როდესაც ბატონი გრიშა მივიდა მედიკოს ბებიის სანახავად. მან თავი დადებულად გააცნო. ბებიამ ახედ-დახედა სასიძოს და უთხრა: „კაი ბიჭი კი ჩანხარ. მაგრამ დადებულიანობის არაფერი გეტყობაო“. – ეს, რა თქმა უნდა. ხუმრობით.

მედიკოს შეეძინა ორი ვაჟი – გივი და ილია (ნუგზარი). იყო არნახული ბებია და მოსიყვარულე დედა.

1998 წლის 11 მარტს ქალბატონი მედეა გარდაიცვალა. ვისაც იგი უნახავს და იცნობდა. მათ დღესაც ახსოვთ მისი რაღაც არაჩვეულებრივად ლამაზი სიარული თავისი მკაცრი სახის გამომეტყველებით.

უმრავლოს ღმერთმა საქართველოს ასეთი ლამაზი, ძლიერი, თავმდაბალი, პატიოსანი. მოსიყვარულე ქალები. უფალს კი შევთხოვოთ, რომ მისმა ლამაზმა სულმა დაიმკვიდროს ადგილი სასუფეველში.

**აბაშიძე მემედ იბრაჰიმის ძე (მემედ ბეგი)** (1873 ბათუმი, – 1941). ქართველი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, პუბლიცისტი, სანჯაყ-ბეგ აბაშიძეთა შთამომავალი. დაწყებითი განათლება მიიღო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის სკოლაში. მამის ხელმძღვანელობით დაეუფლა არაბულ, სპარსულ და თურქულ ენებს. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა მე-20 საუკუნის დასაწყისში. სისტემატურად ბეჭდავდა პუბლიცისტურ წერილებს ქართულ პრესაში. აქტიურად იბრძოდა მუსლიმან ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისა და საქართველოს ერთიანობისათვის, რის გამოც რამდენჯერმე დააპატიმრეს და გადაასახლეს. 1917 წელს დაბრუნდა ბათუმში. ხელმძღვანელობდა ქართველ მუსლიმანთა საქველმოქმედო საზოგადოებას. 1918 წელს პროტესტით შეხვდა აჭარაში შემოსულ თურქებს, რისთვისაც დააპატიმრეს და ტრაპიზონის ციხეში ჩასვეს. საპატიმროდან გაიქცა, ჩამოვიდა თბილისს და სათავეში ჩაუდგა „სამუსლიმანო" საქართველოს გამათავისუფლებელ კომიტეტს. 1919–21 წლებში რედაქტორობდა გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს". იყო საოლქო რევკომის წევრი. მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე. ქართულად თარგმნა ომარ ხაიამის, ნამიკ ქემალის ნაწარმოებები. ავტორია რამდენიმე მოთხრობისა.



**აბაშიძე მურთაზ ალექსანდრესძე**, დაიბადა 1927 წლის 22 აპრილს სარხერის რაიონის სოფელ ჭალაში. 1946 წელს დაამთავრა ამავე სოფლის საშუალო სკოლა, იმავე წელს მოეწყო თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტში. 1948 წელს, მეორე კურსიდან გადავიდა და თბილისის სამხატვრო აკადემიაში კერამიკის ფაკულტეტზე, 1954 წელს აკადემია წარჩინებით დაამთავრა. მუშაობდა გრიბოედოვის სახელმწიფო თეატრში მხატვრად. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის რეკონსტრუქციაზე. მისი ესკიზებით მოიხატა მაყურებელთა დარბაზი. 1956 წლიდან მუშაობს თბილისის საშენ მასალათა კომბინატის კერამიკული საამქროს მთავარ მხატვრად, 1964 წლიდან – კომბინატის მთავარ მხატვრად. ამ წლებიდან მონაწილეობას იღებს რესპუბლიკურ საკავშირო და საერთაშორისო გამოფენებზე (მონრეალი, ტრიპოლი, პარიზი, ლონდონი, ჩეხოსლოვაკია, თურქეთი, ბულგარეთი, ეგვიპტე). მიღებული აქვს საკავშირო მიღწევათა გამოფენის ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები. საფრანგეთიდან ფაენცას მსოფლიო საერთაშორისო გამოფენიდან სამი დიპლომი საუკეთესო ნამუშევრებისათვის, რომლებიც შეტანილ იქნა კატალოგებში (საფრანგეთი). ჟურნალ „ნიანგის" 75 წლის იუბილეზე საქართველოს პრეზიდიუმმა დააჯილდოვა საპატიო ორდენით. ამჟამად მუშაობს ჟურნალ „ნუგეშის" მხატვარ-რედაქტორად. არის ჟურნალ „ნიანგის" სარედაქციო კოლეგიის წევრი. გამოცემული აქვს ორი წიგნი: „100 ღიმილი" (1978 წ.). და კარიკატურების წიგნი მოსკოვში (*გამომც. „კრასნი ხუდოჟნიკ"*).

ხბოსავით გულის პატრონი, გულუბრყვილო, პატიოსანი და მოწესრიგებუ-

ლი, უზომოდ ნიჭიერი. მისი სატირა წვდება ყველა მანკიერებისა და ნაკლოვანების მხილებას, რომელიც ესოდენ დაუგროვდა ქვეყანასა და საზოგადოებრიობას. ბატონი მურთაზ აბაშიძე საქართველოს დამსახურებული მხატვარია და დღესაც იღვწის საკუთარი პროფესიის პოზიციებიდან.



**აბაშიძე ნარგიზ იბრაიმის ასული,** დაიბადა 1944 წლის 18 მარტს. დედა – **შესტერ ჰაიდარის ასული ბეჟანიძე,** მამა – **იბრაიმ მემედის ძე აბაშიძე,** მეუღლე – **თეიმურაზ დავითის ძე კომახიძე,** დაბ. 1937 წელს. **ძმა ასლან აბაშიძე.**

შვილები: **არჩილი, ხათუნა, დავითი,**

შვილიშვილები: **მამია არჩილის ძე კომახიძე, თინათინ არჩილის ასული კომახიძე.**

არის სრულიად საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოება „მამულიშვილის" ვიცე-პრეზიდენტი. სავაჭრო ცენტრ „ბათუმის" მეთვალყურეთა საბჭოს თავმჯდომარე.

მეუღლესთან ერთად გამოსცა სამი წიგნი: „აჭარელი ქალები", „იბრაიმ აბაშიძე და მისი ეთნოგრაფიული ჩანაწერები", „ეპიზოდები ჩვენი შემოქმედებითი მოღვაწეობიდან".

რუსულიდან ქართულ ენაზე თარგმნა „ბიბლია ყრმათათვის".

მის მიერ აღდგენილია ჭიათურის რაიონის სოფ. კაცხის მართლმადიდებლური ეკლესია, ზესტაფონის რაიონში, უბისის მონასტერში მორჩილებისთვის ააშენა და კეთილმოაწყო კელიები. ორივე ეკლესიას დღესაც უწევს თანადგომას და დახმარებას.

მეუღლესთან ერთად ზემო აჭარაში, კერძოდ, დაბა ხულოში დააარსა სამხატვრო გალერეა და სამხატვრო სკოლა.

მეუღლესთან ერთად, სოფელ სხალთაში აღადგინა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის შ. ხიმშიაშვილის დანგრევის პირას მისული სახლი, სადაც მისივე სახელობის სახლ-მუზეუმი გაიხსნა, გააკეთა ბიბლიოთეკა, რომელსაც საჩუქრად გადასცა 2000 წიგნი.

მეუღლესთან ერთად აღადგინა და მოაწესრიგა შ. ხიმშიაშვილის დედის დუდუ ხანუმ ბეჟანიძის სახლი სოფ. ნიგაზეულში.

მიმდინარე წელს სოფელ ბაკო-ბაკოში ხიხანის ისტორიულ ძეგლამდე გაიყვანა 3 კმ სამანქანო გზა და 1400-მეტრიანი ბილიკი. მიმდინარე წელს ააშენა დაწყებითი სკოლა, რომელიც 1 სექტემბერს გაიხსნა. ჩამოაყალიბა ქალთა ვოკალური ანსამბლი „ბათუმი".

არჩეულია ჭიათურის, დაბა ხულოს, ხელვაჩაურის რაიონის საპატიო მოქალაქედ. მიღებული აქვს ფ. ნანსენის საერთაშორისო პრემია და აბუსერისძე ტბელის სახელმწიფო პრემია.

**აბაშიძე ნიკოლოზ როსტომის ძე – ფინეზიშვილი,** შორაპნის მაზრის მე-

მამულე. 1819–20 წლების აჯანყებაში იღებდა ცხოველ მონაწილეობას. ცხოვრობდა თავის მამულში, მოლითსა და სურამის საგუშაგოთა შორის. ამ ადგილებს სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა იმ დროს. მეტად უკმაყოფილო იყო რუსეთის მმართველობისა საქართველოში. განსაკუთრებით იმიტომ, რომ მას ჩამოართვეს დასახლებული სოფლები, რომლებიც ვერასგზით უკან ვერ დაიბრუნა. ჰქონდა კავშირი ახალციხესა და ალექსანდრე ბატონიშვილთან, რომელიც მას სწადდა, იმერეთში მეფედ გამოეცხადებინა. 1819 წლის სექტემბერში ფარულად გაემგზავრა ახალციხის ფაშასთან იმერეთისათვის სამხედრო ძალების დახმარების სათხოვნელად. იმავე წლის ნოემბერში მან იქიდან ჩამოიტანა ექვსი საპალნე ტყვია–წამალი მეამბოხეთათვის დასარიგებლად. იგი ივანე და დავით აბაშიძეებთან ერთად საიდუმლო მიმოწერას ეწეოდა ოსმალეთის მთავრობასთან. 1820 წელს იყო იმ თერთმეტი პირის რიცხვში, რომელთა ანაზდეულ დაპატიმრებასა და რუსეთს გადასახლებას აპირებდა რუსეთის მთავრობა, მაგრამ აბაშიძე დაუსხლტა ხელიდან და თავი შეაფარა გურიაში. აქ მონაწილეობა მიიღო პოლკოვნიკ პუზირევსკის მკვლელობაში, რის შემდეგ გაიხიზნა ახალციხეს.

ერმოლოვის ბრძანებით, აბაშიძე გამოაცხადეს სახელმწიფო მოღალატედ, მამული ჩამოართვეს, ოჯახი დააპატიმრეს და რუსეთში გადაასახლეს. მისი მცირეწლოვანი შვილები დავითი და როსტომი აღსაზრდელად გაგზავნეს რუსეთს, შემდეგ ისინი ერევნის გრენადერთა ლეგიონში მსახურობდნენ და ორივენი სამსახურიდან გამოვიდნენ გენერალ–მაიორის ჩინით.

**აბაშიძე ნიკოლოზ (კოკი)** – შესანიშნავი მამულიშვილი და თავისი საქმის ჩინებული ოსტატი, ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს უშწიკვლოდ და დაუზარებლად ემსახურებოდა მშენებლობის საქმეს და თავისი მოღვაწეობით, ქმედებითა და მიღწეულით, მართლაც რომ წარუშლელი კვალი დატოვა ამქვეყნად.

მან, როგორც მშენებელმა, ჯერ კიდევ ოციანი წლების ბოლოს მიიქცია საერთო ყურადღება.

კოკი აბაშიძემ 1929 წელს წარმატებით დაამთავრა ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმი. ახალბედა და ახალგაზრდა სპეციალისტს მიანდეს მწვანე კონცხის რკინიგზის გვირაბის გაფართოების სარეკონსტრუქციო სამუშაოები. მაშინ მას ის–ის იყო, შეუსრულდა 18 წელი.

ახალგაზრდა კოკი აბაშიძე ოდნავადაც არ შეუშინდა მინდობილი საქმის სირთულეს და ენერგიულად შეუდგა მუშაობას, მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება ჩააქსოვა ამ საქმეში.

დიდმა სურვილმა და მონდომებამ თავისი გაიტანა და კოკი აბაშიძემ კარგად გაართვა მინდობილ საქმეს თავი.

ეს იყო მისი პირველი გამარჯვება

იქიდან მოყოლებული, კოკი აბაშიძის ხელმძღვანელობითა და ძალისხმევით

აიგო ისეთი ღირსშესანიშნავი ობიექტები, როგორებიც გახლდათ: ბეჭდვითი სიტყვის სახლი (გაზეთ „აჭარისა“ და „ადჟარიას“ რედაქციების შენობა) მემედ აბაშიძის გამზირზე (პროექტის ავტორები ნ. აბაშიძე და ო. ლომჯარია), ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობა, საზაფხულო თეატრის შენობა კულტურისა და დასვენების ზღვისპირა პარკში, ლიმონარიუმის ნაგებობა ციხისძირში და მრავალი სხვა, რომლებმაც შორს გაუთქვეს სახელი და ნამდვილ შემოქმედებით გამარჯვებას აზიარეს.

1943 წლიდან მოყოლებული, კოკი აბაშიძე მთელი ათი წლის განმავლობაში წარმატებით და უნარიანად ხელმძღვანელობდა სხვადასხვა სამშენებლო ორგანიზაციას, გახლდათ აჭარის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სამშენებლო სამმართველოს უფროსი, ტრესტ „ბათუმმშენის“ მმართველი, „საქსოფლმშენის“ ბათუმის სამმართველოს უფროსი.

1953 წელს აჭარის კომუნალური მეურნეობის სამინისტროს არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს უფროსის შერჩევის საკითხი იქნა დასმული, ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი ბატონ ნიკოლოზ აბაშიძის კანდიდატურას და იგი დაინიშნა კიდევაც ამ სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე.

1966 წლიდან ნიკოლოზ აბაშიძე ინიშნება აჭარის მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს უფროსად, ხოლო 1971 წლის ივლისიდან გარდაცვალებამდე გახლდათ აჭარის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის (სახლმშენი) თავმჯდომარე.

მოყოლებული 1953 წლიდან, მთელი 27 წლის მანძილზე ნიკოლოზ აბაშიძე უცვლელად ხელმძღვანელობდა აჭარაში მშენებლობის საქმეს და, ამავდროულად, ყოველთვის სათანადო სიმაღლეზე იდგა.

კოკი აბაშიძე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას ჩინებულად უთავსებდა შემოქმედებით მუშაობას. იგი იყო ქართული არქიტექტურის თვალსაჩინო წარმომადგენელი. მისი ავტორობითა თუ თანაავტორობით აჭარაში აიგო ისეთი ღირსშესანიშნავი ობიექტები, როგორებიცაა: ბათუმის დახურული საკოლმეურნეო ბაზარი, კინოთეატრი „თბილისი“, რესტორნები: „სპორტი“, „ციხისძირი“, „სალხინო“ (გიორგი ცენტერაძის თანამშრომლობით), ბათუმის დელფინარიუმის სადემონსტრაციო შენობა (დუგლას ზამთარაძესთან ერთად), მოახდინა ბათუმის ცენტრალური სტადიონის რეკონსტრუქცია და ასე შემდეგ.

კოკი აბაშიძე გახლდათ რიგი პროექტების ავტორი, რომლებიც, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვერ იქნა განხორციელებული, მაგალითად – სანატორიუმ „ქობულეთის“ მაღლივი კომპლექსი ქობულეთში და სხვა.

მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება. იგი მთელი მეოთხედი საუკუნე – 27 წლის განმავლობაში, აქტიურად მონაწილეობდა აჭარის ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების დაგეგმარება–რეკონსტრუქციების გენერალური და დეტალური პროექტების დამუშა–

ებაში. მის მიერ შესრულებული პროექტები ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი გემოვნებითა და საქმის ცოდნით. იგი ჩინებულად უხამებდა და უსადაგებდა ერთმანეთს თანამედროვე არქიტექტურასა და ინდუსტრიული წესით მშენებლობის წარმოების მოთხოვნებს. სწორედ ამიტომაც იყო, რომ მისი პროექტები ყოველთვის ახლებურად გახლდათ გააზრებული და სპეციალისტთა. ამ საქმის მცოდნეთა დიდ მოწონებას იმსახურებდა.

ხშირი იყო შემთხვევა, რომ კოკი აბაშიძე პროექტებს ახალგაზრდა ადგილობრივ არქიტექტორებთან ერთად ადგენდა, რაც, თავისთავად ცხადია, მათზე. ამ ახალგაზრდა არქიტექტორებზე მეტად დადებით გავლენას ახდენდა და დიდად ეხმარებოდა მათ შემდგომ დაოსტატება-დასპეციალებაში.

ჩვენი ამ განაცხადისა თუ ფაქტის ერთ-ერთ მაგალითად თამამად შეიძლება დავასახელოთ ბათუმის დელფინარიუმის შენობა, რომელიც მან ახალგაზრდა, ნიჭიერ და პერსპექტიულ, საკმაოდ ცნობილ არქიტექტორთან – დუგლას ზამთარაძესთან ერთად შეასრულა.

შენობა მეტად გემოვნებით და მოხერხებულად არის შერწყმული გარემოსთან – ზღვასთან, ტბასთან, პარკთან და საყოველთაო მოწონებასაც დამსახურებულად იმსახურებს. მისი, როგორც ჩინებული მშენებლის სადიდებლად და წარმოსაჩენად მარტო ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაც კმარა!

ბათუმის ამ ერთ-ერთი საუკეთესო და წარმოსაჩენი შენობის აგება კოკი აბაშიძემ ძველი ტექნიკური აღჭურვილობის პირობებში, სრულიად ახალგაზრდამ დაიწყო და ჩინებულადაც დაასრულა იგი. ბათუმის დრამატული თეატრისა და სასტუმრო „ინტურისტის“ შენობები იმ დროისათვის აგებულ შენობათა შორის საუკეთესოდ ითვლება დღესაც.

ნიკოლოზ აბაშიძე დიდ პრაქტიკულ დახმარებას უწევდა ბათუმში მომუშავე ახალგაზრდა მშენებლებსა და არქიტექტორებს, რომლებმაც სწორედ მისი მეოხებით და დახმარებით შეიყვარეს ეს დარგი, მიუხედავად იმ დიდი სიძნელეებისა, სირთულისა და პასუხისმგებლობისა, რომელიც ამ დარგს ახლდა და ახლავს ამჟამადაც.

ნიკოლოზ აბაშიძის დახმარება და წამოშველება ახალგაზრდების მიმართ მარტოოდენ პრაქტიკული მუშაობით როდი ამოიწურებოდა. ამავდროულად, იგი თეორიულადაც ბევრს აძლევდა ახალგაზრდობას საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბათუმის დაუსწრებელი საკონსულტაციო პუნქტის ჩამოყალიბების (1951) დღიდან.

1961 წლამდე კოკი აბაშიძე აქ კითხულობდა არქიტექტურის კურსს. ახალგაზრდებს უანგაროდ და დაუზარებლად უზიარებდა თავის მდიდარ გამოცდილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულმა და კიდევ ბევრმა სხვამ განაპირობა ის სამგლოვიარო განწყობილება, რომელიც ასე აშკარად შეიმჩნეოდა აჭარის დედაქა-

ლაქ ბათუმში 1980 წლის იანვარში, როდესაც ქალაქის საზოგადოებრიობა და საქართველოს მოწინავე მშენებელთა და არქიტექტორთა წარმომადგენლები ეთხოვებოდნენ ნიკოლოზ (კოკი) აბაშიძეს.

კოკი აბაშიძის, ამ ცნობილი, პოპულარული მშენებლის მოღვაწეობა არ განისაზღვრებოდა მარტო თავისი სამსახურებრივი მოვალეობის პირნათლად შესრულებით, ან კიდევ შემოქმედებითი მუშაობით. ამავდროულად, კოკი აბაშიძე ეწეოდა თვალსაჩინო საზოგადოებრივ საქმიანობასაც, იგი რამდენჯერმე გახლდათ არჩეული საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო და ბათუმის საქალაქო კომიტეტის წევრად, ხოლო 1963–1971 წლებში – აჭარის VI და VII მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, იგი გახლდათ ბათუმის საქალაქო საბჭოს რამდენიმე მოწვევის დეპუტატი.

1971 წლიდან გარდაცვალებამდე კოკი აბაშიძე მუშაობდა სსრ კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების აჭარის განყოფილების გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ, იყო სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის IV, V და VI ყრილობების დელეგატი.

ნიკოლოზ (კოკი) აბაშიძე გახლდათ უდავოდ დიდი სპეციალისტი, თავისი საქმის მცოდნე და უზომოდ მოყვარული, დიდი პატრიოტი თავისი ქვეყნისა, კაცური კაცი, დიდი მეგობარი.

ბათუმის მერიის გადაწყვეტილების საფუძველზე, საიათნოვას ქუჩაზე მდებარე №10 სახლის ფასადზე, სადაც ცხოვრობდა ნიკოლოზ (კოკი) აბაშიძე, გაკრულია მემორიალური დაფა შემდეგი წარწერით: *„ამ სახლში 1910–1980 წლებში ცხოვრობდა ცნობილი ხუროთმოძღვარი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი კოკი აბაშიძე“.*

**აბაშიძე როსტომ ომერის ძე** (დ. 23.02. 1935, ბათუმი), ქართველი სპორტსმენი (კლასიკური ჭიდაობა). დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიოს სამგზის, სსრკ სამგზისა და ახალგაზრდობის მესამე საერთაშორისო მეგობრულ სპორტულ თამაშობათა ჩემპიონი. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

**აბაშიძე რუსუდან იასონის ასული**, დაიბადა 1931 წლის 15 ივნისს. ქვარლის რაიონის სოფელ შილდის საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლის გასაგრძელებლად თბილისის სამედიცინო ინსტიტუტს მიაშურა, მაგრამ მალევე გათხოვდა და მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება შვილების აღზრდას მიუძღვნა.

რუსუდან აბაშიძე გახლდათ ცნობილი ქართველი მეცენატის ოქროს ფონდის შექმნის იდეის ავტორი, ვ. გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერის – დავით ჭუმბურიძის მეუღლე. მან სამი ღირსეული შვილი აღუზარდა სამშობლოს. უფროსი ვაჟი ზურაბი და სიძე ბადრი არეშიძე გმირულად იბრძოდნენ საქართველოს მთლიანობისათვის აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, მეორე ვაჟი, ბე–

სარიონი – მხატვარი-დიზაინერია, ხოლო ქალიშვილი, ნინო – ექიმი.

რუსუდან აბაშიძე სილამაზით, ჭკუა-გონებითა და სიდარბაისლით გამორჩეული ქალბატონი გახლდათ.

გარდაიცვალა 1991 წელს.

**აბაშიძე სამსონ ივანეს ძე** (1835–1894), ქართველი პუბლიცისტი, კრიტიკოსი. დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია. მსახურობდა ალექსანდრე II-ის სამხედრო ამალაში (კონვოიში). იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის თავისუფალი მსმენელი. იქვე დაუახლოვდა მომავალ „თერგდალეულებს". ქართველ სამოციანელთა შეხედულებების დასაცავად „ცისკარში" დაბეჭდა ცნობილი წერილი „თერგდალეულის" ფსევდონიმით (1862). მისი კრიტიკული, პუბლიცისტური და სატირული თხზულებები იბეჭდებოდა „ცისკარსა" და „საქართველოს მოამბეში".

**აბაშიძე ტასო (ანასტასია) ვასილის ასული** (17.03.1881, თბილისი – 15.09.1958, იქვე), მსახიობი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი. ვასო აბაშიძისა და მაკო საფაროვა-აბაშიძის ქალიშვილი. პროფესიული განათლება პარიზში ედ. შავანიას მუს. და დეკლამაციის სასწავლებელში მიიღო. სადებიუტო როლი 1899 წელს ითამაშა (მაშო, აზიანის „ფული და ხარისხი") და თბილისის დრამატულ დასში ჩაირიცხა. 1921–25 წლებში რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში მოღვაწეობდა. 1926–27 წლებში – ჭიათურის თეატრში, 1933–48 წლებში – მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. განასახიერა ასამდე როლი.

**აბაშიძე ქაიხოსრო** (?–1810), იყო სიძე იმერეთის მეფის **სოლომონ I**-სა, ცოლად ჰყავდა მისი შვილი **დარეჯანი** (იხ. აბაშიძე დარეჯან). 1789 წელს, როგორც აბაშიძემ განუცხადა მთავარმართებელ ციციანოვს, რატომღაც დაიმსახურა სოლომონ II-ის რისხვა, რომელმაც მას ჩამოართვა მამაპაპეული მამული. ამის გამო გაიხიზნა ოსმალეთში, სადაც მას სულთანმა მუსტაფამ, ხოლო შემდეგ სულთანმა ჰამიდმა დაუნიშნეს პენსია. შემდეგ ის დაბრუნდა საქართველოში, ვინაიდან იმერეთის მეფემ სოლომონ II-მ აღუთქვა მას ყველაფრის უკან დაბრუნება. 1810 წელს აბაშიძე მეთაურობდა რუსეთის საწინააღმდეგო მოძრაობას. მისი მამული – ზემო საქარა წარმოადგენთა მეამბოხეთა თავშესაფარს. ქაიხოსრო აბაშიძემ შეკრიბა ორი ათასამდე



კაცი, მდ. ყვირილას ხეობაში, თავისი ხარებით დაიჭირა აქ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილები და ამით გადაჭრა გზა თბილისსა და ქუთაისს შორის, რაც მეტად დიდ ხიფათს უქმნიდა დასავლეთ საქართველოში მყოფ რუსის ჯარებს. ჰქონდა რამდენიმე შეტაკება რუსის ჯართან, ერთ-ერთი ასეთი

შეტაკების დროს მოკლეს 1810 წლის 26 ივლისს ცხრაწყაროს ეკლესიის ნანგრევების მახლობლად. ამ ბრძოლაში დაიღუპა მისი სამი ვაჟი – **როსტომ, გიორგი და სიმონი.**

**აბაშიძე ქაიხოსრო ლევანის ძე** (?–1804) – „ქაიხოსრო აბაშიძე რომ არის, ლევანის შვილი, ისიც რომ აღარ იყოს იქ იმერეთში, ისი სჯობს, თუ ენდობით, და თუ ვერ ენდობით, უნდო კაცი შორსა სჯობს, ვინემ ახლოს ყოფნას". – გარსევან ჭავჭავაძე – ირაკლის. *საისტორიო მოამბე, 1925, I, გვ. 235–36.*

აბაშიძე ქაიხოსრო, ძე ლევანისა, სახელოვნად აღმოჩნდა ყიზილბაშებთან ბრძოლაში და მოკლეს 1804 წ. ივნისში.

*შ–1185, ხელნაწერთა აღწერილობა, შ. III, გვ. 143, შენ. 3).*



**აბაშიძე შალვა ოსმანის ძე** დაიბადა 1946 წლის 22 ივნისს. მშობლები: მამა – **აბაშიძე ოსმანი** გარდაიცვალა 2000 წელს, დედა – **ირემაძე-აბაშიძე ფესიკო** გარდაიცვალა 1990 წელს. მეუღლე – **ბერიძე-აბაშიძე ელმას მევლუდის ასული,** დაბ. 1945 წელს.

ჰყავს შვილები: **თემური,** დაბ. 1964 წელს, **მიხეილი,** დაბ. 1966 წელს, პედაგოგი, **მაყვალა აბაშიძე-ტეტემაძე,** დაბ. 1967 წელს, **დავითი,** დაბ. 1970 წელს, სტუდენტი, **მარინე,** დაბ. 1979 წელს, ფარმაკოლოგი.

შვილიშვილები: **აბაშიძე მირზა თემურის ძე,** პოლიციის აკადემიის მე–2 კურსის სტუდენტი, **აბაშიძე მირიან თემურის ძე** – მოსწავლე, **აბაშიძე გიორგი მიხეილის ძე,** მოსწავლე, **აბაშიძე დიანა მიხეილის ასული,** მცირეწლოვანი, **ტეტემაძე ლაშა ქემალის ძე,** მოსწავლე, **ტეტემაძე თეკლე ქემალის ასული,** მოსწავლე, **ტეტემაძე როსტომ ქემალის ძე,** მოსწავლე, **აბაშიძე შალვა დავითის ძე,** მოსწავლე, **აბაშიძე ქეთევან დავითის ასული,** მოსწავლე.

შალვა აბაშიძემ 1972 წელს დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილება საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლის სპეციალობით.

1967–1970 წლებში მუშაობდა ცხმორისის კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივნად, არჩეული იყო საქართველოს ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტის წევრად, საქართველოს ალკკ XXVIII ყრილობის დელეგატად.

1970–74 წლებში მუშაობდა ცხმორისის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლად.

1974–79 წლებში მუშაობდა ცხმორისის გაერთიანებული კოლმეურნეობის გათავისუფლებული პარტიული კომიტეტის მდივნად. რამდენიმეჯერ არჩეული იყო რაიონული საბჭოს დეპუტატად და რაიონული კომიტეტის წევრად, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრად, საქართველოს კპ XXVIII ყრილობის დელეგატად.

1979–1990 წლებში არჩეული იყო ცხმორისის კოლმეურნეობის გამგეობის

თავმჯდომარედ. თავმჯდომარედ მუშაობის პერიოდში კოლმეურნეობა ორჯერ გახდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საქართველოს მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირებისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის მფლობელი. კოლმეურნეობის შემოსავლებმა 1,6 მილიონს გადააჭარბა. მისი მუშაობის დროს აიგო კოლმეურნეობაში სამი საშუალო სკოლა, ორი ბაგა-ბაღი, კლუბ-კანტორა, სოფელ ახოს წყალსადენი, გაიყვანეს 30 კმ სამანქანე გზა.

1990-91 წლებში მუშაობდა აჭარის სოფლის მეურნეობის პროფკავშირების საოლქო საბჭოს ინსტრუქტორად.

1994 წლიდან დღემდე მუშაობს შპს სავაჭრო ცენტრ „ბათუმის" დირექტორად.

უყვარს სამშობლო, სიმართლე და ერთგულება.

**აბაშიძე ჯემალ ომერის ძე,** ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა ბათუმში 1946 წლის 23 მაისს.

მშობლები: **ნიგარ ხალვაში, ომერ აბაშიძე.** მეუღლე **ლიანა ნიჟარაძე.** შვილები: **რუსუდანი, მერაბი, როსტომი.**

დაამთავრა სპი-ს სამთო მექანიკის ფაკულტეტი (1969). სხვადასხვა დროს იყო რ/გ „აჭარსოფლტექნიკის" ინჟინერი, თბილისის №5 სამშენებლო სამონტაჟო სამმართველოს მშენებელი ოსტატი, სამშენებლო და სხვა ორგანიზაციების თანამშრომელი, №8 საგზაო სარემონტო სამშენებლო სამმართველოს უფროსი, აჭარის ა/რ საგზაო ფონდის განყოფილების უფროსი.

ხელვაჩაურის რ-ნის გამგებელია 1999 წლიდან.

**აბაშიძე ჰაიდარ ალის ძე** (15.8.1893, ბათუმი – 3.17.1966, თბილისი), ქართველი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, პედაგოგი, სანჯაყ-ბეგ აბაშიძეთა შთამომავალი.

სწავლა დაიწყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის სკოლაში. 1905-8 წლებში სწავლობდა ოსმალეთში, შემდეგ დაბრუნდა ბათუმში და დაამთავრა საქალაქო სასწავლებელი.

აქვეყნებდა წერილებს ქართულ პრესაში სამხრეთ საქართველოსა და აჭარის მდგომარეობის შესახებ. ოსმალთა მიერ ძალით გამაჰმადიანებულ ქართველებში აღვიძებდა ეროვნულ თვითშეგნებას, ილაშქრებდა პანთურქიზმისა და პანისლამიზმის წინააღმდეგ. პირველი მსოფლიო ომის დროს ხალხს განუმარტავდა ომის ნამდვილ მიზნებს. მისი ინიციატივით აჭარაში გაიხსნა ქართული სკოლები. 1916 წელს აჭარიდან გაასახლეს. 1918-20 წლებში იყო სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის აქტიური წევრი. მოითხოვდა მემამულური მიწათმფლობელობის ლიკვიდაციას და გლეხებისთვის მიწის უსასყიდლოდ გადაცემას.

# აბაშიძეთა ღირსეული წინაპრები



იბრაიმ, ჰასან, ჰუსეინ, მემედ, მამუდ, ზია და რიზა აბაშიძეები



ომერი, სალიხი, კადირი, ჰაიდარი, ოსმანი, იუსუფი.

# დანართი

ქართულ ისტორიულ წყაროებში მოიხსენიებიან შემდეგი პირები

**აბაშიძე აბაშ** – მოწმე ალექსანდრე მეფის მიერ სიაოშ ფალავანდიშვილისათვის მიცემული ოქონის წყალობის წიგნისა (1488 წ.).

**აბაშიძე გიორგი** – 1544–45 წ.წ. დამწერი ბაგრატ მეფის შეწირულების წიგნებისა: ნიკორწმინდის ეკლესიისადმი (1544), გელათისადმი (1545). წყალობის წიგნისა იევანე ცირლილაძისადმი (1545).

**აბაშიძე – გენათელი.** გიორგი მეფემ იგი გენათელად დასვა და ჯვარისმტვირთველად მიაბარა საყდრის დეკანოზი კლდიაშვილ-შალიკაშვილი (1563–1564).

**აბაშიძე ესტატე** – სვიმონ მეფის კარის მდივან-მწიგნობარი (1586–1591). დამწერი სვიმონ მეფის მიერ გაცემული შემდეგი საბუთებისა: სოფლისა და მონასტრის შეწირულების წიგნისა დმანისის ღმრთისმშობლისადმი (1588), სოფელ ჯანაზიანის წყალობის წიგნისა ოთამ ბარათაშვილისადმი (1586). როინ ჯავახიშვილის ნაქონი მამულის წყალობის წიგნისა ჯიმშერ ჯავახიშვილისადმი (1586), სოფელ წავკისის წყალობის წიგნისა ზაქარია ციციშვილისადმი, თავაქალაშვილების ნაქონი მამულის შეწირულების წიგნისა გორიჯვრის წმინდა გიორგის ეკლესიისადმი (1590), მაისურ ჯავახიშვილის მიერ სახლთუხუცეს ზურაბისათვის მიცემული სოფლების ნასყიდობის წიგნისა. გიორგი ბატონიშვილის მიერ ხვეიჯვრის წმინდა გიორგის ეკლესიისათვის ბოძებული ყმების შეწირულების განახლების წიგნისა (1591). გირშელ რამადანისშვილის მიერ გიორგი ტურაშვილისათვის მიცემული მამულის გაცვლილობის წიგნისა (1612).

**აბაშიძე პაატა** (1634–46) – აყრია ყმა გასპარა და თბილისში ჩამოსულა. მეფემ ისევ მას დაუბრუნა ეს ყმა, მაგრამ ეს უკანასკნელი ქალაქის მოურავე მანუჩარს შეხიზვნია. ამიტომ მან მანუჩარს მიჰყიდა იგი და მისი ძმა თავეთავიანთი ცოლ-შვილითა და მამულით (1634 წ. შუახანები). მოწმე გივი ამილახორის მიერ ქალაქის მოურავე მანუჩარისათვის მიცემული ყმის ნასყიდობის წიგნისა (1646); არჩილ ბატონიშვილის მიერ მისთვის მიბარებულ მძევლებს. ხახუტა და გიგანა შარიქაძეებს, თავმდებად დაუდგნენ იორდანე და გოგია მჭედლიშვილები და სხვანი (მე–17 ს–ის პირველი ნახევარი).

**აბაშიძე** – მისი სახლთუხუცესი იყო თამაზა სავანელი, მე–17 ს–ის მეორე ნახევარი.

**აბაშიძე სეხნია** – პყავს შვილი გიორგი, მიჰყიდა როსაბ მაჭავარიანს რამაზა ქათმისშვილისეული ადგილი (მე–17 ს–ის მეორე ნახევარი).

**აბაშიძე ფინეზ** – შვილი გიორგი აბაშიძისა.

**აბაშიძე პაატა** (1604–27) – შვილი გულბუდან ჩხეტიძისა. ის მის შვილად იწოდება კაცხის მონასტრის წინამძღვარი ევდემონ წერეთელი, მისი და ევდე–

მონის თხოვნით. გიორგი მეფემ კაცხის მონასტერს შესწირა ნაჟარძეთის მამუკა ამაშუკელის კრძი გლეხი და პარტახტი, დამწერი გიორგი მეფის მიერ გელათის მონასტრისათვის ბოძებული სააღაპე შეწირულების წიგნისა (1604). მოწმე გიორგი მეფის მიერ იერუსალიმის ჯვრის მონასტრისათვის მიცემული ყმა-მამულის შეწირულების განახლების წიგნისა (1619). მის სააღაპედ გულბუდას ჩხეტიძემ კაცხის მონასტერს უბოძა შეწირულობა (1610–30).

**აბაშიძე ლონანა** – (ვარ. ლონენე) – ძია პაატა აბაშიძისა, იხ. მოწმე ზაქარია ჯავახიშვილის მიერ გიორგი საკაძისათვის მიცემული შეყრილობის წიგნისა (1624).

**აბაშიძე გიორგი** – დამწერი პაატა აბაშიძის მიერ მეითარ მანუჩარისათვის მიცემული ყმების ნასყიდობის წიგნისა (1634).

**აბაშიძე ბერი** – მისგან ნაყიდი ბერუკა გოჩიძე შვილით დომენტი კათალიკოსმა უწყალობა ხუდადა ხოჯაშვილს (1660).

**აბაშიძე ბაადურ** – მოწმე ზაალ წერეთლის მიერ ქაიხოსრო წერეთლისათვის მიცემული ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნისა (1680).

**აბაშიძე ბეჟან** – ეხმარებოდა პაატა აბაშიძეს როსტომ მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბასანა ჩხეიძესთან ერთად საომრად დახვდა ბეჟან საგინაშვილს, რომელმაც ბანანა ჩხეიძეს თავი მოჰკვეთა, ხოლო იგი დაატყვევა და მეფეს მიჰგვარა. ეს ამბავი მოთხრობილია როსტომ მეფის მიერ ბეჟან საგინაშვილისათვის (1638) და ნაზარალი ხანის მიერ ფარემუზა საგინაშვილისათვის (1689) ბოძებული თარხნობის წიგნებში.

**აბაშიძე გოგია** – ერთგულების პირობა მისცა სარდალ ქველ წერეთელს, რომელსაც არჩილ მეფემ უწყალობა მისი თავი (1661–1663 წ.წ.).

**აბაშიძე – მთაფალეველი.** მის მამულებსა და საუფლისწულოს მიწებს შორის მდებარე საფალავანდიშვილო სანადირო მთა უწყალობა ბაგრატ ქაიხოსრო წერეთელს (1680 წ.).

**აბაშიძე** – დატყვევებულ გიორგი ფალავანდიშვილს მისი შუამდგომლობით ქაიხოსრო წერეთელმა შეუმცირა გამოსასყიდ ფასში მისაცემი ყმა-მამული (1680 წლის ახლო).

**აბაშიძე** – მისი მოწმობით გიორგი იაშვილმა ქაიხოსრო წერეთელს მიჰყიდა არგვეთს ხუცესი შიო ტაბატაძე და კაცია ოჯახებითა და მამულით (1680 წლის ახლო).

**აბაშიძე** – სვიმონ მეფის მიერ მამია გურიელისათვის ბოძებულ საფიცრის წიგნში ნათქვამია, რომ სვიმონის მამა ალექსანდრე აბაშიძეს და იმერლებს მოუკლავთ (1698–1701 წ.წ.).

**აბაშიძე გიორგი** – ჰყავს მამა მამუკა, ბიძა ლაბუა, ალექსანდრე მეფემ მას უწყალობა ბიძამისის, ლაბუა აბაშიძის წილი ყმა-მამული, ჭარტალი და ელაზნაური ათი კომლი გლეხითა და აზნაურიშვილებით (1683–95).

**აბაშიძე ვახუშტი** – შესწირა თავის სამკვიდრებელ კაცხის მონასტერს ნაყიდი ყმა-მამული ცელისტარასშვილისაგან ნაყიდი ვენახი და ადგილი მემკვიდრისათვის, საძროხედ ზეთშთელისა და თაყასაგან ნაყიდი რომანაული პირტახტი, რომელსაც მხოლოდ ღვინის ბეგარა ედვა, ღვერეს სასახლე, საზაფხულო სასახლე ხემალალს, საყდრის ყმას ევალებოდა: ზვრის სამუშაოზე ოთხი დღე მუშაობა, მილებული ღვინის მეოთხედის ოდენი სხვა ღვინო უნდა ეძლიათ მეზვრისათვის, ამილბართულზე უნდა გამოეღოთ: ერთი ლიტრა სანთელი, ერთი ცხვარი, ერთი ლიტრა მარილი, გლეხი ორად – გრიგოლასეული დამწავეისეული, ორად – გუვეელები, ანაურისშვილი და დათვიასეული, ერთად – მუგრევანაული მისი სამოსახლოთი, ორად – ბაბლიური და კილაური, ორად – ნუკრიაული, რვად – ზასთან ღუვერკი, ოთხად – ღვინაური, მამითური, ბელებაძე და მახნიაშვილები ერთად.

**აბაშიძე მელქისედეკ** – გელათის ღმრთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარი, ნასყიდა ბანცაძემ მისცა მას პირობა, რომ მონასტერს არ მოუშლიდა ბეგარას მთიხლარაში დასთვევაძისაგან ბეგარიანად ნაყიდი მამულიდან. ეს ბეგარაა: ხუთი თეთრი, ერთი ნაოთხალი ღომი და ორი ათიანი ღვინო. გარდა ძღვენისა, შეპპირდა აგრეთვე, რომ თუ ბანცაძე ან მისი შთამომავლობა ბეგარას ვერ გადაიხდიდა, „უსარჩლელად მამული უნდა დაედო".

**აბაშიძე პაატა** – გენათელ ზაქარია ქვარიანის მიერ გელათის ხახულის ღმრთისმშობლისათვის მიცემული ყმა-მამულის შეწირულების წიგნის თანახმად, ზაქარია ქვარიანს მამამისის სამკვიდრო მამული გეგუთს მისთვის მიუცია, სამაგიეროდ მისგან უყიდია ადგილი ქუთაისს და იქ დასახლებულა (1644). აბაშიძე პაატას (1675-84) ჰყავს ძმები: **ლევან, მალაქია (გიორგი)**, თანამეცხედრე ბაგრატ მეფის ასული **დარეჯან**. შესწირა კაცხის ეკლესიას ბაგრატ მეფის საწყალობელი მამული, საზანოს, სამაჯავარიანო, სასახლე, ალავიძეს გარდმოლმა დათვის ბოლო ბარნდალიანად, იეანეული, მკათაური, ჩასასახლევი საყდრიანად, ტყლაპი, რუსაბუჯის შესაყარს აქეთ, კლდისწყარომდე, ნახევარი ტყე და მინდორი, სანადირო და საყანე, რაც სამაჯავარიანო იყო. მეორე ნახევარზე კი, რომელიც საქადაგიძო და საამირეჯიბო იყო, ხელი არ მიუწვდებოდა. ტყლაპშივე მისი საკუთარი ერთი საყანე მეგრელიშვილის მიწასთან სამარნსა და ნასაკირეულს ქვემოთ წყლამდე, საჭიმკე „სამცვივარიანად" კლდის წყარომდე; მანვე შესწირა კაცხის ეკლესიას ოთხი გლეხი ნებიერიძენი, მახარებელი და პაპუნა, ხახუტა გოდაშვილი, ვარსიმა შერგილაშვილი და დაუწესა მათ გამოსაღებები" (1684), მისი ბრძანებით, ქიშოტის სახლთუხუცესმა, გიორგი ორთავამ, ზურაბ ასისთავმა, ზუნა მამასახლისმა და გიორგი მღვდელმა გაარიგეს ხოლუაშვილების დავა (1685-98).

**აბაშიძე პაატა** – **შვილი გიორგი აბაშიძისა**. მას მფარველობის პირობა მისცა გიორგი მეფემ (1696-98). მოწმე ალექსანდრე მეფის მიერ ბიჭვინთის

ღვთისმშობლისათვის მიცემული ყმის შეწირულობის წიგნისა.

**აბაშიძე პაატა** – ჰყავს თანამეცხედრე ფალავანდიშვილის ასული მარიამ, შვილი გედევან. უწყალობა მამუკა ორჯონიკიძეს ჭალისთავს საოჩხე წყალი და საფიჩხულე „სავანლის“ მიდგმამდე მისცა მდივან გივი (თუმანიშვილს) მისგან ტყვის საქმეზე „შემოწყრომილი“ ჯავახეთს მყოფი ყმები – გიორგი საზულაშვილი და მისი ძმები: გარსევან, თამაზა და თანდილა. მისი ბეჭედი უზის საბუთს.

**აბაშიძე რევაზ** – მოწმე თამარ დედოფლის მიერ წინამძღვარ მარკოზ წერეთლისათვის მიცემული ყმის წყალობის წიგნისა (1694).

**აბაშიძე ქაიხოსრო** – მოწმე და დამწერი მანუჩარ ყორღანაშვილის მიერ ვახტანგ გიორგიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1683). მოწმე როსტია ყორღანაშვილის მიერ ვახტანგ ბარათაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1690).



**იოანე აბაშიძე** **იმერეთის ეპისკოპოსი**

# ქართლელ აბაშიძეთა გვაროვნობითი შტო



# აბაშიძეები

ოლღა ხოხელიას მიხედვით



**აბაშმაძე – 244**
ოზურგეთი – 162,
თბილისი – 41,
ბათუმი – 17.

**აბაშმაძე** ოზურგეთის რაიონი და სხვ. სავარაუდოა წარმოქმნილი სახელი **აბაშმა**. შესაძლოა მომდინარეობს აბაშ-ისაგან. სადაც ბა ისეთივე მაწარმოებელი ჩანს, როგორიც შემონახულია ზოგ გვარ-სახელში: **ცინცაბაძე** (**შდრ. ცინცაძე**), **ჩალაბაძე** (**ჩალაძე**), **გოგებაშვილი** (**გოგიბაშვილი**, **შდრ.** *გოგიშვილი და მისთ*) (*ილია მაისურაძე. გვ. 16*).

**აბბაიძე – 28**
თბილისი – 21,
საგარეჯო – 7.

**აბგაიძე** შდრ. **აბგა, აბგაგარ, აბგალარი** (*ქცხ. I. 371*). **აბგა** მხარზე გადასაკიდი ჩანთა, ფოსტალიონისა (*ქეგლ. 14*).

**აბგაჯავა.** გვარი ორი კომპონენტისაგან შედგება: **აბგა** (აბგეა), ხურჯინი, ორზული მიდელი აბგეთი. „საგზალი წაიღე აბგით". ჯა-იგივეა, რაც **ჯგუ** ძელი (*იხ. გიგი ელიავა. მეგრულ-ქართული ლექსიკონი. თბ. 1997. გვ. 11. 352*). მცირერიცხოვანი გვარია.

**აბდალაძე – 396**
ქუთაისი – 233,
წყალტუბო – 35,
თბილისი – 34

**აბდალაძე აბუდალაძე** ადრინდელი გვარია **აბუდალაძე** შდრ. **აბუდალაძე გიორგი** – მესხეთის მცხოვრები. ემართა ქუთაისის საყდრის ბეგარა... (*1578 წ.*); **აბუდალაძე დათუნა** – მესხეთის მცხოვრები. ემართა ქუთაისის საყდრის ბეგარა (*1578 წ.*).

**აბუდალაძე შედანა** – მესხეთის მცხოვრები. ემართა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ოცი ცხრიანი კოკა ღვინო. თორმეტი თეთრი. ორი ქათამი. ათი კვერცხი, სამარხო ცერცვი (*1578 წ. შ.–626*) (*პალ. I. 62–63*).

**აბდელანი – 20**
თბილისი – 8,
გარდაბანი – 5,
კოდორის ხეობა – 5.

**აბდელანი** გვარის ფუძეა მამაკაცის საკუთარი სახელი **აბდელა**. შდრ. საკუთარი სახელი **აბდელა–ი** (ალ. ღლ).

**აბდელიანი – 110**
მესტია – 46,
გარდაბანი – 24,
თბილისი – 11.

**აბდელიანი**, შდრ. აბდალა–ძე. აბდერიანი. **აბდულასშვილი–აბდულაშვილი** აბდულაშვილი. ნაწარმოებია მამაკაცის საკუთარი სახელისგან **აბდულ, აბდულა**: შდრ. **აბდულ**, კარალეთი. გორის რაიონი; **აბდულა**, (*დოკ. II. 277. ალ. ღლ*).

**აბდულაშვილი – 40**
თბილისი – 17,
თელავი – 16,
ახმეტა – 1);
შდრ. აბდულიშვილი – 66
ბათუმი – 25,
შუახევი – 1,
ხელვაჩაური – 40).
(იხ. მემონიში, ტულუში, ხალვაში და სხვ.).

**აბდულაშვილი** – თორელის ბილის. მის მიწასთან მდებარეობდა. აბდულაშვილის ნაქონი მიწა ეკუთვნოდა ბეჟას თუქანიშვილს (*1687 წ. შდ – 396*).

**აბდულასშვილი ბეჟან** – მოწმე და დამწერი შიო შირმაშვილის მიერ მიტია ნანუკაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (*1679 წ.*) (*იხ. პირთა ანოტირებული ლექსიკონი. წგნ. I. თბ., 1991 წ., გვ. 54*).

**აბდუშელაშვილი – 53**
**თბილისი – 23,**
**ქუთაისი– 11,**
**თეთრიწყარო – 6**

**აბდუშელიშვილი** (*აბდუშერისშვილი, აბდუშელაშვილი*) გადმოცემით მომდინარეობს ირანული სახელისგან „აბდუშაჰილ", რაზედაც მიუთითებს აკაკი წერეთელი.

**აბდუშელიშვილი – 567**
**ჭიათურა – 243,**
**თბილისი – 148,**
**საჩხერე – 33.**

აბდუშაჰილის ჩამომავლობა დღესაც არიან ჩვენში – **აბდუშელიშვილები** *(„ბაში-აჩუკი") (ილ. მაისურ. გვ. 16).*

**„აბდუშერისშვილი. აბდიშერი იყო ზედამდევი ეკლესიისა ქალაქისა მოხელე წელსა 33 და ამათნი გვარნი მოვიდნენ დროსა თურქთა დაპყრობისასა და იწოდებოდნენ აზნაურად აბდუშერისშვილად"** *(შემოკლებითი აღწერა. გვ. 136).*

**აბდუშელიშვილი–ჯაყელი–ალიბეგაშვილი** გვარის წარმომავლობა-სადაურობასა და კერძოდ, ეტიმოლოგიის თაობაზე საკუთარი მოსაზრება გამოუთქვამს აკაკი წერეთელს „ბაში-აჩუკში". შემდგომში ბატონმა **ილია მაისურაძემ** აკაკის მოსაზრება პირდაპირ გადაიტანა წიგნში **„გვარ-სახელები საქართველოში"**. აკადემიკოსმა **მალხაზ აბდუშელიშვილმა** დაწერა ფრიად საინტერესო წიგნი **„მოღვაწენი, მომიგონებენ"**, რომელიც თავის ახლო ნათესავს ბიძასა და ნათლიას, პედაგოგ ვასილ აბდუშელიშვილს მიეძღვნა. გთავაზობთ აღნიშნული წიგნიდან აბდუშელიშვილთა გვარის მოკლე ისტორიას.

**„აბდუშაჰილის ჩამომავლობა დღესაც არიან ჩვენში – აბდუშელიშვილები და ეტყობათ კიდეც, რომ კარგი წინაპარი უნდა ჰყოლოდათ"**–ო. დიდი აკაკის ასეთ შეფასებას სერიოზული გვარი ინატრებდა საქართველოში, მაგრამ ამაზე შემდეგ. თვით აბდუშაჰილს აკაკი თავისი წარმომავლობის შესახებ ათქმევინებს: „მე ერთი უთვისტომო კაცი ვარ: არ ვიცი, ვინ ყოფილა ჩემი მამა-პაპა და საიდან მოვხვედი არდალანში? ძლივს მაგონდება და ოდნავ მახსოვს, რაც საბრალო დედაჩემისაგან გამიგონია... ოდესმე, ერთ სოფელს, სადღაც ლეკები დასცემიან, აუკლიათ მთელი სოფელი, ჩვენი ოჯახიც ამოუწყვეტიათ, ასე, რომ მე დავრჩენილვარ ძუძუმწოვარი და დედასთან ერთად ტყვედ წავუყვანივართ; მყოლია კიდევ ერთი უფროსი დაც, მაგრამ ის სხვა სოფელში ყოფილა გაბარებული მღვდელთან და გადარჩენილა. ამის მეტი მე არა ვიცი რა"–ო. ეს ლამაზი ლეგენდა „ბაში-აჩუკის" პოპულარობის წყალობით საკმაოდ გავრცელებულია, მაგრამ, სამწუხაროდ, ასევე საკმაოდ დაშორებულია სინამდვილეს: მას აბდუშელიშვილების გვარის წარმოშობასა და მათს ზემო იმერეთში, ანუ როგორც აკაკი ბრძანებს „ჩვენს დასახლებასთან არაფერი აქვს საერთო. *(ეს ამბავი სიმართლეს რომ შეესაბამებოდეს, უნებლიეთ დაისმებოდა კითხვა: დედამ თუ ამდენი რამ უთხრა აბდუშაჰილს, ის რატომ დაუმალა, ან თვითონ აბდუშაჰილი რატომ ვერ მიხვდა, რომ ის ქართველი იყო? („ლეკები", „მღვდელი" და სხვ.) – მაგრამ ეს პოეტური სიმართლე შევუნდოთ დიდ მგოსანს).* აბდუშელიშვილების ოჯახში დღემდეა შემონახული საგვარეულო გენეალოგია **აბდუშელიშვილები–**

*იოსებ აბდუშელიშვილი*

**სამცხელი–ჯაყელებისა**, ხოლო მათი გამაჰმადიანების შემდეგ, ახალციხელი ფაშების ერთ-ერთი შტოს შთამომავლები ყოფილან.

როგორც ამ ნუსხიდან ჩანს, XVII საუკუნის 70-იან წლებში ახალციხის საფაშოს განაგებდა **ჯაყელი – ციხისჯვარელების** ერთ-ერთი უკანასკნელი შთამომავალი, ასლან-ფაშა, რომელსაც ორი შვილი ჰყოლია: **უსუფ და სელიმ**. უსუფი მამის, ასლან-ფაშის შემდეგ 10 წელიწადი იჯდა ფაშად *(1680-1690)*, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ ფაშობა მისმა უმცროსმა ძმამ სელიმმა იგდო ხელთ. სელიმ ფაშას *(1690-1701)* სამი შვილი დარჩენია: **ასლან-ფაშა, აბდულ-ბეგი და ალი-ბეგი**. სელიმ ფაშას სიკვდილის მერე, ბიძაშვილებს შორის შუღლი ჩამოწოლილა: ჯერ იყო და ისაყს, უსუფ-ფაშას შვილს, უმძლავრია *(1701-1705)*, შემდეგ კი ასლანს, სელიმ-ფაშას შვილს *(1705-1708)*, რომელიც, როგორც ჩანს, უფრო ქართული ორიენტაციის ყოფილა, რადგან, როგორც გენეალოგიური ნუსხის ნაწერშია აღნიშნული, რამდენჯერმე დახმარებია ბექან დადიანსა და ზურაბ აბაშიძეს. ვინ იცის, იქნებ, ლევან გოთუას თქმისა არ იყოს, ისიც „რჯულ-ქართველი" იყო და გულით ატარებდა დარღვეული და დაშლილი სამშობლოს აღდგენის სურვილს?! ვინ იცის?! ასე იყო თუ ისე, 1708 წელს, თურქების მხარდაჭერით ისაყს უძლევია თავისი ბიძაშვილი ასლან-ფაშა და ხელთ უგდია ფაშობა. ხოლო აბდულ-ბეგი და ალი-ბეგი, როგორც იმავე ნუსხის მინაწერიდან ჩანს: „... ისაყ-ფაშამ გამოდევნა, როგორც ასლან-ფაშას ძმები". ალი-ბეგი საციციანოში გახიზნულა, სადაც მის შთამომავლებს **„ალიბეგიშვილები"** დაევეარათ, ხოლო უფროსს, აბდულ-ბეგს, რომელიც „უპირატესი ეაჟკაცი" ყოფილა, იმერეთის სამეფოსათვის შეუფარებია თავი. **აქ, ამ აბდულ-ბეგიდან იწყება აბდუშელიშვილების გვარი**. აბდულ-ბეგი, როგორც უკვე ითქვა, ძე იყო სელიმ-ფაშისა. ამიტომ უკვე მას ეწოდა აბდულ სელიმის შვილი, ანუ აბდულ შელიმის შვილი, ხოლო მის შვილს – მუსტაფა-აღას – აბდუშელიშვილი ანუ „აბდუშელიშვილი". აბდუშელიშვილების საოჯახო არქივში დღემდეა შემონახული იმერეთის მეფის სოლომონ დიდის სიგელი, რომელშიაც აბდულ-ბეგის შვილი მუსტაფა *(მონათვლის შემდეგ – გიორგი)* აბდუშელისშვილად მოიხსენიება. ეს სიგელი 1762 წელს არის გაცემული და შიგ ასეთი ფრაზაა „ჩვენ მოგვნათლეს"-ო, ე.ი. წყალობის ეს წიგნი ანუ სიგელი, მონათვლის შემდეგ არის გაცემული. სავარაუდოა, რომ თვით მონათვლის ფაქტი დაახლოებით 1760 წელს უნდა მომხდარიყო. ამრიგად, მუსტაფა-აღა, გაქრისტიანების შემდეგ იგივე გიორგი აბდუშელიშვილი, რომელიც პაპის პაპად ერგებოდა ვასილ აბდუშელიშვილს, იყო პირველი, ვინც 1760 წლიდან, ე.ი. 135 წლის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა მამათა რჯულს – ქრისტიანობას, ხოლო ამ მუსტაფა-გიორგის პაპის პაპა მამა **ბექა ჯაყელი – ციხისჯვარელი იყო პირველი სამცხის ათაბაგებს შორის**, ვინც 1625 წ. იცვალა მამათა რჯული, გამაჰმადიანდა და იწოდა საფარ-ფაშად. ამ მუსტაფა-გიორგისათვის სოლომონ დიდს ცოლად თავისი დისწულის, ოტია ლორთქიფანიძის ქალი, ანა მიუთხოვებია.

მუსტაფა-გიორგის შვილი გიორგი საკმაოდ მომძლავრებულა იმერეთში და როგორც ოჯახში დღემდე შემონახული მისი პირადი ბეჭდითაც დასტურდება, სამეფოს მოურავობისათვის მიუღწევია; ბეჭედს ასეთი წარწერა აქვს: „მონა ღვთისა, ყმა მეფისა, მოურავი გიორგი“. აქვე ინახება მისივე ვერცხლის ევებერთელა აზარფეშა. რომლის ტარზე გარკვევით იკითხება: „აბდუშელიშვილის გიორგისა ვარ გიორგის ძისა, მეტად ეწყობა სტუმარს და ლხინსა“.

გიორგი გიორგის ძე, როგორც იმავე საგვარეულოს ნუსხის მინაწერიდან ჩანს, „მეუღლედ ჰყავდა ბერი ფალავანდიშვილის ასული მაია. თუმცა უპირატესი ვაჟკაცი იყო, მაგრამ არ დასცალდა – ვამმა მოკლა 1812 წელს, სოფელ ბალთას, ქართლში, საფალავანდიშვილოში, საიდანაც მოასვენეს და დაკრძალეს სოფ. არგვეთს, თავის მამულში – შალაურთან“.

გიორგი გიორგის ძის დაკრძალვასთან დაკავშირებით ერთი ასეთი ამბავი მაქვს გაგონილი ჩემს ბავშვობაში: როდესაც მისი ცხედარი სახლში მოუსვენებიათ, მის მეუღლეს – მაიას – ბრძანება გაუცია, კუბო ეზოში, ნოხგადაფარებულ თონეზე დაესვენებინათ. მაშინ ვერავინ გაიგო ახალგაზრდა ქვრივის ეს ახირება, მერე კი ყველაფერი გაირკვა, მაგრამ უკვე გვიანღა იყო. საქმე კი აი, რაში იყო. თურმე გიორგის ძმებს მემკვიდრე არ დარჩენიათ: ერთადერთი, ვინც იმ დროისათვის აბდუშელიშვილების გვარის მატარებელი ჩანდა, გიორგის 2 წლის ვაჟიშვილი ოტია (ოთარი) იყო; წერეთლები, ცხადია, შეეცდებოდნენ მის მოსპობასაც, რითაც საბოლოოდ მოიშორებდნენ თავიდან მომძლავრებულ და საკმაოდ აბეზარ მეზობლებს. უკვე განუყოფლად მათს სამფლობელო–საწერეთლოში. ამიტომაც ქმრის დაკარგვით თავზარდაცემულმა ქვრივმა თადარიგი დაიჭირა და, რიცა სახიდან „მოსასამძიმრებლად“ წერეთლები ამობრძანდნენ, თავისი 2 წლის მემკვიდრე ჩუმად, ისე, რომ არავის დაუნახავს, საკუთარი ხელით ჩააწვინა წინასწარ ნოხგადაფარებულ თონეში, რომელზედაც ქმრის კუბო ესვენა და ასე იტირა ქმარი. მისი ვარაუდი სწორი გამოდგა. წერეთლებმა მთლიანად გადააქოთეს შალაური და ვერაფერი რომ ვერ ნახეს, ხელმოცარულები დაბრუნდნენ შინ; მაიამ კი გაღმა შალაურიდან დაიბარა თავისი ერთგული კაცი – ბერი ბლიაძე – ჩააბარა თავისი უკანასკნელი ნუგეში და შუაღამისას, ჭერათხევის გზით, გაგზავნა ქართლში, თავის მამასთან – ბერ ფალავანდიშვილთან. იქ იზრდებოდა თურმე პატარა ოტია 20 წლამდე. შალაურში კი მაია დედა–არწივივით თავს დასტრიალებდა ზღუდემორღვეულ ოჯახს და ცდილობდა თავისი ობლისათვის გაცრუებული არ დაეხვედრებინა მამისეული ოჯახი. დიდებულ ბანოვან (ბანოვანი, დედით თავადი (საბა)), ბრძანებულა მაია: ქმრის ნამუსის შემნახველი, ოჯახის დამცველი, მტრის რისხვა და მოყვრის იმედი. მის მიერ შალაურში მოყვრის იმედად ანთებული კელაპტარი დღესაც ანთია, ხოლო მტრის რისხვად აღებული მისი ხელშუბის თავი მე თვით მეჭირა ხელში. შთამომავლობამ ქედი უნდა მოიხაროს მისი ხსოვნის წინაშე; ჩვენ კი განვაგრძოთ ჩვენი თხრობა.

მიუხედავად მაის დიდი მცდელობისა, როცა ჭაბუკი ოტია თავის მამულში დაბრუნებულა, თითქმის მთლიანად განადგურებული და მიტაცებული დახვედრია დაქვრივებული და დაობლებული ოჯახი, მაგრამ, რადგანაც თვითონ მეტად სუსტი და მშვიდობიანი ბუნებისა ყოფილა, შეგუებია თავის ხვედრს, დასახლებულა შალაურს და მყუდროებაში გაუტარებია თავისი სიცოცხლე.

სულ სხვა ბუნებისა გამოდგა მისი უფროსი შვილი გიორგი, რომელსაც თავისი შემძლე დიდედა მაია ზრდიდა და წვრთნიდა მტრის რისხვად და მოყვარის ქომაგად. მაგრამ აქ უკვე მთავრდება თქმულებების, ლეგენდებისა და ტრადიციების სამყარო აბდუშელიშვილების გვარის შესახებ, ვინაიდან გიორგი ოთარის (ოტიას) ძე მამაა ვასილი აბდუშელიშვილისა და ჩვენ უკვე შევდივართ იმ ოჯახში, სადაც დაიბადა და აღიზარდა **ვასილ გიორგის ძე აბდუშელიშვილი.**

აქვე, ინტერესს არ უნდა იყოს მოკლებული იმის აღნიშვნა, რომ დედის მხრიდან ვასილ აბდუშელიშვილის ბებია – **მარიამ გაბაშვილი** შვილიშვილად ერგებოდა დიდ ქართველ პოეტს **ბესარიონ გაბაშვილს** *(ბესიკს, 1749-1791)* და რომ ვასილ აბდუშელიშვილი და მისი და-ძმები ერთ-ერთი მემკვიდრეები იყვნენ ქუთაისელი გაბაშვილებისა, მაგრამ ამაზე ქვევითაც იქნება საუბარი.

აბდუშელიშვილების საოჯახო არქივში დღემდეა შემონახული გიორგი *(მუხტაჯა)* აბდუშელიშვილისათვის ბოძებული იმერეთის მეფის სოლომონ პირველის „წყალობის წიგნი", რომელშიაც ნათქვამია: **„ჩვენ მოგვნათლეთ და გიბოძეთ თავად სასახლე შალაური და..."** სხვ. ეს წყალობის წიგნი, 1762 წლით არის დათარიღებული და ამდენად, საბუთიერად დასტურდება, რომ აბდუშელიშვილები 1762 წლიდან დამკვიდრებულან სოფ. შალაურში, რომელიც მას შემდეგ მათ მშობლიურ სოფლად იქცა.

**სოფელი შალაური** ადრე ის შორაპანის მაზრის, საჩხერის უბანს ეკუთვნოდა, ამჟამად კი საჩხერის რაიონის სოფ. გორისისა და სოფ. არგვეთის სასოფლო გამგეობაში შედის, ისტორიულად მთლიანად ეს მხარე ოდესმე ქართლის სამეფოს ნაწილი იყო, შემდეგ, თავადი აბაშიძეების მძლავრობისას, ის იმერეთის სამეფოს ე.წ. „საბაშიოს" შეუერთდა, ბოლოს კი, როცა პირველობა წერეთლებმა იგდეს ხელთ, მთელ ამ მიდამოს „საწერეთლო" ეწოდა. ეთნიკურად ის მაინც თავისებურ ერთეულად ჩამოყალიბდა და ბოლომდე შემორჩა „ზემო-იმერეთის" სახელი. გეოგრაფიულად სოფ. გორისა, ქართლისა და ზემო-იმერეთის საზღვართან მდებარეობს და ეს სახელი მას, ალბათ, იმიტომ ეწოდა, რომ გორაზეა გაშენებული. ქართლიდან სოფ. ალისა და ჭერთახევის გადავლით, ჯერ სოფ. გორაძირია და შემდეგ კი, უფრო მაღლა, სოფ. გორისა. ერთი წუთით შეჩერებისა და ხსენების ღირსია სოფელი გორისა და მემკვიდრენი მისნი. აქ დაიბადნენ და აღიზარდნენ ექვთიმე და ოქროპირ წერეთლები. „ზემოური იმერელი კახელს შემოსწყრაო". – ეს „ზემო იმერელი" – ექვთიმე წერეთელია, „კახელი" კი – ილია ჭავჭავაძე; ოქროპირ წერეთელი აკაკის ჰყავს ნახსენები ნაწარმოებში „ჩემი თავგადასავალი".

სოფელს რომ მოუძღოდა წინ ბატონის მიერ გატაცებული ობლის დასახსნელად. ამავე ოქროპირ წერეთლის კომედია „ქორწილი იმერეთის თავადისა“ 1845 წელს დაიდგა სოფელ გორისაში და დიდი საზოგადოებრივი რეზონანსიც გამოიწვია. *(საქართველოს ისტორია. 1958. გვ. 476).* აქვე, გორისაში დაიბადა და გაიზარდა ექვთიმეს ვაჟი, ერთ-ერთი ქართველი განმანათლებელი, თერგდალეული გიორგი წერეთელი. აქვე ცხოვრობდა და რედაქტორობდა ჟურნალ „ჯეჯილს“ მისი მეუღლე ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა. აქვე დაიბადა, გაიზარდა და ცხოვრობდა ქართველი საზოგადო მოღვაწე და მკურნალი-ექიმი ივანე გომართელი; აქვე– თუმცა კმარა, ხსენებული მოღვაწეები და ადამიანები მოზრდილი და მოწინავე ქალაქის სახელსაც კი დაამშვენებდნენ. მაგრამ განვაგრძოთ: ულამაზესი მდებარეობა აქვს გორისას. ჩათავდება თუ არა კორბოულის ზეგანი, იწყება გორისას გადასახედი, რომელიც თავს დაჰყურებს მთლიანად „საწერეთლოს“ გადაშლილ ტაფობს: უკვე აქედან იტაცებს თვალს ზემო იმერეთის ჩახავერდებული და ნაირფრად აწალკოტებული ბუნების საოცრად თბილი და რბილი სურათები; ვერც აკაკის „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი“ მხარის პოეტური ხილვა და ვერც დავით კაკაბაძის „იმერეთის“ ჯადოსნური ყალმით ნაჩუქურთმები სურათები, ვერ ქმნიან იმ განსაცვიფრებელ განწყობილებას, რასაც, იმერეთის, განსაკუთრებით ზემო-იმერეთის, ბუნების უშუალო ხილვა იწვევს ადამიანში. მე ვინ მომცა იმის გადმოცემის ძალა– მე განგებას იმისთვისაც ვუძღვნი მადლობას, რომ ამ სილამაზის აღქმის უნარი მიბოძა. აქედან პირდაპირ საჩხერე და მის თავზე დაჭრილი არწივივით ფრთადაშვებული „მოდი ნახეს“ ციხე ჩანს, მათ უკან – მთები, მთებს უკან ისევ მთები. ბოლოს კი ცაში ოცნებასავით გაფრენილი, დათოვლილი კავკასიონი და პოეტის თქმისა არ იყოს:

*„იქ მწვერვალები სილამაზის ღმერთებად დგანან,*
*იქ ველ-მინდვრები აუხდენელ სიზმრებსა ჰგვანან“–*

საჩხერის გვერდით მთის კალთებზე შეფენილი სოფლები სილამაზითა და სიუხვით ტოლს არ უდებენ ერთმანეთს: სხვიტორი, ჩიხა, ორღული, ჭალა და საჯავახო; მხარმარცხენივ მთაზე გაშლილი: ხევი, დედაბერა და ლიჩი, მხარმარცხნივ: მოძვი, კალვათა, ჭორვილა, მერჯევი, იმაწვიტნდა და საირხე – ხოლო წინ მახათაური, შალაური, ბახიოთი, ირტავაზა, არგვეთი და სავანე. ყველა სოფელი თავისებური, განუმეორებელია რაღაცით ან ვიღაცით სახელგანთქმული– მაგრამ სულ სხვაა შალაური. ის მე მგონი, ზემო იმერეთის ერთ-ერთი ულამაზესი სოფელია– თუმცა, რომელი სოფელი არ არის ულამაზესი საქართველოში, და მაინც–

ერთხელ შალაურში აბდუშელიშვილებთან სტუმრად არგვეთელი იაშვილები იყვნენ: როგორც ასეთ დროს ხშირად ხდება ხოლმე, ყველამ თავისი სოფლის ქება და სიკეთე თქვა; ვასილ აბდუშელიშვილი ჩუმად იჯდა, მაგრამ თვალებში ღიმილის ნაპერწკლები უკრთოდნენ, ბოლოს სვით იაშვილმა ჰკითხა:

– შენ რას იტყვი, ვასო, შალაური ჯობია თუ არგვეთი?

– ცხადია, არგვეთი. – არც კი დაფიქრებულა, ისე თქვა ვასომ.

– ბარემ ისიც თქვი, რითი?

– თუნდაც იმით, რომ არგვეთიდან შალაურს ხედავ, შალაურიდან კი – არგვეთს. – უპასუხა ვასომ და სტუმრების ხარხარი, მგონი, გაღმა არგვეთშიაც კი გაიგონეს, ხოლო პაოლო იაშვილმა ისიც კი უთხრა ვასოს: „ფუსუსი არ არის, რომ შენისთანა კაცი მათემატიკაში იხარჯებოდეს!“

შალაურის უდიდესი მიმზიდველობა, პირველ რიგში, იმით უნდა აიხსნას, რომ აქედან ხელისგულივით მოჩანს თითქმის მთელი „საწერეთლო“, თანაც არა რომელიმე ერთი მიმართულებით, არამედ ირგვლივ – საითაც უნდა შებრუნდე, ყველგან იშლება საკმაოდ შორი და ერთიმეორეზე უფრო ლამაზი ხედი... განსაკუთრებით წარუშლელ შთაბეჭდილებას ეს ირგვლივეთი ნაციხერის გორიდან ახდენს. სრულიად განუმეორებელს კი დილის რიჟრაჟზე, აი, როდესაც მტრედისფერი, ჯაჭვისფერი, თუ რძისფერი ჯავრი გაჰკრავს მიწასა და ცას, ხოლო ჭალისმთას ვარდისფერი ქარგა მოევლება; რაც აქამდე შალაურზე ითქვა, ის ამ ისედაც პატარა სოფლის მხოლოდ ერთ ნაწილს შეეხება. საქმე ის არის, რომ სოფელი შალაური პატარა და უწყინარი ლაშურის ღელით ორ ნაწილად იყოფა: გაღმა და გამოღმა შალაურად. აბდუშელიშვილები გამოღმა შალაურში სახლობდნენ. ამჟამად ეს ტერიტორია ადმინისტრაციულად გორისას სასოფლო საბჭოს ეკუთვნის და ამიტომ მასაც გორისას უწოდებენ. ამდენად, აბდუშელიშვილების ნასახლარმა დღეს სახელიც დაკარგა. მაგრამ ამის შესახებ შემდეგ. გაღმა შალაური კი არგვეთის სასოფლო საბჭოს შემადგენლობაში შევიდა და მან შეინარჩუნა ძველი სახელწოდება – შალაური, თუმცა მასაც მეწყერმა და „უწყინარმა“ ლაშურამ, ნახევარზე მეტი ჩამოუქცია და მცხოვრებნი, ძირითადად სოფ. მახათაურში გადასახლდნენ..

მაგრამ დავუბრუნდეთ გამოღმა შალაურს.

ოდესღაც აქ აბდუშელიშვილების რამდენიმე ძირძაგარი და ფესვგადგმული, მხარგაშლილი, გულგაშლილი და სახელგაშლილი ოჯახი ცხოვრობდა: ნაციხეარზე ციხე იდგა, ციხის ძირს ხის უზარმაზარი და ლამაზად მოჩუქურთმებული ოტიასეული სასახლე, რომელშიც მისი უმცროსი ვაჟი გიგო და მისი ოჯახი ცხოვრობდა, ცოტა ქვემოთ მოზრდილი ძელური სახლი, რომელიც შუათანა ძმას ზაქარიას ეჭირა, ხოლო ოტიასეული სასახლის მომიჯნავედ – თეთრსვეტებიანი დიდი სახლი, რომელშიაც გასიდე აბდუშელიშვილის მამა – გიორგი სახლობდა. იყო უთვალავი ბეღელი, თაელა, საბძელი, სამზადი, მარანი, ბოსელი, სასიმინდე, სახაბაზო, ბაგა, ფარეხი, ვენახი, ბაღი, ბოსტანი და სხვადასხვა. დღეს კი ყოველივე ამას წინ უსულგულო და არაფრისმთქმელი *(თუ ყოვლისმთქმელი)* ნაწილაკი „ნა“ დაემატა და– ციხე „ნაციხეარად“ იქცა, სახლი – „ნასახლარად“, ბეღელი – „ნაბეღლავად“, მარანი – „ნამარნევად“, ბაღი – „ნაბაღრებად“, ვენახი

– „სავენახარად“, ახო – „ნაოხრალ“, ხოლო აწმყო – ნამყოდ.

მხოლოდ მოგონება დარჩა ხელშეუხებელი. მას ვერ შეეხო და ვერც შეეხება დრო-ჟამის ყოვლისშემუსვრელი და დაუნდობელი ხელი...

– და დგას ჩემს მოგონებაში თეთრსვეტიანი გიორგისეული სასახლე ზუსტად ისევე, როგორც მე ის პირველად ვნახე დაახლოებით ამ ნახევარი საუკუნის წინათ:

მაღალი მუხის ნაპობების ღობით შემოღობილი დიდი ეზო და გზის პირას ჩამოყოლებული კოპიტები, შუა ეზოში სამტოტა მხრებგაშლილი დიდი კაკლის ხე და ეზოს ბოლოში თვალუწვდენელი ბებერი ცაცხვი. სახლის წინ ბრტყელი ქვებით მოკირწყლული ფართო აივანი, რომელსაც მთელ სიგრძეზე გასდევს თეთრი ქვის ათი უზარმაზარი სვეტი. თვითონ სახლი ოთხი მოზრდილი ოთახისაგან შედგება – განსაკუთრებით ერთი მათგანია ვეებერთელა – 60–70 კვ. მეტრი, რომელშიაც, გამიგონია, ნაბახუსევი გიორგი აბდუშელიშვილი ხშირად პირდაპირ ეზოდან შეაგელვებდა ხოლმე ცხენს. ამ ოთახს დარბაზი ჰქვია – ის საკმაოდ კარგად არის გაწყობილი: უზარმაზარი მუხის კარადა და ასეთივე მაგიდა, რომელიც 100 კაცზე თავისუფლად იშლება; კუთხეში ვეებერთელა ოთხკუთხა წიგნების თარო და ზედ რა გინდა სულო და გულო: „ვეფხისტყაოსანი“ და „ვისრამიანი“, „ქილილა და დამანა“, „სიბრძნე-სიცრუისა“ და „ბალავარიანი“, დავით გურამიშვილი და ბესიკი, უთვალავი ხელნაწერი რვეული და წიგნი, იქვე შექსპირი და იბსენი, დანილევსკი და დოსტოევსკი, მაინ რიდი და შპილჰაგენი, „ჯეჯილი“ და „ივერია“, „კვალი“ და სხვანი... მაგრამ ყველაზე საინტერესო მაინც შესასვლელი კარის პირდაპირ რომ კედელია – ის არის: ამ კედლის შუაგულზე დიდი თაროიანი ბუხარია, მის თავზე ირმის ქორბუდა რქებია და, ღმერთო, რა იარაღი და საკრავი არ კიდია ზედ: აბჯარი, ჯაჭვის პერანგი, მუზარადი ზუჩით, ჩაჩქანი, პილოტიკი, თოფი, ფარი, საბარკული, შუბი, ოროლი, ჩუგლუგი, კაპარჭი, ხმალი და ხმლები – ჩერთები, მახვილები, დაშნები; გოდრები, ლახვრები, ჭოლაურები, სატევრები, კალდიმები, ლეკურები და სხვანი; იქვე ჰკიდია კაჟის თოფები, დამბაჩები და საკრავები: სადაფით გაწყობილი თარები, ჩანგები, ჩონგურები, ფანდურები, დაირები, სტვირი, დუდუკი, სალამური. ბუხრის თავზე ბროლის ყალიონების, ძვლის ჩიბუხებისა და ძელქვის კათხების მთელი კოლექციაა; კედლებზე – სხვადასხვა ზომის ჩარჩოებში სურათები: მშობლების, ბიძების, ბაბუების, და-ძმების... და ცალკე – სცენა „სამშობლოდან“: გრიგოლ ორბელიანის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, გიორგი ერისთავისა და ბესიკის სურათები. აღმოსავლეთის მარცხენა კუთხეში სახატე, იქვე ოჯახში ცნობილი „მაიას შუბი“, ჭერზე – ვეებერთელა ბრინჯაოს ჭაღი და მთლიანად დარბაზში სიძველისა და გარდასულ დღეთა განუმეორებელი სურნელება. დარბაზიდან ორი კარი გადის, ერთი მარცხნივ – საძინებელში, რომელიც თავის მხრივ მეორე საძინებელს უკავშირდება, ხოლო მეორე – მარჯვნივ, ე.წ. „ზურაბის ოთახში“, – აქ ყვე-

ლაფერი ევროპულ ყაიდაზეა: ძეელებური წიგნის კარადა, საწერი მაგიდა და სავარძელი. კუთხეში უზარმაზარი, მთლიანი მუხისაგან გამოჭრილი, მრგვალი მაგიდა და სავარძელი. *(ეს სავარძელი ბოლოს ვასილ აბდუშელიშვილის ძმის, ოტიას შვილიშვილს მირანდა ფალავანდიშვილს დარჩა, რომელშიც მეუღლეს კონსტანტინე გამსახურდიას უყვარდა ხოლმე სურათის გადაღება.)*. მაგიდაზე ალბომები, მთელ იატაკზე და კედლებზე ნოხები, კედლებთან ტახტები და აღმოსავლური დაბალი სკამები, საწერ მაგიდაზე ბრინჯაოს საწერი მოწყობილობა, სპილოს ძვლის ეშვებზე დაყრდნობილი სანათი და პრესპაპიე – უზარმაზარი, შუაში გაგლეჯილი ნალი. მუხის თაროზე ძვლის ნარდი და ჭადრაკი; კედლებზე ქართულ კაბაში გამოწყობილი მანდილოსნებისა და ჩინიანი თუ უჩინო ვაჟკაცების სურათები; წიგნის კარადაში სპეციალური წიგნები, ძირითადად საბუნებისმეტყველო ხასიათისა და სხვა...

აი, ამ სახლში დაიბადა 1885 წლის 30 აპრილს **ვასილ გიორგის ძე აბდუშელიშვილი.**

კიდევ ერთი პაწაწინა დეტალი: სახლის სხვენზე ყრია უამრავი უნაგირი, ლაგამი, უზანგი, საძუე, თუ თოთქალთო. იქვე კუთხეში დგას დაზიანებული აკვანი, რომელშიაც, გამიგონია, ვასო აბდუშელიშვილი და მისი ძმები იზრდებოდნენ... მერე ყოველივე ეს სადღაც გაქრა; დარჩა აკვნის რამდენიმე ნამსხვრევი, დახეთქილი კედლები და მინებჩალეწილი ფანჯრები... ყველაფერი დრომ, ჟამმა და უპატრონობამ გაანადგურა; ცხადია, ყოველივე ამას თავისი მიზეზი ჰქონდა.

ახლა მშობლები: მამა – **გიორგი ოთარის ძე აბდუშელიშვილი** დაიბადა 1832 წელს სოფელ შალაურს, **ოტია (ოთარ) გიორგის ძე აბდუშელიშვილის** ოჯახში. დავაჟკაცებამდე იზრდებოდა ძირითადად დიდედის **მაია**, ბერი ფალავანდიშვილის ასულის, მეთვალყურეობით. ჰყავდა ოთხი და და ორი ძმა. სამი უფროსი და ადრე გათხოვდა, ხოლო უმცროსი და **ნინო** მცირეწლოვანი გარდაიცვალა, გიორგი ძმებში ყველაზე უმცროსი იყო, მისი მომდევნო ძმა **ზაქარია** 10 წლით იყო მასზე უმცროსი, ხოლო **ვანო** – თითქმის 20 წლით. ის მან შვილივით გამოზარდა, შვილივით უყვარდა და ბოლოს მის ხელზე საუკუნოდ მიძინებულს, მანვე დაუხუჭა თვალი.

სწავლობდა ჯერ შინ, მერე ქუთაისში, ექვთიმე წერეთლის ოთხკლასიან სასწავლებელში.

1852 წელს შევიდა სამხედრო სამსახურში მოხალისედ. იბრძოდა თურქების წინააღმდეგ სამეგრელოსა და სამურზაყანოში, სადაც იმხანად ოსმალოს ჯარი იდგა და ომარ-ფაშას მეთაურობით მიიღო მონაწილეობა ბრძოლებში ინგურთან და კოხთან. წმ. გიორგის ჯვარიც მაშინ მიიღო და იქვე წარადგინეს ჩინზე.

1856 წლის 23 მაისს დაჯილდოვდა ორდენით *(№ 97392)* ინგურის საქმისათვის. ამავე წელს თავს ანებებს სამხედრო სამსახურს, ბრუნდება სახლში და ოჯახს

ეკიდება.

1856 წელს, 24 წლისა, პირველად დაქორწინდა ნინო ხერხეულიძის ქალზე, რომელთანაც სამი შვილი შეეძინა. 1863 წელს ნინო ხერხეულიძე გარდაიცვალა.

1865 წელს გიორგი აბდუშელიშვილმა შეირთო მეორე ცოლი – ეკატერინე დიმიტრის ასული ბაქრაძე, რომელთანაც 12 შვილი მიეცა.

გარდაიცვალა 1915 წელს, 83 წლისა. თუმც ღრმად მოხუცი, ათას ჭირსა და უბედურებაში გამოვლილი, მაგრამ ფიზიკურად მხნე და სულიერად უტეხი, საკუთარი შვილების, შვილიშვილებისა და სხვა ახლობელთა სიყვარულით გარემოსილი. მის ამ ქვეყნიდან წასვლას გულისტკივილი და ცრემლი არ დაჰკლებია. დასაფლავებულია გორისას წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში. ასეთი იყო გიორგი აბდუშელიშვილის ცხოვრების შემოკლებული ისტორია – ძირითადი ასავალი და დასავალი, თუმც არც დანარჩენი გზა იყო სწორი და უხიფათო, მაგრამ ეს გზა შორს წაგვიყვანს და აგვაცდენს ძირითად მიზანს. ერთი რამ მაინც უნდა ითქვას: მან მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე საკუთარი გვარისა და ოჯახის მტრების, პირველ რიგში საჩხერელი თავადების წინააღმდეგ ბრძოლას შეალია და სულ მუდამ იმის მცდელობაში იყო, აღედგინა მათ მიერ ხელყოფილი მამაპაპის სახელი და უფლება, ამბობენ, ამ უთანასწორო ბრძოლაში არცთუ ამაოდ დაშვრაო გიორგი აბდუშელიშვილი. მან საკუთარი ვაჟკაცობით მიაღწია იმას, რასაც უსამართლო სამართლითა და უუფლებო უფლებით ვერ მისწვდა და ვერც მისწვდებოდა. რამეთუ ღირსება და უფლება იშვიათად ეწყობოდნენ ერთმანეთს მაშინ.

აი, ამ უთანასწორო ბრძოლის ერთი სურათი.

ერთხელ, სახლში დაბრუნებულს, ცხენიდან ჩამოხტომა არც კი აცადეს შინაურებმა: „წერეთლებმა ჭალაპაურების მინდვრიდან ჩვენი საქონელი გარეკეს – ეს მინდორი ჩვენ გვეკუთვნისო“, – მოახსენეს და...

– თოფი!.. სჭექა გიორგიმ, როცა მოართვეს, დაუზოგავად სწყვიტა მათრახი ცხენს და გრიგალივით მოსწყდა ადგილს.

საჩხერის ხიდაბუნებთან მიეწია წერეთელსა და მის ამალას თმაგაშლილი და თოფშემართული მხედარი... წერეთელმა თვალი რომ ჰკიდა მდევარს, ცხენს აუჩქარა თურმე, ყვირილაში შეაგდო და მხლებლებს მიაძახა:

– არიქა, თათარი მოდის, ყვირილაში გავასწროთ, თორემ, მე რომ მაგის ხასიათი ვიცი, არავის დაგვზოგავს, ჩვენსასაც წაგვართმევს და დედის რძესაც გვარწყევინებსო!

მხლებლებმა საქონელი დაყარეს და ჭენებით შეაგდეს ცხენები ყვირილაში. გაღმა გადვენებას გიორგიმ თავი აარიდა. ერთი კი გასძახა გაღმა გასულებს – წერეთელო, მე გიორგი აბდუშელიშვილი მქვიან და ჭალაპაურების მინდანს კი – გიორგი აბდუშელიშვილის მინდორი, ეს არ დაგავიწყდეს, თორე სხვა დროს აგრე ადვილად ველარ გამასწრებ გაღმაო. – თავისი საქონელი დაირე-

კა და ამჯერად შინ მშვიდობით დაბრუნდა, მაგრამ „თათარი“ კი მაინც შეერქვა მას შემდეგ და აქა-იქ ხალხშიაც ამბობდნენ, თურმე, „გიორგი ნათათრალია და თათარივით დაუნდობელიო“. სამაგიეროდ, წერეთლებს სამუდამოდ აღებინა მეომრები ხელი. ასეთი შემთხვევა ბევრი იყო, მაგრამ მათ ჩვენი თხრობის საგანთან უშუალო კავშირი არა აქვთ და მათი გახსენება შორს წაგვიყვანს.

და კიდევ ერთი: გულუხვ ვაჟკაცს, არაადამიანური ფიზიკური ძალა ჰქონდა. თურმე – სავსე ტომარას მჯდომარე გადადებდა ხოლმე ერთი ადგილიდან მეორეზე და ამას, ისე, სხვათაშორის, აკეთებდა. მაჯის საჭიდაოდ ნალების მტვრევას შეაჩვია მან შვილები და მაინც ისე ჩავიდა საფლავში, მაჯა ვერ გადაუწია ვერც ერთმა მათგანმა. ახალგაზრდობაში, ქართლიდან გადმოყვანილ ფალავანთან ჭიდაობისას ძალა ვერ მოზომა, წელში შეუჟარდა მეტოქეს, მარწუხებივით მოუჭირა მკლავები, ნეკნები ჩაუმსხვრია და– ერთხელ, ქართლში, ნადირობიდან წისქვილში შესულა დასასვენებლად. ეუცხოვა, თურმე, ქართლური წისქვილის უზარმაზარი დოლაბის ქვა და ჰკითხა მეწისქვილეს:

– რამდენ ფუთიანია, ძია კაცო, შენი დოლაბი?

– არ ვიცი, შვილო, მე არ ამიწონია. მაგრამ ორმა ყვავარმა ხარ-კამეჩმა რო ძლივ ამაათრია ამ აღმართზე, ეგ კი ვიცი! რაო, იმერელო, თვალში ხომ არ გეპატარავება ჩემი წისქვილის ქვებიო?

– არა, არ მეპატარავება, – თქვა გიორგიმ, – მაგრამ– ადგა, ყურთმაჯები მხრებზე გადაიგდო, დაადო ხელი უზარმაზარ დოლაბს და გააჩერა – არც ისე მძიმე ყოფილა, მე რო მეგონაო!

– ერთხელ სტუმრად მყოფს, ამხედრებულს თასი მიაწოდეს ოჯახის დასალოცად. ცხენი გაუოჩნდა თურმე, რამდენიც გადმოიხარა თავის გამოსართმევად, იმდენჯერ ყალყზე შედგა და გეზად წავიდა– ერთი-ორჯერ სადავე მოზიდა თურმე, მაგრამ, როცა ამან არ გაჭრა, გამწყრალმა ცხენს მუშტი დაჰკრა თავში და– დარტყმა ვერ მოზომა– თავგახეთქილი ცხენი ფეხქვეშ გამოეცალა და მხედარმა ძლივსღა მოასწრო გადმოხტომა. გიორგიმ საშინლად იწყინა თურმე ეს ფათერაკი და იმ ცხენის გაბზარული თავის ქალა, სინანულისა, გულისტკივილისა თუ თავისი ძალის ნიშნად, დიდხანს ეკიდა ალაყაფის კართან მარგილზე.

ერთხელ– თუმცა კმარა, დანარჩენი შემდეგ იყოს–

და ბოლოს, გიორგი აბდუშელიშვილის სახე უფრო შეგრძნობადი რომ გახდეს, კიდევ რამდენიმე ხაზმისმა არ უნდა იყოს ზედმეტი: აკადემიკოსმა ალ. ნათიშვილმა, რომელიც პირადად იცნობდა მას, სხვათაშორის, ბრძანა: „გიორგი აბდუშელიშვილს ათას კაცში გამოარჩევდი, ნამდვილი სამეფო კაცი იყო“-ო, პროფესორმა ალ. შატილოვმა კი – „ორ ღულერიანში არ იყო მისთანა ვაჟკაციო“; – სოფელში ხშირად გამიგონია: „გიორგი რომ გვერდით ჩაგივლიდა, ქარი წაგაქცევდა“-ო. როდესაც მირანდა გამსახურდიას პორტრეტზე მუშაობისას მხატვარს ქართველი ვაჟკაცის სურათი აჩვენეს, სახელოვანმა მხატვარმა დიდხანს უყურა თურმე

გიორგის სახეს და ბოლოს, გულდაწყვეტილმა, თქვა: „არა, ასეთ სახეებს მშობლები ქმნიან და არა მხატვრები...“

გარეგნულად, როგორც ჩანს, მართლა უნაკლო ყოფილა გიორგი აბდუშელიშვილი. ბრგე, ახოვანი, თვალადი, ტანადი, მხარბეჭიანი, წელწვრილი, შავთვალწარბა, პირთეთრი; ვაჟკაცი უპირატესი – მგონი ქალების ზომაზე მეტად მოყვარული და მოტრფიალე; პურადი შინ და გულადი გარეთ, პირქუში მძლავრთან და გულჩვილი სუსტთან, უებრო თამადა, ენაწყლიანი მოსაუბრე და უზომო მსმელი, წიგნის დიდად მოყვარული და განათლების ყადრის მცოდნე, პატივსაცემი და პატივცემული; საკრძალავი და მოსარიდებელი, დარბაისელი, მტკიცე, ძლიერი და ქედუხრელი, მაგრამ ამავე დროს ქედმაღალი, მედიდური, თავნება, ჯიუტი, ფიცხი, ხშირად მრისხანე, ზოგჯერ განუკითხავი და ხანდახან დაუნდობელიც კი.

მგონი, ზომაზე მეტი ეპითეტი შემომეხარჯა, მაგრამ, რა ვქნა, მე მაინც ასე მგონია, კიდევ რაღაც გამომრჩა, კიდევ რაღაც მოვაკელი–მეთქი. როგორც ჩანს, გიორგი აბდუშელიშვილი იმდენად რთული პიროვნება იყო და ისეთი ურთიერთსაწინააღმდეგო თვისებების ნაერთი, რომ მისი ბუნების ჯავარში თითქმის შეუძლებელია ერთი რომელიმე ძარღვის გამორჩევა, ამიტომაც შეუძლებელია მისი ერთი სიტყვით დახასიათება; ყოველ შემთხვევაში, მე არ ვიცი ასეთი სიტყვა.

სულ სხვაგვარი ბუნებისა ყოფილა ვასილ აბდუშელიშვილის დედა **ეკატერინე (კატო)**. ჩვენ ზევით ერთხელ უკვე ვახსენეთ, რომ ეკატერინე ბაქრაძის დედა – **მარიამ გიორგის ასული გაბაშვილი** შვილიშვილად ერგებოდა **ბესარიონ გაბაშვილს *(ბესიკს)*** და ამიტომ გასაკვირი არაა, რომ გაბაშვილების მთელი საგვარეულოსათვის, ძირითადად, მწიგნობრობისა და განათლებისადმი ლტოლვა იყო დამახასიათებელი. თავის მხრივ, ასეთივე იყო ეკატერინეს მამაც – **დიმიტრი ივანეს ძე ბაქრაძე**, რომელიც წარმოშობით „საწერეთლოს“ სოფელ დარკვეთიდან იყო, სადაც მას სამემკვიდრეო მამულებიც ჰქონდა *(ვინ იცის, იქნებ სწორედ ამ დარკვეთელ ბაქრაძეებს გულისხმობდა აკაკი წერეთელი ბაშიაჩუკის შთამომავლებში, რომლებიც „ბაჩუკიშვილობას სწუნობენ და ბაქრაძეობაზე სდებენ თავს“–ო. ყოველ შემთხვევაში, ეკატერინე ბაქრაძეს უყვარდა ხოლმე თავისი ზვიადი მეუღლისათვის „რუმბივით გაგორებული“ ფალავანის გახსენება, აქაოდა ჩემმა წინაპარმა შენი წინაპარი დაამარცხაო, რაც მუდამ აღიზიანებდა, თურმე, გიორგი აბდუშელიშვილს)*.

დიმიტრი ბაქრაძის ოჯახი, ძირითადად, ქუთაისში ცხოვრობდა, ე.წ. „გაბაშვილის გორაზე“. აქ მას ევროპულ ყაიდაზე გამართული სამი სახლი ჰქონდა და საკმაოდ მოზრდილი და კეთილმოწყობილი ეზო პალმებით, მაგნოლიებით, პორტენზიებითა და გლიცინიებით დამშვენებული.

თვითონ დიმიტრი ბაქრაძე ლეჩხუმის მაზრის მომრიგებელ–მოსამართლედ

*(საქართველოს კალენდარი – 1896 წ. გვ. 290)* მსახურობდა, ჰქონდა სახელმწიფო მრჩევლის ჩინი *(სახელმწიფო მრჩეველი იყო V კლასის სამოქალაქო ჩინი, შეესაბამებოდა პოლკოვნიკის სამხედრო ჩინს)* და იყო წმ. გიორგის ჯვრის კავალერი. დიმიტრი ბაქრაძის ოჯახს მეგობრული და ნათესაური ურთიერთობა ჰქონდა ქუთაისის მთელ იმდროინდელ მოწინავე ინტელიგენციასთან. აი, ამ ოჯახში დაიბადა ეკატერინე ბაქრაძე 1849 წლის 8 აგვისტოს. ის მშობლების უფროსი შვილი იყო და როგორც მას, ისე სხვა შვილებს მშობლები იმთავითვე ზრდიდნენ უაღრესად ჰუმანურ და დემოკრატიულ ტრადიციებზე.

კატოს ორი და და ერთი ძმა ჰყავდა. მისი მომდევნო და **ანასტასია** *(ტასიკო – დაიბადა 1852 წელს)* არ გათხოვილა და მთელი თავისი ცხოვრება კატოს შვილების აღზრდასა და მოვლა-პატრონობას შეალია; მეორე და **სოფიო** *(დაიბადა 1954 წელს)* თბილისში იყო გათხოვილი – **მიხეილ ჩხატარაშვილზე**; ძმა – **კონსტანტინე** *(დაიბადა 1862 წელს)*, უაღრესად განათლებული და მოწინავე პიროვნება; საშუალო განათლება ქუთაისის გიმნაზიაში მიიღო, შემდეგ ირიცხებოდა ჯერ ნოვოროსიის, შემდეგ ჟენევის უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად; სწავლობდა იურიდიულ და ეკონომიურ დარგებს. კურსი, რამდენადაც ვიცი, არ დაუსრულებია, მაგრამ ითვლებოდა თავისი საქმის კარგ მცოდნედ. მსახურობდა ქუთაისის საურთიერთო საკრედიტო ბანკში – უფროსი ეკონომისტის თანამდებობაზე *(საქართველოს კალენდარი – 1896 წ. გვ. 291)*. გარდა ამისა, იყო ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან – კოტა აბაშიძესა, გიორგი ზდანევიჩსა და სხვ. ერთად, მარგანეცის მრეწველთა საზოგადოების გამგეობის წევრი.

ცოლი არ შეურთავს, არაოფიციალური ქორწინების შედეგად შეეძინა ერთადერთი ქალიშვილი – კატულია, რომელიც მაქრის ავადმყოფობით *(ისევე, როგორც თეიმო)* გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა. ანასტასიასთან ერთად მასაც უდიდესი ამაგი მიუძღვის კატოს შვილების და, კერძოდ, ვასოს აღზრდისა და განათლების საქმეში.

პირველდაწყებითი განათლება პატარა კატო ბაქრაძემ მიიღო სახლში, თავისი დედის, მარიამ გაბაშვილის, ხელმძღვანელობით, რომელიც ზედმიწევნით კულტურული და განათლებული ქალი ყოფილა; ბრწყინვალედ იცნობდა ქართულ, რუსულ და ევროპულ კლასიკას, განსაკუთრებით კი, ბუნებრივია, თავისი პაპის ბესიკ გაბაშვილის შემოქმედებას. ოჯახში დღემდეა შემორჩენილი მისი ხელით გადაწერილი ბესიკის ლექსები, რომლებიც მან, თურმე, ზეპირად იცოდა და შვილებსაც ასწავლიდა. შემდეგ კატო მიაბარეს ჯერ კერძო, ხოლო შემდეგ ქუთაისის ქალთა საზოგადოების სამაგალითო სასწავლებელში, სადაც მან საკმაოდ ღრმა და მრავალმხრივი ჰუმანიტარული განათლება მიიღო, მაგრამ არ დასცალდა, ვინაიდან დამამთავრებელი კლასიდან, ჯერ სრულიად ნორჩი *(16 წლისა)* ის მისმა მომავალმა მეუღლემ **გიორგი აბდუშელიშვილმა** გამოიყვანა

და ცოლად შერთო.

აქედან მისი ცხოვრება და ბიოგრაფია მთლიანად დაკავშირებულია გიორგის ცხოვრებასთან, რომელთანაც იზიარებდა ბედის მწეობასაც და უბედობის ქარტეხილებსაც; მხოლოდ ისაა სათქმელი, რომ მეუღლის შემდეგ მან კიდევ 7 წელიწადი იცოცხლა და კიდევ ბევრ ავ-კარგს შეასწრო ბედმა.

1915 წელს გარდაიცვალა მისი ქმარი, გიორგი ოთარის ძე აბდუშელიშვილი. იმავე წელს, 20 აგვისტოს გარდაიცვალა მისი უსაყვარლესი და ანასტასია *(ტასიკო)* ბაქრაძე ცოტა უფრო ადრე, 1912 წლის 15 აგვისტოს გარდაიცვალა მისი ერთადერთი ძმა კონსტანტინე დიმიტრის ძე ბაქრაძე *(50 წლისა).*

შვილებისა და ახლობლების დაკარგვამ და გამუდმებულმა დარდმა ფიზიკურად ადრე მოტეხა ისედაც სუსტი, სხვა პირობებში აღზრდილი და სხვა ცხოვრებისათვის მომზადებული ქალი, თავისთავად, მისი შესვლა გიორგი აბდუშელიშვილის ოჯახში უდიდესი მოვლენა იყო მთელი შემდგომი თაობისათვის, მან განათლების უქრობი კელაპტარი აანთო ამ ოჯახში და მთელი თავისი სიცოცხლე შეალია ჰუმანურ, კულტურულ, განათლებულ და კეთილშობილურ აღზრდას; თუ ამ ოჯახში ისეთი სრულყოფილი ინტელიგენტები ჩამოყალიბდნენ, როგორებიც იყვნენ: **ოთარ, ზურაბ, ყარამან, ნიკოლოზ, გრიგოლ, ვასილ და ადამ აბდუშელიშვილები,** ეს, რა თქმა უნდა, პირველ რიგში დედის – ეკატერინე ბაქრაძის დამსახურებაა.

**ჯაყელი —ასლან—ფაშა—უსუფი—ისაყი—სელიმი——**

**ასლან-ფაშა——აბდულ-ბეგი—ალი-ბეგი—აბდუშელიშვილი**

**ანუ აბდუშელიშვილი—ალიბეგაშვილები**

პაპის პაპის მამა იყო ბექა **ჯაყელი ციხისჯვარელი,** რომელმაც სამცხის ათაბეგებს შორის 1625 წელს იცვალა მამათა რჯული და გამაჰმადიანდა და იწოდა **საფარ-ფაშად.**

**მუსტაფა-ალა** იგივე გიორგი **აბდუშელიშვილი** 1762 წ. გაქრისტიანდა.



**აბდუშელიშვილი გოგა.** საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უზბეკეთის, ყირგიზეთის და ტაჯიკეთის რესპუბლიკებში, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი. დაიბადა თბილისში 1940 წ. 23 მარტს მშობლები: **ალექსანდრა აბდუშელიშვილი, ზურაბ აბდუშელიშვილი;** მეუღლე – **დინა ხამხაძე** *(1941);* შვილები: **ნესტანი** *(1963),* **ზურაბი** *(1967),* **დიმიტრი** *(1973).* დაამთავრა ს.პ.ი ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი *(1964).* იყო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ინჟინერი *(1964-66),* კომკავშირულ და პარტიულ აპარატში *(1966-77),* მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე *(1977-80),* მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის I მოადგილე *(1980-90),* მრეწველობის მინისტრი *(1991-92),* წამყ-

ეანი მეცნიერ-თანამშრომელი, საქკოო საზოგადოების გენერალური დირექტორი *(1992-94)*, მინისტრთა კაბინეტის თამჯდომარის მოადგილე *(1994-97)*, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი 1997 წლიდან. არის ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი მართვის პროცესების დარგში *(1976)*, ავტორი სამეცნიერო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტატიებისა *(1967-93)*. დაჯილდოებულია მედლით შრომითი წარჩინებისათვის *(1971)*. არის საქართველოს სამეცნიერო სამრეწველო კავშირის თავმჯდომარის მოადგილის შემსრულებელი.

**ჰობი:** ლიტერატურა, თეატრი, ფილმები, სპორტი, საკარმიდამო ნაკვეთი.

**„ვცხოვრე ისე, როგორც გამომივიდა საზოგადოებისათვის ჩვეული პლიუსებითა და მინუსებით; განვლილი გზის ანალიზი არასახარბიელო საქმეა მიმაჩნია, ვერ შევცვლი; ბატონ გიგის ძმა გახლავთ ცნობილი ქართველი მოღვაწე და კაი ყმა ოთარ აბდუშელიშვილი.**





**აბდუშელიშვილი ნინუკა**

**ზამთრის მიწურულს, თებერვლის ბოლოს**

***(მალხაზ აბდუშელიშვილის გახსენება)***

დაიბადა ზამთრის მიწურულს, თებერვლის ბოლოს, თბილისში, ვარდისუბნის ქუჩაზე – **აბდუშელიშვილების** ოჯახში, სადაც ერთად ცხოვრობდნენ მამები და ბიძები, დები და ძმები, მამიდაშვილები და ბიძაშვილები, რძლები და მაზლები, უფროსები და უმცროსები, იყვნენ ბევრნი, სიყვარულიც იყო ბევრი და იმ ბევრს სულ პატარა **მალხაზიკო** უყვარდა...

ამიტომ აზიკოსაც ცხოვრება დიდი ხანი მარტო სიყვარული ეგონა. თუმცა რაღაცა საიდუმლოც იყო მისთვის და ამიტომ „საიდუმლო კუნძული" უყვარდა და სულ კითხულობდა...

ბავშობა მე-18 სკოლაში გააგრძელა და იქ უკვე სიყვარული დიდ მეგობრობად შეეკრა – ედიკა პარმასთან, ნოდარ ლომოურთან, მერაბ მიქელაძესთან, ბადრი კობახიძესთან და აზიკოსაც ცხოვრება მეგობრობა ეგონა... და მეგობრობდა, დადიოდა, დაობდა, იცინოდა, კამათობდა და უყვარდა პოეზია – შოთა და ილია, პუშკინი და ბლოკი, პაოლო და პასტერნაკი, შექსპირი და გოეთე, შელი და ბაირონი... ივსებოდა, ივსებოდა და გადმოდიოდა.

მერე, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, დიდი ოჯახი აირია, ვიღაცა დაიჭირეს, ვიღაცა დახვრიტეს, ვიღაცას შეშურდა, ვიღაცა მოკვდა, ვიღაცას ქონება მოუნდა, ვიღაცამ იჩივლა, ერთი ალმა წაეიდა, მეორე დალმა, აირია, აიშალა და დაირღვა... და მიხვდა მალხაზი, რომ ცხოვრება მარტო სიყვარული, მეგობრობა და პოეზია არ იყო...

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ჩააბარა. ბევრი ისწავლა თუ ცოტა ისწავლა, ეტყობა, კარგად ისწავლა და ამიტომაც დიდმა მეცნიერმა ალ. ნათიშვილმა თავისთან მუშაობა შესთავაზა – ახალი დარგია – ანთროპოლოგია.

ჩვენთან სულ ყამირია. იქნება შენ ითავო. დიდი პასუხისმგებლობა იტვირთა და შეუყვა მეცნიერების გრძელ, ძნელ და საინტერესო გზას.

და ცხოვრებაც მალხაზისათვის იყო მეცნიერება_ ამისათვის თბილისი ძალიან პატარად ეჩვენა და სწავლა და მუშაობა მოსკოვში გააგრძელა. იქვე მეგობარ-მეცნიერთა წრე შეკრა: დებეცი, ელექსეევი, არუთინოვი, სემაშკო.. და მეგობრობდა, კამათობდა, დაობდა. ლექციებს კითხულობდა და უყვარდა ანთროპოლოგია, არქეოლოგია და ანატომია, ეთნოლოგია და ისტორია, ენათმეცნიერება და კრანიოლოგია და იესებოდა, იესებოდა და გადმოდიოდა:

და ცხოვრებაც იყო ერთი მეცნიერება, მერე ერთი ლამაზი გოგო შეუყვარდა და ცოლადაც მოიყვანა. სამი ქალიშვილი ეყოლა, ზრდიდა, ასწავლიდა, მოძღვრავდა, უნერგავდა და თესავდა_ ცხოვრება კი მაინც მეცნიერება იყო..

ექსპედიცია ექსპედიციით იცვლებოდა, კონგრესი – კონგრესით, მცხეთა – ხევსურეთით, ოსეთი – დაღესტნით, თურქეთი – ინდოეთით, აშშ – იაპონიით.. და იყო დიპლომები, სიგელები, ჯილდოები, წოდებები, ტაში და აღიარება.

ერთხელაც იფიქრა: ცხოვრება რესტავრაცია განახლება და მშენებლობაა. დანგრეული ბუდეები უნდა აღვადგინოო და სადაც ფესვებმა წაიყვანეს, იქ წავიდა – ზემო იმერეთის სოფელ შალაურში. და აგებდა ქვას – ქვას, აგურს – აგურს, აწყობდა, აშენებდა, თლიდა, სხლავდა, ხერხავდა. მერე საფლავებს უვლიდა, ლობავდა, ასუფთავებდა, ასწორებდა, ყვავილებს ახარებდა. მისაგებარს წერდა, წარსულს პატრონობდა. მერე შვილიშვილები ეყოლა, გაიზარდა ოჯახი, აყვავდა და დაფუძნდა. ერთად ცხოვრობდნენ დედები და მამები, შვილები და შვილიშვილები, სიძეები და ცოლისდები, უფროსები და უმცროსები, იყვნენ ბევრნი და ის ბევრი მალხაზს უყვარდა და ცხოვრება იყო სიყვარული. თუმცა რაღაცა საიდუმლო მაინც ჰქონდა. ამიტომაც ძალიან მოენატრა „საიდუმლო კუნძული" და სულ კითხულობდა. სულ ბოლოს მოძღვარის უთხრა: „ეტყობა, შემეშალა, რადგან ცხოვრება მეცნიერება და მშენებლობა მეგონა". ის კი დაავიწყდა, რომ მთელი ცხოვრება უყვარდა ვიღაცა და რაღაცა, მეგობარი და კოლეგა, პოეზია და ანთროპოლოგია, მშენებლობა და რესტავრაცია, წინაპარი და მოსავალი და ჯერ კიდევ 4 წლისამ იცოდა, რომ ცხოვრება სიყვარული იყო.

„საიდუმლო კუნძული" კი საიდუმლოდ დარჩა.

გარდაიცვალა ზაიმის მიწურულს, თებერვლის ბოლოს – თბილისში.



რუსუდან გრიგოლის ასული აბდუშელიშვილი. 1924 წლის 10 სექტემბერს ქართველი ექიმის გრიგოლ აბდუშელიშვილის ოჯახში დაიბადა პატარა ქალბატონი, რომელსაც რუსუდანი დაარქვეს.

ბატონი გრიგოლ (გიგი) მამის მხრიდან ძველი ქართული ფეოდალური ტრადიციების გამგრძელებელი გახლდათ, ხოლო დედის მხრიდან ქუთათური ბაქრაძე სათავეს გაბაშვილების (ბესიკისაგან) იღებდა. უმაღლესი განათლება ბატონმა გიგომ კიევის სამედიცინო ინსტიტუტში მიიღო. ოჯახზე ზრუნვამ და სიყვარულმა კიევიდან ახალდაბრუნებ–

[illegible]

ული ექიმი თავის მშობლიურ სოფელ შალაურში დაბრუნდა, სადაც თითქმის ათი წლის მანძილზე თორმეტ სოფლის დაუღალავად ემსახურა: მანვე გახსნა პირველი საავადმყოფო ზემო იმერეთის სოფელ „კორბოულში. 1923 წელს იგი დაქორწინდა ნუცა ცაგარელზე ქუთაისის დეკანოზის ქალიშვილზე, რომელმაც ქუთაისის გიმნაზიის შემდეგ განათლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და ლოგიკის ფაკულტეტზე მიიღო.

მეგობრების ფართო წრითა და საკმაოდ მრავალრიცხოვანი ნათესავებით გარშემორტყმული ბატონი გიგოსა და ქალბატონი ნუცას ოჯახი ცხოვრობდა ძველი ადათ-წესების დაცვით. ხშირი სტუმრებით სავსე სახლში იყო დაუსრულებელი საუბრები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, დისკუსიები ქვეყნის პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ მომავალზე.

ამ ოჯახში იზრდებოდნენ, მწიფდებოდნენ და ღვინდებოდნენ და-ძმა რუსუდან და მალხაზ აბდუშელიშვილები.

1940 წელს რუსუდანმა ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის მეთერთმეტე საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, რაც ასევე წარჩინებით დაამთავრა და იწყება მისი მეცნიერული გატაცება ჰემატოლოგიით: ლეიკოზის კლინიკო-ლაბორატორიული დიაგნოსტიკა, დაავადების ეტიოლოგია, სისხლის ყოველგვარი პათოლოგიით შეპყრობილ ავადმყოფთა ისტორიების შესწავლა, სისხლის სისტემის გენეტიკური თუ ვირუსული საწყისი, ჭარბად მზარდი ავთვისებიანი უჯრედების გასანადგურებლად ქიმიურად ძლიერი ნივთიერებების ხმარება- და პირველი სერიოზული სამეცნიერო ნაშრომი, „სისხლწარმოქმნის ჰიპო და ჰიპერპლაზიურ პროცესებზე სხვადასხვა ეგზოგენურ ფაქტორთა გავლენა".

ახალგაზრდა მეცნიერი გადის ჩინებულ სკოლას უფროს პროფესორ-კოლეგებთან ფრიდმანთან და სუმენსკაიასთან, საფუძვლიანად სწავლობს კლინიკურ ჰემატოლოგიას ნინო გურიელთან.

1964 წელს მოსკოვში ლეიკოზის ეტიოლოგიისა და პათოგენეზისადმი მიძღვნილ 41-ე საკავშირო სიმპოზიუმში დიდი გამოხმაურება ხვდა მის მოხსენებას. აკადემიკოსი კრაევსკი, პროფ. ისლინსკი, პროფ. ლორიე რუსუდანს სთავაზობენ თანამშრომლობას.

რამდენიმე წელიწადში ქვეყნდება მისი სადოქტორო დისერტაცია. გრ. მუხაძის სახელობის სისხლის გადასხმის ინსტიტუტში ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას, მისი ხელმძღვანელობით დგება საპრობლემო კომისია, იცავება საკანდიდატო დისერტაციები. მისი პედაგოგიური მოღვაწეობის თვალსაჩინოდ ერთი ასეთი წარწერაც კმარა:

**„ჩემს უსაყვარლეს რუსის, ჩემთვის ადამიანობისა და კეთილშობილების იდეალს, უღიდესი მადლიერების გრძნობით იმ დიდი ღვაწლისა და**

დახმარებისათვის, რაც ამ შრომის შესრულებაში გამიწია და იმ განსაკუთრებული ბედნიერებისათვის, რასაც თქვენს გვერდზე ყოფნა და მუშაობა გვანიჭებს ყველა თქვენს მოწაფეს".

1982 წელს საქართველოში ტარდება მსოფლიო მესამე (პარიზი, ინსბრუკი) და კავშირში პირველი სიმპოზიუმი ლეიკოზის წინარე და ლეიკოზის ეპიდემიოლოგიის საკითხებზე. ეს ქართველ ჰემატოლოგთა უდიდესი გამარჯვება იყო.

1986 წელს რიგაში ჰემატოლოგთა მიელოდისპლაზიური სინდრომისადმი მიძღვნილ სიმპოზიუმზე ერთ-ერთ სხდომას წარმატებით თავმჯდომარეობს ქალბატონი რუსუდანი. აქედან იწყება მისი ჯანმრთელობის მკვეთრი და სწრაფი გაუარესება და მიუხედავად ამისა, იქვე დგება 5 წლის შემდეგი სიმპოზიუმის გეგმა, მიძღვნილი აკადემიკოს ნ. კრაევსკის ხსოვნისადმი.

ერთხელ ასიზელ ფრანცისკს თავის ბაღში თოხნის დროს ვიღაცამ ჰკითხა, რას იზამდი ახლა, თუ გაიგებ, რომ დღეს მზის ჩასვლამდე მოკვდებიო? რა თქმა უნდა, დავამთავრებდი თოხნას ჩემს ბაღშიო. არც ერთ წუთის არ დაეჭვებულა ქალბატონი რუსიკო, ისე გააგრძელა თავის „ბაღში თოხნა," რადგან თავისთვის ყველაზე ღირსეულ, მნიშვნელოვან და საინტერესო საქმეს აკეთებდა, რასაც ემსახურა კიდეც ცხოვრების ბოლომდე.

წერა მოსაგონარი შენს უახლოეს ადამიანზე, რომელთანაც თითქმის 30 წელი გაკავშირებს და თან ზომიერება დაიცვა, ძალიან რთულია. გინდა ობიექტური დარჩე და შენი ნაწერი მშრალი ფაქტების ფარატინას ემსგავსება, გინდა ცოტა მეტი ემოცია და იმწუთსავე სუბიექტური და სენტიმენტალური ხდები. რახან ფაქტების ფარატინა უკვე წარმოვადგინე, თავს უფლებას მივცემ, ცოტა სუბიექტურიც ვიყო.

მთელი ჩემი ბავშვობა რუსიკოს ოთახში გავატარე. მე მაშინ არც ის ვიცოდი, რომ რუსიკო თურმე სისხლის უჯრედების საიდუმლოებებს სწავლობდა, რომ ეს თურმე მისი პროფესია იყო, არც მისი წარმატებებისა თუ ნერვიულობების არა მესმოდა და მართალი გითხრათ, დიდად არც მაინტერესებდა. ერთი კი ვიცოდი, სამსახურში დადიოდა და მე მთელი დღეები ველოდებოდი. ზოგჯერ ძალიან დაღლილი შემოდიოდა სახლში და დამინახავდა თუ არა, ისე გაიცინებდა, თითქოს დაღლამ გადაუარაო, მიუჯდებოდა თავის შავ პიანინოს და აქამდე დიდი მოწყენილი სახლი ივსებოდა მუსიკით. დაფარფატებდნენ ნოტები ყველგან, ყველაფერს ეკეროდნენ და ეწეპებოდნენ. მეც ამ მუსიკას აყოლილი დივანზე ვცეკვავდი— თუმცა ყოველთვის მეშინოდა ბოლო აკორდის და ბოლო ნოტის, რომელსაც ვიცოდი, ბოლო-ბოლო აიღებდა მუსიკოსი. და ასეც მოხდა— აიღო ჩემი გარდასული ბავშვობის ბოლო ნოტი და წაიღო ჩემი მუსიკოსი— *(ნინუკა მალხაზის ასული აბდუშელიშვილი).*

**ᲐᲑᲓᲣᲨᲔᲚᲘᲫᲔ – 47**
**ბათუმი–2,**
**ოზურგეთი– 1,**
**საგარეჯო – 1**

**აბდუშელიძე.** აბდუშელ ვარაუდით მომდინარეობს სახელისაგან **„აბდუშაჰილ“** *(იხ. ილ. ჭანტ.. 16).*

**აბელაშვილი–ანდრონიკაშვილი** გვარის სახელი **„აბელაშვილი“** ფუძეში შეიცავს საკუთარ სახელს **„აბელ“**. გადმოცემით, აზნაური აბელაშვილები თავადი ანდრონიკაშვილების განაყრები არიან, ხოლო თავადი ანდრონიკაშვილები ბიზანტიის იმპერატორთა გვარის წარმომადგენლის, XII საუკუნეში საქართველოში გადმოსახლებული ანდრონიკე კომნენოსის შთამომავლებად ითვლებიან.

ქართულ საისტორიო საბუთებში აბელაშვილთა გვარი XVII საუკუნიდან ჩანს. 1670 წლის აბბა-ალავერდელის ბოდბელისადმი მამულის წყალობის წიგნში მოწმედ დასახელებულია **აბელაშვილი ებიტა.**

აზნაური აბელაშვილები იხსენიებიან 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის თავად-აზნაურთა სიაში, კახეთის სახასო აზნაურთა შორის.

ღმერთისა და საქართველოსათვის აბელაშვილთა გვარის მეომრები გამოდიოდნენ კახეთის საერო ლაშქრის წინამბრძოლთა სადროშოში.

ამჟამად აბელაშვილები ცხოვრობენ ძირითადად შიდა კახეთში და მცირე რაოდენობით – გარე კახეთშიც.

აბელაშვილი საშუალო რიცხოვნობის გვარია.

**ᲐᲑᲔᲚᲐᲫᲔ – 52**
**თბილისი – 12,**
**ვანი – 7,**
**ზუგდიდი – 6.**
**შდრ. აბელისძე.**
**აბელისძე ქურობან**
**– ანჩხელი**
**არქიმანდრიტი**

აბელაძე მომდინარეობს საკუთარი სახელისგან. აბელ – 1678–1691 წწ. ხელმწიფის კარის II დედოფლის კარის დეკანოზის შვილი *(პალ. I. გვ. 54).*

**ᲐᲑᲔᲡᲚᲐᲛᲘᲫᲔ – 511**
**ბათუმი – 121,**
**ქედა – 63,**
**ქობულეთი – 5.**

**აბესალამიძე აბესლამიძე** მიჩნეულია **აბესალომიდან** ნაწარმოებად. **აბესლამი,** როგორც საკუთარი სახელი, გვხვდება მაჭახლის ნუსხაში. **„სულსა აბესალამის ძისა გიორგისა და მისის მეუღლისა მარიამისა. სულსა ციენარისძისა ნიკოლოზისა და მისისა მეუღლისა აბესალამ-ურისასა. სულსა აბესალამისძისა ივანესასა. სულსა აბესალამეთთ სძალს ჩოქანელისას შეუნდვენ ღმერთმან“** *(ტბეთის სულთა მატიანე. გვ. 74.92.126).*

გვარის სამი ვარიანტია დაფიქსირებული: **აბესლამიძე, აბესლამური და აბესლამეთ.**

ხელვაჩაურის რაიონში, აჭარის აღმართში არის აბესლამიძეების უბანი, ცხოვრობენ ორთაბათუმში, მეჯინისწყალში, ახალშენში, ქედაში, ხელვაჩაურში, ბათუმში. ქებით მოიხსენიებენ **ოთარ, გელა** *(მისი ვაჟიშვილი),* **მათე, სალი, უსუფ აბესლამიძეებს** *(იხ. იოსებ ბექირიშვილი. აჭარის ისტორია გვარსახელებში. ბათუმი. 1996. გვ. 11–12).*

**აბესალაშვილი 195**
*თბილისი – 103;*
*ონი – 14;*
*რუსთავი – 10;*

**აბესალაშვილი–აბესალამაშვილი–მურადაშვილი–ყორხმაზაშვილი** – მოიხსენიებიან 1537 წლიდან. ამჟამად საკუთარი სახელით აბესალომ ნაწარმოები გვაქვს ზემოთჩამოთვლილი გვარები.

აბესალომიდანაა ნაწარმოები აგრეთვე გვარი აბესალამაშვილი. ამ გვარმა მოგვცა შტო-გვარები: **მურადაშვილი, ყორხმაზაშვილი.**

**აბესალამაშვილი||აბესალამაანი,** დარბასჭალას მცხოვრები. იგი, მამულით, წილად ხვდა იოთამ ბარათაშვილს *(1537–1538 წ.წ. VIII. 16. 1450–11–112).*

**აბესალამაშვილი** – ქცირა ციციშვილების ორი დღის მიწა, რაც აღნიშნულია ყაია, ბაადურ და პაპუნა ციციშვილებს შორის სამწყერისის მამულებზე დაცის წიგნში *(1633–1658 წ.წ. 1448–2316).*

**აბეს[ა]ლამაანი** – მათი და მანთაშას სახლის კედელი ემიჯნებოდა ბაინდურა შერგილასშვილის მიერ გოშპარაანთ გასპარასათვის მიყიდული ქულბაქის უკანა გვერდს *(1689–1693 წ.წ. შდ–13011).*

**აბესალამა(ა)ნთ მურადაშვილი ესტატე** – ძმა აბესალამაანთ მურადაშვილი ხოჯინასი.

**აბესალამა(ა)ნთ მურადაშვილი ხოჯინა** – 1679–*(1693)* წ.წ. ჰყავს ძმა ესტატე *(1679–1693).*

**აბესალამა[ან]თ ყორხმაზასშვილი ბეჟია** – მიჰყიდა თავის ბიძას, აბესალამაანთ ფასინას მამული სახლ–კარით *(1680 წ.).*

**შდრ. აბესალაძე ოსია** – ერთი კომლი, იგი შესწირა გენათელმა ზაქარია ქვარიანმა ხახულის ღვთისმშობელს *(1644 წ.).*

# აბესაძეები

**აბესაძე 4280**
*თბილისი – 780;*
*ჭიათურა – 678;*
*ტყიბული – 543;*

არსებობს ვარაუდი *(ალბათ, არცთუუსაფუძვლო),* რომ აბესაძეთა ადრინდელი გვარი აბაზასშვილი, აბაზაძე ყოფილა *(აბას–აბეს).*

აბესაძეების რამდენიმე კომლი ორი–სამი საუკუნის წინათ დასავლეთ სამეგრელოში გადასულა. დღეს ამ გვარისანი ცხოვრობენ ნოჯიხევში – 6 კომლი, თითო–ოროლა კომლი სხვა სოფლებშიც დასტურდება.

ბევრი აბესაძე კარგახანია აბსანაძე, აბსანიძე *(იშვიათად აბსნაძე, აფსნაძეც)* იწერება. ამ გვარის წევრებმა დღესაც იციან, რომ მათი წინაპრები იმერეთიდან *(გელათიდან)* ჩამოსულან. წლების წინათ ბატონ ოთარ აბესაძისთვის ოტობაიელ აბსანძეს უთქვამს, რომ ისინი ძმათაშვილები არიან, მათი წინაპრები იმერეთის სოფელ მუხურიდან გადმოსულან და აქ სამეგრელოში დასახლებულან. პაატა ცხადაია წიგნში „გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში" *(2000 წ.)* წერს: „აბესაძე – 4280 სული *(თბილისი 780, ჭიათურა – 678, ტყიბული – 543),* მთელი ქვეყნის გვარებს შორის რაოდენობით *(110–ე ადგილზეა),* იმერეთის

მასშტაბით *(2559 სული. 29-ე ადგილი)*. ეს გვარი მიგრირებულია სამეგრელოშიც, სადაც კომპაქტურად სახლობენ ნოჯიხევში – 6 კომლი *(თითო-ოროლა კომლი სხვა სოფლებშიც დასტურდება)*. შესაძლოა, აბესაძე აბესალას ან აბესალომის შემოკლებული ფორმა იყოს. გვარი აბესაძე ცნობილია მე-13 საუკუნიდან *(ჰალ. I. 56) (იხ. გვ. 48)*.

იქვე: აბსანძე- აბსანძეები თელიან, რომ მათი წინაპრები ჩამოსულან გელათიდან- *(გვ. 49)*.

**აბესაძენი, აბესა, აბესაი** – აბესაძე საკუთარი სახელია კაცის. ძველს საქართველოში ბევრს ვინმეს რქმევია სახელი **აბესა**, ჟამითი-ჟამად და ადგილ-ადგილ. ერთი ვინმე **აბესას ძე ხოჯლელი**, კაეთისა მსახური, ხსენდება **1259** წელს კახა თორელის შეწირულობის წიგნში.

სხვა დროს და სხვა ალაგს, სხვა აბესაის შეილთ აბესაძეობა გაუჩენიათ.

გვარის სახელით აბეს – ფუძისანი არიან: აბესანიძენი და აბესაშვილნი, აბესიძენი და აბესიძენი.

ეგრე უწნობენ.. მუხურელ აბესაძე მოდიანო აბესაძენი, ვიეთნი გლეხნი და ვიეთნი აზნაურნი ტახტისა. ამასაც უწნობენ, გეიანდელნი აზნაურნი არიანო აბესაძენი.

დღემდე შემორჩენილ ქართულ საისტორიო საბუთებში აბესაძეთა გვარი XIII საუკუნიდან ხსენდება.

რუსთა ბატონობის ჟამს, ერისთავთაგან წერეთელთათვის მიცემული ერთი ნასყიდობის წიგნის მიხედვით, აბესაძენი მუხურიდან საწერეთლოში გადასულან ჯერ კიდევ მეფის სოლომონის ზეობის ჟამს.

1763 წლის წერეთელთა ერთი „საუდეოს" წიგნით, საწერეთლოში მოწმედ და გამრიგედ ჩანს აბესაძე – მეციხოვნე სვერის ციხისა.

.აბესაძე – მეჭურჭლეთუხუცეს კახას *(თორელის)* მიერ რკონის მონასტრისათვის მიცემულ სოფელ ხოვლეს შეწირულობის დაწერილში აღნიშნულია, რომ იგი ხოხალაისძესთან ერთად შეწირული იყო კაეთის ეკლესიისათვის. ეს შეწირულობა შემდგომში კახას განუახლებია *(1260 წ.)*.

ღმერთისა და საქართველოსათვის და ბაგრატიონთა ტახტის ძლიერებისათვის, აბესაძენი გლეხნი კომლზე კაცად და აზნაურნი ქუდზე კაცად გამოდიოდნენ იმერეთის სამეფო ლაშქარში, ერისთავთა და წერეთელთა დროშების ქვეშ და მეფისა ალმის მპყრობელთა შუაგულ სადროშოში.

**ამჟამად აბესაძენი ცხოვრობენ: ოკრიბას, ზემო და ქვემო იმერეთს, გურია-აჭარას, ოდიშ-სამურზაყანოს, სამცხეს, ქვემო და შიდა ქართლს, გარე და შიგნით კახეთს, ქიზიყს და ჰერეთს. განსაკუთრებით მრავლად არიან: ტყიბულის, ჭიათურის, თერჯოლის, ზესტაფონის, ოზურგეთის, საგარეჯოს, თელავის და გურჯაანის მხარეებში.**

საქართველოში აბესაძეთა დიდ-პატარის, ქუდოსან-მანდილოსნის საერთო

როცხეი ოთხიათას ორას ოთხმოცს აჭარბებს.

*ღმერთმა ამრავლოს გვარი აბესაძეთა (ალექსანდრე ნაზღაიძე. 1997. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი).*

ქართულ ენციკლოპედიაში შეტანილია:



აბესაძე კაპიტონ მელქისედეკის ძე *(დ. 25.XI.1900. სოფ. მუხურა. ტყიბულის რაიონი).* მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი *(1974).* 1922 წელს დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია. 1921–1926 წ.წ. მონაწილეობდა ქუთაისის რკინიგზის კლუბის დრამატული წრის სპექტაკლებში. 1928 წელს კოტე მარჯანიშვილმა მიიწვია მის მიერ ქუთაისში დაარსებულ თეატრში, სადაც აბესაძემ 1930 წლამდე იმუშავა.

სხვადასხვა წლებში მოღვაწეობდა თბილისის წითელ და მოზარდ მაყურებელთა თეატრებში. 1938 წლიდან ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის მსახიობია.

წარმატებით გამოდის სახასიათო როლებში: ყვარყვარე, მანუჩარი *(კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“ და „კოლმეურნის ქორწინება“),* ჯიბო კვანტრიშვილი, მოსე მწერალი *(დადიანის „გუშინდელნი“ და ნინოშვილის „გურია“),* კირკიტა *(ჯავახიძის „ჟამთა ბერის ასული“),* ხარიტონ აბზიანიძე *(მაზოვის „მუნჯები ალაპარაკდნენ“),* სკოროხოდოვი *(გორკის „მტრები“),* შვაჩი *(ლავრენიოვის „რღვევა“)* და სხვა. მონაწილეობდა ფილმებში: „დაკარგული სამოთხე“ *(იმერელი გლეხი),* „საბუდარელი ჭაბუკი“ *(ფოსტალიონი),* „ჩემი მეგობარი ნოდარი“ *(მეეტლე აფრასიონი)* და სხვ.



აბესაძე გია (გივი) გახტანგის ძე დაიბადა ქ. ზესტაფონში 1965 წლის 16 მაისს.

1973 წელს წარჩინებით დაამთავრა ზესტაფონის მე–4 საშუალო სკოლა, ხოლო 1981 წელს – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი, ექიმ–კარდიოლოგის სპეციალობით.

1982 წელს მუშაობა დაიწყო რუსთავის საავადმყოფოში მიმღები განყოფილების გამგედ.

1985 წლიდან სიკვდილამდე მუშაობდა თბილისის მეორე სამშობიარო სახლში კარდიოლოგად.

პარალელურად მუშაობდა საშენ–მასალათა კომბინატის სამედიცინო ცენტრში.

1987 წელს გააგზავნეს ერთი თვით ზაამინის ცენტრალურ რაიონულ საავადმყოფოში იქაური მედ–პერსონალის დასახმარებლად, რისთვისაც დააჯილდოვეს საპატიო სიგელით.

1991 წლის 21 სექტემბერს, როცა საქართველო სამოქალაქო ომის საშიშ-

როების წინაშე დალგა. გიამ რუსთაველის პროსპექტზე თავი დაიწვა და სიკვდილის წინ დატოვა შემდეგი შინაარსის წერილი:

**„თუ ქართველთა შერიგებასა და საქართველოს აღორძინებას მსხვერპლი სჭირდება, დაე, ეს მსხვერპლი მე ვიყო, ღმერთმა ქნას, ბოლო იყოს, შეიწყალოს, მაპატიეთ, ვიცი, რომ გამიგებთ“.**

გარდაიცვალა 22 სექტემბერს დღის 10 საათზე დამწვრობის ცენტრში.

მარადისობაში გადასული გია აბესაძე დადგა იქ, სადაც ცოტნე დადიანი, ბერი თევდორე და სხვა მათებრ გამორჩეულნი დგანან.

ჩვენ, სამწუხაროდ, დღეს ამას მთელი სიცხადით და სიმძაფრით ვერ ვგრძნობთ.

გიას საქციელში, ალბათ, ყველაზე გამაოგნებელია საქართველოსადმი, ქართველებისადმი მისი რწმენის სიმაღლე და შეუვალობა: რამხელა სულიერების პატრონებად გვთვლიდა ჩვენ, – მის თანამემამულეებს, რომ ეჭვის ნატამალიც არ შეპარვია – მისგან აგზნებული ცეცხლი მყისიერად გააკეთებდა თავის გასაკეთებელს:

არადა, გასაკეთებელიც იმდენი არ იყო – ერთმანეთის სისხლში არ გაგვესვარა ხელი და ერთად გვეძებნა ჩვენი სამშობლოს უკეთესი მომავალი.

დიახ, გია აბესაძე ამას ვერ ჩათვლიდა ისეთ საძნელო საქმედ, რასაც ქართველი კაცის თვითშეწირვა ვერ გადასწონიდა.

ვერ ჩათვლიდა, რადგანაც იგი საოცრად რეალურად და ცხადად აღიქვამდა იმ ნათელს **„ჩვენი დიდი წინაპრების საფლავებიდან რომ ამოდის და რომლის შუქზე ჩვენც უფრო დიდები ვჩანვართ ხოლმე, ვიდრე ვართ სინამდვილეში“** *(ბატონი რევაზ თაბუკაშვილის სიტყვები).*

რა რწმენა გავაცუდეთ!

არ აღმოვჩნდით „იმხელები“ და „იმსიმაღლენი“, არა თუ ძმათაკვლის ზღვართან არ შევჩერდით, არამედ, ბევრმა თვით სახელი – გია აბესაძეც და მისი აგზნებული ცეცხლიც კი დავივიწყეთ. ზოგმა ასე მონათლა იგი: **„სამშობლოსათვის გულანთებული, მაგრამ საოცრად გულუბრყვილო ბიჭი“**. მართალია! ზნეობა გულუბრყვილო უნდა იყოს და არა „გველივით ბრძენი!“

შოთა ნიშნიანიძე ცოტნე დადიანისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ლექსში წერს:

**„ცოტნე გმირია, დიდებული გმირი, ოღონდაც, თუ ბიჭები ვართ, ნუ გადიდებთ მარტოოდენ ცოტნეს, გახსენით სახელდაღრუვებული ლომი მონღოლიც, გმირობისა და ვაჟკაცობის უბადლო მცოდნე“.**

დიახ, მოსისხლე მონღოლმა მაშინვე დააფასა ცოტნეს გმირობა, ჩვენ კი, გია აბესაძის თანამემამულეებს ქართული ზნეობისათვის თავის გაწირვის ამ გასაოცარი მაგალითის ჯეროვნად შეფასებამდე ჯერ კიდევ დიდი გზა გვიძევს წინ.

გია აბესაძის თვითშეწირვამ ქართველთა დაპირისპირება ვერ შეაჩერა, მაგრამ ქართულ სინამდვილეში იგი დარჩება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითი ქართული ზნეობის გადასარჩენად. „ქართული ზნეობა" დავწერე, რადგანაც ამ ფრაზაში ჩვენ ხომ ზნეობრივთან ერთად, კიდევ რაღაცას ტრადიციულ-ქართულსაც მოვიაზრებთ.

**გია აბესაძის თვითშეწირვა იმის ნათელი მაგალითიცაა, თუ როგორ უნდა გვჯეროდეს და გწამდეს შენი ერისა.**

გია აბესაძე დღეს უკვე მარადისობის მკვიდრია. მისი ამბოხი სული და გაუბზარავი რწმენა მუდამ ჩვენი თანამედროვე დარჩება.

გაივლის დრო, *(როგორც ისტორიკოსები ამბობენ, ცოტნეს ზნეობრივ გმირად შერაცხვასაც საუკუნეზე მეტი დასჭირდა)* და ქართველი ხალხი შეიღებს აღზრდის გია აბესაძის გმირული თვითშეწირვის მაგალითზე.

ეს წიგნიც ერთი პატარა ნაბიჯი იყოს ზნეობრიობისა და რწმენის იმ სიმაღლისაკენ, რომელსაც გია აბესაძის სახელი ჰქვია.



**აბესაძე ოთარ გრიგორის ძის შრომითი საქმიანობის ავტობიოგრაფიული მონაცემების შესახებ.**

დაიბადა 1928 წლის 15 სექტემბერს, ლაგოდეხის რაიონის სოფ. აფენში, გლეხის ოჯახში.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1950 წელს, სოფლის მეურნეობის პროდუქტთა გადამუშავების ინჟინერ-ტექნოლოგის სპეციალობით, რის შემდეგ დღემდე – 53 წლის განმავლობაში მუშაობს *(გარკვეული პერიოდების წყვეტილობით)* ჩაის დარგში. თავისი შრომითი საქმიანობა ოთარ აბესაძემ დაიწყო 1949 წელს, ქობულეთის რაიონის ოჩხამურის ჩაის ფაბრიკაში, ცვლის ტექნოლოგად.

1950-51 წლებში ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ გაიგზავნა ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის ფაბრიკაში, სადაც იმუშავა ჯერ მორიგე ტექნოლოგად, ხოლო მეორე წელს დაწინაურებული იქნა მთავარ ტექნოლოგად.

1952 წელს გადაყვანილი იქნა აფხაზეთში, გალის რაიონის ჭუბურხინჯის ჩაის ფაბრიკის მთავარ ინჟინრად, ხოლო მალე, 24 წლის ასაკში დაწინაურებული იქნა ამავე რაიონის ნაბაკევის ჩაის ფაბრიკის დირექტორად.

ორი წლის შემდეგ ოთარ აბესაძე გადაყვანილი იქნა პარტიულ სამუშაოზე – იმუშავა ჯერ გალის რაიკომის მდივნად მტს-ის ზონაში, ხოლო ორი წლის შემდეგ – მეორე მდივნად, სადაც იმუშავა 1956 წლამდე.

1957 წლიდან გადაყვანილი იქნა პარტიის წყალტუბოს რაიკომის ჯერ მეორე მდივნად, შემდეგ – რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, ბოლოს – რაი–

კომის პირველ მდივნად.

1961–63 წლებში ოთარ აბესაძე დაინიშნა საქართველოს კპ ცეკას პარტორგად იმერეთის რეგიონის ოთხ რაიონში *(წყალტუბოს, ქუთაისის, ტყიბულის და მაიაკოვსკის რაიონებში)*, ხოლო შემდეგ – ისევ წყალტუბოს რაიკომის პირველ მდივნად.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ოთარ აბესაძეს უშუალო კავშირი ჰქონდა ჩაის წარმოებასთან და ამ დარგის განვითარების ამოცანების გადაწყვეტის პრობლემებზე მუშაობდა მათი მეცნიერულად დამუშავებისა და შედეგების პრაქტიკაში დანერგვისათვის.

იცავს დისერტაციას ჩაის თემაზე – ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

1965 წელს გადაყვანილი იქნა ქვეყნის ჩაის დარგის პირველ ხელმძღვანელად *(ჯერ „საქ. ჩაი"–ს ტრესტის, ხოლო შემდეგ ჩაის რესპუბლიკური გაერთიანების უფროსად)*, სადაც იმუშავა ორი ათეული წლის განმავლობაში. სხვადასხვა თანამდებობებზე გადაყვანით, მათ შორის საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის კვების და მსუბუქი მრეწველობის განყოფილების გამგედ.

ამ პერიოდის ბოლოსათვის *(1957–80 წლებში)* საქართველოში ყოველწლიურად იკრიფებოდა 500 ათას ტონამდე ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი *(ნაცვლად 185.5 ათასი ტონისა – 1965 წელი)*.

ამ მაჩვენებლების მიხედვით საქართველო იმ დროს მსოფლიოს ჩაის მწარმოებელ ქვეყნებს შორის მე–4–5 ადგილზე იყო *(ჩინეთის, ინდოეთის და ცეილონის შემდეგ)*, ხოლო ქართული ჩაის თავისი გამორჩეული ორგანოლეპტიკური მახასიათებლებით ფართო მოწონება ჰქონდა მოპოვებული არა მარტო მაშინდელი საბჭოთა კავშირის მოსახლეობაში, არამედ უცხოეთშიც.

ყოველივე აღნიშნულის მიღწევის საქმეში თავისი წვლილი საქართველოს მეჩაიეებთან ერთად, წლების განმავლობაში შეჰქონდათ ქართველ მეცნიერებს, ჩაის დარგის გამოჩენილ სპეციალისტებთან ერთად, რომელთა შორის აქტიურ მუშაობას ეწეოდა ჩაის გაერთიანება, მისი პირველი ხელმძღვანელის ოთარ აბესაძის მხარდაჭერით და მონაწილეობით, რომელმაც ამ ხნის მანძილზე თავის მეცნიერულ მიღწევებს დაუმატა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, ხოლო უკანასკნელ წლებში მას მ/აკ–ის ნამდვილი წევრის წოდებაც მიემატა.

ოთარ აბესაძე ავტორია 36–ზე მეტი მეცნიერული ნაშრომისა ჩაის დარგში.

1977–80 წ.წ. იმუშავა თევზის მრეწველობის სამმართველოს უფროსად და მიკუთვნებული აქვს საოკეანო თევზჭერის ფლოტილიის ვიცე–ადმირალის საპატიო წოდება.

ოთარ აბესაძის დამსახურებებიდან, ქვეყნის და მისი ჩაის დარგის აღორძინების საერთო საქმიდან იქნებ შეიძლებოდეს იმის გამოყოფაც, რომ 90–იანი

წლების ბოლოს მისი ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით ქართველი მეცენატების დახმარებით მუხურელი მეჩაიეებისათვის სოფ. მუხურაში აშენდა და წლების განმავლობაში იმუშავა მიკრო ჩაის ფაბრიკამ.

1967-70 წლებში ოთარ აბესაძემ ხანგრძლივი მივლინებით იმოგზაურა მსოფლიოს ჩაის წარმოების კლასიკურ ქვეყანაში – ინდოეთში, აგრეთვე იაპონიაში, ინგლისსა და იტალიაში, სადაც ჩაის პირველად გადამუშავების პროცესებთან ერთად ეცნობოდა ჩაის განწონვის და დაფასოების, მის მოწყობილობების წარმოების პროცესებს.

ამავე პერიოდში მონაწილეობას ღებულობდა ჩაის მრეწველობის, კერძოდ, მეორადი გადამუშავების საწარმოების ახალი ტექნიკური გადაიარაღების ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში.

საფუძველი ეყრება ქართული ჩაის ფართო პროპაგანდის მწყობრ სისტემას. მოსკოვში *(1965 წ.)* ორგანიზებული იქნა ქვეყანაში ჩაის პირველი აუქციონი, ასევე ქართული ჩაის დღეები კიევში, ლენინგრადში, ლვოვში, სვერდლოვსკში, ალმა-ათაში და სხვა რესპუბლიკების დედაქალაქებსა და მსხვილ სამრეწველო ცენტრებში.

ქართული ჩაი გამოფენილი იყო კალკუტის საერთაშორისო აუქციონზე *(1969 წ.)*, ლონდონში *(1971 წ.)* საბჭოთა კავშირის კვების პროდუქტების გამოფენაზე, ლაიფციგის ბაზრობაზე *(1976 წ.)*, სადაც ის უცვლელად იკავებდა ერთ-ერთ პირველ ადგილს.

აღნიშნულ ამოცანათა განხორციელების საქმეში დარგის თვალსაჩინო წარმატებისათვის 1966 წელს ოთარ აბესაძე დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 1971 წელს – **შრომის წითელი დროშის ორდენით**, 1976 წელს **„საპატიო ნიშნის"** ორდენით, **მედლებითა და სიგელებით.**

მრავალჯერ წარმოადგენდა საქართველოს ჩაის მრეწველობას ქვეყნის სახალხო მეურნეობის გამოფენებზე, რისთვისაც ასევე მიღებული აქვს მედლები *(ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოსი)* და დიპლომები.

15 წლის განმავლობაში არჩეული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. აქტიურ მონაწილეობას იღებდა რესპუბლიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ჩაის სპეციალისტებმა და მეცნიერებმა, მათ შორის აბესაძემ ჩაიში 5 ათეულ წელზე მეტი ხნის მუშაობის გამოცდილების მქონე ხელმძღვანელებთან ერთად, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს, ს.მ. მეცნიერებათა აკადემიის და ჩაის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების, ქვეყნის სხვა ინსტიტუტების კოლექტივებთან და მეცნიერ-სპეციალისტებთან კავშირში, აქტიური მონაწილეობა მიიღეს ბოლო წლებში ჩაის დარგის აღდგენა-რეაბილიტაციის ამოცანების ღონისძიებებში, რომლებსაც მხარი დაუჭირეს ქვეყნის ხელმძღვანელმა ორგანოებმა.



**აბესაძე ავთანდილ ამბერკის ძე** დაიბადა 1932 წლის 6 იანვარს ტყიბულის რაიონის სოფელ მუხურაში.

იქვე დაამთავრა *(1951 წელს)* საშუალო სკოლა.

შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1957 წელს სამთო ინჟინრის სპეციალობით.

ამავე დროს არის კვების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგი, პატენტმცოდნე და მეტროლოგი.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა მაუდის კომბინატში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში და ცეკავშირის გამგეობის მთავარ ტექნოლოგად.

1993 წლიდან არის პენსიონერი.

ამჟამად არის საზოგადოებრივი ორგანიზაციის „საქართველოს ადამიანთა უფლებებისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის კავშირის“ გამგეობის თავმჯდომარე.

ცხოვრობს ქალაქ თბილისში.



**აბესაძე ავთანდილი იოსების ძე** დაიბადა 1928 წლის 10 მაისს გურჯაანის რაიონის სოფელ ყანდაურაში, მოსამსახურის ოჯახში. მამა, **იოსებ ანტონის-ძე აბესაძე** ეკონომისტი იყო; დედა, **ქსენია ნიკოლოზის ასული ფხალაძე** – პედაგოგი.

ავთანდილ აბესაძემ 1945 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის ვაჟთა მე-7 საშ. სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში სამკურნალო ფაკულტეტზე.

1951 წელს ავთანდილ აბესაძემ წარჩინებით დაათავრა სამედიცინო ინსტიტუტი და ჩარიცხული იქნა ინსტიტუტის ნორმალური ფიზიოლოგიის კათედრის ასპირანტად.

ავთანდილ აბესაძემ 1954 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1963 წელს – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. 1967 წელს მას მიენიჭა პროფესორის წოდება.

1954–55 წლებში იგი სამედიცინო ინსტიტუტის ნორმალური ფიზიოლოგიის კათედრის ასისტენტია.

1956 წლიდან ავთანდილ აბესაძე მუშაობას იწყებს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გრ. მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჯერ მეცნიერ-მუშაკად, შემდეგ ექსპერიმენტული ლაბორატორიის ხელმძღვანელად, ხოლო 1986 წლიდან გარდაცვალებამდე იგი იყო ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში.

ავთანდილ აბესაძის მეცნიერ-ხელმძღვანელობითა და კონსულტაციით დაცულია 10 სადოქტორო და 40 საკანდიდატო დისერტაცია. წლების განმავლობაში მიჰყავდა ნორმალური ფიზიოლოგიისა და პათოფიზიოლოგიის კურსი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში.

ავთანდილ აბესაძე იყო მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, თბილისის ჰემატოლოგთა და ტრანსფუზიოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და ტრანსფუზიოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი, რამოდენიმე სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრი. იგი ავტორია 6 მონოგრაფიისა და 250-მდე სამეცნიერო ნაშრომის.

ავთანდილ აბესაძეს 1966 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. თარხნიშვილის სახელობის პრემია. დაჯილდოებული იყო სამთავრობო ორდენებითა და მედლებით.

ავთანდილ აბესაძე გარდაიცვალა 1999 წლის 10 აპრილს.



**აბესაძე ამირან მიხეილის ძე** დაიბადა 1936 წლის 1 ნოემბერს ტყიბულის რაიონის სოფელ კურსებში მოსამსახურის ოჯახში. მშობლებიდან ჰყავს დედა, მამა გარდაიცვალა 1943 წელს, ჰყავს და-ძმა. დაამთავრა სოფელ კურსების საშუალო სკოლა, ტექნიკუმი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პროფესიით არის ინჟინერ-ეკონომისტი.

მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1960 წელს. მუშაობდა ტყიბულის ქვანახშირის ტრესტში მომმარაგებლად. ქ. თბილისში რესპუბლიკის მომარაგების მთავარ სამმართველოში უფროს საქონელმცოდნედ. 1970 წლის იანვრის თვიდან მუშაობს სახელმწიფო ბანკის საკრედიტო ინსპექტორად. 1972 წლის დეკემბრის თვიდან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს უფროსად. 1979 წლიდან ქ. თბილისის ჩარხმშენებელი ქარხნის საგეგმო განყოფილების უფროსად. 1986 წლის დეკემბრის თვიდან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს უფროსად. 1989 წლის ივლისის თვიდან გადაყვანილია საქართველოს პროფკავშირების საზოგადოება „შევარდენის" სპორტნაგებობათა სამმართველოს უფროსის მოადგილედ. 1996 წლის 20 ნოემბრიდან დაინიშნა საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების პროფმომსახურების სამმართველოს უფროსის მოადგილედ. 2001 წლის სექტემბრიდან ასრულებს სამმართველოს უფროსის მოვალეობას.



**აბესაძე არჩილ პოლიკარპეს ძე** დაიბადა 1932 წლის 22 ნოემბერს ზესტაფონის რაიონის დაბა შორაპანში, მოსამსახურის ოჯახში. მამა, **პოლიკარპე გიორგის ძე**, დაბ. 1902 წელს დამთავრებული ჰქონდა ლენინგრადის საფინანსო ტექნიკუმი, მუშაობდა პარტიის ზესტაფონის რაიკომში, ინსტრუქტორად, ომის დროს მობილიზაციით გადაყვანილ იქნა სამუშაოდ ზესტაფონის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში, გარდაიცვალა 1945 წელს. დედა, **ნინა სოლომონის ასული მათიაშვილი-აბესაძე**, დიასახლისი, გარდაიცვალა 1975 წელს.

1951 წელს შორაპანის რკინიგზის საშუალო სკოლის ვერცხლის მედალზე დამთავრების შემდეგ იმავე წელს სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1956 წელს სამთო ინჟინრის სპეციალობით. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ გაგზავნილი იქნა უკრაინაში, ლუგანსკის ოლქის ქალაქ კადიევკაში, სადაც ორი წლის განმავლობაში მუშაობდა ქვანახშირის შახტებში, უბნის უფროსად. 1958 წლის მაისში სამუშაოდ გადმოვიდა ქალაქ ჭიათურაში, საიდანაც 1958 წლის სექტემბერში გაგზავნილი იქნა სასწავლებლად სახელმწიფო უშიშროების უმაღლეს კურსებზე. ამ კურსების დამთავრების შემდეგ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში იმუშავა 1988 წლამდე. სამხედრო წოდებით ვიცე-პოლკოვნიკი. 30 წლის განმავლობაში იმუშავა სხვადასხვა ხელმძღვანელ და მაკონტროლებელ თანამდებობაზე. მათ შორის, 1970-დან 1977-წლამდე, როგორც სამთო დარგის სპეციალისტი, უშიშროების ტყიბულის საქალაქო განყოფილების უფროსად, ხოლო 1979-83 წლებში – მცხეთის რაიგანყოფილების უფროსად. დაჯილდოებულია მრავალი მედლით, საკავშირო და რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მადლობებით და დიპლომებით.

1898 წლიდან, პენსიაში გასვლის შემდეგ მუშაობს სააქციო საზოგადოება სასტუმრო „აჭარის" კადრების განყოფილების უფროსად. არის საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ვეტერანთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

ომის ვეტერანთა მოძრაობის განვითარებაში, ახალგაზრდა თაობის სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდაში შეტანილი წვლილი ხელისუფლებამ ორდენის მიცემით აღნიშნა.

მეუღლე, **გუგული ივანეს ასული**, სპეციალობით სამკერვალო დარგის ინჟინერი, მუშაობს რესპუბლიკის მოდელების სახლში საამქროს უფროსად.

შვილები: **პაატა აბესაძე** სპეციალობით ბავშვთა ექიმი-ნევროლოგი, მუშაობს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიული კლინიკის ნევროლოგიის ცენტრში, ხოლო **ეკა აბესაძე** სპეციალობით გამოთვლითი მანქანების ინჟინერი – ტექნიკური უნივერსიტეტის 89-ე კათედრის ინჟინრად.



**აბესაძე ბორისი პლატონის ძე** ცნობილი პედაგოგი, არაერთი ახალგაზრდა თაობის აღმზრდელი, ფიზიკა-მათემატიკის დარგის გამოჩენილი სპეციალისტი, დიდი მამულიშვილი და კაი ყმა. სპორტსმენი *(მოჭადრაკე, ფეხბურთელი, მოკრივე)*. ჯერ კიდევ მოსწავლე ქალაქ ჭიათურაში ხელმძღვანელობდა ჭადრაკის კლუბს. ბრწყინვალე მონაცემებს ავლენდა პოეზიასა და მხატვრობაში. აბესაძე ბორის პლატონის ძე დაიბადა 1921 წელს ქალაქ ჭიათურაში. საშუალო სკოლა დაამთავრა წარჩინებით – ოქროს მედლით. შემდგომ კი, სწავლა განაგრძო ქალაქ თბილისის სატრანსპორტო ინსტიტუტში. შემდეგ დაამთავრა თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი – ფიზიკა-მათემატიკის სპეციალობით. გარკვეული წლების მანძილზე მუშაობდა მასწავლებლად. იყო დირექტორის მოადგილე რესპუბლიკის საშუალო სკოლებში. ბორის პლატონის ძე აბესაძე გარდაიცვალა 1993 წელს ქალაქ თბილისში.



**აბესაძე რამაზ ბორისის ძე**, პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი. არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის მიკროეკონომიკის კათედრის პროფესორი. დაიბადა 1952 წელს ქალაქ ჭიათურაში. დაამთავრა თბილისის №54 საშუალო სკოლა. წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ინჟინერ-ეკონომისტის სპეციალობით. არის 60-ზე მეტი გამოქვეყნებული მეცნიერული ნაშრომის ავტორი. ნაყოფიერი სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობისათვის დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. ჰყავს და, **მაგული აბესაძე**



**აბესაძე გელა ვლადიმერის ძე** დაიბადა 1953 წლის 14 მარტს ქ. ტყიბულში. 1960 წელს შევიდა და 1970 წელს დაამთავრა ქ. ტყიბულის №1 საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა ქ. სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ტექნოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ მიენიჭა ჩაის მრეწველობის ინჟინერ-ტექნოლოგის სპეციალისტის კვალიფიკაცია *(დაუსწრებელი განყოფილება)*. ინსტიტუტში სწავლის პერიოდში მუშაობდა ტყიბულის ქვანახშირის ცენტრალურ გამამდიდრებელ ფაბრიკაში ქვანახშირის მწონავად. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა განაგრძო ტყიბულის ჩაის ფაბრიკაში ლაბორანტად, შემდეგ ცვლის უფროსად. 1986 წლიდან 1996 წლამდე იყო ჩაის ფაბრიკის მთავარი ინჟინერ-ტექნოლოგი.

ამჟამად თბილისში ეწევა მცირე ბიზნესს.

მეუღლე **მარინე იაკობის ასული ახუაშვილი**, უმაღლესი განათლებით, მუშაობს რკინიგზელთა კულტურის ცენტრში უფროს მეთოდისტად.

*იოსებ ახალაშვილი*

შვილები: **ნინო** **აბესაძე** მეექვსე კლასის ფრიადოსანი მოსწავლეა.

**ქეთევანი** ***(ქეთი)*** აბესაძე 6 წლისაა.

გელა აბესაძის მამა: **ვლადიმერი** ***(კუკური)*** **აბესაძე** ცხოვრობს ტყიბულში, არის დიდი სამამულო ომის მონაწილე; დედამისი (აწ გარდაცვლილი) **ქეთევანი გიორგობიანების** ასული იყო.



**აბესაძე გიორგი ავქსენტის ძე.** ცნობილი ინჟინერ-ენერგეტიკოსი **გიორგი ავქსენტის ძე აბესაძე** დაიბადა 1906 წლის თბილისში. ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ამიერკავკასიის ენერგეტიკის სისტემის სხვადასხვა ხელმძღვანელ საინჟინრო თანამდებობებზე. საპროექტო-საძიებო სამმართველოს უფროსი, რიონჰესის ერთ-ერთი წამყვანი ინჟინერი, ზაჰესის დირექტორი. ამავე დროს იყო ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის დოცენტი და ამავე ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე. ყოველივე ამას მან მიაღწია 31 წლის ასაკამდე.

იყო 1937 წლის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი და 1938 წელს დახვრიტეს.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის 1956 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილებით გიორგი აბესაძე რეაბილიტირებულია და მას პატიოსანი სახელი დაუბრუნდა.

მეუღლე **ელისაბედ მაჩაბელი** გარდაიცვალა 1983 წელს.

ქალიშვილი **ინესა** გიორგის **ასული** აბესაძე ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ჰყავს მეუღლე, ქალიშვილი, სიძე და შვილიშვილი.

სურათზე გიორგი აბესაძე აღბეჭდილია ქალიშვილ ინესასთან ერთად.

**აბესაძე გიორგი პლატონის ძე** დაიბადა 1919 წელს ქ. ჭიათურაში **პლატონ აბესაძის** ოჯახში.



ქალბატონი
ფედოსია აბესაძე
ვაჟიშვილ
გიორგი
აბესაძესთან
ერთად

14 წლისამ ფრიადზე დაამთავრა ჭიათურის საშუალო სკოლა, რის შემდეგაც სწავლა გააგრძელა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტ-

ში მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე სწავლობდა წარჩინებით, მაგრამ სწავლის პერიოდში სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა.

თანაკლასელები და თანაკურსელები, მასწავლებლები იხსენებენ, როგორც ნიჭიერ და კეთილშობილ პიროვნებას. უკვდავვყოთ ქართული საუნჯის მეშვეობით.



**აბესაძე გურამი.** დაიბადა 1949 წლის 19 მარტს თერჯოლის რაიონის სოფ. ეწერში. 1966 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და ამავე წელს შევიდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც 1971 წელს დაამთავრა. 1971-73 წლებში მსახურობდა სამხედრო არმიის რიგებში. 1974-78 წლებში მუშაობდა თსუ-ში ლაბორანტად. 1978 წლიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელია. 1985 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. არის ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი. 1994 წლიდან მუშაობს თსუ-ში. 1997 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. არის პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი. აქვს პროფესორის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება. ამჟამად მუშაობს თსუ-ს პოლიტოლოგიის კათედრის გამგის მოადგილედ საზოგადოებრივ საწყისებზე.

1998 წ. არჩეულ იქნა საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრად.

აქვს 40-ზე მეტი ნაშრომი პოლიტოლოგიაში, აქედან 2 მონოგრაფია.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.



**აბესაძე გურამ ნიკოლოზის ძე** დაიბადა 1934 წლის 13 ივნისს ქ. თბილისში, მოსამსახურის ოჯახში.

მამა, ნიკოლოზ აბესაძე საქართველოს ნავთობმომპოვებელი დარგის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო. 1930 წლიდან 1960 წლამდე მუშაობდა ტრესტ „საქნავთობის" სისტემაში, 1947 წლიდან მმართველად. 1960 წლიდან გარდაცვალებამდე *(1996 წ.)* მოღვაწეობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც დიდხანს ხელმძღვანელობდა ჭაბურღილების ბურღვისა და ექსპლოატაციის კათედრას.

დედა, განათლებით ბიოლოგი, მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. გარდაიცვალა 1981 წელს.

1953 წელს დაამთავრა თბილისის ვაჟთა მე-8 საშუალო სკოლა. 1958 წელს – თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი სპეციალობით „სასარგებლო წიაღისეულის საბადოების ძებნა და ძიება". მიიღო სამთო ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობა.

1958 წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს *(დღეს საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტი)* სისტემაში.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ზედა სვანეთში, შემდეგ

– მაღალმთიან აფხაზეთში გეოლოგიურ-აგეგმვით პარტიებში. აფხაზეთში ჩატარებული სამუშაოების შედეგად 1968 წელს მისი ხელმძღვანელობით გამოიცა აფხაზეთის ტერიტორიის გეოლოგიური და სასარგებლო წიაღისეულის სახელმწიფო რუკები და განმარტებითი ბარათი. 1970 წლიდან, როგორც გეოლოგიური პარტიის უფროსი, ხელმძღვანელობდა სამუშაოებს, რომელიც მიმართული იყო აფხაზეთის რეგიონული გეოლოგიის რიგი საკვანძო საკითხების გადაწყვეტისაკენ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიური ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად, შედგენილი იქნა მთიანი აფხაზეთის ტერიტორიის მსხვილმასშტაბიანი სტრუქტურული გეოლოგიური და პროგნოზულ-მეტალოგენიური რუკები, რომლებიც საფუძველი გახდა ამ რეგიონში ლითონურ სასარგებლო წიაღისეულზე შემდგომი ძებნითი სამუშაოების დაყენებისა.

1978 წელს დაინიშნა საქართველოს ჩრდილო-დასავლეთის კომპლექსური გეოლოგიური ექსპედიციის უფროსად, რომელიც ახორციელებდა ძებნა-ძიებით სამუშაოებს ყველა სახის მყარ სასარგებლო წიაღისეულზე აფხაზეთის, ზემო და ქვემო სვანეთის, სამეგრელოს ჩრდილოეთ ნაწილის ტერიტორიებზე. ამ პერიოდში საბჭოთა კავშირის მარაგების სახელმწიფო და საქართველოს ტერიტორიულ კომისიებზე დაცული და სახელმწიფო ბალანსზე აყვანილი იქნა ტყვარჩელის ნახშირის საბადოს მე-4 უბნის, ტყვარჩელის სმოლოდოლომიტების საბადოს, სამშენებლო მასალების და მოსაპირკეთებელი ქვების 10 საბადოს სამრეწველო მარაგები. ლითონურ სასარგებლო წიაღისეულზე შეფასებული იქნა აღნიშნული რეგიონების პროგნოზული რესურსები.

1982 წლიდან მუშაობდა საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს მთავარ გეოლოგად – უფროსის მოადგილედ.

არის ახეის ვერცხლის წყლის საბადოს *(აფხაზეთში)* ერთ-ერთი პირველაღმომჩენი.

1995 წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ. სხვა საქმიანობასთან ერთად ხელმძღვანელობს სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამას „საქართველოს ტერიტორიის რეგიონული გეოლოგიური შესწავლა და მინერალური რესურსების შეფასება".

1982–95 წლებში საქართველოს სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ტერიტორიული კომისიის თავმჯდომარე, 1983–92 წლებში – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოლოგიური სპეციალობის სახელმწიფო სადიპლომო კომისიების თავმჯდომარე, 1983 წლიდან დღემდე არის საქართველოს სახელმწიფო რუკების მთავარი რედაქტორის მოადგილე, საქართველოს სტრატიგრაფიული კომიტეტის წევრი, 1995 წლიდან – საქართველოს გეოლოგიური საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი.

დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით, მინიჭებული აქვს „წიაღის საპატიო მზვერავის“ წოდება. XXVII საერთაშორისო გეოლოგიური კონგრესის მომზადებისა და ჩატარების ხელშეწყობისთვის დაჯილდოებულია დიპლომით და ოქროს მედლით.

ჰყავს მეუღლე, 2 შვილი და 4 შვილიშვილი.

მეუღლე – **სვეტლანა აბესაძე**, სპეციალობით რადიო-ინჟინერი, მუშაობს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე ლაბორატორიის გამგედ.

შვილი – **კონსტანტინე აბესაძე**, სპეციალობით ინჟინერ-გეოლოგი, ხელმძღვანელობს სამთო-გეოლოგიურ ფირმას.

შვილი – **ასმათ აბესაძე**, სპეციალობით ფილოლოგი და იურისტი, მუშაობს ევროკომისიის პროგრამა ტასისის სატრანსპორტო პროექტში „ტრასეკა“ *(დიდი აბრეშუმის გზა)*.

გ. აბესაძე არის წიგნის, სტატიებისა და გეოლოგიური ანგარიშების ავტორი და თანაავტორი.



**აბესაძე დავით ნოდარის ძე** დაიბადა 1951 წლის 1 აგვისტოს თბილისში მოსამსახურის ოჯახში.

1968 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის I საშუალო სკოლა.

1967 წელს შევიდა და 1973 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტი. ამავე წლიდან მუშაობდა „საქქალაქმშენსახპროექტის“ მე-4 არქიტექტურულ სახელოსნოში არქიტექტორის თანამდებობაზე.

1980 წელს დაამთავრა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის საღამო სწავლების ინგლისური ენის ფაკულტეტი. 1975 წელს დაოჯახდა. ჰყავს მეუღლე, ორი ვაჟი, რძალი და შვილიშვილი.

1977 წლიდან 1979 წლამდე იყო საქართველოს ფილარმონიის ანსამბლ „ცისფერი ტრიოს“ წევრი. 1979-88 წ.წ. „ცისფერ ტრიოსთან“ ერთად მუშაობდა საქართველოს რადიო-ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტში. ჩაწერილი აქვს გრამფირფიტა.

1986 წლიდან 2002 წლამდე იყო ანსამბლ „ქართული ხმების“ წევრი. მონაწილეობდა 7 დოკუმენტურ ფილმში. გახმოვანებული აქვს 3 მხატვრული და ერთი მულტიპლიკაციური ფილმი.

**1980 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება,** 1981 წელს – საქართველოს კომკავშირის პრემია, 1989 წელს – **საქართველოს სახალხო არტისტის წოდება,** 1995 წელს „ქართულ ხმებთან“ ერთად მიღებული აქვს პრიზი – „გაზაფხული 95“, 1996 წელს მიენიჭა **საქართველოს სახელმ-**

წიფო პრემია.

1989 წელს ანსამბლ „ქართულ ხმებთან“ ერთად ჩაწერა ორი ფირფიტისაგან შემდგარი ალბომი – „ჩემო კარგო ქვეყანავ!“ 1991 წელს იმავე ანსამბლთან ერთად საფრანგეთში ჩაწერა CD, ხოლო 1998 წელს დასრულდა შვიდნაწილიანი ვიდეო–ფილმი – „ქართული ხმები სცენაზე და სცენის მიღმა“ და 2 CD. „წლები“ – „სხეონა“ 1973 წლიდან დღემდე მსოფლიოს 45 ქვეყანაში აქვს ჩატარებული კონცერტები.

მამა – **ნოდარი კალენიკეს ძე აბესაძე** დაიბადა 1926 წელს გარდაიცვალა 1990 წელს.

დედა – **ლამარა შალვას ასული აბესაძე** დაიბადა 1926 წელს, გარდაიცვალა 1993 წელს.

მეუღლე – **ნინო გრიგოლის ასული აბესაძე** დაიბადა 1953 წელს.

ვაჟი – **ნოდარი დავითის ძე აბესაძე** დაიბადა 1976 წელს.

ვაჟი – **გრიგოლ დავითის ძე აბესაძე** დაიბადა 1980 წელს.

რძალი – **მაია ნიკოლოზის ასული დადიანი**. დაიბადა 1976 წელს.

შვილიშვილი – **დავით ნოდარის ძე აბესაძე** დაიბადა 2002 წელს.

ამჟამად მუშაობს ქ. თბილისში „შპს“ „თამარინა“–ში არქიტექტორად.



**აბესაძე დავით** დაიბადა 1963 წლის 22 ივლისს ქ. ტყიბულში. ტყიბულის №1 საშუალო სკოლა წარჩინებით დაამთავრა და იმავე წელს გამოცდები ჩააბარა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. მექანიკა–მათემატიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მიენიჭა ინჟინერ–მექანიკოსის კვალიფიკაცია.

ინსტიტუტიდან განაწილებით მუშაობა დაიწყო თბილისის ქარხანა „საქსოფმანქანათმშენში“. ქარხანაში მუშაობდა ტექნოლოგიურ განყოფილებაში, იყო არასტანდარტულ ნაკეთობათა საამქროს ინჟინერი, პროგრამული მართვის ჩარხების უბნის უფროსი, საამქროს უფროსის მოადგილე. 1990–95 წლებში მუშაობდა ფირმა „მაგის“ წარმოების უფროსად.

1995 წლიდან ჩაება ბიზნესში. ამჟამადაც საქმიანობს „ტერმინალ პორტ დიდუბეში“.

მეუღლე: **ლია გაბოძე**, უცხო ენების პედაგოგია.

შვილები: **სალომე აბესაძე** არის VII კლასის მოსწავლე, ხოლო **ბაჩანა აბესაძე** საბავშვო ბაღის აღსაზრდელია.



**აბესაძე თამაზ პლატონის ძე** დაიბადა 1937 წლის 25 აპრილს ქ. ჭიათურაში. მამა. **პლატონ ნარიმანის ძე აბესაძე** *(1887–1959)*, დედა **ფედოსი პავლეს ასული თევდორაძე** *(1901–1967)*, ძმები – **გიორგი**, **ბორისი**, და – **ლენა**, მათემატიკოსები უმაღლესი განათლებით.

1965 წელს დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა–მათემატიკის ფაკულტეტი.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობს თსუ ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

**არის ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი.**

გამოქვეყნებული აქვს 30-მდე სამეცნიერო ნაშრომი. ჰყავს მეუღლე **ნანა ელიზბარის ასული ზედგინიძე** – ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. მუშაობს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. არის ინგლისური ენის კათედრის დოცენტი.



**აბესაძე თეიმურაზი დავითის ძე** დაიბადა 1945 წლის 1 ივლისს ქ. მცხეთაში. მამა, **დავით აბესაძე** და დედა **თამარ კაკაურიძე** ამავე რაიონში მუშაობდნენ კავშირგაბმულობის სისტემაში. ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ერთი შვილიშვილი.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა *(1969 წ.)* და იურიდიული *(1978 წ.)* ფაკულტეტები. განაწილებით მუშაობა დაიწყო ისტორიის მასწავლებლად მცხეთის №1 რეაწლიან სკოლაში *(1967 წ.).* იყო კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი *(1969 წ.),* კომპარტიის რაიკომის განყოფილების გამგე *(1971 წ.).* სახალხო განათლების რაიონული განყოფილების გამგე *(1973 წ.).* ამავე რაიონის სასამართლოს თავმჯდომარე *(1981 წ.).* რაისაბჭოს თავმჯდომარე და კომ.პარტიის რაიკომის პირველი მდივანი *(1990 წ.).* საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრი *(1991 წ.),* ხოლო 2001 წელს უფლებამოსილების ვადის გასვლასთან დაკავშირებით გავიდა პენსიაზე საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ" მიხედვით. არის ერთ-ერთი დამფუძნებელი იურიდიული ფირმა „ვერდიქტის", სადაც დღემდე განაგრძობს მუშაობას. დაჯილდოებულია სამთავრობო ორდენითა და მედლებით. იყო კომპარტიის წევრი *(1969-1990 წ.წ.).* დღემდე ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში.



**აბესაძე ინესა გიორგის ასული** დაიბადა 1932 წლის 20 ივნისს თბილისში ინჟინრის ოჯახში. მამა **გიორგი აბესაძე** ინჟინერ-ელექტრიკოსი, ამიერკავკასიის და საქართველოს ენერგეტიკული სისტემების სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობდა. იყო საპროექტო-საძიებო სამმართველოს უფროსი, რიონჰესის მთავარი ინჟინერი, ზაჰესის მთავარი ინჟინერი. ამავე დროს იყო დოცენტი და ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე.

გიორგი აბესაძე იყო 1937 წლის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი. ამჟამად ის რეაბილიტირებულია.

აბესაძე ინესამ 1951 წელს დაამთავრა ვერცხლის მედლით თბილისის ქალ-

თა მე-8 საშუალო სკოლა. იმავე წელს დაამთავრა თბილისის II სამუსიკო ტექნიკუმი.

1951 წელს შევიდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტის სილიკატების ტექნოლოგიის სპეციალობაზე. ინსტიტუტი დაამთავრა 1956 წელს და მიენიჭა სილიკატების ტექნოლოგიის ინჟინერ-ტექნოლოგის კვალიფიკაცია.

1957–58 წლებში მუშაობდა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის სამშენებლო მასალების კათედრის ასისტენტის თანამდებობაზე, ხოლო 1959 წელს – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგიის კათედრის უფროს ლაბორანტად.

1960 წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ორგანული ქიმიის ლაბორატორიაში ჯერ უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე, ხოლო საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე.

1973 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

მეუღლე **არჩილ ბეთანელი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პროფესორია.

ქალიშვილი – **თამარ ბეთანელი** – მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, სიძე – ინჟინერ-მექანიკოსია, შვილიშვილი **გიორგი ბოკერია** ინფორმატიკის სპეციალობის სტუდენტია.



**აბესაძე იოსებ გაიოზის ძე** დაიბადა 1962 წლის 3 ივნისს.

მამა, **გაიოზ აბესაძე**, პროფესიით მათემატიკოსი, წლების მანძილზე მუშაობდა სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში უმაღლესი მათემატიკის კათედრის დოცენტის თანამდებობაზე.

დედა, **დვალიძე ლამარა**, ასევე მათემატიკოსი, მუშაობდა გამოთვლით ცენტრში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად.

1969 წელს შევიდა 102-ე საშუალო სკოლაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1979 წელს.

1981 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1988 წელს წითელ დიპლომზე. 1988-89 წლებში მუშაობდა ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის ინსტიტუტში ექიმად.

1989 წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის პროქტოლოგიურ განყოფილებაში ექიმ-ორდინატორად. ამავე დროს არის სასტერილიზაციო განყოფილების გამგე.

1998 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: ტრანსფუზიული

თერაპიის როლი მსხვილი ნაწლავის კიბოთი დაავადებულთან ქირურგიულ მკურნალობაში.

2000 წელს მეგობრებთან და თანამოაზრეებთან ერთად ჩამოაყალიბა არასამთავრობო ორგანიზაცია: ონკოპრევენციის ცენტრი, რომლის მიზანია მოსახლეობაში ონკოლოგიური დაავადებების პროფილაქტიკა და ადრეული დიაგნოსტიკა. ამავე დროს მე-4 კლინიკური ჯგუფის ავადმყოფების მოვლა.

მის აღზრდაში და სპეციალისტად ჩამოყალიბებაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ბიძას, პროფესორ ავთანდილ აბესაძეს, მეცნიერებისა და მედიცინის დამსახურებულ მოღვაწეს, მრავალი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატისა და დოქტორის აღმზრდელს, რომლის მოღვაწეობა აღნიშნულია არაერთი სამთავრობო ჯილდოთი.

ჰყავს მეუღლე, ტატიშვილი მაია და ორი ვაჟიშვილი: გიორგი, დაბადებული 1988 წელს და ავთანდილი, დაბადებული 1990 წელს.

„მინდა, შვილები აღვზარდო ღირსეულ ქართველებად და აბესაძეებად.“



**აბესაძე ნანული დავითის ასული.** დაიბადა 1938 წლის 24 ოქტომბერს, ზესტაფონში. დაამთავრა თბილისის №1-ლი საშუალო სკოლა, შემდეგ - თსუ-ს დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, ინგლისურის განხრით. ამჟამად ცნობილმა მომღერალმა პირველი ნათლობა უნივერსიტეტის თვითშემოქმედებაში მიიღო. შემდგომ მიიწვიეს სპი-ს საესტრადო ორკესტრში სოლისტად. მღეროდა „რერო“-ში, „დიელო“-ში, ფოლკლორულ ანსამბლ „თბილისში“.

ნანული აბესაძემ, როგორც სოლისტმა, მრავალ ქვეყანაში მოხიბლა უამრავი მსმენელი. გახმოვანებული აქვს მრავალი კინო-ფილმი, ჩაატარა მრავალი შემოქმედებითი კონცერტი, გამოსცა არაერთი ფირფიტა და აუდიო კასეტა. **არის რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი.**



**აბესაძე ოუზა მიხეილის ძე** დაიბადა ტყიბულის რაიონ სოფელ მუხურაში 1939 წლის 20 მაისს. 1957 წელს დაამთავრა მუხურის საშუალო სკოლა. ამავე წელს ქ. ტყიბულის ერთ-ერთ ქვანახშირის შახტაში მომხდარი ავარიის შედეგად დაზიანებული ჯანმრთელობით მამა გარდაიცვალა. უმამოდ დარჩა სასკოლო ასაკის ხუთი და-ძმა.

ამის გამო, საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, მუშაობა დაიწყო ქ. ჭიათურის სამშენებლო-სარემონტო კანტორაში მუშად. 1958 წელს კი გაიწვიეს სამხედრო-სავალდებულო სამსახურში. სამხედრო სამსახური გაიარა ქ. რიგაში. მალე, 1964 წელს, დედაც საკმაოდ ახალგაზრდა ასაკში *(47 წლისა)* გარდაიცვალა. 1967 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი წარჩინებით და

სამუშაოდ იქვე, კათედრაზე დატოვეს თბილისში.

1968 წელს პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან გაგზავნილი იქნა მიზნობრივ ასპირანტურაში მოსკოვის საინჟინრო-ეკონომიკური *(შემდგომში მართვის)* ინსტიტუტის მართვის მეცნიერული საფუძვლების კათედრაზე. მისაღები გამოცდების წარმატებით ჩაბარების საფუძველზე ჩაირიცხა ასპირანტურაში *(ითვალისწინებდა სამწლიან სწავლებას)* სახალხო მეურნეობის მართვის ორგანიზაციის სპეციალობით, დღემდე ერთადერთი საქართველოდან. ასპირანტურა განსაზღვრულ ვადაში დაამთავრა და დაიცვა დისერტაცია. მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. ამის შემდეგ თბილისში დაბრუნდა. სამუშაოდ მიიწვიეს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზაციის, დაგეგმვისა და მართვის კათედრაზე. წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს მართვის მეცნიერულ საფუძვლებში. 1977 წლის 22 ივნისს ყოფილი საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ მიანიჭა დოცენტის წოდება.

შემდგომ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გადაიყვანეს პარტიულ სამუშაოზე პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. თუმცა, სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობა არასოდეს შეუწყვეტია. გამოქვეყნებული აქვს წიგნები, სტატიები *(ძირითადად მართვის პრობლემებზე)*. აქტიურად მონაწილეობს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში. წარდგენილი იყო საქართველოს პარლამენტის, ასევე თბილისის საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატად.

ბოლო პერიოდში მუშაობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დემოგრაფიის დეპარტამენტის სამმართველოს უფროსად. ჰყავს 4 შვილი, ოთხივენი სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებია. მეუღლე, **ნელი აბესაძე**, კათედრაზე მუშაობს, არის ინგლისური ენის სპეციალობით ლექტორი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.



**აბესაძე იუზა მიხეილის ძე** დაიბადა 1931 წლის 20 იანვარს ქალაქ ტყიბულში, ინჟინერ-მშენებელი. 1955 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. მუშაობდა საქართველოს მშენებლობის სამინისტროს: „თბილმრეწმშენი," „მთავართბილმშენის", „ტრესტინჟმშენის" სამშენებლო სამონტაჟო სამმართველოების უფროსად. ამჟამად მუშაობს შპს. „მშენებელი-6" უფროსად.

მისი უშუალო მონაწილეობით თბილისში აშენებულია მრავალი სამრეწველო, სამოქალაქო და კომუნალური დანიშნულების ობიექტები: ქარხანა „თბილხელსაწყოს" საწარმოო კორპუსები, კინო-თეატრი სამგორის რაიონში, საცხოვრებელი სახლები ვაკის, საბურთალოს, დიღმის, თემქის და გლდანის დასახლებებში.

დიდი რეზერვუარები. წყლის გამწმენდი ნაგებობანი ქალაქის სხვადასხვა უბნებში და სხვა ობიექტები.



**აბესაძე კონსტანტინე (კოტე)** შალვას ძე დაიბადა 1949 წლის 14 ივლისს ტყიბულის რაიონში. 1956 წლის შევიდა ტყიბულის №1 საშუალო სკოლაში. 1964 წელს გადავიდა ტყიბულის №2 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1967 წელს. 1964 წელს მიიღეს ალკკ რიგებში. 1981 წელს კი სკკპ წევრი გახდა. პარტიიდან გამოვიდა 1990 წელს. 1964 წლიდან 1968 წლამდე მუშაობდა ქ. ტყიბულის სხვადასხვა საწარმოებში, სხვადასხვა პროფილის მუშად.

1968 წლიდან 1971 წლამდე თბილისის „საზკეების" ტრესტის სარემონტო სამშენებლო კანტორაში მუშაობს დურგლად. 1971 წელს შევიდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სამშენებლო ფაკულტეტზე, რომელიც 1977 წელს დაამთავრა. მიიღო ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია. 1976-77 წლებში იმსახურა საბჭოთა არმიის რიგებში.

1977 წლის დეკემბერში მუშაობა დაიწყო ტრესტ „ინჟმშენის" №1 სამშენებლო სამონტაჟო სამმართველოში ოსტატად, სადაც დაჰყო 1983 წლის აგვისტომდე, ინჟინერის, უფროსი ინჟინერის, სამუშაოთა მწარმოებლის და უფროსი სამუშაოთა მწარმოებლის თანამდებობებზე. 1983 წელს პარტიის კალინინის რაიონული კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით გადაიყვანეს საქართველოს შსს. სისტემაში სამუშაოდ.

1983 წელს დაინიშნა შსს. №1 წარმოების დირექტორის მოადგილედ, იმავე წელს გადაიყვანეს შსს-ს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე. 1986 წლიდან შსს-ს №1 წარმოების დირექტორია. 1988 წელს განთავისუფლდა პირადი განცხადებით.

1988 წელს მუშაობა დაიწყო შსს-ს სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოში უბნის უფროსის თანამდებობაზე, 1990-ს თბილისის საიუველირო ქარხანაში კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსად დაინიშნა. 2000 წლის აპრილიდან ქარხნის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, რომლის ბაზაზედაც შეიქმნა ერთობლივი ზარაფხანა, დაინიშნა ზარაფხანაში გენერალური დირექტორის მრჩეველად. 2001 წლის თებერვალში გათავისუფლდა კონტრაქტის ვადის გასვლასთან დაკავშირებით.

2001 წლის მარტიდან დღემდე მუშაობს შ.პ.ს. „ლილო 91"-ის კომერციულ დირექტორად.

ოჯახი შედგება სამი წევრისაგან მეუღლე: მაისურაძე ეთერი გალერიანის ასული დაბადებული 1954 წელს. შვილები: აბესაძე თამარი კოტეს ასული დაბადებული 1986 წელს.

მშენებლობებზე კ. აბესაძის უშუალო ხელმძღვანელობით და მისი მონაწი-

ლეობით აშენდა ისეთი ობიექტები, როგორიცაა: საწყლოსნო კომპლექსი „ლაგურა ყერე", ტანვარჯიშის რესპუბლიკური კომპლექსი, რამდენიმე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი, სკოლა, საბავშვო ბაღი და მრავალი სხვა.



**აბესაძე ლაშა საშას ძე** დაიბადა ქ. ჭიათურის სოფ. რგანში 1967 წლის 12 იანვარს **საშა ლეონტის ძე აბესაძის** ოჯახში.

1984 წელს ვერცხლის მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა. 1985 წელს ჩაირიცხა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და 1991 წელს წარჩინებით დაამთავრა ზემოაღნიშნული უნივერსიტეტი ეკონომისტის კვალიფიკაციით. 1991-93 წლებში მუშაობდა ეკონომიკის სამინისტროსთან არსებულ ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად. 1993 წლის ივნისის თვეში დაინიშნა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროში ფასების სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე.

1997 წლის მარტის თვეში მუშაობა დაიწყო ფინანსთა სამინისტროს სახაზინო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე. პარალელურად ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრაზე. გამოქვეყნებული აქვს სახელმძღვანელო დისციპლინაში: „ფინანსური მენეჯმენტი" და მეთოდური მითითებები დისციპლინაში „ფინანსები" ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, თსუ ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრის გამგის პროფესორ გიეი გამსახურდიას ხელმძღვანელობით.

2001 წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროში საბიუჯეტო დეპარტამენტის სახელმწიფო ბიუჯეტის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე.

ჰყავს მეუღლე – **ხათუნა მამულაშვილი** და ორი შვილი: **ალექსანდრე** და **თამარი**.



**აბესაძე ლენა პლატონის ასული** დაიბადა 1925 წელს ქ. ჭიათურაში, სადაც ფრიადებზე დაამთავრა საშუალო სკოლა 1942 წელს.

ომის პერიოდში ეკონომიკური სიდუხჭირის გამო ვერ განაგრძო სწავლა უმაღლეს სასწავლებელში და დაიწყო მუშაობა ჭიათურის რაიონის სოფ. ითხვისის შვიდწლიან სკოლაში ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად.

პარალელურად მუშაობისა, მოგვიანებით დაამთავრა პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი.

სხვადასხვა დროს მუშაობდა მათემატიკის მასწავლებლად ჭიათურისა და თბილისის სკოლებში.

გამოქვეყნებული აქვს ლექსები გაზეთებში: „თბილისი", „სახალხო განათლება", „ახალგაზრდა კომუნისტი", „ჭიათურის მაღაროელი" და სხვა.

აპირებს წიგნის გამოშვებას.
ამჟამად არის პენსიონერი.



**აბესაძე ნუკრი (ზაირა) არჩილის ასული** ფილოლოგი, ჟურნალისტი. საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი.

დაიბადა 1938 წლის 7 მაისს თბილისში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სხვადასხვა დროს მუშაობდა გაზეთ „სახალხო განათლებაში" კორესპონდენტად, გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში" ლიტერატურულ მუშაკად, ჟურნალ „საბჭოთა მედიცინაში" პასუხისმგებელ მდივნად, გამომცემლობა „საქართველოში" ქართული მხატვრული ლიტერატურის რედაქციის უფროს რედაქტორად და განყოფილების გამგის მოადგილედ. ყველგან, სადაც მუშაობდა, გამოირჩეოდა მაღალი კვალიფიკაციითა და პროფესიონალიზმით, უზადო გულმოდგინებითა და აკურატულობით.

რესპუბლიკის პრესაში გამოქვეყნებული მისი ნარკვევები და კორესპონდენციები ყურადღებას იპყრობდა მაღალმხატვრულობითა და ოპერატიულობით, ხოლო გამომცემლობაში ყველაზე საპასუხისმგებლო გამოცემებს, სადაც აუცილებელი იყო გამოცდილი და საიმედო რედაქტორის ხელი, მხატვრული ლიტერატურის რედაქცია მას ანდობდა.

ქართული წიგნის მაღალ დონეზე გამოცემის საშვილიშვილო საქმეს ნუკრი აბესაძემ თავისი ცხოვრების ოთხი ათეული წელი შესწირა. მისი რედაქტორობით მხატვრული ლიტერატურის არაერთი შესანიშნავი ნიმუშია გამოცემული: ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველას თხზულებათა ხუთტომეულები, ალექსანდრე ყაზბეგის ორტომეული (*შედგენა*), თანამედროვე პოეზიის კრებულები – ანა კალანდაძის, მურმან ლებანიძის, მიხეილ ქვლივიძის და ა.შ. ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია.

ვისაც წიგნის გამოცემასთან მცირეოდენი შეხება მაინც ჰქონია, მან კარგად უწყის, რაოდენი რუდუნება და შრომა სჭირდება თითოეული წიგნის გამოცემას. აღსანიშნავია, რომ „ქართული პროზის ბიბლიოთეკის" სერიით დაბეჭდილი 34 წიგნიდან 23 მისი უშუალო რედაქტორობითაა გამოცემული.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს „საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის" სერიით ნუკრი აბესაძის მიერ შედგენილი და გამოცემული კრებულები: შვლის ნუკრის ნაამბობი" (*ვაჟა-ფშაველა*), „უბედური ქორბუდა" (*იროდიონ ევდოშვილი*), „იავნანამ რა ჰქმნა?" (*იაკობ გოგებაშვილი*), „მაგდანას ლურჯა" (*ეკატერინე გაბაშვილი*), „პაწია მეგობრები" (*ნიკო ლომოური*), რომლებიც სამუდამოდ დამკვიდრდა ჩვენი პატარებისა და მოზარდების ბიბლიოთეკის ოქროს ფონდში.

ბეჭდვით სიტყვის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ნუკრი აბესაძე დაჯილდოებულია უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგე-

ლით, მაგრამ მისთვის ყველაზე დიდი ჯილდო ავტორების სიყვარული და მადლიერებაა, ავტორებისა, რომელთა წიგნებსაც იგი დედასავით დასდასტურებს.



**აბესაძე შოთა კალისტრატეს ძე** დაიბადა 1922 წელს ქ. ქუთაისში. საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ – 1939 წელს სწავლა გააგრძელა ოდესის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში. 1941 წელს სამამულო ომის დაწყების გამო ევაკუაციით ჩამოვიდა თბილისში და სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მესამე კურსზე. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე 1943 წელს მობილიზაციით გაიწვიეს უკრაინის ფრონტზე. მონაწილეობდა ბრძოლებში ფრონტის წინა ეშალონებში სხვადასხვა საბრძოლო ნაწილებში ექიმად. მიიღო ორი მძიმე ხარისხის კონტუზია. დაჯილდოებულია საბრძოლო ორდენებით: წითელი ვარსკვლავი, სამამულო ომის და მრავალი სხვა საბრძოლო მედლით.

1946 წელს დემობილიზაციის შემდეგ მუშაობა გააგრძელა ქუთაისში ჯანმრთელობის განყოფილების სისტემაში სხვადასხვა თანამდებობებზე: ფსიქონევროლოგიური დისპანსერის მთავარ ექიმად. შემდგომ – რესპუბლიკური ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარ ექიმად, მიღებული აქვს საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის წოდება – 1962 წელს. 1980 წელს თბილისში საცხოვრებლად გადმოსვლის შემდეგ მუშაობა გააგრძელა რესპუბლიკური ფსიქიატრიული კლინიკური საავადმყოფოს განყოფილების გამგის თანამდებობაზე. მუშაობს თბილისის ფსიქონევროლოგიურ დისპანსერში ექიმ-ფსიქიატრად. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

**აბეჩხრიშვილი 71**
*თელავი – 46,*
*თბილისი – 24,*
*რუსთავი – 1.*

**აბეჩხრიშვილი** სოფ. აკურა (*თელავის რ-ნი*); **აბეჩხარი** (*ზოგადი მნიშვნ.*) მოულოდნელობით ნახევრად გადამხმარი, გამეჩხერებული (*ვენახი, ბაღი, (ქეგლ)*.

**აბეწაშვილი–აბეწვაშვილი** სავარაუდოა მეტსახელი **აბეწა** (**აბეწვა**) და აქედან მიღებული გვარი: **აბეწაშვილი–აბეწვაშვილი**.

**აბეჟაშვილი 44**
*ლაგოდეხი – 5,*
*თბილისი – 3,*
*გორი – 1*
**აბეწვაშვილი 103**
*თბილისი – 38,*
*სიღნაღი – 27,*
*კასპი – 24.*

**აბზიანიძე 1073**
*თბილისი – 323,*
*ქუთაისი – 247,*
*სამტრედია – 132.*

**აბზიანიძე** ხონის, ქუთაისის, სამტრედიის, თბილისის და სხვ. რაიონები. სავარაუდოა სახელი **აბზიანი**. შესაძლოა, მომდინარეობდეს აბაზა-საგან.

**აბზიანიძე ბადრი** საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარე.

დაიბადა ქუთაისში 1959 წლის 26 თებერვალს. მშობლები: **ნიტო მოსეშვილი, ვარქსენტი აბზიანიძე**

დაამთავრა ქუთაისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის ფაკულტეტი. იყო

ქუთაისის სახლთამშენებელი კომბინატის მუშა *(1967–80)*. სოფ. ოფურჩხეთის საშუალო სკოლის მასწავლებელი *(1985–86)*.

წიგნის მოყვარულთა საზოგადოების ქუთაისის ორგანიზაციის პასუხისმგებელი მდივანი *(1987–89)*. ქუთაისის ქალაქკომის ინსტრუქტორი, განყოფილების გამგე *(1989–91)*. მოქალაქეთა კავშირის ქუთაისის ორგანიზაციის პასუხისმგებელი მდივანი *(1994–96)*. საქართველოს პარლამენტის წევრი, კორუფციასთან ბრძოლის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე *(1995–99)*. სახელმწიფო შემოსავლების სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი *(2000–2001)*.

**აბიაშვილი – 63**
***თბილისი – 16,***
***ხაშური – 2,***
***რუსთავი – 1.***

**აბიაშვილი** გვარში დომინირებს მამაკაცის საკუთარი სახელი აბია. შდრ.: **აბი, აბილ, სვანეთი; აბი, კოლხეთი** (ალ. ღლ. გვ. 57).

**აბიაშვილი მახარებელი** გაათარხნა ქაიხოსრო *(მუხრანის ბატონიშვილმა (1699 წ.) (პალ. I. გვ. 56)*.

**აბისონაშვილი – 24**
***გორი – 21,***
***დუშეთი – 1,***
***თბილისი – 2;***

**აბისონაშვილი,** აბისონაშვილთა გვარი ნაწარმოებია მამაკაცის საკუთარი სახელიდან **აბისონა**. შდრ.: აბისონა. საქართველოს სიძველენი. ტ. II. გვ. 206 (ალ. ღლ. *67*).

**აბჟანდაძე 1090**
***თერჯოლა – 403;***
***თბილისი – 149;***
***სამტრედია – 126.***

**აბჟანდაძე–ავჟანდაძე–აგჟანდაძე.** აბჟანდაძეთა ადრინდელი გვარია ავჟანდაძე. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სიტყვა **აბჟანდა** არაა დაფიქსირებული. ქართველებს გვაქვს სიტყვა **ავჟანდი,** იგივეა, რაც უზანგი (*ქეგლ. 18*). შდრ. „**აქ არის ჩხარის სასახლე ნებიერული მისითა ეკლესიითა და გამოსავალი მოსაკრებლობაი მართებს ავჟანდაძესა ხაბასა 12 კოკა ღვინო, 16 თეთრი, გოჩიას ავჟანდაძეს, ზაქარიას ავჟანდაძეს, ივანეს ავჟანდაძეს**" (*ქსძ. ტ. III. გვ. 400*).

**აბჟანდაძე და ავჟანდაძე** ერთიდაიგივე უძველესი გვარსახელია.

დღევანდელი აბჟანდაძეების ადრინდელი გვარი ავჟანდაძე ყოფილა. ჯერ კონსტანტინემ. შემდეგ ბაგრატ მეფემ მას განუახლეს ძველი სასისხლო სიგელი, რომელიც ლეონ მეფისაგან ჰქონია მიღებული. მის წინაპარს, რომელიც დარუბანდიდან გადმოსულა, მოურჩენია ალმაშენებელი, რომელიც გელათის შენებისას ხარაჩოდან გადმოვარდნილა და დაშავებულა. უწყალობა აგრეთვე სკანდას და გოგს ქვემოთ, ძევრეთს და ყვირილას შესართავთან ფასოსიანისა და ჩხარას სატყისმცველო *(1452 წ. სიგ. 1510–1565 წ.წ.)*.

**ავჟანდაძე ახალბედა,** გიორგი, გოჩია, ზაქარა, ივანა, ნასხიდა, როსტევანა, საბა ჩხარს მცხოვრებლები, დედოფალმა თამარ დიასამიძემ იგი ბეგრათ შესწირა გელათის წმიდა გიორგის ეკლესიას *(1584 წ.) (იხ. პალ. I. გვ. 84–85)*.

**რეზიუმე: აბჟანდაძეები,** გვარის სახელი „**აბჟანდაძე**" ფუძეში შეიცავს მეტსახელს „**აბჟანდა**".

**„აბჟანდა“** ნაწარმოებია ძველქართული სიტყვიდან **„ავჟანდი“** – უზანგი.

ქართულ საისტორიო საბუთებში ავჟანდაძე–აუშანდაძე–აბჟანდაძეები XVI საუკუნიდან ჩანან.

1510–1565 წლებში ბაგრატ იმერთა მეფემ **არჯევან, ახალბედა და გიორგი ავჟანდაძეებს** სატყისმცველო უბოძა სკანდასა და გოგს დაღმა, ძევრეთს და ყვირილას შესართავთან, განუახლა მეფე კონსტანტინეს მიერ გაჩენილი სისხლის ფასი: ორასი ათასი ძველი ცხუმური თეთრი, თორმეტი გლეხი, თორმეტი თეთრი ჯორი, თორმეტი თეთრი ქორი, თორმეტი თეთრი მიმინო. ამავე სიგელიდან ირკვევა, რომ ავჟანდაძეთა წინაპარს მოურჩენია გელათის მშენებლობისას გალავნიდან ჩამოვარდნილი მეფე დავით აღმაშენებელი.

ღმერთისა და საქართველოსათვის აბჟანდაძეთა გვარის მეომრები გამოდიოდნენ ერთიანი ქართული ლაშქრის მემარჯვენე მიმსვლელ–მცემელთა სადროშოში, ხოლო „შემდგომად განყოფისა“, იმერეთის სამეფო ლაშქრის მემარჯვენე სადროშოში.

ამჟამად აბჟანდაძეები ცხოვრობენ ძირითადად ზემო იმერეთში, თერჯოლის, საჩხერის, ზესტაფონის რაიონებში, მცირე რაოდენობით არიან ოდიშში, გურიაში, სამცხეში და შიდა ქართლში

აბჟანდაძე – მრავალრიცხოვანი გვარია.

**აბრავა** *(გვარის ფუძედ შეცდომით სპარსულ სიტყვას* ***აბრუ–ს*** *უკავშირებენ და მისგან ნაწარმოებად თვლიან სახელს* ***აბროხი*** *(ამბროხი).* მამაკაცის საკუთარ სახელად დაფიქსირებულია **აბრა, აბრა–ი, აბრასა, აბრო** *(გვხვდება კოლხეთში, ჩხოროწყუ, ხევსურეთში, გერგეტი, ქსნის ხეობა, ლარგვისი და სხვ. იხ. ალ. ღლ. 67).*

**ძირით აბრა** *(შდრ. აბრა სასწორისა, იგივე საბარჯბი, იგივე ცოთი. საბა. I. 37).* რამდენიმე ქართული გვარსახელია ნაწარმოები. ესენია: **აბრალავა, აბრუმია, აბრუშია (–აბრახამია).**

**აბრავა** მცირერიცხოვანი გვარია. ვაუჩერების მიხედვით 21 სულია დაფიქსირებული. მათგან მხოლოდ ორიოდე კომლი ცხოვრობს ზუგდიდში.

**აბრალავა 843**
**წალენჯიხა – 365,**
**ზუგდიდი – 280,**
**თბილისი – 42;**

**აბრალავა** *(–შდრ.* ***აბრალაშვილი****)* მომდინარეობს სიტყვისაგან **აბრა**. **აბრალა** მოფერებითი სახელია ნაწარმოები პირსახელიდან **აბრა.**

კომლი: საჩინო – 27, ლია – 11, წალენჯიხა – 9, ხეთა – 7, პატარა ეწერი – 6, რუხი – 6, ჩხორია – 5, ბულიწყუ – 4, რეყე – 4, განარჯოს მუხური – 3, ინგირი – 3 და სხვ. ტოპონიმი: **ლეაბრალ–ე** *(ლე და ე აქ ართრონებია)* უბანი ინწირის მარჯვენა მხარეს *(ნაგ.ურუ).* აბრალა აბრას კნინობითი მოფერებითი ვარიანტია, თუმცა შესაძლებელია აბრას შთამომავალსაც აღნიშნავდეს *(იხ. პ. ცხადაია. გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში. თბ. 2000. გვ. 48).*

აბრალავები ჩანან ზემო სამეგრელოში თავად აფაქიძეთა მამულში (*იხ. ო. სოსელია. III. გვ. 166*).



**აბრალავა ანზორი გრიგოლის ძე**, საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა ზუგდიდში 1958 წ. 6 ნოემბერს. მშობლები: გულნარა კაჭარავა, გრიგოლ აბრალავა; მეუღლე – რუსუდან ქუთათელაძე; შვილები: თინათინი (*1985*), ნინო (*1986*), გრიგოლი (*1990*). დაამთავრა სპი (*1980*). იყო საავიაციო საწარმოო გაერთიანების ინჟინერი, ლაბორატორიისა და განყოფილების უფროსი, მთავარი ინჟინრის მოადგილე (*1980-91*). ისნის რაიონის გამგებელი (*1991-92*). საერო ინსტიტუტ „გაენათის“ პროფესორი (*1992-99*). საავიაციო საწარმოო გაერთიანების დირექტორის მოადგილე.

პარლამენტის წევრია 1999 წლიდან.

არის ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი (*1999*).

ავტორია წიგნისა (*ჯგუფთან ერთად*).

გამოქვეყნებული აქვს ორი მონოგრაფია. არის „კონსტანტინე გამსახურდიას“ საზოგადოების წევრი და ვიცე-პრეზიდენტი (*1995 წლიდან*).



**აბრალავა ჟუჟუნა თედორეს ასული** დაიბადა 1931 წლის 8 მარტს ქ. ზუგდიდში, მოსამსახურის ოჯახში.

1949 წელს დაამთავრა ზუგდიდის ქალთა I საშუალო სკოლა მედალზე. იმავე წელს სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1954 წელს და მიიღო იურისტის კვალიფიკაცია.

1956 წლიდან 1963 წლის ივნისის თვემდე მუშაობდა ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. თავიდან კონსულტანტად, შემდგომ – ექსკურსანტად. ბოლოს – მეცნიერ-მუშაკად.

1965 წელს მუშაობა დაიწყო ზუგდიდის რაიონის პროკურატურაში გამომძიებლად. პარალელურად მუშაობდა ზუგდიდის სოფლის მეურნეობის სამმართველოში – იურიდიული განყოფილების უფროსად.

ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოში მუშაობისას დააჯილდოვეს მედლით „შრომითი მამაცობისათვის.“

1977 წლიდან მუშაობს საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის ზუგდიდის იურიდიული კონსულტაციის გამგედ.

ამჟამად არის იურიდიული მომსახურების ინდივიდუალური საწარმო „ჟუჟუნა აბრალავას“ დირექტორი და ამავე დროს კავშირ იურიდიულ მომსახურების ცენტრ „ჭეშმარიტების“ წევრი.

ატარებს ლექციებს ზუგდიდის უმაღლეს სახელმწიფო პოლიტექნიკურ კოლეჯში და გალის ჰუმანიტარულ ეკონომიკურ ინსტიტუტში სამართლის განხრით.

ჰყავს მეუღლე **სერგო შედანია**, ვაჟიშვილი **ირაკლი შედანია**, დაბადებული

1968 წელს. შეილიშეილი – **თამარ შედანია** სწავლობს მეოთხე კლასში. წარჩინებული მოსწავლეა.

**აბრამალაძე 125**
**განი – 66,**
**ქუთაისი – 41,**
**ზესტაფონი – 6**

**აბრამალაძე** გვარში ფუძეა **აბრამა-ლა**. შდრ.: **ზუბა-ლაშვილი, ზუბა-და-ლაშვილი.**

**აბრამაშვილი–აბრამიშვილი. აბრამიშვილნი** – გვარის სახელი ერთი აქეთ, ხოლო ძირად სხვანი და სხვანი არიან **აბრამიშვილნი**. რამეთუ, **აბრამ** – საკუთარი სახელია კაცისა და სხვათა და სხვათა აბრამთა შთამომავალთა აბრამისშეილობა გვარის სახელად გადაქცევიათ, ჟამითი–ჟამად და ადგილ–ადგილ.

ჯერ XV საუკუნის ვარძიის შეწირულობის სიგელში იხსენიება ერთი ვინმე **აბრამიშვილი.**

მერმე XVI საუკუნეში, ქვემო ქართლში ჩანან **აზნაურნი აბრამიშვილნი**, ალგეთზე, სოფელ ტბისში მცხოვრებნი. თავადთა ბარათაშვილთა ყმანი.

ამავე XVI საუკუნის დასაწყისში ქართლის მეფემ კონსტანტინემ მამული უბოძა აბრამიშვილთ შიდა ქართლში, ჩიქინურში, შიომღვიმის მონასტრის მახლობლად. მერმე ეს მამული სადაოდ შექმნილა აბრამიშვილს ათანასესა და მუხრანბატონს ბაგრატს შორის.

XVII–XVIII საუკუნეთა სიგელ-გუჯრებით აბრამიშვილთ უცხოვრიათ: საამილახვროში – კასპში, საჯავახოში – სიონში, სათუმანიშვილოში – დარბაზში, საციციანოში – ატენში. საციციანოს აბრამიშვილთ საბარათიანოს აბრამიშვილთა დარად **აზნაურობა** მოუდიოდათ.

ყიზილბაშობის ჟამს ღალატით გატყდა საციციანოს ძამის ციხე. 1747 წელს შედგენილ ძამის ციხის ამოწყვეტის დავთარში აზნაურნი ხსენდებიან.

ზემო იმერეთში, საფალავანდიშვილოში და საწერეთლოში სახლობდნენ გლეხნი და ვიეთნი აზნაურნი. იოანე ბატონიშვილი გვამცნობს, ვითარმედ ზემო ქართლის აზნაურნი, აბრამიშვილნი, იმერეთიდან გადმოსულნი აზნაურნი აბრამიშვილნი ყოფილან.

XVII საუკუნის ერთი საბუთით, მამასახლისის ძმისწული ესაია, **აბრამიშვილიც იყო და აბრამისშვილიც.**

XVIII საუკუნის სხვა საბუთით, **ხუცესი ლაზარე, აბრამისშვილიც იყო და აბრამასშვილიც.**

ქართული სიგელ-გუჯარი **აბრამიშვილთ და აბრამაშვილთა** არ განასხვავებს.

ღმერთისა და საქართველოსათვის და ბაგრატიონთა ტახტის ძლიერებისათვის, აბრამიშვილნი გამოდიოდნენ იმერეთის სამეფო ლაშქრის მემარცხენე და ქართლის სამეფო ლაშქრის მემარცხენე და ქართლის სამეფო ლაშქრის მეწინავე, შუაგულ და მემარჯვენე სადროშოებში.

ამჟამად აბრამიშვილნი ცხოვრობენ ისევ ზემო იმერეთში, ქვემო და შიდა

ქართლში და კიდევ ოდიშში, გურიაში, სამცხე ერწო-თიანეთში, შიგნით კახეთში, გაღმამხარეში და პერეთში. განსაკუთრებით მრავლად არიან ხაშურის, ზესტაფონის, საჩხერის და ჭიათურის მხარეში.

საქართველოში აბრამიშვილთა, დიდ-პატარის, ქუდოსან-მანდილოსნის, საერთო რიცხვი ხუთი ათასს ბევრად აჭარბებს.

ღმერთმა ამრავლოს გვარი აბრამიშვილთა *(ალექსანდრე ნაზღაიძე, 1997, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი. მელიქიშვილის ქ. № 10).*

აბრამაშვილ-აბრამიშვილები მრავლად მოიხსენებიან დოკუმენტებში *(იხ. პალ. ტ. I).*

**აბრამაშვილი–აბრამიშვილი–აბრამიძე–ფარსადანაშვილი, აბრამიშვილი** – ეპონიმური ტიპის გვარ-სახელია. მის ფუძეში დევს წინაპრის სახელი **აბრამ**. მამაკაცის საკუთარი სახელი **აბრაამ, აბრაჰამ** – ძველებრაულად ითარგმნება და ნიშნავს მრავალთა მამას. ძველ ებრაელთაგან ეს სახელი გავრცელდა აღმოსავლეთის ხალხებში იბრაჰიმის სახესხვაობით და საქართველოშიც შემოაღწია **აბრამის** ფორმით.

**აბრამ, აბრამელა**, საკმაოდ გავრცელებული სახელები ყოფილა ძველ საქართველოში, რაზედაც მეტყველებს **აბრამ** ფუძიდან ნაწარმოები ქართული გვარების სიმრავლე. მაგალითად: იმერეთში გავრცელებული გვარები **აბრამაძე** და **აბრამელიძე**, ზემო ქართლში – **აბრამაშვილი**, სამცხეში – **აბრამაძე**, გურიაში – **აბრამელაძე**, სამეგრელოში – **აბრამია** და **აბრახამია**, ქართლში და იმერეთში **აბრამიძე** და თითქმის მთელ საქართველოში ფართოდ გავრცელებული გვარი – **აბრამიშვილი**. არსებობს მხოლოდ თბილისური, ქართულ-ებრაული გვარი **აბრახამაშვილიც**.

არ ვეხებით **აბრამ**-ფუძიან არაქართული დაბოლოების გვარებს.

**აბრამიშვილები** საქართველოში იმდენნი არიან და იმდენგან ცხოვრობენ, რომ შეუძლებელია, ისინი ყველანი ერთი წინაპრის, ერთი აბრამის შვილები იყვნენ. უფრო სავარაუდოა, რომ ისინი სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მხარეში მცხოვრები, სხვადასხვა აბრამების შთამომავლები არიან და მათ მხოლოდ გვარ-სახელი აქვთ საერთო, ხოლო გვარ-ჩამომავლობა – სხვადასხვა. ქართულ საისტორიო საბუთებში აბრამიშვილის გვარი XV ს-ის მეორე ნახევრიდან ჩანს. ქართლის მეფის ლუარსაბ I-ის განჩინებაში, კათალიკოსისა და წილკნელ ეპისკოპოსს შორის მამულზე დავის შესახებ აღნიშნულია, რომ ათანასე აბრამიშვილს ჰქონდა კონსტანტინე მეფის *(1464–1505 წ.წ.)* მიერ ბოძებული სიგელი. სიგელი, როგორც ჩანს, შიო მღვიმის მონასტრის მახლობლად მამულის წყალობას ეხებოდა. ამავე განჩინებიდან ირკვევა, რომ შემდეგში ათანასე აბრამიშვილს ეს მამული, კერძოდ, ჩიქუნური საზღვარი სადაო გახდომია მუხრანბატონთან. ვინ იყო და რას წარმოადგენდა ათანასე აბრამიშვილი, ჩვენთვის უც-

ნობია, სახელითა და ნაწყალობევი მამულის მონასტერთან სიახლოვით თუ ეპისკოპოსებთან, იქნებ სასულიერო პირიც იყო. ერთი რამ ცხადია, მაშინდელ საქართველოში მეფეთა წყალობა ერის და მამულის სამსახურით მიიღწეოდა და ათასნაირად, ალბათ, რაიმე დამსახურება მიუძღოდა.

XVI საუკუნიდან აბრამიშვილები უკვე მრავალგზის იხსენიებიან ისტორიულ საბუთებში. ისინი საქართველოს სხვადასხვა მხარეში ჩანან და სხვადასხვა სოციალურ წოდებას ეკუთვნიან. სავარაუდოა, რომ ისინი, შესაბამისად, სრულიად სხვადასხვა წარმომავლობისანი არიან.

1688–1703 წლებით დათარიღებული ერეკლე I-ის განჩინების მიხედვით, ქვემო ქართლის სოფელ ტბისში მცხოვრები აბრამიშვილის მამულზე დავა ჰქონიათ აბრამიშვილის ბატონს, ბოქაულთუხუცესს საამ ბარათაშვილს და თავად ოთარამ ზაალიშვილს. მეფის განჩინებით, აბრამიშვილს ფიცი დაედო. ფიცის დადება იმას ნიშნავდა, რომ მოწმე იყო თუ მომჩივანი, ხატზე დააფიცებდნენ და გამოძიება საჭირო აღარ იყო. თუ ვერ დაიფიცებდა (ჩვენად ასეც ხდებოდა), ხომ გამტყუნდებოდა და თუ დაიფიცებდა „ფიცით გაიტანდა", ესე იგი გამართლდებოდა, ყველაც დაუჯერებდა: დაუჯერებდა, რადგან მაშინდელი ქართველის ცნობიერებაში, როგორც უნდა გაგვეკვირდეს, ღმერთი მაღლა იდგა ქონებაზე.

ეს მოფიცარი ტბელი აბრამიშვილი, როგორც ჩანს, შთამომავალია იმავე სოფელში ადრე მცხოვრები აზნაური აბრამიშვილებისა. 1523 წლის ბარათაშვილთა გაყრის წიგნში წერია, რომ გერმანოზსა და მის ძმებს: თაყა, გოსტაშაბ და ფალავან-ხოსრო ბარათაშვილებს გაყრისას ერგოთ ტბისში მცხოვრები აზნაურები ერთწილად: აბრამიშვილი, ბეგიაშვილი, ბედიანაშვილი, მამისთვალაშვილი და სხვა.

ამრიგად, ქვემო ქართლში ერთმა ტბისელი აბრამის შთამომავალთ აზნაურობა მოუდიოდათ, გვარად კი ხან აბრამაშვილებად ეწერებოდნენ, ხანაც – აბრამიშვილად.

XVII საუკუნეში აბრამიშვილები ჩანან ქვემო ქართლის სოფელ დარბაზშიც, თუმანიშვილთა მამულში.

1633 წელს ერთ საბუთში კი, ქვემო ქართლში ნახსენებია სოფელი აბრამეთი და იქ მცხოვრები აბრამიძეები. შესაძლებელია, დარბაზელ აბრამიშვილთა და აბრამეთელ აბრამიძეთა შთამომავალნი დღეს აბრამიშვილის გვარ-სახელს ატარებენ, რადგან ქვემო ქართლში ამჟამად აბრამაშვილის და აბრამიძის გვარები აღარ გვხვდება, აბრამიშვილები კი საკმაოდ მრავლად სახლობენ.

სხვა აბრამის შთამომავალთა ბუდე ჩანს შიდა ქართლში, საციციანოს სოფელ ატენში. ესენიც XVI–XVIII საუკუნეთა ქართულ საბუთებში ხან აბრამაშვილებად იწერებიან და ხან – აბრამიშვილებად.

XVI საუკუნის სადაღაშვილთა ერთ ნასყიდობის წიგნში მოწმედ არის დასახელებული ატენს მცხოვრები გლეხი იასე აბრამიშვილი. ეს არის ატენში აბრამიშვილის პირველი ხსენება.

1688–1703 წლების ციციშვილთა გაყრის წიგნში, ციციშვილთა ყმებად წერია ატენელი გლეხები: **ელიზბარ, გოდერძი, გიორგი, ოქროა და ტატია აბრამიშვილები.**

ატენელივე ყოფილა 1642 წლის **ბეჟიტაშვილ-ამქარაშვილთა** ნასყიდობის საბუთში მოწმედ დასახელებული **ტატია აბრამიშვილი.**

არ არის გამორიცხული, რომ ეს ტატია აბრამაშვილი და ციციშვილების გაყრაში ნახსენები ტატია აბრამიშვილი ერთი და იგივე პიროვნებაა. არსებობს ატენელი აბრამაშვილ-აბრამიშვილთა ერთობის სხვა, უფრო დამაჯერებელი მაგალითებიც.

1642–1700 წლების რამდენიმე საბუთში, ატენის მამასახლისის ძმისწულები, ვინმე **მახარა და ესაია,** ერთდროულად აბრამიშვილადაც იწერებოდნენ და აბრამაშვილადაც. საბუთებიდან არ ჩანს ატენის მამასახლის აბრამიშვილის სახელი და წოდება. საციციანოში აბრამიშვილები ყმა გლეხებიც იყვნენ, გადასახადებისგან გათავისუფლებული მსახური გლეხებიც და აზნაურებიც.

1740 წლის ყიზილბაშთა ბატონობის და შინააშლილობის ჟამს, საციციანოში ღალატით გატყდა ძამის ციხე. 1747–49 წლებში შედგენილ ძამის ციხის ამოწყვეტის დავთარში სახასო გლეხთა და მსახურთა შორის იხსენიება აბრამიშვილის ერთი კომლი.

1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის თანდართულ ქართველ თავად-აზნაურთა სიაში, თავად ციციშვილის აზნაურებში, სხვებთან ერთად აზნაური აბრამიშვილიც იხსენიება.

იოანე ბატონიშვილი თავის „აღწერაში“ აზნაურ აბრამიშვილებზე შემდეგ ცნობას გვაწვდის: **„ამათნი წინაპარნიცა იყვნენ იმერეთიდგან მოსრულნი აბრამიშვილებად მცირე აზნაურად მიღებულნი და შეჩნდნენ ესენიცა როსტომ მეფის დროსა 1635 წ. და არიან ტრაქტატსა შინაცა მოხსენებულნი.“**

ამჟამად იმერეთში აბრამაშვილები ძალზე ცოტანი არიან, აბრამიშვილები კი მრავლად ცხოვრობენ: საჩხერის, ჭიათურის, ზესტაფონის, ბაღდათის რაიონებში. იმერეთიდან აბრამიშვილები საკმაოდ მრავლად გადასულან მეზობელი ადიგენისა და ხაშურის რაიონებშიც. ქართლელი აბრამიშვილების მსგავსად, იმერელ აბრამიშვილებშიც სხვადასხვა სოციალური მდგომარეობისა და სხვადასხვა ჩამომავლობის ხალხი იყო გაერთიანებული. მაგალითად, თუ ჭიათურის ზოგიერთ სოფელში აბრამიშვილები დღესაც ბატონებად ახსოვთ, საჩხერის აბრამიშვილები ყმა-გლეხებად ჩანან ისტორიულ საბუთებში. თუმცა, როგორც მათი გვარ-სახელების იგივეობა არ ამტკიცებს მათს საერთო წარმომავლობას, ისევე მათი სოციალური განსხვავებულობა არ გამორიცხავს მათ შორის სისხლით ნათესაობას.

XVII–XVIII საუკუნეების იმერეთის სამეფოს ისტორიულ საბუთებში იხსენებიან: **საბა, პაატა, ლაზარე და შიო აბრამიშვილები,** რომლებიც თავიდან თა-

ვად ფალავანდიშვილების ყმები ყოფილან. მაგრამ შემდეგ, სხვადასხვა მიზეზით, წერეთელთა ყმობაში აღმოჩნდნენ.

1680 წელი: „ქ. ესე ნასყიდობის წიგნი მოგეცით ჩვენ, ფალავანდიშვილმა გიორგიმ, შვილმა ჩემმა შოშია, თქვენ წერეთლის ბატონს ქაიხოსროს, შვილსა თქვენსა ქველსა და პაპუნასა და ვახუშტისა და ქაიხოსროსა; – დავტყვევდი ციხეშიდ, გამყიდეს, შემოგეხვეწეთ, დაგვიხსენით. ჩემის თავის სახსრად მოგეცით სარეკში სასახლე მისის მიწითა და ადგილით, ხატითა, ჯვრით; – აბრამიშვილი საბა მისისა ძმით, ცოლ-შვილით, დათუა ლაბაძე, მამუკა გოქსაძე, რისაც მქონებელ ყოფილიყოს...“

1735 წელი: „ქ. ესე წიგნი მოგართვით თქვენ ბატონს წერეთელს ქველს, თქვენს შვილს ბეჟანს და დავითს მე, ფალავანდიშვილმა გიორგიმ, ჩემმა შვილმა შიოშ; – ასრე რომ აბაშიძემ მამული დამიკავა, ახლა დამჭირდა თეთრი იმ მამულზედ გარდასახადად აბაშიძისთვის. ორას ორმოცდაათი მარჩილი ევილე თქვენგან მამულის დასახსნელად. სხვა ვერა გიშოვე და რა შემოგეხვეწე მოგართვე აბრამის-ძე ლაზარე და შიო მათის ცოლ-შვილით, სახლით, კარით, სამგლავით, წყლით, წისქვილით, სათიბით, ტყით, რისაც მქონებელი იყოს...“ სხვა საბუთიდან ირკვევა, რომ იგივე ლაზარე, რომელიც უკვე აბრამაშვილად სწერია, სასულიერო პირი – ხუცესი ყოფილა.

1746 წელი: „ქ. ნებითა და შეწევნითა ღვთისათა ესე საბოლოოდ გასათავებელი, მტკიცე და შეუცვალებელი წიგნი დაგიწერეთ და მოგართვით მე, ფალავანდისშვილმა გიორგიმ... თქვენ, ბატონს წერეთელს ქველს..., ასრე რომე თეთრი დაგვედვა გიორგი თოთაძის ოთხასი მარჩილი. იმ თეთრის გარდაცვლა ჩვენ ვერ შევძელით და თქვენ გარდაგვიხადეთ. ჩვენ მოგართვით პაატა აბრამიშვილის ცოლი და შვილი და დავითუელიანისოული პარტახი მისის ყოვლისფერით...“

თავად წერეთლისავე ყმები ყოფილან კვირია და სეხნია აბრამიშვილები, რომლებიც იმერეთიდან აყრილან და ქართლში გადმოსულან. მაგრამ 1724 წლის წერეთელს ისინი მოუძებნია და ისევ თავის მამულში დაუბრუნებია.

აბრამიშვილები გურიაშიც სახლობენ. მაგრამ საბუთებში გურული აბრამიშვილები ჯერჯერობით არ შეგვხვედრია. შესაძლებელია, ისინი გვიანდელი გადასულები არიან იმერეთიდან. არც ის არის გამორიცხული, რომ გურული აბრამიშვილები ვინმე ადგილობრივი, გურული აბრამის შვილები იყვნენ, მითუმეტეს, რომ გურიაში, კერძოდ, სოფელ ბახვში გვარი აბრამიძე ჯერ კიდევ XVI საუკუნეში იხსენიება.

სულ სხვა წარმომავლობა აქვთ დუშეთ-თიანეთ-ახმეტის მხარეში საკმაოდ მრავლად მცხოვრებ აბრამიშვილებს. ისინი თავს ფშაველებად მიიჩნევენ და უძილაურთა თემის სალოცავებს ეკუთვნიან.

უამრავი აბრამიშვილი ცხოვრობს კახეთ-ქიზიყში და ჰერეთში, განსაკუთრებით მრავლად არიან თელავის, ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონებში. ჰერეთის

აბრამიშვილები წინა საუკუნეში არიან იმერეთიდან გადმოსულები, ხოლო კახეთ-ქიზიყის აბრამიშვილები სხვადასხვა დროს, ზოგი ქვემო და შიდა ქართლიდან, ზოგი ზემო იმერეთიდან, ზოგიც ალმოსავლეთის მთებიდან ჩამოსახლებულან. ალბათ, იქნებიან ადგილობრივი, კახელი აბრამების შთამომავლებიც. მაგალითად, თუ გარე კახეთის სოფელ ნორიოს აბრამიშვილებს კარგად ახსოვთ, რომ მათი წინაპარი იმერეთის სოფელი სარეკიდან გადმოსული სასულიერო პირი ყოფილა, შიგნით კახეთის სოფელ სანიორეში მცხოვრებ აბრამიშვილებს არავითარი გადმოცემა არა აქვთ მათი წინაპრების საიდანმე მოსულობის შესახებ. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ისინი აბრამიშვილებად კი იწერებიან, მაგრამ სოფელში, რატომღაც, ფარსადანაანებს ეძახიან. სტატისტიკური მონაცემებით, XIX საუკუნეში ამ სოფელში ფარსადანიშვილებს მართლაც უცხოვრიათ. როგორც ჩანს, ამ გვარებს შორის რაღაც კავშირი არსებობს. არ არის გამორიცხული, რომ სანიორელი აბრამიშვილები სულაც არ ენათესავებოდნენ ქართლელ, იმერელ, გურულ და ფშაველ თანამოგვარეებს და ისინი ეინმე კახელი აბრამა ფარსადანიშვილის შთამომავლები იყვნენ.

ასეც მომხდარა, რომ აბრამიშვილთა ნაწილი ქვემო ქართლისა და კახეთში, მიზეზთა და მიზეზთა გამო, ბერძნებად და სომხებად დაწერილან. ღვთის მადლით, ახლა უკვე აღარ ვაიგივებთ აღმსარებლობას და ეროვნებას და ბევრი აბრამოვისა და აბრამოვისათვის, აბრამიშვილობაზე და ქართველობაზე მობრუნების პროცესი დაიწყო.

ღმერთისა და საქართველოსთვის და ბაგრატიონთა ტახტის ძლიერებისთვის, აბრამიშვილთა გვარის გლეხნი კომლზე კაცად და აზნაურნი ქუდზე კაცად გამოდიოდნენ.

იმერეთის სამეფო ლაშქრის მემარცხენე, ქართლის სამეფო ლაშქრის მოწინავე და შუაგულ და მემარცხენე სადროშოებში, თავად წერეთელთა, ბარათაშვილთა, ციციშვილთა, რუსთველ, ალავერდელ და ნეკრესელ ეპისკოპოსთა დროშების ქვეშ.

**ამჟამად აბრამიშვილები ცხოვრობენ ქალაქებში:** თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, ბორჯომში, ხაშურში, ქარელში, გორში, მცხეთაში, გარდაბანში, საგარეჯოში, თელავში, ყვარელში, გურჯაანში, სიღნაღში, ლაგოდეხში, ჭიათურაში, საჩხერეში, წყალტუბოში, ბაღდათში, ზესტაფონში, სამტრედიაში, სენაკში, ფოთში, ბათუმში, ოზურგეთში, ლანჩხუთში. დაბებში: თიანეთში, თეთრიწყაროში, აბასთუმანში, სურამში, კაზრეთში და საქართველოს უამრავ სოფელში.

**აბრამიშვილთა გვარიდანაა მერაბ აბრამიშვილი** – მხატვარი. დაიბადა თბილისში 1957 წ. 16 მარტს. მშობლები: **ნათელა ღარიბაშვილი, გურამ აბრამიშვილი;** მეუღლე – **ციცინო ცერცვაძე** *(1959)*. შვილები: **გურამი** *(1986)*, **ლევანი** *(1988)*, **ქეთევანი** *(1991)*. დაამთავრა თსსა გრაფიკის განყოფილება *(1981)*. არის ავტორი ნამუშევრებისა: „სამასი არაგველი“ *(1987)*, „სამოთხის ვაშლი“

*(1988)*, „ჯოჯოხეთი“ *(1988)*, „კუმარინის კაციჯაშია ეკუხეი“ *(1993)* და სხვ. გამართა პერსონალური გამოფენა გალერეა „ორიენტში“, თბილისი *(1994)*. მონაწილეობდა საქართველოსა და საზღვარგარეთ გამართულ გამოფენებში, მათ შორის: ვარშავა *(1989)*, ქართული კულტურის ცენტრი *(პარიზი, 1990)*, ბრინდიზი *(იტალია, 1991)*, არტფორუმ გალერია *(ჰანოვერი, 1991)*, 10 ქართველი მხატვარი, გენერალური ბანკი *(ბრიუსელი, 1993)*, ქართველი მხატვრები *(ვენა, 1994)*, საკრამენტო *(ატლანტა, 1995)*, გალერეა „სელმერპეიში“, პარიზი *(1997)*, სასტუმრო ჰილტონ-ში *(კვიპროსი, 2000 წ.)* და სხვ. მისი ნამუშევრები დაცულია: სვგ. კიოლნის ლუდვიგის მუზეუმში, ფინეთის, აშშ-ს კერძო გალერეებში. არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი *(1988)*. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში“ *(ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000)*.

## საქართველოში ყველაზე გავრცელებული ათი გვარი

| | |
|---|---|
| ბერიძე – 24797 | კვარაცხელია – 13618 |
| კაპანაძე – 18550 | ლომიძე – 12949 |
| გელაშვილი – 17995 | შენგელია – 12764 |
| მაისურაძე 16516 | წიკლაური – 12499 |
| გიორგაძე – 14582 | ხუციშვილი – 11062 |

## ყველაზე მოკლე გვარები ფიქსირდება საქართველოში:

იაძე, ადაძე, თოდუა, შონია, ფიფია, ჯიქია, ზოიძე, სახუა, მესხი, ჯოჯუა, ქირია, გოგია, მაკუა, გოგუა, დვალი, შელია, ჩაჩუა, ცაავა, ბუკია, გულუა, გოშუა, სახუა, ანთია, ბუაძე, ბერია, ხუჭუა, ნინუა, ნოდია, სიხუა, ლორია, ბულია, ერაძე, ბებია, რურუა, ჩიჩუა, ჭედია, მანია, კუცია, კოხია, ჯაბუა, ხუბუა, შარია, ბოხუა, ხასია.

## ყველაზე გრძელი გვარები:

მუშთიხუციშვილი, შაბათხუციშვილი, მოსემღვდლიშვილი, სიმონგულაშვილი, სახლთუხუციშვილი, გამეზარდაშვილი, თეალაბეიშვილი, ნამანგლელეიშვილი.

**აბრამია 411**
*თბილისი – 111,*
*ფოთი – 66,*
*ხობი – 52.*

**აბრამია**, გვარის ფუძეა ბიბლიური სახელი **აბრაჰამ** *(–აბრაამ–აბრამ).*

**აბრამ** ძველებრაული სახელია. ნიშნავს **„მამა სიმაღლისა“** ან **„ამაღლებული.“** მაგრამ ქართულში მას ემთხვევა აგრეთვე მეორე ებრაული სახელი **აბრაჰამ**, რომლის მნიშვნელობაა **„მამა მრავალთა.“** ამ სახელისგან მიღებული გვარებია: **აბრამალაძე, აბრამია, აბრამიშვილი, აბრამიძე** *(ზურაბ ჭუმბურიძე. დედაენა ქართული. თბ., 1987. გვ. 320).*

**აბრამია** კომლი: ახალსოფელი *(ხობის რ–ნი)* – 8. სეფიეთი – 4. ქოლობანი – 4. აბაშა – 3. ეკლიდკარი – 3. ზემო ჭალადიდი – 3. ონტოფო – 3. ხობი – 3 და სხვ. **ტოპონიმი:** სა–აბრამი–ო – უბანი გალმა პატარა ხობულაში *(ხობის რ–ნი) (აქაც და ყველა გვართან დაკავშირებული კომლი და ტოპონიმი აღებულია პაატა ცხადაიას დასახელებული წიგნიდან. ხოლო სულთა რაოდენობა ა. სილაგაძისა და ა. თოთაძის წიგნიდან).*

1904 წლის აღწერის თანახმად, სოფელ ხორგაში მცხოვრები აბრამიების ერთ ნაწილს **აზნაურის წოდება** ჰქონდა.



**სოფელ ხორგაში დაიბადა პოლიო აბრამიას აკვანი 1891 წელს** ამ შესანიშნავ სოფელთან. მის შრომისმოყვარე ადამიანებთანაა დაკავშირებული მომავალი პოეტის ბავშვობისა და ახალგაზრდობის საუკეთესო წლები.

პირველდაწყებითი განათლება მშობლიურ სოფელში მიიღო, საშუალო კი – ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1922 წელს, შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე და წარმატებით ამთავრებს მას.

1922 წლიდან **პოლიო აბრამია** თბილისის მკვიდრია, მაგრამ მას სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ გაუწყვეტია კავშირი თავის რაიონთან. მისი ფიქრები ფარვანასავით თავს დასტრიალებდა მშობლიურ ხორგას.

პოლიო აბრამიას პირველი ლექსი 1921 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ და ამის შემდეგ კალამი არ გაუგდია ხელიდან. მისი ლექსები, პოემები და მოთხრობები სისტემატურად იბეჭდებოდა რესპუბლიკის თითქმის ყველა ჟურნალ–გაზეთში.

პოლიო აბრამია თავის სამაგალითო ოჯახში მტკიცედ ნერგავდა მშობლიური რაიონისა და სოფლის სიყვარულს. საინტერესოდ და გულთბილად მოუთხრობდა მათ ბავშვობის მწარე სინამდვილეზე, ხობისწყლის პირას გატარებულ დაუვიწყარ დღეებზე.

ქართველმა მკითხველებმა სხვადასხვა დროს მიიღეს პოლიო აბრამიას პოეტური კრებულები *(„კოლხური კორდები“, „თეთრი აფრები“, „ზამთრის ღამის ზღაპარი“, „თემურ თარბა“).*

პოლიო აბრამიას სრული კრებული უკანასკნელად 1979 წელს გამოიცა.

მაგრამ, სამწუხაროდ, პოეტმა ვერ იხილა იგი.

„შეწყდა პოეტის სიცოცხლე, მაგრამ წიგნები აგრძელებენ მას, აკი თვითონაც ამბობდა:

*– ერთ მშვენიერ დღეს მეც ამ ქვეყნად აღარ ვიქნები,*
***ამიტომ მინდა, სამუდამოდ დამრჩეს ფიქრები...***

როდესაც ეცნობი პოლიო აბრამიას პოეზიას, შეუძლებელია, არ მოიხიბლო მისი ლექსით „პაპაჩემი". ეს ლექსი კი არა, საგალობელია ქოლხი კაცისა, ეს განსახიერებაა ქართველი კაცის უტეხი ნებისა, მისი შრომისა და ბრძოლისა, სიბრძნისა და კეთილშობილებისა, მეგობრობისა და თანაგრძნობისა. კითხულობ მის ამ ლექსს და თვალწინ წარმოგიდგება საქვეყნოდ აღიარებული „ჯარისკაცის მამა", ისე, როგორც ეს პერსონაჟი განუყრელად ეკუთვნის ყველა ჯარისკაცისთვის, ასევე ბატონი პოლიოს პაპაც ყველა ქართველს ეკუთვნის. ის ქართული წინაპრის სულის განსახიერებაა. ასეთმა „პაპებმა" გაუძლეს ასეული წლობით ქართლის თავზე დატეხილ ქარტეხილს, ბედსა და უბედობას და დღემდე მოიყვანეს საქართველო. ***„საოცარი კაცი იყო პაპაჩემი, ქვას აპობდა მისი ერთი განაჩენი,"*** – ამბობს პოეტი.

1969 წელს მთელმა საქართველომ აღნიშნა პოლიო აბრამიას დაბადების სამოცდაათი წლისთავი. მისი მშობლიური რაიონის გაზეთმა გაშლილი გვერდები მიუძღვნა სახელოვანი თანამემამულის საშწერლო მოღვაწეობას.

პოლიო აბრამია სიცოცხლის ბოლო თხუთმეტი წელი თითქმის საწოლს იყო მიჯაჭვული, მაგრამ უდიდესი ძალისხმევის შედეგად შემოქმედებითი საქმიანობა არ შეუწყვეტია, რაშიც, უდავოა, დიდი დამსახურება მიუძღვის კეთილშობილებით გამორჩეულ მის უანგარო მეუღლეს, ოჯახის ნამდვილ ბურჯსა და იმედს, ქალბატონ **მარო აბრამიას**.

მგზნებარე მეხოტბე თავისი მშობლიური ქვეყნისა, ნაღდი პოეტი და უანგარო მეგობარი, ღირსეული შთამომავალი და ალიკვალი თავისი სახელოვანი პაპისა. ვაგლახ, რომ პოეტი პოლიო აბრამია ვერასოდეს ჩამოვა მის სათაყვანო მამულ-დედულეთში, მაგრამ ხობელები არასოდეს დაივიწყებენ მის გამორჩეულ შვილს, – გვეუბნება ბატონი **საშა აბრამია**

**აბრამია ალექსანდრე (საშა) მიხეილის** ძე დაიბადა 1912 წელს, ხობის რაიონის სოფელ პირველ ხორგაში.

1920 წელს შევიდა პირველი ხორგის სკოლაში, რომლის რვა კლასი დაამთავრა 1928 წელს. იმავე წელს სწავლა განაგრძო თბილისის საგზაო ტექნიკუმში. 1929 წლიდან ხობის რაიონში სამეურნეო სამუშაოზეა, იყო საგზაო განყოფილების უფროსი.

1936 წლიდან 1940 წლამდე გაზეთ „სოციალიზმის მშენებლის" პასუხისმგებელი მდივანია, ხოლო 1940 წლიდან 1942 წლამდე ხობის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის დირექტორი. 1942 წლის თებერვალში გაწვეულ იქნა წითელ

არმიაში. მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში.

ალექსანდრე აბრამია იბრძოდა კავკასიის ფრონტზე. მან ბრძოლით გაიარა გზა ორჯონიკიძიდან ბერლინამდე.

ომის დამთავრებამ ალექსანდრე აბრამიას ბერლინში მოუსწრო. 1945 წლის 10 მაისს გამარჯვების მეორე დღეს, ღამით, სხვებთან ერთად იგი ქალაქგარეთ მიდიოდა. ავტომანქანების კოლონას ალ. აბრამიას მანქანა სულ ბოლოს მიჰყვებოდა. იგი ხედავდა, როგორ ქრებოდა ღამის სიბნელეში წინა მანქანების შუქი. მანქანაში მასთან ერთად სამი ოფიცერი იჯდა. მათ ეგონათ, რომ ავტომანქანები მოსახვევში მკვეთრად უხვევდნენ და შუქიც ამიტომ ქრებოდა. თურმე წინ, მდინარეზე ხიდი ყოფილა აფეთქებული და მანქანები ერთი მეორის მიყოლებით მდინარეში ცვიოდნენ. ალ. აბრამიას მანქანაც გადავარდა, მაგრამ ადრე გადავარდნილი მანქანების ზედ მოექცა და წყალში ჩაძირვას გადაურჩა. ამ ავტოკატასტროფაში მისი სამი თანამგზავრი ოფიცერი დაიღუპა, თავად კი ფეხის მოტეხილობით გატანჯული, მიცვალებულებთან ერთად იყო მეორე დღემდე. გერმანელთა ჰოსპიტალში ფეხის ამპუტაცია გადაუწყვიტეს, მაგრამ თანამებრძოლებმა მოიპარეს ჰოსპიტალიდან, 18 კილომეტრი ფეხით ატარეს, ნაწილის ჰოსპიტალში მიიყვანეს. იქ ოპერაცია გაუკეთეს და ფეხი შეუნარჩუნეს. დემობილიზაციით ალექსანდრე აბრამია მხოლოდ 1945 წლის ოქტომბერში დაბრუნდა.

სამამულო ომში გამოჩენილი ვაჟკაცობისთვის იგი დაჯილდოებული იყო სამამულო ომის პირველი და მესამე ხარისხის ორდენებით, წითელი ვარსკვლავის ორდენით. ჰქონდა მიღებული რვა საბრძოლო მედალი, მთავარსარდლის თორმეტი მადლობა.

ალექსანდრე აბრამია აქტიურად მონაწილეობდა რაიონულ გაზეთში, წერდა ლექსებს, ფელეტონებს. იგი დაჯილდოებული იყო ხალასი იუმორით, მისი მახვილსიტყვაობა დღესაც ახსოვთ მის მეგობრებს. გერმანიასთან ომის დამთავრების შემდეგ ალექსანდრე აბრამია იაპონიის საზღვარზე იცავდა თავისი ქვეყნის ღირსებას. ალექსანდრე აბრამია 1946 წელს დაუბრუნდა მშობლიურ ხობს და სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე აქტიურ მონაწილეობას იღებდა რაიონის სისხლსავსე ცხოვრებაში.

იყო კარგი მამა და მეუღლე. ნიჭით მას დაემგვანენ შვილები. უფროსი ქალიშვილი მერი აბრამია ამშვენებს რაიონის საზოგადოებას. მან ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად ერთი დიდი საშვილიშვილო საქმე გააკეთა, პირველი გურიფულის დაწყებითი სკოლის ბაზაზე გახსნა შესანიშნავი სკოლა-გიმნაზია. დღეს ამ სკოლა-გიმნაზიის დედაბოძად ყოველმხრივ განათლებული, ერუდირებული ქალბატონი, მისხალ-მისხალ არიგებს სიკეთეს, ყველას უნაწილებს თავის ნიჭ-

სა და გულის სითბოს.

მეორე ქალიშვილი **კლარა აბრამია** ჟურნალისტურ მოღვაწეობას ეწევა. ხოლო **გულადი აბრამია** და მისი მეუღლე **ლარისა** მამისეულ სახლში ტრიალებენ. ზრდიან სახელოვან ვაჟკაცს – **ალიკა აბრამიას**, რომელიც სეხნიაც არის თავისი კარგი ბაბუისა და განსახიერებაც.

ლამაზი ცხოვრებით ცხოვრობენ ბატონი საშას შთამომავალნი და ამიტომაც უკვდავია ბატონ საშა აბრამიას სახელი.

**აბრამიძე**, ოზურგეთი, იმერხევი, ხაზხევი, აბრამეთი, თბილისი, ვანი, ქუთაისი და სხვ. რაიონებშია გავრცელებული.

1995 წელს ვაუჩერი აუღია 1185 სულს *(ვანი – 476, თბილისი – 261, ქუთაისი – 120).*

ამავე ძირისაა **აბრამიშვილი, აბრამია** *(აბრამიძე)*.

**აბრამისძე** – იგი წილად ხვდა ქვემო ქართლში გერმანოზსა და მის ძმებს *(ბარათაშვილებს)* გაყრის დროს *(1523 წ.).*

**აბრამიძე ამირანა** – ჰყავს განაყოფი სუხია, მოწმე ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნისა *(1670 წ.).*

**აბრამიძე გიორგი** – მოწმე... ადგილის ნასყიდობის წიგნისა *(XVII ს.).* აბრამიძეები – აბრამეთს მცხოვრებნი, როსტომ მეფემ ისინი უწყალობა პაპუნაბეგ ბარათაშვილს *(1633 წ.).*

**აბრამიძე მამისთვნა** – ბახვას მცხოვრები, პატკანაურის პარტახტ მამულზე მჯდომი. მას და ქაიმასოზა დოლიძეს ემართათ ქუთაისის საყდრის ბეგარა. *(1578 წ.).*

იქვე მოიხსენიებიან **აბრამიძე ლახურა**, სუხია და შოშიტა *(იხ. პალ. I, გვ. 61).*



**აბრამიძე პავლე ივლიანეს ძე** დ. 19 III. 1901, დაბა ვანი, **გენერალ-მაიორი** 1940.

1926 წელს დაამთავრა ქართული გაერთიანებული სამხედრო სკოლა და დაინიშნა ოცეულის მეთაურად. 1933 წლიდან პოლკის, ხოლო 1938 წლიდან – დივიზიის მეთაურად. იმყოფებოდა იმ ჯარების შემადგენლობაში, რომლებმაც 1939 წელს დაიცვეს დასავლეთი უკრაინა და დასავლეთ ბელორუსია ჰიტლერელი ოკუპანტებისაგან. მონაწილეობდა თეთრ ფინელებთან ომში, დიდ სამამულო ომში იბრძოდა მრავალი ქალაქის მისადგომებთან. 1956 წლიდან იყო თადარიგში. 1949 წლიდან სამხედრო პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა. იყო თსუ სამხედრო კათედრის გამგე. დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, 3 წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

| | |
|---|---|
| **აბრახამია** | 90 |
| *თბილისი* | – 26, |
| *სენაკი* | – 8. |

**აბრახამია**, შდრ: **აბრაჰამი** *(აბრაამი–აბრამ).*

გვარის ეტიმოლოგიას გააჩნია სხვანაირი ახსნაც. გვარი ორკომპონენტიანი, რთული გვარსახელია. იგი შედგება ორი, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი სიტყვის *(სახელისაგან)* **აბრა+ხამ-ი.** გვარის

პირველი ნაწილია სიტყვა აბრა, ხოლო მეორე – **ხამ-ი**. შდრ.: **ხამ-ი 1. დანა. 2. ბამბის ტილო, შინა ნაქსოვი. 3. ხამი,** უწვრთნელი კაცი *(–ხამი კაცი)*. „ხამი ეჭირა აშო". „დანა არ მოიტანო აქ". „გვალო" *(ხამია მოუქნელი, გამოუცდელი, იტყვიან ხამი მოზვერი, ხამი ცხენი)*. „გვალო ხამი რე თე კოჩი". „სულ მთლად ხამია ეს კაცი" *(გიგი ყიფიანი, მეგრულ-ქართული ლექსიკონი. თბ., 1997, გვ. 383)*.

**აბრუმია 50 (ზუგდიდი – 18, ჩხოროწყუ – 8, თბილისი – 7). ძირძველი მოსახლე სამეგრელოში იშვიათობაა.**

**აბრუმია** *(იხ. აბრაია)*. სახლობს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ილორში.

**აბრუმია ლეილა შოთას ასული,** მოხსენიებულია ოჩამჩირის რაიონის სოფელ ილორის მცხოვრებად 1990 წელს *(ეროვნება ქართველი)*.

**აბსანძე 542 სული (ზუგდიდი – 466, თბილისი – 30, ფოთი – 7).**

**აბსანძე//აბსანაძე//აბსანიძე//აფსნაძე.** ითვლება, რომ ისინი წარმომდგარია იმერეთიდან *(სოფელი მუხურა)* გადასულ აბესაძეთა გვარიდან. მთხრობელები საუბარში გელათიდან წასულ აბესაძეებიდან მომდინარეებად თვლიან თავს. იგივე მოსაზრება აქვს დაფიქსირებული ამ გვართან პაატა ცხადაიას. აბსანძეთა სამშობლოდაა მიჩნეული ზუგდიდისა და გალის რაიონები. კომლი: **ახალკახათი – 33, ორსანტია – 27, ქვემო ქვალონი – 3, შამგონა – 3, ზუგდიდი – 14. ტოპონიმი:** სა-აბსან-ძო – უბანი გალენწყარის ნაპირებზე *(ახალკახათი, დარჩელი)*.



**აბსანძე გურამ** – ყოფილი პოლიტიკური პატიმარი. ნაკლებად თუ მოიძებნება საქართველოში მეორე საზოგადო მოღვაწე, რომელსაც მისი დარი ტანჯვა-წამება, ფიზიკური თუ სულიერი ტკივილები გადაეტანოს. ცხრა ტყვია დაახალეს – ვერ მოკლეს! მაშინ მისი მორალურად განადგურება, პოლიტიკურად მოკვდინება განიზრახეს.

2001 წლის 17 აგვისტოს, 42-თვიანი პატიმრობის შემდეგ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სს კოლეგიამ გურამ აბსანძეს ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე, სისხლის სამართლისა და პროცესუალური კანონმდებლობის, კონსტიტუციური ნორმების დარღვევით, 17 წლის პატიმრობა მიუსაჯა. ამით სასამართლო კოლეგიამ არა მარტო შელახა რეფორმირებული სასამართლოს ავტორიტეტი და ღირსება, არამედ ლახვარი ჩასცა ეროვნული თანხმობის ახლადფეხადგმულ პროცესს. ამდენად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება უზენაესი სასამართლოს ახლადშექმნილ დიდ პალატაში ამ საქმის საკასაციო განხილვას, როგორც უზენაესი სასამართლოს პალატის 2001 წლის 13 სექტემბრის განჩინებაშია ნათქვამი: **„აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე უნდა გადაეცეს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას, რადგან საქმის განხილვასა და გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის".** ეს კი დიდად შეუწყობდა ხელს ქართული

სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას.

**გურამ აბსანძე** დაიბადა 1952 წლის 18 აპრილს ზუგდიდის რაიონის სოფელ **დარჩელში**. 1969 წელს დაამთავრა მშობლიური სოფლის საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე ფინანსებისა და კრედიტის სპეციალობით, რომელიც დაამთავრა 1974 წელს. 1975 წელს მუშაობდა ზუგდიდის საფინანსო განყოფილებაში, ხოლო 1976 წლიდან 1984 წლამდე – მოსკოვში, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში, სადაც განვლო გზა უფროსი ეკონომისტიდან მთავარი ეკონომიკური სამმართველოს განყოფილების უფროსამდე.

1984 წელს, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, გურამ აბსანძე გადმოყვანილ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში ადგილობრივი მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დაფინანსების სამმართველოს უფროსად.

1988 წელს აირჩიეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს უფროსად.

1990 წლის ნოემბერში, ეროვნული ხელისუფლების მოსვლის დღიდან დაინიშნა საქართველოს ფინანსთა მინისტრად, 1991 წლის ივნისში კი – პრემიერ-მინისტრის მოადგილედ, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრად.

1992 წლის 6 იანვარს, სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების დასრულების დღეს, ქართველი ხალხის მტრების მიერ გურამ აბსანძე და კანონიერი ხელისუფლების სხვა ხელმძღვანელები და მომხრეები ჩაცხრილულ იქნენ მეტეხის ხიდთან მანქანაში, სადაც გურამ აბსანძემ მიიღო ცხრა უმძიმესი ჭრილობა *(ახლაც თან ატარებს 8 ტყვიას)*. ასეთ მდგომარეობაში მყოფი პიროვნება დაპატიმრებულ იქნა პუტჩისტების მიერ შეთითხნილი ბრალდებით. ციხიდან გათავისუფლებულ იქნა 1992 წლის აგვისტოში. იმ დღიდან იმყოფებოდა დევნაში.

1998 წლის მარტში გურამ აბსანძე დაპატიმრებული იქნა, მაგრამ 2002 წლის 19 აპრილს ხელისუფლება იძულებული გახდა, გაეთავისუფლებინა ის.

2002 წლის 26 აპრილს მან დააარსა ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირი.



**აბსანძე მამია სპირიდონის ძე**, დაიბადა 1924 წელს, ზუგდიდის რ-ნის სოფელ კახათში. 1942 წელს წარჩინებით დაამთავრა დარჩელის საშუალო სკოლა. იმავე წელს სწავლა გააგრძელა ქუთაისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმში, რომელიც დაამთავრა 1945 წელს. იმავე წელს სწავლა გააგრძელა სოხუმის მაქსიმ გორკის სახელობის პედინსტიტუტში ფილოლოგია-ისტორიის ფაკულტეტზე. აღნიშნული ფაკულტეტი დაამთავრა 1949 წელს.

სხვადასხვა დროს წარმატებით იმუშავა მშობლიურ **სოფ. ახალკახათში**, ჯერ ახალკახათის საშუალო სკოლის დირექტორად, შემდეგ კოლმეურნეობის თავმჯდო-

მარედ, საიდანაც გადაიყვანეს რაიკომის განყოფილების გამგედ, იქიდან კი ზუგდიდის მე-3 საშუალო სკოლის დირექტორად.

მე-3 საშუალო სკოლის დირექტორად მისი მუშაობის პერიოდში აშენდა საშუალო სკოლის ტიპიური სამსართულიანი სასწავლო კორპუსი და დამხმარე ნაგებობანი წყალსადენით, კანალიზაციით და ცენტრალური გათბობით, რაც პირველი შემთხვევა იყო ზუგდიდის სინამდვილეში.

ამან ხელი შეუწყო მოსწავლეთა კონტინგენტის ზრდას. 800-დან მოსწავლეთა რაოდენობა 1200-მდე გაიზარდა.

ამ სკოლის ბაზაზე გაიხსნა მე-9 საშუალო სკოლა, სადაც მოსწავლეებთან ერთად დირექტორად გადავიდა აღნიშნული სკოლის მასწავლებელი რებეკა მიქნაია. ამავე სკოლის ბაზაზე იხსნება მე-13 საშუალო სკოლა, რომლის დირექტორად გაუშვეს იმავე სკოლის მასწავლებელი ი.ჲ. ჩემინავა.

მე-3 საშუალო სკოლის შემდეგ რამდენიმე წელი იმუშავა მე-6 საშუალო სკოლაში დირექტორად. ზუგდიდში ქართული ჩაის მუზეუმის დასაარსებლად მასალების შეგროვება რეგიონში *(აჭარა, აფხაზეთი, გურია, სამეგრელო, პროფილით თბილისი)* დაიწყო 1985 წლის გაზაფხულზე. ამ დარგის სპეციალისტთა დახმარებით და იგი წარმატებით დასრულდა 1999 წელს მუზეუმის საზეიმო გახსნით. 11 საექსპოზიციო დარბაზში გამოფენილია მდიდარი და მრავალფეროვანი 1700-ზე მეტი ექსპონატი.

გამოცემული აქვს ბროშურა „ზუგდიდის მაზრის სახალხო განათლების ისტორია", „მესამე საშუალო სკოლის მონოგრაფია", „ზუგდიდის №1 ჩაის ფაბრიკის მონოგრაფია", მასალები ქართული ჩაის მოამაგეთა ისტორიისათვის. ამჟამად მუშაობს ამ მუზეუმის დირექტორად.

მონაწილეობას იღებს ზუგდიდის № 1 საშუალო სკოლის მონოგრაფიის შედგენაში, რომელიც ეძღვნება ამ სკოლის დაარსებიდან 135 წლისთავს *(1867 წ.)*.

არის რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი.

მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები.

**აბსნაძე** *(27 სული)*, **აბსანიძე** *(35 სული)*.

**აბსაიძეები** ძირითადად *(27 სული)* ცხოვრობს ქ. ფოთში.

**აბსარიძე,** გვარში აბ ართიონი უნდა იყოს, ხოლო ფუძე სარ-ი *(შდრ.-სარიშვილი)*.

| |
|---|
| **აბუაშვილი 1373** |
| *თბილისი – 693,* |
| *მცხეთა – 211,* |
| *კასპი – 163.* |

**აბუაშვილი** მომდინარეობს მამაკაცის საკუთარი სახელიდან აბუა *(შდრ. აბო)*.

**აბუაშვილი** ნაზარა-მოწმე ერტელ ქიტიას მიერ ალავერანა საფარასშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა *(1676 წ.)*

**აბუაშვილი სოლთაშა** – მოწმე დავითა ადიკაშვილის მიერ — მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა *(1693 წ.)*.

**აბუაშვილი** თოხთის მეზობლად მდებარეობდა სოფ. აბუთკარი. ეს სოფელი

ცხრაძმაში ცნობილი იყო თაეისი სალოცაეით – ქაშუეთით. ოიკონიმი მიუთითებს იმაზე, რომ ამ სოფელში თაეის დროზე აბუაშეილებს უნდა ეცხოვრათ. 1873 წ. აბუთკარი უკვე ნასოფლარს წარმოადგენდა. 1774 წელს აქ მისახლეობდნენ: ხოკრიანი, ყეელიანი და გინტური.

**აბულაა//აბულაგა,** სათაეეს ილებენ სიტყეიდან – **აბულა**. შდრ.: **აბული**. მთების დიდი და პატარა აბულის სახელწოდება.

**აბული** ტბაა ახალქალაქის რაიონში, პატარა აბულის დასაელეთ ფერდობზე. აბული სოფელი იმაეე რაიონში *(პარტიკამის საგამეებლო)*. მდინარე ფარაენის შენაკად აბულის სათაეეში. ხალხურ ლექსში ეკითხულობთ: „ადე, ადე, აბულაო, *თეთრად გათენებულაო.*"

**აბულა** იყო გაერცელებული მამაკაცის საკუთარი სახელიც და მისგან წარმოიშეა, როგორც გეარი აბულაა, ისე ზემოთ მოხსენიებული გეარები.

**აბულაა** გეარის ძეელი ფორმაა *(შდრ.. **აფხაზაა, ფირცხალაა, ანთელაა, არდ-ბელაა** და სხე.)*.

**აბულაა** – აბულაეათა გეარი გადმოსულან იმერეთიდან. იმერეთში ნაქონი გეარისთჳის – აბულაძე ძე ჩამოუცილებიათ და სამეგრელოს გეართწარმოებისათეის დამახასიათებელი ფორმა მიუციათ.

აბულაძეთა გეარი საქართეელოში რაოდენობის მიხედეით მე–10 ადგილზეა *(10438 სული)*. იმერეთში ისინი მე–16 ადგილზე არიან. აბულაძეები სახლობენ სამეგრელოშიც: **წალენჯიხა – 38, ერგეტა – 16, ნაკითუ – 16, ობუჯი – 8, ძეელი ხიბულა – 7, ანაკლია – 5, ნარაზენი – 4, ქოლობანი – 4, ახალსოფელი** *(ხობის რ–ნი)* – 3 და სხე. ადგილობრიეი ეარიანტი: **აბლაძე. ტოპონიმი: სა-აბუ-ლა-ძო – უბანი** საჭანიოსა და საზარანდიოს შუა *(ძეელი ხიბულა)*. **სა-აბ-ლა-ძო//-აბულა-ძო-უბანი** დაიდღალის ნაპირას *(ცეანე. ერგეტის თემი)*.

**აბულაშვილი 1187**
***სიღნაღი– 403,***
***თბილისი – 286,***
***ახმეტა – 142).***
***ხობი – 52.***

**აბულაშვილი, აბულა** – საყაერეს მცხოერები, იგი ერგო როინსა და მის ბიძაშეილებს როინ და გოშეკარ ჯავახიშეილების გაყრის დროს *(1527–1558 წ.წ.)*.

**აბულა მკერგალთუფრისი,** როსტომ მეფის ბრძანებით სხეებთან ერთად გაარჩია თბილელ [ელისე] საგინაშეილისა და მერაბ ყორღანაშეილის შორის ნასოფლარ ფიცხისზე სამამულე დაეა *(1635 წ. XI.14. 1449–2649)*.

**აბულაშვილი დათუნა** – მოწმე .. სახლების ნასყიდობის წიგნისა *(1683 წ.)*.

**აბულაშვილი მამუკა** – მოწმე – მიწის ნასყიდობის წიგნისა *(1678 წ.)*.

**აბულაშვილი ქიტუა** – .. ბერის დასტურით ბერ ყორღანაშეილს მიჰყიდა საწისქეილე მიწა ბოსტნით, ტყითა და გზით XVII ს–ის I მეოთხედი *(პალ. I. გვ. 63)*.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : გეაქეს გეარი **აბულიძე 43** *(**ახმეტა – 38,** თელავი – 2, თბილისი – 1)*: **აბულოვი** *(– ალბათ, იგივე აბულაშვილი–აბულაძე)*. გექონდა

ქართული გვარები: **აბულვარდიშვილი//აბულვერდიშვილი, აბულფათისშვილი//აბულფათიშვილი** (*იხ. პალ. I, გვ. 66–67*).



**აბულაშვილი თემური** დაიბადა 1947 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ჯუგაანში. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა.

1966–69 წლებში მსახურობდა ჯარში.

1977 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა განათლების სამინისტროში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქციაში.

მისი მოთხრობები ქართულ ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდება 1974 წლიდან.

1981 წლიდან არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი.

გამოცემული აქვს მოთხრობების წიგნები: „ჩიტები უფასოდ" (*„მერანი", 1978 წ.*), „მდინარეს მიაქვს ამბავი" (*რუსულ ენაზე, "მოლოდაია გვარდია", 1985*), „ველის ხარი" (*„მერანი", 1986 წ.*), „1982 წლის ფეხბურთი" (*„ლომისი"; 1995 წ.*); პიესების კრებულები: „წერილის გუთანი უბია" (*„მერანი", 1997 წ.*), „კონსერვის კოლოფის ცეკვა" (*„მერანი", 1998 წ.*).

თემურ აბულაშვილის პიესები დაიდგა ახალციხის, თელავის, მახარაძის, ჭიათურის, ცხინვალის სახელმწიფო დრამატულ თეატრებში.

მწერლის მოთხრობები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, მოლდავურ, აზერბაიჯანულ და თურქმენულ ენებზე.

1996 წელს ნოველისთვის „1998 წლის ფეხბურთი" მიენიჭა გიორგი შარვაშიძის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო პრემია.

1981 წლიდან მუშაობს გაზეთ „ლიტერატურული საქართველო"-ს რედაქციაში. ამჟამად ამავე გაზეთის პასუხისმგებელი რედაქტორია.

ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ორი შვილიშვილი.

**აბულალი** ჰერეთის მთავარი XI საუკუნის დამდეგს. მთავრად დასვა ბაგრატ III-მ, როცა დაიპყრო ჰერეთის ქვეყანა (*1008 წ.*). როგორც კი ბაგრატმა ჰერეთი დატოვა, ადგილობრივმა დიდებულებმა აბულალი გადააყენეს და კახეთის ქორეპისკოპოს დავითს მიემხრნენ. ამ უკანასკნელმა კი ჰერეთი კახეთს შეუერთა (*ქსე, ტ. 1, გვ. 44*).

**აბულასანი** XII საუკუნის მიწურულის საქართველოს სამეფოს დიდი მოხელე, პოლიტიკური მოღვაწე ქრისტიანობისათვის, ამირთამირა, თამარ მეფის მეჭურჭლეთუხუცესი (*ყუთლუ არსლანის შემდეგ*). აბულასანის რჩევით თამარის ქმრად მოიყვანეს ანდრია ბოგოლიუბსკის შვილი იური (გიორგი). იურის განდევნის შემდეგ აბულასანი თამარმა შერისხა, ჩამოართვა მეჭურჭლეთუხუცესობა და რუსთავი. ამის შემდეგ ისტორიულ წყაროებში აღარ იხსენიება (*ქსე, ტ. 1, გვ. 44*).

**აბულაძე**, აბულაძეების შტო-გვარებია **აბულაძეშვილი** და **ობლიძე**. იოანე ბაგრატიონის წიგნში: „აღწერა საქართველოს თავად-აზნაურთა გვარებისა“ აღნიშნულია: **„138. აზნაური ობლიძე. ამათნი წინაპარნი იყვნენ იმერეთით აბულაძეთაგანნი და მცირე აზნაურნი და ამათგანი ვინმე დაშთა ობლად, და მოვიდა საქართველოსა შინა და დაესახლა, რომლის ობლობისა გამო გაუვარდათ ობლიძეობა ვახტანგ მეფის დროს 1711 წელს და არიან მოხსენიებული 1783 წლის ტრაკტატსა შინა“** *(გვ. 86)*.

**აბულაძენი** – რიცხვმრავალია საქართველოში გვარი აბულაძეთა. ფუძე გვარის სახელისა – **აბულ, აბულა, აბული** – საკუთარი სახელია კაცისა, ხოლო სახელი **აბულ**. მრავალს კაცს ერქვა საქართველოში ჟამითი-ჟამად და ადგილ-ადგილ.

გვარის სახელით ამავ ფუძისანი არიან: **აბულოვანი** – მეგრელნი, **აბულიძენი** – თუშნი, **აბულაშვილნი** – კახნი და ქვემო ქართლელნი.

თავად აბულაძენიც სხვადასხვა გვარ-მოდგმილობისანი არიან. ჯავახეთიდან მოსულნი ჩანან, ქართლში, გაღმამხარს, თარხნიშვილთა მამულში მოსახლე აბულაძენი. იმერეთიდან მოსულნი ჩანან, შიდა ქართლში, დირბს მოსახლე აბულაძენი. ამათ თარხნობა ჰბოძებიათ მეფეთაგან. იმერნი, ჩხარელნი აბულაძენი გელათის წმინდა გიორგის ეკლესიის მსახურნი ყოფილან XVI საუკუნიდან.

აზნაურობა მოუღიოდათ აბულაძეთ: იმერეთში, გურიაში და ქართლში, ქსნის საერისთავოში.

XVII–XVIII საუკუნეთა სიგელ-გუჯრებში მამასახლისნი და მოურავნი აბულაძენი ხსენდებიან, ვითარცა მოწმენი და მისანდონი მეფეთა და კათალიკოსთა იმერთა.

იმერთა აზნაურთა აბულაძეთა მოძმენი არიან ქართლელნი აზნაურნი ობლიძენი.

ღმერთისა და საქართველოსათვის და ბაგრატიონთა ტახტის ძლიერებისათვის, აბულაძენი გამოდიოდნენ ქართველთა ლაშქარში დადიანთა, გურიელთა, წერეთელთა, ამილახვართა, ციციშვილთა, მუხრანბატონთა, ბარათაშვილთა, ეგრეთვე ალავერდელ, ბოდბელ და ნეკრესელ ეპისკოპოსთა დროშების ქვეშ.

**ამჟამად აბულაძენი ცხოვრობენ**: ზემო იმერეთში, ვაკე იმერეთში, ოკრიბაში *(ტყიბული)*, ოდიშში, გურიაში, აჭარაში, სამცხეში, ჯავახეთში, ბორჯომის ხეობაში, შიდა ქართლში, ალგეთის ხეობაში, მთიულეთში, შიგნით კახეთში, გაღმა მხარში, ქიზიყში და ჰერეთში.

საქართველოში აბულაძეთა, დიდ-პატარის, ქუდოსან-მანდილოსნის საერთო რიცხვი ათი ათას ოთხასს აჭარბებს.

ღმერთმა ამრავლოს გვარი აბულაძეთა *(ალექსანდრე ნაზღაიძე. 1997. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი. მელიქიშვილის ქ. № 10)*.

**აბულაძეები წარმოშობით მესხეთიდან არიან.** მოგვიანებით ისინი საქართველოს ბევრ კუთხეში ჩანან. ქვემო ქართლში ზოგი აბულაძეშვილად დაეწერა და ძეზე

მობმული შვილი ბოლომდე დარჩათ (*იხ. იაკობ ახუაშვილი, ქართული გვარსახელები. 1994 წ. გვ. 192*).

**გურიაში მცხოვრები აბულაძეები აზნაურები იყვნენ.** 1850 წლის 6 დეკემბრის საგვარეულო წიგნში შეიყვანეს აბულაძეები: **პრაპორშჩიკი ზაალ ივანეს ძე, მეუღლე მისი დარეჯანი. მათი ვაჟიშვილები: ალმასხანი, ანტონი, გიორგი. ქალიშვილები: მასუდა, მანია, ელისაბედი, ჩაფო, ებისტონა** (*იხ. გურიის თავადთა და აზნ. ოჯახები. – გვ.30*).

იხ. აბულაძე სულმამა, ფერსათის მამასახლისი, კათალიკოს სვიმონ ჩხეტიძეს მისგან დაუხსნია მაღლაკელი მახარებელ ივანჯანისშვილის ცოლი და სამაგიერო მიუცია (*1664 წ.*).

იმერეთიდან აზნაურებად შეტანილია შემდეგი ოჯახები: **დავით გრიგორის ძე, მეუღლე მისი ეფემია. მათი ვაჟიშვილები: ლუკა, იესე. ქალიშვილი მაკა. დავითის ძმები: იესე, მერაბი, თომა, ნიკოლოზი. იესეს მეუღლე ნინა. მათი ვაჟიშვილები: ანტონი, ისაკი, სიმონი, მაქსიმე. ქალიშვილები: მართა, სოფიო. მერაბის მეუღლე ანა. მათი ვაჟიშვილები: გრიგოლი, ალექსი, სიმონი. ქალიშვილები: ბარბარე, ეკა; პრაპორშჩიკი გიორგი გიორგის ძე, მეუღლე მისი ტასო. მათი ვაჟიშვილები: კონსტანტინე, ლევანი, ალექსანდრე. ქალიშვილი ეკატერინე; ივანე ნიკოლოზის ძე, მეუღლე მისი ელისაბედი. მათი ვაჟიშვილი გრიგოლი. ქალიშვილი მზეხა; მიქელა ქაიხოსროს ძის ქვრივი ელენე. ქალიშვილები: თათია, ანა; ვახუშტი ქაიხოსროს ძე; გიორგი სიმონის ძე, მეუღლე მისი თამარა. ქალიშვილი ნინა; ფარნაოზ ზაალისძე, მეუღლე მისი ბარბარე. მათი ვაჟიშვილები: ნიკოლოზი, ივანე, გიორგი, მოსე, ბარი, ლუარსაბი, არჩილი. ქალიშვილები: ნინა, ივლიტა; გიორგი ბესოს ძე, მეუღლე მისი მართა. ვაჟიშვილი ილარიონი. ქალიშვილები: მართა, გაიანე; გერასიმე ზაალის ძე, მეუღლე მისი ანასტასია. ვაჟიშვილი მიხეილი. ქალიშვილები: სოფიო, ფეოდოსია“** (*СПИСОК КНЯЗЬЯ, т, I. იხ. იმერეთის აზნაურები*).

რუსეთის მთავრობამ აზნაურის წოდებაში დაამტკიცა და საოჯახო სახელობით სიაში (*1850 წ. 6 დეკემბერი*) შეიტანა: **პრაპორშჩიკი აბულაძე ზაალ ივანეს ძე, მეუღლე მისი დარეჯანი, ჩაფო, ებისტონა** (*გურიის თავ. და აზნ. ოჯახები. – გვ. 30*).

**ქართულ ენციკლოპედიაში შეტანილი არიან:** აბულაძე ალექსანდრე სერგის ძე, ბიოქიმიკოსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (*1939 წ.*), პროფესორი (*1939 წ.*), საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მოღვაწე. 1928 წელს დაამთავრა თსუ-ს ქიმიურ-ფარმაცევტული ფაკულტეტი. 1931 წელს – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. 1937–48 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ბიოქიმიური კათედრის პროფესორი. 1950–71 წლებში საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბიოქიმიის განყოფილების ხელმძღვანელი. შეისწავლიდა ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის თავისებურებებს.

*იაკობ ახუაშვილი*

**აბულაძე დიმიტრი ანტონის ძე**, მეან-გინეკოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1898 წელს დაამთავრა კიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. კიევის სამედიცინო ინსტიტუტის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრის პროფესორი. დ. აბულაძემ პირველმა უარყო თვალსაზრისი ეკლამფსიის კონტაგიოზურობის შესახებ და დაადგინა, რომ ეკლამფსიის პათოგენეზში გადამწყვეტი მნიშვნელობა თირკმლების ფუნქციის დარღვევას ენიჭება *(1901 წ.)*. განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა საშვილოსნოს კედლებს მოცილებული მომყოლის გამოძევების აბულაძის გარეგანმა მეთოდმა *(1907 წ.)*, რომელსაც აბულაძის ხერხი ეწოდება.



**აბულაძე თენგიზ ევგენის ძე**, კინორეჟისორი, საქართველოს რესპუბლიკის სახალხო არტისტი *(1967 წ.)*, დაღესტნის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე *(1972 წ.)*. 1943–1946 წლებში სწავლობდა თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში. 1953 წელს დაამთავრა საკავშირო კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი *(ს. იუტკევიჩის კლასი)*. თ. აბულაძის სადიპლომო ნამუშევარია კინონარკვევი „დიმიტრი არაყიშვილი." რეჟისორ რ. ჩხეიძესთან ერთად გადაიღო კინონარკვევები: „ჩვენი სასახლე" *(1953 წ.)*, „ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი" *(1954 წ.)* და მხატვრული ფილმი „მაგდანას ლურჯა" *(1955 წ.;* პირველი პრემია კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე და დიპლომი ედინბურგის საერთაშორისო კინოფესტივალზე, ორივე 1956 წელს. დადგა ფილმები: "სხვისი შვილები *(1958 წ., პრემია იტალიის საერთაშორისო კინოფესტივალზე, 1960 წ.; დიპლომები ლონდონისა და ტაშკენტის (1958 წ.), ჰელსინკის (1959 წ.) საერთაშორისო კინოფესტივალებზე)*, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" *(1962 წ.; პირველი ხარისხის დიპლომი ბრატისლავის საერთაშორისო კინოფესტივალი, 1963 წ.-* „ვედრება" *(1967 წ.; ჟაკა-ფშაველას მიხედვით; პირველი პრემია, სან-რემოს საერთაშორისო კინოფესტივალი, 1974 წ.)* და „სამკაული ჩემი სატრფოსათვის" *(1972)*.



**აბულაძე ილია ვლადიმერის ძე**, ფილოლოგი, ძველი ქართული ენისა და მწერლობის მკვლევარი, არმენოლოგი, პალეოგრაფი, ლექსიკოგრაფი, რუსთველოლოგი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი *(1946 წ.)*, პროფესორი *(1947 წ.)*, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი *(1950 წ.)*, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე *(1961 წ.)*. დაამთავრა თსუ-ს სიტყვიერებისა *(1926 წ.)* და საენათმეცნიერო *(1929 წ.)* განყოფილებები. 1933 წლიდან ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას. მისი ინიციატივით, 1958 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, რომლის დირექტორად მუშაობდა გარდაცვალებამდე. ავტორია ასზე მეტი ნაშრომისა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ქართულ-სომხური ფილოლოგიის პრობლემე-

ბისადმია მიძღვნილი. ი. აბულაძემ ძველი მწერლობის ძეგლების ანალიზის საფუძველზე ცხადყო ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის ორმხრივი ხასიათი. მასვე ეკუთვნის ძველი ქართული მწერლობის მნიშვნელოვანი (ნათარგმნი თუ ორიგინალური) ძეგლების მეცნიერულ-კრიტიკული პუბლიკაციები (*იაკობ ცურტაველი. მარტვილობაი შუშანიკისი. თბ. 1938 წ.: სულხან-საბა ორბელიანი. თხზ. ტ. 4 – ლექსიკონი ქართული. წგნ. 1–2. თბ. 1965–66 წ.წ.*). მის სახელთან დაკავშირებულია კავკასიელ ალბანელთა ანბანის აღმოჩენა *(1937 წ.)*.

**აბულაძე ბაბო,** ზუგდიდის ინტელიგენცია. ანუ გონებრივად მომუშავე კვალიფიციური, მოაზროვნე ადამიანები არ აკლდა ზუგდიდს. მათ შორის ექიმები, ჟურნალისტები, ხელოვნების მუშაკები და ა.შ.

ზუგდიდელ ჟურნალისტთა ერთ-ერთი წარმომადგენელია ბაბო აბულაძე, რომელმაც შრომითი საქმიანობა დაიწყო 1942 წელს საქართველოს რადიოკომიტეტში დიქტორად და ამავე დროს ლიტერატურულ მუშაკად. ომის წლებში რადიო ერთადერთი საშუალება გახლდათ მასებისათვის ინფორმაციის უსწრაფესად მიწოდებისათვის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პრესას და იგი მეტად პოპულარული გახლდათ.

ბაბოს ინტელექტუალურად ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა საქართველოს ინტელიგენციამ, რომელიც თავს იყრიდა თბილისის რადიო სტუდიაში. დიდი პიროვნების ლიტერატურის განყოფილების გამგის ილია ზურაბაშვილისა და თავმჯდომარის ლეო ესაკიას თქმით – 21 წლის ბაბოს აღიარება არ აცდებოდა. უყვარდა ყველას, დიქტორებსა და რედაქციის მუშაკებს და პირიქით.

ზუგდიდში გადასვლის შემდეგ ბაბო მუშაობას იწყებს ზუგდიდის რადიო გადაცემათა რედაქციაში დიქტორად და ლიტმუშაკად. პარალელურად ზუგდიდის სამასწავლებლო ინსტიტუტში ისტორიის კათედრაზე უმცროს მეცნიერ-მუშაკად. ზუგდიდში რადიოს რედაქციის გაუქმების შემდეგ, იყო ზუგდიდის კინოთეატრის დირექტორი, პიონერთა პარკის დირექტორი. 1955 წლიდან 1998 წლამდე მუშაობდა გაზეთ „მებრძოლის" რედაქციაში ჯერ ლიტერატურულ მუშაკად, შემდეგ განყოფილების გამგედ. ხელმძღვანელობდა „საბრძოლო დიდების" კლუბს. 1958 წლიდან 2000 წლამდე იყო უცვლელი მდივანი ჟურნალისტთა კავშირის ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციისა. მისი პუბლიკაციები, ნარკვევები, წერილები იყო ცხოვრებისეული, სადა, უბრალო და მართალი, ვითარცა მართალი იყვნენ მისი რედაქტორი ისაკი ქორთუა და სარედაქციო კოლეგიის ყველა წევრი. ზუგდიდელ მკითხველს უყვარდა საშა ეგუტია, დათო ჭანტურია, კაკო ჭანტურია, ბოლო წლებში ზურაბ ცხონდია, ლალა ნარიმანია, ქეთევან ტაბალუა, ნანი მოსიძე, და სხვები, რომელთა ნამუშევრები აყვარებდა მკითხველს გაზეთ „მებრძოლს", შემდგომში „ზუგდიდს".

ბაბო აბულაძე იყო დამხვედრი და გამყოლი თითქმის ყველა ქვეყნიდან ჩამოსული სტუმრებისა. იქნებოდა ეს ამერიკელ ქალთა დელეგაცია, „ფვერგე-

სა“ თუ იაპონიის, ჩინეთისა თუ რუსეთის სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული სტუმრებისა. ძალიან ძნელია და მძიმე სიტყვა „იყოს“ ხმარება, მაგრამ როგორც შესანიშნავი ჟურნალისტი, დიდი ინტელიგენტი შალვა შენგელი იტყოდა – ჟურნალისტი არ გადის პენსიაზე. ბაბო ფიზიკურად არ არის კოლექტივში, მაგრამ მისი სული ისევ უტრიალებს გაზეთს და ხშირად აქვეყნებს წერილებს. გავიდა დრო, ჟამი და 80 წელს მიღწეული ბაბო აბულაძე კვლავ თქვენზე ფიქრობს, ზუგდიდელებო. უნდა მოგეფეროთ, უნდა შორს გაიტანოთ ზუგდიდის სახელი, როგორც ეს გაიტანეს ზუგდიდში გაზრდილებმა აკადემიკოსებმა, დოქტორებმა, მეცნიერებმა, რომელთა ჩამოთვლა არც ისე ადვილია: ნიკოლოზ ანთელავა, ილია ვეკუა, ილია ტაბაღუა, შოთა მესხია და სხვანი და სხვანი...



**აბულაძე იუსტინე ირაკლის ძე,** ფილოლოგი, ირანისტი და რუსთველოლოგი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი *(1938 წ.)*, პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე *(1943 წ.)*. 1900 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი *(ქართულ-სომხურ-სპარსული ფილოლოგიის განხრით)* აღმოსავლეთის ფონდების შესასწავლად 1901–1902 წლებში იმოგზაურა შუა აზიასა *(ტაშკენტი, ბუხარა, სამარყანდი)* და დასავლეთ ევროპაში *(ვენა, ბერლინი, პარიზი)*. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა მასწავლებლად. იყო საისტორიო–საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობის წევრი, ამავე საზოგადოების მუზეუმის გამგე. 1918 წლიდან თსუ–ში კითხულობდა სპარსული ენისა და ლიტერატურის კურსს. სათავეში ედგა მის მიერვე ჩამოყალიბებულ სპარსული ფილოლოგიის კათედრას. აბულაძე ქართულ–სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის კვლევის ერთ–ერთი ფუძემდებელია. იკვლევდა „შაჰ–ნამეს“, „ვისრამიანს“, ორჯერ გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“ *(1914, 1926 წ.წ.)* ვრცელი შესავლითა და ლექსიკონით. ეს ლექსიკონი შემდეგ პოემის პირველ საიუბილეო გამოცემას *(1937 წ.)* დაერთო. გამოსცა „შაჰ–ნამეს ანუ მეფეთა წიგნის“ ქართული ვერსიები“ I ტ. *(1916 წ.)*. მონაწილეობდა II ტომის მომზადებაში *(1934 წ.)*. მანვე დაურთო გამოცემას ლექსიკონი, წერილების სერია მიუძღვნა „ვისრამიანის“ ქართულ და სპარსულ ტექსტებს, მონაწილეობდა ამ ძეგლის გამოცემაში *(1928 წ.)*.



**აბულაძე კალენიკე სარდიონის ძე,** ფიზიოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ–კორესპონდენტი *(1951 წ.)*. 1925 წელს დაამთავრა ს. კიროვის სახელობის სამხედრო–სამედიცინო აკადემია. 1932 წლამდე მუშაობდა სამხედრო ექიმად ამიერკავკასიაში. 1932 წლიდან – ლენინგრადში ექსპერიმენტული მედიცინის ინსტიტუტში მეცნიერ–თანამშრომლად, შემდეგ კი განაგებდა ამავე ინსტიტუტის უმაღლესი ნერვული მოქმედების პათოლოგიის ლაბორატორიას. აკადემიკოს ი. პავლოვის ხელმძღვანელობით შეისწავლა უმაღლესი ნერვული მოქმედების

ფიზიოლოგიური კანონზომიერებანი, კერძოდ, ყნოსვის, სმენისა და მხედველობის რეცეპტორების მოშლით გამოწვეული ნერვული პროცესების დარღვევა ტვინის ქერქში. შეიმუშავა პირობითი და უპირობო ცრემლდენისა და ნერწყვის გამოყოფის გამოკვლევის ორიგინალური მეთოდები. მონაწილეობდა საბჭოთა კავშირ-ფინეთისა და დიდ სამამულო ომებში (*იხ. ქსე, ტ. I, გვ. 44–45*).



**აბულაძე ნანი გენადის ასული,** იურისტი, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, პოლიციის პოლკოვნიკი, დამსახურებული იურისტი, **ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერი,** შსს-ს ერთ-ერთი წამყვანი სამმართველოს უფროსი.

უკვდავების ღირსია და წიგნში დასაუნჯებელი ბატონ გენადი **აბულაძისა** და მისი მეუღლის **ოლია ხაჟალიას** (*რესპუბლიკის სახალხო არტისტის, მსახიობ შოთა ხოჯალიას და*) ლამაზი, შინაარსიანი და მხიარული ოჯახი. გენადი უსპეტაკესი და სწავლული ბუღალტერი, ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ ოჯახში რკინის საწოლების მეტი არაფერი გააჩნდა. ოთხივე შვილს, ორი ვაჟიშვილი – რეზო (*ბადური*) და მურადი, ქალიშვილები, – **ლამარა** და **ნანი** (*ნანული*) მისცა უმაღლესი განათლება. ნანი აბულაძე იურისპრუდენციაში განსწავლული და ცნობილი პიროვნებაა. პირველი ქართველი ქალი, რომელსაც მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება (*შინაგან საქმეთა სამინისტროში*) და დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის ორდენით. იგი შეტანილია შსს-ს წითელ წიგნში.

**აბულეთისძე** „იმას ჟამსა მეფე გარდავიდა იმერეთს და შეკრბეს გიორგი ჭყონდიდელსა, მწიგნობართუხუცესსა წინაშე თევდორე, აბულეთი და ივანე ორბელი, და სიმარჯვით მოიპარეს სამშვილდე" (*ნ. ბერძენ., საქ. ისტ. საკითხ. I, გვ. 636*).

**აბულეთისძენი,** კახეთის დიდგვაროვან ფეოდალთა საგვარეულო XII–XIII საუკუნეებში. გვარის ფუძემდებელია აბულეთი. მამულები არაგვისა და კახეთის თემის ხეობაში ჰქონდათ. აბულეთისძენი მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. იყვნენ ერისთავთერისთავები, გამოჩენილი სარდლები, საეკლესიო მოღვაწენი. XII ს–ის შემდეგ დაკნინდნენ, დაკარგეს მამულები და ერისთავთერისთავობა. 1405 წლის დოკუმენტის ცნობით, აბულეთისძეთა მამულს აბაზასძეთა საგვარეულო დაეპატრონა.

**აბულეთი,** კახეთის დიდგვაროვანი ფეოდალი XIIს–ის I ნახევარში, აბულეთისძეთა საგვარეულოს ფუძემდებელი, დავით აღმაშენებლისა და დემეტრე I–ის სარდალი. 1110 წელს გიორგი ჭყონდიდელის დისწულ თევდორესა და ივანე ორბელთან ერთად სარდლობდა ქართველთა ლაშქარს, რომელმაც თურქთაგან გაათავისუფლა სამშვილდე. 1124 წელს დავით აღმაშენებელმა აბულეთი და მისი ძე ივანე ანისის გამგებლად დანიშნა. უკანასკნელად იხსენიება 1130 წელს.

**აბულეთისძე ივანე**, კახეთის დიდგვაროვანი ფეოდალი XII ს–ის I ნახევარში. 1124 წელს დავით აღმაშენებელმა აბულეთისძე მასთან, აბულეთიან ერთად ანისის გაძლიერებულად დანიშნა. დემეტრე I–ის მეფობაში აბულეთისძე თურქთაგან გაათავისუფლა დმანისი. თამარის პირველი ისტორიკოსი მოიხსენიებს, როგორც გამოჩენილ სარდალსა და თურქებთან მრავალი ბრძოლის მონაწილეს.

**აბულეთისძე ზოდისტოს**, მღვდელმთავარი XII ს–ის I მეოთხედის საქართველოში. ფეოდალური არისტოკრატიის ინტერესების აქტიური გამომხატველი. აბულეთისძე დავით აღმაშენებლის საეკლესიო პოლიტიკის წინააღმდეგი იყო. მიიტაცა საეკლესიო ქონება. თავის ძმა ძაგან აბულეთისძესთან ერთად იბრძოდა მეფის ცენტრალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ. მაგრამ დამარცხდა და მღვდელმთავრობიდან გადააყენეს.

**აბულეთისძე ქირქიშ** *(თირქაშ)*, კახეთის დიდგვაროვანი ფეოდალი XII ს–ის I მეოთხედში. იბრძოდა დავით აღმაშენებლის ცენტრალისტური პოლიტიკური ცხოვრების წინააღმდეგ. მეფის ლაშქრის ერთ–ერთ ბრძოლაში დამარცხებულმა შიომღვიმის მონასტერს შეაფარა თავი. მონასტერმა იგი ხელთ მისცა მეფეს. დავით აღმაშენებელმა აბულეთისძის სახელს ჩამოართვა გიორგი II–ის მიერ ნაწყალობევი ზედაზნის ციხე, მუხრანი და შიომღვიმის მონასტერს გადასცა.

**აბულეთისძე ძაგან**, კახეთის დიდგვაროვანი ფეოდალი XIII ს–ის შუა წლებში. კახეთის თემის პატრონი. 1258 წელს მონაწილეობდა ბაღდადზე მონღოლთა ლაშქრობაში, საიდანაც დიდი ნადავლით დაბრუნდა. ნადავლის ნაწილით იყიდა სოფელი ანგრონი და შიომღვიმის მონასტერს შესწირა *(ქსე, ტ. 1, გვ. 45)*.

**აბულეთ** – გაათავისუფლა ვერხუაისძეს ღალისაგან ვენახები და ყანები *(1247–1260 წ.წ.)*.

**აბულეთისძე – აბაზასძე** – მარილელი ხიმშია – ამილახორი, ჰყავს: მამა **თათარა აბაზასძე**, თანამეცხედრე ესნაა, შვილი **იმირინდო**. მისი ძველი გვარია **აბაზასძე**, მეფეს იგი შეუწყალებია და აბულეთისძედ დაუსვამს. ელიოზის კათალიკოსობის დროს სვეტიცხოველს შესწირა ძაგნაკორნას შერგილასშვილი მამულით. ამას გარდა, მცხეთის კუთვნილი ნოტოკრელი გლეხები გაათავისუფლა სარიყე გამოსაღებისგან. სანაცვლოდ გაიჩინა აღაპი დიდ ხუთშაბათს *(1405 წ.)*.

**აბულეთისძე გიორგი** – ბიძა ძაგან აბულეთისძისა.

**აბულეთისძე ივანე** – ბიძაშვილი ძაგან აბულეთისძისა. გაუყიდია სოფელი ანგრონი, რომელიც შემდეგ მისმა ბიძაშვილმა, ძაგანმა ბაღდადს ნაშოვნი ოქროთი უკანვე შეისყიდა და შესწირა შიომღვიმის მონასტერს *(1260 წლის ახლო)*.

**აბულეთისძე ივანე** – შვილი ძაგან აბულეთისძისა. დაამტკიცა მამამისის, ძაგან აბულეთისძის მიერ შიომღვიმის მონასტრისათვის ბოძებული ანგრონის შეწირულების დაწერილი *(1260 წლის ახლო)*.

**აბულეთისძე იმირინდო** – შვილი ხიმშია აბულეთისძე – აბაზაძე – მარ–

ილდუნისა.

**აბულეთისძე ლიპარიტ** – შვილი ძაგან აბულეთისძისა, დაამტკიცა მამამისის, ძაგან აბულეთისძის მიერ მღვიმის მონასტრისათვის მიცემული სოფელ ანგრონის შეწირულების დაწერილი *(1260 წლის ახლო).*

**აბულეთისძე ყარაბუღა** – შვილიშვილი ძაგან აბულეთისძისა. დაამტკიცა პაპამისის, ძაგან აბულეთისძის მიერ მღვიმის მონასტრისთვის მიცემული სოფელ ანგრონის შეწირულების დაწერილი *(1260 წლის ახლო).*

**აბულეთისძე ძაგან** – პყაეს ძმა *(იხ. ზემოთ).* **მოდისტოს,** იხსენიება დავით მეფის მიერ მღვიმის მონასტრისათვის მიცემულ ანდერძში. იგი ძმასთან, მღვდელთმთავარ მოდისტოსთან ერთად განდგომია დავითს. შემდეგ "მღვიმეს შეუტოვებელი", შემდეგ მამებს დავითისათვის გადაუციათ. დავითს ადრიდანვე სდომებია *(აბულეთისძეთა)* სამფლობელოს – ზედაზნის ციხისა და მუხრანის ჩამორთმევა. მაგრამ ეს ადგილები მათთვის დავითის მამას *(გიორგი მეფესაც)* დაუმტკიცებია. მას სამთავროდ უქცევია საეპისკოპოსოები, მიუთვისებია "მცხეთისა საქონებელნი მრავალნი": წილკანი, მღვიმის მონასტრის კუთვნილი ციხე და მარანი მთას (?), სოფელი მატური. თავად მღვიმის მონასტერი ციხედ და სადგომად გაუხდია. დავით მეფემ მღვიმის მონასტერს დაუბრუნა აბულეთისძეების მიერ მიტაცებული მამულები *(1123/1124 წ.წ.). (პალ. წგნ. 1. გვ. 65–66).*

ხერკი და მუხრანი ქართლისა იყო. IX საუკუნიდან ეს ქვეყნები კახთა ხელთაა.

აქვე ეკუთნება აბულეთისძეთა. თუ ძაგანის სახლი, რომელიც ორ ქვეყანას ეუფლება, კახთა მეფის ძმადნაფიცობას იჩემებს (მთავრის სახლი ხდება). შიო მღვიმის მონასტრის დაუფლებასაც ცდილობს *(იქვე. გვ. 339).*

**„ძაგანი რომ ამ ქვეყნის (*საუბ. ხერკზე*) მკვიდრი იყო და არა მხოლოდ მოსაკარგავე, იქიდანაც ჩანს, რომ ეს სახლი აბუსერიძეთა სახელით გადაურჩა ყველა ქარიშხალს მე–12–მე–14 საუკუნეებში. ის მხოლოდ მე–14 საუკუნეში გადაშენებულა და აბულეთისძეობა მეფეს დიდად და საპატიოდ შეწყალებული აბაზაძის მარილელის სახლისათვის უბოძებია"** (იქვე. გვ. 344).

საყურადღებოა: პ. ინგოროყვა იცნობს აბაზასძეთა მამულს XIV საუკუნის ხერკ–საგურამოს. მან იმავე წყაროს მიხედვით ('შიო მღვიმის საბუთები) არ შეიძლება არ იცოდეს, რომ ეს მამული აბულეთისძეთა სახლია (შ. მღვ. საბ.) ყოფილი.

ცოტაღა რჩება დასკვნისათვის, რომ ეს აბულეთისძენი იმ ძაგანის სახლის შვილები არიან, დავით აღმაშენებლის დროს რომ ჩანს (შ. მღვ. საბ.) – ხერკ–საგურამოსი და მუხრანის მფლობელი. XIII საუკუნეში სწორედ აქაური აბულეთისძე ივანე ერისთავთერისთავი იყო (შ. მღვ. საბ.), უნდა ვიფიქროთ, ხერკ–საგურამოს და ყოველი მთიულეთის პატრონი" (იქვე. გვ. 352).

ტერმინ „მოგსაგების" განმარტებასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი უხმობს

საბუთს. სადაც ძაგან აბულეთისძე მოხსენიებული. კერძოდ: ძაგან აბულეთისძეს თავის შეწირულების წიგნის ხელრთვაში აღნიშნული აქვს: სოფელი ანგრო-ნის მოცემულ საფასურში „არავ რთავს ჩემის მამულისა, ჩემსა ნასისხლსა ბაღდადით მოგებულსა მეტი, – არცა რა ღ–სა სწორსა საქმე ო–ც და არცა ჩემთა შვილთა და მომავალთა, არც ვის სხუასა"–ო (შიომღ. ისტ. საბ., 67–68: ივ. ჯავახიშვილი. ტ. VII. თბ., 1984, გვ. 287).

**„ნაშოებთან"*** დაკავშირებით ნათქვამია: შემომიწირავს "სოფელი ანგროანი ჩემგან გასყიდი, რომელსა ჩემსა ბიძის ძესა, გიორგის შვილსა ივანეს გაეყიდა და მე ზედა უკ–მოვუყიდე ბაღდადს ნაშოებითა ოქროითა (ე.ი. ფულით, ან განძეულობით). იცოდეს ღმერთმან, მუნ (ე.ი. ნასყიდობის საფასურში) ჩემთა ხელითა ნაშოებისაგან კიდე არა ვისი ყოფილა ამის ადგილს სყიდვასა შიგა, არ მამულსაი და არ სოფელთაგან ანალები: შევწირე მოუდევრად ყოვლისაკაცისაგან. არავის რაი საქმე უც, არცა პატრონსა ღი–ს სწორსა ამას ადგილსა თანა, არცა ჩემთა შვილთა და მომავალთა, არცა ჩემისა გუარისა კაცსა"–ო (იქვე. საბ. 66–67).

ძაგან აბულეთისძე თავის შეწირულების წიგნში აგრეთვე ნათქვამი აქვს: შეწირულების „სიმტკიცისათუის სვეტისა მწიგნობრისა ი–ნეს (ივანე მაჩხოტისძის ხელითა მომიხსენებია"–ო და შემდეგ თავის ხელრთვაშიც აღნიშნული აქვს: "ქ ესე ვითა ზემოთ მწიგნობრისა ხელითა დამიწერია, თავის ხელითა ვამტკიცებ მე ძაგანი აბულეთისძე"–ო *(შიომღვ. ისტ. საბ. 67; წიგნში ივ. ჯავახიშვ.. გვ. 306–307).*

„სადუნ მანკაბერდელთან მეტოქეობაში დამარცხებული "ორნი ძმანი აბულეთისძენი სადუნისგან ლტოლვილნი" რუმში იყვნენ შეხიზნულნი, რუმის მმართველ მონღოლთა ბატონიშვილ ყიცილუპრატაისთან (177 წ. იელ. – 1284 წ. 17 იანვ.), აბაღა ყაანის ძმასთან, რომელთანაც იძულებული იყვნენ სიკვდილამდე დარჩენილიყვნენ" (ივ. ჯავახიშვ., ტ. VII. გვ. 103).

„ერისთავერისთავნი" XII–XIV საუკუნეებში. V. ქართლის საერისთავო. ერისთავთერისთავნი: 8. აბულეთისძენი (XII ს–ის 1145 წლამდე. – 1155/6 წ.წ.)

**აბურჯანია//აბურჟანია, 372 სული (ფოთი – 80, თბილისი – 48, სენაკი – 46). კომლია ახალსოფელი (ხობის რაიონი) – 8, გურიფული – 7, ქეთილარი – 6, ექი – 4, ნაესაკაო – 3, ხობი – 3.**

**აბურჯანია//აბურჟანია, ტოპონიმი:** სა–ბურჯანი–ო – უბნები გალში პატარა ხორგასა და უფალკარში.

გვარში ა ართრონია, ფუძეა **ბურჯანი,** ნაწარმოები სიტყვი-დან ბურჯი. იგივეა. რაც საძირკველი, კოშკი. ან კი სუ-ფიქსია. ფუძეთი ბურჯი ნაწარმოებია ქართული გვარები:

---

* *საუბარია მოძრავ ქონებაზე (ი.ა.).*

**ბურჯანაძე, ბურჯანიძე, ბურჯანიალი, ბურჯანიანი, ბურჯაძე**. სამეგრელოში იშვიათად გვხვდება აბურჯანია. ზოგჯერ შეცდომით ა პრეფიქსით (არტიკლით) გაწყობილი სიტყვები (სახელი) აფხაზურისკენ გადახრად მიაჩნიათ. რაც არაა მართებული. არტიკლი ა, მ, მა, მე, მო, ს, სა, სო და ა.შ. მრავალ სიტყვასა და სახელთან (გვარის წარმოებისას) გამოიყენება (მათ შესახებ წიგნში სათანადო ადგილას გვაქვს საუბარი). სენაკის რ-ნში არის მიკროტოპონიმი აბურჯანიანის ნოხორი.

**აბუსერისძენი**, XI–XIV სს. საქართველოს დიდ ფეოდალთა საგვარეულო. ამ გვარის პირველი წარმომადგენელი არტანუჯის **ერისთავი იოანე აბუსერისძე** ბაგრატ IV-ის მეფობის პირველ წლებში იხსენიება. ამ დროს აბუსერისძენი ყოფილან კლარჯეთისა (არტანუჯის) და ხიხათა (აჭარის) ერისთავები და ციხისჯვრისა და აწყურის სამეფო ციხეების გამგებლები. XI საუკუნის II ნახევარში მათ დაკარგეს ჯერ არტანუჯი, შემდეგ ციხისჯვარი და აწყური. XII–XIII საუკუნეებში იყვნენ მხოლოდ ხიხათა ერისთავთერისთავები. XIV საუკუნეში ცნობილია ამირსპასალარი ივანე აბუსერისძე (*გარდაიცვალა 1355 წ.*). უკანასკნელად აბუსერისძენი იხსენიებიან XVI საუკუნეში სამცხე-საათაბაგოს დიდებულთა სიაში.

**აბუსერისძე აბუსერი** – XI საუკუნის შუა წლების საქართველოს პოლიტიკური მოღვაწე, ძე **იოანე აბუსერისძისა**, არტანუჯისა და ხიხათა (აჭარის) ერისთავი, აწყურისა და ციხისჯვრის ციხეთა გამგებელი. 1045 წელს მარიამ დედოფალმა აბუსერისძეს საგამგებლოდ ჩააბარა ქალაქი **ანისი**. აბუსერისძეს აქტიურად ეხმარებოდა ბაგრატ IV-ს ლიპარიტ ბაღვაშთან ომიანობაში. აბუსერისძე და სხვა დიდებულები ლიპარიტ ბაღვაშმა ანისიდან გამოიტყუა და შეიპყრო. შემდეგ გაცვალა თავის შვილ ივანეზე, რომელიც ბაგრატ IV-ს პყავდა დატყვევებული. ცოტა ხნის შემდეგ, სასირეთის ჭალაში (შიდა ქართლი) მეფესა და ლიპარიტს შორის მომხდარი შეტაკებისას, აბუსერისძე კვლავ დაუტყვევებია ლიპარიტს, რის შემდეგ ისტორიულ წყაროებში აღარ იხსენიება.

**აბუსერისძე გრიგოლ** – XI საუკუნის შუა წლების საქართველოს პოლიტიკური მოღვაწე, ძე **აბუსერ აბუსერისძისა**, არტანუჯისა და ხიხათა (აჭარის) ერისთავთერისთავი. 1046 წელს მონაწილეობდა ღრდელის კრებაში. იყო ბაგრატ IV-ის მიკაეშირე ლიპარიტ ბაღვაშთან ბრძოლაში. სამცხეში, არყის ციხესთან მომხდარ შეტაკებაში ტყვედ ჩაიგდო ლიპარიტმა და არტანუჯი ჩამოართვა. ამის შემდეგ პოლიტიკურ ასპარეზზე აღარ ჩანს.

**დიდგვაროვანნი და დიდაზნაურნი იყვნენ აბუსერისძენი კლარჯეთ-აჭარაში.**

აფხაზთა და ქართველთა მეფის ბაგრატ IV-ის გამეფების უმალ, ბიზანტიელნი შემოადგნენ ტაო-კლარჯეთის ციხეებს. ზედიზედ ნებდებოდნენ მესხნი აზნაურნი და ერისთავნი ბერძენთა პარკიმანოზს. მხოლოდ ეპისკოპოსნი მტბევარი საბა და ანჩელი ეზრა შაეშეთს გამაგრდნენ და **ერისთავი აბუსერისძე ივანე** არტანუჯს ჩაიკეტა და *„ქმნეს დიდი ერთგულება ბაგრატ აფხაზთა მეფისათვის."*

*დიდი ბრძოლა და შუღლი და მი-დამოხი იქმნეს და -ვერა წარუღეს ქვეყანა მტერთა."*

ერთგულებისა წილ აბუსერისძეთ ებოძათ ერისთავთ-ერისთაობა კლარჯეთისა და აჭარისა და გამგებლობა ციხეთა: არტანუჯისა და ხიხათა და ციხისჯვარისა და აწყვერისა.

**შვილი ივანე აბუსერისძისა, აბუსერ –** აფხაზთა და ქართველთა მეფეს თანა ახლდა შიდაით ლაშქარში. როცა სასირეთის ბოლოს ევარანგთ შეება, ბიზანტიიდან მოსულთ.

**შვილი აბუსერ აბუსერისძისა, გრიგოლ –** ერისთავი არტანუჯისა, განუდგა ბიზანტიელთ და აფხაზთა და ქართველთა მეფე სამცხეში მიიწვია. მაშინ კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ თრიალელთა და კახთა და ბერძენთა და სომეხთა ლაშქრით უგრძნეულად დაეცა **არტაანის ციხეს** და ერთად შეიპყრო მეფის მიმხრე ერისთავნი გრიგოლ არტანუჯელი და სულა კალმახელი და მათთანა სხვანიცა აზნაურნი მესხნი. მაშინ აბუსერისძეთ არტანუჯი დაკარგეს. მერმე ციხისჯვარიც, ბოლოს აწყვერიც. ხიხათა ციხე და აჭარის ერისთაობა შემორჩათ მხოლოდ აბუსერისძეთა დიდი თურქობის და მეფის დავითის და თამარის და მერმე ულუსობის ჟამს.

ხიხათის ერისთავთ-ერისთავის **ივანეს** შვილი იყო დიდი მწიგნობარი **ტბელ აბუსერიძე**. ულუსობის გადავარდნის შემდგომ აბუსერიძეებმა საქართველოს ამირსპასალარობა მოიპოვეს.

ბოლო ჟამს აბუსერიძენი სამცხე-საათაბაგოს დიდებულთა სიაში ხსენდებიან, ვითარცა თავადნი. თვისი ყმა-მამულით. სასაფლაოთი, მონასტრითა და კარის ეკლესიით აბუსერიძენი მსახურნი იყვნენ კვართისა საუფლოისა და მირონისა და სუეტისა ღვთივ აღმართებულისა და წმინდისა დედა ქალაქისა მცხეთისა.

ღმერთისა და საქართველოსათვის და ბაგრატიონთა ტახტის ძლიერებისათვის, აბუსერიძენი გამოდიოდნენ ერთიანი ქართული ლაშქრის წინამბრძოლთა სადროშოში.

**ამჟამად აბუსერიძენი ცხოვრობენ ისევ აჭარაში და საზღვარსიქითა საქართველოში და სამცხეში, აგრეთვე გურიაში, ვაკე იმერეთში, ოკრიბასა და ოდიშში. მცირედნი არიან შიდა ქართლში, შიგნით კახეთში და ჰერეთში.**

საქართველოში აბუსერიძეთა დიდ-პატარის, ქუდოსან-მანდილოსნის საერთო რიცხვი **რვაას ოცდაათს** აჭარბებს.

ღმერთმა ამრავლოს გვარი აბუსერიძეთა *(ალექსანდრე ნაზღაიძე).*

**აბუსერისძე ტბელი** – ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე **დავით მამულაძე** თავის მემუარებში „რწმენით განვლილი გზა", რომელიც გასულ წელს მიიღო მკითხველმა, ხაზგასმით წერს: „სოფელი თხილვანა აბუსერისძეებს მე–13 საუკუნეში თავიანთ სამკვიდრებლად და წმიდათაწმიდა ადგილად უქცევიათ. დიდი რუსთაველის ეპოქისდროინდელ მოძღვარს, აჭარის ერისთავთერისთავთა გამორჩენილ შვილს, თავისი დროის უდიდეს მეცნიერსა და ვარსკვლავთმრიცხველს

აბუსერიძე ტბელის განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში ეს კუთხე ასტრონომიის, მწერლობის, საერთოდ, კულტურისა და მეცნიერების კერად გადაიქცევა. სწორედ ჩვენს ეზოში იდგა გათლილი ქვა, რომელსაც ამშვენებდა ქართული ჩუქურთმა და ძველი ქართული წარწერა. ახლა ის ქვა აჭარის სახელმწიფო მუზეუმშია.

სოფელ ქვედა თხილვანაში ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები, რის შედეგადაც მიკვლეულ იქნა აბუსერისძეთა საგვარეულო საძვალე. ამ დიდ ქვაზე (*იგულისხმება დ. მამულაძის მიერ ნახსენები გათლილი ქვა – ნ.დ.*) ამოკვეთილი წარწერა გვაუწყებს, რომ ის სწორედ იმ იოვანე მახარებლის ეკლესიის ნაშთია, რომელიც მე-13 საუკუნეში აუგია ვანენ დედოფალთდედოფალს და იგი ერისთავთერისთავთა სახლის სამკვიდრებელი ანუ საძვალე ყოფილა.

სწორედ დავით მამულაძე იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელიც დღენიადაგ ფიქრობდა ჩვენი კუთხის გამოჩენილი შვილის აბუსერისძე ტბელის სახელის უკვდავყოფაზე და პრაქტიკულადაც ბევრს ახერხებდა. სწორედ ის იყო პირველი მოთავე და ორგანიზატორი, რათა დიდი მეცნიერის სახელი ღირსეულად შეფასებულიყო, სახალხო ზეიმი ტბელობა დამკვიდრებულიყო.

ამ ზეიმის დამკვიდრებას სათავე ერთმა მშვენიერმა ღონისძიებამ დაუდო, რომელიც ჩატარდა თითქმის ოცი წლის წინ ხულოს რაიონის სოფელ ხიხაძირში. საქმე კი შემდეგში იყო:

1979 წელს ცნობილ პოეტს ფრიდონ ხალვაშს მიენიჭა რუსთაველის სახელობის პრემია. იმ დღეებში ფართოდ გაიშალა შეხვედრები ამ სახელოვან მწერალთან. ამ მიზნით მიიწვიეს ხიხაძირელებმა ბატონი ფრიდონი აბუსერიძის სამშობლოში.

დაიგეგმა და შედგა საკმაოდ ავტორიტეტული შემადგენლობა ბატონ ფრიდონთან ერთად ხიხაძირში გასამგზავრებლად (რომლის შემადგენლობაში მეც შევდიოდი, როგორც მინისტრთა საბჭოს განყოფილების გამგე). და, აი, 1979 წლის 16 ივნისს ხიხაძირის შ. რუსთაველის სახელობის საშუალო სკოლის ახლადაგებული შენობის სააქტო დარბაზში გაიმართა შეხვედრა შ. რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატთან პოეტ ფრიდონ ხალვაშთან, რაც თავისი შინაარსით გადაიქცა ქართული პოეზიის დიდ საღამოდ, ზეიმად, რომელსაც ხუთასზე მეტი მშრომელი, ომისა და შრომის ვეტერანი, სოფლის ინტელიგენცია, მოსწავლე-ახალგაზრდობა დაესწრო. შეხვედრაზე ამოვიდნენ რაიონის ხელმძღვანელები, ხეობის სხვა სოფლების წარმომადგენლები.

სწორედ ამ საღამოზე დაისვა საკითხი სახალხო ზეიმის – ტბელობის აღნიშვნის შესახებ. თავის გამოსვლაში ბედნიერმა და მადლიერმა ფრიდონ ხალვაშმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი გამომსვლელებს და განაცხადა: *„მეგობრებო, მოდით, დღევანდელი ჩვენი შეკრება სახალხო ხარ-ზეიმით ტბელობის დამფუძნებელ ყრილობად გამოვაცხადოთო."* დამსწრენი ოვაციებით

მიესალმნენ ამას.

აქვე გამოითქვა დიდი სურვილი ხიხაძირში დიდი ტბელის ძეგლის აგების თაობაზე. ეს აზრი შეხვედრას ერთ მთლიან ლაიტმოტივად გაჰყვა. სწორედ ამ აზრმა გადააწყვეტინა შეკრებილთ, რომ მეორე დღეს მოეწყობინათ ექსკურსია დიდებული ხიხანის ციხესიმაგრეზე, რომლის ბებერ კედლებს ბევრი რამ ახსოვთ საქართველოს გმირული ისტორიიდან.

იქნებ აქვე უადგილო არ იყოს, მკითხველს შევახსენო ზოგი რამ ხიხანის ციხისა და ეკლესიის შესახებ. ჩვენი კუთხის დიდი მკვლევარი, ცნობილი ისტორიკოსი **ხარიტონ ახვლედიანი** 1955 წელს გამოცემულ წიგნში *„ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები აჭარაში“* დამაჯერებლობით აღგვიწერს ხიხანის ეკლესიისა და შემდგომ ციხე-სიმაგრის აშენების ისტორიას. იგი, პირველ რიგში, ეყრდნობა აბუსერისძე ტბელის მიერ 1233 წელს დაწერილ ნაშრომს, რომელიც 1941 წელს გამოსცა **ლევან მუსხელიშვილმა** სათანადო ლექსიკონითა და საძიებლის თანდართვით.

მეცნიერთა კვლევით დადგენილია, რომ ჯერ ააშენეს ეკლესია, ხოლო გაცილებით გვიან ეკლესიის გარშემო ციხე, რომელშიც ხანგრძლივი ბლოკადის დროს იცავდნენ თავს. ხიხანის ეკლესია წმინდა გიორგის სახელობისაა. მშენებლობას ერისთავთერისთავები აბუსერისძენი ხელმძღვანელობდნენ და აგებულია **ბოლოკ-ბასილის** მიერ. იგი აჭარული კალატოზი ყოფილა.

ხიხანის ციხე აშენებულია იმ დროისათვის სტრატეგიულად შეუვალ მიუწვდომელ ადგილზე, არსიანის ქედზე, 2635 მეტრზე ზღვის დონიდან (გოდერძის უღელტეხილი კი მხოლოდ 2025 მეტრის სიმაღლეზეა). თავდაპირველად მას ორი ასასვლელი ჰქონია, ამჟამად ერთი შემორჩა ჩრდილო-დასავლეთი კუთხიდან. მისადგომი მხრიდან ციხეს ჰქონია მაღალი გალავანი, რომლის ნაწილი დღესაც არის შემორჩენილი. ციხის ტერიტორიაზე, რომლის ფართობი ერთ ჰექტარზე მეტია, მრავალი შენობა ყოფილა. დღეს თითქმის ყველა მათგანი დანგრეულია, მაგრამ ნანგრევებზე დიდ შთაბეჭდილებას მაინც ტოვებს. ეტყობა, შენობები გარეგნულად კარგად ყოფილა გაფორმებული. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ერთი მრავალოთახიანი შენობა. მისი კარები და ფანჯრებიც ჩუქურთმებით ყოფილა შემკული.

ხიხანის ციხემ დიდი ისტორიული როლი შეასრულა მომხვდურთაგან დედა-საქართველოს დაცვაში. სწორედ მისი კედლებიდან იწყება დიდი ბრძოლები დედა-სამშობლოსთან აჭარის დაბრუნებისათვის. სწორედ აქ აღმართა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროშა სახელოვანმა **სელიმ ხიმშიაშვილმა**. **ზაქარია ჭიჭინაძის** ენით რომ ვთქვათ, *„პეტრე ბაგრატიონის დარი ქართული ხმლის დამამშვენებელმა სარდალმა, რომელმაც ოსმალო დამპყრობლების ულლისგან სამხრეთ საქართველოს გათავისუფლებისა და დედასამშობლო საქართველოსთან დაბრუნების ცეცხლი დაანთო.“*

ყოველივე ეს და აჭარის შემდგომ ისტორიაში დატრიალებული ათასგვარი

უბედურება გახსენდება ხიხანზე ასულს. შორს მოჩანდა ცას და ზღვას შერეული აჭარის მთაგრეხილები. ახლებურად ჩაგვესმოდა დიდი სულთნის უკვდავი სიტყვები: *„მე თავს მჭრით, მაგრამ გეტყვით, რომ გურჯისტანი სამუდამოდ ოსმალოს არ შერჩება. ამის ხსოვნას მე ჩემს შვილებს დავუტოვებ."*

უძველესი პერიოდიდან აჭარის ტერიტორია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უცხო ქვეყნებთან დამაკავშირებელ კუთხეს წარმოადგენდა. აღმოსავლეთიდან მომავალი სავაჭრო გზა, რომელიც საქართველოზე გადიოდა, სწორედ აჭარის ტერიტორიას გაივლიდა და სამხრეთით – კლარჯეთის გავლით მცირე აზიის ქვეყნებისა და ევროპისაკენ მიემართებოდა.

აჭარიდან აღმოსავლეთით თბილის-სომხეთ-სპარსეთისაკენ მიმავალი სავაჭრო გზის არსებობას ძველი ქართული მწერლობის ძეგლები ადასტურებენ. ამასვე მოწმობენ რომაულ-ბიზანტიური წყაროები. ცნობილი კასტორიუსის მიერ შედგენილ „პეიტინგერიანას" რუკაზე აღნიშნული იყო გონიო-აფსაროსის, ბათოუსის, პორტუს ალტუსის და ქობულეთ-კინტრიშის მიდამოებში გამავალი სავაჭრო გზა.

სწორედ ის გარემოება, რომ დასავლეთ საქართველოს ამ მონაკვეთზე მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო გზები გადიოდა, განაპირობებდა საუკუნეების მანძილზე მიმდინარე გაუთავებელ ომებს, რომლებსაც დიდი იმპერიები აწარმოებდნენ საქართველოს და კერძოდ, მისი ზღვისპირა პროვინციებისა და ზოლის ხელში ჩაგდებისათვის.

ამ მხრივ რელიეფური მოვლენა იყო ბიზანტია-სპარსეთის ცნობილი „დიდი ომიანობა", რომელიც არსებითად – ლაზეთის სამეფოს დაუფლებისათვის მიმდინარეობდა 20 წლის განმავლობაში.

როგორც აღვნიშნეთ, უკვე ფარნავაზის მეფობის ჟამიდან, პოლიტიკურ-ადმინისტრაციულად, აჭარა მტკიცედ შედიოდა ქართულ სახელმწიფოში. ასე იყო ფარსმან მეორის დროს. ვახტანგ გორგასალის მეფობისას აჭარა-სამცხის ერისთავად ისტორიკოსი ჯუანშერი უფლისწულ ბივრიტიანს ასახელებს. საერისთავოს ცენტრი ქალაქი ოძრხე. დაჩი ვახტანგის ძის მეფობის დროს შავშეთს, კლარჯეთს და აჭარას გორგასლის შვილები და დაჩის ნახევარძმები ლეონი და მირდატი განაგებდნენ.

IX ს-ში აჭარა აშოტ დიდი კურაპალატის მიერ შექმნილი ტაო-კლარჯეთის, ტაოს და სხვა ძირძველი ქართული პროვინციების თანაბარი კუთხეა. ამ დროიდან აქ ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენლები მკვიდრდებიან და ძლიერდებიან.

აშოტ კურაპალატის შემდეგ, ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენლებს შორის დაუნდობელი ბრძოლა წარმოებს და აჭარაც, სხვა მესხურ პროვინციებთან ერთად, ხან აშოტ კისკასის, ხან გურგენ მაგისტროსის, ხან სხვა რომელიმე ბაგრატიონის მფლობელობაშია. თვით აჭარა ამ დროს კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით, იბერიის (ტაო-კლარჯეთის) საკურაპალატოს ოთხიდან ერთ-ერთ საერისთავოს წარმოადგენდა.

1028 წლამდე აჭარას ფეოდალი ჩანჩახი ფალელი განაგებს სხვა მიწებთან ერთად. მას შემდეგ, რაც ჩანჩახიმ არტანუჯის ციხე-ქალაქი ღალატით ბიზანტიას გადასცა, ბაგრატ მეოთხემ ჩამოართვა მოღალატეს ერისთაობა და არტანუჯიც დაიბრუნა, ხოლო მხარის ერისთაობა აბუსერიძეებს ჩააბარა. აბუსერიძეებს უნდა აეგოთ ხიხანის ცნობილი ციხეც. აბუსერიძეთა გვარი აჭარას XIII ს-შიც განაგებდა.

1155-1160 წლებში ტბელ აბუსერიძეს აუშენებია წმინდა გიორგის სხალთის ეკლესია. ჩვენამდე ველარ მოაღწიეს იმავე პერიოდში აგებულმა ცხმორისისა და დანდალოს ეკლესიებმა.

XIII-XIV საუკუნეებში, როგორც ჩანს, აბუსერიძეები სუსტდებიან და მათი საგამგეოს დაპატრონებას დიასამიძეები ცდილობენ. ამ უკანასკნელთა საგვარეულოს წარმომადგენლებს თამარ მეფემ ერთგული სამსახურისათვის ზენდიდის ციხე და ქვემო აჭარა უბოძა სამპატრონოდ. შემდგომში დიასამიძეები აბუსერიძეთა მამულს მთლიანად დაეპატრონენ, მაგრამ აჭარის ერისთაობას მაინც ვერ მიაღწიეს. ამ დროს, კერძოდ, XIII ს-ის I ნახევარში ძლიერდება სახელგანთქმული ჯაყელთა საგვარეულო, რომლის წარმომადგენლებსაც სამხრეთ საქართველო სხვა მიწებთან ერთად სამპატრონოდ ერგოთ აჭარაც.

აჭარა საიმედო თავშესაფარი იყო მამულის დამცველთათვის და ლტოლვილთათვის 914 წელს, აბულ კასიმის ლაშქრობის დროს *„ურიცხუნი იგი ერნი მართლმადიდებელთანი აჭარას და შავშეთს შეწყუდეულ იყუნეს."*

თურქ-სელჩუკთაგან დევნილ გიორგი მეორესაც აჭარაში შეუფარებია თავი და აქედან აფხაზეთს გადასულა. მემატიანე წერს, რომ „დიდი თურქობის" დროს *„დღესა ივანობისას ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ქუთათისი ალიესო თურქთა."* სწორედ ამის შემდეგ *„გიორგი მეფე წარვიდა მცირედ აჭარით აფხაზეთად."*

ჟამთააღმწერლის სიტყვით, მონღოლთა შემოსევის დროს, საქართველოს *„მანდატურთ-უხუცესი შანშე შეივლტოდა ქუეყანად აჭარისა."*

სამაგიეროდ, აჭარის მთები მიუვალი და მრისხანე იყო დაუპატიჟებელი სტუმრებისათვის.

ერთ-ერთ ბრძოლაში უკანდახეული მონღოლები აჭარის მთებს შეეხიზნენ და იქიდან სურდათ იმერეთში გადასვლა. მათ არ იცოდნენ, რომ ისტორიკოსის სიტყვით *„შეუძრწუნებელ არს სვლა კაცისა, არათუ ცხენისა პირველ სიმაღლითა და მერმე ტყისა სიხშირითა და შქერთა და ეკალთა."* ლტოლვილ მონღოლებს *„წარუსწრა მთა იგი, ვითარცა ზღუდე თორელისა, კაცსა ვითარ ათასსა დედაწულისა მქონებელსა და შთავიდა ხევსა აჭარისასა და დაიპყრა ცხენი და კაცი და ყოვლად უჩინო ყო და ეგრეთ საწყალობელად მოისრეს."*

საბედისწერო აღმოჩნდა აჭარისა და სამხრეთ საქართველოსათვის თურქული

აგრესიის მეორე პერიოდი, რომელმაც ინტენსიური ხასიათი XV ს-დან მიიღო. 1453 წლის 29 მაისს თურქ-ოსმალებმა კონსტანტინეპოლი აიღეს. ბიზანტიის უძლიერეს ათასწლოვან იმპერიას ბოლო მოეღო და მასთან ერთად ჩაიხერგა საქართველოს ევროპასთან დამაკავშირებელი ბუნებრივი გზაც.

დაიწყო თურქ-ოსმალთა განუწყვეტელი შემოტევები, ლაშქრობები, რბევა-აწიოკებანი, ტყვეთა სყიდვა და დაპყრობები.

1460-იან წლებში სამცხის ათაბაგმა, იმ მიზნით, რომ დახმარება მიეღო, აჭარა და ჭანეთის ნაწილი კახაბერ გურიელს უბოძა. მაგრამ მალე, სამცხის ათაბაგმა მზეჭაბუკმა, ვახუშტის ცნობით, *„მიუხუნა გურიელსა ბრძოლით აჭარა და ჭანათი და დაიპყრო თვით."* XV ს-ში აჭარისათვის გურიელსა და ჯაყელ ათაბაგებს შორისაა ქიშპია, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაა უბედურება – აჭარა საქართველოს ფარგლებშია.

1540-იან წლებში ოსმალებმა უკვე გონიო დაიკავეს. ბათუმი ამ დროს საბედიანოს შემადგენლობაშია, მაგრამ ხარკს უხდის დამპყრობლებს.

XVI ს-ის დამდეგიდან ოსმალები უშუალოდ უტევენ აჭარას. 1504 წლის ახლო ხანებში ოსმალებმა ბათუმი აიღეს, გურიაში შეიჭრნენ და იმერეთში გადაეიდნენ. მაგრამ იქ დამარცხდნენ და გურიაში გამაგრება-დამკვიდრება სცადეს. გურიისა და აჭარის მოსახლეობა აღსდგა დამპყრობლების წინააღმდეგ და განდევნა. ოსმალებმა ბათუმიც მიატოვეს. იგივე განმეორდა 1516 წელს.

ოსმალები 1517 წელსაც მარცხდებიან ბათუმთან. ოლთისიდან, ყარსიდან, არტანიდან და ლაზეთიდან ლტოლვილი ქართველობა აჭარაში აფარებს თავს.

1541 წელს შემოსეულ ოსმალებს იმერთა მეფე ბაგრატ მესამემ სძლია. ამ ბრძოლაში თავი განსაკუთრებით გამოიჩინა აჭარა-მარადიდის მოსახლეობამ. 1545 წელს, როცა ბაგრატი სოხოისტას ბრძოლაში დამარცხდა, ოსმალებისაგან ათაბაგად დატოვებული, მაგრამ შევიწროებული ქაიხოსრო აჭარაში აფარებდა ხოლმე თავს და აქ ცხოვრობდა – აჭარა კვლავ მიუვალი რჩებოდა ოსმალთათვის.

XVI -ს-ის 80-იანი წლებიდან მესხეთისადმი დამოკიდებულებაში ოსმალური პოლიტიკის ახალი პერიოდი დაიწყო – მათ იწყეს მხარის მოსახლეობის ძალისმიერი ისლამიზაცია. დაპყრობითმა ლაშქრობებმა ინტენსიური და მძაფრი ხასიათი მიიღო, მით უფრო, რომ ოსმალეთთან ერთად მესხეთის დაუფლებისათვის ენერგიულად იბრძოდა ირანიც.

1757-1576 წლებში ირანელებმა მთელი სამცხე მოაოხრეს და აჭარას მოადგნენ. ამ დროს აქ აფარებდნენ თავს სამცხის ათაბაგთა სახლობა, მცირეწლოვანი ყვარყვარე V და დედა-რეგენტი დედისიმედი.

ქართველები ხიხანის ციხეში გამაგრდნენ, რომელიც დიასამიძეებს ეკუთვნოდათ. ციხესთან მძიმე ბრძოლა გაიმართა. ირანელთა ლაშქრის მრავალრიცხოვნებამ თავისი გაიტანა. სამშობლოს დამცველები დამარცხდნენ. გაუგონარი წინააღმდეგობით

განრისხებულმა ირანელებმა ზუნდიდის ციხე დაანგრიეს, უამრავი აჭარელი დაატყვევეს და ირანს წაასხეს.

1578 წელს ოსმალთა უზარმაზარმა ლაშქარმა ცნობილი მუსტაფა ლალაფაშას სარდლობით მთელი აღმოსავლეთ ამიერკავკასია წაართვა ირანს. განსაკუთრებით აოხრდა მესხეთი და აჭარა.

ამის შემდეგ ოსმალთა ლაშქრობებმა ყოველწლიური ხასიათი მიიღო, რადგან ქართლის მეფე სვიმონი და მისი მოკავშირე ათაბაგები ოსმალთა ბატონობას არ ურიგდებოდნენ. არაერთხელ მძიმედ აოხრდა აჭარაც. მიუხედავად ამისა, მხარის დამორჩილება ვერც ამჯერად შეძლეს ოსმალებმა. 1595 წელს, როდესაც ოსმალებმა სამხრეთ საქართველო დაიმორჩილეს, მესხეთი დაიპყრეს, მოსახლეობა აღწერეს და ცნობილი *„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“* შეადგინეს, *„დავთრის“* აღწერილობაში აჭარა – ვითარცა ჯერაც დაუმორჩილებელი მხარე, არ შესულა. აჭარა კვლავ რამდენიმე ათეულ წელს რჩებოდა ოსმალთა უზარმაზარი იმპერიის ფარგლებს გარეთ. ამას ისიც ადასტურებს, რომ აჭარა ქართველ მეფე-მთავართა ცილობის საგანია.

1606 წელს ქართლის მეფე გიორგი X და გურიელი მანუჩარ ათაბაგს ამარცხებენ. მორიგების თანახმად, აჭარა–ჭანეთი და ლიეანა გურიელს გადაეცემა.

აჭარელი დიასამიძეები და მანუჩარ ათაბაგი თავგანწირვით იბრძოდნენ მარტყოფისა და მარაბდის ომებში.

ზაქარია ჭიჭინაძის გადმოცემით, იმავე ხანებში, არზრუმის ფაშის წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებით უსახელებიათ თავი აჭარლებს და მაჭახლელებს, ისე, რომ ოსმალებს ვერც ერთი სიმაგრე ვერ აუღიათ.

მესხეთი საბოლოოდ ოსმალებმა 1626–28 წლებში დაიმორჩილეს, როცა ბექა ჯაყელმა საკუთარი ძმისშვილი და ათაბაგი მანუჩარი მოწამლა, თავად მიიღო ხონთქრისაგან ათაბაგობა და მუსლიმანობა და საფარ-ფაშად წოდებულმა მესხეთის გამუსლიმანებაში ოსმალებს თანადგომა აღუთქვა აჭარის დაუმორჩილებლობას დღენი დაელია.

ყოველ შემთხვევაში, ევლია ჩელები, რომელიც 1640–47 წლებში სამხრეთ საქართველოსა და ოსმალეთის ჩრდილო–აღმოსავლეთ რაიონებში მოგზაურობდა, წერს, რომ ტრაპიზონის ეილაიეთში 5 სანჯაყი შედიოდა და ჩამოთვლის მათ: ჯანეთი, ტრაპიზონი, ზემო ბათუმი, ქვემო ბათუმი და გონიო. აჭარის დაპყრობაც 1626–1640 წლების შუალედში უნდა მომხდარიყო.

ასე ტრაგიკულად დამთავრდა საზოგადოდ სამხრეთ საქართველოსა და კერძოდ, აჭარის ქართველობის ბრძოლა თავისუფლებისათვის. ოსმალთა იმპერიამ მხარე დაიპყრო, მაგრამ აჭარელთა ბრძოლა „ქართველობისათვის“ ამით არ დასრულებულა – ისინი ოსმალური ბატონობის მძიმე პირობებშიც აგრძელებდნენ თავისუფლებისათვის და ეროვნული მეობისათვის თავგანწირულ ბრძოლას.

*(დიმიტრი შველიძე, იხ. „ახალი ქართული გაზეთი“, № 27, 24.VIII, 1998 წ.)*

**აბუქერია//აბუქარია//აბუქაია.** ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს, ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულ გვარებს, საფუძვლად დასდებია სიტყვა **აბუქარი.** საბასთან აბუქარი იგივეა, რაც **ბაქია, მკვეხარა.**

**ბუქია** არის სოფელი ქედის რაიონში (**აჭარის ა/რ**). **აბუქაიები** წალენჯიხის რაიონში **აბულაძეებად** იწერებიან.

ქიზიყში **აბუქარი** მეტსახელია მკვეხარა, ბაქია პირისა.

**აბუხბაია – 47,**
**ზუგდიდი–19,**
**თბილისი–13,**
**ქობულეთი–7.**

**აბუხბაია.** გვარი შეტანილი აქვს ბ-ნ **ნიკოლოზ ჯომიდავას** და იგი მის ეტიმოლოგიას რატომღაც **ბაბხადიასთან** აიგივებს. გაუგებარია, თუ რა საერთო აქვთ ამ გვარებს. ჩვენი აზრით, ამ გვარის ასახსნელადაც ართრონი უნდა გამოვიყენოთ. გვარში ასო ა ართრონია, ფუძეში გვაქვს **ბუხ**-ა, სუფიქსი **ბა** და **ია**, ე.ი. ორსუფიქსიანი გვარსახელია. **ბუხა** მიჩნეულია მამაკაცის საკუთარ სახელად. ილ. მაისურაძე წერს, რომ გვარში **ბუხაძე** გამოყენებული უნდა იყოს საკუთარი სახელი **ბუხა** (გვ. 41). ამავე აზრს იზიარებს პროფესორი **ალექსანდრე ღლონტი** (გვ. 97). **ბა**, ზოგჯერ შეცდომით აფხაზების კუთვნილებად რომაა მიჩნეული, ქართულია. იგი გვარების წარმოქმნის პირველი საფეხურის აქსესუარია და აღნიშნავს შვილს, ძეს, შობილს, დაბადებულს.

**აბუხბაია** შდრ.: **ბუხაშვილი.**

**აბშილავა 1748**
**(ზუგდიდი – 592,**
**თბილისი – 232,**
**სენაკი – 200,**
**ჩხოროწყუ – 108).**

**აბშილავა//-აფშილავა//-აფშილავა//-ამშილავა.** ამ ფორმებით გვხვდება დღევანდელი გვარსახელი **აბშილავა** (იგივე **აფშილავა**).

**აბშილავა,** ბანძა (მარტვილის რ-ნი), ადგილობრივი გამოთქმით: **აბშილა;** ძველი ეთნონიმი (ეთნონიმ-ი [ბერძნ.] ხალხი და სახელი, სიტყვა, რომელიც წარმოადგენს ამა თუ იმ ხალხის სახელწოდებას) **აფშილი** (=აფხაზი. *ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 427*); *//**აფშილავა//ამშილავა** (ილია მაისურაძე, ქართული გვარსახელები, თბ., 1980, გვ. 17).*



აბშილავა ივლიტა დაიბადა 1916 წლის 14 აპრილს, ქუთაისის გუბერნიის ზუგდიდის მაზრის სოფელ ზემო ქვალონში, შეძლებული გლეხის ოჯახში.

1925–1926 წელს შეპყავთ შუა ქვალონის შვიდწლიან შრომით სკოლაში, რომლის სრული კურსი 1932 წელს დაასრულა. იმავე წელსვე სწავლა სენაკის პედაგოგიურ ტექნიკუმში გააგრძელა, რომელიც დაამთავრა 1936 წელს და მუშაობა დაიწყო შუაქვალონის შვიდწლიან შრომით სკოლაში დაწყებითი კლასის მასწავლებლად. 1940 წელს გადაყვანილ იქნა ზემოქვალონის შვიდწლიან სკოლაში დაწყებითი კლასის მასწავლებლად, სადაც სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იმუშავა. ქალბატონი ივლიტა დაბადებული იყო პედაგოგად, იგი რამდენჯერმე აღიარეს რაიონში

საუკეთესო მასწავლებლად, მასწავლებელთა რაიონულ კონფერენციაზე თუ რომელიმე მოიხსენიებოდა მოწინავედ, ეს, პირველ რიგში, ქალბატონი იელიტა ბრძანდებოდა.

ქალბატონმა იელიტამ 1940 წელს თავისი ცხოვრება სამუდამოდ დაუკავშირა შუა ქვალონის საშუალო სკოლის ისტორია-გეოგრაფიის მასწავლებელს ბატონ **ნესტორ აბშილავას.** იგი 1941 იენისშივე გაიწვიეს დიდ სამამულო ომში და ოჯახის მთელი სიმძიმე ქალბატონ იელიტას დააწვა, მაგრამ იგი ჯარასავით ტრიალებდა სკოლასა და ოჯახში და თავისი შრომითა და გარჯით ოჯახს საფუძველი არ შეურყია.

შვილებით ამაყობდა იელიტა მასწავლებელი. შვილები კი მართლაც სახელოვანი ჰყავდა. ვაჟმა, **თური აბშილავამ** წარმატებით დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტი, სწავლული აგრონომი გახდა და წლების მანძილზე მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ხობის რაიკომის ინსტრუქტორად. ასევე წლების მანძილზე თავკაცობდა საჯიჯაოს კოლმეურნეობას, შემდეგ დიდხანს იღვაწა ხობის მეცხოველეობის სანაშენო მეურნეობის, პირველი ხორგისა და ზემოქვალონის საბჭოთა მეურნეობების დირექტორად. ყველგან წარმატებით გაართვა საქმეს თავი ახალგაზრდა თავკაცმა. თავად ორი შვილი ჰყავს: **გელა და ლელა აბშილავები.** ქალბატონი დოდონაც უმაღლესი განათლებითაა. მან თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა ბიოლოგიის სპეციალობით. ამჟამად ხობის №1 საშუალო სკოლაში მოღვაწეობს ბიოლოგიის მასწავლებლად. მასაც ორი შვილი ჰყავს: **ინგა და ნინო ლატარიები.**

მეტად უცნაურად წარიმართა ამ ყოველმხრივ სიმშვენიერით შემკული ქალბატონის სიცოცხლის ბოლო. იდგა 1969 წლის 8 ნოემბერი. ქალბატონ იელიტას ოჯახში ხალხმრავლობა იყო. ქორწინდებოდა მისი ვაჟიშვილი. ამ ბედნიერების აღსანიშნავად ქალბატონმა იელიტამ ღვინით სავსე ჭიქა ხელში აიღო და თავისებური ნატიფი ხმით მიულოცა შვილებს ბედნიერება. ლოცავდა შვილებს პედაგოგი ქალბატონი, ბედნიერებას უსურვებდა თავად ბედნიერი, ბოლო სიტყვა ეს იყო: „დედასავით გიყვარდეთ სამშობლო"– და უცებ სიტყვა ბაგეზე შეეყინა, გადაქანდა, ხელი შეაშველეს, ზეზეულად გათავდა ქალი. ასე საოცრად აღსრულდა სიკეთითა და სიყვარულით განთქმული ქალბატონი იელიტა.

**აბშილავა ჯემალ ილიას ძე** – ქ. ზუგდიდის ცენტრალური საავადმყოფოს გენერალური დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. დაიბადა 1939 წელს, ზუგდიდის რაიონის სოფელ ძველ აბასთუმანში, ინტელიგენტთა ოჯახში. მამა – **აბშილავა ილია,** ექიმი. დიდი სამამულო ომის მონაწილე, მუშაობდა უბნის მთავარ ექიმად. დედა – **აბშილავა (კოდუა) ალექსანდრა (საშა)** – პედაგოგი. ზუგდიდის რაიონის სოფელ ძველი აბასთუმნის სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1965 წელს ას-

ვე წარჩინებით დაამთავრა ქალაქ ლენინგრადის პედიატრიული სამედიცინო ინსტიტუტი. სახელმწიფო-საკვალიფიკაციო კომისიამ სამუშაოდ მიავლინა ლენინგრადის ონკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. 1966–1968 წლებში მომზადება გაიარა კლინიკურ ორდინატურაში. პარალელურად ონკოლოგიაში კვალიფიკაციას იმაღლებდა ლენინგრადის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში. 1974 წლიდან მუშაობდა ლენინგრადის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბავშვთა განყოფილების გამგედ და პარალელურად, საორგანიზაციო საკითხებში კურირებას უწევდა რუსეთის ჩრდილო-დასავლეთი მხარის ონკოლოგიურ დაწესებულებებს. პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თავისსავე სამედიცინო ინსტიტუტში. მას მიანდვეს მე-6-კურსელ სტუდენტებთან მუშაობა და 1987 წელს უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის წოდება მიანიჭეს. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის № 153/ოკ ბრძანებით 1987 წლის 14 ივლისს გადმოიყვანეს ნ. ნ. პეტროვის სახელობის საკავშირო ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან ზუგდიდის ცენტრალური რაიონული საავადმყოფოს მთავარ ექიმად. სპეციალობით არის ონკოლოგ-ქირურგი.

საქართველოს პარლამენტის *(19. II. 99 წ.)* დადგენილებისა და ჯანდაცვის მინისტრის ბრძანების *(13. 05. 99 წ. № 156/ო)* საფუძველზე შეიქმნა ზუგდიდის ცენტრალური საავადმყოფო და იქ დაინიშნა ამ საავადმყოფოს გენერალურ დირექტორად. პარალელურად ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ჯ. ი. აბშილავა მთელი თავისი შეგნებითა და პროფესიული ოსტატობით ხალხის სამსახურშია და მან რამდენიმე ადამიანს დაუბრუნა სიცოცხლე.

ბატონი ჯ. აბშილავა არის 140-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და მრავალი კორესპონდენციის ავტორი. ჰყავს ორი და. **ლენა აბშილავა** – აგრონომი და **მერი აბშილავა** – პედაგოგი. ძმა – **გურამ აბშილავა** – ინჟინერი. მეუღლე – **ლია ფარჯიკია** – ექიმი. შვილები: **მედეა აბშილავა** – ექიმი. **მადონა აბშილავა** – ექიმი. **გიორგი აბშილავა** – თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის მე-3 კურსის სტუდენტი.

**აბსავა 267**
**ზუგდიდი – 227,**
**თბილისი – 14,**
**ბათუმი – 8.**
**კომლი:**
**ყულიშკარი – 15,**
**კახათი – 9,**
**ახალკახათი – 5**

**აბსავა**, გვარის ფუძეა **აბს-ი**, **აბს-ა**. სიტყვა **აბს-ი** თავის ლექსიკონში შეტანილი აქვს სულხან-საბა ორბელიანს, ოღონდ განმარტებას არ იძლევა (შდრ., **აბს**) *(ტომი I. გვ. 38)*. ვარაუდით სახელის აბეს, აბესა (აბესალომიდან) შეკვეცილი ფორმა უნდა იყოს.

**ტოპონიმი: სა-აბსა-ო** – უბანი კახათში. პაატა ცხადაია წერს: **აბსავაში ამოსავალია პირსახელი აბესა, რაც აბესალომის შემოკლებული ფორმა ჩანს. მაშასადამე: აბესავა–აბსავა. შდრ.: აფსავა. დასაშვებია სხვა ვარაუდიც: აბესაძე–აბესავა–აბსავა.**

**აბსავა ნუგზარ ნოეს ძე** მოიხსენიება 1990 წელს, ოჩამჩირეში.

**აბხაზავა//აფხაზავა//-აფხაზაა//აბხაზი//აფხაზი,** დღევანდელი აფხაზავების გვარის ფორმებია. ეთნონიმ **აფხაზ-ი-დანაა** ნაწარმოები, აგრეთვე, **აფხა-**

**აბხაზავა 97**
**თბილისი – 33,**
**ზუგდიდი – 15,**
**წალენჯიხა – 14);**
**აფხაზავა 1683**
**ლანჩხუთი – 343,**
**თბილისი – 245,**
**ზუგდიდი – 226.**

**ზაშვილი** და **აფხაზიშვილი.** რუსულის გავლენით 24 სულზე მეტი ჩაწერილია აფხაზოვად. დროა, რომ მათ დაიბრუნონ მამაპაპური თავადაზნაურული გვარი–აფხაზიშვილი.

**აფხაზი** – (აბაზგი) ტომის აღმნიშვნელი ტერმინია. „**სატომო სახელთაგან ზოგი ისევე წმინდა ფუძით გვხვდება გვარად, როგორც ხელობის აღმნიშვნელის სიტყვები. ასეთებია, მაგალითად: აფხაზი, ბერძენი, დვალი, ლაშხი, მესხი, სვანი...**" *(ზ. ჭუმბურიძე. დედაენა ქართული. გვ. 310).*

**აფხაზავათა ნაწილი გურიაში, ნაწილი კი სამეგრელოში ცხოვრობს.** ცხოვრობენ საქართველოს სხვა კუთხეშიც. გურიაში მცხოვრებლები გურულობენ, სამეგრელოში – მეგრელობენ. ეს ქართველობას და ერთობას ხელს არ უშლის. ისტორიულად კოლხეთის (ოდიშ–სამეგრელოს) ტერიტორია დღევანდელ ქუთაისამდე აღწევდა.

**საქართველოში ყველაზე გავრცელებულ 1000 გვარში აფხაზავებს რაოდენობის მიხედვით 564–ე ადგილი უჭირავთ.**

**აგათიშვილი–**
**აგაშენაშვილი,**
**დუშეთი – 63,**
**თბილისი – 37,**
**მცხეთა – 10.**
**სულ – 115**
**სული.**

**აგათოშვილი–აღათოშვილი** (**ვაჩნაძე**), **შდრ. აგათოს** *(ბერძნ. სიკეთე. სიქველე – ქველაძე. ქველიაშვილი. კეთილაძე).*

**აგათიშვილი–აგაშენაშვილი,** აგაშენაშვილი, საკრამული (დუშეთის რ–ნი), სავარაუდოა მეტსახელი „**აგაშენა**" *(უთუოდ ჩვეულად გადაქცეული გამოთქმის გამო „აგაშენა ღმერთმა")* *(ილ. მაისურაძე. 17).*

**აგიაშვილი 121**
**(თბილისი – 46,**
**თელავი – 23,**
**ქუთაისი – 8).**

**მასხარაშვილი 458**
**(თბილისი – 158,**
**ჭიათურა – 85,**
**ქუთაისი – 79).**

**აგიაშვილი–მასხარაშვილი–ომათმათიძე (მასხარაშვილი–აგიაშვილი)**

**აგიაშვილები თავადები იყვნენ.** სათავადოსთან დაკავშირებული დოკუმენტი XII საუკუნის II ნახევრითაა დაფიქსირებული. ის 1663–1673 წლებში შედგენილ იმერთა მეფის ბაგრატის წყალობის წიგნშიცაა მოხსენიებული *(იხ. ს. კაკაბაძე. იმერეთის ციხისთავის შესახებ მე–17 საუკუნეში. საისტორიო მოამბე. I. 1925. გვ. 92–93).*

**აგიაშვილების ადრინდელი გვარი მასხარაშვილი ყოფილა.** საქართველოს თავად–აზნაურთა აღწერაში აღნიშნულია: „**აგიაშვილი არიან ძველად მასხარაშვილებით**" *(ხელნაწერთა ინსტიტუტი. ფ.შ. № 8729. III–V).* თვით მასხარაშვილთა გვარში ასეთი გადმოცემაა: მასხარაშვილთა გვარის ფუძემდებელია **სიმონ აგიაშვილი.** იგი მეფესთან დაახლოებული პირი ყოფილა. იყო მეფის მრჩეველი. რაღაცა საკითხის გამო უთანხმოება მოსვლია მეფესთან. მეფეს ხმლისთვის დაუვლია ხელი და სიმონისკენ გაწევულა. მეფის მცველები გადაფარებიან. მეფეს მოუხერხებია და ცალი ყური ჩამოუთლია, აზნაურობამდე ჩამოუქვეითებია და **მასხარა** შეურქმევია. აქედან დაწყებულა ახალი გვარის

– **მასხარაშვილის** ათელა. წარმოშობას უკავშირებენ რაჭას. ონისა და ამბროლაურის რაიონებს. ამჟამად ბევრ ადგილას ცხოვრობენ, მათ შორის ჭიათურაში, ხარაგოულში (ხიდარი), ზესტაფონში (კვალითი, დღეს იქ თითქმის აღარაჟინაა!), არიან თერჯოლაში, თბილისში და სხვაგან *(მთხრ. ნინო მასხარაშვილი, თბ., 16. V. 99 წ.).*

როგორც ჩანს, **მასხარაშვილები აგიაშვილებიდან მომდინარეობენ**, აგიაშვილთა ადრინდელი გვარი კი **ომათმათიძე** ყოფილა. ისტორიული გადმოცემა გვამცნობს შემდეგს: **„XVII საუკუნეში იმერეთის მეფეს თურქებთან ომი ჰქონია. ომის დროს, სხვებთან ერთად, მეფის ლაშქარში ომათმათიძეებიც ყოფილან. ერთ-ერთ ომათმათიძეთაგანს ომში თავისი გმირობით ყველა გაუკვირვებია. მისი გაკვირვებით აღტაცებულნი იძახდნენ თურმე: „აგია ნამდვილი მამულისშვილი, აგია შვილიო.“ მეფეს ამ ომათმათიძის მამაცობით ომი მოუგია და მისი გმირობის აღსანიშნავად ომათმათიძეებისთვის აგიაშვილი უწოდებია“** *(მთხრ. ერისთო კახაია. 75 წლის. სოფელ ტყაჩირის მკვიდრი. ჩაწერილია ო. სოსელიას მიერ 1948 წელს).*

წყაროები ამაგრებენ ცნობას აგიაშვილთა ომათმათიძეობის შესახებ.

1658–1660 წლებში იმერეთში ციხისთავის სახელო იოვანე ომათმათიძეს ჰქონდა *(იხ. ს. კაკაბაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 9).* 1663–1673 წლებს შუა ვახტანგ აგიაშვილმა აჯით მიმართა იმერთა მეფე ბაგრატს და მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალი, მაგრამ უძეო თეიმურაზ ციხისთავის სიკვდილის შემთხვევაში, ციხისთავობის წყალობა სთხოვა *(იქვე. გვ. 92–93).* მეფის მიერ ამის შესახებ ვახტანგისთვის ბოძებულ სიგელში ვახტანგ ციხისთავის გვარი არ იხსენიება, მაგრამ 1673 წლის ბაგრატ მეფისვე მიერ იმავე ვახტანგისთვის მიცემული სიგელიდან ჩანს, რომ თეიმურაზი ვახტანგის ბიძა იყო *(იქვე. გვ. 93–94).* ე.ი. თეიმურაზიც აგიაშვილთა გვარს ეკუთვნოდა. ვახტანგის მამაც ციხისთავი ყოფილა (ვახტანგი ციხისთავიშვილია). ციხისთავის თანამდებობის ფლობა ამ დროს უკვე გარკვეული ფეოდალური გვარის მემკვიდრეობითი პრეროგატივა იყო *(იხ. ო. სოსელია. დასახ. ნაშრ., გვ. 211).*

**აგიაშვილი ვახტანგ** – [1673 წ.]–1697 წ.წ. ჰყავს მამა **თეიმურაზ ციხისთავი** [1663]–1673 წ.წ. 1449–82. ქმ. № 973), შვილები: **ბეჟან** *[1673–1697 წ.წ. ქმ. №№ 973. 977).* **როსტომ, ნიკოლოზ, ივანე, ძმისწული ქაიხოსრო** *(1697 წ. ქმ. № 977).* ბაგრატ მეფემ მას უწყალობა: ცუცხვათის ციხისთავობა, აგრეთვე ის მამულები და გლეხები, რომლებიც მამამისს, თეიმურაზს არ გაუცია, შეუნარჩუნებია და ვახტანგის ბიძას ხელთ ჰქონია *(1673 წ. ქმ. № 973).* *„ცუცხვათის მსახლობელი დათუნა და ხახუტა კუპრაშვილები, ძმებითა და ცოლ-შვილით. გოგია კუპრაშვილი ცოლ-შვილითა და სახლ-კარით, აგრეთვე მისი უშვილოდ გარდაცვლილი ძმისწულის. ქაიხოსროს ყმა-მამული“ (1697 წ. ქმ. № 977);* ბაგრატ მეფემ მას მისცა პირობა, რომ მამამისის, თეიმურაზ

ციხისთავის მამულს მისი სიკვდილის შემდეგ მას მისცემდა *(1663-1673 წ.წ. 1449-82).*

ციხისთავის თანამდებობა ომათმათიძეებიდან 1658 წლის შემდეგ აგიაშვილებზე გადასულა. როგორც ვნახეთ, 1673 წელს ციხისთავად უკვე ვახტანგ **აგიაშვილი** ზის.

ომათმათიძეების გვარი დავით აღმაშენებლის დროიდანვე ჩანს და ფრიად დაწინაურებულიცაა – „დიდებული“ გვარი იყო და თავის „დიდებულობის“ შესახებ ხსენებული მეფის „გუჯარიც“ ჰქონდა. წყალობის წიგნში ალექსანდრე III ციხისთავ იოვანე ომათმათიძეს ეუბნება: **„ხელმწიფის, ქართხუცესის დავით აღმაშენებლის გუჯარი მოიტანეთ თქვენის ოჯახის დიდებულობის და განაახლეთ და ჩვენც ხელი მოგიწერეთ.“** ამის შემდეგ ოთხი წელიც არ იყო გასული, რომ ალექსანდრე III-ის მემკვიდრემ ბაგრატ მეფემ ციხისთაობის წყალობის პირობა ვახტანგ აგიაშვილს მისცა და 1673 წელს უბოძა კიდეც მას ეს სახელო და ცუცხვათის ციხე.

ამრიგად, **აგიაშვილები ომათმათიძეების შთამომავლები არიან** და ომათმათიძეთა მთელი ყმა-მამული, **ყიფიანები, ბოჭორიშვილები** და სხვები, რომლებიც ციხისთავ იოვანე ომათმათიძის სიგელშია ჩამოთვლილი, შემდეგში აგიაშვილთა აზნაურებად ჩანან *(იხ. ქუთაისის მუზეუმის საბუთები №,№ 1730, 1762, 1764, 1772, 1773; ო. სოსელია, დასახ. ნაშრ., გვ. 212).*

**აგიაშვილები ომათმათიძეთა მემკვიდრეები არიან, ხოლო მასხარაშვილები – აგიაშვილთა შტო-გვარია.**

აგიაშვილების მიწა-წყალი დიდი არ იყო. ამ საგვარეულოს სულ რამდენიმე სოფელი ეკუთვნოდა:

*1. ტყაჩირი. 2. უკანეთი. 3. პატრიკეთი (ნაწილობრივ), ცუცხვათი (ნაწილობრივ).*

ცუცხვათი ციხისთავის სახელო მამული იყო, მაგრამ, დროთა განმავლობაში, აგიაშვილებმა დაისაკუთრეს.

ეაკე'მი, რომელიც ვახუშტის თქმით, სამკუთხედს წარმოადგენდა („*არს სამკუთხედ ადგილი ესე*“), სამკუთხედისვე სახით მდებარეობდა აგიაშვილების სათავადო. მის სამივე კუთხესთან სამანი ქვები იყო აღმართული.

აღმოსავლეთით ამ სათავადოს სოფელი გეგუთი საზღვრავდა, დასავლეთით – ოფშკვითი, სამხრეთით – მდინარე რიონი, რომელიც ჰყოფდა მას სოფელ ზეინდრისა და ამაღლებისაგან და ჩრდილოეთით – მესხეთი.

დასახელებულ სოფლებს გარდა, აგიაშვილებს მამულები ჰქონდათ იმერეთის სხვადასხვა კუთხეში. მათ მფლობელობაში იყო: „*მიწა-წყალი საჩიჯავაძო*“, ადგილ-მამული „ტყირობულში“ *(იგულისხმება „საჩიჯავაძოს“ მცირე ნაწილი – „უშვილოდ ამოწყვეტილი“ ჩიჯავაძეთა ერთი წვერის მამული),* შინდოვან-უნაგრეთ-სვიმონეთის მიდამოებში, საპიკისა და ვაშლარის მხარეში, ოკრი-

ბაში, ბაკის-უბანში, ჭყეპში, სოჩხეში, გურნაში, ოფშკვითში, შერთულში, ახალსოფელში, ძუყნურაში და სოფელ ჭალისთავის დიდი ნაწილი (*იხ. ო. სოსელია, დასახ. ნაშრ., გვ. 214*).

აგიაშვილებს ორი სასახლე ჰქონდათ: ერთი – **ცუცხვათს**, მეორე – **ტყაჩირში**. სათავადოს ადმინისტრაციული ცენტრებიც ამ ადგილებში იყო.

ტყაჩირის სასახლის ახლოს იდგა აგიაშვილთა კარის ეკლესია, ხოლო სასახლიდან ცოტა მოშორებით (ჩრდილოეთისაკენ) – ციხესიმაგრე, რომელსაც **„ყარაულას“** ეძახდნენ.

ტყაჩირშივე იყო აგიაშვილების ტაძარი, აგებული წმინდა კვირიკესა და ივლიტეს სახელზე. „რომელთა შინა“ ჰქონდათ ამ საგვარეულოს წევრებს თავიანთი „უკანასკნელი წილხდომა“, ე.ი. საძვალე (*ქუთაისის მუზეუმის ძეგლი № 3187*).

აგიაშვილებს ჰქონდათ აგრეთვე საგვარეულო მონასტერი სოფელ ჭალისთავში. ეს მონასტერი **ქაიხოსრო აგიაშვილის პაპამ ავაგმა** ააგო ღვთისმშობლის სახელზე ჯერ კიდევ XVII ს-ში და ამ სოფლის უმეტესი ნაწილიც მანვე „განისაკუთრა.“

აგიაშვილების აზნაურები იყვნენ: **ყიფიანები, აგალიანები, ქორქოლაძეები, ტყავაძეები, ჯემნარაძეები, იაშვილები, აგიაშვილები (ბესია და კოკულა) და ბაკოსუბნელი თავდგირიძეები.**

აგიაშვილების ყმათა საერთო რიცხვი 390 კომლს უდრიდა, აქედან **იოანე აგიაშვილს** ეკუთვნოდა 69 კომლი ყმა-გლეხი, 7 აზნაური და 2 კომლი ვაჭარი.

აგიაშვილების სათავადოს XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან საგადასახადო შეუვალობა ჰქონდა. 1810 წლის ცნობით, აგიაშვილების ყმათა საერთო რიცხვიდან (390 კომლი) სამეფო საურს იხდიდა მხოლოდ 40 კომლი, საუდიეროს კი – არცერთი.

აგიაშვილები თავიანთი სათავადოს მართვაში მოხელეებს იყენებდნენ. ამ საგვარეულოს სამოხელეო აპარატში ვხედავთ: მოურავს, ციხის მოურავს, ზეინდართუხუცესს, ხელოსანს და მდივანს. სასულიერო მსახურთაგან კიდევ – „კარის დეკანოზს“ და „კარის მწირველ მღვდელს“, რომელიც ხშირად მდივნის მოვალეობასაც ასრულებს.

ამ სათავადოში იმდენი მოურავეა, რამდენიც სოფელი თუ მამულია. სამოურავო ტერიტორია აქ მტკიცედ არის განსაზღვრული: სოფელ პატრიკეთს თავისი მოურავი ჰყავს, რომელსაც წყაროები პატრიკეთის მოურავს ეძახიან, სოფელ ტყაჩირს კიდევ – ტყაჩირის მოურავი.

ასევე, ხელოსანი, ანუ მოხელეც იმდენია, რამდენიც აგიაშვილთა „ალაგია“. მაგალითად, „ეერხენალის“ მოხელედ 1807 წელს გიგია კოლუაშვილია დასახელებული, ხოლო „ნაფეტვარას“ მოხელედ 1810 წელს – ივანიკა კაპანაძე.

მოურავის თანამდებობაზე აგიაშვილების სათავადოში ვხედავთ მათ აზნაურებს: **ტყავაძეებს, ყიფიანებს, ჟორჟოლაძეებს.** ზეინდარ-თუხუცესის სახელოც 1706 წელს აზნაურ თამაზ ყიფიანს უჭირავს. ციხის მოურავის თანამდებობა ამავე წელს აზნაურ ლევან ტყავაძეს უკავია, 1795 წლის ახლო ხანშიც – ლევან II ტყავაძეს. კარის დეკანოზად 1798 წელს პეტრე კუპრაშვილი იხსენიება. კარის მწირველ მღვდლად 1795–1798 წლებში გიორგი ავალიანი ჩანს. შემდეგ კი – მისი სახლიკაცი – ეგნატე, ხოლო მღვდლად კი სხვა გიორგი ავალიანია დასახელებული.

**აგიაშვილებს იმერეთის სამეფო-სამოხელეო აპარატში მაღალი თანამდებობები ეჭირათ.** ომათმათიძეობის ხანაში მათ ციხისთაობა **ლოლობერიძეებიდან** მიიღეს. ციხისთავი, როგორც ამ თანამდებობის სახელიდან ჩანს, ციხის უმაღლესი გამგებელი იყო. ფეოდალურ ეპოქაში ციხე მარტო სიმაგრეს როდი წარმოადგენდა. ციხის ფარგლებში შედიოდა ადგილ-მამული „წყარო-წისქვილი", სოფელი, ეკლესია, აზნაური, მსახური და გლეხი, ე.ი. ციხეს თავისი მეურნეობა გააჩნდა. ციხე იყო მეფე-მთავართა თუ თავადთა ძლიერების საყრდენი, გამაგრებული მათ ყმათა შეიარაღებული რაზმით. ციხისთავი ძველად იყო სამეფო ციხეების მოურავების უფროსი.

ციხისთაობა იმერეთში წინანდელი ხანის ამირსპასალარობის მაგიერი იყო. XV–XVI საუკუნეებში ციხისთაობა აქ „სავაზირო თანამდებობას შეადგენდა." ციხისთაობა აგიაშვილთა საგვარეულომ დიდხანს შეინარჩუნა. თუ ომათმათიძეობის დროს არ ჩავთვლით, **ეს მაღალი თანამდებობა ეჭირა ამ გვარს XVII ს-ის 70-იანი წლების დამდეგიდან იმერეთის სამეფოს არსებობის მთელ პერიოდში, რამდენიმე ხნის გამოკლებით.**

ციხისთაობა და მასთან დაკავშირებული ცუცხვათის ციხე გიორგი აბაშიძეს ეკავა თავისი ძლიერების დროს (1685–1711 წ.წ.). 1711–1721 წლების შუა ხანაში კი ეს ციხე მის ძმისწულს ზურაბ აბაშიძეს ჰქონდა. ცენტრალურ ხელისუფლებასთან ბრძოლაში დამარცხებული ზურაბი იძულებული გახდა, ქართლს გადახვეწილიყო. გამარჯვებულმა ალექსანდრე V-ემ ციხისთაობა და „საციხისთაო მამული" თავის ერთგულ **სიმონ აგიაშვილს** უბოძა.

ციხისთავის ძირითადი მოვალეობა მტრის თავდასხმის დროს მოსახლეობის ციხეში შეფარება, ქვეყნის დაცვა და მტერთან ბრძოლის ორგანიზაცია იყო. მშვიდობიანობის დროს კი იგი ადმინისტრაციულ წესრიგს იცავდა.

აგიაშვილთა საგვარეულოს ჰქონდა მეორე დიდი თანამდებობა – **სარდლობა.** სარდლის თანამდებობა იმერეთში პირველად 1661 წელს იხსენიება. ეს სახელო აღნიშნულ წელს **ზაალ წერეთელს** ებოძა.

სასარდლო ანუ სადროშო წარმოადგენდა განსაზღვრულ სამხედრო-ტერიტორიულ ერთეულს, რომლის სათავეში სარდალი იდგა. ამა თუ იმ სასარდლოში სამხედრო ხაზით ერთიანდებოდნენ მისი მიმდგომი სათავადოები. სათა-

ვადოდან გამოსულ ლაშქარს თვითონ თავადი მეთაურობდა, მაგრამ სასარდლოში თავმოყრილი მხედრობის საერთო უფროსობა სარდლის კომპეტენციაში შედიოდა. სარდალი კი ცენტრალური ხელისუფლების მოხელე იყო.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე იმერეთის სამეფოში ოთხი სასარდლო არსებობდა: რაჭის, არგვეთის (ზემო იმერეთი), ვაკისა და ოკრიბა-ლეჩხუმის. რაჭის საერისთაოს გაუქმების შემდეგ (1769 წ.), რაჭის სასარდლოც გაუქმდა და დარჩა მხოლოდ სამი სასარდლო.

რაჭის სასარდლო მოიცავდა: რაჭის ერისთავების, წულუკიძეების, იაშვილების, ჯაფარიძეების, ყიფიანების სათავადოებს.

არგვეთის – წერეთლების, აბაშიძეებისა და მხეიძეებისას.

ვაკის – ჩხეიძეების, ლორთქიფანიძეების, მიქელაძეების, ჩიჯავაძეების, ნიჟარაძეების, აგიაშვილების, ლოლობერიძეებისას.

ოკრიბა-ლეჩხუმის – ლაშხიშვილების, ინასარიძეებისა და ახელედიანების სათავადოებს.

სარდლის სახელო მემკვიდრეობით ეპყრათ გარკვეულ თავადურ საგვარეულოებს: „ზემო ქვეყნის“ ანუ „ზემო მხარის“ (ზემო იმერეთი) სარდლობა წერეთელს ჰქონდა. ვაკისა (ქვემო იმერეთი) – წულუკიძეს, ოკრიბა-ლეჩხუმის – აგიაშვილს, რომელიც „წინამავალ“, ე.ი. მეწინავე სარდლად იწოდებოდა და რაჭისა – რაჭის ერისთავს.

ოკრიბა-ლეჩხუმის სადროშო იყო „მეფისა თანა მყოფი.“ ამ სადროშოში დგებოდა მეფე თავისი ამალით.

იმერეთის სარდლებიდან მთავარ სარდლად იმერეთის სარდალი წერეთელი ითვლებოდა. 1769 წლიდან უშუალოდ მას ექვემდებარებოდა რაჭიდან გამოსული ჯარიც. ომიანობის დროს კი მთელი იმერეთის ლაშქარს ის ხელმძღვანელობდა.

სარდალ წერეთელს ორი დროშა ჰქონდა: ერთი მწვანე აბრეშუმის, რომელზედაც გამოსახული იყო „ძლევამოსილი წმინდა გიორგი“ და მეორე – წითელი აბრეშუმის, რომელზედაც ქრისტეს ჯვარცმა ეხატა.

სხვა სარდლებს მხოლოდ თითო დროშა ჰქონდათ.

სარდლის თანამდებობაზე აგიაშვილთა გვარის წარმომადგენელს პირველად ვხედავთ 1712 წელს. პირველი ისტორიულად ცნობილი სარდალი ამ გვარში **სვიმონ აგიაშვილია**. უკანასკნელად ეს თანამდებობა წილად ხვდა **თანე აგიაშვილს**, რომელიც თავის თავს ტრადიციით 1817 წელსაც სარდალს ეძახის, მაგრამ იმერეთის სამეფოს გაუქმებასთან ერთად, 1810 წელს, სინამდვილეში მისი ხელისუფლებაც გაუქმდა.

აღნიშნული ორი სახელოს გარდა, აგიაშვილთა საგვარეულოს 1753 წლიდან ეპყრათ მესამე დიდი თანამდებობა – **ქვეშიკთუხუცესობა**. ამ სახელოს პირველი მატარებელი ის **ქაიხოსრო აგიაშვილია**, რომელსაც შემდეგ, 1777 წელს,

სარდლობაც უჭირავს.

1753 წლიდან დაწყებული, იმერეთის სამეფოს არსებობის მთელ მანძილზე, მცირე ხნის გამოკლებით, ქეშიკთუხუცესის თანამდებობაც აგიაშვილთა გვარს ეკავა.

ქეშიკთუხუცესი ქეშიკების უფროსი იყო. ქეშიკები იცავდნენ სამეფო კარს. მათგან სამი იარაღით ხელში მოუცილებლად ახლდა მეფეს. ღამე მეფის საწოლთან იდგნენ, თან სდევდნენ მას ყველგან, მაშინაც კი, როცა იგი დედოფლის დასასვენებელ ოთახში მიდიოდა. კარებთან ელოდებოდნენ მეფეს გამოსვლამდე.

სოლომონ I-ის დროს, აგიაშვილების საგვარეულო სახელოები – ციხისთავი-სარდალ-ქეშიკთუხუცესობა – ამ გვარის ერთი წევრის, ქაიხოსროს ხელში იყო გაერთიანებული. თანამდებობათა ასეთი შეთავსება აგიაშვილთა გვარში სოლომონ I-ის შემდეგაც გრძელდებოდა. 1795 წლიდან სარდალ-ციხისთავქეშიკთუხუცესად ქაიხოსროს პირმშო იოანე იხსენიება.

ადგილი ჰქონდა როგორც თვით გვარში უთანხმოებებს, ისე სხვა გვარებთან განხეთქილებებსაც. მაგალითად, აგიაშვილები მწყრალად ჩანან იაშვილებთან. ამ მეზობელ თავადებს შორის „ერთმანეთში ფულები და სასახლეები გაუჩნდათ", მაგრამ ისინი მეფე სოლომონ II-მ შეარიგა.

ასეთივე იყო აგიაშვილების დამოკიდებულება მეზობელი მხეიძეების საგვარეულოსთანაც. აგიაშვილებს მხეიძეების სისხლიც მართებდათ. არც ნიჟარაძეებთან ჰქონდათ აგიაშვილებს ბევრად უკეთესი დამოკიდებულება. ყმა-მამულის გამო აგიაშვილები გენათელთან, აბაშიძეებთან და ბარათაშვილებთანაც დაობდნენ.

სამაგიეროდ, აგიაშვილებს კარგი დამოკიდებულება ჰქონდათ წერეთლებთან.

კარგ დამოკიდებულებაში იყვნენ აგიაშვილები გურია-ოდიშის მთავრებთან. როცა ურთიერთშორის ან მეზობლებთან აგიაშვილებს უკმაყოფილება, „შური" და „გულკლება" უჩნდებოდათ, მშვიდობის დასამყარებლად დადიანის ან გურიელის ძეს იწვევდნენ.

მეფეები წყალობას არ აკლებდნენ აგიაშვილებს, ისინი კი ერთგულად ემსახურებოდნენ მათ. აგიაშვილთა გვარიდან ყველაზე დაწინაურებულებად ჩანან: სვიმონი, ქაიხოსრო, ბერი, ბეკო, იოანე (იოვანე, ივანე). აღნიშნული პირები იმერთა მეფის „მარად" ერთგულად ნამსახურნი იყვნენ, რის გამოც აგიაშვილები „მარად" იმერეთის სამეფოსა ტახტისა" ერთგული იყვნენ. ისინი მეფეთაგან „ნიჭოვან და მდიდარ ქმნილი", „პატივ-საფარველ გამრავლებული."

აგიაშვილები ბოლომდე ერთგულნი იყვნენ იმერეთის მეფე სოლომონ II-ისა. რუსულმა მმართველობამ, იმერეთის სამეფოსთან ერთად, აგიაშვილების სათავადოსაც ადმინისტრაციულად ბოლო მოუღო. 1819–20 წლების აჯანყების დროს ძმები ივანე, დავით, სიმონ და გიორგი აგიაშვილები უკვე რუსეთის მთავრობის ერთგულთა შორის ჩანან.

საგვარეულო ადგილ-მამული აგიაშვილებმა XIX საუკუნის 20–40-იან წლებ-

# თავადი აგიაშვილები

თავადი სვიმონი აგიაშვილი[1]



ში გაინაწილეს.

აგიაშვილთა ადრინდელი გვარის გენეალოგია ასეთნაირად წარმოგვიდგება:

**თავადი აგიაშვილები,** აგიაშვილი იმერეთის თავადური საგვარეულოა. წყაროებში ჩანან XVII ს-ის მეორე ნახევარში. როგორც ითქვა, იოანე ბატონიშვილის მიხედვით, წინარე გვარი **მასხარაშვილი** ყოფილა. XII საუკუნეში კი მათი წინაპრები გვარი **ომათმათიძეები** იყვნენ. XVI ს-ის შუახანებში ომაომათიძე-აგიაშვილები იკავებენ სამეფო ციხე-სიმაგრეების მთავარი კომენდანტების (ციხისთავის) სახელოს. XVIII ს-ის დასაწყისში მიიღეს სარდლის წოდება, ხოლო 1753 წლიდან – აგრეთვე სამეფო გვარდიის უფროსობა (ქეშიკთუხუცესობა).

მისი უზენაესობის, რუსეთის იმპერიის მიერ 1850 წლის 6 დეკემბერს დამტკიცებულ თავადაზნაურთა სიაში შეტანილი არიან: **თავადი თეიმურაზ სიმონის ძე შვილებით გიორგითა და კეკელათი (№ 16, 26–27, ცხრ. 1); ბები სოლომონის ძე მეუღლე სალომეთი და მათი შვილებით, ქაიხოსროთი, კონსტანტინეთი, მარიამითა და ქეთევანით (№17, 28–29); ბეჟან სიმონის ძე (№18); დიმიტრი სიმონის ძე, მეუღლე მისი სირბილა, შვილები მათი დავითი, აგაგი (აგაგ), ბეგლარი, მაკრინა, ეკო (ეკატერინე) და ლისო (ლისა) (№19, 33–38); სიმონ დავითის ძე, მეუღლე მისი ნატო, მათი შვილები სარდიონი, დავითი და ბარბარე (№15, 23–25); ბექო გიორგის ძე, მეუღლე მისი მართა, მათი შვილები ივანე, მიხეილი, ლევანი, მზეხა, გინია, ეფროსინე, მარფა და რახილი (№21, 39–46) ჩაწერილი არიან ქუთაისის გუბერნიის საგვარეულო წიგნის მე-5 ნაწილში.** თავად აგიაშვილებს არა აქვთ მისი უზენაესობის, რუსეთის მიერ დამტკიცებული საგვარეულო გერბი. ვ. ციხინსკის მოაქვს თავად აგიაშვილთა გერბი, სადაც მიუთითებს, რომ **აგიაშვილებსა და იაშვილებს საერთო წარმომავლობა აქვთ.**

თავად აგიაშვილების შესახებ, რომლებიც წარმოდგენილნი არიან ცხრილ-
მასალა მოპოვებულია შემდეგ პირებზე:

5/1 **ქაიხოსრო სვიმონის ძე** დაქორწინებული იყო თავადის ასულ **დარეჯან ნიჟარაძეზე**

7/5. **ივანე ქაიხოსროს ძე** (?–1824), სარდალი, შემდგომში რუსული სამსახურის პორუჩიკი. დაქორწინებული იყო თავადის ასულ **დარეჯან გურიელზე**, გურიის მმართველის ქალიშვილზე.

8/5. **დავით ქაიხოსროს ძე** (?–1838), პორუჩიკი. დაქორწინებული იყო იმერეთის მეფის ქალიშვილზე **ანასტასია (ატატო) დავითის** ასულზე (?–1818), მეფე ყაენით II-ის უკანონო ქალიშვილი.

**თავადი აგიაშვილი**

I თაობა თავადი **სვიმონ აგიაშვილი;**

II **ვახტანგი ბექო ?–1784) ბერი (?–1784) ქაიხოსრო;**

III ბეჟან (1797–მდე) იოანე ?–1824) დავითი (?–1838) ანტონი, სიმონი (?–1841) გიორგი (?–1820);

IV დავითი, სიმონი, გიორგი, სიმონი (1810–?), თეიმურაზი (1802–1856), იოანე (ბება, 1804–?), ბეჟანი, დიმიტრი (1811–?), ბექო (1817–?), ვარდია (?–1838);

V სარდიონი (1836–?), ბარბარე, ეკატერინე (კეკელა, 1836–?), ქაიხოსრო (1829–?), კონსტანტინე (1831–?), ქეთევანი (1843–?), აგალი (1838–?), ეკა (1840–?), ბეგლარი (1842–?), იოანე (1836–?), აგრაფინა (ფინია, 1840–?), მართა (1842–?), რაცილი;

დავითი, გიორგი (1831–?), ფეოდოსია (1838–?), მარინა, დავითი (1837–?), მაკარინე (1838–?), ლირსა (1838–?), მზეხა (1836–?), მიხეილი (1839–1911), ეფროსინე (1841–?), ლევანი (1845–?);

VI ელისაბედი (1870–?), მარინა, ნატო, ელისაბედი (1853–?), თეიმურაზი (ნიკოლოზი, 1860–1930), იოანე, დიმიტრი (1858–1943), ნესტორი (1868–?), გიორგი (1874–1937), კონსტანტინე (1876–?);

ანასტასია (?–1918), ნინა, ბარბარე (?–1961), გრიგორი, რაფაელი (1871–1936), ილია (1879–1921), ანასტასია (1872–?), იულიტა (1875–1947);

VII თამარა 1896–1963), ბარბარე 1902–1982), გიორგი (გოგი, 1897–1940), გიორგი (1916–1945), ავთანდილი დ.1922, ეთერი დ.1924, ნიკოლოზი (1903–1984), მარიამი (გუგული, დ.1921), გეგთი;

VIII გოგი დ.1922, თეიმურაზი (1928–1980), ზურაბი დ.1930, გურამი, გიული, ქეთევან, მარინა დ.1950, რუსუდანი დ.1952, დარეჯანი დ.1954, მერაბი დ.1943, დავითი დ.1949;

IX რევაზი (გიორგი), ნანული, ეკატერინე დ. 1973, გიორგი დ.1965, ირაკლი დ.1968, თამარა (თამუნა, დ.1978), მაია დ.1974, ნიკოლოზი დ.1979, გიორგი დ.1990.

9/5. ანტონ ქაიხოსროს ძე, ილუმენი, მოიხსენიება 1820 წელს.

10/5. სიმონ ქაიხოსროს ძე (?–1841), პოდპორუჩიკი, დაქორწინებული იყო თავადის ასულ ეკატერინე გიორგის ასულ დადიანზე („დიდი ნიკოს“ და).

15/8. სიმონ დავითის ძე (1810–?) 1850 წელს პრაპორშჩიკი, დაქორწინებული იყო თავადის ასულ ნატო გრიგორის ასულ წერეთელზე.

16/10. თეიმურაზ სიმონის ძე (1802–1856), 1850 წელს პოდპორუჩიკი, დაქორწინებული იყო თავადის ასულ ეკატერინე გიორგის ასულ გელოვანზე.

17/10. ბებე (იოანე) სიმონის ძე (სოლომონის ძე) (1804–?). 1850 წელს პრაპორშიკი, შემდგომ პოდპორუჩიკი; დაქორწინებული იყო (1825) თავადის ასულ სალომე კონსტანტინეს ასულ ჩიჩუაზე.

20/11. იულიტა გიორგის ასული (1817–?), თავად ბესარიონ იოსების ძე მიქელაძის მეუღლე 1829) (1810–1866).

24/15. დავით სიმონის ძე (1840–?), დაქორწინებული იყო თავადის ასულ ზინაიდა (პუპა) ბესარიონის ასულ დადიანზე.

25/15. ბარბარე სიმონის ასული (1841–?), ცოლად ჰყავდა თავად დიმიტრი ასლანის ძე წერეთელს (1830–?).

26/16. გიორგი თეიმურაზის ძე (1831 ან 1836–?), მონაწილეობდა 1853–1856 წლების კომპანიაში, საბრძოლო დამსახურებისათვის მიენიჭა პრაპორშჩიკობა (26.09.1861), პოდპორუჩიკი (30.03.1868), გადაყვანილი იქნა (25.11.1871) კაზაკთა ლეიბ-გვარდიის პოლკში კორნეტად, პორუჩიკი (30.08.1874),

დაიჭრა რუსეთ-თურქეთის ომში (1877), შტაბს-როტმისტრი (6.01.1979), როტმისტრი (8.04.1884),

პოლკოვნიკი (30.08.1891), ამ წოდებით მოიხსენიება 1901 წლის მაისამდე, მოგვიანებით გენერალ-მაიორი, ასრულებდა გუბერნიის წინამძღოლის მოვალეობას (1870–1876). დაქორწინებული იყო (1853) თავადის ასულ ნატო ელიზბარის ასულ დადიანზე (მათ ორი შვილი ჰყავდათ).

27/16. ეკატერინე (კეკელა) თეიმურაზის ასული (1836–?), გათხოვილი იყო (1874) თავად ივანე ელიზბარის ძე დადიანზე (1839–?) (მისი მეორე ცოლი).

29/17. მაკრინე ივანეს ასული, გათხოვილი იყო (1845) თავად დავით ქაიხოსროს ძე წულუკიძეზე (1827–?).

32/17. ქეთევან ივანეს ასული (1843–?), გათხოვილი იყო (1864) თავად სიმონ რევაზის ძე ნიჟარაძეზე (1841–?).

33/19. დავით დიმიტრის ძე (1837–?), დაქორწინებული იყო (1864) აზნაურიშვილ სალომე ლორთქიფანიძეზე.

39/21. მზეხა ბექოს ასული 1835–?) გათხოვილი იყო (1851) თავად არჩილ პაატას ძე წულუკიძეზე (1833–?).

41/21. მიხეილ ბექოს ძე (1839–1911), დაქორწინებული იყო (1858) თავადის ასულ ეგვიტა გიორგის ასულ ერისთავზე (რაჭის) (1841–?).

42/21. აგრაფინა (პინია) ბექოს ასული (1841–?), გათხოვილი იყო თავად სოლომონ გიორგის ძე ნიჟარაძეზე (1826–?).

43/21. ეფროსინე ბექოს ასული (1841–?), გათხოვილი იყო თავად როსტომ რევაზის ძე ლორთქიფანიძეზე (1824–).

44/21. მართა (მარფა) ბექოს ასული (1842–?), გათხოვილი იყო თავად სიმონ ქაიხოსროს ძე ერისთავზე (რაჭის) (1838–?).

45/21. ლევან ბექოს ძე (1845–?), დაქორწინებული იყო (1858) თავადის ასულ ნეონილა ივანეს ასულ ერისთავზე (რაჭის) (1830–?).

64/53. თამარა თეიმურაზის ასული (1896–1963), დაქორწინებული იყო თავად პეტრე ალექსანდრეს ძე წერეთელზე (1881–1930).

65/53. ბარბარე თეიმურაზის ასული (1902–1982), დაქორწინებული იყო თავად კონსტანტინე ვლადიმერის ძე ქოჩაკიძეზე.

47/23. ელისაბედ სარდიონის ასული (1870–?), გათხოვილი იყო თავად ბარნაბ ტარიელის ძე მიქელაძეზე (1847–?).

48/23. ანასტასია სარდიონის ასული (?–1918), გათხოვილი იყო თავად გიორგი ივანეს ძე წულუკიძეზე (1864–1919).

49/23. მარიამ სარდიონის ასული, გათხოვილი იყო თავად ირაკლი მალხაზის ძე წერეთელზე (1862–?).

50/24. ნინა დავითის ასული, გათხოვილი იყო თავად ნიკოლოზ (თეიმურაზ) გიორგის ძე აგიაშვილზე.

51/24. ნატო დავითის ასული, გათხოვილი იყო თავად კონსტანტინე მიხეილის ძე აგიაშვილზე.

52/24. ბარბარე დავითის ასული (?–1961), გათხოვილი იყო თავად ბესარიონ ალექსანდრეს ძე მიქელაძეზე (1877–1936).

52 ა/26. ელისაბედ გიორგის ასული (1853–?), გათხოვილი იყო თავად დავით ალექსანდრეს ძე შარვაშიძეზე (1845–1883).

53/26. ნიკოლოზ (იგივე თეიმურაზ) გიორგის ძე (1860–1930), კოლეჯის მდივანი, ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრის მომრიგებელ-შუამავალი (1912). დაქორწინებული იყო თავადის ასულ ნინა დავითის ასულ აგიაშვილზე.

61/41. გიორგი მიხეილის ძე (1874–1937), დაქორწინებული იყო აზნაურიშვილ ნადია ნესტორის ასულ მიქელაძეზე (1891–1975).

62/41. ივლიტა მიხეილის ასული (1875–1947), დაქორწინებული იყო თავად ბესარიონ კონსტანტინეს ძე გელოვანზე (1864–1931).

63/41. კონსტანტინე მიხეილის ძე (1876–?), დაქორწინებული იყო თავადის ასულ ნატო დავითის ასულ აგიაშვილზე.



**აგიაშვილი ნიკოლოზ (ნიკა) დიმიტრის ძე** (დ. 1. IX. 1903, სოფ. დიხაშხო, ახლანდელი ვანის რ-ნი), მწერალი, მთარგმნელი, ჟურნალისტი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი (1968). სწავლობდა თსუ-ს ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. 1925 წლიდან მუშაობდა ჟურნალ-გაზეთებისა და სხვადასხვა გამომცემლობათა რედაქციებში. ამავე წლიდან ქართულ პრესაში იბეჭდებოდა მისი თარგმანები (*ჯ. ლონდონის, ლ. ტოლსტოის, ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, მ. გორკის, ვ. მაიაკოვსკისა და სხვათა ნაწარმოებები*). ავტორია წიგნებისა „სერვანტესის ცხოვრება" (1941), „ჭაბუკები დარჩნენ მარად" (1961) (*ქსე. ტ. I. გვ. 55*).

**აბირბაია 61**
**ზუგდიდი – 60,**
**თბილისი – 1**

**აგირბაია** შდრ. აგირბა. აგირბაიათა გვარის ფუძედ ზოგი აგირუა-ს მიიჩნევს. აგირუა მეგრ. იგივეა, რაც მარტვილი, მიწის მუშაკი. აგირბაია, ა ართრონი ყველაზე პროდუქტიულია არსებით სახელებსა და გვარსახელებში. გვარის ფუძედ შესაძლებელია გვქონდეს აგირბა, როგორც ამას ადასტურებს ნ. ჯომიდავა. აგირბა წმინდა წყლის აფხაზური გვარია, რომელშიც გამოყენებულია ფუძე აგრ და სუფიქსი ბა. სუფიქსი ბა ქართულია და თანამოზიარეებად გახდნენ აფსუები. გვარში აგირ-

ბაია ა ართრონია, ფუძეა **გირა** (გირ-ი), ხოლო ბა და ია სუფიქსია. ე.ი. ორსუფიქსიანი ქართული გვარსახელია. გირ ფუძითაა გაწყობილი ქართული გვარი **გირაშვილი**.

შდრ. გირ//გირი შრატი, რძიდან ყველის ამოყვანის შემდეგ დარჩენილი სითხე (*გ. ელიავა, გვ.90*).

**აგლაძე 424**
**თბილისი – 330,**
**რუსთავი – 24,**
**ამბროლაური – 21**
**ალლაძე 78**
**თბილისი – 65,**
**რუსთავი – 8,**
**გორი – 2.**

**აგლაძე** გვარი გვხდება ორიგე ფორმით აგლა და ალლა-ძეთი. როგორც ჩანს, რუსულის შემოსელამდე (მხედველობაშია საქმის რუსულად წარმოება) გვარი **ალლაძედ** იწოდებოდა. შემდგომ კი ასო ლ ასო გ-მ შეცვალა.

საბუთებში (ჩვენს ხელთ არსებულში) გვარი აგლაძე მოიხსენიება XVII საუკუნის II ნახევრიდან. **აგლაძე დათუა – თგი ცოლშვილითა და მამულით, საალაპედ შესწირა ქაიხოსრო იაშვილმა თავის ეგვტერს** *(XVII ს-ის II ნახ. 1448-1535). (იხ. წგნ. პალ. I, გვ. 69).*

ქართულ ენციკლოპედიაში შეტანილი არიან: **აგლაძე დავით გიორგის ძე** (დ. 18 (31). I. 1900, თბილისი..), ზოოტექნიკოსი, პროფესორი (1930), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1962). დაამთავრა ჰილე-ვიტენბერგის (გერმანია) ზოოტექნიკური ინსტიტუტი (1925). 1925-1947 წ.წ. ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას თსუ-ში, თბილისის ზოოვეტერინალურ და მეცხოველეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. 1947-73 წლებში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცხოველეობის კათედრის გამგე. მის ნაშრომებში გაშუქებულია ცხერის მეტიზაციის, მატყლის სტანდარტიზაციის, ხევსურული ძროხის ოსტეოლოგიის, აგრეთვე, საქართველოს მეცხოველეობის სხვა საკითხები. გარდა ამისა, დ. აგლაძემ თარგმნა კლასიკური ნაშრომები გენეტიკაში, დაამუშავა ქართული ზოოტექნიკური ტერმინოლოგიის საკითხები, დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით.

**აგლაძე გოგოთურ დავითის ძე** (1930, 15. 09, მუხლი, ამბროლაურის რ-ნი). 1948 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა ოქროს მედალზე; 1953 წ. კი – საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტი. 1954-57 წ.წ. ასპირანტურაში სწავლის პერიოდში დაამუშავა და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, მუშაობდა უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად საქართველოს მიწათმოქმედების ინსტიტუტში; 1959-91 წ.წ. საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევით ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, მდელოსნობის განყოფილების გამგე, მეცხოველეობის სექტორის გამგედ; 1975-91 წ.წ. – ინსტიტუტის რექტორად. 1975 წ. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1978 წ. მიენიჭა პროფესორის წოდება. არის 180-ზე მეტი შრომის, მათ შორის 15 გამოგონებისა და 3 მონოგრაფიის ავტორი. 1981 წ. მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია. 1991 წ. აირჩიეს საქართველოს სოფლის

მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად და ვიცე-პრეზიდენტად. არის საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების თავმჯდომარე, სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალების რედკოლეგიების წევრი: არჩეულია რუსეთის ფედერაციის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. მისი ხელმძღვანელობით შესრულდა 10 საკანდიდატო და 3 სადოქტორო დისერტაცია.

**აგლაძე ვაჟა**, კარდიოლოგი, მედ. მეცნ. კანდიდატი, უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი. დაიბადა 1960 წ. 16 თებერვალს თბილისში. დაამთავრა 'თსსი-ს სამკურნალო ფაკულტეტი (1977-83 წ.წ.), იყო ტუბერკულოზის ს/კ ინსტიტუტის სანიტარი (1976–77), კარდიოლოგიის ს/კ ინსტიტუტის კლინიკური ორდინატორი (1983–85), ამავე ინსტიტუტის მიოკარდის ინფარქტის განყოფილების კარდიოლოგ-რეანიმატოლოგი 1985-90, 1990 წლიდან ამავე განყოფილების უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელია. 1999 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „მიოკარდის ინფარქტის უმწვავეს ფაზაში რეგისტრირებული სტანდარტული ელექტროკარდიოგრამის ზოგიერთი პარამეტრის მნიშვნელობა ნეკროზის საბოლოო ზომის პროგნოზირებისათვის." ავტორია 9 სამეცნიერო ნაშრომისა, მიოკარდის ინფარქტის საბოლოო ზომის პროგნოზების, თრომბოლიზური თერაპიის ეფექტიანობის შესახებ. არის ევროპის კარდიოლოგთა ასოციაციის, საქართველოს კარდიოლოგთა ასოციაციის, ასოციაცია „საქართველოს კარდიოლოგია – XXI საუკუნე", წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ფირმა „ორიონის" მიერ გამოცემულ ცნობარში (1998).

**აგლაძე (აღლაძე) ილია სიმონის ძე** (1872, 15.VII. – 1948). პუბლიცისტი, ჟურნალისტი, მთარგმნელი. მისი თარგმანები, ფელეტონები, პუბლიცისტური წერილები იბეჭდებოდა 1894 წლიდან. 1894–1902 წ.წ. მუშაობდა ილია ჭავჭავაძის „ივერიაში." 1908–1910 წლებში ი. აგლაძე „დროებისა" და მისი სურათებიანი დამატების რედაქტორია. იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა" და ქართული დრამატული საზოგადოების აქტიური წევრი. თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული სტატიებისთვის მეფის მთავრობა დევნიდა. 1910 წელს დააპატიმრეს. 1917 წლამდე გადასახლებაში იყო. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მუშაობდა „კომუნისტის", „ლიტერატურული საქართველოსა" და „მნათობის" რედაქციებში. ი. აგლაძემ თარგმნა ა. პუშკინის, ი. ტურგენევის, ლ. ტოლსტოის, ა. ჩეხოვის, მ. გორკისა და სხვათა თხზულებანი.

**აგლაძე ლავრენტი ალექსის ძე** (1884, 10.01, ზემო ბარი, ონის რ–ნი – 1955). მოქანდაკე.

1913 წლამდე იმყოფებოდა ბაქოში. შემდეგ გადმოვიდა თბილისში და მუშაობდა ქვაზე მოქანდაკე-გამომკვეთად. მის მიერ ქვაში გამოკვეთილია თბილისის თითქმის ყველა დიდი მონუმენტი, სახელდობრ: შ. რუსთაველის მონუმენტი, ს.

კიროეის, ლ. კეცხოველის, კ. ლესელიძის ბიუსტები, სტალინის მონუმენტები ქუთაისსა და ფოთში. ყველაზე ნატიფ ნამუშევარს წარმოადგენს ქაშუეთის ეკლესიის კანკელი, გამოკვეთილი იტალიური მარმარილოსაგან და საჯარო ბიბლიოთეკის ჩუქურთმები და კაპიტელების მოხატულობა, რომელიც მისივე ჩანაფიქრია და გადატანილია ქვაზე.

მისი მოღვაწეობის შესახებ დაიბეჭდა ვრცელი ნარკვევი ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში" (1956, №2-3).

**აგლაძე მარინა**, კარდიოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, თერაპიის ს/კ ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. დაიბადა 1959 წ. 23 მარტს თბილისში. დაამთავრა თსსი-ს სამკურნალო ფაკულტეტი (1976-82 წ.წ.), კლინიკური ორდინატურა გაიარა კარდიოლოგიის საკავშირო სამეცნიერო ცენტრის, კლ. კარდიოლოგიის ს/კ ინსტიტუტში (1983-85). 1985 წლიდან თერაპიის ს/კ ინსტიტუტის თანამშრომელია. 1993 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „ანგიოტენზინის გარდამქმნელი ფერმენტის ინჰიბიტორებისა და დიგოქსინის შედარებითი ეფექტიანობა გულის ქრონიკული უკმარისობის ხანგრძლივი მკურნალობის დროს." ავტორია 12 სამეცნიერო ნაშრომისა, რომლებიც ეხება გულის ქრონიკული უკმარისობისა და გულის ქრონიკული იშემიური დაავადების მკურნალობის პრობლემებს. არის ევროპის კარდიოლოგთა ასოციაციის წევრი.

**აგლაძე მზია შოთას ასული** (1930, 04.11, თბილისი), ისტორიკოსი, პედაგოგი. 1949 წელს დაამთავრა თბილისის 25-ე საშუალო სკოლა, 1955 წ. კი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. ამავე წლიდან დაიწყო მუშაობა თბილისის 62-ე საშუალო სკოლაში უფროს პიონერხელმძღვანელად, შემდეგ - პედაგოგად. სხვადასხვა წლებში მუშაობდა რიგ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე: თბილისის ორჯონიკიძის (დღევანდელი ვაკის) რაიონის განათლების განყოფილების ინსპექტორად, ამავე რაიონის რაიკომის ინსტრუქტორად.

1960 წელს აირჩიეს მეორე რესპუბლიკური კონფერენციის მიერ განათლების უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულების მუშაკთა პროფკავშირის წევრად, თბილისის XI და XII მოწვევის ქალაქის საბჭოს დეპუტატად (1967-71, თბილისის ორჯონიკიძისა და 26 კომისრის სახელობის რაიონების სარევიზიო კომისიის წევრად (1970-79 წ.წ.). 1975 წლიდან თბილისის 99-ე საშუალო სკოლის დირექტორია.

1982 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება.

ამჟამად მუშაობს თბილისის რკინიგზის №2 საშუალო სკოლის დირექტორად.

დაჯილდოებულია საპატიო სიგელებითა და მედლებით. მინიჭებული აქვს

უმაღლესი საკვალიფიკაციო კატეგორია (1991).

**აგლაძეები, ძმები ვლადიმერ, ნეოფიტე და მათი მოგვარე ლავრენტი**, ქვის მხატვრულად დამუშავების ქართველი ოსტატები. თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვით რევოლუციამდელი და საბჭოთა პერიოდის თბილისის მშენებლობაში.

**აგლაძე ვლადიმერ დიმიტრის ძე** (1879, სოფ. მუხლი, ახლანდელი ამბროლაურის რაიონი, – 1959, თბილისი). სწავლობდა თბილისში იტალიელ ოსტატ ანდრეოლეტის სახელოსნოში. 1906 წელს დააარსა ქვაზე მომუშავეთა პროფესიული ორგანიზაცია. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მუშაობდა მშენებელთა კავშირის თავმჯდომარედ, სააქციო სამშენებლო საზოგადოების თავმჯდომარედ და სხვ. მონაწილეობდა თბილისში მთავრობის სახლის, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის, ქალაქის ევგზლის „საქსახშირის“ ადმინისტრაციული სახლის, მეტეხის ახალი ხიდის და სხვ. მხატვრულ გაფორმებაში.

**აგლაძე ლავრენტი ალექსის ძე** (1884 წ., სოფ. ბარი, ახლანდელი ონის რ-ნი, – 1958, თბილისი). სწავლობდა ბაქოში იტალიელი ოსტატის ფრანზის სახელოსნოში (1897–1901 წ.წ.), 1913 წლამდე იქვე მუშაობდა. მონაწილეობდა საზოგადოებრივ და კერძო ნაგებობათა ფასადების მხატვრულად გაფორმებაში (ბაქოს რეალური სასწავლებელი, 1905 წ. და სხვ.). 1913 წლიდან მუშაობდა თბილისში ნეოფიტე აგლაძის სახელოსნოში. მონაწილეობდა თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის (ამჟამად ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ეროვნული ბიბლიოთეკა), სასტუმრო „მაჟესტიკის“ (ამჟამად „თბილისი“), მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის, თბილისის ფუნიკულიორის ზედა სადგურის, კინოთეატრ „რუსთაველის“, „დინამოს“ სტადიონის (ორივე თბილისში) მხატვრულ გაფორმებაში.

**აგლაძე ნეოფიტე დიმიტრის ძე** (1874, სოფ. მუხლი, ამბროლაურის რ-ნი, – 1956, თბილისი). 1887 წლიდან სწავლობდა თბილისში ადრეოლეტის სახელოსნოში. 1912 წელს გახსნა საკუთარი სახელოსნო, იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტის (ქვის კვეთა) და სამხატვრო-სამშენებლო სახელოსნო სასწავლებლის (1945–1953) (ამჟამად თბილისის მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო პროფტექნიკური №11 სასწავლებელი) პედაგოგი. მუშაობდა ვლადიმერ, ნიკო და ლავრენტი აგლაძეებთან ერთად. მონაწილეობდა ქაშუეთის ტაძრის, თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალისა და სხვ. არქიტექტურულ ნაგებობათა მხატვრულ გაფორმებაში. შეაკეთა სვეტიცხოვლის კარნიზები და ქვის სახურავი. ქვაში გამოკვეთა ქართველ მოქანდაკეთა მრავალი სკულპტურული ნამუშევარი. ხელი შეუწყო ქართული ტრადიციული ხუროთმოძღვრული ჩუქურთმის გაცოცხლებას თანამედროვე ეროვნულ არქიტექტურაში.

**აგლაძე რაფიელ ილიას ძე** (დ. 29.XII. 1911, თბილისი), ელექტროქიმიკო-

სი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1946). საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი და ელექტროქიმიურ წარმოებათა ტექნოლოგიის კათედრის გამგე (1944). სხვადასხვა დროს იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1947-51), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის დირექტორი (945-51), გამოყენებითი ქიმიისა და ელექტროქიმიური ინსტიტუტის დირექტორი (956-1960). აქვს შრომები ელექტროქიმიისა და ელექტრომეტალურგიის დარგში. მისი ხელმძღვანელობით დაინერგა წარმოებაში ლითონური მანგანუმის მიღების ელექტროლიზური მეთოდი (სსრკ სახელმწიფო პრემია, 1943), სსრკ უმაღლესი საბჭოს II და III მოწვევების დეპუტატი. დაჯილდოებულია ლენინის ორდენითა და მედლებით (ქსე, ტ. 1. თბ., 1975, გვ. 58–59).

სხვა ღვაწლმოსილი ადამიანები არიან:



**აგლაძე გალაქტიონი** – კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე, ფიზიკურად და მორალურად ძლიერი, უაღრესად პატიოსანი ადამიანი.

**აგლაძე გიორგი** – ყოფილი სოფლის დიაკონი, წინათ წივის გეირაბის მუშა. მოსახლეობაში სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით. ეწეოდა რელიგიის პროპაგანდას.

**აგლაძე დათო** – გაზის მეურნეობის ღვაწლმოსილი მუშაკი, მშრომელი, ზედმიწევნით ობიექტური და პატიოსანი პიროვნება.

**აგლაძე დალოსტი** – დიდი სამამულო ომის აქტიური მონაწილე, კარგი მეოჯახე.

**აგლაძე ლევანტი (ლევო)** – განათლებული პიროვნება, სოფლის პროპაგანდისტი.

**აგლაძე მარო** – აქტიური კოლმეურნე, ორდენოსანი.

**აგლაძე სეფორე** – სახელოვანი დიასახლისი, ძვირფასი კულინარი.

**აგლაძე შუშანა** – კარგი მევენახე, აქტიური კოლმეურნე.

**აგულაშვილი** შდრ.: მამაკაცის საკუთარი სახელები: აგულო, აგულა (ალ. ღლ. 67). აგულა, ართრონით ა ნაწარმოები სიტყვაა. იგივეა, რაც გულა, გულია, გულო და მისთ. (გულაშვილი, გულიაშვილი). ბევრი ამ გვარისანი რუსული ფორმით ოგით ჩაწერეს. დღეს 49 სულზე მეტი აგულოვა-დაა ჩაწერილი (*თბილისი – 10, გურჯაანი – 3, რუსთავი – 2*). დროა, მათ აღიდგინონ პირვანდელი გვარსახელი – აგულაშვილი.

**აგუმავა//აგუმაა.** გვარში ფუძეა მამაკაცის საკუთარი სახელი გუმა, ა ართრონია, ხოლო ვა სუფიქსი.

თავდაპირველად იწერებოდა და გამოითქმოდა აგუმაა (–გუმაშვილი, გუმა-

**აგულაშვილი 131**
**საგარეჯო – 57,**
**თბილისი – 43,**
**გურჯაანი – 21.**

**აგუმავა 182**
**ზუგდიდი – 108,**
**თბილისი – 32,**
**ხობი – 10;**
**აგუმაშვილი 241**
**ახმეტა – 207,**
**თელავი – 19,**
**თბილისი – 12.**

ძე), – გვარზე ნ. ჯომიდავა წერს: „აგუმაგა. აფხაზურ ენაში ეს გვარი გამოითქმის, როგორც აგუმაა და ასეა აგებული: ა– თავსართია, რომელიც ხშირად დაერთვის, როგორც აფხაზური წარმოშობის, ისე ნასესხებ გვარებს (ა–რუხაძე, ა–ჯონჯვალ, ა–ამფარ, ა–ნქვაბ, ა–პაშბა...); გუმ ძირია, რომელიც უკავშირდება გეოგრაფიულ სახელს და ზოგ გვარშიც გვხვდება (გუმბა). შდრ.: ტოპონიმი გუმისთა“ (გვ. 14).

გუმისთა უადგილოდაა მოხსენიებული. როგორც უკვე ვნახეთ, ა თავსართს ურთავენ არამარტო აფხაზები, არამედ ა–ს იყენებს ქართული სინამდვილეც. უბრალოდ, აფხაზებთან უფრო პოპულარულია. აფხაზებს აქვთ გვარები ამპარი (ამფარი) და ანქვაბი. ამ გვარებში ართრონებია არა ასო ა, არამედ ამ და ან (იქნებ ამ–ფარ, ან–ქვაბ).

**აგუმაა 122**
**სვანეთი 2.**
**აგურაშვილი 89**
**ყვარელი – 39,**
**თელავი – 37,**
**თბილისი – 12.**

**აგუმაა შამილ გიორგის ძე** მოხსენიებულია ოჩამჩირის რაიონის სოფელ ილორის მცხოვრებად.

**აგუმაა შამილ ივანეს ძე** იმავე რაიონის სოფელ რეკაში. ორივენი მართლმადიდებლები და ქართველები არიან.

**აგურაშვილი** გვარის ფუძის კვლევა ლინგვისტებისთვის მიგვინდვია. ა–გურ–ა (შდრ.: **გურაბანიძე, გურალიძე, გურამაშვილი//გურამიშვილი, გურასპაშვილი...**)

**ადამაშვილი 834**
**თბილისი – 602,**
**ბოლნისი – 52,**
**კასპი – 34.**

**ადამაშვილი//ასლანიშვილი.** ადამაშვილის გვარის ფუძეა მამაკაცის საკუთარი სახელი **ადამ**. ადამაშვილი ეპონიმური გვარსახელია. შდრ.: ადამ – მონაწილეობს კათალიკოსის ყმების: ტოხაძის, არმაზ და რევაზ ხიმშიაშვილებს შორის ყმა–მამულზე დავის გარიგებაში (XVI ს.).

**ადამაშვილი მახარებელი** – მოწმე სვიმონისა და მისი ძმების გაყრისა (1489 წ.)

**ადამაშვილი** ქართული გვარსახელია და ფუძედ გამოყენებული აქვს ძველებრაული სახელი **ადამ**. ადამაშვილთა მეორე გვარია **ასლანაშვილი** (იხ. **ასლანიშვილი**).

1843 წლის აღწერით, პატარა თონეთში *(სოფ. დვალთა, თეთრიწყაროს რ–ნი)*, მოიხსენიება **იაკობ ასლანაშვილი** (იგივე **ადამაშვილი**), **სოსია** და **გოგია ასლანაშვილი** (**ადამაშვილი**) *(სცსსა, ფ. 254. I. 2043. ფ.328)*.

მაწევენელმა (სოფ. თეთრიწყაროს რაიონში) **მიხეილ ანდრიას ძე** და **გიორგი ანდრიას ძე ადამაშვილებმა** მონათლეს შვილები **იოსები** და **სოლომონი** – მიმქმელი იყო თანასოფლელი **დავით გიორგის ძე ლომსაძე** *(სცსაა, ფ. 489. აღწ. 9. თ/წ. № 1). (იხ. იაკობ ახუაშვილი. ქართული გვარ–სახელები. ტ. I. თბ., 1994. გვ. 194)*.

ბორბალო ერთ–ერთი ლამაზი სოფელია თეთრიწყაროს რაიონში. მისი მდებარეობა წიგნის შესავალში იმ გორას გახსენებს, წინაპრები რომ სახლობდ–

ნენ. დღევანდელი სოფლის მკვიდრნი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან XIX ს-ის II ნახევრიდან არიან მოსულნი. **გელა დავითის ძე ადამაშვილის** წინაპრები ბორჩალოელები იყვნენ. ისინი თბილისში XX ს-ის დასაწყისში ჩამოსულან.



**ადამაშვილი გელა დავითის ძე,** დაიბადა 1932 წლის 25 მაისს, თბილისში.

დაამთავრა თბილისის ვაჟთა II საშუალო სკოლა და თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი. 1957–1962 წლებში მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში. 1962 წლიდან ჯერ კულტურის სამინისტროში, ხოლო 1963 წლიდან კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტში განყოფილების გამგედ, საქართველოს უფროსად, რესპუბლიკური გაერთიანება „საქკინოშრეწემომარაგების“ გენერალურ დირექტორად. 1972–1978 წ.წ. მუშაობდა კინოპროპაგანდის ბიუროს საქართველოს განყოფილების დირექტორის მოადგილედ. 1978–1995 წლებში – თბილისის კინოს სახლის დირექტორად. 1992 წელს მიენიჭა რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება. ამჟამად პენსიონერია.

მეუღლე – **ნანა დავითის ასული თუთბერიძე,** საქართველოს დამსახურებული მასწავლებელია. ვაჟი **დავით ადამაშვილი** 1976 წლიდან ცხოვრობს და მოღვაწეობს პოლონეთში, ვარშავაში. ამჟამად მუშაობს ფირმა „დელონგის“ პრეზიდენტად. **ირინა ადამაშვილი** მუსიკოს-პიანისტია.



**ადამაშვილი დავით გელას ძე,** დაიბადა 1953 წლის 25 ივნისს თბილისში. დაამთავრა თბილისის 126-ე საშ. სკოლა და ტექნიკური უნივერსიტეტის კავშირგაბმულობის ფაკულტეტი.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ცოლად მოიყვანა პოლონელი **ელჟბეტა ფელიქსის ასული ბენკოვსკა** და 1976 წლიდან საცხოვრებლად გადავიდა პოლონეთში, ვარშავაში.

მუშაობდა ატომგულისა და ფიზიკის ინსტიტუტებში მეცნიერ-თანამშრომლად, ხოლო 1978 წლიდან მუშაობა დაიწყო პოლონეთის ანსამბლში „ბალეტი ყინულზე“ მთავარ ინჟინრად. ბალეტის შემოქმედებითი კოლექტივი გასტროლებზე იყო მსოფლიოს 38 ქვეყანაში, მათ შორის – საქართველოშიც.

ამჟამად დ. ადამაშვილი ბიზნესმენია. იგი პოლონეთში ფირმა „დელონგის“ პრეზიდენტია. ფირმა, რომელსაც დათო ადამაშვილი ხელმძღვანელობს, პოლონეთის გარდა, მომსახურებას უწევს აღმოსავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანას, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებსა და ბელორუსიას. საქმიანი ურთიერთობა აქვს საქართველოში არსებულ ფირმა „მიმოსთან“ და სხვა სამშენებლო დაწესებულებებთან.

დ. ადამაშვილს ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და შვილიშვილი.

შვილი **გიორგი (გოგლიკა) დავითის ძე ადამაშვილი** ექიმ-სტომატოლოგია,

ხოლო ქალიშვილი – კინგა – კოლეჯის მე–10 კლასის მოსწავლე.

დავით ადამაშვილი მჭიდრო კავშირშია თავის მშობლებთან გელა ადამაშვილთან და ნანა თუთბერიძესთან. არის ძალიან მოსიყვარულე, მზრუნველი და ყურადღებიანი.



**ადამაშვილი გიორგი ამირანის ძე** დაიბადა 1952 წლის 28 ოქტომბერს ქ. თბილისში. დაამთავრა. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი, ხოლო მოგვიანებით კი – ვ.ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი. 1971 წლებში მუშაობდა გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" რედაქციაში ლიტმუშაკად. 1974–1985 წლებში – საქართველოს ყრუთა საზოგადოების თბილისისა და რუსთავის წარმოებებში: კადრების განყოფილების უფროსად, პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარედ, დირექტორის მოადგილედ, დირექტორად. 1986–1989 წლებში – თბილისის გაერთიანება „ჰიგიენა"-ს პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ. 1989–1999 წლებში – „თელასი"-ს პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარედ, გენერალური დირექტორის მოადგილედ: კადრების დარგში, ენერგოგასაღების დარგში, საერთო საკითხებში. 2001–2003 წლებში – შპს „გამომცემლობა სამშობლოს" სამეურნეო განყოფილების უფროსად, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. 2002 წელს გამოვიდა მისი მხატვრულ–დოკუმენტური წიგნი „მოდით, კაცებად დავრჩეთ ბოლომდე!", რომელიც მიუძღვნა მამის – **ამირან ადამაშვილის** ხსოვნას. ჰყავს მეუღლე – **გულნარა გუგუშვილი**, ქალიშვილი – **მაია და გიორგი**, შვილიშვილი – **ნანუკა ზაუტაშვილი**.



**ადამაშვილი ამირან ისაკის ძე** დაიბადა 1909 წლის 15 სექტემბერს თბილისის გუბერნიის მანგლისის დასახლების სოფელ თეალთაში (ამჟამად – პატარა თონეთი). 1913 წლიდან ცხოვრობს თბილისში. 1928–1930 წლებში მუშაობდა საქართველოს კომკავშირის ცკ საკონტროლო კომისიის მდივნად და კოოპერატიული კომისიის თავმჯდომარედ. 1930–36 წლებში მუშაობდა კომკავშირის გორის, კასპის, სამტრედიის რაიკომების მდივნად, პარტიის სამტრედიის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, თბილისის ლენინის რაიკომის ინსტრუქტორად, სავაგონო–სარემონტო ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნად, ამიერკავკასიის რკინიგზის პოლიტგანყოფილების ინსტრუქტორად.

1931 წელს აირჩიეს საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად. 1937–1940 წლებში რეპრესირებული იყო და მხოლოდ ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის მიხა ცხაკაიას ჩარევით მოხდა მისი, როგორც უდანაშაულო ადამიანის გათავისუფლება. რეაბილიტაციის შემდეგ, 1941–1972 წლებში მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზაზე. იყო საკარიერო

მეურნეობის უფროსი, ავეჯის ფაბრიკის დირექტორი, გზის უფროსის საინფორ-მაციო ჯგუფის უფროსი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახუ-რის უფროსის მოადგილე, მთავარი სამასალო საწყობის უფროსი, მგზავრთა მომსახურების საგზაო კანტორის უფროსი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველ-ყოფის სამსახურის უფროსი ინჟინერი.

1966–72 წლებში საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობდა თბილისის სახალ-ხო კონტროლის კომიტეტის საორგანიზაციო მუშაობის განყოფილების გამგედ.

1925–1950 წლებში ახლო ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწესთან მიხა ცხაკაიასთან, მის ოჯახთან.

დაჯილდოებულია: ნიშნით „საპატიო რკინიგზელი“, ნიშნით „სსრკ სახალხო კონტროლის ორგანოებში აქტიური მუშაობისათვის“, მედლებით: „კავკასიის დაცვისათვის“, „კეთილსინდისიერი შრომისათვის დიდ სამამულო ომში – 1941–1945 წლებში.“ ჰყავდა მეუღლე – **გაიანე გიორგი ასული ბერიაშვილი**, დაბ. 1922 წ., მასწავლებელი. ჰყავს ორი შვილი: **ამირან ამირანის ძე ადამაშვილი**, დაბ. 1951 წელს, **გიორგი ამირანის ძე ადამაშვილი** – დაბ. 1952 წელს. გარდაიცვალა 1972 წლის 11 დეკემბერს. დაკრძალულია კუკიის ახალ სასაფლაოზე.

**ადამაძე 237**
**ქუთაისი – 116,**
**წყალტუბო – 68,**
**თბილისი – 17.**
**შდრ.: ადამიძე 52**
**ბათუმი – 25,**
**თბილისი – 21,**
**გურჯაანი – 4.**

**ადამაძე** მიღებულია სახელისაგან **ადამ** (შდრ.: **ადამაშვილი**).

შენიშვნა: რუსიფიკაციის შედეგად ბევრი ადამაშვილი ადამოვადაა ჩაწერილი. *ადამოვი 245 (თბილისი – 121, გარდაბანი – 38, გორი – 16.* ადამოვებს შეუძლიათ აღიდგინონ მამა-პაპური გვარი **ადამაშვილი**.

**ადამია** [ადამ (ძე. ებრ.) თიხა, წითელი მიწა; საკუთარი სახელი ადამ–ა *(ქცხ. I. ალ. ღლ. 68)]*

**ადამია 2790**
**სენაკი – 708;**
**თბილისი – 621;**
**ზუგდიდი – 223.**

**ადამი** ძველ ებრაულად ადამიანი. იუდაისტურ და ქრისტიანულ მითოლოგიებში ადამიანთა მოდგმის წინაპარი. ძველი აღთქმის მიხედვით, ღმერთმა სამყაროს შექმნა მეექვსე დღეს დაასრულა იმით, რომ ადამი შექმნა თიხისაგან „ხატისაებრ თვისისა“, სიცოცხლის სული შთაბერა და საბრძანებლად დაუმკვიდრა დედამიწა და ყოველი სულიერი. ადამის მითი (ძველი აღთქმის გავლენით) ყურანშიც აისახა. ამიტომ ადამი მაჰმადიანებისთვისაც ადამიანის წინაპარია. ადამი-საგან წარმოდგება ქართული სიტყვა „ადამიანი“ – ადამის ჩამომავალი. ადამის–განაა ნაწარმოები გვარები **ადამა–შვილი, ადამაძე, ადამია, ადამიძე**.

**საქართველოში ყველაზე დაწინაურებულ 1000 გვარში ადამიას 245–ე ადგილი უკავია.** სენაკის რაიონში კი – მეოთხე ადგილზეა. საქართველოში დღეისათვის არსებულ 25.000 გვარში 245–ე ადგილი უდიდესი მიღწევაა. კომლია: **ეკი – 35, ზანა – 20, ახალხიბულა – 17, ინჩხური – 13, თამაკონი – 10, თეკლათი – 6, ორსანტია – 6, მარტვილი – 6, ქვემო ჭალადიდი – 5, ძველი სენაკი – 5,**

ჭაქვინჯი – 5 და სხვ. ტოპონიმი: ადამიე – უბანი ქიქოძეებსა და საგვიჭიოს შუა (პატარა ინჩხური). საადამიო – სოფელი ციეის მარცხენა მხარეს, ეკის თემში (აქაური ადამიების გადმოცემით, მათი წინაპარი ხონიდან მესისხლეობას გამოქცევია და თავი აქ შეუფარებია). საადამიო – უბნები ჭკადუაშში, ზუგდიდში (საჯიჯაოს თემი).

„ადამია ბოშას მემკვიდრენი ამ ადგილზე ნიდო ასახლა, ბოშა თურების დიდი იყო. ადამიები ერთი თურია, მას რამდენიმე ტოტი აქვს, რამდენიმე გამ-ნარყი – განაყარი, დიდი. ერთი მათ შორის ბოშა ბურებია. ბოშა ახალი თურის მეთაური არაა, იგი ადამიების ერთი ტოტის მეთაურია. მისი დიდი მრავალ-რიცხვანია და პირობითად თურადაა მინიშნებული" *(მთქმ. დურუ დავითის ძე ადამია, 92 წლის, ეკი, სენაკის რ-ნი, დაცულია მარტვილის მუზეუმში, 80).*

ანთხოჯის (მათხოჯი) ერთ საკათალიკოზო დავთარში, რომელიც XVIII ს-ის I ნახევარს, დაახლოებით 1720–1740 წლებს ახალ ხანებს მიეკუთვნება, მოიხსე-ნიებიან: მამუკა, გიორგი, დავით, კაცობა, მამუკელა, ბუხულია, სვიმონა, მახარო-ბელი, ხახუტა, დათუნა, მამისთვალა ადამიები *(იხ. საისტორიო კრებული, წგნ. I, ტფ., 1928, გვ. 39–40).* რუსეთის მეფის მთავრობამ აზნაურად სცნო და საგ-ვარტომო წიგნში შეიტანა ქართველი წარჩინებული ადამია ივანე ოტიას ძე ( L.æ Œ Œ , .II, 17). ადამიების გვარში ცნობილნი არიან:

ადამია აზა, სტუდენტი, საქართველოს ეროვნული მოძრაობის მონაწილე გმირი გოგონა. 1989 წლის 9 აპრილს, მაშინდელი სსრ კავშირის ჯარის მიერ თბილისში ეროვნული მოძრაობის ჩახშობის მიზნით მოწყობილი სისხლიანი ანგარიშსწორების ერთ-ერთი მსხვერპლი იმ 19-დან, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას შეეწირა.

ცნობილმა მხატვარმა ბატონმა რევაზ (რეზო) ადამიამ ჩვენი თხოვნით თავის გვართან დაკავშირებით ასეთი ინფორმაცია მოგვაწოდა:

„ჩემი ბავშვობიდან კარგად მახსოვს, მშობლები, ბებია და ბაბუა როგორი სათუთად ინახავდნენ აბრეშუმის საჭერზე დაკრულ გაყვითლებულ ქაღალდს, რომელსაც ორთავიანი არწივის გამოსახულება ჰქონდა (ოქროთი მოვარაყებუ-ლი) და ნიკო გიგოს ძე ადამიას აზნაურობის დამადასტურებელ „აბრეშუმის ქაღალდს" წარმოადგენდა *(ასე ეძახდნენ ამ დოკუმენტს).* ბებია თეითონაც თავადის ქალი იყო, პარასკევა (კესია) ჯაიანი, მარტვილის რაიონის სოფელ ალერტიდან. იქვე ახლოს ცხოვრობდნენ მისი წინაპრები. მათ სახლთან ახლოს იდგა მაღლობი მოსილი წმინდა გიორგის სახელობის ალერტის ეკლესია. ეკლესიაში ჯაიანებს დიდი გავლენა ჰქონიათ.

ბაბუას ჰქონია 15 დესეტინამდე მიწა. ის წარმოადგენდა ჩვენი სახლის უკან მიმდებარე ტეხურისპირა *(სოფელი ძველი სენაკი, ყოფილი სენაკის მაზრა)* და ქვემო სორილის მთის ძირის მიწა-წყალს. ჰქონია წყლის პატარა წისქვილი, სამოვრები, ტყე და სახეხრად ტყე ვენახი, რომლიდანაც მოწეული ღვინო ოჯახს

თავისუფლად ჰყოფნიდა. დასაწყისში ჰყოლიათ ორი მოსამსახურე, რომლებიც ბებიას გამოაყოლეს ჯვაიანებმა.

ბაბუას ქუთაისის გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული. ზედმიწევნით იცოდა რუსული ენა და ლიტერატურა, წერდა ლამაზი კალიგრაფიით. მისი ალბომებიდან შემორჩა ერთი, ისიც განახევრებული. ალბომში ამოწერილი აქვს აკაკის, ილიას, ვაჟასა და სხვა მწერლების ლექსები. ბაბუა დაბადებულა დაახლოებით 1855 წელს. ჩვენს ოჯახთან დაახლოებულნი ყოფილან ნემსაძეები, მხეიძეები (იგივე ხუციები), ჩიქოვანები.

წინაპრებმა შრომაც კარგი იცოდნენ და ქეიფიც. იმართებოდა ქეიფები. ედგათ დიდი ოდა სახლი. ჰქონდათ ორი ბეღელი, ბადუ ანუ სიმინდის ნარჩენის (ფუჩეჩის) შესანახი ადგილი. დიდ ფიცრულ სასაუზმეში (კუხნაში) მოთავსებული იყო მარანი. ედგათ ასობით კოპიტის ხე, კაკალი, თუთის ხე. ბაბუაჩემს რევოლუციაში მონაწილეობა არ მიუღია. ბაბუას მამა გიგო ყოფილა წერილი მემამულე, თქმულებით, გიგო თუ მისი მამა მათე, ხონის სოფელ მათხოჯიდან გადმოსულან.

ბაბუას ერთ-ერთი მამიდა ყოფილა მონაზონი, დედათა მონასტრის იღუმენი. ბაბუას ბოხჩაში გამოკრული ჰქონდა ვექსილები. ჩამოწერილი ჰქონდა, თუ ვის რამდენი ემართა. იგი ხომ ხალხის მწერალი იყო და ადამიანები კეთილი სამსახურისთვის მას აჯილდოებდნენ. ბაბუა ხშირად იტყოდა ხოლმე, შენი ერთი ძროხა ამ კალმის წვერზე მიზისო. რამდენიმე წელიწადი მუშაობდა სერაკის მაზრის მწერლად, ჰყავდა 6 შვილი. ერთ-ერთი აჯანყებული გამოსვლის შემდეგ საზღვარგარეთ გადაიხვეწა და მას შემდეგ არ ვიცით მისი გზა-კვალი. უფროს ვაჟსაც ქუთაისის გიმნაზია ჰქონია დამთავრებული. 1924 წლის გამოსვლებში მამაჩემს მიუღია მონაწილეობა. ბაბუა და მამა დაუჭერიათ და დახვრეტის მუხლი მოუყენებიათ. ბევრი დაუხვრეტიათ, შემდეგ მოუსწრიათ მიხა ცხაკაიას, ფილიპე მახარაძეს, საშა გეგეჭკორს. ამ დროიდან შეუწყვეტიათ დახვრეტები.

ბაბუა გარდაიცვალა 1936 წელს. მოხუცები ნაკითხნი იყვნენ, გამოწერილი ჰქონდათ ჟურნალ-გაზეთები. დედაჩემი ხორავების ქალი იყო, აკაკი ხორავას შორეული ნათესავი. ბიძაჩემი ყოფილა ბუღალტერი. კარგად მღეროდა. უცოლოდ, ადრე გარდაიცვალა" *(ჩაწერილია თბილისში. 1998 წლის 15 მაისს).*

**ადამია ავთანდილი,** ტრანსფუზიოლოგი, მედიცინის მეცნ. კანდიდატი, განყოფილების გამგე, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, უმაღლესი კატეგორიის ექიმი.

დაიბადა 1920 წ-ის 15 სექტემბერს თბილისში. დაამთავრა თსს-ის სამკურნალო ფაკულტეტი *(1938–42 წ.წ.).*

1943 წლიდან მუშაობს აკად. გრ. მუხაძის სახ. ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტში, 1998 წლიდან განყოფილების გამგეა. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „სქურის მინერალური წყლის გამოყენება სისხლის

დასაკონსერვებლად“ (1963). ავტორია 60 სამეცნიერო ნაშრომისა, გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფიები: „სისხლის კონსერვაციისა და გადასხმის მეთოდები“ („საბჭოთა მედიცინა“, 1970); „ორეტაპიანი მეთოდი სისხლის დამზადებისათვის“ („საბჭოთა მედიცინა“, 1972); „სისხლის კონსერვაციისა და გადასხმის მეთოდები“ (მეორე დამატებითი გამოცემა, „საბჭოთა მედიცინა“, 1974). ხელმძღვანელობს ექიმებისა და ექთნების კვალიფიკაციის ამაღლებას. 4-გზის დაჯილდოებულია პრემიით, საპატიო სიგელებით (1941–45), მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ (1946), „საპატიო ნიშნის“ ორდენით (1981) და ორი მედლით. არის თბილისის ჰემატოლოგთა და ტრანსფუზიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების წევრი. აქვს ორი გამოგონება (1982).



**ადამია ალიო კონსტანტინეს ძე**, მწერალი. პირველი ლექსები 1931 წელს გამოაქვეყნა. 1932 წელს გამოეიდა ადამიას წიგნი „რამდენიმე ლექსი“, 1936 წელს – კრებული „ლექსები“. მომდევნო ლექსთა კრებულებიდან აღსანიშნავია „ქორწილი კოლხეთში“ (1941 წ.), „მესხეთის გაზაფხული“ (1949), „უბის წიგნიდან“ (1953), „ცისფერი აიენი“ (1964), „სიყვარულის და სიკვდილის ბალადა“ (1962). ავტორია აგრეთვე გახმაურებული რომანისა „დიდი და პატარა ეკატერინე“, მოთხრობებისა და ნარკვევების კრებულებისა.

**ადამია გიორგი პორფილეს ძე**, თერაპევტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1957 წ.), პროფესორი (1959), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1970).



**ადამია გურამ გიორგის ძე**, დაიბადა 1933 წელს ქალაქ თბილისში, თერაპევტ გიორგი ადამიას ოჯახში. დაამთავრა თბილისის ყოფილი მე-7 საშუალო სკოლა. 1958 წელს ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში აგროქიმია-ნიადაგთმცოდნეობის ფაკულტეტზე. განაწილებით სამუშაოდ წავიდა სოხუმში. წლების მანძილზე მუშაობდა სოხუმის ქიმიურ ქარხანაში. ამჟამად აფხაზეთის პერსონალური პენსიონერია. არის შრომის ვეტერანი. აფხაზეთის დამსახურებული ინჟინერი. 1999 წლიდან არის პოლიტიკურ გაერთიანება „ლექტორთა კავშირის“ წევრი. 1999 წლის 31 ოქტომბერს კავშირის მიერ წარდგენილი იყო საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატად. სოხუმი დატოვა 1993 წლის 26 სექტემბერს. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.



**ადამია ელგუჯა გიორგის ძე**, დაიბადა ქალაქ თბილისში, 1937 წლის 1 იანვარს. აწ განსვენებული პროფესორის, თერაპევტ გიორგი ადამიას ოჯახში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, ორდინატურა. დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. ამჟამად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის №2 ჰოსპიტალური თერაპიის პროფესორი.

**ადამია ავთანდილ** – თბილისის სისხლის გადასხმის ინსტიტუტის დოცენ–ტი.

**ადამია ლერი** – რესტორან „გვირილას" დირექტორი.

**ადამია მერაბ** – თბილისის მე–9 საავადმყოფოს ყელ–ყურ–ცხვირის განყ–ოფილების გამგე, პროფესორი.

**ადამია გენო** – სოხუმის 23–ე საჯარისო ბრიგადის უფროსი. ომის პერიოდში მიანიჭეს გენერალ–ლეიტენანტის წოდება. დაიბადა ცხაკაიაში (დღევ. სენაკი), აფხაზ ექსტრემისტთა ტყვეით დაიღუპა 1993 წლის 27 სექტემბერს.

**ადამია შოთა** – დაამთავრა თსუ–ს გეოგრაფია–გეოლოგიის ფაკულტეტი, გეოლოგია–მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სოროსის პრე–მიის ლაურეატი.

მეუღლე – **ციცინო ქიშმარეიშვილი**, დაამთავრა თსუ–ს გეოგრაფია–გეოლოგი–ის ფაკულტეტი. მუშაობს გეოლოგიის დეპარტამენტში.

შვილები: **რევაზი და მარინა.**

რევაზმა დაამთავრა თსუ–ს ბიოლოგიის ფაკულტეტი. ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს პარლამენტის უშიშროებისა და თავდაცვის კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე. მარინამ დაამთავრა მოსკოვის პ. ჩაიკოვსკის სახ. კონ–სერვატორია საკომპოზიტორო განხრით. ამჟამად ცხოვრობს შოტლანდიაში. მუშაობს ედინბურგის უნივერსიტეტში.

**ადამია ვაჟა გიორგის ძე**, დაიბადა 1950 წლის 26 მაისს, თბილისში. სრუ–ლიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების წევრი, ამავე საზოგა–დოების თავმჯდომარე.

უმაღლესი განათლებით. დაამთავრა ქალაქ ჩიტას სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, ექიმი–სტომატოლოგი.

იყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, უზენაესი საბჭოს თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის კომისიის თავმჯდომარე. პარლამენტის წევრად არჩეული იყო საკომპენსაციო სიით სრუ–ლიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოებისაგან.

**ადამია ზურაბ გიორგის ძე** (07.05.1931 წ., თბილისი). *(წინაპართა წარმოშობა: სოფ. ეკი, სენაკის რ–ნი).*

1956 წ. დაამთავრა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ამიერკავკასი–ის ინსტიტუტი კვალიფიკაციით ინჟინერ–მშენებლი ხიდებისა და გვირაბების დარგში. 1957 წლიდან მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის „დორსტროის" რკინა–ბეტონის ქარხანაში სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

1961 წლიდან არჩეულ იქნა სამშენებლო ინდუსტრიის სამეცნიერო–ტექნიკური საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე და უკვე 37 წელია, აქ მუშაობს *(ამ საზოგადოე–ბის ერთ–ერთი მთავარი ჩამომყალიბებელი და უცვლელი თავმჯდომარე 45*

*წლის განმავლობაში იყო მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი, აკადემიკოსი კირი-აკ სამსონის ძე ზავრიევი).*

ზურაბ ადამია ქომაგია სამშენებლო საქმის განვითარებისა საქართველოში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში მოეწყო მრავალი საკავშირო თუ რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია, სიმპოზიუმი და სამეცნიერო თათბირი, რომლებიც გამოიმუშავებდნენ სათანადო რეკომენდაციებს, რითაც ხელს უწყობდნენ საქართველოში სამშენებლო დარ-გის განვითარებას.

ზურაბ ადამია მრავალჯერ იყო არჩეული სამშენებლო ინდუსტრიის სამეც-ნიერო-ტექნიკური საკავშირო საზოგადოების გამგეობის ნამდვილ წევრად.

**ადამია ლევან ზურაბის ძე** და მისი მეუღლე **ელენე** (გარდ. 9. 10.1908), დაკრძალულნი არიან კუკიის სასაფლაოზე, სადაც დადგმული აქვთ მარმარი-ლოს ობელისკი.

**ადამია ლევან ზურაბის ძე** (1852–1909) ტახტის აზნაურის წოდებისაა *(წარმოშობით სოფ. ეკი, სენაკის რ-ნი)*, როგორც მსხვილი კომერსანტი (*სოვდა-გარი*), არაერთგზის იქნა არჩეული თბილისის სავაჭრო გილდიათა წინამძღოლად. ამავე დროს, იგი ერთდროულად რძისა და რძის პროდუქტების მწარმოებელთა გილდიის თავმჯდომარეა.

თბილისში მას ეკუთვნოდა რამდენიმე მაღაზია და დუქნები რძისა და მისი პროდუქციისა და იყო ამ დარგის მონოპოლისტი.

ლ.ზ. ადამიას დიდი ღვაწლი მიუძღვის თბილისის ვაჭრობის განვითარებაში. ხშირად ეხმარება თბილისის მერიას თავისი შეწირულობებით. როგორც აზნაურთა წოდების მქონეს, მას ჰქონდა ვაჭრობაში განსაზღვრული შეღავათები, რომლებითაც, გადმოცემის თანახმად, არ სარგებლობდა. მას, როგორც სავაჭრო გილდიათა წინამძღოლს, პატივს სცემდნენ რუსეთის ადგილნაცვალთან და მაშინ, ეტიკეტის თანახმად, ცერემონიალზე საგუბერნიო მუნდირითა და ხმლით იკაზმებოდა.

სამეგრელოში მას ეკუთვნოდა კერძო ტყის მასივები და ამავე დროს იყო ტყვარჩელის მაღაროთა მსხვილი აქციონერი.

თბილისში ეკუთვნოდა სამსართულიანი სახლი ახლანდელი ფურცელაძის ქუჩაზე და მის გასწვრივ *(უკანა მხრიდან)* ორსართულიანი სახლი ყოფილი განათლების ქუჩის №3-ში (სამების საყდრის წინ).

ლევან ადამია ხშირად მოგზაურობდა ევროპაში, ისვენებდა ავსტრიასა და საფრანგეთში. ფლობდა ფრანგულ და გერმანულ ენებს.

გილდიის მფლობელის მოწმობაში, წესდების თანახმად, შეტანილი ჰყავდა მეუღლე **ელენე გასიტის ასული ჯანდიერი-პოსნიკოვა** და უფროსი ვაჟი – როგორც უფროსი მემკვიდრე – **გიორგი ლევანის ძე ადამია**.

ჰყავდა ორი ვაჟი: **გიორგი** და **ლევანი** და სამი ქალიშვილი – **თამარი, მარი-ამი** და **სოფიო**, რომლებსაც ზრდიდა ფრანგი გუვერნანტი ქალი.



**ადამია ნოე პეტრეს ძე**, დაიბადა 1917 წელს, ხონის რაიონ სოფელ მათხოჯში. საბჭოთა კავშირის გმირი (1942 წლის 24 ივლისი), მაშინდელი სსრ კავშირის მე-7 საზღვაო ქვეითი ბრიგადის ოცეულის მეთაური, სნაიპერი.



**ადამია რევაზ შოთას ძე**, დაიბადა თბილისში 1952 წ. 20 ივლისს. მშობლები: ცაცანო ქიშმარეიშვილი, შოთა ადამია; მეუღლე – თამარ სამადაშვილი; შვილები: ლევანი (24 წლის), ალექსანდრე (18 წლის).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი (1974). მუშაობდა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ბაქტერიოფაგში" უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად (1974–1979), უფროს მეცნიერ-თანამშრომლად (1979–1982), სექტორის ხელმძღვანელად (1982–1988); ლაბორატორიის ხელმძღვანელად (1988 წლიდან).

იყო საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მდივანი (1992–95), ამავე კომიტეტის თავმჯდომარე 1995 წლიდან. საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თემაზე „ზოგიერთი ბაქტერიული ვირუსის მოლეკულურ-ბიოლოგიური თვისებები" (1986). მიღებული აქვს ჯორჯ სოროსის პრემია. არის საქართველოს მოქალაქეთა კავშირის წევრი, საქართველოს სამთო-სათხილამურო ასოციაციის პრეზიდენტი.



**ადამია რობერტი შალვას ძე**, მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი, აკადემიკოსი.

დაიბადა თბილისში 1933 წ. 6 აპრილს. მშობლები: თამარ კანდელაკი, შალვა ადამია; დაამთავრა სპი მეტალურგიის ფაკ-ტი (1956). იყო მეტალურგიის ინსტიტუტის ასპირანტი (1958–61), უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1961–72), სპი-ს ლითონთა წნევით დამუშავების კათედრის გამგე (1972–83), ქუთაისის სამეცნიერო ცენტრის დირექტორი (1983–98), მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის დირექტორია 1998 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „საგლინი დგანების ოპტიმალური დინამიკის გაანგარიშების მეცნიერული საფუძვლები" (1970). ავტორია 150 სამეცნიერო ნაშრომისა. მიღებული აქვს 13 საავტორო მოწმობა გამოგონებაზე. არის ღირსების ორდენის კავალერი (1998), გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემიის ლაურეატი (1994). იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის წევრია 1993 წლიდან. მისი ბიოგრაფია შეტანილია ენციკლოპედია „საქართველოს" I ტომში (1997).

**ადამია რუსუდან**, ინფექციონისტი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ექიმი.

დაიბადა 1952 წლის 1 იანვარს, თბილისში. დაამთავრა თსსი-ს პედიატრიული ფაკულტეტი (1968–74). 1974 წლიდან მუშაობს ინფექციური პათოლოგიის ცენტრში. საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თემაზე: „*ბ ჰეპატიტის სეროლოგიური მარკერების გავრცელება და კლინიკური დახასიათება თბილისის*

*სამედიცინო პერსონალში."*

ავტორია 29 სამეცნიერო ნაშრომისა ინფექციური დაავადებების, ვირუსული ჰეპატიტების პრობლემებზე. არის უმაღლესი კატეგორიის ექიმი, ინფექციონისტთა და ეპიდემიოლოგთა საზოგადოების წევრი.

**ადამია ჯემალ მამიას ძე**, დაიბადა 1940 წლის 16 ივლისს ფოთში.

დემოკრატიული პარტიის წევრი. უმაღლესი განათლებით. დაამთავრა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი. სამართალმცოდნე.

მუშაობდა სხოროწყუს რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარედ.

არის საქართველოს აგრარული პარტიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

პარლამენტის წევრად 1992 წელს არჩეულ იქნა საკომპენსაციო წესით დემოკრატიული პარტიისაგან.

**ადანაია 205**
**სენაკი – 88,**
**ფლოთი – 45,**
**ხობი – 25.**

**ადანია,**
**ახალსოფელი**
**(ხობის რ–ნი) – 8,**
**ხორში – 4**

ადამიძე *(იხ. ზემოთ)*

**ადანია,** გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ადანა** *(შდრ: ადა–ი, პ. ინგოროყვა. სვან. 2.154; ადია, ადანო).* **ტოპონიმი: სა–ადინა–ო** – სოფელი ცივის მარჯვენა მხარეს საგუგუნაოსა და საგაბესკიროს შუა *(ხორშის თემი).* „საცაიშლო დავთრის" მიხედვით (1616–1621 წ.წ.) ადანაიას, წყაროგზურის სასახლის „მიმდგასმა კაცსა", ემართა ცაიშის საყდრის ბეგარა *(ქსძ. III. 473).*

1904 წლის აღწერის მონაცემებით, **სოფელ ხორშში მცხოვრები ადანიები აზნაურები იყვნენ.**

**ადაძე 201**
**ოზურგეთი – 25,**
**ჩოხატაური – 23,**
**ლანჩხუთი – 14.**

**ადაძე:** ილია მაისურაძის მიხედვით, მიღებულია საკუთარ სახელი **ადა–დან** *(იხ. მისი ქართული გვარსახელები. თბ., 1990. გვ. 17).* ამ გვარს ასევე განეკუთვნება **ადეიშვილი.** ხულოს რაიონის ღორჯომის საკრებულოს სოფელ ადაძეებში მცხოვრები ადაძეები თვლიან, რომ ადრე მათი გვარი **ადამაძე** იყო, რომელიც **ადაძედ** იქცა. თუ ასეა, მაშინ ეს ცვლილება მოხდა სოფელ ადაძეების შერქმევამდე, სხვაგვარად უნდა წოდებოდა **ადამაძეები.** სხვათა შორის, თედო სახოკია გასული საუკუნის აჭარული გვარების ჩამოთვლისას ადამაძეს ასახელებს. ღორჯომის მოჩუქურთმებული ჯამე ამ გვარის წარმომადგენელმა ააგოო. უფალმა პირველი ადამიანი თიხისაგან შექმნა. ძველ ებრაულად კი თიხას, წითელ მიწას **ადამი** ქვია. ასეთია ბიბლიური ლეგენდა, აქედან მომდინარეობს ქართული სახელწოდება **ადამიანი** და გვარები **ადამიძე, ადამია, ადამაშვილი.**

მაგრამ გვაქვს ტერმინი **ადა** აჭარაში, ჯავახეთსა და იმერხევში (თურქეთში, აჭარის მოსაზღვრეა) ჰქვია კუნძულს მდინარე ტბასთან. ასევე ეძახიან მდინარის ნაპირს, ნახევარკუნძულს, სათიბად რომ გამოიყენება. ჩემს მშობლიურ ს. აჭარისწყალში **ადას** ვუწოდებთ მდინარის სანაპიროს, მიწის მონაკვეთს, მდინარე რომ უვლის ირგვლივ. ჯავახეთში გამოთქმაცაა „ადის მოწყვეტა", ანუ

წალეკვა (*გრ. ბერიძე. ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა. თბ., 1986. გვ. 7*). სამოვარი, სათესი, ჩაის პლანტაცია ადას სახელწოდებით არის ქვედა ბზუბზუში, ქვედა ჯიხეთში, ხელვაჩაურში, თბილნარისა და ადლიაში.

სხვათა განმარტებით, ადა, ადები მდინარისპირა კუნძულისა და კუნძულების სახელია. ზემო იმერეთში პიდრონიმი ადაური, ხოლო თურქეთის მაჭახელში – ადაგული. ადამეები დორჯომის ცენტრშიც ცხოვრობენ. ნაწილი გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზოტში გადასახლდა, ზოგიც ოზურგეთის რაიონის ნასაკირალის მეჩაიეობის მეურნეობაში, სადაც მკლავმოუღლელი შრომითა და პირადი მეურნეობის მოწყობით გაითქვეს სახელი (*იოსებ ბექირიშვილი. გვ. 9*).

| |
|---|
| **ადეიშვილი 2692** |
| **ვანი – 731,** |
| **სამტრედია – 637,** |
| **თბილისი – 545.** |

ადეიშვილი, „ადეიშვილი ტობანიერი (ვანის რ-ნი); ძველი სახელი ადა-ადაიშვილი; ასიმილირებული ფორმაა (*აკ. შანიძე. თეოფორული სახელები. მაცნე. № 2. 1967. 195*). ამავე ძირისაა ადაძე (*ილ. მაისურაძე. ქართული გვარსახელები. თბ. 1981. გვ. 17*). „ადა, კოლხეთი, 81, რეჩხი. გვარებში: ადამე, ადაიშვილი – ადეიშვილი“ (*ალ. ღლონტი. ქართველური საკუთარი სახელები. თბ., 1986. გვ. 68*). საქართველოში 25000 გვარს შორის ადეიშვილებს რაოდენობის მიხედვით 269-ე ადგილი უკავიათ.



**ადეიშვილი მერაბ ნოდარის ძე** – საქართველოს ტრანსპორტის მინისტრი. დაიბადა თბილისში 1956 წლის 5 ივნისს. მშობლები: დოდო გოთუა, ნოდარ ადეიშვილი. მეუღლე – მარიკა დარჩია (1956). შვილები: ნოდარი (1981), რამაზი (1987). დაამთავრა საი-ს სამშენებლო ფაკულტეტი (1978). იყო საი-ს სტუდენტთა საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსის მოადგილე, სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს მთავარი კონსტრუქტორი, კათედრის დოცენტი (1978-85), საი-ს სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი (1985–89), სასწავლო ნაწილის უფროსი (1989–93), პრორექტორი (1993–95), სახელმწიფო მინისტრის მოადგილე (1995–96). ტრანსპორტის მინისტრია 1996 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „კოსმოსური მაღალი სიხშირის რადიოტექნიკური ავტონომიური კომპლექსების დიდგაბარიტიანი ნაგებობები“ (1996). გამოქვეყნებული აქვს 5 სახელმძღვანელო, 50-ზე მეტი სამეცნიერო სტატია, მონოგრაფია – „კოსმოსური დიდგაბარიტიანი კარკასულ-საყრდენიანი ნაგებობების გაანგარიშების მეთოდები“, დაჯილდოებულია „ღირსების ორდენით“ (1996). არის უკრაინის საერთაშორისო ორგანიზაცია – „შავი ზღვის გამოფენების ასოციაციის“ ლაურეატი, „წლის საუკეთესო ადამიანი ტრანსპორტი–98-ზე“ (1998). საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის – „ევრაზიის“ წევრ-კორესპონდენტი, „აბრეშუმის გზის“ კულტურული მხარდამჭერის ფონდის პრეზიდენტი, საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი.



**ადეიშვილი ზურაბ**, საქართველოს პარლამენტის წევრი, იურიდიული საკითხთა, კანონებისა და ადმინისტრაციული რეფორმების კომიტეტის თავმჯდომარე, იუსტიციის საბჭოს წევრი. დაიბადა 1972 წლის 27 ივლისს. მშობლები: **ქეთევან ლომაშვილი, შალვა ადეიშვილი.** მეუღლე – **მაია სესხიშვილი** (1971). შვილი – **გიორგი** (1999). დაამთავრა თსუ-ს (1994) და გრონინგენის სამეფო უნივერსიტეტის (1999) იურიდიული ფაკ-ტები. იყო პარლამენტის იურიდიული კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი (1996–98), იურიდიულ ფირმა „ოქრუაშვილი და პარტნიორების" იურისტი (1998–99), სამართლებრივი განათლების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი (1999). საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან



**ადეიშვილი-ანდღულაძისა ლია ვლადიმერის ასული,** დაიბადა 1942 წლის 10 ოქტომბერს.

დედა – **ვალენტინა ივანეს ასული თოიძე,** ექიმი-ფტიზიატრი. 1937–49 წლებში მუშაობდა საქართველოს ტუბერკულოზის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლად და აბასთუმნის პოლიკლინიკის მთავარ ექიმად. 1949–78 წლებში – ქობულეთის ტუბერკულოზის დისპანსერის მთავარ ექიმად. გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით. იყო უაღრესად გულისხმიერი და ყურადღებიანი, როგორც ავადმყოფების, ასევე ყველას მიმართ. სარგებლობდა დიდი სიყვარულით, პატივისცემით და ავტორიტეტით. გარდაიცვალა 1990 წელს.

მამა – **ვლადიმერ ილიას ძე ადეიშვილი,** ინჟინერ-მექანიკოსი. 1937–49 წლებში მუშაობდა აბასთუმნის ავეჯის ქარხნის დირექტორად (ამავე დროს იყო აბასთუმნის კურორტ-სამმართველოს პროფკავშირების თავმჯდომარე). 1953–67 წლებში ქობულეთის ტორფის ქარხნის მთავარ ინჟინრად. უაღრესად ნიჭიერი, განათლებული, გულისხმიერი და კეთილშობილი პიროვნება დიდ ინტერესს იჩენდა შემოქმედებითი საქმიანობისადმი – იყო მრავალი გამოგონების ავტორი. გარდაიცვალა 1991 წელს.

1949 წელს შევიდა და 1959 წელს წარჩინებით დაამთავრა ქობულეთის № 1 საშუალო სკოლა. 1961 წელს შევიდა ზაპოროჟიეს ფარმაცევტულ ინსტიტუტში, 1962 წელს გადმოვიდა და 1966 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (ამჟამად უნივერსიტეტის) ფარმაცევტული ფაკულტეტი.

1966–67 წლებში მუშაობდა, ხოლო 1967–70 წლებში სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ქუთათელაძის სახელობის ფარმაკო-ქიმიის ინსტიტუტის ასპირანტურაში. მისი ხელმძღვანელები იყვნენ აკად. ვლადიმერ სამსონის ძე ასათიანი და ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატი ვიქტორ სოლომონის ძე ბოსტოღანაშვილი – არაჩვეულებრივი ადამიანები, რომლებმაც დიდი პატივი დასდეს და დიდი როლი ითამაშეს მისი, როგორც მეცნიერისა და პიროვნების ჩამოყალიბებაში.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, 1971 წლის თებერვლამდე (4 თვე) მუშაობდა ზემოთაღნიშნული ინსტიტუტის მიკროანალიზის ლაბორატორიაში (ხელმძღვანელი ე. ბისტოლანაშვილი) უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად.

1971 წლიდან დღემდე მუშაობს თსსუ-ში. 1971-79 წლებში იყო ზოგადი და სამედიცინო ქიმიის კათედრის ასისტენტი, 1979-83 წლებში – დოცენტი, შემდეგ ფარმაცევტული ქიმიის კათედრის დოცენტი, 1991-98 წლებში ტოქსიკოლოგიური ქიმია-ანალიზის ინსტრუმენტალური მეთოდებით კურსის დოცენტი. 1996 წელს ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ქიმიების კათედრების გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბდა ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ქიმიის კათედრა, სადაც მუშაობს დღემდე პროფესორად.

სამედიცინო უნივერსიტეტში მოღვაწეობის პერიოდში, 1971 წლიდან დღემდე, ეწეოდა ინტენსიურ პედაგოგიურ და სამეცნიერო მუშაობას. 1971-83 წლებში ატარებდა ლექსია-პრაქტიკულებს ბიოქიმიაში, ფიზიკურ, კოლოიდურ, არაორგანულ და ანალიზურ ქიმიებში ყველა ფაკულტეტის სტუდენტებთან, 1983-91 წლებში – ფარმაცევტულ ქიმიაში ფარმაცევტული ფაკულტეტის სტუდენტებთან. 1991-92 წლებში მიყავდა ფარმაცევტული ქიმიის კურსი პროვიზორთა დახელოვნების კურსებზე.

1992 წლიდან დღემდე ატარებს ლექცია-პრაქტიკუმებს ტოქსიკოლოგიურ ქიმიაში ფარმაცევტული ფაკულტეტის დღისა და საღამოს დასწრებულ, ასევე დაუსწრებელი სწავლების სტუდენტებთან, აგრეთვე ფიზიკურ და კოლოიდურ ქიმიაში საღამოს დასწრებულის და დაუსწრებლის სტუდენტებთან.

სამეცნიერო მუშაობას ეწევა სამკურნალო საშუალებების სტანდარტიზაციისა და ხარისხის კონტროლის, აგრეთვე, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის სფეროში. გამოქვეყნებული აქვს 101 შრომა, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ჟურნალებში.

**ადიბეგაშვილი//ფინეზაშვილი,** [მომდინარეობს საკუთარი სახელიდან ადიბეგა *(საქ.სიძვ. II, 257)*. ორმაგი სიტყვით გაწყობილი სახელია **ადიბეგ**-ისა), თურქული ფუძითაა ნაწარმოები ქართულ სიტყვასთან ადი ზე *აიარე* (საბა), ადა, **ადილ** (სვან.) საკუთარ სახელს კავშირი არ უნდა ჰქონდეს] **ადიბეგაშვილი – 0.**

აჯვაძე 117
თბილისი – 50,
გარდაბანი – 13,
ახალქალაქი – 12.

**ადიბეგაშვილები,** 1721 წლის აღწერით ცხოვრობდნენ და ყმა-გლეხები ჰყავდათ ქვემო ქართლში (სომხითში). ამ გვარის შტო-გვარი ყოფილა **ფინეზასშვილი** (საკუთარი სახელიდან **ფინეზა** *[ადიბეგასშვილი]*.

**ადიბეგაშვილი** – ჰყავს განაყოფი **ფეშანგ ფინეზასშვილი,** მისი ყმა-მამული შუა ბოლნისს და ბაიდრის უბანს გიორგი მეფემ უწყალობა **ფეშანგ ფინეზაშვილს** (1690 წ. 1448-1776).

**ბეჟან (ვარ. ბეჟუა) ადიბეგაშვილმა...** ბაინდურ გოგიბაშვილს მიჰყიდა ბოზოკონდის ბოლოს, არქუნს ქვეშ დოლმაზას მიწამდე ხუთი დღის მიწა *(1693*

წ. *IV-10. 1450-10/42).*

**ზურაბ ადიბეგაშვილმა** – იმავე ბ. გოგიბაშვილს მიჰყიდა ადრევე მისგან ნაყიდი მიწა (1693 წ. VII.15. 1450-7/6).

ქვემო ქართლში მოიხსენიებიან: **ადიბეგა, ბაინდურა, ელიზბარა, თამაზა, ხუცაზა ადიბეგაშვილები** *(იხ. პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. 1. თბ. 1992. გვ. 71-72).*

**ᲐᲓᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ 3030**
**თბილისი – 124,**
**გარდაბანი – 120,**
**გორი – 37.**

**ადიკაშვილი.** საკუთარი სახელი ადიკა. შდრ.: **ადიკაშვილი არაქელა** – შვილი დავითა ადიკაშვილისა, **ადიკაშვილი ბერუა, დავითა.** მიჰყიდა ალავერანა სადარაშვილს მისივე მოსაზღვრე ვენახი საწნახლით *(1693 წ.).*

**ადოლაშვილი//ბერიძეშვილი//ბერიძე.** საკუთარი სახელი **ადოლა.** ნათესაური კავშირი არ უნდა ჰქონდეს თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ფარცხისში ბერიძეთა გვარიდან გამოჩენილ თიკუნთან **ადოლაანი** *(იხ. ი. ახუაშვილი. ქართული გვარსახელები. ბერიძეშვილი).*

**ᲐᲓᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ 28**
**თეთრიწყარო – 17,**
**თბილისი – 8,**
**გარდაბანი – 2.**

**ადოლა** – მოურავე [გიორგი სააკაძის] აზნაურიშვილი, მოურავეი უჩიოდა ქაიხოსრო ჯავახიშვილს, რომ მან დააბეზღა ადოლა თეიმურაზ მეფესთან, დაარბია და დააჭერინა (1620 წ. IV. 15. შდ-6259);

**ადოლაშვილი** – ოძისს მცხოვრები აზნაურიშვილი (1658–1675 წ.წ. შდ-1534);

**ბერი ადოლაშვილი** – მოურავი, მოწმე ბასილა დედაბრიშვილის მიერ თარხან გიორგისათვის მიყიდული მიწისა *(1700 წ. VII. 1450-33/224) (პირთა ანოტირებული ლექსიკონი. გვ. 72).*

**ადოლაშვილი პაპა** (გარ. ბატატა) – 1682–1684 წ.წ.; **ადოლაშვილი** მესხეთ-ჯავახეთის ძირძველი გვარია.

სოფელ ფარცხისში მესხეთიდან გადმოსახლებული **ბერიძეების** ნაწილი **ბერიძეშვილი** გახდა. აქაურ **ბერიძეშვილ//ბერიძეებს ადოლაანთ** ეძახიან. ზოგი შეცდომით ფიქრობს, რომ მათ თითქოს ეს თიკუნი შეერქვათ იმის გამო, რომ კარგი ჯიშის (ადოლური) ღორები ჰყავდათ.

**ᲐᲓᲝᲜᲘᲐ 244**
**ჩხოროწყუ – 58,**
**ზუგდიდი – 55,**
**წალენჯიხა – 20).**
**კომლი: ხობი – 13,**
**ძირცხი – 12,**
**საჯიჯაო – 6,**
**ლესიჭინე – 5,**
**წალენჯიხა – 4,**
**ხობი – 4**

**ᲐᲓᲝᲛᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ 26**
**თბილისი – 8,**
**ყვარელი – 18.**

**ადომლიშვილი. ადომა** – ყინწვისში მცხოვრები ედიშერ და პაპუნა [ციციშვილების] გაყრის დროს იგი მამულით ერგო პაპუნას *([1688–1703 წ.წ.] შდ-1636).*

**ადომა** – კუარხითს მცხოვრები. თანიას ყმა. საამილახვროს დავთრის მიხედვით, მისი კომლიდან ორ კაცს ევალებოდა მშვილდით ლაშქრობა *(XVII ს-ის II ნახ. 1448-5032).*

**ადონაია//ადონია** ერთი და იგივე ძირი უდევს საფუძვლად. გვაქვს მამაკაცის საკუთარი სახელები: **ადონა, ადონია** (ალ. ღლ. 68).

სახელი წარმომდგარი უნდა იყოს **ადონისი**-დან. (**ადონისი** – უმშვენიერესი ჭაბუკი ბერძნულ მითოლოგიაში და არა უფალი, როგორც შეცდომით გვთავაზობს ზოგი ავტორი).

**ადონისი** – ზღაპრული სილამაზის ჭაბუკის სინონიმია [შდრ: **ადონისის ბაღები**] *(აკ. გელოვანი. მითოლოგიური ლექსიკონი. თბ., 1983. გვ. 28).* **ადო, ადონა** კოლხეთში, ხოლო **ადონია** ლეჩხუმში დადასტურებული პირსახელებია *(ქსს. 1986).* **ადოშვილი ადო** მამაკაცის საკუთარი სახელი ყოფილა.

| |
|---|
| **ადოშვილი 26** |
| **რუსთავი – 7,** |
| **ადიგენი – 39** |
| **თელავი – 2.** |

შდრ.: **ადო,** კოლხეთი, 62, ახუთი: **ადო,** თუშეთი (გ. ცოცანიძე: *ალ. ლლ., 68).*

**ადუასშვილი//ადუაშვილი** მისი ეჯახი ესაზღვრებოდა ავთანდილ პაპუნაშვილის მიერ როსტომ ყორღანაშვილისთვის მიყიდულ გურგენას ნაქონ პარტახტს *(XVII ს–ის 80–იანი წ. 1450-1/105).*

**ადუასშვილი თევდორე** – ვანთელი, თამაზას დისწული, იყიდა თამაზასაგან მიწა ტინისხიდში *(1688 წ. III. 5. გუჯ. 171–172).*

**ადუაშვილი ივანე** (ვარ. იოანა) – მოწმე: ნასყიდა გოგშაძისა და დათუნა მეფარიძის მიერ ბერინა ზარიძისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა *(1680 წ. ად–643 ბ).*

**ადუასშვილი შიო** – კარბელი, ავთანდილ ამილახორის სახასო ყმა *(1700 წ. 1448–3802).*

**ადუასშვილი//ადუაშვილი, ადუა** – ღმანისს მცხოვრები, მამულით წილად ხვდა იოთამ ბარათაშვილს *([1537–1538 წ.წ.] VIII.16. 1450-11/112).*

**ადუა** – ჯანია ყარაშვილის მეზობელი, მოწმე თაყა ბარათაშვილის მიერ ჯანია ყარაშვილისათვის მიცემული სასახლის ნასყიდობის წიგნისა *(1679 წ. VI.1450–37/244).*

**ადუა** – აჯი-შამფურას ყმა, ქალაქს, მის სახლამდე მიჰყიდა საბაზიერო ზაალ ციციშვილმა ორბელს *(1684 წ. XI.1. შდ–541).*

**ადუა** – ახალშენს მცხოვრები, უშვილოდ გარდაცვლილი დურმიშხან [ბარათაშვილის] ყმა, მისი ძმითა და მამულით.

მეფე ნაზარალიხანმა იგი უბოძა დურმიშხანის განაყოფს – იორამ ბარათაშვილს *(1688 წ. [10.1450–2/149).*

**ადუა** – ნაწრეტს მცხოვრები, ამილახვრის ყმა.

საამილახვროს დავთრის მიხედვით, მისი კომლიდან ორ კაცს ევალებოდა მშვილდით „ლაშქრობა" *(XVII ს–ის II ნახ. 1448–5032).*

**ადუა** – ქვენაფლავს მცხოვრები, მოხსენიებულია ყმების ნუსხაში (XVII-XVIII *სს. შდ–819).*

**აფაგუმაშვილი,** მომდინარეობს საკუთარი სახელიდან აფაგ, აფაგა. დღეს ეს გვარი იშვიათობაა.



**ავაგუმაშვილი ნუნუ სერგოს ასული.** დაიბადა 1944 წლის 1 იანვარს თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. 1961 წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის 113-ე საშუალო სკოლა. 1967 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბერნეტიკის ფაკულტეტი. ჰყავს სამი ვაჟი და სამი შვილიშვილი. 1969 წელს მუშაობა დაიწყო თბილისის მე-15 საშუალო სკოლაში მასწავლებლად. არის მეთოდისტი-მასწავლებელი, უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი. მინიჭებული აქვს წლის საუკეთესო მასწავლებლის წოდება (1983 წ.). 1994 წელს სათავეში ჩაუდგა კერძო საერო სკოლას – სპს „ნუნუ ავაგუმაშვილი"-ძირითად სკოლას. ქალბატონი ნუნუ გამოირჩევა თავისი საქმის უდიდესი სიყვარულით. უყვარს და მზრუნველობს ბავშვებს. იგი კეთილშობილი, ღიმილიანი და არაჩვეულებრივი მოსაუბრეა. ირგვლივ სიკეთეს აფრქვევს.

**ᲐᲕᲐᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ 428**
**(ყვარელი – 230,**
**თბილისი – 180,**
**გორი – 9).**

**ავაზაშვილი** საკუთარ სახელად ქცეული მტაცებელი ცხოველის სახელი. ავაზა მტაცებელი ცხოველი, ადვილად შინაურდება. ძველად იყენებდნენ ნადირობის დროს (ქეგლ, 17).

**ᲐᲕᲐᲖᲜᲔᲚᲘ 213**
**(გორი – 176,**
**თბილისი – 26,**
**მარნეული – 5).**

**ავაზნელი** ტინისხიდი (გორის რ-ნი) და სხვ. გვარად ქცეული სადაურობის სიტყვა. ჯავახეთში ყოფილა სოფელი ავაზანა (ს. ჯიქია. დავთარი III. 366). ზოგი მნიშვნელობით საქონლისათვის წყლის სასმელად წყაროსთან დადგმული ერთიანი ხისაგან გამოთლილი დიდი გობი (*ილ. მაისურაძე. 17*).

**ავალიანი//ავალიშვილი** თავდაპირველად ერთი გვარი ყოფილა. „**თავადი ავალისშვილი**: ესენი ძველად იყვნენ ციციანთა გვართაგან შორეულნი ნათესავნი, რომელსაც ამათ წინაპარსა ავალა ეწოდა.

ესენი იყვნენ მოსახლენი ახალციხისა კერძოთა ადგილთა შინა და ოდეს განდგა ათაბეგი და დაიპყრო ახალციხე თავისად შეწევნითა თურქთა წელსა 1601, მათგანი რომელნიმე შთავიდნენ იმერეთს. სხვანი მოსახლე იყვნენ ძველადვე მტკვრის ხეობასა შინა და იწოდებოდნენ მტკვრის მოურავად და მერე მტრიანობისა მიზეზითა აიყარნენ და შთამოვიდნენ ბრეთსა, რომელნიმე განვიდნენ კახეთს და არიან მუნითგან წოდებულნი ავალიანნი ქართლ. მოსახლენი და კახეთს მოსახლენი. ხოლო ქართლს მოსახლენი არიან უპირველესნი: 1. **პეტრესშვილები,** 2. **გოგიას შვილები,** ანუ გიორგისა და სხვანი ამათნი სახლისკაცნი, ხოლო იმერეთსა შინა რომელნიმე არიან თავადად და რომელნიმე აზნაურად და ესრეთვე ამათ გვარნი არიან ახალციხესა შინაცა („აღწერა". – *30*).

„**თავადი ავალიშვილი.** ამათნი წინაპარნი არიან მონათესავენი თავადთა ავალიანთანა, ვითარცა ზემოთ აღვწერეთ ავალიანთათვის, ხოლო მოსახლეობენ ესენი კახეთს: 1. **გივის შვილები,** 2. **ივანე მეითრის შვილები**" (*გვ. 47*).

-აზნაური ავალიანი. ამათნი წინაპარნი იყვნენ მდაბალთა ავალიანთა მონათესავენი და ცნობილი დროსავე როსტომ მეფისა, რომელნიმე სახლობენ იმერეთს და რომელნიმე ქართლს, იხილე ზემორე ავალიანთათვის და არიან მოხსენიებულ ტრაქტატსა შინა" *(გვ. 106).*

**ავალი** (ფრანგ. ავალ), ბურჟუაზიულ სამოქალაქო სამართალში სათამასუქო თანამდებობა.

**... იმერეთის თავადნი და აზნაურნი, - 329. ავალიშვილი (იშვე, გვ. 124).**

**ავალიანი მიქელ** - თავმდები და მოწმე იონაშვილთა და ლაჩოგრაშელთა მიერ ოყოლიდაშელთათვის მიცემული დაწერილისა მპარავის გატაცების შესახებ *(XIV ს-ის ბოლო. სსძ. II. № 60ა).*

**ავალიანი ქველ** - მოწმე ელისხევის საერთპირო დაწერილისა *(XV-XVI ს.ს. სსძ. II. №67).*

**ავალიანი ზაზუტა** - მოწმე ოტია ჩხეიძის მიერ გელათის კანდელაკ გიორგისათვის მიცემული ქეიტირელი გლეხების სამოურაო გადასახადისაგან გათავისუფლების წიგნისა *(1682 წ.. 1448-1522. წგნში: პირთა ანოტირებული ლექსიკონი. I. თბ.. 1991. გვ. 73).*

XVIII საუკუნის დამდეგს ქართლში იმერეთიდან გადმოსულ აბაშიძეთა აზნაურად მოიხსენიება ავალიანი.

რუსეთის მთავრობამ იმერეთიდან აზნაურებად აღიარა და 1850 წლის 6 დეკემბერის საგვარტომო წიგნში შეიტანა:

**ავალიანი ზურაბ ბუჭუას ძე**, ვაჟიშვილები: ალექსი. იოანე. თომა. ქალიშვილი ათათო: **დავით ბერუას ძე**, მეუღლე მისი **მელანო**, ვაჟიშვილები: ნიკოლოზი, ეფემია. იესე. ქალიშვილები: მარიამი. ელენე. როდამი. დავითის ძმა როსტომი; **გოგისა ოთიას ძე**, მეუღლე მისი **რუსუდანი**, ვაჟიშვილები: ბესარიონი. ნიკოლოზი. ალექსი. სიმონი. იესე, ილარიონი, ლუარსაბი: **გოგიას ძმა ივანე**, მისი მეუღლე **მზეხა; ივანე ეზიეს ძე**, მეუღლე მისი **სოფიო**, ვაჟიშვილი ეზია. ქალიშვილი ელენე: **მერაბ ბეჟანის ძე**, მეუღლე მისი **მაია** ვაჟიშვილები: სამსონი, ალექსი, ლუკა, ნიკოლოზი. ქალიშვილი ნატო. მერაბის ძმ ქაიხოსრო. მისი მეუღლე სოფიო, ვაჟიშვილები: ბეჟანი. თომა. მინა; ქალიშვილები: ეკატერინე. ეფროსინე: **სიმონ ხოსიას ძე**, მეუღლე მისი **რუსუდანი**. ვაჟიშვილები: იესე, ლუკა: ქალიშვილი მაკა. იესეს მეუღლე ეკატერინე, ვაჟიშვილი მინა. ქალიშვილი ფოტინა:

**მიქელ ლაზარეს ძე**, მეუღლე მისი **ელენე**. ვაჟიშვილები: იოანე. სპირიდონი. იოსები: **გიორგი ბაანას ძე**, მეუღლე მისი **ნინა; წმინდანი პანტელეიმონ გიორგის ძე** მეუღლე მისი **ასთანდარა**. ვაჟიშვილი კონსტანტინე ქალიშვილები: ანა. ეკატერინე. ელენე. კონსტანტინეს მეუღლე ალათია: **დიმიტრი სიმონის ძე**, მეუღლე მისი **ნინო**, ვაჟიშვილები: სიმონი, თომა. სიმონის მეუღლე მარფა. ქალიშვილი ირინე: **იოსებ ხოსიას ძე**, მეუღლე მისი **ელენე**. ქალიშვილები:

ეკატერინე. ირინე. სალომე: **სიმონ ივანეს ძე**, მისი ძმები: კონსტანტინე. ერასტი: **რევაზ სიმონის ძე**, მეუღლე მისი **ალათია**, ვაჟიშვილი იოსები. რევაზის ძმები: სპირიდონი. როსტომი. ზაალი. სპირიდონის მეუღლე ნინა. როსტომის მეუღლე ათათო. ვაჟიშვილები: ლუკა. სიმონი. ქალიშვილები: ეკატერინე. ცაცო: **წმინ-დანი იოსებ სიმონის ძე**, მეუღლე მისი **როდამი**, მათი ვაჟი კოლეჟის რეგ-ისტრატორი სიმონი: **გიორგი სეხნიას ძე**, მეუღლე მისი **მზეხა**, ვაჟიშვილები: ბიჭია. სიმონი. დავითი. ალექსი. ქალიშვილები: ალათია. ეფროსინე. გიორგის ძმა სპირიდონი: **თომა ნიკოლოზის ძე**, მეუღლე მისი **გულქანი**, ვაჟიშვილი გრიგოლი. ქალიშვილი ელისაბედი: **სიმონ ნიკოლოზის ძე**, მეუღლე მისი **მაია**, ვაჟიშვილი სამსონი. ქალიშვილები: ცაცო. ელისაბედი; **წმინდანი გიორგი იესეს ძე**, მეუღლე მისი **ანა**, ვაჟიშვილები: ანტონი. სიმონი. ქალიშვილები: ნინა. მანიჟა: **მოსე იესეს ძე**, მეუღლე მისი **სალომე**, ვაჟიშვილები: იესე. კონსტანტინე. ბიჭია. ლევანი. ნესტორი. ბათიკო. ქალიშვილები: სათიხურამი. ევდოკია. ფოტი-ნა. გერიტინა: **სიმონ მამუკას ძე**, მეუღლე მისი **მართა**, ვაჟიშვილები: პავლე. ნიკო. პავლეს მეუღლე სალომე. ვაჟიშვილები: ალექსი. ივანე. ნიკოლოზი. ქალიშვილი მაკა. ნიკოს მეუღლე სალომე. ვაჟიშვილი იოსები; **გლახუნა სიმო-ნის ძე**, მისი ძმები: სიკო. ბესარიონი. სიკოს მეუღლე მაია; **ივანე ბერუას ძე**, მეუღლე მისი **ბარბარე** ვაჟიშვილები: ლევანი. სიმონი. გიორგი. ქალიშვილი ეკა. ლევანის მეუღლე მახუა. ვაჟიშვილი იოსები: **გლახუა ოთიას ძე**, მეუღლე მისი **ჯავახარა**, ქალიშვილები: ალათია. კესარია: **ზაალ ზაუტას ძე**, მეუღლე მისი **ელისაბედი**, ვაჟიშვილები: ტარიელი. ფარნაოზი. სოლომონი. თომა. ქალიშვილები: მაია. ურათა: **გრიგოლ ვახტანგის ძე**, მეუღლე მისი **ანა**, ვაჟიშვილი გიორგი. ქალიშვილი თეკლე. გრიგოლის დედა გულქანა: **პავლე გიორგის ძე** მეუღლე მისი **მარიამი** ვაჟიშვილები: ალექსანდრე. ივანე. ქალიშვილი ეფემია:

**კოლეჟის რეგისტრატორ კირილე იოსების ძის ქვრივი თეკლე**. მისი ქალიშვილები: მარიამი, ევგენია. კირილეს ძმები: კოლეჟის რეგისტრატორი (მდი-ვანი) მიხეილი. გაბრიელი. ივანე: დედა ეფემია. მიხეილის მეუღლე ანა; **წმინ-დანი თომა გიორგის ძე**, მეუღლე მისი **ანუსია**. ვაჟიშვილები: მოსე. მიზარბე-გა. ლუარსაბი. პორფირე. ქალიშვილი ელისაბედი; **ლაზარე პაატას ძე**, მეუღლე მისი **მახუა**; ვაჟიშვილები: გიორგი. ლუკა. ბესარიონი. ქალიშვილები: ათათო. სალომე. ალათია. გიორგის ვაჟი დიმიტრი. ქალიშვილი ეკა: **საგა პაატას ძე**, მეუღლე მისი **ტასო**, ვაჟიშვილები: დავითი. ალექსი. მანუჩარი. მერაბი. ქალიშვილები: მართა. ეკაკი. ელისაბედი: **ტარიელ ხოსიას ძე**, მეუღლე მისი **მართა**. ვაჟიშვილები: ავთანდილი. გერასიმე. ქალიშვილები: სოფიო. ეკა. კესარია“ ( Łæ Œ Œ .I, 276-307, 55-56).

**აგალიანები** ცხოვრობდნენ ლეჩხუმში, რაჭაში, 1807 წელს მოიხსენიებიან სოფელ ბრეთში (დღევანდელი ქარელის რაიონი), ჰყოლიათ ყმები (*დოკ. II. 22*);

**ეგნატე ავალიანი**, მღვდელი. საბუთის დამწერი *(იქვე, გვ. 250)*; პეტრე ავალიანი სოფელ ბორბალოს (თეთრიწყაროს რაიონი) წმ. ელენეს ეკლესიის ბლაღოჩინი, დეკანოზი *(ფ. 489, ჩ. № 31, № 25)*. ავალიანები და ავალიშვილები ერთი ძირისანი არიან, ისტორიულად სამცხის სათავადო საგვარეულოა. **ვახუშტი მათ მთავართა და წარჩინებულ საგვარეულოებს შორის იხსენიებს** *(ქ. ცხ., ტ. IV, გვ. 34)*.

**ავალიშვილთა საგვარეულოს** შესახებ ერთგვარი რეზიუმეს სახით **ალექსანდრე ნაზღაიძე** წერს *(მოგვყავს სიტყვასიტყვით)*: **„ავალიშვილნი** – პირველთაგანვე მესხნი თავადისშვილნი და სვეტიცხოვლის მსახურნი ყოფილან ავალისშვილნი, მაგრამ ჯერ ყიზილბაშთა და უმეტეს ოსმალთა მოძალებისა გამო ველარ დადგნენ სამცხეს და სხვა წარჩინებულთა დარად ქართლს, კახეთს და იმერეთს შემოეფარნენ. ხოლო რომელნი დარჩნენ, ველარ შეირჩინეს ქრისტიანობა და არღარა იწოდებოდნენ გვარითა, არამედ ფაშად, ბეგად და სანჯაყად."

XVI საუკუნეში თორ-ბორჯომის მხარეში ავალიშვილთა სათავადო შეიქმნა. ახალციხის საფაშოდან ქართლში შემოსასვლელ გზა-ბილიკებს უმზერდნენ პეტრეს და გოგიას ციხეთა სამზერებიდან თავადნი ავალიანნი – ბორჯომის ხეობის მფლობელნი და „მტკვრის მოურავნი."

იმერეთში ავალიშვილნი ზოგნი თავადის, ზოგნი აზნაურის ხარისხით გადავიდნენ, ზოგნიც ავალიანნად იყვნენ ცნობილნი: ლეჩხუმში, არგვეთში და ქართლის საბარათიანოში. იმერეთში თავადნი ავალიშვილნი „ფიცის კაცებად" ემსახურებოდნენ მეფეს და საქართველოს.

**ქართლში** ავალიშვილთა ყმა-მამული იყო: ტაშისკარში, იმერეთში, ნეძვში, კორტანეთში, სომანეთში, აბისში, გალმა ჰერედეში, ბრეთში და სხვაგან.

**კახეთში** ავალიშვილთა ყმა-მამული იყო: უჯარმაში, კალაურში, სანიორეში, ბაკურციხეში, კისისხევში, ხორაგუში, სიონში, კარდანახში, ენისელში, ბაზარში, ტელურში, მანავში, კაკაბეთში, სორაზანში, ხეობაში და ძეგნაკორაში.

**ავალიშვილთა აზნაურნი იყვნენ: ციმაკურიძენი, განძიელნი, მეგრელიშვილნი, მანდიაშვილნი, მეხრიშვილნი, კვირიკაშვილნი, ლაპინაშვილნი, ოჯაიაშვილნი, სანთლისკუდაშვილნი, ლომიძენი, ძეცხოველნი და ედიშერაშვილნი.**

**ჟამთა-ჟამად ავალიშვილნი იწინწებოდნენ ეჩიკლასიაშად, ყოფჩიბაშად, მილახვრად, მეჯინიბეთუხუცესად, ბოქაულთუხუცესად, ახალდაბის და კისისხევის მოურავებად; რუისის, ბოდბის და ალავერდის ეპისკოპოსებად.**

თავადაც აბჯარასხმულმა, მროველმა ეპისკოპოსმა **დომენტი ავალიშვილმა** აზიარა და დალოცა მეფე და ლაშქარი, მსხვერპლად გამზადებული და დროშა ქართლისა მარაბდის ველზე.

ღმერთისა და საქართველოსთვის და ბაგრატიონთა ტახტის ძლიერებისათვის, ავალიშვილნი გამოდიოდნენ ერთიანი ქართული ლაშქრის წინამბრძოლ-მიჯრილთა სადროშოში, ხოლო შემდგომად განყოფისა, ცალკე იმერეთის სამეფო ლაშქარში,

ცალკე ქართლის სამეფოს მემარჯვენე და ცალკე კახეთის სამეფოს მოწინავე და მემარჯვენე სადროშოებ'ში.

ამჟამად აგალიშვილნი ცხოვრობენ: ისევ სამცხეს და თორს და იმერეთ-ლეჩხუმს და შიდა ქართლს და კახეთს და კიდევ აჭარას. ოლიშს და ქვემო ქართლს ღმერთმა ამრავლოს გვარი აგალიშვილთა *(ალექსანდრე ნაზლაიძე).*

**აგალიან-აგალიშვილებს ბევრი სახელოვანი პიროვნება ჰყავდათ და ჰყავთ. მათ შორის არიან:**



**აგალიანი გიორგი არსენას ძე** – მწერალი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თადარიგის პოლკოვნიკი.

დაიბადა 1930 წლის მაისში ზემო სვანეთში, მესტიის რაიონის სოფელ ხაიშის ერთ პატარა უბანში, რომელსაც ლაჯვრა ჰქვია *(რაც იფნის ხეს ნიშნავს).*

**მამა – არსენა უმარის ძე აგალიანი** დაიბადა თეთნულდის ძირას მიშენებულ უძველეს პატარა სოფელ **ჰადიშში,** სადაც ათას წელზე მეტ ხანს ინახებოდა ყველაზე ადრე გადაწერილი ქართული სახარება ცნობილი **„ჰადიშის ოთხთავის"** სახელით. არსენა სოფელ ხაიშში არსებული მილიციის საგუშაგოს უფროსად მუშაობდა და იქ გაუცვნია **ეკატერინე პეტრეს ასული ჭკადუა** და შეურთავს ცოლად. მათ შეეძინათ სამი შვილი. არსენა თავის მეუღლესთან ერთად დაკრძალულია ხაიშის წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში. მეცხრე კლასში იყო გიორგი, როცა გარდაეცვალა მამა და ოჯახის მთელი სიმძიმე, როგორც უფროს შვილს, მას დააწვა მხრებზე. სკოლის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო სკოლაში სამეურნეო საქმეების გამგებლად და როგორც ისტორიის კარგ მცოდნეს, სკოლის დირექტორმა მე-5 კლასის მასწავლებლობა შესთავაზა. 1950 წელს ჩაირიცხა თბილისში ქვეითი ჯარის ოფიცერთა ორწლიან სასწავლებელში და დამთავრებისთანავე გააგზავნეს ბათუმში, 414-ე ქართულ დივიზიაში. 1953 წელს იქორწინა **ნათელა დავითის ასულ ნიჟარაძეზე** და საცხოვრებლად და სამუშაოდ გადავიდა ქუთაისში, ხოლო 1954 წელს – გორში. 1955 წელს კვლავ მესტიაშია სამხედრო კომისრის მოადგილის თანამდებობაზე. 1957 წელს ჩაირიცხა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში რუსული ენისა და ლიტერატურის დაუსწრებელ განყოფილებაზე. პარალელურად ამთავრებს მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტს, გორის ერთწლიან პოლიტკურსებს, სარატოვის ექვსთვიან სამობილიზაციო კურსებს. მუშაობდა სამხედრო კომისარიატში კომისრის მოადგილედ, კომისრად და არჩეული იყო პარტბიუროს მდივნად. 1964 წელს საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატში პოლიტგანყოფილების პროპაგანდისტის თანამდებობაზეა და ოჯახით გადმოდის თბილისში. 1969 წელს იცავს საკანდიდატო დისერტაციას **„რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ასახვა მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურისა და საქართველოს პრესაში".**

1972 წელს გორისა და გორის რაიონის გაერთიანებული სამხედრო კომისარიატის კომისარია. ამავე დროს კითხულობს ლექციებს გორის პედინსტიტუტში ქართული ლიტერატურის კათედრაზე და 1974 წელს ამავე კათედრის დოცენტია. 1980 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და 1982 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება. 1981 წლიდან გორის პედინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრას ჩაუდგა სათავეში, რომელიც შემდგომში გადაკეთდა გორის ეკონომიკურ ინსტიტუტად, ხოლო 2000 წელს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტად. 1989 წლიდან ამავე ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგეა. 1980 წლიდან საქართველოს მწერალთა კავშირის წევრია. არის ავტორი 31 გამოცემული წიგნისა, მათ შორის, მხატვრული კრებულები, ოთხი რომანი და დანარჩენი – სამეცნიერო-კრიტიკული ნარკვევების კრებულია. 1996 წელს გარდაიცვალა მეუღლე და დარჩა სამი შვილი: **მანანა, მალხაზი და მაია**. სამივე დაოჯახებულია. 1997 წელს მეორედ იქორწინა **მისური ჯეირანაშვილზე**.

**დაჯილდოებულია მედლებითა და ორდენებით (12-გზის), მათ შორის – ღირსების ორდენით.**

**ავალიანი ზაზა**, მედ. მეცნ. კანდიდატი, ასისტენტი. დაიბადა 1960 წ. 24 მაისს თბილისში. დაამთავრა თსსი-ს სამკურნალო ფაკულტეტი (1978-1984). კლინიკური ორდინატურა გაიარა თსსი-ს პათანატომიის კათედრაზე (1984-86), იყო სამხედრო ექიმი (აზერბაიჯანი, 1986-88), სეფსისის სამ. ცენტრის ექიმ-პათოლოგანატომი (1988-1995), პათანატომიის კათედრის ასისტენტი (1995-1998). 1998 წლიდან თსსუ-ს № 1 კლინიკის ექიმ-პათოლოგანატომი, 1999 წლიდან– თსსუ-ს საინფორმაციო-ანალიზური ცენტრის ხელმძღვანელი და თსსუ-ს სასწავლო-მეთოდური სამმართველოს უფროსია. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „თავის ტვინის დიდი ჰემისფეროების ქერქის სენსორულ-მოტორული ზონის ნეირონციტების იშემიური ცვლილებების მოლეკულური საფუძვლები ექსპერიმენტში" (1998). ავტორია 19 სამეცნიერო ნაშრომისა, რომლებიც ეხება ორგანიზმზე მავნე აგენტების (იშემია, სხვადასხვა ინფექციები) ზემოქმედების მატერიალური სუბსტრატის საკითხებს. არის ათეროსკლეროზის საერთაშორისო საზოგადოების წევრი.



**ავალიანი ლადო (ვლადიმერ) შალვას ძე** (დ. 15.V. 1913, ზესტაფონი), ქართველი მწერალი. 1940 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. პირველი მოთხრობა („დადაშ ხვიბლან") გამოაქვეყნა 1935 წელს. ნოველათა პირველი კრებული „ლაპილ პირველი" – 1940. 1947-1967 წლებში გამოიცა მისი ნოველების ხუთი კრებული. მწერლის თხზულებათა თემატიკა ეხება ძველი და ახალი სვანეთის ყოფას („მუხი ჭია", „ლაპილ პირველი", „დალის დალალები"), სამამულო ომის დღეებს მიუძღვნა (*„დედის იმედი", „სიდუ"*), ქართული მწერლობისა და ხელოვნების მოღვაწეთა ცხოვრებას (*„ყარიბი მგოსანი", „სულთაგას ქუდი"*)

და სხვ. ავალიანის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებია „ახალი ჰორიზონტი“ (1952–1969), პირველი ქართული რომანი, რომელშიც ასახულია მაღაროელთა ცხოვრება. ავალიანის ნოველები და რომანი თარგმნილია რუსულ, რამდენიმე ნოველა – ჩეხურ, ხოლო „სულთაგას ქედი“ – ინგლისურ ენებზე.



**ავალიანი ვალერი ვასილის ძე** დაიბადა 1941 წლის 6 მაისს დაბა მესტიაში, მოსამსახურის ოჯახში. 1959 წელს დაამთავრა მესტიის პირველი საშუალო სკოლა, იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ გაგზავნილ იქნა ყაზახეთში ყამირის ათვისებაზე, სადაც მუშაობდა სუ–47 სამშენებლო სამმართველოში მშენებელ ინჟინრად. 1970 წელს დაბრუნდა საქართველოში და მუშაობა განაგრძო მესტიის სარემონტო–სამშენებლო სამმართველოში, ხოლო 1975 წლიდან მუშაობდა თბილისში, კალინინის რაიონის საბინაო–სამშენებლო სამმართველოში ინჟინრად. 1982 წლიდან მუშაობდა გარდაბნის რაიონის ნაგების საბჭოთა მეურნეობაში ინჟინრად მშენებლობის დარგში. 1990 წელს გადაყვანილ იქნა ჯანდარის მსხვილფეხა რქოსანი საქონლის მეურნეობაში დირექტორის მოადგილედ. ვალერი ავალიანს გარდაბანში აშენებული აქვს 100 საცხოვრებელი სახლი და სამი სვანური კოშკი. 2002 წლის 2 ივნისს არჩეულ იქნა ლემშვენიერას საკრებულოს დეპუტატად, ხოლო 19 ივნისს – ლემშვენიერას საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარედ. ვალერი ვასილის ძე ავალიანს ჰყავს მეუღლე, სამი შვილი და ერთი შვილიშვილი *(მასალები მოგვაწოდა უჩა ხარძიანმა, საზოგადოება „ვარიშვილობის“ დარბაზის წევრმა).*



**ავალიანი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე** დაიბადა 1947 წლის 25 აგვისტოს მესტიის რაიონის სოფელ ადიშში. 1966 წელს დაამთავრა ამავე რაიონის იფარის საშუალო სკოლა ოქროს მედალზე. 1972 წელს დაამთავრა ქუთაისის პედ. ინსტიტუტის ფიზიკა–მათემატიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილება. სწავლის პერიოდში მუშაობდა მესტიის რაიონის სკოლებში ფიზიკა–მათემატიკის მასწავლებლად. 1976 წელს ჩაირიცხა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსი წარჩინებით დაამთავრა 1981 წელს. გაანაწილეს თბილისის ქალაქის საბჭოსთან არსებულ კომუნალურ გაერთიანებაში. მუშაობდა თბოსადგურში რიგითი ინჟინრიდან დაწყებული, სხვადასხვა თანამდებობაზე. დაუსწრებლად დაამთავრა მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტის ასპირანტურა 1986 წელს. არის ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ამჟამად მუშაობს საქართველოს ადამიანთა უფლებების დაცვის ასოციაციის თბილისის რეგიონალური ორგანიზაციის ექსპერტად გაეროს ეგიდით.

ვლადიმერს ავალიანს ჰყავს მეუღლე **შავგლაძე ლალი იაკობის ასული,** მეცნიერებათა კანდიდატი და ქალ–ვაჟი: **თამარი** 21 წლის და **დავითი** 15 წლის.

**ავალიანები**, კერძოდ, ზემო სვანეთის რაიონის სოფელ ადიშის ავალიანები სამართლიანად ამაყობენ იმით, რომ სწორედ ჩვენს საგვარეულო კოშკში 800 წლის განმავლობაში ინახებოდა პირველი დათარიღებული ოთხთავი – „ადიშის“ ოთხთავი, რომელიც 898 წელს არის გადაწერილი შატბერდში. სამწუხაროდ, ჯერ ვერ დავადგინეთ, საიდან და როგორ მოხვდა ამ ერთ-ერთ მიუვალ მაღალმთიან სოფელში ეს უნიკალური ისტორიული ძეგლი.



**ავალიანი ლავრენტი ივანეს ძე** (6.X. 1923, სოფ. გუმათი, ახლანდ. წყალტუბოს რ-ნი, 1943), **საბჭოთა კავშირის გმირი** (მიენიჭა სიკვდილის შემდეგ, 1. XI. 1943), მეავტომატე. დაიბადა გლეხის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს წითელ არმიაში. მდ. დნეპრის ქვემოწელთან ბრძოლების დროს (1943) ავალიანი შეიჭრა მტრის სანგარში და 30 ჰიტლერელი გამოასალმა სიცოცხლეს. მომდევნო ბრძოლებში მტრის 18 ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპო. ქ. მელიტოპოლთან ბრძოლაში (ამ დროს ოცეულს მეთაურობდა) ხელყუმბარით ტანკს ქვეშ შეუვარდა. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენითა და მედლებით.

**ავალიანი ლევან (ლეო) სამსონის ძე** – (1929, 1.10, საკეცია, ამბროლაურის რ–ნი). პირველდაწყებითი განათლება მიიღო მშობლიურ სოფელში. სწავლობდა სოფელ ზნაკვის საშუალო სკოლაში (1940–44), ამბროლაურის სახელმწიფო პედაგოგიურ ტექნიკუმში (1944–48), რომლის დამთავრების შემდეგ მიენიჭა დაწყებითი კლასების პედაგოგის კვალიფიკაცია. მუშაობდა ქვემო სვანეთის სოფელ ხაჩეშის დაწყებითი სკოლის მასწავლებლად.

შემდეგ საკეციაში მეცხოველეობის ფერმის გამგედ (1954). პარალელურად სწავლობდა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკა–ორგანიზაციის ფაკულტეტზე (1957-63).

მუშაობდა სოფელ კვაშხიეთის (ონის რ–ნი) საშუალო სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგედ (1963–66), ამბროლაურის სოფტექნიკის გაერთიანებაში მთავარ ეკონომისტად, ამბროლაურის სასოფლო–სამეურნეო ტექნიკუმში სასწავლო-საცდელი მეურნეობის გამგედ (1967). ამავე ტექნიკუმის სასოფლო–სამეურნეო საწარმოთა ეკონომიკა–ორგანიზაციისა და დაგეგმვების საგნის მასწავლებლად (1967–90). ლ. ავალიანს **სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მინიჭებული აქვს სოფლის მეურნეობის წარჩინებულის წოდება.**

**ავალიანი მურმან დავითის ძე** დაიბადა 1947 წლის 29 იანვარს მესტიის რაიონის სოფელ ადიშში. 1964 წელს დაამთავრა იფარის საშუალო სკოლა. 1965 წელს ჩაირიცხა თბილისის ა. პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფია–გეოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1971 წელს. 1964 წლიდან ჩაბმული იყო საზოგადოებრივ საქმიანობაში. წლების განმავლობაში მუშაობდა კომკავშირისა და პარტიული ორგანიზაციების

განთავისუფლებულ მდივნად, გაზეთ „ახალი სვანეთის“ კორესპონდენტად. 1967 წლიდან მუშაობდა ადიშის 8-წლიან სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად, ხოლო 1977 წელს გადაყვანილ იქნა ამავე სკოლის დირექტორად. 1989 წელს საცხოვრებლად გადავიდა გარდაბნის რაიონის სოფელ ლემშვენიერაში, სადაც მუშაობდა ჯანდაცვის მეცხოველეობის კომპლექსში დირექტორის მოადგილედ სამეურნეო დარგში. 1990 წელს დაინიშნა სოფელ ლემშვენიერას სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, ხოლო 1992 წელს – ამავე სოფლის საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარედ. 1997 წლის მარტიდან დააწინაურეს გარდაბნის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ, სადაც მუშაობს ამჟამად.

ჰყავს მეუღლე, ექვსი შვილი და ექვსი შვილიშვილი *(მასალები მოგვაწოდა უჩა ხარძიანმა, საზოგადოება „გვარიშვილობის“ დარბაზის წევრმა).*

**ავალიანი ნიკოლოზ** მკურნალი, მედ. მეცნ. კანდიდატი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, სამკურნალო მასაჟის სკოლის „ავანი“-ს დირექტორი, დოცენტი. დაიბადა 1934 წ. 23 ივნისს, ბაქოში. დაამთავრა სსფკი (1953–57), თსსი-ს სამკურნალო ფაკულტეტი (1964–70). იყო სამკურნალო ფიზკულტურის მეთოდისტი ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის ს/კ ინსტიტუტში (1959–64), საქართველოს სპორტული კომიტეტის მთავარი ექიმი (1970–81), სსრკ ნაკრები გუნდების სამეცნიერო-მეთოდური და მედიკო-ბიოლოგიური უზრუნველყოფის მწვრთნელი-კონსულტანტი (1981–84), ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული მედიცინის კათედრის დოცენტი (1981–85), ფიზკულტურის ს/კ ინსტიტუტის დირექტორი (1984–87). 1987 წლიდან კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიის და რეაბილიტაციის ს/კ ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი და სამკურნალო ფიზკულტურის ჯგუფის უფროსია. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „სამკურნალო ფიზიკური კულტურა გულისა და ინფარქტით დაავადებულთა ეტაპურ რეაბილიტაციაში“ (1974). ავტორია 50 სამეცნიერო ნაშრომისა სამკურნალო ფიზიკური კულტურისა და რეაბილიტაციის შესახებ. გამოქვეყნებული აქვს ორი სახელმძღვანელო „სამკურნალო ფიზკულტურის მეთოდიკა“, „განათლება“; „მანუალური თერაპია“, თსუ-ს გამომცემლობა. 1993. არის თერაპიის ინსტიტუტის კონსულტანტი რეაბილიტაციის დარგში, სპორტული მედიცინის ფედერაციის გენ. მდივანი, კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სპორტული კომიტეტის მთავარი ექიმი, სკოლა „ავანი“-ს დირექტორი. ფიზკულტურის ფრიადოსანი 1975, სპორტული მედიცინისა და სამკურნალო ფიზკულტურის საკავშირო და რესპუბლიკური საზოგადოებების წევრი, მანუალური თერაპიის დამაარსებელი საქართველოში და ჯანდაცვის სამინისტროს კონსულტანტი ამ დარგში.

**ავალიანი სიმონ ლუკას ძე** (27.II. 1881, ქუთაისი, – 12.VIII. 1922, თბილისი). ქართველი ისტორიკოსი. 1904 წელს დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი. 1909 წლამდე იყო ამავე უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი, მაგრამ მალე დაითხოვეს, როგორც პოლიტიკურად არა-

საიმედო. 1909–16 წლებში მასწავლებლობდა ოდესის კერძო სასწავლებლებში და თანამშრომლობდა სხვადასხვა გამომცემლობებში. 1916–18 წლებში იყო პეტროგრადის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი. 1919 წლიდან – თსუ-ს პროფესორი. 1919–20 წლებში – ფინანსთა მინისტრის ამხანაგი საქართველოს მენშევიკური მთავრობაში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მუშაობდა საგარეო ვაჭრობის კომისარიატში. 1921–22 წლებში იყო თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დირექტორი. დაწერილი აქვს 50-მდე შრომა ამიერკავკასიის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის საკითხებზე. ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთმა პირველმა შეისწავლა მეცნიერულად 1861 წლის საგლეხო რეფორმის ისტორია ამიერკავკასიაში. ავალიანის გამოკვლევებს დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული ღირებულება. ავალიანმა თსუ-ში პირველმა წაიკითხა ლექციების კურსი: კოოპერაციის, დასავლეთ ევროპის ეკონომიკური ისტორიის, საქართველოსა და დასავლეთ ევროპაში მიწათმფლობელობის, საქართველოში აგრარული რეფორმის, XIX–XX ს.ს. საქართველოს ეკონომიკური ისტორიის, საქართველოს სამთამადნო მრეწველობისა და სხვ. საკითხებზე.

## ავალიშვილი//ავალიანი//ციციშვილი-ავალიანი//ავალიშვილი//პეტრესშვილი//მოზიაშვილი//გივიშვილი//მეითრიშვილი//ივანესშვილი

## ავალიშვილების გერბი



**ავალიშვილი–ავალიანთა გვარი მომდინარეობს ავალა ციციშვილისაგან. ავალიშვილი თავად ციციშვილთა შტო–გვარია.**

გეხედება საკუთარი სახელი **ავალ, ავალინ, ავალო.** საკუთარი სახელი **ავალ** წარმოშობილი უნდა იყოს ზმნისგან – **ავალებს.** (ნახეთ, ქეგლ., I, გვ. 17).

**ავალიშვილები** – სამცხე–საათაბაგოს თავადთა სიის მიხედვით, მათ მთაერულ გვარ **სულესარებთან** ერთად დაუკავებიათ **ბუმბულისძეთა** საგეარეულოს ადგილი, შედიოდნენ მცხეთის საკათალიკოსო სამწყსოში ((1516 წ.) ად– 91).

წიგნში **„შემოკლებითი აღწერა“**– აღნიშნულია: **„თავადი ავალისშვილი.** ესენი ძველად იყვნენ ციციანთა გვართაგან შორეული ნათესავნი, რომელსაც ამათ წინაპარსა **ავალა** ეწოდა. ესენი იყვნენ მოსახლენი ახალციხისა კერძოთა ადგილთა შინა და ოდეს განდგა ათაბაგი და დაიპყრა ახალციხე თვისად შეწევნითა თურქთა წელსა 1601 წელს, მათგანი რომელნიმე შთავიდნენ იმერეთს. სხვანი მოსახლენი იყვნენ ძველად მტკვრის ხეობასა შინა და იწოდებოდნენ მტკვრის მოურავად და მერე მტრიანობისა მიზეზითა აიყარნენ და შთამოვიდნენ ბრეთსა. რომელნიმე განვიდნენ კახეთს და არიან მუნითგან წოდებულნი ავალიან–ნი ქართლის მოსახლენი და კახეთის მოსახლენი. ხოლო ქართლის მოსახლენი არიან უპირველესნი: **პეტრესშვილები, გოგიასშვილები,** ანუ **გიორგისა** და სხვანი ამათნი სახლისკაცნი, ხოლო იმერეთს შინა რომელნიმე არიან თავადად და რომელნიმე აზნაურად და ესრეთვე ამათ გვარნი არიან ახალციხესა შინაცა“ *(შემოკლ. აღწერა... 21).*

**ავალიშვილები,** როგორც ფეოდალური საგვარეულო, დაწინაურდა XV–XVI საუკუნეებში ძველი თორის მხარეში (ახლანდელი ბორჯომის ხეობა). აქ ჩამოყალიბდა **ავალიშვილების სათავადო (საავალიშვილო),** რომლის ცენ–ტრი სოფელი **სადგერი** იყო. **საავალიშვილო 1535–45 წლებში იმერეთის სამეფოში** შედიოდა. **1545 წლიდან – სამცხე–საათაბაგოში,** ხოლო XVI საუკუნის 70–80–იან წლებში ოსმალებმა დაიპყრეს. XVII საუკუნეში ავალიშვილების ერთი ნაწილი შიდა ქართლში, კახეთსა და იმერეთში გადასახლდა. საკუთარ მიწა–წყალზე დარჩენილნი გამაჰმადიანდნენ და ბეგების (ბატონების) წოდება მისცეს. ქართლში გადასული ავალიშვილები ტაშისკარში, სურამში, არადეთში, ბრეთსა და აბისში დამკვიდრდნენ; კახეთში გადასულები – კაკაბეთში, კალაურში, თელავსა და ჩუმლაყში. იმერეთში ჩასახლებული ავალიშვილები დაკნინდნენ და აზნაურებად იქცნენ. **ქართლ–კახეთის ავალიშვილები იყვნენ ეპისკო–პოსები, ეკავათ მოურავის, ეშიკაღაბაშის, მეითართა და სხვათა თანამდებობები** *(იხ. ქსე. ტ. 1. თბ., 1975. გვ. 114).*

ქვემოთ დართულ რუსულ ენაზე გამოცემულ წყაროებში წერია: **„ავალიან–ავალიშვილები** თავად ციციშვილების განაყოფები არიან. ეს გვარი შეტანილია 1783 წ. 24 ივლისს მეფე ერეკლე II–ის მიერ ხელმოწერილ ტრაქტატზე დართულ როგორც ქართლის, ისე კახეთის თავადებში.

ახალციხის საერისთავოს დამოუკიდებლად არსებობის ეპოქაში თავადი ავალიშვილები ფლობდნენ სოფლებსა და მიწა-წყალს მტკვრის გაყოლებით და იწოდებოდნენ „მტკვრისპირეთის მოურავეებად". თურქების მიერ ახალციხის დაპყრობისას, XVII საუკუნის დასაწყისში, ავალიშვილები არ დათანხმდნენ ქრისტიანული სარწმუნოების შეცვლაზე და გადასახლდნენ იმერეთსა და აღმოსავლეთ საქართველოში. თავადი ავალიშვილი 1795 წელს ზავის თაობაზე მოლაპარაკებას აწარმოებდა სპარსეთის შახთან ალა-მოჰამედთან. თავად გიორგიმ, თავად ივანე მეითრის ვაჟმა, 1800 წ. პეტერბურგში თავადებთან გარსევან ჭავჭავაძესა და ელიზბარ ფალავანდიშვილთან ერთად ხელი მოაწერა რუსეთის იმპერიასთან საქართველოს საბოლოო შეერთებას (—ᲛØᲮE æ°... Œ Ŀ°, – გვ. 479).

**მკითხველს ვთავაზობთ ზოგიერთ დამატებით მასალას ავალიშვილთა საგვარეულოზე:**

„**ავალისშვილი – ეშიკაღასბაში**, მოწმე და დამამტკიცებელი ზურაბ ჯავახიშვილის მიერ იბაშერ შალიკაშვილისათვის მიცემული სოფელ სკრაზე უდაობის წიგნისა" *(1700 წ. 1450-37.235);*

„**ავალიშვილი ავალ (ვარ. ავალა)** – (1632)-1656 წ. წ. ბოქაულთუხუცესი (1646 წ. 1450–47.149). ჰყავს ძმები: **არსენ ბოდბელი და ალავერდელი, დავითი, ლონენა:** შვილები: **ლევან, ზაალ, იოვანე.** მას უწყალობა: **თეიმურაზ მეფემ** ლიხთიმერეთში გაწეული ერთგული სამსახურისათვის სახასო მამული უჯარმაში, ამოწყვეტილი ჯავშან ვაჩნაძის მამულები კალაურში, ბაკურციხესა და კარდანახში, ყული დავითისა – ენისელსა და ბაზარში, ძაგნაკორნასა და ხეობაში, ლონენა ხიმშიაშვილისა და ის მამულები, რომლებიც ადრე ამილახორისა და ლაროქველისათვის ჰქონდა ნაბოძები" *(1646 წ. XI. 26. 1450-47.14.).* **როსტომ მეფემ** – ამოვარდნილი დავით **გოშპარიშვილ-ვაჩნაძის** მამული, როდესაც დავითის ქალიშვილი ავალს მიათხოვა (1651წ. შდ- 14685). მარიამ დედოფალმა – კისისხევს დათუნა ვარდიშვილი, ძაგანაშვილი, ირემა კურდღელაშვილი, პაპია თათრიშვილი, ორი კომლი რევაზ სახლთუხუცესის ყმები: დათუნა და გიორგი მამულებითურთ და რევაზის უპატრონო ბეითალმანი მამული *(1653წ. XII. 8. შდ – 14500),* მანვე – კისისხევის მოურაობა და ვარდიშვილის სანაცვლოდ ძნელა, მამულითურთ *(1655 წ.). (იხ. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, თბ., 1991. გვ. 74).*

**ავალიშვილი არსენ** – 1630-1651 (1658) **საფარის მონასტრის წინამძღვარი, ბოდბელი მთავარეპისკოპოსი,** ალავერდელი ამბა – ალავერდელი (1641) – (1658) წლები... მას უწყალობა თეიმურაზ მეფემ საფარიდან გადმოტანილი ჯვრის მონასტრის წინამძღვრობა და დაასახლა არადეთის ბოლოს. მას შემდეგ, რაც თურქებმა საფარა აიოხრეს და არსენ წინამძღვარი და საფარის მონასტრის ყმები ქართლში გადმოსახლდნენ *(1630წ. IX – შდ – 14678);* – იყიდა როსტომ შალიკაშვილისგან იმერელი მახარა კენჭაძე შვილებითურთ, რომელიც გაქცე-

ეია როს ტომის მამას. ბახუტა შალიკაშვილს და ალაევერდს შეხიზნია (1648-1658. შდ 14286):

**ავალიშვილი გიორგი** – 1678, 1685–1692, 1703 წლები; **მოლახური** (1685-1694 წწ.შდ – 10168) **ახალდაბის მოურავი.** გიორგი მეფემ მას უწყალობა სახასო სოფელი ქიმერეთი, ტაშისკარს – მიქელაძის წილი აზნაურიშვილი ფასიტა ყმა-მამულით, მიქელაძის ნაქონი მამული და ახალდაბის მოურაობა *(1688 წ. IX. 24. 1448–523).*

**ავალიშვილი ზაალ** – მას უწყალობა გიორგი მეფემ სოფელი ნეძვი და კორტანეთი (1688. IX. 24. 1450–50.112). ნაზარალიხანმა განუახლა „ბარათი გამოყოლილი" ყმა-მამულის წყალობა: საავალიშვილო აზნაურიშვილი, გლეხი, სასაფლაო, ზღვარი და ხოდაბუნი, ამოვარდნილი ქავთარაძის ნაქონი გლეხით და მამულით *(1697 წ. 1450–50.95).*

**ავალიშვილი ზაქარია** – მას ჩააბარა გიორგი მეფემ რამინ ამირეჯიბის პატრონობა იმ პირობით, რომ სიკვდილის შემდეგ მისი მამული ზაქარიას დარჩებოდა (1605წ. VII. II. შდ – 1327); როცა ქართლში ყაენი მოსულა, თეიმურაზ მეფე ველარ გამკლავებია და ლიხთიმერეთში გადასულა. თან გაჰყოლია ზაქარია. თეიმურაზმა ამ სამსახურისათვის მას უწყალობა მისივე მკვიდრი სოფლები სომხეთი, აბისი და მისი მამიდაშვილის, იოთამ ფავნელიშვილის მამული გაღმა – პერედუ *(1633 წ. V. 30. შდ – 9377);* როსტომ მეფემ განუახლა წყალობა სომხეთისა, ხიდირბეგის მესხების გარდა ორი კომლი ყმისა და მათი მამულებით (1637 წ. შდ – 14483), თეიმურაზ მეფემ – კალაურში ზალდასტანისეული მამულისა (*1642 წ. შდ – 14483).*

**ავალიშვილი ლევან** – 1676–1681, (1695) წლები. – **მეჯინიბეთუხუცესი**. ერეკლე მეფემ მას განუახლა მამულების წყალობა უჯარმას, ხორაუგში და სიონში, ხოლო კალაურში, ბაკურციხესა და კარდანახში უწყალობა ამოვარდნილი ჯავშანა ვაჩნაძის მამული; ენისელში, ბაზარსა და ტილერს შუა-ყულ დავითას ნაქონი მამული, მანავს ფოცხვერაშვილი მამულითურთ, სორზანისვენახი და დემურ ჩასალის მებალახეობა *(1676 წ. 1450–50.180);* ორჯერ ხლებია რუსეთში ნაზარალი-ხანს, რის საფასურადაც მეფემ უწყალობა კაკაბეთი და განუახლა დემურ ჩასალის საბალახე *(1681წ. VIII. 18. შდ – 14525).* გიორგი მეფემ მას პირობა მისცა, რომ უბოძებდა სარუყაფლან (ავალიშვილის) წილ მამულს და აზნაურიშვილებს – **განძიელსა და სანთლიკუდაშვილს** *(1685-1695წწ. შდ – 10168).*

**აზნაური პაპალა სანთლიკუდაშვილი** ჩივის მეფესთან, რომ მისი ბატონი ედია ავალიშვილი არ ანებებს მას ნასყიდი მამულის გაყიდვას. მეფე უბრძანებს თავადს, მისცეს თავის აზნაურის ნასყიდი მამულის გაყიდვის საშუალება, ან არადა გადაუხადოს იმ ვალების ნაწილი, რომელთა გამოც ამ აზნაურს მამულის გაყიდვა უხდება *(სსცსა. ფ. 1448. №446).* ურჩი თავადი არ ემორჩილება მეფის

ბრძანებას. მეფე ხელმწიფედ უგზავნის ოქმის ამონაწერს: 1713 წელი IX. მზითევის წიგნი ქსნის ერისთავის დავითის ასული ელენესი. – ზემოქართლის თავადი გიორგი ავალიშვილი, ლუარსაბი, მეითარი, როსტომი, დაგვესიძა და მივათხოვეთ ძისა მათისა, ყოველისა სავაჭკაცოს ზნეობით აღსავსეს და სიკეთით უნაკლულოს, პირმშოსა უზბაშის ქაიხოსროსათვის ასული ჩვენი სასურველი აღზრდილი ქრისტეს სარწმუნოებაზედ, ყოვლის მშვენიერებით აღსავსე, უნაკლო ბანოვანთა ქცევათა, მეორე მზე, მეორე მთოვარე, სინათლე თვალთა ჩვენთა, სიხარული გონებასა ჩვენისა პატრონი ელენე *(მასალები საქ. სოც-ეკონ. ისტორიისათვის. თბ. 1974. გვ. 59–72).*

„ჩვენი ბრძანება არის, ამ პაპალას თავისი სახსრის ვალი რომ დაზდება, იმას უწინაც მივეცით ოქმი, თავის ნასყიდი მამული გაყიდოს და მოვალეს მისცეს, მაგრამ, რომელიც ნასყიდი არა ჰქონდეს, სამკვიდროს მამულს ნუ გაჰყიდის“ *(იქვე. №430).*

**1783 წლის ტრაქტატის მიხედვით ავალიშვილების აზნაურები არიან: ლაპინასშვილი, ჩიასშვილი, სანთლიკუდაშვილი, ლომიძე, კეცხოველი, ედიშერასშვილი.** ამათ გარდა, ავალიშვილებს კიდევ ჰყოლიათ აზნაურები. აი, ფაქტიც: 1774 წელს ზაალ ავალიშვილი თავისი აზნაურებით ტყვის გაუსყიდველობის პირობას აძლევს ანტონ კათალიკოზს. ამ აზნაურთა შორის დასახელებული არიან: **ციმაკურიძე, ერასტი და ოთარ განძიელები** *(დოკ. I. გვ. 470).*

განძიელი ავალიშვილის აზნაურად ჯერ კიდევ XVII საუკუნის პირველი ნახევრის საბუთში იხსენიება. როგორც უკვე ითქვა, როსტომ მეფემ ავალიშვილს უბოძა „სარუყაფლანის კერძო მამული სრულა და აზნაურიშვილი განძიელი და სანთლიკუდაშვილი“ *(ხელნ. ინსტ. ფ. შდ. № 10168).*

წერილობით წყაროებში მოიხსენიებიან: ავალისშვილი||ავალიშვილი, მროველი დომენტი, ქაიხოსრო, იოანე (მთავარეპისკოპოსი) ავალ (მეორე), ქაიხოსრო (მეორე), ლონენა (მეორე), დავითი, დათუნა, გიორგი, სვიმონ, ზურაბ, ბეჟან, ბეჟან (მეორე), გივი, გიორგი, დემეტრე, ლუარსაბ, ნიკოლოზ, დომენტი, ზაზა, ავალ (მესამე), პეტრე, სარდიონ, სარუყაფლან და სხვები.

**ქვემო ქართლელ მებატონე როსტომ ავალიშვილს ყმა-გლეხები ჰყოლია თრიალეთში და ოლთისს. მათგან მოიხსენიებიან: მამასახლისი ზაზა, გეგლა მებურნიშვილი და ფინეზა გულიზაშვილი** *(ვახუშტი. მასალანი – გვ. 37–38).*

**ავალიშვილებს ქართული საკუთარი თეატრი ჰქონდათ თბილისში, ერეკლე მეორის სამეფო კარზე.** აღნიშნული თეატრი დააარსა 1791 წელს მწერალმა და დიპლომატმა **გ. ავალიშვილმა.** სცენარისმოყვარეთა დასის წევრები მაღალი წრის წარმომადგენლები იყვნენ *(დ. ბაგრატიონი. დ. ჩოლოყაშვილი. თ. ანდრონიკაშვილი. ერეკლე II-ისა და გიორგი ბატონიშვილის ქალიშვილები).*

საჯარო წარმოდგენები იმართებოდა ეგრეთ წოდებულ პალატაში. წარმოდგენის დაწყებამდე გ. ავალიშვილი აუდიტორიას მიმართავდა ჩერიტატიეთ (ზეპირი დეკლამაციური განცხადებით), რომლის საგანგებოდ გალექსილი ტექსტით თეატრს თანამედროვეეთა გონებრივი და ზნეობრივი სრულყოფის ხელშემწყობ საგანმანათლებლო დაწესებულად აცხადებდა. დასმა პირველად წარმოადგინა **„მეფე თეიმურაზი,“** რომლის ავტორობასაც გ. ავალიშვილს მიაწერენ. ამ პიესაში საქართველოს რუსეთთან დაახლოების იდეა იყო გატარებული...

**ავალიშვილების თეატრმა იარსება 1795 წლამდე, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამდე** *(იხ. ქსე. ტ. 1. თბ. 1975. გვ. 115).*

**რუსეთის მთავრობამ აზნაურებად ცნო და საგვარტომო წიგნში იმერეთიდან შეიტანა: ზაუსტა ბერუას ძე,** მეუღლე მისი **თათია.** მათი ვაჟიშვილი დარისპანი. დარისპანის მეუღლე მარინე. ვაჟიშვილი იესე. ქალიშვილები: იელიტა, მზეხა; **ეგნატე ვახტანგის ძე,** ძმა ოქროპირი. დაი ვარდი. დედა დარეჯანი; **გიორგი ბეჟანის ძე,** მეუღლე მისი **სალომე.** ვაჟიშვილი ანტიმონი. გიორგის ძმები: გრიგოლი, ბერი. გრიგოლის მეუღლე თათია. ქალიშვილი გაიანე. ბერის მეუღლე სოფიო; **ლევან ბეჟანის ძე,** მეუღლე მისი **მახუა.** ვაჟიშვილები: სიმონ. შერმადინ. ბიჭინა, სამსონი. ქალიშვილები: ელენე, ოლღა; **საჩინო პეტრეს ძე,** მეუღლე მისი **სიდონია.** ვაჟიშვილები: მურზაყანი, ფარნაოზი. ქალიშვილები: სალომე. ვარდი; **ივანე ფარსადანის ძე,** მეუღლე მისი **თათია.** ქალიშვილები: კესარია, სიდონია. ივანეს ძმა თეიმურაზი; **ლუარსაბ ბუჭუას ძე,** მეუღლე მისი **თამარი.** ვაჟიშვილები: ტიმოთე, ალექსი, გერასიმე. ქალიშვილები: ეკატერინე. მართა, ალათია; **ნიკოლოზ დავითის ძე,** მეუღლე მისი **რუსუდანი;** დიმიტრი იესეს ძე, მეუღლე მისი ეფემია. ვაჟიშვილი სიმონი. დიმიტრის ძმა ყაფლანი; **როსტომ იასეს ძე,** მეუღლე მისი **მარიამი.** ქალიშვილები: სოფიო, ირინე. ელენთია. ვარდი; **ანტონ ბეჟანის ძე,** მეუღლე მისი **მარინე.** ვაჟიშვილი ნიკოლოზი. ქალიშვილი დარეჯანი; **მერაბ დავითის ძე,** მეუღლე მისი **სალომე.** ვაჟიშვილები: დავითი, ბესარიონი, ნიკოლოზი, სიმონი. ქალიშვილები: ხათუნა, ტასო. მერაბის ბიძაშვილი სპირიდონ იესეს ძე; **წმინდანი დავით ავალის ძე,** მეუღლე მისი **თათია.** ვაჟიშვილი ანტონი. ქალიშვილები: ეკატერინე. თეკლე. ანტონის მეუღლე როდამი. მათი ვაჟიშვილები: ეფრემი, ერმილე. ქალიშვილი ელენე ( *Łα Œ Œ , . ll. 17-18. № 396-408).*

**1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატზე თანდართულ სიაში** შეტანილი არიან **ავალიშვილები: ზურაბ ავალის ძე,** მეუღლე მისი **ანა,** ვაჟიშვილები ავალი, ალექსანდრე. ქალიშვილი კეკელა; **ევსტაფი ანტონის ძე,** მეუღლე მისი **ნინო,** ძმები ალექსანდრე, მიხეილი. დედა ეკატერინე; **ივანე ევსევის ძე,** მეუღლე მისი **გაიანე,** ვაჟიშვილები: დემეტრე, რაჟდენი, კონსტანტინე. იასე, ქალიშვილები: შორენა, ტასო, ივანეს დედა სოფიო; **ქაიხოსრო ავალის ძე,** მეუღლე მისი **ნინო,** ვაჟიშვილები გიორგი, ბარძიმი, ქალიშვილები: ანასტასია, სოფიო; **პეტრე**

**ედიევის ძე,** მეუღლე მისი **ბარბარე,** ვაჟიშვილები: ზაზა, იოსები, ზაზას მეუღლე ბარბარე, ვაჟიშვილი პეტრა, ქალიშვილი ელენე. იოსების მეუღლე მარიამი; **სვიმონ ნიკოლოზის ძე,** ძმები: რაჟდენი, სოლომონი, ილია. დედა ეკატერინე; **პრაპორშჩიკი სიმონ დავითის ძე,** მეუღლე მისი **ნატო,** ვაჟიშვილები გორი, მიხეილი, ალექსანდრე, ქალიშვილები: თებრონე, ნატო; **მაიორი ივანე თემურის ძე,** მეუღლე მისი **ბარბარე; პორუჩიკი იოსებ თემურის ძე,** მეუღლე მისი სოფიო, ვაჟიშვილი ადამა, ქალიშვილი სარა; **დიმიტრი გიორგის ძე,** ვაჟიშვილი ლევანი, ქალიშვილი სოფიო, დემეტრეს ძმა დავითი, მეუღლე ელისაბედი; **ზაალ სულხანის ძე, ტიხონ გერმანოზის ძე, მიხეილ პეტრეს ძე და სხვ.**



**ავალიშვილი ბიძინა** დაიბადა 1922 წელს. (გარდაიცვალა 2002). 1947 წელს მან წარჩინებით დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტი (პედაგოგი იაკობ ნიკოლაძე). მის მიერ შექმნილმა სადიპლომო ნამუშევრებმა მიიპყრო საზოგადოებრიობის ყურადღება, ვაჟა-ფშაველას პორტრეტში ნათლად გამოვლინდა ის მაღალპროფესიული თვისებები, რომელთა წყალობით ბიძინა ავალიშვილი მალე ქანდაკების ერთ-ერთ წამყვან ოსტატად იქცა და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მე-20 საუკუნის ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებაში.

ბიძინა ავალიშვილი აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის სამხატვრო ცხოვრებაში, მისი ნაწარმოებები სისტემატურად იფინებოდა რესპუბლიკურ და საზღვაგარეთულ გამოფენებზე. მოქანდაკის მრავალი ნამუშევარი დაცულია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, სურათების ეროვნულ გალერეაში და არაერთ მემორიალურ მუზეუმში, ამშვენებს საქართველოს სხვადასხვა კუთხის პარკებსა და სკვერებს, საზოგადოებრივ ნაგებობათა ინტერიერებს და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონებს.

ბიძინა ავალიშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობის დასაწყისი დაემთხვა ქართული ხელოვნების მეტად რთულ პერიოდს – მე-20 საუკუნის 40-იანი წლების მეორე ნახევარს. თავისი თაობის ზოგიერთ სხვა შემოქმედთა მსგავსად, მან შეძლო, თავი დაეღწია იმ დროის არსებული იდეოლოგიური წნეხისთვის, მოეძია ის თემები და სახეები, რომლებშიც ყველაზე სრულად შეძლებდა საკუთარი ნიჭისა და შესაძლებლობათა გამოვლენას.

მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ცნობილ ქართველ მოღვაწეთა ხელოვნების, ლიტერატურისა და მეცნიერების წარმომადგენელთა პორტრეტებმა, რომლებშიც ხაზგასმულია პიროვნებათა შინაგანი სამყაროს თავისებურებანი და ის სულიერი სიწმინდე, რომელიც თავად მოქანდაკეს ახასიათებდა.

ბიძინა ავალიშვილის პორტრეტულ შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართველ მწერალთა (ალექსანდრე ყაზბეგი, ლადო ასათიანი, გიორ-

გი ლეონიძე, ტიციან ტაბიძე და სხვა) გამოსახულებებს, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონის პორტრეტული ვარიაციები.

სხვადასხვა დროსა და განსხვავებულ მასალაში შესრულებულ ნაწარმოებებში ავტორი ეძიებს და აფიქსირებს იმ ნიშანთვისებებს, რომლებიც განსაკუთრებული სისავსით გამოკვეთავს არა მხოლოდ ამა თუ იმ შემოქმედის პიროვნულ ღირსებებს, არამედ მათივე ეპოქისათვის დამახასიათებელ თავისებურებებსაც. ამ ნიშნით გამოირჩევა გალაკტიონის არაერთი პორტრეტი, რომელთაგან უკანასკნელი, სულ ახლახან, 2002 წელს განხორციელდა. ამ ნამუშევრისთვის ავტორი სახელმწიფო პრემიაზეა წარდგენილი.

ბიძინა ავალიშვილის მიერ შექმნილია გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა (აკაკი შანიძე, ანდრია რაზმაძე, გიორგი ახვლედიანი, პეტრე მელიქიშვილი, ალექსანდრე დიდებულიძე დასხვა), ქართული კინოს ცნობილ ოსტატთა პორტრეტული გალერეა, რომელშიც მოქანდაკე ოსტატურად ახერხებს განსხვავებული ხასიათის პიროვნებათა ფსიქოლოგიურ დახასიათებას. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს **ფიროსმანის, რევაზ ლაღიძის, სერგო ზაქარიაძისა** და სხვათა პორტრეტები, რომელთა მხატვრული გადაწყვეტა ზედმიწევნით გადმოსცემს მხატვრის ხელწერის სტილისტურ თავისებურებებს.

თვალსაჩინო სახეით მიგნებებს მოქანდაკე შესანიშნავად უხამებს სხვადასხვა მასალის (ბრინჯაო, მარმარილო და სხვა) სპეციფიკის მაღალმხატვრული გამოყენებისა და ქანდაკების სივრცეში ჰარმონიულად განთავსების უნარს. სწორედ ეს თვისებები განაპირობებდა ბიძინა ავალიშვილის ნამუშევართა მოწონებასა და აღიარებას სხვადასხვა ვერნისაჟზე. ამ მიღწევებისთვის მიენიჭა მას **საქართველოს სახალხო მხატვრის საპატიო წოდება** (1986), დაჯილდოვდა ღირსების ორდენით (1997).

ინტენსიურ შემოქმედებით მოღვაწეობასთან ერთად ბიძინა ავალიშვილი ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობა ეწეოდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში. ბევრი მისი აღზრდილი დღეს ქართული სახვითი ხელოვნების აღიარებული ოსტატია.

ბიძინა ავალიშვილის სახელი უკვე ქართული ხელოვნების ისტორიის საკუთრება გახდა. მისი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის კვალი წარუშლელად აღიბეჭდება ქართული საზოგადოებრიობის მეხსიერებაში და მომავალშიც უდავოდ გახდება არაერთი ხელოვანისთვის სანიმუშო მაგალითი.

**ავალიშვილი გიორგი ივანეს ძე** (1769–1850, მოსკოვი), მწერალი, მოგზაური. სწავლა-განათლება რუსეთში მიიღო. 1784–1801 იყო ქართლ-კახეთის სამეფოს წარმომადგენელი რუსეთის იმპერატორის კარზე. აქტიური როლი ითამაშა რუსეთთან საქართველოს შეერთების საქმეში. 1791 წელს იმოგზაურა ირანის აზერბაიჯანში. 1819–1820 დიპლ. მისიით იყო ოსმალეთში, ეგვიპტესა და პალესტინაში. მას ქართული დრამატურგიის მამამთავრად მიიჩნევენ (იხ.

ავალიშვილის თეატრი). მას მიეწერება ორიგინალური დრამა „მეფე თეიმურაზი" (1791), რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. მანვე პირველმა თარგმნა ქართულ ენაზე ა. სუმაროკოვის პიესები. ავტორია ლირიკული ლექსებისა, რომლებიც სამშობლოს გარეთ მცხოვრები მამულიშვილის განცდებსა და სულისკვეთებას გადმოსცემენ. შეადგინა ქართული პოეზიის ანთოლოგია, სადაც თავი მოუყარა ძირითადად თავისი დროის პოეტების თხზულებებს. მეტად მნიშვნელოვანია მისი ღვაწლი მთარგმნელობით სფეროში. თარგმნა ჯ. მილტონის, მ. ლომონოსოვის, ა. სუმაროკოვის, გ. დერჟავინის, მ. ხერასკოვის, ჰ. ჟანლისის და იმ დროს რუსეთსა და ევროპაში პოპულარული ფრანგი, გერმანელი და სხვა ავტორების თხზულებები – „*მგზავრობაი თბილისით იერუსალიმისადმი საბერძნეთსა ზედა: უკუქცევაი იერუსალიმით თბილისასადმივე კიპრის ჭალაკისა, მცირისა აზიისა და ანატოლიის ძალით*" მრავალმხრივ საინტერესო ნაშრომია. იგი განსაკუთრებით ძვირფასია ქართული გეოგრაფიული აზროვნების ისტორიისათვის. მოგზაურობის მარშრუტი იყო: თბილისი – დასავლეთ საქართველო – ყირიმი – კონსტანტინოპოლი – ალექსანდრია – კაირო – იერუსალიმი – კ. კვიპროსი – თარსუსი – კაისერი – არზრუმი – ყარსი – შულავერი – თბილისი. ნაშრომში განხილულია საქართველოსა და რუსეთის საგარეო პოლიტიკის ზოგი საკითხი. ეგვიპტისა და ოსმალეთის სოციალური და პოლიტიკური ცხოვრება, არაბებისა და თურქების ყოფა: მოცემულია საინტერესო ცნობები ეგვიპტეში მცხოვრები ქართველების შესახებ. ავალიშვილი იშვიათი კალიგრაფიც იყო.



**ავალიშვილი გიორგი (1913–1986) – ქართული სპორტის ცნობილი მოღვაწე, სსრკ დამსახურებული ოსტატი და დამსახურებული მწვრთნელი. მისი, როგორც თბილისის „დინამოსა" და საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის, სახელთანაა დაკავშირებული ქართული კალათბურთის აღმასვლის ყველაზე სასახელო პერიოდი.**

გიორგი ავალიშვილის ხელმძღვანელობით, თბილისის „დინამო" ოთხჯერ (1950, 1953, 1954, 1968) გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, სამჯერ (1948, 1950, 1951) მოიპოვა საკავშირო თასი, მოიგო „დინამოს" საკავშირო და საერთაშორისო ტურნირები, ჩაატარა წარმატებული ტურნეები ევროპის, აზიისა და აფრიკის სახელმწიფოებში. იყო საკავშირო და ევროპის ტურნირების მრავალგზის პრიზიორი. იმ პერიოდის „დინამო" წარმოადგენდა ვარსკვლავების სამჭედლოს, სადაც არაერთი დამწყები მოთამაშე დაოსტატდა. გიორგი ავალიშვილის მიერ წლების განმავლობაში გამოწრთობილმა გუნდმა ევროპის ჩემპიონთა თასიც მოიპოვა. სიცოცხლის ბოლომდე იგი „დინამოს" ბავშვთა კალათბურთის სკოლას ხელმძღვანელობდა.

გიორგი ავალიშვილს გამორჩეული ადგილი უკავია ქართული სპორტის ისტორიაში. პროფესიონალიზმი, საქმისადმი უსაზღვრო ერთგულება მასში

ეროვნულ თავმოყვარეობასთან იყო შესისხლხორცებული. მან უარყო არაერთი შემოთავაზება, სათავეში ჩასდგომოდა მოსკოვის წამყვან გუნდებს და ნაკრებს. ის სიცოცხლის ბოლომდე მხოლოდ ქართული სპორტის საკეთილდღეოდ იღვწოდა. რაც დროის შესაფერის ფორმებში გამოძახილი იყო ავალიშვილების გვარისეული ზნეობისა და პატრიოტიზმის. **გიორგი ავალიშვილი იყო ჩვენი სახელოვანი მეფის ერეკლე II პირდაპირი შთამომავალი მარიამ ბატონიშვილის ხაზით (მეექვსე თაობა).** მისი მამა, ივანე ავალიშვილი, ცნობილი პუბლიცისტი და პედაგოგი, იყო ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის თანამოღვაწე წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში. **დედის, სოფიოს მხრიდან, გიორგის ბიძები იყვნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები – გოგა, ალექსანდრე, ილია და ზაქარია ყიფშიძეები.**

გიორგი ავალიშვილი მისი შეგირდებისთვის იყო მაღალი ზნეობის, შეუდრეკელობის, სიკეთისა და პრინციპულობის ნიმუში. ის ზრდიდა არა მხოლოდ დიდ სპორტსმენებს, არამედ ჭეშმარიტ მოქალაქეებსა და მამულიშვილებს. სწორედ ამან შეაძლებინა საქართველოს ნაკრების სამ მოთამაშეს ხალხთა მეორე სპარტაკიადაზე დაემარცხებინა მთლიანი შემადგენლობით მოთამაშე ლატვიის უძლიერესი გუნდი.

გიორგი ავალიშვილის მეუღლეა **ვარდო დემეტრაშვილი, ერთ-ერთი პირველი ქართველი კალათბურთელი ქალი. ჩვენი ნაკრების პირველი კაპიტანი. მათ ჰყავთ ქალიშვილი – ქეთევანი (ექიმი) და ნინო (ბიოლოგი).**



**ავალიშვილი გაჟა ლევანის ძე** – დაიბადა 1937 წლის 5 მაისს ქუთაისში.

1957 წელს მუშაობა დაიწყო ქუთაისის რკინიგზის კლუბის ქორეოგრაფიული წრის ხელმძღვანელად. პარალელურად სწავლობდა ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის მუსიკალური სასწავლებლის ვოკალურ განყოფილებაზე. ამ პერიოდში ქუთაისში იდგმებოდა ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტე", რომელსაც ხელმძღვანელობდა გამოჩენილი მუსიკოსი, მუსიკალური სასწავლებლის დირექტორი – თეიმურაზ კობახიძე. ამ სპექტაკლზე მუშაობისთვის მიიწვიეს იგი, როგორც მოცეკვავე. სპექტაკლი იდგმებოდა საოპერო თეატრის დაარსებასთან დაკავშირებით.

ქუთაისის საოპერო თეატრის დაარსებისთვის დადგმულ სპექტაკლში, როგორც მოცეკვავე იღებდა მონაწილეობას ქორეოგრაფი ანზორ სირბილაძე. პარალელურად დაკავებული იყო საოპერო გუნდში. დიდი სიამაყით შეიძლება ითქვას, რომ ქუთაისში საოპერო თეატრის დაარსებაში გარკვეული წილი მიუძღვის მას, როგორც მოცეკვავეს და როგორც მომღერალს. 1957 წელს თბილისში ჩატარდა ფესტივალი, რომელში მონაწილეობამაც და მისმა დიდმა წარმატებამ განაპირობა ვ. ავალიშვილის მომავალი პროფესიის არჩევა. 1961 წელს ჩაირიცხა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში ვოკალურ განყოფილებაზე.

კონსერვატორიაში მისაღებ გამოცდებზე მხოლოდ მან მიიღო შეფასება – **ფრიადი.** დანარჩენი ნაწარმოებების მოსმენა კომისიამ საჭიროდ არ ჩათვალა. 1966–67 სასწავლო წელს მიიწვიეს სიღნაღში იმჟამად გახსნილ მუსიკალურ სასწავლებელში ვოკალური კლასის პედაგოგად. 1967–68 სასწავლო წელს გადმოვიდა თბილისში 26–ე საშუალო სკოლასთან არსებული მუსიკალური სტუდიის გამგედ. 1976 წელს გადაიყვანეს ოქტომბრის რაიონის განათლების განყოფილებაში ესთეტიკური აღზრდისა და ქორეოგრაფიის ინსპექტორ–მეთოდისტად. მისი მუშაობის პერიოდში ოქტომბრის რაიონმა ოლიმპიადაზე მიიღო **550 მედალი (ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო).** უნდა ითქვას, რომ ამ რაოდენობის მედალი მთელ ქალაქს არ მიუღია ამ ოლიმპიადაზე. პარალელურად მუშაობდა სერგო ზაქარიაძის სახელობის კულტ.საგანმანათლებლო სასწავლებელში ვოკალის პედაგოგად, ასწავლიდა სამსახიობო განყოფილების სტუდენტებს. მღეროდა ხელოვნების მუშაკთა სახლის ანსამბლ „ხალიბში". 1987 წელს ხელოვნების მუშაკთა სახლს შეუსრულდა 65 წელი. საიუბილეო თარიღი ჩატარდა მოსკოვში. ამ საიუბილეო საღამოზე სიურპრიზად მოიწვიეს გამოჩენილი მომღერალი ი. ს. კოზლოვსკი. საღამოზე მასთან ერთად შეასრულა ქართული სიმღერა „მხოლოდ შენ ერთს". ამ ფაქტმა განაპირობა ბევრი მუსიკოსის მხრიდან მასთან თანამშრომლობის სურვილი და კონცერტებზე მონაწილეობის მიღება. ერთ–ერთი მათგანი ვახტანგ გლუნჩაძე იყო. 1988 წელს გადაიყვანეს 95–ე ს/ბაღის გამგედ, სადაც მუშაობს დღემდე. აღნიშნული ბაღი სხვებისგან იმით განირჩევა, რომ ის ხელოვნების დარგების მიმართაა ორიენტირებული. ს/ბაღში ფუნქციონირებს სტანდარტზევით დისციპლინები: ქართული ხალხური ცეკვა, სიმღერა, აერობიკა, რუსული და ინგლისური ენის წრე, ფორტეპიანო. ბაღს აქვს საცურაო აუზი, რომელიც ფუნქციონირებდა თავის დროზე, მაგრამ ქვეყანაში შექმნილმა მდგომარეობამ თავისი დაღი დაასვა აუზის ფუნქციონირებას. 1983 წელს, სახალხო განათლების დარგში თავდადებული და ნაყოფიერი მუშაობისთვის დააჯილდოვეს **„სახალხო განათლების წარჩინებული"** სამკერდე ნიშნით. 1984 წელს დააჯილდოვეს **ოქროს მედლით.** 1959 წლის 6 იანვარს გადაეცა საპატიო სიგელი ცეკვებისა და სიმღერების კარგად და ნაყოფიერად მომზადებისთვის. 1959 წლის 30 ივნისს საქართველოს რესპუბლიკურმა პროფკავშირებმა გადასცეს სიგელი მხატვრული თვითშემოქმედების სფეროში აქტიური და ნაყოფიერი მუშაობისათვის. 1976 წელს დააჯილდოვეს მუსიკალური სტუდიების დაარსების 20 წლისთავთან დაკავშირებით, დიპლომით ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის. 1985 წლის 22 იანვარს საქართველოს განათლების სამინისტრო აჯილდოვებს საპატიო სიგელით მე–17 საკავშირო სპარტაკიადაზე რესპუბლიკის ნაკრები გუნდების წარმატებაში განსაკუთრებული წვლილისთვის. 1986 წელს დონეცკის კულტურის მუშაკთა საოლქო კომიტეტი და პრეზიდიუმი, შესრულების მაღალი კულტურისთვის აჯილდოებს საპატიო სიგელით, როგორც

ანსამბლ „ხალიბის“ სოლისტს.

**ბაბუა – ავალიშვილი ვასილ სიმონის ძე**, დაბ. ქუთაისში. მუშაობდა ქუთაისის გუბერნიის სასამართლოს მდივნად. **მამა – ავალიშვილი ლევან ვასილის ძე**, დაბ. ქუთაისში. მუშაობდა იქვე. კოლონიის მომარაგების უფროსად. **დედა – პატარიძე ოლღა (ლოლა)**, დაბ. 1906 წელს. განათლებით პროვიზორ-ფარმაცევტი. მუშაობდა ქუთაისში. **და – ლამარა ლევანის ასული ავალიშვილი-სილაგაძისა**, დაბ. 1941 წ. მუშაობს ბაღდათში ექიმ-ლაბორანტად. **და – ნესტანი**, დაბ. 1949 წ. სპეციალობით მუსიკოსია. დაამთავრა ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახელობის მუსიკალური სასწავლებელი ფორტეპიანოს კლასით. **მეუღლე – იამზე ალექსანდრეს ასული ოქრუაშვილი-ავალიშვილისა**, დაამთავრა თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. კონსერვატორია – საფორტეპიანო განყოფილება.

**ქალიშვილები: მარიამ**, დაბადებული 1969 წელს. დაამთავრა პირველი მუსიკალური სასწავლებელი ფორტეპიანოს სპეციალობით და სამხატვრო აკადემია – ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი. გათხოვილია. ჰყავს მეუღლე და ერთი ვაჟიშვილი. **ეკატერინე**, დაბადებული 1972 წელს. სპეციალობით იურისტია. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰყავს მეუღლე და ერთი ვაჟიშვილი.

1997 წელს ჩუღურეთის რაიონის გამგეობამ 60 წლისთავთან დაკავშირებით გადასცა მადლობის სიგელი, ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის.

* * *

P.S. როგორც გადმოცემიდან ვიცი, ქუთაისში ხარაგაულის რაიონის სოფელ ვარძიიდან გადმოსახლებულა ბაბუაჩემის მამა – სიმონ ავალიშვილი და ჩასახლებულა ქუთაისში, ჭომას უბანში, ბახტაძის ოჯახში.

საერთოდ, ცნობილია, რომ ავალიშვილების გვარი წარმოშობით ბორჯომის ხეობიდანაა, რომელიც მე-16–მე-19 საუკუნეებში იყო სათავადო საავალიშვილო. ამავე ცნობას ადასტურებს ისტორიკოსი ვ. აბულაძე თავის სადისერტაციო ნაშრომში „ბორჯომის ხეობა მე-16–მე-19 საუკუნეებში“.

**ავალიშვილი ივანე (1863–1950)** – ცნობილი პედაგოგი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე.

დაიბადა ხაშურის მაზრის (ამჟამად ქარელის რაიონის) სოფელ ბრეთში. მამა, გიორგი ქაიხოსროსძე ავალიშვილი, ერთ-ერთი უძველესი ფეოდალური დინასტიის შთამომავალი, გლეხებისადმი გამორჩეულ კეთილგონიერ დამოკიდებულებას იჩენდა. რის ნიშნადაც ივანე იზრდებოდა გლეხის შვილებთან ერთად, მათთან ერთად თამაშობდა, თევზაობდა, შრომობდა, ეცნობოდა ხალხურ შემოქმედებას. გასაკვირი არ არის, რომ სოფლის ახალგაზრდობაზე ზრუნვა მისი მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა. დედა, ეკატერინე ციციშვილი, ერეკლე მეფის

ქალიშვილის – მარიამ ბატონიშვილის შვილთაშვილი იყო. ტრადიციისამებრ, ქართული ანბანის შესწავლა სწორედ დედამ დააწყებინა.

ავლაბრის დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ, ივანემ სწავლა გორის სამასწავლებლო სემინარიაში განაგრძო. აქ მასთან ერთად სწავლობდნენ ლუკა რაზიკაშვილი (ვაჟა-ფშაველა), ლადო აღნიაშვილი, ნიკო ლეჟავა, ალექსანდრე ციმაკურიძე და სხვა, მომავალში ცნობილი მოღვაწეები. ქართულ ენას მათ მწერ-ალი ნიკო ლომოური ასწავლიდა. სემინარიის ხუთწლიანი კურსის დამთავრების შემდეგ, 1885 წლიდან ივანე ავალიშვილი იწყებს პედაგოგიურ საქმიანობას განაწ-ილების მიხედვით, სოფელ მარტყოფის დაწყებით სკოლაში, საიდანაც შემდეგ გადაიყვანეს სოფელ რუისის სკოლაში. 1892 წელს მან მასწავლებლობას თავი დაანება და ხელი მიჰყო საზოგადოებრივ-ლიტერატურულ შრომას. მიუხედავად ამისა, წლების განმავლობაში აქტიურად მოღვაწეობდა რა სახალხო განათლების სფეროში, ხელმძღვანელობდა სასოფლო სკოლების საქმიანობას, ეძიებდა და ხელს უწყობდა წერთნაში განათლებისა და სცენისმოყვარე ახალგაზრდებს, ჩამოჰყავდა ისინი თბილისში სწავლის გასაგრძელებლად. 1907 წლიდან ივ. ავალიშვილი არის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამფუძნე წევრი, 1909 წელს კი იგი ცვალის შორ მლეიმელს საზოგადოების წიგნის მაღაზიის გამგის თანამდებობაზე. ის ახლო ურთიერთობაშია ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, ალექსანდრე ყაზბეგთან, სოფო მგალობლიშვილთან და სხვა მწერლებთან და ერუდიულ მოღვაწეებთან. ივანე ავალიშვილი ითვლებოდა ქართული ენის შესანიშნავ მცოდნედ. საყურადღებოა, რომ ჩვენი დიდი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი ბევრი ქართული სიტყვის სისწორეს სწორედ ივ. ავალიშვილთან ერთად ამოწმებდა. შემორჩენილია წერილი, რომელშიც ის „ბატონ ვანოს“ თხოვს, გამოიკვლიოს „ვეფხისტყაოსანში“ სიტყვების „მშვენიერისა და „შვენიერის“ ხმარე-ბა. ივანე ავალიშვილის დამსახურებაა ქართულ სალიტერატურო ენაში რამდენ-იმე სიტყვის, მათ შორის სიტყვა „ხარვეზის“ დამკვიდრება. მის მიერ იყო შედგენილი ქართული წერის დედანი. ივ. ავალიშვილი მწერლობაშიც იღებდა მონაწილეობას. მან ქართულ ენაზე თარგმნა ემილ ზოლას „მაღაროებში მომუშავენი“ და რაფაელ ჯიოვანიოლის „სპარტაკი“. ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა წერილებს საზოგა-დოებრივი ცხოვრებისა და ქართული ენის საკითხებზე. ივანე ავალიშვილი სარგე-ბლობდა საყოველთაო პატივისცემით, როგორც ქართული ენის სიწმინდის დამცველი და ჩვენი ხალხის განათლებულობისთვის თავდაუზოგავი მოღვაწე მამულიშვილი. მისი მეუღლე – სოფიო იყო ცნობილი პიროვნებების გრიგოლ – გიგა (ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლი), ალექსანდრე ფრონელი (მწერალი), ზაქარია (გენერ-ალი) და ილია (მინერალოგიის ფუძემდებელი) ყიფშიძეების და. ივანე და სოფიო ავალიშვილებს ჰყავდათ 4 შვილი: **ქეთევანი** (ახალგაზრდა გარდაიცვალა), **თინათინი** (ექიმი), **პორთსი** (ამგდარი გეოლოგი, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით) და **გიორგი** (თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა ლეგენდარული გუნდის მწვრთნელი).

**ავალიშვილი ირაკლი** (1950 წ.) – მხატვარი. მამა – **პიროსი ავალიშვილი**, დედა – **გულნარა ჯავახიშვილი**. თანმიმდევრული სამხატვრო განათლება არ მიუღია. ჯერ ესწრებოდა სამხატვრო აკადემიის მოსამზადებელ კურსს, დაახლოებით ერთი წელი ხატავდა ნატურას უჩა ჯაფარიძის კლასთან ერთად. 1982 წელს შესრულებული აქვს რამდენიმე პორტრეტი სამხატვრო კომბინატის დაკვეთით. 1990 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტის სახვითი ხელოვნების განყოფილება ფერწერის სპეციალობით. ამ პერიოდში ის, როგორც ფიზიკოსი, ძირითადად დაკავებული იყო კვლევითი მუშაობით ბიოფიზიკაში. 1992 წელს დაიცვა დისერტაცია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. მიწვეული იყო საერთაშორისო კონფერენციაზე.

1995 წლიდან ირაკლი ავალიშვილი მთლიანად ხატვით არის დაკავებული. ის ყოველწლიურად მონაწილეობს ეროვნულ გალერეაში მოწყობილ გამოფენაში. 2000–2002 წლებში ჰქონდა 7 პერსონალური გამოფენა: ქარვასლაში, ეროვნულ ბიბლიოთეკაში, აშშ-ს საელჩოში, იტალია-საქართველოს საზოგადოებაში, გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში, ორჯერ – რუსთაველის გამზირზე არსებულ დარბაზში. მისი შვიდი ნახატი შეიძინეს უცხოელებმა და ინახება 4 მათგანი შვეიცარიაში, თითო-თითო კი აშშ-ში, ჰოლანდიასა და კანადაში.

ირაკლი ავალიშვილის ხელოვნება სარგებლობს გულწრფელად დადებითი შეფასებებით ხელოვნებისმცოდნეთა მხრიდან. 2001 წლის 1 ივლისის გაზეთ „რეზონანსში" ლელა ოჩიაური წერს: „ესაა ფერადოვანი, დახვეწილი და სრულ სისავსეში მყოფი ჰარმონია, რომელსაც ავტორის უშუალობის, გულწრფელობის კვალიც ატყვია და პროფესიონალის მტკიცე ხელიც. ესაა ფერთა ზეიმი, პასტელური, მზით განათებული, გამჭვირვალე ტონების მრავალფეროვანი თანაარსებობით, სადაც ბუნების მიმართ „იმპრესიონისტული" დამოკიდებულებაც გამოსჭვივის, გოეთეს „ფერთა თეორიის" შორეული ნიშნებიც იკითხება, ქართული ტრადიციული (ფრესკული) ხელოვნების სისადავე და ლაკონიურობა და, რაც მთავარია, ყოველგვარი დოგმებისგან სრულიად დამოუკიდებელი შემოქმედის სულიერებაც". მხატვარ გია ბუღაძის აზრით, ირაკლი ავალიშვილის „პეიზაჟები არის შუქის, ჰაერის, ფერის და სითბოს შესანიშნავი ლირიკული ოპუსები . თითქოს ყოველივეს ძერწავს, ჩამოქნის სინათლე, რომელიც უხილავი წყაროდან იდუმალად ლიცლიცებს და გამოსცემს თავის სითბოს".

მაღალ შეფასებას აძლევდა ირაკლის ნიჭიერებას მისი ყრმობის მეგობარი ირაკლი ფარჯიანი, რომლის დაჟინებამ და თანადგომამ მნიშვნელოვნად განაპირობა საბოლოო არჩევანი.

ირაკლი ავალიშვილის მეუღლეა **მარინე ახვლედიანი**. მათ ჰყავთ 6 შვილი: ქალიშვილი **თამარი**, ვაჟიშვილები: **გიორგი, ზურაბი, ნიკოლოზი, კახაბერი** და **ქრისტეფორე**.

**ავალიშვილი ზურაბ დავითის ძე** (1876–1944), ქართველი მეცნიერი, იურისტი, ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, დიპლომატი. იურიდიული განათლება მიიღო პეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც 1904 დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია („დეცენტრალიზაცია და თვითმმართველობა საფრანგეთში“, 1905). იქვე კითხულობდა სახელმწიფო სამართლის კურსს. 1909 წელს მიიწვიეს პეტერბურგის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში პროფესორად და ადმინისტრაციული სამართლის კათედრის გამგედ. 1917 თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაინიშნა სენატორად. 1918 წელს საქართველოში დაბრუნდა. იყო მენშევიკური მთავრობის მრჩეველი საგარეო პოლიტიკურ საკითხებში, მონაწილეობდა საზღვარგარეთ წარგზავნილ დიპლომატიურ მისიებში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ემიგრანტი (1921-დან).

ავალიშვილის პირველი ნაშრომი **„საქართველოს შეერთება რუსეთთან“** (1901) დაწერილია ბურჟუაზიული ობიექტივიზმისა და ნაციონალიზმის პოზიციებიდან. 1905–15 წწ. ნაწერებში სახელმწიფო სამართლისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხებზე („საოლქო საკითხები“, „ეროვნული მოძრაობის ფორმები ევროპასა და რუსეთში“ და სხვ.). ბურჟუაზიულ-ლიბერალური თვალსაზრისით ასაბუთებდა მრავალეროვანი სახელმწიფოებრიობისათვის ფედერალური წყობილების აუცილებლობას. მისი პოლიტიკური მრწამსი, სახელდობრ, მისი შეურიგებლობა სოციალისტურ რევოლუციასთან, აისახა წიგნში „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918–1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში“. წიგნი შეიცავს იმ პერიოდის საქართველოს საგარეო პოლიტიკის მასალებს, მენშევიკური მთავრობის დიპლომატიის კრიტიკას.

იკვლევდა ძველი ქართული მწერლობისა და ფილოსოფიის საკითხებს. ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის“ საკითხები“ (პარიზი, 1931) იგი განიხილავს რუსთაველის კოსმოგონიურ შეხედულებებს, გამოთქვამს მოსაზრებებს რაინდობის ინსტიტუტის შესახებ, პოემის ფაბულის ირგვლივ და სხვ. ნაშრომში – „თეიმურაზ I და მისი პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“ (პარიზი, 1938) – მანამდე უცნობი საარქივო მასალებისა და ისტორიული წყაროების საფუძველზე გარკვეულია პოემის პერსონაჟთა და სიტუაციების ისტორიული სანდოობის საკითხი.



**ავალიშვილი ნიკოლოზ იაკობის ძე** (1844–1929), ჟურნალისტი, მთარგმნელი, თეატრალური მოღვაწე. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. 1878–79 იყო განახლებული ქართული თეატრის ერთ-ერთი მესვეური. 1869–72 რედაქტორობდა ჟურნალ „მნათობს“. მისი თხზულებანი იბეჭდებოდა „კრებულში“, „მნათობში“, „ივერიაში“. თარგმნა სერვანტესის „დონ-კიხოტი“, შილერის პიესები, ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება“, სენკევიჩის „ვიდრე ხვალ, უფალო“, სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატი“ და სხვ.

* * *

**ავალიშვილ-ხერხეულიძე ბაბო (ბარბარე) ანდრიას ასული** (22.VII (3.VIII). 1851–26 IX(9.XII).1900), ქართველი მსახიობი. ტრაგიკული და დრამატული როლების პირველი შემსრულებელი თბილისის განახლებულ თეატრში (1879), ლ. მესხიშვილის პარტნიორი. ა-ის შემოქმედება გამოირჩეოდა მხატვრული სისადავით. „ყვარყვარე ათაბეგი“), ქეთევანი (დ. ერისთავის „სამშობლო“), მერინე (გუნიას „და-ძმა“), მარგარიტა (დიუმას „მარგარიტა გოტიე“), ოფელია (შექსპირის „ჰამლეტი“) და სხვ.

**ავალიანი-კაციტაძე ივდითი პლატონის ასული** – (1905. 21.09) (ხოტევი, ამბროლაურის რაიონი). დაამთავრა ხოტევის და ჭელიაღელის დაწყებითი სკოლა, ქუთაისის გიმნაზია.

მუშაობდა ლების. შემდეგ ხოტევის საშუალო სკოლებში პედაგოგად (1903-61): მეორე მსოფლიო ომში დაეღუპა მეუღლე. პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად, აქტიურად შრომობდა ხოტევის კოლმეურნეობაში სამ ვაჟთან ერთად, რომლებიც დღეს საქართველოს მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლები არიან.

ამჟამად დამსახურებული პენსიონერია და კვლავ აქტიურად შრომობს.

**ავალიშვილი ბარსანოფე, არქიმანდრიტი.** ბატონიშვილი დავით 1801 წ. 30 მაისს წერს მის შესახებ: „არქიმანდრიტ ბარსანოფეს, ეხლა რომ ექვთიმე ხაშმის არქიმანდრიტთან იმყოფება, მთელ კახეთში დაჰქონდა ჩვენი ბიძების წერილები, რომლებითაც ის აღელვებდა კახელებს და ღალატისაკენ უბიძგებდა“ (აქტები, I. № 406). „მასვე დროსა შეიპყრეს და მისცეს პყრობილებას არქიმანდრიტი ბარსანოფე ავალიშვილი ნათლისმცემლისა უდაბნოსა შინა მყოფი“. (პლ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი XIII-ისა. აკ. გაწერელიას გამოც. გვ. 222.)

ამის დაპატიმრებას პლ. იოსელიანი უკავშირებს კელმეჩურის მუჯალამას.

**ავალიშვილი ზაქარია ივანეს ძე – ზირაქ-ევლოგი.** დაიბადა 1766წ. 14 დეკემბერს. ათი წლიდან იმყოფებოდა დავით გარეჯის მონასტერში, ბერად აღიკვეცა 1783წ. 13. II-ს და მიიღო სახელი **ზირაქ.** სქემით იკურთხა 1792წ. 29. II-ს. იმავე წლის 20 მარტიდან მღვდელმონაზონია, 6 დეკემბრიდან – არქიმანდრიტი. 1795 წლის 30 მაისს კათალიკოსმა ანტონ ჭერემის ეპისკოპოსად აკურთხა და სახელად ევლოგი უწოდა.

**ზირაქი, ჭერემელი ეპისკოპოსი,** იყო გარსევან ჭავჭავაძის ცოლისძმა. ა. 1795 წ. 18 ივლისს ჩავიდა მოზდოკს, თან ჰქონდა ერეკლე II-ის წერილი გარსევან ჭავჭავაძისადმი. აპირებდა მოზდოკიდან პეტერბურგს ჩასვლას დის სანახავად. 1797 წ. 9. VII-ს ჩავიდა მოსკოვში. ცხოვრობდა ჯვართამაღლების მონასტერში. გარდაიცვალა 1809 წ. 7 თებერვალს, დასაფლავებულია მოსკოვის პოკროვსკის მონასტერში **„გარე ეკლესიისა, წინაშე მარჯვენესა სამწირველოისა“.**

მის გარდაცვალებაზე იონა ხელაშვილს უთქვამს სიტყვა (იხ. სარჩევი იონას წიგნებისა – J 2226. გვ. 1 თეითონ სიტყვა – ა – 7. გვ. 105–122).

თეითონ უთარგმნა ქართულად პლატონ მიტროპოლიტის „შესხმა ალექსანდრე I-სა" *(შ – 50; დ. კარიჭაშვილის კატალოგი. 123).*

გიორგი ჩუბინაშვილს მოყვანილი აქვს ლექსი ავალოვისა. შეიძლება ეს ავალოვი იყოს არა გიორგი ავალიშვილი, როგორც ფიქრობს გ. ჩუბინაშვილი, არამედ მისი ძმა ზირაქი.

**ავალიშვილი პეტრე.** 1812 წ. კახეთის აჯანყების მონაწილე. გადასახლებული იყო ციმბირს, ირკუტსკის გუბერნიაში. 1820 წელს ბრუნდება გადასახლებიდან. ერმოლოვი მას მიუჩენს ფარულ მეთვალყურეთ, იგი პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშაა *(საქ. ც. ა. ფ. 8. საქმე № 2527. ფურც. 2).* 1820 წლის ივლისში ავალიშვილი ცხოვრობს გორის მაზრაში, მის საკუთარ სოფელ ბრეთში. მასზე დაწესებულია მეთვალყურეობა, რასაც მოახსენებს ერმოლოვს თბილისის პოლიცმეისტერი კახანოვი *(იქვე. № 25–27.).*

* * *

**ავანაშვილი** მამაკაცის საკუთარი სახელი ავანა – **ავანაშვილი** – მეტეხის ღმრთისმშობლის ყმა, პაპეს (სახლიკაცი) მურადა, კონსტანტინე მეფეს იგი შეუწირავს მეტეხის ღმრთისმშობლისათვის. შემდგომში ლუარსაბ მეფემ იგი გაათარხანა იმ პირობით, რომ მეტეხის ღმრთისმშობელს წელიწადში მიართმევდა ოც „ქალაქურ" ლიტრ ზეთს (1546წ. II. 15. 1449–1541).

**ავანაშვილი მურადა** – (სახლიკაცი) ასვატურა ავანაშვილისა, იხ.

**ავანაშვილი ყუზ(ა)ნა** – მოწმე ნინიკა ყაიხისშვილის მიერ მანუჩარ თუმანისშვილისათვის მიცემული ნასყიდობის წიგნისა (1670წ. II. 20.შდ – 48).

**ავატამაშვილი** – ენაგეთში მცხოვრები, აზნაური ბარათაშვილების გაყრის წიგნით იგი ერგო გერმანოზსა და მის ძმებს: თაყას, გოსტასაბს, ფალავანხოსროს – ერთ წილად (1523წ.ად – 1299): იხ. აგრეთვე. პალ., გვ. 78).

**ავაქაშვილი – ავაქიშვილი ავაქა** – აკ(ა)ურთას მცხოვრები, იგი, მამულით, წილად ხვდა იოთამ ბარათაშვილს *((1537–1538 წ.წ.) VIII. 16. 1450–11.112).*

**ავაქა** – სიქიშხანას მცხოვრები, იგი, მამულით, წილად ხვდა იოთამ ბარათაშვილს *(1537–1538 წ.წ.) VIII. 11. 1450–11.112).*

**ავაქა** – 1683–1700 წწ. მოწმე: სეფიყულა ზაქუმისშვილის მიერ პაპია ტერტერასშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1583წ. V. 2. 1450–9.108). დუშია გოგიბაშვილის მიერ ფარემუზ გოგიბაშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1694 წ. IV. 7. 1450–6.36), დურმიშხან დემურაშვილის მიერ თავის ბიძაშვილ ალიხანისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა *(1700 წ. X. 15. 1450–9.149).*

**ავაქასშვილი|ავაქაშვილი|ავაქაანთ, ავაქაშვილი** – მოწმე დათუნა შატბერაშვილის

მიერ ზურაბა თუმანიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა *(1678 წ. VI. 12. შდ – 47).*

**ავაქა(ნთ)** – ავაქანთ გზის მიწა მიჰყიდა ზაქუმ ზაქუმიშვილმა–ალიყულიშვილმა ალავერდა იაგულაშვილს *(1699 წ. V. 10. 1450–9.119).*

**ავაქიშვილი** – ცოერეთს მისი მამული ეკუთენოდა (ბარათაშვილს) *(XVII ს. ბოლო. 1450–33.286).*

**ავაქიშვილი ბაინდური** – წაკელი, ძმა ბერინა ავაქაშვილისა, იხ.

**ავაქაშვილი ბაინდურა** – დამწერი და მოწმე სარქისა (ვახტანგასშვილის) მიერ ყორღანაშვილისათვის საწიგნე საზღაურის ბოძების წიგნისა *(1647 წ. IV. 5. 1450 – 19.24).*

**ავაქაშვილი ბერინა** – წაკელი, ჰყავს ძმა ბაინდ·ურ, ძმასთან ერთად მოწმეა ბიძინა სოლაღაშვილის მიერ ელიზბარ სოლაღაშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა *(1661 წ. IV. 16. შდ – 751).*

***ავაქაშვილი ბეროა*** – *მოწმე:* შაყუბათა ბეროაშვილის მიერ დოლმაზა შანშიაშვილისთვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1687წ. IX. ჰდ – 14179), დ·ურმიშხან დემურაშვილის მიერ თავის ბიძაშვილ ალიხანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა *(1700 წ. X. 15. 1450 – 9.149).*

**ავაქაშვილი გოდერძა** – წაკელი, მოწმე ბიძინა მწყერაძე–ბერუკაშვილის მიერ უთრუთ (ციციშვილისათვის) მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1699 წ. II. 5. 1450 – 51. 84).

**ავაქაშვილი დავითა** – მოწმე მამასახლის იაგანას მიერ პაპა შანშიაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1672 წ. V. 7. 1450 – 6.23).

**ავაქიშვილი** – ესტატე (თუმანიშვილმა) თავის განაყოფ მდივან ზურაბ (თუმანიშვილს) (ხელთუბანში) მიჰყიდა ავაქიშვილისაგან ნარგები ქვემო ვენახი *(1678 წ. V. 15.შდ – 12).*

**ავაქიშვილი გოგუტა** – მოწმე ბახუტა შატბერაშვილის მიერ ზურაბ თუმანიშვილისათვის მიცეკმული მიწის ნასყიდობის წიგნისა *(1678 წ. X. 10. შდ – 179).*

**ავბეწვასშვილი||ავბეწვასშუილი||ავბეწვაშვილი ავბეწვასშვილი** (**ვარ. ავბეწვასშუილი**) – ახალდაბას მცხოვრები, იგი მამ·ულითურთ, ერთწილად ერგო: მანუჩარ და ჯიმშიტა თუმანიშვილებს *(1656 წ. შდ – 14665),* შემდგომ – ჯიმშიტა (თუმანიშვილს) *(1656 წ. შდ – 12271).*

**ა(ვ)ბეწვაშვილი** – დათია ყვავიშვილმა რევაზ (მაღალაძეს) მიჰყიდა ადგილი ა(ვ)ბეწვაშვილისეულ მიწამდე *(1689 წ. 1448 – 5075).*

**ავბეწვაშვილი** – კასპს მცხოვრები, საამილახვროს დავთრის მიხედვით, მისი კომლიდან სამ კაცს ევალებოდა შუბით ლაშქრობა *(XVII ს. II ნახ. 1448 – 5032).*

**ავგაროზიშვილი ავგროზაშვილი**, უფრო მართებული და ადრინდელია ავგა–

**როზაშვილი**, ხოლო ა მოგეიანებით ასო ი-ს შეუცვლია და **აგგაროზაშვილი**. **აგგროზაშვილი** ჩაწერის დროსაა დამახინჯებული.

**აგგაროზი** – პატარა ნივთი, თილისმა, რომელსაც ცრუმორწმუნეები გულზე იკიდებენ (ქეგლ).

**აგგაროზი** ჯერ იყო მეტსახელი შემდეგ სახელადაც გამხდარა. შდრ. **კრკონელი აგგაროზა** გოშფარ და როინ ჯავახიშვილის გაყრისას ნახევარი მამულით ერგო პირველს *(1527–1558 წ.წ.)*.

**აგგაროზიშვილის წინარე გვარებია: აგგაროზისძე – შინდაძე.**

**აბრაჰამ აგგაროზისძე** იყო სამეფო კარის მწიგნობარი, რომელმაც შეადგინა გიორგი მეფის მიერ იოანე ჯავახიშვილის სახელზე გაცემული მონასტრის წყალობის სიგელი (1338წ.).

1400 წელს თემურბეგის ლაშქრობასთან დაკავშირებით, გრიგოლ შინდაძე (აგგაროზიშვილი) გვაუწყებს: „მას ჟამსა შინა დამიცვა ღმერთმან ფელთაგან მათთა და შემდგომ მცირედისა ჟამისაი, დაერჩი ობოლი ხუთთა ძმათაგან და ესტიროდი თავსა ჩემსა მე, გრიგოლ შინდაძე („შინდაძესა აგგაროზიშვილი". შემდგომ ჩამოთვლის მის მიერ ნამოქმედარ საქველმოქმედო საქმეებს და დასძენს" ... და დაესხენ წიგნნი: პარაკლიტონი, სამოციქულო, გულაი აგგაროზი... წმინდანნო მამანო, მეფეთა და პატრონთა სამსახურისაგან ეს-ოდენ შევიძელ და შენდობით მომიხსენეთ: სულსა შინდაძისა აგგაროზისასა შეუნდვენ ღმერთმან" *(ქრონიკ. II. 204 – 205)*.

**დღევანდელ სოფელ კოდაში (თეთრიწყაროს რაიონი) მცხოვრები აგგაროზიშვილები გადმოსულან სოფელ წიფორიდან (წიფორი არის ცხინვალის რაიონში, დუშეთში და კასპში).**

„**...აქავ კოდაზედ სარდალ-სახლთხუცის ყმა წიფორელი... იოანე აგგაროზასშვილი**, ამისი ძმა **შიო**, აქავ **წიფორელი ბერიძე აგგაროზასშვილი**" (აქ ბერიძე სახელია). *(ივ. ჯავახიშვილი, ალმ. საქართველოს XVIIIს-ის ხალხის აღწერის დავთრები, წ. I. 176)*.

**კოდაში** 1818 წელს **დავით აგგაროზაშვილის** ქალიშვილის **მარინეს** მომქმელი (მეჯვარე) ყოფილა **ალა შანშიაშვილი** (სცსსა, ფ. 189, აღწ. 6. 1ბ). „კოდას **გიორგი აგგაროზაშვილს** ეყოლა შვილი, სახელი უწოდა **ქეთევან**, ნათლიად იყო კოდელი **ხოსრო ეგნატისშვილი** (489, №6, 57, 1828წ. ფურც. 9); კოდელმა **თევდორე აგგაროზაშვილმა** 1829 წელს იქორწინა ნადარბაზევში მცხოვრებ გლეხ მათეს ქალ ტასიაზე. გვირგვინი უკურთხა მღვდელმა აბრამა ხუროშვილმა. თაედები იყვნენ: სარბიქა მეკოკისშვილი, არუფინა დალაქისშვილი, პავლე თათარაშვილი *(489. აღწ. 6. № 76. ფურც.5)*.

**აგგაროზისძეთა შტო-გვარია აგრეთვე ანდრიასშვილი. „აგგაროზისძე-ანდრიასშვილი გრიგოლ – შიდარს მცხოვრები,** მას მისცა გულშარ

დედოფალმა თოთხმეტი ათასი თეთრი, რათა გაეჩინა შულშარისათვის ალაპი ქეათახევის ელაქერნის ღმრთისმშობლის ეკლესიაში, მისი გარდაცვალების შემდეგ ალაპის გადახდა დაევალებია ონიას (1488 წ.).

**შინდაძე-აგგაროზაშვილი – აგგაროზიშვილი – აგგაროზაშვილი – ანდრიასშვილი.**



**აგგაროზაშვილი ნიკოლოზ გაბრიელის ძე,** დაიბადა 1927 წლის 14 აპრილს თეთრიწყაროს რაიონის სოფელ კოდაში. მისი მშობლები იყვნენ მიწის მუშები. ერთი წლის იყო, როდესაც მამა გარდაეცვალა და ოთხი ობოლი და უსინათლო ბებია დარჩნენ დედის კმაყოფაზე, რომელმაც ოთხივე შვილს შესაბამისი განათლება მისცა (უფროსი ძმა დაიღუპა სამამულო ომში). იმავე სოფელში დაამთავრა არასრული საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა თბილისში ცეკავშირის კოოპერატიულ ტექნიკუმში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა. სწავლასთან ერთად ეწეოდა შრომით საქმიანობას.

სხვადასხვა დროს მუშაობდა მარაბდის კოლმეურნეობაში მოანგარიშედ (1943–44 წლები), კოდის სასოფლო საბჭოში მდივნად (1944–48), მუხათის კოლმეურნეობის ბუღალტრად (1948–52), კოდის კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ (1955–56), თეთრიწყაროს ცხოველდამზადების მთავარ ბუღალტრად (1952–55 წ.წ.), ასურეთის სოფლის კოოპერატივის მთავარ ბუღალტრად (1958–60 წლები), ბოლნისის უსინათლოთა საზოგადოების მთავარ ბუღალტრად (1961–62), თ/წყაროს რაიკავშირის ბუღალტრად (1963–64), კოდის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის აღმრიცხველად (1964–65), კოდის კოლმეურნეობის და შემდეგ საბჭოთა მეურნეობის მთავარ ბუღალტრად (1965–81), კოდის მეფრინველეობის ფაბრიკის მთავარი ბუღალტრის მოადგილედ (1981–89), ფაბრიკის კომბინირებული საკვების საწყობის გამგედ (1989–98). ამჟამად პენსიაზეა, როგორც სამამულო ომის მონაწილეებთან გათანაბრებული პირი.

ჰყავს მეუღლე – **რიმა გიორგის ასული ახუაშვილი,** სოფელ მუხათის





მკვიდრი (დაქორწინდნენ 1948 წელს) და ექვსი შვილი: ორი ვაჟი და ოთხი ქალიშვილი. ყველა დაქორწინებული. თორმეტი შვილიშვილი და შვილთაშვილი ნიკოლოზ (ნიკო) ავგაროზაშვილის ოჯახს ეკუთვნის. როცა ვთხოვეთ მას დაეწერა ავტობიოგრაფია და დაერთო თავისი დიდი, მრავალრიცხოვანი და შინაარსიანი ოჯახის ფოტოსურათი, მან მოგვიგო: „ვიდრე ჩემი დაბადების დღე არ მოვა, სურათს ვერ მოგცემთო". თან დააყოლა: „ახლა რომ 41 სული ვართ, მანამდე კიდევ მოვიმატებთო".

ღმერთმა კიდევ უფრო გააძლიეროს და ამრავლოს ნიკოსა და რიმას ოჯახი.

სურათში ვერ მოხვდა ორი სიძე (შვილიშვილების მეუღლეები), 1 შვილიშვილი და ოთხი შვილთაშვილი (რომლებიც სურათის გადაღების შემდეგ დაიბადნენ)



* * *

**ავთანდილაშვილი||ავთანდილიშვილი** აღნიშნული გვარი გვხვდება როგორც დამოუკიდებლად ნაწარმოებად, ისე არის აგრეთვე ბარათაშვილების განაყარი გვარიც. **ავთანდილ ბარათაშვილისაგან გაჩნდა ავთანდილიშვილი–ავთანდილაშვილი.** მოგვიანებით ავთანდილაშვილთა ნაწილი რუსული ფორმანტით **ოვი** გააფორმეს და გაჩნდა ახალი „გვარუკა" **ავთანდილოვი.** დროა, ავთანდილოვებმა დაიბრუნონ მამა–პაპური გვარი, რამეთუ ვინ იცის მათ შორის რამდენია ბარათაშვილი.

**ავთანდილ** – დამწერი და მოწმე ჭრეშის მელიქ მირიმან (ნარიმანიშვილისა) და მის შვილებს შორის გაყოფის წიგნისა (1691წ.)

**ავთანდილ** – შვილი მარეხისა.

**ავთანდილ** – მას უბოძა უცნობმა პირმა დარბაზს ბეჟიას ნაქონი სახლი და ვენახი (1631წ.).

**ავთანდილ**–სუფრაჩის შვილი. მოწმე გივი გაბაშვილის მიერ თამაზისათვის

მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1634წ.)

**ავთანდილ – ოფრეთის მოურავი,** მან და ყორხმაზბეგმა, მარიამ დედოფლის ბრძანებით, გაარჩიეს სამამულე დავა დედოფლის ყმა ალიხანასა და ოფრეთელებს შორის (1634–1675წწ.).

**ავთანდილ** – შვილი მამასახლისის ძმის, შაპარუნასი.

**ავთანდილ** – მოურავი. მოწმე ზაზუტა ალხაზიშვილის მიერ პაპუა (მაღალაძისათვის) მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1663წ.)

**ავთანდილ** – დომენტი პატრიარქის ყმა. მოწმე ამირჯანა იევანგულაშვილის მიერ დომენტი პატრიარქისათვის მიცემული ხატის ნასყიდობის წიგნისა (1664წ.).

**ავთანდილ** – შვილი ფარსადანისა.

**ავთანდილ** – 1669–1698წწ. **ქალაქის მელიქი,** მოწმე: ვახტანგაანთ ნასყიდას მიერ პაატაბეგისათვის მიცემული თავნასყიდობის წიგნისა (1669წ.), ნასყიდას, ბალდასარასა და ჯანუას გაყრის წიგნისა (1672წ.), ბაბუათ ბალინაშვილ როსტომას მიერ იავანგულაანთ მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1672წ.), ალიყაფლან ლაჩინაშვილის მიერ ნაზარ ხოჯაბეგაშვილისათვის მიცემული სახლისა და კალოს ნასყიდობის წიგნისა (1677წ.), მათაშას მიერ აშოთან ბატონიშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1678წ.), ნორაშნის ხუცეს მიქიას მიერ ისაიასშვილ მანველასათვის მიცემული სახლის ადგილის ნასყიდობის წიგნისა (1678წ.), თამაზ ჯანშიარასშვილის მიერ ეჩმიაძინის კათალიკოს-პატრიარქ იაკობისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1678წ.) აბესალამანთ მერადაშვილ ხოჯინას მიერ აშოთან ბატონიშვილისათვის მიცემული სახლების ნასყიდობის წიგნისა (1679წ.) ჯანაბოაანთ პაპინაშვილ გასპარას მიერ დავით ჯანლაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1680წ.). ბეჟუა რამაზისშვილის მიერ ნონია მაკარისშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1682წ.). ლორტუკაანთ მერაბასშვილ ამოანის მიერ მახარობლისათვის მიცემული ადგილის ნასყიდობის წიგნისა (1682წ.), ტიტიათ ბა(ი)ნდურასშვილ ბეროას მიერ (მანუჩარ) მოურავისათვის მიცემული სახლ-კარის ნასყიდობის წიგნისა (1683წ.), ხანგასიასათ თოროსასშვილ აფროამას მიერ ქაიხოსრო ბარათაშვილისათვის მიცემული სახლის ნასყიდობის წიგნისა (1683წ.), ოთარბაანთ შაროას მიერ შაბანაათ პაპოასათვის მიცემული სახლ-კარის ნასყიდობის წიგნისა *(1683წ.)*.

**ავთანდილაშვილი ალიხანა** – (ძმა) თამაზ ავთანდილაშვილისა.

**ავთანდილაშვილი ბიძინა** – ეკუთვნოდა ორი კომლი ყმა (კეხიჯვარში). შეტანილია ციციშვილების ყმების ნუსხაში *(1658–1675 წ.წ.)*.

**ავთანდილაშვილი ბიძინა** – ჰყავს შვილები: ზაალ, იესე, გიორგი, როინ (1682წ.). იყიდა: სეხნია მაჯანიძისაგან ავთანდილაშვილების განაყოფის მიერ მიყიდული ნაფუძარი საზვიაშვილის ნაფუძრამდე *(1682 წ.)*, პაპუნა მაჯანიძისაგან – მიწა მისივე კალოს პირას *(1682 წ.)*.

**ავთანდილაშვილი გიორგი** – შვილი ბიძინა ავთანდილაშვილისა.

**ავთანდილაშვილი ვარდანშა** – მოწმე და დამწერი იაგანა ქანანაშვილის მიერ თამაზ ყაფლანისშვილისათვის მიცემული ყმის ნასყიდობის წიგნისა (1678წ.).

**ავთანდილაშვილი ზაალ** – შვილი ბიძინა ავთანდილაშვილისა. ხავთანდილაშვილი ზა(ა)ლ – მოწმე გაბრიელ ბეჟანისშვილ-ბაინდურაშვილისა და ავთანდილ ასატურასშვილის მიერ ელიზბარ დავითისშვილისათვის მიცემული ვალის თამასუქის ბათილამისა *(1697 წ.).*

**ავთანდილაშვილი თამაზ** – 1685-1690წწ. ჰყავს (ძმა) ალიხანა, ბაინდურ გოგიბაშვილის განაყოფი. ბაინდურ გოგიბაშვილს მიჰყიდა: ურწაშენს ზვრის ბოლოს შიოშაური ერთი დღის მიწა, პატარა სახუნდაროს, ღარიბას მიწის ზემოთ – რატის მიწის ნახევარი (1685წ.). მოწმე: დოლმაზ ესტატესშვილის მიერ თავისი განაყოფის შვილის, ბაინდურ გოგიბაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1690წ.). გასპარა დარისპანაშვილის მიერ თავის ბიძაშვილ ბაინდურ (შანშიაშვილისათვის) მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1680 წ.).

**ავთანდილაშვილი იაგანა** – მოწმე ბერუა ყარახანაშვილის მიერ ბერუა გულიზაშვილისათვის მიცემული საკომლო სახლ-კარის ნასყიდობის წიგნისა *(1620 წ.).*

**ავთანდილაშვილი იესე** – შვილი ბიძინა ავთანდილაშვილისა.

**ავთანდილაშვილი იესე** – ლეთელი, მოწმე ერასტი ფიფიაშვილს მიერ ზაალ წინამძღვრიშვილისათვის მიცემული სასახლის ნასყიდობის წიგნისა (1697წ.).

**ავთანდილაშვილი როინ** – შვილი ბიძინა ავთანდილაშვილისა. ავთანდილაშვილი ბერუა – იყიდა შერმაზანა აბაზაშვილისაგან მისი მკვიდრი ყმის, არაქელაშვილის ოთხი დღის მიწა თავთავგვერდში შიკიანთ და ზუტიას საზღვრებამდე, მამუკიანთ მიწამდე და საქცევ გზამდე *(1690-იანი წწ.).*

**ავთანდილიშვილი, იეგანაშვილი, ბეჟანიშვილი, ტერტერაშვილი, ავთანდილოვი.**

**1721 წლის აღწერით ქვემო ქართლში ავთანდილაშვილები იყვნენ ყმაგლეხებიც და ხემამულეებიც.** ბარათაშვილთა განაყოფ მემამულე-მებატონე ავთანდილაშვილების შტო-გვარებს წარმოადგენდა: **იეგანაშვილი და ბეჟანიშვილი** (იხ. ი. ახუაშვილი, დასახ. გვ. 199). **იეგანაშვილი** – 0

**ავთანდილაშვილი,** ეპონიმური გვარსახელია, წარმომდგარი მამაკაცის საკუთარი სახელიდან **ავთანდილ** – შდრ: ავთანდილ-ოფრეთის მოურავი, ავთანდილ – ქალაქის მელიქი (1669-1698წწ.).

ავთანდილაშვილი-ავთანდილიშვილთა ერთ ნაწილს სუფიქსი შვილი ჩამოაცალეს და ფორმანტი **ოვი** – მიაბეს. ამ გზით გაჩნდა ავთანდილოვი. შდრ:

**ავთანდილიშვილი-ავთანდილოვი-იეგანაშვილი-ბეჟანიშვილი**

1721 წლის აღწერით მოიხსენიება **ავთანდილი,** იგი თავად სოლოღაშვილის

უყმო აზნაურია ტაშირში: **ავთანდილ–ი** (მეორე), მოლაშქრე, უთრუა ციციშვილის უყმო აზნაურია წავკისში: **ავთანდილ–ი** (მესამე), მეფის მემამულე, ცხოვრობდა და ყმები ჰყავდა სომხითში (იას. ლორთქიფ. ქე. ქართ., ნაწ. III და IV, გვ. 320). ასევე იხსენიებიან: **ავთანდილი,** მდივანი და მწერალი: **ავთანდილ სუფრაჯი; ორი ავთანდილი,** დედოფლის უყმო აზნაურები, ერთი თეთრ სოფელში, მეორე – შუა ბოლნისში (იქვე).

წყაროებში მოიხსენიებიან: **ბარათაშვილი (ვარ. აბაშისშვილი) ავთანდილ–** 1627–1648წწ. სუფრაჩი, მანგლისის მოურავი, ჰყავს ძმა: მერაბ, შვილები: ბადურა–ლევან, აბელ, გორჯას, ძმისწული აბაშ. მას უწყალობა ჯაჰანჰანუ დედოფალმა: ნასოფლარი დიდი ურცევანი *(1627 წ.)* მანგლისი *(1630 წ.)*, მანვე განუახლა წყალობა მკვიდრი მამულის: გოლთეთა(ი) *(1628 წ.)* და სოფელი კიკეთი (1628 წ.).

**ბარათაშვილი ავთანდილ** – ბიძაშვილი ავთანდილ ბარათაშვილისა.

**ბარათაშვილი ავთანდილ** – ჰყავს ძმა ქაიხოსრო, შაჰნავაზმა მას დაუბრუნა მკვიდრი სოფელი ქვია, რომელიც ცრუებით წართმეული ჰქონდა *(1664წ.)*.

**ბარათაშვილი ავთანდილ** – (დისწული) დმანელ ქრისტეფორე ბარათაშვილისა.

**ბარათაშვილი ვარ. თამაზისშვილი, თამაზისშვილი–იესესშვილი)** ავთანდილ – 1679–1698 წწ. ჰყავს მამა იასე ბარათაშვილი:

**ბარათაშვილი – ავთანდილიშვილი** ქეთევანისა. ავთანდილ ბარათაშვილისაგან წარმოსდგა გვარი ავთანდილაშვილი *(იხ. პირთა ანოტირებული ლექსიკ., I. თბ., 1991წ.)*.

1721 წლის აღწერით მემამულე ავთანდილაშვილების ყმების საერთო ჯამი დმანისის ვარდისუბანში გამოთვლილია: 2 გამომღები, 10 ბოგანო. ნამდვილად არის: 8 გამომღები, 1– ბოგანო: ფარანჯუკში გამოთვლილია: 5 გამომღები, 3 ბოგანო, 3 აყრილი. ნამდვილად კი არის: 5 გამომღები, 3 ბოგანო, 2 აყრილი, 1 ამოწყვეტილი.

**ავთანდილიშვილი II იეგანაშვილი,** 1721 წლის აღწერით ყაფლანიშვილების მემამულე, ცხოვრობდა და ყმები ჰყავდა ყაიყულში, დბანისში.

**ავთანდილისშვილი II ბეჟანიშვილები** 1721 წლის აღწერით იყვნენ ყაფლანიშვილების აზნაურები. ფრიდონ და ყულიჯან ავთანდილაშვილებს ყმები ჰყავდათ სოფელ ვარდისუბანსა და ფარაჯუკში, ფარემუზას სოფ. ვარდისუბანს, შერუა ავთანდილაშვილ–ბეჟანიშვილს სოფელ (ვარდისუბანში, გიორგი და დოლმაზა ავთანდილაშვილს იმავე სოფელში, ფარემუზა ავთანდილაშვილ–ტერტერაშვილს–ვარდისუბანში, ზაქრადა ავთანდილაშვილს ვარდისუბანსა და ფარაჯუკში, აზნაური ავთანდილაშვილ–იეგნაშვილს ფარანჯუკში, ბეჟან, იეგან, ნოდარ და ფარუა ავთანდილაშვილებს სოფლებში დბანისში, დბანისის ვარდისუბანში (ქვემო ქართლში იყო სამი ვარდისუბანი), საკარში (საკარისი) – ფარაჯუკში (იას.

*ლორთქ. ქვ. ქართ. ნაწ. I და II. თბ. 1935. გვ. 144–145).*

**ავთანდილაშვილი ბერიკა** – იყიდა შერმაზანა აბაშელისაგან მისი მკვიდრი ყმის, არაქელაშვილის ოთხი დღის მიწა თავთავგვერდში შიკრიანთა და ზუტიას საზღვრამდე, მამუკიანთ მიწამდე და საქვევე გზამდე (1690-იანი წლები). წყაროებში მოიხსენიებიან: ავთანდილა – ალიხანა, ზაალ, გიორგი, როინ, გიორგი, ზაალ, თამაზ, ალიხანა (მეორე), იესე, მამაჯანა, ჟამიერა, იაგანა.

1783 წლის ტრაქტატით ორბელიანები (ყაფლანიშვილები) ავთანდილისშვილების სააზნაურო საგვარეულოსაც ფლობენ. „254" ავთანდილაშვილი. არიან ძველადგანვე სომხითელნი I *(ვ. ი. ქვემო ქართლელნი. ი. ა. აზნაურნი" (შემოკლ. აღწერა. – 124).*

რუსეთის მთავრობამ აზნაურებად აღიარა და საგვარ-ტომო წიგნში შეიტანა. **ავთანდილაშვილი სტეფანე კაკალას ძე**, მეუღლე მისი ქეთევანი. ვაჟიშვილები: ტიტულიარი მრჩეველი ზაალი. **გუბერნიის მდივანი სოლომონი. კოლეჟის რეგისტრატორი იოსები.** ქალიშვილი – გეო პაპალაძის ქვრივი. **ნინო. კოლეჟის რეგისტრატორი იაკობი. პოდპორუჩიკი ნიკოლოზი, გიორგი, ავთანდილი.** ქალიშვილები: ეკატერინე, კეკელა.

საკუთარ მიწა-წყალზე ჯერ იყო და რუსებმა გვარი რუსულად, ფორმანტი **ოვი–თ** გააწყვეს (ავთანდილოვი), სომხებმა კი ბევრი ავთანდილოვი გაასომხეს. ამ გზით მივიღეთ **141 ავთანდილოვი** *(თბილისი – 84, ახმეტა – 30, ქუთაისი – 10).* შდრ. **ავთანდილიანი** – *20 (თბილისი – 19, ქარელი – 1).*

**სომხითი ეწოდა ქვემო ქართლის იმ ნაწილს**, რომელიც ესაზღვრება სასომხეთს *(შრდ. გუგარეთი. ბერდუჯი. ბორჩალო-დღევანდელი ქვემო ქართლი და ა.შ.).*

**ავკოფაშვილი–ავქოფაშვილი** იხ. გვარი ავქოფაშვილი.

**ავლახაშვილი ავლოხაშვილი** სავარაუდოთ გვარის ფუძეა საკუთარი სახელი ავლახა. ავლოხადანაა მიღებული გვარი **ავლოხაშვილი**.

**ავჟანდაძე არჯევან** – ჰყავს (სახლიკაცები): ახალბედა, გიორგი. ჯერ კონსტანტინემ, შემდეგ ბაგრატ მეფემ მას განუახლეს ძველი სასისხლო სიგელი, რომელიც ლეონ მეფისგან ჰქონია მიღებული. მის წინაპარს, რომელიც დარუბანდიდან გადმოსულა, **მოურჩენია დავით აღმაშენებელი, რომელიც გელათის შენებისას გალავნიდან გადმოვარდნილა და დაშავებულა.** გაუჩინა ბაგრატმა სისხლი: ორასი ათასი ძველი ცხუმური თეთრი, თორმეტი გლეხი, თორმეტი თეთრი ჯორი, თორმეტი თეთრი ქორი, თორმეტი მეძებარი, თორმეტი თეთრი მიმინო; უწყალობა აგრეთვე სკანდას და გოგს ქვემოთ, ძევრეთს და ყვირილას შესართავთან ფისისანისა და ჩხარას სატყისმკვეთლო *(1452 წ.).*

**ავჟანდაძე ახალბედა** – *(სახლიკაცი)* არჯევან ავჟანდაძისა.

**ავჟანდაძე გიორგი** – *(სახლიკაცი)* არჯევან ავჟანდაძისა.

**ავჟანდაძე გოჩია** – ჩხარს მცხოვრები, ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო

ბეგარა ათი კოკა ღვინო, თორმეტი თეთრი, რვა ქათამი, სამი კოდი ქერი, ერთი მენახევრე პური და ერთი მენახევრე ღომი, ერთი მარხილი თივა, ტყირთი და მუშაობა *(1621 წ.)*.

**აფქანდაძე ზაქარია** – ჩხარს მცხოვრები, ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: ათი კოკა ღვინო, თორმეტი თეთრი, ხუთი ქათამი, ოცი კვერცხი, სამი კოდი ქერი, ერთი მენახევრე პური და ერთი მენახევრე ღომი, ერთი მარხილი თივა, ტვირთი და მუშაობა (1621 წ.).

**აფქანდაძე ივანა** – ჩხარს მცხოვრები, ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: თექვსმეტი კოკა ღვინო, ოცი თეთრი, ოცი კვერცხი, ერთი მარხილი თივა, ტვირთი და მუშაობა *(1621 წ.)*.

**აფქანდაძე ნასხიდა** – ჩხარს მცხოვრები, დედოფალმა თამარ დიასამიძემ იგი ბეგრით შესწირა გელათის წმინდა გიორგის ეკლესიას (1584 წ.).

**აფქანდაძე როსტევანა** – ჩხარს მცხოვრები. დედოფალმა თამარ დიასამიძემ იგი ბეგრით შესწირა გელათის წმინდა გიორგის ეკლესიას (1584 წ.).

**აფქანდაძე საბა** – ჩხარს მცხოვრები, დედოფალმა თამარ დიასამიძემ იგი ბეგრით შესწირა გელათის წმინდა გიორგის ეკლესიას.

**აფქანდაძე საბა** – ჩხარს მცხოვრები, ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: თორმეტი კოკა ღვინო, თექვსმეტი თეთრი, რვა ქათამი, სამი კოდი ქერი, ერთი მენახევრე პური, ერთი მენახევნე ღომი, ერთი მარხილი თივა, ტვირთი და მუშაობა.

**აფსაჯანიაური–აფსაჯანიშვილი–გოგოლაური–გოგოლაური–აფსაჯანიაური–აფსაჯანიშვილი.** აფსაჯანიშვილები გარდა გორისციხისა, მკვიდრობენ. აგრეთვე არშაში, ვარდისუბანში, ტყარშეტში. ვალერიან ითონიშვილის მოძიებული ეთნოგრაფიული მასალებით აფსაჯანიშვილების გვარის საფუძველჩამყრელი ყოფილა ვინმე **აფსაჯანი,** რომელიც ფშავიდან მოსულა თავის ერთადერთ ძმისწულ – **ამოვანთან** ერთად და გორისციხეში დასახლკარებულა. **აფსაჯანიშვილების** ადრინდელი გვარი **გოგოლაური** ყოფილა (12, გვ. 46–47). 1774 წლის აღწერაში **აფსაჯანიშვილების** წინაპარი **აფსაჯანიაურის** გვარით იყვნენ ჩაწერილი.

აფსაჯანიაურების გვარის წარმომავლობას შეეხო აგრეთვე როლანდ თოფჩიშვილი. იგი წერს: „აღმოსავლეთ საქართველოს მთაში (მთიულეთი, ხევი) XVIII საუკუნემდე – **ური(–ულ)**–ით ნაწარმოებმა ზოგიერთმა გვარმა ფინალი – **ძე** და – **შვილი** სუფიქსებით შეიცვალა. მაგალითად, **არგანაური–არგანაძე–არგანაშვილი; ბიბილაური–ბიბილაშვილი; ბექაური–ბექიშვილი; კედელაური–კედელაშვილი; ოდიაური–ოდიშვილი; გუდიაური–გუდიაშვილი; აფსაჯანიაური–აფსაჯანიშვილი; დავითაური–დავითაშვილი; ჩოჩიური–ჩოჩიშვილი“** (რ. თოფჩ., დასახ. ნაშრ., გვ. 102).

**ავქაფაშვილი–აექოფაშვილი–იაკობაშვილი.** ამ ფორმით გეხედება აღნიშნული გვარი. ამჟამად გვაქს გვარი აექოფაშვილი. აექოფაშვილების გვარი გაჩნდა ქართლში. დმანისის რაიონი. (სოფელი დიდი დმანისი). შემდგომში გადმოვიდნენ ბოლნისში. ადრინდელი გვარი **იაკობაშვილი** ყოფილა. გვარის ძირია საქართველოში ფრიად გავრცობილი სახელი **იაკობ** – ი. ეს სახელი ამ გვარში დღესაც ხშირად მეორდება. სახელი იაკობი ჯერ იყო სომეხმა მღვდელებმა აკოფ–ად აქციეს. შემდგომ კი ამის მიხედვით გვარი აკოფაშვილად მონათლეს. საქართველოს რიგ რეგიონებში, – გორი, კახეთი და სხვა **აკოფაშვილები** რუსული ფორმანტით **აკოფოვებად** გააფორმეს, ხოლო ბოლნისის რაიონში კი **ავქაფა–შვილ–აექოფა–შვილად** ჩაწერეს.

*შენიშვნა: იაკობაშვილთან მცირე ნაწილი ქართველ ებრაელადაც ეწერება*

სწორედ ამითაა გაპირობებული, რომ ქართული გვარების ცნობილ მკვლევარს, **ილია მაისურაძეს,** სავსებით სამართლიანად **აფქაფაშვილ–აექოფაშვილი** შეტანილი აქვს წიგნში **„ქართული გვარ–სახელები“** (გვ. 18). **ილია გაგულაშვილი** კიდევ უფრო ავრცობს გვარსა და აღნიშნავს, რომ ავქაფაშვილი, აექაფიშვილი, აექოფაიშვილი, აექოფაშვილი ქართული გვარსახელებიაო (**ილია გაგულაშვილი, ქართული გვარები,** ქუთაისი, 1993., გვ. 9). გადმოცემის თანახმად XVIII საუკუნის 10–იან წლებში (1810 წ.) 1500 ოჯახი გადმოასახლეს ჯავახეთიდან, ნაწილი ლილოში ჩაასახლეს, ნაწილი ლორე–ბორჩალოში. აექოფაშვილების წინაპრად, რომელიც ასევე გადმოსახლებულთა შორის იყო ითვლება **დიმიტრი ივანესძე (იაკობაშვილი) ავქოფაშვილი.**

**აფქაფაშვილი–აექოფაშვილები ძირითადად ცხოვრობენ ბოლნისის რაიონის სოფელ რატევანში, არიან დმანისის სხვა სოფლებშიც.**

**აექოფაშვილს (იაკობაშვილებს) რძლად მოყავდათ შემდეგი გვარის ასულები: ბეჟანიშვილი, გოგებაშვილი, მენთეშაშვილი, სელიმაშვილი, გარსიმაშვილი (დუშეთიდან), მიქელაძე (გვართა ძირითადი ნაწილი თავად–აზნაურები იყვნენ), ათხოვებდნენ ურუმაშვილებზე (იგივე ხუციშვილებზე), ხუციშვილების ძირითადი ნაწილი აზნაური იყო, თამაზაშვილებზე (თამაზიშვილების ნაწილი ბარათაშვილთა შტო–გვარი გახლდათ), ლონდარიშვილებზე (იგივე ლონდარიძეები მესხეთიდან), ლაზარიშვილებზე, დევნოზაშვილებზე (იგივე ყურდუაშვილები) და სხვა.**

**ავჯიშვილი, აევჯიშვილი.** თურქულად **ავჯი** მონადირეს ნიშნავს. აჭარულ ზეპირსიტყვიერებაში არის ზღაპარი **„მონადირე ავჯი“**, რომელიც სპეციალისტებს ხულოს რაიონის სოფელ რაქეთელმა ჯემალ სურმანიძემ ჩააწერინა. აევჯიშვილები არიან ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ერგეში, მეჯინისწყალში, ბათუმში არის გამოთქმა „ავჯი მემედის ტყვიამ განგმიროსო“. ხელვაჩაურელი ლამარა აევჯიშვილი მედიცინის დამსახურებული მუშაკია. გვარში სხვაც ბევრი ჰყავთ სახელოვანნი (**იოსებ ბექირიშვილი, აჭარის ისტორია გვარსახე–**

ლებში, *ბათუმი. 1996. გვ. 18).*

**აზაკოშვილი** ფუძით აზ–ა მრავალი სახელი გვაქვს ქართულში. ასეთებია: **აზაგ, აზადან** (სპ. სისხა), აზა. აზათა. აზალა. აზან. აზიკი.. ში გვარში ივიევა რაც ძე *(აზაკოშვილი ან აზაკიძე).*

**აზაკიშე** – *20 (ბათუმი).* **აზაკიში,** სუფიქსით **ში** ლაზური წარმომავლობაზე მიუთითებს. გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **აზაკა.** (შდრ. აზაგ. აზავ. აზათა. აზალა. აზამ. აზან). ქალის სახელი აზა და სხვა. **აზაკიშთა გვარიდან ყაუჩერი მოულია 20 სული. ცხოვრობენ ბათუმში.**

**აზალაძე, აზალაძე** ეპონიმური ხასიათის გვარ–სახელია. მომდინარეობს წინაპრის საკუთარი სახელისგან **აზალა** *(ფუძედ ჩანს აზა. შდრ. აზანა – აზამა. აზანიშვილი).*

**აზალაძე აზალდუხ** – ჰყავს სახლიკაცები: ნადირა, პაპუნა, თევდორა. მისცა დეკანოზ გიორგი ეცადაშვილს დათუასა და ლომისას საორმოცედ და საანდერძოდ – ნიგოზი და ნახევარი კვალი ვენახი, აფიაშვილის ვენახის ბოლოს მიწა და ერთი ღომი (XVII ს.). აზალაძე თევდორა, პაპუნა, ნადირა.

**აზარაშვილი** ცნობილი ქართული გვარ–სახელია, რომელსაც საფუძვლად უდევს პოპულარული სახელი **აზარა.** გვარ–სახელები დოკუმენტებში მე–17 საუკუნეშია დაფიქსირებული. შდრ.: **აზარა** – სოფელ ლისში მცხოვრებ ცოლისძმა **აზნაურიშვილ** მახარებელ სულხანიშვილისა. მოიხსენიება 1641 წელს *(პალ. I. გვ. 85–86).*

**აზარაშვილთა გვარის განაყოფია ვარდანაშვილი.** ვარდანაშვილი არის აგრეთვე სხვა ქართულ გვართა განშტოება. ამავე დროს დამოუკიდებლადაცაა გაჩენილი *(იხ. აზარიაშვილი).*



**აზარაშვილი ვაჟა შალვას ძე** – საქართველოს **კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე, პროფესორი.** დაიბადა თბილისში 1931 წ. 1 ივლისს. მშობლები: **ოლღა მიქანაძე, შალვა აზარაშვილი;** მეუღლე – **მანანა დანგაძე** (1950); შვილი – **ნათია** (1974). ვ. აზარაშვილმა დაამთავრა თბილისის სახ. კონსერვატორიის საკომპოზიციო ფაკულტეტი (1961). იყო III სამუსიკო სასწავლებლის მუსიკალური თეორიის დისციპლინების მასწავლებელი (1961–74), II სამუსიკო სასწავლებლის მასწავლებელი (1974), კონსერვატორიის პედაგოგი (1971 წლიდან), დოცენტი (1981 წლიდან), პროფესორი (1988 წლიდან), საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სამხატვრო ხელმძღვანელი (1994 წლიდან), კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე (1997 წლიდან). დაწერილი აქვს ბალეტი „ხევისბერი" (1982); ორი სიმფონია (1966, 1986); 7 ოპერეტა, მათ შორის „კახელები ბამბე" (1985), „მეჩექმე გაბო" (1995), ინსტრუმენტული კონცერტები ორკესტრის თანხლებით: ფლეიტისთვის (1968), ჩელოსთვის (1969), ვიოლინოსთვის 1 (1972) და 2 (1973) და სხვ; „ნოქტიურნი" დიდი სიმფონიური ორკესტ–

რისთვის (1964), „რეტრო ფორტეპიანოსთვის ორკესტრის თანხლებით (1996), „მოგონება“, „რახმანინოვის ხსოვნას“, „განშორება“, კამერული ორკესტრისათვის; ვოკალურ-სიმფონიური: „საქართველოვ, გაიხარე შენ“, „პოეტის აღსარება“ (1996); კამერულ-ინსტრუმენტალური: საფორტეპიანო ტრიო (1959), სონატები ვიოლინოსა და ფორტეპიანოსთვის (1961), კლარნეტისა და ფორტეპიანოსთვის (1976), ჩელოსა და ფორტეპიანოსთვის (1961), კვარტეტი სასულე საკრავებისთვის. ვოკალურ-კამერული ნაწარმოები: საგუნდო მუსიკა: „ნანა“ (1956), „გიმღერ, დიადო მხარევ“ (1960), „ჰიმნი მზეს“ (1973); რომანსები („რა კარგი ხარ“, „როგორ მიყვარხარ“, „მადლი შენს გაჩენს“ და სხვ.); მუსიკა 40-ზე მეტი სპექტაკლებისთვის, კინოფილმებისთვის („მზე შემოდგომისა“, „გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს“); აღდგენილი ფილმებისთვის: „ხანუმა“, „ტარიელ მკლავაძის საქმე“; სატელევიზიო ფილმისთვის „მე თვითონ“. საესტრადო სიმღერები ტ. ტაბიძის, გ. ტაბიძის, მ. ქელიძის, მ. ფოცხიშვილის, პ. გრუზინსკის, ჯ. გოგოლაშვილის, დ. გეიშიანი, ე. ნიკოლაძის და სხვათა ლექსებზე. მიღებული აქვს საქართველოს კომკავშირის პრემია (1998), საქართველოს მინისტრთა საბჭოს პრემია (1982), გოგებაშვილის სახელობის პრემია (1998). **არის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1979), საქართველოს სახალხო არტისტი (1988).**

**ვაჟა აზარაშვილი:** მიმაჩნია, რომ ადამიანი მთელი არსებით უნდა ემსახურებოდეს თავის ერსა და ქვეყანას. იგი უნდა იყოს პატიოსანი, შრომისმოყვარე, კაცთმოყვარე. მთელი ცხოვრება ვცდილობდი, მეცხოვრა ამ პრინციპით. წლების მანძილზე ხშირად ვატარებ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში კონცერტებს. ხალხთან შეხვედრისას ვგრძნობ მათ კეთილგანწყობასა და სიყვარულს ჩემი მოკრძალებული შემოქმედებისადმი, რაც უფლებას მაძლევს ვიფიქრო, რომ ტყუილად არ მიცხოვრია. ამიტომაა, რომ ჩემი ცხოვრება არ წარმომიდგენია ჩემი ხალხისა და ჩემი ქვეყნის გარეშე.



**აზარაშვილი მაია**, დაბ. 1964 წლის 6 აპრილს, თბილისში. განათლება უმაღლესი. ჰყავს მეუღლე – **ზურაბ მემარნიშვილი** და 13 წლის ვაჟი დემეტრე. 1996 წლიდან საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის გენერალური მდივანია. ამჟამად ცხოვრობს გერმანიაში და მუშაობს სპეციალობის მიხედვით. არის სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი 4X100 მეტრზე ესტაფეტურ რბენაში და ამავე ოლიმპიადის ფინალისტი 200 მეტრზე რბენაში. 1986 წლის ხალხთა სპარტაკიადის ორგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი 100 და 200-მეტრიან დისტანციაზე, გრან-პრის სერიალის მონაწილე, ევროპისა და მსოფლიოს მრავალ ტურნირში გამარჯვებული. 2002 წლიდან არის ბორჯომის საერთაშორისო კროსის ორგანიზატორი, რომელიც ატარებს მაიას სახელს.

**აზარიაშვილი–ენაკოლოფაშვილი–ვარდანაშვილი–ვართანაშვილი, აზარი** (ათასის მნიშვნელობით). („მათ სიხარულსა ვერ დავწერ ფულითა ვერც აზარითა“) (ვეფხისტყაოსნიდან). **აზარუ** – სიმღერის და ქეიფის დროს სახმარი სიტყვა. **აზარია** (ძვ. ებრ. შეწევნა ღვთისა), **გ. ლეონიძის სახელები, კოხნარი, ჩოხატაურის რაიონი); გვხვდება ფორმით: აზარა (აზარაშვილი), აზარია (აზარიაშვილი).**

**აზარიაშვილები** ყოფილან აგრეთვე **ენაკოლოფაშვილების** გვარის განაყოფები (იხ. ენაკოლოფაშვილი), ხოლო აზარიაშვილებიდან წარმოქმნილია შტოგვარი **ვარდანაშვილი–ვართანაშვილი.**

**აზარიასშვილი||აზარიაშვილი** – მისი ოთხი დღის მიწა მიჰყიდა ზაქუყიმბეგ ზაქუმიშვილმა ალიხანა ბეჟანისშვილს (1699 წ.).

**აზარიასშვილი ბაბანა** – მოწმე ზაქრუმ ზაქრუმისშვილის მიერ დურმიშხან და ალავერდა იაგულაშვილებისათვის მიცემული მიწების ნასყიდობის წიგნებისა (1696 წ.).

**აზარიაშვილი ბერუა** – მოწმე გარსევან გილასშვილის მიერ წინამღძვარი ონოფრე (მაჭუტაძისათვის) მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1695 წ.).

**აზარიაშვილთა ერთი ნაწილი ენაკოლოფაშვილების განაყოფები** არიან (იხ. ენაკოლოფაშვილი).

**აზარიაშვილები** ცხოვრობენ ქ. თბილისში, კოდაში, ლოუბანში (თეთრიწყაროს რაიონი) და სხვ.

**აზაურაშვილი** საკუთარი სახელი **აზაურა.**

**აზარიძე. აზარ** სპარსულად ცეცხლია. **აზარანგ აზარიანი** – ცეცხლოვანი, **აზარაშ** – ელვა. **აზარგულ** – ცეცხლოვანი ყვავილი – ვარდი, **აზარან** – ცეცხლიანი ქალიშვილი, **აზარდად** ცეცხლის ბოძებული. ასე რომ, როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. აზარიძე იგივე ცეცხლაძეთა ფარდია.

ამ სიტყვებიდანაა ნაწარმოები აგრეთვე აზერბაიჯანის სახელი, ტერმინი აზერნუმ, აზერბუ, აზერინ და სხვა (სისტემი ლიჩნიხ იმიონ უ ნაროდოვ მირა, მ., 1989, გვ. 254). რუსულშია და სომხებთანაა გვარები აზარიანი, აზაროვი, აჭარაში კი აზარიძე, რომელთა წარმომადგენლები ცხოვრობენ ხელვაჩაურის რაიონის ახალშენსა და ორთაბათუმში. ახალშენელი ქაზიმ აზარიძე ფაშისტებთან ბრძოლაში დაიღუპა 1941 წელს.

ეს გვარი რომ ძველია, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განეკუთვნება და საკუთარ სახელ აზარიდან მომდინარეობს, ცხადყოფს მისი მოხსენიება აჭარის მოსაზღვრე შავშეთის 1450 წლის საბუთში.

ერთი შეხედვით, გვარსახელი **ზარიძე** (თიანეთის რაიონი), **ზარია, ზარიაშვილი** აზარიძესთან კავშირში უნდა იყოს. მაგრამ მკვლევარები მხოლოდ ვარაუდს გამოთქვამენ საკუთარ სახელ **ზარი-დან** წარმოქმნის თაობაზე. ცეცხლის, ხანძრის გაჩენა განგაშს იწვევს, ზარებს რეკავენ. შესაძლოა ეს ტერმინი აზა–

რიდან მომდინარეობს, ალბათ, პრეფიქს **ა**-ს ჩამოცილებით მოხდა. სომხებშიც არის გვარსახელი **ეგიზარიანი და ეგიზაროვი,** სხვაგან საკუთარი სახელი **ალკაზარ, გულიზარ.** (ი. ბექირიშვილი).

**აზატაშვილი ხატიაშვილი.** გვარის ფუძეა **აზატა.** შდრ. აზატა-ს მიწას ესაზღვრებოდა მელქინა სულხანიშვილის მიერ ბეჟან როსტომისშვილისათვის მიყიდული მიწა (1686 წ.).

შდრ: **აზად** (სპარს.) თავისუფალი, საშუალოდ წვრილი მიწათმფლობელები. გაბატონებული კლასის ყველაზე მრავალრიცხოვანი სოციალური ფენა სასანიდთა ირანში. **აზად (ისტ.) თავისუფალი, კერძოდ, განთავისუფლებული ყმა.**

სალირაშენს *(დღევ. თეთრი წყაროს რაიონი)* 1721 წელს როსტომისა და გუგუნას (ნამანგლელეეიშვილები) ყმად მოიხსენიება **ბერი აზატაშვილი** (ვახუშტი. 120).

**სოფელ კოდაში აზატაშვილების გვარი ჩანს 1817 წლიდან.** ირკვევა, რომ აქაური გვარი გაჩენილია სოფელ ქეეშიდან ამ სოფელში გადმოსულ ვინმე **აზატა-დან (იგ. ჯავახ, სეიძ, I, 175); გონია აზატაშვილი,** შვილი სიმონი. „მართლმადიდებელი, ქართველი" *(სცსსა. ფ. 254. I. 1274. 1854. ფურც. 55).* თავად ზურაბ ორბელიანის გლეხებს შორის სოფელ მუხათის (დღევ. თეთრიწყაროს რაიონი), 1823 წლის აღწერაში მოიხსენიება **სარგის აზატაშვილი** (იგივე. **ხატიაშვილი)** მისი ცოლი **მარიამი,** ვაჟიშვილები აზატა, სარგისას ძმები იაკობი, ნონია, მეუღლე ნანუა, ვაჟი არუთინა, ქალიშვილები – სარა, სოფიო, ანა, მეორე ძმა ყაზარა, მეუღლე შუშანა, დედა მარიამი, აზატას ქვრივი ქეთევანი *(სცსსა. ფ. 254. I. 802. ფურც. 38).*

**აზატაშვილები** რუსულის გაელენით **აზატოვებად** ჩაწერეს და ბევრ მათგანს სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოება მიაღებინეს. მაგალითად სოფელ კოდაში მართლმადიდებლური ეკლესიის გვერდით სომხურ-გრიგორიანული ეკლესია ააგეს და იქ იგივე ტერტერა (არაქელიანი) იყო, რომელიც სოფელ კუმისში ასომხებდა ქართველ მრევლს.

**სომხებს აქვთ გვარი აზატიანი.** აზატოვები ქართველები და ყოფილი მართლმადიდებლები არიან. სურვილის შემთხვევაში მათ შეუძლიათ დაიბრუნონ (აღადგინონ) მამა-პაპური გვარი აზატაშვილი.

**აზაურაშვილი** (საკუთარი სახელი **აზარა**-ს სახეცვლილებით მიღებული გვარია.

**რუსეთის მთავრობამ ამ გვარის წარმომადგენლები აზნაურებად დაამტკიცა და საოჯახო სახელობით სიაში შეიტანა: „აზაურაშვილი კოზმან ლუარსაბის ძე მეუღლე მისი მაია. კოზმანას ძმა ევგენი, ვაჟიშვილები: ლუარსაბი, დავითი, იოსები".**

**აზიკური** ნაწარმოებია საკუთარი სახელიდან **აზიკა (აზიკო)** (ალ. ღლ, 69).

**აზირაშვილი,** ფუძე მამაკაცის საკუთარი სახელი **აზირა.**

**აზმაიფარაშვილი.** მეტეხი (*კასპის რაიონი*), თბილისი, გორი: „რამაზ აზმაიფარი საქებელი" (*საბა*).

**აზმაიფარაშვილი** – მის მიწამდე მიჰყიდა პაპუნა ალიასშვილმა ნარიბეგ სანდიყრაშვილს მამისთვალასშვილისაგან ნაყიდი მიწა ჩოჩეთში (1693 წ.).

**აზმაიფარაშვილი ივანე** – მოწმე გოგია ბიჭორაძის მიერ ივანე ეოგრიაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1653 წ.).

**აზმაიფარაშვილი ხოსიტა** – ნაცვალი, მონაწილეობა მიიღო გარეჯველთა და ჩერქეზელთა სამამულე დავის გარიგებაში (1656 წ.).

**აზმაიფარაშვილი ხოსიტა (მეორე)** – მოწმე მამულის ნასყიდობის წიგნისა (*1656 წ.*).

**აზმაიფარაშვილი ხოსიტა (მესამე)** – მოწმე სამამულე დავის გარიგების წიგნისა (*1664 წ.*).

**აზმაიფარაშვილი ხუცია ვასილის ძე** – მოწმე მამულის ნასყიდობის წიგნისა (*1664 წ.*).



**აზმაიფარაშვილი გიგო ვასილის ძე** – საქტელერადიო კორპორაციის სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1930 წლის 1 სექტემბერს. მშობლები: **ნინო ნათმელაძე, ვასილ აზმაიფარაშვილი.** მეუღლე – **ლიანა გომელაური** (1933). შვილები: **ლევანი** (1955), **ზაზა** (1962). დაამთავრა თბილისის კონსერვატორიის საფორტეპიანო ფაკულტეტი (1955), პეტერბურგის კონსერვატორიის სადირიჟორო ფაკულტეტი (1960). იყო საქართველოს კამერული ორკესტრის დამაარსებელი და პირველი სამხატვრო ხელმძღვანელი (1965–67), თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორი (1960–74), მთავარი დირიჟორი (1974–82). საქტელერადიოს სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორია 1982 წლიდან. არის კონსერვატორიის საოპერო მომზადების კათედრის პროფესორი. გასტროლები ჩატარებული აქვს მოსკოვში, პეტერბურგში, კიევში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, ავსტრალიაში, თურქეთში, იტალიაში, ესპანეთში. მისი ბიოგრაფია შეტანილია ენციკლოპედია "საქართველოს" პირველ ტომში (1997).



**აზმაიფარაშვილი ზაზა გიგის ძე**, საქტელერადიო კორპორაციის სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი. დაიბადა თბილისში 1961 წლის 16 ივნისს. მშობლები: **ლიანა გომელაური, გიგო აზმაიფარაშვილი.** დაამთავრა კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტი (1985), პეტერბურგის კონსერვატორიის საოპერო-სიმფონიური ფაკულტეტი (1991). არის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საოპერო მომზადების კათედრის დოცენტი. საქტელერა-

დიოს სიმფონიური ორკესტრის დირიჟორია 1990 წლიდან. ჩატარებული აქვს გასტროლები სტამბულში (1992), ვალენსიაში (1994), პალერმოში (1995). არის დირიჟორთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი (მე–2 ადგილი, სანკტ-პეტერბურგი, 1995).



**აზმაიფარაშვილი ზურაბ ალექსის ძე**, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თანაპრეზიდენტი, მოჭადრაკე, საერთაშორისო დიდოსტატი. დაიბადა თბილისში 1960წ. 16 მარტს. მშობლები: **ელენე ბეროზაშვილი, ალექსი აზმაიფარაშვილი**; მეუღლე – **მარინა მოლორავა** (1954); შვილები: **თეა** (1973), **ელენე** (1982), **ზურაბი** (1983). დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი (1981). იყო სსრკ ჩემპიონი მოსწავლეთა შორის (1984), ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1979), საერთაშორისო ოსტატი (1984), საერთაშორისო დიდოსტატი (1988), „კრემლის ვარსკვლავების" ფინალური გათამაშების (1994,1995) და „მსოფლიო თასის ფინალური ეტაპის" (1996) მონაწილე; ლიტვის, ამერიკის, არგენტინის, თბილისის, ჰავანის, ამსტერდამის, ლონდონის, მოსკოვის, ესპანეთის, გერმანიის და სხვა საერთაშორისო ტურნირების მონაწილე და გამარჯვებული (1973–1996), საჭადრაკო ოლიმპიადის მონაწილე (I და (1992, 1994, 1996, 1998, 1999, 2000) ევათა მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის (1997), იტალიის საერთაშორისო ტურნირის (2000) მონაწილე. იყო გარი კასპაროვის სეკუნდანტი (1987–94), იუდით პოლგარის (1995-96), ეტიენ ბაკროს (1998–99) მწვრთნელი. ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი (1998–99). არის შავი ზღვის საჭადრაკო ასოციაციის პრეზიდენტი (1999), ევროპის საჭადრაკო კავშირის გამგეობის და ფიდეს მსოფლიო ჩემპიონატების კომიტეტის წევრი (2000). მისი ინიციატივით საქართველოში პირველად ჩატარდა: ბლიც-შოუ ჭადრაკში ელექტრონული დაფებისა და კომპიუტერების გამოყენებით (1999), ევროპის ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი (ბათუმი, 1999), ევროპის მე–12 გუნდური ჩემპიონატი.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ცხოვრებისეული საწყისია სიკეთე. ერთადერთი ადგილი, სადაც მინდა ვინმე დავთრგუნო, საჭადრაკო დაფაა. ადამიანებთან ურთიერთობაში არასოდეს ვეძებ რაიმე ანგარებას. მინდა ისე ვიცხოვრო, რომ ჩემი სახელის გამო ჩემს შვილებს კარი არავინ მოუხუროს. ამავე დროს, შესაძლებლობისდაგვარად, ცხოვრებისეულ სიამოვნებაზე უარს არ ვამბობ, ძალიან მიყვარს მოგზაურობა და ოჯახური სიმყუდროვე.



**აზმაიფარაშვილი შალვა ილიას ძე** [25. XII. 1902 – (7. I. 1903, თბილისი, – 17. V. 1958, იქვე] დირიჟორი და კომპოზიტორი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1941) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს I – III მოწვევის დეპუტატი. 1930 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია საორკესტრო, საკომპოზიციო და სადირიჟორო განხრით. 1933 წელს კი ას–

პირანტ-ურის სადირიჟორო განყოფილება. 1923–28 წლებში უკრავდა საპულე და სიმფონიურ ორკესტრებში. 1932 წლიდან იყო თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დირიჟორი, ხოლო 1938–52 წლებში მთავარი დირიჟორი. 1943–53 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს რადიოს სიმფონიურ ორკესტრს. 1954–57 წლებში საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრს. აზმაიფარაშვილის ხელმძღვანელობით დაიდგა მრავალი ოპერა, მათ შორის ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი", ე. დოლიძის „ქეთო და კოტე" (ორივე 1937 წელი), შ. მშველიძის „ამბავი ტარიელისა" (1946 სახ. პრემია 1947), გ. კილაძის „ლადო კეცხოველი", ი. გოკიელის „პატარა კახი" (1943), დ. თორაძის „მთების ძახილი" (1947) და სხვა. აზმაიფარაშვილის მუსიკალური ნაწარმოებებია: სიმფ. პოემა „ყვარლის მთებს" (1939), საორკესტრო სიუიტა „ძველი თბილისის სურათები" (1941), სიმფონია (1945), ვოკალური სიმფონია პოემა „ქართლი" (1946), ოპერა „ხევისბერი გოჩა" (1951), მუს.კომედია „რაც გინახავს ველარ ნახავ" (1952) და სხვა. დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის ორდენით.

**აზნაურაშვილი–ლამაზაშვილი აზნაური** (ძვ.) პრივილეგიური წოდების წარმომადგენელი, თავადზე დაბლა მდგომი (ქეგლ., 18). სულაც არაა აუცილებელი რომ გვარის მიმღები ამ წოდებას ჰკუთვნებოდა. ვარ. გვარი მეტსახელიდან „აზნაური" უნდა იღებდეს დასაბამს.

**აზნაურიძე – 28 (ბათუმი – 4, ხელვაჩაური – 24);**

**აზნაუროვი – 121 (თბილისი – 50, რუსთავი – 8, გარდაბანი – 7).**

აზნაურაშვილს ჰქონია შტო-გვარად – **ლამაზაშვილი.** „ბეჟია **აზნაურაშვილი–ლამაზაშვილი,** 1781 წელს მოიხსენიება სოფ. მარაბდაში, დღევანდელი თეთრიწყაროს რაიონი" *(ივ. ჯავახიშვილი, I. გვ. გვ. 79)*

**აზნაურიძე.** „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, სახელ **აზოდან** მომდინარეობს, რომელიც თითქოს ძვ. წ. 310 წლებში პონტოს (მოიცავდა ტრაპიზონ-რიზე-ბათუმის მიმდებარე მხარეებს) მხრიდან დაეცა მცხეთას. სხვების აზრით, აზნაური კეთილშობილს, თავისუფალს ნიშნავს. ჩრდილო კავკასიური სახელი **ანზორ** ამ სიტყვიდანაა ნაწარმოები. თედო სახოკია, რომელმაც 1895 წ. მოიარა აჭარა, წერდა: „ქედაში იყვნენ აზნაურიშვილები (ალბათ, ს. ნამლისევი ჰქონდა მხედველობაში), სადაც ცნობილი იყო **ხუსეინ აზნაურიშვილი,** რომლის შთამომავლები ახლა დაბა ხელვაჩაურში ცხოვრობენ. აზნაურიშვილები აქმო მაჩხაანშიც არიან."

ამრიგად, ეს გვარსახელი სოციალური წარმოშობისაა, **მოხელეს** ნიშნავს. თავდაპირველად თავისუფალ პიროვნებას ეწოდებოდა. V ს-დან შეიძლება ახალი შინაარსი შეიძინა. IX–XIII ს-ში აზნაურთა შემადგენლობა სხვადასხვა და რთული იყო *(ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ტ 2, ნ.1, გვ. 31).*

ბექა აღბუღას მესხეთის სამართლის მიხედვით ჩანან ერისთავნი, მთავარნი, აზნაურნი, ვაჭარნი, მსახურნი და მუშაკნი-გლეხნი. გლეხების ძენი და შვილიშვილში აღზევებულნი, თავისუფლდებოდნენ მიწის მუშაკობისაგან, იყვნენ ლაშქროსნები, შეიარაღებულნი, ციხე-ქალაქთა მცველნი, ასევე ნასყიდი, ნაბოძები, ჟალვადაუხდელი, ნებით შესულნი. აზნაური სამი კატეგორიისა იყო. ერთნი იდგნენ გლეხსა და აზნაურს შორის. მსახურის შინაარსი უფრო ფართო ჩანს. ნ. ურბნელს მსახურებად აზნაურებიც მიაჩნდა. „აზნაური მცირე, გლეხს აღემატებოდა". მათ უფროსს მსახურთუხუცესი ერქვა. მსახურებად მოიხსენიება V საუკუნის იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამებაში", როცა ვარსქენს ეგებებიან აზნაურნი და მსახურნი, მაგრამ მოგვიანებით მემამულეც გახდა. აჭარაში თურქებმა აღა-აღიებად აქციეს.

**აზნაურიძეები გაუჩერების მიხედვით 28 სულითაა წარმოდგენილი. ცხოვრობენ ბათუმში (4 სული), ხელვაჩაურში (24 სული), არიან აგრეთვე ქედის რაიონში (სოფელი ანგისა) და სხვაგან.**

**აზნიაშვილი** გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **აზნა**. შდრ. **აზნა, აზნავ, აზნავირ** *(ალ. ღლ., 69)*.

**აზრაკაძეშვილი-აზრაკაძე.** აზრაკაძე გეხვდება მამაკაცის საკუთარი სახელადაც. შდრ: **აზრაკაძე**, მემამულე ზურაბ საგინაშვილის გლეხად მოიხსენიება სოფელ ბოგვეში (ბოგვეი თეთრი წყაროს რაიონი) 1823 წელს.

**მაკარი კიკოლისძე აზრაკაძეშვილი,** მეუღლე მისი **მარიამი,** ძმა იოანე. იოანეს მეუღლე ბარბარე, მეორე ძმა აბრამა, მესამე ძმა იოსები, მეოთხე ძმა დავითი, იოანეს შვილები:

**ბერუკა აზრაკაძე,** იოსების შვილები: ანა, თინა, ნასტია, მაია. აბრამის მეუღლე თამარა. ვაჟი გლახა, ქალიშვილები – ელენე, მართა, ქეთევანი, დავითის მეუღლე ელენე, იოსების ქალიშვილები: სალომე, სოფიო, მეუღლე მარიამი, ბერუკას მეუღლე თამარი *(სცსსა. ფ. 254, I, 802. 1823წ., ფურც. 1-5)*.

**აზრუმელაშვილი ნურიკაშვილი** (1843 წ.), **აზრუმი** (არზრუმი) საკუთარ სახელადქცეული სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვაა, იგივეა რაც **ერზრუმი,** ქალაქი ჩრდილოეთ – აღმოსავლეთ თურქეთში. **არზრუმ** (სპარს.) „რომის მიწა", აქედანაა სახელი **არზუმელა.**

**თომა და გიორგი აზრუმელაშვილები** მოიხსენიებიან 1873 წელს დიდ თონეთში (თეთრი წყაროს რაიონი) *(სცსსა. ფ. 254. №3. საქმე 127. აღწერა №319. ფურც. 175-209)*;

1843 წელს პატარა თონეთში მოიხსენიება **თომა აზრუმელაშვილი** იგივე **ნურიკაშვილი** *(სცსსა. ფ. 254. I. 2043. ფურც. 310-322)*.

**ათაბაგი – ათაბაძე – ათაბეგოვი – ჯაყელი,** ათა-მამა, ხოლო ბეგი – ბატონი, ერისთავი, თავადი. ზოგჯერ ათა გამზრდელსაც აღნიშნავს. ჩვენს ეს მნიშვნელობები ეისესხეთ თურქულენოვანი ხალხებისგან. ეგვიპტეში ათაბაგი

სარდლის ტიტული იყო.

ბეგების უფროსს, ხელმძღვანელს, მხედართმთავარს (მამას) ათაბაგი ერქვა.

საქართველოში ათაბაგობა შემოღებული იქნა თამარ მეფის მიერ მესხი ერისთავთერისთავი ჯაყელების საამებლად. ათაბაგობა გვარად ექცათ და მესხეთსაც ახალი სახელწოდება სამცხე-საათაბაგო ეწოდა.

**ათაბაგი** XIII საუკუნის დასაწყისიდან პირველი ვეზირი იყო საქართველოში და სამცხის გამგებელი. ივანე ჯავახიშვილის თქმით, **„ათაბაგობა სამცხის მმართველთა სამკაულად იქცა."**

ათაბაგი მეფის მამადაც ითვლებოდა. ათაბაგთა ერთი შტო იმერხევ-შავშეთს განაგებდა, რომელსაც ერთხანს ლივანა ერქვა. ლივანელი ათაბაგების რეზიდენცია ქალაქი ართვინი იყო. ცნობილი და გამორჩეულია აჭარის მმართველის, პატრიოტ შერიფ ხიმშიაშვილის ახალგაზრდა ნათესავი **თევფიყ ათაბაგიშვილი**, რომელმაც 1874 წელს იქ მყოფ გიორგი ყაზბეგს უმასპინძლა. მისი შეფასებით, ათაბაგიშვილი „ქართველ-ური შეგნების თვალსაჩინო მოღვაწე იყო.

ართვინის მხარის ანუ ლივანის, ლივან-ართვინ-არტანუჯის გამგებლად ყოფილან, აგრეთვე, ალიბეგ ათაბაგი და ასათბეგ ათაბეგოვი. ართვინში მოღვაწე ნ.ერისთავ-შერვაშიძესთან 1907-1910 წლებში სწორედ ალიბეგი მეგობრობდა, მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლასა და ქართული ისტორიული საბუთების შეგროვებაშიც ეხმარებოდა.

**ათაბაგი-ათაბაძეები** არიან ხულოს, ქობულეთის, აგრეთვე წყალტუბოსა და მარგვეთის რეგიონებში. **ახმედ ცეცხლაძემ** გვიამბო: „1939 წელს ქობულეთის პედაგოგიური ტექნიკუმის მოსწავლეები მესხიქედს ვეწვიეთ.

აქ მცხოვრებმა **ათაბაგმა** გვაცნობა, რომ მათი გვარი **ჯაყელია,** მოხუცნენ აქ ოსმალთა დევნის გამო. ხინოს მხარე იმიტომ ისურვეს, რომ, მათი აზრით, დიდი შოთა აქაური იყო. ამიტომაც შემოინახეს და უფრთხილდებიან სახელწოდებებს: **შოთას ყანა, შოთას რუ, შოთას გზა** და სხვ.

ხინოს მხარეში სოფ. ვარჯანაულში არის ტოპონიმი ათაბაგის დარგული - ძველ წიფელზეა საუბარი, ათაბაგები ცხოვრობენ აგრეთვე ცხემვანაში, ქობულეთში, შუახევის რაიონის ჭვანის საკრებულოს სოფელ ცეკვაში, დაბა ხელვაჩაურში, **ათაბაძეები** - ხინოში, ქედა აჭყვასა და ქალაქ ქობულეთში.

მაჭახლელი **გურამ ქოქოლაძე** თურქეთში იწერება **ერგუნ ათაბაი-თ,** რაც იგივე **ათაბაგია.** სოფელ შარაბაძეებშია მოსახლე **თაბაგიძის** გვარით" *(იოსებ ბექირიშვილი, აჭარის ისტორია გვარ-სახელებში, ბათუმი, 1996, გვ. 19-20).*

**ათაბეგისშვილი//მირიმანიძე, ათაბეგისშვილი** - მოხსენიებულია ზაქუმბეგ ზაქუმიშვილისა და შალიკაშვილების სამართლის წიგნში: მას დარჩენია ბევანის კუთვნილი მამული *(1679 წ. 1450-48/149).*

**ათაბეგიშვილების შტო-გვარია მირიმანიძე** *(პალ. I, გვ. 88).*

**ათათია,** ათ-ათ-ი, თითზე ათი, ან ჯერზე ათი *(ქვგლ).*

**ათანელი//ათანელაშვილი//ათანელიშვილი//ათანელოვი** რა თქმა უნდა, ერთი და იგივე გვარია, წარმოდგენილია სხვადასხვა ფორმით. გვარის ოდნავ ჩრდილი მიაყენა გვარ-სახელის რუსიფიცირებულად გაფორმებულმა **ათანელოვმა**. ამ ფორმით შეიძლო ათეული სული დღემდე კვლავ ვერ გათავისუფლდა ამ ხუნდებისგან. საჭიროა კია, რომ მათ დაიბრუნონ პირვანდელი მამაპაპური გვარი **ათანელაშვილი**.

გვარის ფუძეა მამაკაცის საკუთარი სახელი **ათანელ**. შდრ: **ათანელ დიდმის წმიდა გიორგის დეკანოზი** *(1637-1691 წ.წ.)*.

**ათანელიშვილი თევდორე** – მოწმე რამაზ ფარლეუნათაშვილის მიერ მამისეულ ენაგელაშვილისთვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა *(1656 წ. შდ-16) (წგნ: პალ, I, გვ. 90)*. შდრ. **ათაქაშვილი, ათენაშვილი.**

**ათონაშვილი.** გვარის ფუძე უნდა იყოს **ათო** (–ათოია, *კოლხეთი. 15. კოკი; კოლხეთი 106. ორსანტია. ალ. ღლ.- 70)*.

**ათუაშვილი,** წარმომდგარია საკუთარი სახელიდან ათუა.

**აიდარაშვილი** შდრ: **აიდარ, აიდინ** (ბერძ.) აქედან **აიდარაშვილი.**

| |
|---|
| **აიდარაშვილი 46** (თბილისი – 35, რუსთავი – 5, დედოფლისწყარო – 4). |

**აიდარაული–აიდარაშვილი,** შდრ. **აიდინა, აიდარა. აიდინა** – 1688-1691 სურამის ნაცვალი. მამასახლისი (1688-1691 წწ.), მოწმე (1688 წ.). შდრ. **პაიდარ–გაიდარ.** სოფელ ყანობის მკვიდრი გვარი იყო აიდარაშვილი (1886 წელს ოთხი ოჯახი). 1774 წლის აღწერაში **აიდარაშვილები აიდარაულებად** არიან ჩაწერილი (ორი კომლი). აიდარაშვილები ჩრდილოეთ კავკასიიდან მოსულებად ითვლებიან. ყანობში მკვიდრობენ.

**აიდარ–ის** მნიშვნელობა სიტყვათა განმარტებით ლექსიკონში არ იძებნება. ჩვენი აზრით, გვარ აიდარაშვილის წინარე ფორმა ყოფილა **ბაიდარაშვილი.** დროთა ვითარებაში ასო ბ წინიდან ჩამოცილებია და მივიღეთ **აიდარაშვილი. ბაიდარაშვილები კახელები არიან. კახეთიდან,** თავად **ჩაყაშვილებთან** დროებით შეკედლებულ საგინაშვილებს რამდენიმე კომლი გამოჰყოლია და დღევანდელი თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ჩხიკვთაში დასახლებულან. ბაიდარაშვილების ისტორია მოთხრობილია წიგნში: *იაკობ ახუაშვილი. ქართული გვარსახელები. თბილისი. 1994 წელი.*

**აიწურაძე, აიწურა,** მეტსახელი გვარში: **აიწურაძე** *(ალ. ღლონტი. 90. შდრ: ილ. მაისურაძე. 18)*.

**აიწურაძე,** ბორჯომი, საკირე, ტაძრისი (ბორჯომის რ-ნი); **აიწურა** – მეტსახელი მაღალი და გამხდარი კაცისა.

**აიგაზაშვილი,** ფუძე **აიგაზა–დანაა** ნაწარმოები. ქართული გვარი **აიგაზაშვილი. აიგაზაშვილი 436 (თელავი 164, თბილისი 121, ახმეტა 102); აიგაზიშვილი 56 (თბილისი 20, თელავი 18, გორი 7).**

**აკერმანტია.** ამ გვარის ბ-ნი ნ. ჯომიდავა არასწორ ახსნას უძებნის. აკე-

რია, ეკერა, პკერებია არავერი უნდა ჰქონდეს საერთო აკერმანტიასთან. გვარი ლინგვისტურად ისევე უნდა დანაწილდეს, როგორც სხვა დანარჩენი მეგრულ-აფხაზური გვარები. **ა+კერ+მანტ+ია,** ე.ი. ორი ძირითაა – **კერა** და **მანტი.**

გვარში შემორჩენილი გადმოცემით, იგი უცხოური გვარია და უფრო გერმანულ სიტყვას **აკერმან-ს** უნდა უკავშირდებოდეს. აფხაზეთში ორი ძმა დაიარებოდა უცხოეთიდან. მათ აქედან ბზის ხე გაჰქონდათ სავაჭროდ. იქ პაპავას ქალი შეურთავთ. საკუთარი გემი ჰყოლიათ. ორივე ძმა დაღუპულა. პაპავას ქალიშვილმა შობა ვაჟი და მას მეუღლის საპატივცემულოდ მისცა მამის გვარი **აკერმანტია** *(იხ. ნ. ჯოჯიდავა. გვ. 16).*

**აკერმანტიები** ცხოვრობენ ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჭილოუში (კოდორის მაზრა).

**აკაბა**, აკა (არკა) (აფხ.) ერთადერთი, ნეტავ ერთი „ძღაბი, აკა მუკმორჩქილი, სქანი უჩა თოლეფითი." -გოგო, ერთი შემომხედე შენი შავი თვალებით" (გ. *ელიავა. 15).*

**აკაბას** გაიგივება **აკობიასთან** დაუშვებელია. **ხშირად აკაკის** ეტყვიან **აკა** (მოფერებით – კნინობითი ფორმა). **აკობ-იას** ფუძე იგივე **იაკობ-ია.** იაკობიდანაა ნაწარმოები გვარები: *იაკობიძე (-იგივე აკობიძე). – იგივე აკობია, იაკობაშვილი და იაკობიშვილი (აკოფაშვილი).*

**ᲐᲙᲕᲐᲖᲑᲐ 63**
**ადიგენი 11,**
**ბათუმი 2,**
**ხელვაჩაური 50.**

**აკვაზბა,** გვარის ფუძედ მეგრულ სიტყვას **კვაზაფი** მიიჩნევენ. **კვაზაფი** (ნიშნავს „კოპწიაობას". „იკვაზე"-კოპწიაობს", „დიკვაზუანს"-„იკოპწიავებს", „დიკვაზუუ"-„იკოპწიავა", „დუნოკვაზაფუუ"-„ნაკოპწიავები", „მაკვაზაფალი" – „მოკოპწიავე", „ოკვაზაფალი" – საკოპწიებელი" „ჭონა ირაითო იკვაზუ". ნიშნავს „ჭონა ყოველთვის კოპწიაობს" (გ. *ელიავა. გვ. 194).* აფხაზური გვარი ხომ არაა?! (ია).

**აკიშბაია,** აკი მამაკაცის საკუთარი სახელია (შდრ.: აკი, კოლხეთი, 6, ლია, აკია *(ალ. ღლონტი. 70).* გ. **ჟორდანიას მიხედვით, აკი მამაკაცის სახელია ხურიტულ ენაზე** (გვ. 129). შდრ.: **აკიფბაია** და **აკიშბა.**

**ᲐᲙᲘᲨᲑᲐᲘᲐ 26**
**თბილისი 20**
**ზუგდიდი 5**
**სენაკი 1**

**აკიშბაია//აკიფბაიები** არიან მეგრელებიც და აფხაზებიც. **აკიშბა** კი აფხაზური გვარია.

**აკობია.** ა არტიკლი ჩანს. **კობი,** იგივეა, რაც კრაჟი – ბატკანი (აფხაზური გვარსახელია). ნაწარმოებია მამაკაცის საკუთარი სახელიდან **იაკობ-ი.** დასავლეთ საქართველოში **იაკობს** სცილდება წინსართი ასო **ი** და ვღებულობთ სიტყვას **აკობ-ა (-აკობი),** ზოგჯერ ასო ი-ს ადგილს იჭერს ასო **ჯ** და ჩნდება გვარი **ჯაკობ-ია.** როგორც სახელში **იაკობ,** ისე გვარის მაწარმოებელ ამ სახელში **ბ**-ს ადგილს იჭერს ასო **ფ** და ვღებულობთ სიტყვას (სახელს) **იაკოფ, აკოფ-ა, აკოფ.** მისგანაა ნაწარმოები ქართული გვარსახელები: **აკოფია, აკოფაშვილი** (– რუსული გაფორმებით აკო-

ფოფი). სომხებს აქვთ გვარი აკოფიანი (აკოპიანი), აკოფჯანოვი.

| |
|---|
| აკობაშვილი 24 |
| თბილისი 17, |
| დმანისი 5 |
| მცხეთა 1 |
| აკობია 1744 |
| ზუგდიდი 779, |
| წალენჯიხა 512 |
| თბილისი 204 |

ამავე პრინციპითაა შექმნილი ქართული გვარსახელი აკობაშვილი, აკობიძე. აკობიები ცხოვრობდნენ სამეგრელოში, უმეტესად წალენჯიხისა და ზუგდიდის რაიონებში. რამდენიმე კომლი ცხოვრობს გალის რაიონის სოფლებში. გვარის წარმომავლობის შესახებ ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება. ვიცით, რომ ძველად აკობიები მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებას მისდევდნენ, მოხელეობაშიც გაწაფულნი ყოფილან. კერძოდ, სოფლებში ჯვარსა და ჭალაში ნაბდებს ამზადებდნენ. მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან, ურბანიზაციის განვითარების კვალდაკვალ, ბევრი დამკვიდრდა ქალაქებში (თბილისი, ზუგდიდი, სოხუმი, სენაკი). რამდენიმე ათეული ოჯახი რუსეთშიც ცხოვრობს – მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგში. სოხუმში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა პოეტი და პროზაიკოსი **შოთა აკობია**, რჩეული ლექსებისა და მოთხრობების ავტორი.



**აკობია დავით გუტას ძე** დაიბადა 1901 წელს, სოფელ ჭალეში. წიგნსა და განათლებას თვითონ დაეწაფა და საკმაოდ კარგი თვითგანათლება მიიღო. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1924 წელს ტყეშრეწკმეურნეობაში. 1928 წლიდან მუშაობდა ჯვარის ფოსტაში ოპერატორად. 1930-იანი წლიდან კოლექტივიზაციის პერიოდში იგი იყო სხვა ამხანაგებთან ერთად სოფლად სოხების შექმნის ინიციატორი. ჩაის პლანტაციების გაშენების აქტიური მონაწილე.

1931–1943 წლებში მუშაობდა სოფელ ჭალეს ეწერფერდის კოლმეურნეობაში ფიზიკურად, ბრიგადირად, კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილედ, პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნად. 1943–45 წ.წ. მუშაობდა სოფელ მუჟავას ნაშამგუს კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილედ და პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნად.

დავით აკობია 1945 წლის მარტში არჩეულ იქნა მუჟავას (იმჟამად ახლად შექმნილი) სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, სადაც იმუშავა 1962 წლამდე. სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობის პერიოდში თავი გამოიჩინა, როგორც გამოცდილმა მუშაკმა, რომელიც მთელი მონდომებით იღწვოდა მშრომელი ადამიანების კეთილდღეობისათვის, განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო დაწესებულებებისათვის საჭირო ნორმალური პირობების შექმნის უზრუნველსაყოფად, კანონიერების აღსრულებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის.

დიდი სამამულო ომის დაწყებისას 1941 წელს, დ. აკობია გაწვეული იქნა წითელი არმიის რიგებში, მაგრამ შემდგომ პარტიის რაიკომის უშუალო მოთხოვნების შესაბამისად, იგი ჯარიდან გამოძახებულ და ჩარიცხულ იქნა რაიონში

შექმნილი გამანადგურებელი ბატალიონის წევრად.

50-იან წლებში დ. აკობიას უშუალო ინიციატივით მოხდა მაღალმთიანი ოხარჩუას კურორტად გადაქცევა და მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში ჩაყენება. სადაც ყაერისაკან კეთდებოდა საგაზაფხულო დასასვენებელი ბინები და სადგურებით 500-600-მდე დამსვენებელი იყო. პენსიაზე გასვლის შემდეგ საცხოვრებლად გადავიდა ქ. ზუგდიდში და ეწეოდა ნაყოფიერ აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას. გარდაიცვალა 1985 წლის ნოემბერში. ნაყოფიერი სახელმწიფოებრივი საქმიანობისათვის დაჯილდოებული იყო 12 ორდენით და მედლით.



**აკობია ელგუჯა სარდიონის ძე,** დაიბადა 1958 წლის 20 ოქტომბერს, წალენჯიხის რაიონის სოფ. ლიაში.

მამა – **სარდიონ ჯოგოს ძე აკობია,** დაბ. 1928 წელს, მოსამსახურე იყო.

დედა – **მარგალიტა იულონის ასული კაკაჩია,** დაბ. 1928 წელს, წალენჯიხის რაიონის სოფ. ობუჯში, იყო ლიას საშუალო სკოლის პედაგოგი.

1975 წელს დაამთავრა წალენჯიხის რაიონის სოფ. ლიას საშუალო სკოლა. 1980 წლის – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. დღემდე მუშაობს თსუ-ს ადრიცხვისა და ანგარიშგების საინფორმაციო უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის და ეკონომიკის ფაკულტეტის აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის კათედრის პედაგოგად.

ჰყავს მეუღლე – **დალი ოთარის ასული ბერიშვილი,** დაბ. 1959 წელს. პროფესიით ინჟინერი, და 4 შვილი.

**ბექა,** დაბადებული 1987 წელს; **ოთარი,** დაბადებული 1988 წელს; **ცოტნე,** 1990 წელს და **საბა,** დაბადებული 1998 წელს.



**აკობია ილარიონ ანტონის ძე** დაიბადა 1909 წელს, წალენჯიხის რაიონის სოფ. ჯვარში. ის იყო ანტონ აკობიას უფროსი ვაჟი (წინაპრების **სოფ. ჯვარი ადრე ყოფილა საკობიო, ე.ი. აკობიები წარმოშობით არიან სოფ. ჯვარიდან).**

**ანტონ აკობია** ადრე ყოფილა შეძლებული გლეხი, მაგრამ, როგორც თითქმის მთელი საქართველო, ისიც გააკულაკეს და როცა პირველი ვაჟი შეეძინა, მაშინ ღარიბ ოჯახად ითვლებოდა. ამან ილარიონის აღზრდასა და შემდეგ მის ცხოვრებაზე მნიშვნელობა იქონია. დღესაც არიან ჯვარში ადამიანები, რომლებსაც ახსოვთ ძალიან ახალგაზრდა ი. აკობია, თუ როგორ აცურებდა სვანეთიდან მდინარე ენგურზე ტივებს. სხვათა შორის, მაშინ მდინარე ენგური ასეთი მშვიდი არ იყო. ტივებს აცურებდა ანაკლიამდე, რათა დახმარებოდა ოჯახს და დაეგროვებინა სწავლისათვის საჭირო ფული. მას უნდა ესწავლა ზუგდიდში. საშუალო სკოლა დაამთავრა 1926 წელს, წარჩინებით

სკოლის დამთავრების შემდეგ მარტო ჩამოვიდა თბილისში და მოეწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1931 წელს, ესეც წარჩინებით. მაგრამ როცა არდადეგებზე ჩადიოდა ჯვარში, შრომობდა ფიზიკურად. ისევ ეხვეწებოდა ტიტის დაცურვება, დახმარება ოჯახს. მან მაშინაც და შემდეგაც დიდი როლი ითამაშა თავისი ორი უმცროსი ძმის აღზრდაში.

1931 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი და დატოვეს სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ჰოსპიტალურ ქირურგიულ კლინიკაში პროფესორ გ. მუხაძესთან კლინიკურ ორდინატორად.

ამის შემდეგ, 1932 წელს, შვიდი თვის განმავლობაში იგი მუშაობს ჩხოროწყუს რაიონის საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების უფროსად. 1933 წელს კი გაწვეულ იქნა ჯარში და მუშაობდა თბილისის მეორე ქართულ მსროლელ ფრუნზეს სახელობის დივიზიის შტაბში ერთწლიან ექიმად.

1934 წელს მუშაობს ორდინატორად ჰოსპიტალურ ქირურგიულ კლინიკაში პროფესორ გ. მუხაძესთან, ხოლო 1936 წელს, კლინიკური ორდინატორის სტაჟირების შემდეგ გადაყვანილი იქნა ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტის ორთოპედიულ-ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში პროფესორ მ. ცხაკაიასთან ორდინატორად.

1937 წელს კვალიფიკაციის ასამაღლებლად მივლინებული იქნა ექვსი თვით ხარკოვში ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამედიცინო კვლევით ინსტიტუტში პროფესორ ი. სიტენკოსთან.

1938 წლის 12 აგვისტოს, ჰასანის ტბასთან გამართულ ბრძოლებთან დაკავშირებით, საკავშირო ჯანმრთელობის კომისარიატის მიერ გაწვეული იქნა შორეულ აღმოსავლეთში, ხაბაროვსკში, სადაც მონაწილეობა მიიღო იაპონიასთან ომში. როგორც ექიმმა, ქირურგმა, მან ძალიან ბევრ დაჭრილ ჯარისკაცს, მეთაურს უმკურნალა და შეუნარჩუნა სიცოცხლე, ასევე აქტიური მონაწილეობა მიიღო სამამულო ომში, გერმანიასა და იაპონიის წინააღმდეგ. ამის შემდეგ, მოყოლებული 1939 წლიდან 1947 წლამდე იყო კუიბიშევის დეპუტატი, ქალაქის საბჭოსთან არსებული ჯანმრთელობის დაცვის კომისიის თავმჯდომარე, ექიმთა საზოგადოების თავმჯდომარე და ქალაქის მთავარი ქირურგი. ამავე პერიოდში, პარალელურად, მან დააარსა ქალაქის სისხლის გადასხმის სადგური, რომლის დირექტორიც თვითონ გახლდათ. ამის შემდეგ ილარიონ აკობია 1947 წელს ბრუნდება სამშობლოში ოჯახთან – მეუღლესთან და ორ ქალიშვილთან ერთად.

ილარიონს ადრე გარდაეცვალა მამა და ამიტომაც იყო, რომ იგი ასე თავდადებულად ზრუნავდა დედასა და ძმებზე.

სამშობლოში ჩამოსვლისთანავე დაიწყო ჩვეულებრივი შრომა, რომელსაც შეჩვეული იყო ბავშვობიდანვე. 1947 წლიდან 1952 წლამდე მუშაობს სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ჰოსპიტალურ ქირურგიულ კლინიკაში.

1952 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: **„ამურის ოლქის ენდემური ჩიყვის შესწავლა“** (კლინიკური პათომორფოლოგიური გამოკვლევები).

1952 წლიდან 1960 წლამდე მუშაობს უფროს მეცნიერ-თანამშრომლად თბილისის ტრავმატოლოგია-ორთოპედიის სამედიცინო კვლევით ინსტიტუტში.

1960 წლიდან 1978 წლამდე ის იყო ტრავმატოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელი. ზემოთ აღნიშნულ სამედიცინო კვლევით ინსტიტუტში.

1964 წელს იცავს სადოქტორო დისერტაციას თემაზე: **„მელიტირებული, გაყინული და ლიომელიბირებული ძვლების გამოყენება ძვლის პლასტიკურ ქირურგიაში“** (კლინიკური ექსპერიმენტული გამოკვლევა). მან შექმნა სპეციალური სითხე, რომელშიც შენახული ძვალი 20-25 წლის განმავლობაში ინარჩუნებს თავის თვისებებს იმისათვის, რომ ის გადაენერგოს ავადმყოფს.

**ილარიონ აკობია სიცოცხლის ბოლომდე ღირსეულად ემსახურა ხალხის ჯანმრთელობას და როგორც მკურნალი მეცნიერი, ყოველთვის მართალი იყო ქვეყნისა და საკუთარი სინდისის წინაშე.**

**აკობიძე.** გვარში ფუძეა **იაკობი,** რომელსაც ჩამოცილებული აქვს წინსართი ასო **ი.** **აკობიძეები** ვარაუდობენ, რომ მათი წინაპრები **იაკობიძეები** იყვნენ (ან პირიქით). აქედანვე იღებს სათავეს სამეგრელოში მცხოვრები **აკობიებიც.** სახელი იაკობი, როგორც ითქვა, სამეგრელოში იშვიათია. **იაკობიძეები** ძირითადად ცხოვრობენ იმერეთში, კერძოდ, ჭიათურაში. **აკობიძეები** ცხოვრობენ ცაგერის რაიონის რამდენიმე სოფელში (**მახურა, ისუნდერი, ოყურეში**). ასევე – გურიაში. ცხოვრობდნენ აფხაზეთშიც – 30-იან წლებში ლეჩხუმიდან მასობრივად ჩაასახლეს ხალხი ოჩამჩირისა და სოხუმის რაიონში.

**იაკობიდან ნაწარმოებია გვარები: იაკობაშვილი, იაკობიშვილი, იაკობიძე, აკობაშვილი, აკობია, აკობიანი, აკობიძე, აკოფია, აკოფაშვილი, აგკოფაშვილი.**

**აკობიძე ლენა** დაიბადა 1907 წელს ცაგერის რაიონის სოფელ ისუნდერში, **გლეხის ოჯახში. მკერავი. გათხოვილი იყო სოფელ ზუბში, მეუღლე – რაჟდენ მოსეს ძე ბენიძე** *(მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში)*.დიდი წვლილი მიუძღვის რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილის, **ვენედი ბენიძის** აღზრდასა და ჩამოყალიბების საქმეში, რომელსაც ბიცოლად ეკუთვნოდა.



**აკობიძე იორამ ბიქტორის ძე** დაიბადა 1939 წელს, ცაგერის რაიონის სოფელ მახურაში. მშობლები **ბიქტორ აკობიძე** (დაიკარგა ქერჩში, დიდ სამამულო ომში). დედა – **კალე აშხრონიანი** (გარდაიცვალა 1999 წელს).

მუშაობდა ქუთაისის ლითოფონის ქარხანაში. მაშინ, როცა სოფლებიდან ქალაქისაკენ დაიძრა ხალხი და სოფლებს დაცარიელების საფრთხე დაემუქრა, დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს და დღემდე

მეუღლესთან, **ლენა კოკალიშვილთან** ერთად ეწევა სოფლის მეურნეობას. ჰყავს ხუთი შვილი და თორმეტი შვილიშვილი.



**აკობიძე ნანა თორამის ასული** დაიბადა 1975 წლის 19 აპრილს ცაგერის რაიონის სოფელ ბახურაში. მშობლები: **ლენა კოკალიშვილი, თორამ აკობიძე**.

1993 წელს დაამთავრა ზუბის საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. მუშაობდა გაზეთებში: „ახალგაზრდა ივერიელი“, „ახალი თაობა“, ჟურნალში „სარკე“. 1999 წლიდან არის გაზეთ „ივერია ექსპრესის“ დამფუძნებელი და რედაქტორი. 2002 წლიდან არის საგამომცემლო სახლის „სახე(ლ)ები“ დამფუძნებელი და ჟურნალ „სახე(ლ)ების“ მთავარი რედაქტორი.

არის რამდენიმე წიგნის ავტორი.

ჰყავს მეუღლე გია **ჩადუნელი** და ორი შვილი – **მარიამი** და **ნიკოლოზი**.

**აკობიძე ზურაბ დუშასს ძე** დაიბადა ცაგერის რაიონის სოფელ ისუნდერში. დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფია–ბიოლოგიის ფაკულტეტი. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს და დღემდე ემსახურება მომავალი თაობის აღზრდას, რითაც აგრძელებს ოჯახურ ტრადიციას (დედა, **თინა ქურციკიძე** მრავალი ათეული წელი ასწავლიდა ისუნდრის სკოლაში ისტორიას). ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

| |
|---|
| **აკულაშვილი 28** |
| **გორი – 1,** |
| **თბილისი – 27** |

**აკოლაშვილი–აკულაშვილი**, **აკულა** თეზის ერთგვარი ჯიში უნდა იყოს. შდრ.: აკო, აკოლა. ამავე ფუძეზეა დაშენებული გვარი **აკულიანი**.

**შდრ.: აკულოვი (იგივე აკულაშვილები) 24 (ქუთაისი – 9, ყვარელი – 4, თბილისი – 3).**

| |
|---|
| **აკოლაშვილი 116** |
| **გორი – 63,** |
| **თბილისი– 30,** |
| **გურჯაანი –21.** |

**შდრ.: აკულიანი 41 (თბილისი – 38, ბათუმი – 1, ტყიბული 2).**

**ალადათაშვილი/ალადადაშვილი//საქსანაშვილი//.** გვარის ფუძეა **ალადადა** (ალადათა).

**ალადათაშვილი//ალადადაშვილი.** მოიხსენიება 1675–1682 წლებში. ალადათაშვილების შტო-გვარია **საქსნაშვილი** (ვარ. **საქსნაშვილი**) გიორგი – 1692–1698 წ.წ. (ამჟამად აღნიშნული გვარები აღარაა. ისინი ისტორიის კუთვნილება გახდა).

**ალადათაშვილი**, მისი მიწა ესაზღვრებოდა წატურაანთ პაპინასშვილ ფასუას მიერ ასატურ ბეჟანიშვილისათვის მიყიდულ მიწას (1675 წ.).

**ალადადაშვილი აფრიამა** – მოწმე ენიბეგაანთ არუთენას მიერ ივანგულაანთ მურადასათვის მიცემული ქულბაქების ნასყიდობის წიგნისა (1693 წ.).

**ალდადაშვილი ესტატე** – დამწერი და მოწმე გივი ამილახვრის მიერ სუბიტაშვილისა და გოგინაშვილისათვის მიცემული სამამულე დავის გარიგე–

ბის წიგნისა (1664 წ.).

**ალადათაანთ საქანაშვილი** (ვარ. საქსანაშვილი) **გიორგი** – 1692-1698 წ.წ. მოწმე: ბეჟან ამირალასშვილი – თამაზასშვილის მიერ ასატურა ბეჟანისშვილისათვის მიცემული ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნისა (1692 წ.).

**ალადადაშვილი ხოსია და გიორგი** (იგივე ჩერქეზი ალადაშვილი გიორგი (*პალ. I. გვ. 94*).

**ალადაშვილი 2386**
**(სიღნაღი – 696,**
**თბილისი – 523,**
**დედოფლისწყარო –363).**
**შდრ.: ალადოშვილი 141**
**(გურჯაანი – 4,**
**თბილისი – 3,**

**ალადაშვილი,** გვარის ძირია მამაკაცის საკუთარი სახელი **ალადა** (შდრ.: *გიორგი ლეონიძე. სახელები*).

ისტორიულ წყაროებში გვხვდება **ალადაშვილი გიორგი** – ქისიყელი. ჰყავს სახლიკაცები: **პაპუნა, რამაზ, გურგენ, ზურაბ, პეტრე, გურასპ, მამუკა, სოზია, ელიოზ, შერმაზან, ბეჟან, ონანა, შიოშ.**

მეფე ნაზარ-ალი ხანმა აღუდგინა და განუახლა ძველად მიცემული აზატობის წიგნი, რომელიც მას დაჰკარგოდა *(1688-1703 წ.წ. შდ-1950)*.

**ალადაშვილი ალავერანა** – მოწმე აყთანდილ ესტატაშვილის მიერ პაპია შანშიაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა *(1666 წ. IV. შდ-9282)*.

XVIII საუკუნის შუახანებში ქართლის მეფემ თეიმურაზ II-მ წიგნი აზატობისა და თარხნობისა უბოძა **„ერთგულად და თავდადებით ნამსახურსა ალადაშვილს ფარეშს პაატას, ძმასა მისსა პაპუას და ძმისწულთა მისსა: რევაზს, მეუსას და ლუარსაბს."** ეს ალადაშვილი პაატა მეფეს თეიმურაზს თან ახლდა სპარსეთში და გაჭირვების ჟამს დიდი ერთგულება უჩვენა.

მეფეთა ერთგულება მოუდიოდათ ალადაშვილთ. მანამდეც ერთი ვინმე ალადაშვილი არჩილ მეფეს გადაჰყვა რუსეთს და მოსკოვს ჩარჩა მისი შთამომავლობა.

ამავე XVIII საუკუნეში ალადაშვილთ **ქვეხობა** ებოძათ. ქვეხისშვილმა **გლახა ალადაშვილმა** მეფე გიორგი XII-სთან იჩივლა: **„თასაულდი მადგას, გამოსაღებში გამრიეს"**-ო. აქ აზატნი და თარხანნი იყვნენ ალადაშვილნი და ლაშქარ-ნადირობის უმეტეს არა ეთხოვებოდათ რა.

მეფემ იმ საჩივარს თავში დააწერა: „ქ. ჩვენი ბრძანება არის, ვინცა ვის კოდისპურის და საჯაროს პურის შემწერნი და მოასაილნი ხართ! ამაზე ეხლავ ხელი აიღეთ. დავით ალადაშვილისა და იმის შვილის შვილისა სურსათისა და საჯაროს პურის შეწერა რა ეშმაკმა მოგაგონათ. ხელი უნდა აიღოთ და არც სათასაულო უნდა გამოართოთ."

შიდა ქართლშიც უცხოვრიათ ალადაშვილთ. ესენი საციციანოს აზნაურნი ყოფილან.

1782 წლის საბუთში იხსენიება აზნაური **ალადაშვილი გოგია.**

ღმერთისა და საქართველოსათვის და ბაგრატიონთა ტახტის ძლიერებისათვის, ალადაშვილნი გამოდიოდნენ ქართლის სამეფო ლაშქრის შუაგულ სადროშოში და კახეთის სამეფო ლაშქრის მოწინავე, შუაგულ და მემარცხენე სადროშოებში.

ამჟამად ალადაშვილნი ცხოვრობენ ისევ შიდა ქართლში, შიგნით კახეთში, ქიზიყში და კიდევ ერწო-თიანეთში, გაღმა მხარში და პერეთში.

საქართველოში ალადაშვილთა, დიდ-პატარის, ქუდოსან-მანდილოსნის საერთო რიცხვი ორი ათას სამასს ბევრად აჭარბებს.

ღმერთმა ამრავლოს გვარი ალადაშვილთა *(ალექსანდრე ნაზღაიძე)*



ალადაშვილი ალექსანდრე სტეფანეს ძე, 1876 წ., სოფ. არბოშიკი, ახლანდელი დედოფლისწყაროს რაიონი, - 1950).

თერაპევტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1911 წ.), პროფესორი (1919 წ.), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1946 წ.), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1941 წ.), თერაპიული სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი საქართველოში. 1904 წელს დაამთავრა იურიევის (ტარტუ) უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი.

1911 წელს ხარკოვში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ბორჯომის მინერალური წყლის ფიზიოლოგიური მოქმედების საკითხისათვის." 1919 წლის აირჩიეს სიმფეროპოლის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ფარმაკოლოგიის კათედრის გამგედ.

1919-21 წლებში მუშაობდა თბილისის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის შინაგან სნეულებათა დიაგნოსტიკის კათედრის გამგედ.

1921-1924 წლებში იყო სამკურნალო ფაკულტეტის დეკანი;

1921-50 წლებში საფაკულტეტო თერაპიის კათედრის გამგე (ჯერ თსუ-ში, შემდეგ - სამედიცინო ინსტიტუტში).

მრავალი წლის მანძილზე იყო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის დეკანი და საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე (1937-50 წ.წ.).

ა. ალადაშვილი იყო საქართველოს თერაპევტთა საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი და თავმჯდომარე (1940-50 წ.წ.).

აქტიურად მონაწილეობდა საქართველოში კურორტოლოგიის, ტუბერკულოზისა და პროფესიულ დაავადებათა ინსტიტუტებისა და სასწრაფო დახმარების საავადმყოფოს დაარსებაში.

წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა თბილისის მე-2 საავადმყოფოს, რომელსაც შემდგომ მისი სახელი მიეკუთვნა.

ა. ალადაშვილის მეცნიერული ნაშრომები უმთავრესად ეხება საქართველოს საკურორტო რესურსებისა და ადგილობრივი ნედლეულისგან დამზადებული პრეპარატების სამკურნალო მიზნით გამოყენების საკითხებს *(ქსე. ტ. 1. გვ. 260)*.



**ალადაშვილი ალექსანდრე ვახტანგის ძე,** დაიბადა თბილისში 1943 წლის 1 მარტს. მშობლები: **თამარ ჭედია, ვახტანგ ალადაშვილი.** მეუღლე – **მარინე კობახიძე.** შვილები: **მარინე** (1964), **თამარი** (1972).

დაამთავრა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი (1967), იყო საქართველოს პროკურატურის გამომძიებელი, პროკურორის თანაშემწე (1969–74), იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი (1974–75), თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრი (1974–91), უზენაესი სასამართლოს წევრი 1991 წლიდან.

ამჟამად ეწევა საადვოკატო საქმიანობას.



**ვახტანგ ალექსანდრეს ძე ალადაშვილი** ცნობილი ქართველი თერაპევტი.

პროფესორი ვახტანგ ალადაშვილი დაიბადა 1921 წ. 13 მაისს თბილისში, პროფესორ **ალექსანდრე ალადაშვილის** ოჯახში.

1924 წ. დაამთავრა თსს-ის სამკურნალო ფაკულტეტი წარჩინებით. 1944–46წ. თსს-ის საფაკულტეტო თერაპიის კათედრის ასისტენტია. 1947 წელს – მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი. 1960–62 წლებში – აღნიშნული კათედრის დოცენტი. 1962 წელს – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი 1964 წელს – კათედრის პროფესორი. 1965–66 წლებში იმუშავა ადის-აბების (ეთიოპია) წითელი ჯვრის საავადმყოფოში მთავარ თერაპევტად. აქვე გამოაქვეყნა წიგნი ინგლისურად სამხარეო პათოლოგიაზე.

დაბრუნებისას დაწერა წიგნი „მოგონებები ეთიოპიაზე", სადაც იძლევა მის მიერ ეთიოპიაში მოკვლეულ ცნობებს იქაურ ქართველ ექიმ პეტრე მერაბიშვილზე. 1971–86 თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის შინაგან დაავადებათა №1 კათედრის გამგე. ვ. ალადაშვილი მონაწილეობას ღებულობდა სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

იყო მუდმივი წევრი თერაპიული და კარდიოლოგიური საზოგადოებების. იყო ავტორი 112 შრომის, აქედან 3 სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის, 2 დამხმარე სახელმძღვანელო ექიმთათვის, 6 მონოგრაფია და 4 სამეცნიერო პოპულარული წიგნი: „თერაპიული ცნობარი" (1980); „საოჯახო მედიცინა" (1984), „შინაგან სნეულებათა სახელმძღვანელო" (ქართულ და რუსულ ენაზე, 1983).

პროფ. ვ. ალადაშვილი შეისწავლიდა ქრონიკულ გასტრიტებს *(პრაქტიკაში დანერგა მათი მკურნალობის მეთოდი).*

პირველმა აღწერა კანდიდომიკოზით დაავადების კლინიკა, ცხიმების ცვლის მოშლის საკითხები, ათეროსკლეროზის, რევმატიული ართრიტების, გულის იშემიური დაავადების ეტიოლოგიის პათოგენეზის კლინიკური დიაგნოსტიკის მკურნალობის და პროფილაქტიკის პრობლემები.

**ალავერანაშვილი//ალავერნაშვილი, ალავერნა** – მოწმე აეთანდილა ესტატეშვილის მიერ დოლმაზა შანშიაშვილისათვის მიცემული სახლ-კარისა და მიწის ნასყიდობის წიგნისა *(1682 წ. შდ-1823)*.

**ალავერნაშვილი ბაბულაი** – ვაშლოვნელი [გ]ამგებელი, ძმა გარსუა ალავერნაშვილისა..

**ალავერნაშვილი გარსუაი** – ვაშლოვნელი, ჰყავს ძმა ბაბულაი, მასთან ერთად მოწმეა თურქისტანის მიერ იესესათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა *(1558 წ. შდ-734)*.

**ალავერნაშვილი მამუა** (ვარ. მამუ) – 1694-1700 წ.წ. ჰყავს [სახლიკაცი] მირიანა *(1700 წ. შდ-10246)*; მოწმე დუშია გოგიბაშვილის მიერ ფარემუზ გოგიბაშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა *(1694 წ. IV.7. 1450-6/36)*. მირიანთან ერთად მოწმეა მანთაშა მირზაშვილის მიერ ნასყიდა დოლმაზაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა *(1700 წ. VIII. 10.III.-10246)*.

**ალავერნაშვილი მირიანა** – [სახლიკაცი] მამუა ალავერნაშვილისა.

| |
|---|
| **ალავერდაშვილი 744** |
| **თბილისი – 199,** |
| **მცხეთა – 156,** |
| **გორი – 103.** |

**ალავერდასშვილი//ალავერდაშვილი//იაგანაშვილი.**

**ალავერდაშვილი** – ახალშენს მცხოვრები, იგი სვიმონ მეფემ უწყალობა გოშტაშაბ [ბარათაშვილს] *(1629 .წ. V.27. შდ-1700)*.

**ალავერდაშვილი** – მისი მიწა ესაზღვრებოდა ვარძელა ყუზანაშვილის მიერ დუშია შავერდაშვილისათვის მიყიდულ მიწას *(1633 წ. II.9. 1450-6,№9)*.

**ალავერდაშვილი** – [ციციშვილების]: ყაის. ყორშიბაშ ბაადურსა და სარდალ პაპუნას შორის სამწევრისის მამულებზე დავის წიგნში აღნიშნულია, რომ ქვემო გომში მას ეჭირა ციციშვილების ხუთი დღის მიწა *([1633-1658 წ.წ.] 1448-2316)*.

| |
|---|
| **ალავერდოვი 279** |
| **თბილისი – 168,** |
| **მცხეთა– 52,** |
| **კასპი – 23.** |

**ალავერდაშვილი** – თაყა ბარათაშვილს პაპუნა გოსტაშაბიშვილისაგან ნაყიდი ჰქონდა მისი სასახლე, რომელიც თაყამ მიჰყიდა ჯანია ყარაშვილს (1679 წ. VI. 1450-37/244).

| |
|---|
| **ალავერდიშვილი** |
| **27 (თბილისი –** |
| **12, გორი – 6,** |
| **მცხეთა – 5);** |

**ალავერდაშვილი** – მის საზღვრამდე მიჰყიდა ზემო ბოლნელმა დუშია შავერდაშვილმა მიწა ბაინდურ პაპიაშვილს *(1688. I. 1450-7/5)*.

**ალავერდასშვილი** – მის მიწამდე მიჰყიდა მანთაშა ტერტერაშვილმა ბაინდურ გოგიბაშვილს ოთხი დღის მიწა *(1689 წ. VI.10. 1450-5/38)*.

**ალავერდასშვილი ალავერდა** – [ძმა] თამაზა ალავერდასშვილისა, იხ.

**ალავერდასშვილი არაქელა** – ჰყავს [ძმები]: **არუთინა, გიორგი.**

[ძმებთან] გაყრის დროს ერგო: ქულბაქი, ვენახი, სახლ-კარი, გოგო-ბიჭი.

ზურაბის ეაფ. წიგნები. ქალაქისა და შაქარას ველი: გიორგის ერგო: ერთი პატარა სახლი შკარასკენ. მისი ნახევარი. ისრანი და „რასაც გიორგის სახლისაკენ კარის პირი გაიტანდა" – არაქელას.

არუთინას ერგო ღარიბანი და სათონე. არაქელასთან ერთად – სახლის რიგი (*1699 წ. IX. 1450–11/41*).

**ალავერდასშვილი არუთინა** – [ძმა] არაქელა ალავერდასშვილისა. იხ.

**ალავერდასშვილი ასიტა** – შვილი თამაზა ალავერდაშვილისა, იხ.

**ალავერდაშვილი ბერუა** – პაპუნა ბარათაშვილმა გაუცვალა თავისი განაყოფის ასანბეგის შვილებს თაყასა და ასლამაზს, ენაგეთს ხიზუა ჯანიკაშვილი. ბერუა ალავერდასშვილი და პაპისგორს ათი დღის მიწა სასახლეზე, ვენახებსა და სხვა მამულებზე ტბისში (1671 წ. შდ–4151).

**ალავერდასშვილი გიორგი** – [ძმა] არაქელა ალავერდასშვილისა, იხ.

**ალავერდაშვილი დავითა** – მოწმე ზუბია ხოჯაშვილის მიერ ოთარ ყორღანაშვილისთვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (*1697 წ. V. 22. 1450–17/15*).

**ალავერდაშვილი დურმიშხან** – იხ. თაგულაშვილი დურმიშხან.

**ალავერდაშვილი დურმიშხან** – 1699–1700 წ.წ. ჰყავს ბიძაშვილი ინდია (*1700 წ. შდ–2301*). მოწმე ხოსუა ასლუაშვილის მიერ ნასყიდა დოლმაზაშვილისათვის მიცემული ვენახის გაცვლის წიგნისა (*1699 წ. IX.27. შდ–10257*), შერმაზან ხურდაყულიშვილის მიერ პაპუა ორბელიშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (*1699 წ. 1450–20/28*).

თავის ბიძაშვილ ინდიასთან ერთად დაამოწმა, რომ ჯალდამი და ლორისთავი მდივანბეგ ვახტანგ ორბელიშვილის ცოლ–ყოფილისა, ზაალ ერისთავის ასულის თამარის ნამზითვი ქონება და მისი შვილების კანონიერი საკუთრება იყო (*1700 წ. შდ–2301*).

**ალავერდასშვილი თამაზა** – ჰყავს: [ძმა] ალავერდა, შვილები: თუმანა და ასიტა. იყიდა თაყა ბარათაშვილისაგან სოფლის ბოლოს, ნასოფლარში, ერთი დღის ნაფუძარი (*1698 წ. II.27. 1450–19/13*).

**ალავერდასშვილი თუმანა** – შვილი თამაზა ალავერდაშვილისა.

**ალავერდაშვილი ინდია** – ბიძაშვილი დურმიშხან ალავერდაშვილისა, იხ.

**ალავერდაშვილი მამუა** – [ძმა] სტეფანა ალავერდაშვილისა. იხ.

**ალავერდაშვილი პეტრონა** (ვარ. პეტრუა) – 1690–1699 წ.წ. [ძმა] სტეფანა ალავერდაშვილისა. იხ. მოწმე ხოსუა ასლუაშვილის მიერ ნასყიდა დოლმაზაშვილისათვის მიცემული ვენახის გაცვლის წიგნისა (*1699 წ. IX.27. შდ–10357*).

**ალავერდაშვილი სტეფანა** – ჰყავს [ძმები]: პეტრონა, მამუა.

მიჰყიდა ნაზირ ბაინდურ პაპიაშვილს ორი დღის მიწა, რომელშიც ერთ ზომად აშენებული ვენახი შედიოდა. ამ ვენახის სანაცვლოდ მისცა ზაქუმაშვილის ნაქონი ვენახი (*1690 წ. VI. 13. 1450–10/17*).

**ალაზაშვილი** (დღევანდელი რუსიფიცირებული ფორმაა ალაზოვი).
ალაზოვი 311
ბოლნისი – 89,
ლაგოდეხი – 73,
მარნეული – 39.

**ალავიძე 1790**
თბილისი – 549,
ქუთაისი – 346,
ცაგერი – 192.

**ალავიძე//ალალიძე//ავალადაშვილი.** გვარში შემორჩენილი გადმოცემით ალავიძეები ალალიძეები ყოფილან (სიალალის, სიმართლის, უბრალოების) გამო შეურქმევიათ და შემდეგში სიტყვაში ლ ასო გ-ს შეუცვლია და ალავიძეები გამხდარან. ზუსტად ისევე, როგორც ალავიძეები იმერეთიდან ქართლში გადმოსვლის შემდეგ ავალადაშვილები გახდნენ. შდრ. ალავა, ძველი ქართული საქორწილო ჩვეულება. ქორწილის დღეს სასძლო საპატარძლოს მართმევდა ძღვენს – ტკბილეულობითა და ხილით გაწყობილს. სანთლებით გაჩირაღდნებული თაბახზე ჯვრისწერის წინ ამ ტკბილეულს ნეფე-დედოფლის დასალოცავად მოსულ სტუმრებს ურიგებდნენ ხოლმე.

„აზნაური ავალადასშვილი. ამათნი წინაპარნი მოვიდნენ იმერეთიდგან. რომელნიცა შემდგომად იყვნენ გვარით ალავიძენი და ცვლილებისა გამო ენისა, უწოდნენ ავალადად წინაპარსა ამასთა, რომლისა გამო გაუგვარდათ ავალადისშვილობა და არიან ესენი მოსრულნი დროსა ვახტანგ მეფისასა 1711 წელს და ცნობილნიცა აზნაურად. რომელნიმე სახლობენ იმერეთს და რომელნიმე ქართლს და არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინა" *(საანდაზო ლექსიკონი..., გვ. 103).*

რუსეთის მთავრობამ აზნაურებად აღიარა და 1850 წლის 6 დეკემბრის საგვარტომო „ხავერდის" წიგნში შეიტანა: ალავიძე ლევან დავითის ძე; გიორგი იესეს ძე, მეუღლე მისი ანა. ვაჟიშვილები: იესე, დიმიტრი, პაატა. ქალიშვილი მაია. იესეს მეუღლე ბარბარე; გოგია ქაიხოსროს ძე, მეუღლე მისი ანა. ვაჟიშვილები: დავითი, გოჯასპირი, ქაიხოსრო. ქალიშვილი ფოტინა; თათუა ქაიხოსროსძე. ვაჟიშვილები: ბიჭია, ივანე, სოლომონ, ელისე. ქალიშვილი ხათუნა; მერაბ ქაიხოსროს ძე, მეუღლე მისი ირინე. ვაჟიშვილები: ნიკოლოზი, ლუარსაბი, გრიგოლი. მერაბის ძმა სიმონი. მისი მეუღლე მზეხათუნა. ვაჟიშვილი ბესარიონი. ქალიშვილი თეკლე; ნიკოლოზ ხახუტას ძე, მეუღლე მისი ეკატერინე. ვაჟიშვილი ბეჟანი. ქალიშვილი პელაგია; პაატა შოშიტას ძე, მეუღლე მისი პელაგია. ვაჟიშვილები: ტარიელი, იოსები, ჯაგორია, ტარასი, ოთია. ქალიშვილი ელისაბედი; ვახუშტი ბერუას ძე, მეუღლე მისი სოფიო. ვაჟიშვილები: ფარსადანი, ივანე, თეიმურაზი. ფარსადანის მეუღლე მარიამი. ვაჟიშვილები: ლუარსაბი, სპირიდონი; ივანე სიმონის ძე, მეუღლე მისი პელაგია. ქალიშვილები: ივლიტა, ეფემია, ანა. ივანეს ძმა პრაპორშჩიკი ოქროპირი. მისი მეუღლე სალომე. ვაჟიშვილები: ნიკოლოზი, ნოშრევანი. ქალიშვილი ანა; დიმიტრი როსტომის ძე, მეუღლე მისი მზეხათუნა; ვახუშტი ქაიხოსროს ძე, მეუღლე მისი რუსუდანი. ვაჟიშვილები: იოსები, ივანე, ასლანი, დავითი, გიორგი. იოსების მეუღლე ვარდო. ვაჟიშვილები: ანთიმოზი, თომა; ბერი ქაიხოსროს ძე, მეუღლე მისი ელისაბედი. ვაჟიშვილები: დიმიტრი, ზურაბი. სიმონ როსტომის ძე, მეუღლე მისი ანასტა–

**სია. მისი დაი სოფიო."**

ალავიძეთა ერთ ნაწილს გვარი შეუცვლია და **მამალაძეობა** მიუღია. თვით მამალაძეთა გვარის დამწყებს მეტსახელად **მამალა** რქმევია. მამალაძეთა გვარი საკმაოდ ცნობილია საქართველოში. **1995 წელს გაუჩერი აულია 1974 სულს– თბილისი – 655, ჩოხატაური – 374, ოზურგეთი – 299.**

**მამალაძე–ალავიძეები მომდინარეობენ ბულარა მამალაძიდან.**

მადლიერმა ხალხმა შემოგვინახა სახალხო გმირის ბულარა მამალაძის სახელი, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა თავისი კუთხის საკეთილდღეოდ. მისი საქმეები შემოგვინახა ხალხურმა პოეზიამ.

ბულარას მამა ოთია ალავიძე ლეჩხუმიდან ყოფილა, რომელიც ბატონის მიერ შევიწროებასა და უკუღმართ პირობებს გამოქცევია და ოთხ შვილთან ერთად საჯავახოში დასახლებულა (იქ, სადაც ამჟამად რკინიგზის სადგურია).

გადმოცემით, როცა ოთია ალავიძის შვილები ბულარა, ესე და გიორგი (მეოთხე ქალი იყო) წამოიზარდნენ, იმერეთის მეფის სოლომონ მეორის სამსახურში ჩადგნენ. ბულარას მონაწილეობა მიუღია გურიისა და სამეგრელოს სამთავროებს შორის მომხდარ ბრძოლებში. ამის შესახებ მამია დუმბაძე ჟურნალ „მნათობში" 1957 წლის წერილში „გურიის სახალხო გმირი ბულარა მამალაძე" ბულარასადმი მიძღვნილ ერთ–ერთ ლექსში წერს:

*„ლეჩხუმიდან წამოსულა*
*მამალაძის წინაპარი,*
*ალავიძე იყო თურმე*
*იმ ლტოლვილი კაცის გვარი,*
*გურიაში ალავიძე*
*საჯავახოს დაესახლა,*
*მალე თავიც ისახელა*
*გურიის ჯარის ჩხუბში წაყვა."*

*(ლექსი ბულარა მამალაძეზე, გაზ. „ბრძოლის დროშა", 14 ივლისი, 1957 წ.).*

გურიის მთავარმა მამია გურიელმა, იმ მოტივით, თითქოს შენი თავი სხვამ არ წაგვართვასო, ბულარას შეუცვალა გვარი ალავიძე–მამალაძედ და ძმები დაასახლა სოფელ ხევში (ბულარა და მისი ძმები ხშირად სტუმრობდნენ ხიდისთავს, საიდანაც მდინარე გუბაზეულის ხეობას თევზაობით აუყვებოდნენ ხევამდე, ეს სოფელი კი ძალზე მოსწონდათ თურმე. სოფელ ხევში კი იმ დროს მამალაძის გვარის 5 კომლი ცხოვრობდა). ბულარას საცხოვრებელი ადგილი მიუჩინეს „სატოფიას" ღელეს ზემოთ „უკანდობიროს", მთაგორიან ადგილას, რომელიც გაუვალი ტყით ყოფილა დაფარული და ამჟამადაც მის ნასახლარს ხშირი ტყე ახლავს ჩახლართული გორაკებით.

ბულარას სამი ვაჟიშვილი ჰყავდა – **ესე, ოქრუა და ბეჟანა.** სოლომონ კეკელიძის პოემაში მოხსენიებულია უმცროსი შვილი ბეჟანა, რომელიც „ცოცხ–

ალი დღესაც ჩანს." იმ დროს იგი 96 წლის ყოფილა. ს. კეკელიძეს უნახავს ბეჟანა – თურმე მოხუცი 1873 წელს უკანდობიროს ქვის კვცსა თლიდა.

ბულარას უფროსი შვილი ესე საცხოვრებლად ხევში წყალგალმა დასახლებულა. იქ სამ ოჯახს ბულარაშვილებს ეძახდნენ.

ბულარას უფროსი შვილის, ესეს შთამომავალთაგან ხევში ოთხი ოჯახია. ოქრუას და ბეჟანას შთამომავლობიდან სამი ახალგაზრდა თბილისშია.

1921 წელს მენშევიკების წინაალმდეგ ბრძოლაში დაიღუპნენ მიტროფანე და ამბერკი ვარდენისძე და მოსე არჩილის ძე მამალაძეები. სამამულო ომში სამშობლოს თავისუფლებას შეეწირა ოთხი ახალგაზრდა: ინჟინრები ბენო ვარდენის ძე, გერონტი ვიქტორის ძე, მასწავლებლები ჟორა მიტროფანეს ძე და ვაჟა ბეგლარის ძე მამალაძეები. ამათგან ცნობილია მხოლოდ ბენოს საფლავი.

*(გაზ. „კომუნიზმის განთიადი". 29.09.1983 წ.)*

ბულარა მამალაძის ცხოვრებასა და ბრძოლის პერიპეტიებზე პირველი ცნობა სამეცნიერო ლიტერატურაში მეცხრამეტე საუკუნის 70-იან წლებში ჩნდება. ამ საქმის სათავესთან დგას გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი, პეტერბურგის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის პირველი ქართველი წევრ-კორესპონდენტი დიმიტრი ბაქრაძე *(1826-1890)*.

დ. ბაქრაძე 1873 წელს მოგზაურობდა გურიაში და იყო ხევშიც, სადაც ზოგი რამ ჩაიწერა ბულარა მამალაძეზეც. ამ მოგზაურობის თაობაზე 1878 წელს დაიბეჭდა პეტერბურგში რუსულ ენაზე და ამ გზით გურიის სახალხო გმირის სახელი არამარტო აღმოსავლეთ გურიას, არამედ საქართველოსაც გასცდა.

ბულარა მამალაძისადმი ინტერესი განსაკუთრებით გაძლიერდა მე-20 საუკუნის 50-იანი წლების შუახანებიდან, როდესაც სარაიონო გაზეთმა „ბრძოლის დროშამ" გამოაქვეყნა ვრცელი ხალხური ლექსი ბულარა მამალაძეზე (ლექსის პუბლიკაცია ეკუთვნის პროფესორ ი. სიხარულიძეს). მას როგორც სარაიონო, ისე რესპუბლიკურ პრესაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მათ შორის აღსანიშნავია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ მ. დუმბაძის სტატია „გურიის სახალხო გმირი ბულარა მამალაძე", რომელიც „მნათობმა" დაბეჭდა 1957 წელს *(№11)*.

როგორც მ. დუმბაძის, ისე სხვა წერილები (უმეტესად პროფ. ი. სიხარულიძისა) ხალხურ გადმოცემებსაც ემყარება.

ხალხური მასალების მნიშვნელობა გმირის ცხოვრებისა და ბრძოლის სურათის მეტ-ნაკლები სიღრმე-სისრულით შესაცნობად განსაკუთრებულია, რადგან წერილობითი ჩვენებანი ძალიან მცირედ მოგვეპოვება. შეიძლება ასეთი მასალები დაცულიც არის რომელიმე სიძველეთსაცავში, მაგრამ მათთვის ჯერ არავის მიუკვლევია. საშური კია, მეტი მონდომება გამოიჩინონ მოგვარეებმა გამოჩენილი წინაპრის ცხოვრების შესასწავლად.



ალავიძე გიორგი დაიბადა 1902 წლის 15 იანვარს ქ. ფოთში. 1912 წლის იგი ფოთის გიმნაზიაში შევიდა, ხოლო შემდეგ სწავლას აგრძელებს ხაშურის გიმნაზიაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1922 წელს. ამავე წელს იგი შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიის ფაკულტეტზე, რომელიც ასევე წარჩინებით დაამთავრა მებაღე-აგრონომის სპეციალობით. 1927 წლიდან მუშაობდა ცხაკაიას რაიონის სოფ. ფოცხოს სკოლის გამგედ, შემდეგ სოფ. მარნის სკოლაში, ცხაკაიას სოფლის მეურნეობის ტექნიკუმის სუბტროპიკული კულტურებისა და ბიოლოგიური საგნების მასწავლებლად.

1931 წლიდან ქობულეთის სუბტროპიკული ტექნიკუმის დირექტორის მოადგილეა სასწავლო ნაწილში. 1932 წლიდან ქობულეთის სუბტროპიკული სასწავლო მეურნეობის დირექტორია, ამავე დროს იგი არის სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ლიმონტრესტის სისტემის მეურნეობების ქობულეთის ჯგუფის აგრონომ-ინსპექტორი.

1934 წელს გ. ალავიძე სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ლიმონტრესტის ცენტრალურ აპარატში გადაჰყავთ უფროსი აგრონომის თანამდებობაზე.

1934 წელს, მთავრობის დავალებით გ. ალავიძე მიავლინეს ამერიკის შეერთებულ შტატებში ციტრუსების აგროტექნიკისა და წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის საკითხების შესასწავლად. 1938 წელს გ. ალავიძე დაინიშნა საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილედ, შემდეგ პირველ მოადგილედ. 1945 წელს იგი ინიშნება საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების სახალხო კომისრად, ორი წლის შემდეგ სამი სამინისტროს გაერთიანების გამო – სოფლის მეურნეობის მინისტრად, შემდეგ – ტექნიკური კულტურების მინისტრად, საბჭოთა მეურნეობების მინისტრად. 1957 წელს კი – კვლავ სოფლის მეურნეობის მინისტრად. 1958 წელს მივლინებული იყო იტალიაში, ლიმონისა და ფორთოხლის პერსპექტიული ჯიშების შესასწავლად, რომელიც საქართველოში დაინერგა წარმატებით. დაჯილდოებული იყო ლენინის ორი, შრომის წითელი დროშის ორი, წითელი ვარსკვლავის, სამი „საპატიო ნიშნის" ორდენითა და მრავალი მედლით. 1959 წლიდან სათავეში ჩაუდგა საქართველოს ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტს. აქ მისი ხელმძღვანელობით დამუშავდა და წარმოებაში დაინერგა ნიადაგების გაკულტურების, წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლისა და სხვა ღონისძიებანი. ინსტიტუტში მუშაობის დროს გ. ალავიძემ თავი გამოიჩინა, როგორც ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების გულისხმიერმა დამრიგებელმა და აღმზრდელმა. ბევრი მისი ნამოწაფარი დღესაც განაგრძობს საქმეს, რომელსაც ერთგულად ემსახურებოდა მათი აღმზრდელი.

გ. ალავიძე გარდაიცვალა 1975 წლის 13 იანვარს

**ალალაშვილი 24**
**თბილისი – 15,**
**სიღნაღი – 8,**
**ქუთაისი – 1.**

**ალალაშვილი, ალალა, ალალე, ალალო** (ალბათ პატიოსანი, წესიერი, პალალი).

**ალალიძე** შდრ.: **ალალაშვილი.**
**ალალიძე 65**
**ზესტაფონი – 60,**
**თბილისი – 3,**
**თერჯოლა – 1.**

**ალანდია.** იგივეა, რაც **ლანდია.** ლანდს სხვა მნიშვნელობაც აქვს, მაგრამ გვარის ფუძეს რატომღაც უკავშირებენ ძველ სიტყვას **ლანდო** – ოთხადგილიანი, ორმხრივ გადასახსნელი სახურავიანი ეტლი (ქეგლ). გვარი **ლანდია** გვხვდება რაჭაშიც (ონის რ-ნი). ზოგჯერ ადარებენ **კალანდიას.** მათი შედარება დაუშვებელია.

ალანდია მცირერიცხოვანი გვარია.

**ალანიძე – 42**
**მარტვილი – 26,**
**თბილისი – 5,**
**ზუგდიდი – 4.**

**ალანია,** გვარის ფუძეა საკუთარ სახელად ქცეული ეთნონიმი **ალანი,** რომელსაც ბოლოში ერთვის სუფიქსი **ია** (შდრ.: **რუსია, რუსი-შვილი, თურქ-ია, თურქია-შვილი, ჩერქეზი-შვილი, ჩერქეზია).**

ალანებს სამეგრელოში **ყარაჩაელებსაც** უწოდებენ. ტოპონიმი: **სა-ალან-ო, სამ-ალან-ო** (ხობის რ-ნი), **ალანიაში გა-ხუნწი** (მარტვილის რ-ნი), **ალანიაში მუხური-ზანაია** (აბაშის რ-ნი). აფხაზეთსა და სამეგრელოში იმართებოდა სიყრმალისა და სიძლიერის დღესასწაული – **„ალანურობა-მალანურობა".**

ალანიათა გვარს საქართველოში სულადობის მიხედვით 311-ე ადგილი უჭირავს. გვარის ძირითადი სამკვიდროა **ქვალონი.** კომლი: **ქვემო ქვალონი – 78, ზემო ქვალონი – 48, ხობი – 30, ბია – 25, ნოსირი – 24, გეჯეთი – 12, გურიფული – 12, ნოჯიხევი – 9, ონგირი – 9, ჯიხაშკარი – 8, ურთა – 5, – ეთა – 5, მენჯი – 5 და სხვა. ტოპონიმი:** ქვემო სამეგრელოში საალანიო-უბანი პატარა გურიფულში. ქვემო ხობის განაპირას. საალანიო-საფაჩულიო – სოფელი ქვალონის თემში (სოფელი შედგება ორი ნაწილისაგან: საალანიო – მაგარნას მარცხენა მხარეს და საფაჩულიო – მაგარნასა და სადალალს შუა). ზემო სამეგრელოში დასტურდება ვარიანტები: აენია, აიანია (**ქალაქ მარტვილში სერს ეწოდება აენიაგა//აინიაგა.** ალანი მეგრულში აღნიშნავს ძლიერს, მამაცს, უშიშარს, თავისუფალს, უცხოს, შემოხიზნულს (*იხ. პ. ცხადაია. 50*).

**ალანია ასმათ,** კერამიკა, ფერწერა. დ. 13. 08. 1952. ზუგდიდი. სწავლობდა თსსა კერამიკის განყოფილებაზე. ძირითადი ნამუშევრები: ფერწერა: „ქალბატონი ევალით", „მოლოდინი", „კარნავალი", „საჰაერო ბუშტები". გამოფენები: ჯგუფური – ქუთაისი, თბილისი, ზუგდიდი, მოსკოვი, რიგა (1974–98). მისი ნამუშევრები დაცულია ავსტრიის, აშშ. გერმანიის, კორეის კერძო კოლექციებში.

**ალანია დომენტი,** დაიბადა 1912 წელს ხობის რაიონის სოფ. ზემო ქვალონში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1935 წელს მუშაობა დაიწყო მშობლიური სოფლის არასრულ საშუალო სკოლაში მშობლიური ენისა და ლიტერატურის

მასწავლებლად.

1941 წელს დიდი სამამულო ომის დაწყების დღიდანვე დომენტი ალანია მოწყდა ახალი თაობის სწავლა-აღზრდის საპატიო საქმეს, საკლასო ჟურნალი გადაცვალა საბრძოლო იარაღზე.. მონაწილეობდა რუმინეთის, უნგრეთისა და ავსტრიის გათავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში. ნაომარი კაცი დაბრუნდა 1946 წელს. შემდეგ მუშაობა დაიწყო ცხაკაიას რაიონულ გაზეთ „ავანგარდის“ კორექტორად.

1950-1952 წლებში სწავლობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიულ სკოლაში ჟურნალისტიკის სპეციალობაზე. ის სხვადასხვა დროს, სხვადასხვა რედაქციაში ეწეოდა ჟურნალისტურ მოღვაწეობას. ბოლო 11 წელიწადი მუშაობდა ხობის რაიონულ გაზეთ „კომუნიზმის მშენებლის“ სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ.

**ალანია ვახტანგ სამსონის ძე** არავითარი ტიტული არ ჰქონია, გარდა ერთისა – ადამიანი, საოცრად უბრალო, გულთბილი, კეთილი და ალალი.

არასოდეს მიაჩნდა თავი გამორჩეულად. ღარიბი გლეხის ოჯახში აღზრდილმა ომის ქარცეცხლი გამოიარა. ცხოვრების სიმწარე მეტი ნახა, ვიდრე სიტკბო. სიცოცხლის ბოლო ორი ათეული წელი თითქოს შვება იგრძნო, შვილები დააფრთიანა, შვილიშვილებსაც მოესწრო, თავად მძიმე ავადმყოფობასაც არ უჩიოდა. 65 წლის კაცს ჯერ კიდევ უნდა ეცოცხლა...

**ალანია კალისტრატე** დაიბადა 1903 წელს, ხობის რაიონის სოფ. ზემო ქვალონში. დაამთავრა შუა ქვალონის საშუალო სკოლა.

25 წლისა ზემო ქვალონის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს. 8 წელი ედგა სათავეში კოლმეურნეობას.

1936 წელს სამუშაოდ გადავიდა ჯერ ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, შემდეგ კი აჭარაში, კახაბრის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში. 1942 წელს გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. იბრძოდა კავკასიის მისადგომებთან.

ბრძოლაში დიდი დამსახურებისათვის კალისტრატე ალანია 1942 წელს დააჯილდოეს მედლით „საბრძოლო დამსახურებისთვის“, რომლის შესახებ ბრძანებულება გამოქვეყნებულ იქნა წითელარმიელთა გაზეთში „წინ, გამარჯვებისაკენ“ 1942 წლის 10 სექტემბრის №86-ში.

ომიდან დაბრუნების შემდეგ ხელმეორედ აირჩიეს ზემო ქვალონის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ.

გარდაიცვალა 1953 წელს. მისი შვილები **ირა, ნათელა და დემნა ალანიები** სხვადასხვა სარბიელზე მოღვაწეობენ.

**ირა** მარტვილში ცხოვრობს, სპეციალობით ფილოლოგია, განათლებული პიროვნება, მეუღლე **თენგიზ ქვესელავა** ეკონომისტია, **ნათელა ალანია** რაიონის ფინანსების საბიუჯეტო განყოფილების უფროსია, სიძე **აპოლონ ლომაია** ინჟინერ-მშენებელი. **დემნა** ალანია ცხოვრობს ბათუმში, მუშაობს

ახალშენის საშუალო სკოლის დირექტორად.



**აპოლონ მეთოდის ძე ალანია** 1922 წელს დაიბადა ხობის რაიონის სოფ. ზემო ქვალონში, რკინიგზელთა ოჯახში. საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრებისთანავე შრომით საქმიანობაში ჩაება. ჯერ სენაკის სახანძრო რაზმის უფროსად დაიწყო მუშაობა, მალე ხობის სტატისტიკური აღრიცხვის ინსპექტორად გადაიყვანეს, შემდეგ კი შუა ხორგის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ დააწინაურეს. რამდენიმე წელი შუა ქვალონის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედაც იმუშავა. შემდეგ ენერგიულ და საქმიან ახალგაზრდას შუა ქვალონის კოლმეურნეობის თავკაცობას ანდობენ. თორმეტი წელი კი თავისი მშობლიური სოფლის ზემო ქვალონის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ იღვაწა.

სწორედ მისი ხელმძღვანელობით აშენდა ზემო ქვალონში საშუალო სკოლის ტიპიური შენობა, კეთილმოეწყო საუბნო გზები, სოფლის ცენტრი განათდა ლამპიონებით. ნაყოფიერი, ხანგრძლივი მუშაობისთვის იგი მრავალი ორდენითა და მედლით, საპატიო სიგელით იყო დაჯილდოებული.

გარდაიცვალა 1991 წელს. მეუღლე ქალბატონი **თინა გურგაია-ალანია** 27 წელია სოფლის საბავშვო ბაღის გამგეა, ქალიშვილი **ნუნუ** – ხობის საბავშვო ბაღის მასწავლებელი, ვაჟიშვილი – ინჟინერი, ხოლო რძალი მედიცინის დარგის მუშაკია.

**რადიკო ალანია** – შუა ქვალონის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ რადიკო ალანია მუშაობას იწყებს ამავე სკოლაში მუსიკის მასწავლებლად. 1949 წლიდან 1981 წლამდე ხობის რაიონის კულტურის დარგს ემსახურება. 1981 წლიდან 1989 წლამდე საყოფაცხოვრებო მომსახურების სამსახურშია – ჰიგიენის სახლის გამგე.

1959 წელს რაიონის კულტურის სახლში ჩამოყალიბდა ვოკალურ-ინსტრუმენტალური ჯგუფი, რომლის წევრიც იგი იყო. მრავალჯერ მიიღო მონაწილეობა რესპუბლიკურ ფესტივალებსა და დათვალიერებებში და მრავალგზის დაჯილდოვდა I და II ხარისხის დიპლომებით.

ქართული ხალხური სიმღერის უბადლო შემსრულებლებმა **ალითშა ბერაიამ, რადიკო ალანიამ, ვლადიმერ ალანიამ, ლუდუკი ჩაჩიბაიამ, ვაჟა აბაკელიამ, ანზორ ბუკიამ, ილია ალანიამ, ალ. ბერაიას** თაოსნობით 1959 წელს ჩამოაყალიბეს ანსამბლი „შეიდკაცა“. ეს ანსამბლი რაიონიდან პირველი იყო, რომელმაც 1959 წელს რესპუბლიკურ ფესტივალზე II ხარისხის დიპლომი და ფასიანი საჩუქარი დამსახურა. „შეიდკაცას“ საფესტივალო რეპერტუარი პირველად უჩვენეს საქართველოს ტელევიზიით.

1959 წლიდან მოყოლებული, არ ყოფილა რაიონული, ზონალური თუ რესპუბლიკური ფესტივალი, სადაც რადიკო ალანიას დიპლომები და საპატიო სიგელები

არ დაემსახურებინოს. ამ ჯილდოებს სათუთად ინახავს მეუღლე რადიკო ალანია აქტიურ მონაწილეობას იღებდა რესპუბლიკური ფესტივალების მომზადებასა და ჩატარებაში.

მიუხედავად კლასიკური მუსიკალური განათლების უქონლობისა, ის ერთნაირად მაღალპროფესიონალურად უკრავდა ფორტეპიანოზე, აკორდეონზე, გიტარაზე, ჩონგურსა და დოლზე.

მამის მუსიკალური ნიჭი გამოჰყვათ შვილებსაც. ორი მათგანი სენაკის რაიონის კულტურული ცხოვრების სამსახურშია.

**ალანიძე**, შდრ.: **ალანია**, საკუთარი სახელადქცეული ეთნონიმი **ალანი**.

სოფ. კიწიაში ცხოვრობს 5 კომლი, სხვაგან თითო-ოროლა. შდრ. **ალანია**.

**ალელიშვილი 298**
**თბილისი – 111,**
**გარდაბანი – 63,**
**ახალქალაქი – 28.**

**ალელაშვილი//ალელიშვილი//-ნოზაძე ნოზაძე-ალელაშვილი-ალელიშვილი** (-ალელი)

**ალელაშვილი//ალელიშვილი** გადმოცემით მომდინარეობს **ნოზაძეების** გვარიდან. გვარი დაფიქსირებული გვაქვს 1721-1873 წლებსა და შემდგომ. სადაური?! **ალელი**. ალი სოფელია ხაშურის რაიონში. აქედან ნოზაძე გადასახლებულა მესხეთში – კერძოდ ასპინძაში, იქ საკუთარი გვარი არ გაუმჟღავნებია და სოფლის სახელი გაუხდია გვარის ფუძედ. ახალციხელ ალელიშვილებს ადგილობრივი გამოთქმით არდელიანთსაც უწოდებენ. ამის გამო ფიქრობენ, რომ ნაწილი სოფელ **არალიდან** მომდინარეობენ (არალი სოფელია ადიგენის რაიონში).

**ალელასშვილი დოლქი** – მოწმე იოსებ ბეგაშვილის მიერ შიო ქუბაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (XVII ს.).

**ალელაშვილი ოსიკმე** – მოწმე თაყა ბარათაშვილის მიერ შიოშ ლარაძისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1690 წ.).

**ალელიშვილი ლაზარე** – პატარძეულის მცხოვრები, იხსენიება დავით გარეჯის მონასტრის ყმები ნუსხაში *(1690-1734 წ.წ.) (პალ., I, 98). (იხ. იაკობ ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები. თბ., 1994 წ., გვ. 206).*

ტფილისის მიდამოების სოფლების 1781 წლის ხალხის აღწერის დავთრებში სოფელ კუკიას მოიხსენიება **ალელიშვილი როსტომა, ალელი მანუჩარა, ალელი გაბრიელა** (იქვე, გვ. 160, 258, 260).

**ნოზაძეების** შტო-გვარია აგრეთვე **ცაცანაშვილი**

**ალასანია 324**
**ფოთი – 76,**
**თბილისი – 64,**
**სენაკი – 47.**

**ალასანია**. გვარის ფუძეა **ალას-ა** (-ალასან). ზოგი ავტორი გვარის ფუძედ მიიჩნევს ლასო-ს. ზოგიერთი კი სახელ **ალმასხანამდე** მიდის.

კომლი: *გეჯეთი – 12. ლეხაინდრავო – 4* და სხვ. **ტოპონიმი** სა-ალასან-იო – უბანი სათურქოსა და ძუგუს შუა (გეჯეთი).

**ალაფიშვილი**, ალაფი საფენელი და ჭურჭელი (+ნატყვევნავი), ალაფობა ანუ რბევა *(საბა. I, 45).*

**ალაფიშვილი 241** (გარდაბანი – 116, თბილისი – 105, ბათუმი – 3).

შდრ.: ალაფა, ალაფო საკუთარი სახელები დამოწმებულია პ. ინგოროყვასთან.

**ᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ 55**
(თბილისი – 25,
ქუთაისი – 6,
მცხეთა – 4).

**ალაშვილი,** საკუთარი სახელი ალა (ალა ბერძ. გაცვეთილი).

**ალაშვილი დათუნა** – მეჯვრისხევს მცხოვრები, საამილახვროს დავთარის მიხედვით, მისი კომლიდან ორ კაცს ევალებოდა თოფით ლაშქრობა (XVII ს.).

**ალბორაშვილი//ალბორიშვილი,** ორმაგი სახელით გაწყობილი გვარსახელია. შდრ. ალი (–ალექსი) და ბორა.

**ᲐᲚᲑᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ 85**
თბილისი – 32,
ახმეტა – 25,
კასპი – 13),
**ალბორიშვილი 216**
(ახმეტა– 97,
თბილისი – 36,
ონი – 16.

**ალბორაშვილი** და **ალბორიშვილი** სხვადასხვა გვარსახელია. მათ მხოლოდ ფუძე (ალბორა) ანათესავებს.

შდრ.: ალბოროვი (ორივე გვარისგან უნდა იყოს წარმოქმნილი).

**ალბოროვი 355** – თბილისი – 183, ლაგოდეხი – 70, რუსთავი – 30.

შდრ.: **ბორაშვილი ხოსრუა მანაველი,** შიოშ მდივნის ყმა (XVII ს.).

**ᲐᲚᲑᲣᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ 280**
(ახმეტა – 63,
თბილისი – 62,
დუშეთი – 53).

**ალბუთაშვილი,** გვარის ფუძეა მამაკაცის საკუთარი სახელი **ალბუთა.** შდრ.: **„ალბუთა“,** გვარში: **„ალბუთაშვილი“** (ალ. ღლონტი, 7(). **„ალბუთაშვილი, ჩაბანო (თიანეთის რაიონი); საკ. სახელი ალბუთა“** *(ილ. მაისურაძე, 19).*

**ალეიშვილი,** წარმომდგარია **ალექსანდრესგან** ნაწარმოებ მოფერებითი სახელისაგან **ალე** (ალექსანდრეს ხშირად **ალე**-ს ეძახიან, ისევე, როგორც ალექსის – ლექსოს).

**ალეიშვილი 21** (ბათუმი – 5, თბილისი – 5, ოზურგეთი – 5 და სხვ).

**ალექსაია,** გვარის ფუძეა მამაკაცის საკუთარი სახელი **ალექს-ა (–ალექსი).** ალექსი (ბერძ.) **„მცველი“.** აქედანაა გვარები: **ალექსიძე, ალექსიშვილი,** საალერსო ფორმებია: ალე, ლექსო.

ალექსაიათა გვარის წარმომადგენლები ძირითადად ცხოვრობენ გურიაში.

**ალექსაია 68** (ლანჩხუთი – 45, თბილისი – 12, ბათუმი – 6).

**ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ 30**
ახმეტა – 24,
თბილისი – 5,
თელავი – 1.
*(იხ. ნანუქაშვილი).*

**ალექსანასშვილი//ალექსანაშვილი//ნანუქაშვილი.** შდრ.: **ალექსანა** – სომხითის მცხოვრები, ბეჟან ამილახორმა იგი შვილებით, ძმითა და მამულით უწყალობა იოვანე წინამძღვარს (1642 წ.).

**ალექსანაშვილი** – მის ნაყიდ მიწამდე მიჰყიდა დათუნა შატბერაშვილმა ასატურა ბეჟანიშვილს მიწა „გრძელა“ (1680წ)

**ალექსანაშვილი ავთანდილა** – გორელი, მოწმე ლალინას მიერ შაკილა პარკაძისათვის მიცემული საალაპო წიგნისა (XVII საუკუნის ბოლო მეოთხედი).

**ალექსანასშვილი ალექსანა** – იხ. ნანუქაშვილი ალექსანა.

**ალექსანდრიშვილი გიორგი** – იხ. ნანუკაშვილი გიორგი.

**ალექსანდრიშვილი მხითარ** – იხ. ნანუკაშვილი მხითარ.

**ალექსანდრიშვილი მატია** – იხ. ნანუკაშვილი მატია.

**ალექსანდრიშვილი მაქია, მიქელა, მურატა, პაპუა, პეტრე** – იხ. ნანუკაშვილი მაქია, მიქელა, მურატა, პაპუა, პეტრე *(პალ. I. გვ. 98–99)*.

**ალექსანდრია 547**
**ფოთი – 98,**
**თბილისი – 67,**
**სენაკი – 21**
**ზუგდიდში**
**დაფიქსირებულია 34**
**კომლამდე**
**(იხ. პ. ცხადაია, *50*).**

**ალექსანდრია** ბერძ. ალექსანდრე „მამაცი მცველი" (ვაჟკაცი). გვაქვს ქალის სახელიც **ალექსანდრა**. საალერსო ფორმებია: ალე, ალეკო, ალიკო, ალიოშა, საშა, შურა.

XIX საუკუნეში **ალექსანდრიების** გვარი **ალისანდიძე** ყოფილა. ის ორ შტოდ იყოფა – ერთი შტო **ბერძენი ალექსანდრიების** შთამომავლები არიან, მეორე – **დოსკიდიებისა**. გადმოცემით, ალექსანდრიები ამოწყვეტილან, დარჩენილა ერთი ფეხმძიმე ქალი, ისინი ხობის რაიონის სოფელ ზემო ბიაში ცხოვრობდნენ. სოფლის უხუცესს უთხოვია ღმერთისთვის, ოღონდ ბიჭი დაიბადოს და რაც პირველად შემხვდება, იმას შემოგწირავო. დაიბადა ბიჭი. დაარქვეს დოსკიდია. ამის შემდეგ ალექსანდრიები იკრიბებიან ზემო ბიის წმიდა მთავარანგელოზის ეკლესიაში და სწირავენ გოჭს. ამ შეკრებას სხვა გვარის კაცი არ ესწრება *(მთხრ. გოგიტა გურამის ძე ჩიტაია. 1999 წლის დეკემბერი. ჩაიწერა ნ. ჯოჯიდავამ. გვ. 19)*.

ალექსანდრიას ვარიანტებია: **ალესანდრია, ალისანდრია**. **ტოპონიმი: საალექსანდრო–ოო** – უბანი ნოჯიხევში (ე.წ. ძველი ხობში), **საალესანდროო//საესანდროო** – უბანი ზემო ბიაში.

დადიანის (ამჟამინდელი ბესლეთისა) **პარაქსია ალექსანდრია**. ლევან დადიანმა იგი ხახუტაი კოზმასთან ერთად შეუწირა ბიჭვინტას, დაუწერა გადასახადი: ერთი ძროხა, სამი გუდა ღვინო, ორ–ორი ქილა ღომი, ერთი ქათამი და ერთი თეფში პური *(1628 წ. შე–2904)* *(იხ. პირთა ანოტირებული ლექსიკონი. წგნ. I. 1991. გვ. 99)*.



**ალექსანდრია ნანა გიორგის ასული** (დაბ. 1949, ფოთი). მოჭადრაკე. საერთაშორისო ოსტატი (1967). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი (1971). მსოფლიო პირველობის 1972–1975 წ.წ. ციკლის პრეტენდენტი. დაამთავრა თსუ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. თბილისის პიონერთა სასახლის აღზრდილი (მწვრთნელი ვ. ქარსელაძე, 1966 წლიდან – ბ. გურგენიძე). სსრკ (1966, 1968, 1969) და საქართველოს (1954, 1965, 1968) ჩემპიონი. პირველი ადგილი დაიკავა თბილისის (1968), ბელგრადის (1969), ვეიკ–ან–ზეეს (1970) ქალთა საერთაშორისო ტურნირებში.

**ალექსანდრია გიორგი ნესტორის ძე**, დაბ. 1918 წ., გვარდიის კაპიტანი, დიდი სამამულო ომის მონაწილე, თსუ-ს დოცენტი *(ნ. ჯოჯიდავა)*.

**ალექსაშვილი 165 (თბილისი– 29, საგარეჯო – 136).**

**ალექსასშვილი//ალექსაშვილი, ალექსაშვილი** – მისი აყრილი მამული ქინძათში, მოხსენიებულია ზემო ქართლის კომლთა ნუსხაში XVII ს. დამდ. შდ–7014).

**ალექსაშვილი** – მის მიწას ესაზღვრებოდა პაპუა ზაბზრაშვილის მიერ ასატურა გულიშამბარასშვილისათვის მიყიდული მიწა *(1683 წ. 1450-49/119).*

**ალექსაშვილი** – მის მამულს ესაზღვრებოდა ბაინდურა უბლ[ა]მაშვილის მიერ დათუნა თოფჩიაშვილისათვის მიყიდული ერთი დღის მიწა *(1698 წ. 1448-928).*

**ალექსაშვილი (ვარ. ალექსასშვილი) აეთანდილა** – 1670–1688 წ.წ. ჰყავს [სახლიკაცი] მარიჯანა. მოწმე მამუკა ამირალაშვილის მიერ ასატურა ბეჟანაშვილისათვის მიცემული სახლ–კარის ნასყიდობის წიგნისა (1670 წ. XII. 15. 1450–49/102). საზარას და მისი შვილების მიერ მარკოზ [გარსევანიშვილისათვის] მიცემული სასახლის ნასყიდობის წიგნისა (1672 წ. 7601/19), ერანას მიერ ზურაბ თუმანიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1675 წ. შდ–33), ნაზარა ხოჯუასშვილის მიერ ამირალა[ა]ნთ ფარსადანისათვის მიცემული სასახლის ნასყიდობის წიგნისა (1678 წ. V.20. შდ–10), პაპუნა ლალასშვილის მიერ გორელ დაეით ამირლანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1681 წ. შდ–5270), ზურაბ არაქელასშვილის მიერ პაპუნა იარალიშვილისათვის მიცემული ყმად თაედაწერის წიგნისა (1682 წ. შდ–568), ბეჟან თუმანიშვილის მიერ მისი ბიძაშვილის, ყანდარისათვის მიცემული ყმა ნასყიდობის წიგნისა (1688 წ. VII. 8. შდ–43).

**ალექსაშვილი ბერია** – ჰყავს [ძმა] გოდერძა, ძმისწული ბერუკა. მასთან ერთად წილად ერგო აეთანდილსა და ერასტის (XVII ს. ქფ–1038).

**ალექსაშვილი ბერუკა** – ძმისწული ბერია ალექსაშვილისა, იხ.

**ალექსასშვილი გივინა** – მოწმე ზურაბ არაქელასშვილის მიერ პაპუნა იარალისშვილისათვის მიცემული ყმად თაედაწერის წიგნისა (1682 წ. შდ–568).

**ალექსაშვილი გოდერძა** – [ძმა] ბერია ალექსაშვილისა, იხ.

**ალექსაშვილი ელიოზა** – მოწმე ბასილა გიშელაშვილის მიერ ელისბარ ხულუზაურისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1692 წ. IX.5. შდ–21).

**ალექსაშვილი ეფხია** – იყალთოელი. ჰყავს [ძმა] მგელია, ალექსანდრე მეფემ იგი უწყალობა მაყა მაყაშვილს *(1597 წ. VIII. აი–616).*

**ალექსაშვილი მგელია** – [ძმა] ეფხია ალექსასშვილისა, იხ.

**ალექსაშვილი მირიჯან** – ჰყავს სახლიკაცი აეთანდილა, მოწმე პაპუნა ალალასშვილის მიერ გორელ დაეით ამირალასშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა *(1681 წ. შდ–5270).*

**ალექსაშვილი ნასყიდა** – კარალეთში მცხოვრები, ქაიხოსრო ციციშვილის მეკოდისპურე ყმა *(1700 წ. 1448–3602).*

**ალექსაშვილი პეტროზა** – მოწმე ზურაბ არაქელასშვილის მიერ პაპუნა

იარალისშვილისათვის მიცემული ყმად თავდაწერის წიგნისა *(1682 წ. შდ-568)*.

**ალექსაშვილი საჰაკა** – მოწმე ზურაბ არაქელაშვილის მიერ პაპუნა იარალისშვილისათვის მიცემული ყმად თავდაწერის წიგნისა *(1682 წ. შდ-568)*.

**ალექსასშვილი შიო** – არაგვის'ხანს მეცხოვრები, გუგუნა მაყაშვილის ყმა, ალექსანდრე მეფემ შესწირა იგი ხახულის ღმრთისმშობლის ეკლესიას (1594 წ. 1449–1509). •

| |
|---|
| **ალექსიშვილი 267** |
| **თბილისი – 157,** |
| **თელავი – 44,** |
| **ბოლნისი – 16.** |

**ალექსიშვილი//ალექსიძე** [მომდინარეობს მამაკაცის საკუთარი სახელიდან **ალექს-ი(ა)** (იხ. **ალექსიძე**). წყაროებში გვხვდება ფორმით: **ალექსასშვილი//ალექსაშვილი//ალექსისშვილი//ალექსიშვილი**]. ალექსიშვილების შესახებ ჩვენს ხელთ არსებული საბუთებიდან მოგვყავს ყველაზე ნიშანდობლივი და საინტერესო: ტრაქტატის სიაში 81 სამეფო აზნაურს შორის ალექსიშვილები 41-ე ადგილზე მოიხსენიებიან; ალექსიშვილები, ქართლის (ამილახორთა) სხვა აზნაურებთან ერთად, მონაწილეობენ ოთარ ამილახვრის სახლში წარმოშობილი დავის მშვიდობიანად მოწესრიგებაში და მათ „*ოთარ ამილახორის თანხმობა მოაწერინეს და მის სახლის წევრებსაც ბეჭდები დაასმევინეს*" (ცსსია. ფ. 1448. № 4473). 1789 წლის ერთი საბუთით ირკვევა, რომ ამილახვარმა აზნაური **გოგია ალექსიშვილი** მზითევში გააყოლა თავის ასულს, რომელიც ქსნის ერისთავმა შეირთო. როდესაც მეფემ ქსნის ერისთავი დასაჯა ღალატისათვის და ყმა-მამული ჩამოართვა, მზითევში გაყოლებული 2 აზნაური, მათ შორის გოგია ალექსიშვილი, ოთარ ამილახორს დაუბრუნა *(ხელნ. ინსტ. ფ. შდ. № 9984)*.

რუსეთის მთავრობამ 1850 წლის 6 დეკემბერს აზნაურებად ცნო და საგვარტომო წიგნში შეიტანა: **ალექსიშვილი რევაზ გოგიას ძე**, მეუღლე მისი **სალომე**, ვაჟიშვილები: **გიორგი, ივანე**; **გლახა ექვთიმეს ძე**, მეუღლე მისი **მარია**, ვაჟიშვილები: **ზაქარია, ექვთიმე, ბეჟანი; ალექსი ექვთიმეს ძე**, მეუღლე მისი **როდამი**, ვაჟიშვილი **მიხეილი; სოლომონ ივანეს ძე**, ვაჟიშვილები: **სიმონი, ივანე, რაფაელი**. ივანეს მეუღლე **ნინო**, ვაჟიშვილი **რაჟდენი**, ქალიშვილი **ელისაბედი; გიორგი გაბრიელის ძე**, მეუღლე მისი **ეფემია**, ვაჟიშვილი **მიხეილი**, ქალიშვილი **სალომე**, გიორგის ძმები: **ნიკოლოზი, დავითი**, დედა **სალომე; ალექსი გაბრიელის ძე; ივანე იოსების ძე**, ვაჟიშვილი **პავლე**, ქალიშვილები: **სოფიო, ასუა; ალექსი დიმიტრის ძე**, ძმა **გიორგი**, დაი **ქეთევანა**, დედა **მაგდანა; წმიდანი იოსებ იაკობის ძე**, ვაჟიშვილი **დიმიტრი**, ქალიშვილი **დარო**" („სპისოკ კნიაზიამ." ტ. 1, გვ. 324. .

ალექსიძე-ალექსიშვილები ერთი და იგივე გვარია. 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატზე თანდართულ სიაში აზნაურებად შეტანილი არიან: ალექსიშვილები – ალექსიძე რევაზ გოგიას ძე, გლახა ექვთიმეს ძე, სოლომონ ივანეს ძე, გიორგი გაბრიელის ძე, იოსებ იაკობის ძე და სხვ.

[illegible]

**ალექსიშვილი ალექსი** – მამასახლისი, მოწმე ზურაბ კვეზერელის მიერ თამაზ ტარშაიჭაშვილისათვის მიცემული ნასყიდობის წიგნისა (1695 წ.).

**ალექსისშვილი** – იგი მამულით, გიორგი მეფემ უწყალობა ასათ ვარნაძეს.

**ალექსიშვილი გიორგი** – პაპუნა შვილი ოთარ, ნაზარ-ალი ხანმა მას უწყალობა ოლოზს ფაცურიძე იმედას და დემეტრას მამულები, ლეარებს – ნინია ლოქიძე მამულით (1700 წ.).

**ალექსიძე** – 1665 [1721] წ.წ. მოლარეთუხუცესი//ციცი ციციშვილის მოლარეთუხუცესი (1667–1682 წ.წ. შდ–962; ად–641), ციციშვილთა აზნაური (1682–1700 წ.წ.); **ალექსიძე ფაფანა** – ციციშვილის აზნაურიშვილი, შაჰნავაზ მეფემ იგი უწყალობა ციცი ციციშვილს (1658–1662 წ.წ.) *(იხ. პალ. წყნ. I. გვ. 100–101).*

გვარიდან ქართულ ენციკლოპედიაში შეტანილია:



**ალექსიშვილი ნინო თოსების ასული** (16/XII 1935 წ. თბილისი), ხელოვნებათმცოდნე, ფილოლოგი (რუსული ენა და ლიტერატურა). დაამთავრა ლენინგრადის (სანკტ-პეტერბურგი) ხელოვნების ინსტიტუტი (1958). 1959–61 წ.წ. მუშაობდა შოთა რუსთაველის ლიტ. ინსტიტუტში (უმც. მ/მ). გიორგი აბზიანიძის ხელმძღვანელობით „აკაკი წერეთელი" (15 ტ). 1962 წლიდან მუშაობს სტუ-ს რუსული ენა. ლიტერატურა და ჟურნალისტიკის კათედრაზე (მასწ. უფ/მასწ., დოცენტი). ლექციები, პრაქტიკული კურსი: სამშენებლო ფ-ტი (ძირითადი), ჰუმანიტარული ფ-ტი (საბანკო საქმე, სამართალმცოდნეობა).

თხზ: 1) დამხ. სახელ. რუსულ ენაში სამშენებლო-არქიტექტურულ სპეციალობაში ქართული უმაღლესი სასწავლებლებისათვის („განათლება"– 1977 წ.)

2) ტექსტების კრებული (რუსულ ენაზე) ტექნიკური ტერმინოლოგიის შესასწავლად („განათლება" – 1988 წ.).

3) არქიტექტურისა და სამშენებლო განმარტებითი ლექსიკონი (რუსულ-ქართული) („განათლება" – 1986 წ.).

4) დამხმარე სახელ. რუსული ენის მეტყველების განვითარების, ტექნიკური ენის შესწავლის მეთოდური საშუალებანი. (ტექსტები-თარგმანი, ლექსიკონზე მუშაობის მეთოდი) *(სამშენებლო ფ-ტი).* სტუ – 2001 წ.

5) დამხ. სახელ. რუსული ენის შესასწავლად. ეკონომიკურ-ფინანსური ტერმინოლოგია (სპეციალობა ეკონომიკა, საბანკო საქმე). დამხ. სახელმ. შედის: ინფორმაცია, მეთოდური ტექსტები, თარგმანები, აუდიტორგარეშე კითხვა, ტერმინოლოგია, განმარტებითი ლექსიკონი (ფინანსები, ეკონომიკა, საბანკო საქმე) (სტუ – 2002 წ.).

1965 წლიდან მეც. შრომები: ტექნიკური ტერმინოლოგია (სამშენებლო-არქიტექტურული); ტექნიკური ენა და მისი არსი. პრაქტიკული გამოყენების მეთოდიკა: რუსული ენის შესწავლა ტექნიკური ტერმინოლოგიის გამოყენებით. ლექტორ–

ბუზიე და მისი პრინციპები (პრაქტიკული კურსი, რუსული ენის შესწავლის მეთოდიკა): ტექნიკური თარგმნის მეთოდიკა: ტერმინი და სიტყვა (მეც. შრომები სტ-ე. თეზისები – 1965, 1969, 70, 75, 80, 83, 88, 96, 98 წწ.): სტუდენტური კონფერენციის აქტიური მონაწილე 1963 წლიდან 2002 წ: სამეცნიერო ზონალური კონფერენციების მონაწილე (ერევანი, ბაქო, თბილისი, მოსკოვი) 1963 წლიდან.

**ალექსიშვილი იოსებ კონსტანტინეს ძე** (4.03.1902 წ. – 17.05.1965 წ. ქ. თბილისი); ალექსიშვილთა გვარის წარმომადგენელი.

დაიბადა და გაიზარდა ინტელიგენტურ ოჯახში. საშუალო განათლება მიიღო თბილისის თავად-აზნაურთა გიმნაზიაში (ამჟამად თსუ I კორპუსი). გიმნაზია პოლიტიკური არეულობის გამო დაიხურა და სოსო ალექსიშვილი აღმოჩნდა მუშათა კლასის მოძრაობის შუაგულში. რკინიგზის დეპოში დაიწყო მუშაობა. გახდა აქტიური წევრი, დიდ პროპაგანდას უწევდა განათლებას, ჩამოაყალიბა წერა-კითხვის შესასწავლი ჯგუფები.

მთელი თავისი არსებით სიკვდილამდე ემსახურებოდა მუშათა კლასს, რომელმაც ყველაზე უმძიმეს პერიოდში ის მიიღო, როგორც ღვიძლი შვილი. ყველაზე მაღლა აყენებდა განათლებას და უნერგავდა დიდ სიყვარულს მრავალ თაობას (*„ისტორია, ლიტერატურა და ხელოვნება გადაარჩენს ერს დაღუპვისაგან“* – ხშირად იმეორებდა სოსო ალექსიშვილი).

1928 წელს თბილისში განათლების სახალხო კომისარიატმა შექმნა სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული კახიანის სახელობის მუშათა ფაკულტეტი და სოსო ალექსიშვილი ჩაირიცხა ამ ფკ-ზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1929 წელს განათლების სახალხო კომისარიატმა მიავლინა სწავლის გასაგრძელებლად მოსკოვის საფეიქრო ინსტიტუტში. ის ბრწყინვალედ ფლობდა ქართულ, რუსულ, ლათინურ, გერმანულ ენებს, ტექნიკურ საგნებს. 1934 წელს დაამთავრა მოსკოვის საფეიქრო ინ-ტი ინჟინერ-ტექნოლოგის სპეციალობით (აბრეშუმის წარმოება). მისი სადიპლომო თემაა: ქ. თბილისის აბრეშუმის ქარხანა, რეორგანიზაცია, განვითარების გზების და პერსპექტივების საშუალებანი: ქ. ქუთაისის კომბინატის განვითარების გზები.

1934 წლიდან 1965 წლამდე (სიკვდილამდე) ერთგულად ემსახურა თბილისის აბრეშუმის ფაბრიკას და მუშათა კლასს. ეკავა სხვადასხვა თანამდებობები (ოსტატი, საამქროს უფროსი, წარმოების უფროსი, ტექნიკური კონტროლის უფროსი, ქიმიური ლაბორატორიის უფროსი, დირექტორის მოადგილე, წამყვანი სპეციალისტ-მრჩეველი). მის მიერ შექმნილია და დამუშავებულია მრავალი აბრეშუმის ქსოვილის ნიმუში, რომლებმაც დიდი აღიარება ჰპოვეს მსოფლიოს ქვეყნებში. („ნინო,“ „შორენა“ ქართული შიფონი, ქართული აბრეშუმი) ქართულმა აბრეშუმმა გაითქვა სახელი. მონაწილეობდა მსოფლიოს ყველა ტექნიკურ, მსუბუქი წარმოების გამოფენებზე (ჯილდოები, სიგელები, აღიარება) 1941–1945 წწ. სოსო

ალექსიშვილის მიერ შექმნილი იყო სახელოვანი (აბრეშუმის ქსოვილი-მსუბუქი და გამძლე). დაიმსახურა ჯილდოები, სიგელები, მადლობები. სერგო ქობულაძესთან ერთად სოსო ალექსიშვილის ხელმძღვანელობის ქვეშ იყო დამუშავებული და შექმნილი საფარდე ქსოვილი (მოხატული სერგო ქობულაძის მიერ). ფარდა სცენისათვის (ზ. ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრი) განადგურდა ხანძრის დროს.

მისი უშუალო ინიციატივით ჩამოყალიბდა ქარხანასთან მუშათა საღამოს სკოლა, ტექნიკუმი, შეიქმნა ქარხანასთან უდიდესი ბიბლიოთეკა. სწავლის პროცესში მონაწილეობას იღებდნენ მეცნიერები, ქართული კულტურის უდიდესი მოღვაწენი, მხატვრები, სამხატვრო აკადემიის პროფესორ-მასწავლებლები. მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე სოსო ალექსიშვილი თვლიდა: „წიგნი-ცოდნის წყაროა!" ქარხანაში განათლებას მთელი ადმინისტრაცია დიდ ყურადღებას აქცევდა. სწორედ ქარხანაში აღიზარდნენ მომავალი მეცნიერნი, ინჟინრები, მომავალი ქარხნის ხელმძღვანელობა. მისი უშუალო ხელმძღვანელობით აგებული იყო მრავალი საცხოვრებელი შენობა (ვაკე, საბურთალო, ვერა, ორთაჭალა); კვალიფიკაციის კურსები საშუალებას აძლევდნენ ახალგაზრდა ინჟინრებს ცოდნის ამაღლებაში (პრაქტიკა+თეორია მათი ძირითადი პრინციპი იყო). სოსო ალექსიშვილი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა საქ. უნივერსიტეტში, საქარ. პოლიტექნიკურ ინ-ში, ეკონომიკის ინ-ში. სიკვდილამდე ერთგული იყო თავისი ქრის, მოწისა და მუშათა კლასის, რომელსაც აღმერთებდა, უნერგავდა მომავალ თაობას მისადმი პატივისცემას, მორიდებას, დაფასებას.

ოჯახი: მეუღლე – ტატიანა ივანეს ასული ალექსიშვილი (1911–1987); ვაჟიშვილი – ნიკოლოზ იოსების ძე ალექსიშვილი (1932–2002); ქალიშვილი – ნინო იოსების ასული (1936); შვილიშვილები: – თეიმურაზ თეიმურაზის ძე შატია (1960); ქეთევან ნიკოლოზის ასული ალექსიშვილი (1965); შვილთაშვილები: გურამ თეიმურაზის ძე შატია (1988); მარიამ დავითის ასული ბახტაძე (1992).

თბილისის აბრეშუმის ქარხანა სოსო ალექსიშვილისათვის იყო მეორე ოჯახი, დიდი პირმშო, რომელიც მოითხოვდა ყოველდღიურ ყურადღებას და სითბოს.



**ალექსიშვილი ოთარ იასონის ძე**, რეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი (1970 წ.). დაამთავრა მოსკოვის ლუნაჩარსკის სახელობის თეატრალური ხელოვნების ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი. 1934–40 წლებში მუშაობდა მოსკოვის მეიერხოლდის სახელობისა და გორკის სახელობის სამხატვრო თეატრებში რეჟისორ-სტაჟიორად, 1940–72 წლებში – დამდგმელ რეჟისორად საქართველოს სხვადასხვა თეატრებში, იყო თბილისის მხატვრული თვითმოქმედების კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში რეჟისურისა და მსახიობის ოსტატობის პედაგოგ-რეჟისორად, ტელესტუდიის რეჟისორად. ო. ალექსიშვილის მნიშვნელოვანი დადგმებია: გ. ხუხაშვილის „ცხოვრება კაცისა", ვ. შალიკაშვილის

„უნიადაგონი“, ვ. ვიშნევსკის „ოპტიმისტური ტრაგედია“, ბ. ლავრენევის „რღვევა“, ნ. ვირტას „თვალუწვდენელი სიერცეები“ და სხვ. *(ქსე. ტ. 1. თბ., 1975. გვ. 303).*

**ალექსი-მესხიშვილი ბარბარე ვლადიმერის ასული** (დ. 1.02. 1898, თბილისი), ქართველი მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი (1943), ლადო მესხიშვილის ქალიშვილი. მოსკოვის მცირე თეატრთან არსებული დრამატული კურსების დამთავრების შემდეგ, 1916–41 წლებში მოღვაწეობდა მოსკოვის, კიევის, ხარკოვისა და სხვ. თეატრებში. 1942–44 წლებში თბილისის გრიბოედოვის სახ. თეატრში ასრულებდა კომედიურ და მოზარდი ბიჭუნების როლებს. აღსანიშნავია მისი დონ ხილი და მართა (მირსო დე-მოლინას „დონ ხილ-მწვანეშარვლიანი“ და „ღვთისმოსავი მართა“), პასკეტი (პინეროს „სახიფათო ასაკი“), მირანდოლინა (გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“), ტუგინა (ა. ოსტროვსკის „უკანასკნელი მსხვერპლი“).



**ალექსი-მესხიშვილი ვლადიმერ სარდიონის ძე**, ლადო მესხიშვილი [16 (28). II. 1857, თბილისი, – 24. XI. 1920, იქვე], ქართველი მსახიობი და რეჟისორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი (წოდება მიენიჭა გარდაცვალების შემდეგ, 1930). სწავლობდა თბილისის ერთ-ერთ კერძო პანსიონში, შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. ავადმყოფობის გამო უნივერსიტეტი ვერ დაამთავრა, სამშობლოში დაბრუნდა და მასწავლებლად დაიწყო მუშაობა თელავის ქალთა სასწავლებელში. იქ სამ წელიწადს იმსახურა. პარალელურად მონაწილეობდა რუს სცენისმოყვარეთა სპექტაკლებში. 1881 წელს შევიდა თბილისის ქართულ დრამატულ დასში. 1887–90 წლებში კი რუსულ სცენაზე გამოდიოდა. 1890–96 წლებში ხელმძღვანელობდა თბილისის, ხოლო 1897–1906 წლებში – ქუთაისის ქართულ დრამატულ დასებს. 1905 წლიდან მხარს უჭერდა სახალხო ბრძოლას, თვითონაც იბრძოდა ბარიკადებზე. მიტინგებზე რევოლუციურ ლექსებს კითხულობდა. ტირანიისა და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ პროტესტს გამოხატავდა მისი დადგმებიც: „გაიუს გრაკქუსი“ და ჰაუპტმანის „ფეიქრები“, რომლებშიც თვითონვე ასრულებდა მთავარ როლებს. (1906–10, 1915–20). ლადო მესხიშვილი რუსულ სცენაზე მოღვაწეობდა 1907 წ. მოსკოვის სამხატვრო თეატრში.

ალექსი-მესხიშვილის გმირები ებრძოდნენ უსამართლობას, ექომაგებოდნენ ჩაგრულებს, ილეწოდნენ კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის. ამ გმირებს იგი წარმოსახავდა რომანტიკული მგზნებარებით, პოეტური აღმაფრენით. მისი უმნიშვნელოვანესი როლებია: ლევან ხიმშიაშვილი (ერისთავის „სამშობლო“), გაიოზ ფალავა (გუნიას „და-ძმა“), სულეიმანი (სუმბათაშვილი „ღალატი), ჰამლეტი (შექსპირის „ჰამლეტი“), ურიელ აკოსტა (გუცკოვის „ურიელ აკოსტა“), კეისარი (შექსპირის „იულიუს კეისარი“), ფრანც და კარლ მოორები (შილერის „ყაჩაღები“), რუი ბლაზი (ჰიუგოს „რუი ბლაზი“). საინტერესოა ალექსი-მესხიშვილის

მიერ შექმნილი კომედიური და სახასიათო სახეებიც: რასპლუევი (სუხოვო-კობილინის „კრეჩინსკის ქორწინება“), გოროდნიჩი (გოგოლის „რევიზორი“) და სხვ. დადგმული აქვს 100-ზე მეტი პიესა. ქართული სცენის მრავალი ოსტატი გამოზარდა. მან ქართული სცენისთვის არაერთი დრამატული ნაწარმოები თარგმნა. 1916–18 წლებში რუსეთში ყოფნის დროს გადაიღეს კინოფილმებში „მამები და შვილები“, „შურისძიების ღმერთი“ და სხვ. ალექსი-მესხიშვილის სახელი მიენიჭა ქუთაისის დრამატულ თეატრს (1940 წ.).



**ალექსი-მესხიშვილი ვლადიმერ შალვას ძე** [დ. 15 (28). IX. 1915, თბილისი], არქიტექტორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1961 წ.). დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი (1939). 1955-დან ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას. მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელია სისადავე, თანამედროვე ეროვნული ფორმების ძიება. ძირითადი ნამუშევრები: სანატორიუმი „იმერეთი“ წყალტუბოში (არქიტ. ლ. ჯანელიძესთან ერთად, 1948–57), საავარაკო სახლები წყნეთში (1956–62), სპორტის სასახლე თბილისში (არქიტ. ი. კასრაძესთან და ინჟ. და. ქაჯაიასთან ერთად, 1961), რესტორანი „იორი“ თბილისის ზღვაზე (1962), გარაჟი თბილისში (1970), საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (არქიტექტორ გ. გაბაშვილთან ერთად) და მეტროპოლიტენის ქვედა სადგ. „ლენინის მოედანი“ (ორივე თბილისში – 1967; რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო პრემია, 1969), თბილისი ჭადრაკისა და ალპ. კლუბის შენობა (არქიტ. გ. ლულუშაურთან ერთად; საქართველოს კომკავშირის პრემია, 1974). დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

**ალექსი-მესხიშვილი ნინო ვლადიმერის ასული** (1896, თბილისი – 16.V. 1956, მოსკოვი), დრამისა და ესტრადის ქართველი მსახიობი. საქართველოს დამსახურებული არტისტი (1950). ლადო მესხიშვილის ქალიშვილი. 1914 წელს მოსკოვში ერთდროულად დაამთავრა პედაგოგიკისა და დრამატული კურსები. ხშირად გამოდიოდა მამასთან ერთად ვოდევილებსა და ფარსებში. მოღვაწეობდა რუსეთში (1914–1920, 1922–25), კიევში (1920–22) და თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრში (1926–28). განასახიერა კარმენსიტას (ლიპსკეროვის „კარმენსიტა“), ქსენიას (ლავრენევის „რღვევა“) და სხვ. როლები. 1928–32 წლებში თბილისის ფილარმონიის ესტრადის მსახიობი იყო, ხოლო 1941–46 წლებში – კვლავ რუსთაველის თეატრის სცენაზე გამოდიოდა.

**ალექსი-მესხიშვილი ნინო სარდიონის ასული** (დ. 14.XI.1900, პეტერბურგი), ქართველი მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი (1941). 1922–24 წლებში სწავლობდა ა. ფალავას დრამ. სტუდიაში. 1924 წელს მსახიობად ჩაირიცხა რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრში. ასრულებდა სახასიათო როლებს. მისი მთავარი ნამუშევრებია: მადამ სალი („პირველი ნაბიჯი“, გ. წერეთლის მოთხრობის მიხედვით), სოფია იგნატიევნა (ოსტროვსკი „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“),

სალი (ლაერენიეეის „ამერიკის ხმა"), დედა მარგარიტა (როსტანის „სირანო დე ბერჟერაკი"), რუთ მამლოკი (ვოლფის „პროფესორი მამლოკი").

**ალექსი-მესხიშვილი სარდიონ დიმიტრის ძე** (1814–1863). ქართველი კრიტიკოსი, მთარგმნელი, სამხედრო ექიმი. მსახიობ ლადო მესხიშვილის მამა. 1832–36 წლებში სწავლობდა სამედიცინო-ქირურგიული აკადემიის მოსკოვის განყოფილებაში, რომელიც დაამთავრა ექიმისა და ვეტერინარის წოდებით. 1840 წლიდან მუშაობდა ექიმად თელავში, სიღნაღსა და თბილისში. 1846 წელს წარდგენილი დისერტაციის საფუძველზე მიენიჭა შტაბ-დოქტორის წოდება. ალექსი-მესხიშვილის კრიტიკული წერილები და თარგმანები (რუსო დებოვარის, მარმონტელის, ეჟენ სიუს თხზულებებისა) იბეჭდებოდა გაზ. „კავკასსა" და ჟურნალ „ცისკარში". ეკამათებოდა თერგდალეულებს, იცავდა „მამათა" პოზიციებს. 1861 წელს „ცისკარში" გამოქვეყნებულ ალექსი-მესხიშვილის წერილს („უსტარი ანტიკრიტიკული") ი. ჭავჭავაძემ უპასუხა სტატიით „სარდიონ მესხიევის კრიტიკის გამო".

**ალექსი-მესხიშვილი შალვა ვლადიმერის ძე** (26. IV. (8.V). 1884, თელავი, – 18.VI.1960, თბილისი). ქართველი ადვოკატი და პოლიტიკური მოღვაწე, ლადო მესხიშვილის ვაჟი. 1902–04 წლებში სწავლობდა ოდესის უნივერსიტეტში, საიდანაც გარიცხეს სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის. 1909 წელს დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ადვოკატობა დაიწყო თბილისში 1910 წელს. ალექსი-მესხიშვილი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი იყო. 1918–19 წლებში იუსტიციის მინისტრის პოსტი ეკავა საქართველოს მენშევიკურ მთავრობაში და მხარს უჭერდა მთავრობის დასჯის პოლიტიკას. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ადვოკატურ საქმიანობას ეწეოდა. იყო საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრი.

**მესხიშვილი მერი ვასილის ასული** (დ. 29. IV. 1923, ქ. თბილისი), ქართველი ლექსიკოგრაფი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი (1950). გამოქვეყნებული აქვს წერილები „ქართული დიალექტიზმები სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში" (1962), „მასალები ქართული დიალექტოლოგიური ლექსიკონისათვის" (1970), „ქართული ლექსიკონი" (1981 თ. ბეროზაშვილსა და ლ. ნოზაძესთან ერთად). მონაწილეობდა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" (ტ. 1–8, 1950–64) მომზადებაში (VI ტომის ერთ-ერთი რედაქტორია), რისთვისაც სხვა რედაქტორებთან ერთად მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია (1971).

მესხიშვილები – „მესხიშვილთა გვარმა მისცა ქართულ მწერლობას მთელი რიგი გამოჩენილ მოღვაწეთა, რომელთაც შექმნეს შესანიშნავი კალიგრაფიული სკოლა და ხელი შეუწყვეს ჩვენი ლიტერატურის გამდიდრებას XVIII–XIX სს-ში როგორც ახალ თხზულებათა თარგმნით თუ დაწერით, ისე უკვე არსებულთა გადაწერით" (კ. კეკელიძე). პ. კარბელაშვილის ცნობით, მესხიშვილები წარმოშობით მესხეთიდან იყვნენ: „მღვდელი პეტრე მესხი მოჰყვა თავის ცოლ-შვილით სამ-

ცხიდამ ხელით-უქმნელ ანჩისხატსა. 1674 წ. კათალიკოზმა დომენტიმ მისცა ადგილი კანდელაკისა ანჩისხატის ტაძარში. მიიცვალა 1680 წ. ჩვენამდე მოაღწია მისმა ნაწერმა მშვენიერის ხუცურის ხელით კონდაკმა..." პ. კარბელაშვილისეუ თანახმად, ამისი შვილი ყოფილა ანჩისხატის დეკანოზი გრიგოლი, მხატვარი, რომელიც თბილისის მოქალაქე გამხდარა (იხ. ქვემოთ, მისი შვილის ალექსის წიგნთა ანდერძები). გრიგოლის შვილი იყო ალექსი, რომლისგანაც იწყება სახელგანთქმულ კალიგრაფთა რიგი.

ალექსი გრიგოლის ძე – XVIII ს-ის შუა ათეული წლების მოღვაწე, აგრეთვე ანჩისხატის დეკანოზი იყო (ამის შემდეგ მესხიშვილთა მოღვაწეობა ძირითადად ანჩისხატის ტაძართანაა დაკავშირებული). სწორედ ისაა კალიგრაფთა დინასტიის ნამდვილი მეთაური. მის მიერ გადაწერილ წიგნებში თავისთავს იგი ყოველთვის მხატვრისძეს უწოდებს: „იესო ტკბილო, უოხე სულსა ჩემსა ფრიად ცოდვილსა მწერალსა ამისსა მხატვრის ძესა ალექსის"; „წერად ხელვყავ ტფილისსა მოქალაქე ქმნილის მხატვრის გრიგოლ მღვდლის, დეკანოზის ძემან. მღდელ-დეკანოზმან ალექსი..."; „ხელოვან მხატვრის მღვდლის ძე..." და სხვ. სამწუხაროდ, ამ „ხელოვანი მხატვრის" ნამუშევრებს ჩვენ არ ვიცნობთ; სამაგიეროდ, ალექსის გადანუსხული წიგნი დღემდე ბევრია მოღწეული, რაც საშუალებას გვაძლევს, სრულად წარმოვიდგინოთ მისი დიდი ოსტატობა. იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში" მის შესახებ შემდეგია ნათქვამი: „ესე იყო მეცნიერი კაცი, მოძღვარი სულიერი ანტონი კათალიკოზისა, მწერალი ხუცურისა და მხედრულისა, რომელიცა ღირს ქებისა არს ნაწერებისაგან. ამან მრავალნი საღმრთო წერილნი და ისტორიანი გარდასწერნა. და ამან კეთილად აღზარდა შვილნი თვისნი გიორგი, სოლომონ და დავით, რომელთაც ასწავლნა სამეცნიერო წერილნი, საღმრთონი და მგალობლობაცა...". ანტონ კათალიკოსთან ალექსი დიდად დაახლოებული იყო: როცა ანტონი გადააყენეს და განდევნეს, ალექსისთვისაც რაღაც შეურაცხყოფა მიუყენებიათ. ალექსი რუსული ორიენტაციის მოღვაწე ყოფილა; მის საკუთარ ნაშრომთაგან კ. კეკელიძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მის მიერ ენის შესწორებას რუსული ტიბიკონის მიხედვით.

ალექსის გადაწერილი აქვს როგორც სასულიერო შინაარსის წიგნები (ოთხთავები: შ 2715, ჰ 1114 და ქ 264, ჰ 1666; ტიბიკონები ა 399, ა 459; რჯულის კანონები ა 344, ა 478; თვენი ა 1093; ხრონოგრაფი ჰ 1671; ჟამნი შ 1096; ლოცვანი ქ 295; წმიდათა ცხოვრებანი ჰ 2077 – ყველა ხელნაწ. ინსტიტუტში), ისე საეროსიც (ვისრამიანი ჰ 716, ქილილა და დამანა შ 3004, საბა-სულხანის ლექსიკონი შ 4748); წერდა საბუთებსაც. ზემოთ ჩამოთვლილ წიგნთაგან ყველა კალიგრაფიული ნაწერი არ არის. მაგ., რჯულისკანონი ა 344, ვისრამიანი ჰ 716 სწრაფი ხელითაა ნაწერი და ნასწორებიც (მხედრულია).

ყველაზე ადრინდელი მის მიერ გადაწერილ წიგნთაგან (ჩვენთვის ცნობილთაგან) უნდა იყოს „ჟამნი" (შ 1096), მხედრულით ნაწერი მკაფიოდ, მაგრამ ჯერ კიდევ

შეუმუშავებელი, გამოუცდელი ხელით. გადამწერის ანდერძში ნათქვამია: „მე ალექსიმ დიაკონმან, ჩჳდმეტის წლისამან დავჴხაზე ჟამნი ესე“. სამწუხაროდ, სწორედ ამ ხელნაწერს არ უზის თარიღი, თორემ ჩვენ ალექსის დაბადების წელსაც შევიტყობდით. მხედრულად ნაწერი უფრო გვიანდელი წიგნები – პ 1671, ქრონოგრაფი, 1752 წლისა, განსაკუთრებით შ 5004, ქილილა და დამანა, 1747 წლისა უკვე ოსტატის ხელს ამჟღავნებს, თუმცა მაინც ვერ შეედრება მისსავე ნუსხურ ნაწერს. ქილილასა და დამანას ხელნაწერში დამახასიათებელია სტრიქონს ზემოთ ატანილი ო: ასეთი ო – ძალიან ბევრია, ყველა გრძლად მოქნეული მრუდი ხაზის სახითაა და ნაწერის სახეს ეს „კუდები“ თავისებურ ბეჭედს ასვამს. ანდერძში ალექსი წერს, ამის შემკვეთთ „უმეტეს ენებათ წიგნის ამის თვისად ქონებაი“, მაიჩქარეს და ამიტომ „ჩუენცა არღარაი ური ვექმენით ამის აღწერასდო“. ამის მხილველნი ნუ გამკიცხავთ, რადგანაც „დიდადცა უცალო ვიყავით საქმისა და მოუცლელობისაგან, უფროსღა ღამით ვწერდით და ამისათვის გულსმოდგინედ კაის ხელადვერ აღვწერეთო“, ბოდიშს იხდის შემდეგ ალექსი.

მხედრულად ნაწერ წიგნთაგან განსაკუთრებით საყურადღებოა საბას ლექსიკონი, რადგანაც მას დართული აქვს თვით საბას პორტრეტი, როგორც ჩანს, ალექსისავე ხელით შესრულებული. ანდერძში ნათქვამია: „დაიწერა მწიგნობარ მხატვრის ძის ალექსისათა, მონისა ღვთისა ხელოვანისა მწერალ მწიგნობარ მგალობელისა“ – ბოლო სიტყვები, „მონისა“-დან მოყოლებული, დიდი ჩართული ასოებითაა ნაწერი. ალექსის სახელი ჩართულია აგრეთვე დიდ, სინგურით შესრულებულ და დეკორაციულად დამუშავებულ, სათაურ ასოებში ს-სა და ხ-ში.

ალექსი შეიძლება ჩაითვალოს ნიკოლოზ სიონის დეკანოზთან ერთად (იხ. მიქაძეები), XVIII ს-ის ქართული ნუსხური ხელნაწერი წიგნის ერთ-ერთ საუკეთესო ოსტატად. მისი ნუსხური, ჩვეულებრივ, საგრძნობლად დახრილადაა ნაწერი, ლამაზად, ძარღვიანად, კალმის ოსტატურად დაჭერით და ისეთი ვირტუოზული სიზუსტით, თითქოს ავტომატის შესრულებული იყოს. ამ მხრივ განსაკუთრებით საკვირველია ოთხთავი, რომელიც ხელნაწერთა ინსტიტუტში ორ სხვადასხვა ფონდში ირიცხება განსხვავებული ნომრებით: მათესა და მარკოზის სახარებები ცალკეა აკინძული (პ 1114), ლუკასი ცალკე (ქ 264; იოანესი არ ჩანს). ეს ნამდვილი მინიატურებია, ზომით 5,5x4 სმ, რომელთა ტექსტიც მიკროსკოპული ნუსხურითაა ნაწერი (ორ სვეტად, შავი მელნით); მისი წაკითხვა გამადიდებელი შუშის გარეშე შეუძლებელია; ეს წიგნები არამარტო დახელოვნების ნაყოფია, არამედ უსაზღვრო მოთმინებისაც და რწმენისაც. მაინც ამ ოთხთავის ნაწერი იმდენად მკაფიოდ არ ამჟღავნებს (სწორედ, მეტისმეტი სიწვრილის გამო) ალექსის ხელის ხსენებულ თავისებურებას, როგორც სხვა წიგნები, რომელთა უმეტესობაც საშუალო და მოზრდილი ფორმატისაა. ალექსი მარჯვედ იყენებს ქართული ხელნაწერი წიგნის გაფორმების ტრადიციულ ხერხებს, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე ცოცხლობს, სტილთა ცვალებადო-

ბის მიუხედავად: ფურცელს აცოცხლებს მელნითვე ან სინგურით ნაწერი, მუხლების დასაწყისში დასმული, საზედაო ასოებით, ზემო არშიაზე სინგურით აღნიშნული სათაურებით, არშიებზე გაყოლებული მუხლების სათვალავით, სინგურის სტრიქონებით ტექსტში; თავების ან პარაგრაფების ბოლოს ტექსტს სამკუთხა სოლიერი ამთავრებს და სხვ. ძალიან უცნაურს ჩართული წერა დიდი, მტკიცე ხელით გამოყვანილი, ძალიან დეკორაციული მთავრული ასოებით: ჩვეულებრივ, მხოლოდ შავ მელანს ხმარობს და ოთხ-ხუთი სტრიქონით ავსებს მთელ გვერდს, რომლის ზოგადი კომპოზიცია ყოველთვის კარგადაა გააზრებული და მთლიან შთაბეჭდილებას ტოვებს. ამ ჩართული ნაწერის შინაარს უმეტესად ანდერძები შეადგენს, რომლებშიაც ალექსი თავის თავს ასახელებს და შენდობას ითხოვს. იგი იყენებს XVII–XVIII სს-ში გავრცელებულ ხერხებსაც, რომლებიც ისლამური ხელნაწერების (უპირველესად, სპარსულის) გავლენას ამჟღავნებს, მაგ., ტექსტის სვეტების ჩასმას ჩარჩოებში).

ყველაზე მდიდრულად მორთული მის წიგნთაგან 1743 წელს კათალიკოს-პატრიარქის ნიკოლოზის შეკვეთით გადაწერილი ოთხთავია (A 1666; 24.8х17.5 სმ, ეტრატი). ყოველი სახარების პირველი გვერდის ორივე სვეტი სწორხაზოვან ოქროსფერ ჩარჩოშია ჩასმული, ხოლო გვერდის მთელი ზემო ნახევარი ძალიან ინტენსიურ, დატვირთულ თავსამკაულს უჭირავს: ეს სწორკუთხა ჩარჩოა, რომლის ქვემო ნაწილის შუაში მრავალკბილა თაღია შეჭრილი.

პ. კარბელაშვილის ცნობით, ალექსი **„მიიცვალა 1766 წ. და დასაფლავდა ანჩისხატის ტაძრის დასავლეთის კარებს წინ"**. სწორი უნდა იყოს მოსაზრება (ლ. ქუთათელაძე), რომ **მესხიშვილთა მომდევნო თაობების მიერ თავისი გვარის ალექსი-მესხიშვილად შეცვლა ალექსი დეკანოზის ხსოვნისა და ღვაწლის აღსანიშნავად უნდა მომხდარიყო.**

**სოლომონ ალექსის ძე** (1742–1808) – ანჩისხატის დეკანოზად 1791–1808 წლებში ყოფილა. **„მიიცვალა 1808 წ. და დასაფლავდა ანჩისხატის ტაძარში ღვთისმშობლის ხატის წინ, ამბიონის მარცხნივ"** (კარბელაშვილი). პ. კარბელაშვილი მის შესახებ შემდეგს მოგვითხრობს: 1795 წლის 12 სექტემბერს, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს, სოლომონი განუშორებლივ იდგა თავის საყვარელ ანჩისხატის ტაძრის კარებთან და ელოდა – რით გათავდებოდა თავგანწირული ბრძოლა ერეკლე მეფისა ყიზილბაშებთან; ეიდრე სიონთან არ მიცვივდნენ ყიზილბაშები, მანამ ფეხი არ მოიცვალა სოლომონ დეკანოზმა; მაშინ კი მოიკიდა ზურგზე ხელით-უქმნელი ანჩისხატი და გაუდგა ვერისაკენ საბურთალოზედ და ასე ზურგით აიტანა მცხეთამდე ეს ამოდენა ხატი; აქედან ურმით ანანურში წაასვენა გურგეტისაკენ. მისი რჩევით მეფე ერეკლე და გიორგი სწირავდნენ ღარიბს, ყიზილბაშთა და ლეკთაგან აკლებულს, ეკლესიებს შესამოსელსა და საჭირო ნივთებსა: ბარძიმ-ფეშხუმსა, კანდლებსა, სასანთლეებსა, წიგნებსა და სხვ. 1802 წლის იმპერატორმა ალექსანდრე I უბოძა ოქროს გულის ჯვარი და

კამილაეკა და 400 მან. სიკვდილამდე პენსია. ერთ ხანს სოლომონს რუსეთში უცხოვრია. 1772 წლის ერთი წიგნი მის მიერ ასტრახანშია გადაწერილი.

იოანე ბატონიშვილი უკვე დამოწმებულ კალმასობაში, ალექსის ვაჟების შესახებ წერს: „**ამათაც ისწავეს ხუცურისა და მხედრულის წერა, გარნა მხედრულის წერასა შინა ჯერჯერთცა არც ძველად და არც ახლად არვინ თქმულან უკეთეს ამასთა, და მეტადრე სოლომონ დეკანოზისა**".

თეიმურაზ ბაგრატიონის (გიორგი XII-ის ძის) ბიბლიოთეკის კატალოგში, რომელიც თეიმურაზისავე შედგენილია, სოლომონის მიერ გადაწერილი ერთი წიგნის შესახებ ნათქვამია: „**მრგვალის-ხელით ესრეთი წერილი არს, რომელ დღესაც ქართველთაგანნი წერის ხელოვნებაში ქებულნი არიან, ყოველთავე ასე უთქვამს და ასე იტყვიან, რომელ ესევითარი მშვენიერი ხელით წერილი ძნელად შესაძლებელ არს, რომ დაეწეროს ვისმე, რომელნიც რჩეულნი და ჩინებულნი მწერალნი არიან ანუ ყოფილანო.**" თანამედროვეთა და მომდევნო თაობის წარმომადგენელთა ეს აზრი სოლომონის კალიგრაფიული ხელოვნების შესახებ საესებით საფუძვლიანია. მისი მხედრული ნაწერი მართლაც განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩევა (მხედრულით წერდა როგორც საერო წიგნებს, ისე სასულიეროსაც, მაგ., ოთხთავებს). მაგალითისათვის შეიძლება მოვიხსენიოთ ოთხთავი, ხელნაწ. ინსტ. ქ 268, გადაწერილი სოფელ ბელოთში 1770 წელს, როცა სოლომონი ჯერ კიდევ „კერძო-დიაკონი" იყო, და ლოლიკა, ხელნაწ. ინსტ. ა 15, რომელიც „აღიწერა ქალაქსა ასტრახანსა თთუესა იანუარსა 29, წელსა 1773)." ეს მეორე სულ უბრალო, უსამკაულო წიგნია. პირველი (29,5–20 სმ, 182 ფურცელი) მორთულია სინგურის მთავრული ასოებით, მათეს სახარების პირველი გვერდი კი საგანგებო ორნამენტული ჩარჩოთი, რომლის ინტენსიური ყვავილოვან-ფოთლოვანი სახეები ევროპული წიგნების მოტივთა გავლენას ამჟღავნებს. სპეციფიკურია ფერადოვნება: ღია მწვანე, სინგური და ყავისფერი. დანარჩენი სამი სახარება სინგურის მთავრული სათაურებით იწყება. ეს ყველაფერი გარკვეულ დახელოვნებას მოწმობს, მაგრამ მთავარი თვით ტექსტის სილამაზეა: სოლომონის მხედრული ასოები ძალიან სასიამოვნო პროპორციისაა, სტრიქონებს ზემოთ ატანილი ასოებიც ზომიერია, თვალს არ აჭრელებს, ნაწერი თითქოს „მშვიდია". მკაფიო, სანახავად სასიამოვნო და საკითხავად ადვილი (ამ წიგნს ასეთი ანდერძი აქვს „**დიდება და მადლობა ღმერთსა, სრულმყოფელსა ყოვლისა კეთილისასა, რომლისა ძლით ვიმუშავე ჩხაბა ამის წმიდისა სახარებისა, მე, ყოვლად უღირსმან ანჩისხატის დეკანოზის ალექსის ძემან სოლომონ კერძო დიაკონმან. გევედრები აღმომკითხველთა წმიდისა ამის სახარებისათა,უკეთუ ცთომილი რაიმე იხილოთ, ნუ მწყევთ, ღმრთისათვის, არამედ შემნდობელ მექმენით ცთომისათვის. ვითარცა ცასა ვერ იხილავთ, რომ არა აქვნდეს მცირედი ღრუბელი, აგრეთვე ჩემ მიერ ნაჩხაბი ეგრეთ არს. და შენდობასა ყოფდეთ ჩემ ცოდვილისათვის. სრულ იქმნა ბელოთსა წელსა ჩღო,**

**ქორონიკონს უნ, თთუესა სეკდემბერს ბ"** (ფურც. 182). ეს ანდერძი იმითაა საინტერესო, რომ გვიჩვენებს ქართული ხელნაწერი წიგნის „გაფორმების" ტრადიციათა სიმტკიცეს. თითქმის XIX ს-ის მიჯნაზე არამარტო წერის ტრადიციებია ძველებური, არამედ ანდერძებიც ძველებურად იწერება.

ძალიან ოსტატურად წერდა სოლომონი ნუსხურადაც. დამახასიათებელია 1778 წლის კრებული ა 618, დიდი ფორმატის წიგნი. შავი მელნით ნაწერი და სინგურის საზედაო ასოებით გაცოცხლებული. ასოები დახრილია, კუთხოვანი, კალმის ძლიერი დაჭერით გამოყვანილი; თვალს ხედება სტრიქონების ქვემოთ დამატებითი, მრუდი ხაზისებრი ნიშნის სიმრავლე – ეს დეფისის ხაზებია, რომლებიც შედგენილი სიტყვების ნაწილებს აკავშირებს.

**დავით რექტორი ალექსის ძე** (1745–1824) – ქართული კულტურის ერთი ყველაზე თვალსაჩინო მოღვაწეთაგანი XVIII ს-ის ბოლო ათეულ წლებსა და XIX ს-ის მიჯნაზე, ლიტერატორი, პედაგოგი, კომენტატორი, პოპულარიზატორი, კალიგრაფი. ანტონი I კათალიკოსის მოწაფე. ერეკლე II-ის მეფობის ბოლო ათეულ წლებში, როცა საქართველოში კვლავ გაცხოველდა კულტურული საქმიანობა, როცა მეფის კართან დაკავშირებული ქართული ინტელიგენცია ცდილობდა რუსეთ-ევროპის ცივილიზაციისთვის ეზიარებინათ თავისი სამშობლო, დავითი, ფაქტიურად, განათლების საქმეს მეთაურობდა ქართლ-კახეთის სამეფოში. 1790 წელს ერეკლემ იგი თელავის სემინარიის რექტორად დანიშნა (დარჩენილ საბუთში ნათქვამია: **„ჩვენ მეფემან ირაკლიმ განგაწესეთ თელავის ქალაქის სემინარიის რექტორად შენ ალექსიშვილი დავითი, ასე რომ მოწაფეთ შემოიკრებთ და ფილოსოფია უნდა მოასმენინო და ზოგთ საეკლესიო წიგნი და წერაო"**. და სხვ.). დავითმა აქ დიდად ენერგიული საქმიანობა გაშალა და მცირე ხნის განმავლობაში სემინარია მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრად აქცია (*იქაური საქმიანობის ერთი სურათი – სამეცნიერო და სღვთისმეტყველო საკითხებზე მსჯელობა იოანე ბატონიშვილის კალმისობაშია აღწერილი. იქვე თვით დავითის პიროვნებაცაა დახატული – ოდნავ იუმორისტულად*).

როგორც ფართო ჰორიზონტის განმანათლებელი, მაშინაც და უფრო გვიანაც, სემინარიის დახურვის შემდეგ, დავითი ადგენდა სახელმძღვანელოებს სხვადასხვა დარგთათვის (არითმეტიკა, ალგებრა-გეომეტრია, ფიზიკა, „ოთხნაწილედნი სწავლანი", „საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა" და სხვ.). **„დავითს ეს წიგნები უნდა შეედგინა, რადგან, ჯერ ერთი – უმაღლეს კლასებისათვის სახელმძღვანელოები არ იყო და, მეორეც: არსებული წიგნები მას არ აკმაყოფილებდა არც შინაარსისა და არც, განსაკუთრებით, ფორმის მხრივ. მიუხედავად იმისა, რომ დავითი ანტონის მოწაფეა და უაღრესადაც მას პატივს სცემს, იგი მაინც წინააღმდეგია ძველის, სქოლასტიკურის, ხალხისთვის უკვე გაუგებარი ფორმებისა და მედგარი დამცველია ახლის, უფრო დემოკრატიული სტილისა"** (*ეუკ. ბერიძე*). დავითი საკუთარ ლექსებსაც წერდა. დასასრულ, მან შეავსო საბას

ლექსიკონი და სხვადასხვა კომენტარები დაურთო მას (ხელნაწ. ინსტ. ქ 401).

იოანე ბატონიშვილი ამის შესახებ წერს: „ამან ასწავლა სკოლასა შინა თელავისასა მოწაფეთა საფილოსოფოსო სწავლანი, და მეცა ვიყავ მასთანა რიცხვთა შორის მოწაფეთასა. ესე არს უცხო ისტორიკოსი ძველთა და ახალთა მოთხრობათა, რომელიც ქებულ არს ერთა ჩვენთაგან. კათალიკოზი ანტონი დავით ალექსის ძეს უწოდდა ქართველთა შორის პირველ ისტორიკოსსაო".

თელავის სემინარიამ იარსება საქართველოს რუსეთის იმპერიასთან შეერთებამდე თვით დავითის სიტყვით, „მას ვამსა რუსნი მოვიდეს და სკოლა შეურაცხყვეს და სადა სახელი ღვთისა იქადაგებოდა, ჰყვეს ქვაბ ავაზაკთა, ხოლო მე პირად პირადნი განსაცდელნი შემამთხვიენეს და მრავალნი ბოროტი მოაწიენეს ჩემს ზედა".

1806 წელს დავითი თბილისის გალავნისახლდა და აქ ანჩისხატის ეზოში ცხოვრობდა. გარდაიცვალა 1824 წლის 2 ნოემბერს.

**ტარასი სოლომონის ძე** (1793–1874). 1853–1874 წლებში ქუთაისის მონასტრის არქიმანდრიტად იყო (იქვეა დაკრძალული. ეს თარიღები მისი ეპიტაფიიდანაა). ერთი თვალსაჩინო კულტურულ მოღვაწეთაგანი. მთარგმნელი, ავტორი და ერთი უკანასკნელი წარმომადგენელთაგანი ტრადიციული ქართული კალიგრაფიული ხელოვნებისა. მას გადაწერილი აქვს სასულიერო და საერო, სამეცნიერო და მხატვრული შინაარსის წიგნები. ბევრი მათგანი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში. ალექსი-მესხიშვილთა ოჯახის სხვა წევრებიც ეწეოდნენ შრომას, როგორც კალიგრაფები, წიგნთა ხელოვანნი გადამწერნი. მაგალითად, მიქაელი – კალიგრაფი. ცხოვრობდა IX ს-ში. მოღვაწეობდა შატბერდის მონასტერში. 87 წელს მონასტრის წინამძღვრის სოფრონ შატბერდელის შეკვეთით გადაწერა სახარება (უძველესი დათარიღებული ქართული ოთხთავი), რომელიც ადიშის სახარების სახელითაა ცნობილი. 287-ე ფურცლის წინა გვერდზე მეორე სვეტში იკითხება: — **„წელსა ხფა, ქრონიკონსა რიზ შობითგან უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესით წელთა ჩა-მწერა (სიც) ამისი მიქაელ ლოცვასა მომიხსენეთ და შემინდვეთ სიცუბე ჩემი".** ადიშის სახარება დიდი ზომის წიგნია (38x32 სმ), ნაწერი მრგვლოვანია, ორ სვეტად, შავი მელნით. მასალა – ეტრატი. პირველ ფურცელზე გამოსახულია ჯვარი ოთხყურა ფიგურის სახით.



**ალექსიძე ეთერ,** დაიბადა 1932 წლის 12 ოქტომბერს.

დაამთავრა თსუ-ს აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, სწავლა გააგრძელა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ინდო-ირანულ განყოფილებაზე.

1960 წლიდან მუშაობდა საქ. მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ინდო-ირანულ განყოფილებაში, სადაც 1968 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ნაწილაკი სანსკრიტში".

ეთერ ალექსიძის კვლევის ძირითადი მიმართულებებია სანსკრიტის მორფოლოგია და სინტაქსი.

მისი კვლევის შედეგები გამოქვეყნებულია 2 მონოგრაფიასა და 26 სტატიაში.

ე. ალექსიძე ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობასაც. სანსკრიტიდან თარგმნა კალიდასას „მალავიკა და აგნიმიტრა“ და საეტრი.



**ალექსიძე მარინა,** დაიბადა 1961 წლის 12 სექტემბერს.

1983 წელს დაამთავრა თსუ-ს აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი და სწავლა გააგრძელა საქ. მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1987 წელს მოსკოვის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

1987 წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სპარსული ლიტერატურის განყოფილებაში, ხოლო 1994 წლიდან – თსუ-ს ირანული ფილოლოგიის კათედრაზე.

გამოქვეყნებული აქვს 15 სტატია სპარსული ლიტერატურისა და სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების საკითხებზე.



**ალექსიძე მერაბ** (1930–1993). დაიბადა თბილისში 1930 წლის 8 დეკემბერს, მოსამსახურის ოჯახში.

1955 წელს წარჩინებით დაამთავრა თსუ-ს ფიზიკის ფაკულტეტი და იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში. სწავლის გასაგრძელებლად მიელინებულ იქნა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ზუსტი მექანიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ინსტიტუტში, სადაც 1958 წლის მაისში დაიცვა დისერტაცია ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

1958–1973 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლით ცენტრში.

1963 წელს მოსკოვში ო. შმიდტის სახელობის დედამიწის ფიზიკის ინსტიტუტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, ხოლო 1967 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

1973 წლიდან მუშაობდა საქ. მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ, 1987 წლიდან კი – იმავე ინსტიტუტის დირექტორად.

1983 წელს მერაბ ალექსიძე აირჩიეს საქ. მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1988 წელს – აკადემიის ნამდვილ წევრად.

1994 წელს მერაბ ალექსიძეს ჯგუფურ პროექტში მიენიჭა საქართველოს

სახელმწიფო პრემია.

მისი გამოკვლევების შედეგები გამოქვეყნებულია 18 მონოგრაფიასა და 132 სამეცნიერო სტატიაში.

მერაბ ალექსიძის კვლევის ძირითადი მიმართულებებია:

ა) სიმძიმის ძალის რედუქცია;

ბ) ფორმულები სიმძიმის ძალის ნორმალური მნიშვნელობისთვის და გრავიმეტრიული მონაცემების რეგიონალური ინტერპრეტაციის საკითხები;

გ) გრავიმეტრიის შებრუნებული ამოცანის ამოხსნადობისა და მდგრადობის შესახებ;

დ) სეისმოლოგიისა და სეისმომეტრიის პირდაპირი და შებრუნებული დინამიკური ამოცანების ამოხსნის შესახებ.

ე) სითბოგამტარობისა და თერმოდრეკადობის სამგანზომილებიანი სასაზღვრო ამოცანების რიცხვითი ამოხსნები.



**ალექსიძე ნანა,** დაიბადა 1962 წლის 10 სექტემბერს.

1983 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი. 1984 წლიდან მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში. სადაც 1993 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ხონის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა“.

გამოქვეყნებული აქვს 10 სტატია ქართული ხელოვნების ისტორიის საკითხებზე.



**ალექსიძე ზაზა ნიკოლოზის ძე,** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ისტორიკოსი.

დაიბადა თელავში 1935 წელს. მშობლები: **ევგენია არჯევანიძე-ალექსიძე, ნიკოლოზ ალექსიძე.**

მეუღლე – **მარინა გვეტაძე-ალექსიძე.** შვილები: **ლელა, ნიკოლოზ, გიორგი.** დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკულტეტი, იყო ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.

არის თსუ არმენოლოგიის კათედრის გამგე და ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი (1989 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ეპისტოლეთა წიგნი:“

სადოქტორო დისერტაცია – „ადრეული შუასაუკუნეების კავკასიისა და საქართველოს კულტურისა და იდეოლოგიის პრობლემები“.

არის ავტორი წიგნებისა: „უხტანესის ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“; „არსენი საფარელის განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“; „ატენის სიონის სომხური წარწერები:“ „ატენის სიონის ოთხი წარწერა“; „ქართული წყაროების შესწავლის მეთოდური საკითხები:“ „ფრესკული წარწერები 1“; „ალბანური მწერლობის ძეგლი სინას მთაზე“.

**ალექსიძე თამაზ ალექსანდრეს ძე,** გამოჩენილი ქართველი ექიმი-ოფთალმოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1927 წლის 21 მაისს. სკოლის დამთავრების შემდეგ (1944) მიიღო ფრიადოსნის ატესტატი და იმავე წელს ჩაირიცხა სახ. სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა. თვალის სნეულებათა ცენტრალური საავადმყოფოს ექიმი-ორდინატორი (1949-50), მოსკოვის ჰელმგოლცის სახ. თვალის სნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1950-56), მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი (მოსკოვი, 1956), თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმი-ორდინატორი (1956-60), თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის თვალის სნეულებათა კათედრის ასისტენტი (1960-63), ამავე კათედრის დოცენტი (1963-67), სამკურნალო ფაკულტეტის დეკანის მოადგილე (1960-66), მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1965), თსსი-ს სამკურნალო ფაკულტეტის სწავლული მდივანი (1966-74წ), კათედრის პროფესორი (1968-88), თსსუ-ს თვალის სნეულებათა კათედრის გამგე (1988-2000), ამავე კათედრის პროფესორი (2000-2001). იყო საზოგადო მოღვაწე: თსსუ-ს სამეცნიერო საბჭოს და ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოს წევრი, სტომატოლოგიური ფაკულტეტის საბჭოს წევრი, საქართველოს ოფთალმოლოგთა ასოციაციის გამგეობის წევრი. მის კალამს ეკუთვნის 115 ნაბეჭდი სამეცნიერო ნაშრომი და 2 მონოგრაფია. იყო მეცნიერების მრავალი ფორუმის აქტიური მონაწილე. მისი ხელმძღვანელობით დაიცვა დისერტაცია ხუთმა მეცნიერმა. გარდაიცვალა 2001 წლის 22 სექტემბერს თბილისში. განისვენებს საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



**ალექსიძე ნუგზარ გიორგის ძე,** დაიბადა 1935 წელს სენაკში. 1953 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის მე-8 ვაჟთა სკოლა, 1959 წელს – თბილისის სახ. უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი.

სტუდენტობის დროს ჯერ იყო გამოჩენილი ქართველი ფიზიოლოგის ი. თარხნიშვილის, ხოლო შემდეგ ი. სტალინის სახელობის სტიპენდიანტი. 1963 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1978 წელს – სადოქტორო, 1979 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

1967-68 წლებში სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა შვეციაში გეტებორგის ნეირობიოლოგიის ინსტიტუტში, 1981 წელს – ინგლისში, ლონდონის „ლია უნივერსიტეტში". 1988 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

არის თავის ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის (1996) და ევროპის ნეიროქიმიკოსთა საერთაშორისო საზოგადოების წევრი (1994), საერთაშორისო ჟურნალ „ნეიროქიმიის" სარედაქციო კოლეგიის წევრი. 2001 წელს აირჩიეს ევრომეცნიერებათა საერთაშორისო ასოციაციის ნამდვილ წევრად. 1992

წლიდან არის საქართველოს ბიოქიმიკოსთა საზოგადოების პრეზიდენტი. 1987 წელს არჩეულ იქნა სსრ კავშირის ბიოქიმიკოსთა პრეზიდიუმისა და ბიოქიმიკოსთა ეროვნული კომიტეტის წევრად.

1999 წლიდან არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოადგილე.

გამოქვეყნებული აქვს 250-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მათ შორის სახელმძღვანელოები (4), მეთოდური მითითებანი (4) და მონოგრაფიები (4), არის 18 გამოგონების ავტორი, მრავალი საერთაშორისო კონფერენციისა და სიმპოზიუმის მონაწილე.

ნ. ალექსიძის მიერ მომზადებულია ბიოლოგიის მეცნიერებათა 20 კანდიდატი და 8 დოქტორი. 1973 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის კათედრას. 1995 წელს მიენიჭა აშშ-ის სოროსის ფონდის პროფესორის წოდება, რომელიც კონკურსის წესით შეინარჩუნა ხუთი წლის განმავლობაში.

1997 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით, ნაშრომისთვის „ნეიროქიმიის საფუძვლები" (1993), მიენიჭა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელობის სამეცნიერო პრემია. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, 2002 წელს დაინიშნა მედიცინისა და ბიოლოგიის ფაკულტეტების სამეცნიერო და სასწავლო საქმიანობის კოორდინაციის კონსულტანტად.

სახალხო მეურნეობაში, მეცნიერებისა და განათლების დარგში მიღწეული წარმატებებისათვის ნ. ალექსიძე დაჯილდოებულია ბრინჯაოს მედლით (1987), ორდენით (1986), ივ. ჯავახიშვილის მედლით (1976, 1995), გამომგონებლის მედლით (1988), შრომის ვეტერანის მედლით (1990), ცნობილი ნეიროქიმიკოსის ა. პალადინისა და ევროპის ბიოქიმიკოსთა საზოგადოების ფედერაციის საიუბილეო მედლით (1984), ღირსების ორდენით" (1996). 1997 წელს შეყვანილ იქნა აშშ-ის ბიოგრაფიული ინსტიტუტის ცნობარში „ვინ ვინ არის", 1999 წელს, კემბრიჯის ინტერნაციონალურმა ბიოგრაფიულმა ცენტრმა აღიარა საუკუნის ადამიანად და შეყვანილ იქნა მსოფლიოს 500 გამოჩენილ მეცნიერთა სიაში.



**ალექსიძე ლევან,** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პრეზიდენტის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხებში. დაიბადა თბილისში 1926 წლის 5 ივნისს. მშობლები: **თამარ ალექსიძე, ანდრო ალექსიძე.** მეუღლე – **თინათინ ქართველიშვილი** (1926). შვილები: **ანდრო, გიორგი.** დაამთავრა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი (1946). იყო თსუ-ს ასისტენტი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი (1950-70). გაეროს ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი მუშაკი – განყოფილების გამგე, ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ქვეკომისიის მდივანი (1970-

77), საქართველოს პარლამენტის წევრი (1990–92). არის თსუ-ს საერთაშორისო სამართლის კათედრის გამგე (1977 წლიდან), საქართველოს პრეზიდენტის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი (1995 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „გაეროს უშიშროების საბჭო" (1950), სადოქტორო – „საქართველო-რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობანი XV–XVIII საუკუნეებში" (1964). არის 120 სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის, 20 მონოგრაფიის, 1 სახელმძღვანელოს ავტორი.

საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერების დარგში (1986), მრავალი საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე, კითხულობდა ლექციებს აშშ-ს, ჟენევის, ტოკიოს, ბერლინის უნივერსიტეტებში, ჰააგის საერთაშორისო სამართლის აკადემიაში, მოსკოვში, კიევში, ბაქოსა და სხვა ქალაქებში. მონაწილეობდა მოლაპარაკებებში აფხაზეთის სტატუსის შესახებ ჟენევაში, ნიუ-იორკსა და მოსკოვში.

**ალექსიძე ალექსანდრე** (1894–1974) – საქართველოს დამსახურებული ექიმი-ბაქტერიოლოგი.

მეუღლე – **ოლღა მგალობლიშვილი** (1900–1974) – მედიცინის მეცნიერებათა დამსახურებული მუშაკი, ოკულისტი.

შვილები: **თამაზ ალექსიძე**, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მუშაობს თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის თვალის სნეულებათა კათედრაზე;

რძალი **ჯულია ალექსიძე** – ექიმი-პედიატრი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი;

შვილიშვილები: **თინათინ ალექსიძე** – თვალის ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი;

**ალექსანდრე ალექსიძე** – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მუშაობს თბილისის სამედიცინო აკადემიის თვალის სნეულებათა კათედრაზე.

**მერაბ ალექსიძე** (1930–1994) – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი.

რძალი **ეთერ მღვიმარიშვილი-ალექსიძე** – ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი.

შვილიშვილები: **მარინა ალექსიძე** – ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი; **ნანა ალექსიძე** – ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

**ალექსიძე გიორგი** – ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, დიდი სამამულო ომის მონაწილე, დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

მეუღლე: **ქეთევან გაჩეჩილაძე-ალექსიძე** – ექიმი-თერაპევტი.

შვილები: **იაგო ალექსიძე** (1932–1997) – დაამთავრა საქართველოს სასოფ-

ლო-სამეურნეო ინსტიტუტი. დამსახურებული ინჟინერ-ტექნოლოგი.

რძალი – **ელენე ხურციძე** – ინჟინერ-ტექნოლოგი.

შვილიშვილები: **გია ალექსიძე** – ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

**თემურ ალექსიძე** – დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტი.

შვილთაშვილი **რატი ალექსიძე** ფეხბურთელი. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი.



**ალექსიძე ნუგზარ** – ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

შვილი **ეთერ ალექსიძე** მუსიკათმცოდნე.

**ალექსიძე გიორგი ესტატეს ძე** დაიბადა 1909 წლის 23 მარტს თბილისში ეროვნებით ქართველი. სწავლობდა მე-14 შრომის სკოლაში. შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც გადაკეთდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტად. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა მინერალური სასუქების ეფექტიანობაზე 1(928), რაც საფუძვლად დაედო სსრ კავშირში სასუქების ქარხნების მშენებლობას.

1934 წელს დაამზადა თუთის ფესვთა სისტემის უნიკალური ექსპონატი.

1941-1945 წლებში სამამულო ომში მონაწილეობის გამო შეწყვიტა კვლევითი მუშაობა. ომში მონაწილეობისთვის მიღებული აქვს მედალი „საბრძოლო დამსახურებისთვის" (1944) მედალი 1941-1945 წლებში დიდ სამამულო ომში გამარჯვების 30 წლისთავის აღსანიშნავად (1976), მედალი 1941-1945 წლებში დიდ სამამულო ომში გამარჯვების 40 წლისთავის აღსანიშნავად (1985), მედალი სსრკ შეიარაღებული ძალების 70 წლისთავისთვის (1985).

ორდენები: „წითელი ვარსკვლავის ორდენი (1945), მე-2 ხარისხის დიდი სამამულო ომის ორდენი (1985).

ომის დამთავრების შემდეგ დაიწყო მუშაობა მეაბრეშუმეობის ინსტიტუტში. მისმა ნაშრომებმა დიდი როლი შეასრულა საქართველოში მეთუთეობის განვითარებაში.

1978 წლიდან მუშაობდა კრწანისის ზონალური აგროქიმიის ლაბორატორიის გამგის თანამდებობაზე.

1986 წელს გამოიცა გ. ალექსიძის შრომა „კიტრისა და პომიდვრის მოყვანა ზამთრის შემინულ, ბლოკურ, ნიადაგურ და ჰიდროპონულ სათბურებში", რომელიც პრაქტიკოსების სამაგიდო წიგნი გახდა.

1996 წელს გამოიცა გ. ალექსიძის შემდეგი ნაშრომები:

1. სოფლის მეურნეობის კრიზისიდან გამოსვლის გზები.
2. მეაბრეშუმეობის აღდგენის მრავალმხრივი მოდელი.

ამჟამად მუშაობს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მეცნიერ-კონსულტანტად მეაბრეშუმეობის დარგში.

პყავს მეუღლე – **ქეთევან მოსეს ასული გაჩეჩილაძე.**



**ალექსიძე ირინე ალექსანდრეს ასული,** ბალეტის მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი (1960). დაამთავრა მ. პერინის საბალეტო სტუდია (1930, თბილისი), მოსკოვის ქორეოგრაფიული სასწავლებელი (1939), თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტი (1941). 1944-61 წლებში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის წამყვანი სოლისტი იყო. ი. ალექსიძის შემსრულებლობას ახასიათებდა დამაჯერებლობა, დრამატული სიმძაფრე, ემოციურობა. როლები: ჯავარა (თორაძის „გორდა", სახელმწიფო პრემია, 1951), ნიავი (კილაძის „სინათლე"), მანიჟე (ბალანჩივაძის „მთების გული"), ზოია რუხაძე (თორაძის „მშვიდობისათვის") და სხვ.

**ალექსიძე ნელი ალექსანდრეს ასული,** მოქანდაკე, საქართველოს დამსახურებული მხატვარი (1967). უმთავრესად მუშაობს დაზგური ქანდაკების დარგში. მისი მნიშვნელოვანი ნამუშევრებია: „ცეკვა ქართული" (1951), „მოცეკვავე ქალი დაირით" (1953), აკადემიკოს ნ. ყიფშიძის პორტრეტი (1952), „მედიცინის და" (1964), გენერალ-მაიორ ე. კობერიძის პორტრეტი (1965), ი. გრიშაშვილის პორტრეტი (1966).

**ალექსიძე ნიკოლოზ ესტატეს ძე** (1900, წრომი, ხაშურის რ-ნი – 1970, თბილისი), ენტომოლოგი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი (1942), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1962). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აგრონომიული ფაკულტეტი (1925). 1935 წლიდან მუშაობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მცენარეთა დაცვის განყოფილების გამგედ. გამოიკვლია ვაზის, ბოსტნისა და ბაღჩეული კულტურების მავნებელთა ბიოეკოლოგიური საკითხები. შეიმუშავა მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები **(ქსე, ტ. 1, თბ., 1975, გვ. 303-304).**

**ალექსიძე გოგი,** ქორეოგრაფი, ბალეტმეისტერი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1941 წ. 7 ივნისს. მშობლები: **თამარ ალექსიძე, დიმიტრი (დოდო) ალექსიძე.** მეუღლე – **მარინა გოდერძიშვილი** (1948). შვილები: **ირინა** (1976), **მარიამი** (1979). დაამთავრა ლენინგრადის სახ. კონსერვატორია (1967). იყო ლენინგრადის კონსერვატორიის პედაგოგი, დოცენტი (1965-72), ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრის კამერული ბალეტის ხელმძღვანელი (1965-72), თბილისის ოპერისა და ბალეტის (1972-80), პერმის ჩაიკოვსკის სახელობის (1980-83), ლენინგრადის მუსიკალური (1983-85) თეატრების მთავარი ბალეტმაისტერი, თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის სამხატვრო ხელმძღვანელი (1978-80), 1985-88), გამგეობის თავმჯდომარე (1988-2000).

არის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი ბალეტმეისტერი (1985 წლიდან). სანკტ-პეტერბურგის ვაგანოვის სახელობის ცეკვის აკადემიის საბალეტმეისტერო განყოფილების კათედრის გამგე (2000 წლიდან). დადგმული აქვს 150 სპექტაკლი. არის საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1999).



**ალექსიძე დიმიტრი (დოდო) ალექსანდრეს ძე** (დაბ. 1910), ქართველი რეჟისორი, პედაგოგი და თეატრალური მოღვაწე. საქართველოსა და უკრაინის სახალხო არტისტი. საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე (1973-იდან). დაამთავრა თბილისის საცდელ-საჩვენებელი შრომის სკოლა და ქორეოგრაფიული სასწავლებელი, მოსკოვის ლუნაჩარსკის თეატრალური ხელოვნების ინსტიტუტი. 1935-იდან იყო რუსთაველის თეატრის დამდგმელი რეჟისორი (1959–64 მთავარი რეჟისორი). 1967 წელს დაინიშნა ლესია უკრაინკას სახელობის კიევის რუსული თეატრის მთავარ რეჟისორად. 1968-იდან კი – ა. ფრანკოს სახელობის აკადემიური თეატრის მთავარი რეჟისორია. 1970 წელს თბილისში დაბრუნდა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დაიწყო მუშაობა.

| | |
|---|---|
| ალთუნაშვილი | – 683 |
| თბილისი | – 426 |
| თეთრი წყარო | – 83 |
| გარდაბანი | – 58. |

**ალთუნაშვილი**, გვარის დამწყებია **ალთუნა ყაითმაზაშვილი**. მამაკაცის საკუთარ სახელად მამა-პაპას თურქული სიტყვა **ალთუნ** უსესხიათ. ქართულენოვნად გაუაზრებიათ და **ალთუნად** მოუნათლავთ (**ალთუნ** – ოქროს აღნიშნავს). **ალთუნა** ქვემო ქართლში პოპულარული სახელი ყოფილა. ამ სახელით არაერთი პირია მოხსენიებული. მაგალითად, **ალთუნა** – რომლის მიწა ესაზღვრებოდა აზნაურიშვილი იარალი ყორღანაშვილის მიერ თავისი ბიძაშვილის, ოთარისათვის ხშირობში მიყიდულ ოთხი დღის მიწას (1615, XVII ს-ის 70-80-იანი წლები, 1450-8176); **ალთუნა** – მოწმე მიწისა და საბოსტნის ნასყიდობის წიგნებისა (1678 წ.); **ალთუნა** – სოფ. წრაუთის მამასახლისის ძმა და სხვ. *(იხ. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, წგ. I. თბ., 1991. გვ. 101–102).*

**ყაითმაზაშვილები** 1721 წლის აღწერის მიხედვით, **ბარათაშვილების** (მათი ერთ-ერთი ყველაზე შეძლებული და ძლიერი განაყოფის **ყაფლანიშვილების** მებატონე-მემამულეები არიან (აღწერის დავთრებში (1721 წ.) აღწერა ჩაატარა ვახუშტი ბაგრატიონმა და გივი თუმანიშვილმა და მასალები 1935–1938 წლებში ორ ტომად „ქვემო ქართლი“ გამოსცა იასონ ლორთქიფანიძემ) **აზნაურ ბეჟან ყაითმაზაშვილს ჰყავდა განაყოფი (შტო-გვარი) ალთუნაშვილი**. აღნიშნულ მემამულეს *(ბეჟან ყაითმაზაშვილ-ალთუნაშვილს)* სოფელ ჭრეში ჰყავდა გამომღები გლეხი 4 და ბოგანო 2 კომლი. აზნაურ **ზაქრადა ყაითმაზაშვილ-ალთუნაშვილს** იმავე სოფელში ჰყავს გამომღები (ე.ი. ვინც გადასახადს იხდის) 2 და ბოგანო 3 კომლი. სოფელ ხანძორთალაში ჰყოლია გამომღები 1 კომლი.

**ყაითმაზ** (თურქ.) დაუბრუნებელს ნიშნავს. იგივეა, რაც **ფეშქაში** (საჩუქრად მიძღვნილი). ყმა წიგნორის: ქ. გრიგოლაშვილი, ქ. მატიაშვილი, იქნა ჯამიხუთი.

ქ. ამისევე ყმები შულავერის მსახლობელი შალვა, ჯანუა, აფრიამა, მიქელაშვილი, ხუცუხი, შურუა, იქნა ჯამი მსახლობელი თერთმეტი.

აზნაურ ყაითმაზა და გიორგი ყაითმაზაშვილებს გამომღები კომლები ჰყავდათ სოფლებში: ჭრეშში, წითელში, ხანძორთალაში; რამაზა ყაითმაზაშვილს – ჭრეშში, წითელში, ხანძორთალაში, ქვემო-თალაში.

საყაფლანიშვილოში: **აზნაური ყაითმაზ ყაითმაზაშვილი, ყაითმაზიანთ მიჯაში, აზნაური რამაზა ყაითმაზაშვილი, აზნაური გიორგი ყაითმაზაშვილი, დალაზა ყაითმაზაშვილი,** იქვე. ჩაითმაზაანთ მიჯაში; შულავერში (ყარაბულახის ხეობა) აზნაურია **ბეჟან ყაითმაზაშვილი,** იქვე ჩანს **ყაითმაზაშვილი-ალთუნაშვილი** (გვ. 231); წითელ ეკლესიაში მებატონეები არიან ყაფლანიშვილები, ხოლო წითელში – **ყაფლანიშვილები და ყაითმაზაშვილ-ალთუნაშვილები** *(ისის ლორის-ტომანიძე. ქვემო ქართლი. თბ., ნაწ. I და II. 1935 წ., გვ. 238).*

ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული ალთუნაშვილები ფლობენ მამულებს, ემეზობლებიან აზნაურულ გვარებს (ეახტანგიშვილები, ყორღანაშვილები, ალიხანაშვილები...) და ამა თუ იმ დავისა თუ გარიგების დროს მოწმეები არიან.

**ალთუნაშვილი** – მის მიწამდე მიჰყოდა ბაინდურ ეახტანგიშვილმა ბერუა [ყორღანაშვილს] ერთი დღის ვენახვენური მიწა (1693 წ.). **ალთუნასშვილი ამირასლან** – ჰყავს სახლიკაცები: ბერუა და ყაფარი: ბერუა გარსევაშვილმა მისცა პირობა, რომ არ შეედავებოდა მის მამა-ბიძათაგან გაყიდულ ჭაბუკალაანთ მიწის ნასყიდობის წიგნსა (1694 წ.).

**ალთუნასშვილი ბერუა** – მოწმე ლეთისავარ ალიხანაშვილის მიერ როსტომ ყორღანაშვილისათვის (იგივე შანშიაშვილი) მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1692 წ.).

**ალთუნასშვილი ბერუა** [სახლიკაცი] ამირასლან ალთუნასშვილისა.

**ალთუნაშვილი ბერუა** – მოწმე სეხნია დაერეშასშვილის მიერ ბერუა თანდულაშვილისათვის მიცემული კალოსა და საბძლისათვის ადგილის ნასყიდობის წიგნისა (1700 წ.).

**ალთუნასშვილი ყაფარი** – სახლიკაცი ამირასლან ალთუნაშვილისა (იხ. *პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. I. თბ., 1991. გვ. 102).* ქვემო ქართლის მებატონე – მემამულეებად 1721 წლის აღწერაში შეტანილი არიან: მემამულე აზნაური **ყაითმაზ, გიორგი, რამაზა, ბეჟან ალთუნაშვილები; ყაითმაზიშვილ-ალთუნაშვილ ბეჟანს** ყმები ჰყავს დბანისში 11 კომლი, ყარაბულაღში 10 კომლი (გვ. 187, 281).

ქვემო ქართლიდან ალთუნაშვილები მტრის ხშირ შემოსევებს გარიდებიან და მანგლისის მიდამოებში, სოფელ **დეალთაში** (დეალთა ორი იყო – დიდი და პატარა. დღევანდელი დიდი და პატარა თონეთი) დასახლებულან. სოფელ პატარა თონეთში ჩატარებული კამერალური აღწერის დავთრებში მოიხსენიებიან: გოგოლა, გლახა, მათე და გურგენა **ალთუნაშვილები** *(იხ. სცსსა. ფონდი 254, საქმე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

*127. № 3. აღწერა 320. ფურცელი 218–219).* პატარა დეალეთაში **მინა** (მინასა მოფერებითი სახელია) **ალთუნაშვილი** ცალკე კომლად გაღის ოჯახიდან და სათავეს უდებს ახალ გვარს – **მინასაშვილს. „პატარა თონეთი, ნონია მინასაშვილი, იგივე ალთუნაშვილი“** *(ცსსა. ფ. 254. ა. 2043. 1843 წლის აღწერა. ფურცელი 323–329).*

**ოქროაშვილთა** გვარი არის როგორც დამოუკიდებლად გაჩენილი, ისე მესხეთში მცხოვრებ **ალთუნაშვილებს** მიუღიათ კათოლიკური სარწმუნოება და ტრადიციისამებრ გვარი შეუცვლიათ. ქართული თარგმანით **ალთუნაშვილი ოქროაშვილად** დაწერილა. ასეთნაირი გზით გახდნენ ვარდიძეები ჩილინგარაშვილები (იქ თუ პირდაპირ თარგმანთან გვაქვს საქმე, აქ ვარდი ზეინკალმა შეცვალა. ჩილინგარი თურქულად ზეინკალს აღნიშნავს. შდრ.: ზეინკლიშვილი).

**ფაქტობრივად, ყაითმაზაშვილების საგვარეულომ სამ გვარს – ალთუნაშვილებს, მინასაშვილებსა და ოქროაშვილებს (ნაწილს) დაუდო სათავე.** თითოეულ მათგანზე ჩვენ ცალ-ცალკე შესაბამის ტომებში გვექნება საუბარი.

ამჯერად ალთუნაშვილთა გვარის რამოდენიმე წარმომადგენელთან მიგვიწვდა ხელი და ვურთავთ მათ მოკლე ბიოგრაფიას.



**ალთუნაშვილი არკადი არსენის ძე,** დაიბადა 1928 წლის 17 აპრილს თეთრიწყაროს რაიონის სოფ. დეალთაში (პატარა თონეთში), გლეხის ოჯახში.

დაამთავრა მშობლიური სოფლის რვაწლიანი და მანგლისის ქართული საშუალო სკოლა, თბილისის პედსასწავლებელი, ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი ქართული ენისა და ლიტერატურის განხრით.

40 წლის მანძილზე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას მშობლიურ სოფელში, მარტყოფსა და თბილისში.

საატესტაციო კომისიამ მას მიანიჭა სახალხო განათლების წარჩინებული მასწავლებლის წოდება.

თანამშრომლობდა რაიონულ და თბილისის პერიოდულ პრესაში, სადაც აქვეყნებდა ლექსებსა და წერილებს. ამჟამად პენსიონერია. ცხოვრობს ბაგებში. მიუხედავად ხანდაზმულობისა, ეწევა საყოფიერ სამეურნეო შრომით საქმიანობას.



**ალთუნაშვილი ნოდარ ვახტანგის ძე,** დაიბადა 1954 წლის 1 აგვისტოს თეთრიწყაროს რაიონის სოფ. დეალთაში, გლეხის ოჯახში. დაამთავრა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი. მშობლები კოლმეურნეები იყვნენ. დედა **ქეთევან მჭედლიძე** წინა სექტემბერში გარდაიცვალა, მამა **ვახტანგი** კი დღესაც განაგრძობს შრომას.

1976–90 წლებში მუშაობდა სოფ. ორბეთის მეურნეობაში მუშად, ბრიგადირად, მთავარ აგრონომად, დირექტორად.

1990–94 წლებში მუშაობდა საქართველოს მიწის რესურსებისა და მიწის

რეფორმების სახელმწიფო კომიტეტში. 1994 წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში სამეურნეო სამსახურის უფროსად.

მეუღლე: **ადამაშვილი მზია გრიგოლის ასული**, პედაგოგი.

შვილები: **ვახტანგ ნოდარის ძე ალთუნაშვილი**, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული, იურისტი.

**მაია ნოდარის ასული ალთუნაშვილი**, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიული ფაკულტეტის სტუდენტი.



ნოდარ ალთუნაშვილის ოჯახი



**ალთუნაშვილი მედეა** – საქართველოს დამსახურებული არტისტი, ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი.

დაიბადა 1946 წლის 27 იანვარს თბილისში. მამა, ალექსანდრე პროფესიით ინჟინერი, ახალგაზრდობიდან სიცოცხლის ბოლო წუთამდე მუშაობდა ჰიდრომეტსამმართველოში (გარდაიცვალა 2001 წელს). დედა ირინე – დიასახლისი (გარდაიცვალა 1995 წელს).

ოთხი წლის ასაკიდან დაიწყო დაკვრა ფორტეპიანოზე ჯერ ოჯახში. შემდეგ – 6 წლის ასაკიდან სწავლობდა ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალურ მუსიკალურ სკოლაში პროფ. ა. სარაჯიშვილის კლასში.

1963 წელს დაამთავრა სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა კონსერვატორიაში. რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1969 წელს.

ამავე წლიდან იქვე დაიწყო მუშაობა ჯერ კონცერტმაისტერად, შემდეგ კი – პედაგოგად.

თავის კოლეგა მედეა ფანიაშვილთან ერთად 1970 წელს ჩამოაყალიბა საფორტეპიანო დუეტი. რომელიც წარმატებით მოღვაწეობდა თითქმის 25 წლის მანძილზე.

როგორც დუეტის შემადგენლობაში, ასევე სხვა მუსიკოსებთან ერთად ეწევა ინტენსიურ შემოქმედებით ცხოვრებას საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობდა და უთმობს ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებების შესრულებასა და პოპულარიზაციას.

ბევრი კომპოზიტორი სპეციალურად წერდა მათი დუეტისათვის.

1970 წლიდან ასწავლის კონსერვატორიაში კამერული ანსამბლის და კვარტეტის კათედრაზე. 2001 წელს მიიღო პროფესორის წოდება.

ინახება [illegible] ალთუნაშვილის მრავალი ჩანაწერი, მათ შორის რადიოსა და ტელევიზიაში. არის გრამფირფიტა.



**ნაირა ალთუნაშვილი–ხუციშვილი** დაიბადა 1952 წელს თეთრიწყაროს რაიონის სოფ. პატარა თონეთში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი „ფინანსები და კრედიტის" სპეციალობით 1974 წელს. 1976 წელს დაამთავრა პოლიტოლოგიის ფაკულტეტი. 1986 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. არის ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის სამეწარმეო სამართლის დოცენტი. სახელმწიფო კოოპერაციის ინსტიტუტის დოცენტი. ცეკავშირის რევიზიების სამმართველოს უფროსი 1990 წლიდან. ლიცენზირებული ექსპერტ-აუდიტორი. გამოქვეყნებული აქვს 28 სამეცნიერო შრომა. მათ შორის – 4 საერთაშორისო მონოგრაფია.

მეუღლე **ვლადიმერ ხუციშვილი** – ელექტროინჟინერი. „კი ეს თელასის" სადისპეტჩერო სამსახურის უფროსი მენეჯერი.

შვილი – **დავით ხუციშვილი** მხატვარი, საფინანსო, საბანკო, საგადასახადო საქმის სპეციალისტი.

ქალიშვილი – **ქეთევან ხუციშვილი** – ექიმი პედიატრი. დიპლომისშემდგომი კათედრის ასისტენტი.

ალიაშვილი. გვარის ფუძე – ალია (შდრ.: „ალია და მუსა", „ალია და ბალია")

[illegible]

**ალიაშვილი 299**
**(თბილისი – 84,**
**ყვარელი – 50,**
**სიღნაღი – 45).**

თურქმენ ხალხებთან ასოცირდება და უდაოდ, როგორც გვარის მეპატრონეებს, ისე სხვებს, დააეჭვებს ამ გვარ-სახელის ქართულობა. სხვათა და ჩვენდა გასაკვირად, საქმე სულაც არაა ისე, როგორც, შესაძლოა, მავანთ მოეჩვენოთ. ქართველებს XVII საუკუნეში ჰქონიათ როგორც საკუთარი სახელი **ალი**, ისე **ალია**. შდრ.: **„ალია – მოჯას მცხოვრები (მოჯა დღევანდელი დმანისის რაიონში), იგი მამულითურთ ილად ერგო ითამ ბარათაშვილს"**. დოკუმენტი დათარიღებულია 1537–1538 წლებით). (VIII. 16. 1450–11/112). **ალია** – ზებედე ქართლის კათალიკოსმა იგი უწყალობა მცხეთის ბოქაულთუხუცეს ზურაბ გარაყანისძეს (1610 წ. 1450. 17/156); **ალია** – მოწმე დუშა გოგიბაშვილის მიერ ფარემუზ გოგიბაშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1694 წ. IV. 1450–6/36).

დაახლოებით ამავე ხანებში გვაქვს გვარი **ალიაშვილი. ბუხუტი ალიაშვილი** – მოწმე ზურაბის მიერ გიორგისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1690 წ. VIII. 1. 450–34/187).

**ალიაშვილი ხუტა** – მოწმე ა. ნასრაშვილის მიერ გულუა გრიგოლაშვილისთვის მიცემული ვენახის გაცელილობის წიგნისა (XVII ს. შდ–888). **ალი** –შდრ.: ცეცხლის ალი (ი. ა.) *„ალიმული ასდიოდა"*.

**ალიბეგაშვილი//ალიბეგიშვილი**, წყაროებში გვხვდება აგრეთვე – **ალ[ა]იბეგიშვილი**, **ალიბეგისშვილი//ალიბეგიშვილის** ფორმით. გვარის ფუძეა მამაკაცის საკუთარი სახელი **ალიბეგ**, **ალიბეგა** *(დოკ. I. 33. საქ. სიძვ. II. 50)*. **ალიბეგ-ა** შედგება ორი სიტყვისაგან. **ალი** (თურქ). ხშირად იხმარება **ალლაჰ**-ის მნიშვნელობით, – **ღმერთი**, **ბეგ**, **ბეგი–ბატონი**, სიტყვასიტყვით თარგმნიან „ღვთისნიერი", „ღმერთიერით კაცი, ბატონი."

**ალიბეგაშვილი 575**
**თბილისი – 233,**
**ყაზბეგი – 95,**
**ქარელი – 46.**
**შდრ.: ალიბეგოვი 24**
**გორი – 6,**
**თბილისი –5,**
**ბათუმი – 4;**

თურქი სპეციალისტები თვლიან, რომ **ალი** კონკრეტულ შემთხვევაში მხოლოდ საკუთარი სახელია და აღნიშნავს **ალია ბატონიშვილს**.

**ალიბეგოვები** იგივე **ალიბეგაშვილები** და ქართველებია (ი.ა.).

**„აზნაური ალ[ა]იბეგისშვილი. ამათი წინაპარნი იყვნენ ძველადვე მოსახლენი ქართლს დროსავე თამარ მეფისასა და ამათმან გვარმან ნათელიღეს და მოიქცნენ მართლმადიდებლად და მისცესვე მეფეთა გვარად ალიათბეგის შვილობა და არიან მეფითგან ცნობილ აზნაურად და ტრაქტატსა შინაც მოხსენიებული"** *(შემოკლ. აღწერა. – 132. 94–95).*

**ალიბეგიშვილი** – **ალიბეგ** (თურქ) **ალი–ალა**, ამ შემთხვევაში არაფერს ნიშნავს, ბეგის წინდებულია (იხ. ბეგაშვილი). ალიბეგ, საკუთარი სახელი, გორის მამასახლისი.

**ალიბეგისშვილი ზაქინა** – მამასახლისი.

**ალიბეგაშვილი ქართული აზნაურიშვილური გვარია.** წყაროებში გვხვდება

ქვემო და შიდა ქართლში. გვარის ფუძეა ორმაგი სახელი – **ალიბეგ**-ა. ბეგ, ბეკ-ი თურქულია და ქართული **ბატონის** ფარდია. **ალიბეგ**-ა ნიშნავს **ალია ბატონს**. ალი გვაქვს დამოუკიდებელ სახელადაც და ერთეულ შემთხვევაში გაურცელებული ფორმით ნიშნავს ღმერთს (შდრ.: ალაჰ).

**ალიბეგიშვილი – აზნაურიშვილი**, მისი დამტკიცების პირობა შაჰნავაზ მეფემ მისცა იმერეთში გადახვეწილ ციცი ციციშვილს (1658–1666 წ.წ), 1449–328).

**ალიბეგიშვილი ბერუკა** – (1684–1699 წ.წ.) სახლთუხუცესი (1684 წ.), 1697–1699 წ.წ.: მოწმე: მერაბ ციციშვილის მიერ ამილახვარ ციციშვილისათვის მიცემული საქენახევის ნასყიდობის წიგნისა (1693 წ.). *დაწვრილებით იხილეთ პირთა ანოტირებული ლექსიკონი. I. 1991. გვ. 103–104.*

დასანანია. რომ მცირე ნაწილი ალიბეგოვადაა ჩაწერილი და დღემდე არ აღიდგინა ალიბეგაშვილის გვარი.



**ალიბეგაშვილი ლელა**, მსახიობი. დაიბადა თბილისში. 1962 წლის 30 სექტემბერს. მშობლები: **ნინო გიგიშვილი, როდენ ალიბეგაშვილი.** დაამთავრა თსთი-ს სამსახიობო ფაკულტეტი 1986 წ. რუსთაველის თეატრის მსახიობია 1986 წლიდან. მონაწილეობდა სპექტაკლებში: „საშობაო სიზმარი“. „მერი პოპინსი“. „მერე რა. რომ სველია. სველი იასამანი.“ ფილმებში: „სურამის ციხე“. „ფიროსმანი.“ მიღებული აქვს პრემიები: „სეზონის საუკეთესო სცენური ნაწარმოები“. ლილეენის როლის შესრულებისათვის სპექტაკლში „საშობაო სიზმარი“ 1994, ნიასროლის შესრულებისათვის სპექტაკლში „მერე რა. რომ სველია. სველი იასამანი“ (1997). რუსთაველის საერთაშორისო ფესტივალის პრემია ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის (1999).



**ალიბეგაშვილი ნათელა თეიმურაზის ასული**, დიზაინერ-მოდელიორი. დაიბადა 1941 წლის 1 აგვისტოს წალკაში.

დედა – **მარიამ დალაქიშვილი**: მამა – **თეიმურაზ ალიბეგაშვილი**;

მეუღლე – **ალექსანდრე ბერიშვილი**. დაიბადა 1901 წლის 29 დეკემბერს. შვილები – **გიორგი ბერიშვილი** დაიბადა 1966 წელს (აწ გარდაცვლილი) **ანზორ ბერიშვილი** დაიბადა 1968 წელს. **თენგიზ ბერიშვილი** – დაიბადა 1970 წელს.

დაამთავრა თბილისის №1 საშუალო სკოლა 1987 წელს. სწავლა განაგრძო პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რუსულ სექტორზე. რომელიც დაამთავრა 1962 წელს.

2 წლიწადი სწავლობდა ლენინგრადში რომანოვების დინასტიის ერთ-ერთ მოდელიორთან. შემდეგ ქ. თბილისის ძერჟინსკის სახელობის კლუბში და მიიღო მოდელ-დიზაინერის დიპლომი.

ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და

მასწავლებელთა სახლში მოდელიორ-დიზაინერის სპეციალობით. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა უნივერსიტეტში გამართულ ჩვენებებში.

მისმა აღზრდილებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს ტანსაცმლის სამოდელო საქმიანობაში.

ამასთან ერთად ქალბატონი ნათელა ფლობს დიაგნოსტი-მკურნალის პროფესიას. იგი ბიოდენებითა და თანდაყოლილი ინტუიციით კურნავს სიმსივნით, სულით, ლეიკემიით და სხვა დაავადებულებს, რამაც მას დიდი პოპულარობა მოუპოვა.



**ალიბეგაშვილი ნარგიზ იაკობის ასული** (1940, 15.01, ონის რაიონი), ექიმი.

დაამთავრა ონის პირველი საშუალო სკოლა (1958), თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტომატოლოგიური ფაკულტეტი (1965).

მუშაობდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის რენტგენოლოგიისა და სამედიცინო კარდიოლოგიის კათედრაზე უფროს ლაბორანტად (1966–1977). ამჟამად მუშაობს თბილისის რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ექიმ-რენტგენოლოგად.

არის 4 სამეცნიერო შრომის ავტორი.



**ალიბეგაშვილი აბრამ სიმონის ძე** (1907–1937 წ.წ., ს. სტეფანწმინდა).

საფეიქრო მრეწველობის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. სრულიად ახალგაზრდა მონაწილეობდა საქართველოში პირველი მაუდის ფაბრიკის ამუშავებაში ქუთაისში (1924). 1929 წელს დაამთავრა ივანოვოს საფეიქრო ინსტიტუტი და აქტიურად ჩაერთო თბილისის მაუდის ფაბრიკის მშენებლობასა და მისი ექსპლოატაცია-გაშვებაში (1930). 1932 წელს დაინიშნა მაუდის ფაბრიკის დირექტორად, სადაც უფრო ნათლად გამოჩნდა მისი ორგანიზატორული ნიჭი. უმოკლეს დროში ფაბრიკა გახდა ამიერკავკასიაში კამვოლური საქსოვი წარმოების ავანგარდი. დიდია მისი როლი კამვოლური დართვის ტექნოლოგიის სრულყოფასა და სიმძლავრეების ათვისებაში, ფეიქართა კადრების მომზადებასა და აღზრდაში. 1937 წელს დააპატიმრეს და სამეულის გადაწყვეტილებით დახვრიტეს.

**ალიბეგაშვილი გაიანე ვლადიმერის ასული** (1922–1997 წ.წ. სოფ. სტეფანწმინდა, ახლანდელი დაბა ყაზბეგი), ხელოვნების ისტორიკოსი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (1975), პროფესორი (1976) მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების სახვითი ხელოვნების განყოფილების გამგე. მოღვაწეობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში. იკვლევდა შუა საუკუნეების ქართულ მონუმენტალურ, დაზგურ და მინიატურულ მხატვრობას, შუა საუკუნეების ქართულ ქანდაკე-

ბას, თანამედროვე ქართულ სახვით ხელოვნებას. აღსანიშნავია მისი ნაშრომები შუა საუკუნეების ქართული პორტრეტის, ხელნაწერთა დასურათების, სვანეთის ფერწერული სკოლის, ქართული თეატრალური დეკორატიული ხელოვნების შესახებ. იყო მრავალი მონოგრაფიისა და სამეცნიერო სტატიის ავტორი. მისი ნაშრომები თარგმნილია იტალიურ, ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ, სერბიულ, ხორვატიულ და სხვ. ენებზე.



**ალიბეგაშვილი გივი**, დაიბადა 1936 წელს, ონში, ინტელიგენტთა ოჯახში. აქვე მიიღო საშუალო განათლება და 1953 წელს სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. რაჭის ბუნებამ, იქ განლაგებულ სამთო-გეოლოგიური დარგის საწარმოთა სპეციალისტებთან მჭიდრო ურთიერთობამ განაპირობეს გ. ალიბეგაშვილის პროფესიული არჩევანი. 1959 წელს იგი ამთავრებს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტს და მუშაობას იწყებს რაჭაში ჩორდის ბარიტის საბადოზე. აქედან მოყოლებული, იწყება გ. ალიბეგაშვილის საწარმოო მოღვაწეობის მდიდარი ბიოგრაფია. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს მინერალური ნედლეულის ბაზის შექმნასა და განვითარებაში. ბატონი გივის ხელმძღვანელობით შესწავლილია საქართველოს ბევრი რეგიონის მინერალურ-რესურსული პოტენციალი. მისი უშუალო მონაწილეობით დაძიებულია და მარაგების სახელმწიფო კომისიაზე დამტკიცებულია სასარგებლო წიაღისეულის სხვადასხვა სახის 28 საბადოს გეოლოგიური მარაგი, რომლებსაც ჩვენი ქვეყნისთვის უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია.

გ. ალიბეგაშვილი იყო თბილისში მშენებარე წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მოსაპირკეთებელი მასალების შესარჩევი კომისიის წევრი და აქტიურად მონაწილეობდა ამ მასალების სატენდერო შერჩევის კომისიის მუშაობაში.

თავისი ერუდიციით, ადამიანური თვისებებითა და პროფესიონალიზმით, გ. ალიბეგაშვილმა მოიპოვა დამსახურებული ავტორიტეტი. იგი იყო შესანიშნავი მეოჯახე, ულალატო მეგობარი და მაღალი ზნეობრივი თვისებების მქონე პიროვნება, თავისი ქვეყნის ჭეშმარიტი მამულიშვილი და პატრიოტი.



**ალიბეგაშვილი გიორგი გურამის ძე** (დაიბადა 1959 წლის 26.05, თბილისში), ლიტერატურისმცოდნე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1999), ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ქრისტიანული კულტურისა და სიტყვიერების ისტორიის კათედრის პროფესორი (2000). დაამთავრა თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტი (1981), უნივერსიტეტში სწავლისას იყო შოთა რუსთაველის სახ. სტიპენდიანტი. 1991-92 წლებში იყო სულხან-საბა ორბელიანის სახ. თბილისის პედაგოგიური უნივერსიტეტის პრორექტორი, ხოლო 1994-95 წლებში - თბილისის განათლების სამმართველოს უფროსი. წლების

მანძილზე ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას თბილისის მე-6 გიმნაზიაში. არის სამი მონოგრაფიის ავტორი და ერთი დამხმარე სახელმძღვანელოს თანაავტორი. მასვე ეკუთვნის ორმოცდაათამდე სამეცნიერო გამოკვლევა და ლიტერატურული სტატია. დაამუშავა ხალხური პოეზიის ქართული და ბიზანტიური ისტორიის პრობლემები, ქრისტიანული ანთროპოლოგიისა და სიმბოლიკის საკითხები.

**ალიბეგაშვილი დავით ივანეს ძე** (დაბადებისა და გარდაცვალების წლები უცნობია), ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის (მეფე ერეკლე II-ის ძის) უმცროსი ვაჟის, თეიმურაზ ბაგრატიონის სიყრმის მეგობარი. თეიმურაზ ბაგრატიონს, პირველ ქართველ აკადემიკოსს, დავით ალიბეგაშვილი ყოველთვის თან ახლდა მოგზაურობაში რუსეთში, სპარსეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში. თეიმურაზის ანდერძის მიხედვით, ბატონიშვილის პენსია უნდა რგებოდა „მეუღლეს ელენე ამილახვარს და სიყრმის მეგობარს დავით ივანეს ძე ალიბეგაშვილს“ (*გ. შარაძე. „თეიმურაზ ბაგრატიონი“. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბ., 1972, გვ. 142*).



**ალიბეგაშვილი იანო (თამარ) შოთას ასული** (დაიბადა 1963 წლის 15.10, დაბა ყაზბეგში). 1989 წელს დაამთავრა თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია ვოკალური განხრით (პედაგოგი იულია ფალიაშვილი) და იმავე წელს ჩაირიცხა სოლისტად თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის დასში. 1989 წელს გაიმარჯვა ესპანეთში (ბარსელონა) ვინიასის სახელობის საერთაშორისო კონკურსზე. ამჟამად ცხოვრობს და მოღვაწეობს იტალიაში. შესრულებული აქვს ყველა ოპერის ლირიკული და დრამატული სოპრანოს პარტიები მილანის „ლა სკალას“, ვენის „შტატ ოპერას“, ლონდონის „კოვენტ გარდენის“ ბერლინისა და მრავალი სხვა ქალაქის საოპერო თეატრებში.



**ალიბეგაშვილი ლევან მარკოზის ძე** (დაიბადა 1937 წელს, დაბა ყაზბეგში). ცნობილი ქართველი ალპინისტი. საქართველოში პირველმა მიიღო „**თოვლის ჯიქის**“ საპატიო წოდება. დაპყრობილი აქვს პამირისა და ტიანშანის ურთულესი და უმაღლესი მწვერვალები – კომუნიზმის, ლენინის, კორჟენევსკაიას, გამარჯვების, ხანთენგრის პიკი. დასაბამიდან იყო ყირგიზეთის მთასვლელთა ფედერაციის აქტიური წევრი, შემდგომში კი მისი თავმჯდომარე. ყირგიზეთის მთასვლელთა ნაკრები ექსპედიციების ხელმძღვანელი. ყოფილი საბჭოთა კავშირის მთასვლელთა ჩემპიონატების არაერთგზის პრიზიორი, საერთაშორისო სპორტის ოსტატი. მოღვაწეობს ყირგიზეთის რესპუბლიკაში. აქტიურად ეხმარება ქართველ მთასვლელთა ექსპედიციებს პამირისა და ტიანშანის მწვერვალების დაპყრობის ორგანიზებაში.



**ალიბეგაშვილი თამარ ჯემალის ასული,** დაიბადა 1968 წლის 22 ივნისს თბილისში.

მამა – **ჯემალ აკაკის ძე ალიბეგაშვილი,** ინჟინერ-ფიზიკოსი.

დედა – **ირინა ბაგრატის ასული ზვიადაძე,** ეკონომისტი.

თამარ ალიბეგაშვილმა დაამთავრა თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა ოქროს მედალზე. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი წითელ დიპლომზე, გინეკოლოგის სპეციალობით. არის მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი (სადისერტაციო თემა „საშვილოსნოს ტანის ლორწოვანი გარსის მდგომარეობა მიომების დროს").

არის სამეცნიერო შრომების ავტორი.

მუშაობს თბილისის მე-8 ქალთა კონსულტაციაში და სამშობიარო სახლში „მომავალი მესაზღვრე" მეან-გინეკოლოგად.

მეუღლე – **დიმიტრი კორძაია,** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, ჩინური მედიცინის აკადემიის რექტორი.

შვილები – **თორნიკე და სალომე კორძაიები,** თბილისის 161-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები.



**ალიბეგაშვილი ოთარ გიორგის ძე,** დაიბადა 1947 წლის 3.06, თბილისში.

მამა – **გიორგი ალექსანდრეს ძე ალიბეგაშვილი,** დაიბადა დ. ყაზბეგში 1916 წელს. დიდი სამამულო ომის მონაწილე, აწ გარდაცვლილი.

დედა – **თამარ მელიტონის ას ტუღუში,** დაიბადა ქუთაისში, 1912 წელს. ომის მონაწილე, დამსახურებული ექიმი.

დაამთავრა ბოლნისის რუსული საშუალო სკოლა, შემდეგ – საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტი სწავლული ზოოტექნიკოსის სპეციალობით. შემდეგ – თსუ-ს სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტი.

მუშაობდა თბომეურნეობის სამმართველოში, ცხიმკომბინატში, საქართველოს შრომის მეცნიერულ ცენტრში, ქალაქის საბჭოში. მისი შრომითი მოღვაწეობა დამთავრდა 1994 წელს. ერთი პერიოდი იყო უმუშევარი. დაიწყო ბიზნესმენობა, მაგრამ ამაოდ. ამჟამად უმუშევარია.

ჰყავს მეუღლე – **კრასნიკოვა ჟანა ბორისის ასული,** დაბ. 1948 წელს, დიასახლისი.

ქალიშვილი – **ალიბეგაშვილი შორენა ოთარის ასული,** დაბ. 1973 წელს, ფინანსისტი. არ მუშაობს, ჰყავს 2 შვილს (ქალ-ვაჟს).

ქალიშვილი – **ალიბეგაშვილი მაკო ოთარის ასული,** დაბ. 1976 წელს. ინგლისური ენის სპეციალისტი, მუშაობს. ჰყავს ქალიშვილი.



**ალიბეგაშვილი როდენ თევდორეს ძე**, ტრომბონისტი და კომპოზიტორი, საქართველოს დამსახურებული არტისტი. 30 წლის მანძილზე ბრწყინვალედ ასრულებდა ტრომბონის პარტიებს საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის ვრცელი რეპერტუარიდან. მისი შესრულება გამოირჩეოდა ბგერის სისუფთავითა და კანტილენობით.

ვ. სარაჯიშვილის კონსერვატორიაში ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე მან მრავალი სპეციალისტი აღზარდა, რომლებიც წარმატებით მუშაობენ რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთაც.

რ. ალიბეგაშვილი სხვადასხვა ჟანრის მრავალი ნაწარმოების ავტორია. განსაკუთრებით აღსანიშნავია კონცერტი ტრომბონისა და ორკესტრისათვის, რომელიც მტკიცედ დამკვიდრდა წამყვანი შემსრულებლების რეპერტუარში და შეტანილი იყო სავალდებულო შესასრულებელ ნაწარმოებად მუსიკოს-შემსრულებელთა საკავშირო კონკურსების პროგრამაში. იგი იყო ქართული მუსიკის დაუღალავი პროპაგანდისტი და კომპოზიტორებისთვის სტიმულის მიმცემი ტრომბონისთვის ახალი ნაწარმოებების შესაქმნელად.

თბილისის კონსერვატორიის ჩასაბერი და დასარტყმელი საკრავების კათედრამ, სადაც იგი მრავალი წლის განმავლობაში მოღვაწეობდა, განზოგადდა მისი მდიდარი საშემსრულებლო და პედაგოგიური მიღწევები. განსაკუთრებით საყურადღებოა მის მიერ შექმნილი მეთოდური შრომები.

რ. ალიბეგაშვილი იყო ახალგაზრდა მუსიკოსების გულისხმიერი მეგობარი, კეთილშობილი და თავმდაბალი ადამიანი კოლეგების მიმართ.



**ალიბეგაშვილი სტეფანე ივანეს ძე** (1903–1969 წ.წ., სტეფანწმინდა), კულტურის დამსახურებული მოღვაწე. ტიციან ტაბიძესთან ერთად ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დამაარსებელი. 1933 წლიდან 1967 წლამდე - ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის უცვლელი დირექტორი. პირადად მის მიერ მოძიებული იქნა ხევის ცხოვრების უნიკალური ექსპონატები, უმრავლესად საკუთარი სახსრებით შეძენილი. აღადგინა პუშკინის, ლერმონტოვის, დიუმას, გორკისა და სხვათა სტეფანწმინდაში (ყაზბეგში) მოგზაურობის დეტალები და გამოჩენილი ქართველი მხატვრების დახმარებით ტილოზე ასახა ეს მოგზაურობები. მან შექმნა მოხევეების ცხოვრების ამსახველი უნიკალური დარბაზები.



**ალიბეგაშვილი ტარიელ გიორგის ძე**, დაიბადა 1945 წლის 22. 06, ყაზბეგის რაიონის სოფ. გორისციხეში., გარდაიცვალა 1991 წ.), საერთაშორისო სპორტის ოსტატი თავისუფალ ჭიდაობაში. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახ. უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი, ყოფილი საბჭოთა კავშირის რეაგზის ჩემპიონი. 1970 წლის სპარტაკიადის ჩემპიონი. „დინამოს"

ცენტრალური საბჭოს ევროპის ჩემპიონი. მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული. 1990 წელს დაინიშნა ყაზბეგის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსად. ტრაგიკულად დაიღუპა 1991 წლის 30 მარტს.



**ალიბეგაშვილი ჯემალ აკაკის ძე**, დაიბადა 1938 წლის 13.12, თბილისში, პედაგოგების ოჯახში. მამას – აკაკის, დამთავრებული ჰქონდა ლენინგრადის საფეიქრო მრეწველობის ინსტიტუტი. იყო სამკერვალო პროფესიონალური ტექნიკუმის დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილში. მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინა პერიოდში დაინიშნა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მსუბუქი მრეწველობის კათედრის გამგედ. გარდაიცვალა 1941 წელს.

დედა – **თამარ ბოჭორიშვილი**, მუშაობდა თბილისის მე–17 საშუალო სკოლის მათემატიკის პედაგოგად.

ჯემალ ალიბეგაშვილმა დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ–პოლიგრაფისტის სპეციალობით. ორი წელი იმუშავა გაზეთ „კომუნისტის" გამომცემ სტამბაში ღრმა ბეჭდვის საამქროს უფროს ოსტატად. შემდგომ სამუშაოდ გადავიდა საფეიქრო დარგში, პარალელურად დაამთავრა საკავშირო საფეიქრო ინსტიტუტი და მიიღო ინჟინერ–ფეიქრის კვალიფიკაცია. მუშაობდა თბილისის კამვოლური დართვის ფაბრიკაში საამქროს უფროსად, ტექნიკური განყოფილების უფროსად, მთავარ ინჟინრად. თბილისის მაუდ-კამვოლური კომბინატის დირექტორად. თბილისის შალის საქსოვ ფაბრიკაში, დღევანდელ სს „ფეიქარი–95"–ის მთავარ ინჟინრად. დღეს ამავე საწარმოს დირექტორია. დღეისათვის აქვს სპეციალობით მუშაობის 40 წლის უწყვეტი სტაჟი. არის მრავალი რაციონალური წინადადების ავტორი. დაჯილდოებულია საქართველოსა და საკავშირო მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, საკავშირო გამოფენის ორდენებითა და სიგელებით. ჰყავს მეუღლე – **ირინა ბაგრატის ასული ზედგინიძე**, ეკონომისტი. შვილები – ქალიშვილი, **თამარ ალიბეგაშვილი**, ექიმ-გინეკოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი. ვაჟიშვილი – **აკაკი ალიბეგაშვილი** არის ინჟინერ–ტექნოლოგი–იურისტი. ამჟამად მუშაობს საქართველოს დაზვერვის დეპარტამენტში. ჰყავს ოთხი შვილიშვილი.



**ალიბეგაშვილი გურამი ვარლამის ძე** (9.05. 1934, დ. ყაზბეგი). დაამთავრა საქართველოს სასოფლო–სამეურნეო ინსტიტუტი (1958), შემდეგ – თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1972). განაწილებული იქნა ბოლნისის რაიონში, სადაც იმუშავა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, როგორც პარტიული და სამეურნეო, ასევე პროფკავშირული ხაზით. იყო ბოლნისის, მარნეულის და დმანისის რაიონების სოფლის მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული პროფკავშირის თავმჯდომარე. შემდგომში დანიშნულ იქნა ბოლნისის რაიონის შინაგან საქმეთა რაიონული

განყოფილების უფროსად (1968–1972), ხოლო შემდეგ მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში პასუხისმგებელ თანამდებობებზე. მიღებული აქვს მრავალი ჯილდო. მონაწილეობდა ყამირი და ნასვენები მიწების ათვისებაში.

**ალიბეგაშვილი გურამ ამბროსის ძე** (დ. 6.06.1933, თბილისი). ეკონომისტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი (1955), პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის ასპირანტურა (1965). 1985 წელს სანკ-პეტერბურგში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია სასოფლო მშენებლობის ეკონომიკური ეფექტურობის ამაღლების პრობლემებზე. ეკუთვნის რამდენიმე სამეცნიერო გამოკვლევა და სტატია ეკონომიკურ საკითხებზე. გაიარა გზა რიგითი ეკონომისტიდან სასოფლო მშენებლობის და შემდგომ გაერთიანებული მშენებლობის სამინისტროს მთავარი საგეგმო ეკონომიკური სამმართველოს უფროსის თანამდებობამდე. იყო სამინისტროს კოლეგიის წევრი (1973–1986), პრაქტიკული მუშაობის პარალელურად ეწეოდა მეცნიერულ მოღვაწეობას. კითხულობდა ლექციებს ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში.



**ალიბეგაშვილი ზვიად გურამის ძე** (დ. 28. 11.19569 თბილისი). ქირურგი. დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი (1979) და შემდეგ მოღვაწეობა განაგრძო ჯერ მოსკოვის 31-ე კლინიკურ საავადმყოფოში, შემდგომ სანკტ-პეტერბურგის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ქირურგიის პირველ კლინიკაში, ეკუთვნის 8 სამეცნიერო გამოკვლევა და სტატია მედიცინის დარგში. ამჟამად მუშაობს თბილისის სამედიცინო აკადემიის კლინიკაში წამყვან ქირურგად. დიდია მისი დამსახურება 1992–1993 წლების სამოქალაქო ომის პერიოდში დაჭრილი მებრძოლების მკურნალობის საქმეში, ასევე, სპიტაკის მიწისძვრით მიყენებული მსხვერპლთა განკურნების დარგში, სადაც იგი პირველივე დღიდან იმყოფებოდა.



**ბატონ ნოდარ ალიბეგაშვილის** მიერ მოწოდებულ ბიოგრაფიას, მისივე თხოვნით, შესწორების გარეშე ვბეჭდავთ. იგი წერს:

«დავიბადე 1926 წელს სოფელ ყაზბეგში. დედას თბილისში, ვერაზე, «ფიქრის გორაზე» ჰქონდა ბინა და იქ ვცხოვრობდით. ხუთი წლისა ვიყავი, მამა რომ გარდამეცვალა. პარტიული მუშაკი იყო. დედა მასწავლებელი გახლდათ. საშუალო სკოლა დავამთავრე და დედამ ჩემი თავი ჩააბარა მამას მეგობარს, ამიერკავკასიის კონტრდაზვერვის უფროსის მოადგილეს პოლკოვნიკ გ. გეიშიანს. ვიყავი რიგითი ჯარისკაცი, მერე ოფიცერი, პარტიის წევრი. საქართველოში მისი უკანასკნელი დასვენების დროს მივლინებული ვიყავი სტალინთან დაცვაში. მივიღე საბჭოთა კავშირის უშიშროების მინისტრის მადლობა, სადაც წერია: «ლეიტენანტ ნოდარ ალიბეგაშვილს გამოეცხადოს საკავშირო მადლობა და მიეცეს ერთი თვის

ხელფასის პროცენტს“. შემდეგ დამპირეს გადაყვანა ქალაქის მილიციის სამმართველოში. მე არ დავეთანხმე და გამოვედი უშიშროების ორგანოებიდან. დავამთავრე სარატოვის ავტოსაგზაო ინსტიტუტი. ვმუშაობდი ამ პროფილით, ბოლოს – მცხეთის სოფელმეურნეობის ავტოპარკის უფროსად. საიდანაც გავედი პენსიაზე. სტალინის ძეგლთან ბავშვები რომ დახვრიტეს, მეც იქ ვიყავი. პარტიაში მიღებაზე რაიკომში ქრთამს ილებდნენ და პარტბილეთი მივაგდე. კომუნისტური წესწყობილება დღეებს ითვლიდა, გაზაფხულზე ჩემთან მოვიდა გუჯა აფაქიძე და მითხრა: „18 ნოემბერს (წელი არ მახსოვს) მერაბ კოსტავა პატიმრობიდან თავისუფლდება. ჩვენ (იგულისხმება არალეგალები) მოვითათბირეთ და გადავწყვიტეთ, რომ შენ წახვიდე ციმბირში მერაბის ჩამოსაყვანად, ვინაიდან მას გზაზე სუკი მოუწყობს შანტაჟს და ახლიდან დააპატიმრებენო“. მე უყოყმანოდ დავეთანხმე. ჩემს მეგობარს ემანუილ სულაბერიძეს გავუმხილე, რომელიც დამპირდა დაფინანსებას და გამოცდილი კაცის გამოყოლასაც. ჩემი წასვლა საჭირო აღარ გახდა, მერაბს იქვე, სადაც იხდიდა სასჯელს, ხუთი წელი დაუმატეს. მე ძალიან რთული ცხოვრება განვვლე. ეხლა, პენსიონერი, ეზიარ სახლში უკეთესი სიბერის მოლოდინში.“

<u>შენიშვნა</u>: ალიბეგაშვილები, ფეოდალური საგვარეულო ქართლში. პირველი დოკუმენტური ცნობა ამ საგვარეულოს შესახებ XII საუკუნის პირველ ნახევარში მოიხსენიება. **„ძველადვე მოსახლენი ქართლს დროსავე თამარ მეფისასა და მისცესვე მეფეს გვარად ალაიბეგის შვილობა და არიან მუნითგან ცნობილ აზნაურად და ტრაკტატსა შინაცა მოხსენიებულ“** *(იოანე ბაგრატიონი „აღწერა საქართველოს თავად აზნაურთა გვარებისა“)*. ქართლის მეფეს ამ გვარის ზოგი ოჯახი ჩაუსახლებია ჩრდილოეთის სასაზღვრო რეგიონში, დარიალის ხეობაში, როგორც მეციხოვნენი. დ. ყაზბეგში დღესაც არის გვარის კოშკის ნარჩენები, ხოლო ქარელის რაიონის სოფელ ზღუდერში წმინდა გიორგი საგვარეულო ეკლესია. ალიბეგაშვილების გვარი საქართველოში გავრცელებულია ყაზბეგის, მცხეთის, ქარელის, კასპის, ონისა და ლაგოდეხის რაიონებში.

**ალიმბერაშვილი 26**
**თბილისი – 13,**
**გორი – 6,**
**გარდაბანი 3**

**ალიმბარაშვილი 569**
**თბილისი – 318,**
**კასპი – 106,**
**გორი – 83.**

**ალიმბარაშვილი**, ფუძე **ალიმ-ბერ-ა** ორი სიტყვისაგან შედგება, თუმცა ეხედებით მამაკაცის საკუთარ სახელსაც **ალიმბარ**.

**ალიმბარაშვილი//ამილბარაანი.** ამილბარა ოდითგან ქართველი კაცის საკუთარი სახელი ყოფილა. **ამილბარა** – თიფანში მცხოვრები, ბარათაშვილების გაყრის დროს იგი წილად ხვდა გერმანოზ, თაყა, გოსტაშაბ, ფალავან ხოსრო ბარათაშვილებს (1523 წელი, ად–1299ა); **ამილბარა** – მის ფარდად მოურავსა და ზურაბ სააკაძეს წილად ერგოთ დემეტრე ამილბარაშვილი *(მე–17 ს–ის ბოლო, პირთა ანოტირებული ლექსიკონი, წიგნი, I, გვ. 126)*.

**ამილბარ** იგივეა რაც **ამირბარი (ამირბარისა)**. არაბულად **ამირი** – ალ-ბაჰრი ნიშნავს „**ზღვის ამირა**“-ს. ისტორიულად იგივეა, რაც სანლეაო ფლოტის უფროსი – ადმირალი, „**თვით ამირბარსა ინდოეთს აქვს ამირსპასალარობა**“ (რუსთაველი).

**ალიმბარაშვილი** და **ამილბარაშვილი** ერთი და იგივე გვარსახელია.

შდრ.: **ამილბარაშვილი ამილბარ-პაპავს ძმები: ქიტუა, ესტატე შვილი ტატია** მიჰყიდა ესტატე ხახანაშვილს ორი დღის მიწა თავისივე მიწის გვერდით (1613წ.).

**ალიმბარაშვილ (ამილბარაშვილი) მამაგულა** – უჯარმელ ფავნელმა იგი თავისი მამულით აუცვალა გრიგოლ ჯინჯიხაძეს (1459 წ.) *(იხ. იაკობ ახუაშვილი. „ქართული გვარსახელები“. თბ., 1994. გვ. 211).*

| |
|---|
| **ალიქაძე 27 (ბათუმი – 17, ხელვაჩაური – 10).** |

**ალიქაძე**. ადრე, კერძოდ, ახლანდელ ქედის რაიონში იყვნენ **ალიქოშვილები**. მათ დასახლებასაც ასე ეწოდა. „**ჩვენ ძუელებსა ალიქოშვილებ ეტყვიან**“, – უთქვამს თურქეთში მცხოვრებ მეჰედინ ქარას *(შ. ფუტკარაძე. „ჩვენებურების ქართული“).* თვლიან საკუთარ სახელ **ალიქოდან** მომდინარეს. ოსმალებმა აჭარაში ბატონობისას ისინი **ალიქოღლებად** დაწერეს. ასე გადააკეთეს სოფლის სახელიც და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ (1921 წლის 18 მარტი), **ოქტომბერი** უწოდეს.

**ალიქოშვილების** ნაწილი **ალიქაძედ** დაიწერა. ცხოვრობენ ამავე რ-ნის სოფ. ორცვასა და დაბა შუახევში. სხვები **შერვაშიძეები** გახდნენ, ალბათ, იმიტომ, რომ ეს სოფელი ბეგ შერვაშიძეებს ეკუთვნოდათ, რომლებიც გამოირჩეოდნენ ლმობიერებით. თვით ცნობილ თოფან ბეგს, უბნის უფროსს, თანასოფლელი აბდულ მიქელაძე, გაზეთ „ივერიის“ კორესპონდენტი, ალიქოშვილად მოიხსენიებდა. ეტყობა, ეს მან სადაურობის გამოხატვისათვის დაამატა (შდრ.: შოთა რუსთაველი, აბო თბილელი, ანანია შირაქელი).

ძნელია, გარკვეულად სხვა რაიმე თქვა მის წარმომავლობა–ეტიმოლოგიაზე. ალბათ, არაბულ–სპარსულ **ალიდან** მომდინარეობს (იხ. ალიშანიძე) და ძველი არ უნდა იყოს. მაჭახლის მატიანეში, ქრისტიანობისდროინდელ სხვა საბუთებში ეს სახელი არ დასტურდება. სოფელ ალიქოშვილებს გარდა, მეზობელ სოფელში არის ალიქოშვილების უბანი, ასევე, შუახევის რ–ნის სოფ. ოლადაურში, მაგრამ აქაც ამ გვარისანი არ ცხოვრობენ *(იოსებ ბექირიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 20).*

**ალიყულაშვილი//ალიყულიშვილი//ზაქუმიშვილი** თურქული სიტყვებით გაწყობილი გვარსახელია. გვარის ძირია **ალი** და **ყული**. ამ შემთხვევაში **ალ** ალაჰ–ს უნდა აღნიშნავდეს, **ყული** კი სპარსულია და აღნიშნავს **მსახურს**. ქართულად რომ გვეთარგმნა, გვექნებოდა „**ღვთისმსახურისშვილი**“.. ყული აღნიშნავს აგრეთვე „მონას.“

„**აზნაური ალიყულაშვილი. ამათნი წინაპარნი არიან დროსა მეფისა როსტომისასავე ცნობილნი, სპარსით ალიყულას შთამომავლობისა, რომელთაცა გაუგვარდათ შვილთა მისთა და შთამომავლობათა მამისა სახელი ალიყულაშვილობა**

და არიან მოსახელენი საციციანოს ქრისტიანედ და ტრაკტატსა შინა მოხსენიებულ" *(სასიძო ლექსები. – 101).*

ალიყულაშვილების განაყოფი გვარია **ზაქუმიშვილი**. იხ. **ალიყულისშვილი ბეჟან–ზაქუმისშვილი ბეჟან.**

**ალიყულაშვილი გიგო** – მოწმე ბიძინა მწყერაძის მიერ უთრუთ [ციციშვილისათვის] მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა *(1799 წ. II. 5. 1450–51/84).*

**ალიყულიშვილი ზაქუმ** იხ. ზაქუმისშვილი ზაქუმ *(პალ. I. 104–105).*

**ალიყულისშვილი თამაზ** – იხ. ზაქუმისშვილი თამაზ.

**ალიყულისშვილი სეფიყულა** – იხ. ზაქუმისშვილი სეფიყულა.

**ალიყულაშვილი//ალიყულიშვილი.** გვხვდება XVII ს–ის დასასრულს. წარმომდგარია საკუთარი სახელიდან **ალიყულ (ალიყულა, ალიყული).** შდრ. **ალიყულა (ვარ. ალიყულ)** 1634 წ. (?)–1641 წ. ნაცვალი. მოწმე. *(იხ. პალ. I. 104).*

**ალიშანიძე 153 (ქედა– 45, ქობულეთი – 43, ბათუმი – 3).**

**ალიშანიძე** სპარსულიდან მომდინარეობს. შედგება სახელ **ალი**დან და ტერმინ **შანი**დან. რომელიც შუა აზიაში. ჩინეთსა და სხვაგანაც დასტურდება. **ალი** ისლამის მეორე მიმდინარეობის – შიიტების (არის სუნიტებიც) მიმდევრებმა პირველ იმამად იწამეს და ზღაპრულ გოლიათად. სასწაულმოქმედად აქციეს. ზოგიერთებმა ისლამის დამაარსებელ, სიმამრ მუჰამედზე მაღლა დააყენეს. სწორედ ამ ალის სახელს შეიცავს **ალიშანი,** აგრეთვე **ალიშერ, ალირიზა, ალისულთანი, ალიხანი, ალიოსმანი, ალიმირზა, დურსუნალი, მემედალი, დურალი** და სხვა. **შანი** ტერმინებსაც ნიშნავს. ტოპონიმებშიც უხვადაა და სახელგვარებშიც. ყოველივე ამაზე ამომწურავად ნათქვამია გვარსახელ „შანიძე–შაინიძე"–ში. სადაც გაეცნობით **შანის** სემანტიკას და წარმომავლობის არეალსაც.

**ალიშანი ნიშნავს დიდებულ, დაფასებულ– აღიარებულ, ძლიერ, უმაღლესი დონის, საფეხურის ადამიანს** *(ა. გაფუროვ. იმია ი ისტორია. მ., 1987. გვ. 124 და სხვა).*

ალიშანიძეები არიან ქედის რ–ნის სოფ. დანდალოში. დაბა ხელვაჩაურსა და ქობულეთში. ხულო ხულოს რ–ნის სოფ. ადაძეებში გვაქვს უბანი „ალიშანაკაპანი." დასტურდება სომხებშიც. ცნობილია ისტორიკოს-მხიტარისტი ლეონ ალიშანი, რომლის ნაშრომი „სომხეთის ძველი რწმენა–წარმოდგენები ანუ კერპთმსახურება", 1910 წ. გამოიცა ვენეციაში სომხურ ენაზე. თურქეთის პარლამენტის წევრია ჯ. ალიშესი.

**ამ შანიდან მომდინარეობს** აგრეთვე ქართული გვარსახელები **შანიძე, მაღაქშანიძე, მარშანია–მარშანიშვილი და შაინიძე** *(იხ. „შანიძე–შაინიძე". ი. ბექირიშვილი, გვ. 21).*

საჭიროა. ადამიანებს შევახსენოთ და განვუმტკიცოთ რწმენა, მივცეთ ცოდნა იმისა. რომ **ალიხან–ა** ქართველმა, სომეხმა თუ სხვა ერის წარმომადგენელმა ისესხა თურქებისაგან. განსხვავება ისაა, რომ ქართული ტრადიციისამებრ ჩვენში

გაჩნდა **ალიხანაშვილი** (**ალიხანიშვილი**), სომხებთან **ალიხანიანი** და ა.შ. თუ ჭეშმარიტ გზას გავყვებით, სამართლებრივ ნორმებს გამოვიყენებთ (უაზრობაა, მაგრამ მაინც), **ალიხანოვი**, **ალიხანაშვილი** თუ **ალიხანიანი** თურქია და არა ქართველი და სომეხი. ასეთი ნორმის მიყენება გვარ-სახელებისადმი მიუღებელ-დაუშვებელია.

**ალიხანაშვილ//ალიხანიშვილთა** გვარისანი არიან ქართველები. ზოგი მათგანი იყო გლეხი, ხოლო ერთი ნაწილი კი აზნაური. ალიხანიშვილების ძირითადი საცხოვრისი ქვემო ქართლია. ცხოვრობდნენ შიდა ქართლში და სხვა მხარეებშიც. იქვე იყვნენ ისინი აზნაურები და ცნობილ ფეოდალ ბარათაშვილ-ორბელიანების გვერდით ეკუთვნოდათ სოფლები და ყმა-გლეხები. მოვიხმოთ უტყუარი საბუთები:

„**ალიხანა** – ქვემო ლანუხს მცხოვრები, ელმირზა ბატონიშვილმა იგი თერთმეტ კომლ კაცთან ერთად შესწირა სვეტიცხოველს (1580 წ. 1448-5527); ალიხანა სომეხი ან თათარი რომ ყოფილიყო, სვეტიცხოვლის ყმა არ გახდებოდა);

**ალიხანასშვილები** – გორში მცხოვრებნი ქსნის ერისთავების მკვიდრი ვაჭრები, გიორგი მეფემ მათი წყალობა განუახლა დავით ქსნის ერისთავს (1683 წ. 121 შდ-2342);

**ალიხანაშვილი არაზა** – **აზნაურიშვილი**, მოწმე ქვემო ქართლის (სომხითის) მელიქ ავთანდილის მიერ ქაიხოსრო ორბელიშვილისათვის მიცემული ნასოფლარის ნასყიდობის წიგნისა (1695 წ. 11.15. 1450-15/95);

**ალიხანაშვილი ბაინდურ** – იყიდა დავითისაგან სახლის ადგილი სიგრძით თოთხმეტი და სიგანით შვიდი ადლისა („ჩვენი ადლით ოთხი მტკაველი ერთ ადლად"), რომელიც ესაზღვრებოდა მისივე დარბაზისა და ხოჯა ჯანაშვილის ბოსტანს (1679 წ. 1450-45/123);

– აზნაურ **ხუდაგვერდა ალიხანაშვილმა** აზნაურ როსტომ ყორღანაშვილს კალოს პირს მიჰყიდა ერთი დღის მიწა (1692 წ. IX. 1450-1/58); **ზაალია ალიხანაშვილი** მოიხსენიება ვახტანგ მეექვსის მიერ (1723 წელს) თავის შვილ ბაქართან გაგზავნილ წერილში. მეფე ვახტანგი ზაალ ალიხანაშვილის წინ მამულს სჩუქნის ამირბაშ გოსტაშაბიშვილს (*საქ. სიძვ. I. გვ. 83*).

– **ზაალია და ბეჟან ალიხანაშვილები** ორივე ერთად 1721 წლის აღწერით მებატონე-მემამულეები არიან, ცხოვრობენ და ყმები ჰყავთ სომხითში (იქვე, 322) – კერძოდ ზალია ალიხანაშვილს ყმები ჰყავს (გვარებს ტექსტის გადატვირთვის გამო არ ვასახელებთ) სოფლებში: სადარეულაში, ხოხმელში, ვანქში, სულ 14 კომლი, აქედან 11 ჯვეელი, 3 ბოგანო. იმავე სოფლებში ბეჟან ალიხანაშვილს და სოფელ ხინძორიკსა და ჯახოშაში ჰყავს ჯვეელი (გადახდისუნარიანი) კომლი 10, ბოგანო 4 (ვახუშტი, .. 276-277).

ალიხანაშვილი-ალიხანიშვილები ქვემო ქართლის სხვადასხვა სოფლებში სახლობდნენ, მათ შორის თონეთშიც. „თონეთელ გლეხს, მართლმადიდებელს **ბერო ალიხანაშვილს** 1829 წელს დაებადა ვაჟი, სახლი განათლა და მონათლა

მღვდელმა აბრამ თეთრაძემ. სახელი უწოდა **აბრამ-ი**. ნათლიად იყო ნორიოში მცხოვრები რაფიელ იოკიმისშვილი *(ფ. 489. აღწ. № 76. ფურც. 8)*.

ალიხანაშვილები. ქართველები, მართლმადიდებლური სარწმუნოების აღმსარებლები, მისდევდნენ აღებ-მიცემობასაც. მაგალითად, გორელი ალიხანაშვილები ქსნის ერისთავების მკვიდრი ვაჭრები ყოფილან. გიორგი მეფემ მათი წყალობა 1683 წლის 21 იანვარს განუახლა დავით ქსნის ერისთავს *(შდ-23-42)*.

მოვიყვანთ ალიხანაშვილთა რამდენიმე საოჯახო, საეკლესიო ჩანაწერი: **პეტრე ალიხანაშვილი, მეუღლე სოფიო, ვაჟიშვილები: ადამა, აბრამა, ქალიშვილი მაგდალინა, ქართველი, მართლმადიდებელი; ნონია ალიხანაშვილი, მეუღლე მზექალა, შვილები: გერმანოზი, მათე, ვარვარა, ნინო, ძმები: მოსე, მისი მეუღლე მაგდალინა, შვილები: სარქისა, სტეფანე, ქალიშვილი – ეფემია, მეორე ძმა გიორგი, მეუღლე სარა, ვაჟიშვილი გლახა, ქალიშვილი სოფიო, მესამე ძმა როსტომი, ვაჟები: ყაზარა, სოლომონი, მართლმადიდებლები, ქართველები** *(სცსსა. ფ. 354. № 1. 1242. ფურც. 41)*.

**ალმასია 45**
**ზუგდიდი – 38,**
**თბილისი – 4,**
**გურჯაანი – 1).**
**ცაიში – 7**

**ალმასია.** შდრ.: საკუთარი სახელი **ალმას-ი (-ალმაზი)**. **ალმასი** *(არაბ.)* **ალმას** – გადატანით – *ძვირფასი, მშვენიერი*. ალმასი – მეგრ. **„ცალი ცირა რე", „მშვენიერი ქალიშვილია"** *(ვ. ელ., 18)*.

შდრ.: **ალმაიზ, ალმაის**, სვანეთი, ლენტეხი.

კომლი. პირისახელი ალმასა გვხვდება ისტორიულ საბუთში: **„ალმასა** – ურიათყოფილი. ესახლა შემაბერიძის ზვეით, როსტომ მეფემ იგი დაუმტკიცა მერაბ ყორღანაშვილს" (1635 წ.), *(პალ. I. 107)*.

**ალსანდრია 34**
**ზუგდიდი – 29,**
**თბილისი–2,**
**ჭიათურა – 3).**

**ალსანდია.** ალ პრეფიქსი უნდა იყოს, ფუძე კია **სანდო** (ამ შემთხვევაში სანდომიანი, ლამაზი). **ალსანდია** ეშხიანის, ლამაზის, სანდომიანის ეპითეტი ჩანს. ალსანდი ზოგჯერ ალექსანდრედან ნაწარმოებადაცაა მიჩნეული.

**ალუაშვილი//ალოაშვილი** ნაწარმოებია საკუთარი სახელისგან **ალუა, ალოა** *(იხ. ალ. ღლ., 71)*.

**ალოაშვილი მურადა** – ჰყავს სახლიკაცი მურადა, თამაზა, მოიხსენიება 1690 წელს.

**ალუაშვილი 34**
**თბილისი – 18,**
**გორი – 11,**
**გურჯაანი – 1.**

**ალუდაური.** საკუთარი სახელი **ალუდა**. შდრ.: **ალუდა ქეთელაური** (ვაჟა) ფშავ-ხევსურეთში დადგენილი ფაქტია, რომ დედა-გვარიდან, ძირ-გვარიდან, სათემო გვარიდან სხვა გვარები გამოიყოფოდა, გვქონდა აგრეთვე სხვა გვარში შესვლის (დანათესავების) ფაქტებიც. მაგალითად, ალუდაურების გვარში შესულან: **წიქარაულები, გამდლიშრაულები, გილაურები, ბაჩიკაურები** *(იხ. რ. თოფჩიშვილი. როდის წარმოიქმნა ქართული გვარ-სახელები. თბ., 1977. გვ. 70)*.

**ალუდაური 170**
**დუშეთი – 45,**
**ახმეტა – 43,**
**გარდაბანი – 58.**

**ალუდიშვილი.** ამ გვარშიც ფუძედ გამოყენებულია ალუდა. **ალუდიშვილი**

347 (დედოფლისწყარო – 146, საგარეჯო – 118, თბილისი – 8).

**ალფასიძე//ალფასშვილი.** წარმომდგარია საკუთარი სახელისგან **ალფა.** გვხვდება ორი ფორმით: **ალფასძე (–ალფასიძე)//ალფასშვილი.**

**ალფასიძე – (ვარ. ალფასძე) გიორგი** – კურსებში მცხოვრები. შვილი გოგიტა ალფასიძისა. იხ., მიჰყიდა იოვაკიმ ფადლაძეს წაბლნარის მეოთხედი *(XVI ს–ის I მეოთხედი. შდ–1552– ).*

**ალფასიძე (ვარ. ალფასძე) გოგიტა** – ჰყავს შვილები: ესტატე და გიორგი. მიჰყიდა იოვაკიმე ფადლასძეს მამულის მესამედი (XVI ს–ის I მეოთხედი, შდ–1552 გ); მოწმე დემეტრე ბელთაძის მამის მიერ იოვანე ფადლაძისათვის მიცემული ადგილის ნასყიდობის წიგნისა *(XVI ს–ის I მეოთხ., შდ–1552 გ).*

**ალფასიძე დემეტრა** – ძმისწული თანდია ალფასიძისა. იხ.

**ალფასიძე (ვარ. ალფასიძე) ესტატე** – შვილი გოგიტა ალფასიძისა. იხ.

**ალფასიძე თანდია** – ჰყავს ძმისწული დემეტრა. მიჰყიდა მოძღვარ [იოვ] ფადლაძესა და მის შვილებს იმედაძესთან ზიარი ტყის ნახევარი (XVI ს–ის I მეოთხ. შდ–1552–ე). მოწმე დემეტრე ბელთაძის მიერ მოძღვარ იოვანე ფადლაძისათვის მიცემული ადგილის ნასყიდობის წიგნისა *(XVI ს–ის I მეოთხ., შდ–1552 გ).*

**ალფასიძე ძმობილა** – წყალწითელას მცხოვრები. კოხურის ბეგრის ნუსხის მიხედვით ემართა: ორი ლიტრა სანთელი, ორი გვერდი ღომი, ორი გვერდი პური, სამი კოკა ღვინო, ათი თეთრი საკლავი და საქრისტეშობო და საყველიერო ძღვენი *(1570 წ. ბოლოო. დსსს. I: 27–28).*

**ალფასშვილი მგელია** – მოწმე ნადირას მიერ გიორგი თევდორესშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (XVII ს–ის 20–იანი წლები. 1450–38/129).

**ალფასიძე გოგიტა** – იხ. ალფასიძე გოგიტა *(პალ. ტ. I. გვ. 107).*

| |
|---|
| **ალფენიძე 522** |
| **ზუგდიდი – 399,** |
| **თბილისი – 64,** |
| **სენაკი – 14.** |

**ალფენიძე.** გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ალფა.** ამ სახელიდან იყო ნაწარმოები გვარები: **ალფასძე და ალფასიძე.** მოიხსენიებიან XVI ს–ის I ნახევარში. იყო ასევე გვარი **ალფასშვილი** (XVII ს–ის 20–იანი წლები *(იხ. პალ. I. 107–108).*

ორსანტიაში. ენგურის მარცხენა მხარეს სახლობს 22 კომლი. ამ უბანს ეწოდება სა–ალფენ–ძო. ალფენიძეები არიან ასევე ენგურის გაღმაც, ოტობაიაში. **ალფეზ (–ალფე)** პირსახელია. აქედანაა **ალფენ** *(ვ. ცხადაია).*

**ალშიბაია. ალიშბა** მეგრული ფორმაა **აშიბეია,** რაც „თეთრი თხმელას შვილის" ნიშნავს. მოიხსენიება ალშიბაიაში ნოხორი (ნასახლარი), კურზუ (მარტვილის რ–ნი), ქ. ზუგდიდი. იყვნენ დადიანების აზნაურები (იხ. აგრეთვე გიორგი ბატონიშვილის საუფლისწული). XIX ს–ის 30–იან წლებში დღევ. გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში სახლობდა 400 კომლი. აქედან 130–მდე ქართულ–მეგრულ–ლაზური წარმოშობისანი არიან. მათ შორის მოიხსენიებიან ალშიბაიები.

**ალშიბაია მეგრულ–აფხაზური გვარია.** კომლი: *ჩხორია –15, ყულევშკარი* – 4

და სხვ. ალშიბაიები ცხოვრობენ სამურზაყანოშიც. ადგილობრივი ვარიანტია **ალიშბაია**. ტოპონიმი **საალშიბაიო//საალიშბაიო** – უბანი ტყაიაში (ჩხოროწყუს თემი).

**XVIII ს-ის დამლევს კურზუსა და მის ახლომახლო სოფლებში მცხოვრები ალშიბაიები საუფლისწულო აზნაურები იყვნენ და გიორგი ბატონიშვილს ემორჩილებოდნენ** *(ო. სოსელია. 1990 წ.).* 1904 წლის აღწერითაც ნობულევსა და დღვანაში მცხოვრები ალშიბაიები ისევე, როგორც კურზუსა და გოდოგანში, აზნაურები იყვნენ.

1995 წელს ვაჟური აულია **155 სულს (ზუგდიდი – 119, თბილისი –23, მოსკოვში აღრიცხულია დევნილი 4).**

ალშიბაია მოიხსენიება აგრეთვე დღევ. ოჩამჩირის რაიონის სოფელ თხინას მოსახლეობის 1837 წლის აღწერის სიაში და სოფელ ფოქვეშის აღრიცხვის წიგნში.

**ალშიბაია მიხო** (1908–1965), **ალშიბაია** (1912–1969), კაკო– დაკრძალულნი არიან საფრანგეთში პარიზთან ახლოს დაბა ლევილის ქართულ პანთეონში (გაზ. „ლიტ. საქართველო“. 1990. 14 აპრილი).

**ალშიბაიას** გვარის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით *სიმონ ჯანაშია* წერს: „გვარებთან დაკავშირებული მეგრული ფაქტები – „ქაჩიბა“, „ქაფიჯა“, „ქაჩიბაია“, „ქაჩიბაძე“ იმითაც არის საინტერესო, რომ იგი თითქოს მოძრაობის გზაზედაც მოგვითითებს. მსგავსივე ალნაგობის არა ერთ სხვა მეგრულ გვართან ერთად (ჩაჩიბაია, ალშიბაია, კაკუბაია–კაკუბავა, ეგუზბაია, ქეცბაია და სხვ.), ესეც უეჭველად აფხაზური წარმოშობისაა: მათ ახასიათებს აფხაზურ გვარსახელთა ერთი ჯგუფის სპეციფიკური დაბოლოება – „ბა“ (შდრ.: ჩაჩბა, კუკბა და სხვ.), რომელსაც შემდეგში მეგრული, იდენტური ფუნქციის დაბოლოება – „ია“ წამატებია (მეგრულ ხალხურ მეტყველებაში დღესაც ცოცხალი აფხაზური გვარები ჩვეულებრივად ამ ფორმით წარმოითქმის). დაბოლოება „ბა“, საფიქრებელია „ფა“–ს (–ძეს) განვითარებაა გარკვეულ ბგერითს პირობებში, როცა ეს სიტყვა კუთვნილებითი ნაწილაკის, ი–ს, ჩამოშორების შემდეგ, უშუალოდ უკავშირდებოდა წინამავალ ფუძეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სიტყვა ინარჩუნებს თავის ფორმას (შდრ.: აფხაზური გვარები ინალ–იფა, ძიაფშ–იფა, პატე–იფა და სხვ). თვით გვარის მატარებელნი და სხვადასხვა დროს და სხვადასხვა სოციალურ–პოლიტიკურ პირობებში არიან გადმოსულნი“ *(სიმონ ჯანაშია. შრომები. II. თბ. 1952. გვ. 476).*

დღეისათვის გარკვეულია, რომ სუფიქსი „ბა“ (იგივე ძე, შვილი) ძველი ქართული ფორმაა და იგი აფსუებს დაუტოვეთ. აფხაზი აქ და ყოველთვის გულისხმობს საქართველოს ერთ–ერთ მხარეს, მსგავსად, მეგრელი, იმერელი, გურული, კახელი და ა.შ. რაც შეეხება გვარს – **ინალიფა**, მისი თავდაპირველი ფორმაა **ინალიშვილი** და შემდეგ მოინათლა იგი დაბოლოება „ფა“–თი.

გვარის უფრო მართებული ფორმა უნდა იყოს **ალიშ-ბა-ია**. სხვა შემთხვევაში

გერჩება ფუძე ალ-ი და სუფიქსები **-ხა, -ზა და ია.**

**ალხაზაშვილი//ალხაზიშვილი.** ამ ორი ფორმით გვხვდება ეს გვარი, რომელიც ეპონიმურია თავისი წარმოშობით და ამ გვარის დამწყებია ვინმე **ალხაზა.** შდრ.: **ალხაზა** – დამწერი და მოწმე ნასყიდა ალნიაშვილისა და ქიტესა აბულაშვილის მიერ ბერი ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (XVII ს-ის მე-4 მეოთხედი) *(პალ. I. გვ. 108).*

საკუთარი სახელი **ალხაზ-ი** *(საქ. სიძ. II. 249; ალ. ლლ. 71).* **ალხაზ** (არაბ.) **რჩეულს** ნიშნავს. ჩვენს წინაპრებს უხსოვარ დროს უსესხიათ და საკუთარ სახელად გაუხდიათ. მისი ქართული თარგმანი რომ გაგვეკეთებინა, ქართველი აზნაურების **რჩეულიშვილების** პარალელური გვარი იქნებოდა (რა თქმა უნდა, წარმომავლობით სხვადასხვანი).

**ალხაზა** ერქვა ყოველთა წმიდათა მამას, საქართველოში წამებულს, რომლის ხსენების დღეა 11(24) დეკემბერი *(იხ. საქართველოს ეკლესიის კალენდარი. თბ., 1991. გვ. 90).*

შეადარე: **ალხი** ნაზამთრი მჭლე ცხოველი *(საბა, I. 48).*

როგორც ითქვა, გვარი გვხვდება ორი ფორმით **ალხაზაშვილი//ალხაზიშვილი,** ძველი ჩანაწერებით **ალხაზასშვილი//ალხაზისშვილი.** ამ გვარისანი, ისე, როგორც წიგნში შესული ბევრი სხვა გვარიც, იყვნენ როგორც აზნაურები, ისე გლეხები. აღნიშნულის სამაგალითოდ მოგვაქვს რამდენიმე ნიმუში: **ალხაზას შვილი** – კასპს მცხოვრები, საამილახვროს დავთრის მიხედვით, ევალებოდა მშვილდით ლაშქრობა (XVII ს-ის II ნახ. 1448-5032); **ალხაზაშვილი ფავლენა** – ბატონ ზაზა [მაჩაბლის] წინაშე თავმდებად დაუდგა ბეჟანა ჯაშვშვილს (XVII ს. ქდ-8679); **ალხაზისშვილი** – მის მიწამდე მიჰყიდა ზურაბ შეიხადარისშვილმა ავთანდილ [მოურავისშვილს] მიწა *(1698 წ. III. 15. შდ-2598);* **ალხაზისშვილი ზაზუტა** – სახლთუხუცეს პაპუა მაღალაძეს მიჰყიდა თავისი მკვიდრი მონასყიდის ნაქონი ვენახი, წისქვილის მესამედი, ცალქალამანიძის ვენახთან აბრამას წილი მიწა და აბრამასვე წილი სასაფლაო *(1663 წ. 1448-5074);* **ალხაზისშვილი ზურაბაი** – ქუთაისის მცხოვრები ვაჭარი, გულბუდახ ჩხეტიძემ იგი ხახუტასა და გუდია ყოფილ გაიანეს საალაპედ შესწირა კაცხის მონასტერს და დაუწერა გამოსაღები: ოთხი ლიტრა სანთელი, ნახევარი ჩარექი საკმელი *([1610-1630 წ.წ.] 51-52);* **ალხაზისშვილი ჯავჯანა** – სულეიმან ბატონიშვილის მიერ რევაზ მაღალაძისათვის ბოძებული ნასყიდობის წიგნის თანახმად, მას მიუყიდია შერმაზან რჩეულიშვილისათვის ხოზანა მონასელიძე და მისი შვილები: ლაზარე, ზაქარია და ელისბარი *(1686 წ. ად-1757).*

რუსეთის მთავრობამ აზნაურებად ცნო და 1850 წლის 6 დეკემბერს ხავერდოვან საგვარტომო წიგნში შეიტანა: **ალხაზიშვილი ნიკოლოზ გიორგის ძე, მისი ძმები: ელიზბარი, იაკობი; ნიკოლოზ დავითის ძე, მეუღლე მისი სალომე, ვაჟიშვილები: ივანე, ილარიონი, ფილიმონი, ქალიშვილები: ირინე, ალათი, ბარ-**

ბარე; ივანე დავითის ძე, მეუღლე მისი ელენე. ვაჟიშვილები: ონისიმე, კონ-სტანტინე, ალექსანდრე. ქალიშვილი ივლიტა“ 320–322, გვ. 64). ამათ გარდა აზნაურობის ხარისხში იმავე 1850 წლის 6 დეკემბერს დაუმტკიცებიათ და საგვარტომო წიგნში შეუტანიათ: „რიგითი ნომერი 1017. ალხაზიშვილი ქაიხოს-რო გაბრიელის ძე, მეუღლე მისი ანა. ვაჟიშვილები: პრაპორშჩიკი იაკობი, ვასილი, პავლე, ნიკოლოზი, გაბრიელი, ქალიშვილი ელისაბედი; 1018. გუბერნიის მდი-ვანი გრიგოლ ივანეს ძე მეუღლე მისი თინათინი. ვაჟიშვილები: ივანე, ალე-ქსანდრე. ქალიშვილები: კეკელა, ნინო; 1019. სოლომონ გრიგოლის ძე, მეუღლე მისი ელისაბედი. ვაჟიშვილი ნიკოლოზი, სოლომონის ძმა გიორგი; 1020. სვი-მონ სააკის ძე მეუღლე მისი დარეჯანი. ვაჟიშვილი მიხეილი; 1021. სააკ ისე-ვის ძე, ძმა ალექსი; 1022. კოლეჟის რეგისტრატორი ლაზარე პეტრეს ძე მეუღლე მისი ანა. ვაჟიშვილები: პეტრე, მოსე. ქალიშვილები: ელისაბედი, ელენე; 1023. ფარსადან დავითის ძე მეუღლე მისი თინათინი. ვაჟიშვილი ზაქარია, ქალიშვილი სოფიო; 1024. დავით იაგორის ძე მეუღლე მისი ეკატერინე; 1025. სვიმონ ქაიხოს-როს ძე მეუღლე მისი ანა. ვაჟიშვილი დავითი. დავითის ვაჟიშვილები: ლუარსაბი, მალხაზი; 1026. ივანე ქაიხოსროს ძე მეუღლე მისი მაგდანა. ვაჟიშვილები: ქაიხოსრო, იოსები, სვიმონი. ქალიშვილი ანა; 1027. რამაზ დავითის ძე“.

ალხაზიშვილების გვარმა არაერთი გამოჩენილი პიროვნება მოგვცა. მათ შორის



ალხაზიშვილი გიგი ივანეს ძე, მწერალი, გამომცემლობა „მერა-ნის“ დირექტორ-გამომცემელი. სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. დაიბადა თელავში 1944 წლის 26 მაისს. მშობლები: იზა კაპანაძე, ივანე ალხაზიშვილი. მეუღლე – ქეთევან მასხარაშვილი (1948). შვილები: მარიამი (1969), ლაშა (1976). დაამთავრა თსუ-ს ფილოლოგი-ის ფაკულტეტი (1969). იყო ჟურნალ „ცისკრის“ კრიტიკისა და პუბ-ლიცისტიკის რედაქციის, პოეზიის განყოფილებების გამგე, გამომ-ცემლობა „მერანის“ მთავარი რედაქტორი (1989–99). არის გამომცემლობა „ლომი-სის“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი 1990 წლიდან. კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის ლიტერატურული დაოსტატების სახელოსნოს ხელმძღვანელი (1997 წლიდან). გამომცემლობა „მერანის“ დირექტორ-გამომცემელი (1999 წლიდან). არის „რჩეულთა ბიბლიოთეკის“ დამაარსებელი და რედაქტორ-გამომცემელი (რ. ჩხეიძესთან ერთად). ავტორია წიგნებისა: „დიალოგი ფიქრში“ (1981), „შენ ყოვე-ლივეს ხედავ, ცაო“ (1985), „გული ანათებს“ (1989), „სინათლე წვეთში“ (1996), „გამოსვლა უდროობიდან“ (1998), „ერთტომეული“ (1998), „ამოდის თუ ჩადის მზე?!“ (რომანი, 1999), „სოდომიდან სოდომამდე“ (რომანი, 1999). თარგმნილი აქვს ფეტის, სოლოვიოვის, ბელის, ა. ბლოკის, ე. რილკეს, ჰაინესა და სხვათა ლექსე-ბი. აქვეყნებს ლიტერატურულ-ესეისტურ ოპუსებს. არის საქართველოს მწერალთა კავშირის პრემიის (წიგნისათვის „სინათლე წვეთში“, 1996), აკ. წერეთლის პრე-მიის (პოეტური კრებულისთვის „გამოსვლა უდროობიდან“, 1998) ლაურეატი,

საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი (1974).



**ალხაზიშვილი იაკობ ქაიხოსროს ძე**, ინფანტერიის გენერალი (1891 წ.). მონაწილეობდა რუსეთის არმიის თითქმის ყველა იმდროინდელ ლაშქრობაში (დაიბადა 1826 წ. გარდაიცვალა 1896 წ.წ.). 1874 წელს მიიღო გენერალ-მაიორის ჩინი და დაინიშნა კავკასიის ქვეითი ბრიგადის მეთაურად. 1877 წლის 13 ივნისს ი. ალხაზიშვილმა გურიის, იმერეთისა და ენგურის რაზმებით ილორთან ბრძოლაში დაამარცხა ოსმალთა დიდი დესანტი, რომელმაც საფრთხე შეუქმნა დასავლეთ საქართველოს. 15 ივნისს ოჩამჩირის მახლობლად მან კიდევ ერთი დარტყმა მიაყენა უკუქცეულ მტერს და 20 აგვისტოს ბრძოლით დაიკავა სოხუმი. მონაწილეობდა ალაჯის ბრძოლაში. რუსეთის არმიის მიერ ყარსის ციხესიმაგრის გარემოცვის დროს იერიშით აიღო ორი ფორტი და ქუთაისის ქვეითი ათასეულით ქალაქში ერთ-ერთი პირველი შეიჭრა. ბრძოლაში გამოჩენილი სიმამაცისთვის ი. ალხაზიშვილს გენერალ-ლეიტენანტის ჩინი მიენიჭა. შემდეგ იგი მეთაურობდა კავკასიის 41-ე ქვეით დივიზიას (1878 წ.), კავკასიის გრენადერთა დივიზიას (1883 წ.), კავკასიის მე-3 საარმიო კორპუსს (1885 წ.). 1894 წლიდან სიკვდილამდე იყო რუსეთის სამხედრო საბჭოს წევრი.



**ალხაზიშვილი ილია სოლომონის ძე** (1853–1921 წ.წ.), პროვიზორი, საზოგადო მოღვაწე და ლიტერატორი. დაიბადა ქიზიყის სოფ. ზიარში. მამამისი იყო ყმა გენერალ სიმონ შალიკაშვილისა (დაღესტნის სამხედრო ყოფილი), რომელმაც შემდეგში იკისრა ილია ალხაზიშვილის აღზრდა. პირველად ანბანი ისწავლა გურჯაანში ოსანესა დალაქის ცოლთან, რომელსაც წერის სასწავლო ნივთებად შემოღებული ჰქონდა ქვაბის მური და ხარის ბეჭი. შალიკაშვილის სიკვდილის შემდეგ დამოუკიდებლად იკაფავს გზას სწავლისაკენ: ჯერ იყო ვეჯინში, მღვდლის ოჯახში, მერე გურჯაანის სამრევლო სკოლაში, შემდეგ მას ვხედავთ გორში, გერმანელი შვეის აფთიაქში მოწაფედ. აქ ყოფნისას უკვე საბოლოოდ ყალიბდება, როგორც პიროვნება და მომავალი ცხოვრების მიზნად ისახავს აფთიაქრად გახდომას. მის განსახორციელებლად იგი იჩენს საოცარ შრომისმოყვარეობას და შეუდრეკელ ენერგიას. ხელმოკლეობის გამო მას არ შეეძლო სამაზრო სასწავლებლის გათავების მოწმობა წარედგინა ოფიციალურად აფთიაქის მოწაფის წოდების მოსაპოვებლად. იგი ჩამოდის თბილისში, სწავლობს ფერშლობას (ექიმის თანაშემწეობას), ორი წლის მეცადინეობის შემდეგ აბარებს სათანადო გამოცდებს და 1872 წელს ინიშნება ფერშლად ჯამაგირით ქ. ახალქალაქში, რომელსაც იგი ამიერიდან მჭიდროდ და განუყრელად უკავშირდება. 30 წლისა ძლივს ახერხებს თავის პატარაობიდანვე სანუკვარი ოცნების განხორციელებას: 1883 წელს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სათანადო გამოცდების ჩაბარების შემდეგ მან მოიპოვა აფთიაქის მოწაფის წოდება და მეგობართა დახმარებით

ახალქალაქშიც შეიძინა პატარა აფთიაქი. 1889–91 წლებში ეხედავთ ხარკოვის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის თავისუფალ მსმენელად. 1891 წელს მან მიიღო პროვიზორის დიპლომი (განსაკუთრებული ქებით) და უმაღლესი ცოდნით აღჭურვილი, კვლავ უბრუნდება ახალქალაქის აფთიაქს, სადაც დაჰყო სიკვდილამდე.

ახალგაზრდობიდანვე შეთვისებული ჯავახეთთან, უახლოვდება მოსახლეობას, აგროვებს მასალას არა მარტო თავისი სპეციალობით, არამედ იმასაც, რაც მის საქმიანობასთან უშუალოდ არაა დაკავშირებული., მაგრამ ესოდენ მნიშვნელოვანი და საინტერესოა ეროვნული კულტურის თვალსაზრისით და ცალკე წერილების სახით აწვდის მკითხველ საზოგადოებას თავის შინაარსიან კორესპონდენციებში. 1870–იანი წლებიდანვე არკვევს მივიწყებული ჯავახეთის ცხოვრება-მდგომარეობას, ამახვილებს საზოგადოების ყურადღებას ამა თუ იმ ისტორიული ძეგლის არსებობის საფრთხის გამო და ამასთან ერთად სიყვარულით აღწერს იქაურ ზნე-ჩვეულებებს, აგრეთვე არქეოლოგიური ნაშთების აღწერილობას. მის ურიცხვ ნაწარმოებთა შორის დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმეს

„ბუნება და ცხოვრება“ (1897 წ.), „მტკვარი, ჭოროხი, რიონი“ (1912–14 წ.წ.), „სამკურნალო მცენარენი საქართველოში“ (1899 წ.), „ვარძიის მონასტერი“ და სხვ. ი. ალხაზიშვილს წვლილი მიუძღვის ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემუშავებაში: „საანატომიო და საფიზიოლოგიო ტერმინები“, 1913; „ქართული ენა და სამეცნიერო ტერმინოლოგია“, 1915 წ.; „ბუნების ლექსიკონი“, 1916 წ.; მისი თაოსნობით რამდენიმე სოფელში გაიხსნა სკოლა და ბიბლიოთეკა-სამკითხველო, ახალქალაქში – ქართული გიმნაზია. უშუალოდ თავის სპეციალობაში შეგროვილი და ანბანზე განლაგებული აქვს ორი ათასზე მეტი სიტყვა.



**ალხაზიშვილი შალვა ილიას ძე** (1899) ქართველი კრიტიკოსი, ხელოვნებათმცოდნე. საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1967 წ.). შ. ალხაზიშვილის კრიტიკულ-თეორიული წერილები ლიტერატურისა და ხელოვნების აქტუალურ საკითხებზე იბეჭდებოდა იმდროინდელ პრესაში (*ჟურნ. „ლიტერატურა და სხვა“, „მნათობი“, „მემარცხენეობა“, „საბჭოთა ხელოვნება“*). შ. ალხაზიშვილი თანაავტორია კინოფილმებისა „საბა“ (1928 წ.), „საკანი 79“ (1932 წ.) სცენარებისა (*ქსე. ტ. 1. თბ. 1974. გვ. 346*).

**ამანათაშვილი–მძევალიშვილი. ამანათაშვილი.** გვარი ნაწარმოებია საკუთარ სახელად ქცეული სიტყვიდან **ამანათი** (არაბ.)

1. შეკრული-შეფუთული ნივთი, რომელიც სადმე იგზავნება. 2. (ძვ.) იგივეა, რაც მძევალი (მნიშვ.).

**ამანათაშვილების შტო–გვარია მძევალიშვილი.**

წალკის რაიონში ქართველი ამანათაშვილები **ამანათოვებად და ბერძნებად**

**ამანათაშვილი – 138**
თბილისი – 72,
ბორჯომი – 19,
ქუთაისი – 8.
**ამანათოვი – 66**
თბილისი – 31,
ქუთაისი – 18,
ჩოხატაური – 7).
**ამანატოვი – 69**
თბილისი – 30,
მცხეთა – 1,
წალკა – 18.
**მძევალიშვილი – 23**
თბილისი – 11,
მცხეთა – 12.

არიან ჩაწერილები.

ამრიგად, **ამანათაშვილი და მძევალიშვილი (მძევლიშვილი)** ერთიდაიგივე გვარსახელია.

**ამატაკიშვილი** გვხვდება ფორმით **ამატაკისშვილი//ამატაკიშვილი** წარმომდგარია საკუთარი სახელისგან **ამატაკ** *(სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები. თბ., 1961. გვ. 172: შდრ. ამატაკ-ი (ქ. ცხ. II. 158).]*

ამატაკისშვილები ჯაყელების წინააღმდეგ ამხედრებულ დიდ ფეოდალებს შორის, როგორც მეთაურები, ისე მოიხსენიებიან. **„როცა ოლადის ქვაბიდან იასონ ბედანისშვილმა აცნობა კოკოლა ვარაზაშვილსა და მის ძმასა ლაშქარასა და მის ბიძას გურგაქს, მათ თან ეახლნეს ამატაკისშვილის როსტომის შვილი ამატაკ და ანდუყაფარ, მათი ძმისწული როსტომ და ამატაკის ვაჟი სეხნიანი"** *(სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები. თბ. 1961. გვ. 43).*

ამატაკისშეილები სამცხის თავადების იმ ჯგუფს ეკუთვნიან, რომელიც შეტანილია „მცხეთის ეკლესიისა ჯაყელთაგან საქონებელ და სამწყსო თავადთა" ცნობილ სიაში [ად:91]: „ამატაკიანნი ანუ ამატაკისშვილნი ხსენებული სიაში ხერთვისართა და „ქამქამისძისა ეულთა ზედა" დამკვიდრებულად არიან ჩაწერილნი (მხ. 12). „ხერთვისარნი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა ქამქამისძისა ეულზედა არიან, ამატიკიანთა აქუს". ამ საბუთით ირკვევა, რომ ხერთვისართ ქამქამისძეთა შემდეგ დაუპყრიათ ხერთვისის მამული, ხოლო ხერთვისარნი ამატაკის შვილებს შეუცვლიათ *(იქვე. გვ. 34).*

„მესხური მატიანეში" მოიხსენიებიან: **ანდუყაფარ, ამატაკი, არიფაქსად, როსტომ და სეხნია ამატაკისშვილები.**

აღმოსავლეთ საქართველოს საბუთებში გვხვდება: **თამაზ ამატაკიშვილი** – ზურაბ სახლთუხუცესს მან მისცა პირობა, რომ სვიმონ მეფის ბრძანების თანახმად, აღარ მოხნავდა აგუდანურ მიწას (1595 წ., VIII. II. 1448–2233); **თამაზ ამატაკისშვილი** – ყორჩიბაში, პყავს შვილები: **უდუდუ და გირგელდ.** თეიმურაზ მეფემ მას დაუმტკიცა ადრე ნაწყალობევი ასლამაზისეული მამულები: უჯარმას, ბეწეწურის, სათილანსა და საბუეს, სამაღრანს, უტნისსა და ჯანანანს, ციხისთავისეული მამული, ლანუხს–ასაფასეული სასახლე, მუშიანს – მარიამ ბატონიშვილისეული მამული, კეთურს – თვალასეული მამული, ჯინჯიხარში – ადრე ნაწყალობევი მამულები, ბაზარში – ებრაელები: იაუდა და მოშეგულა 1616 წ. შდ–14679) *(პირთა ანოტირებული ლექსიკონი. I. გვ. 109–110).*

**ამაღლობელი. ამაღლება, ქრისტიანული დღესასწაულის, აღდგომის მეორმოცე დღეს იმართება ქრისტეს ზეცად ამაღლების აღსანიშნავად.**

როგორც სახარება გადმოგვცემს, აღდგომის მეორმოცე დღეს ქრისტე

**ამაღლობელი 839**
**სამტრედია – 256,**
**თბილისი – 146**
**შუახევი – 131.**

მოწამეთა თვალწინ ამაღლდა ზეცად. ამაღლების დღესასწაული IV–V საუკუნეებში საყოველთაო გახდა ქრისტიანული ეკლესიისათვის. ეს დღესასწაული იხსენიება ეკლესიის მამებთან (გრიგოლ ნოსელი, იოანე ოქროპირი და სხვ.). გარკვეული არ არის, ამაღლებიდან ჯერ გვარი ამაღლობელი წარმოსდგა, თუ სოფელი ამაღლება (მდებარეობს ქასის რაიონში).

რუსეთის მთავრობამ აზნაურებად ცნო და 1850 წლის 6 დეკემბერს საგვარეულო წიგნში შეიტანა:

**ამაღლობელი იესე დავითის ძე** (პრაპორშჩიკი). მეუღლე მისი ლორსა. ვაჟიშვილები: დავითი, სოლომონი. ქალიშვილები: ასპიროზა, მზეხა, ფუნდუკა; დავითის მეუღლე აფელინა; ესე ზურაბის ძე; ზაალ გიორგის ძე, ვაჟიშვილი ბექო, ბექოს მეუღლე ჯუფა. ქალიშვილი მზეხა; ნიკოლოზ გიორგის ძე, მეუღლე მისი ჯუფა. ვაჟიშვილები: მალხაზი, სიმონი, გიორგი. ქალიშვილები: ეკა, პელაგია, ტისინა; ივანე გიორგის ძე მეუღლე მისი მარფა; სიმონ პაპუას ძე ვაჟიშვილები: ბიჭია, ალექსანდრე. ბიჭიას მეუღლე თათია. ვაჟიშვილი ყარამანი; გლახუა ბეჟანის ძე, მეუღლე მისი მართა. ქალიშვილები: ელისაბედი, მართა; სიმონ ზაალის ძე, მეუღლე მისი ელისაბედი; ტარიელ დავითის ძე, მეუღლე მისი ელისაბედი. ვაჟიშვილები: დავითი, ლუარსაბი; ბიჭია გლახუნას ძე, მისი ძმა არჩილი, დედა ხვახვა; ალმასხან სიმონის ძე, მეუღლე მისი ირინე. ვაჟიშვილები: ივანე, იასე, ნესტორი; ზურაბ მიქელას ძე, ძმა არჩილი, და ელისაბედი; მერაბ დავითის ძე მეუღლე მისი ელისაბედი. ვაჟიშვილები: ფარნაოზი, დავითი. ქალიშვილი რუსუდანი; დავით გიორგის ძე მეუღლე პელაგია. ვაჟიშვილი გიორგი. დავითის ძმა ივანე; კონსტანტინე გიორგის ძე, მისი ძმები: ტარიელი, დავითი. მათი და მართა. დედა მარიკა; ეგნატე სიმონის ძე, მეუღლე გულქანა. ვაჟიშვილი სიმონი. ქალიშვილები: გულქანი, ელისაბედი, დარეჯანი. თომა ოქროს ძე. მისი და ეკა. დედა დარეჯანი; სიმონ გიორგის ძე მეუღლე მისი მარინე. ვაჟიშვილები: გიორგი, ბეჟანი. ქალიშვილები: მელანო, დოდო, პელაგია; ლევან დავითის ძე მეუღლე მისი მაკრინე. ვაჟიშვილები: ბესო, ამირანი. ქალიშვილი ნინა.

ქართულ ენციკლოპედიაში შეტანილია არიან:



**ამაღლობელი სერგო ივანეს ძე** (სოფელ ამაღლებიდან), თეატრალური მოღვაწე, კრიტიკოსი, დრამატურგი. 1924–28 წლებში ლექციებს კითხულობდა თსუ-სა და თბილისის კონსერვატორიაში. 1925 წელს იყო შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორი, 1926–27 წლებში – სახკინმრეწვის დირექტორი. 1928–36 წლებში სათავეში ედგა მოსკოვის სხვადასხვა შემოქმედებით დაწესებულებებს. რუსულ ენაზე დაწერა რამდენიმე პიესა: „კარგი ცხოვრება“ (1934 წ.) (დადგა მოსკოვის მეორე სამხატვრო თეატრმა). „ჩემი ქვეყანა“ და სხვა. ს. ამაღლობელის მნიშვნელოვანი ნაშრომებია: „თეატრისა და კინოს პრობ-

ლემები". თბ., 1928; მოსკოვში რუსულ ენაზე გამოცემული „ქართული თეატრი" (1930 წ.); „დიდი ბრძოლების დრამატურგია" (1933წ.); „მცირე თეატრი" (1935 წ.) *(იხ. ქსე. ტ. I. თბ., 1974. გვ. 350).*



**ნოდარ ამაღლობელი,** საქართველოს პარლამენტის დეპუტატი. მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, აკადემიის პრეზიდიუმის წევრი. მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა თბილისში 1930 წლის 24 აგვისტოს. მშობლები: **ნინო ჯაფარიძე, სარდიონ ამაღლობელი;** მეუღლე – **მერი გეთია** (1934); შვილები: **არჩილი** (1961–92, დაიღუპა აფხაზეთში), **ნინო** (1966). დაამთავრა თსუ ბიოლოგიის ფაკულტეტი (1953). იყო ქ. დუბნის ბირთვული კვლევის გაერთიანებული ინსტიტუტის ასპირანტი. არის საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი ამავე ინსტიტუტში. თსუ მაღალი ენერგიის ფიზიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, პრორექტორი სამეცნიერო დარგში (1981–85), რექტორი (1985–91), მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი (1980–96), პარლამენტის წევრი, განათლების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე (1995–99). არის პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე (1999 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. არის 150-ზე მეტი ნაშრომისა და გამოგონების ავტორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1986).

**დანართი:** ამაღლობელი. შუახევის რ-ნის ჭვანაში ცხოვრობენ. კარგი მევენახეები არიან. სახლობენ ქობულეთსა და ბათუმშიც, ვანის რ-ნში.

აღდგომიდან მე-40 დღეს აღინიშნებოდა ამაღლება. ამ დროს ხატში ან ეკლესიაში გადიოდნენ. თუშეთში ამაღლება მიცვალებულთა მოსახსენიებელი დღე იყო, ყველა სასაფლაოზე შლიდა სუფრას. ხულოს რაიონის გადარჩენილი სხალთის ტაძრის ზონის სოფელ ძმაგულაში შემონახულია ტოპონიმები **ამაღლება, ნასაყდრევი, მოხარული, ნაფუძარი** და სხვა.

ქობულეთელთა აკადემიკოსი **ნოდარ ამაღლობელი,** მისი ძმა **თამაზი** აჭარის მთავარი სახელმწიფო სანიტარული ექიმია, ღირსეული კაცი და ხელმძღვანელი. **დავით ამაღლობელი** ბათუმის ავტოდიაგნოსტიკური სადგურის უფროსია *(იოსებ ბექირიშვილი. გ. 21.).*

| |
|---|
| ამაშუკელი 617 |
| თბილისი – 449, |
| ხარაგოული – 24, |
| ხაშური – 19. |

**ამაშუკელი.** ძირძველი ქართული გვარსახელია. წარმომდგარია ტოპონიმიდან **ამაშუკეთი** (სოფელი ხარაგოულის რაიონში). XVIII ს-ში მოიხსენიებიან: **ვაჩე და ნინია ამაშუკელები** *(ვ. მეტრეველი. მასალ., 23. 111).*

რუსეთის მთავრობამ აზნაურებად ცნო და საგვარტომო წიგნში შეიტანა ამაშუკელთა შემდეგი ოჯახები: **ბესარიონ ივანეს ძე, მეუღლე მისი ირინე,** ვაჟიშვილები: **გიორგი, გრიგოლი, სიმონი,** ქალიშვილები: **ტასო, ანასტა-**

სია, ელისაბედი; მურზაყან ოქროპირის ძე, მეუღლე მისი სალომე. ქალიშვილები: მარიამი, ეკატერინე, თეკლე, კატო. მურზაყანის ძმა გლახუა. მისი მეუღლე მართა; გიორგი დავითის ძე, მეუღლე მისი ელენე. ვაჟიშვილი დავითი. მისი მეუღლე ჯუფარა. ვაჟიშვილები: ქაიხოსრო, გურამი, როსტომი; ფარსადან ბეჟანის ძე, ვაჟიშვილი ყაფლანი. ქალიშვილები: სალომე, სოფიო. ყაფლანის მეუღლე ტიტა. ქალიშვილი ირინე; გედევან როსტომის ძე, მეუღლე თათია. ვაჟიშვილები: ყარამანი, ჯავახი, ვახტანგი. ქალიშვილი ნატო; ლევან ბესარიონის ძე, მეუღლე მისი გულქანა. ვაჟიშვილები: კოხტა, იასე, ხახული, დავითი. ქალიშვილი როდამი. კოხტას ვაჟები: გიორგი, კაცია. იასეს მეუღლე მართა. ვაჟიშვილები: პეტრე, ევგენი. ქალიშვილი ფიცხელა. ხახულის მეუღლე მართა. ქალიშვილები: იელიტა, დარო, მართა. დავითის მეუღლე მართა. ვაჟიშვილი ალექსი; ნარიმან როსტომის ძე მისი ძმა ხუცია. დავით გიორგის ძე, მეუღლე მისი მარიამი. ვაჟიშვილები: იოსები, გოგია, დარისპანი, დიმიტრი, ოქროპირი, ნიკოლოზი, გრიგოლი. ქალიშვილი კეკელა. იოსების მეუღლე ეკატერინე. ვაჟიშვილი კონსტანტინე; სოფრომ ავთანდილის ძე, მეუღლე მისი ანა. ვაჟიშვილი თედორი. ქალიშვილი ფედოსია; ლუარსაბ ზაალის ძე, მეუღლე მისი მაია. ვაჟიშვილი ირაკლი. ქალიშვილები: ასინეთა, კესარია; ივანე ბეჟანის ძე, მეუღლე მისი ნინა. ვაჟიშვილები: ბიჭია, სოლომონი, ნიკოლოზი, ქაიხოსრო. ქალიშვილი ფატინა. ბიჭიას მეუღლე ელისაბედ; გიორგი ბეჟანის ძე, მეუღლე მისი სალომე. ქალიშვილი იელიტა; როსტომ მამუკას ძე, მეუღლე ქეცა. ვაჟიშვილი ჯიბრაილი. ქალიშვილი თეკლე. როსტომის ძმები: იულონი, მანუჩარი, მალხაზი. მანუჩარის მეუღლე მაია. ვაჟიშვილები: სიმონი, მელქისედეკი, ნიკოლოზი. ქალიშვილი კეკელა; ნიკოლოზ იესეს ძე, მეუღლე მისი მაგდანა. ძმები: მეთოდე, ივანე, რევაზი. დები: ფატიმანი, ანტონია; ილია ზურაბის ძე, მეუღლე მისი მზეხათუნა. ვაჟიშვილები: მირზაბეგი, ლუკა, ჯიბრაილი, სამსონი, დიმიტრი. ქალიშვილი ელისაბედ; ბიჭია ზურაბის ძე, მეუღლე მისი ეკატერინე; ნიკოლოზ სიმონის ძე, მეუღლე მისი ანა. ვაჟიშვილები: მალხაზი, ზურაბი. ქალიშვილები: ნატო, პელაგია; სიმონ როსაბის ძე, მეუღლე მისი მართა. ვაჟიშვილები: ანდუყაფარი, შამშე. ბერი როსაბის ძე, მეუღლე მისი ანუსია, ვაჟიშვილები: ანდრო, ანტონი, ნესტორი. ქალიშვილი მარიამი; ამირან ქაიხოსროს ძე, მეუღლე მისი ვარდო. ვაჟიშვილები: ბესო, თეიმურაზი. ქალიშვილები: სიდონია, ესაკია; ლევან ქაიხოსროს ძე, მეუღლე მისი ნინა. ვაჟიშვილები: ალმასხანი, ჯავახი, ეფრემი. ქალიშვილები: მაკრინე, მზეხათუნა; მურაზ იესეს ძე, ვაჟიშვილები: გიორგი, თათუა; გარსევან მურაზის ძე, მეუღლე მისი ეკა. ვაჟიშვილი ზურაბი. ქალიშვილი მარიამი; კაცია ტარიელის ძე, ძმა სარიდონ; ალექსი სპირიდონის ძე, მისი ძმები: მიხეილი, როსტომი. მათი დები: გაიანე, ირინე. გუბერნიის მდივანი სოკრატე ბეჟანის ძე, მეუღლე მისი ეკატერინე. ვაჟიშვილები: ვასილი, ალექსანდრე.

ამაშუკელთა გვარიდან ენციკლოპედიაში შეტანილი არიან:



**ამაშუკელი ელგუჯა დავითის ძე**, მხატვარ-მოქანდაკე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სახალხო მხატვარი (1965 წ.).

დაიბადა თბილისში 1928 წლის 22 ივნისს. მშობლები: ქეთევან ამაშუკელი, დავით ამაშუკელი. მეუღლე – ლია სტურუა (1939). შვილი – ეკა (1968). დაამთავრა თსსა ქანდაკების განყოფილება (1955). იყო საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე (1981–96). სსრკ მხატვართა კავშირის მდივანი (1984–89).

ავტორი ნამუშევრებისა: ბარელიეფი „თბილისის 1500 წელი“ (1958 თბილისი); „ქართლის დედა“ (1963, თბილისი, შ. რუსთაველის სახ. სახელმწიფო პრემია, 1966); „დიდების მონუმენტი“ (1967, ფოთი); „კოლხი დედა“ (1968 ფოთი); „დაჭრილი არწივი“ (1970); „თავისუფლების ძეგლი“ (1979, გორი); „მეზღვაურთა მემორიალი“ (1979, ფოთი); „აბანოს ნიშნი“ (1980); „ფიროსმანის კედელი – ძველი თბილისი“ (1983); „სიმბოლო-ძეგლი „საქართველო“ (1981, ლუქსემბურგი); „მოყმე და ვეფხვი“ (1982, თბილისი); „დედა ენის ძეგლი“ (1984, თბილისი);

მეტროს სადგურების: რუსთაველი, აკაკი წერეთელი მხატვრული გაფორმება; მთაწმინდისა და დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა სამარხთა კომპოზიცია; რელიეფი თბილისის შესასვლელთან. აგრეთვე ძეგლებისა: ვახტანგ გორგასალი (1967 თბილისი); რ. ერისთავი (1974, თბილისი); ნ. ფიროსმანი (1975, თბილისი); დ. აღმაშენებელი (1994, ქუთაისი); მ. აბაშიძე (1998, ბათუმი); ივ. ჯავახიშვილი (1999, ფოთი); ჯ. გუნია (1996, თბილისი); ც. დადიანი (1997); მ. აბაშიძე (1998, ბათუმი, თბილისი); ივ. ჯავახიშვილი (1999, ფოთი); მეფე ფარნავაზი (2000, თბილისი).

30-მდე წიგნის მხატვარი (ვაჟა-ფშაველას ხუთტომეული, „ხალხური საუნჯე“ და სხვ.).

გამოქვეყნებული აქვს სტატიები საქართველოსა და უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებში. არის ავტორი წიგნებისა: „მეტქსე გრძნობა“ „სოვეტსკი ხუდოჟნიკ“. მ., 1981); „წერილები ხელოვნებაზე“ (თბილისი, 1988); „დრო და შემოქმედი“ (მერანი“, თბ., 2000). იყო თბილისის საპატიო მოქალაქე (1977). სსრკ სახალხო მხატვარი (985). მისი ბიოგრაფია შეტანილია საქართველოს, რუსეთის, უკრაინის, სომხეთის, ბულგარეთის, უნგრეთის ენციკლოპედიებში, აღიარებულია 1998 და 1999–2000 წლების ადამიანად. გარდაიცვალა 2002 წელს.



**ამაშუკელი ვასილ (ვასო) იაკობის ძე**, კინორეჟისორი და ოპერატორი, საქართველოს სახალხო არტისტი (1974 წ.).

ვ. ამაშუკელი პირველი ქართველი კინოდოკუმენტალისტია.

1908 წელს ბაქოში შექმნა ფილმები: „ქართველი სცენის მოღვაწენი“, „გუნიბის პოლკის აღლუმი კაპიტან ს. ესაძის მეთაურობით“, „ნავთობის ჭაბურღილებზე მუშაობა“, „ქვანახშირის

გადაზიდეა აქლემებით" და სხე.

1910 წელს ქუთაისში გადაიღო ფილმები: „გეირილობა", „ქ. ქუთაისის ხედები", „ქუთაისის საზოგადოება ბაგრატის ტაძრის ნანგრევებთან", „ფერმა სოფელ ჭყიშში", „ლადო აღნიაშვილ–მესხიშვილის იუბილე" და სხვა. მისი ნამუშევრებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ფილმი „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში" (1912 წ.), რომელიც ქართული დოკუმენტური კინოხელოვნების უნიკალური ძეგლია. ამ ფილმმა საფუძველი ჩაუყარა ქართულ დოკუმენტურ კინემატოგრაფიას.

**ამაშუკელი რევაზ ბიძინას ძე.** პოეტი. მისი ლექსები და პოემები იბეჭდება 1957 წლიდან. გამოქვეყნებული აქვს წიგნები (1964, 1967, 1970, 1974 წლებში). 1972 წელს მისი ლექსების კრებული გამოეიდა რუსულ ენაზე.

პოემისათვის „ძახილი" 1968 წელს მიენიჭა საქართველოს კომკავშირის პრემია *(იხ. ქსე. ტ. I. თბ., 1975. 350).*

**ამბა.** ამ გვარის ასეთნაირი ახსნა უნდა ჰქონდეს: **ამ** ფუძეა, ხოლო **ბა** სუფიქსი. შდრ: **ამძე, ამშვილი** უფრო სწორად **ამია, ამაია, ამუა.**

**ამ** და **იმ.** თითქმის **„ართორნად სიტყვათათვის მოსახლომებლად და საცნობელად ჟამთა და ცხოველთა, ვინათგან გვინდა სწავლება, ვეტყვით: ამ დღეს და ამ ჟამს იყო, გინა ამ კაცმა(ნ) მითხრა და ესევითარი".**

**ამ** (ნახეთ: **აამე, ამება, ამო, იამა, მამებელი, მამო, საამებელი, სიამე, სიამოვნება** *(საბა. 48)).*

| |
|---|
| **ამბალია – 69** |
| **ფოთი – 44,** |
| **ქუთაისი – 3,** |
| **წალენჯიხა – 1.** |

**ამბალია.** შდრ: მამაკაცის საკუთარი სახელი **ამბალი** *(პ. ინგოროყვა. სვანეთი. 2.135).*

კოშკი აღინიშნა ქარიატაში. გამოლმა ქარიატაში. სალურჯიოსა და საჯაბალუოს შუა ამბალიების მიკროუბანს ეწოდება საამბალიო.

1621 წლის საეკლესიო საბუთში დასახელებული არიან ხუცესი, ხუხუტა, და იეანე ამბალიები, ცხოვრობდნენ სოფელ ხორში (დღევანდელი ოხურეი გალის რაიონში), ქმარითათ აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა *(ქსძ. III. 425).* პირსახელი **ამბალ–ი** დაფიქსირებულია სვანეთის წერილობით ძეგლებში *(ქსს. 1986).* 1904 წლის აღწერის მასალებში დამოწმებულია **ამბალია** (5 კომლი ხორგაში). *(იხ. პ. ცხადაია. 51).*

**ამბარიშვილი||ამბარაშვილი.** შდრ: **ამბარი (ამბრისა)** (სპ.) დიდი ტევადობის სათავსო ხორბლეულის ან ფქვილის შესანახად, იგივეა, რაც ბეღელი; **ამბარი (ამბრისა)** (არაბ.) სურნელოვანი ნივთიერება *(ქეგლ., 24);* შდრ. საკუთარი სახელი **ამბარა.**

**ამბარასშვილი** – მის ფარდად ახალქალაქელი სტეფანაშვილები წილად ხვდნენ მოურავსა და ზურაბ სააკაძეს (XVIIს. ბოლო მეოთხედი).

ნ. ამბერსაძის გერბი



**ამბერსაძე**. საკუთარი სახელი ამბერკა, ამბერი, ამბრესი, შდრ: **ამბროსი** (ამბერი ბერძ) „დამყენებელი“ (ალ. ლლ. *72*)).

აზნაური, გენერალ-ლეიტენანტი **ნიკოლოზ დიმიტრის ძე ამბერსაძე** (1754–1814 წწ.). იმყოფებოდა რომანოვების სახლის სამსახურში. იმპერატორი პავლე პირველის მეფობის დროს იყო რუსეთის არტილერიის ინსპექტორი. არტილერიაში სამსახური დაიწყო 1770 წელს და მონაწილეობდა ომებში (1777–1775 წლებში) პუგაჩოვის (1783–85 წლებში და 1791–92 წლებში) კავკასიელ მთიელთა და (1794 წელს) პოლონელების წინააღმდეგ. 1797 წელს მიანიჭა გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება და დაინიშნა ყაზანში არტილერიის ბატალიონის შეფად. შემდგომ წელს – ორენბურგის საარტელერიო დივიზიის ინსპექტორად. იმავე წელს მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის წოდება. 1799 წელს არაკჩეევის გამოჩენას მოჰყვა ამბერსაძის დაწინაურება – 1799 წლის პირველ ოქტომბერს დაინიშნა მეფის რუსეთის იმპერიის მთელი არტილერიის ინსპექტორად. მაგრამ 1800 წლის 7 მარტს ამბერსაძე ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო, გადააყენეს თანამდებობიდან.

**ამბოკაძე – 395**
**თბილისი – 160,**
**ქარელი – 99,**
**გორი – 47.**

**ამბოკაძე**. შდრ: მამაკაცის საკუთარი სახელი **ამბაკო** და გვარი **ამბოკონაშვილი** (1467წ.).

**ამბრიაშვილი**. **ამბრიაშვილი**. გვარის ფუძეა მამაკაცის საკუთარი სახელი **ამბრია**. **ამბრია** – ჯავახიშვილების გლეხი, ჰყავს მამინაცვალი პაატა მალაციძე, ივანეს ედავებოდა სახლ-კარზე და მამულზე. ეს დავა გაარიგეს მდივანბეგმა როინ ჯავახიშვილმა და მისმა შვილებმა (1661 წ.).

**ამბრიაშვილი** – მის მიწამდე მიჰყიდა თაყუა დონდარაშვილმა ზაქარია ტლაშაძეს მამული (1666 წ.).

**ამბრიაშვილი ასათ** – მას უკანონოდ ჰქონია მითვისებული გარეჯის უდაბნოს კუთვნილი სოფელი ხოდაშენი. გიორგი მეფემ ეს სოფელი ისევ გარეჯას დაუბრუნა, ასათს კი „გაუცუდა“ საბუთები (1531 წ.).

**ამბრიაშვილი ბეჟან** – მოწმე ბერუკა იშახანაშვილის მიერ ყალანდარ თუმანიშვილისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა.

**ამბრიაშვილი** (ვარ. **ამბრისშვილი**) **გიორგი** – შვილი **ზაქარია ამბრიაშვილისა**, **ამბრიასშვილი გიორგი** – მოხსენიებულია ყმათა ნუსხაში.

**ამბრიაშვილი** (ვარ. **ამბრიასშვილი**) **ზაქარია** – 1625–1650 წწ. ატენელი, ჰყავს შვილები: **პაატა, პაპუნა, თათარა** (1625–1650 წწ.), *გიორგი* (1650 წ.), ბიძაშვილები: **იოანე, მახარა, ლომია ოქრუასშვილები** (1625 წ.). თავის ბიძაშვილს, იოანე

ოქრუასშვილს დაასება სადაო მამული და მისცა წედისელებს სანდერამდე. მათი დავა გაარჩიეს მდივანმა ბირთველ თუმანიშვილმა, იასაულბაშმა და თულბაშმა დოლმაზამ. საწედისო მიაკუთვნეს წედისელებს, ხოლო საატენო – ზაქარიას. როსტომ მეფემ განუახლა მას აგრეთვე სამკვიდრო სოფლის, კოტის წყალობა, რომელსედაც ზაქარიას თურქანი ეცილებოდა, გაუჩინა ხელახლა სანდერები: ბერისშვილის ახო და ჩუხტიაშვილის მიწა (1650წ.).

**ამბრიაშვილი** (ვარ. **ამბრისშვილი**) **თათარა** (ვარ. ნიათარ) – 1625–1666 წწ. შვილი ზაქარია ამბრიასშვილისა. იხ. მოწმე გრიგოლ ჩხუტიაშვილის მიერ ბატონ ანასათეის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1666 წ.).

**ამბრიაშვილი** (ვარ. **ამბრისშვილი**) **პაპუნა** – იასაული შვილი ზაქარია ამბრიაშვილისა. იხ.

**ამბრისშვილი გიორგი** – **იხ.** (**ამბრიაშვილი**) **გიორგი;**

**ამბრისშვილი ზაზარია** – **იხ. ამბრიაშვილი ზაქარია;**

**ამბრისშვილი თათარა** – **იხ. ამბრიაშვილი თათარა;**

**ამბრისშვილი პაატა** – **იხ. ამბრიაშვილი პაატა;**

**ამრისშვილი პაპუნა** – **იხ. ამბრიაშვილი პაპუნა;**

ამბრიაშვილი – 51
გორი – 37,
თბილისი – 14.

შდრ. ***ამბრაშვილი, ამბრისშვილი, ამბროაშვილი, ამბროაული.***

**ამბროლავა.** გვარის ფუძედ ჩანს მამაკაცის საკუთარი სახელი **ამბროლა.**

შდრ. ამავე ძირის გვარსახელი **ამბროლაძე, ამბროლიძე, ამბროლიანი,** დაბა ამბროლაური.

ზოგს ამბროლა საკუთარ სახელიდან **ამბროსი** ნაწარმოებად მიაჩნიათ. ჩვენი ვარაუდით შესაძლოა ფუძეში **ამბროლა ამ** პრეფიქსია, ხოლო **ბროლა** (ბროლიდან) ნაწარმოები სახელი (შდრ. **ბროლაძე**).

**ამბროლაძე–ამბროლიძე** ერთი და იგივე გვარად ჩანს. იხ. ამბროლიძე – მისგან ნაყიდი ერთი დღის მიწა გოგინა ბათუნასშვილმა მისცა პაპუნა მაღალაშვილს და მის ძმებს (1664წ.).

ამბროლიანი – 98
წყალტუბო – 32,
ცაგერი – 17,
წალენჯიხა – 6;
ამბრიაშვილი – 51
გორი – 37,
თბილისი – 14.
ამბროლიძე – 95
თერჯოლა – 58,
თბილისი – 15,
რუსთავი – 7.

ამბროლაძე – 984
ქუთაისი – 481,
თერჯოლა – 301,
თბილისი – 47

შდრ. **მათვალი ამბროლიანი** (1656–1660 წწ.). *(პალ., I. გვ. 112–113).*

**ამბროსაშვილი–ამბროსეშვილი–ამბროსიშვილი ამბროსაშვილი,** მომდინარეობს მამაკაცის საკუთარი სახელიდან ***ამბროს–ი,***

**ამბროსი** (ბერძ.) **„უკვდავი (ღმერთთა) წილხვედრი", „ღვთაებრივი". ამბროსა** – (1663–1667წწ).

**ამბროსასშვილი–ამბროსაშვილი–ამბროსათ. ამბროსაშვილი ამბროსა** – შვილი ამირა ამბროსაშვილისა.

**ამბროსაშვილი** (ვარ. ამირანაშვილი) გიორგი – შვილი ამირა ამბროსაშვილისა, ძმა პაპუნა ამბროსაშვილისა; **ამბროსაშვილის** (ვარ. ამირანაშვილი) მამუკა-შვილი ამირა ამბროსაშვილისა; **ამბროსაშვილი** (ვარ. ამირანაშვილი) პაპუნა – (1630. 1636-1643წწ.). პაპუს მამა ამირა ამბროსაშვილი. შდრ. ამბროსიშვილი, ამბროსეშვილი (პალ., I, გვ. 113–114).

იხ. ამბროსაშვილი–ამირანაშვილი. ერთი და იგივე გვარი უნდა იყოს.

შდრ. ამბროსი – ამბროსაშვილი, ამბროსიძე – ამბროსეშვილი. ამბროსი 1606–1615 წწ. ბერი, დიღმის წმინდა გიორგის ეკლესია და შესწირა მას ოთხი დღის საქენახე მიწა (1606–1615წწ.). **ამბროსეშვილი მახარობელი** – მონაწილეობა მიიღო ტოტუაშვილებისა და მანდეჟაშვილების აღაბნუსაშვილებთან დავის გარიგებაში (1648წ.).

| |
|---|
| ამბროსიშვილი – 86 |
| თბილისი – 12, |
| რუსთავი – 8, |
| თელავი – 3. |

**ამბროსიძე** – მცხეთაში ბერინაშვილს ჰქონია მისი ნაქონი მამული, რომელიც შემდეგ იოანე ჭარმაულს უწყალობა.

***ამბროსიშვილი*** – ერთი კომლი მისი შეწირულება ლუარსაბ მეფემ განუახლა თბილისის სიონს (1552წ.). (პალ., I, გვ. 114).

| |
|---|
| ამბროსიძე – 42 |
| თბილისი – 7, |
| ბოლნისი – 34. |

## ამბროლაურში ყველაზე მეტად გავრცელებული 50 გვარი:

1. კობახიძე 645
2. ჭელიძე 525
3. დგალი 330
4. ლომთაძე 295
6. ჯოხაძე 256
7. მელაშვილი 245
8. რეხვიაშვილი 244
9. კერესელიძე 237
10. ჯინჭარაძე 223
11. გაგოშიძე 216
12. რატიანი 205
13. დარახველიძე 199
14. მურუსიძე 197
15. გურგენიძე 196
167 მიქიაშვილი 196
17. მაისაშვილი 185
18. ჩალაძე 185
19. მეტონიძე 178
20. ლობჟანიძე 176
21. გოგობერიშვილი 165
22. სოხაძე 164
23. ბაკურაძე 154
24. კაციტაძე 153
25. ჯაფარიძე 153
26. ბოჭორიშვილი 149
27. ფრუიძე 145
28. დავითულიანი 144
29. ცხვედიანი 142
30. გაწაძე 140
31. კოკაძე 138
32. აბუთიძე 135
33. ტყეშელაშვილი 133
34. სირაძე 132
35. ლუხუტაშვილი 130
36. ჯველაძე 130
37. ქემოკლიძე 129
38. სანთელაძე 125
39. გაჩაძე 124
40. ჭიჭინაძე 124
41. ხუციშვილი 123
42. გოგსაძე 119
43. დოხნაძე 116
44. ბეშიძე 112
45. ჯმუხაძე 110
46. კანთელაძე 108
47. ჭარბაძე 106
48. ბუაძე 104
49. გორდეზიანი 102
50. შარაბიძე 98

**ამენალაისძე||ამანელისძე** უძველესი გვართაგანია. მათ ისტორია **არგვეთის ერისთავებად** იხსენიებს. შდრ. საკუთარი სახელი **ამუნასკირი. ამანელი** (ქცხ. II, 27).

**ამუნა** (პ. ინგოროყ., სვან. 2. 142);

**სკირი** (მეგრ.) შვილი, ძე, ასული.

ამავე ძირისაა **პაპას(ქ)კირი, კვეკვესკირი, წულეისკირი...**

ამანელისძეთა გვართან დაკავშირებით ო. სოსელია წერს:

**„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანში" მოხსენიებული დიდებული აზნაურნი „ამანელისძენი" თუ „ამონისძეც" ჩხეიძეთა გვარის ერთ-ერთ შტოდ გვევლინება.**

**ის გარემოება, რომ ამანელისძეს აღნიშნული წყარო თამარის დროის (1184–1213 წლები), ლიხთიმერეთის რომელიღაც კუთხის ერისთავად ასახელებს, საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ იგი ჩხეიძეთა გვარიდან მომდინარეობდა"** (ნარკვევები..., 30).

თამარის ისტორიკოსი ამანელის ძეს არგვეთის ერისთავად ასახელებს *(ისტ. და აზმანი შარავ.. გვ. 79. კეკელიძის გამოცემა).*

„მეგრელი ერ. შინ(ბაღვაში), სკირი (ამენალაისძე – ამუნასკირი), სვანურის და მეგრულის გათიშვის შემდეგ წარმოშობილია..." *(ნ. ბერძენ.. საქ. ისტ. საკ-ჰი. თბ.. 1990. გვ. 363).*

„.. მეგრელობა ფეოდალურ საქართველოში კულტურულად არ არსებობს. აქ ისეთივე ფეოდალური საქართველოა, როგორც მის მეზობელ გურიაში, ან სამოქალაქოში, თუ სხვაგან:

ქართული კულტურა ღრმად არის ხალხში გამჯდარი და თუ რომელიმე აფხაზეთში მხოლოდ თავადები ქართველდებიან (ანჩაბაძე, შარვაშიძე...), აქ ეს მთელს საერთო ტენდენციაა: თოფურიძე, ჯაქიძე, აფაქიძე, ჭორთოლძე, ჭილაძე, ... ამენალაისძე და სხვა ათასი..." *(ნ. ბერძენიშ.. იქვე. 601).*

ქართულ ენციკლოპედიაში აღნიშნულია:

„ამანელისძენი. XII–XIII საუკუნეების საქართველოს დიდგვარიანი ფეოდალები, არგვეთის ერისთავთერისთავები.

მათი გვარისა იყო დავით ნარინის მეუღლე თამარი.

როცა არგვეთის ერისთაობა ძველ მფლობელთა (ბაღვაშთა) შთამომავლობა კახაბერისძეებმა დაიბრუნეს, ამანელისძენი დაკნინდნენ და XIII საუკუნის შემდგომ საისტორიო წყაროებში აღარ იხსენიებიან"

*(ქსე. ტ.I თბ. 1974. გვ. 349).*

| | |
|---|---|
| **ამზაშვილი** | **20** |
| **თბილისი** | **13** |
| **თელავი** | **4,** |
| **ყვარელი** | **3.** |

**ამზაშვილი** შდრ. **ამზიაშვილი, ამზუაშვილი).**

**ამზა** და **ამზუა** მამაკაცის საკუთარი სახელებია. **ამზა** – მიჯას მცხოვრები (1537–1538 წ.).

# თავადი ამილახვართა გვარი



ემბლემა: წმ. გიორგი დროშაზე, საგვარეულო ჩექმა (ამილახვრების თანამდებობის სიმბოლო), მეფის საწოლში განგმირული ირემ ზევდგენიძე და ზემო ქართლის სადროშოს სარდლობის სიმბოლოები

ამილახვარი (ზევდგენიძე–ზედგინიძე–ზედგინიძე–გურამიშვილი–ხიდირბეგიშვილი–ტუსიშვილი–მეყანწიშვილი)

ამილახვრები მომდინარეობენ ზევდგინიძე–ზედგენიძეთა გვარიდან.

გვარის ძირია მამაკაცის საკუთარი სახელი ზედგინ (ზევდგინ). შდრ. ზედგინ – მოწმე პაპუნა დედაბრისშვილის მიერ მღვდელ ხანდარაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1696 წ.).

გვარი ზევდგინიძე–ზედგინიძე უფრო ადრე გვხვდება, ვიდრე მოტანილი სახელი გვაქვს დაფიქსირებული. ეს არ ცვლის საქმის არსს. იგულისხმება, რომ სახელი წინ უსწრებდა გვარს და იგი პატრონიმულ გვართა რიგს მიეკუთვნება.

**ზევდგინიძეთა გვარის განაყარი (შტო) გვარებია: გურამიშვილი, ხიდირბეგიშვილი, ტუსიშვილი, მაჩხანელი, მეყანწიშვილი...**

ზედგინიძეთა გვარი გვხვდება ფორმით: ზევდგინისძე, ზევდგინიძე, ზედგინიძე, ზედგინისშვილი, ზედგინიძენი.

მეჯინიბეთუხუცესობით თანამდებობის სახელწოდებიდან გაჩნდა გვარი ამილახვარი. ფლობდნენ საამილახვროს, სათავადოს, კასპისა და შერილოს ციხეებს და სამთავრისისა და შიომღვიმის მონასტრებს.

თავად ამილახვართა შვიდივე ძმა გარდაიცვალა თურქებთან ბრძოლაში მცხეთასთან ახლოს და დაკრძალული არიან მღვიმეს ველზე. თავად ამილახვართა გვარი შეტანილია 1783 წლის 24 ივლისს ხელმოწერილ გეორგიევსკის ტრაქტატზე დართულ თავად-აზნაურთა სიაში.

რუსეთის იმპერიამ თავადის ხარისხში ცნო და ტიფლისის გუბერნიამ უმაღლესის აღიარებით ქართულ საგვაროვნო წიგნის V ნაწილში 1825 წლის 20

ცხრილი 1

# თავადი ამილახვარები



სექტემბერს შეიტანა თავადი **ოთარი რევაზის ძე** ვაჟიშვილებით **რევაზითა** და **გიორგით** და მისი ძმა **ალათონიკ (აგაფონ) რევაზის ძე ამილახვრები (ამილახვარი)**. 1850 წლის 31 მაისისა და 1856 წლის 4 აპრილის სენატის გადაწყვეტილებით გვარეულობას მიაკუთვნეს თავადები **რევაზი და კონსტანტინე გიორგის ძე-ამილახვრები**.

უზენაესი გადაწყვეტილებით 1850 წლის 6 დეკემბერს საქართველოს თავადთა სიაში შეიტანეს თავად ამილახვართა თხუთმეტი ოჯახი (ორივე სქესის 81 კაცი). 1852 წლის 12 მარტის, 1856 წლის 9 იანვრის, 1858 წლის 12 მარტის, 1861 წლის 20 დეკემბრის, 1862 წლის 3-17 იანვრის, 1868 წლის 9 დეკემბრის, 1884 წლის 10 დეკემბრის დადგენილებით თავადების რიცხვში ჩათვალეს თავადები **ამირინდო ამირანისძე, დავით ლუარსაბის ძე, ალექსანდრე და ქრისტეფორე გიორგის ძე და გიორგი დავითის ძე ამილახვრები**. ყველა ისინი შეტანილი არიან ტიფლისის გუბერნიის საგვარეულო წიგნის V ნაწილში.

რუსეთში თავად ამილახვართა გვარს არ ჰქონდა უზენაესის მიერ დამტკიცებული საგვარეულო გერბი. საქართველოში ცნობილია ამ საგვარეულოს გერბის რამდენიმე ვარიანტი. არსებობს აგრეთვე გერბის ნახატი რომლის ავტორია ქართველი ბატონიშვილი თეიმურაზ გიორგისძე, იგი შესრულებულია 1845 წელს. თეიმურაზს ცოლად ჰყავდა თავადის ასული **ელენე ოთარის ასული ამილახვარი**.

№ 1 ცხრილში მოხსენიებულ თავად ამილახვრებიდან შედარებით ცნობილი არიან:

1. **ბარძიმი,** მოიხსენიება 1569–1581 წწ. 1578 წელს იყო ქართლის დიდებულთა შორის, ვახტანგ მუხრანბატონთან ერთად, მოლაპარაკებას აწარმოებდნენ თურქებთან, რომლებიც თავს დაესხნენ საქართველოს, რამაც გადაარჩინა საქართველო განადგურებისაგან. ირანის ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ მეფე სოლომონ I-მა ციხეში ჩაამწყვდია, გაანთავისუფლა დედოფლის ჩარევის შემდეგ. მას უნდა დაეთმო მეფისათვის ზოგიერთი მფლობელობა (კასპი და კარბი).

2.1 **პაპუნა** (? – 1625). მოიხსენიება 1605 წელს. დაქორწინებული იყო **თავად ვახტანგის ასულ თამარზე,** მეფე დაუთხანის დისშვილზე.

3.1. **თინათინი** (? – 1593), კახეთის დედოფალი, მეფე ალექსანდრე II-ის პირველი მეუღლე (1574). (? – 12. 03-1605).

4.2. **ანდუყაფარი,** მოიხსენიება 1603–1625. მსხვილი ფეოდალი, იყო სპარსული ორიენტაციის, მიიღო ისლამი. 1625 წლის მარტში შახის წინააღმდეგ გიორგი სააკაძის ამბოხების დროს მეუღლესთან ერთად შეიპყრეს საფურცლის პარკში და ჩაამწყვდიეს არშას ციხეში. მარაბდის ბრძოლაში (1625 წლის ივლისში) სპარსელების გამარჯვების შემდეგ გაანთავისუფლეს და სპარსელე-

ბისაგან მიიღო თავისი მფლობელობა. შუღლი ჰქონდა მეზობელ ფეოდალებ-თას. აწყობდა მათზე ლაშქრობას. დაანგრია მცხეთა, გაიტაცა მონასტრის განძეულობა. უფრო ცუდის გაკეთებას ვერ მოესწრო, ფანჯრიდან გადმოვარდა და დაიღუპა. ანდუყაფარის გარდაცვალების შემდეგ მისმა მოწინააღმდეგეებმა დაარბიეს ოჯახი. დაქორწინებული იყო (1603წ.) ერისთავის ქალიშვილზე (ვახუშტი წერს, რომ მას ჰყავდა სიმონ მეფის ცოლის და, ყორჩიბაშის ქალიშვილი, შახის ნათესავი).

5.2. **იოთამი** (? – 1649). მოიხსენიება 1606 წელს გორის მოურავად. ქართლში ძმათა მკვლელი არეულობის დროს მხარს უჭერდა ხან კახეთის მეფე თეიმურაზს, ხან მეფე როსტომს.

6.2. **ბეჟანი,** ზემო ქართლის სარდალი. მოიხსენიება 1619–1644 წწ.

8.2. **თამარა,** იყო ირანის შაჰ-აბასის მეუღლე.

13.5. **ანდუყაფარი,** მოიხსენიება 1636–1689 წლებში. სარდალი, სადროშოს სარდალი. 1696 წელს მიიღო ისლამი.

14.5. **გივი** (1636–1696.1700–მდე) გორის მოურავი. მუსლიმანი; დაქორწინებული იყო მეფის ასულ თამარზე, საქართველოს მეფე ვახტანგ V–ის ქალიშვილზე.

15.5. **დიმიტრი,** ყორჩიბაში. მოიხსენიება 1636–1669წწ.

16.5. **ნიკოლოზ VI** (? – 1695 –?). საქართველოს კათალიკოსი (1676–1693).

18.5. **პაატა** (1698–ის შემდეგ). ყორჩიბაში. მოიხსენიება 1649–1698 წწ.

19.3. **იოთამი,** მოიხსენიება 1656–1698წწ. ბოქაულთუხუცესი. გორის მოურავი.

20.13. **ავთანდილი,** მოიხსენიება 1654–1715 წწ., ეშიკაღაბაში, გორის მოურავი.

21.14. **ანდუყაფარი** (? – 1742). მოიხსენიება 1665 წელს.

24.14. **გიორგი** (1676–1723 წლამდე). მოიხსენიება 1676 წელს. ამილახორი, ეშიკაღაბაში. გარდაიცვალა 1723 წელს.

25.14. **ვახტანგი** (? – 1723). მოიხსენიება 1703 წელს. სახლთუხუცესი. მოკლეს კახეთის ჯარებთან შეტაკებისას.

26.15. **რევაზი,** მოიხსენიება 1665–1715წწ., ბოქაულთუხუცესი. ეშიკაღაბაში. დაქორწინებული იყო არაგვის ერისთავ ბეჟანის ქალიშვილზე.

27.17. **ბეჟანი** (1656–1723–მდე). ბოქაულთუხუცესი. ეშიკაღაბაში. გარდაიცვალა 1723 წელს.

29.18. **ბარძიმი,** ყორჩიბაში. მოიხსენიება 1693–1704 წწ.

31.18. **ელიზბარი** (რუსეთში ელისეი) პაატას ძე (პაატას ძე), ცნობილია 1715წ., ვახტანგ VI–სთან ერთად წავიდა რუსეთში. სუფრაჯი, შემდეგ პორუჩიკი (1738), მაიორი (1742). ქართულ ჰუსართა პოლკის მეთაური. მოგვიანებით გენერალ-ლეიტენანტი. დაქორწინებული იყო თავადის ასულ **გუკა ნოდარის ასულ ჯორჯაძეზე** (დაახ. 1797) გ. 1745 წელს. დაკრძალულია ალექსანდრე ნეველის ლავ–

რაში.

37.24. **დიმიტრი** (1719-1765), სახლთუხუცესი, ეშიკაღაბაში; მონაწილეობდა მეფე ერეკლე II-ის წინააღმდეგ შეთქმულებაში და დასჯილი იქნა. დაქორწინებული იყო თაევადის ასულ №-ზე, თავად ყაფლან ორბელიანის დაზე.

38.24. **იესე** (**იესეი**) (? – 1787), ქიზიყის მოურავი, მოლაშქრე (სარდალი), მდივანბეგი. დაქორწინებული იყო მეფის ასულ მარიამ (ხორეშანზე), მეფე იესეს ქალიშვილზე.

47.26. **ნიკოლოზი**, უზბაში (მოიხსენიება 1754–1762 წწ-ში).

48.31. **მარეხ ედიშერის ასული**, 1724 წლიდან მამასთან ერთად იყო რუსეთში.

50.32. **იესე** (**იესეი**) (? – 1787), მდივან-ბეგი.

53.37. **გიორგი დიმიტრის ძე** (? – 1805), დაქორწინებული იყო (1759) მეფის ასულ ელისაბედ თეიმურაზის ასულზე (25.03.1750–8.05.1770), ერეკლე II-ის დაზე. მამა გიორგის დასჯის შემდეგ მეფის სურვილით მისი ქორწინება შეწყდა და მეფის ასული მიათხოვეს კაცია II დადიანს.

55.37. **ალექსანდრე** (**ჭაბუკი**) **დიმიტრის ძე** (20.10. 1750 – ასტრახანი, 1802), მამასთან ერთად მონაწილეობას იღებდა მეფე ერეკლე II-ის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში და მკაცრად იქნა დასჯილი (მას მოაჭრეს ცხვირი და ბარძაყში ფეხი). 1771 წელს გაიქცა რუსეთში, კავშირი გააბა ქართლის სამეფო ტახტზე ლეგიტიმურ პრეტენდენტ – თავად ალექსანდრე ბაქარის ძე გრუზინსკისთან. ერეკლე II-ის თხოვნით ალექსანდრესთან და მის ძმებთან იოანესთან და ევგენთან, იგი დააპატიმრეს ვიბორგის ციხეში.

1801 წელს ამნისტიით გაანთავისუფლეს და გაემგზავრა საქართველოში, რომელიც სამშობლოში ჩამოსვლამდე გზაში გარდაიცვალა. რუსეთში მან დაწერა პოლიტიკური ტრაქტატები და პამფლეტები. „ჭაბუკ თავად ამილახვრის ისტორია“. (1779), „აღმოსავლეთის ბრძენი“, „ნათელი დრამატული პიესა“ და სხვები, რომლებშიც თავადმა აღწერა საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება XVIII საუკუნის II ნახევარში, თავის მოსაზრებებს გამოთქვამდა ქვეყნის სახელმწიფოებრივ მოწყობაზე. წინააღმდეგი იყო ქვეყნის ცენტრალიზების, მოითხოვდა მემამულეთა უფლებების გაფართოებას, უარყოფითად აფასებდა ერეკლე II-ის მთელ პოლიტიკურ მოღვაწეობას.

№ 2-ე ცხრილში მოხსენიებულ ამილახვართაგან ცნობილი არიან:

2.1. **ვახტანგ** (**ვასილი**) (? – ასტრახანი, 1727.8, სარდალი („გენერალი“), ვახტანგ VI-სთან ერთად წავიდა რუსეთში, იყო მისი ელჩი სპარსეთში (1725წ.). დაქორწინებული იყო ელენე №-ზე.

4.1. **ამირინდო** (? – 1772), ქართლ-კახეთის პოლიტიკური მოღვაწე, ქართლის სამეფო კარზე მხარს უჭერდა კახელ ბაგრატიონებს (თეიმურაზსა და ერეკლე II-ს), 1735 წლიდან ამილახორი, ეს თანამდებობა რამდენჯერმე დაკარგა და

# თავადი ამილახვარები

(ცხრილი) 2



საბოლოოდ იგი 1765 წელს დაიბრუნა, ზემო კახეთის სარდალი, გორის მოურავი.

5.1. **ათანასე** (? – 1774), რუისის ეპისკოპოსი.

6.2. **იაგორ (გიორგი) ვასილისძე (ვახტანგისძე).** (1715 ან 5.02. 1724– 16.97.–1779, როგორც მითითებულია მის ძეგლზე, 55 წლის ასაკში, 5 თვე და 11 დღისა გარდაიცვალა), ძმასთან ერთად ჩაიდა რუსეთში 1725 წელს. 1778-დან 1779 წლამდე ეოტჩინის კოლეგიის პრეზიდენტი, ნამდვილი ფარული მრჩეველი, დაკრძალულია დონის მონასტრის შესასვლელთან.

**7.2. ევგენი (ავთანდილ) ვასილისძე (ვახტანგისძე)** სტატსკის ნამდვილი მრჩეველი. სამსახური დაიწყო დრაგუნად 1739 წელს, 1740 წელს ინგერმანლანდსკის საფეხოსნო ასეულის სერჟანტია, იმავე წელს მიენიჭა პრაპორშიკის წოდება, შემდეგ (1742 წელს) ვიატსკის ფეხოსანთა ასეულის პორუჩიკი, 1744 წელს კაპიტანი, 1850 წელს პრემიერ-მაიორი. შემდგომ დაუბრუნდა მოქალაქეობას და პეტერბურგის საგუბერნიო კანცელარიის გუბერნატორის თანაშემწეა. 1753 წელს დანიშნულ იქნა მოსამართლედ. შემდგომში გადაიყვანეს მოსკოვის გუბერნიის სამოქალაქო სასამართლოს თავმჯდომარედ. დაკრძალულია დონის მონასტრის შესასვლელთან. (იცოცხლა 65 წელი და 28 დღე).

**8.2. ანა ვასილის ასული (ვახტანგის ასული)** (10.04. 1720 – მოსკოვი, 6. 03. 1794), დაქორწინებული იყო მეფე ათანასე ლევანისძე (ლეონისძე) გრუზინსკიზე (1707–1784), ძმასთან ვახტანგ VI-თან 1724 წლიდან ცხოვრობდა რუსეთში. დაკრძალულია დონის მონასტრის სრეტინსკის ეკლესიაში.

**13.9. გიორგი ქაიხოსროს ძე** (1775–1815), პოდპოლკოვნიკი, გორის მაზრის მემამულეთა წინამძღოლი. პირველი ქორწინებით ცოლად ჰყავდა თავადის ასული ეკატერინე დავითის ასული ორბელიანი (1782–1813), მეორეთი – თავადის ასული კონი ზაზას ასული თარხან-მოურავი.

**28.24. ალექსანდრე გიორგის ძე** (1845–1919), პირველი ქორწინებით ცოლად ჰყავდა (1869) აზნაურიშვილი ეფემია სოლომონის ასული საყვარელიძე, მეორეთი – თავადის ასული ეკატერინე (ქეთევან) ირაკლის ასული ბაგრატიონ-მუხრანელი (11852–1918).

**№ მე-3** ცხრილში წარმოდგენილი ამილახვართაგან შედარებით ცნობილი არიან:

2.1. **გივი** (1689–1754), ქართლ-კახეთის სამეფოს გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, საამილახვროს უფროსი, სარდალი, ზემო ქართლის სადროშოს მეთაური, გორის მოურავი (დაწვრილებით საუბარია ზემოთ თავში: ამილახვრები).

3.1. **ოთარი** (? – 1741), **ამილახორი**, ქეშიჩქიბაში. დაქორწინებული იყო თავადის ასულ მარიამ ერისთავზე (ვარაუდით ქსნის ერისთავებიდან).

**8.2. იოანე (ივანე),** მოიხსენიება 1732 – 1808 წწ.-ში; ეშიკაღაბაში.

**9.3. რევაზი,** მოიხსენიება 1732–1789 წწ-ში, ქეშიკჩიბაში. 1742–1744 წლებ-



თავადი ამილახვარი
(ცხრილი 3)
V
თავადი ანდუყაფარ ამილახვარი[21-1]
1665-1742-მდე.
VI
VII
VIII
IX
X
XI
XII
XIII
XIV

ში მონაწილეობდა ირანის წინააღმდეგ აჯანყებაში, რომელსაც მისი ბიძა გივი ამილახვარი ხელმძღვანელობდა. შემდგომ მეფე თეიმურაზ II-ის მხარეზე გადავიდა. 1750 წელს დაინიშნა თბილისის გარნიზონის უფროსად. 1754 წელს გახდა ქართლის ნაიბი. 1772 წელს მიიღო ამილახორის წოდება. დაქორწინებული იყო არაგვის ერისთავის ბეჟანის ქალიშვილზე.

**10.4. გიორგი (გოგია),** მინბაში (მოიხსენიება 1775-1805 წწ-ში), დაქორწინებული იყო თავადის ასულ ეფემია დიმიტრის ასულ ორბელიანზე.

**13.9. ოთარ რევაზის ძე** (1756-1827), იყო საამილახვროს უფროსი, გორის მოურავი, სარდალი, ზემო ქართლის სადროშოს უფროსი. 1789 წელს თავადის წინააღმდეგ გამოვიდნენ გორის მცხოვრებლები, რომელსაც ბრალად სდებდნენ სიმკაცრესა და შევიწროებას. ერეკლე II-მ დასაჯა აჯანყებულები, თავის მხრივ მკაცრად გააფრთხილა თავადი შემდგომში დაეცვა ქვეყნის დადგენილი წესი. 1785 წელს იბრძოდა ავარის ხანის ომარის წინააღმდეგ. 1795 წელს მონაწილეობდა კრწანისის ომში. ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ მხარს უჭერდა თავის სიძე ბატონიშვილ იულონს, რის გამოც 1801 წელს ჩამოართვეს ამილახვრობა. რუსეთის სამსახურის გენერალ-მაიორი იყო. 1825 წელს ძმასთან ალათონიკთან და შვილებთან რევაზთან და გიორგისთან ერთად დაამტკიცეს თავადობის ხარისხში. დაქორწინებული იყო თავადის ასულ ელისაბედ ჯავახიშვილის ჭილოყაშვილზე.

**13ა.9. სალომე რევაზის ასული** (1766- 2.02 - 1827), მეუღლე (28.07 - 1778 წლიდან) ბატონიშვილი იულონ ერეკლეს ძე (4.06 - 1760 - 23.08.1816).

**17.10. გივი** (? – 1850-მდე), მოიხსენიება 1781-1846 წლებში, ცხინვალის მოურავი.

**18.10. ანდუყაფარ (ანანია)** (? – 1850-მდე), მოიხსენიება 1781 წელს, ცხინვალის მოურავი.

**21.13. ელენე ოთარის ასული** (1783-1866), ქართველი ბატონიშვილის თეიმურაზ გიორგის ძის მეუღლე (1800) (23.04. 1782-25.10.1846), დაკრძალულია პეტერბურგში, ალექსანდრე-ნეველის ლავრაში ფეოდოროვსკის ეკლესიაში.

**23.13. ანა (ნინა?) ოთარის ასული** (1800-1866), პირველ ქორწინებაში იყო თავად ყაფლან ზაალისძე ორბელიანთან (1780-1820), მეორეჯერ – გენერალ-ლეიტენანტ გრაფ პაველ ოსიპის ძე სუხტელენზე (დაახლ. 1793-1851).

**29.30. გივი ბარძიმისძე** (1810-1861 წლის შემდეგ), პრაპორშჩიკი (სიაშია 1850წ.), პირველ ქორწინებაში ცოლად ჰყავდა (1827) თავადის ასული ანასტასია ლუარსაბის ასული ერისთავი (ქსნის), მეორედ (არაუგვიანეს 1848 წლისა) აზნაურიშვილი ანასტასია დავითის ასული თაზიშვილი (მოიხსენიება ქმართან ერთად სიაში 1850 წელს).

**32.23. ივანე გიორგის ძე (იაგორის ძე)** (1819-1890 წლის შემდეგ), გვარდიის როტმისტრი, შემდეგ პოლკოვნიკი, პოეტი, ავტორი პეტერბურგში 1842-1844

წლებში დაწერილი 63 ლექსიანი კრებულისა. მათგან გამოირჩევა ლექსი „სამშობლო“, რომელშიც სევის ძაგალითზე ადიდებს სამშობლოს და ამჟღავნებს მონატრებას. ამავე კრებულში შეტანილია მისეული დერჟავინის ლექსის „ძეგლი“ თარგმანი. დაქორწინებული იყო იტალიელ ლეტიცია მერლინზე.

**4629. ივანე გიეის ძე (ბაგრიონი)** (სოფელი ჭალა, 26.01. 1829 – ტიფლისი, 27.08.(1.09?1902), ცნობილი მხედართმთავარი, კავალერიის გენერალი, 1850 წელს სამოქალაქო მსახურად ჩაირიცხა საქართველოში მდგომ ნიჟეგოროდის 44-ე მეფე ვიურტემბერგის სახელობის დრაგუნთა ასეულში. 14 წლის შემდეგ პოლკოვნიკის წოდებით ამ პოლკის უფროსი გახდა (24.10.1864–30.08.1873), შემდგომში ამ ასეულის სიაში ირიცხებოდა. მონაწილეობას იღებდა შამილის წინაამდეგ საომარ მოქმედებებში (1853), ყირიმის (1853–1856წწ.) ომში, 1871 წელს იყო ფლიგელ-ადიუტანტი, 1873 წლიდან გენერალ-მაიორი. მხედართმთავრებმა იგი დანიშნეს კავკასიის მე-3-ე, მე-2-ე და 1-ლი დივიზიების უფროსად (1879, 1881 და 1883 წწ.). განსაკუთრებით გამოიჩინა თავი 1877–1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის დროს. მისმა ცხენოსანმა დივიზიამ აიღო ბაიაზეთი, ალაშკერტი, ჰასან-კალე, ერზრუმი. 1883 წლიდან იყო გენერალ-ლეიტენანტი. 1886 წელს ჩეჩნეთში დაწყებული არეულობის დამწყნარებლად იქნა დანიშნული. მოკლე ხნის მანძილზე შესძლო მღელვარების ჩაქრობა (რისთვისაც დაჯილდოებული იქნა თეთრი არწივის ორდენით). 1897 წელს იყო კავკასიის არმიის კორპუსის მეთაური. 1901 წელს ჩამოაქვეითეს გენერალ-ადიუტანტად. დაჯილდოებული იყო გეორგიევსკის ოქროს იარაღით და ბევრი ორდენითა და მედლით. მათ შორის წმ. გიორგის 4 საფეხურის, წმ. სტანისლავის და წმ. ანნას I საფეხურის (1883წ) ორდენებით, წმ. ვლადიმერის 2-ე (1882წ.), ორდენით. 1902 წელს 50 წლის ნამსახურობასთან დაკავშირებით დააჯილდოვეს წმ. ვლადიმერის I ხარისხის ორდენით. ჰქონდა სპარსეთის ლომისა და მზის ორდენი (1879), და ვიურტემბერგის კორონის ორდენი. მისი დღიურები შესულია კავკასიის კრებულში. (1908–1909 წწ.). რომელიც მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს იმ დროზე, შამილზე, თანამედროვეებზე და სხვ. დაკრძალულია თბილისში ქაშვეთის ეკლესიაში. დაქორწინებული იყო თავადის ასულ **ანა ალექსანდრეს ასულ ერისთავზე** (ქსნის) (1848 – თბილისი, 1934).

**5738. გიორგი დავითისძე** (20.11. 1857–1917). სამსახური როგორც მონადირემ დაიწყო ახალციხის 162-ე ფეხოსანთა ასეულში (1.01.1876). დაამთავრა თბილისის ფეხოსანთა იუნკერული სასწავლებელი, პრაპორშჩიკი (16.04. 1878), მსახურობდა რამდენიმე კავკასიურ ასეულში, ხოლო 1902 წლიდან – აღმოსავლეთ-ციმბირის მსროლელ ასეულებში. რუსეთ-იაპონიის ომის დროს იყო პოდპოლკოვნიკი. დროებით პოლკის, უფროსის მოადგილე შემდგომ პოლკის უფროსი (11.04.1906), 215 ფეხოსანთა ბუზულსკის პოლკში. საბრძოლო დამსახურებებისათვის მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება, დაჯილდოებული იყო ოქროს იარა-

ლითა და ყველა სახის ორდენით. დაქორწინებული იყო პოდპოლკოვნიკის, ფლიგელ-ადიუტანტის, მემამულეს ქალიშვილ ეკატერინე ზაალის ასულ ტერიაშვილზე (1906).

**65.46. ნინა ივანეს ასული** (1873–1933), გათხოვილი იყო თავად ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე თუმანიშვილზე (864–1921).

**66.46. გიგი ივანეს ძე** (ტფილისი, 25.05. 1874 – პარიზი, 15. 11. 1943). დაამთავრა ვაჟთა კორპუსი (1892–1896). დაჯილდოებული იყო სპარსეთის ლომისა და მზის მეოთხე ხარისხის ორდენით (1901). 1905 წლის რუსეთ–იაპონიის ომის დროს გაგზავნილ იქნა მანჯურიაში, იყო მუკდენთან, დაჯილდოებული იქნა წმ. ანნას მეოთხე და წმ. სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენებით. შემდგომში კავკასიის სამხედრო ოკრუგის უფროსის მოადგილე იყო (28.12.1905–დან), როტმისტრი (1909წ–დან), პოლკოვნიკი (1915 წელს), შემდეგ გენერალ-მაიორი, წმ. გიორგის 4 –საფეხურის ორდენის კავალერი. გარდაიცვალა ემიგრაციაში. პირველი ქორწინებით ცოლად ჰყავდა **ანნა გრიგორის ასული კუზნეცოვა**, მეორეთი – ჟნ იუნგერი.

**67.46. მარტა (მართა) ივანეს ასული** (ტიფლისი, 1875– პარიზი, 6.04.1937), პირველ ქორწინებაში იყო თავად დიმიტრი ერასტისძე ჩოლოყაშვილის მეუღლე, მეორეჯერ – ექიმის (მსახურობდა ფლოტში) ვლადიმერ მათესძე თურქიასი (1873– ტეგერანი, 1948).

**68.46. კონსტანტინე ივანეს ძე** (8.10.18–77–1927). დაამთავრა ტიფლისის კადეტთა კორპუსი და ელიზავეტგრადის საკავალერიო სასწავლებელი) კორნეტი (3.04.19–03), პორუჩიკი (1.09.1906). დაქორწინებული იყო თავადის ასულ ნინა ნიკოლოზის ასულ შერვაშიძეზე. გარდაიცვალა საქართველოში.

**74.56. კონსტანტინე გიორგის ძე** (გორი, 14.05.1901, პარიზი, 4.08.1943). 15 წლის ასაკში მოხალისედ წავიდა და მონაწილეობდა I მსოფლიო ომში, იბრძოდა თურქების წინააღმდეგ მესოპოტამიაში და მიიღო ჯარისკაცის გიორგიევსკის ჯვარი. ემიგრაციაში მოხვედრილი შედის საფრანგეთის საზღვარგარეთელ ლეგიონში. მეორე მსოფლიო ომის დროს ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის ჟინით შევიდა ფრანგ ვოლინტერთა ლეგიონში, დაჯილდოებული იყო გერმანულ რკინის ჯვრით.

**75.56. ელენე გიორგის ასული** (1902–3.10.1925), გარდაიცვალა საფრანგეთში.

**76.56. ოთარ გიორგისძე** (1904–1924), დახვრიტეს ბოლშევიკებმა.

**77.56. დიმიტრი (ბაზორკა) გიორგისძე** (ბაზორკინო, 31.10.12.11.1906 – ელ-ხიმაიმატი ელ-ალამეინთან, 24.10. 1942). საფრანგეთის არმიის პოდპოლკოვნიკი (25.09.1941), 1921 წელს 14 წლის ასაკში ოჯახთან ერთად მიემგზავრება საქართველოდან ემიგრაციაში. სტამბულიდან ისინი გადავიდნენ საფრანგეთში და დასახლდნენ პარიზთან ახლოს, (ბოურგ–ლა–რაინში). 1924–1926 წლებში საქართველოდან საზღვარგარეთ გადახვეწილთა სიის მიხედვით სწავლობდა სენ–სირის სამხედ-

რო სასწავლებელში. შემდგომში საფრანგეთის საზღვარგარეთული ლეგიონის მეთაური იყო, მსახურობდა ჩრდილო აფრიკაში. 1940 წელს მიიღო საფრანგეთის მოქალაქეობა. მეორე მსოფლიო ომის დროს მონაწილეობდა ნორვეგიაში ნარვიკთან ბრძოლებში, სადაც დაიჭრა კიდეც და დაჯილდოებული იქნა საპატიო ლეგიონის ორდენით (1940), შემდგომში ევაკუირებულ იქნა ინგლისში, მონაწილეობდა მახლობელ აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკასთან გამართულ საბრძოლო მოქმედებებში. კოლაბორაციონალისტურმა მთავრობამ დაუსწრებლად სიკვდილი მიუსაჯა. პოდპოლკოვნიკის სამხრეებით იყო საზღვარგარეთელი ლეგიონის ნახევარბრიგადის ხელმძღვანელი. ბირხაკეიმთან 16 დღიანი მომქანცველ ბრძოლისას მისმა ნაწილმა გენერალ კენიგის ბრიგადის შემადგენლობაში ყოფნით მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ფელდმარშალ რომელის შენაერთს. დაიღუპა ელ-ალამეინესთან ბრძოლისას და დაკრძალულია ლიეის ველზე. მეგობრებს შორის მას იცნობდნენ მეტსახელით ბაზორკა (თავისი საგვარეულო სახელის მიხედვით). 1956 წლის სენსირის სამხედრო სასწავლებლის 143-ე გამოშვებას მიანიჭეს დ. ამილახვარის სახელი. დაქორწინებული იყო (პარიზი, 25.08.1927) თავადის ასულ ირინე იოსების ძე დადიანზე (ბათუმი, 3.11.1911 – პარიზი, 27.12.1944).

**78.56. დავით გიორგისძე** (12.01.1909–8.08.1967) გარდაიცვალა ემიგრაციაში საფრანგეთში.

**79.56. ნატო გიორგის ასული** (ტიფლისი, 5.01.1912 – ბუჟიევალი, 27.07.1945). გათხოვილი იყო (1943) ლევან გიორგის ძე კერესელიძეზე (13.05.1908–30.04.1979). გარდაიცვალა საფრანგეთში.

**80.57. ელენე გიორგის ასული** (30.08.1890–?).

**81.57. მიხეილ გიორგისძე** (9.12.1891–1919).

**82.57. ნინა გიორგის ასული** (20.10.1893–?).

**84.57. მარიამ გიორგის ასული** (1.04.1899–1986).

**85.57. თამარა გიორგის ასული** (23.05.1901–1990).

**99.77. ოთარი დიმიტრის ძე** (დ.აგადირში, მაროკოში, 26.11.1931). დაქორწინებული იყო (ალჟირი, 12.10.1968) **მარგარიტა ჟანნე მაიეზე** (მავე).

**100.77. თამარა დიმიტრის ასული** (დ. პარიზში, 29.07.1935); მისი მეუღლე იყო (იქორწინა პარიზში, 28.11.1958) ჩეხი გრაფი **რადსლავ გეორგ ფრანც მარია იოზეფ კინსკი** (დ. 14.08.1928), **გრაფ ზდენკო რადსლავა კინსკის** ვაჟიშვილი.

თავად ამილახვარითაგან (ამილახორი, ამილახორიშვილი), რომლებიც შეტანილი არიან № 4-ე ცხრილში, შედარებით ცნობილნი არიან:

**7.3. ბეჟანი, მინბაში** (მოიხსენიება 1732–1803წწ.).

**15.10. თეიმურაზ ივანეს ძე** (1803–1939), პრაპორშჩიკი, დაქორწინებული იყო თავადის ასულ **სალომე ივანეს ასულ ფავლენიშვილზე** (1806–?); 1850 წლის სია'ში მოიხსენიება მისი ქვრივი და მათი შვილები **ივანე და ელისაბედი**.

**17.10. ბეჟან ივანეს ძე** (1806–1847), პოდპორუჩიკი, გარდაიცვალა ხოლერის-


ცხრილი 4
თავადი ამილახვარი
V შთამომავლობა
თავადი ბეჟან ამილახვარი
VI
თეიმურაზი 2
ბარამონი 3
შედორი 4
ბერი 5
ოთარი 6
VII
ბეჟანი 7
ოთანი 8
VIII
ნიკოლოზი 9 ?-1834-მდე.
ივანე 10 ?-1850-მდე.
პელაგია 11
ნინია (ივანე) 12 ?-1811
გიორგი 13 (გოგია)
IX
იოსები 14 ?-1856-მდე.
თეიმურაზი 15 1790-1843-მდე.
გივი 16 1804-?
ბეჟანი 17 1806-?
ამირინდო 18 1808-?
თინათინი 19 1806-?
ნინია 20
X
ელისაბეტი 21 1827-?
ივანე 22 1829-?
ეკატერინე 23 1831-?
გიორგი (გივი) 24 1832-?
ივანე 25 1834-?
ამირინდო 26 1848-?
XI
სალომეა 27 1856-?
ალექსანდრა 28 1858-?
გიორგი 29 1859-1925
თეიმურაზი 30 (ვანო) 1893-1905
სემირამიდა 31
ვარვარა 32
მარია 33
კონსტანტინე 34 1865-1924
გრიგორი 35 1873-?
მიხეილი 36 1877-?
ნიკოლოზი 37 1879-1917-შემდეგ
XII
ნიკოლოზი 38 1891-1923
ივანე 39 1893-1989
ამირინდო 40 1900-1905
რუსუდანი 41 1902-?
შალვა 42 1894-1977
ლევანი 43 1896-1922
XIII
თეიმურაზი (ზაზა) 44 ?-1986
ზაიანე 45 1820-1989
ლევანი (ბიჭიკო) 46 1922-1986
მაგდალინა (დოდო) 47 დაბ. 1918
ბულნარა 48 დაბ. 1931
XIV
მალხაზი 49
ზაური 50 1941-1977
ნუგზარი 51 დაბ. 1946
ზურაბი 52 დაბ. 1949
მერანდა 53 დაბ. 1957
XV
ირინა 54 დაბ. 1966
ნინა 55 დაბ. 1964
ზაზა 56 დაბ. 1964
გიორგი (გია) 57 დაბ. 1966
მარიამ 58 დაბ. 1970
ნათელა 59 დაბ. 1971
ლევანი 60 დაბ. 1975
დიმიტრი 61 დაბ. 1975

გან; თავის ვაჟიშვილ გრიგოლთან ერთად მოიხსენიება 1850 წლის სიაში. დაქორწინებული იყო (1833) თავადის ასულ **ქეთევან მირმანოზას ასულ ერისთავზე** (ქსნის).

18.10. **ამირინდო ივანესძე** (1808-1847), პოდპორუჩიკი (1850 წლის სიაში); როგორც თავისი ძმა ბეჟანი, ისიც ხოლერამ იმსხვერპლა. პირველ ქორწინებით ცოლად ჰყავდა თავადის ასული **თინათინ ზაქარიას ასული ციციშვილი**, მეორეთ – ქეთევან №-ი (სიაშია 1850წ.).

26.18. **ამირინდო ამირინდოს ძე**, პორუჩიკი, გორის მაზრის მემამულეთა წინამძღოლი. დაქორწინებული იყო (1873) თავადის ასულ **მარიამ დავითის ასულ ერისთავზე** (1852-?).

29.22. **გიორგი ივანესძე** (1859-1925), პორუჩიკი.

38.30. **ნიკოლოზ თეიმურაზისძე** (1891-1923), დახვრიტეს ბოლშევიკებმა. დაქორწინებული იყო თავადის ასულ **ნინა ევსტაფის ასულ თარხან-მოურავზე** (1895-1947).

43.34. **ლევან კონსტანტინესძე** (გორის მაზრა, 16.05.1896-1922), დაამთავრა ტიფლისის მე-4-ე გიმნაზია. თავისუფალ მსმენლად ჩაირიცხა ტიფლისის საცხენოსნო რაზმეულის ცხენოსანთა ასეულში (22.07.1915), იყო თურქეთის ფრონტზე; ტიფლისის მესამე სკოლის დამთავრების შემდეგ მიანიჭეს პრაპორშიკობა. დაქორწინებული იყო თავადის ასულ **ნინა ნიკოლოზის ასულ შერვაშიძეზე**. გარდაიცვალა საქართველოში.

№ მე-5-ე ცხრილში თავად ამილახვართაგან შედარებით ცნობილნი არიან:

2.1. **ერასტი, იასაული** (მოიხსენიება 1754-1808 წწ.).

5.1. **ოთარი, მინბაში** (მოიხსენიება 1776-1789წწ.).

13.16. **ლუარსაბ ქაიხოსროსძე** (1800-1874 წლის შემდეგ), პრაპორჩიკი, 1850 წლის სიაში მეუღლესთან და შვილებთან **ივანე, გიორგი, ბარბარე, თამარა და ეფასთან** ერთად არიან შეტანილი. დაქორწინებული იყო **ნინა ივანეს ასულ გედევანიშვილზე** (1813-?).

20.10. **ივანე ნიკოლოზისძე** (1812-?), პრაპორშიკი, მოიხსენიება 1850 წელს პირველ მეუღლე მარფასთან და შვილებთან დიმიტრი, ვლადიმერ, თამარა და ნინასთან ერთად. მოაწყო ფოსტის გაძარცვა და 1849 წელს გაასახლეს ციმბირში 10 წლით. პირველი ქორწინებით ცოლად ჰყავდა აზნაურიშვილი **მარფა იოსების ასული ყარაგოზაშვილი**, მეორეთ – (1838) – თავადის ასული **დარეჯან სიმონის ასული წერეთელი** (1821-?).

28.13. **დავით ლუარსაბისძე** (1848-?). მას არ ჰყავდა შვილი და იშვილა დისშვილის **ალექსანდრე სიმონის ძე ჯავახიშვილის** შვილი.

30.19. **ივანე გიორგისძე** (1833-1899-ის შემდეგ), დაქორწინებული იყო თავადის ასულ **მარიამ ირაკლის ასულ მაჩაბელზე**.

39.20. **ვლადიმერ ივანესძე** (1.02.1846-1.05.1902), დაქორწინებული იყო (3.11.1866)

# თავადი ამილახვარები

ცხრილი 5

VI ბარძიმას შემდგომი შთამომავლობა

## თავადი ნიკოლოზ რევაზის ძე ამილახვარები 45-1

?-1797



მარკიზა მარიამ ალექსანდრეს ასულ დე ტრავერსზე.

**40.21. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე** (1848–1911). დაქორწინებული იყო ანა ზაქარიას ასულ ფეოდოროვაზე.

**49.30. ნინა (ნინო) ივანეს ასული** (ტიფლისი. 1878. ცყერანის მიხედვით 9.04.1885) – პარიზი. 15.08.1959). გათხოვილი იყო თავად **ალექსი ნიკოლოზისძე ამილახვარზე (2.01.1879–21.12.1929).**

**65.37. ნიკოლოზ დიმიტრის ძე** (1889 ნიუ-იორკი. 1959). ჩრდილოეთის დრაგუნთა მეთერამეტე როტმისტრი. ემიგრაციაში საპოლკო გაერთიანების თავმჯდომარე.

**58.39. ნიკოლოზ ვლადიმერის ძე** (1877–19.05.1905). ადიუტანტი. დაკრძალულია პეტერბურგის ნოვოდევიჩის მონასტერში.

**59.39. ალექსანდრე ვლადიმერის ძე** (ცარსკოე სელო, 20.11.2.12.1880 – ნიუ-იორკი, 21.09.1968). ჩარიცხული იქნა პაჟის სასახლესთან (9.03.1899), ტიფლისის პაჟის კორპუსიდან გამწესებულ იქნა პაჟსკის კორპუსში (3.1–1899), გამოცდების შემდეგ სამსახურში გაამწესეს ყიზლარ-გრებენსკის კაზაკთა ასეულში (13.08.1902). 1909 წლიდან მსახურობდა იმპერატორის ოჯახში ლივადიაში (მისმა უდიდებულესობამ დააჯილდოვა იგი ოქროს ხმლით). წმ. სტანისლავის 3-ხარისხის ორდენის კავალერი (6.12.1910); (8.05.1913 წელს) დემობილიზებული იქნა სამსახურიდან. დატოვეს პეტერბურგის მაზრის გვარდიული კავალერიის თადარიგში და დაჯილდოებული იქნა ცხენოსანთა არმიაში სამსახურის ნიშნით. 1917 წელს გვარდიის პოლკოვნიკია. მის მიერ ჩამოყალიბებული ქართულ დრაგუნთა პოლკის უფროსია; სამოქალაქო ომის დროს ესპანეთში მოხალისედ შევიდა გენერალ ფრანკოს არმიაში. ნიუ-იორკში რუს სამხედრო ინვალიდთა კავშირის თავმჯდომარე. დაქორწინებული იყო შვედ ბარონესა **ცეცილია ელენე რეგინე ემანუელე კარლოვა–ხრისტოფოროვა–ოტტოვას** ასულ **ფონ გრიტუზე** (– 30.11.12.12. 1872 – პარიზი, 29.01.1934), ბარონ კარლ ხრისტოფორ ოტტო ვაც. ქალიშვილი, დედით ბარონესა **ემმა ფონ შტემპელი**. პირველი ქორწინებით ცოლად ჰყავდა შვედი **ჯონ ჰერნარდტი**.

**60.04. ალექსი ნიკოლოზის ძე** (2.01.1876–21–12.1929), როტმისტრი, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. გარდაიცვალა საფრანგეთში. დაქორწინებული იყო თავადის ასულ **ნინა (ნინო) ივანეს ასულ ამილახვარზე** (ტიფლისი, 9.04.1885–პარიზი, 15.08.1959), თავად ივანე ამილახვარის ქალიშვილი, რომელიც შეეძინა თავადის ასულ **მარიამ მაჩაბელისაგან**.

**62.40. ანნა ნიკოლოზის ასული** (1881–1926). გათხოვილი იყო **ივანე ნინიძეზე**.

**64.40. ტერეზა ნიკოლოზის ასული** (ტიფლისი. 9.10. 1887– პარიზი. 5.03.1974). გათხოვილი იყო (ტიფლისი 1907) თავად **ივანე გრიგოლისძე ჯავახიშვილზე (2.04.1882– პარიზი, 1.12. 1952).**

**75.59. რუსუდან ალექსანდრეს ასული** (დ. 31.08.13.09.1906). გათხოვილი იყო საფრანგეთში (26.09.1927) ჰოლანდიელ **ჰენრიკ ჰერარდ იოჰან მაას გეესტერანუსზე** (ნიდერლანდები, 9.09. 1894–?) (გაცილდა. მათ ჰყავდათ ორი ქალიშვილი).

**73.60. ირინა ალექსის ასული** (დაიბადა წითელ წყაროში 24.06.1905). გათხოვილი იყო (ბურგ–ნა–ლაინეში, საფრანგეთი, 16.07.1929) **სიმონ ვლადიმერის ძე მაღალაშვილზე** (14.12.19. 00 – პარიზი, 24.11.1962).

**74.60. მარინა (მართა) ალექსის ასული** (დ. ტფილისში 1.07.1907) ცოლად გაჰყვა საფრანგეთში (29.03.1930) **შალვა ალექსანდრესძე ნებიერიძეს** (20.12.1903 – ?). მეორე ქორწინებაში (პარიზი, 1944) გათხოვილი იყო თავად **არჩილ მიხეილის ძე დადიანზე** (5.10.1909–1.02.1976).

იმავე საგვარეულოდან ცხრილში არ შევიდნენ:

თავადის ასული **ოლღა ნიკოლოზის ასული**, დაბადებით **ილონა** (12.06.1857 – 1.08.1877) ვაჟიშვილ მცირეწლოვან თავად **ნიკოლოზთან** ერთად დაკრძალულია პეტერბურგში.

**თავადი გრიგოლ მიხეილის ძე** (20.11.1876–11.02.1888), დაკრძალულია პეტერბურგის ნოვოდევიჩის მონასტერში.

**თავადი იაკობ ალექსანდრეს ძე** (ვლადიკავკასი, 27.08.1894 – ყარაკასი, 10.04.1979), პოლკოვნიკის ვაჟიშვილი. დაამთავრა ვლადიკავკასის კადეტთა კორპუსი, მე–19 დრაგუნთა პოლკის მეთაური. თეთრი მოძრაობის მონაწილე, შტაბსროტმისტრი. ემიგრაციაში ცხოვრობდა იუგოსლავიაში. მსახურობდა რუსულ კორპუსში, გარდაიცვალა ვენესუელაში. დაქორწინებული იყო **ვერა ივანეს ასულ** №–ზე (დაახ. 1900 – ვენესუელა, 30.06.1965) მათ ჰყავდათ შვილები (ქალიშვილი, ვაჟიშვილი და შვილიშვილები).

**თავადი ალექსანდრე** (დ. დაახლ. 1930), 1945 წელს იუგოსლავიაში რუსული კორპუსის მე–4–ე კლასის კადეტი (შესაძლოა, იყო თავად იაკობის შვილი).

**P.S. ამილახვრები (ამილახორი) – მის დროშაზე ითვლებოდნენ: გიორგი ბატონიშვილი, ზევდგინიანი, ფალვენიანი, მაჩაბელი, თუმანიანი, მროველი, ქაიხოსრო ავალიშვილი, ურბნელი, ხერხეულიძე, ფალავანდიანი, მთავარეპისკოპოსი, „რაც გორს ზედათ ან სადედოფლო არის, ან სუეტისცხოვლისა და იელუსარემისა", ამირეჯიბიანი, თვალდამწვარიანი, ელიზბარ დიასამიძე, როსტომ ქავთარაძე, შალვა თუხარელი, თაქთაქ თაქთაქიძე, ტატიანი, წერეთლის სამხეული, აბაშიძის მამულები, იტრიის წინამძღვარი, აბაზაძე, დამლანაშვილი, გულბათ ავალიშვილი, ფაფუნა იალუზაშვილი, ამუან თუხარელი** *(1606–1648) (ვირთა ანოტირებული ლექსიკონი. წიგნი I. თბ. 1991. გვ.115).*

***ამილახვრებს ქორწინებითი კონტაქტები ჰქონდათ შემდეგ საგვარეულოებთან: ბაგრატიონები. ერისთავები. (არაგვისა და ქსნის). ჯორჯაძეები. ორბელიანები.***

დადიანები. გრუზინსკები. თარხან-მოურავები. საყვარელიძეები. ბაგრატიონ-მუხრანსკლები. ჩოლოყაშვილები. თაზიშვილები. ტერიშვილები. თუმანიშვილები. თურქიები. შერვაშიძეები. კერესელიძეები. ფაელენიშვილები. ციციშვილები. გედევანიშვილები. ყარაგოზიშვილები. წერეთლები. ჯავახიშვილები. მაჩაბლები. სინიძეები. მღალაშვილები და სხვ.

### ამილახვრები

**ავთანდილ I** (1425–1429)
**თაყა I** (1429)
**თაყა II** (1442–1446)
**ამირინდო I** (1477–1481)
**მამია** (1504–1510)
**სიაოში** (1508–1510)
**ბარძიმ I** (1569–1578)
**თაყა III** (1511–1605)
**პაპუნა** (1605–1614, 1619–1620)
**ბარძიმ II** (1614)
**ანდუყაფარ** (1614–1619.1620–1625)
**ოთამ I** (1626–1633, 1634–1642, 1645–1649)
**ბეჟანი** (1633–1634)
**ანდუყაფარ II** (1649–1656)
**გივი I** (1656–1696)
**ოთამ II** (1696–1698)
**ავთანდილ IV** (1698–1703, 1714–1716)
**ანდუყაფარ III** (1703–1714)
**გიორგი** (1704–1714, 1716–1723)
**გივი II** (1723–1735)
**ამირინდო II** (1735–1744, 1748–1760)
**დიმიტრი** (1744–1748, 1760–1762)
**რევაზი** (1765–1775)
**იასე** (1776–1787)
**ოთარი** (1787–1801)
**ალექსანდრე** (1750–1802)
**ივანე** (1829–1905)
**დიმიტრი** (1906–1942)

**ამილახვარი ბარძიმ დავითის ძე** 1832 წ. შეთქმულების საგამომძიებლო კომისია'ში დაკითხული ბარძიმ ამილახვარი უჩვენებს:

-ცოლად მყავს **გიორგი ფალავანდოვის ქალი მაია.** მყავს შვილები: **გივი** –

21 წლისა, **იოსები** – 18 წლისა, **დავითი** – 10 წლისა და შვილიშვილები – გივის შვილები: **ივანე** – 4 წლისა, **ნიკოლოზი** – 2 წლისა, **მიხეილ** – 1 წლისა *(საგამომძიებლო საქმეები. VII. 1175)*

ამ ბარძიმ ამილახვარს იხსენიებს თავის მოგონებებში დიმიტრი ყიფიანი *(მემუარები. 1930. გვ. 130–132).*

**ამილახვარი ბეჟან.** ბეჟან რუსეთში იყო 3 წელიწადს დეიდასთან; ასპინძის ომის მონაწილეა. 40 წლისამ შეირთო ცოლი. იყო მინბაში, 3 წელიწადს მესურსათედ. მისმა ძმამ ოსანმა ქალანთარის ქალი ითხოვა. ბეჟან იყო იმერეთის მეფესთან, დადიანსა და გურიელთან. „სულ იმერეთი დაიარე, რუსული ფეშქაშები დაიარიგე“.

*ბეჟან ამილახვარზე იხ. „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიისათვის“. II. №№ 165. 266. 289. 271.*

1793 წ. მინბაში ბეჟან მოურავია (იქვე. №271). მოურავობა მოულია 1792წ. 5 I-ს *(შ. მესხია. მასალები. №154).* 1803წ. 14 სექტემბერს ბეჟანი სთხოვს სახელოს ციციანოვს (იქვე. №153): „ახლა კაპიტან პრაპორშიკად ოსებში გახლდათ“.

მონაწილეობს 1804 წ. აჯანყებაში. აჯანყებულთა სიაში № 40-ია.

**ამილახვარი ბეჟან.** პოდპორუჩიკი, თეიმურაზ ამილახვრის ძმა. თეიმურაზ ამილახვარი პუშკინის მეგობარი იყო (გ. გოზალიშვილი. *1832წ. შეთქმულება. გვ. 200.202)*

ბეჟანმა 1833 წ. ცოლად შეირთო მირმანოზ ერისთავის ქალი ქეთევანი (მანანა ორბელიანის და). 1834 წ. ეყოლა ვაჟი გივი.

**ამილახვარი გივი ბარძიმის ძე.** ბარძიმ ამილახვრის ჩვენების მიხედვით გივი დაბადებულა 1811 წ. მას ცოლად ჰყავს **ბიძინა რევაზის ძე ერისთავის ბიძაშვილი ტასია.**

1826 წ. 6 იანვარს ქალაში დაიბადა გივის უფროსი ვაჟი **ივანე** (გენერალი შემდგომში).

**ამილახვარი ეკატერინე დავითის ასული.** გიორგი ამილახვრის მეუღლე. სარდალ. ივანე დავითის ძე ორბელიანის და.

1801წ. 1 აპრილს იყო 19 წლისა.

ეკატერინე და ივანე ორბელიანების დედა **თამარი** იყო ერეკლე II-ის ასული მეორე ცოლისგან – **ანნა ზაალ აბაშიძის ასულისაგან.**

როდესაც იულონ ბატონიშვილი ებრძოდა გიორგი ამილახვარს, როგორც რუსების მომხრეს, *„სარდალ ორბელიანის და ამილახვრის მეუღლე გამოიყვანეს თავის სახლიდან და დაამწყვდიეს იულონ ბატონიშვილის კუთვნილ სოფელ ბელოთში“ (აქტები. I. 239).*

ხელნაწერს, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა ხელით ნაწერი ლექსების კრებულს და რომლის ქორონიკონში 1809 წელია, მოთავსებულია ლექსი: „იამბიკოდ თქმული მიცვალებასა ზედან ეკატერინა სარდლის ასულისასა“ *(ქართ.*

ხელნაწერთა აწერილობა. III. თბ. 1963. გვ. 71).

**ამილახვარი თეიმურაზ ივანეს ძე** (1805–1839). 1832 წ. შეთქმულების მონაწილე. პრაპორშიკი.

„წელსა ჩყლბ (1832) დეკემბრის იზ (17) დამიჭირეს და გავთავისუფლდი შეწევნითა ღვთისათა აგვისტოს კი (30) დღესა ოთხშაბათსა, წელსა ჩყლგ (1833). რომელიცა ამ ცხრა თვეში მზეც არ მინახავს, რომელსაც კლიტეები ჰქონდა კარებსა".

„თავადი თეიმურაზ ამილახვარი გარდაიცვალა... წელსა ჩყლთ (1839), ივლისის ე. ოთხშაბათს, შუადღისას".

თეიმურაზმა კომისიას უჩვენა: ვარ 28 წლისა, ცოლად მყავს ფავლენიანთ ქალი, მყავს ორი უცოლო ძმა და ორი შვილი, ვაჟი და ქალი (VII. 1167).

მისი ძმებია: 1. **ბეჟან** (რომელმაც 1833წ. 3 ნოემბერს ცოლად შეირთო **მირმანოზ ერისთავის ქალი ქეთევანი,** მანანა ორბელიანის და). 2. **ამირინდო.**



**ამილახვარი ივანე გივის ძე** (1829–1905). მეფის ერთგული გენერალი და ქართულ სიძველეთა რესტავრატორი. ზოგადი განათლება მიიღო თბილისის ვაჟთა გიმნაზიაში, სადაც დაამთავრა 6 კლასი, ხოლო სამხედრო განათლება შეიძინა სამსახურში, რაც დაიწყო 1850 წ. პრინც ვირტემბერგელის ნიჟეგოროდის (ნიჟნინოვგოროდის) პოლკში. ა. განუწყვეტლივ იღებდა მონაწილეობას იმ ომებში, რომელთაც მეფის რუსეთი აწარმოებდა კავკასიაში, განსაკუთრებით მთიელთა წინააღმდეგ.

1852 წ. მიიღო პრაპორშჩიკის ჩინი; პირველად თავი ისახელა და საერთო ყურადღება მიიქცია თავისი გულადობით და ამხანაგებისათვის თავდადებით 1853 წ. 31 აგვისტოს ჩამჩიკის კოშკთან, როცა ზაქარია ჭავჭავაძის წინააღმდეგ მოუხდა მოქმედება: ხელათვე ეკვეთა იქითკენ, სადაც დაჭრილი იუნკერი ჭავჭავაძე მტერმა გაიმარტოხელა და ხიფათში იყო. ა-მ ერთი შეტევით იხსნა ჭავჭავაძე სიკვდილისაგან, თუმცა თვითონ მტრის ტყვიამ კისერში დასჭრა.

ივანე ამილახვარის გერბი



უფრო სახელოვანი იყო ა-ს მონაწილეობა ბაინდურისა (იმავე წლის 2 IX) და ბაშკადიკლარის (19. IX) ბრძოლებში; უკანასკნელ ბრძოლაში ფეხქვეშ ცხენი მოუკლეს. მან მტრის ხმლით გაარღვია და გზა გაიკაფა თავის ესკადრონისაკენ. ასეთი მამაცობისათ–

ვის მიიღო პირდაპირ პოლკოვნიკის ჩინი.

1854 წ. მონაწილეობდა აჭარაში მოქმედ ანდრონიკაშვილის რაზმში და განსაკუთრებით თავი ისახელა ჩოლოქთან, სადაც სელიმფაშას ჯარები მთლიად იქნა განადგურებული. მან მოაწყო და გაწვრთნა ქართველ ცხენოსან მოხალისეთა რაზმი, რომელმაც სულ მთლიანად ამოჟლიტა ოსმალთა ბატალიონი. ასეთი და მსგავსი ერთგული სამსახურისათვის ჯილდოს ჯილდოზე იღებდა მეფის მთავრობისაგან.

1871 წ. რუსეთის იმპერატორმა გაგზავნა გერმანიაში ვიურტემბერგის მეფისათვის ნიჟეგოროდის პოლკის შეფობის 25 წლის შესრულების მისალოცად. აქ ყოფნისას ა-მა ინახულა პარიზის ამღები გერმანიის ჯარი და თავისი ახოვნებით გერმანიის იმპერატორის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია.

კავკასიაში დაბრუნების შემდეგ ა. რუსეთის იმპერატორმა აირჩია თავის ფლიგელ-ადიუტანტად პოლკის 200 წლისთავზე. განსაკუთრებულ ჯილდოთა გარდა აღუდგინეს მისი გვარის ძველი სახელწოდება – **ამილახორი**.

1886 წ. როცა მეფის მთავრობამ განიზრახა საჩაჩნოში კომლობრივი აღწერა და ამ ნიადაგზე ხალხში მოხდა მღელვარება, ა-მა თავისი ტაქტით ხალხი დაამშვიდა და აღწერაც შეუფერხებლივ ჩაატარა. ამიტომაც 1904–05 წ. რევოლუციის დროს ცარიზმმა ა-ს, როგორც ტახტის ერთგულებაში არაერთგზის ნაცადს, მიანდო ბაქოს გენერალ-გუბერნატორობა, მერე კი დაავალა გორისა და დუშეთის მაზრების შემოვლა და აგრარულ ნიადაგზე მემამულეთა წინააღმდეგ აჯანყებული გლეხობის დაშოშმინება-დამშვიდება.

ამ მისიის შესრულების დროს ა. გაცივდა და ფილტვების ანთებით გარდაიცვალა ქ. გორში 1905 წ. 27 აგვისტოს. დასაფლავებულია თბილისში, ქაშვეთის ეკლესიაში.

როგორც შეძლებულმა და მსხვილმა მემამულემ ა-მა მეზობელ სოფლებში გაიყვანა გზები, გახსნა სკოლა სასოფლო-სამეურნეო განხრით, რომელსაც დაუთმო გაწყობილი მამული ბაღ-ვენახით, მოაწყო თავის სახლში აფთიაქი და პატარა ამბულატორია, მოიწვია გამოცდილი ფერშალი, რაც იმდროინდელ სოფელში იშვიათი იყო.

უფრო ცნობილია, როგორც რესტავრატორი: განაახლა და გაამშვენიერა სამთავისის ტაძარი, სოფ. ქვალაში მიძინების ეკლესია, ძველი გორისჯვრის ციხე და ეკლესია, მხურვალე მონაწილეობას იღებდა გორის ხიდის აგებაში, ხოლო თბილისში კომისიაში, რომელიც აგებდა თბილისში სამთავისის ტაძრის გეგმაზე ქაშვეთის ეკლესიას.

ა-ს ეკუთვნის შენიშვნები და დღიური, რომელიც მას სისტემატიურად უწარმოებია რუსეთ-ოსმალეთის 1877–1878 წწ. ომის მანძილზე ქართულ ენაზე. შემდეგში ეს შენიშვნები და დღიური მისი მეთვალყურეობით და ხელმძღვა-

ნელობით რუსულად ითარგმნა, ხოლო ლიტერატურულად გააფორმა ნაწილობრივ მისივე კარნახით. დიდმპყრობლური კონცეფციის სამხედრო ისტორიკოსმა გენერალმა ე. ა. პოტომ. ნაშრომი დაიბეჭდა. ეს შრომა მეტად ვრცელია და შეიცავს ა-ს ბიოგრაფიისათვის უაღრესად ძვირფას ცნობებს და ეპოქისა და მისი კლასობრივი წრისათვის დამახასიათებელ დეტალებს.

**ათანასე ტფილელი** (მიტროპოლიტი 1711–1774). შვილი ავთანდილ ამილახვრისა. დიპლომატი და მოსკოვში ქართული სტამბის გამმართველი. პირველად რუსეთში თან ახლდა მეფე ვახტანგ VI-ს.

არქიმანდრიტად აკურთხეს ქ. ასტრახანში, ხოლო 1733 წ. ხელდასხმულ იქნა მროველ ეპისკოპოსად. 1740 წ. 8 მაისს, საკუთარი თხოვნის თანახმად, კათალიკოსმა დომენტიმ აკურთხა მიტროპოლიტად, თვით რუისის საყდარი კი (ე.ი. მროველის კათედრა) სამიტროპოლიტოდ გახადა.

იმავე 1740 წ. 7 ივლისს ა. უკვე ტფილელის კათედრაზე იქნა გადმოყვანილი, სადაც იღწვოდა განუწყვეტლივ 12 წელიწადს. ტფილელად ყოფნისას მან თავი გამოიჩინა სიონის ტაძრის ეკონომიკური მოღონიერებით, გამშვენიერება-გაწყობით, წინათ დაგირავებული მამულ-ქონების გამოსყიდვით და ახლის მიპოვებით, რის ცხოველ სურათს იძლევა სიონის ერთი უთარიღო სიგელი – იგი წარმოადგენს ა-ს ტფილელობისას ნაღვაწის თავმოყრილ ნუსხას და ერთგვარ მემენტო-ს მის მომდევნო ტფილელებისათვის. დაწერილი უნდა იყოს მისი რუსეთს გამგზავრების (1752წ.) წინ.

ერეკლე II-მ ტფილელობის დროს ა. დესპანად გაგზავნა იესე მეფის ძესთან – ბატონიშვილ აბდულაბეგთან, რომელიც ერეკლეს ქართლის სამეფოს ეცილებოდა ლეკის ჯარით დაიმედებული.

1752 წ. 30 მაისს თეიმურაზმა და ერეკლემ ა. სიმონ მაყაშვილთან ერთად გაგზავნეს რუსეთის იმპერატრიცა ელისაბედ პეტრეს ასულთან საქართველოსთვის დახმარების სათხოვნელად.

ავადმყოფობისა და სიბერის მომიზეზებით, ა-მ თავი აარიდა საქართველოში დაბრუნებას, თუმცა წასვლის წინ თავის მოადგილეს მროველ ქრისტეფორეს სწერდა: „თუ სიკვდილი არ მეწია, წამოუსვლელი არ ავდგები". და როცა 1755 წ. თეიმურაზმა და ერეკლემ მოითხოვეს მისი უკან გამოგზავნა, ა-მ მიიღო რუსეთის ქვეშევრდომობა და სამუდამოდ დარჩა მოსკოვში, ჯვართამაღლების მონასტერში.

უფრო მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი იყო მისი მოღვაწეობა ქართული წიგნის გამომცემლობის დარგში. 1761–62 წწ. წმ. სინოდის ნებართვით ა-მ გახსნა მოსკოვში ქართული სტამბა, სადაც დაიბეჭდა არაერთი საეკლესიო წიგნი (სამოციქულო, დავითნი – ორჯერ, ჟამნი, ლოცვანი და სხვ.). მანვე პირველმა დაიწყო ნაბეჭდ წიგნებზე ტირაჟის აღნიშვნა.

კათალიკოს ანტონ I-ს თხოვნით ა-მ 1769 წ. მოსკოვიდან გამოგზავნა მირონი, რაც საქართველოს ეკლესიას წინათ საბერძნეთიდან მოსდიოდა.

გარდაიცვალა მოსკოვს 1774 წ. 9. VI. დასაფლავებულია დონის მონასტერში.

ათანასეს ძეები იყვნენ ვახტანგ, გიგი, ამირინდო ამილახვრები *(ს. კაკაბაძე. ისტ. საბ. V. 24).*

ეკატერინე II-ის ტახტზე ასვლის თვითმხილველის ამბავს შეიცავს უცნობი ქართველი მღვდელმთავრის წერილი, რომელსაც თ. ჟორდანია მიაწერს ათანასეს. მისი რუსული თარგმანი შეცდომებით დაბეჭდილი აქვს 1900 წელს ა. ხახანოვს *(იგივე ალ. ხახანაშვილი).* .

**ამილახვარი ალექსანდრე დიმიტრის ძე** (20. X. 1750-1802). ქართველი პოლიტიკური მოღვაწე. მამასთან ერთად მონაწილეობდა რეაქციონერი თავადების მიერ ერეკლე II-ის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში *(იხ. პაატა ბატონიშვილის შეთქმულება 1765). რისთვისაც სასტიკად დაისაჯა (მოაჭრეს ცხვირი და გადაუჭრეს ფეხის ძარღვი).*

1771 წელს პატიმრობიდან გაიპარა და რუსეთს გადაიხვეწა. დაუკავშირდა ქართლის ტახტის პრეტენდენტს ალექსანდრე ბაქარის ძეს და ტახტისთვის ბრძოლაში შეეწეობა აღუთქვა. 1783 წელს რუსეთის მთავრობამ ერეკლე II-ის თხოვნით ა. შეიპყრო და ვიბორგის ციხეში ჩასვა. 1801 წელს ამნისტიით გათავისუფლდა და საქართველოში გამოემგზავრა, მაგრამ გზად, ასტრახანში გარდაიცვალა.

რუსეთში ყოფნისას დაწერილ პოლიტ. პამფლეტში „გეორგიანული ისტორია" (გამოიცა რუს. ენაზე. პეტერბურგში, 1779). ა. მოგვითხრობს საკუთარ თავგადასავალს. ახასიათებს XVIII ს. II ნახ. ქართლის პოლიტიკურ მდგომარეობასა და სახელმწიფოებრივ წყობილებას, უარყოფითად აფასებს ერეკლე II-ის მთელ მოღვაწეობას. თხზულება განსაკუთრებით საინტერესოა ქართველი თავადის პოლიტიკური შეხედულებების დასახასიათებლად. ავტორის მსჯელობა სამეფო ხელისუფლებაზე გამსჭვალულია შეუზღუდველი თვითმპყრობელი მმართველისადმი უკიდურესი სიძულვილით.

ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორიისათვის კიდევ უფრო საინტერესოა ა-ის პოლიტიკური ტრაქტატი „ბრძენი ალმოსაელეთისა", რომელშიც ავტორი იძლევა სახელმწიფო წყობილებისა და მართვა-გამგეობის მისეულ სქემას.

იგი ცენტრალიზებული სახელმწიფოს წინააღმდეგია, მოითხოვს თავადების პოლიტიკური უფლებების გაძლიერებას, სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სხვადასხვა დარგის ჩაბარებას წარჩინებული საზოგადოების წარმომადგენლებისათვის. გარდა ამისა, გამოთქვამს შეხედულებებს სამღვდელოების, გლეხობის,

ხელოვნების ალეგორიის შესახებ სახელმწიფოში.

ა-ის მსოფლმხედველობაში აისახა XVIII ს. ფრანგი განმანათლებლის ზოგიერთი პროგრესული იდეა, მაგრამ ეს იდეები მის პრაქტიკულ მოღვაწეობასთან არ იყო დაკავშირებული. ა-ს ეკუთვნის აგრეთვე რუსულ ენაზე დაწერილი დრამატურგიული სცენა „ასტრახანში". თხზ.: „ბრძენი აღმოსავლეთისა..." „მოამბე", *1902, №2; გეორგიანული ისტორია. თარგმ. გ. ქიქოძისა. „მნათობი", 1939, №8.*

**ამილახვარი ამირინდო ავთანდილის ძე** (გ. II. 1772), ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტ. მოღვაწე. 1735-იდან იყო **ამილახორი**. მხარს უჭერდა თეიმურაზისა და ერეკლე II-ის ქართლში გამეფებას. რამდენჯერმე დაკარგა ამილახორობა, მაგრამ საბოლოოდ დაიბრუნა იგი 1765 შემდეგ. იყო ზემო ქართლის სადროშოს სარდალი და გორის მოურავი.

**ამილახვარი ანდუყაფარ გივის ძე** (გ. 1626), ქართლის მსხვილი ფეოდალი, ირანული ორიენტაციის ფეოდალთა ლიდერი, თავადური რეაქციის ტიპობრივი წარმომადგენელი XVII ს. I მეოთხედის ქართლში. ირანის წინააღმდეგ გიორგი სააკაძის მეთაურობით მოწყობილი აჯანყების დროს (1625) ქართველებმა შეიპყრეს და არშის ციხეში დაამწყვდიეს; მარაბდის ბრძოლაში გამარჯვებულმა ირანელებმა ა. გაათავისუფლეს და მამული დაუბრუნეს. ა. ზედიზედ აწყობდა ლაშქრობებს მეზობელი ფეოდალების წინააღმდეგ, ამოწყვიტა ლაზნელთა საგვარეულო, ააოხრა მცხეთა და გაძარცვა ეკლესია-მონასტრები. ა-ის დაღუპვის შემდეგ მოწინააღმდეგეებმა ამოწყვიტეს მისი ოჯახი.

**ამილახვარი ბარძიმ (ქოიარ) თაყას ძე**, ქართლის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე XVI ს. II ნახ-ში, საამილახვროს უფროსი, პროთურქული დასის მეთაური. იბრძოდა ქართლის მეფის სიმონ I-ის წინააღმდეგ და მხარს უჭერდა მის პოლიტიკურ მეტოქეს, კახეთის მეფე ალექსანდრე II-ს. სიმონ I-ის ირანში ტყვეობისას ავიწროებდა მეფის ოჯახს. ა-ის დახმარებით დაიკავეს თურქებმა გორის ციხე და ზემო ქართლის სხვა ციხეები. სიმონის დაბრუნების შემდეგ (1578) ა. დააპატიმრეს, ჩამოართვეს ამილახვრობა და მამულების ნახევარი. შემდგომში პოლიტიკურ ასპარეზს ჩამოსცილდა.

**ამილახვარი გივი ანდუყაფარის ძე** (1689–1754 ან 57), ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე, საამილახვროს უფროსი, ზემო ქართლის სადროშოს სარდალი და გორის მოურავი. პოლიტ. ასპარეზზე ჩანს 1722-იდან. ხშირად იცვლებოდა საგარეო ორიენტაციის და ბრძოლის მეთოდებს. ებრძოდა ოსმალობას (1723–35), თუმცა ხშირად დათმობაზეც მიდიოდა. 1726 ოსმალებს ხელი აღებინა სიონის მეჩეთად გადაკეთების განზრახვაზე. 1727 მეფე იესეს გარდაცვალების შემდეგ ოსმალებმა ქართლი რამდენიმე საგამგეო ერთდროულად (სანჯაყად) დაყვეს. ა. ზემო ქართლის სანჯაყის გამგებლად დაინიშნა.

იგი ოსმალებთან ერთად იბრძოდა მოთარეშე ლეკ ფეოდალთა წინააღმდეგ. ამასთან ერთად, იძულებული იყო მონაწილეობა მიეღო ოსმალების ექსპედიციებში კახელთა წინააღმდეგ, თუმცა კი ფარულად აჯანყებულ კახელებს ეხმარებოდა. თამაზ-ყული-ხანის (შემდგომში ნადირ-შაჰი) ამიერკავკასიაში მოსვლის შემდეგ 1734 ა-მა ყიზილბაშებთან ერთად დაიწყო ბრძოლა თურქების წინააღმდეგ. 1735 მოულოდნელი დარტყმით აიღო გორი და მონაწილეობდა თბილისიდან ოსმალების განდევნაში. თუმცა ქართველთა ბრძოლა ოსმალების წინააღმდეგ ხელს უწყობდა ირანელთა წარმატებებს, ნადირ-შაჰს არ მოსწონდა, რომ ქართველებში ფეხს იკიდებდა ქრისტიანული საქართველოს აღდგენის იდეა. ამიტომ მან დააპატიმრა ა. და სხვა ქართველი პატრიოტები (თეიმურაზ II, აბელ ანდრონიკაშვილი, მამუკა მუხრან-ბატონი, ქაიხოსრო ავალიშვილი, ვახუშტი აბაშიძე). მალე ისინი ტყვეობიდან გამოიქცნენ. 1736 ა. შანშე ქსნის ერისთავისა და ვახუშტი აბაშიძესთან ერთად სათავეში ჩაუდგა ანტიირანულ აჯანყებას ქართლში. მალე ირანელებმა ვერაგობით შეიპყრეს ა., ბრძოლას შანშე ქსნის ერისთავი განაგრძობდა. 1737 ნადირ-შაჰმა ა. და სხვა დაპატიმრებული ქართველები ავღანეთის ლაშქრობაში წაიყვანა. აქ მათ თავი გამოიჩინეს და შაჰმა გადაწყვიტა, ქართველი ტყვეები სამშობლოში დაებრუნებინა და შანშე ერისთავის წინააღმდეგ გამოეყენებინა. ამ დროისათვის შანშე ერისთავის ბრძოლის მეთოდები (დაღესტნელთა გამოყენება) მიუღებელი გახდა ქართველობისათვის, ამიტომ ირანელებმა ადვილად დაიმორჩილეს ქსნის საერისთაო და ა-ს გადასცეს. 1741 შაჰმა ა. ქართლის ვექილად (გამგებლად) დანიშნა, დაუმტკიცა ამილახორობა და ქსნის ერისთაობა. შემდეგ ა. მონაწილეობდა ნადირ-შაჰის დაღესტნის ლაშქრობაში. მაგრამ მისი ირანოფილური პოლიტიკა დიდხანს არ გაგრძელებულა. მისი უკმაყოფილება გამოიწვია, ერთი მხრივ, ბაგრატიონთა კახური შტოს (თეიმურაზ II) დაწინაურებამ ქართლში, მეორე მხრივ, ნადირ-შაჰის მძიმე საგადასახადო პოლიტიკამ, და 1742 იგი სათავეში ჩაუდგა ქართლის აჯანყებას ირანელთა ულღის წინააღმდეგ (იხ. ქართლის აჯანყება 1742–45). 1744 არაბეთის ბრძოლაში ა. დამარცხდა და 1745 იძულებული გახდა, დანებებოდა თეიმურაზ II-ს. დამარცხებული ა. ისპაჰანში გაგზავნეს. აქ ის ფორმალურად გამაჰმადიანდა, მიიღო შაჰ-ყული-ხანის სახელი და ირანის გვარდიის უფროსი (ყულარაღასი) გახდა. 1747 ნადირ-შაჰმა გადაწყვიტა, დაესაჯა „ურჩი" თეიმურაზ II და ერეკლე II და ა-ს დაავალა 30 ათასი კაცით საქართველოში შეჭრილიყო. ამ განზრახვას ხელი შეუშალა შაჰის სიკვდილმა. 1749 ა-მა შემოიკრიბა ირანში მყოფი ქართველები, შეაიარაღა და ხმლით გაიკაფა გზა საქართველოსაკენ.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ა-მა არაერთი დანგრეული ციხე და ეკლესია აღადგინა ქართლში, იმერეთსა და მესხეთში, დიდი ფინანსური, მორალური და სამხედრო დახმარება გაუწია თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ს.

**ამილახვარი გივი იოთამის ძე** (გ. 1700). საამილახვროს უფროსი. ზემო ქართლის სადროშოს სარდალი და გორის მოურავი (1656–96). ვახტანგ V-ისა და არჩილ II-ის პოლიტიკის მიმდევარი. აქტიური მონაწილეობა მიიღო გიორგი XI-ის აჯანყებაში სპარსეთის წინააღმდეგ (1688). აჯანყების დამარცხების შემდეგ თავი შეაფარა რაჭას. გარდაიცვალა იქვე.

**ამილახვარი დემეტრე,** XVIII ს. 50–60-იანი წწ. პოლიტიკური მოღვაწე. ქართლის სამეფო კარის სახლთუხუცესი, ერეკლე II-ის მოწინააღმდეგე თავადების ერთ-ერთი მეთაური. მონაწილეობდა 1756 პაატა ბატონიშვილის შეთქმულებაში. მეთაურობდა „**მარკოზაშვილის დარბაზის**" უკიდურესად რეაქციულ ფრთას. შეთქმულების დამარცხების შემდეგ ჩამოართვეს მამულები, ქონება და დასაჯეს „სახალხო შერცხვენით". ფიზიკური სასჯელისაგან დაინდეს ავადმყოფობის გამო. გარდაიცვალა 80-იან წწ.

**ამილახვარი დიმიტრი გიორგის ძე** (1906, სოფ. ბაზორკინო, თერგის ოლქი. ახლანდელი ჩერმენი. ჩრდ. ოსეთის ასსრ. – 24. X. 1942, ელ-ალამეინი), დაბადების ადგილის მიხედვით „ბაზორკად" წოდებული. საფრანგეთის არმიის ოფიცერი. 14 წლამდე იზრდებოდა საქართველოში, შემდეგ ოჯახთან ერთად გადასახლდა უცხოეთში. 1922 წლიდან ცხოვრობდა პარიზში.

სწავლობდა სენ-სირის სამხედრო სასწავლებელში (1924–26), რომლის დასრულების შემდეგ მსახურობდა ჩრდ. აფრიკაში უცხოურ ლეგიონში. II მსოფლიო ომის დასაწყისში ჩაირიცხა სიდი-ბელ-აბესში (ალჟირი) შექმნილი უცხოური ლეგიონის მე-13 ნახევარბრიგადაში (1940 თებ.). თავი ისახელა ნარვიკის ბრძოლაში (1940 მაისი-ივნისის დამდეგს).

ჰიტლერული ოკუპაციის დროს ლეგიონი ჩრდ. საფრანგეთიდან ინგლისში გადავიდა. სადაც შეადგინა თავისუფალი საფრანგეთის ძალების პირველი ბირთვი. მონაწილეობდა ერიტრეის კამპანიაში, განსაკუთრებით ისახელა თავი ქ. მასაუის აღებისას, სადაც მოულოდნელი შეტევით ხელთ იგდო იტალიელთა რამდენიმე საესკადრო ნაღმოსანი და მრავალი ტყვე (1941 წ. 7. IV). ა-მა მონაწილეობა მიიღო სირიის კამპანიაში და ქ. დამასკოს აღებაში. ვიშის მთავრობამ მას სიკვდილი მიუსაჯა. ა-მა მიიღო ლეიტენანტ-კოლონელის წოდება და დაინიშნა უცხოური ლეგიონის ნახევარბრიგადის მეთაურად, მისმა ნაწილმა გენერალ კენიგის ბრიგადის შემადგენლობაში გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწია გენერალ ერომლის არმიას „უდაბნოს ვერდენად" წოდებულ 16-დღიან ბირ-ჰაკეიმის ბრძოლაში (1942 წ. 26 მაისი–10 ივნ.). 1942 ა. დააჯილდოეს „განთავისუფლების ჯვრით", იგი გმირულად დაიღუპა ელ-ალამეინის ბრძოლაში. დაკრძალულია ლიბიის უდაბნოში. 1956 ა-ის სახელი მიენიჭა სენ-სირის სამხედრო სასწავლებლის 143-ე გამოშვებას.

**ამილახვარი იასე** (გ. 30. IX. 787). ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე. ცოლად ჰყავდა ქართლის მეფის იესეს ასული **ხორე**-

**შანი.** მიუხედავად იმისა, მხარს უჭერდა ერეკლე II-ს თავისი ცოლისძმის აბდულა-ბეგის წინააღმდეგ ბრძოლაში. ერთგულებისათვის ერეკლე II-მ კახეთში მამულები უბოძა. 1754, თამაზის გადაყენების შემდეგ, დანიშნეს ქიზიყის მოურავად. 1756 ქიზიყის მოურავობა კვლავ თამაზს დაუბრუნეს. ა. კი ქიზიყიდან გაიწვიეს და ქართლის სამყურო კარის სახლთუხუცესად დანიშნეს. ეკავა სარდლის სახელოც. 70-იან წწ. თავი გამოიჩინა ლეკთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

**ამილახვარი ოთამ პაპუნას ძე** (დ. დაახლ. 1649). XVII ს. 30–50-იანი წწ. ქართლის დიდი ფეოდალი. პოლიტიკური მოღვაწე. ზურაბ არაგვის ერისთავთან ერთად ეურჩებოდა გიორგი სააკაძეს. ხან თეიმურაზ I-ს ებრძოდა, ხან როსტომ მეფეს. ბერი ეგნატაშვილის ცნობით, „სითკენაც დრო დაახელის, იქითკენ იყვის".

**ამილახვარი ოთარ რევაზის ძე** აღმ. საქართველოს პოლიტიკური მოღვაწე XVIII ს. უკანასკნელ მეოთხედში. საამილახვროს უფროსი, ზემო ქართლის სადროშოს სარდალი, გორის მოურავი. 1789 ა-ის წინააღმდეგ გამოვიდნენ მისი სიმკაცრით უკმაყოფილო გორელები. ერეკლე II-მ დასაჯა უკმაყოფილონი, მაგრამ ა-ს უბრძანა, დაეცვა ბატონყმობის კანონით დადგენილი ნორმები. ა-მა გააშენა სოფ. ორჯობი, გაიყვანა ახალი სარწყავი არხები და აღორძინებულ ადგილებში დაასახლა ტყვეობიდან გამოსყიდული გლეხები. 1785 იბრძოდა საქართველოში შემოჭრილი ომარ-ხანის წინააღმდეგ. 1795 მონაწილეობდა კრწანისის ბრძოლებში. ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ ა-ს ძალაუფლება შეიზღუდა. ბატონიშვილებს შორის ტახტისათვის ატეხილ ბრძოლაში ემხრობოდა დარეჯან დედოფლის ჯგუფს, მხარს უჭერდა თავის სიძეს იულონ ბატონიშვილს. ამის გამო 1801 წელს. დაკარგა ამილახვრობა.

**ამილახვარი პაპუნა ოთამის ძე** (გ. 1625), XVII ს. I მეოთხედის ქართლის სამეფოს პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე. საამილახვროს უფროსი, ზემო ქართლის სადროშოს სარდალი, გორის მოურავი. ცოლად ჰყავდა სიმონ I-ის ასული თამარი. 1605 ოქტ. ქართლის მეფის გიორგი X-ის ბრძანებით დაეხმარა კახეთის დედოფალ ქეთევანს (თეიმურაზ I-ის დედა) ტახტის მიმტაცებელ კონსტანტინეს წინააღმდეგ ბრძოლაში (იხ. კონსტანტინე I კახეთის მეფე). მარტყოფის აჯანყების დროს (1625) მხარში ედგა გიორგი სააკაძეს. თავი გამოიჩინა მარაბდის ომში (1625), შემდეგ – ირანელთა მოთარეშე რაზმების წინააღმდეგ ბრძოლაში. ა. თავის ყმებს მოაკვლევინა ქსნის ერისთავმა იესემ.

**ამილახვარი რევაზ ოთარის ძე,** XVIII ს. შუა წლების აღმ. საქართველოს პოლიტიკური მოღვაწე. მონაწილეობდა გივი ამილახვარის ანტიირანულ აჯანყებაში. 1744 აჯანყებას ჩამოშორდა და თეიმურაზ II-ს მიემხრო. 1750 დანიშნეს თბილისის ციხისთავად (მინბაშად), 1754 – ქართლის ნაიბად. 1772 ამილახვრობა მიიღო. მისი ქალიშვილი სალომე ცოლად ჰყავდა იულონ ბატონიშვილს, ერეკლე II-ის ძეს.



*ივანე ამილახვარი, „ჯარმა თავისი სამხედრო ძლიერება მტერზე არა მარტო მატერიალურ და რიცხობრივ უპირატესობაში უნდა ეძიოს, არამედ თავის მორალურ და სულიერ ძალაში. ჩვენ უნდა გვახსოვდეს ძველი აღზრდის კავკასიური ეს სისტემა და გვახსოვდეს კარგად". **(ი. ამილახვარი)***

გენერალ-ადიუტანტი, კავალერიის გენერალი ***ივანე გივის ძე ამილახვარი*** ქართლის თავადთა ერთ-ერთი უძველესი სახლის შთამომავალია. არსებობს მოსაზრება, რომ მისმა ერთ-ერთმა წინაპარმა ოტია ზედგინიძემ უდიდესი გმირობა ჩაიდინა. მეფე გიორგი VIII-ს მან განსაცდელი ამცნო და სასახლიდან გაპარვა ურჩია, თვით კი მეფის ფარაგა ჩაიცვა და ადგილზე დარჩა. შეთქულებმა იგი მეფედ მიიღეს და მოკლეს.

ოტია ზედგინიძის შთამომავლობას მადლიერმა მეფემ თავადობა და გორის მოურავობა უბოძა, სამთავისის ეკლესია მისცა, მეჯინიბეთუხუცესად დანიშნა და ამილახვრის წოდება მიანიჭა. ეს წოდება შთამომავალობით გადადიოდა, ამიტომ ამილახვარის სახელი გადაეცა ზედგინიძეს და ამიერიდან ისინი ცნობილნი არიან თავად ამილახვრის გვარით. მათს განკარგულებაში იყო ერცელი მიდამო გორისირგვლივ: ლიახვის, რეხულის და მეჯვრადის მდინარეთა აუზები და ამ ადგილებს საამილახვრო ეწოდებოდა. აქ იყო სამეფო სოფლები, ბაღები, ჯოგები და სასახლეები, საამილახვრო დაცული იყო სიმაგრეებითა და ციხეებით. მათგან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ცვილის ციხეს. ამრიგად, ამილახვრების ხელში მოხვდა უდიდესი სიმდიდრე და ისინი ქართველ მეფეთა სასახლეში დიდ როლს ასრულებდნენ. ამილახვართა შთამომავლებს არაერთხელ უსახელებიათ თავი სამშობლოს დაცვაში. 1679 წელს ბრძოლაში ერთად დაღუპულა 6 ძმა ამილახვარი, ხოლო 1723 წლის 20 სექტემბერს ოთხი თავადი ამილახვარი დაეცა. ამილახვართა სახელთანაა დაკავშირებული მრავალი კულტურული კერა საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ. 1724 წელს იერუსალიმის მახლობლად ამირან და თაყა ამილახვრებს აუშენებიათ წმინდა ვასილის სახელობის ქალთა მონასტერი.

**ამილახვართა** საგვარეულოდან იყო თბილისის მიტროპოლიტი **ათანასე**; იგი მოსკოვში გარდაიცვალა. კათალიკოსი ნიკოლოზი დასაფლავებულია შიო მღვიმის სავანეში. მაგრამ ამ გვარის ყველაზე უდიდეს წარმომადგენლად სთვლიან გივი ამილახვარს, რომელიც XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ცხოვრობდა. იგი ანდუყაფარ ამილახვარის შვილია, რომელიც ისტორიაში ცნობილდი შაჰ ყულიხანის სახელით. მის სამფლობელოში შედიოდა თითქმის მთელი ქართლის ჩრდილოეთ-დასავლეთი და ოსეთის ნაწილი. ექვემდებარებოდა 14 თავადის საგვარეულო, მისი მოწოდებით ფეხზე დგებოდა მთელი ზემო ქართლი. მათი საგვარეულო მამულის ცენტრი სოფ. ჭალა იყო, აქ მან აგო ცვილის ციხე, რომელსაც თითქმის მთელი სპარსეთის არმიისაგან დაუცავს თავი. გივი ამილახვარი

ბატონიშვილ ერეკლესთან ერთად მონაწილეობდა ნადირ შაჰის ლაშქრობაში ინდოეთში. გივი ამილახვარი აქ შაჰის გვარდიას მეთაურობდა. ერთ-ერთ ბრძოლაში გივის მასაცრობით განცვიფრებულ ნადირ შაჰს ძვირფასი ხმალი მოუხსნია და თვით ჩაუცმევია გმირისათვის, ხოლო ლაშქრობის შემდეგ სამხრეთ ქართლის ნაწილიც უბოძებია.

სამხედრო ღირსების გარდა გივი ცდილობდა ხალხის სიყვარული დაემსახურებინა. იგი მფარველობდა ღარიბს, სუსტსა და ჩაგრულს; მას აუშენებია მოძღვიმის საყდრის ნანგრევებიდან აღადგინა ფეთხაინის ეკლესია და ა.შ. მაგრამ მის მთავარ დამსახურებად სიონის ტაძრის გადარჩენას თვლიან.

1727 წელს თურქეთის ჯარმა თბილისი აიღო. სულთანმა უბრძანა სიონის გადაკეთება მეჩეთად, მსგავსად კონსტანტინოპოლის წმ. სოფიის ტაძრისა. ეს ბრძანება ახალციხის ისაკ ფაშას უნდა განეხორციელებინა. გივმა მუქარით და ძვირფასი საჩუქრებით აიძულა ფაშა ხელი აეღო ბრძანების ეშსრულებაზე. ამ ფაქტმა მას უდიდესი ავტორიტეტი მოუტანა.

გივი ამილახვარის სიცოცხლის უკანასკნელ წლებმა საქართველოს აშლილობისა და შინაფეოდალური ქიშპობის ვითარებაში გაიარა. 1754 წელს იგი გარდაიცვალა. დასაფლავებულია მოძღვიმის საყდარში. გივი იმდენად ავტორიტეტით სარგებლობდა, რომ თვით მეფე თეიმურაზ II-ს საფლავამდის მიუცილებია.

გივი ამილახვარს ორი შვილი დარჩა – დავითი და ბარძიმი. დავითი ახალგაზრდა დაიღუპა ლეკებთან ბრძოლაში. ბარძიმი, ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის თანამედროვე, ვეღარ ასრულებდა ისეთ პოლიტიკურ როლს, როგორსაც მისი წინაპრები. იგი უბრალო ფეოდალი იყო და მხოლოდ ლეკებთან ბრძოლაში თუ განირჩეოდა. ბარძიმის უფროსი ვაჟი გივი მამასთან ერთად ცხოვრობდა ჭალაში. ორივენი მრავალი ლაშქრობის მონაწილენი იყვნენ. ერთად იბრძოდნენ ისინი ახალციხესთან პასკევიჩის რაზმში, დარგოს ექსპედიციაში და ა.შ. 90 წლის ბარძიმი კიდევ ცხენზე ჯდებოდა და ახალგაზრდებთან ერთად მონაწილეობდა დოღში. სოფ. ჭალაში გივი ამილახვარს შეეძინა ვაჟიშვილი, ჩვენთვის საინტერესო პიროვნება, შემდგომში რუსეთის არმიის ერთ-ერთი გამოჩენილი გენერალი ივანე ამილახვარი. იგი დაიბადა 1829 წლის 10 იანვარს. ივანე პაპის სახლში იზრდებოდა ძველ ქართულ ტრადიციებზე. დედა ანასტასია ორბელიანის ასული – განათლებული ქალი ყოფილა და წერა-კითხვაც მისგან უსწავლია შვილს. აქ ჭალაზე გადიოდა გორი-თბილისის გზა და ამ ოჯახში ხშირად ხვდებოდა რუსი საზოგადოება. სტუმრებს ხიბლავდა მოხუცი ბარძიმის მოგონებები, სტუმართმოყვარეობა.

ი. ამილახვარს განსაკუთრებით დარჩა მეხსიერებაში თბილისში 1837 წელს იმპერატორის ჩამოსვლა: იმ დღეს ქალაქი ნიკოლოზ I-ს ხვდებოდა ივანე მთელი ცერემონიის მოწმე გახდა. დიდუბის მინდორზე ჯარის დათვალიერება მოეწ-

ყო. ახალგაზრდა იოანემ აქ პირველად დაინახა ნიჟეგოროდის დრაგუნთა ლეგიონი, რომელთანაც შემდგომ მისი ცხოვრების საუკეთესო წლები აღმოჩნდა დაკავშირებული.

იოანეს კარგად ახსოვს იმპერატორის პატივსაცემად გამართული მეჯლისი, სადაც მეფეს თავის დროის ულამაზესი ქალი – მართა სოლოღაშვილი ახლდა. ეს ქალი შემდეგ ალექსანდრე ერისთავის მეუღლე გახდა, ხოლო მათი ქალიშვილი ანა – იოანე ამილახვრის მეუღლე.

**იოანე ამილახვარი – იგივე ნიკო 1829 წ. 10 იანვარი. მამა გივი ამილახვარი, დედა ანასტასია ორბელიანის ასული, მეუღლე ანა სოლოღაშვილი – ალექსანდრე ერისთავის ქალიშვილი**

1837 წელს იოანე თბილისის გიმნაზიაში შეიყვანეს; 6 კლასის დამთავრების შემდეგ იგი სოფ. ჭალაში დაბრუნდა და მშობლებს განუცხადა, რომ მას ჯარში სამსახური სურს.

მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციის თანახმად უფროსი ვაჟი სახლში უნდა დარჩენილიყო, ოჯახმა უარი არ უთხრა იოანეს. პაპა ბარძიმმა მას სამშობლოსადმი ერთგული სამსახურის დავალება მისცა და ურჩია, ახლო ყოფილიყო ჯარისკაცებთან, მეტი ეფიქრა მათზე, ვიდრე თავის თავზე. გაცილებისას პაპამ მას საგვარეულო სამახსოვრო ხმალი შეაბა, რომელიც ოდესღაც მის წინაპარს შაჰ ყული ხანიდან მიუღია ინდოეთში ლაშქრობისას. ამ ხმალს იოანე ამილახვარი 40 წელი ატარებდა.

1850 წელს იოანე მოხალისედ ჩაირიცხა ნიჟეგოროდის ლეგიონში. იგი ყველამ შეიყვარა და უბრალოდ ნიკოს ეძახდნენ. „როდესაც ამ უბრალო, წყნარ ახალგაზრდას ვუყურებდით, – წერდა ერთ-ერთი მისი თანამედროვე, – – ნუთუ ვინმე იფიქრებდა რომ შვიდი წლის შემდეგ ის უკვე ნიჟეგოროდის დივიზიონის უფროსი, ცნობილი იქნებოდა, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო საკავალერიო ბრძოლის მონაწილე, რომელსაც კი ადგილი ჰქონდა კავკასიაში, ხოლო კიდევ 6 წლის შემდეგ უკვე ნიჟეგოროდის ლეგიონის მეთაური გახდებოდა და მისი სახელი დიდი ასოებით ჩაიწერებოდა კავკასიის ომის მატიანეში".

პოლკში დახვდა ზაქარია ჭავჭავაძე, რომელსაც კავკასიის არმიის საუკეთესო ოფიცერთა რიცხვს მიაკუთვნებდნენ და საზოგადოებაში გარკვეული ავტორიტეტიც ჰქონდა. აქვე მას დახვდა რუსი ოფიცერი, რომელიც ბედმა კავკასიაში გადმოისროლა. მათგან ბევრი პროგრესულად მოაზროვნე იყო, ნაწილი კი დეკაბრისტთა აჯანყების მონაწილეც. ხ1851 წლის 7 თებერვალს ი. ამილახვრის ნიჟეგოროდის ლეგიონი სოფ. გემანჩუკთან ბრძოლებში მონაწილეობდა, მე-7 ესკადრონის შემადგენლობაშწი იბრძოდა, რომელსაც ზაქარია ჭავჭავაძე მეთაურობდა. აქ პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღო ახალგაზრდა იოანემ და იმდენად ისახელა თავი, რომ ჯარისკაცმა გიორგის ჯვარი დაიმსახურა. „ეს ჯვარი ჩემთვის, – იგონებს იოანე – განსაკუთრებით ძვირფასია,

რადგან იგი მე მთელმა ესკადრონმა მომანიჭა".

30 აგვისტოს მორიგ ბრძოლაში მე–7 ესკადრონი მოწინააღმდეგის განლაგებაში შეიჭრა. ზ. ჭავჭავაძის მხარდამხარ იბრძოდა ივანე ამილახვარიც. „მე ვხედავდი, – წერს ივანე, – თუ როგორ იბრძოდა ალყაშემორტყმული ზაქარია. მის თავზე ათობით ხმალი ბრწყინავდა". ამ ბრძოლაში ივანე ამილახვარი დაჭრეს ზ. ჭავჭავაძესთან ერთად. მაგრამ მალე გამოჯანმრთელდნენ.

ყირიმის ომი მოახლოვდა. 1853 წლის 30 ოქტომბერს ნიჟეგოროდის ლეგიონი ალექსანდროპოლში იდგა. აქ ცნობა მოვიდა მტერთან მოულოდნელი შეტაკების შესახებ.

30 ნოემბერს ამას მოჰყვა ბაშკადიკლარის ბრძოლა, რომელშიც ივანე უშუალოდ მონაწილეობდა. ბრძოლის ერთ–ერთ მომენტში ყველაფერი ერთმანეთში აირია. ამილახვარს თავს დაესხა თურქი ოფიცერი. ორივემ ერთდროულად ესროლა ერთმანეთს. თურქი ოფიცერი ძირს დაეცა. შემდეგ ანდრონიკაშვილი თურქების ბატარეაზე შეიჭრა და ქვემეხები იგდო ხელთ. გამარჯვებულს დიდი ნადავლი დარჩა.

1854 წელს ინგლისისა და საფრანგეთის ომში ჩაბმამ გაართულა რუსეთის მდგომარეობა, საბრძოლო ოპერაციებმა ძირითადად ყირიმში გადაინაცვლეს, მაგრამ რთულ ვითარებაში აღმოჩნდა სამეგრელო და გურიაც. დაიწყო ახალი ბრძოლებისათვის მზადება, ჯარების დაკომპლექტება.

ი. ამილახვარი გაიგზავნა გურიის რაზმის მეთაურის გენერალ ანდრონიკაშვილის განკარგულებაში, მას დაავალეს ქართული ცხენოსანი დრუჟინის ფორმირება. როდესაც მას ნიჟეგოროდის პოლკის მეთაური იასონ ჭავჭავაძე აცილებდა, განუცხადა: „მე რეკომენდაციას მოგცემ არა მარტო როგორც ქართველს, რომელსაც შეუძლია დრუჟინის მებრძოლებს ახსნა–განმარტება ჩაუტაროს მათ მშობლიურ ენაზე, არამედ როგორც ოფიცერს, რომელზედაც შეიძლია, სრული პასუხისმგებელი იყო".

ამილახვარი თბილისში გენერალ ანდრონიკაშვილთან გამოცხადდა, რომლის თქმით ი. ამილახვარი ნამდვილი ქართველი თავადი იყო, გააჩნდა დიდი ნიჭი და საბრძოლო გამოცდილება. იგი ყველას უყვარდა თავისი ორიგინალობის, პატრიარქალური სტუმართმოყვარეობისა და უმწიკვლო პატიოსნებისათვის. გენერალმა ამილახვარი ჩაათვალიერა, გამოჰკითხა ვინაობა და გაახსენდა, რომ ივანეს მამა გივი მასთან ერთად იბრძოდა ახალციხესთან. შემდეგ განუცხადა, რომ მას გზავნის დრუჟინას ფორმირებაზე, რომლის მეთაურად მამაცი ჯანდიერი დანიშნეს. *„გეტყვი გულახდილად, – უთხრა გენერალმა, – რომ „დროშა გიორგი" და მისი ღირსეული მეგობრები ძლიერ მამაცნი არიან, მაგრამ მწყობრის წესრიგის არაფერი ესმით. შენ, ძმაო, შემიქენი დრუჟინა ჩვენს დრაგუნთა მსგავსი"*. დისციპლინის განსამტკიცებლად ივანე მებრძოლებს შთააგონებდა, რომ მათი ნადავლი უნდა იყოს მოწინააღმდეგის დროშები და ქვე–

*მეხები. „ამით თქვენ მატერიალურ სიმდიდრეს ვერ მიიღებთ, – დასძენდა იგი. – მაგრამ შეიძენთ იმას, რის ყიდვაც შეუძლებელია. რაც უნდა დიდი თანხა გაგაჩნდეთ – ეს არის მებრძოლის სინდისი და ხალხში უკვდავი სახელი“.*

დრუჟინას შესამჭიდროებლად, დისციპლინის განსამტკიცებლად და საბრძოლო სულისკვეთების ამაღლების მიზნით ამილახვარის ინიციატივით სპეციალური დროშა დაამზადეს, რაც სიმბოლურად ძველი ტრადიციის, დამოუკიდებელი, ქართული სამხედრო ერთეულის აღდგენასაც ნიშნავდა. ეს დროშა იყო ჩვეულებრივი შავი ტილო. ამ დროშას დიდ პატივს სცემდნენ ქართველი მეომრები. მის წინაშე კიდეც ლოცულობდნენ. იოანე ამილახვარის ენერგიული მუშაობით დრუჟინა უმოკლეს დროში მზად იყო ბრძოლისათვის. მან შექმნა ნაწილი, რომელმაც ბრწყინვალედ შეასრულა თავისი მოვალეობა. ქართულმა დრუჟინამ თავი ისახელა 1854 წლის ჩოლოქის ბრძოლაში. სადაც რთულ, გადამწყვეტ მომენტში შეიჭრა მოწინააღმდეგის ბანაკში და მტერს გამარჯვება ხელიდან გამოჰგლიჯა. ამ წარმატებას დრუჟინა ი. ამილახვარს უმადლოდა, რისთვისაც კაპიტნის ჩინი უბოძეს. ბრძოლის შემდეგ დრუჟინა დაითხოვეს, ხოლო ი. ამილახვარი თავის ნიჟეგოროდის პოლკს დაუბრუნდა. აქ მან მე–7 ესკადრონის უფროსობა ჩაიბარა, რომელსაც ადრე ზაქარია ჭავჭავაძე მეთაურობდა.

1856 წლიდან ნიჟეგოროდის ლეგიონი კვლავ ჩრდილო კავკასიაში იდგა. ზაქარია ჭავჭავაძის ავადმყოფობის გამო, დივიზიონის მეთაურად ამილახვარი დანიშნეს. ხშირი იყო მთიელებთან ბრძოლები. აქ ანხოვის ექსპედიციაში ი. ამილახვარმა ოქროს ხმალი დაიმსახურა.

1864 წ. კავკასიის ომი დამთავრდა. ნიჟეგოროდის პოლკის მეთაური გრაბე პეტერბურგს გაიძახეს, ხოლო ადგილზე პოლკოვნიკის ჩინში ამაღლებული ამილახვარი დანიშნეს. *„ეს სენსაცია იყო. მე მხოლოდ 12 წელი ვიყავი ოფიცრად“, – წერდა იგი. – და ბუნებრივია, არავითარი ანგარიშით არ შემეძლო მეფიქრა, ასე დიდი თანამდებობა დამეკავებინა“.*

ი. ამილახვარი პოლკის მათაურობას შეუდგა იმ დროს, როდესაც საჭირო იყო ლეგიონის დანაკარგის შევსება. ძველი თაობა კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ პოლკიდან წავიდა, ახალი მიღებული არ იყო. ახლა, მშვიდობის დროს, ახალი კადრების აღზრდა იყო საჭირო. საჭირო იყო ძველი საბრძოლო სულისკვეთების შენარჩუნება და ახალი თაობებისათვის გადაცემა. იოანე ჩვეულებისამებრ ენერგიულად შეუდგა საქმეს.

1869 წ. დასაწყისში ამილახვარმა 15 წლის სამსახურის შემდეგ პირველი შვებულება აიღო და მშობლიურ გორს ეწვია. ცოცხალი აღარ დახვდა პაპა ბარძიმი, რომელმაც გზა დაულოცა სამხედრო სამსახურში; დედაც გარდაცვლილიყო. მოხუც მამას ძლიერ სურდა, სიცოცხლეში ენახა შვილი დაქორწინებული. შვებულებაში იოანე შემთხვევით გაეცნო მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლის ალექსანდრე ერისთავის ოჯახს. მას საკმაოდ ლამაზი და გა-

ნათლებული ასული ჰყავდა. ერისთავების გვარებს შორის პირველი ადგილი ეკავა. თვით ალექსანდრე კი ცნობილი იყო, როგორც თავადაზნაურთა წინამძღოლი და ახალციხის, ქურუქ-დარასა და ყარსის ბრძოლების მონაწილე. ამ ოჯახის გაცნობამ იევანეზე დიდი გავლენა მოახდინა და ხელი სთხოვა თავადის ასულს. 1866 წლის 30 იანვარს ჯვრისწერა მეფისნაცვალის ეკლესიაში მოხდა. ქორწილზე მეუღლის მხრიდან მამობილობა იკისრა გრიგოლ ორბელიანმა. დაქორწინებული იევანე ლეგიონს დაუბრუნდა, რომელიც ნოვგოროდ-გევსკიდან საქართველოში ჩამოვიდა და თეთრიწყაროში დაბანაკდა.

1869 წ. კრასნოსელსკის ბანაკში საკავალერიო მეცადინეობა ტარდებოდა. იქ მიავლინეს სამი გენერალი და ორი ოფიცერი, მათ შორის იევანეც. შეკრება დაათვალიერა ალექსანდრე II. იგი ნიჟეგოროდის ფორმაში მწყობრთან მივიდა და ამილახვარს მიმართა, რომ იგი გამოცხადდეს ნიჟეგოროდის ლეგიონის მეთაურთან. ლეგიონის სახელით იევანემ მეფეს თავისი საგვარეულოს ძველი ხმალი გადასცა. როდესაც იევანე დაიხარა და მეფისადმი ხელზე კოცნა მოიწადინა, მონარქი მას გადაეხვია და უთხრა: *„გადაეცი ლეგიონს, მე ვამაყობ მისი სახელოვანი ფორმის ტარებით“*. შემდეგ მეფემ იშიშვლა ხმალი და პრუსიელ გენერალს უჩვენა, თუ როგორი საჩუქარი მიიღო ამ ლეგიონისაგან. განცვიფრებულმა გენერალმა უპასუხა, რომ ეს ხმალი ერთადერთი უძველესია, რომელიც მას უნახავს სიცოცხლეში. მან ხმალი სამხედრო მინისტრს მილიუტინს გადასცა და ასე ხელიდან ხელში გადადიოდა.

1871 წლის 22 იანვარს ვიურტემბერგის მეფის ნიჟეგოროდის შეფობის 25 წლისთავი უსრულდებოდა. გამოიყო ლეგიონის დელეგაცია, რომელიც უნდა მისალმებოდა მას შტუტგარტში. დელეგაციაში შევიდა იევანე ამილახვარი. დიდმა მთავარმა იევანე ამილახვარს ხმალი მისცა იუბილარისათვის გადასაცემად, რომელიც თავის დროზე თავად შერვაშიძეს ეკუთვნოდა. დელეგაცია პეტერბურგში მეფეს ეწვია, მას მოეწონა ხმლის გადაცემის განზრახვა და დამშვიდობებისას ამილახვარს უთხრა: *„გადაეცი მეფეს, რომ ახლანდელი ვითარების გამო არ შემიძლია პირადად მივულოცო“* და დაავალა, რომ დიპლომატიური მიდგომით პრუსიის ჯარის დათვალიერების უფლება მიეღო. ამილახვარი შტუტგარტში ჩავიდა: სადგურზე მას ფმეის ადიუტანტი დახვდა, ხოლო 5 საათზე თვით მეფემ მიიღო ფორმისა და ცერემონიის გარეშე. აუდიენცია მოკლე დროით განისაზღვრა, მეორე დღეს 11 საათზე კი ოფიციალური მიღება იყო. მეფე უკვე ნოვგოროდის ლეგიონის ფორმაში იყო ანდრეევსკის ლენტით. მასთანვე იდგა ნიკოლოზ მეფის და ოლგა ნიკოლოზის ასული. ამილახვარი წარუდგა იუბილარს და გადასცა ხმალი. მეფემ მადლობა გადაუხადა და პირობა მისცა, ატარებდა მას ლეგიონის სამხედრო დამსახურების მოსაგონებლად. ცერემონიისა და სადილის დროს ამილახვარმა მიაღწია ნებართვას – წასულიყო გერმანიის არმიაში, რომელიც ფრანგებზე გამარჯვების შემდეგ

კვლავ პარიზთან იდგა. 1871 წ. 10 თებერვალს ი. ამილახვარი მეფის კარეტით ჩავიდა ვერსალში, სადაც გერმანიის არმიის შტაბი იყო. იმავე დღეს იგი გერმანიის იმპერატორმა მიიღო ვერსალის რატუშის უდიდეს დარბაზში. ყველა დააინტერესა პოლკოვნიკის კავკასიურმა ხმალმა. ასეთი ხმალი ევროპის მუზეუმებშიც იშვიათი იყო. სადილზე მეფე, სამხედრო მინისტრი ფელდმარშალი მოლტკე და მათი თანმხლები პირები დაინტერესდნენ რუსეთისა და კავკასიის ამბებით. იმპერატორმა ი. ამილახვარს მიამაგრა ინჟინერი – გენერალი გერგი, რომელმაც მას გააცნო ომის მსვლელობა და შედეგები. *„მისი ხელმძღვანელობით, – წერს ივანე, – მე დაწვრილებით გავეცანი არა მარტო საალყო სამუშაოებს, არამედ გავიგე ჩემთვის მეტად საჭირო და ბევრი რამ ახალი, საინტერესო და შესანიშნავი. მაგალითად, ვნახე დინამიტის მოქმედება, რომელსაც მაშინ კავკასიაში არ იყენებდნენ. ვნახე უდიდესი ხეებისაგან შექმნილი მავთულებით ურთიერთდამაგრებული კედელი. ვესწრებოდით მდ. სენაზე საპონტონო ხიდის გამართვას, რომლითაც, ორი საათის შემდეგ პარიზიდან უკვე გამოჰქონდათ პოზიციებიდან მოხსნილი (ფრანგული ვეებერთელა) ქვემეხები“.* ასე, რომ გერმანიის არმიაში და სხვადასხვა ქალაქებში ყოფნამ მას ბევრი რამ მისცა სამხედრო თვალსაზრისით. უკან დაბრუნებისას შტუტგარტში იგი კვლავ ეწვია ნიჟეგოროდის შეფს, რომელმაც ი. ამილახვარს გადასცა ვიურტემბერგის კომანდორის ჯვარი ხმლით, ხოლო დედოფალმა მეუღლისათვის – თავისი ფოტოსურათი და სამკაული.

იმავე წლის სექტემბერში დელეგაცია ლეგიონში, საქართველოში დაბრუნდა. მეფეც ჩამოვიდა, რომელმაც პოლკოვნიკ ი. ამილახვარს ფლიგელ-ადიუტანტობა უბოძა. თბილისიდან ბორჯომისაკენ მიმავალი მეფე გორში ამილახვარის სიმამრის, თავად ალექსანდრე ერისთავის ოჯახში შეჩერდა. მეფემ გაიხსენა, რომ იგი აქ 20 წლის წინათ იყო – როდესაც მან კავკასია ინახულა როგორც ტახტის მემკვიდრემ. კიბეზე საპატიო თავადთა ყარაულში ივანეს მამა, მოხუცი გივი იდგა; ივანეს მეუღლემ კი პური და მარილი მიართვა სტუმარს. იქვე ოთახში მარმარილოს დაფა იყო წარწერით: *„ეს სახლი გააბედნიერა თავისი სტუმრობით ტახტის მემკვიდრემ ალექსანდრე ნიკოლოზის ძემ 1850 წლის 17 სექტემბერს“;* აქვე სახლის პატრონს, ალექსანდრე ერისთავს მეფემ პოლკოვნიკობა უბოძა და თავის ფლიგელ-ადიუტანტად დანიშნა. მეფე გორისა და ბორჯომის საზღვრამდე მიაცილა ივანემ და ლეგიონში დაბრუნდა.

1873 წლის 30 აგვისტოს პოლკოვნიკი ამილახვარი გენერალ-მაიორი გახდა და იმპერატორის ამალაში ჩარიცხეს, ხოლო 1874 წ. 24 დეკემბერს ახალ დანიშნულებასთან დაკავშირებით ივანემ ნიჟეგოროდის ლეგიონი დატოვა. მის უკანასკნელ ბრძანებაში ნათქვამი იყო: *„ძვირფასო ნიჟეგოროდელებო, თქვენს რიგებში სრულიად ახალგაზრდა მოვედი, თქვენთან გავიზარდე და დავვაჟკაცდი; აქვე გავიარე სამხედრო წოდების ყველა საფეხური – რიგითი მებრძო-*

*ლიდან გენერლობამდე და მთლიანად დაგიახლოვდით თქვენ".*

1876 წლის დასაწყისში გენერალი ამილახვარი დროებით შვებულებას იღებს. მაგრამ ომის მოახლოების გამო მწყობრს დაუბრუნდა. ნიჟეგოროდის ლეგიონი ჩრდილო კავკასიიდან მცირე აზიის ბრძოლის ასპარეზისაკენ დაიძრა. 29 სექტემბერს მათ მცხეთაში შეხვდა ყოფილი მეთაური ივანე ამილახვარი, რომელიც გორიდან ჩამოსულიყო. აქვე შეხვდა ვლადიკავკაზიდან მომავალ ზ. ჭავჭავაძეს. ორივე ინტერესით ათვალიერებდა ლეგიონს. კმაყოფილება გამოიწვია მათში იმ ფაქტმა, რომ ლეგიონი ბრძოლაში მხნე და მაღალი სულისკვეთებით მიდიოდა. მცხეთაში ლეგიონს სადილი გაუმართეს.

24 ნოემბერს ამილახვარი ერევნის რაზმის უფროსთან გენერალ ტერ-გუკასოვთან გამოცხადდა. აქ იგი მჭიდრო ურთიერთობას ამყარებს სომეხ საზოგადო და სამხედრო მოღვაწეებთან. ომის გამოცხადების პირველი დღიდანვე ამილახვარი, ერევნის რაზმის კავალერიის მეთაური, ავანგარდში მოქმედებს, მიიწევს წინ და პირველი იკავებს მოწინააღმდეგის სოფლებსა და ქალაქებს. ამილახვარმა აქ კავშირი დაამყარა ქურთთა მეთაურთან მირზა ალასთან. მან სრული თანხმობა განაცხადა რუსეთის მთავრობისადმი ერთგულ სამსახურზე. მაგრამ „მე მისი არა მჯერა, – წერდა ივანე, – იგი ცბიერია". რაზმმა 30 აპრილს ქ. ბაიაზეთი დაიკავა და შეტევა ალაშკერტის მიმართულებით განვითარდა. ბაიაზეთში მცირერიცხოვანი გარნიზონი დატოვეს.

ერევნის რაზმი 200 კმ სიღრმით შეიჭრა თურქეთში სოღანლუღის მიმართულებით, მუშირმა მუხტარ ფაშამ მის წინააღმდეგ ალაშკერტის რაზმი დაძრა მაგომედ ფაშას მეთაურობით.

16 ივნისს მოწინააღმდეგე მხარეთა ორი რაზმი დრამ-დაგას სიმაღლეზე ერთმანეთს შეხვდა. ამ ბრძოლის ბრწყინვალე გამარჯვების სულისჩამდგმელი ი. ამილახვარის კავალერია გახლდათ. ამიტომ იყო, რომ ბრძოლის შემდეგ მეთაური ტერ-გუკასოვი გადაეხვია მას და გულითადი მადლობა გადაუხადა.

ამ დროს ქურთების რეგულარულმა ნაწილმა ბაიაზეთს ალყა შემოარტყეს და ერევნის რაზმს უკან დასახევი გზა მოუჭრეს. ერევნის რაზმის მეთაურმა კი კორპუსის უფროსის დეპეშა მიიღო. დახმარებოდა გენერალ გეიმანის რაზმს, რომელიც მოქმედებდა სოღანლუღისაკენ მუხტარ-ფაშას წინააღმდეგ და ერთდროული დარტყმით გაენადგურებინათ ზივინის სიმაღლეებზე გამაგრებული მოწინააღმდეგე. თურქეთის მუშირმა გადაწყვიტა, არ დაეშვა ორი რაზმის შეერთება და ცალ-ცალკე გაენადგურებინა ისინი. 21 ივლისს იგი ტერ-გუკასოვის წინააღმდეგ დაიძრა ორჯერ მეტი ძალებით და რუსეთისათვის არახელსაყრელ პოზიციებზე ბრძოლა გაუმართა სოფ. დაიართან. ყველაზე ძლიერი იერიში თურქებისა ამილახვარის წინააღმდეგ წარიმართა, პოზიცია სამჯერ გადაეიდა ხელიდან ხელში და ბოლოს მთელი რაზმის ერთიანი იერიშით მტერი უკუგდებული იქნა, გამარჯვება ერევნის რაზმს ერგო.

მიუხედავად ამისა, ტერ-გუკასოვი იძულებული იყო, უკან დაეხია, ხელსაყრელი პოზიციები დაეკავებინა და გენერალ გეიმანის ცნობებს დალოდებოდა. გეიმანი კი თავისი „კავკასიის რჩეული ნაწილებით" ზივინთან დამარცხდა, რამაც განაპირობა შემდგომ მთელი კორპუსის საზღვრისაკენ უკან დახევა. ალყაში მყოფმა ამილახვარმა შეძლო ალყიდან გამოსვლა და ერევნის გუბერნიაში დაბრუნება.

ი. ამილახვარი თავისი კავალერიით ბაიზეთის გადასარჩენად დაიძრა და აქაც პირნათლად და სახელოვნად შეასრულა მასზედ დაკისრებული მოვალეობა. *„მე მივედი მასთან (ტერ-გუკასოვთან. –შ.მ.), ქედი მოვიხარე და სულითა და გულით მივულოცე გამარჯვება და გაწამებული გარნიზონის გადარჩენა. მოწყენილი კეთილი მოხუცი, არზას არტამანის ძე, გადამეხვია, მაკოცა და შეწუხებულმა წაიცრემლა. ეს წუთები, როგორც მთელი დღე, 28 ივლისი, ყოველ ჩვენთაგანისათვის დაუვიწყარი იქნება".*

შემდგომ ამილახვარი მონაწილეობს ერევნის რაზმის ყველა ოპერაციაში. ერევნის რაზმი გაერთიანდა გეიმანის რაზმთან, განსაკუთრებით ძლიერი იყო დევე-ბოინის სიმაღლეების იერიში, რომელიც არზრუმის უკანასკნელი დაცვის იმედი იყო. რამდენიმე საათის ბრძოლის შემდეგ სიმაგრეთა ცენტრს ამილახვარის კავალერია ეკვეთა, ხელში იგდო თურქთა 10 ქვემეხი და შემდეგ მოწინააღმდეგის ბანაკში შეიჭრა, რამაც გადაწყვიტა ბრძოლის ბედი. გამარჯვება რუსეთის არმიამ მოიპოვა. მხოლოდ სიბნელემ არ მისცა საშუალება ამილახვარს, შეტევა გაეგრძელებინა და არზრუმი ხელთ ეგდო. არზრუმის კედლებთან დამთავრდა საბრძოლო ოპერაციები.

ომში ამილახვარმა ბევრი საბრძოლო ორდენი დაიმსახურა. ომის შემდეგ იგი დაინიშნა კავკასიის კავალერიის დივიზიის მეთაურად და 1883 წელს გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიენიჭა.

1886 წელს ჩეჩნეთში მღელვარება მოხდა. იგი გამოიწვია მოსახლეობის აღწერამ. აჯანყების მძვინვარების პერიოდში ოლქის მმართველად დაინიშნა ივანე ამილახვარი. მან დაუყოვნებლივ მოლაპარაკება გამართა გავლენიან პირებთან. მოკლე დროში მოსახლეობა დააწყნარა და ოლქში სიმშვიდე დაამყარა. ამ დამსახურებისათვის მან თეთრი არწივის ორდენი დაიმსახურა.

1890 წლის 22 ივლისს ივანე ამილახვარს სამხედრო სამსახურში მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა, რაც დიდი ზეიმით აღინიშნა. ლეგიონიდან მისასალმებლად სპეციალური დეპუტაცია გაიგზავნა: პოლკოვნიკი წერეთელი, როტმისტრი ლლონტი, შტაბროტმისტრი კობიაშვილი და სხვები. იუბილე 30 სექტემბერს მოეწყო სოფ. ჭალაში, თავადის მამულში. ბუნებრივია სოფ. ჭალას არ ენახა ესოდენ მრავალრიცხოვანი და ბრწყინვალე საზოგადოება. ნიჟეგოროდელთა მისალმებაში ნათქვამია: *„50 წლის მანძილზე ხელს უწყობდით ნიჟეგოროდის ლეგიონის დიდებას, ხოლო ჩვენთვის, ნამდვილ ნიჟეგორო-*

*ღელებისათვის. თქვენ იყავით იმ გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი, რომლის გზაზე მავალი ყოველი ნიჟეგოროდელი თავისი ფიცის ერთგული დარჩება და დიდებით მიაღწევს უმაღლეს სამხედრო საჟუხურებს*. მრავალი თბილი სიტყვა წარმოთქვეს. აგრეთვე მოვიდა ცნობა ვლადიმერის პირველი კლასის ორდენით ი. ამილახვარის დაჯილდოების შესახებ.

1893 წელს გენერალი ამილახვარი დაინიშნა კავკასიის არმიის კორპუსის მეთაურად. 1901 წელს კი გენერალ-ადიუტანტის საპატიო წოდება მიენიჭა.

კავკასიის კორპუსის მეთაურის თანამდებობაზე ი. ამილახვარი 4 წელი იყო. უკანასკნელ მის ბრძანებაში ამილახვარი წერდა: *„ოთხი წლის წინათ ნაწყალობი სიამაყით მივიღე კავკასიის კორპუსის რჩეული და ბრწყინვალე ჯარების მეთაურობა. და ახლა, როდესაც მათ ვემშვიდობები ღრმა მწუხარებით, თან მიმაქვს სასიხარულო. ყველა ჩემს ღირსეულ თანამომსამსახურეთა წმინდად შესრულებული მოვალეობის გრძნობა“.*

1903 წელს ნიჟეგოროდის ლეგიონი ბაშკადიკლარისა და ქიურუკ-დარას ბრძოლების 50 წლისთავს ზეიმობდა. ლეგიონში შეიკრიბნენ ამ ბრძოლების მონაწილეები, მათ შორის გენერალ-ადიუტანტი ამილახვარი. ის მიესალმა მებრძოლთ და გვერდში ამოუდგა მათ, რათა შეხვედროდა მასზე უფროსს და ძველ ნიჟეგოროდელს, გენერალ-ადიუტანტს ზაქარია ჭავჭავაძეს.

ყველას ანცვიფრებდა ამილახვარის გარეგნობა. ნაწილს ახსოვდა კიდეც, რომ სწორედ 50 წლის წინ, როდესაც იგი ამ ლეგიონის მე-7 ესკადრონს მეთაურობდა, პირველმა მიიღო წმინდა გიორგის ჯვარი. ლეგიონის მეთაურმა ბაგრატიონ-მუხრანსკიმ ვახშამზე განსაკუთრებით აღნიშნა ბაშკადიკლარისა და ქიურუკ-დარას ბრძოლების ორი გმირის მამაცობა. ამილახვარი ამავე დროს სამშობლოს დიდი პატრიოტი იყო. ძლიერ აწუხებდა მისი მომავალი ბედი. იგი მიესწრო რევოლუციურ გამოსვლებს, გრძნობდა მომავალი – ახალი თაობის გამარჯვებას, მაგრამ აშინებდა, რომ ცარიზმი სასტიკად დასჯიდა ქართველ ხალხს, აწიოკებდა და აოხრებდა მათ სახლ-კარს. *„ეხლა მოვკვდე, ის მირჩევნია, – ამბობდა იგი, – ვიდრე ვიცოცხლო და ჩემის თვალით ვნახო ჩემი სამშობლოს განადგურება, აოხრება და ქართველი ერის ჟლეტა-წყვეტა“.* ზ. ჭიჭინაძის სიტყვებით, ამ გარემოებამ დააჩქარა მისი სიკვდილი.

ცხოვრებაში იგი ყოფილა ძლიერ უბრალო და თავმდაბალი ადამიანი, მზად იყო, ვისმე ღატაკსა და უბედურს დახმარებოდა, გამოქომაგებოდა, რითაც უბრალო ხალხის პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებდა. *„ვიცით ისიც კარგად, – წერს ზ. ჭიჭინაძე, – რომ იგი თავისი ხელქვეითი სამხედრო პირების წინაშე და ნამეტურ ჯარისკაცთა მიმართ ყოფილა მეტისმეტი კეთილი და დიდად ლმობიერი. მათი სიყვარული და სიბრალული მამისებური ჰქონია და ამიტომ მათაც დიდი განუსაზღვრელი სიყვარული ჰქონიათ ამ პირის“.*

ზ. ჭიჭინაძე მის პიროვნებას აღწერს და დასძენს: *„ჩვენს დროში ასეთი საგ-*

*მირო ტანის და შესახედაობის კაცი. როგორც გახლდათ იოანე გივის ძე, ძლიერ ცოტანი იყვნენ"-ო.* ამავე დროს იგი მოკრძალებული ყოფილა ყველას წინაშე, ყველას ხედებოდა, როგორც ამხანაგს, საერთო ენას პოულობდა დიდთან თუ პატარასთან, . სწავლულთან თუ უსწავლელთან და ა.შ.

როდესაც მოსავალი არ იყო, გაჭირვებაში ჩავარდნილ გლეხკაცობას იოანე დიდ დახმარებას უწევდა. მაგალითად, 1901–1902 წლებში მოუსავლობა იყო. იოანეს უშუალო ზრუნვით მთავრობისაგან მიუღია 30 ვაგონი პური, რომელიც გლეხობისათვის დაურიგებია და ხალხი შიმშილისაგან დაღუპვას გადაურჩენია. ხოლო წინასა და ზომაში რომ არ მოეტყუებინათ გლეხი, 300 ვედრო შეუძენია და უფასოდ დაურიგებია მათთვის. ავადმყოფთათვის ძლიერ ხშირად დახმარება გაუწევია ფულით, წამლით, ექიმით და ა.შ.

იგი ასწავლიდა გლეხებს საქონლის მოვლას და მოშენებას. მას რუსეთიდან გამოუწერია კარგი ჯიშის ძროხები და გლეხობისათვის მიუცია გასამრავლებლად. სოფელში მისი ინიციატივით გაიხსნა სააკადმყოფო, თავისი ფულით შეუძენია წამლები. ყოფილა ისეთი შემთხვევაც, რომ გლეხებს გადაუხადა მოიჯარადის ვალი. იგი მოუწოდებდა გლეხებს: ერთმანეთს გაუმართეთ ხელიო. ამილახვარს თავისი სოფლიდან მიჰყავდა ბავშვები ქალაქად და ვაჭრობასა და ხელოვნებას ასწავლიდა; სოფელს გაუკეთა გზა და ა.შ. *„ვიტყვი თამამად, – დასძენდა ზ. ჭავჭავაძე, – უყვარდა მას საქართველო, ქართველი ერი. სურდა მას ამ ერის დაწინაურება, ამაღლება ცხოვრების მეურნეობით, ხელოსნობით, ვაჭრობითა და სხვათი".*

მას მიაჩნია, რომ რუსეთის შემადგენლობაში ყოფნა უნდა გამოეყენებინათ ქვეყნის დაწინაურებისათვის. ამიტომ იყო, რომ იგი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალ-ყურს ქვეყნის განვითარებას. იგი იყო წევრი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, იწერდა წიგნებს, რომლებიც საქართველოს ისტორიას ეხებოდა და ა.შ.

1905 წლის 27 აგვისტოს გარდაიცვალა გენერალ-ადიუტანტი, კავალერიის გენერალი იოანე გივის ძე ამილახვარი. რუსეთის მხედრიონთა რიცხვს გამოაკლდა კავკასიის ომების გამოწვრთნილი გმირი; კავკასიის არმიამ მისი სახით დაკარგა უდიდესი მასწავლებელი.

იოანე ამილახვარზე უკეთ არავინ იცნობდა კავკასიას და კავკასიის ომს ყველა მისი წვრილმანითა და დეტალით. ამით ხსნიან მის მანევრებს ბაშკადიკლარისა და ქიურუქ-დარის ველებზე, ყარსის მიდამოებსა თუ ტყიან ჩაჩნეთში. გაზეთი „კავკაზი" წერდა: *„მეტს ველარ ვიხილავთ ძველი ნიჟეგოროდელი დრაგუნის გიგანტურ ფიგურას, გვერდზე ჯარისკაცისა და ოფიცრის გიორგის ჯვრებით და ვერ ვნახავთ მის კარგ დამახასიათებელ ქართულ სახეს, ჭაღარათი დამშვენებულს... და როგორი პურმარილიანი იყო იგი?"*

ამილახვარი ერთადერთი იყო დარჩენილი იმ მცირერიცხოვან პირთაგან,

რომლებიც წმინდად ინახავდნენ ძველი მებრძოლი კავკასიის არმიის ანდერძს. ამილახვარს ღრმად სწამდა რუსეთის იარაღის უძლეველობა, იგი ერთგული იყო რუსეთისა, ღრმად განიცდიდა რუსეთის უბედურებას და სწამდა მისი საუკეთესო მომავალი.

ამილახვარი მეტად განათლებული ადამიანი იყო. იგი წერდა მოგონებებს, რომლებიც გამოქვეყნებულია „კავკაზსკი სბორნიკის" 26–29 ტომებში. ამ გამოჩენილ სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწეს, რომელსაც უდიდესი დამსახურება მიუძღოდა თავისი ხალხისა და რუსეთის წინაშე, სათანადო პატივით დაკრძალვაც კი არ ერგო.

1905 წლის ზაფხულში საქართველოში რევოლუციური აღმაველობა იყო. თბილისში კი სერიოზული მღელვარება. გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით, რომელსაც „უწესრიგობის" ძალზე ეშინოდა, კავკასიის ამ გმირის ცხედარი სადგურიდან ჩუმად გადაასვენეს ქაშვეთის ეკლესიაში. მას მხოლოდ ნიჟეგოროდელთა ერთი ესკადრონი მიაცილებდა და მეორე დღეს, მხოლოდ დაკრძალვის დროს, ქვემეხების ზალპმა აუწყა ქალაქს, რომ მიწას მიაბარეს გენერალ-ადიუტანტი, თავადი ამილახვარი.

ორი თვის შემდეგ კი ქალაქმა გააცილა მეორე ცნობილი მხედართმთავარი, გენერალ-ადიუტანტი „კავკასიის არმიის რაინდი" ზაქარია გულბაათის ძე ჭავჭავაძე



**ამილახვარი ნუგზარ გიორგის ძე** მათემატიკოსი, ინფორმატიზაციის სპეციალისტი, პროგრამისტი, მენეჯერი, ჟურნალისტი. დაიბადა თბილისში 1961 წლის 31 ოქტომბერს. მამა – **გიორგი ამილახვარი** *(სოფლის მეურნეობის სამინისტრო – მთავარი ვეტექიმი)*. დედა – **ციალა დოლიძე** *(განათლების სამინისტრო – მთავარი სპეციალისტი)*.

მეუღლე – **მაია თარაშვილი** (დაიბადა 1962 წლის 22 მარტს) მუსიკათმცოდნე. შვილი: **გიორგი** – დაიბადა 1984 წლის 15 მარტს.

ნუგზარ (ნუკრი) ამილახვარმა 1978 წელს ფრიადზე დაამთავრა კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა. 1981 წელს – პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი ჟურნალისტიკის სპეციალობით. 1986 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მექანიკა-მათემატიკის სპეციალობით; 1993 წელს – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ეკონომიკისა და საქმიანი ურთიერთობების ფაკულტეტი მენეჯმენტის სპეციალობით; 1997 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო მოხელეთა კოლეჯი სახელმწიფო მართვისა და ზოგადი მენეჯმენტის სპეციალობით.

1986 წლიდან დაიწყო მოღვაწეობა ეკონომიკის საკავშირო კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტში ინჟინრის თანამდებობაზე.

1990 წლიდან მუშაობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საორგანიზაციო სისტემების ინფორმატიზაციის ლაბორატორიაში ინჟინრის თანამდებობაზე.

1994 წლიდან გადაყვანილია სასწავლო-მეთოდური სამმართველოს უფროსად, ხოლო 2001 წლიდან - ინფორმატიზაციის უფროსად

1999-2000 წლებში კონტრაქტით გაფორმდა გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის ეროვნულ კონსულტანტად ინფორმატიკის სფეროში. 2002 წლიდან იწყებს მოღვაწეობას საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდში სადაზღვევო სისტემის ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილების უფროსად.

ავტორია 7 სამეცნიერო ნაშრომისა, მათ შორის 2 მონოგრაფია.

მონაწილეა მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების (მათ შორის ბევრჯერ საორგანიზაციო კომიტეტის წევრი).

1997 წელს გაიმარჯვა საკავშირო მათემატიკურ ოლიმპიადაში (II ხარისხის დიპლომი).



**გიორგი ნუგზარის ძე ამილახვარი** დაიბადა თბილისში 1984 წლის 15 მარტს.

მშობლები: მამა - **ნუგზარ ამილახვარი** (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - ინფორმატიზაციის უფროსი, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი - სადაზღვევო სისტემის ინფორმაციული ტექნოლოგიების უფროსი, კავკასიის ბიზნეს სკოლა - ინფორმაციული ტექნოლოგიების ლექტორი),

დედა - **მაია თარაშვილი** (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - მთავარი სპეციალისტი).

მეუღლე: **ეკა თავთავაძე** (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო პოლიტიკის სპეციალობის სტუდენტი).

გიორგი ამილახვარი 2000 წელს ჩაირიცხა ტექნიკურ უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის ეკონომიკური სამართლის სპეციალობაზე.

2000 წლიდან დაიწყო მოღვაწეობა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კომპიუტერიზაციის განყოფილებაში ოპერატორად, შემდეგ პროგრამისტად.

2002 წლიდან ტექნიკური უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურშია.

2003 წლიდან საქართველოს ადვოკატთა ეროვნულ ასოციაციაში ადვოკატის თანაშემწე და საქართველოს იურისტ სტუდენტთა ასოციაციის წევრია.

ავტორია სამეცნიერო ნაშრომებისა, მონაწილეა სტუდენტურ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, მიღებული აქვს გამარჯვების დიპლომები და სერტიფიკატები.

2001 წელს გაიმარჯვა ეკონომიკის საერთაშორისო სტუდენტურ კონფერენციაზე (II ხარისხის დიპლომი), იმავე წელს - იურისტთა საერთაშორისო სტუდენტურ კონფერენციაზე (II ხარისხის დიპლომი), 2003 წელს - საქართველოს იურისტ-სტუდენტთა ასოციაციის კონფერენციაზე (სერტიფიკატი).

**ამილბარასშვილი||ამილბარაშვილი|| ამილბარაანი** მომდინარეობენ **ამილბარ ციციშვილისაგან. ამილბაროვ–ამირბაროვი** რუსიფიცირებული ფორმაა. კასპელი **ამილბარაშვილ–ამილბაროვების** აღრინდელი გვარია **ციციშვილი**. თავად ციციშვილთა გვარი კი **ასპანისძე–ასპანიძეებიდან** იღებენ სათავეს (შდრ. **ფანასკერტელი–ციციშვილი**). შდრ. *ამილბარი. ბერიკა. ბერუკა. გოგია. ესტატე. მამუკა. ტატია. ქიტუა. დემეტრე ამილბარაშვილი ამილამბარ-სიძე* ბატონ **ლევანისა** *(პალ.. წიგნი I. 126).* **ამილბარაშვილი** – 0.

**ამილ–ბარ–ი–შვილი** კი არა. თავდაპირველი ფორმა იყო **ამირ–ბარ–ა–შვილი**. გვარ–სახელის ფუძის პირველი ნაწილია **ამირა** (არაბ. *მბრძანებელი. მეთაური. მმართველი).* მთავრის შესატყვისი ტიტული აღმოსავლეთის მაჰმადიანურ ქვეყნებში. საქართველოში **„ამირა“**, როგორც არაბთა ხელისუფლების წარმომადგენლის აღმნიშვნელი ტერმინი. VIII ს–იდან გაჩნდა. თბილისის **ამირას** ნიშნავდა **ხალიფა**. XI ს–ში თბილისს გარდა არაბი ამირები ისხდნენ რუსთავსა და დმანისში. ამავე საუკუნეში იხსენიება პირველი ქართველი მოხელე რუსთავის მფლობელი **ლიპარიტ ამირაც**.

1122 წლიდან ვიდრე XII ს–ის ბოლომდე. ამირა ერქვა ქალაქის განმგებლად დანიშნულ ქართველ დიდებულს. ქალაქის ამირას თანამდებობიდან განვითარდა **ამირთა–ამირას** თანამდებობა (იხ. *ციციშვილი).*

**ალიმბარაშვილი 569**
**თბილისი – 318,**
**კასპი – 106,**
**გორი – 83;**
**ალიმბერაშვილი – 26**
**თბილისი – 13,**
**გორი – 6,**
**გარდაბანი – 3.**

**ალიმბარაშვილი–ამილბარაანი. ამილბარა** ოდითგან ქართველი კაცის საკუთარი სახელი ყოფილა. „ამილბარა – თაფანში მცხოვრები. ბარათაშვილების გაყრის დროს იგი წილად ხვდა გერმანოზ. თაყა. გოსტასაბ. ფალავან ხოსრო ბარათაშვილებს“ (1523 წელი): **ამილბარა** – მის ფარდად მოურავსა და ზურაბ სააკაძეს წილად ერგოთ დემეტრე ამილბარაშვილის (XVII საუკუნის ბოლო. პირთა ანოტირებული ლექსიკონი. წიგნი. I. გვ. 126).

**ამილბარი** იგივეა. რაც **ამირბარი (ამირბარისა)**. არაბულად **ამირ–ალ–ბაჰრი** ნიშნავს „ზღვის ამირა“–ს, ისტორიულად იგივეა. რაც სახელმწიფო ფლოტის უფროსი – ადმირალი, *„თვით ამირბარსა ინდოეთს აქვს ამირსპასალარობა“ (რუსთველი).*

**ალიმბარაშვილი (ამილბარაშვილი) მამუკა** – უზარმაზ ფავენელმა იგი თავისი მამულით გაუცვალა გრიგოლ ჯინჯიხაძეს (1459 წელს. *(იხ. იაკობ ახუაშვილი „ქართული გვარსახელები“. თბ.. 1994. გვ .211).*

**ამინაშვილი**, გვარის ფუძეა სიტყვა **ამინ–**ის რედუქციით მიღებული სახელი, – **ამინ (ამინა).**

**შდრ. ამინასშვილი აბრამა** – *ბეთანიას მცხოვრები. დათუნა ხუცის ფარდად. იგი ერგო საამ ბარათაშვილს (1662 წ.).*

ამინაშვილი 90
თბილისი – 67,
თეთრიწყარო – 18,
გარდაბანი –2.

**ამინაშვილი** გვარში ცნობილია მწერალი და პუბლიცისტი, ბიბლიოფილი, ქართველ მწერალთა მესტორიე და თაყვანისმცემელი შალვა ამინაშვილი.

**ამირანაშვილი||ამბროსაშვილი** ამირანაშვილი ცნობილი და პოპულარული გვარსახელია: იგი ეპონიმური ხასიათისაა და ნაწარმოებია წინაპრის საკუთარი სახელისაგან.

**ამირან** ქართული ხალხური ეპოსის გმირის სახელია, რომელსაც მნიშვნელობის დამაჯერებელი ახსნა არ მოეპოვება. მისგან ნაწარმოებია გვარები: **ამირანაშვილი, ამირანიძე, ამირანა, ამირან** და მისგან ნაწარმოები გვარი **ამირანაშვილი**. ჩვენს ხელთ არსებული მასალებით დაფიქსირებულია 1537–1538 წლებში. შდრ. **ამირანაშვილი** – სოფ. ანგრევანს მცხოვრები. იგი წილში ერგო ოთამ ბარათაშვილის (1537–1538 წწ.).

**ამირანასშვილი გიორგი** – ტინისხიდელი, მოწმე ზაალ ლალაშვილის მიერ მაჩულა ჭუკასშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1688 წ.).

**ამირანაშვილთა** გვარის განაყოფი გვარია **ამბროსაშვილი**. შდრ. **ამირანაშვილი ამბროსე – ამბროსაშვილი ამბროსა. ამირანაშვილი შერმაზან იგივე ამბროსაშვილი შერმაზანა.**

ამირანაშვილები ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ როგორც ქართლში, ისე იმერეთში. XVII–XVIII საუკუნეებში მრავლად ჩანან ქვემო ქართლში *(იხ. იაკობ ახუაშვილი. ქართული გვარსახელები. თბ., 1994 წელი).*

იმერეთის ამირანაშვილები იყვნენ აზნაურები. 1850 წლის 6 დეკემბერს რუსეთის მთავრობამ აზნაურებად აღიარა და „ხაკურლის წიგნში" შეიტანა: **363. გახუშტი ბერისძე**, მისი ცოლი **ვარვარა**, მათი ვაჟიშვილები: **იესე, ტარიელი, დიმიტრი**, იესეს ცოლი **კეკენა**, მათი ვაჟიშვილები: **ამირანი, ლუარსაბი; 364. პავლე ვახტანგის ძე**, მისი ცოლი **მაია**, მათი ვაჟიშვილები: **ნიკოლოზი, ალექსი, ანთიმოზი**, ქალიშვილები: **სალომე, ვარვარა; 365. ლევან გიორგისძე**, მისი ცოლი **დარეჯანი**, მათი ვაჟიშვილები: **გიორგი, დიმიტრი, ნიკოლოზი, დავითი**, გიორგის ცოლი **მარიამი; 366. ზურაბ ნასყიდას ძის ქვრივი სუსანა**, მისი ვაჟიშვილები: **დავითი, როსტომი**, დავითის ცოლი **ელისაბედი**, მათი ვაჟიშვილები: **იოსები, საჩინო**



**ამირანაშვილი ავთანდილ** დაიბადა ქ. სოხუმში 1948 წ. 1966 წელს დაამთავრა სოხუმის მეოთხე საშუალო სკოლა ვერცხლის მედალზე. იმავე წელს ჩააბარა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1971 წ. 1972 წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მ. ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტში განყოფილების გამგედ. 1974–1977 წლებში ასპირანტურის გავლის შემდეგ 1978 წ. დაიცვა დისერტაცია და მიიღო ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

სამეცნიერო ინტერესები: ღრუბლების ფიზიკა; ატმოსფერულ პროცესებზე

იაკობ ახუაშვილი

აქტიური ზემოქმედება; ატმოსფეროს და ელჭექის ელექტრობა; ატმოსფერული ოზონის და აეროზოლების ფიზიკა; ატმოსფერული პროცესების ლაბორატორიული მოდელირება; ელექტრომაგნიტური ველები; საქართველოს კლიმატის თანამედროვე ცვალებადობა; სხვადასხვა მეტეოგეოფიზიკური ფაქტორების მედიკო-ბიოლოგიური ასპექტები. არის 150-მდე სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის სამი მონოგრაფიის ავტორი და თანაავტორი. არის ორი მონოგრაფიის თანაავტორი. მისი უშუალო მონაწილეობით შემუშავებულია კონვექციური ღრუბლების ელექტრული მდგომარეობის რეგულირების მეთოდიკა. შექმნილია კონვექციური ღრუბლების მიკროფიზიკური, დინამიკური და ელექტრული მოდელები; შექმნილია საქართველოს ტერიტორიის ატმოსფეროს დაჭუჭყიანების რუქები; დადგენილია ატმოსფეროს ანტროპოგენული დაჭუჭყიანების გავლენის ეფექტები ნისლებზე, ნალექებზე, სეტყვიანობაზე და ელჭექიანობაზე. გამოვლენილია ზოგიერთი მეტეოგეოფიზიკური ფაქტორების (ელექტრული და მაგნიტური ველები, აეროზოლები, ოზონი და სხვა) გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე საქართველოს პირობებში და სხვა.

მონაწილეობა მიიღო ხუთ საერთაშორისო კონფერენციაში (გერმანია, უნგრეთი, შვედეთი, კანადა, შვეიცარია), 1988წ. შვედეთში ატმოსფეროს ელექტრობის საერთაშორისო კონფერენციაზე იყო საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დელეგაციის ხელმძღვანელი.

დღეისათვის ფართო მეცნიერული კონტაქტები აქვს საზღვარგარეთის მეცნიერულ ცენტრებთან (აშშ, რუსეთი, ლიტვა, კანადა, შვედეთი, სომხეთი, საბერძნეთი, ბელორუსია, ყირგიზეთი, უზბეკეთი, საფრანგეთი, გერმანია და სხვა.) კერძოდ ნთაშ-ის პროგრამის შესაბამისად 2002 წელს დუშეთში დაიწყო ფუნქციონირება ულტრა დაბალი სიხშირის გეომაგნიტური ველის სარეგისტრაციო სადგურმა, რომელიც არის გამიზნული მიწისძვრების პროგნოზირებისათვის. უახლოეს მომავალში აპირებს სადოქტორო დისერტაციის დაცვას ატმოსფეროს ფიზიკის დარგში.

1986 წელს დაჯილდოვდა მედლით „შრომითი მამაცობისათვის".

თავისუფლად ფლობს რუსულ ენას, იცის ინგლისური, ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი.



**ამირანაშვილი აკაკი ისაკის ძე** დაიბადა 1925 წ. თბილისის გარეუბანში, სოფ. ოქროყანაში, მოსამსახურის ოჯახში. მამა მოსამსახური, დედა დიასახლისი.

დაწყებითი განათლება მიიღო ოქროყანის სკოლაში. შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის ამჟამინდელ 42-ე საშუალო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1945 წელს სწავლა გააგრძელა საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიულ ფაკულტეტზე. დაამთავრა 1949 წელს. დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო გარდაბნის რაიო-

ნის თელეთის მეურნეობაში აგრონომის თანამდებობაზე.

1953 წელს გადაიყვანეს თბილისის გარეუბნის რაიკომის სოფლის მეურნეობის განყოფილებაში, ინსტრუქტორად. შემდეგ გაგზავნეს კიკეთის მეურნეობის დირექტორად. 1955 წელს გადაჰყავთ მანგლისის რაიონში მეურნეობის მთავარ აგრონომად. 1957 წელს გადაიყვანეს სამუშაოდ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მარცვლეული კულტურის სამმართველოს, საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდის მთავარ მეთესლე აგრონომის თანამდებობაზე. 1963 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა თელეთის მერძევეობის მეურნეობაში განყოფილების გამგედ, შემდეგ – მთავარ აგრონომად.

იგი იყო თავისი საქმის კარგი სპეციალისტი. მასზე მინდობილ საქმეს ასრულებდა პირნათლად და კეთილსინდისიერად. იყო სხვებისათვის კარგი მაგალითის მიმცემი. მეურნეობის დირექტორებთან და მუშა-მოსამსახურეთა შორის სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით. იყო პრინციპული, სამართლიანი, რამდენჯერმე არჩეული იქნა პარტიული ორგანიზაციის მდივნად, კომიტეტის წევრად და თავმჯდომარის პირველ მოადგილედ. არჩეული იყო აგრეთვე კონტროლის თავმჯდომარედ.

*აკაკი ამირანაშვილმა სოფ. ოქროყანაში პირველმა დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი როგორც პიონერმა. გამოირჩეოდა სერიოზულობით, თავმდაბლობით, იყო წყნარი, მშვიდი. სოფელში სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით. თანასოფლელები მას ძალიან პატივისცემით ეპყრობოდნენ და იხსენებენ დღემდე. თუ კი რაიმე საქმისათვის გაუგზავნიათ, დახმარება სჭირდებოდათ, აკაკის აკითხავდნენ. რჩევისათვის იყო გამორჩეული თამადა. სოფლის რჩეული თავკაცი. მან შექმნა პატიოსანი, წესიერებით გამორჩეული ოჯახი. იყო კარგი მეუღლე, მამა და ბაბუა.*

**ამირანაშვილი არჩილ ვასილის ძე** დაიბადა თბილისში. მშობლები: **ნინო მახარაძე, ვასილ ამირანაშვილი;** შვილები: **ზურაბი (1990), თამარი (1994).** სწავლობდა თბილისის პიონერთა სასახლის ქანდაკების წრეში. თსსა ქანდაკების განყოფილებაზე (1972–78). პედაგოგები: გ. გურასპაშვილი, თ. ჭყონია, გ. ოჩიაური. სადიპლომო ნამუშევარი – „შემოდგომა" (ხელმძღვანელი – თ. ჭყონია). გამოფენებში მონაწილეობს 1980 წლიდან. საქართველოს მხატვართა კავშირის ახალგაზრდა მხატვართა გაერთიანების წევრია 1978 წლიდან. ძირითადი ნამუშევრები: მეგობრის პორტრეტი, შემოდგომა, წვიმა, პრომეთეოსი (1980–98, ყველა – ბრინჯაო); მონუმენტები: ადმირალი სუხიაშვილი (1984, ს. შრომა), სსრკ გმირი კაპიტანი ბიბილაშვილი (1984, ზესტაფონი), გ. დიმიტროვი (თბილისი). გამოფენები: პარიზი (1990), პრაღა (1990), ქართული მინიპლასტიკა, ბუდაპეშტი. მონაწილეობდა მ. ლერმონტოვის (1982), ა. წერეთლის (1994), თამარ მეფის (1997) ძეგლების საუკეთესო პროექტებზე კონკურსებში. მისი ნამუშევრები დაცულია სეგ. პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა თსსა (1984 წლიდან). მუშაობდა პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, თსუ (1981–86).

[illegible]

**ამირანაშვილი გია** არტემის ძე დ. 4. 08. 1957 თბილისი. მშობლები: **გულიკო ჯანიაშვილი, არტემ ამირანაშვილი.** მეუღლე – **ნინო ბერძენაძე** (1961). შვილები: **ლაშა** (1982), **ქეთევანი** (1990). სწავლობდა ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში (1972–76) თსსა ქანდაკების განყოფილებაზე (1982–88). პედაგოგები: რ. გაჩეჩილაძე, ე. მანჯავიძე, ს. კაკაბაძე, გ. ოჩიაური. სადიპლომო ნამუშევარი „მიქელანჯელო" (ხელმძღვანელი – გ. ოჩიაური). გამოფენებში მონაწილეობს 1976 წლიდან. საქართველოს მხატვართა კავშირის ახალგაზრდა მხატვართა გაერთიანების წევრია 1988 წლიდან. ძირითადი ნამუშევრები: „ავტოპორტრეტი" (1977), „ლექსოს პორტრეტი" (1986), „აჭარელი" (1989), „გაჭრილი სფერო" (1989), „ნატაშას პორტრეტი" შამოტი (1990), „ავტოპორტრეტი" შამოტი (1990), „ქალის ტორსი", – ხე (1991), „გეომეტრიული კომპოზიცია" (1992), „ქალის ტორსი" შამოტი (1992), „გოგის პორტრეტი" (1992), „ცოცხალაძის პორტრეტი" (1992), „კომპოზიცია I" ბრინჯაო (1993), „კომპოზიცია II" ბრინჯაო (1993), „ხე ქარში" ხე (1996), წყნეთის ღვთისმშობლის ეკლესიის ფრიზი „ღვთისმშობელი ყრმით და მთავარანგელოზებით" შამოტი (1999). გამოფენები: სადიპლომო ნამუშევრების საკავშირო ტურნირის ქანდაკების საკავშირო სიმპოზიუმში (1990). 1990 წლიდან არის თბილისის დიდი დიღმის ხელოვნების კოლეჯის სახვითი ხელოვნების განყოფილების გამგე.

**გიორგი ამირანაშვილი** ბაღდათის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. ალისუბანში (თერჯოლის რაიონი) 1947 წ. 12 მარტს. მეუღლე – **გუგუნი ამირანაშვილი** (1949); შვილები: **ბესიკი** (1971), **თეა** (1978). დაამთავრა ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-ტექნოლოგიის ფაკულტეტი (1977).

მუშაობდა კავშირგაბმულობის სისტემაში (1962–64), ავტოქარხნის ზეინკლად (1964–73), პარტიის საქალაქო კომიტეტში (1978–81), აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების პარტკომად (1981–83), საქალაქო კომიტეტში (1983–85), იყო თერჯოლის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე.

**ამირანაშვილი ლედი** დაიბადა 1934 წლის 16 აგვისტოს ქ. ზესტაფონში, მოსამსახურის ოჯახში. ზესტაფონის ქალთა №1 საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ სწავლა განაგრძო გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა. გათხოვების შემდეგ ქალბატონმა ლედიმ სოფელ საგურამოს საშუალო სკოლაში დაიწყო მოღვაწეობა მათემატიკის მასწავლებლად. მან გააგრძელა ოჯახური ტრადიცია: დედამთილ-მამამთილი ხომ სოფლის პირველი ადგილობრივი მასწავლებლები იყვნენ. თავის პროფესიაზე უზომოდ შეყვარებული, გულღია, მხიარული და სტუმართმოყვარე ქალბატონი კოლეგების, აღსაზრდელებისა თუ ახლობელ-ნათესავების დიდი პატივისცემითა და სიყვარულით იყო გარემოცული. მასთან ურთიერთობა, მის ლამაზ, დიდ ოჯახში სტუმრობა ნამდვილი ზეიმი გახლდათ. ქალბატონი ლედი იყო შესანიშნავი ადამიანი, ურთგულესი მეუღლე,

კარგი შვილების აღმზრდელი დედა.



**ამირანაშვილი ვაჟა** დაიბადა ქ. თბილისში 1972 წელს. 1989 წელს დაამთავრა 102-ე საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩააბარა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკის ფაკულტეტზე. 1994 წელს წარჩინებით დაამთავრა აღნიშნული უნივერსიტეტი. სწავლობდა ასპირანტურაში (1996–98 წ.წ.). 1998 წ. დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 1995-97 წლებში მუშაობდა საქართველოს ჰიდრომეტდეპარტამენტში ინჟინრად. 1997 წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს აკადემიის მ. ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტში, მეცნიერ თანამშრომლად.

სამეცნიერო ინტერესები: ატმოსფეროს ფიზიკა: ატმოსფეროს აეროზოლები: მზის გრადაცია: გეოეკოლოგია: კომპიუტერული პროგრამირება და სხვა.

აქვს გამოქვეყნებული ორმოცამდე სამეცნიერო ნაშრომი, არის დასაბეჭდად გადაცემული ორი მონოგრაფია. თანაავტორი. 1998–2000 წლებში მოხსენებით წარსდგა ოთხ საერთაშორისო კონფერენციაზე (კანადა. აშშ. ავსტრია). 2001 წ. იყო ნისლების შემსწავლელი საერთაშორისო II კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი. 1997 წელს მიენიჭა III ხარისხის საპრეზიდენტო სტიპენდია. 1998 წელს მიიღო საქართველოს გეოფიზიკური საზოგადოების ახალგაზრდული პრემია. 2000 წელს კი მიენიჭა მეორე ხარისხის საპრეზიდენტო სტიპენდია. 2000 წლიდან მივლინებულია გერმანიაში კომპიუტერული პროგრამირების დარგში კვალიფიკაციის ასამაღლებლად. სადაც სწავლობს აახენის ტექნიკურ უნივერსიტეტში ინფორმატიკის ფაკულტეტზე. აპირებს სადოქტორო დისერტაციის დაცვას ხელოვნური ინტელექტის დარგში.

თავისუფლად ფლობს ინგლისურ. გერმანულ და რუსულ ენებს.



**ამირანაშვილი მედეა პეტრეს ასული** (დ. 10. IX. 1930, თბილისი). ქართველი მომღერალი (სოპრანო), საქართველოს სახალხო არტისტი (1965). ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი (1971). 1954 დაამთავრა ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (პროფ. ს. ინანიშვილის კლასი). იმავე წელს შედგა მისი დებიუტი ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე (მარგარიტა, გუნოს „ფაუსტი"), რის შემდეგ ამ თეატრის წამყვანი სოლისტია და ასრულებს სოპრანოს მთავარ პარტიებს: მარო, ეთერი და მარეხი (ფალიაშვილის „დაისი" და „აბესალომ და ეთერი"), მზია (თაქთაქიშვილის „მინდია"), ლეილა (ლაღიძის „ლეილა"), ტატიანა (ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი"), ზემფირა (რახმანინოვის „ალეკო"), ბატერფლაი (საერთაშორისო პრემია, ტოკიო, 1970). მიმი (პუჩინის „ჩიო-ჩიო-სანი" და „ბოჰემა"), ლეონორა, ვიოლეტა (ვერდის „ტრუბადური" და „ტრავიატა"), ელზა (რ. ვაგნერის „ლოენგრინი) და სხვა. მისთვის დამახასიათებელია ფართო ვოკალურ-

არტისტული დიაპაზონი, შინაგანი ექსპრესია და შემოქმედებითი დისციპლინა.

**ამირანაშვილი რაინდი სევერიანის ძე** 07.04.1949 თერჯოლის რ-ნი, სოფელი ჩხარი. მშობლები: **ნინა ამირანაშვილი, სევერიან ამირანაშვილი;** მეუღლე – **ლონდა ამირანაშვილი:** შვილები: **გიორგი** (1989), **თორნიკე** (1992). სწავლობდა თსსა კერამიკის განყოფილებაზე (1969–75). პედაგოგები: გ. ქართველიშვილი, რ. იაშვილი, ა. კაკაბაძე, ი. ოქროპირიძე. სადიპლომო ნამუშევარი – „კაცის სერიზი", ფაიფური (ხელმძღვანელი – გ. ქართველიშვილი). გამოფენებში მონაწილეობს 1976 წლიდან. საქართველოს მხატვართა კავშირის წევრია 1987 წლიდან. ძირითადი ნამუშევრები: ზესტაფონში – ავტოგასამართი სადგური, გაფორმება, სპ. ჭედ. (1976). ს. ჩხარი – წყაროს ფასადი, შამ. (1978); ხარაგაული – მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფასადი – შამ. (1980); ქუთაისი – სოფლტექნიკის შენობის ფასადი, შამ. (1981); ქუთაისი – ცენტრალური ბაზრის ფასადი – შამ. (1995). გამოფენები: ქუთაისის მხატვართა (თბილისი, 1979), სამედალო ხელოვნების I რესპ. (თბილისი 1979), რესპუბლიკური – „ჩვენ კომუნიზმს ვაშენებთ" (1980). მისი ნამუშევრები დაცულია სეგ. არის სოცშეჯიბრის გამარჯვებული (1977). 1977 წელს მიიღო კულტურის სამინისტროს მადლობის წერილი. მუშაობს თერჯოლის სურათების გალერეის დირექტორად (1979 წლიდან), პედაგოგად.



**ამირანაშვილი პეტრე ვარლამის ძე** (დ. 16 XI 1907) მომღერალი, ბარიტონი, ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი (1974). 1930 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, იმავე წლებიდან თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტია. მის შემოქმედებას ახასიათებს ეროვნული თვითმყოფადობა და მგზნებარე ტემპერამენტი. აღსანიშნავია მისი კაკო („კაკო ყაჩაღი"), ავთანდილი („ამბავი ტარიელისა"), გოჩა („ხევისბერი გოჩა") და განსაკუთრებით ჩალხია („მინდია"). მისი არტისტიზმი სრულიად გამოვლინდა არაქართულ ოპერებშიც. იგი წარმატებით გამოდიოდა მოსკოვის, ლენინგრადის, მინსკისა და სხვა ქალაქების საოპერო სცენებზე. დაჯილდოებულია სხვადასხვა მედლებითა და ორდენებით.



**ამირანაშვილი შალვა იასონის ძე** (26. III. 1899) ქართველი მეცნიერი, ხელოვნებათმცოდნე, აკადემიკოსი, პროფესორი. 1922 წელს დაამთავრა თსუ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი. 1923–25 წლებში მუშაობდა მოსკოვსა და ლენინგრადში. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას თსუ-სა და სამხატვრო აკადემიაში. თსუ-ს ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის გამგე (1925). 1939-იდან 1975 წლამდე საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორია. ხელოვნების ისტორიის ერთ-ერთი პირველი მკვლევარია საქართველოში. მისი განმაზოგადებელი ნაშრომები ხელოვნების აქტუალურ საკითხებს ეხება. დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველი ხალხის მატერი–

ამირანიძე 76
თბილისი – 31,
თელავი – 14,
გურჯაანი – 9

ალური და კულტურული ძეგლთა დაცვისა და შეგროვების საქმეში. დაჯილდოებულია მრავალი ორდენით.

**ამირანიძე** გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ამირანი** შდრ. **ამირანიშვილი.**

**ამირალაშვილი//დავითაშვილი//თამაზაშვილი. ამირალა** – ჰყავს (სახლიკაცი) დოლმაზა, რომელთან ერთადაც უყიდია მიწა თამთის წყაროში. ნასყიდობის საბუთიც ხელთ ჰქონია, მაგრამ მისთვის ეს ნასყიდი მიწა პაატა შატბერაშვილს და თანია შენშაშვილს არ დაუნებებიათ. მარიამ (დედოფალმა) უბრძანა მოდავეებს, რომ ეს მიწა ისევ ამირალასა და დოლმაზასათვის დაეტოვებინათ *(1634–1681 წწ.).*

**ამირალასშვილი–ამირალაშვილი–ამირალაანი ამირალაშვილი** – მის მიერ ნაყიდი მიწის ბოლო ესაზღვრებოდა ბერიკა ბესიაშვილის მიერ ნაშუქარ თუმანიშვილისათვის მიყიდულ მამულს *(1669 წ).*

**ამირალაშვილი** – მისი მიწა იყო ერთ–ერთი საზღვარი გოგინა ფიბინაშვილის მიერ ასატურა ბეჟანიშვილისათვის მიყიდული მიწისა (1676წ).

**ამირალაშვილი** – მისი მიწა იყო ერთ–ერთი საზღვარი მამასახლისის გემანას მიერ სიმონგულა მამუკასშვილისათვის მიყიდული სახნავი მიწისა (1677წ).

**ამირალაანთ** – გორის მცხოვრები, მოწმენი ნასყიდა არჩუკასშვილის მიერ დაეთ (გარსევანისშვილისათვის) მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1679წ).

**ამირალაშვილი** – მისი რუ ესაზღვრებოდა გოგია მეხრისშვილის მიერ მამუკა ბალჩასშვილისათვის მიყიდულ ორი დღის მიწას (1680წ).

**ამირალასშვილი თამაზა** – მოწმე ბეჟანის მიერ მამასახლისის ალიბეგისათვის მიცემული ყმების ნასყიდობის წიგნისა (1647წ.).

**ამირალასშვილი – თამაზასშვილი ბეჟან** – ჰყავს: შვილი **ოჰანა,** ძმა – **ბერა.** ბერასაგან წილში ნარგები ყმები: ელისა და იორამამ ელისაშვილები სახლითა და მამულით. აგრეთვე ეარდისუბანს სხვა ძმებისაგან წილში ნარგები მეოთხედი მიწა მიჰყიდა ასატურ ბეჟანისშვილს (1692წ.).

**ამირალასშვილი – თამაზასშვილი ბერა** – ძმა ბეჟან **ამირალასშვილ–თამაზაშვილების** მიერ ასატურ ბეჟანისშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1675წ.).

ამირაშვილი – 135
მცხეთა – 60,
თბილისი – 44,
გურჯაანი – 28.

**ამირალაშვილი დავითაშვილი თამაზაშვილი** (იხ. დავითაშვილი თამაზაშვილი).

**ამირაშვილი//ამირასშვილი ამირასშვილები** – ხელთუბანში მცხოვრებნი, მამულითურთ, წილად ხვდნენ ჯიმშიტა (თუმანიშვილს) (1656 წ.).

**ამირაშვილები** – შადიკაში მცხოვრებნი, როსტომ მეფემ უწყალობა ისინი თამაზ წოვანმაშვილს (1658წ.).

**ამირასშვილები** – მათ არსენ მანგელელმა აბანოთუბანში უწყალობა მამუ-

ლი (1670).

**ამირა** იყო თანამდებობა – მოხელეობაც და საკუთარი სახელიც.

**ამირიძე ამირა** – არაბთა ენაზედ ითარგმნების უფროსად. ეითარცა მოხელენი იწოდებოდნენ: **ამირ ეჯიბი** და **ამირ ახორი** და **ამირ ბარი, ამირ სპასალარი** და **ამირ ხანი.**

**ამირა** – სახელიც იყო კაცისა. ვითარცა გვარნი გამოიყვნენ: **ამირხანაშვილი – ამირეჯანაშვილი – ამირზალაშვილი – ამირბეგაშვილი – ამირგულაშვილი – ამირბოქაშვილი – ამირაზაშვილი – ამირალაშვილი – ამირბაბაშვილი – ამირაშვილი** და **ამირიძე.**

**ამირიძე** – იფნობს მცხოვრები, თავისი მამულით წილად ერგო იოთამ ბარათაშვილს (1537–38 წწ.).

**ამირიძე დავით** – ერეკლე მეფის კარის მდივან-მწიგნობარი, დამწერი ერეკლე მეფის მიერ ქაიხოსრო ციციშვილისათვის მიცემული ყმა-მამულის წყალობის წიგნისა (1688წ.).

გვარი **ამირიძეთა** პირველად XVI საუკუნეში გამოჩნდა ქვემო ქართლს, ბარათიანთა მამულში, სოფელ იფნობში. **ამირიძე** ხსენდება ქვემო ქართლს, თუმანიშვილთა მამულიდან, გამოყვანილ მეიმართა სიაშიც.

XVII საუკუნის II ნახევარში მეფის ერეკლე I სიგელ-გუჯრებში ხსენდება კარის მდივარ-მწიგნობარი **ამირიძე დავითი.**

ამავე საუკუნეში ამირიძეთა ერთი შტო, გორიდან მთიულეთს გადასახლდა, ცხავატის თემში. იქ ამირიძეთა დასახლებას **ამირთკარი** ეწოდა. ამირთკარს ამირიძეთ ციხე ედგათ – ერთი რიგითი საქართველოს ჯაჭვის პერანგის. ცხავატის თემის ნაცვლობა ამირიძეთ მოუდიოდათ. ხმალზე ნაფიცობა აქენდათ მთიულეთში: ამირთკარელ ამირიძეთ, შიოშიოელ ნარიმანიძეთ და მლეთელ ნაზღაიძეთ. ესენი ბიძაშვილობენ და ერთურთში ქალს არ ათხოვებენ მოაქამამდე.

1732 წლის არაგვის საერისთაოს მთის თავკაცთა პირობის წიგნში ხსენდება **ამირიძე ქურციკა.**

1795 წლის 11 სექტემბერს გამთენიისას ამირიძენიც არაგველთა შორის იდგნენ კრწანისის ველზე.

ცხავატის ნაცვალმა **ამირიძემ სამუკამ,** ხადას ციხისთავ ნაზღაიძე ლევანთან ერთად წამოიწყო 1804 წლის მთიულეთის აჯანყება – პირველი და ყველაზე მრისხანე აჯანყება საქართველოში რუსთა ბატონობის წინააღმდეგ.

1820 წლის საბუთში ხსენდება პროტოიერი **ამირიძე გიორგი** – ღუდას და თრუსოს ხეობების საბლალოჩინოს წინამძღვარი.

ღმერთისა და საქართველოსათვის და ბაგრატიონთა ტახტის ძლიერებისათვის, ამირიძენი გამოდიოდნენ ქართლის სამეფო ლაშქრის მოწინავე, მემარჯვენედ და მემარცხენედ მიმსვლელ-მცემელთა სადროშოებში.

*ამჟამად ამირიძენი ცხოვრობენ: შიდა ქართლში, მთიულეთში და შირაქში.*

*ქალაქებში: თბილისში, რუსთავში, კასპში, გორში და ბათუმში.*

საქართველოში ამირიძეთა დიდ-პატარის, ქუდოსან-მანდილოსნის საერთო რიცხვი ექვსას ორმოცდაათს აჭარბებს (*ალექსანდრე ნაზღაიძე 1997*).

**ამირბარი.** გვარში არსებობს თქმულება, თითქოს მათი ადრინდელი გვარი **ამირბარი** ყოფილა და თავდაპირველად მესხეთში უცხოვრიათ. ჩვენ ასეთი გვარი კვლევისას არ შეგვხვედრია. ადვილი შესაძლებელია, რომ წინაპრებს ამირბარობა მოხელეობად ჰქონდათ და მათ, უბრალოდ, მოსახლეობის მიხედვით **ამირბარებს, ამირბარაანთ** ეძახდნენ. **ამირბარი** და **ამილბარი** ერთიდაიგივეა. იგი ქართველებში არაბულიდან შემოვიდა და არაბულად გამოითქმის – **ამირ-ალ-ბაჰრი** – **„ზღვის ამირა“** ისტორიულად საზღვაო ფლოტის უფროსი-ადმირალი.

სერგი ჯიქიას მეორე ტომში **ამირბარი** დაფიქსირებული აქვს გვარადაც და სახელადაც. საძიებოდ შემოგვრჩა მხოლოდ *ამილბარაშვილი.*



## ამირეჯიბთა გერბი

**ამირეჯიბი–ამირაჯიბი–გაბელისძე–ფალავანდიშვილი–მიხრიკისძე–ზაზაშვილი–ასპანისშვილი–ზაალიშვილი–დავითიშვილი–**

**- გაბელიძე (გაბელაია, გაბელია)**

***ქვაბლიძე – 0, გაბლიძე – 0, ფალავანდიშვილი – 942 (თბილისი – 233, ქობულეთი – 161, საჩხერე – 129).***

ქართულ ისტორიულ წყაროებში გვარი გვხვდება. – ამირაჯიბისა

**ამირაჯები – 28**
**(ბოლნისი – 13,**
**გურჯაანი – 7,**
**გარდაბანი – 4),**
**ამირაჯიბი – 207**
**(გურჯაანი – 86,**
**თბილისი – 51,**
**გარდაბანი – 27);**

**ამირეჯიბი – 220**
**(თბილისი – 127,**
**გურჯაანი – 30,**
**საგარეჯო – 20).**

და ამირეჯიბის ფორმით უფრო ადრინდელია **ამირაჯიბი.**

**ამირეჯიბი** (*არაბ. ამირ ჰაჯიბ-კარისკაცთა ამირა*), გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო აპარატის მოხელე-მანდატურთუხუცესის თანაშემწე და ეჯიბთა უფროსი (*ეჯიბი – დიდი მოხელეთაგანი მეფის კარზე*). სათათბიროს ხმით საეაზიროს წევრი. ევალებოდა სამეფოში წესრიგის დაცვა. შეთქმულებათა აღკვეთა და სხვ. ამიტომ უფლება ჰქონდა, ყოველ ჟამს წარმდგარიყო მეფის წინაშე. სამეფო კარზე ამირეჯიბი განაგებდა დარბაზობისა და პურობის ცერემონიალს, როგორც საპატიო მოხელეს, ჰყავდა საგანგებო მხლებელი – ზედამხედველი.

ამირეჯიბის თანამდებობისაგან წარმოდგა გვარი **ამირეჯიბი** (*ქეგლ., ტ. 1, თბ.*



[illegible]

1975. გვ. 398).

„თავადი ამირეჯიბი. ამირეჯიბნი არიან ესენიც ძველადვე ფალავანდიანთა გვარისანი, რომელთაც აქვთ მამულნის ურთიერთისა შორის შერევნილნი, გარნა ამირეჯიბობა გაუგვარდათ სახელისა გამო, ვინაიდან ამირეჯიბი ნიშნავს საქმის მომხსენებელს მეფისასა, რომელიცა ნიშნავს (დაკლადჩიკს). ხოლო ესენიცა არიან ახალციხიდანვე მოსრულნი ქართლში, რომელნიც სახლობენ ზემო ქართლისა შინა ზემო ამირეჯიბად და ქვემო ამირეჯიბად.

ზემონი არიან დავითისშვილები, ხოლო ქვემონი – ზაზასშვილები, ასანისშვილები, რომელნიმე ამათ გვარნი სცხოვრობენ იმერეთს აზნაურად და რომელნიმე ახალციხეს ბეგებად წოდებულნი" (იოანე ბატონიშვილი. შემოკლებითი აღწერაა... გვ. 17).

ამირეჯიბთა ცნობილი გვარის შესახებ წყაროთა სიმცირე არა გვაქვს. მათგან შესაძლებლობა გვაქვს, აღვნიშნოთ მხოლოდ ზოგიერთი საინტერესოა გვაროვნობითი სიგელი (1401–1415 წლები).

საყურადღებოა ქუცნა ამირეჯიბის სიგელი, რომელშიც მოთხრობილია საგვარეულოთა წარმომადგენლების სხვადასხვა დროინდელი მოღვაწეობა და დამსახურება, როგორც საზოგადოდ სამეფოსათვის, ისე კერძოდ ულუმბის ტაძრისათვის.

ქუცნა ამირეჯიბს აღუშენებია „დემურისაგან" (ე.ი. ლანგ-თემურისაგან) დარღვეული ულუმბა. ქუცნა „თემურის" თანამედროვეა. „ქართლის ცხოვრება" გვაუწყებს, რომ (გვ. 472) ქუცნას ასული ნათაა იყო ცოლი მეფე გიორგისა და დედა ალექსანდრე დიდისა (I-ისა).

სიგელი იმასაც გვამცნობს, რომ ნათიას დიდ ხანს შვილი არ მისცემია და ულუმბას ხატის სასწაულმოქმედებით მას შვილი ალექსანდრე შესძენია. ქუცნა ამირეჯიბი ცოლითურთ (რუსა ბებია ალექსანდრე მეფისა) დახატულია ულუმბიის ტაძარში (იხ. თ. ჟორდანია. ქრონიკ. II. ტფ. 1897. გვ. 207).

ადგილი სიგელიდან: – ღთისა და მეფეთაგან დიდად შეწყალებულმან ამირეჯიბმან ქუცნამან. ვყელ– შენებად ულამბოსა ამის ქუცნისა მას ჟამსა, ოდეს ულმრთოსა დემურს სრულიად აღეოხრა და უმკვიდრო ექმნა საქართველო და წარეტუცნნეს ყოველნი საძირკველიცა არა დაშთომილი იყო–

გევედრები, რათა მეოხებითა შენისა (ულუმბის ღვთისმშობლისათ) წარემართოს საქმე ესე ჩემ-მიერ ხელყოფით და საუკუნოსა მას მექმნას შემწე დღესა ჭირისა ჩემისასა და სოფელსა ამას წარუმართოს პირმშოსა ამას ძესა ჩემსა -მინს და ძმათა მისთა. და კუალად გევედრები კურთხეულო — რათა კურთხევა და წყალობა შენი იყოს ნათესავით ნათესავამდე ჩუენზედა ამინ.

II) და განვაჩინეთ ალაპნი ცხრა დღე თვით ჩემთვის, ექუსი დღე ძისა ჩემისა რამინისთვის, ოთხი დღე მეუღლისა ჩემისა რუსთავს, ორი დღე რძლისა ჩემისა ანნასთვის, ორი დღე მამისა ჩემისა ქურციკასთვის, სამი დღე მეფის

*ალექსანდრესათვის. ორი დღე მეფის კონსტანტინესთვის, ერთი დღე დედოფლის ნათიასთვის. ორი დღე გიორგი მეფისა, ერთი დღე რუსუდან-მეფისა, ერთი დღე ქურციკის მეუღლისა.“*

სიგელიდან ჩანს, რომ ამირეჯიბებს აუშენებიათ სოფელი ალი. *„კიდევ შეგვიწყალა მეფეთა მეფემ ალექსანდრემ ჩუენცა და ჩუენცაგან აშენებული ალი ისრივე გვიბოძა* (იქვე. 209).

*„მოიწია ჟამსა ცხოვრებისა ჩემისასა ხელმწიფე სპარსეთისა და იუბნა და წარმგზავნა ელჩად კონსტანტინოპოლის. ეყიდე ქუცამ ბრძა კლიმიაძისაგან და შევსწირე პატრონსა ულუმბისა ღვთისმშობელსა და განვუჩინე ალაპი ჩემი და ჩემის შვილის რაჟდენისათვის სალუალაშენი ჩიტალაძისაგან კუჭაძისათვის მისყიდული. ახალდაბისათვის მიმცა. ერთაცა ახალდაბა კუჭაძისაგან ჩემი ნასყიდი იყო. მისად სანაცვლოდ ახალდაბა თუმანიშვილსავე მისცა. ძუელთაგან მათი ყოფილიყო“* (იქვე).

ამრიგად, ქუცნა ამირეჯიბი იყო ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი, ქართლის მსხვილი ფეოდალი XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე. რამდენჯერმე იყო წარგზავნილი საქართველოს მეფის მიერ ელჩად კონსტანტინოპოლს.

თემურ-ლენგის დაშქრობათა შემდეგ აღდგენითი სამუშაოები წამოიწყო; კერძოდ, განაახლა ულუმბიისა და ნაბახტევის ეკლესიები (სოფელ ალის მახლობლად, ახლანდელი ხაშურის რაიონი.). როგორც ითქვა ქუცნა ამირეჯიბი გამოხატულია ნაბახტევის ეკლესიის კედელზე თავის მეუღლე **რუსა ამირეჯიბთან** ერთად. ამირეჯიბის ასული ნათია ცოლად ჰყავდა საქართველოს მეფე კონსტანტინეს.

1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატზე თანდართულ სიაში თავადებად შეიყვანეს **ამირეჯიბი ალექსანდრე ზაალისძე, ქაიხოსრო როსტომისძე** და სხვ.

მრავალმხრივაა საყურადღებო 1710 წლით დათარიღებული სიგელი, რომელშიც ქუცნა ამირეჯიბი წინაპრის სახელით შემდეგს გვამცნობს: *„შევსწირეთ ულუმბის მონასტერს სოფელი წაღველი, ნასყიდი და ნამზითევი მხეიძისაგან. შევსწირეთ ოდეს წარგვყინნა თვით და ამისად სპასალარად რუსუდან მეფემან ლაშქარსა და გაგვემარჯვა. მინდორს მეეიბენით და ამოვსწყვიდეთ. მოვართვით დროშა, ნალარა და თეჯი თვითვან მალლისა სულთნისა და გუყო წყალობა გვიბოძა ჯილდოდ, რაც ვიარეჯეთ – ლომინაძისაგან გამოტანებული მზითევი ბებიის ჩემისათვის წირქვალი და ზილი მონასტრისა ჩუენის მოსახსენებლად და შესაწირავად მსხვერპლისა ჩუენისა ყოვლად წმინდისათვის, ნაოხარი სოფლები ლოდორა, ლიჩი და გოლოხი, ბუწლევი, ბობოკინი, ბროლოსანი და აძვსი და რაიც გამოსაღები და ბეგარა გაგვექნოს. მოძღვართ-მოძღვარსა მიუბარებდეს, თორმეტს საუფლოს დღეს ჟამს გწირევდეს საულუმბოს მღუდლითა და კარგაღებულა ალაპს გარდაიხდიდეს და დროშაცა შევსწირეთ მეხოიშენსა ჩუენსა და თაჯი მრავალძალსა..“*

ქუცნას მოხმობილი ციტატა ამოღებული აქვს რუსუდანის დროინდელი თავისი წინაპრის შეწირულების საბუთიდან, საიდანაც შემდეგი ირკვევა: ჯალალ-ედინის შემოსევათა და მასთან ომების დროს (1225–1230-იანი წლები) ქუცნას წინაპრებს დიდი ზარალი მოსვლიათ (ცოცხალი ძალის დაკარგვის სახით – 61 კაცი, თვითონ ისინი (ე.ი. ამირეჯიბები) აგარიანთ მაჰმადიანებს, ამ შემთხვევაში სპარსელებს ჯერ ტყვედ შეუპყრიათ და შემდეგ ყველასათვის თავები მოუკვეთიათ.

შემდეგ ქუცნას წინაპარს თანამოძმეთა სისხლი არ შეურჩენია, გაუმარჯვენია ჯალალ-ედ-დინის ერთ რაზმზე – მას ხელთ უგდია ამ რაზმის დროშა და რაზმის უფროსის, თვით სულთანის მიერ მისთვის ნაბოძები თაჯი. ყოველაფერ ამისთვის, რუსუდანს ქუცნას წინაპრისათვის ზემო იმერეთის მთა ადგილებში უწყალობებია ნახარი მცირე სოფელი.

ქუცნას წინაპრის ბებიას, **ლომინაძის** ქალს, მზითევად ჰქონდა მოყოლებული მთის სოფელი წირქვალი. მხეიძისაგან კიდევ ნამზითვევი იყო მთისვე მცირე სოფელი წაღვლი.

ჩვენ ზემოთ უკომენტაროდ დავტოვეთ კითხვა, თუ რა გვარისანი იყვნენ ისინი, **ფალავანდიშვილები** თუ სხვა გვარისანი. იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ალაპების წიგნში (70) 19 ნოემბრისათვის დაწესებულია **„ალაპი საუკუნო გაბელიძისა ქუცნაისი“**. ხელის („პორფირკის“) მიხედვით, ეს ჩანაწერი ეკუთვნის 1400–1410 წლების ახლო დროს. ეი სწორედ ულუმბის მონასტრისათვის ზემოთ დასახელებული სიგელის მიმცემს გულისხმობს.

მაშასადამე, ცხადია, რომ XIV–XV საუკუნეთა ქართლის ამირეჯიბები **გაბელისძის ანუ გაბელიძის გვარისანი იყვნენ**. ამ ფორმის გვარით მოღვაწეობდნენ. არსებობს ამის დამამტკიცებელი სხვა ცნობებიც.

1451 წელს ქართლის კათალიკოს-პატრიარქის დავითის სახელზე მცხეთის სვეტიცხოვლის საყდრისათვის შეწირულების წიგნს წერენ **გაბელისძენი: რამინ ამირეჯიბი** (იხსენიება იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ალაპებში) და მცხეთის საყდრის ამილახორი, **რამინის ძმა საპაში**.

ისინი მცხეთის საყდარს სწირავენ გლეხებს კოცხინვალში და ერგნეთში *(დღევანდელი მცხეთის რაიონი. ი. ა.).* ორივე ეს პუნქტი ამირეჯიბთა სამფლობელოშია საგულისხმებელი“ *(ს. კაკაბაძე. ისტორ. საბუთ., II, 1913, გვ. 7–10; შდრ. თ. ჟორდანია, „ქრონიკ“., II, 261).*

წყაროებში ქუცნა ამირეჯიბის ჩამომავლობითი შტო ასეთნაირადაა დადგენილი (ქრონოლოგია მოცემულია მიახლოებით):

**ქურციკა**, დაიბადა 1280 წლის ახლოს. **რამინი** დაიღუპა ალინჯაში 1310 წლის ახლოს, ძმა დაიღუპა ალინჯაში 1310 წლის ახლოს, **ცქარი**, დაიბადა 1310 წლის ახლოს. **ქუცნა**, დაიბადა 1335 წლის ახლოს. მისი მეუღლეა **რუსა. რამინი, ქუცნა, დედოფალი ნათია** – დაიბადა 1360 წლის ახლოს. საქართველოს მეფე **ალექსანდრე** (1412–1442) დაიბადა 1380 წლის ახლოს.

გამოდის, რომ XIV-XV საუკუნეების ამირეჯიბები აღმოსავლეთ საქართველოში გვარით ცნობილი ყოფილან, როგორც გაბელისძენი. ხოლო რადგანაც ამირეჯიბი ფალავანდიშვილებისათვის უფროსი შტოს წარმოადგენდნენ, ამიტომ თავადნი ფალავანდიშვილებიც გაბელისძენი ყოფილან. აქედან *(პროფესორ სარგის კაკაბაძის მტკიცებით)* ირკვევა შოთა რუსთაველის გვარიც: სახელდობრ, მისი გვარი იყო გაბელისძე, მიხრაკისძე – ფალავანდიშვილნი კი წარმოადგენდნენ ამ გვარის ერთ-ერთ შტოს *(ს. კაკაბაძე, რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, თბ., 1966, გვ. 266–267).*

თედო ჟორდანია გვათავაზობს ამირეჯიბთა ასეთ გვარტომობით შტოს:

(ჩიჯავაძე) 61 კაცნი ამის გვარისანი, თავ-მოკვეთილნი აგარიანთა ბრძოლასა შინა–მოკლულნი ალექსანდრე მეფის მიერ (1372–1389წწ.) ქურციკ (იგივე ქუცნა) 1318–1360 წ. ცოლი მისი ლომინაძის ქალი–ცვარი 1346 წლის ახლო ხანები – ალუქბარ–რამინ–ქუცნა II(1350-1398წწ.) მაშენებელი ულუმბისა, თეიმურისაგან დატყვევებულისა. ცოლი მისი რუსა, ბებია მეფე ალექსანდრე I–ისა – რამინ, პირმშო; ცოლი მისი ანა (რძალი ქუცნასი) – ნათია. ცოლი კონსტანტინე (გიორგი) მეფისა (1407) და დედა ალექსანდრე I (ალექსანდრე იშვა 1389წ.).

1407 წლის ახლო ხანებში ამირეჯიბი კახაბერ ჩიჯავაძე მოხსენიებულია მკვდრებში; ხოლო ცოცხლებში ცოლი მისი მეფის გიორგის ქალი, დედაბერი ულუმბია და ძე მისი საზუარელნი (იმერეთის ამირეჯიბნი); 1451 წელს ნახსენებია ამირეჯიბი რამინ გაბელისძე და ძმა მისი სამამ (ცოლით ქავთარაძის ასულით).

ამირეჯიბთა გვარისანი სიგელ-გუჯრებში მოიხსენიებიან:

1652 წელი გიორგი; 1667 წელი კაცია; 1665 წელი როსებ, ზაალ და მამუკა; 1684 წელი ქაიხოსრო (ამისი ძენი: გაბელ, ოტია და ქაიხოსრო გაბელისძე ცოცხალი არიან 1740–იან წლებში).

მეფე ნაზარ ალი ხანი მეჯინიბეთუხუცესობას აძლევს რევაზს (ძენი მისნი: ზაალი, გაბელი და სარდიონ–ი);

1715 წელი. ქაიხოსრო; 1732 წელს ძმები სარიდან და რევაზი მეფე ვახტანგს ახლდნენ ისპაჰანს.

1734 წელი ასლან. 1742 წელი რევაზი და სარიდან ასლანასშვილი;

1742 წელი ოტია; 1747 წელი – ვახუშტი და სვიმონ მდივანი; 1756 წელი. ოტია, გაბელი, ძმისწული ამათი ქაიხოსრო და ძმა ზაზა; 1765 წელი. ოტია და ქაიხოსრო; 1762 წელი ოტია; 1768 წელი. ქაიხოსრო, ზაზა და დავითი. 1773 წელი. ქაიხოსრო და ძმა მისი დათუა; 1775 წელი. სვიმონ (გარდაიცვალა 1783 წელს, უშვილოდ) და ასლანი; „ხუთასისთავი გიორგისა" ზაზა (ჯამაგირით 16 თუმანი); 1779 წელი. ზაზა და ძმა მისი დავით–ი; 1780 წელი. ქაიხოსრო და ზაზა; 1783 წელი. ქაიხოსრო (დავითისძე), ზაზა და ძენი მისნი: ზაალი, სარიდან, სოლომონ, ქაიხოსრო და დიმიტრი. ზაზას ძმა დავითი, ამისი განაყოფი გაბელი და სხვები; 1787 წელი. ელიზბარ; 1791 წელი. დავითი და მისი ძმისწული

მზექაბუკი.

XVII საუკუნეში მოიხსენიებიან: **ავთანდილ, ამალბეგ, ასლან, ასლან (მეორე), გაბელ, გაბელ (მეორე), გიორგი, ქაიხოსრო, რევაზ, გოგიტა, დავით, დავით (მეორე), ვახუშტი, ზაალ(ზაალ მეორე), ზაზა, კაცია, რამინ, რევაზ (მეორე), როსაბ, სარიდან, სეფედავლე ფეზბად, სეფედავლე ქაიხოსრო (მეორე), ქაიხოსრო (მესამე), ქაიხოსრო (მეოთხე), ქაიხოსრო (მეხუთე), შანშე და სხვ.** *(იხ. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, გვ. 135-137).*

**ასლან ამირეჯიბი** – მას ლუარსაბ მეფემ უწყალობა აძისი. წალეულს – რამადანისშვილისა და რევაზისშვილის კუთვნილი მამულები (1631წ. 1449-833).

**ამირეჯიბი გიორგი** 1643 (1658 წწ.)

**რამაზ** და **დავით** დავითისშვილების სამამულე დავის განჩინების წიგნის მიხედვით, დავითს ერგო ამირეჯიბთაგან სისხლში აღებული წაბლოვანა. სტკოცა და რიკაძეები მათი მამულით. მას ამ მამულებზე სადაო საქმეები დავით დავითისშვილთან უნდა გაერჩია (1634წ.).

როსტომ მეფე მას დაურწმუნებია, რომ სტკოცასა და წაბლოვანას მამულები, რომლებიც კონსტანტინე და ელიზბარ დავითისშვილებს უჭირავთ, ჩემი არისო. როსტომს მართლაც ჩამოურთმევია ეს მამულები დავითისშვილებისათვის და მისთვის უბოძებია. შემდეგ როსტომმა სტკოცა და წაბლოვანა ისევ კანონიერ მფლობელებს, კონსტანტინე და ელიზბარ დავითისშვილებს დაუბრუნა (1642წ.). ლუარსაბ მაყაშვილს მისი ყმები, მღვდელი გიორგი ხუმარაძე და დათუნა თანხლებია, მოისწრებია ისინი, უთხოვია გიორგისათვის და მასაც უჩუქებია (1651წ.); გიორგიმ მონაწილეობა მიიღო გივი და სვიმონ ზევდგინიძეთა სასისხლო საქმის გარჩევაში (1651წ.); მოწმე როჭიკა შალიკაშვილის მიერ ერეკლე ფალავანდიშვილისათვის მიცემული პირობის წიგნისა ნასოფლარში დასახლებული ყმების აყრის შესახებ (1633-1658წწ.).

**ამირეჯიბი დავით** – ედავებოდა პაპუნა წერეთელს მთის გამო. შუაკაცებად ჩადგნენ რაჭის ერისთავი ყაფლან ფალავანდიშვილი. მათი დავა ასე გაარიგეს: ჯვარს აქეთ, ძირულამდე, აღებული ლადის ნახევარი ულუმბის ღმრთისმშობელს მიაკუთვნეს, ჯვრის იქეთა მხრიდან აღებულის ნახევარი – დავით ამირეჯიბს, ნახევარი – წერეთელს (XVIIს. ბოლო მეოთხედი); მოწმე არჩილ მეფის მიერ ქაიხოსრო წერეთლისათვის მიცემული მამულის წყალობის წიგნისა (1661-1663წწ.).

**ამალბაგ ამირეჯიბი** (ვარაუდით ზაალიშვილი, რევაზ ამირეჯიბის სახლიკაცი.

ისტორიაში იხსენიებიან: *ქაიხოსრო, ავთანდილი, ამალბეგი, ასლან-ი, გაბელ-ი, რევაზი, გიორგი, გოგტია, დავითი, ვახუშტი, ზაალ, როსაბ, კაცია, რამინ, როსაბ (მეორე), საამ, სარიდან, ფეზბად, ქაიხოსრო (მეორე), ქაიხოსრო (მესამე), ვახუშტი, შანშე, ქაიხოსრო (მეოთხე).*

**რევაზ ამირეჯიბი** (1688-1703წწ.), ქართლში „ორიანობის“ დროს ერთგული

სამსახური გაუწია მეფე ნაზარალი-ხანს. ამ დამსახურებისათვის ნაზარალი-ხანმა მას უწყალობა მეჯინიბეთუხუცესობა და აღუთქვა მეკარეებობა (1688-1703წწ.); მიჰყიდა სეხნია ყუყუნაშვილის ჯვარის ხარშილაძისეული მამული - ბაგა (XVIIს. ბოლო).

ქართულ ენციკლოპედიაში შეტანილი არიან:



**ამირაჯიბი კონსტანტინე მიხეილის ძე**, მეცნიერი სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში, პროფესორი (1927 წლიდან), მეცნიერებათა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე (1934წ.). 1907 წელს დაამთავრა აგლევის სასოფლო-სამეურნეო სკოლა. 1919 წელს კ. ამირაჯიბი მიიწვიეს თსუ-ში დოცენტის თანამდებობაზე და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმცოდნეობის კათედრის გამგედ. 1927 წელს კ. ამირაჯიბის ინიციატივით ჩამოყალიბდა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების საცდელი სადგური (ამ სადგურს შემდგომში მისი სახელი მიენიჭა). 1931 წელს ამ სადგურის ბაზაზე შეიქმნა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის კვლევითი ინსტიტუტი, რომლის დირექტორიც 1934 წლამდე კ. ამირაჯიბი იყო (შემდგომში ამ ინსტიტუტსაც კ. ამირაჯიბის სახელი მიენიჭა). პროფ. ა. დიდებულიძესთან ერთად შექმნა და გამოცადა ელექტროტრაქტორი. 1920 წელს გამოცა ამირაჯიბის სასოფლო-სამეურნეო მექანიკის ლექციების კურსი.

**ამირაჯიბი სოფიო ვასილის ასული**, ქართველი მთარგმნელი; **კონსტანტინე ამირაჯიბის** დედა. სწავლობდა თბილისში ფაერის პანსიონში. ფლობდა რამდენიმე უცხოურ ენას, რუსულად თარგმნა გრ. ორბელიანის, ვ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ი. ევდოშვილის, დუტუ მეგრელის, ი. ეკალაძისა და სხვათა თხზულებანი. ამირეჯიბის თარგმანები იბეჭდებოდა თბილისის იმდროინდელ რუსულ პრესაში (*„კავკაზსკი ვესტნიკ“, „არგონავტი“, „ნოვოე ობოზრენიე“, „ტიფლისსკი ლისტოკ“*); ცალკე წიგნად კი სათაურით „ქართველი პოეტების ლექსთა კრებული“ - გამოიცა მოსკოვში 1909 წელს.

**ამირეჯიბი რუსა**, ქართველი საზოგადო მოღვაწე ქალი XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე. **ქუცნა ამირეჯიბის** მეუღლე, ალექსანდრე I დიდის აღმზრდელი ბებია. აახლებდა მტრის ლაშქრობათა შედეგად დაქცეულ საყდრებს. დაიწყო დანგრეული სვეტიცხოვლის აღდგენა (დაამთავრა ალექსანდრე I-მა).



**ამირეჯიბი სიმონ სარდიონის ძე**, მეცნიერი, ბაქტერიოლოგიისა და ჰიგიენის ფუძემდებელი საქართველოში, პროფესორი (1919 წლიდან). ჯერ კიდევ II კურსის სტუდენტმა ხორცის ექსტრაქტში აღმოაჩინა ახალი ნივთიერება კარნოზინი. 1907-1919 წლებში იყო ხარკოვის სამედიცინო საზოგადოების შრატებისა და ვაქცინების განყოფილების, ხოლო 1915-919 წლებში ბაქტერიოლოგიური განყოფილების გამგე. 1919 წელს საქართველოში დაბრუნდა. იყო თსუ-ის სამკურნალო ფაკულტეტის ერთ-ერთი ორგანიზატორი (1919 წელი) ამ ფაკულ-

ტეტზე დაარსა ბაქტერიოლოგიის (1919 წელი), და ზოგადი ჰიგიენის (1920 წელი) კათედრები. ამავე უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტზე დააარსა (1919 წელი) მიკრობიოლოგიის კათედრა. ამირეჯიბი თბილისის სანიტარული ჰიგიენის ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი დირექტორი იყო (1926–1933 წლები). მისივე თაოსნობით დაიწყო (1919 წელი) საქართველოში ვაქცინებისა და შრატების წარმოება. მან შეისწავლა თბილისის და საქართველოს სხვა ქალაქების წყალსადენების სანიტარიის, მტკვრის გაბინძურების და თვითგაწმენდის საკითხები. იკვლევდა მუშაობის სანჰიგიენო პირობებს ჭიათურის მაღაროებში. შეისწავლა შავი ზღვის მიკროპლანქტონი. შეადგინა სამედიცინო მიკრობიოლოგიის პირველი ქართული სახელმძღვანელო.



**ამირეჯიბი ცაცა (ეკატერინე) გიორგის ასული,** მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი (1950 წლიდან). 1906 წლიდან მუშაობდა სახალხო თეატრში (აჭარლის აუდიტორია). 1911 წელს დაამთავრა მოსკოვის ს. ხალიუტინის თეატრალური სტუდია და შემდეგ 1943 წლამდე მსახიობად მუშაობდა საქართველოს სხვადასხვა თეატრებში.

1932 წლიდან სახკინმრეწვის (ახლანდელი კინოსტუდია „ქართული ფილმის“) მსახიობია. დიდხანს იყო ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის წამყვანი მსახიობი. ცაცა ამირეჯიბი ასრულებდა დრამატულ და ტრაგიკულ როლებს: ქეთევანი (ერისთავის „სამშობლო“), თამარი (მესხის „შოთა რუსთაველი“), ზეინაბი (სუმბათაშვილის „ღალატი“), ქეთევანი (ყაზბეგის „ქეთევან წამებული“), ფატი (დადიანის „ნაპერწკლიდან“), კრუჩინინა (ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“), ლედი მაკბეტი (შექსპირის „მაკბეტი“). მის მიერ კინოში განსახიერებული როლებია: კეკა („სახვამდის“ 1934წ.), დედა („არშაული“, 1935წ.), მართა („არსენა“, 1937წ.) და სხვები.



**მიხეილ ამირაჯიბი,** გენერალ-ლეიტენანტი მ. ამირაჯიბი კავკასიის არმიის ერთ-ერთი გამოჩენილი მებრძოლი და მოღვაწეა. მან სახელოვანი გზა განვლო – რიგითი ჯარისკაციდან კავკასიის არმიის პირველი კორპუსის მეთაურამდე. იგი ადამიანის საუკეთესო თვისებებისა და ბრწყინვალე მეთაურის განსახიერება იყო. კავკასიის ამ რაინდს გულმკერდს უმშვენებდა უმაღლესი ორდენები.

ქართულ თავადთა შთამომავალი მიხეილ ქაიხოსროს ძე ამირაჯიბი დაიბადა 1838 წლის 2 ნოემბერს. 1851 წელს იგი სამხედრო სამსახურს იწყებს თბილისის მე-15 გრენადერთა ლეგიონში ჯარისკაცად.

პირველი საბრძოლო ნათლობა ახალგაზრდა თავადმა ყირიმის ომში მიიღო. ამავე წელს თავი ისახელა ბაშკადიკლარის ბრძოლაში – პრაპორშიკობა დაიმსახურა, ხოლო ომის დამთავრებამდე პოდპორუჩიკობა მიენიჭა.

1856 წელს ამირაჯიბი გრენადერად გადავიდა მე-14 ქართულ ლეგიონში და

მონაწილეობას ღებულობდა ექსპედიციებში, რომლებიც მოეწყო ჩრდილო კავკასიაში კავკასიის ომის დამთავრებისას — 1864 წელს იგი უკვე კაპიტანია. ამ ჩინით გადადის იგი ლაიბგვარდიის სემიონოვის ლეგიონში, სადაც 1871 წელს პოდპოლკოვნიკობას ღებულობს და ელისავეტპოლის 156-ე ქვეითი ლეგიონის მეთაურად დანიშნეს. ეს იყო თურქეთთან ომის პერიოდი.

1877 წლის 24 აპრილს დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი. პირველსავე დღეს ამირაჯიბის ლეგიონი, ახალციხის რაზმის შემადგენლობაში, თურქეთის საზღვარს გადაევლო და არტაანისკენ დაიძრა. ციხე 9 ცალკეული გამაგრებული ადგილისაგან — ფორტისგან შედგებოდა. აქედან უძლიერესის — იმერ ოღლის იერიში ელისავეტპოლის პოლკს დაევალა. მამაცი მეთაური ლეგიონის მებრძოლებით შეტევაზე გადავიდა: ნაცადმა მეთაურმა ბრძანება გასცა, მუსიკა დაეკრათ, რომლის ხმაზე მეომრები დროშებით ხელში მტერს ეკვეთნენ. მათ „ვაშას" ქვემეხებისა და თოფების ხმა შეერწყა. წინა სანგრებს ამირაჯიბის არწივები დაეუფლნენ. ვერავითარმა დაბრკოლებამ ვერ შეაჩერა მებრძოლები.

ემირ ოღლის სიმაგრეზე ამირაჯიბის მებრძოლებმა გამარჯვების დროშა აღმართეს. ერთ-ერთი მოწმე ამ ამბებისა წერდა, რომ: *„ელისავეტპოლელები, მიხეილ ყაიხოსროს ძის მაგიური სიტყვით მთვრალები, სიმაგრეზე მიდიოდნენ როგორც გაშმაგებული ლომები".*

პოლკოვნიკი მ. ამირაჯიბი შემდეგომ მონაწილეობას იღებს ავლიარ-ალაჯის ოპერაციაში, მაგრამ განსაკუთრებული დამსახურება ერგო დევე-ბოინისთვის ბრძოლაში.

პოლკოვნიკ ამირაჯიბს სამართლიანად თვლიან დევე-ბოინის სიმაღლეებზე რუსეთის არმიის გამარჯვების მთავარ გმირად. მამაცი მეთაურის დამსახურება ამ ოპერაციაში აღნიშნული იქნა წმინდა გიორგის მეოთხე ხარისხის ორდენით. გარდა ამისა, 1878 წლის 8 ნოემბერს საერთო სამხედრო დამსახურებისათვის პოლკოვნიკ ამირაჯიბს გენერალ-მაიორის ჩინი უბოძეს.

რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ, 1880 წელს, გენერალ-მაიორი მ. ამირაჯიბი კავკასიის გრენადერთა დივიზიის პირველი ბრიგადის მეთაურად დანიშნეს. ამ თანამდებობაზე დარჩა იგი 1893 წლამდე, ამიერიდან კი იგი გვევლინება 39-ე ქვეითი დივიზიის მეთაურად. 1899 წლის 3 აგვისტოს მას გენერალ-ლეიტენანტის ხარისხი მიანიჭეს და დივიზიის მეთაურად დაამტკიცეს.

1899 წლის 23 მარტს იგი დაინიშნა კავკასიის არმიის პირველი კორპუსის მეთაურად; ამ თანამდებობაზე დაასრულა მან თავის სახელოვანი სამხედრო ცხოვრებისა და მოღვაწეობის ბრწყინვალე გზა.

1903 წლის 28 ნოემბერს თბილისელებმა იგი მიაცილეს დიდუბის ქართველ მოღვაწეთა პანთეონამდე. მ. ამირაჯიბის სამხედრო დამსახურება მრავალი ორდენით აღინიშნა. მის გულმკერდს ამშვენებდა: წმინდა ვლადიმერის მეოთხე ხარისხის ორდენი ხმლითა და ბანტით; წმინდა გიორგის მეოთხე და მესამე,

წმინდა ანას პირველი, წმინდა სტანისლავის პირველი, ვლადიმერის მეორე და პრუსიის „რკინის გვირგვინის“ ორდენი და მრავალი სხვა მედალი.

სახელოვან ქართველ გენერალს და მიღვაწეს შესანიშნავი ოჯახი ჰქონდა. მეუღლე – **სოფიო ამირაჯიბი** კარგად ფლობდა რუსულ და უცხო ენებს, თარგმნიდა და საკუთარ ლექსებსაც წერდა. ქართველი პოეტების ლექსების თარგმნილი კრებული მან ჯერ კიდევ 1909 წელს გამოსცა რუსულ ენაზე. ცნობილი იყო მისი მუსიკოსი შვილი **ბარბარე**, გარდაიცვალა 1939 წელს, ხოლო ვაჟი – **კონსტანტინე** პეტერბურგსა და პარიზში სწავლობდა, მუშაობდა თბილისის უნივერსიტეტში პროფესორად, ხოლო 1930 წლიდან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორად. იგი 1948 წელს გარდაიცვალა. მეუღლე და შვილები დაკრძალული არიან მის გვერდით.



**მზეჭაბუკ (ჭაბუა) ამირეჯიბი** მწერალი. დაიბადა თბილისში 1921 წ. 18 ნოემბერს. მშობლები: **მარიამ ნაკაშიძე-ამირეჯიბისა, ირაკლი ამირეჯიბი**; მეუღლე – **თამარ ჯავახიშვილი** (1937); შვილები: **მანანა** (1946), **ლეილა** (1949), **ირაკლი** (1963–92), **ლაშა** (1964), **ქეთევან** (1967), **შალვა** (1970). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სამი კურსი. იყო არალეგალური ანტისაბჭოთა ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ ერთ-ერთი დამაარსებელი და წევრი. შეიარაღებული აჯანყების მზადების ბრალდებით (1944) მიესაჯა პატიმრობა – 25 წელი. სამჯერ გაიქცა პატიმრობიდან, ორჯერ მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა. გათავისუფლდა 1959 წელს. პატიმრობის 16 წლის მანძილზე იყო ტყის მჭრელი, ჩრდილოეთ ისეთის სატყეო კომბინატის დამაარსებელი და დირექტორი (1945–47), ბელორუსიის სატყეო მრეწველობის სამინისტროს ტყის გადამამუშავებელი კომბინატის დამაარსებელი და დირექტორი (1947–50). გათავისუფლების შემდეგ – საქართველო-აშშ ერთობლივი საწარმოს „ამსაქფილმის“ დამაარსებელი და დირექტორი (1970–74), ალმანახ „კინოს“ დამაარსებელი და დირექტორი, საქართველოს სახკინოს სარეკლამო-საინფორმაციო ბიუროს დამაარსებელი და დირექტორი (1969–72), კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მეორე გაერთიანების დირექტორი (1972–76), კინოსტუდია „მემატიანეს“ დირექტორი (1983–89), საქართველოს სახელმწიფო საბჭოს, შემდგომ პარლამენტის წევრი (1991–95), საქართველოს თავდაცვის ფონდის თავმჯდომარე (1992–95), ქართულ სულიერ ფასეულობათა დაცვის ასოციაცია „ივერიის“ და გაზეთ „ახალი ივერიის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და გამგეობის თავმჯდომარე (1999). გამოქვეყნებულია მისი რამდენიმე ათეული პუბლიცისტური სტატია (1976–98), გამოქვეყნებულია მოთხრობების სამი კრებული (1965–68), საბავშვო იგავ-არაკების კრებული „თაფლის წვეთი“ (1967), რომანები: „დათა თუთაშხია“ (1974), „გორა მბორგალი“ (1996). მისი ნაწარმოებები თარგმნილია მსოფლიოს 30-მდე ენაზე. არის სსრკ სახელმწიფო (1979), რუსთაველის (1995), ჟურნალ „ზნამიას“

(რომანისათვის „გორა მბორგალი“, (1996), რუსეთის უცხოური ლიტერატურის ბიბლიოთეკის პრემიის „საწარმოებისთვის, რომელიც აახლოებს ხალხებს“ (1996), „თბილისის გაზაფხულის“ ლიდი პრიზის (1997) ლაურეატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1985), ღირსების ორდენის კავალერი (1995), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი პუბლიცისტიკის დარგში (1999), არის საქართველოს მწერალთა და კინემატოგრაფისტთა კავშირების წევრი (1965), მსოფლიოს წამყვან „ინტელექტუალთა საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და წევრი (1998). მისი ბიოგრაფია შეტანილია კემბრიჯის და აშშ ბიოგრაფიულ ცნობარებში.

ამირეჯიბთა საგვარეულოს კიდევ არაერთი პიროვნება ამკობს და ამშვენებს. მათ შორის არიან



**ამირეჯიბი თენგიზ კონსტანტინეს ძე** პიანისტი-სოლისტი, პროფესორი, საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. დაიბადა თბილისში 1927 წ. 30 სექტემბერს. მშობლები: **ნინო ავალიშვილი, კონსტანტინე ამირეჯიბი.** მეუღლე – **გამერა გოგია** (1938); შვილები: **დავითი** (1954), **კონსტანტინე** (1996) დაამთავრა მოსკოვის სახ. კონსერვატორია (1951). არის თბილისის სახ. კონსერვატორიის ფორტეპიანოს კათედრის გამგე (1957 წლიდან). თავისი მოღვაწეობის განმავლობაში კონცერტები გამართა აშშ-ში, კანადაში, გერმანიაში, პოლონეთში, იუგოსლავიასა და ყოფილი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკის დედაქალაქში. მისმა მოსწავლეებმა (მ. ლოლაძიშვილი, ე. ბოლქვაძე, ალ. კორსანტია, თ. გურევიჩი, ნ. ასტახიშვილი, გ. სადირაძე, თ. ლიბლიანი) 12 საერთაშორისო კონკურსზე მიიღეს ლაურეატის წოდება *(ალ. კორსანტიას მოიპოვა 3 „გრან-პრი“ (ავსტრალიაში, აშშ-სა და ისრაელში).*

**ამირეჯიბი კონსტანტინე (კოტე) თენგიზის ძე** ფერწერა; გრაფიკა, კინომხატვრობა. დ. 07.04.1964 თბილისი მშობლები: **გომა გოგია, თენგიზ ამირეჯიბი**; მეუღლე – **ქეთევან თოდაძე** (1961); შვილი – **თენგიზი** (1989). სწავლობდა თსსა კინო-ტელეფაკულტეტზე (1983-89). პედაგოგები: გ. ცერაძე, ზ. ნიჟარაძე, ე. ონიანი, თ. ხუციშვილი, გ. გოგაური, დ. თაყაიშვილი. სადიპლომო ნამუშევრები – „ბერძნული მითები“ (ხელმძღვანელი – დ. თაყაიშვილი). გამოფენებში მონაწილეობა 1989 წლიდან. ძირითადი ნამუშევრები: „პეიზაჟი“ (1993); „კომპოზიცია (1991), სერია „ბერძნული მოტივები“ (1989-98). გამოფენები: პერსონალური: თბილისი, (1991, 1996); ნიუ-ორლეანი, (1991); გალერეა თმშ თბილისი (1999), სადიპლომო ნამუშევრების (ლენინგრადი, 1989); ჯგუფური „შეიდფერი მუზა“ (თბილისი, ბათუმი); საბერძნეთი თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში (სეგ. თბილისი, 1993). მუშაობდა მხატვრის სახლში (1991-96), პედაგოგად ხელოვნების სტუდია „მაქს შემოქმედში“, ხელოვნების კოლეჯში.

**ამირეჯიბი ლაშა ჭაბუას ძე,** ქანდაკება. დ. 17.06.1964 თბილისი. მშობლები:

**მარინა მხეიძე, ჭაბუა ამირეჯიბი.** მეუღლე – **მაკა ჩხეიძე** (1968); შვილი – **თინათინი** (1990). სწავლობდა თსსა ქანდაკების განყოფილებაზე (1980–87). პედაგოგები: ა. შალიკაშვილი, გ. ჯაფარიძე, დ. ლეონიაშვილი, თ. სულხანიშვილი, თ. გიორგობიანი, ზ. კობერიძე, ტ. ქუთათელაძე.

სადიპლომო ნამუშევარი – „9 აპრილი", (ხელმძღვანელი – გ. ჯაფარიძე). გამოფენებში მონაწილეობს 1988 წლიდან. საქართველოს მხატვართა კავშირის ახალგაზრდა მხატვართა გაერთიანების წევრია 1989 წლიდან. ძირითადი ნამუშევრები: ქანდაკება „ქალი ქოლგით" (1991)

გამოფენები: ამერიკა-500, „ახალი გალერეა" (თბ. 1991). მისი ნამუშევრები დაცულია კერძო კოლექციებში.

**ამირეჯიბი ნატალია,** გრაფიკა, ფერწერა. დ. 9.06.1970 თბილისი. სწავლობდა თსსა გრაფიკის განყოფილებაზე (1988–94), პარიზის სორბონის უნივერსიტეტის თანამედროვე ხელოვნების ფაკულტეტზე (1997–98). პედაგოგი: დ. ერისთავი.

სადიპლომო ნამუშევარი – მ. ჯავახიშვილი „ჯაყოს ხიზნები" (ხელმძღვანელი – დ. ერისთავი). გამოფენებში მონაწილეობს 1980 წლიდან. გამოფენები: პერსონალური – თბილისის მხატვრის სახლი (1985), მადრიდი (1987), ბულგარეთი (1988), „სიტე ინტერნაციონალე", პარიზი (1996), საქართველოს საელჩო პარიზში (1998), ლონდონი (1999). ჯგუფური – ნიუ-იორკი (1990), ბარსელონა (1991), მილანი (1994,1996), ბოლონია (1995); „ქართველი მხატვარი ქალები", ბაქო (1997). მონაწილეობდა ბორხესის ნაწარმოებთა ილუსტრირების კონკურსში (მონტრე, შვეიცარია). მისი ნამუშევრები დაცულია საფრანგეთის, ინგლისის, აშშ კერძო კოლექციებში. 1996 წლიდან ცხოვრობს და მოღვაწეობს პარიზში.



**ამირეჯიბი ნათია ირაკლი ასული** კინომცოდნე დაიბადა თბილისში 1934 წ. 29 იანვარს. მშობლები: **მარიამ ნაკაშიძე, ირაკლი ამირეჯიბი;** მეუღლე – **ზურაბ კაკაბაძე** (1926). შვილები: **ირაკლი** (1969), **ნინია** (1974). დაამთავრა თსუ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი (1957). იყო ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების კ.ს რედაქტორი (1958–61), მოსკოვის ხელოვნების სამეცნიერო ინსტიტუტის ასპირანტი (1962–65), საქართველოს კინემატოგრაფიის კომიტეტის უფროსი რედაქტორი (1966–70). მუშაობს თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტში (1970 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „ქართული უხმო კინოხელოვნების ძირითადი შემოქმედებითი ტენდენციები" (1978). არის ავტორი წიგნებისა.

**ამირეჯიბი დიმიტრი** (1900–1937) – არტილერიის პოლკოვნიკი. 1921 წელს იუნკრების არმიასთან შეტაკების დროს მძიმედ დაიჭრა. შემდგომ მიწვეულ იქნა საბჭოთა არმიაში. 1937 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს.

მეუღლე **ეკატერინე ვახვახიშვილი** (1905–1950) – მუშაობდა თსუ-ის ბიბლიოთეკაში

შვილი **ნიკოლოზ (კოკა) ამირეჯიბი** – დაამთავრა თსუ-ის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეოლოგიის სპეციალობით, ინჟინერ-გეოლოგი.

რძალი **ლეილა გვასალია** – დაამთავრა ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენების ინსტიტუტი გერმანული ენის განხრით. მუშაობს პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში პედაგოგად

შვილიშვილები: **ნელი და დიმიტრი. ნელი ამირეჯიბი** – დაამთავრა სამედიცინო ტექნიკუმი. **დიმიტრი ამირეჯიბი** – დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი. მუშაობს ბავშვთა ფეხბურთის სკოლა „ირაოში" უფროს მწვრთნელად. რძალი **თამარ კაკუტია** – ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. მუშაობს „მეგაკომში".

შვილთაშვილი – **კოკა ამირეჯიბი** – სკოლის მოსწავლე.

***

ამირეჯიბთა საგვარეულოს წევრთა დამსახურების გადმოცემას ერისა და ქვეყნის წინაშე ტომებიც არ ეყოფა. არადა, სათქმელი ბევრი დაგვრჩა. ნაწილობრივ ჩვენ მას შევეხეთ **გაბელისძეთა და ფალავანდიშვილთა** გვარზე საუბრისას.

იმის მიუხედავად, რომ ერთგვარ გამეორებას ექნება ადგილი, მკითხველს ვთხოვთ, ტავტოლოგიად ნუ ჩაგვითვლის.

ერთგვარი ერცელი რეზიუმეს სახით ზემოთ ნათქვამს უნდა დავურთოთ სტატია, რომლის ავტორიცაა ბატონი **დავით ამირეჯიბი**. წერილი დაიბეჭდა გაზეთ „დარბაზში" *(1999 წლის აპრილ-მაისში).*

**P.S.** დავით ამირეჯიბი საკუთარი გვარის შესახებ წერს:

ამირეჯიბები ერთ-ერთი ძლიერი და გავლენიანი გვარია ფეოდალურ საქართველოში. ქართულ ისტორიულ წყაროებში XII–XIII სს. იხსენიებიან, როგორც ცენტრალური სახელმწიფო აპარატის მოხელეები. მანდატურთ-უხუცესის თანაშემწეები, ეჯიბთა – კარისკაცების უფროსები, სავაზიროს წევრები სათათბირო ხმით. ამირაჯიბს ევალებოდა შეთქმულებათა აღკვეთა, წესრიგის დაცვა. უფლება ჰქონდა, ყოველ ჟამს წარმდგარიყო მეფის წინაშე. განაგებდა დარბაზობას, პურობას.

ამ თანამდებობისაგან გვარიც წარმოდგა, რომელიც წყაროებში ორი ფორმით გვხვდება: **ამირაჯიბი** (უფრო ადრინდელი) და **ამირეჯიბი.**

შიდა ქართლის მთავართა ჩამოთვლისას („აწინდელთა მთავართა გვართათვის") ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავდა: *„ხერხეულიძე, აბაშიძე, ფალავანდიშვილი და ამირ-ეჯიბი: ამათ ერთობისა შინა აქვნდათ მამულნი იმერეთს და ქართლსა შინა და შემდგომად განყოფისა სამეფოსა ერთი ძმა იქით და ერთი აქეთ დაშთნენ. ვითარცა აწცა არს მამულნი და სიგელნი მათნი".*

[illegible]

„კარის გარიგებაში" ამირაჯიბის მოვალეობა დაზუსტებულია: — *პირველი ვაზირია მწიგნობართ-უხუცესი – იწერს დადგენილებებს; ხოლო ამირეჯიბი გადასცემს განკარგულებებს დარბაზს გარეთ. და შემოიყვანს დარბაზში. თუ რომელიმე ხელისუფალს დაიბარებენ."*

„შემოკლებით აღწერაშიც" ამირეჯიბის იგივე ფუნქცია არის აღბეჭდილი, გვარის წარმოქმნა ფალავანდიშვილთა ფესვიდან არის აღნიშნული.

ისტორიულ დოკუმენტებში უხვად არის გაშუქებული ამირეჯიბთა მოღვაწეობა-დამსახურება, მხედრული თავდადება, ქველმოქმედება, აღმშენებლობა. ამირეჯიბი ნახსენებია დავით ნარინის თანამეცხედრის – თამარ დედოფლის შეწირულების წიგნში გელათისადმი (1260–1293წწ. „ქართ. სამართლის ძეგლები", გვ. 75).

ძალზედ მნიშვნელოვანია ამირეჯიბთა გვაროვნობითი სიგელი ქუცნა ამირეჯიბისა, რომელიც ცნობილია როგორც XIV–XV სს. ქართლის მსხვილი ფეოდალი, მოაზროვნე, პოლიტიკოსი, დიპლომატი, მეფის ელჩი კონსტანტინოპოლში.

ეს სიგელი – დროის უტყუარი სარკე, რამდენიმე ასპექტით – მრავლისმეტყველი შინაარსით, ისტორიული ფაქტების ასახვით, პატრიოტული სულისკვეთებით, ემოციურობით არის საინტერესო. თემურ-ლენგის სისხლიან ლაშქრობათა შემდეგ აღდგენითი სამუშაოები, ამირეჯიბთა სასტიკად დასჯა ალექსანდრე (იმერთა) მეფისაგან, ალის დახუთვა, ულუმბის და ნაბახტევის ეკლესიების განახლება, 61 წინაპრის „აგარიანთა ხელითა განგმირულს, თავმოკვეთილს აგარიანთაგან ბრძოლისა შინა", რუსუდან დედოფლის დროინდელ ბრძოლას სპარსელებთან და მრავალ სხვა ისტორიულ ფაქტს აშუქებს ეს ტევადი დოკუმენტი.

ისტორიულ წყაროებში, ეკლესიების ჟამ-გულანებში რამდენიმე ამირეჯიბია მოხსენიებული XIV, XV, XVI სს. თ. ჟორდანიას „ქრონიკებში" (გვ. 177) მოთავსებული აქვს ფიტარეთის ტაძრის ასომთავრული წარწერა (1318–1346 ოო.), რომ „მეფის ამირეჯიბს ქავთარს „ხმლით მოგებულის" ფულით აუშენებია ფიტარეთი, უყიდნია ტანძია და სხვა მამულები, რომელნიც ფიტარეთის ეკლესიისთვის შეუწირავს.

„სარდიონ და მაკინე ამირეჯიბების ოჯახი სალოლაშენში ცნობილია XIX ს. 70-იანი წლებიდან. ამ ოჯახს მიუძღვნა აკაკიმ სტრიქონი:

*„ენახე ცოლ-ქმარი მე მეგობარი.*
*ერთმანეთის შეთანამტკბარი."*

ეს შესანიშნავი წყვილი და მათი შვილები ყურადღებასა და ზრუნვას არ აკლებდნენ გლეხკაცობის ოჯახებს, ბავშვების სწავლა-განათლებაზე ზრუნავდნენ, საკუთარი სახსრებით ნიჭიერ ბავშვებს აგზავნიდნენ სასწავლებლად გორში, თბილისში, რუსეთში, საზღვარგარეთ. მაკინე ამირეჯიბი, როგორც წერდნენ გაზეთებში, იყო „ქალი ხელოვანი, მომღერალი, მუსიკოსი, მშობლიური ლიტერატურის მოამაგე, ქველმოქმედი, ღარიბთა და ღატაკთა გამკითხავი." მაკინესა და სარდიონის სტუმართა შორის ნახავდით: ილია ჭავჭავაძეს, აკაკი

წერეთელს, ვალერიან გუნიას, ელისაბედ ჩერქეზიშვილს, ზაქარია ფალიაშვილს, შალვა დადიანს, ავლევალ ამირეჯიბებს, ანდრონიკაშვილებს, ციციშვილებს, ლორთქიფანიძეებს... ფართოდ იყო ცნობილი მაკინეს მოქარგული სუფრა, რომელზეც ოჯახში მოსული სტუმრები ტოვებდნენ ხელმოწერას, რომელიც შემდეგ ოჯახის ქალებისა და ქალიშვილების მიერ იქარგებოდა. ეს სუფრა-მატიანე ინახება გიორგი ლეონიძის სახელობის მუზეუმში.

სარდიონმა და მაკინემ რვა ქალ-ვაჟი გაუზარდა ერს. შვილებსაც გამოჰყვათ მშობლების კაცთმოყვარეობა, ქველმოქმედების სიყვარული, ნიჭი. ცნობილი მეცნიერები, პიანისტები, ფილოლოგები, ისინი სამშობლოს ემსახურებოდნენ, ენერგიას და ცოდნას არ ზოგავდნენ, ყველაზე რთულ პერიოდებში იმედს და რწმენას არ კარგავდნენ.

ავლევალი ამირეჯიბების ოჯახიდან იყვნენ **მარიამ და ნინო**. 1997 წლის 1 აპრილს ქ-ნი ნინო 90 წლის ზღვარს გადააბიჯებდა. დასრულდა გრძელი, უბედური და ბედნიერი ამქვეყნიური ცხოვრება ადამიანისა, რომლის სიცოცხლეში აირეკლა ოჯახის, ჩვენი ერის XX საუკუნის ყველა ქარტეხილი.

1930 წ. ნინო ამირეჯიბი საკუთარ ბედს **დავით რონდელს** უკავშირებს. იგი მეუღლესთან ერთად მოწმეა ქართული კინოს ბრწყინვალე აღმაელობისა.

1936 წ. მან „დაკარგული სამოთხე" – ქართული კინოს ეს შედევრი დაამონტაჟა. დ. რონდელთან და ნ. ამირეჯიბთან ქართული კინოს მთელი ეპოქაა დაკავშირებული. მან დაწერა რამდენიმე სცენარი, პიესა, ნარკვევი, მოგონებათა ესსე ფიროსმანზე: *„იყო და არა იყო რა, იყო ერთი მხატვარი..."*

XX ს. ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში დიდი წვლილი მიუძღვის **შალვა ამირეჯიბს** – პოეტს, მწერალს, საზოგადო მოღვაწეს, რედაქტორს, საქართველოს დამოუკიდებლობის უშიშარ დამცველს. მისი ბრწყინვალე ლექსი, რომელიც ძალზედ თანამედროვეა დღესაც, „კოტე აფხაზის სიკვდილზე", დაწერილი 1923 წელს 15 გმირის დახვრეტის შემდეგ, თაობის მანიფესტად იქცა, რამეთუ:

*„როს ჩვენი დროის რეგვენობის მწირ ანარეკლად,*
*ჩვენში მატურებს ისე დგამენ, ვით თავის ზვინებს,*
*თავისის ფეხით ადის ბრიყვი კვარცხლბეკზედ ძეგლად,*
*და ჯალათობა სათნოების იწნავს გვირგვინებს..."*

| |
|---|
| **ამირბეგოვი 57** |
| **(თბილისი – 41,** |
| **რუსთავი – 5,** |
| **თელავი – 4).** |

**ამირბეგაშვილი||ამირბეგოვი, ამირბეგა** იყო საკუთარი სახელი. გვაქვს აგრეთვე დამოუკიდებლად არსებული გაქართველებული სახელები **ამირ-ა** და **ბეგა**.

შდრ: **ამირბეგაშვილი ბასილა** – შვილი **პაპუნა ამირბეგაშვილისა**;

**ამირბეგაშვილი ბერუკა** – შვილი **პაპუნა ამირბეგაშვილისა.**

**ამირბეგაშვილი გიუნა** – შვილი **პაპუნა ამირბეგაშვილისა.**

**ამირბეგაშვილი პაპუნა** – პაპუნას შვილები: ბასილა, გიუნა, შალვა, ბერუკა, ქრისტესია. იყიდა ბატა პაპიაშვილისაგან საღმთოს ტყესთან უღალო სახატო მიწა სეიმანაშვილის და ჯავახის მიწებამდე იმ პირობით, რომ როცა მოხნავდნენ, ერთი კოდი პური „სასაღმთოდ“ მიეცათ სოფლისათვის (1657წ.).

**ამირბეგაშვილი ქრისტესია** – შვილი პაპუნა ამირბეგაშვილისა.

**ამირბეგაშვილი შალვა** – შვილი პაპუნა ამირბეგაშვილისა.

**ამირბეგისძე მათე** – დამწერი მურვან ლარიბაისძის მიერ ვაჰანის მონასტრისათვის მიცემული მამულის შეწირულობის წიგნისა (1393 წ.).

რუსიფიკატორული პოლიტიკის გამო **ამირბეგაშვილს სუფიქსი შვილი** ჩამოსცილდა და ფორმანტი ოვით გაფორმდა. დღეისათვის ამირბეგაშვილის გვარისანი აღარ არიან. დღეს **ამირბეგოვებად** ჩაწერილები უდავოდ იგივე **ამირბეგაშვილებია**.

**ამირეზაშვილი//ამირეზა** იყო საკუთარი სახელი, აქ რთულ ორმაგი სიტყვით გაწყობილი გვარსახელთან უნდა გვქონდეს საქმე. **ამირ–ა** და **ეზა**. გვარი საბუთებში XVII საუკუნეში მოიხსენიება. ***„ამირეზაშვილი მას შეატყობინა როინ ჯავახიშვილმა, რომ ვეზირს იგი ისევ ამილბარი მაღალაძისათვის უბოძებია*** (XVII ს. ბოლო).

| |
|---|
| **ამირიანი – 319** |
| **თბილისი – 289,** |
| **ბოლნისი – 11,** |
| **ოზურგეთი – 6.** |

**ამირიანი**, გვარის ფუძეა **ამირ–ა**. შდრ: **ამირა** – 1636–1638წწ. ქალაქის მამასახლისი. **ამირა** – მამასახლისი, **ამირა ნაბახტეველი** და სხვ. შდრ: **ამირიძე, ამირიშვილი**.

**ამირხანაშვილი–ანდრიაშვილი–ამირამიზაშვილი**,

| |
|---|
| **ამირხანაშვილი 283,** |
| **მცხეთა – 148,** |
| **თბილისი – 117,** |
| **გურჯაანი – 5.** |

**ამირხანაშვილთა** გვარი რომ **ანდრიაშვილთა** საგვარეულოს განაყარი (შტო–გვარია). ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ მაგალითი: ერთ–ერთ საბუთში დასახელებული არიან *ჯანაანი (ჯანაშვილები), ცუგაშვილები (ცუგანი), ბაზიერიშვილები (ბაზიერნი), ჩხუპიაშვილები (ჩხუპიანი), მთავარიაშვილები (მთავარიანი), ასევე ანდრიაანთ ამირხანაშვილები*.

**ამირხანაშვილთა** გვარის ფუძემდებელია **ამირხან ანდრიაშვილი**. **ამირხანა**, როგორც მამაკაცის საკუთარი სახელი, ხშირად გვხვდება ქართულ წყაროებში. შდრ: **ამირხანა** – ქვემო ქართლის სოფელ კარშაგარის მცხოვრები, იგი, მამულიანურთ, წილად ხვდა იოთამ ბარათაშვილს (1537–1538 წ.წ.),

**ამირხანა** – ერთი კომლი, იგი, თავისი მამულით, როსტომ მეფემ შესწირა მონასტერს (1657 წ.).

**ამირხანაშვილი** – ნაეროზაანთ *(ნაეროზაშვილმა ი.ა.)* როსტომმა მოქალაქე გედოაანთ გელუას სოფელ კუმისში *(დღევ. გარდაბნის რ–ნი)* მიჰყიდა ვენახი, რომელსაც ესაზღვრებოდა მისი მიწა *(1687 წ.)*.

1646–1682 წლებში მოიხსენიებიან: **გოგოლა, ზურაბა, პაპია ამირხანაშვილები** (*პალ. I, გვ. 138*).

დასახელებულ წყაროში მოხსენიებულ ანდრიაანთ ამირხანაშვილთან მიმართებაში უნდა ვთქვათ შემდეგი: გვარსახელებში **ან** და **ეთ** სუფიქსიან ფორმას, ამ სუფიქსიან გვართა სახელებს სპეციალური გამოკვლევები უძღვნეს მეცნიერებმა: *ივ. ჯავახიშვილმა, ვ. დონდუამ, კ. კეკელიძემ, ალ. ღლონტმა, ივ. იმნაიშვილმა, ამ სტრიქონების ავტორმა.* ახალციხეში შემონახულია ერთ-ერთი ძველი ხელნაწერის კონდაკი, რომელშიც ადრეულ საუკუნეებში გვარები ასეთნაირად გამოითქმოდა და იწერებოდა: **დივანანთ** (*ე. ი. დასმულია კითხვა – ვისი? – საუბარი ეხება დივანიშვილ-მდივნიშვილებს*), **მელიქანთ** (*იგივეა, რაც დღევანდელი მელიქიძეები*), **ხიზანათ** (*ხიზანიშვილი*), **ნანუათი** (*ნანუაშვილები*), **მესარკიანთ** (*მესარკიშვილები*), **ნადირათი** (*ნადირაშვილები*), **მეხრიანთ** (*მეხრიშვილები*) და ა.შ. პროფესორმა **ვლადიმერ დონდუამ** თავის გამოკვლევაში საფუძვლიანად განიხილა ათი გვარსახელი: **ლიპარიტეთი, ვახტანგეთი, შარვანშეთი, დურძუკეთი, უქმნეთი, კონონეთი, პავლეეთი, გაგიკეთი** და **შამირამეთი**. აღნიშნული სუფიქსებით გვართა წარმოება ადრინდელია და გვარწარმოქმნის პირველ საფეხურზე მიგვანიშნებს. ქართული დოკუმენტებიდან და ქართული სამართლის ძეგლებიდან ამოკრებილი მასალების საფუძველზე გამოცემულ პირთა ანოტირებულ ლექსიკონში (*წიგნი. I. 1991 წ.*), რიგ შემთხვევებში გვარი წარმოდგენილია **ან** სუფიქსით, ფუძესა და სუფიქსს შუა მოთავსებული **ს** ასოთი და გვარის თანამედროვე ფორმით. მაგალითად: ***აბრამათ (–აბრამაათ)//აბრამასშვილი//აბრამაშვილი***, აქ ***აბრამათ//აბრამაათი*** სინონიმურია ***აბრამასშვილი//აბრამაშვილი//აბრამიშვილისა***. ***ავაქაანთ//ავაქასშვილი//ავაქაშვილი, აზარაანთ//აზარასშვილი//აზარაშვილი; ათინაშვილი (ათინათ//ათინთა ესტატა [ესტატე], ალადადაანი//ალადათაანი//ალადადასშვილი//ალადადაშვილი//ალადათასშვილი//ალადათაშვილი; ანდრიათ//ანდრიაანი//ანდრიასშვილი//ანდრიაშვილი.*** ამ გვარმა მოგვცა ორი შტო-გვარი – **ანდრიათ ამირა ამირხანაშვილი** და **ანდრიათ აბრია აბრამიზაშვილი** (*იხ. პირთა ანოტირებული ლექსიკონი. შედგ. XI-XVIII ს.ს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. I. თბ. 1991. გვ. 148*).

**ამირხანაშვილი** ორკომპონენტიანი ქართული გვარსახელია. შედგება ორი თანამდებობრივი ტერმინისაგან – **ამირა+ხანი. ამირა** არაბულად მბრძანებელი, მეთაური, მმართველია. მთავრის შესატყვისი ტიტული აღმოსავლეთის მაჰმადიანურ ქვეყნებში. ამირა ადრე ეწოდებოდათ სარდლებს, შემდგომ არაბთა სახალიფოს პროვინციების მმართველებს. საქართველოში „ამირა", როგორც არაბთა ხელისუფლების წარმომადგენლის აღმნიშვნელი ტერმინი, VIII საუკუნიდან გაჩნდა– ამირა ერქვა თბილისის (ქალაქის) გამგებლად დანიშნულ ქართველ დიდებულს. ამირას მხოლოდ სახელი შერჩა არაბული. ნამდვილად იგი იყო საქართველოს მეფის მოხელე და მისი უფლება-მოვალეობა დაახლოებით ემთხვეოდა შემდგომი ხანის მოურავის უფლება-მოვალეობას. თბილისის გარდა, ამირას თანამდებობა დადასტურებულია ქუთაისში, დმანისში, რუსთავში, ჟინვალსა

და სხვა ქალაქებში. საკუთარი სახელი **ამირხანა** მოიხსენიება ქვემო ქართლში 1537–1538 წლებში. **ამირადანაა** ნაწარმოები ქართული გვარები: **ამირაშვილი, ამირაძე, ამირიძე**... ხოლო **ხანი-დან** – *ხანიაშვილი, ხანიკაშვილი, ხანიშვილი*. შდრ. **ხანდამაშვილი** *(ქართველი აზნაურები ქვემო ქართლში (1721 წლის აღწერა).*

გულდასაწყვეტია, რომ საუკუნის წინათ რუსების მიერ საბუთებში **ამირხანოვებად** ჩაწერილი **ამირხანაშვილები** არ ფიქრობენ მამაპაპური გვარის დაბრუნებას მათი რიცხვი არცთუ ისე ცოტაა.



**ამირხანაშვილი გივი დიმიტრის ძე** დაიბადა 1950 წლის 27 მაისს, მცხეთის რაიონის სოფელ გალავანში. 1966 წელს დაამთავრა ამავე სოფლის საშუალო სკოლა. 1966–67 წლებში სწავლობდა თბილისის „№49 პროფტექნიკურ სასწავლებელში. 1967 წლიდან მუშაობდა ქარხანა „ელექტროაპარატში" მუშა-ზეინკლად. 1971 წელს დაამთავრა თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის სამეთაურო, საარტილერიო, წითელდროშოსანი სამხედრო სასწავლებელი. გაანაწილეს სსრკ შსს დივიზიის (ს/ნ 3405) მეთაურის განკარგულებაში და მისი ბრძანების თანახმად დაინიშნა ამავე დივიზიის ს/ნაწილის 3219 მოტომსროლელთა პოლკის [illegible] ქვემეხთა ბატარეაში მეორე საცეცხლე ოცეულის უფროსად. შემდგომში იყო ამავე ნაღმტყორცნი ბატარეის პირველი საცეცხლე ოცეულის მეთაური – უფროსი ოფიცერი, ნაღმტყორცნი ბატარეის მეთაური, მოტომსროლელთა პოლკის მეორე მოტომსროლელთა ბატალიონის მეთაურის მოადგილე – შტაბის უფროსი, ამავე მოტომსროლელთა პოლკის არტილერიის უფროსი, 1986 წლის 27 მაისს მივლინებულ იქნა ყოფილი სსრკ-ს სამოქალაქო თავდაცვის უფროსის განკარგულებაში შემდგომი სამსახურის გასავლელად. 1986 წელს დაინიშნა თბილისის ყოფილი 1 მაისის რაიონის სამოქალაქო თავდაცვის უფროსის მოადგილედ – შტაბის უფროსად. 1986 წლის 1 ოქტომბერს დაამთავრა მოსკოვში 37-ე უმაღლესი ოფიცერთა კურსები. 1988 წელს – ყოფილი სსრკ-ს სამოქალაქო თავდაცვის შტაბის საორგანიზაციო-სამობილიზაციო ქვეგანყოფილების უფროსად, ხოლო 1989 წელს – ამავე შტაბის კადრებისა და საორგანიზაციო-სამობილიზაციო ქვეგანყოფილების უფროსად. ამავე წელს დაინიშნა საქ. რესპუბლიკის სამოქ. თავდაცვის შტაბის, სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციის (სამინისტროებში და უწყებებში) განყოფილების უფროსად. 1992 წელს საქართველოს რესპუბლიკის ს.თ. შტაბის გაუქმებასთან დაკავშირებით ჩაირიცხა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის განკარგულებაში. 1992 წლის 22 აგვისტოდან ყოფილი სსრკ-ს ჯარების შტატების შემცირებასთან დაკავშირებით გათავისუფლებულ იქნა შეიარაღებული ჯარებიდან. 1992 წლის 1 ივლისს დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს კადრების მთავარი სამმართველოს III განყოფილების უფროსად. 1992 წლის 31 ოქტომბერს დაინიშნა საქ. თავდაცვის სამინისტროს კადრების მთავარი სამმართვე-

ელის უფროსად. 1993 წელს დაამთავრა თბილისის ს.ს. ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი. 1998 წლის 7 იანვრიდან სახელმწიფო ფიზკულტურის აღზრდისა და სპორტის აკადემიის სამხედრო კათედრის უფროსია. 1999 წლის 24 ნოემბრიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხედრო კათედრის უფროსია.

მამა – **ამირხანაშვილი დიმიტრი ნიკოლოზის ძე** (1924), ცხოვრობს სოფელ გალიანში, პენსიონერი. დედა – **მარსაგიშვილი მარიამ ვასილის ასული** (1926), ცხოვრობს სოფელ გალიანში, პენსიონერი. მეუღლე – **ამირხანაშვილი ოლღა ილიას ასული** (1950), დიასახლისი. ქალიშვილი – **ამირხანაშვილი მარინა გივის ასული** (1972), დაამთავრა თბილისის ს.ს. ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი. ვაჟიშვილი – **ამირხანაშვილი დიმიტრი გივის ძე** (1979) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი.

*გივი ამირხანაშვილი დაჯილდოებულია 6 საიუბილეო მედლით, ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით, იაკობ გოგებაშვილის მედლით.*



**ამირხანაშვილი კობა** საქართველოს პარლამენტის წევრი, დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი, დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციისა და ევროპის ასოციაციის წევრი, პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1954 წლის 5 აგვისტოს. მშობლები: **მარიამ მარსაგიშვილი, დიმიტრი ამირხანაშვილი**; მეუღლე – **ნუნუ ბიკაშვილი** (1958). შვილები: **გიორგი** (1987), **ნიკოლოზი** (1989).

დაამთავრა სპი საინჟინრო-ფიზიკური ფაკულტეტი (1976), მოსკოვის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის ასპირანტურა (1984). იყო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს ინჟინერი (1976–78). მუშაობს ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტში (1978 წლიდან). იყო უმცროსი, უფროსი, წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ლაბორატორიის გამგე. საქართველოს პარლამენტის წევრი (1995–99 და 1999–2004 წ.წ.). არის 80-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ქრომატოგრაფიული კვლევების ოპტიმიზაცია" (1995). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2001). არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე, ომის ვეტერანი. მას ეკუთვნის ბავშვობაში ნათქვამი ფრაზები: *„ნამდვილი მეგობარია ის, ვინც ჭირში წინ დაგიდგება და ლხინში უკან"* *„ყველაზე უნიჭოა ის, ვისაც აქვს ღვთით ბოძებული ნიჭი და არ იყენებს."*



**ამირხანაშვილი გივი ალექსანდრეს ძე** დაიბადა 1951 წლის 27 ოქტომბერს მცხეთის რაიონის სოფელ გალიანში. 1968 წელს დაამთავრა გალიანის საშუალო სკოლა, ხოლო 1975 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის სპეციალობით. 1975–76 წლებში მუშაობდა თბილისის რძის კომბინატში ინჟინრად. 1976–91 წლებში მუშაობდა მცხეთის №89 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში სხვადასხვა თანამდებობაზე. იყო დირექ-

ტორის მოადგილე. 1991–96 წლებში იყო მცხეთის რაიონის სოფელ გალავნის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე. 1996–98 წლებში გამგეობის თავმჯდომარე. 1998–2002 წლებში იყო მცხეთის რაიონის გამგებლის I მოადგილე. 2002 წლიდან მუშაობს საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილედ მცხეთა-მთიანეთის მხარეში. მეუღლე **ლეილა ალექსანდრეს ასული მოძმანაშვილი**. შვილები: **თეა, ნათია, ალექსანდრე, ნიკა**.



**ამირხანაშვილი თენგიზ შალვას ძე** დაიბადა 1965 წლის 9 თებერვალს. დაამთავრა მცხეთის რაიონის სოფელ გალავნის საშუალო სკოლა. თბილისის მ. თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი. 1980 წელს დაამთავრა თბილისის ა.ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტი. მუშაობა დაიწყო საგურამოს პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში მასწავლებლად. პარალელურად მუშაობს გალავნის საშუალო სკოლაში ხატვის მასწავლებლად.

ჰყავს მეუღლე **ციცინო მამუკაშვილი** და სამი შვილი: **შალვა, ნინო, ნონა**.



**ამირხანაშვილი ივანე შალვას ძე** ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი დაიბადა 1959 წლის 3 მარტს მცხეთის რაიონის სოფელ გალავანში.

1976 წელს დაამთავრა გალავნის საშუალო სკოლა; იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1981 წელს.

1973–86 წლებში სწავლობდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1991 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „დავით გურამიშვილის მხატვრული აზროვნების თავისებურებანი („სიმბოლო და ალეგორია")". 1986 წლიდან მუშაობს გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქციაში – ჯერ კორესპონდენტად, შემდეგ კი კრიტიკის განყოფილების გამგედ (1987) და პასუხისმგებელ რედაქტორად (1998). არის საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის (1990) და საქართველოს მწერალთა კავშირის (1992) წევრი. გამოქვეყნებული აქვს სამასამდე ლიტერატურული, პუბლიცისტური და სამეცნიერო სტატია. 1999 წელს გამოაქვეყნა წიგნი „თეთრი ჯვრის ხეობა", რომელსაც მიენიჭა მწერალთა კავშირისა და გამომცემლობა „ლომისის" პრემიები. ჰყავს მეუღლე **ირმა ჩინჩალაძე** და სამი შვილი. **ანი, მარიამი, სალომე**.



**ამირხანაშვილი პაატა (გოჩა) თენგიზის ძე** დაიბადა 1967 წლის 18 აგვისტოს ქ. გორში. 1984 წელს დაამთავრა მცხეთის რაიონის სოფელ გალავნის საშუალო სკოლა. 1985 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში. 1985–87 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. ინსტიტუტი დაამთავრა 1993 წელს ქირურგის სპეციალობით. გაიარა ინტერნატურა. მას შემდეგ მუშაობს რესპუბლიკის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში ქირურგად.

ჰყავს მეუღლე ინგა ავთანდილის ასული მღვდლიძე, პროფესიით ექიმი. შვილი თორნიკე ამირხანაშვილი.



**ამირხანაშვილი რომან ალექსანდრეს ძე** დაიბადა მცხეთის რაიონის სოფელ გალავანში 1960 წელს. დაამთავრა გალავნის საშუალო სკოლა 1977 წელს. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც დაამთავრა 1984 წელს ფილოსოფიის სპეციალობით. მუშაობდა ფილოსოფიის ინსტიტუტში, აშშ-ს საელჩოში. 1999 წლიდან ცხოვრობს აშშ-ში. ჰყავს მეუღლე **ნანა ტიკოშვილი** და სამი შვილი **მარიამი, ქეთევანი და დათა.**



**ამირხანაშვილი ვახტანგ შალვას ძე** დაიბადა 1950 წლის 21 ივნისს. 1967 წელს დაამთავრა მცხეთის რაიონის სოფელ გალავნის საშუალო სკოლა. 1967-69 წლებში მუშაობდა სოფელ გალავნის კოლმეურნეობაში. 1974 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. მუშაობა დაიწყო „საქწიგნის" წიგნის ბაზის საქონელმცოდნედ. დაუსწრებლად დაამთავრა მოსკოვის პოლიგრაფიის ინსტიტუტის კვალიფიკაციის ასამაღლებელი ერთწლიანი კურსები. 1975-80 წლებში იყო „საქწიგნის" უფროსი საქონელმცოდნე, წიგნის ბაზის პროფკავშირის თავმჯდომარე. 1980 წელს გადაიყვანეს თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში. ამავე წლის ბოლოს ინიშნება კალინინის რაიონის წვევით ვაჭრობის გაერთიანების ვაჭრობის ინსპექტორად. მუშაობს ამავე რაიონის გარე ვაჭრობის უფროსად 1982 წლამდე. შემდეგ ინიშნება წიგნის მაღაზია „მეგობრობაში" სექციის გამგედ. 1984 წელს დაინიშნა „სამედიცინო წიგნის" დირექტორად, სადაც იმუშავა 1996 წლამდე. 1996 წლიდან არის შ.პ.ს. „ბესტსელერის" დირექტორი. 1997 წლიდან არის ინდივიდუალური მეწარმე. მუშაობს წიგნის მაღაზია „საუნჯეში". რუსთაველის პრ. №28. ჰყავს მეუღლე **თინათინ წიკლაური** და სამი შვილი: **თამარი, ნინო და გიორგი.**

**ამირჯანაშვილი//ამირჯანისშვილი, ამირჯანა** – მჭედელი, საავნეთს მცხოვრები. იგი წილად ხვდა თამაზ ბარათაშვილს ([1633-1658 წ.წ.] 144,№-2318).

**ამირჯანა** – მოწმე იოსებ თბილელის მიერ ხოჯა ბარხუდარასათვის მიცემული ქარვასლაზე გაწეული ხარჯის აღრიცხვის წიგნისა (1667 წ. ად-66).

**ამირჯანა** – 1682-1696 წ.წ. მისი სახლ-კარი და მამული ბორისოფელში ავთანდილ ესტატეშვილმა მიჰყიდა დოლიძაზა შანშიაშვილს (1682 წ. შდ-1823). ნასყიდა დოლიძაზაშვილისა და მისი ძმისშვილის. ნაზარა [შანშიაშვილის] გაყრის დროს მისი სახლის ადგილი ერგო ნასყიდას, ხოლო სახლის მასალა დაშლის შემდეგ ნაზარას უნდა წაეღო მისი შვილებისათვის *(1696 წ. III. 25. შდ-9350) (დოლიძაზაშვილი შანშიაშვილიდან გამოყოფილი გვარია. ი. ა.)*.

**ამირჯანაანთ-//ამირჯანაშვილი, ამირჯანაანთ** – ზაქუმბეგ ზაქუმიშვილმა იეგულაანთ ბეჟანისშვილ ალიხანას მიჰყიდა მიწა, რომლის ზემო საქცევი ეკვროდა ამირჯანაანთ მიწასთან მდებარე პატარა გორას *(1699 წ. II.7.1450-12/2)*; მანვე

მიჰყიდა ალავერდა იაგულაშვილს სხვა მიწებთან ერთად ამირეჯანაანთ მიწა *(1699 წ. V.10.1450–9/119).*

**ამირეჯანაშვილი ამირა** – მისი სამი დღის მიწა ზაქუმბეგ ზაქუმიშვილმა მიჰყიდა იეგულაანთ ბეჟანისშვილ ალიხანას (1699 წ.II.7. 1450–12/2).

**ამირეჯანათ ამსარქისა** – შიოშ ბარათაშვილს მისგან სესხად აუღია ათი თუმანი და სამი მარჩილი იმ პირობით, რომ თვეში გადაუხდიდა სარგებელს – თუმანზე აბაზს (XVII ს. Hდ–14997). **ამირეჯანაშვილი** (ვარ. **ამირეჯანათ**) **ბალდასარა** – 1683–1690 წ.წ. მოწმე ტოტიათ ბაინდურასშვილ ბეროას მიერ ქალაქის მოურავ მანუჩარისათვის მიცემული სახლ–კარის ნასყიდობის წიგნისა *(1683 წ. XII.1. Hდ–13696)*, თაყინა, აფარა, ბეჟანა, ქაიხოსროვა და როსტომა ენალასშვილებს შორის აბანოზე დავის გარიგების წიგნისა (1690 წ. XI.2. Qდ–650). **ამირეჯანაშვილი ბალდინა** – მოურავ [მანუჩარის] შვილის, სეფიყულასაგან მას ნაყიდი ჰქონია ბაღის თხუთმეტი "წილობა". აქედან ცხრა "წილობა" პაატასაგან ჰქონდა გირაოდ აღებული. პაატას შვილებისაგან ეს ბაღი შემდგომში არაქელას უყიდია. არაქელას შვილებმა დაუწყეს დავა დაგირავებულ ბაღზე მის შვილებს. დავა გაარჩია ფირან მოურავმა. ბალდინას შვილებს ბაღი დარჩათ, რადგან გირაოდ მათ ჰქონდათ აღებული, სამაგიეროდ ექვსი თუმანი „გადაუხადეს ამ ბაღის მყიდველებს – არაქელას შვილებს" (1698 წ. VIII.1 1450–6/173). **ამირეჯანაშვილი ზურაბა** – მოწმე თამაზ ჯანშიარასშვილის მიერ ქრმიაძისის კათალიკოს–პატრიარქ იაკობისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1678 წ. VIII.6. 1450–21/41). **ამირაჯანაშვილი** (**ვარ. ამირეჯანათ**) **ზურაბა** – მოწმე პაატაბეგის მიერ ქალაქის მამასახლის გიორგისათვის მიცემული სამამულე დავის გარიგების წიგნისა (1690 წ. VI. 8. Hდ–13135), თაყინა, საფარა, ბეჟან, ქაიხოსროვა და როსტომა ენალაშვილებს შორის აბანოზე დავის გარიგების წიგნისა *(1690 წ. Hდ–650)*. **ამირეჯანაშვილი მელქუა** – მოქალაქე, მოწმე ნიჩბელ დადიანას მიერ ზაზა ფანასკერტელ–ციციშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1669 წ.). **ამირეჯანაშვილი მითარა** – მოწმე ნასყიდა დათუნასშვილის მიერ დავით სოლაღაშვილისათვის მიცემული ყმობის წიგნისა *(1692 წ. Hდ–737)*. **ამირეჯანასშვილი დავითა** – მოქალაქე, მოწმე გაბრიელ **ბეჟანისშვილ–ბაინდურასშვილისა** და ავთანდილ ასატურასშვილის მიერ ელიზბარ დავითისშვილისათვის მიცემული ვალის თამასუქის ბათილამისა <u>(1697 წ. I.15. სეკიძ. II. № 8).</u>

> **დღეს ამირეჯანაშვილები ამირეჯანოვებად არიან ჩაწერილი. ამირეჯანოვი 55 თბილისი – 27, თეთრიწყარო – 11, მარნეული – 10).**

**ამირეჯანაშვილი ქართული გვარსახელი გახლდათ.** ანთროპონომიაში ჩაუხედავ მკითხველს სახელები – **მითარა, მელქუა, ბალდასარა, ამსარქისა, გასპარა** სომხური სახელები ჰგონიათ. **გასპარას** გარდა ყველა დანარჩენი სახელი თურქულ–სპარსული წარმომავლობისაა. **ბეჟანიშვილი** და **ბაინდურაშვილი** ერთმანეთის განაყოფები და 1721 წლის აღწერით **ქვემო ქართლში აზნაურები არიან.** ბეჟანიშვილი არის ასევე **იაგულაშვილ–იეგულაშვილის** შტო–გვარი. **იაგულაშვილები** 1721 წლის

ალწერით ქვემო ქართლში იყვნენ აზნაურები. იაგულაშვილებიდან იღებს სათავეს გვარები: ბეჟანიშვილი, დემურაშვილი, ბერუაშვილი, ალავერდაშვილი, ალიხანაშვილი, ნადირაშვილი (*იხ. პალ. წიგნი II. თბ., 1993. გვ. 386–388*).

**ამისაშვილი – 21**
**(გურჯაანი – 20,**
**თბილისი – 1).**

**ამისაშვილი**, საკუთარი სახელი **ამისა** (შდრ. **მისი, ამისი, იმისი**). ამისათა– ტინოსხიდელი მამასახლისი, მოწმე დემურჩა გოგიაშვილის მიერ ამირალა მესხ ასატურიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1649 წ.).

**ამისულაშვილი – 288**
**(გურჯაანი – 154,**
**თბილისი – 82,**
**ლაგოდეხი – 22**

**ამისულაშვილი ამისულა** საკუთარ სახელად არ გვხვდება. მოსალოდნელი იყო გვქონოდა „**მამისულა**" (**მამისულაშვილი**), რომელსაც დასაწყისი **მ** დაეკარგა. თანხმოვნის დაკარგვის თავკიდურ პოზიციაში ქართული ენა იცნობს: შდრ: *კაკანათი და აკანათი, როჭრაკი და ოჭრაკი, ნენა და ენა და სხვ* (**ქავთ. ქართ. ენ. ისტ., 106, ილ. მაისურ., 21**).

**ამნიაშვილი 86**
**(მცხეთა– 59,**
**თბილისი – 25,**
**კასპი – 1).**

**ამნიაშვილი**. ქართველებს ჰქონდათ სახელები: **ამინა, ამონა, ამნუა, ამოანი**. აქედან გაჩენილა გვარები: **ამნიკაშვილი, ამინაშვილი, ამონაშვილი, ამნუაშვილი, ამონისშვილი**).

**ამნუაშვილი**. შტო-გვარია **ხიზანასშვილი. ამნუასშვილ–ხიზანასშვილის** ვენახი – სოლაღა ულანცაშვილმა დიდმელ სულხან ჩაჩანასშვილს მიჰყიდა *(1684 წ. IV. 1450-28/248)*. შდრ. დღევ. ამნიაშვილი.

**ხიზანაშვილი 193**
**ქარელი – 59,**
**თბილისი – 36,**
**კასპი – 21;**
**ხიზანიშვილი 2697**
**თბილისი – 1267,**
**მცხეთა – 204,**
**გორი – 196.**

**ხიზანიშვილი** (1723 წ.) საკუთარ სახელად ქცეული სიტყვა **ხიზანი**, ლტოლვილი (ნახ. *შეეხიზნა. ხიზვნა*). ხიზვნა *მტერთა და სენთა დარიდება (საბა)*. ხიზანი (ზგდი მნიშ.) დროებით სხვას შეკედლებული პირი. მემამულის მიწაზე მოსახლე თავისუფალი გლეხი, რომელიც გადასახადს ყმის თანაბრად იხდიდა: ოჯახის წევრები (ქეგლ). **ხიზანა–ხიზანი** საკუთარ სახელადაც გამხდარა და გვარიც უწარმოებია.

**ოთარა ხიზანასშვილი** მოიხსენიება 1723 წლის 20 მაისს. „მას ჟამსა როდესაც დამჭირდა მოგყიდე ჩემი ალალი ნასყიდი ლამის მიწა ტინისხიდს ოთელანთაგან მოსყიდული. თავი გარდიგარდმო ხიზანასშვილის მიწის მიდგმამდე" (**დოკ. I, 23**). **ბერი, ღვთისავარ, ხიზანა ხიზანასშვილები**, 1785 წლის ოქტომბრის 26.ს. სათარხნოს წიგნი. მიცემული კონსტანტინე მუხრან-ბატონის სახლთუხუცესის მიერ ხიზანიშვილისადმი" (*საქ. მუზ. ფ. 2601*).

**ხიზანაშვილი//ხიზანეიშვილი//ხიზანიშვილი** არის ასევე დამოუკიდებლად გაჩენილი გვარებიც.

**ამოზაშვილი 37**
**თბილისი – 10,**
**თელავი – 4,**
**გურჯაანი – 3.**

**ამოზაშვილი**. გვარის ფუძეა მამაკაცის უძველესი სახელი ამოზა. ალ. ღლონტი წერს: „ამოზა. *ქართველური საკუთარი სახელი*" (*საქართველოს სიძველენი, ტ. II. გვ. 442*).

**ამონაშვილი 412**
**თელავი – 146,**
**გურჯაანი – 126,**
**თბილისი – 89).**
**ამონიშვილი 67**
**გურჯაანი – 41,**
**ახმეტა – 23,**
**თბილისი – 3.**

**ამონაშვილი.** კალაური. გურჯაანის რაიონ; საკუთარი სახელი **ამონა** ("შდრ.: **ამანა** *(ივ. ჯავახიშვილი. ეკონ. ისტ. ძეგლები. 58).*

**ამონაშვილი პაპუა** – ანდრიას მცხოვრები, მოწმე გორჯასპ საგინაშვილის მიერ ქაიხოსრო აბაშიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1697 წ.) *(პირთა ანოტირებული ლექსიკონი. წგნ. 1. გვ. 140).* შდრ.: *ამოანისშვილი (იქვე).*

**ამონი, ამონ-რე, ამონ-რა, ამანა, ამუნი** (*„დამალული"*) – ძველეგვიპტური ღვთაება, ფარაონთა და ღმერთების მეფე, მათი ძლიერების სიმბოლო, „ქალაქ თებეს ღვთაება"– ამონი ეგვიპტელთა მზისდარი ღმერთია. თებეში აუგეს ქვეყნის უდიდესი ტაძარი – პარნაკი *(იხ. აკაკი გელოვანი. „მითოლოგიური ლექსიკონი". თბ. 1983. გვ. 49).*

**ამოანისშვილი//ამონაშვილი//ამონიშვილი ამონაშვილი.** გვარი გვხვდება ორი ფორმით: **ამონაშვილი და ამონიშვილი.** ორივე გვარის სამშობლოდ კახეთი ითვლება. ამონაშვილთა გვარის ძველ ფორმად ჩანს **ამოანისშვილი.** გვარის ფუძემდებელი ყოფილა **ამოან.** შდრ.: **ამოან** – *სადედოფლო სახასო აზნაური. შვილი გიორგისა.*

**ამონისშვილი** – ჩუმლაყში მცხოვრები. ყარაბაღის ბეგლარბეგმა და კახეთის ბატონმა იგი უწყალობა როშაქ ჩოლაყაშვილს (1686 წ.). იგივე გვარი 1691 წელს მოიხსენიება სოფელ ჭალას *(იხ. პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. I. თბ.. 1991. გვ. 140).*

გვარის ძირია მამაკაცის საკუთარი სახელი **ამოან, ამონა.** შდრ.: **ამონა** X ს-ის I ნახევრის ქართველი ხუროთმოძღვარი. ხანძთის ეკლესიის *(იხ. ფორთის ტაძარი)* აღმშენებელი. მოღვაწეობდა აშოტ კუხის დროს.

შდრ. **ამონი,** ძველი სახელმწიფო აღმოსავლეთ პალესტინაში.

**ამონიშვილი,** მამაკაცის საკუთარი სახელი **ამონ** *(ქართლის ცხოვრება. I. 372);* **ამონა-ი** *(პავლე ინგოროყვა),* სვანეთი, 2, 135; **ამონა,** გვარში **ამონაშვილი** *(ალ. ღლონტი. 72).*

**ამონიშვილი 67**
**გურჯაანი – 41,**
**ახმეტა – 23,**
**თბილისი – 3.**

**ამრაზიშვილი, ამრაზი** საკუთარ სახელადაა დაფიქსირებული წყაროებში. ერთ-ერთ ქართულ საბუთში შეტანილია „**ამრაზიშვილი ამბრია** – თაფანში მცხოვრები. – იგი წილად ერგო თამაზ ბარათაშვილს" *(1633-1658 წ.წ.).*

**ამრაზიშვილი 37**
**თბილისი – 39**
**რუსთავი – 2,**
**გურჯაანი – 1.**

**ამუზაშვილი,** გვარის ფუძეა მამაკაცის საკუთარი სახელი **ამუზა,** აქედან კახეთში შექმნილ-გავრცელებული გვარია **ამუზაშვილი.**

**ამუზაშვილი 77**
**თელავი – 65,**
**თბილისი – 4,**
**ახმეტა – 2.**

**ამურველაშვილი//ოქროა[ს]შვილი//ერწველაშვილი//ერწოელი** (1721 წ.), საკუთარი სახელი **ამურველა,** ოქრო(ა), შდრ. **ამურველა,** მეტსახელი, გვარში **ამურველაშვილი** *(ალ. ღლ. 72).* თავდაპირველი ფორმაა **ამრუმელაშვილი** *(საქ. სიძვ. 367).*

**ამურველაშვილი.** ამურველა გვხვდება, როგორც მამაკაცის საკუთარ სახელად, ისე მეტსახელად. აქედანაა გვარი: ამურველაშვილი, ამრუმელაშვილი, ამრუმელიშვილი. ამურველაშვილები თეთრიწყაროს რაიონში გადმოსულან სოფელ ერწოდან. მისი შტო-გვარებია: **ოქროასშვილი, ერწველაშვილი, ერწოელი.**

| |
|---|
| **ამურველაშვილი 100** |
| თბილისი – 49, |
| თეთრიწყარო – 41, |
| გურჯაანი – 6. |

**ერწველაშვილი – 0, ერწოელი – 0.**

**ოქროაშვილი** წარმოქმნილია **ოქროა (–ოქრუა) ამრუმელაშვილისაგან.** ... 1781 წლის აღწერით, აქვე მარაბდას *(სოფელი თეთრიწყაროს რაიონში)* გოსტაშაბიშვილების ყმა „ამრუმელაშვილი" *(ივ. ჯავახიშვილი. სეიძ. I. 169).* ერწოს ამრუმელაშვილი პაპუნა" *(XVIII ს-ის I ნახ. (საქ. მუზ., შდ-6923).*

**ბერი ოქროაშვილი** (დიასამიძის გლეხი), **ივანა, ნინუა, შერმაზანა** – 1700 წ. ნასყიდობის წიგნი, მიცემული იასე და ედიშერ დიასამიძეთა მიერ პაატაბეგ და ავთანდილ მაჩაბლებისადმი *(საქ. მუზ. № 1532. შდ. დოკ. I. 109).*

**ამრუმელაშვილ//ამურველაშვილები** ცხოვრობდნენ სოფელ ერწოში (ჯავა), საიდანაც გადადიან დღევანდელი თეთრიწყაროს სოფლებში. – დიდი ენაგეთი (ამჟამინდელი ჯორჯიაშვილი) და მარაბდაში. აქ ზოგი **ერწველაშვილი** გახდა, ნაწილი კი **ერწოელად** დაეწერა.

**შდრ. ერწველიშვილი//ერწოელი//ერწოული//ერწოულიშვილი//ამურველაშვილი.** ალგეთშიც ჩნდება სოფელი ერწო. *„ერწო – ალგეთში. ლაკუის ხევის მარცხენა მხარეზე. ფუტრევის აღმოსავლეთით 1523 წ. (თ. ჟორდ., ქრ. II. 349).*

1818 წელს დიდ ენაგეთელმა გრიგოლ ერწოელმა ქალიშვილი ეკატერინე გაათხოვა ფარცხისელ ნიკოლოზ პეტრეს ძე ადოლაშვილზე, სარძლოს მხრიდან თავდებად იყვნენ: **თევდორე გრიგოლის ძე ერწოელიშვილი** *(სცსსა. ფ. 489. აღწ. 9. თ/წ. № 1).* ზაქარია გლახოს ძე ერწველიშვილი, შვილი **განო,** ძმები: **იაგორა, ალექსი, ივანე** მართლმადიდებლები, ქართველები, მოიხსენიებიან ენაგეთის ახალშენში (იგივე დიდი ენაგეთი) 1873 წლის აღწერით (იქვე, ფურც. 189–220). **ერწველიშვილი, ერწოელები შემდგომ ამურველაშვილებად** იწერებიან. ახალ გვარს სათავე დაუდო **ამურველ ერწველიშვილმა.** დღესაც ამ გვარისანებს ერწველაანთ ეძახიან *(იხ. იაკობ ახუაშვილი. ქართული გვარსახელები. ტ. I. თბ.. 1994. გვ. 340).*

**ამყოლაძე.** სავარაუდოა მეტსახელი კაცისა **ამყოლა (ამყოლი).**

| |
|---|
| **ანანბა 26** |
| ბათუმი – 11, |
| ხელვაჩაური – 15 |

**ანანბა,** მარტივად ამოსახსნელი გვარსახელია. სინონიმურია გვარებისა: **ანანიაშვილი, ანანიძე ანანა+ბა** *(შა. შვილი. ძე. შობილი).*

**ანანია** (ძვ. ებრ. – ჭურჭლის კუთვნილი). ბ–ნ ნიკოლოზ ჯომიდავა ამ გვარის არასწორ ეტიმოლოგიას სთავაზობს მკითხველს.

| |
|---|
| **ამყოლაძე 377** |
| საჩხერე – 89, |
| ტყიბული – 75, |
| ქუთაისი – 60. |



იაკობ ახუაშვილი

**ანაკიძე 184**
თერჯოლა – 52,
ბაღდათი – 37,
აბაშა – 23

**ანაკიძე** გვარის ფუძეა მოფერებით-კნინობითი სახელი **ანაკა** (*შდრ. ანიკა, ანუკა, ანო, ანუა...*).

**ანანიაშვილი,** *ანა, ანანა, ანანია, ანა (ანნა), ანესა, ანიკო, ანუსია, ანუშა* ქალის სახელებია. **ანა**-დანაა ნაწარმოები გვარი **ანუაშვილი, ანესაშვილი, ანუშიძე, ანანადანაა, ანანბა,** იგივეა, რაც **ანანაშვილი, ანანიძე,** ანანიადანაა ნაწარმოები **ანანიაშვილი.**

სახელები **ანა, ანანა** ქალების კუთვნილებაა, **ანა** ძველ ებრაულია, იქიდან გვაქვს ქართველებს ნასესხები და ნიშნავს „საამოს", „მადლიანს", „სანდომიანს", მისი მოფერებითი ფორმებია ქართულში *ანო, ანუკა, ანიკო.*

**ანანაც** ძველებრაულია და ნიშნავს: „გულმოწყალეს", „გულკეთილს".

**ანანია** ძველბერძნულია და ნიშნავს „მადლი უფლისა", „შეეწევა უფლისა. აქედანაა გვარი **ანანიაშვილი.**

**ანანია** რელიგიური სახელია, წმინდანთა სახელი იყო. ცნობილი არიან: **ანანია** – *კვეთელი, მღვდელმონაზონი;* **ანანია** – *კაბენის მონასტრის წინამძღვარი.* **ანანია** – *სინას მონასტრის მთავარეპისკოპოსი და სხვ.*

**ანანია** (ციციშვილების) აზნაურიშვილი (1658–1675 წ.წ.).

**ანანიაშვილი** იესე – მოწმე ფარსადან ციციშვილის მიერ პაპუა მღალაშვილისათვის მიცემული ყმის ნასყიდობის წიგნისა (1673 წ.).

როგორც ანანიაშვილები ამბობენ, მათი აზნაურიშვილობის დამადასტურებელი სიგელი ინახება გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

**1995 წელს ვაუჩერი მიუღია 261 სულს (თბილისი – 148, გორი – 21, ახალციხე – 14). რუსულ საბუთებში მოხვედრილი ამ გვარის წარმომადგენლები ანანოვებად ჩაწერეს. ამჟამად დაფიქსირებულია 51 სული (თბილისი – 34, რუსთავი – 6, თეთრიწყარო – 5).**

ქართულ ენციკლოპედიაში შესულია:

**ანანიაშვილი გიორგი დავითის ძე** (დაბ. 11 (24). IV. 1910, თბილისი – 1978, თბილისი), ენერგეტიკოსი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (1960), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1967). დაამთავრა ს. კიროვის სახელობის ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტი.

1940–41 წლებში იყო სოხუმჰესისა და ხრამჰესის დირექტორი, 1945–47 წლებში – საქართველოს კომუნალური მეურნეობის მინისტრი, 1948 წლიდან – სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თბილისის ფილიალის დირექტორი, ხოლო 1956 წლიდან – საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში. 1963 წლიდან – ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკის კათედრის პროფესორი. გიორგი ანანიაშვილი მრავალი მნიშვნელოვანი ენერგეტიკული პროექტის ავტორია (ბიოგაზის დანადგარების, კახეთის ენერ-

გორესურსების კომპლექსური გამოყენების, ტირიფონის სარწყავი სისტემის მშენებლობის და სხვ.). მეუღლე: **ვალენტინა პეტრეს ასული ზუმბაძე** (1915–88 წ.წ.), დიასახლისი. შვილი: **გულაბერ ანანიაშვილი**, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, დაიბადა თბილისში 1935 წელს.



**გულაბერ ანანიაშვილმა** 1953 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა და ზ. ფალიაშვილის სახელობის მუსიკალური სასწავლებელი (სპეციალობით ვიოლონჩელო). იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტის პირველ კურსზე და ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის კონსერვატორიის საორკესტრო ფაკულტეტზე ვიოლონჩელოს კლასში.

1958 წელს წარმატებით დაამთავრა ორივე უმაღლესი სასწავლებელი: სპი – სპეციალობით „ელექტროსადგურები, ქსელები, სისტემები", ხოლო კონსერვატორია ვიოლონჩელოს სპეციალობით.

1958 წელს დაიწყო მუშაობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტის (ამჟამად – მართვის სისტემების) ტელემექანიკის განყოფილებაში და თბილისის მე-10 სამუსიკო სკოლის პედაგოგად (ვიოლონჩელოს კლასი).

1962 წელს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ავტომატიკისა და ტელემექანიკის (ამჟამად მართვის პრობლემების) ინსტიტუტში მიიღეს მიზნობრივ ასპირანტურაში ქ. მოსკოვში, ხოლო 1966 წელს იქ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „მაკორექტირებელი კოდების სინთეზისა და რეალიზაციის ზოგიერთი საკითხი."

1992 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხელოვნური ინტელექტისა და მართვის კომპიუტერული სისტემების დარგში.

1967 წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის წამყვან მეცნიერ-თანამშრომლად სახეთა გამოცნობის გამოყენებითი სისტემების განყოფილებაში. გამოქვეყნებული აქვს 100-მდე ნაშრომი სსრკ, საზღვარგარეთისა და საქართველოს პერიოდიკაში. მათ შორის სამეცნიერო მონოგრაფია „თვითორგანიზაციისა და მართვის ინფორმაციული საფუძვლები" და პოლიტოლოგიური გამოკვლევა „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი." კითხულობს „ორგანიზაციისა და მართვის ინფორმაციული საფუძვლების" კურსს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-ტექნიკურ ფაკულტეტზე.

ბოლო ათი წლის მანძილზე გულაბერ ანანიაშვილის პუბლიკაციები (გარდა სამეცნიერო სტატიებისა) ხშირად იბეჭდება საქართველოს გაზეთებში („საქართველოს რესპუბლიკა", „ჯორჯიან თაიმსი", „კავკასიონი", „შანსი", „მესამე ნაპირი", „მართალი

გაზეთი“, „დილის გაზეთი“, „დღე“ და ა.შ.).

სამეცნიერო მოღვაწეობას წარმატებით და ორგანულად უხამებს საზოგადოებრივ საქმიანობას: არის საზოგადოება „ჩოხოსანის“ ერთ-ერთი აქტიური წევრი – მას ხშირად შეხვდებით თბილისში ხევსურულ ტალავარსა და ჩოხაში გამოწყობილს. იგი არის არასამთავრობო ორგანიზაცია „მამულიშვილის“ თავმჯდომარის მოადგილე. ამ საზოგადოების თაოსნობითა და გ. ანანიაშვილის დიდი ძალისხმევით ჩატარდა სამეცნიერო-საზოგადოებრივი კონფერენცია 1998 წელს ებერტის ფონდის მხარდაჭერით და გამოიცა მეტად საინტერესო მოხსენებების კრებული (*კონფერენცია მიეძღვნა ეროვნული იდეოლოგიის, სახელმწიფოებრივი ცნობიერების პრობლემებს*).

1998-99 წლებში ტელეარხი „ევრიკა“ გადასცემდა „მამულიშვილის“ რუბრიკის საინტერესო შეხვედრების ციკლს.

2001 წლის დეკემბერში საზოგადოება „მამულიშვილმა“ ჩაატარა კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა 1944 წელს სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მუსულმანი მესხების პრობლემას. გამოიცა (2001 წლის ივლის-დეკემბრის პერიოდში) 5 ნომერი სამენოვანი (ქართულ-ინგლისურ-რუსული) გაზეთი „ჩემი სამშობლო – საქართველო“ და კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებების კრებული ქართულ და რუსულ ენაზე (ორენოვანი).

უნდა აღინიშნოს, რომ გულაბერ ანანიაშვილის ინტერესების სფერო, გარდა სამეცნიერო კვლევებისა, მოიცავს აგრეთვე უცხო ენების (თავისუფლად საუბრობს ლიტერატურულად, იცის კავკასიისა და დასავლეთ ევროპის ენები), ისტორიას, ფოლკლორს, სპორტს, სამთო ტურიზმს.

ჰყავს ორი ქალიშვილი, შვილიშვილები.

**ანანიაშვილი დავით ივანეს ძე** (1873–1942). სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მიჰყავდა მათემატიკის კურსი პეტერბურგის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში.

1906 წელს ჩამოვიდა თბილისში, დაიწყო მუშაობა განათლების სისტემაში მთავარ მეთოდისტად. 1908 წელს ჯვარი დაიწერა **ელენე კონსტანტინეს ასულ თეთრაძეზე**, რომელთანაც ეყოლა შვილები – **ანანა დავითის ასული ანანიაშვილი**, შემდგომში – **მარუაშვილი, თამარი და ოთარი**.

**ანანიაშვილი ოთარ დავითის ძე** (1915–2002). დაამთავრა თბილისის კავშირგაბმულობის ინსტიტუტი. მუშაობდა სოხუმში, თბილისში. 1941 წელს გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. 1943 წელს უფროსი ინჟინერ-ლეიტენანტის ჩინით მიავლინეს ირანში დიდი სამეულის შეხვედრაზე კავშირგაბმულობის უზრუნველსაყოფად. 1945 წლიდან, დემობილიზაციის შემდეგ, სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორად, რადიოქარხნის დირექტორად, საქტყეტარის ტრესტის მმართველად, კვების მრეწველობის საკავშირო სათაო სპეციალური საკონსტრუქტორო

ბიუროს უფროსად, თბილისის ხორცკომბინატის დირექტორად, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს სპეციალური საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ბიუროს უფროსად. დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით. საქართველოს უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელებით. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული ინჟინრის წოდება.



**ანანიაშვილი ნინო გედევანის ასული,** მოსკოვის დიდი თეატრისა და ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ-ოპერას“ პრიმა-ბალერინა, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. დაიბადა თბილისში 1963 წლის 19 მარტს. მშობლები: **ლია გოგოლაშვილი, გედევან (ვახტანგ) ანანიაშვილი,** მეუღლე – გრიგოლ (გია) ვაშაძე (1958). დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო. ქორეოგრაფიული აკადემია (1981). იყო მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი (1981–83). პრიმა-ბალერინაა 1988 წლიდან. შესრულებული აქვს 60-ზე მეტი პარტია. მათ შორის: ოდეტა, ოდილია („გედის ტბა“), აერორა („მძინარე მზეთუნახავი“), კლარა, ფერია („მაკნატუნა“), რაიმონდა („რაიმონდა“), კიტრი („დონ კიხოტი“), ჟიზელი („ჟიზელი“), სვანილდა („კოპელია“), ჯულიეტა („რომეო და ჯულიეტა“), მანონი („მანონი“), სილფიდა („სილფიდა“), ტერპსიქორა („აპოლონ მუსაგეტი“), ტიტანია („ზაფხულის ღამის სიზმარი“), ნიკია („ბაიადერა“), ლიზა („ამაო სიფრთხილე“), ასპიჩია („ფარაონის ქალიშვილი“), კონკია („კონკია“), მლადა, კლეოპატრა („მლადა“), აგრეთვე მთავარი პარტია ბალეტში „ვარიაციები ვივალდის თემაზე“, პარტიები ბალანჩინის „მოცარტიანაში“, „ბროლის სასახლეში“ და სხვ. მის შესახებ გადაღებულია ფილმები „იმპროვიზაცია“ (საქართველო, 1984), „დივერტისმენტი“ (საქართველო, 1986), „მოკლე დრო“ (საქართველო, 1), „ანანიაშვილი დიდ თეატრში“ (დიდი ბრიტანეთი, 1986 და სხვ. მონაწილეობდა მხატვრულ ფილმში „აურზაური სალხინეთში“ (1974), ფილმ-ბალეტში „ფასკუნჯი“ (1993). სხვადასხვა დროს იყო დიდი ბრიტანეთის სამეფო თეატრის მიწვეული პრიმა-ბალერინა. დღემდე ერთადერთი ქართველი მოცეკვავეა, რომელიც მიწვეული იყო „ნიუ-იორკ სიტი ბალეტში“, დიდი ბრიტანეთის სამეფო თეატრში („კოვენტ-გარდენში“) და დანიის სამეფო თეატრში. გასტროლებზე იმყოფებოდა აშშ-ში, კანადაში. დიდ ბრიტანეთში, იაპონიაში, არგენტინაში. გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთში, ჩეხეთში, პოლონეთში, იუგოსლავიაში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, ტაივანში, ინდოეთში, ნეპალში, ესტონეთში, უკრაინაში, ლატვიაში, ეგვიპტეში, ისრაელში, სამხრეთ კორეაში, პორტუგალიაში, რუსეთის მრავალ ქალაქში, თბილისში, ქუთაისში და სხვ. არის საქართველოს (1988) და რუსეთის (1995) სახალხო არტისტი, ვარნის (1980) და მოსკოვის (1985) საბალეტო კონკურსების ოქროს მედლისა და „გრან-პრის“ მფლობელი (მოსკოვი, 1981), ჯექსონის (აშშ) საბალეტო კონკურსზე 1987 წელს მიიღო „გრან პრი“ (დღემდე ერთადერთი შემთხვევაა საბალეტო ხელოვნებაში), პრემია „ტრიუმფის“ ლაურეატი (1992), მიენიჭა პრიზები: „ოქროს

ქალღმერთი" – კულტურათმცოდნეობის, ხელოვნებისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის (1999). მისი ბიოგრაფია შეტანილია ენციკლოპედიებში „ბრიტანიკა" და „საქართველო" (1997). აღიარებული იყო „წლის საუკეთესო ქალბატონად" (1997).

**ანანიძე**, **ანანია** ძველებრაული სახელია, თვლიან, რომ ებრაელებიდან ბერძნების მეშვეობით საქართველოში შემოაღწია სახელებმა: **ანანია, ივანე, სამოელ, გაბრიელ, დანიელ, მათე, მიხეილ** და სხვა. **ანანია** ერქვა იუდეველთა ელჩს სპარსეთის მეფის, დარიოსის კარზე.

**ანანას** უწოდებდნენ წარმართობის დროინდელ ქართულ ღვთაებას, რომლის სახელიც, ვახუშტის ვარაუდით, ეწოდა არაგვის ერისთავთა რეზიდენცია ანანურს. არსებობს შელოცვა „ანანურია და მარია", რომელსაც აფხაზურს მიაკუთვნებენ *(ი. ბამულაშვილი, ქართული მაგიური პოეზია, 1985, გვ. 139).*

ტაო-კლარჯეთში, პარხლის ეკლესიასთან იყო ანანიასკეტი, ლავაშენი და დოლიისი *(ე. თაყაიშვილი, 1917, არქეოლოგიური ექსპედიცია სამხ. საქართველოში, 83).* აჭარაშია სოფელი **ანანიზნარი** *(ქობულეთის რ-ნი, ს. კობალაური),* სოფლის კუთხეა **ანანიძექედი** *(იქვე, ზერაბოსელი),* აგრეთვე გვარი **ანანიძე**, სხვაგან **ანანიაშვილი**. სამცხის ათაბაგის კარზე XV ს-ში მოღვაწეობდა მხატვარ-მინიატიურისტი ანანია, ასე ერქვა V ს-ის ცნობილ სომეხ ისტორიკოსს **ანანია შირაქელს**, აჭარას რომ მოიხსენიებს, დაბადებულს შირაქის სოფელ **ანანიაში**. გვარსახელი **ანანიევი** არის რუსულში, **ანანიანი, ანანიკიანი** – სომხებში.

შუმერთა ცისა და მიწის პანთეონის ღმერთს **ან, ანუნა** ერქვა, ხოლო უზენაეს მამამთავარ ღმერთს – **ანუ, ანშარი**. ტაძარი ჰქონდა მთავარ ქალაქ ურუქში და **ანნა** – ცის სახლი, **ანას** სახლი ერქვა. – წერს **ზ. კიკნაძე** – ამან გამიძლიერა ინტერესი შუმერებისადმი, გამიჩნდა მოსაზრება იმისა, რომ სახელი და გვარი **ანანია, ანანიძე–ანანიაშვილი**, აგრეთვე მათგან ნაწარმოები ტოპონიმები მომდინარეობენ იქაური სახელწოდებებიდან. მაგრამ ამ ეჭვისას დამტკიცება სჭირდებოდა. და, აი, **ჯიბრაილ (ჯიბო) ლომაშვილი** წერს: *„თუ კარგად დააკვირდებით არაგვისა და იორის ხეობაში ჩვენამდე შემორჩენილ ტოპონიმებსა და ჰიდრონიმებს, ჯვარ-ხატებსა და სალოცავებს, დაინახავთ, რომ მართლაც ბევრი რამ მათში სამხრეთიდან, კ.ი. შუმერეთიდან და ანატოლია-კაპადოკიიდან (თურქეთი) მოტანილი ჩანს, მაგ., ტოპონიმები ანანური, ანანია, ანისხევი და სხვა (იხ. მისი, ეკუა-ფშაველას სისტორიო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებები, თბ., 1986, გვ. 140). მ. ჩიქოვანზე დაყრდნობით"* (ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, თბ., 1971, გვ. 249), იმასაც დასძენს, რომ შუმერების წარმოდგენით, ღვთაება ანის ნუკა ეკუთვნოდაო.

ამრიგად, სახელწოდება **ანანია** შუმერულიდან მომდინარეობს, ძველმა ებრაელებმა მათგან შეითვისეს და ბერძნებს გადასცეს. **ანანია** ბერძნულად **„ღვთაებრივს"** ნიშნავდა. ასე გავრცელდა ქრისტიანულ ქვეყნებში. ასე რომ, წარმართული პერიოდის ქართული ღვთაება **ანანა** და ხსენებული შელოცვა, ისე, როგორც

გვარსახელი ანანიძე შუამერეთიდან მომდინარეობს.

ანანიძეები ქედის, ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონებში ცხოვრობენ, არიან ბათუმშიც. 1881 წლის 12 მარტს ბათუმში გახსნილ პირველ ქართულ სკოლაში ისლამური რელიგიის მასწავლებლად ხასან ანანიძე მოუწვევიათ. ამით იმატა აჭარელ ბავშვთა რაოდენობამ იგი ქართული ორიენტაციას ალგა. აჭკისთაველმა მოხუცმა მევლუდ ანანიძემ ქუდი არ მოუხადა შემხვედრ ასკერს, რის გამოც ისე სცემეს, რომ მეორე დღეს გარდაიცვალა. 1918 წელს აჭარაში კვლავ შემოჭრილმა ოსმალებმა ოზურგეთის დალაშქვრაც დააპირეს. მევლუდის ძმისშვილმა შევქეთმა ჯარისკაცთან ერთად შესატყობინებლად გასწია, მაგრამ დააკავეს და 19 წლისა ქედაში ჩამოახრჩვეს. მესხიშვილმა როგორ გეილალატეო (*მ. კობალაძე. ერთი ლამაზი სიცოცხლე. ჟურნ. „ჭოროხი". 1982. № 6. გვ. 52–54*).

ბობოყვათელ გოგონა შერიფე ანანიძეს, მედიცინის დას, ავადმყოფთა განკურნება ამოძრავებდა სამწუხაროდ. ის ომში მოხვდა ოფიცერი კიევის გათავისუფლებისათვის ბრძოლის ველიდან დაჭრილების გამოყვანისას დაიღუპა.

ასევე ბობოყვათელები მიხეილ და ილიას ანანიძეები ვალმოხდილი დაბრუნდნენ. ილიასი მეტყვიამფრქვევე იყო, მონაწილეობდა ბელორუსიის, ვარშავის გათავისუფლებასა და ბერლინის აღებაში. დაიმსახურა დიდებისა და წითელი ვარსკვლავის ორდენები, მედლები.

მიხეილ ანანიძემ მოგილიოვის მესაზღვრეთა სასწავლებელი დაამთავრა, სწავლა განაგრძო ხარკოვის აკადემიაში. მაგრამ ომი დაიწყო. იცავდა ლენინგრადს, უკრაინას, ევროპას. სათავეში ედგა პოლკს. დააჯილდოვეს წითელი დროშისა და დიდების ორდენებით. შემდეგ ცხოვრობდა მახინჯაურში.

ავლანელი ხალხის ბრძოლის მონაწილეა ლეღველი კაპიტანი ჯუმბერ ანანიძე.

ხალხური სიმღერის ოსტატობითაც გაითქვეს სახელი ანანიძეებმა. ძმების, მურად და ხასან ანანიძეების შესახებ ცნობილი გაბისონია წერდა: „*ალი ტაკიძესა და სხვებთან ერთად 1921 წელს ოზურგეთში ვ. სიმონიშვილთან ჩამოაყალიბეს აჭარელ მომღერალთა გუნდი. მურადი 1928 წელს სათავეში ჩაუდგა ს. ლელუას გუნდს, აჟღერეს ხასანბეგურა, აჭარული ხელხვავი, ხინწკალა, წამლოკრული, ლელო, აჭარული მაყრული, ალიფაშა და სხვა. მოგვიანებით სათავეში ედგა ეთნოგრაფიულ გუნდს, რომელსაც ანანიძეებისას უწოდებდნენ*" (იხ. მისი „საგუნდო ხელოვნების მოამაგენი", გვ. 3–8). ხასანი კი ძმა მურადთან, ხასან როყვასთან, ხასან ხაბაზთან, ქალიშვილებთან ფატი და თუნთულ, აგრეთვე ალი ტაკიძესთან და სხვებთან ერთად მღეროდა და ცეკვავდა, უკრავდნენ ხალხურ ინსტრუმენტებზე. ამ გუნდმა 1937 წელს თბილისში გამართულ ოლიმპიადაზე გაიმარჯვა. ქალების გამოჩენა სცენაზე უჩადროდ, იმ დროს მამაკაცებთან ერთად, მართლაც ანანიძეთა შეგნებულობა-პროგრესულობასა და ქართველობაზე მეტყველებს (*ლ. გეგეჭკორი. „ქართული ხალხური სიმღერების ოსტატები". თბ., 1969. გვ. 3–8*).

**ალექსანდრე ანანიძე** ომიდან დაბრუნდა თუ არა, ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ეთნოგრაფიული ანსამბლის წამყვანი სპეციალისტი გახდა. პირველი ადგილები მიიპყრო თბილისის ოლიმპიადაზე 1951 და 1957 წლებში. ხალხური სიმღერების მცხოვრებზე გახლდათ აგრეთვე ფიქენარელი **თევრათ ანანიძე**, რომელიც 1948 წელს გარდაიცვალა.

ქედელთა შტოს წარმომადგენელი **ამირან ანანიძე** იყო პარტიის ბათუმის (ხელვაჩაურის) რაიკომის პირველი მდივანი, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი, აჭარის დეპუტატი, უაღრესად კეთილშობილი, დინჯი, უკონფლიქტო. გარდაიცვალა 1994 წელს. ჩვენგან წავიდა აგრეთვე ცნობილი ფეხბურთელი **ოთარ ანანიძე**. ამ გვარის ახალი თაობის წარმომადგენელი **ლევან ანანიძე** პოეტია, **ალექსანდრე** ჟურნალისტი-მასწავლებელი. **დავით ანანიძე** ბათუმის პროკურორი იყო, მისი ძმა, **ილია** – სავაჭრო ცენტრ-ფირმა „ალამის" დირექტორი. **ჯემალ ანანიძე** აჭარის კონტროლის პალატის მთავარი სპეციალისტია, **ნოდარ ანანიძე**– ხელვაჩაურის რაიონის საგზაო პოლიციის უფროსი. ქედის რაიონის პოლიციის უფროსი იყო **გრიშა ანანიძე**. აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს წამყვანი მუშაკი **ჯემალ ანანიძე** ვეტერანი მომღერალია. ბათუმში საყოფიერად მოღვაწეობს ლოტბარი **ანზორ ანანიძე**.

როგორც ქედელი, ისე ქობულეთელი **ანანიძეების** მოდგმა გამოირჩევა მშვიდი ხასიათით, დარბაისლობით, ცეკვა-სიმღერებით, არიან კარგი მოყვრები, სამეზობლო ხალხი *(იხ. იოსებ ბეჟიტაშვილი, დასახ. ნაშრომი).*

| |
|---|
| **ანასაშვილი 118** |
| **საჩხერე – 36,** |
| **თბილისი – 31,** |
| **ქუთაისი – 31.** |

**ანასაშვილი.** შდრ.: საკუთარი სახელი ანასე (ალ. ღლ., *72).*

**ანასაშვილი** ძალიან პატარა გვარია. სხვანაირად ალბათ არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან ისინი **დადეშქელიანები** არიან. ამ გვარის წარმოშობის ისტორია მეტად საინტერესოა.

რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის დიდი თავადები **დადეშქელიანები**, შიშის ზარს სცემდნენ მოსახლეობას და უდიდეს როლსა და პატივისცემას იმსახურებდნენ სხვა დიდგვაროვანთა და გლეხებს შორის. დრო გადიოდა. იცვლებოდა დროება. საქართველოს ბარში ხალხის თავგამოდებული ბრძოლითა და მცდელობით ძველი, ბატონყმური ადათ-ჩვეულებანი დავიწყებას ეძლეოდა. სვანეთში კი, კერძოდ უშგულში, კვლავ მყარად იჯდა მახვშის საკარმიდამოში ბოლო თავადი. **ფუთუ დადეშქელიანი** და თავისას მაინც არ იშლიდა, ასე განსაჯეთ, პირველი ღამის უფლებითაც კი სარგებლობდა. ხალხი იმდენად იყო დადეშქელიანების სიძლიერით შეშინებული, აშკარად წინააღმდეგობას ვერ ბედავდა. თავადები გრძნობდნენ დასასრულის მოახლოებას და დადეშქელიანებმა თავიანთი ერთ-ერთი ვაჟი სოფელ ლაილაშში ერთ უშვილო ქალს **ანას** მიაბარეს საპატრონოდ – ჩვენ თუ ამოგვწყვეტენ, ის მაინც დარჩებაო. თავადის საქციელით შეწუხებულმა სვანებმა, ფუთუ დადეშქელიანის მოკვლა გადაწყვიტეს უშგულში, თამარობის დღესასწაულზე, ღვინით სავსე ფიალა მიართვეს თავადს. ფიალაში

ყველა გვარის წარმომადგენელმა სათითაოდ ჩააწვეთა შხამი.

რა, ერთი წვეთი შხამი არ მოკლავდა დადეშქელიანს?! მაგრამ იმდენად ეშინოდათ მისი, რომ ფიქრობდნენ, ვაი თუ შხამი ვერ მოერიოს, გადარჩეს, გამოიძიოს, რომელი გვარის ადამიანებმა გაწირესო და იცოდნენ, არცერთს არ დატოვებდა ცოცხალს, ნაცარტუტად აქცევდა მათ სამყოფელს და დედა-ბუდიანად ამოწყვეტდა. ასე კი მთელ სვანეთს ხომ ვერ მოერეოდა?!

მიაწოდეს ფიალა, ფუთუმ ჯვარი გამოისახა, ბოლომდე გამოსცალა შხამით სავსე ფიალა და მიწრაფულ განუტევა სული.

უშგულელები თითქოს ამას ელოდნენო, დაერივნენ დადეშქელიანებს და ვისაც კი მისწვდნენ, ამოხოცეს. ბარშიც დაუწყეს ძებნა მათ შთამომავლებს. ლაილაში **ანას** სახლსაც მიაგნეს: – არაო, უთხრეს მეზობლებმა, რა დადეშქელიანი, ეგ ვაჟი **ანას შვილია,** მისი გაზრდილიო.

ამ დღიდან იწოდებიან დადეშქელიანების იმ შტოს წარმომადგენლები **ანასაშვილებად.** იმ დადეშქელიანებისაგან განსხვავებით, **ანასაშვილები** სადაც კი მოღვაწეობენ, სიკეთესა და სიყვარულს თესენ. უმაღლესი პროფესიონალები და ქვეყნისა და სახალხო საქმისათვის თავდადებულნი, კაცთმოყვარეობის ნიმუშები არიან.

**ანასაშვილი ალექსანდრე წყალობას ძე,** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. დაიბადა 1928 წლის 21 მაისს დაბა საჩხერეში, მოსამსახურის ოჯახში. 1945 წელს ოქროს მედლით დაამთავრა საჩხერის რაიონის №1 საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის პირველ კურსზე. 1951 წელს წარჩინებით დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი და განაწილებით გაიგზავნა სამუშაოდ მოსკოვის სამხედრო ოლქში – სამედიცინო პუნქტის უფროსად, სადაც ერთდროულად სტაციონარის თერაპევტის მოვალეობასაც ასრულებდა.

1954 წელს, ავადმყოფობის გამო, სამხედრო სამსახურიდან დემობილიზაციის შემდეგ მუშაობას იწყებს თბილისის მე-2 ტუბერკულოზის საწინააღმდეგო დისპანსერის სტაციონარში ორდინატორად. აქედან იწყება მისი საექიმო და მეცნიერული მუშაობის საკმაოდ ძნელი გზა. სამამულო ომის მძიმე წლებში დედ-მამით ადრე დაობლებულ ოთხ და-ძმაზე ზრუნვა ბედმა მას, 14 წლის მოზარდს არგუნა წილად და ამიტომაც შრომა მისი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი გახდა იგი, როგორც სკოლაში, ასევე ინსტიტუტში სწავლის პერიოდში სისტემატურად უთავსებდა მძიმე ფიზიკურ შრომას და წარჩინებით სწავლას ერთმანეთს ადრე ოჯახმოკიდებული ახალბედა ექიმისთვის თბილისის მე-2 ტუბერკულოზის საწინააღმდეგო დისპანსერში მუშაობის პერიოდი ცხოვრების მძიმე და ძნელად გასავლელი მონაკვეთი იყო. მაგრამ ახალგაზრდა ექიმი ყოველთვის გრძნობდა გულისხმიერი კოლექტივის მხარდაჭერას და უფროსი

თაობის მშობლიურ მზრუნველობას.

დისპანსერის მაშინდელი მთავარი ექიმის, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის – მიხეილ მგელაძის დახმარებით, ა. ანასაშვილმა შენობის სხვენზე მოაწყო სამეცნიერო ლაბორატორია, სადაც აკად. ელ. ასათიანის უშუალო ხელმძღვანელობითა და დიდი მორალურ-მატერიალური მხარდაჭერით დაიწყო მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა. შემდეგში ეს ლაბორატორია ჩვენს ქვეყანაში ბიოლოგიურად აქტიური რთული ნივთიერებების შემსწავლელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად გადაიქცა.

ამავე პერიოდში ა. ანასაშვილი, როგორც საკავშირო, ისე საზღვარგარეთის სამედიცინო ჟურნალებში აქვეყნებს მეცნიერულ ნაშრომთა მთელ სერიას. მალე ამ პატარა სამეცნიერო ლაბორატორიის მისამართით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მიღებულ იქნა შეკვეთები ა. ანასაშვილის მეცნიერულ ნაშრომებზე. 1961 წელს ა. ანასაშვილს მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1963 წლის თებერვლიდან კი იგი უკვე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის შინაგან სნეულებათა პროფილაქტიკის კათედრის ასისტენტია. ახალგაზრდა ასისტენტი მალე დარწმუნდა, რომ იგი მოწოდებით პედაგოგი იყო – მას სტუდენტები დიდი სიყვარულითა და პატივისცემით პასუხობდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ სამკურნალო და პედაგოგიურ მუშაობას ძლიერ დიდი დრო სჭირდებოდა, ა. ანასაშვილი მეცნიერულ მუშაობას ერთი დღითაც კი არ წყვეტს. 1968 წელს მოსკოვში გამოიცა ა. ანასაშვილის მონოგრაფია „სისხლის შრატის და შარდის გლიკოპროტეიდები", რომელშიც შეჯამებული იყო ავტორის მრავალწლიანი კვლევითი მუშაობის შედეგები. 1969 წელს ამ მონოგრაფიის გამო ა. ანასაშვილს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა. მონოგრაფია დღემდე ითვლება სამედიცინო ლიტერატურაში გლიკოპროტეიდების პრობლემისადმი მიძღვნილ პირველ მონოგრაფიად. 1970 წელს ა. ანასაშვილი მოსკოვის I სამედიცინო ინსტიტუტში ამთავრებს უმაღლეს სასწავლებელთა პედაგოგების კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს და წარმატებით ეუფლება მასწავლებლობის თანამედროვე პროგრესულ მეთოდებს. 1974 წლის იანვარში ახალგაზრდა დოქტორს კონკურსით ირჩევენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის პროფესორად.

1975 წელს ა. ანასაშვილს მიენიჭა შინაგან სნეულებათა პროფესორის სამეცნიერო წოდება. ამავე წელს მან მოსკოვის მე-2 სამედიცინო ინსტიტუტში გაიარა დახელოვნების ციკლი პროფესორებისთვის ჰოსპიტალურ თერაპიაში. ამ დროისათვის პროფესორი ანასაშვილი უკვე აღიარებულ მეცნიერად ითვლებოდა საზღვარგარეთის ქვეყნებშიც. კვლევის მისი ორიგინალური მეთოდებით ფართოდ სარგებლობდნენ ამ ქვეყნების ლაბორატორიებში, ხოლო უმრავლესობა მისი

შრომებისა, რომელთა რიცხვი უკვე 50-ს აღწევდა, გამოქვეყნებული იყო საკავშირო და უცხოურ პერიოდიკაში პროფესორი ანასაშვილი გახლდათ ბიოქიმიკოსთა მე-5 საერთაშორისო კონგრესის მონაწილე, პედიატრთა მე-12 საერთაშორისო კონგრესის (მეხიკო), ბულგარეთის ნევროლოგთა მე-2 საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილე, საბჭოთა კავშირის თერაპევტთა მე-17 ყრილობის დელეგატი, დიდი სამედიცინო ენციკლოპედიის მესამე გამოცემის მე-6 ტომის ერთ-ერთი ავტორთაგანი და სხვა. პროფ. ა. ანასაშვილის ინიციატივითა და აქტიური მონაწილეობით კათედრასთან დაარსდა სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია, სადაც დაინერგა სხვადასხვა ბიოლოგიურ სითხეებში ადამიანის გლიკოპროტეიდების გამოკვლევების მისივე მეთოდი. პროფ. ა. ანასაშვილი ამ ლაბორატორიაში სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე გატაცებით ეწეოდა მეცნიერულ-კვლევით მუშაობას. 1981 წლის 28 ნოემბერს სამუშაო პოსტზე, საყვარელი კლინიკის კედლებში უეცრად გარდაიცვალა ალექსანდრე ანასაშვილი. იგი ამ დროს 53 წლის გახლდათ. მრავალი დაუმთავრებელი შრომის, კვლევის ჩანაფიქრისა და ოცნების ავტორი. შდრ. ანესაშვილი.



**ანასაშვილი მარადი ლევანის ასული** დაიბადა ყვარელში 1944 წელს. დაამთავრა ყვარლის მე-2 საშუალო სკოლა ოქროს მედალზე 1960 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი.

მუშაობდა გაზეთ „ყვარლის" პასუხისმგებელ მდივნად, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" სამართლისა და მორალის განყოფილების გამგედ, გაზეთ „კომუნისტის" აგიტაციის და პროპაგანდის განყოფილების გამგედ. ქალთა გაზეთის რედაქტორის პირველ მოადგილედ. გაზეთ „კახეთის", „მშვიდობა ყოველთას" და „თეთრი ბაირაღების" მთავარ რედაქტორად.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" მიმომხილველია 1995 წლიდან. ავტორია წიგნების: „მოგონებები" და „გზები".

საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. ჰყავს ორი ქალიშვილი ნინო და ია მერაბიშვილები.



**ანასაშვილი მზიური ლევანის ასული** დაიბადა ყვარელში, 1946 წლის 1 იანვარს, მოსამსახურის ოჯახში. მამა – **ლევან მიხეილის ძე ანასაშვილი** – მასწავლებელი, გარდაიცვალა 1961 წელს. დედა – **ნინო გასილის ასული მოლაშვილი**, მასწავლებელი, გარდაიცვალა 1978 წელს. 1963 წელს დაამთავრა თბილისის 43-ე საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, სპეციალობით ინგლისური ენა და ლიტერატურა. 1968 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი და ამავე წლის აგვისტოში დაინიშნა ინგლისური ენის მასწავლებლად, ხოლო 1969 წლის დეკემბრიდან დღემდე მუშაობს ყვარლის კოტე

მარჯანიშვილის სახელობის სახლ-მუზეუმის დირექტორად დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. ჰყავს მეუღლე – მიხეილ სეფიაშვილი, მშენებელი ინჟინერი და ორი შვილი: ლევან სეფიაშვილი – ექიმი, დავით სეფიაშვილი – ეკონომისტი.



ანასაშვილი მანანა ნიკოლოზის ასული, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი ექიმ-თერაპევტის სპეციალობით; თბილისის სახელმწიფო ეროვნული უნივერსიტეტი ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი ხელოვნებათმცოდნის სპეციალობით; საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის დრამის რეჟისორის ფაკულტეტი. კანადელ პროფესორთან ანა კასმან ენტუსთან გაიარა ინტენსიური კურსი ნეიროლინგვისტური პროგრამირებაში და არის მონრეალის ნლპ-ს შემსწავლელი ცენტრის სერთიფიკატის ნეიროლინგვისტური პროგრამირების გამოყენება ფსიქოთერაპიაში მფლობელი. ამჟამად მუშაობს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტში ტელეხელოვნების კათედრის დოცენტად (წოდება მიიღო 1998წ. 24. VI) კითხულობს რეჟისურისა და მსახიობის ოსტატობის კურსს. პარალელურად თანამშრომლობს ტელევიზიასთან. 4 წელია, სახელმწიფო ტელევიზიის მეორე არხზე მიჰყავს საავტორო გადაცემა „კინონოსტალგია", რომელიც წარსულის კინოშედევრებს და მათ შემქმნელებს ეძღვნება.

რამდენიმე წელი მუშაობდა ექიმად. სარეჟისორო სწავლის V კურსიდან კი მუშაობდა ცნობილ თეატრალურ რეჟისორთან მიხეილ თუმანიშვილთან (მისივე მიწვევით) ჯერ ასისტენტად, თეატრშიც და თეატრისა და კინოს ინსტიტუტშიც (სადაც ის ხელმძღვანელობდა მსახიობთა და რეჟისორთა ერთობლივ ექსპერიმენტულ სახელოსნოს). შემდეგ კი რეჟისორად მის თეატრში – კინომსახიობთა თეატრში და უცხოის პედაგოგიკაც ინსტიტუტში. დადგა სპექტაკლები კინომსახიობთა თეატრში, ინსტიტუტის სასწავლო თეატრში და სხვადასხვა თეატრების სცენებზეც. პარალელურად მუშაობდა ტელევიზიაშიც, აკეთებდა სატელევიზიო გადაცემებს და სატელევიზიო-ლიტერატურულ თეატრის დადგმებს. 1986 წლიდან მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმშიც". იმუშავა მეორე რეჟისორად ისეთ ცნობილ რეჟისორებთან, როგორებიც არიან: რეზო ჩხეიძე, ირაკლი კვირიკაძე, მერაბ კოკოჩაშვილი, ნანა ჯორჯაძე. ნანა ჯორჯაძის ფილმში „შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი" იყო მეორე რეჟისორი, რომელსაც ევალებოდა მსახიობთა შერჩევა და წინასწარი რეპეტიციები. ასევე, მეორე რეჟისორად იმუშავა მერაბ კოკოჩაშვილის ახალ ფილმზე „ნუცას სკოლა".

დამოუკიდებლად, როგორც დამდგმელმა რეჟისორმა გადაიღო ფილმები „მხოლოდ ერთხელ", „მშვიდობის ხის ფესტივალი", „სულ საქართველოზე ვილაპარაკებ", „კახეთის დღესასწაული". მის ფილმებს აღებული აქვთ პრიზები საერთაშორისო ფესტივალებზე. არის საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის, კინემატოგრაფისტთა კავშირის და ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის წევრი. ჰყავს ერთი ვაჟიშვილი ნიკოლოზ ანასაშვილი.

**ანგურსია.** ქართველებს ჰქონდა ცამაკაცის საკუთარი სახელები – **ანგურა-გი** *(ქ. ცხ. II. გვ. 215);* **ანგურგი** (შდრ.: *ანგურა–ანგური*). „ათე ანგურათას შენი". „ამ აგურით ააშენე" (ვ. ელ., 19).

**ანგურსიას** გვარი მოიხსენიება 1616–1621 წლებში. **დარჩელ ანგურსიას** ემართა ცაიშის საყდრის გამოსაღები ბეგარა.

> **ანდალიშვილი 191**
> **გორი – 155,**
> **თბილისი – 31,**
> **ბორჯომი – 2.**

**ანდალაშვილი//ანდალაიშვილი//ანდალიშვილი,** ძველი გვარსახელია. **ანდალიშვილი** მოიხსენიება 1470–1474 წლებში. შდრ.: **ანდალისშვილი** – ნოხუდენში მცხოვრები, შამადაულე დადიან–გურიელის მიერ იოაკიმე კათალიკოსისათვის მიცემული წყალობის წიგნის მიხედვით, იგი შედიოდა საკათალიკოსო სამწყსოში *([1470–1474 წ.წ.] 1449–1571).*

**ანდალაისშვილი** – ნოხუდენში მცხოვრები. ლევან დადიანმა მისი შეწირულება განუახლა ხობის საყდარს *([1628–1647 წ.წ.] შდ–1551 ა).*

**ანდალაშვილი 29** (ახმეტა – 25, თბილისი – 4).

**ანდერმანისშვილი//ანდერმანიშვილი//საგინაშვილი, ანდერმანიშვილი** – ფცაში ჰყავდა ორი კომლი მესაურე გლეხი. აღნიშნულია საციციანოს ყმების ნუსხაში *([1658–1675 წ.წ.] ჰე–1434 ბ).*

**ანდერმანისშვილი გიორგი** – მოწმე ფარსადან [ჯავახიშვილის] მიერ ზურაბ [ჯავახიშვილისათვის] მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა *(1698 წ. შდ–630).*

**ანდერმანისშვილი იორამ** – იხ. საგინაშვილი იორამ.

**ანდერმანიშვილი ლაზარიტ** – 1692–1697 წ.წ. იონათამ აბულვარდიშვილთან ერთად პირობა დაუდო ფარემუზ ჯავახიშვილს, რომ ფარემუზის გარდა, არც სხვა ბატონს არ ინდომებდა *(1697 წ. III.17 შდ–10386);* მოწმე: ფარსადან ჯავახიშვილის მიერ ზურაბ [ჯავახიშვილისათვის] მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა *(1692 წ. VII. II. შდ–569).* ოთია გოგიბედაშვილსა და ზურაბ ჯავახიშვილს შორის სამამულე დავის გარიგებისა (1695 წ. IV.6. შდ–8265).

**ანდერმანიშვილი მანველა** – მოწმე იმან რჩეულიშვილ–ულუსშვილის მიერ ბეჟან როსტომაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა *(1683 წ. 1450–27/289).*

**საგინაშვილი,** საკუთარ სახელადქცეული ანტიკური ეთნონიმი **საგინა.** პროკოპი კესარიელის ცნობით (VI ს. ჩვ. წ. აღ.) ჯიქებს ზემოთ **საგინები** („საგინაა") ცხოვრობდნენ *(ივ. ჯავახიშვილი. "ქართველი ერის ისტორია". I. 1960. 427);* *(დაწერ. იხ. საგინაშვილები).* როგორც ჩანს, საგინაშვილი ერთი ცალკე შტოა, ანდა სულაც თვით ანდერმანიშვილია გაჩენილი საგინაშვილების გვარიდან. საგინაშვილთა გვარი ერთ–ერთი წარჩინებული გვართაგანი იყო ქვემო ქართლში, რეზიდენცია და საძვალე, სასაფლაო და ეკლესია ჰქონდათ სოფელ ჩხიკვთაში (თეთრიწყაროს რაიონი). დღესაც მათ რეზიდენციაშია სოფლის სკოლა.

**საგინაშვილებმა** მოგვეცა შტო–გვარები: **დესპოზიშვილი, ზურაბიშვილი,**

ინდოშვილი, ფარემუზაშვილი.

**ანდრიაშვილი//ამირამიზაშვილი//ამირხანაშვილი**, ერთი და იგივე გვარსახელია, ნაწარმოებია ჯერ ეისძე **ანდრიასგან**, შემდგომ კი **ამირამიზ** და **ამირხან ანდრიაშვილებმა** აწარმოა **ამირამიზაშვილი** და **ამირხანაშვილი**. **ანდრო//ანდრია**, ქართველებში ცნობილი და გავრცელებული ეპონიმური სახელი გახლდათ. შდრ.: „ანდრია – დეკანოზი, მიჰყიდა დემეტრე წითლისძეს მონასელისძისაგან ნაყიდი ნაენახევი *(1413 წელი) (პალ. I, გვ. 147)*.

**ანდრიაშვილი** – მამასახლისი, ბატონ ანას ყმა, მისგან შეუძენია გრიგოლ ჩხუტიაშეილის მიწა ხუნგალში, რომელიც შემდეგ ისევ ანამ იყიდა (1666 წ.).

**ანდრიათ ამირამიზაშვილი ამბრია** – თაფანს მცხოვრები, იგი, ბარათას საფიჩხულითა და საგოდრით წილად ერგო თამაზ ბარათაშვილს.

**ანდრიათ ამირხანაშვილი ამბრია** – მძოვრეთის მცხოვრები, წილში ერგო თამაზ ბარათაშვილს (1633–1658 წ.წ.) (იქვე, 148).

***ანდრია, ბახუტა, ხატისა, ბასილა, ბასილა (მეორე), გოგია, გულისადებ, თევდორე, იმედა, ლაზარე, მიქელა, მიქელა (მეორე), ნასყიდა, პაპია, პაპია (მეორე), პაპუნა ანდრიაშვილები*** მოიხსენიებიან XVII საუკუნიდან სოფლებში: გუფთა, მძოვრეთი, თაფანი, თბილისი, ატენი, ნიჩბისი *(იქვე, გვ. 148–149)*.

**ანდრია** უძველესი სახელია. შდრ. **ანდრია მოციქული**, პირველწოდებული. **ანდრია, ანდრო** (ბერძნ.) *„მამაცი“, „ვაჟკაცი“, „მხნე.“*

**ამირამიზაშვილის** გვარის მაწარმოებლად გამოდგებოდა როგორც საკუთარი სახელები **ამირზა, ამირიზა**, ისე **ამირა+ამზა**, შდრ.: **ამირაშვილი, ამირიძე, ამზაშვილი**.

**ანდიაშვილი**, „**ანდია, გვარში, ანდიაშვილი**“ (ალ. ღლ., *73*).

| |
|---|
| **ანდიაშვილი 354** |
| **დმანისი – 140,** |
| **თბილისი – 94,** |
| **ბოლნისი – 47.** |

**ანდრაზაშვილი**. „**ანდრაზა//ანდარეზა**. გვარში: **ანდრაზაშვილი//ანდარეზაშვილი**“ (ალ. ღლ., *73*).

| |
|---|
| **ანდრაზაშვილი** |
| **25 თბილისი – 19,** |
| **რუსთავი – 2,** |
| **გორი – 1.** |

**ანდრიაძე** გვარის ფუძეა ერთ-ერთი უძველესი სახელი **ანდრია**.

| |
|---|
| **ანდრიაძე 752** |
| **თბილისი – 210,** |
| **სამტრედია – 90,** |
| **ქუთაისი – 67** |

**ანდრიაძე ქოჭუა** – ფარცხანაყანევს მცხოვრები, იხსენიება კუჭუხიძეების ბეგარის ნუსხაში, ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: ოცი კოკა ღვინო, ათი თეთრი.

**ანდრიაძე ბადრი სერგოს ძე**, ხელოვნების ისტორიის ფილოსოფია, იკონოლოგია. დ. 05.07.1967, თბილისი.

მშობლები: **თამარ ანდრიაძე, სერგო ანდრიაძე**; მეუღლე – **ნინო ჯაბაშვილი**; შვილი – **გიორგი** (1995). სწავლობდა თსუ-ს ისტორიის ფაკულტეტის ხელოვნებათმცოდნეობის განყოფილებაზე.

სადიპლომო ნაშრომი – „პარმიჯანინო“. ძირითადი ნაშრომები: სტატიები ნიკო ფიროსმანაშვილის პოეტიკის შესახებ, ჟურნ. „ხელოვნება“ და თსუ-ს

სამეცნიერო კონფერენციების კრებულებში.

მუშაობს თსუ-ს ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრაზე მეცნიერ-მუშაკად.

1994 წლიდან ლექციებს კითხულობს თბილისის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში ხელოვნების ისტორიისა და თეორიის საკითხებზე.



**ანდრიაძე დავით სერგოს ძე**, ხელოვნების ფილოსოფია, სემიოლოგია, არტკრიტიკა. დ. 04.07.1958, თბილისი. მშობლები: **თამარ ანდრიაძე**, **სერგო ანდრიაძე**. სწავლობდა თსუ-ს ფილოსოფიის ფაკულტეტზე (1977-82).

სადიპლომო ნამუშევარი – „მხატვრული დროის კატეგორია სახვითი ხელოვნების ინტოლოგიაში" (ხელმძღვანელი ნ. ჭავჭავაძე).

საქართველოს მხატვართა კავშირის წევრია 1984 წლიდან.

ძირითადი ნამუშევრები: „დავით კაკაბაძის ხელოვნების სივრცე და დრო", „საბჭოთა ხელოვნება", № 9, 1989; „სივრცე, სხეული, სახე", „ხელოვნება", №1, 2, 3, 1995; „პერცეპტიდან – კონცეპტამდე", „ხელოვნება", № 4, 5, 6, 1996; „მეტასურათის პარადიგმა", „ხელოვნება" № 7, 8, 9, 1997; „ტოტალიტარული კულტურა, როგორც დემონსტრაცია", "ტეტრამერონი", № 6, 1996; „ცხოვრება იესო ქრისტესი, იკონოლოგიური მარგინალიები", თბ., 1996; „ლევიათანის დალუპვა", თბ., 1997; „ფერწერა და იმაგინაცია", თბ., 1997; "აზროვნების ფერწერული ლანდშაფტები", თბ., 1997. სულ 60-ზე მეტი ესსე.

მონაწილეობდა ფილოსოფოსთა, ესთეტიკოსთა, კრიტიკოსთა სემინარებში, სიმპოზიუმებში, კონფერენციებში, კონგრესებში (თბილისი, მოსკოვი, კიევი, მინსკი, ჰელსინკი, კრაკოვი).

არის ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი (1990). მუშაობს თსუ-ს ესთეტიკის კათედრის დოცენტად, კულტურის ფილოსოფიურ ს/კ ლაბორატორიის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, კთსი-ს კურორტოლოგიის კათედრის გამგედ.

1984 წლიდან კითხულობს ლექციებს თსუ, თსსა, თეატრალურ და კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში (ხელ. ფილოსოფიაში, კულტურის სოციოლოგიაში, სემიოლოგიაში, კინოსემიოლოგიაში, პოსტმოდერნის ფილოსოფიაში).

მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში „ვინ ვინაა საქართველოში" (1996-97), გამომცემლობა „დიოგენე".

**ანდრობაგა**. გვარის ფუძეა მამაკაცის საკუთარი სახელი **ანდრო**, ხოლო **ბა** და **გა** სუფიქსებია, ე.ი. ორსუფიქსიანი გვარსახელია (შდრ.: **ანდრო**, კოლხეთი, 51, გეჯეთი, **ნ. ანდრია** (ალ. ღლ., *73*).

რ. პატარიძე შუამდინარეთში მთვარის ერთადერთ ღმერთად **ანდრობაგას** ასახელებს. ეს უბრალო დამთხვევაა და ამ გვართან მას არაფერი უნდა ჰქონდეს საერთო.

**ანდრონიკაშვილთა შტო–გვარებია:**
*პაპუასშვილი*
*თამაზისშვილი*
*სოლომონიშვილი*
*მდივანბეგიშვილი*
*ზურაბიშვილი*
*ზაალიშვილი*
*ერასტიშვილი*
*დავითიშვილი*
*პეტრეშვილი*
*ივანეშვილი*
*აბელაშვილი*

# ანდრონიკაშვილი||ენდრონიკასშვილი



| | |
|---|---|
| ანდრონიკაშვილი | 199 |
| თბილისი | 158, |
| თელავი | 15, |
| გურჯაანი | 14. |

**ანდრონიკაშვილები,** *გუარი სამინო არს (ვახუშტი).* კახეთის ცნობილი თავადების – **ანდრონიკაშვილების** გვარი საისტორიო წყაროებში შემდეგი ფორმით გვხვდება: ანდრონიკაშვილი, ანდრონიკასშვილი, ანდრონიკეშვილი, ანდრონიკისშვილი, ანდრონიქასშვილი, ანდრონიქაშვილი, ანდრონიქისშვილი, ანდრონიქაშვილი, ენდრონიაანი, ენდრონიკასშვილი, ენდრონიკაშვილი, ენდრონიკესშვილი, ენდრონიკეშვილი.

თავად ანდრონიკაშვილების გვარის ძირია **ანდრონიკე**. სახელი ბერძნულია და შედგება ორი ნაწილისაგან: **ანდრო** – მამაცი და **ნიკე** – გამარჯვება. მთლიანად ნიშნავს „მამაცის გამარჯვებას" ან „მამაცებზე გამარჯვებულს", „ვაჟკაცთა მძლეველს." ეს სახელი საქართველოში იშვიათია, მაგრამ ძველად მის გავრცელებას მოწმობს ცნობილი გვარი ანდრონიკაშვილი (იხ. ზ. ჭუმბურიძე. *„დედაენა ქართული". თბ., 1987. გვ. 322).*

არის მოსაზრება, თითქოს თავად ანდრონიკაშვილების გვარი მომდინარეობს საბერძნეთის იმპერატორ ანდრონიკე კომნენისაგან, რომელიც მეფობდა ცარიგრადში 1183–1185 წლებში. ანდრონიკეს ვაჟს ალექსის მამის გარდაცვალების შემდეგ თავშესაფარი უძებნია საქართველოში და აქ დატოვა გვარის დამფუძნებელი ანდრონიკე.

„შემოკლებით აღწერაში" „თავადი ანდრონიკაშვილი" აღნიშნულია: „ესენი არიან გვარით მანოელ კომნინოსა ძის წულნი, რომელნიცა გამოძევებულ იქნენ საბერძნეთიდან და მოვიდნენ საქართველოსა შინა დროსა მეფისა გიორგისასა, წელსა 1144–სა, ხოლო მეფემან დიდად მიიღო ესე ანდრონიკე სახლეულობითურთ თვისით და უბოძა კახეთსა შინა მამულნი სოფლებითურთ და დაეშენნენ მუნ, რომელსაც ადგილსა მას ეწოდების აწ საანდრონიკო და სცხოვრებენ მუნიდგან წოდებით თავადად, ანდრონიკე შვილებად, რომელნიცა არიან აწ განყოფით მოსახლენი: 1

**პაპუას შვილები; 2. თამაზის შვილები; 3. სოლომონის შვილები; 4. მღივან ბეგის შვილები ანუ ქაიხოსროსნი; 5. მზეჭაბუკის შვილები; 6. ზურაბის შვილები, აწ ზაალის შვილებად წოდებულნი; 7. ერასტის შვილები. ესენი არიან მოსახლედ დავითის შვილებად: 1. დიმიტრის შვილები; 2. იოანეს შვილები; 3. პეტრეს შვილები. ამათი სახლის კაცნი და სხვანი"** *(შემოკლ. აღწ. –. გვ. 34–35).*

რუსულ ენაზე გამოცემული წიგნებში, რომლებშიც მოთხრობილია ქართველ თავადაზნაურთა გვარებზეც, ანდრონიკაშვილებზე ვკითხულობთ: „გვარი **ანდრონიკაშვილი პირველად 1558 წელს გვხვდება. მეფესა ალექსანდრესა და უფლისწულ გიორგისთან ერთად. მოკლულთა შორის მოიხსენიება თავადი აბელ ანდრონიკაშვილი და მისი ძმა, რუსთავის ეპისკოპოსი. თავადი პაატა ანდრონიკაშვილი მეფე ერეკლე II-ის დროს იყო ქართული არტილერიის უფროსი.** თავადი **მალხაზი (მელქისედეკი)** სიძე იყო იმერეთის მეფის არჩილისა, ცოლად ჰყავდა მისი ქალიშვილი **მარიამი.** პირველი ქორწინების შემდეგ, როცა დაქვრივდა, ცოლად შეირთო იმერეთის მეფის სოლომონ II-ის და. მათი ვაჟი თავადი **ივანე მალხაზის ძე** იყო ტფილისის გუბერნატორი. შემდგომში გენერალ-ლეიტენანტი. წმ. ალექსანდრე ნეველისა და წმ. გიორგი მე-3 საფეხურის კავალერი *(როსსიისკაია როდოსლოვნაია კნიგა. იზდავაემაია კნ. პეტრომ დოლგორუკოვიმ. სპბ., 1856. გვ. 470–471).*

ს. ვასილიევი წიგნში „ტიტულოვანი გვარები" წერს: ***„ანდრონიკაშვილები,*** *ანდრონიკაშვილთა გვარი მომდინარეობს ბიზანტიის იმპერატორ ანდრონიკე კომნენისაგან (1183–1185 წ.წ.).*

ეს გვარი შეტანილია კახეთის თავადთა სიაში, რომელიც ერთვის თან მეფე ერეკლე II-ის მიერ 1783 წ. 24 ივლისს ხელმოწერილ ტრაქტატს.

1826 წლის 25 მარტს რუსეთის იმპერატორის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო საბჭომ თავადთა შორის სცნო: **1. თომა სიმონის ძე და მისი ვაჟები, გიორგი და დიმიტრი; 2. პოდპოლკოვნიკი იოსებ მელქისედეკის ძე – ვაჟით ოსე და ძმისწულით – ივანე მალხაზის ძე; 3. ივანე ოსეს ძე და მისი ვაჟები ოსე და ზურაბი; 4. ივანე სოლომონის ძე და მისი ვაჟები: სოლომონი, რევაზი და იოსები; 5. ზურაბ სოლომონის ძე; 6. კაპიტანი აბელ თომას ძე და მისი ვაჟები: პრაპორშჩიკი თომა, გიორგი და ზაქარია; 7. დავითი, გიორგი და პაატა მზეჭაბუკის ძე; 8. ადამ ევსეის ძე ანდრონიკაშვილები** *(ვასილიევ ს. ტიტულოვანნიე როდი... გვ. 53).*

**თავადი ენდრონიკაშვილები** მომდინარეობენ XVII ს-ის დასაწყისში მცხოვრებ **მერაბ ენდრონიკაშვილისაგან.** ეს გვარი შეტანილია რუსეთის იმპერატორის მიერ 1850 წ. 6 დეკემბრის დადგენილებით ცნობილ ქართველ თავადაზნაურთა საოჯახო სახელობით სიაში *(იქვე. გვ. 82).*

ქართულ ენციკლოპედიაში ანდრონიკაშვილთა გვარზე ნათქვამია: **„ანდრონიკაშვილები, ენდრონიკაშვილები** – თავადთა საგვარეულო ფეოდალურ საქართველოში. გვარში დარჩენილი გადმოცემით, ჩამომავალნი არიან ბიზანტიის იმპერატორ **ანდრონიკე**

კომნენოსისა, რომლის შვილი ალექსი კახეთში დამკვიდრებულა XII ს-ის მე-2 ნახევარში. ანდრონიკაშვილების მამულები, ე.წ. „საანდრონიკო" („საენდრონიკო") მოიცავდა კახეთის სოფლებს – მუკუზანს, ჩალაუბანს, ფხოველსა და სხვა. XVI ს-დან ანდრონიკაშვილებმა სამემკვიდრეო სახელოდ მიიღეს ქიზიყის მოურაობა, XVII ს-დან კი – მარტყოფის მოურაობაც. მარტყოფის მოურავები უმთავრესად ინიშნებოდნენ სოფელ ფხოველის მებატონე ანდრონიკაშვილებისაგან, რომლებიც ქიზიყელი ანდრონიკაშვილების განაყოფები იყვნენ: ისინი ზოგჯერ **ზურაბიშვილების**, ხოლო ქიზიყელი ანდრონიკაშვილები **აბელაშვილების** გვარითაც იხსენიებიან. XVII ს. ანდრონიკაშვილები თურქმანიყლების (ბაიდარი, ყარაჩი და სხვა) მოურავები და ქართლ-კახეთის დროებით შეერთებული განჯის სახანოს მმართველებიც იყვნენ.

ანდრონიკაშვილებმა განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სამხედრო, საეკლესიო და დიპლომატიურ ასპარეზზე: ეკავათ ბოდბის, ნინოწმინდის, ალავერდისა და ნეკრესის საეპისკოპოსო კათედრები. ანდრონიკაშვილების სათავადო შედარებით სუსტი იყო, მათი სიმდიდრე და პოლიტიკური წონა მეფის მოხელეობას ემყარებოდა. ამით აიხსნება ანდრონიკაშვილების განსაკუთრებული ერთგულება სამეფო ხელისუფლებისადმი.

როგორც ზემოთ ითქვა, ქიზიყელი ანდრონიკაშვილების გვარი იყო **აბელაშვილები** და **ზურაბიშვილები**. მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ბევრი გვარი (*ზაალიშვილი, ზურაბიშვილი, სააკიშვილი, ყურაბიშვილი* და სხვ.) მრავალმა გვარმა მოგვცა, ბევრი საგვარეულოს შტო-გვარია. მათ შესახებ ჩვენ სათანადო ადგილას ცალ-ცალკე გვექნება საუბარი.

**აბელაშვილი**, შდრ.: **ენდრონიკაშვილი** (ვარ. **ანდრონიკაშვილი**) **აბელ** – 1665–1595 წ.წ ქიზიყის მოურავი (1675 წ.). ჰყავს ძმები: **მელქისედეკ** (1665), **რევაზ** (1665–1695). შვილები: **პაატა, ქაიხოსრო, გიორგი, იესე** (1693–1695)... **აბელ ანდრონიკაშვილიდან დაიწყო აბელაშვილების გვარის ათვლა.**

**აბელაშვილი 343**
**გურჯაანი – 12298**
**თბილისი – 108,**
**რუსთავი – 44).**
**არის აგრეთვე**
**აბელიშვილი 101**
**ვბილისი – 61,**
**თელავი – 21,**
**გურჯაანი – 9.**

შდრ.: **აბელაშვილი ებიტა** – მოწმე ამბა-ალავერდელ გრიგოლის მიერ ბოდბელ კირილესათვის მიცემული მამულის წყალობის წიგნისა *(1670 წ.) (იხ. პალ. I. გვ. 55. 151).*

**ზურაბაშვილი//ზურაბიშვილი** ბევრმა თავადაზნაურულმა საგვარეულომ აწარმოა. მათ შორის ზურაბიშვილები (<ქიზიყელები) არიან ანდრონიკაშვილების გვარის განაყოფები. ამ გვარს ჩვენ ბარათაშვილებთან აღვწერთ.

**თამაზაშვილი** შდრ.: **ანდრონიკასშვილი** (ვარ. **ანდრონიქასშვილი**) **თამაზ** (1662–1676 წ.წ.) შვილი **ელიზბარ ანდრონიკაშვილისა**– თამაზაშვილ–თამაზიშვილი წარმოიქმნა სხვა გვარებიდანაც (იხ. ბარათაშვილები).

**დავითიშვილი** შდრ.: „**ანდრონიკასშვილი** (ვარ. ენდრონიკასშვილი) დავით

(1677–1681 წ.წ.) გორის მამასახლისი (1677–1681), დამწერი და მოწმე პაპუა შატბერაშვილის მიერ ზურაბ თუმანიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1678 წ.). ამ დავითიდან გაჩნდა ანდრონიკაშვილების შტო–გვარი **დავითიშვილი**. დავითაშვილი მოგვეცა სხვა გვარებმაც. მათ შორის **ბაგრატიონებმა**.

**ანდრონიკაშვილები** – უძველესი თავადური საგვარეულო. მეფე დავით აღმაშენებელმა (1089–1125) 1116 წელს თავისი ქალიშვილი **კატი, იგივე კატაი** (?–1150) გაათხოვა ბიზანტიის იმპერატორის იოანე კომნენის ძმაზე ისააკ კომნენზე (1019–1136). ამ ქორწინებიდან დაიბადა ვაჟიშვილი **ანდრონიკე კომნენი** (1120–1185).

ლეგენდა მოგვითხრობს: *ბიზანტიის იმპერატორ მანუელ კომნენის დროს (1143–1180) მისმა ბიძაშვილმა ანდრონიკე კომნენმა შვილებითურთ ინახულა დედის სამშობლო – საქართველო. იგი დიდი სიხარულით მიიღო მისმა ბიძაშვილმა მეფე გიორგი III–მ, რომელმაც ანდრონიკეს აჩუქა „ქალაქები, ციხე–სიმაგრეები და მიწები“ აღმოსავლეთ საქართველოში (კახეთში). მანუელ კომნენის გარდაცვალების შემდეგ ანდრონიკე დაბრუნდა ბიზანტიაში და მცირეწლოვან იმპერატორთან გახდა რეგენტი (1180–1183), ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ თვითონ ავიდა ტახტზე. მაგრამ 1185 წელს იმპერატორი ანდრონიკე ჩამოაგდეს ტახტიდან და მოკლეს კონსტანტინეპოლში. ანდრონიკეს გარდაცვალების შემდეგ მისი შვილები: მანუელი, იოანე, ალექსი და ირინა გაიქცნენ საქართველოში და თავშესაფარი ნახეს თავიანთ ნათესავის მეფე დიდი თამარის სამეფო კარზე. 1204 წელს თამარმა ბიზანტიაში გამეფებულ ანგელთა დინასტიას წაართვა ტრაპეზუნდი და იმპერატორად გამოაცხადა იმპერატორ ანდრონიკეს შვილიშვილი ალექსი. ეს დინასტია ტრაპეზუნდში მეფობდა 1461 წლამდე. ანდრონიკეს სხვა ვაჟიშვილები – ალექსი, იოანე და ირინე დარჩნენ საქართველოში და დასახლდნენ კახეთში, „მამულებში“, რომლებიც მათ მამას ეკუთვნოდა. ალექსის ვაჟიშვილი ანდრონიკე (ენდრონიკე) ითვლება ანდრონიკაშვილთა თავადური საგვარეულოს ფუძემდებლად. XVI საუკუნეში მათ მიიღეს მემკვიდრეობითი თანამდებობა – ქიზიყის მოურავობა.*

როგორც ზემოთ ითქვა, ქართულ წყაროებში გვარი პირველად გვხვდება 1558 წელს მეფე ალექსანდრე და ბატონიშვილ გიორგის სიკვდილთან დაკავშირებით. მათთან ერთად დაიღუპნენ თავადი **აბელ ანდრონიკაშვილი** და მისი ძმა, რუსთავის ეპისკოპოსი.

რამდენიმე თავადი ანდრონიკაშვილი 1724 წელს მეფე ვახტანგ VI–ის ამალაში წავიდა რუსეთში და მსახურობდნენ ქართულ ჰუსართა ასეულში. მათ შორის კაპიტანი, თავადი **მერაბი** ვაჟიშვილებით **ოთიათი** და **მამუკათი** და მისმა დისშვილმა, პორუჩიკმა თავადმა **ერასტომ** თავის ძმასთან და რამდენიმე ქართველთან ერთად 1741 წლის დეკემბერში მიიღეს ნებართვა, დაბრუნებუ–

ლიყენენ სამშობლოში. რუსეთში დარჩა მცირეწლოვანი თავადი **იაგორ ანდრონიკაშვილი**, რომელმაც 1743 წელს მირგოროდის ასეულთან, სოფელ ბოგაჩკაში მიიღო 5 კომლი გლეხი.

1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატზე ხელმოწერის დროს (24 ივლისს) ანდრონიკაშვილთა საგვარეულო ერეკლე მეფემ შეიტანა კახელ თავადთა სიაში.

XVII ს–ში მცხოვრებმა თავადებმა – **გარსევანმა** და **მერაბ ანდრონიკაშვილებმა** შექმნეს ორი უძლიერესი შტო. **მერაბის** შთამომავლობა რუსეთის მთავრობამ 1850 წელს დაამტკიცა თავადთა ხარისხში, ისინი ჩაწერა, როგორც ანდრონიკაშვილები მისი უდიდებულესობის. რუსეთის იმპერატორის მიერ დამტკიცებული საგვარეულო გერბი ანდრონიკაშვილებს არა აქვთ. არსებობს საგვარეულო გერბი, რომელსაც ეს ოჯახი ატარებდა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში. ემიგრაციაში სარგებლობდნენ გერბით, რომელიც იმეორებს კომნენთა ბიზანტიური ოჯახის გერბს. უფროსი შტოს წარმომადგენლის გარსევან ანდრონიკაშვილის შთამომავლობის საგვარეულო ხე წარმოდგენილია №1 ცხრილში.

**თავად ანდრონიკაშვილთა ამ შტოდან შედარებით ცნობილნი არიან:**

2/1. **აბელი**, ქიზიყის მოურავი (მოიხსენიება 1665–1703 წ.წ.), დაქორწინებული იყო დედოფალ ქეთევანზე (?–1718), მეფე ერეკლე I–ის ქალიშვილზე.

4/1. **რევაზი**, ბოქაულთუხუცესი, ქიზიყის მოურავი (მოიხსენიება 1665–1715).

5/2. **პაატა**, ეშიკაღაბაში, ქიზიყის მოურავი (მოიხსენიება 1693–1714).

6/2. **ქაიხოსრო**, ბოქაულთუხუცესი, ქიზიყის მოურავი (მოიხსენიება 1695–1705).

7/2. **გიორგი**, ეშიკაღაბაში, ქიზიყის მოურავი (მოიხსენიება 1678–1723).

9/3. **ზაქარია**, ალავერდის ეპისკოპოსი, შემდგომ რუსთაველის (მოიხსენიება 1696–1737).

11/3. **იესე**, ქიზიყის მოურავი (მოიხსენიება 1693–1716).

14/57 **აბელი**, ეშიკაღაბაში, ქიზიყის მოურავი (მოიხსენიება 1739–1773).

15/4. **თამაზი (თომა)**, ეშიკაღაბაში, ქიზიყის მოურავი (მოიხსენიება 1727–1773), დაქორწინებული იყო არაგვის ერისთავის გიორგის ქალიშვილზე (მეფე ერეკლე II–ის ბიძაშვილზე).

16/5. **ნიკოლოზი** (1716–/), ალავერდის ეპისკოპოსი (1796).

17/5. **ომანი**, ეშიკაღაბაში (მოიხსენიება 1726–1749).

19/6. **სიმონი**, ქიზიყის მოურავი (მოიხსენიება 1721–1764).

20/11. **პაპუნა (პაპუა)**, ქიზიყის მოურავი (მოიხსენიება 1727–1764) (შთამომავლობა იხ. მე–2 ცხრილში).

24/14. **მარიამ აბელის ასული**, გათხოვილი იყო თავად **გრიგოლ ქაიხოსროს ძე ჩოლოყაშვილზე**.

25/15. **ზაქარია** (1740–1802), ქიზიყის მოურავი, სარდალი. პირველი ქორწინებით (1785) ცოლად ჰყავდა დედოფალი **ელენე** (1753–1786), მეფე ერეკლე II–ის ქალიშვილი. მისი მეორე ცოლი იყო თავადის ასული **მარიამ ციციშვილი**. ორივე

## ცხრილი 1

# თავადი ანდრონიკაშვილები (ანდრონიკოვები)



ქორწინებიდან ჰყაედა თითო ქალიშვილი. მისი უკანონო ვაჟიშვილი იოსები (ნინია) დაამტკიცეს მემამულის ხარისხში, ტიტულის გარეშე.

26/15. აბელი (1764–1835), კაპიტანი. უზენაესის მიერ დამტკიცებული ბრძანებით, სახელმწიფო საბჭომ 1826 წლის 25 მარტს დაამტკიცა იგი თავადის ხარისხში. დაქორწინებული იყო თავადის ასულ ანა დავითის ასულ ორბელიანზე.

27/18. პაატა, არტილერიის ფეიერვერკერი (მოიხსენიება 1765–1790 წ.წ.).

29/19. ქაიხოსრო (?–1792), მდივანბეგი, მარტყოფის მოურავი (მოიხსენიება 1767 წ.).

31/25. ხორეშან (ანა–ხანუმი) ზაქარიას ასული (1876–?), გათხოვილი იყო (1800) თავად ზურაბ (დიმიტრი) ნიკოლოზის ძე ორბელიანზე (1764–1827); მათი შვილი იყო ცნობილი ქართველი პოეტი, გენერალი, თავადი გრიგოლ ორბელიანი, ხოლო შვილიშვილი – გამოჩენილი ქართველი პოეტი, თავადი ნიკოლოზ (ტატო) ბარათაშვილი.

32/25. მარიამ ზაქარიას ასული (?–1841), გათხოვილი იყო თავად იასე იოსების ძე ანდრონიკაშვილზე (1798–1863).

34/26. თამარა აბელის ასული (1786–?), გათხოვილი იყო (1804) თავად იოსებ გრიგოლის ძე მაყაშვილზე (1786–?).

35/26. თამაზ აბელის ძე (1798–?), დაქორწინებული იყო (1825) თავადის ასულ ანა თადიას ასულ ჩოლოყაშვილზე (1810–1859).

36/26. გიორგი აბელის ძე (1805–?), დაქორწინებული იყო თავადის ასულ (1826) მარიამ ნიკოლოზის ასულ ჩოლოყაშვილზე (1805–?).

37/26. ნინა აბელის ასული (1809–?), გათხოვილი (1828) იყო თავად ინდო გოშფარის ძე მაყაშვილზე (1793–?).

38/26. ზაქარია აბელის ძე (1810–?), ქორწინებაში იყო (1832) თავადის ასულ დარია ივანეს ასულ ანდრონიკაშვილზე (1817, № 11 3 ცხრილში).

39/14. ქეთევან აბელის ასული (1811–?), გათხოვილი იყო თავად რამდენ ივანეს ძე შალიკაშვილზე (1791–?).



თავადი თამარა დავითის ასული ანდრონიკაშვილი (ქალიშვილობის გვარით ღოღობერიძე). 40/28. დავით მზეჭაბუკის ძე (1786–?), კახეთის 1812 წლის აჯანყების მონაწილე. გააკრიჭეს გაათავისუფლეს 1817 წელს. დაქორწინებული იყო თავადის ასულ ანასტასია იოსების ასულ თუმანიშვილზე (1806–1836).

41/28. გრიგოლ მზეჭაბუკის ძე (1795–?), დაქორწინებული იყო ანასტასია ჯორჯაძეზე.

42/28. პაატა მზეჭაბუკის ძე (1799–?), პრაპორჩიკი, დაქორწინებული იყო (1821) თავადის ასულ სალომე მელქისედეკის ასულ ჭავჭავაძეზე.

44/29. ნინა (1766–1816–ის შემდეგ), 1774 წელს დაქორწინდა ბატონიშვილ ლევან ერეკლეს ძეზე (1756–1781), მეფე ერეკლე II–ის შვილზე.

44/29. **სიმონ-ზოსიმე** (?–1819). 1748 წელს დაქორწინდა დედოფალ **მარიამ** გიორგის ასულზე (1769–1801). საქართველოს ბოლო მეფის გიორგი XII-ის ქალიშვილზე.

53/38. **ლუარსაბ (ლუკა) ზაქარიას ძე** (1838–?). დაქორწინებული იყო (1857) თავადის ასულ **ეკატერინე სოლომონის ასულ ჩოლოყაშვილზე** (1840–?).

55/42. **ეკატერინე (კეკელა) პაატას ასული** (1827–?). გათხოვილი იყო (1851) თავად **ნიკოლოზ იოსების ძე შალიკაშვილზე** (1815–1854).

57/42. **ილია (ივანე) პაატას ძე** (1832–?). დაქორწინებული იყო (1853) თავადის ასულ **ნატო გრიგოლის ასულ მაღალაშვილზე** (1839–?).

59/42. **ალექსანდრე პაატას ძე (პავლეს ძე)** (1838–?). პორუჩიკი. დაქორწინებული იყო თავადის ასულ **დარო ლევანის ასულ ჭავჭავაძეზე**. მისი შთამომავლები სენატის 1850 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილებით. ჩარიცხული იქნენ თავად ანდრონიკაშვილების საგვარეულოში.

**თავადი ალექსანდრე ივანეს ძე ანდრონიკაშვილი, ქალიშვილი ინესა** (№ 112, 131. ცხრილი 1).

61/44. **თამაზ (თომა) სიმონის ძე (ზოსიმეს ძე)** (1786–1847). კოლეჯის ასესორი. მაზრის მემამულეთა წინამძღოლი. სახელმწიფო საბჭომ 1826 წლის 25 მარტს სცნო თავადის ხარისხში. დაქორწინებული იყო (1804) თავადის ასულ **ანასტასია ელიზბარის ასულ ერისთავზე (ქსნის)**.

63/53. **მიხეილ ლუარსაბის ძე** (1865–?). დაქორწინებული იყო თავადის ასულ **მარიამ დონიკოს ასულ ანდრონიკაშვილ (ანდრონიკაშვილზე)** (ცხრილი 2).

65/54. **გიორგი ალექსანდრეს ძე** (1865–?). დაქორწინებული იყო თავადის ასულ **ნინა ემანუელის ასულ ანდრონიკაშვილზე** (1871–1943).

66/54. **ანნა ალექსანდრეს ასული** (1867–1911). გათხოვილი იყო თავად **დავით იოსების ძე ერისთავზე (არაგვის)** (1854–?).

67/54. **ივანე ალექსანდრეს ძე** (1869–1919). დაქორწინებული იყო თავადის ასულ **ბარბარე ზაქარიას ასულ აგალიშვილზე** (1876–?). კახეთის საგვარეულოდან.

68/57. **დავით ილიას ძე („შავი დათა")** (1863–?). 1907 წელს კოლეჯის მდივანი, იასაული. დაქორწინებული იყო თავადის ასულ **მარიამ გიორგის ასულ ყარალაშვილზე**.

69/59. **ეკატერინე ალექსანდრეს ასული** (1867–1924). პირველი ქორწინებით გათხოვილი იყო თავად **ზაქარია ადამის ძე ქობულაშვილზე** (1860–?). მეორეთი – თავად **ილია მიხეილის ძე თარხან-მოურავზე** (1862–1912).

70/54. **ელენე ალექსანდრეს ასული** (1871–?). გათხოვილი იყო (1895) თავად **სოლომონ ალექსანდრეს ძე ბებუთაშვილზე** (1859–?).

**თავადის ასული თამარა ივანეს ასული ანდრონიკაშვილი** (№ 110, ცხრილი 1).

71/59. **გიორგი ალექსანდრეს ძე** (1875–1911). ჰუსართა პოლკის პოლკოვნი-

კი. მსახურობდა ვარშავაში. თავისი რაზმით ებრძოდა ბანდიტებს კავკასიაში, მოხვდა გარემოცვაში და მოკლულ იქნა. დაქორწინებული იყო **ეკატერინე სიმონის ასულ სლივაცკიზე** (1877–1947).

72/61. **ბარბარე თამაზის ასული** (1811–?), გათხოვილი იყო თავად **სულხან რევაზის ძე ვახვახიშვილზე** (1802–1841)...

**თავადის ასული ინესა ალექსანდრეს ასული ანდრონიკაშვილი** (№ 131, ცხრილი 1) მეუღლე **ზურაბ კონსტანტინეს ძე წერეთელი**.

74/61. **დარეჯან (დარია) თამაზის ასული** (1816–?), გათხოვილი იყო თავად **ბიძინა გიორგის ძე ჩოლოყაშვილზე** (1812–?).

75/61. **დიმიტრი თამაზის ძე** (1819–?), დაქორწინებული იყო თავადის ასულ **ელენე დიმიტრის ასულ ანდრონიკაშვილზე**.

76/61. **სიმონ თამაზის ძე** (1823–?), სასახლის მრჩეველი, ქალაქის თავი თელავში. დაქორწინებული იყო (1849) თავადის ასულ **თებრონე გიორგის ასულ რუსიშვილ-ყორჩიბაშიზე**.

83/71. **ნატალია გიორგის ასული** (ვარშავა, 1904–1954), უხმო და ხმოვანი კინოს ცნობილი ქართველი მსახიობი **ნატო ანდრონიკაშვილი** (პირველი ქორწინებით ვაჩნაძე), საქართველოს სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი (II ხარისხის), შრომის წითელი დროშის ორდენის კავალერი. დაიღუპა ავიაკატასტროფაში მოსკოვი–თბილისი. პირველი ქორწინებით გათხოვილი იყო თავად **მურაზ ნიკოლოზის ძე ვაჩნაძეზე**, მეორეთი – ცნობილ კინორეჟისორ **ნიკოლოზ შენგელაიაზე**. მეორე ქორწინებიდან ჰყავს შვილები – **ელდარ და გიორგი შენგელაიები**, ცნობილი ქართველი რეჟისორები.

84/71. **ალექსანდრე გიორგის ძე** (1907–1993), ინჟინერი. პირველი ქორწინებით ცოლად ჰყავდა **ნინა (ნუნუ) კილასონიძე**, მეორეთი – თავადის ასული **ეკატერინე გიორგის ასული ჯორჯაძე** (1924–1976).

85/71. **კირა გიორგის ასული** (1909–1960), მსახიობი, პირველი ქორწინებით ცოლად ჰყავდა ცნობილ მწერალს **ბორის ანდრიას ძე პილნიაკს** (1894–1941) (მისი ნამდვილი გვარი იყო ვოგაუ, მისი მშობლები იყვნენ ვოლგელი გერმანელები, იყვნენ რეპრესირებულები). მათი შვილი **ბორის ბორისის ძე** (1934–1996), ცნობილი ქართველი მწერალი, ატარებდა დედის გვარს – **ანდრონიკაშვილი**; იმავე გვარს ატარებენ მისი შვილები – **კირა** (დაბ. 1970) და **ალექსანდრე** (დაბ. 1973). მეორე ქორწინებით თავადის ასული **კირა გიორგის ასული** ცოლად ჰყავდა თავად **ირაკლი ალექსანდრეს ძე ამირეჯიბს** (1907–1969).

87/75. **ივანე დემეტრეს ძე** (1852–?), თელავის ქალაქის თავი. დაქორწინებული იყო **ეკატერინე კონსტანტინეს ასულ მამაცაშვილზე** (გენერალ-ლეიტენანტ **კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილის** ქალიშვილი, მ. ი. ლერმონტოვის მეგობარი).

88/75. **ლევან დემეტრეს ძე** (1857–?), კოლეჯის მრჩეველი, დაქორწინებული

იყო ანნა ზაქარიას ასულ ანდრონიკაშვილზე.

93/76. **ალექსანდრე** სიმონის ძე (1871–1923), გენერალ-მაიორი, დაქორწინებული იყო მარიამ ივანეს ასულ ტერიშვილზე.

94/77. **მარიამ** ზაქარიას ასული (1856–?), გათხოვილი იყო თავად დიმიტრი ნიკოლოზის ძე (ბებური) გაჩნაძეზე (1852–1918).

95/77. **დარო** ზაქარიას ასული (1861–/(, გათხოვილი იყო თავად ივანე გიორგის ძე (ბებური) გაჩნაძეზე (1847–?).

107/87. **კონსტანტინე** ივანეს ძე (1889–1962), პირველი ქორწინებით ცოლად ჰყავდა თავადის ასული დარო იოსების ასული რატიშვილი (1896–1953), მეორეთ – მარიამ ნიკოლოზის ასული ბაგბაევა.

108/87. **ელენე** ივანეს ასული (1890–1984), ცხოვრობდა პარიზში, მეუღლე – ლეონიდ მიტროფანის ძე კაზანსკი.

110/87. **თამარა** ივანეს ასული (1897–?), ცხოვრობდა გერმანიაში, მეუღლე – არსენ სერგის ძებრუტი, გერმანელი.

111/87. **მარიამ** ივანეს ასული (1899–1980), ცხოვრობდა მოსკოვში, გათხოვილი იყო მიხეილ პოტაპოვზე.

112/87. **ალექსანდრე** ივანეს ძე (ტფილისი, 1900–1939), ინჟინერ ხიდმშენებელი, დაქორწინებული იყო აზნაურიშვილ თამარა დავითის ასულ ლოლობერიძეზე (ტფილისი, 1900–1940), მემამულე დავით ნიკოლოზის ძე ლოლობერიძის ქალიშვილი, რომელიც ჰყავდა მარიამ ნიკოლოზის ასულ მელიქიშვილთან ქორწინებაში.

113/87. **ნინა** ივანეს ასული (1910–1953), რუსული მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობი თბილისში, ინგლისური ენის უფროსი მასწავლებელი.

114/91. **მარგარიტა** გიორგის ასული (1884–1942), გათხოვილი იყო თავად ილია მიხეილის ძე ციციშვილზე (1884–1937).

126/106. **ეკატერინე (ეკა)** მერაბის ასული (დ. 1972), თავად გიორგი ცოტნეს ძე ნაკაშიძის მეუღლე (დ. 1973).

131/112. **ინესა** ალექსანდრეს ასული (დ. 1937), დაამთავრა ორატორული ხელოვნების კურსები და თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტი (1973). გარდაიცვალა 1999 წელს. გათხოვილი იყო მამამულე ზურაბ კონსტანტინეს ძე წერეთელზე (დ. თბილისში, 1934), ცნობილი ფერმწერი; იგი საქართველოს და რუსეთის სახელხო მხატვარია, რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი, დიზაინის საერთაშორისო ფონდის, იუნესკოსადმი მხარდამჭერი. მოსკოვის საერთაშორისო ფონდების პრეზიდენტი, საბავშვო სასწაულთა პარკის ფონდის პრეზიდენტი, აქვს იუნესკოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რანგი. მათ ჰყავთ ქალიშვილი ელენე (ლიკა) ზურაბის ასული წერეთელი (დაბ. თბილისში, 4.09.1959), მხატვარი, ხელოვნებამთცოდნეობის კანდიდატი, რუსეთის იმპერატორის სახლის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისთვის დაჯილდოებულია ოქროს ნიშნით, რომელზეც

ამოტვიფრულია დიდი დედოფლის ლეონიდა გიორგის ასულის ბარელიეფი (4.04.1997); მას ჰყავს ვაჟიშვილები ვასილ მიხეილის ძე წერეთელი (დაბ. 1978), მხატვარი და ზურაბ რევაზის ძე მახარაძე (დაბ. 1987), მოსწავლე.

თავად გარსევან ანდრონიკაშვილის შთამომავლობის შტო

IV თაობა გარსევანიდან – თავადი პაპუნა (პაპუა) იესეს ძე ანდრონიკაშვილი

V მელქისედეკი – იესე (იასე) – ქეთევანი 1754–1782 – რევაზი

VI იოსები (1785–?) – პელაგია (მარიამი) 1774–1830 – მელქისედეკი (მალხაზი) 1773–1822 – ადამი (ივანე) 1775–1854;

VII იასე – (იესე) 1798–1863 – ივანე 1796–1868 – ნინა 814–? – ანასტასია – 1818–1842 – ზურაბი – (ივანე) 1820–1871 – იასე (იესე) 1822–1892 – გიორგი 1829–?

VIII მალხაზი 1826–1839 – ელენე 1832–? – არჩილი 1834–1864 – ბარბარე 1835–? – ქეთევანი – დავითი 1863–1918 – ანა 1866–1945 – გიორგი 1868–? – იოსები 1860–1940;

IX სოლომონი 1859–1896 – მელქისედეკი (მალხაზი) 1860–1930 – მარიამი (1861–? – მიხეილი (მერაბი) – 1862–1880 არჩილი (კონსტანტინე) 1864–? – ადამი (1888–1947 – ივანე 1892–1958 – იასე (იესე) 1897–1943 – ნინა 1900–1982 – მიხეილი 1910–1992 – გიორგი 1889–1960 – ანდრონიკე 1900–1990;

X ელენე 1887–1951 – არჩილი 1889–? – ანნა 1891–1916 – ივანე 1892–1973 მიხეილი 1894–1986 – სოლომონი 1896–1924– ნინა 1889–1962 – ივანე 1896–1916 ბარბარე 1898–1986 დიმიტრი 1910–?– მალხაზი რუსუდანი დ. 1925 ნატო დ. 1939– ზურაბი დ. 1947 –გიორგი დ. 1950 – ანა, თეიმურაზი დ. 1928 დუშანი დ. 1934

XI ანა 1818–1919 – ეკატერინე დ. 1939 – თამარა დ. 1940 – მალხაზი დ. 1948 თეა დ. 1971– მიხეილი დ. 1974 – ირაკლი დ. 1987 – გიორგი დ. 1961 – ირინე დ. 1963 – როზანკა დ. 1959 – მიხეილი დ. 1966

XII დიმიტრი დ. 1975 – ივანე დ. 1982 – ნიკოლოზი დ. 1985 – ქეთევანი დ. 1983 – თეიმურაზი დ. 1989.

ანდრონიკაშვილთა ამ შტოდან მეტ-ნაკლებად ცნობილნი არიან:

იესე (იასე) (?–1826–მდე), ქიზიყის მოურავი.

ქეთევანი (1754–1782), 1766 წელს ცოლად გაჰყვა ბატონიშვილ გიორგი ერეკლეს ძეს (1746–1800), საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის შვილი (1798–1800); მისი პირველი ცოლი.

რევაზი, ქიზიყის მოურავი, სარდალი. დაქორწინებული იყო მარიამ ბეგუმზე, ბატონიშვილ აბდულაბეგ იესეს ძეს ქალიშვილზე. პირველ ქორწინებაში გათხოვილი იყო თავრიზის მფლობელ აზატ-ხანზე.

იოსები (1765–1830–ის შემდეგ), ქიზიყისა და სიღნაღის მოურავი, სარდალი, პოლკოვნიკი. სახელმწიფო საბჭოს მიერ 1826 წლის 25 მარტს იგი შთამომავლობით

და მისი დისშვილი ივანე მალხაზის ძე ცნობილი იქნენ თავადის ხარისხში. დაქორწინებული იყო თავადის ასულ ალონა ასპანის ასულ ამირეჯიბზე

პელაგია (მარიამი) (1771–1830), გათხოვილი იყო თავად პაატა ბეზანის ძე ჭავჭავაძეზე (1771–?).

მელქისედეკ (მალხაზი) (1773–1822), დაქორწინებული იყო (1795) დედოფალ მარიამ არჩილის ასულზე (1775–1854), იმერეთის მეფის სოლომონ I-ის დაზე.

ადამ (ივანე) (1775–1854), დაქორწინებული იყო (1810) თავადის ასულ თინათინ ივანეს ასულ ანდრონიკაშვილზე (1778–1822).

იესე იოსების ძე (1798–1863), პოლკოვნიკი, შემდეგ გენერალ-ადიუტანტი. პირველი ქორწინებით ცოლად ჰყავდა თავადის ასული ნინა ზაქარიას ასული ანდრონიკაშვილი (?–1841), (№ 32, ცხრ. 1), მეორეთი (1842) – თავადის ასული სალომე ქაიხოსროს ასული წერეთელი (1810–1898).

ივანე მალხაზის ძე (1796–1868), კავალერიის გენერალი. 1817 წელს სამსახური დაიწყო ლეიბ-გვარდიულ საცხენოსნო პოლკში, კორნეტი (1818). 1824 წელს გადაიყვანეს მაიორად ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში, კავკასიაში. რუსეთ-ირანის ომის დროს 1826–1828 წ.წ. ელისაბედპოლთან ბა აბასს-აბადთან გამოიჩინა განსაკუთრებული მამაცობა და დაჯილდოებულ იქნა წმ. ვლადიმერის მე-4 ხარისხის ორდენით ბაფთით. მონაწილეობა მიიღო სარდარ-აბაზისა და ახალციხის აღებაში. 1829 წელს ხელმძღვანელობდა ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკს, გამოირჩეოდა გამაგრებული პუნქტის – ბეიბურთის აღებისას. დაჯილდოებული იქნა წმ. გიორგის მე-4 და წმ. ანნას მე-2 ხარისხის ორდენებით, ბრილიანტებით. 19 წელიწადი მონაწილეობდა მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლებში. დაღესტანში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება. დაჯილდოებული იქნა წმ. სტანისლავის I ხარისხის ორდენით (1847). 1849 წელს თავად მ. ს. ვორონცოვის დაყინებით მიიღო ტიფლისის სამხედრო და სამოქალაქო გუბერნატორის თანამდებობა და ეკავა იგი 1856 წლამდე. მოახერხა უსისხლოდ დაეწყნარებინა ახალციხის გლეხთა მღელვარება, ასევე ჩაახშო გლეხთა უკმაყოფილება ოსეთში. 1850 წელს მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის წოდება. თურქეთთან ომის დაწყების წინ ხელმძღვანელობდა 5-ათასიან რაზმს, იგი დაყო მან ახალციხეში 20-ათასიან კორპუსად, რისთვისაც მიენიჭა წმ. გიორგის III ხარისხის ორდენი (1853). შემდგომ წელს მან ჯარი დაყო 10-ათასიან რაზმად და ჩოლოყთან დაამარცხა სელიმ-ფაშას 30-ათასიანი ლაშქარი და დაჯილდოებული იქნა წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენით. ომის დამთავრების შემდეგ შეყვანილი იქნა მხედართმთავრებში (1856). კავალერიის ნეგერალი (1868). დაქორწინებული იყო ნინაზე (1807–1847), იმერეთის ბატონიშვილ კონსტანტინეს ქალიშვილზე, დალოცა ქართველმა ბატონიშვილმა დავით გიორგის ძემ.

ნინა მალხაზის ასული, გათხოვილი იყო თავად გიორგი ბეჟანის ძე ერისთავზე (არაგვის) (1787–1822).

**ნინა** ადამის ასული (ივანეს ასული). ცოლად ჰყავდა თავად **ივანეს გასიელის ძე გაჩნაძეს** (ბებურ-ეაჩნაძის ოჯახიდან) (1805-?).

**ანასტასია** ადამის ასული (ივანეს ასული) (1818-1842), გათხოვილი იყო თავად **თამაზ (თომა) დიმიტრის ძე ჯორჯაძეზე** (1810-1884).

**ზურაბ (ივანე)** ადამის ძე (ივანეს ძე) (1820-1871), დაქორწინებული იყო თავადის ასულ **ელისაბედ (ბებე) ზურაბის ასულ ჭავჭავაძეზე** (1832-1897).

**იასე (იესე)** ადამის ძე (ივანეს ძე) (1822-1892), ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი.

**გიორგი** ადამის ძე (ივანეს ძე) (1829-?), დაქორწინებული იყო (1859?) თავადის ასულ **თამარ ივანეს ასულ ავალიშვილზე**.

თავადის ასული **გურანდუხტ (თურანდოტ) ალექსანდრეს ასული ანდრონიკაშვილი**

**ელენე** ივანეს ასული (1(832-?), გათხოვილი იყო (1856) **თავად ილია ზაალის ძე ჩოლოყაშვილზე**.

**არჩილ** ივანეს ძე (1834-1864), გვარდიის შტაბს-როტმისტრი. დაქორწინებული იყო თავადის ასულ **ბარბარე მურაბის ასულ ანდრონიკაშვილზე** (76, ცხრ. 55).

**ბარბარე** ივანეს ასული (1835-?), ფრეილინა; ცოლად გაჰყვა (1856) თავად **ალექსანდრე გიორგის ძე თუმანიშვილს** (1821-1872).

**ქეთევან** ზურაბის ასული (ივანეს ასული), გათხოვილი იყო თავად **გიორგი სოლომონის ძე ყარალაშვილზე**.

**დავით** ზურაბის ძე („თეთრი დათა") (1863-1918), დაქორწინებული იყო აზნაურიშვილ **ნატო მიხეილის ასულ გოგნიაშვილზე** (1861-1941).

**ანა** ზურაბის ასული (ივანეს ასული), გათხოვილი იყო თავად **ნიკოლოზ თომას ძე გაჩნაძეზე**.

**სოლომონ** არჩილის ძე (1859-1896), დაქორწინებული იყო თავადის ასულ **ნადეჟდა დიმიტრის ასულ ერისთავზე** (გურიის) (1875-1965).

**მელქისედეკ (მალხაზ)** არჩილის ძე (1860-1930), ტიფლისის გუბერნიის სიღნაღის მემამულეთა მაზრის წინამძღოლი.

**მარიამ** არჩილის ასული (1861-?), ცოლად ჰყავდა თავად **სიმონ გიორგის ძე წერეთელს** (1843-?).

თავადი **ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილი**.

**გიორგი** იოსების ძე (1889-1960), დიპლომირებული ინჟინერი. 1912 წელს დაამთავრა პარლსრეუს უმაღლესი ტექნიკური ინსტიტუტი (გერმანია). დაქორწინებული იყო **მარიამ კონსტანტინეს ასულ მესხიშვილზე** (1900-1976). დაამთავრა ტიფლისის წმ. ნინოს მემამულეთა სასწავლებელი.

**თეიმურაზ** გიორგის ძე (დ. თბილისში, 1928). დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1953). 1956-57 წლებში სწავლობდა სსრ კავშირის ნავთობის ინსტიტუტის ასპირანტურაში, კანდიდატი (1957), შემდეგ – ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორი (1972). ქიმიკოს-ქრომატოგრაფი. საქართველოს მეცნიერებათა

აკადემიის ნამდვილი წევრი (1988). აკადემიის ჟურნალის მთავარი რედაქტორი. ცელულოზებისა და ქრომატოგრაფიის კვლევისა და გამოყენების დარგის დიდი სპეციალისტი. 400-ზე მეტი მონოგრაფიისა და სამეცნიერო შრომის ავტორი და თანაავტორი რუსულ, ინგლისურ და პოლონურ ენებზე. მრავალი საბჭოს წევრი, საქართველოს ცელულოზის სამეცნიერო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. საქართველოს მემამულეთა კრების სამმართველოს წევრი. დაქორწინებულია **ნათელა მიხეილის ასულ ოკუჯავაზე**.

**გიორგი თეიმურაზის ძე** (დაბ. 1957).

**ირინა თეიმურაზის ასული** (დაბ. 1963, ექიმი).

თავად იესე იოსების ძე **ანდრონიკაშვილის** საშუალო წრის საგვარეულო ხიდან, რომლებიც მომდინარეობენ გარსევანიდან, ცნობილი არიან:

**ზაქარია იესეს ძე** (1829-1905), კახეთში (თელავის მაზრა) ღვინოსაქმის მამულის მფლობელი მელაანში. ანდრონიკაშვილების თავადთა სიაში ჩარიცხული იქნა 1854 წლის 13 იანვარს.

**იოსებ ზაქარიას ძე** (1855-1940), გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე. სწავლობდა პეტერბურგში, ინჟინერი, რკინიგზის სპეციალისტი, სამშენებლო საქმის დიდი მცოდნე, სახელმძღვანელოების ავტორი, მუსიკოსი, ტიფლისის რუსული მუსიკალური საზოგადოების განყოფილების, საქართველოს დრამატული საზოგადოებისა და ქართული კლუბის დამაარსებელი. მეგობრობდა პ.ი. ჩაიკოვსკისთან. პირველი ქორწინებით ცოლად ჰყავდა (1882) მემამულე **ელენე მიხეილის ასული ჯორჯაძე**, მეორეთი – თავადის ასული **ოლღა ივანეს ასული ჯორჯაძე** (1875-1960).

**თავადის ასული სალომე ქაიხოსროს ასული ანდრონიკაშვილი** (ქალიშვილობის გვარით წერეთელი, 1810-1889).

**გიორგი ზაქარიას ძე** (1858-1928), დაქორწინებული იყო **ელენე ზაქარიას ასულ ზაგრიევზე** (1870-1944).

**ნინა ზაქარიას ასული** (1861-1942), გათხოვილი იყო თავად **ილია გიორგის ძე ჯორჯაძეზე** (1861-?).

**ივანე (ნიკოლოზის ძე) ზაქარიას ძე**, აგრონომი, სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალების გამომცემელი, ქალაქ ბათუმის თავი (1902-1916), დაქორწინებული იყო **ლიდა ნიკოლოზის ასულ პლუშევსკი-პლუშჩიკ-მურატოვაზე** (1861-1953).

**ელენე ზაქარიას ასული** (1873-1956), გათხოვილი იყო მემამულე **გიორგი ივანეს ძე ბაქრაძეზე** (1875-1939).

**სოფიო ზაქარიას ასული** (1877-1954), გათხოვილი იყო მემამულე **ილია სიმონის ძე ლომიძეზე** (1883-1939).

**კომნენ იოსების ძე** (თელავი, 1908 – მოსკოვი, 1988), საგზაო ინჟინერი. პირველი ქორწინებით ცოლად ჰყავდა **მარინე პეტრეს ასული უკრაინსკა** (1908-?), მეორეთი – **ზინაიდა ეფიმეს ასული ერმაკოვა** (დ. მოსკოვში, 1924).

**ნატალია გიორგის ასული** (1895–1978), გათხოვილი იყო **ტიგრან თარაშვილზე** (1888–?).

**მარიამ ნიკოლოზის ასული (ივანეს ასული)** (1891–1976), გათხოვილი იყო **ზაქარია შარაშიძეზე**.

**იასე (იესე) ნიკოლოზის ძე (ივანეს ძე)**, (ტიფლისი, 1893–1937, დაქორწინებული იყო **ელენე კონსტანტინეს ასულ გახტერზე** (ს. პეტერბურგი№ 1894 – პასსი, საფრანგეთი, 1938), საიდუმლო მრჩევლის ქალიშვილი. დაკრძალული იქნა ბანიოლის სასაფლაოზე. შემდგომ გადაასვენეს სენტ–ჟენევიევ–დე–ბუას სასაფლაოზე.

**თავადი ანდრონიკაშვილი (VII თაობა) გარსევანიდან:**

**თავადი იასე (იესე)** იოსების ძე 1798–1863 – **ზაქარია** 1829–1905 – **იოსები**– 1855–1940 – **გიორგი** 1856–1928 – **ნინა** 1862–1942 – **ნიკოლოზი** 1863–1944 – **ელენე** 1873–1956 – **სოფიო** 1877–1954; – **კომნენი** 1908/9–1988 – **თამარი** 1888–? – **ნატალია** 1895–1978 – **სალომე** 1888–1982 – **მარიამი** 1891–1976 – **იასე (იესე)** 1894–1937; – **თინათინი** დ. 1954 – **კონსტანტინე ემანუელი** დ. 1947– **ანა** დ. 1949 – **მარკი** დ. 1960 – **ვენერა** დ. 1972 – **ალექსისი (ალექსი)**;

*ამ შტოდან ცნობილი არიან:*

**თინათინ კომნენის ასული** (დ. თბილისში, 1954), ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, ინგლისური თეატრის სპეციალისტი.

**კონსტანტინე იესეს ძე** (1916, პარიზი – 1997), ღვთისმეტყველების დოქტორი, პარიზის სვიატოსერგიევსკის ინსტიტუტის პროფესორი. იყო საფრანგეთის პრეზიდენტების – შარლ დე გოლისა და ჟორჟ პომპიდუს თარჯიმანი. საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი. პირველ ცოლად ჰყავდა (1946) **ნატალია ალექსანდრეს ასული კურისი** (პრაღა, 1924 – პარიზი, 1983), ალექსანდრე ალექსანდრეს ძე კურისისა და ბარონესა მარია იურევის ასულ მეიენდორფის ქალიშვილი; დაქვრივების შემდეგ, 1889 წელს დაქორწინდა **იოანნე (ჟოჰანე, ჟანნე) იაკობის ასულ ვუდზე** (დ. ხარბინში, 1926) ბრიტანელი ოფიცრის ქალიშვილზე (შოტლანდიელი ჯ. ვუდი, რომელიც 20–იან წლებში მსახურობდა მოსკოვში. ქალიშვილი მას ჰყავდა გრაფინია ვალენტინა გიორგის ასულ კამენსკისთან).

**ემანუელ კონსტანტინეს ძე** (დ. პარიზში, 1947), პირველი ქორწინებით ცოლად ჰყავდა **ტერეზა მარია მადლენ არმინიონი** (დ. მარსელში, 1948), გაცილდა პარიზში (1977). მისი მეორე მეუღლე (პარიზი, 1979) იყო ამერიკელი ქალბატონი **ბეთსი ელენა ბაიდებაზი** (დ. ორანჯ, კალიფორნია, 1947). პირველი ქორწინებიდან ჰყავს ქალიშვილი, მეორიდან – ვაჟიშვილი.

**ანნა კონსტანტინეს ასული** (პარიზი, 1949), ფსიქოლოგიის დოქტორი. მისი მეუღლე (პარიზი, 1972) ადვოკატი **გასტონ პიერ ჟოზეფ ზანგლადე** (დ. 1948), მათ ჰყავთ შვილები **ელისაბედი და დამიენი**.

**მარკ კონსტანტინეს ძე** (დ. პარიზი, 1960) ექიმი.

გარსევანის შთამომავლობის უმცროსი შტოდან ცნობილი არიან:

**სოლომონ ზურაბის ძე (?–1826–მდე), მეითარი.**

**ეფემია სოლომონის ასული** (1770–1841). გათხოვილი იყო **ყაფლან ლუარსაბისძე ვაჩნაძეზე** (ონანი ვაჩნაძის ოჯახიდან).

**რუსუდან სოლომონის ასული.** გათხოვილი იყო (1869) თავად **როსტომ გიორგის ძე ჯორჯაძეზე** (1770–?).

**ნინა სოლომონის ასული,** გათხოვილი იყო თავად **მირმანოზ დავითის ძე ერისთავზე** (?–1828).

**ივანე სოლომონის ძე** (1786–1848). პორუჩიკი. იასაული. სახელმწიფო საბჭოს 1826 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებით. იგი და მისი ძმა **ზურაბი** მიჩნეული იქნენ თავადობის ხარისხში. დაქორწინებული იყო (1808) თავადის ასულ **ანასტასია ივანეს ასულ ანდრონიკაშვილზე (1788–1828).**

**მაგდანა სოლომონის ასული** (1787–1864). გათხოვილი იყო თავად **ივანე ასლანის ძე ვაჩნაძეზე** (1777–?) (ედიშერ ვაჩნაძის ოჯახიდან).

**ზურაბ (ზაქარია) სოლომონის ძე** (1790–1837), დაქორწინებული იყო (1822) **ბარბარე მიხეილის ასულ სარაჯიშვილზე.**

**სოლომონ ივანეს ძე** (1812–1868). პოლკოვნიკი. დაქორწინებული იყო თავადის ასულ **ნინა სოლომონის ასულ ჩოლოყაშვილზე** (1829–1918).

**რევაზ ივანეს ძე** (1814–1877), გენერალ-ლეიტენანტი.

დარია ივანეს ასული (1815–?). გათხოვილი იყო *ზაქარია აბელის ძე ანდრონიკაშვილზე* (1810–?).

IV თაობა გარსევანიდან – **თავადი ზურაბ იესეს ძე ანდრონიკაშვილი** (ცხრ. 2).

**აბელ ივანეს ძე** (1825–1870). პირველი ქორწინებით ცოლად ჰყავდა თავადის ასული **ანა ორბელიანი** (1832–1847), მეორეთი – თავადის ასული **ქეთევან მიხეილის ასული ჩოლოყაშვილი** (1829–1885).

**ელენე ზურაბის ასული** (1827–1858). გათხოვილი იყო (1843) თავად **რამაზ იოსების ძე ვაჩნაძეზე** (1819–?).

**რუსუდან ზურაბის ასული** (1831–1914). გათხოვილი იყო (1851) თავად **გიორგი იოსების ძე ჩოლოყაშვილზე** (1813–?).

**გიორგი (გრიგოლი) ზურაბის ძე** (1833–1894), დაკრძალულია პეტერბურგში, სმოლენსკის მართლმადიდებლურ ეკლესიაში.

**ანასტასია აბელის ასული** (1851–?). გათხოვილი იყო თავად **ქაიხოსრო ქაიხოსროს ძე ხერხეულიძეზე** (1835–?).

**მიხეილ (მიშუშა) აბელის ძე** (1852–1882), როტმისტრი. დაქორწინებული იყო (სტავროპოლში, 1873). ბარონესა **სოფიო აგნეს ევა ფონ უნგერნ შტერნბერგი** (ესენტუკი 1852–1884), კავალერიის გენერალ ბარონ ლეონგარდ კარლოვის ფონ

# თავადი ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი)

ცხრილი 2



უნგერნ-შტერნბერგისა და მარია ლუიზა იოზეფინა გაგის ქალიშვილი. დაკრძალულია პეტერბურგში, სმოლენსკის სასაფლაოზე.

**ზაქარია გიორგის ძე** (1862–?), გუბერნიის მდივანი. 1917 წელს ცხოვრობდა პეტერბურგში (ნევის გამზირი, ბ. 81).

**მიხეილ მიხეილის ძე** (1875–1919), გრიგოლ რასპუტინის ცნობილი „თანამებრძოლი".

**ვლადიმერ მიხეილის ძე** (1877, მიუნხენი – 1943), ულანსკის იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულის ლეიბ-გვარდიის პოლკის პოლკოვნიკი, მემუარისტის სიტყვებით, „იყო უაღრესად მოწესრიგებული და ოფიცრებისთვის საყვარელი ამხანაგი". დაქორწინებული იყო (გერმანიაში 1928) **ბარონესა მარგარიტა მატილდა (ეიზის) ფონ ვრანგელზე** (მოსკოვი, 1875, შტუტგარტი, გერმანია, 1932), ბარონ, პოლკოვნიკ კარლ კარლოვის ძე ფონ ვრანგელისა და მისი მეუღლის იდას ქალიშვილი. იყო შტუტგარტში უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სკოლის პროფესორი, მცენარეთა კვების ინსტიტუტის დამაარსებელი და ხელმძღვანელი.

**თამარა ვლადიმერის ასული** (1899–1958), გათხოვილი იყო **თამაზ მალხაზ (ასლან) ირაკლის ძე ჭავჭავაძეზე** (1896–1924).

თავად მერაბ ანდრონიკაშვილისგან წარმოქმნილი თავად ანდრონიკაშვილთა საგვარეულო მისმა უდიდებულესობამ 1850 წლის 6 დეკემბერს დაამტკიცა თავადობის ხარისხში, რომელთაგან ნაწილი ჩაწერეს **ანდრონიკაშვილად**, ხოლო ნაწილი კი – **ენდრონიკაშვილად**. ისინი შეტანილი არიან საქართველოს თავადთა საოჯახო სიაში.

**მერაბ ანდრონიკაშვილის შთამომავალთა უფროსი შტოს საგვარეულო ხე წარმოდგენილია მე–3 ცხრილში. მათგან შედარებით ცნობილი არიან:**

**რამაზი**, მდივანბეგი (მოიხსენიება 1760–1773 წ.წ.). დაქორწინებული იყო თავადის ასულ **ელისაბედ ელიზბარის ასულ ორბელიანზე**.

**ოტია**, მდივანბეგი (მოიხსენიება 1762–1785 წ.წ.).

**დიმიტრი დავითის ძე** (1763–1838), დაქორწინებული იყო თავადის ასულ **ქეთევან ქაიხოსროს ასულ რუსიშვილზე**.

**ივანე დავითის ასული** (1768–1846), პოდპოლკოვნიკი, დაქორწინებული იყო **სალომე ვახუშტის ასულ ჯავახიშვილზე** (1778–1844).

**მარიამ დავითის ასული** (1769–1837), 1784 წელს ცოლად გაჰყვა ბატონიშვილ **ვახტანგ (ალმასხან) ერეკლეს ძეს** (1761–1814).

**ქეთევან დავითის ასული**, გათხოვილი იყო თავად **როსებ ზაალისძე ჯანდიერზე**.

**იოსები** (მონაზვნობაში იოსთოსი) **რამაზის ძე** (?–1823), იერომონაზონი.

**მარიამ რამაზის ასული** (?–1826), გათხოვილი იყო თავად **იოსებ ივანეს ძე შალიკაშვილზე** (1775–?).

**ერასტი ვასილის ძე** (1774–1856), დაქორწინებული იყო თავად **მართა ივანეს ასულ ვაჩნაძეზე** (ზემურ ვაჩნაძის ოჯახიდან).

**სოფიო დიმიტრის ასული**, გათხოვილი იყო თავად **ნოშრევან ქაიხოსროს ძე**

# თავადი ანდრონიკაშვილი (ენდრონიკოვი)

ცხრილი 3



ჯორჯაძეზე (1780–?).

სიდონია დიმიტრის ასული (1795–?), გათხოვდა (1810) თავად როსებ ზაალის ძე ჯანდიერზე (1785–?).

ალექსანდრე დიმიტრის ძე, პორუჩიკი. მოიხსენიება 1818 წელს.

დავით ივანეს ძე (1810–?), 1850 წელს პრაპორშჩიკი. შთამომავლობასთან ერთად დამტკიცებული იქნა თავადის ხარისხში. დაქორწინებული იყო თავადის ასულ სოფიო ბარძიმის ასულ ამილახვარზე (1811–?).

რამაზ ივანეს ძე (1812–1885), კოლეჟის მრჩეველი. 1850 წელს შთამომავლობასთან ერთად დამტკიცებული იქნა თავადის ხარისხში. დაქორწინებული იყო (1839) თავადის ასულ ანასტასია ივანეს ასულ რუსიშვილზე (1821–>).

ზაქარია ივანეს ძე (1814–1854), შტაბს-კაპიტანი. 1850 წელს დამტკიცებული იქნა თავადის ხარისხი.

ალექსანდრე ივანეს ძე (1816–?), კაპიტანი.

ნატო ივანეს ასული 1819–?), გათხოვილი იყო (1832) თავად ზურაბ დავითის ძე აბაშიძეზე (1807–?).

გიორგი მიხეილის ძე (1818–?), პრაპორშჩიკი, დაქორწინებული იყო (1840) თავადის ასულ მარიამ მაყას ასულ მაყაშვილზე.

ევდოკია მიხეილის ასული (1822–>), გათხოვილი იყო (1839) თავად სიმონ იოსებისძე შალიკაშვილზე (1808–1863).

ზურაბ ადამის ძე (1777–1842), დაქორწინებული იყო ნინა მზეჭაბუკის ასულ ორბელიანზე.

დიმიტრი ერასტის ძე (1807–1831), დაქორწინებული იყო (1828) თავადის ასულ ქეთევან ქაიხოსროს ასულ რუსიშვილ-ყორჩიბაშზე.



თავადი ზაქარია ნიკოლოზის ძე ანდრონიკაშვილი დედასთან ერთად (№ 88, ცხრ. 5)

თავადის ასული ივლიტა (ჭიჭოლა) ნიკოლოზის ასული ანდრონიკაშვილი (ქალიშვილობაში თავ. დადიანი)

ივანე იოსების ძე (1806–?), მეუღლესთან და ჩამომავლობასთან ერთად დამტკიცებული იქნა თავადის ხარისხში. დაქორწინებული იყო თავადის ასულ ელენე გრიგოლის ასულ ყარალაშვილზე.

ანა იოსების ასული (1807–?), გათხოვილი იყო თავად სიმონ ასლანის ძე გაჩნაძეზე (ონანო გაჩნაძის ოჯახიდან).

ნინა იოსების ასული (1808–?), გათხოვილი იყო თავად ივანე დავითის ძე ჯორჯაძეზე.

სალომე ალექსანდრეს ასული (?–1895), გათხოვილი იყო თავად დიმიტრი ივანეს ძე აფხაზზე.

ანასტასია დავითის ასული (1832–?), გათხოვილი იყო (1849) თავად ილია დავითის ძე აფხაზზე (1828–?).

ნინა დავითის ასული (1838-?), გათხოვილი იყო (1854) თავად ზაქარია თომას ძე ანდრონიკაშვილზე (877, ცხრ. 1).

ივანე დავითის ძე (1841–1904), დაქორწინებული იყო თავადის ასულ მელანო გიორგის ასულ ჭავჭავაძეზე (1857–1941).

ნიკოლოზ დავითის ძე (1844–1905), სამოქალაქო მრჩეველი, დაქორწინებული იყო თავადის ასულ ნინა ზაალის ასულ ბარათაშვილზე (1853–1925).

დარო რამაზის ასული (1846–?), გათხოვილი იყო თავად ივანე სულხანის ძე ჭავჭავაძეზე (1826–1913).

ივანე რამაზის ძე (1850–1905), დაქორწინებული იყო თავადის ასულ ანასტასია გრიგოლის ასულ ჯორჯაძეზე (1858–1929).

ანნა გიორგის ასული (1858–1931), გათხოვილი იყო თავად გიორგი სულხანის ძე გახვახიშვილზე (1840–1935).

ბარბარე მერაბის ასული 1839–1907), გათხოვილი იყო თავად არჩილ ივანეს ძე ანდრონიკაშვილზე.

თინათინ ივანეს ასული (1835–1921), გათხოვილი იყო (1853) თავად ალექსანდრე შერმაზანის ძე აფხაზზე.

ზაქარია ნიკოლოზის ძე (1880–1961), კოლეჯის ასესორი, პირველი ქორწინებით ცოლად ჰყავდა ალექსანდრა ნიკოლოზის ასული თაკოფლევა (1913), მეორეთი – თავადის ასული ივლიტა ნიკოლოზის ასული დადიანი (1890–1952).

ირაკლი ივანეს ძე (1878–1931), შტაბს-როტმისტრი განსაკუთრებულ დავალებათა ობერ-ოფიცერი კავკასიის მთავარმართებელთან დიდ თავად ნიკოლოზ ნიკოლოზის ძესთან (1916(. ძმასთან რომანთან ერთად (№ 90) სოფელ შილდაში ფლობდა მამულს (ტფილისის გუბერნიის თელავის მაზრა), დაქორწინებული იყო თამარ არჩილის ასულ ჭავჭავაძეზე (1879–1950).

რომან ივანეს ძე (1882–1911), შტაბს-როტმისტრი.

მარიამ დონიკოს ასული (?–1937), გათხოვილი იყო თავად მიხეილ ლუარსაბის ძე ანდრონიკაშვილზე.

ნინა დონიკოს ასული, გათხოვილი იყო თავად რომან ალექსანდრეს ძე ავალიშვილზე (1855–?, კახეთიდან).

95/83. ბარბარე იოსების ასული (?–1946), გათხოვილი იყო თავად ბარძიმ იოსების ძე ჩერქეზიშვილზე (1857–?).

დარია იოსების ასული (1874–1939), გათხოვილი იყო თავად ასე კონსტანტინეს ძე ვაჩნაძეზე (ბებური ვაჩნაძის ოჯახიდან) (1861–1924).

ივანე იოსების ძე (1887–1917), დაქორწინებული იყო ბარბარე დიმიტრის ასულ ციციშვილზე 1?–1914).

ელენე გრიგოლის ასული (1883–1943), გათხოვილი იყო თავად კონსტანტინე დავითის ძე ვაჩნაძეზე (1870–1924), (ბებური ვაჩნაძის ოჯახიდან).

თავადი ანდრონიკაშვილები – მერაბის II თაობა

თავადი ზურაბ ანდრონიკაშვილი. გვარის ამ ხაზის წარმომადგენლები უძველესი დროიდან ფლობდნენ სოფელ ზიარს და თავიანთი გვარის ფუძემდებლის მიხედვით იწოდებოდნენ ზურაბიშვილ–ანდრონიკაშვილებად. მათ შორის შედარებით ცნობილი არიან:

**ზურაბი**, მარტყოფის მოურავი, ყორჩიბაში (მოიხსენიება 1662–1694წ.წ.).

**ზაალი** (?–1715), ყორჩიბაში, მარტყოფის მოურავი.

**ნიკოლოზი** (?–1731), ალავერდის არქიეპისკოპოსი.

**ზაზა**, მარტყოფის მოურავი (მოიხსენიება 1729 წ.).

**ზაალი** (?–1803), მეტსახელად „კუზიანი". მოიხსენიება 1776 წელს. მეფე ერეკლე II–ისდროინდელი ცნობილი მხედართმთავარი, მარტყოფის მოურავი, მდივანბეგი.

**ზაზა (ზაქარია)** (?–1817), სახლთუხუცესი. მეფე გიორგი XII–მ გაგზავნა იმპერატორ პავლე I–თან იმ მოტივით, რომ რუსეთს მხარი დაეჭირა საქართველოსთვის, რათა ამ უკანასკნელს თავისი ურთიერთობაგანემტკიცებინა რუსეთის ხელისუფლებასთან. როცა პეტერბურგში ჩავიდა, მან შეიტყო, რომ კნორინგს მეფისთვის ჩაეტანა ამბავი და დაერწმუნებინა, რომ ქართველებს არ უყვართა და არ უნდათ მეფე. სამეფო გააუქმეს და ზაზა საქართველოში აღარ გამოუშვეს, რათა მას ამბავი არ ჩამოეტანა და არ აემხედრებინა ქართველები. იგი პეტერბურგში, მდინარე ნევაში დაიხრჩო.

**იოანე (ნინია) ზაალის ძე** (1760–1831), მარტყოფის მოურავი, შემდეგ – გენერალ–მაიორი. დაქორწინებული იყო თავადის ასულ **ბარბარე დავითის ასულ ორბელიანზე** (1777–>).

**იოსებ ზაალის ძე** (1820–მდე), ეშიკაღაბაში.

**ანდრონიკ (დონიკ) ზაალის ძე** (1786–?), პრაპორშჩიკი. 1850 წელს დამტკიცებული იქნა თავადის ხარისხში მეუღლესა და შთამომავლობასთან ერთად. დაქორწინებული იყო (1827) თავადის ასულ **ნინა იოსების ასულ ორბელიანზე**.

**ნიკოლოზ იოსების ძე** (1806–1856), პრაპორშჩიკი, 1850 წელს ცოლთან და შვილებთან ერთად დამტკიცებული იქნა თავადის ხარისხში. 1833 წელს დაქორწინდა თავადის ასულ **ანა სარდიონის ასულ ჯანდიერზე** (1816–1850) (1850 წელს მისმა მეუღლემ დაირქვა სახელად **ელენე**).

**ზაქარია (ზაალი) იოსების ძე** (1809–1854), პრაპორშჩიკი.

**ზაალ რევაზის ძე** (1813–?), პრაპორშჩიკი.

**სპირიდონ ნიკოლოზის ძე** (1845–1934), გენერალ–მაიორი. დაქორწინებული იყო **ოლღა პავლეს ასულ შლოტტერზე** (?–1939), შვედ ქალბატონზე.

**ნინა ემანუილის ასული** 1871–1943), თავად **გიორგი ალექსანდრეს ძე ანდრონიკაშვილის მეუღლე** (1865–?).

**ანდრონიკაშვილი აბელ თამაზის ძე. აბელ მიმაშის** სახელით ცნობილი.

1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობაზე ეჭვმიტანილი. საგამომძიებლო კომისიამ შეიყვანა მეათე „რაზრიად'ში". ამ განყოფილებაში შეეიდნენ „ისეთი პირნი, რომელიც არავითარ ეჭვს არ იმსახურებენ". სულ 47 პირი. აბელ ანდრონიკაშვილი ამ სიაში შეტანილია მეხუთე ნომრით და აღნიშნულია კაპიტნად, რომელიც არ მსახურობს.

მონაწილეობდა კახეთის 1812 წლის აჯანყებაში. ამ აჯანყების ჩახშობისას იგი დააპატიმრეს *(ფრონელი. კახეთის აჯანყება. გვ. 215–215)* და გადაასახლეს ტობოლსკში.

პუპლია ორბელიანის დახასიათებით, აბელ ანდრონიკაშვილი „ჩემის ბიძის *(ალექსანდრე ბატონიშვილის)* ერთგულებისათვის იყო გაგზავნილი ციმბირშიო"

ანდრონიკაშვილმა არაერთხელ უჩვენა რუსეთის მთავრობას ერთგულება. ავარიის სულთან ახმეტ–ხანის წინააღმდეგ მოქმედებისას ის და ლუარსაბ ორბელიანი თავისი ნებით მძლავრად წაეიდნენ ხანთან და ამით რუსის ჯარს სისხლის დანთხევა თავიდან აარიდეს, მადლიერმა გუდოვიჩმა აბელს მისთვის კაპიტნის ჩინი *(აქტები. III. 367)* მიაღებინა. *(აქტები. III. 368).* 1812 წ. კახეთის აჯანყების დაწყებისას ქოდალოს ციხეში 80 ჯარისკაცს შეაძლებინა მეამბოხეთა ალყის გამკლავება *(საქმე 61. ფურც. 141. 152).* მიუხედავად ასეთი დამსახურებისა, რტიშჩევმა მაინც გააციმბირა და ბრალად დასდო შემდეგი „უკანასკნელი არეულობის დროს ის იმყოფებოდა ბატონიშვილთან (იგულისხმება ალექსანდრე) და თუმცა თავს იმართლებს იმით, რომ ამას თითქოს იმიტომ აკეთებდა, რათა თავისი სახლ–კარი განადგურებისაგან ეხსნა, მაგრამ ეს მას არ ამართლებს – მას დახმარება უნდა ეთხოვა მთავრობისათვის და არა აჯანყებულებისათვის, რომელთა შორის ის, როგორც ირკვევა, ერთ–ერთი მთავარია."

**ანდრონიკაშვილი ადამ** (1774–1854). ამილახვარი მეფე გიორგი XII–ისა. 1803 წ. მარტში თეიმურაზ ბატონიშვილთან ერთად გაიქცა სპარსეთში, ალექსანდრე ბატონიშვილთან *(აქტები. II. 156).*

როდესაც რუსებმა 1804 წ. 30 აპრილს დაამარცხეს სპარსეთის ჯარი აბას–მირზას სარდლობით, ადამ ანდრონიკაშვილი ციციანოვს ეახლა და პატიება ითხოვა *(აქტები. II. 166).* ერთხანს იყო პეტერბურგში. აქედან აპირებდა ისევ წასვლას ალექსანდრე ბატონიშვილთან, ვითომ მის მოსაყვანად *(აქტები. V. 43).*

ადამი მოკვდა ეეჯინში 80 წლისა.

ადამი იყო ქიზიყის მოურავის რევაზ ანდრონიკაშვილის ძმისწული და მასთან მამულით არ იყო გაყრილი *(აქტები. II. 155–156).*

ადამის შვილები იყვნენ: იასე, გიორგი და ზურაბ *(„ივერია". 1892. № 97. სამგლოვიარო განცხადება იასეს ძმისწულებისა).*

იესე ადამის ძე ანდრონიკაშვილის ნეკროლოგი დაბეჭდილია „ივერიაში".

**ანდრონიკაშვილი ალექსანდრე.** მთიულეთის 1804 წ. აჯანყების მონაწილე. მსახურობდა მე–17 ეგერთა პოლკში, შემდეგ ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში

*(ფონდ. 16. საქმე 9805).*

აქტების II წიგნში, 136 გვერდზე იხსენიება „მე-17 ეგერთა პოლკის გადამდგარი პორუჩიკი თავადი ალექსანდრე ანდრონიკოვი." ეს ალექსანდრე დიმიტრი **ანდრონიკაშვილის** შვილია. დიმიტრის ორ შვილად იოსებ და ალექსანდრე ითვლებიან *(ფ. 16/156. საქ. 1478. 8.I.1814).*

**ანდრონიკაშვილი** ზაალ ზურაბის ძე, მარტყოფის მოურავი. იხსენიება „კალმასობაში" (*ზ. ჭიჭინაძის გამოც. გვ. 107-108*) იოანე: *„120 ომში დასწრებიხართ თითქმის და ას მტერზე მეტი მოგიკლავთ. და ეგ ჭრილობაც აბდულაბეგის ომში შეგემთხვათ. და ესოდენს ნამსახურს ქვეყნის კაცს გემართებს რომ ვაქებდეთ. ზაალ ზურაბიშვილს, მოურავს, არ უყვარდა თავისი ქება და უთხრა: წავიდეთ რუსთველთან.."*

კრწანისის ომის შემდეგ „იხილეს რა ლეკთა უძლურება ქართველთა, შეკრბენ უმეტეს 1500-ისა, მიეიდნენ ნორიოს. გარნა იძლიენენ ფრიად მოურავისაგან მათისა ზაალ ანდრონიკაშვილისაგან, რომელიცა იყო სიმხნითა აღმოჩენილ ყოველსა საქართველოსა შინა".

*(„შემდეგი კახეთის ცხოვრებისა". ზ. ჭიჭინაძის გამოც. გვ. 297; შდრ.: დავით ბატონიშვილი. ახალი ისტორია. გვ. 2").*

„თ-ი ზაალ **ანდრონიკაშვილი** (კუზიანი) და თ-ი ზაალ ბარათაშვილი (იანბეგი). თ-ი ზაალ მაჩაბელი (ბოროტი) და თ-ი ზაალ ორბელიანი (ყაფლანიშვილი) ხლებიან ირაკლის და ლევან ბატონიშვილს. ირაკლი იტყოდა თურმე: ოთხი ზაალ ჩემთან რომ იყოს, ოთხი ათას მტერს არ დაეერიდებოდიო" (პუპლია *ორბელიანი. დაღესტნიდგან ლეკების გამოსვლა. ს. კაკაბაძის გამოც.. ტფ. 1914. გვ. 21).* პუპლია ამას წერს 1864-65 წლებში.

**ანდრონიკაშვილი** ზაზა ზაალის ძე (?-1814?) სახლთუხუცესი მეფის ძის იოანესი (*ბაგრატ ბატონიშვილი. ახალი მოთხრობა. გვ. 78).* შვილია მარტყოფის მოურავის ზაალისა. ზაალ **ანდრონიკაშვილი** განთქმული მეომარი იყო. მისი სახელი ცნობილი იყო მომდევნო თაობის ხსოვნაშიც. გრიგოლ ორბელიანი თავის „სადღეგრძელოში" მას ასეთი სიტყვებით ასხამს ქებას: „და *მეფის ძალნი, ოთხნი ზაალნი თითო ერთ ჯარად დაფასებულნი!*" – და სქოლიოში შენიშნავს: „ესენი იყვნენ ერთ დროს, გვარად: ორბელიანი, ბარათაშვილი, ანდრონიკაშვილი-კუზიანი და ბოროტისშვილი მაჩაბელი. მეფე ირაკლი იტყოდა: თითო ზაალ ღირს თითო ჯარად". 1 ზაალ ანდრონიკაშვილი მარტყოფისა და ლილოელი ოსების მოურავად ჩანს დავით ბატონიშვილის რეგენტობის დროსაც (აქტები, I, . 157), მაგრამ 1805 წ. ზაალ იხსენიება „სანატრელის" ეპითეტით, ე.ი. ამ დროს ის გარდაცვლილია (*ა – 1380; ხელნაწერთა აღწერილობა ა IV, გვ. 475).*

ზაალის შვილი **ზაზა** (ზოგ რუსულ წყაროში ზაქარიად წოდებული) ისტორიაში პირველად გვხვდება 1800 წლის 7 ნოემბერს, ნიახურას ბრძოლაში. ამ ბრძოლაში ქართველთა ჯარს სარდლობდა გიორგი XII-ი.

1801 წ. 9 მარტს იოანე, ბაგრატ და მიხეილ ბატონიშვილები გაემგზავრნენ პეტერბურგს; ამათგან იოანე ბატონიშვილს სხვა მხლებლებთან ერთად ახლდა ზაზა ანდრონიკაშვილი. ესენი პეტერბურგს 15 მაისს ჩავიდნენ. იმპერატორმა ალექსანდრე I-მა დააჯილდოვა ამალის წევრნი, მათ შორის ზაზაც, რომელსაც უბოძა ბრილიანტითა და აფალით შემკული ბეჭედი.

ზაზა ანდრონიკაშვილმა პეტერბურგში 11 წელი დაჰყო. იგი მომხრე იყო დავით ბატონიშვილისა.

1806 წელს სწერს პეტერბურგიდან ძმას ივანე ანდრონიკაშვილს: „*კარგა რიგიანად მოიქეც, როგორც იქცევი ისე, უბრალოდ არავინ აგიყოლიოს. ეცადე, რომ რუსებთან თანაშეკრულობა გქონდეს. სხვებმა რა იშოვეს მაგათის წინააღმდეგობით, როგორც ერთგულად ყოფილხარ, უფრო მეტად ეცადე, ამათგან სიმშილი სჯობს სხვისგან სიამძღრეს*“ (ად 1560).

პეტერბურგში ყოფნისას ზაზა ხშირად ხვდებოდა საფრანგეთის ელჩს რუსეთის იმპერატორის კარზე კოლენკურს და მთელ ღამეებს ატარებდა მასთან საუბარში.

პაულუჩის ცნობით, ზაზა მცოდნეა ფრანგულისა და „თავისუფალ იდეათა მქონი“.

1811 წ. ივლისში ზაზა ანდრონიკაშვილი დაბრუნდა საქართველოში (პდ-3568). რტიშჩევის 1813 წ.4 იანვრის რაპორტში იმპერატორისადმი ნათქვამია, რომ თითქოს პეტერბურგში მყოფმა საქართველოს მეფის ოჯახის წევრებმა გადაწყვიტეს, რომ ქართლ-კახეთის მეფედ დაედგინათ დავით ბატონიშვილი, იმერეთისად კი – იოანე ბატონიშვილი. ამ განზრახვის განსახორციელებლად იოანე ბატონიშვილმა ფული მისცა და ისე გამოგზავნა საქართველოში ზაზა ანდრონიკაშვილი.

საქართველოში ჩამოსული ზაზა, პაულუჩის ცნობით, მაშინვე გაემგზავრა კახეთს და დარჩა იქ იქამდე, სანამ აჯანყება იფეთქებდა.

1812 წ. კახეთის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ პაულუჩიმ აღუთქვა ზ. ანდრონიკაშვილს გარკვეული გასამრჯელო და მიგზავნა გრიგოლ ბატონიშვილთან, რათა იგი დაეყაბულებინა დანებებაზე. შემდეგში გრიგოლ ბატონიშვილი წერს ლექსს, რომელშიაც დაწვრილებით აღწერს, თუ რა ღონეს მიმართა ზაზამ მის წამოსაყვანად. ლექსს სათაურადა აქვს „*თქმული საქართველოს მეფის ძის გრიგოლისაგან თავის ტუსაღობის 80 ჟამსა. ოდეს შვეთის კერძო დაჰყარეს პეტრეზაოდ წოდებულსა ქალაქსა შინა, როცა რომ ზაზა ენდრონიკოვმა მოტყუებით მოიყვანა ლეკთაგან*“ (პ-2130, 45-48). ამ ლექსში ზაზა ასეა შემკული:

„*კამბეჩოვანსა აღზრდილმან,*
*ზაქმან ზაზამან წყეულმან,*
*პატრონის ორგულობაზე*
*სანიადაგოდ ჩვეულმან.*“

ზაზას ორგულობაზე გრიგოლი წერს მეორე ლექსშიაც *(პ-2130, 29 რექტო).*

ზ. ანდრონიკაშვილი 1812 წლის შემდეგ კვლავ პეტერბურგშია. მის პეტერბურგში მოღვაწეობას უარყოფითად აფასებს პეტრე ლარაძე თავის „მუხამბაზში" (პ-2130, 42-43).

პ. იოსელიანის ცნობით, *„1818 წელს ესე ზაზა და დოსითეოს ეპისკოპოსი ფიცხელაური წარვიდნენ ნევის მდინარის შესართავსა ფინის ზღვის პირსა და აქა ბანაობდნენ ცურვითა. მსწრაფლ აღელდა ზღვის პირი. დოსითეოს ცურვითა გამოვიდა წყლის პირსა და ზაზა, მოტაცებული ღელვისგან, დაირჩო, ვერცა იპოვეს ვერცა გვამი მისი" (ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა. ზ. ჭიჭინაძის გამოც., ტფ., 1895, გვ. 329).*

მაგრამ ეს ფაქტი – ზაზას დახრჩობა – უნდა მომხდარიყო 1818 წელზე ადრე, რადგან დოსითეოს ფიცხელაური ეპისკოპოსად აკურთხეს პეტერბურგს 1812 წლის 30 იანვარს (შდ-5398), ხოლო 1815 24 იანვარს პეტერბურგიდან წამოსულია, უკვე მოსკოვსაა, თბილისს კი ჩამოვიდა 1815 წლის 28 მარტს, ე.ი. ფინეთის ყურის ზღვის ყურეში მას შეეძლო ებანავა მანამდე, 1814 წლის ზაფხულში. 1815 წ. „კაზიონნი ექსპედიცია" ისტუმრებს უკვე ზაზა ანდრონიკაშვილის ვალებს *(შდ-3568. ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, წ. 1, 1938, გვ. 356).*

ამას გარდა, ტობოლსკის ?) სამოქალაქო გუბერნატორი 1815 წლის 17 აპრილს იტყობინება, *„ივანე ანდრონიკოვმა, რომელიც სხვა ქართველებთან ერთად არის აქ დაკავებული, მთხოვა შემდეგი: გარდაიცვალა მისი ვაჟი ზურაბ ანდრონიკოვი და აგრეთვე მისი ძმა ზაზა ანდრონიკოვი. იციან თუ არა ამის შესახებ მისმა შინაურებმა, არ იცის და ამიტომ სთხოვს, შეუთვალონ მათ ამათი სიკვდილი" (ფ. 2/8, საქმე 272, ფურც. 34).*

„ზაზა ანდრონიკოვი დანიშნული ყოფილა მარიამ ბატონიშვილის ქალზე ანასტასიაზე (ციციშვილი). ანასტასიას როცა გაუმჟღავნეს ზაზას დაღრჩობა, „მოწყენილი იყო. ამ დროს მოიყვანეს ალავერდა საზანდარი. ამ სიმღერაში ეს საზანდარი შეუყვარდა. იმან მოიტაცა და წაიყვანა თავის სახლში აბანოსთან. კათალიკოსმა წარმოაყვანინა ქალი და დაუწყეს დევნა. მაშინ ის თათარი შევიდა გოგილოს აბანოსთან გამოქვაბულში. მთელი ქალაქი მოდიოდა მისი აზანის საყურებლად. ანასტასია რომ მოკვდა, იმან სალამური გასტეხა და თარი აილო, მერე აღარც ცოლი შეურთავს" *(„ლიტ. მატიანე". 1940. № 1-2, გვ. 391-392).*

ზ. ანდრონიკაშვილს უნდა ჰყოლოდა ცოლ-შვილი. 1827 წ. 9 აპრილის მზითვის სიაში ნათქვამია: *„მივეცით მათის ბრწყინვალების თავადის ზაალ ანდრონიკოვის ძე დონიკეს მიერმან თავადმან იოსებ ორბელიანოვმან უსატრფიალესი ასული ჩვენი ნინათ" (მასალები საქ. ეკ. ისტორიისათვის, წ. lol, № 318, გვ. 484).*

**ანდრონიკაშვილი ზაქარია თამაზის ძე**, ქიზიყის მოურავი (?-1802). დავით ბატონიშვილის „მასალების" მიხედვით *(მ. ჯანაშვილის გამოც., გვ. 55)*, დარეჯან დედოფლის მცდელობით მეფემ ქიზიყის მოურაობა ჩამოართვა რევაზ

პაპუას ძეს და მისცა თავის სიძეს **ანდრონიკაშვილს ზაქარიას.**

ზაქარიას ცოლად ჰყავდა ერეკლესა და დარეჯანის ასული **ელენე.** ამ ელენეს ზაქარია ადრევე უყვარდა, მაგრამ უარი უთხრეს და მიათხოვეს იმერეთის ბატონიშვილს არჩილს. არჩილისგან ელენეს ჰყოლდა ვაჟი **დავითი** (შემდეგში იმერეთის მეფე სოლომონ II) და ქალები **მარია-მარიამ** (შემდეგში მალხაზ ანდრონიკაშვილის მეუღლე) და **ბარბარე** (შემდეგში დავით წერეთლის მეუღლე) *(ხელნაწ. ინსტ. ფ. ქ. № 757).* არჩილის გარდაცვალების შემდეგ ქვრივი ელენე მისთხოვდა ზაქარიას. ზაქარიას და ელენეს ეყოლათ ქალი **ხორეშან,** შემდეგში ზურაბ ორბელიანის მეუღლე და დედა გრიგოლ ორბელიანისა. ელენე დაბადებულა 1753 წ., ამ წლის ქვეშ პაპუნა ორბელიანი წერს: „*კახთ დედოფალი დაწვა. იშვა ასული ელენე*" (გვ. 208). ელენე გარდაიცვალა 1786 წელს (პ. იოსელიანი.

ელენეს გარდაცვალების შემდეგ ზაქარიამ შეირთო მეორე ცოლი **მარიამ ციციშვილი,** რომლისგანაც ჰყავდა ქალი **ნინო (საქ. ცა. ფ. 2/8, საქმე 302-ის 281 ფურცელზე იხსენიება ზაქარია ანდრონიკოვის ქვრივი მარიამი).** ზაქარია ანდრონიკოვი ცოცხალია 1802 წლის 10 იანვარს. ამ დღისით ის თავის შვილს ხორეშანს დაუწერს მზითევის წიგნს, მაგრამ 1803 წ. 14 მარტს შედგენილ საბუთში ის იხსენიება სანატრელად. „50 თუმანი... სანატრელის მოურავის ზაქარიასაგან არის შეწირული" დავით გარეჯისადმი *(თ. ჟორდანია. ქართლ-კახეთის ეკლესია-მონასტრების საბუთები. გვ. 178).*

*„ზაქარია ანდრონიკოვი სიკვდილის წინ ვუანდერძებ ჩემს მამულსა და გლეხებს ჩემს მეუღლე მარიამს და ასულს ნინოს. ანდერძი დაიწერა 18 თებერვალს, 1801 წ. მღვდელმონაზონ ფილიპეს ხელით" (საქ. ც.ა. ფ. 2/8. საქმე 434. ფურც. 16).*

**ანდრონიკაშვილი იესე ადამის ძე** (1814–1892). თბილისის გიმნაზია დაამთავრა 1836 წ. 1837 წ. მსახურობდა თბილისის საადმინისტრაციო სამმართველოში. 1846 წლიდან იყო მოსამართლედ განჯას, გორსა და თბილისში. 1854–68 წლებში ტფილისის კომერციულ სასამართლოში ჯერ უფროს წევრად, მერე – თავმჯდომარედ სასამართლო რეფორმის ჩატარებამდე 1866 წ. დაინიშნა იმ კომისიის წევრად, რომელსაც უნდა შეედგინა დებულება 1864 წ. 10 ნოემბრის სასამართლოს წესების ამიერკავკასიისთვის შესაფარდებლად. როცა ამ კომისიამ დაამთავრა მუშაობა, იესე შევიდა მეორე კომისიის წევრად, რომელიც მუშაობდა სასამართლოს რეფორმის ძალაში შესასვლელად. 1868 წ. იესე დაინიშნა თბილისის სასამართლოს პალატის წევრად, ხოლო 1878 წ. – პალატის მეორე დეპარტამენტის თავმჯდომარედ. 1887 წ. 23 თებერვალს გადაუხადეს იუბილე (1887, №№ 1096, 1097, 1098 და 110, გამოსული ცალკე ბროშურად).

გარდაიცვალა 1892 წ. 8 მაისს. დაასაფლავეს ვერაზე, იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიაში („ივერია", 1892, №98).

**ანდრონიკაშვილი იოსტოს** (?–1823) ბერი სოფელ ვეჯინში. მონაწილეობ-და 1804 წ. მთიულეთის აჯანყებაში. დაკავებული იქნა ფარნაოზ ბატონიშვილთან ერთად 1804 წ. 29 ოქტომბერს *(ფ. 2/8. ს. 105. ფურც. 104).* თავდებით გათავისუფლეს 1806 წ. აგვისტოში. თუმცა აპირებდნენ მის პერმში გადასახლე-ბას, მაგრამ პატიება მიიღო. ის ითვლებოდა ისეთ პირად, რომელსაც შეეძლო, უარყოფითად ემოქმედა მოსახლეობაზე და ამიტომ 1813 წ. 12 იანვარს რტიშჩევი სთხოვდა ვარლამ ეგზარქოსს, გაესახლებინა იოსტოსი რუსეთის მონასტერში *(საქ. ც.ა. ფ. 2/8. საქმე 302. ფურც. 13).*

ყაზბეგის ჩვენებით, კვერექსებზე იხსენიებდა ალექსანდრე და ფარნაოზ ბატონიშვილებს, უმაღლესი სახლეულობის მოსახსენებელი კი იატაკზე დაუგ-დია *(ფ. 2/8. საქმე 3(1)2. ფურც. 650).*

გადაწერილი აქვს ხელნაწერი წიგნები:

1. **ა–1336.** „თეოფილაქტე ბულღარელის მარკოზის თარგმანები აღესწერე ულირსმან მღვდელმონაზონმან იოსტოს, წელსა 1806.l მანვე უძღვნა ეს წიგნი დავით გარეჯის მონასტერს 1822 წ. *(ხელნაწ. აღწ. ა. IV. გვ. 411).*

2. **ა–1338.** გრიგოლ ღვთისმეტყველი. გადაწერა და იმავე მონასტერს უძღვნა იერომონახმან იოსტოს 1822 *(აღწ. IV. გვ. 417).*

3. **ა–1396.** ანტონ პირველის გრამატიკა გადაწერილი 1787 წელს იოსტოსის ხელით *(აღწ. ა. IV. გვ. 491).*

4. **ა–181.** ეთიკა. წიგნის ბოლოს, გვ. 532–ზე გაკეთებული მინაწერით ჩანს, რომ ეს წიგნი გადაუწერია არქიმანდრიტ იოსტოს 1816 წელს.

პირველი ორი მინაწერით ჩანს, რომ იოსტოსი ცოცხალი ყოფილა 1822 წ. პ. კარბელაშვილის სიტყვით, იგი გარდაიცვლილა დაახლოებით 1823 წ. (1897, №11, გვ. 9). პლ. იოსელიანის სიტყვით კი, იოსტოს გარდაცვლილა 1815 წ. ახლოს.

იოსტოსის ძმისწული იყო **დავით ანდრონიკაშვილი,** მარიამის – ვახტანგ-ალმასხანის მეუღლის – მამა *(პ. კარბელაშვილი. ანჩისხატი. გვ. 36).*

**ანდრონიკაშვილი მაია (მარიამ) არჩილის ასული** (1775–1854). ერეკლე II–ის შვილიშვილი. დედამისი იყო ერეკლე II–ის ქალი **ელენე**, მამა – იმერეთის ბატონიშვილი **არჩილი.** იგი იყო მეუღლე იულონ ბატონიშვილის და სოლომონ II–ის ეშიკაღასბაშის **მალხაზ ანდრონიკაშვილის** (იხ.), დედა გენერალ **ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილისა** (იხ)., მხურვალე მონაწილეობას იღებდა იმერეთის თავისუფლებისათვის ბრძოლაში. 1810 წ. თავისი 11 წლის ვაჟთან, ივანესთან ერთად გაჰყვა ქმარს ახალციხეში, შემდეგ კი ნებაყოფლობით დაბრუნ-და საქართველოში და უმაღლესის ბრძანებით 1810 წ. დეკემბერში გადაასახლეს ვორონეჟში *(ა–1580. აღწ. ა. V. გვ. 111).* სადაც დაჰყო 1817 წლამდე. ამ დროიდან მიეცა ნება ქმართან ჩამოსვლისა საქართველოში *(მისი მეუღლე მალხაზ ანდრონიკაშვილი საქართველოში დაბრუნდა 1815 წ.).* 1830 წლიდან ცხოვრობ-

და გურჯაანის ახლოს, კახთუბნის მონასტერში. 1840 წელს გადმოსახლდა თბილისში და ცხოვრობდა ანჩისხატის ტაძრის ეზოში. გარდაიცვალა 1854 წ. 10 სექტემბერს. დასაფლავებულია ანჩისხატის ტაძარში.

„კავკასის" 1854 წ. № 73-ში დაბეჭდილია მიხ. თუმანიშვილის ვრცელი სტატია მარიამ ართილის ასულზე.

**ანდრონიკაშვილი მალხაზ მელქისედექის ძე**, მეფის კარზე აღზრდილი და იულონ ბატონიშვილის ეშიკაღასბაში. მამაცი კაცი იყო. სახელი გაითქვა იმ ბრძოლაში, როცა იულონ ბატონიშვილმა ლეკები დაამარცხა ყარაღაჯში. მადლობის ნიშნად ერეკლე II-მ მიათხოვა თავისი ქალის, ელენეს შვილი მარიამ ართილის ასული, სოლომონ I-ის ძმისწული, სოლომონ II-ის ღვიძლი და, ერეკლეს კარზე რომ იზრდებოდა. როცა სოლომონ I-ის სიკვდილის შემდეგ დავით გიორგის ძემ ისარგებლა ტახტის კანონიერი მემკვიდრის მცირეწლოვანებით და ოსმალთა და ლეკების დახმარებით ტახტი მიიტაცა, ერეკლემ კანონიერი მემკვიდრის დავით არჩილის ძის დასახმარებლად ჯარი გაგზავნა მალხაზ ანდრონიკაშვილის მეთაურობით. ამან დავით გიორგის ძე დაამარცხა მათხოჯთან (აქ მიიღო მან ექვსი მძიმე ჭრილობა) და ამით მეფობისკენ გზა გაუწმინდა თავის ცოლისძმას. ნიშნად მადლობისა, სოლომონ II-მ მალხაზი ოჯახით იმერეთში მიიწვია საცხოვრებლად და იქ უბოძა სვირის მიდამოები 800 კომლი გლეხით. ჩამორთმეული ქონის ერისთავ ელიზბარისათვის – სოლომონ დიდის სიძისათვის. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, მალხაზ ანდრონიკაშვილს მიწერ-მოწერა და ცოცხალი კავშირი ჰქონდა ალექსანდრე ბატონიშვილთან. სოლომონ II-მ ის გაგზავნა ჯერ ახალციხეს, შემდეგ სპარსეთში მოსალაპარაკებლად („აქტები", *IV, 303*). მარჯვედ ებრძოდა რუსებს, რომელნიც აიძულა კორტოხსა და ბნელათხევზე უკან დაეხიათ *(იქვე, IV, 303)*.

1810 წელს, როცა სოლომონი მიენდო რუსებს და გაუქმდა იმერეთის სამეფო, მ. ანდრონიკაშვილი ცოლ-შვილით ს. ლიონიძესთან ერთად გაიქცა ახალციხეს, ხოლო როცა აქვე ჩამოვიდა თბილისის საპატიო ტყვეობიდან 1810 წ. 10 მაისს გამოქცეული სოლომონ II, ის ეახლა თავის ცოლისძმას და ასრულებდა მის დავალებებს: იყო სტამბოლში ხონთქართან მფარველობისა და დახმარების სათხოვნელად, 1811 წ. ბოლოს კი – სპარსეთში იმავე საქმის გამო. მ. ანდრონიკაშვილი არ მოშორებია სოლომონს სიკვდილამდე (1815 წ. 7.II). მეფის სიკვდილის შემდეგ სერასკირმა ბაბა-ფაშამ მალხაზი დიდი პატივით მიიღო და შემდეგ თან წაიყვანა ლაშქრობებში. იმავე 1815 წელს იგი ჩავიდა ერევანში, ეჩმიაძინის მონასტერში და სთხოვა სომეხთა კათალიკოსს, ეშუამდგომლა საქართველოს მთავარმართებელთან პატიებისა და საქართველოში დაბრუნების ნებართვისათვის. ნებართვის მიღებისთანავე ანდრონიკაშვილი ჩამოვიდა საქართველოში (1815 წ. 27 აგვისტოს იოანე გარსევანოვი წერს დავით თარხნიშვილს თბილისიდან: „აქაური ამბავი მოხსენებული გექნებათ, მალხაზ მოურავისშვილი გეახლათ,

მთავარმართებელმა კარგად მიიღო“ (*მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. II. გვ. 212*). სეირის მამული, ჩამორთმეული, ახალციხეში გაქცევის შემდეგ, მ. ანდრონიკაშვილს აღარ დაბრუნებია. მას დაუბრუნეს მხოლოდ სოფ. ლაჯგაბადინი (ბორჩალოში) და კახეთის მამული, რომელიც მანამდეც გაუყოფელი იყო ძმებთან და ბიძებთან და ამ მიზეზით მთავრობამ ვერ ჩამოართვა თავის დროზე. მისი ოჯახი (ცოლი მაია და შვილი ივანე) უფრო ადრე დაბრუნდა საქართველოში. 1810 წლის დეკემბერში ისინი რუსეთის ვორონეჟს გადაასახლეს. მაია საქართველოში დაბრუნდა 1817 წელს.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ მალხაზ ანდრონიკაშვილი ცხოვრობდა ს. ვეჯინში, სადაც გარდაიცვალა 1822 წ. დასაფლავებულია ვეჯინის ღვთაების ეკლესიაში (*ვეჯინელი. ღვთაების ეკლესია და თამარციხის ნანგრევები ს. ვეჯინში. „დროება“. 1884. № 269*). აქვს ასეთი ეპიტაფია:

*„მე ვიყავ სოფლიდგანვე ბედნიერებითა გარემოზღუდული. მე ვყვაოდი სიყვარულისა წალკოტსა შინა. მე ვიზრდებოდი უმაღლესისა მეფისა პალატსა. ძეთა მეფისათა და განსაკუთრებით თანზრდილობითა და პატივითა ყმაწვილობაშისა მეფის ძის იულონისა. მე ღირს ვიქმენ სიძეთ ორთა მეფეთა საქართველოისა და იმერეთისა. მყვანდა მეუღლედ უძვირფასესდა საუნჯედ ჩემდა იმერეთის მეფისძის არჩილის ასული და დაი მეფის სოლომონისა, ასული მეფის ირაკლი ასულისა ელენესი მარიამ და ვიყავ გვირგვინობით კეთილთა შთამოსავლებითა თავადი ანდრონიკოვი ქიზიყის სარდალ-მოურავის პაპუას ძის მელქისედეკ და მკვირცხლობასა სახელწოდებულ მალხაზად...“* (ქვევით წარწერა აღარა ჩანს. გ. ვეჯინელი. „დროება“, 1884, № 269). დავით ბატონიშვილის სიტყვით („მასალები“, გვ. 92), მალხაზს ჰქონდა მეორე სახელი მელქისედეკ (*პ. იოსელიანი. ცხოვრება მეფე გიორგი XII-ისა. გვ. 327*).

**ანდრონიკაშვილი რევაზ.** „ვახტანგ ორბელიანისაგან გავიგონე პუპლიასა და გ. ერისთავის თანდასწრებით, რომ ანდრონიკოვს უთქვამს: *„თუნდაც მე ვერ შევიძლო რუსებისათვის რაიმე ზიანის მიყენება, შვილებს მაინც ვუანდერძებ, რომ მათ მაინც აზიანონ რამეო“* (იასეს ჩვენება, გზლ. 388). რევაზ ძმაა **ნინოასი (ივანესი) და ზაზასი.** ესენი კი **ზაალ ანდრონიკაშვილის** შვილები არიან. ე.ი. ფრონელი სცდება, მზეჭაბუკის ძედ რომ აცხადებს (*გვ. 215*).

**ანდრონიკაშვილი რევაზ ივანეს ძე** (1818–1877.12). იზრდებოდა I კადეტთა კორპუსში. 1854 წელს გენერალ-მაიორია. 1859 წელს ჯარების მეთაურია. 1860 წელს კავკასიის არმიის მთავარსარდლის მოხელეა (?). გარდაიცვალა გენერალ-ლეიტენანტის ჩინით და თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის თანამდებობით 1877 წ. განცხადება მისი სიკვდილის შესახებ დაბეჭდილია გაზ. „ტიფლისსკი ვესტნიკ“-ის 1877 წ. №282-ში (*23 დეკემბრის ნომერი*).

**ანდრონიკაშვილი ქაიხოსრო,** მდივანბეგი, ქიზიყის მოურავის შვილი.

მდივანბეგად იწოდება 1766 წ. 21. VI-ის საბუთში (დოკ. **საქ. სოც. ისტ. II,**

№ 94) და 1768 წ. 22.V-ის საბუთში (*იქვე. № 132*).

მდივანბეგი ქაიხოსრო ენდრონიკოვი (იხ. შ. მესხია, მასალები სამოხელეო წყალობის ისტორიისათვის. №71. გვ. 55). 1771 წ. დეკემბრის საბუთს ამოწმებს „მოწმე ენდრონიკაშვილი მდივანბეგი ქაიხოსრო“ (შდ-1635). 1765 წ. 18 მარტის საბუთში კი კაცი მდივანბეგად არის ენდრონიკაშვილი რამაზ (შდ-1028).

ქაიხოსრო ქიზიყის მოურავის შვილი ნახსენებია ბეჟან ამილახვრის 1785 წ. საბუთში ად-1236 (*ნ. ბერძენიშვილი. მას. საქ. ეკ. ისტ., წ. I, გვ. 81–82*).



**გენერალი ივანე ანდრონიკაშვილი მალხაზის ძე**

*„რაო, ოციოდე!.. ამ ერთ მუჭა ხალხში და ოცი გენერალი!“* – გაოცებით ამბობს ილიას „მგზავრის წერილებში“ რუსის ბრიყვი ოფიცერი. ეს კი ჭეშმარიტება იყო. აი, ისინიც, XIX რუსეთის დიდი არმიის სახელოვანი ქართველი გენერლები: *პეტრე ბაგრატიონი, ალექსანდრე იმერეტინსკი-ბაგრატიონი, ივანე ბაგრატიონ-მუხრანელი, ივანე ანდრონიკაშვილი, ალექსანდრე, დავით, ნიკო, ზაქარია, არჩილ ჭავჭავაძეები, გრიგოლ, ვახტანგ, ილია ორბელიანები, ნიკოლოზ გარსევანიშვილი, ივანე ამილახვარი, ილია ჩოლოყაშვილი, ალექსი ქაფთარაძე, მიხეილ ამირეჯიბი, კონსტანტინე მამაცაშვილი, ნესტორ წერეთელი, ნიკოლოზ მინგრელსკი-დადიანი* – ისინი, შურისძიების გრძნობით აღვსილნი, თავგანწირვით ებრძოდნენ აღმოსავლელ აგრესორებს, რადგან სწორედ მათთან გაუთავებელმა ომებმა დააკარგვინა საქართველოს დამოუკიდებლობა – ჯერ 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი, მერმე 1801 წელს გაუქმებული ეს ე.წ. „მეგობრობითი პირობა“ და რუსეთის გუბერნიად ქცეული მამული! ისინი თუმცა თავიანთი სამშობლოს დამპყრობელთან ერთად იბრძოდნენ, მაგრამ გულისგულში იმპერიის საქმეს კი არ ემსახურებოდნენ. საუკუნეების მანძილზე დაგროვილ ჯავრს იყრიდნენ საქართველოს ისტორიულ მტრებზე. მათ ვაჟკაცობაზე, სიმამაცეზე, მხედრულ ნიჭზე ბევრს ლაპარაკობდნენ რუსეთის იმპერატორის კარზე. დღეს ერთ-ერთ მათგანზე შევჩერდებით, გენერალ ივანე ანდრონიკაშვილზე.

ივანე ანდრონიკაშვილი დაიბადა 1798 წლის 11 ნოემბერს სოფელ ქოდალოში. დედის მხრით ის საქართველოს სამეფო კარის შთამომავალი იყო, დედამისი – მარიამი, ერეკლე მეორის შვილიშვილი და იმერეთის მეფის სოლომონ მეორის დისშვილი იყო. თუმცა მამამისს, მალხაზ ანდრონიკაშვილს, დიდი მამულები ჰქონდა კახეთში, უფრო ხშირად მათი ოჯახი იმერეთში ცხოვრობდა, მარიამის მამულში.

იმერეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, ივანე ანდრონიკაშვილი დედასთან ერთად რუსეთში გადასახლდა. 1812 წლიდან მათი ოჯახი პეტერბურგში ცხოვრობდა. ივანე ანდრონიკაშვილი ყმაწვილობიდანვე გატაცებული იყო სამხედრო საქმით. 17 წლისა იგი განაწესეს ლეიბგვარდიის ცხენოსან ლეგიონში. 1822 წელს პოდპორუჩიკი გახდა. 1824 წელს კი – გვარდიის შტაბ-როტმისტრი.

მამის გარდაცვალების შემდეგ ანდრონიკაშვილების ოჯახი ეკონომიურად დასუსტდა, რადგან გვარდიაში სამსახური ხარჯებს ითხოვდა. ივანე დრაგუნთა ლეგიონში გადავიდა, სადაც მაიორობა უბოძეს.

ივანე ანდრონიკაშვილის სამხედრო დამსახურება 1826–1828 წლების რუსეთ-ირანის, 1828–1829 წლების რუსეთ-თურქეთისა და 1853–1856 წლების ყირიმის ომებთანაა დაკავშირებული. 1826 წელს, რუსეთ-ირანის ომში ელიზავეტპოლთან რუსეთის არმიის რაზმის გამარჯვებასთან დაკავშირებით, იგი წმინდა ვლადიმერის მეოთხე კლასის ორდენით დაჯილდოვდა. 1827 წელს აბას-აბადთან განსაკუთრებული სიმამაცისათვის წმინდა ანას მეორე ხარისხის ორდენით. ეჩმიაძინთან ბრძოლაში მოწინააღმდეგის კავალერიაზე ბრწყინვალე გამარჯვებისათვის მას პოდპოლკოვნიკის ჩინი უბოძეს, ხოლო 1828 წელს თურქეთთან ომში ახალციხის დაცემის შემდეგ, პოლკოვნიკობა მიიღო. იგი აქტიური მონაწილე და ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი იყო ყველა მაშინდელი საომარი ბატალიისა. 1829 წელს ბაიბურთის აღების შემდეგ ივანე ანდრონიკაშვილმა წმინდა გიორგის მეოთხე კლასის ორდენი მიიღო. ამ დროს ის მეთაურობდა ნიჟეგოროდის პოლკს, თუმცა ყოველთვის და ყველგან საუკეთესო რეპუტაციით სარგებლობდა, მაგრამ 1830 წელს იძულებული გახდა დაეტოვებინა სამხედრო სამსახური ერთ-ერთ ბრძოლაში მიღებული ჭრილობის გართულების გამო.

1837 წელს, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, ივანე ანდრონიკაშვილი დაბრუნდა სამხედრო სამსახურში. ამ პერიოდში იგი მონაწილეობდა მთიელებთან ბრძოლაში. 1841 წელს იყო დაღესტნის ექსპედიციის წევრი. ამ ბრძოლებში დამსახურებისათვის მას გენერალ-მაიორის ჩინი უბოძეს. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ივანე ანდრონიკაშვილის მონაწილეობამ ამ ექსპედიციაში, მთიელები იხსნა ზედმეტი მსხვერპლისაგან. 1846 წელს გენერალ-მაიორი ივანე ანდრონიკაშვილი თბილისის სამხედრო გუბერნატორად და გუბერნიის სამოქალაქო ნაწილის მმართველად დაინიშნა. სწორედ მისი მმართველობის დროს ლეკებისაგან კახეთის დაცვის მიზნით ალაზნის მარცხენა მხარეს დაუსახლებელ ადგილებში დაასახლეს ქართველები და ოსები.

მიუხედავად კარგი ადმინისტრაციული ნიჭისა, ივანე ანდრონიკაშვილის მოწოდება მაინც სამხედრო საქმიანობა იყო. 1853–56 წლებში მან თავი ისახელა ყირიმის ომში. იმის ოფიციალურად გამოცხადებამდე მისმა გარნიზონმა ტყვეობიდან იხსნა ახალციხეში მომწყვდეული სამხედრო რაზმი, რომელსაც დაღუპვა ემუქრებოდა. ომი შედგა სოფელ სხვილისთან. თურქები, რომლებიც იძულებული გახდნენ ახალციხის ალყა მოეხსნათ, ამ შებრძოლებაში სასტიკად დამარცხდნენ. ამ წარმატებამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა. გამარჯვებულ გენერალს შეხვედრა მოუწყეს თბილისში, საბურთალოს მინდორზე. აქ თავი მოიყარა უამრავმა ხალხმა. მას მიეგებნენ ქალაქის მცხოვრებთა საპატიო წარმომადგენლები – მოხელეები, გენერლები, ვიცე-გუბერნატორი, ქალაქის თავი.

საზეიმო პროცესია დაიძრა. ყოველი მხრიდან „ვაშას“ ძახილი ისმოდა. ასევე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ივანე ანდრონიკაშვილმა ჩოლოქთან ბრძოლაში. მას წმინდა გიორგისა და ალექსანდრე ნეველის ორდენები უბოძეს.

ყირიმის ომის დამთავრებასთან ერთად მთავრდება ივანე ანდრონიკაშვილის სახელოვანი სამხედრო მოღვაწეობა. პირადი თხოვნის თანახმად, იგი გათავისუფლდა თბილისის გუბერნატორის თანამდებობიდან და თავისი ცხოვრების დარჩენილი წლები მამაპაპისეულ მამულში გაატარა, აღადგინა და აღორძინა იგი.

1864 წელს ივანე ანდრონიკაშვილს გადაუხადეს სამხედრო მოღვაწეობის 50 წლის იუბილე. ამ დღესთან დაკავშირებით მან მიიღო კავალერიის გენერლის ჩინი. – და მაინც, სამხედრო დიდების მიუხედავად, მათი უმრავლესობა ბედნიერი არ ყოფილა, მუდამ თან სდევდათ სამშობლოს თავისუფლების დაკარგვით გამოწვეული სევდა და მარადისობაში ღრმა გულისტკივილით გადავიდნენ, რაც შესანიშნავად გამოხატა დიდმა პოეტმა, ინფანტერიის გენერალმა გრიგოლ ორბელიანმა თავის ლექსში:

*„დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ, დავმხო ჩემი სამშობლო, გულს მიკლავს უიმედობა, საფლავს ჩავდივარ სიმწარით.“*

**ანდრონიკაშვილი ზაქრო** (1885–1960) – დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მსახურობდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში იურისკონსულტად. მეუღლე **ოლღა დადიანი** (1890–1959) – დაამთავრა თსუ-ს ფსიქოლოგიის ფაკულტეტი, მუშაობდა სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. შვილები: **გიორგი ანდრონიკაშვილი** – დაამთავრა სორბონის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ამჟამად ცხოვრობს და მუშაობს პარიზში.

**ნიკოლოზ (ბიჭიკო) ანდრონიკაშვილი** – დაამთავრა თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი, დიდი ხნის მანძილზე მოღვაწეობდა რუსთაველის თეატრში. რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, სპორტის ოსტატი, 1940–1952 წლებში – საქართველოს ფრენბურთის ნაკრების წევრი.

რძალი **ვენერა ანდრონიკაშვილი** – დაამთავრა თეატრალური ინსტიტუტში. მუშაობს ამავე ინსტიტუტში, ასწავლის მსახიობის ოსტატობას. შვილიშვილი **ნანა ანდრონიკაშვილი** – დაამთავრა თეატრალური ინსტიტუტი. მოღვაწეობს კინოსტუდია „ქართულ ფილმში“.

**ანდრონიკაშვილი მზია,** ენათმეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე, ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის პროფესორი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. დაიბადა თბილისში 1920 წლის 14 ოქტომბერს. მშობლები: **ელენე გაბაშვილი, კონსტანტინე ანდრონიკაშვილი,** მეუღლე – **გიორგი ჭოლოშვილი.** შვილები: **არჩილი** (1947), **ლევანი** (1953). დაამთავრა თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტი (1941). მუშაობდა ენათმეცნიერების ინსტიტუტში (1942–50), იყო თსუ-ს დოცენტი (1952–69). არის კათედრის პროფესორი

(1969 წლიდან), აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1985 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ირანული სიტყვები ძველ ქართულ ორიგინალურ ძეგლებში“ (1946); სადოქტორო – „ქართველურ-ინდოირანული ენობრივი ურთიერთობები“ (1968). შესრულებული აქვს რიგვედისა და ავესტის ჰიმნების თარგმანები. მისი სამეცნიერო შემოქმედების ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია მონოგრაფიაში „ნარკვევები ქართულ-ირანული ენობრივი ურთიერთობიდან“ (*ტ. I, 1966, ტ. II, I ნაკვეთი, 1996*). იყო უნივერსიტეტის დიდი საბჭოს წევრი, აღმოსავლეთმცოდნეთა მსოფლიო და საკავშირო საზოგადოებების წევრი. მიღებული აქვს ივანე ჯავახიშვილის მედალი (1968). მისი ბიოგრაფია შეტანილია კემბრიჯის ბიოგრაფიულ ცნობარში.



**ანდრონიკაშვილი გურამ რევაზის ძე**, უმაღლესი განათლებით, ვეტექიმი. დაიბადა 1933 წლის 8 მაისს ქ. თბილისში. მამა – **რევაზ ვლადიმერის ძე ანდრონიკაშვილი**; დედა – **სოფიო თომას ასული კობერიძე**; მეუღლე – **ეთერი აპოლონის ასული კოდუა** (1938 წ.). შვილები **ლევან გურამის ძე** – 1958 წ. **რევაზ გურამის ძე** – 1963 წ. 1951 წელს დაამთავრა თბილისის ვაჟთა პირველი სკოლა. 1957 წელს საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტი ვეტექიმის სპეციალობით. 1957 წელს დაიწყო შრომითი საქმიანობა აფხაზეთში, შემდეგ ახალციხეში, თბილისში, ხორცისა და რძის მრეწველობის სისტემაში – სხვადასხვა თანამდებობებზე. იყო ახალციხისა და გურჯაანის ხორცკომბინატის დირექტორი; თბილისის ხორცკომბინატის დირექტორის მოადგილე, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროში – სამმართველოს უფროსი.

**ანდრონიკაშვილი რევაზ ვლადიმერის ძე**, უმაღლესი განათლებით, ვეტექიმი. დაიბადა 1904 წლის 26 მარტს გურჯაანში. მამა – **ვლადიმერ აბელის ძე ანდრონიკაშვილი**; დედა – **ელენე ალექსანდრეს ასული აგარონოვა**; შვილები **ვლადიმერ, გურამ ანდრონიკაშვილები**. სწავლობდა თბილისის გიმნაზიაში.

სწავლა გააგრძელა ერევნის ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში და მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება 1937 წლიდან 1988 წლამდე მუშაობდა ხორცისა და რძის მრეწველობის სისტემაში. იყო დამსახურებული ვეტექიმი.

გარდაიცვალა 1992 წელს. დაკრძალულია თბილისში.

**ანდრონიკაშვილი ლალი**, ძველი ქართული არქიტექტურა, თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნება. დ. 6.11.1962, თბილისი. მშობლები: **ნინო გამსახურდია, გოგი ანდრონიკაშვილი**; მეუღლე – **დავით ჩუბინაშვილი** (1946); შვილები: **გიორგი ურუშაძე** (1979), **ანა ჩუბინაშვილი** (1993). სწავლობდა თსსა-ში ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე (1979–84). პედაგოგები: ლ. რჩეულიშვილი, ვ. ბერიძე, დ. თუმანიშვილი. სადიპლომო ნაშრომი „კახეთის სასახლეები“ (ხელმძღვანელი ლ. რჩეულიშვილი). ძირითადი ნაშრომები: „ქართლისა და კახეთის

სასახლეები", საერთო არქიტექტურა (1989); ახალი ქართული მხატვრობა. ალმანახი „სპექტრი" (1997); ავანგარდული მხატვრობის კატალოგი ჩერნოგორია (1995). არის წამყვანი და ავტორი გადაცემათა ციკლისა სახვით ხელოვნებაზე „ქიმერიონი" საქტელერადიოკორპორაციაში (1989–90). მუშაობს გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლად.

**ანდრონიკაშვილი რუსუდან,** დ. 15.08.1939, თბილისი. მშობლები: **ელენე დიდებულიძე, დავით ხანთაძე.** მეუღლე – **ბორის ანდრონიკაშვილი.** შვილები: **კირა** (1970), **ბორისი** (1973). დაამთავრა თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტი (1960). სადიპლომო ნამუშევარი „სამეცნიერო ფანტასტიკა" (ხელმძღვანელი ი. მადური). საქართველოს მხატვართა კავშირის წევრია 1971 წლიდან. გამოფენებში მონაწილეობს 1990 წლიდან. ძირითადი ნამუშევრები: ფერწერა: „ძველი თბილისი" (1992, 1993, 1994), „ყვითელი ეკლესია" (1990), „აბუკი პოემიდან" (1996), „ცისფერი ძაღლი" (1994), „თეთრი ხეები" (1993), „მოგონება", „თეთრი სეფდა" (ორივე 1996), „ოსირისის სიმბოლო" (1995). გამოფენები: პერსონალური: თბილისი (1991), მოსკოვი, „მზიური" (1992), სასტუმრო „არისტარი", მოსკოვი (1994), მხატვ. ცენტ. სახლი, მოსკოვი, თბილისი (1998). ჯგუფური: ვაშინგტონი–მოსკოვი (1995). მისი ნამუშევრები ინახება აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების (მოსკოვი), ქალთა ხელოვნების ეროვნულ (ვაშინგტონი) მუზეუმებში, საქართველოს საელჩოში აშშ (ვაშინგტონი), საქართველოს წარმომადგენლობა გაეროში (ნიუ-იორკი), არნოლდ ხალცმანის გალერეაში (ნიუ-იორკი), არგენტინის, ინგლისის, გერმანიის, ესპანეთის, საბერძნეთის, კანადის, საქართველოს, მექსიკის კერძო კოლექციებში. გამოქვეყნებული აქვს სტატიები თანამედროვე ქართულ ხელოვნებაზე. მუშაობს რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საელჩოს უფროს მრჩევლად კულტურის სფეროში.



**ანდრონიკაშვილი-კაკაბაძე ეთერ,** დ. 10.03.1920, თბილისი. მშობლები: **მარია ანდრონიკაშვილი, ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი;** მეუღლე – **დავით კაკაბაძე;** შვილები: **ამირი, ლარი,** შვილიშვილი – **დავით კაკაბაძე.** სწავლობდა თსსა-ს გრაფიკის ფაკულტეტზე (1940–45). პედაგოგები: ი. შარლემანი, ვ. გრიგოლია, ს. ქობულაძე. სადიპლომო ნამუშევარი – სერია „ძველი თბილისი" ავტოლითოგრ. (ხელმძღვანელი ვ. გრიგოლია). გამოფენებში მონაწილეობს 1948 წლიდან. საქართველოს მხატვართა კავშირის წევრია 1948 წლიდან. ძირითადი ნამუშევრებია: სერია „ძველი თბილისი" (1946), „ზესტაფონი" (1955), „ფოთი", „მარინა იაშვილის პორტრეტი" (1953), „შრომის გმირის პორტრეტი" (1953), „ჯგუფური პორტრეტი" (1952), „ინდუსტრიული პეიზაჟი" (1961), „მოსარწყავი წყლის არხი" (1960), „კომუნისტური შრომის ბრიგადა" (1961), „მანევრებზე" (1965), მშვიდობის სადარაჯოზე" (1965), „იმერეთი" (1970), „საქართველოს გზებზე" (1971), „თბილისის ზღვასთან", „საგზაო მეურნეობა", „სამგორის სიმინდი", „პავმანი" (1971), „თამბაქოს

გაშრობა", „შრომა", „შირაქის პური", „ქართლი", „ხიდი ალაზანზე" (1997). გამოფენები: საკავშირო – მოსკოვი (1946, 1961, 1967, 1971). რესპუბლიკური (თბ., 1953, 1955, 1986), „მშვიდობის სადარაჯოზე" (მოსკოვი, 1965), „ქართული ხელოვნება" (დრეზდენი, 1970), საქართველოს სახვითი ხელოვნება (მოსკოვი, 1958), „საბჭოთა საქართველო" (თბილისი, 1963), სეგ (თბილისი, 1997). მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს სახვითი ხელოვნების მუზეუმში, სეგ. არის საქართველოს დამსახურებული მხატვარი (1974), თსსა-ს დოცენტი (1974).

**ანდრონიკაშვილი გურამ ლევანის ძე** დაიბადა 1979 წლის 11 აგვისტოს ქ. ტომსკში.



მამა ლევან გურამის ძე ანდრონიკაშვილი – ექიმი ფსიქიატრი. და – **ანა ლევანის ასული** – 1991 წელი. ძმა – **ნიკოლოზ ლევანის ძე** – 1991 წელი ძმა – **ლევან ლევანის ძე**.

1998 წელს დაამთავრა ინგლისის ქ. სტანფორდის კოლეჯი. იმავე წელს სწავლა განაგრძო დარამის უნივერსიტეტში, რომელიც დაამთავრა 2001 წელს.

როდესაც 2001 წელს ლონდონის მორგან ბანკმა გამოაცხადა კონკურსი 100 სამუშაო ადგილზე, 17 ათასი მსურველიდან, რომელთაც ოთხი ტური უნდა გაევლო, კომისიამ პირველი ტურის დამთავრებისთანავე ხელშეკრულება გააფორმა მასთან. გურამის დიდი სიყვარულია ბებია და მოსახელე პაპა, რომლებთანაც ძალიან ხშირი ურთიერთობა აქვს. მისი ჰობია ნიჩბოსნობა და მოგზაურობა.

**ანდრონიკაშვილი ლევან გურამის ძე** დაიბადა 1958 წლის 10 ივლისს სოხუმში. 1975 წელს დაამთავრა თბილისის 55-ე საშუალო სკოლა. 1983 წელს დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი. მუშაობდა ავსტრალიის ქალაქ სიდნეიში როზელის ჰოსპიტალში – ექიმ ფსიქიატრად. მეუღლე – **მარინე ჯემალის ასული შანიძე**.





შვილები: **გურამ ლევანის ძე** (1979. 11. 08)

**ანა ლევანის ასული** (1991. 02. 12) **ნიკოლოზ ლევანის ძე** (1991. 02, 12) **ლევან ლევანის ძე** (1993. 07. 03)

**ანდრონიკაშვილი ვლადიმერ აბელის ძე** დაიბადა 1867 წელს გურჯაანში. გარდაიცვალა 1924 წელს. 1896 წელს გადასახლებულია რუსეთში საქართველოში მეფის ნაცვალთან უთანხმოების გამო. 1924 წელს დახვრიტეს ქ. სიღნაღში. მეუღლე **ელენე ალექსანდრეს ასული აგარიოვა** (1868–1957). შვილები: **თამარა ვლადიმერის ასული** 1899–1958 წ.წ. **რევაზ ვლადიმერის ძე** 1904–1992 წ.წ **კონსტანტინე ვლადიმერის ძე** 1907–1971 წ.წ. **მიხეილ ვლადიმერის ძე** 1910–1988 წ.წ. **ანა ვლადიმერის ასული** 1911–1989წ.წ.

**ანდრონიკაშვილი ვლადიმერ რევაზის ძე** – მეან-გინეკოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი. დაიბადა 1930 წლის 26 მაისს, გარდაიცვალა 1999 წელს. მეუღლე – **ლამარა ტერენტის ასული ხაბეიშვილი**.

შვილები: **ანა ვლადიმერის ასული** – ექიმი (1967); **ნინო ვლადიმერის ასული** – ექიმი (1962). 1948 წელს დაამთავრა თბილისის პირველი ვაჟთა სკოლა. 1955 წელს დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი.

მუშაობდა: დმანისში, გურჯაანში, თერჯოლაში, ზუგდიდში, თბილისის რკინიგზის საავადმყოფოში. 31 – საავიაციო ქარხნის საავადმყოფოში მეან-გინეკოლოგად.



**ანდრონიკაშვილი რევაზ გურამის ძე** დაიბადა 1963 წლის 23 ივნისს სოხუმში. მამა – გურამ რევაზის ძე ანდრონიკაშვილი. მეუღლე ელენე ანატოლის ასული ანდრონიკაშვილი (1964.06.03). შვილები: გიორგი რევაზის ძე (1984. 12. 09) სტუდენტი; თამარ რევაზის ასული (1989. 11. 08) მოსწავლე.

1980 წელს დაამთავრა თბილისის 55-ე საშუალო სკოლა.

1987 წელს დაამთავრა ტიუმენის სამედიცინო ინსტიტუტი. მუშაობს ტიუმენის ქალაქის №1 საავადმყოფოში ექიმ-ნევროლოგად.

**ანდრონიკაშვილი ელეფთერ ლუარსაბის ძე** (15. XII 1910, პეტერბურგი) ქართველი ფიზიკოსი, საქ. მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. 1932 წელს დაამთავრა ლენინგრადის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკა-მექანიკის ფაკულტეტი. იმავე წელს მუშაობა დაიწყო აეროჰიდროდინამიკის ცენტრში. 1934–45 წლებში ასწავლიდა თსუ-ში, 1948 წლიდან პროფესორია. მან დაამტკიცა, რომ ზედაბალ ტემპ-რაზე თხევად ჰელიუმში ადგილი აქვს ორი სახის მოძრაობას; გაზომა ბიოპოლიმერების შიგამოლეკულური დნობის სითბო, ჩაატარა უამრავი კვლევითი სამუშაო. 1952 წელს მიენიჭა სსრკ სახელმწიფო პრემია, დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

**ანდრონიკაშვილი ივანე ზაქარიას ძე** (10. IX 1862, სოფ. მელაანი სიღნაღის მაზრა, ახლანდელი გურჯაანის რ-ნი; გარდაიცვალა 11. VII 1947 წ.) ქართველი აგრონომი, საზოგადო მოღვაწე. 1887 წელს მოსკოვში დაამთავრა პეტროვსკის სამიწათმოქმედო და სატყეო აკადემია. 1889–1902 წლებში მუშაობდა კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის მთავარ ექსპერტად და ხელმძღვანელობდა ფილოქსერის საწინააღმდეგო ექსპედიციებს საქართველოსა და ჩრდილო კავკასიაში. 1902–16 წლებში იყო ქალაქ ბათუმის თავი. მისი რედაქტორობით გამოდიოდა სამეცნიერო ჟურნალი „ვაზი და ღვინო". მისი ინიციატივით 1921 წელს დაარსდა ჟურნალი „სოფლის მეურნე", რომელსაც თვითონვე რედაქტორობდა.

1939 წელს საკავშირო გამოფენაზე კონსულტაციას უწევდა საქართველოს პავილიონის მოწყობას.

**ანდრონიკაშვილი იოსებ ზაქარიას ძე** (13. VI 1855–20. VII 1940) ქართველი ინჟინერი და საზოგადო მოღვაწე. 1881 წელს დაამთავრა პეტერბურგის საგზაო-საინჟინრო ინსტიტუტი. 1882–1902 წლებში ხელმძღვანელობდა სოხუმ-ტუაფსეს, თბილის-მანგლის-ახალქალაქის, თბილის-თიანეთის, თბილის-თელავის, თბილის-განჯისა და სხვა

საავტომობილო გზების მშენებლობის დაგეგმარებას. კახეთის რკინიგზის მშენებლობის ერთ-ერთი ინიციატორი. მონაწილეობდა ქართული დრამატურგიული საზოგადოების ჩამოყალიბებასა და ქართული კლუბის დაარსებაში. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა თბილისის სამუსიკო სასწავლებელს. მეგობრობდა ჩაიკოვსკისთან. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დანიშნეს საქართველოს გზატკეცილების სამმართველოს უფროსად. ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. მას ეკუთვნის სახელმძღვანელოები „სამშენებლო ხელოვნება“, „ურელსო გზები“ და „რუსულ-ქართული ქართულ-რუსული სამშენებლო ლექსიკონი“.

**ანდრონიკაშვილი ლუარსაბ ნიკოლოზის ძე** (14. II 1872. სოფ. ოჟიო, ახლ. ახმეტის რ-ნი, – 19. XII 1939. თბილისი) ქართველი მეცნიერი, იურისტი და საზოგადო მოღვაწე. უმაღლესი იურიდიული განათლება მიიღო პეტერბურგში. სწავლობდა ფილოსოფიას ჰაიდელბერგისა და სტრასბურგის უნივერსიტეტებში. 1899 წელს შევიდა რუსეთის ადვოკატურაში. იყო „პოლიტიკური დამცველთა“ ჯგუფის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი. მონაწილეობდა ისტორიული მნიშვნელობის ასზე მეტ სასამართლოში. იგი იცავდა შეიარაღებული აჯანყებათა და დემონსტრაციების ორგანიზატორებსა და მონაწილეებს. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ იგი მეცნიერულ მოღვაწეობას ეწეოდა. კითხულობდა ახალი ფილოსოფიის კურსს ტფილისის პედ-ინსტიტუტში, სასამართლო მჭერმეტყველებას მოსკოვის სიტყვის სახელმწიფო ინსტიტუტში. 1921 წლიდან თბილისში დასახლდა. კითხულობდა ლექციებს თსუ იურიდიულ ფაკულტეტზე. იყო სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგე ამავე უმაღლეს სასწავლებელში (1937) და სისხლის სამართლის კათედრის პროფესორი. ჰქონდა საჯარო გამოსვლები ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე.

ანდრონიკაშვილი ივლიტა ნიკოლოზის ასული



ანდრონიკაშვილი ივანე ზალხაზის ძე





ანდრონიკაშვილი ვლადიმერ აბელის ძე

ანდღულაძე 1961
თბილისი – 572,
ოზურგეთი – 478,
ბათუმი – 133.

**ანდღულაძეთა** გვარის შესახებ თქმულებები ჩაგვაწერინა ქალბატონმა **ლია ანდღულაძემ**. დღეს, მართალია ანდღულაძეები გურიის მკვიდრნი არიან, მაგრამ გვარში შემორჩენილია გადმოცემა, რომ წინაპრები აქ სხვა კუთხიდან არიან მოსულები XVI საუკუნეში. გადმოცემის მიხედვით, **ანდღულაძეები საეკლესიო პირები ყოფილან**, **იყვნენ**, **როგორც საეკლესიო გლეხები**, ისე **აზნაურები**. მოსული წინაპარი თურმე წყლის პირას ცხოვრობდა. ღამით სიზმარი უნახავს: თუ არ გადაიდებოდა საცხოვრისს, მის ოჯახს უბედურება არ ასცდებოდა. თანაც, რჩევა მიეცა, წასულიყო იქ, სადაც ვაზი ხარობდა. ასეთი ადგილი სოფელი ბახვი ყოფილა, განთქმული შესანიშნავი ყურძნის ჯიშით – ჩხავერით. წინაპარი ბახვში დასახლებულა. ვენახი მოუშენებია და სალოცავი აუგია. სასულიერო სამსახური ვაჟიშვილზე გადადიოდა. ანდღულაძეებს ვაჟი აღარ ჰყოლიათ, ქალიშვილი კი ქიქოძესათვის მიუთხოვებია. სწორედ, ამ ქიქოძეს გაუგრძელებია საეკლესიო საქმიანობა. ცნობილია, რომ ქიქოძეებიც სამღვდელო მოხელეები იყვნენ და XIX საუკუნეში ჰყავდათ დიდი საზოგადო მოღვაწე **გაბრიელ** (ქუთაისში) **ეპისკოპოსი**. ამის თაობაზე საუბრობდა ხოლმე ბატონი გერონტი ქიქოძე. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ სწორედ გაბრიელ ქიქოძემ ითავა მშობლიურ სოფელში ეკლესიის აგება. მშენებლებად მოიწვია იმხანად განთქმული ოსტატები, ძმები ბერიკაშვილები. სახელოვანი მომღერალი და მეცნიერი **ნოდარ ანდღულაძე** ამბობდა, რომ ანდღულაძეები ჭანები ყოფილან. მეგრელ-ჭანები შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე ცხოვრობდნენ და თამარ მეფის დროს ტრაპიზონის იმპერიის ძირითად მოსახლეობას წარმოადგენდნენ. გადმოცემით წინაპრებს წყლის პირს უკავშირებს, მისდევდნენ მევენახეობას. გვარგამოცვლილი ანდღულაძეები სახლდებიან გურიაში-ბახვში და სხვა.



**ანდღულაძე ნიკოლოზ პორფილეს ძე** (1902 წ.) იყო ათზე მეტი ნაშრომის ავტორი. ჰქონდა წიგნები ისტორიაში, პედაგოგიკაში, ტექნოლოგიაში.

როგორც ბევრი სხვა ანდღულაძე, ისიც კარგად მღეროდა. მისი ხმა მიაგავდა გოგი დოლიძისას (მამით ახლო ნათესავი იყო). მიმზიდველი პიროვნება და განთქმული თამადა გახლდათ.

ჰყავდა სამი შვილი.



**ანდღულაძე ლია** დაიბადა 1931 წლის 2 აპრილს თბილისში. დაამთავრა თბილისის მე-5 ქალთა სკოლა წარჩინებით, შემდეგ თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობდა შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-მუშაკად. იყო ეროვნული ხელისუფლების განათლების მინისტრი. გამოქვეყნებული აქვს 2 წიგნი, 5 კრებული, სტატიები ლიტერატურაზე, ისტორიაზე, ხელოვნებაზე, განათლებაზე, პოლიტიკაზე. მისი ძმაა



**ანდღულაძე ლევან ნიკოლოზის ძე,** დაბადებული 1935 წელს თბილისში. სპორტის დამსახურებული მოღვაწე. სხვადასხვა დროს ქალაქის, რესპუბლიკის, კავშირის ჩემპიონატზე (კრივში) გამარჯვებული. დააარსა 5 სპორტული სკოლა. 1975–82 წლებში ყოველწლიურად ამზადებდა 10–12 სპორტის ოსტატს.

მუშაობდა რესპუბლიკის სპორტკომიტეტში. ჰყავდა ერთი ვაჟი (აწგარდაცვლილი).



**ანდღულაძე ნანა ნიკოლოზის ასული,** დაიბადა 1937 წელს. თბილისის ქალთა მე-5 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ (1954) უმაღლესი განათლება მიიღო სულხან-საბა ორბელიანის (პუშკინის) სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში (1959).

მუშაობა დაიწყო 1960 წლიდან თბილისის კონსერვატორიასთან არსებულ ნიჭიერთა ათწლედში პიონერხელმძღვანელობიდან, მუშაობდა კალინინის რაიონის კულტურის მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარედ; 1971 წელს იმ ხანად კალინინის რაიონის აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, პასუხისმგებელ მდივნად; აღმასკომის (1972–90) თავმჯდომარის მოადგილედ.

1994–96 წლებში არჩეული იყო საქართველოს პარლამენტის მთავარ სპეციალისტად. ამჟამად თბილისის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარეა.

1972–90 წ.წ. 14-ჯერ იყო არჩეული რაიონის საბჭოს დეპუტატად, აღმასკომის წევრად (1968–1980). იყო კალინინის რაიონის რელიგიის და კულტურის ძეგლთა დამცველი კომისიის თავმჯდომარედ.

**ანდღულაძე მიხეილ პორფილეს ძე,** დაიბადა სოფელ ბახეში 1932 წელს. საშუალო განათლება მიიღო იქვე. მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირ-იაპონიის ომში.

დაბრუნებული დაქორწინდა, მუშაობდა სკოლაში ფიზ-აღზრდის მასწავლებლად და სწავლობდა დაუსწრებლად თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში.

1951 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა. იყო მრავალმხრივ განვითარებული, ნიჭიერი და ზრდილი ადამიანი.

ხატავდა, ჰქონდა მცირე გამოგონებებიც. ზეთის საღებავებით შექმნილი მისი სურათები ცხადყოფს მის თვითნაბად ნიჭს. დარჩა ორი მცირეწლოვანი შვილი – ნიკოლოზი და ბადრი.

**ანდღულაძე** – ბახეს მცხოვრები, ემართა ქუთაისის საყდრის ბეგარა – ხუთ[ა]თა კუმხალაურის ფუძის ოცი ჩითახური *(1558 წ. შდ-626).*

**ანდღულაძე ამინდარ** – ბახეს მცხოვრები, ჰყავს [სახლიკაცი] **ზაქლა,** ემართა ქუთაისის საყდრის ბეგარა: თხუთმეტი ჩითახური, ერთი საკლავი, ერთი ქათამი, ერთი ფსომიარე ლომი, ხუთი სარწყავი ღვინო, სამი პური და ოჩის სამსახური *(1558 წ. შდ-626).*

**ანდღულაძე ზავლა** – [სახლიკაცი] ამინდარ ანდღულაძისა. იხ.

**ანდღულაძე თვალია** – ბახეს მცხოვრები, ემართა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ხუთი ჩითახური, ერთი საკლაეი, ერთი ქათამი, ერთი ფსომიარე ღომი, ხუთი საწყაეი ღვინო, სამი პური, ოჩის სამსახური *(1558 წ. შდ–626).*

**ანდღულაძე ილარიონ** – ბახეს მცხოვრები, ემართა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ხუთი ჩითახური, ერთი საკლაეი, ერთი ქათამი, ერთი ფსომიარე ღომი, ხუთი საწყაეი ღვინო, სამი პური, ოჩის სამსახური *(1558 წ. შდ–626).*

**ანდღულაძე კაკალა** – ბახეს მცხოვრები, ემართა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ხუთი ჩითახური, ერთი საკლაეი, ერთი ქათამი, ერთი ფსომიარე ღომი, ხუთი საწყაეი ღვინო, სამი პური, ოჩის სამსახური *(1558 წ. შდ–626).*

**ანდღულაძე ლომა** – ბახეს მცხოვრები, მასა და მის ძმებს ემართათ ქუთაისის საყდრის ბეგარა: თორმეტი ჩითახური, ერთი საკლაეი, ერთი ქათამი, ერთი ფსომიარე ღომი, ხუთი საწყაეი ღვინო, სამი პური, ოჩის სამსახური.

**ანდღულაძე მამისთვალა** – ბახეს მცხოვრები, ემართა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ხუთი ჩითახური, ერთი საკლაეი, ერთი ქათამი, ერთი ფსომიარე ღომი, ხუთი საწყაეი ღვინო, სამი პური და ოჩის სამსახური *(1558 წ. შდ–626).*

**ანდღულაძე მამისმამა** – ბახეს მცხოვრები, ემართა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ექვსი ჩითახური, ერთი საკლაეი, ერთი ქათამი, ერთი ფსომიარე ღომი, ხუთი საწყაეი ღვინო, სამი პური და ოჩის სამსახური *(1558 წ. შდ–626).*

**ანდღულაძე მახარა** – ბახეს მცხოვრები, [სახლიკაცი] ოქროპირ ანდღულაძისა.

**ანდღულაძე ოქროპირი** – ბახეს მცხოვრები, ჰყავს [სახლიკაცი] მახარა, მასთან ერთად ემართა ქუთაისის საყდრის ბეგარა: თორმეტი ჩითახური, ერთი საკლაეი, ერთი ქათამი, ერთი ფსომიარე ღომი, ხუთი საწყაეი ღვინო, სამი პური, ოჩის სამსახური *(1558 წ. შდ–626).*

**ანდღულაძე ქემაზა** – ბახეს მცხოვრები, ემართა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ხუთი ჩითახური, ერთი საკლაეი, ერთი ქათამი, ერთი ფსომიარე ღომი, ხუთი საწყაეი ღვინო, სამი პური და ოჩის სამსახური *(1558 წ. შდ–626).*

**ანდღულაძე ყიზია** – ბახეს მცხოვრები, ემართა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ხუთი ჩითახური, ერთი საკლაეი, ერთი ქათამი, ერთი ფსომიარე ღომი, ხუთი საწყაეი ღვინო, სამი პური და ოჩის სამსახური *(1558 წ. შ–626).*



**ანდღულაძე დავით იასონის ძე** (3 [15].X. 1895, სოფ. ბახვი, ახლანდელი ოზურგეთის რ-ნი – 29.XI.1973, თბილისი), მომღერალი (დრამ. ტენორი), სსრკ სახალხო არტისტი (1950). ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი (973). 1925 წელს დაამთავრა თბილისის კონსერვატორია (პროფ. ე. ვრონსკის კლასი), 1926 წელს საოპერო თეატრის სცენაზე შედგა მისი დებიუტი (რიჩარდი, ვერდის „ბალ-მასკარადი"). ამავე სეზონში შეასრულა კანიოს (ლეონკავალოს „ჯამბაზები"), რადამესის (ვერდის „აიდა") და კავარადოსის (პუჩინის „ტოსკა") პარ–

ტიები. 1927–1929 წლებში დ. ანდღულაძე მოსკოვის სტანისლავსკის თეატრის სცენაზე მღეროდა ლევკოს (რიმსკი-კორსაკოვის „მაისის ღამე"), როდოლფის (პუჩინის „ბოჰემა"), გრიგორის (მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი") და სხვა პარტიებს. 1929–1933 თბილისის საოპერო თეატრში შექმნა დონ-ხოზესა და გერმანის ვოკალურ-სცენური სახეები. 1933–1935 წლებში დ. ანდღულაძე სსრკ დიდი თეატრის სოლისტი იყო. იქ პირველად შეასრულა მანრიკოს (ვერდის „ტრუბადური") და რაულის (მაიერბერის „ჰუგენოტები") პარტიები. 1935 წლიდან კი კვლავ თბილისს დაუბრუნდა. მის მიერ განსახიერებულმა აბესალომმა (ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი") მაღალი შეფასება დაიმსახურა ქართული ხელოვნების დეკადაზე მოსკოვში (1937). 1947 წელს ტარიელის პარტიის (მშველიძის „ამბავი ტარიელისა") შესრულებისთვის სსრკ სახელმწიფო პრემია მიენიჭა. 1949 წელს იმღერა ოტელოს პარტია ვერდის ამავე სახელწოდების ოპერაში. ფართო დიაპაზონის, ძლიერი, ლამაზი ტემბრის დრამატული ტენორი, აქტიორული ნიჭი და სცენური გარეგნობა ხელს უწყობდა მას, შექმნა მუსიკალურ-სცენური სახეების მდიდარი გალერეა. მომღერალმა გასტროლებით შემოიარა სსრკ-ს მრავალი ქალაქი. 1946 წლიდან თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის პედაგოგი იყო (1958 წლიდან – პროფესორი). ანდღულაძის მოწაფეები არიან ზურაბ ანჯაფარიძე, ნოდარ ანდღულაძე, ზურაბ სოტკილავა.



**ანდღულაძე ვასილ ალექსის ძე** (15 [18].IX. 1898, ქ. ოზურგეთი – 14.IX. 1958, თბილისი), თერაპევტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1939), პროფესორი (1939), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1957). 1931 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. 1938–42, 1943–58 წლებში განაგებდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროპედევტიკული თერაპიის კათედრას 1938–42, 1943–47 წლებში – თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კათედრას. 1942–43 წლებში იყო ყირიმისა და ჩრდილო კავკასიის ფრონტების მთავარი თერაპევტ-ტოქსიკოლოგი. ვ. ანდღულაძე იკვლევდა პროფესიული დაავადებების საკითხებს. შეადგინა სახელმძღვანელო „მომწამვლელი ნივთიერებებით დაზიანებათა პათოლოგია და თერაპია" (1957).



**ანდღულაძე ნოდარ დავითის ძე** (დ. 13.XII.1927, თბილისი) მომღერალი *(ლირ. ტენორი)*, საქართველოს სახალხო არტისტი (1965). დ. ანდღულაძის შვილი და მოწაფე. ახალგაზრდობის VI საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი *(მოსკოვი, 1958)*, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი *(1954)*. ანდღულაძის დებიუტი თბილისის საოპერო სცენაზე შედგა 1956 წელს *(ხოზე, ბიზეს „კარმენი")*. პარალელურად იგი მოღვაწეობდა, როგორც პედაგოგი თსუ-ში *(1953–1959)*. 1961–62 წლებში მიაელინეს სტაჟიორად მილანის საოპერო თეატრ ლა-სკალაში *(პედაგოგი ჯ. ბარა)*.

ნ. ანდღულაძეს ქართულ რუსულ და საზღვარგარეთულ ოპერებში შესრულებული აქვს პარტიები: აბესალომი, მალხაზი (ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“), ტარიელი (მშველიძის „ამბავი ტარიელისა“), გერმანი (ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“), რადამესი, მანრიკო, ჰერცოგი (ვერდის „აიდა“, „ტრუბადური“, „რიგოლეტო“), ედგარი (დონიცეტის „ლუჩია დი ლამერმური“), კანიო (ლეონკავალოს „ჯამბაზები“), ტურიდუ (მასკანის „სოფლის პატიოსნება“), ლოენგრინი (ვაგნერის „ლოენგრინი“) და სხვ. 1968 წლიდან ანდღულაძე თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგია *(ქსე, ტ. I, გვ. 452*



**ანდღულაძე დავით ალექსანდრეს ძე**, რეჟისორი, ახმეტელის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. დაიბადა თბილისში 1956 წ. 11 იანვარს. მშობლები: **გულიკო კაცაძე, ალექსანდრე ანდღულაძე**. მეუღლე – **მაია ზედგინიძე** (1959). შვილები: **ანა** (1985), **ალექსანდრე** (1995). დაამთავრა თსთი (1982). იყო საქართველოს ტელევიზიის (1982–85), მარჯანიშვილის თეატრის (1985–96) რეჟისორი. ახმეტელის თეატრის რეჟისორი და სამხატვრო ხელმძღვანელია 1998 წლიდან. არის დამდგმელი რეჟისორი სპექტაკლებისა: „თათეალი“ *(ს.ს. ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ მიხედვით)*, ი. ჭავჭავაძის „განდეგილი“, ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“, გ. რობაქიძის „გრაალის მცველნი“, „სტელა და ავი სული“ *(ბ. შოუს „პიგმალიონის“ მიხედვით)*, „დიდოსტატი“ *(კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“ მიხედვით)*, ლ. თაბუკაშვილის „შენსკენ სავალი გზები“, „ოცდამეთერთმეტე“ *(უ. შექსპირის „ჰამლეტისა“ და სტოპარდის „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდარნი არიან“ მიხედვით)*, ჰ. პინტერის „ღალატი“, ფ. დიურენმატის „მეორედ მოსვლა ანუ მილიარდერის ვიზიტი“. არის კ. მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი (1990), „რეჟისორთა ლიგის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და არჩეული ხელმძღვანელი (1993). მისი სპექტაკლი „ოცდამეთერთმეტე“ წარდგენილი იყო სახელმწიფო პრემიაზე.



**ანდღულაძე ჯონი ალექსანდრეს ძე**, დაიბადა 1939 წლის 22 ივლისს, ქობულეთში. დედა – **მარიამ მიხეილის ასული ინწკირველი**, დიასახლისი, გარდაიცვალა 1974 წელს. მამა – **ალექსანდრე იასონის ძე ანდღულაძე**, სწავლული აგრონომი და ინჟინერ-ტექნოლოგი 1928–1990 წლები. მოღვაწეობდა ქობულეთის რაიონში. წლების მანძილზე იყო ცეცხლაურის ჩაისა და ციტრუსების მეურნეობის, ხოლო შემდეგ სხვადასხვა ჩაის ფაბრიკის დირექტორი. გარდაიცვალა 1002 წელს. მიღებული ჰქონდა მთავრობის მრავალი ჯილდო.

1957 წელს ჯ. ანდღულაძემ დაამთავრა ქობულეთის №1 საშუალო სკოლა, ხოლო 1968 წელს – საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ტექნოლოგის სპეციალობით.

1965 წლიდან დღემდე მუშაობს სააქციო საზოგადოება „კრისტალში“ (ყოფილი

სამტრესტის საწარმოო კომბინატი – სპირტი–ლიქიორ–არყის საწარმოო გაერთიანება) მზა პროდუქციის საამქროს უფროსად. არის არყების „ტარხუნა", „სარაჯიშვილი" და სხვათა ერთ-ერთი ავტორი. ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟიშვილი. მეუღლე – **ლია ვლადიმერის ასული ადეიშვილი.** პროფესიით ფარმაცევტი. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორი. ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი. დაბ. 1942 წ. ვაჟიშვილი – **ალექსანდრე ჯონის ძე ანდღულაძე,** დაბ. 1967 წელს. პროფესიით ფარმაცევტი. მუშაობს ფარმაცევტულ ფირმა „ლეჩია-გეოში". ცოლიშვილიანია. მეუღლე – **ეკა ჯემალის ასული ხარატიშვილი,** ჟურნალისტი. შვილები – **ლადო** (1993 წ.) და **თინათინი** (2001 წ.). არის 4 სამეცნიერო შრომის ავტორი. ვაჟიშვილი – **ვლადიმერ ჯონის ძე ანდღულაძე,** დაბ. 1972 წ. პროფესიით მეღვინე–ტექნოლოგი. ამჟამად სწავლობს თსსუ–ს ფარმაცევტულ ფაკულტეტზე და მუშაობს ფარმაცევტულ ფირმა „ლეჩია–გეოში". მეუღლე **ოლიკო ლევანის ასული ბურჯანაძე,** ექიმი. ქალიშვილი – **ლია** (1989 წ.).



**ანდღულაძე ალექსანდრე ჯონის ძე,** დაბ. 1967 წლის 20 აპრილს თბილისში. დედა – **ლია ვლადიმერის ასული ადეიშვილი.** დაბ. 1942 წელს. პროფესიით ფარმაცევტი – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორი, ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი. მამა – **ჯონი ალექსანდრეს ძე ანდღულაძე,** დაბ. 1039 წელს. პროფესიით მეღვინე–ტექნოლოგი. სააქციო საზოგადოება „კრისტალის" მზა პროდუქციის საამქროს უფროსი.

1984 წელს დაამთავრა თბილისის უშინსკის სახელობის №1 ექსპერიმენტული სკოლა წარჩინებით. იმავე წელს შევიდა ხარკოვის ნაციონალ-ფარმაცევტულ აკადემიაში, შემდეგ გადმოვიდა და 1989 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცევტული ფაკულტეტი. 1989-95 წლებში მუშაობდა რესპუბლიკის მთავარ სააფთიაქო ბაზაში განყოფილების გამგედ, შემდეგ – ფარმაცევტულ ფირმა „კრისტალში". ამჟამად მუშაობს ფარმაცევტულ ფირმა "ლევისი–გეოში". გამოქვეყნებული აქვს 4 სამეცნიერო ნაშრომი. მეუღლე – ეკა ჯემალის ასული ხარატიშვილი, დაბ. 1972 წელს, ჟურნალისტია, ჰყავს ორი შვილი – ლადო (1992) და თინათინი (2001).



**ანდღულაძე ვლადიმერ ჯონის ძე,** დაიბადა 1972 წლის 29 ივლისს ქობულეთში.

დედა – **ლია ვლადიმერის ასული ადეიშვილი–ანდღულაძისა,** თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი – ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი, დაბადებულია 1942 წელს.

მამა – **ჯონი ალექსანდრეს ძე ანდღულაძე,** დაბადებული 1939 წელს, მეღვინე–ტექნოლოგი, თბილისის სააქციო საზოგადოება „კრისტალის" მზა პროდუქციის საამქროს უფროსი.

1978 წელს შევიდა და 1988 წელს დაამთავრა თბილისის უშინსკის სახ–



*ილია ანთელავა*

ელობის №1 ექსპერიმენტული საშუალო სკოლა. 1990 წელს ჩაირიცხა მოსკოვის საკავშირო კვების მრეწველობის ინსტიტუტში, სადაც ისწავლა 3 კურსი. მე-4 კურსიდან გადმოვიდა და 1997 წელს დაამთავრა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ტექნოლოგიისა და მეპალეობა-მეცხოველეობის ფაკულტეტის სრული კურსი მეღვინე-ტექნოლოგის სპეციალობით. 1990–2000 წლებში მუშაობდა სააქციო საზოგადოება „კრისტალში“. 2000 წლის იანვრიდან მუშაობს ფარმაცევტულ ფირმა „ლეჟიეა-გეოში“. პარალელურად სწავლობს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცევტულ ფაკულტეტზე.

თავისუფლად ფლობს რუსულ ენას, საკმაოდ იცის ინგლისურიც. შეუძლია კომპიუტერზე მუშაობა. მიღებული აქვს მუსიკალური განათლება. თამაშობდა ფეხბურთს და წყალბურთს. ცოლ-შვილიანია. მეუღლე **ოლიკო ლევანის ასული ბურჯანაძე** დაბ. 1972 წელს, ქალიშვილი **12 წლის ლია ანდღულაძე**



**ანდღულაძე თამაზ ვლადიმერის ძე**, დაიბადა ოზურგეთის რაიონის სოფელ მაკვანეთში 1940 წლის 14 თებერვალს. პირველდაწყებითი განათლება მიიღო აღნიშნული სოფლის საშუალო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის კულტ-საგანმანათლებლო სასწავლებელში საგუნდო ხელოვნების განყოფილებაზე. კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ს. ზაქარიაძის სახ. კულტ-საგანმანათლებლო სასწავლებელში, ხოლო შემდეგ – თბილისის მე-3 სამუსიკო სასწავლებელში გუნდის დირიჟორისა და საგუნდო საგნების პედაგოგად.

1972 წლიდან მუშაობს საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის სამმართველოს სისტემაში (ახლანდელი თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახური), 1973 წლიდან ჯერ მე-15 სკოლის, ხოლო დღემდე ზ. ანჯაფარიძის სახელობის №28 სამუსიკო სკოლის დირექტორად.

მუშაობის ამ პერიოდში მან თავი გამოიჩინა, როგორც ენერგიულმა, საქმიანმა, ინიციატივიანმა ხელმძღვანელმა, მას უნარი შესწევს, პროფესიონალური სწორი მიმართულება მისცეს მუშაობას, სწორად შეაფასოს შექმნილი ვითარება, მოახდინოს დროული და სწორი რეაგირება.

*თამაზ ვლადიმერის ძე ანდღულაძე წლების მანძილზე ვოკალურ ანსამბლ „გორდელას“ თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოებულია მთავრობის სხვადასხვა ჯილდოებით.*

1968 წელს მიღებული აქვს ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IX მსოფლიო ფესტივალზე ლაურეატის წოდება და ოქროს მედალი „ორფეოსი“ 1972 წელს დაჯილდოვდა ალკკ პრემიით, ხოლო იმავე წელს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

1980 წელს თ. ანდღულაძის ინიციატივით გაიხსნა საგუნდო ხელოვნების განყოფილება, რომლის აღზრდილები წარმატებით აგრძელებენ სწავლას სამუსიკო

სასწავლებლებსა და კონსერვატორიაში და დღეს ნიჭიერ ლოტბარებად გვევლინებიან. წლების მანძილზე მუშაობდა ბიჭუნათა ანსამბლ „მართვეეს" ლოტბარად, ხოლო 1990 წლიდან თავისი ანდღულაძის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ანსამბლი „ბიჭები", რომელიც დიდი წარმატებით სარგებლობს, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. 1999 წელს ქართული ხალხური სიმღერა „იუნესკოს" მიერ აღიარებული იქნა მსოფლიო ფოლკლორის შედევრად, რაშიც სხვებთან ერთად დიდი დამსახურება თ. ანდღულაძეს ეკუთვნის. იგი ერთ-ერთი დამფუძნებელია საერთაშორისო ფოლკლორის ცენტრისა, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ეძიებს და აღადგენს ქართული ხალხური სიმღერების უნიკალურ ჩანაწერებს.

**ანდღულაძე ნუგზარ ილარიონის ძე.** ქართული შუასაუკუნეების ხუროთმოძღვრება. დ. 10.06.1933, ბათუმი. მშობლები: ლუდმილა ანდღულაძე, ილარიონ ანდღულაძე, მეუღლე – მანანა ქადეიშვილი. შვილები: ვახტანგი (1960), ირაკლი (1969). სწავლობდა თბილისის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში სამსახიობო ფაკულტეტზე (1952–56). პედაგოგები: დ. ალექსიძე, გ. ლორთქიფანიძე, ს. ზაქარიაძე, მ. მრევლიშვილი, აკ. ვასაძე. იყო ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის სტაჟიორი (1960–62). საქართველოს არქიტექტორთა კავშირის წევრია 1981 წლიდან. ძირითადი ნაშრომები: „ოპიზის მონასტრის ხუროთმოძღვრული ანსამბლი", თბ. (1976); მცხეთის ჯვარი, თბ. (1983), ალავერდი, თბ. (1984), „წილკნის ტაძარი", „საბჭოთა ხელოვნება", №6, თბ. (1984), გუდალეთის ტაძარი – „ძეგლის მეგობარი", №35, თბ. (1974), ქართული სამრეკლოები, თბ. (1982), ვახტანგ ბერიძე – „საბჭოთა ხელოვნება", №6, თბ. (1974), ქართული და სასანური ხელოვნების ისტორიიდან, თბ. (1977). სტატიები კრებულებში: „საქართველოს ძეგლთა ნუსხა", ტ. 5, თბ. (1990), მიკროაფიშები „ქართული არქიტექტურა", ტ. I, 1994, ტ. II, 1996, ტ. III, 1997, ქ. ლეიდენი. მონაწილეობდა ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ II და III საერთაშორისო (თბ., 1977, 1980), ამიერკავკასიის ხელოვნებისადმი მიძღვნილ (ანტალია, 1979, 1980) სიმპოზიუმებში. არის თსსა და ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი. 1971 წლიდან – ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, 1983 წლიდან – დოცენტი. მუშაობს თსსა ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის გამგედ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. ჩუბინიშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. ხელოვნების ისტორიის კურსს კითხულობს თსსა სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზე. მისი ბიოგრაფია შეტანილია ენციკლოპედიაში „საქართველო", ტ. I, 1998.

**თამარ ანდღულაძეს – „ძველი ხატის თანამლოცველს..."**

– *თამარ! – ასძახა გიორგი ლეონიძემ.*

– *ამიდი, გოგლა! – უპასუხა მეორე სართულის აივნიდან მანდილოსანმა.*

– *მეჩქარება.*

– *მაშ, რატომღა შეწუხდი?!*

– *მიგიკითხე, გავიგონ, რომ უპატრონო არა ხარ.*



მარტო არასდროს უცხოვრია მარტოხელა **თამარ ანდღულაძეს.** მისი ბინის კარი მუდამ ღია იყო, მისი დახმარების ხელი – მუდამ გაწვდილი. მისი გაისაწონასწორებელი, ჭკვიანი რჩევა-დარიგება – საჭირო, ამიტომ ახსოვთ. ამ წერილითაც მათ ვეხმიანები. ისინი ბევრნი არიან. ამათგან რამდენიმე წასულები თავის სათქმელს თამარ ანდღულაძისათვის ნაჩუქარი წიგნების მინაწერებიდან გვკარნახობენ. ჩვენი ამოცანაც ამით აღვილდება. მათი სიტყვები იწერებოდა მაშინ, როცა ურთიერთობები გასადავებული იყო, როცა ულირსებს და ღირსეულებს ერთმანეთისაგან არჩევდნენ აქა-იქ მაშინაც ისმოდა: „ჩემო კარგო და საყვარელო“, მაგრამ თამარ ანდღულაძის მიერ საჩუქრად მიღებულ წიგნებზე, მეტწილად, ეპითეტები ამოიკითხება. ამათგან ერთი – „ქართული“ იქცევს ყურადღებას და, თავისი სიხშირის მიუხედავად, ტავტოლოგიაზე არ დაგაფიქრებს.

დღეს, როცა გაცხადდა თეთრი და შავი, სიტყვები, ეპითეტები სწორი მისამართით განლაგდნენ. თამარ ანდღულაძის, შეიძლება ითქვას, მდიდარ საოჯახო ბიბლიოთეკაშიც – ამ ჩანაწერებში, სიწმინდეშემონახული აზრებია გამოხატული.

რა იმპულსები უნდა გაეცა დღიდა თამარს, რომ რამდენიმე ასეული ჩანაწერის გასწვრივ ერთნაირად მინიშნებული სიტყვა მაინც ბრწყინავს. ამას წერს ყველა და ამ ყველაში XX საუკუნის სიტყვის დიდოსტატები და მეცნიერებია. აი, რამდენიმე მათგანი: *„ქართველი ქალის ყველა სიკეთეთა ერთობლივ განსახიერებას, ქართული მწერლობის მოამაგეს“* – სხვაგან: *„ქართულის ტრფიალს, მეგობარს; უერთგულეს მზრუნველს, ჭეშმარიტ დედობილს ქართული მწერლობისას, ქართული სიტყვისთვის დამწვარს“*

მრავალი ათეული წელი მუშაობდა თამარ ანდღულაძე საქართველოს მწერალთა კავშირში და მერე ჟურნალ „მნათობის“ სამეცნიერო განყოფილებას ხელმძღვანელობდა. წიგნის მინაწერებზე დარჩა მისი პროფესიული ღვაწლის შეფასება: *„ნიჭიერ ქალს, საუცხოო ლიტერატორს, ჩემს პირველ კრიტიკოსს, ჩემს უპირველეს მეცენატს, საუკეთესო სტილისტს, ჭკვიან ქართველ ქალს, განსწავლულს, შესანიშნავ ქართველ მწიგნობარს, სამაგალითო ჟურნალისტს“*

თბილ აურას უქმნიდა, ალბათ, ყოველი მხრიდან შემორტყმული წიგნებიდან მომდინარე ეს აზრებიც: *„ჩემს გულთან შეზრდილ თამარს, სულით მდიდარს, გრძნობათა სალაროს, ქართული კდემამოსილების, ქალური სისპეტაკის ჩემეულ ეტალონს“* – უფრო მეტს ავალებდა ის, რომ შეუმჩნეველი არ დარჩენილა მისი სულიერება, მისი სიმყარე და შეხედულებები: *„დიდებულ პატრიოტ ქართველ ქალს, ეროვნულს, საქართველოს ქომაგს“*

სხვისთვისაც თვალსაჩინო ეს თვისებები ოჯახიდან გამოჰყვა და ცხოვრე-

ზამ გამოძერწა მასში. ჭკვიანი მშობლები ჰყავდა, თუმცა ამან დარდი არ შეუმცირა. დედის მხრიდან 4 განსწავლული ბიძა – რეპრესირებული; იგივე ბედი ერგო შვიდ დაში ერთადერთ ძმას – **გაიოზს.**

დარდი და ფიქრი კიდევ სულში ადამიანებისადმი სიყვარულად და ქვეყნისათვის ღვაწლად ჩამოყალიბდა – ოჯახის ფესვშიც იყო ეს თვისებები. რაც ერთი დეტალითაც ცხადდება: მაგადანში გადასახლებული ძმის შრომითი დანაზოგი მემკვიდრეობით თამარს გადმოეცა. იმ 5000 მანეთის შინაარსში, ალბათ, გაიოზის შინ დაბრუნების ოცნებაც იყო.

დეიდა თამარმა, თუმცა საჭიროება დიდი ჰქონდა, ამ ფულით მშობლიურ სოფელში (ზასილეთი) პატარა მდინარე ყურეფაზე ხიდი გადო. ხიდები... თამარ ანდღულაძის სახლში ყოფილან სტუმრად: *თამარ ცაცაშვილი, ქსენია სიხარულიძე, მარიჯანი, ქეთევან ლორთქიფანიძე, მაყვალა მრევლიშვილი, გიორგი ლეონიძე, გალაკტიონი, სიმონ ჩიქოვანი, პავლე ინგოროყვა, ლევან გოთუა, შალვა აფხაიძე, აკაკი გაწერელია, ბესარიონ ჟღენტი, ანტონ წულუკიძე...*

ერთი ჯილდო ჰქონია მხოლოდ და ისიც მასწავლებლის სახელობისა – ივანე ჯავახიშვილის მედალი.

დეიდა თამარს ვეძახდი, რადგან ბავშვობიდან ვიცნობდი ჩემი წიგნისმოყვარული დედის – იულია ელენტისა და მეგობრის – ლია ანდღულაძის გამო. იგი ყველა თაობასთან ახლობლობდა. მოძღვრად გვესახებოდა. წავიდა ჩვენგან და წაიღო ჩვენი უბედური სამშობლოს დიდი დარდი. ეს წერილი ისევ მისი მეგობრების ჩანაწერებით მინდა დავასრულო:

**გიორგი ლეონიძე:** *„ქედანიერთ წყნარ ქართველ ქალს – ანდღულაძე თამარს, რაც ამ წიგნში გამოსწერა ჩემი ბატის ფრთამ."*

**ლევან გოთუა:** *„თამარ ანდღულაძეს – ყოველი კეთილი ქართული წიგნის მფარველს, მხარის მიმცემს, "მნათობის" მანდილს, მოკრძალებით."*

**გერონტი ქიქოძე:** *„ჩემი ძველი ხატის თანამლოცველს – თამარ ანდღულაძეს."*

*(ცისანა გენძეხაძე).*

**ანეზაშვილი//ანესაშვილი//ონეზაშვილი** აღნიშნული გვარები ერთი და იგივეა. მათ საფუძვლად უდევს საკუთარი სახელები: **ანეზა, ანესა, ონეზა.**

**ონეზაშვილები 238**
**კასპი – 106,**
**თბილისი – 94,**
**გორი – 31.**
**ანესაშვილი 191**
**გორი – 155,**
**თბილისი – 31,**
**ბორჯომი – 2.**

შდრ.: **ანეზა** – ტაბახმელას მცხოვრები, დავის გარჩევის შემდეგ დარჩა დათუნა სოლაღაშვილს *(1646 წელი).*

**ანეზაშვილი გოგია** – ხურვალეთის მცხოვრები, საამილახვროს დავთრის მიხედვით მისი საკომლოდან ორ კაცს ევალებოდა ლაშქრობა *(XVII ს. II ნახ.).*

**ანეზაშვილი ევანოზა** – გორუმს მცხოვრები, ბეჟან თურქესტანიშვილის გლეხი *(1685–1703 წ.წ.).*

**ანესაშვილი ბერუა** – ობოლი, ჯვრის ხატის ყმა, მოხსენებულია ყმების

ნუსხაში *(XVII ს-ის 30-იანი წლები. იხ. პალ. I, 157).*

**P.S.** **ანეზაშვილი** აღნიშნული გვარი **ოჰანეზაშვილად**, შემდგომ კი რუსიფიცირებული ფორმით **ოგანეზოვად** მონათლეს. თეთრი წყაროს რაიონის სოფ. წინწყაროში **ანესაშვილ-ანეზოვები** (ბერძნები) გახადეს.. სოფ. კოდაში **ოგანეზოვებად** მონათლეს, ხოლო მარაბდაში **ოჰანეზაშვილები** მართლმადიდებლებად და ქართველებად დარჩნენ. კოდაში მცხოვრები **ოჰანეზაშვილ//ოგანეზოვების** წინაპრები **ოსიპაშვილები** იყვნენ.

**ანთაძე 2235**
**თბილისი – 336,**
**ქობულეთი – 334,**
**ოზურგეთი – 317.**

**ანთაძე, ანთა-**სთან დაკავშირებით აკად. ივ. ჯავახიშვილთან ვკითხულობთ: *„ესაა ქართველთა წარმართული ღვთაების ანთარის შემოკვეცილი ფორმა, რომელიც საკუთარ სახელად იქცა* (*იხ. მისი ტ. I, გვ. 115. თბ. 1960*). თუ ასეა, მაშინ იგი შუამდინარეთიდან უნდა მომდინარეობდეს, სადაც მისი სახელობის ცნობილი ტაძარი იყო ამის თაობაზე პროფ. ზურაბ კიკნაძე წერს: **„ანთასურას ცეცხლი წაუკიდეს, ოქრო და ძვირფასი ქვები დაიტაცეს“** (*იხ. მისი შუამდინარული მითოლოგია. თბ. 1979. გვ. 22*). **გვარსახელი ანთაძე ამ ანთარიდან უნდა იყოს ნაწარმოები.**

არის სხვა მოსაზრებაც. მხედველობაში გვაქვს პროფ. ილია მაისურაძე, რომელიც ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ანთებს VI-VII საუკუნეებში აღმოსავლეთ სლავებს ანუ რუსებს და მათ მეზობლებს უწოდებდნენ (*იხ. მისი ქართული გვარსახელები. თბ. 1990. გვ. 21*). აკად. აკ. შანიძის დასკვნით კი ანთების დღევანდელი მიახლოებითი თარგმანი იქნებოდა **რუსიძე, რუსიშვილი, რუსაძე** (*ა. შანიძე. მაცნე. 2. გვ. 291. 1967*).

VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოფი კესარიელი მათ შესახებ თავის „ომი გოთებთან“ თავში „სლავები და ანთები“ დასძენდა: **„აქვთ დემოკრატიული წყობა, არავინ მართავს, ბედნიერება და უბედურება საერთო აქვთ. ღმერთებს სწირავენ ხარებს, იცავენ სალვთო წესებს, ემშობრებიან მდინარეებს, ცხოველებს, იბრძვიან ვაჟკაცურად, ზევიდან ტიტვლები, ენა ერთი აქვთ, არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაღლები, კეთილნი და ღონიერნი არიან. კანის, თმის ფერი თეთრი ან ოქროსფერი აქვთ. ცუდის დამახსოვრება, სამაგიეროს გადახდა არ იციან. სახლები ერთნაირია, ცხოვრობენ მდ. ისტრის ნაპირებთან“** (*პ. კესარიისკი. ვოინა ს გოტამი. გვ. 203-204*).

როგორც ჩანს, ცუდი ხალხი არ ყოფილა. ზოგიერთი ანთებს ქართველთა მონათესავე ტომად მიიჩნევს, ახლო ურთიერთობაც ჰქონიათ ერთმანეთთანო. აკი შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე ცხოვრობდნენ, საამისოდ იმოწმებენ მათი სახელწოდებიდან მომდინარე დღემდე არსებულ გვარებს: **ანთაძე, ანთიძე, ანთელავა, ანთია, ანთაიძე, ანთაური.**

პროფ. ზურაბ ჭუმბურიძე ანთაძეს იმ გვარებს შორის ასახელებს, რომლებიც რაიმე ფერს გამოხატავენ. ამდენად, ალბათ, ანთება-ნათება-სინათლეს უკავშირდება.

რაც სარწმუნო არ არის. აბა, მაშინ როგორ მიიღეთ სახელი ანთიმოზი, გვარი ანთიძე? ჩვენი აზრით, **გვარსახელი წარმოქმნილი უნდა იყოს ღვთაების ან ეთნოსის სახელწოდებიდან.** შესაძლებელია, **ანთი – ანთები** „თეთრ ხალხს“ – რუსებს ნიშნავდეს.

ანთაძეები ხულოს რაიონის ლიორჯოლის საკრებულოს ს. მინაძეებში, გელაურში, აგარაში, აგრეთვე შუახევის რაიონის სოფელ ტბეთში ცხოვრობენ. ნაწილი ამ ბოლო დროს ნარიხმასა და სამცხის სხვა სოფლებში ჩასახლდა, ხოლო გასულ საუკუნეებში – მეზობელ გურიაში.

ცნობილია, რომ ოსმალთა რეჟიმისაგან თავის დაღწევის მიზნით, აჭარის მოსახლეობა ტოვებდა საცხოვრებელ ადგილებს და გურიაში გადადიოდა. ასეთი გადასვლები 1840-იან წლებში გახშირდა. ჯერ კიდევ 1838 წლის მარტში ბათუმის მცხოვრებთა 30 ოჯახი მოვიდა საზღვრებთან, რომლებმაც სურვილი განაცხადეს რუსეთის ქვეშევრდომობაზე ანუ გურიაში დასახლებაზე (*შ. მეგრელიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1963, გვ. 82*).

იმავე წლის 15 მარტს ანალოგიური თხოვნით გამოცხადდა საზღვრებთან აჭარელთა 17 ოჯახი. იმავე ხანებში გურიას მოადგა აჭარელთა ჯგუფი, რომელშიც ირიცხებოდა 145 მამაკაცი, 109 ქალი და ბავშვები. მათ თან ჰყავდათ 71 ცხენი, 447 მსხვილფეხა საქონელი, 488 ცხვარი და 9 ვირი. 1849 წელს გურიაში გადასახლება სცადა 150 ოჯახმა და გზაში იყო ჭანეთიდან მომავალი 400-მდე. იმავე წლის მარტში აჭარიდან გურიაში გადასახლების სურვილი 600 კაცს განუცხადებია (*იქვე, გვ. 88*).

ოსმალების მიერ მიტაცებული აჭარიდან ორი-ხუთი ოჯახის გადმოსვლის შემთხვევები უფრო ხშირი იყო. 1849 წელს აჭარიდან გურიაში ოჯახებით გადასახლებულან: ოთარ წითლიძე, ორი ძმა თუთბერიძე, ჰუსეინ ხალაძე და სხვები. აჭარაში გარდაცვლილ ადამიანებს გურიაში ასაფლავებდნენ, რათა მათთვის მამაპაპური წესით ეცათ პატივი.

შემდეგ პროფ. შალვა მეგრელიძე წერს, რომ გადმოსახლება სასტიკად აკრძალული იყო. ლტოლვილებს იჭერდნენ და სჯიდნენ. ასე ექცეოდნენ მათ მფარველებსაც. მიუხედავად ამისა, „*მოძმე აჭარლებს არავინ არ ღალატობდა. მათ ძმურად და მეგობრულად ხვდებოდნენ გურულები, გულთბილად ღებულობდნენ და იფარავდნენ თავიანთ ოჯახებში, ეხმარებოდნენ დასახლებასა და ხვნა-თესვაში. თვით საზღვრის უფროსის გრიგოლ გურიელის სახლიც სავსე იყო აჭარლებით, რის მომსწრე ნიკო მარიცაა.*“

ამ საყურადღებო ცნობებს პროფ. იოსებ მეგრელიძე თავისას უმატებს. აჭარლები გურიაში შემდეგაც დასახლებულან, ოზურგეთისა და ჩოხატაურის რაიონების სამხრეთ-დასავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის რამდენიმე სოფელში. ასი წლის განმავლობაში გამრავლებულან, ახალი ნაკადიც შემატებიათ და კვლავ ემატებიან. მაგ. სოფელ ქვაბღაგში აჭარელთა 22 კომლია, ზოტში –

270, ჩხაკოურაში – 70. მათ გურული კილოსა და მეტყველების კვალიც დაჩნევიათ. ამ სოფლებში ლორთქიფანიძეები, ჭყონდელები, გვალვარიელები, უჩამბელები, პაქსაძეები ჩასახლებას 1879 წლიდან შესდგომიან. მათ შორის ცნობილია **ნური, შაქირ, უზეირ, მევლუდ ანთაძეები,** ისიდ. რეჯებ ართმელაძეები (რეჯები კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო), ეკებ ირემაძე, ხასი. შაქირ ჭახაძეები, ისიკარ ქავთიძე (ზოგიერთის თქმით, ქათამაძე), თალიბ პაიჭაძე, როზმან გიორგაძე, ყადირ მიქელაძე და სხვები. აქათ მოყვნენ: დავით კაცხაძე, იუნუს ჭელიძე, ჯიჰან ტუნაძე, ბერიძე და სხვები. აგრეთვე ბერსენაძეები ს. ნალვარიეიდან, რამიშვილები უჩამბიდან, პაქსაძე, პაქსაძეებიდან. ჩხაკოურაში პირველნი დასახლებულან სულეიმან ბერიძე, ისკანდერ ირემაძე და სხვები (*ნ. მეგრელიძე. დამატებითი ცნობები. გვ. 231–233. ჯ. ნოღაიდელი. ნარკვევები და ჩანაწერები. 2. ბ., 1972. კრებული გამოსაცემად მოამზადა, რედაქცია გაუკეთა, წინასიტყვაობა და დამატებითი ცნობები დაურთო ი. მეგრელიძემ).*

**ანთაური 109**
**თბილისი – 33,**
**დუშეთი – 19,**
**თელავი – 17.**

გაზეთი „დროება“ 1876 წლის №46 იუწყებოდა, რომ 38 ოჯახი გადავიდა გურიაში, სხვების შეკავების მიზნით თურქებმა საზღვარი გაამაგრეს. გადასვლას ისიც განაპირობებდა, რომ იქ ნათესავები ჰყავდათ ადრე გახიზნულები. ჩაქვი-ქობულეთის ნახევარი გურიაში, იმერეთში გადასახლდა (ზ. *ჭიჭინაძე. ქართველების გამაჰმადიანება. თბ. 1907. გვ. 91–92).* 1850 წლის 6 დეკემბერს რუსეთის იმპერიის მიერ გურიის აზნაურებს შორის საოჯახო სიაში („ხავერდის წიგნში“) შეტანილი არიან ანთაძეები: **42. ქაიხოსრო პაატასძე; 43. ბეჟუკა ხოსიასძე, მეუღლე მისი მაკა; 44. მერაბ გიორგისძე, მისი ძმები: იოსები, დავითი, დები: ლუფანა, ვარდო, იოსების მეუღლე თათია, მათი ქალიშვილები: მართა, ეფროსინე; 45. გრიგოლ ბესარიონისძე, მეუღლე მისი ნინო, მათი ვაჟიშვილები: ოქროპირი, ალექსი, ამბაკო, ტარიელი, ქალიშვილი ირინე; 46. სიკო ეგნატესძე, მისი ძმები: ანდრია, ეფრემი, დედა გულქანი; 47. ზურაბ მამუკასძე; 48. გიორგი ვახტანგისძე, მისი ძმები: დიმიტრი, ნიკოლოზი, მათი დები: ქაკა, სალომე, ალათი, დედა ნინო; 49. მღვდელი ნიკოლოზ რამაზისძე, მეუღლე მისი ანუსია, მათი ქალიშვილები ევდოკია, ნატალია; 50. მღვდელი დავითი; 51. ივანე ქაიხოსროსძე, მისი მეუღლე ელისაბედი, მათი ვაჟი პორფილე** (*იხ. გურიის თავადთა და აზნაურთა ოჯახები. თბ., 1993. გვ. 30–31).*

**ანთელიძე 69**
**თბილისი – 28,**
**ოზურგეთი – 13,**
**რუსთავი – 12.**

ქართლიდან აზნაურად დაამტკიცეს ერთი ოჯახი – „ოთარ გიორგის ძე, მისი დედა ელისაბედი“.

**ანთაიძე 38**
**ახმეტა – 21,**
**თბილისი – 3,**
**გარდაბანი – 1.**

**ანთაიძე, ანთა,** გიორგი ლეონიძე, სახელები, **ანთა–ი,** თუშეთი ს. მაკალათია, 163; შდრ.: **ანთელავა, ანთაძე, ანთელიძე, ანთია.**

· **დოდო ანთაძე**

**«დღეები ახლო წარსულისა**

*თავი პირველი*

ოჯახი. მშობლიური ლიტერატურა. თეატრის სიყვარული. თეატრალური ზესტაფონი.

ვფიქრობ, ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ მკითხველს მოკლედ მოვუთხრობ ჩემი მშობლების შესახებ. ეს მეპატიება, რადგან წინამდებარე წიგნი ნაწილობრივ ავტობიოგრაფიულია.

ჩვენი გვარი ძირითადად გურიაში მოსახლეობს, – ბახვში და ჯურუყვეთში. ანთაძეები აჭარაშიაც ცხოვრობენ. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი თავის „საქართველოს ისტორიის" პირველ ტომში შემდეგნაირად მოგვითხრობს ჩვენი გვარის წარმოშობის ამბავს: „...მესაქონლეობისა და ნადირთ მფარველი ღვთაება-დასავლეთ საქართველოში მეგრელებს „ანთარად" უდიებიათ და აფხაზებსაც იგი „ანთარის" სახელით სწამთ– თუმცა გურიაში ახლა „ანთარი" არ ახსოვთ, მაგრამ წინათ იქაც უნდა ყოფილიყო, რადგან „ანთარი–ს" ბოლოკვეცილი ფორმა „ანთა" გურიაში, როგორც ეტყობა, ადამიანის სახელადაც ყოფილა მიღებული– ამ „ანთას" სახელითგან უნდა იყოს, ალბათ, საგვარეულო სახელი „ანთაძე" წარმომდგარი" *(ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, 1928 წ., გვ. 106–107).*

საქართველოს რუსეთთან შეერთებით წინახანებში შორაპნის ციხე ოსმალ მეციხოვნეთა ხელში იყო. გადმოცემით, ამ ციხეში იმყოფებოდა გურიიდან გადმოსული გიორგი ანთაძე. იმერეთის მეფე სოლომონ პირველმა დაატოვებინა თურქებს შორაპნის ციხე 1770 წელს. ანთაძემ აღარ მოისურვა შინ დაბრუნება: იგი იქვე, მახლობელ სოფელ **ვარძიაში** ჩაესიძა ვინმე შეძლებულ აზნაურს ცალქალამანიძეს, რომელსაც ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდა. გ. ანთაძემ შემდეგ გადმოიყვანა გურიიდან რამდენიმე ნათესავი და აქვე ჩაასახლა. ასე წარმოიქმნა იმერელი ანთაძეების 'შტო."

**ანთაძე გიორგი,** ქართული სპორტის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი იმ ადამიანებს ენიჭებათ, ვინც თავისი პროფესიონალიზმით, ინტელექტით, პატრიოტული სულისკვეთებით ყოველთვის ერისა და ქვეყნის სამსახურში იყო.

მათ რიცხვში ღირსეული ადგილი **გიორგი ანთაძეს ეკუთვნის.**

არ მეგულება ადამიანი, რომელიც გიორგი ანთაძეს იცნობდა და მოხიბლული არ ყოფილიყო ამ სპეტაკი, კეთილი, ალალი კაცის პიროვნებით.

არ მეგულება ვინმე, მცირეოდენი, სულ მცირე კონტაქტი მაინც რომ ჰქონოდა გიორგი ანთაძესთან და მეგობრული, გულღია, ნაღდი ახლობლობა არ დაემყარებინა მასთან.

აღარ ვლაპარაკობ ოჯახის წევრებზე, მრავალრიცხოვან შთამომავლობაზე (შვილიშვილის შვილებს მოესწრო) ნათესავებზე, ახლო მეგობრებზე, სპორტულ გარემოცვაზე და სხვა მსგავს ახლობლობაზე. ესენი კი არა, სრულიად ახლად გაცნობილი ადამიანებიც კი მისი ხიბლის, მისი ადამიანური კეთილი ურთიერთობის გამზიარებელნი ხდებოდნენ.

გოგი ანთაძე უპირველესად ფეხბურთით იყო ცნობილი. ვისაც კი მისი თამაში

უნახავს. თვალი უძღვენებია მინდორზე მისთვის. ყველა გაოცებული იყო ამ დაუღალავი კაცის უშრეტი ენერგიით, შრომისუნარიანობით, მგლის მუხლით, პარტნიორებისადმი მეგობრული განწყობილებით და მეტოქეთა მიმართ ვაჟკაცური პატივისცემით. არავის უნახავს გოგი ანთაძე მინდორზე თვით უმძიმეს თამაშებშიც კი, ინერტული, პასიური და დაძაბულობას აგრე იოლად შეგუებული. შეუპოვრად, გულდაგულ ებრძოდა თვით ყველაზე გამოჩენილ ოსტატებსაც კი, კოლინსონდისეურად პირნათლად იხდიდა ფეხბურთელის მძიმე ხარკს. თამაშის დროს იგი საკუთარ თავს წამით დასვენების უფლებასაც კი არ აძლევდა.

მისი თამაში დღესაც ახსოვთ მოსკოვისა და ლენინგრადის, კიევისა და მინსკის, თეირანისა და თავრიზის, ბუქარესტისა და ვარშავის, კრაკოვისა და ვროცლავის სტადიონებზე.

– ძველი ფოთის ეკლესიის გამწვანებულ ეზოში ტოლ-ამხანაგები შეკრებილიყვნენ გაუთავებელი „ორი გოლის" სათამაშოდ. მოედნის ცენტრში სამი ძმა ანთაძეების ყველაზე დიდი განძი – ტყავის ბურთი იყო. „თამაშგარე მდგომარეობაში" დარჩენილი პატარა გოგი ჯიუტად ითხოვდა: „ან მათამაშეთ, ან ჩემი წილი ბურთი მომეცით!" მატჩს ნამდვილად ჩაშლა ემუქრებოდა და ბიჭებმაც გადაწყვიტეს. შუათანა ანთაძე სათამაშოდ გამოუყვანათ. საოცარი ჟინითა და მონდომებით იბრძოდა მინდორზე პატარა ფეხბურთელი და ეს თვისება ბოლომდე გამოჰყვა კიდეც.

კალეიდოსკოპური სისწრაფით გაიარა გიორგი ანთაძემ თავისი საფეხბურთო უნივერსიტეტები: ფოთის ბავშვთა გუნდი, შემდეგ თსუ-ს ნაკრები, მერე სოხუმის „დინამო" და, აი, 1944 წელი. ასრულდა მისი დიდი ხნის ოცნება – გოგი ანთაძე თბილისის „დინამოში" მიიღეს.

24 წლისა მოვიდა გ. ანთაძე ამ სახელოვან კოლექტივში. ასაკი, რბილად რომ ვთქვათ, მთლად ახალგაზრდული არ იყო, არც მისი „თმავარცხნილობა" გაფიქრებინებდათ, გუნდში პერსპექტიული მოთამაშე მიიღესო, მაგრამ ანთაძე ფეხბურთს „პასპორტით" როდი თამაშობდა – მწვანე მინდორზე იგი ჭეშმარიტად ჭაბუკური გულითა და დაუოკებლობით გამოირჩეოდა.

თბილისის „დინამოში" გ. ანთაძემ 10 სეზონი ითამაშა – 35 წლის ასაკამდე და ორ-ორჯერ გახდა მეორე (1951 და 53 წ.წ.) და მესამე (1947 და 1950 წ.წ.) პრიზიორი.

1952 წლის წარმატებული სეზონის სასიამოვნო შედეგი იყო, რომ გოგის თავის მეგობართან – ავთანდილ ღოღობერიძესთან ერთად სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭა. ამავე წელს იგი საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების წევრი გახდა. ფიზიკურად ძლიერი, მტკიცე ნებისყოფის ტექნიკური, საზრიანი ფეხბურთელი განსაკუთრებით კარგად თამაშობდა თავით. სხვათა შორის, პოეტმა ა. ბეზიმენსკიმ იმხანად გამოსულ ალბომში „ბურთის ირგელივ" მასზე მეგობრული ეპიგრამა მოათავსა: „მუშაობს ანთაძე თავით –

პირდაპირ და გადაჭარბების."

ამ შესანიშნავი ნახევარმცველის (თავდაპირველად იგი თავდასხმის ხაზში გამოდიოდა) თამაშით აღფრთოვანებული ერთ-ერთი უცხოელი ჟურნალისტი წერდა: „უკანასკნელ დროს ფეხბურთში ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ერთი კი უცვლელია – ყოველ გუნდს სჭირდება ისეთი სპორტსმენები, როგორიც გიორგი ანთაძეა!" ასევე აღტაცებული იყო მისი ოსტატობით პოლონეთის გაზეთ „სპორტის" (კატოვიცე) კორესპონდენტი ს. სენიარსკი: „ანთაძე იყო ერთადერთი მოთამაშე, რომლის პოზიციას ვერავინ განსაზღვრავდა. ქართველი ნახევარმცველი ყოველთვის იქ აღმოჩნდებოდა ხოლმე, სადაც უფრო საჭირო იყო". მას უწოდეს ქართველი დი სტეფანო.

ასეთი იყო გოგი ანთაძე სპორტში, სარბიელზე. სადაც იგი გამოჩნდებოდა, მუდამ ხალისი, სიცილი, სიმხნევე, კეთილი განწყობილება სუფევდა. თვით ყველაზე უჟმური, პირქუში და უცხოპირო ადამიანებსაც კი გული უთბებოდათ გიორგი ანთაძის სიახლოვეს. გოგის გარშემო მუდამ ხალისიანი განწყობილება სუფევდა, იყო ანეკდოტების, სახუმარო ამბების მთქმელი, ლექსები, შარჟები, ნოველებისა და სახუმარო ამბების შეუდარებელი მთხრობელი იყო ეს კაცი, მასთან განშორება უჭირდა ადამიანს...

არც კალამი ყოფილა უცხო ხილი გიორგი ანთაძისათვის. თავისი ცხოვრების ზოგიერთი საინტერესო რამ 70 წელს მიღწეულმა კაცმა ქაღალდზე გადაიტანა, წიგნიც აქვს გამოცემული და ყველაფერი ეს დღეს დიდად საყურადღებო და ღირსშესანიშნავია ქართველი კაცისთვის.

**ანთაძე ავთანდილ**, ქანდაკება. დ. 5.08.1948, თბილისი. სწავლობდა თსსა ქანდაკების განყოფილებაზე (1966–72). გამოფენებში მონაწილეობს 1972 წლიდან. საქართველოს მხატვართა კავშირის წევრია 1974 წლიდან. ძირითადი ნამუშევრები: ქანდაკება „დილა" (1974), „სახლში" (1975), „ქურთის პორტრეტი", „ა. მჭედლიშვილი", „პეტერბურგელი ქალიშვილი" (ბრინჯაო), „დასაწყისი", „ესტატეს პორტრეტი", „ოქროს თევზი" (ბრინჯაო), „ფიროსმანი", „ტორსი", „ივანუშკა", „ნილაბი", „ფანჯარა" (შამოტი), „მოციქული" (შამოტი), „განდეგილი". დეკორატიული თეფშები: „აქალა", „სირაჯხანა" (შამოტი). გამოფენები: საკავშირო – მოსკოვი (1974), „ლურჯი ჰორიზონტები" (1979), „დიდება შრომას" (1982). მისი ნამუშევრები დაცულია სამხატვრო და საქართველოს კულტურის სამინისტროს ფონდებში. მონაწილეობდა ახალგაზრდა შემოქმედთა გორის სიმპოზიუმში. მისი გვარი შეტანილია სსრკ მხატვართა ცნობარში (ტ. *I.a. 1982*).

**ანთაძე დიმიტრი გიორგის ძე**, ფერწერა, მონუმენტურ-დეკორაციული ხელოვნება. დ. 12.5.1963, თბილისი.

მშობლები: **მარინე ჩერქეზიშვილი**, **გიორგი ანთაძე**. მეუღლე – **ქეთევან ჩიქვაიძე** (1964). შვილები: **გიორგი** (1991), **სალომე** (1992). სწავლობდა თსსა მონუმენტურ-დეკორაციულ ფაკულტეტზე (1981–87). სადიპლომო ნამუშევარი – „ზღაპარი",

ფარდის ესკიზი საბავშვო თეატრისათვის (ხელმძღვანელი ნ. იგნატოვი).

სტაჟირება გაიარა იაპონიის ქ. ტოიამას უნივერსიტეტში (1996). გამოფენებში მონაწილეობს 1989 წლიდან. საქართველოს მხატვართა კავშირის ახალგაზრდა მხატვართა და ხელოვნებათმცოდნეთა გაერთიანების წევრია 1987 წლიდან. გამოფენები: პერსონალური – თბილისი (1994), გალერეა „არტ სპეის კავამოტო“, ქ. ტოკიამა (იაპონია, 1995), გალერეა „შინ საკურა მაჩი“, ტოიამა (1996), გალერეა ნაჩუკი, ტოიამა (იაპონია, 1996), „ფორინ კორესპონდენტს კლაბ“ (ტოკიო, 1996), გალერეა „ნიკუკა“ (1996), გალერეა „კუბოტა“ (ტოკიო, 1997). მისი ნამუშევრები ინახება ავსტრიის, აშშ, ბელგიის, იტალიის, იაპონიის, ინგლისის, რუსეთის კერძო კოლექციებში.

მონაწილეობდა საერთაშორისო კონკურსში „იაპონიის ზღვა“, ქ. ტოიამა (იაპონია, 1996). 1989 წლიდან არის თსსა ფერწერის კათედრის პედაგოგი. მის შესახებ გადაღებულია დოკუმენტური ფილმი „კაცი საქართველოდან“ (იაპონია).

**ანთაძე ირინე**, ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. დაიბადა 1937 წ. 7 ივნისს თბილისში.

დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკულტეტი (1955–61). იყო მარნეულის საავადმყოფოს კლინიკო-დიაგნოსტიკური ლაბორატორიის გამგე (1961–62), მცხეთის საავადმყოფოს ექიმ-ფიზიოთერაპევტი (1963–65), თბილისის ვაქცინებისა და შრატების ს/კ ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-მუშაკი (1965–66), ასპირანტი (1966–69), უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1969–72), სწავლული მდივანი (1972–77).

1977 წლიდან უფროსი მეცნიერ-მუშაკია. 1973 წლის 24 დეკემბერს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

ავტორია 19 სამეცნიერო ნაშრომისა, რომლებიც ეხება დიზინტერიისა და ბრუცელოზური ბაქტერიოფაგებისა და მიკროორგანიზმების ურთიერთმოქმედებას. ატარებს პრაქტიკულ მეცადინეობებს თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში.

არის მიკრობიოლოგთა და გენეტიკოსთა საზოგადოებების წევრი.

**ანთელავა 290**
**ზუგდიდი – 142,**
**თბილისი – 105,**
**წალენჯიხა – 18.**

**ანთელავა**, ცნობილი ქართული გვარის, **ანთელავას** ეტიმოლოგიის საკითხს რამდენიმე ავტორი შეეხო. მათ ყველამ ერთხმად აღიარეს, რომ გვარი წარმომდგარია საკუთარ სახელად ქცეული სიტყვისგან **ანთა**, **ანთაი**; ამ ფუძითაა გაწყობილი ქართული გვარები: **ანთაძე**, **ანთია**, **ანთიძე**, **ანთაიძე**, **ანთაური**, **ანთელავა**.

იოანე ჯავახიშვილი წერს, რომ **ანთა** ქართველთა წარმართული ღვთაების **ანთარის** ბოლომოკვეცილი ფორმაა, რომელიც საკუთარ სახელად ქცეულა: *(ქართველი ერის ისტორია, I, 115)*; „ანთებს ძველად (VI–VII ს.ს.) ეძახდნენ აღმოსავლეთ სლავიანებს, ასე რომ, „ანთაძის“ დღევანდელი მიახლოებითი

თარგმანი იქნებოდა რუსიძე ან რუსიშვილი. რუსაძე (*ა. შანიძე. მაცნე. II*).
...ანთები იყვნენ ქართველთა მონათესავე ტომები, რომლებსაც ეკავათ შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო და ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ქართველებთან. ამაზე მოწმობს დღემდე შემორჩენილი ქართული გვარები (*„ლიტერატურული საქართველო". 26.1.1973*).

ქართულ ენციკლოპედიაში შეტანილი არიან:

**ანთელავა გიული კალისტრატეს ძე**, ჟურნალისტი, საინფორმაციო სააგენტოს მთავარი რედაქტორი.

დაიბადა ოჩამჩირეში 1941 წლის 17 ოქტომბერს. მშობლები: **ქსენია ანთელავა**, **კალისტრატე ანთელავა**. მეუღლე – **ირინა კოტარია** (დ. 1948 წ.). შვილები: **დინა** (25 წლის), **ნატო** (16 წლის), **ალექსანდრე** (14 წლის). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1969). მუშაობის პრინციპი: *„მე შეიძლება, მძულდეს თქვენი შეხედულებები, მაგრამ მე გავაკეთებ ყველაფერს, რომ ისინი გამოაქვეყნო."*

**ანთელავა ნიკოლოზ ვარდენის ძე** (1893, ზუგდიდი – 1970, თბილისი), მეცნიერი, ქირურგი, გულმკერდის ქირურგიის ფუძემდებელი საქართველოში, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1936), პროფესორი (1939), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1957), სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1962).

1920 წელს როსტოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო თბილისში გ. მუხაძესთან.

1923–24 წლებში მივლინებული იყო გერმანიაში ზაუერბრუხისა და ბირის კლინიკებში. 1928 წელს მუშაობდა ლენინგრადში ე. შევკუნენკოსთან. 1929–38 წლებში განაგებდა სოხუმის საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებას.

1939–41 წლებში ხელმძღვანელობდა დაღესტნის ასსრ სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრას, 1941–46 წლებში იყო ამიერკავკასიის ევაკოჰოსპიტლის წამყვანი ქირურგი, ხოლო 1949–54 წლებში – საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი ქირურგი.

1940–70 წლებში განაგებდა თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის თორაკალური ქირურგიის კათედრას. ნ. ანთელავას შრომებში განხილულია ფილტვის ტუბერკულოზისა და ბრონქოექტაზიის ქირურგიული მკურნალობის საკითხები. ნ. ანთელავამ დაამუშავა ექსტრაპლევრული თორაკოპლასტიკის ახალი მეთოდი, რომელსაც მისი სახელი ეწოდა.

მონოგრაფიისათვის „ფილტვებისა და პლევრის ქირურგია" (1948) უკრაინის სსრ ჯანდაცვის სამინისტრომ და ქირურგთა საზოგადოებამ მიანიჭა ს. ფიოდოროვის სახელობის პრემია (1950).

მისი მონოგრაფია „გულმკერდის ღრუს ორგანოების ქირურგია" (1952) გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე.

ნ. ანთელავა იყო საქართველოს და სსრკ ფტიზიატრთა სამეცნიერო საზო-

გადოებების საპატიო წევრი, ქირურგთა საერთაშორისო საზოგადოების ნამდვილი წევრი, პიემონტის (იტალია) ქირურგთა საზოგადოებისა და ჩეხოსლოვაკიის პურკინეს სახელობის ქირურგთა საზოგადოების საპატიო წევრი.

ლენინური პრემიის ლაურეატი *(1961) (ქსე. ტ. I. გვ. 458).*

**ანთელავა ნელი,** ექიმი-ფარმაკოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თსსუ ფარმაკოლოგიის კათედრის პროფესორი.

დაიბადა 1944 წ. 27 აგვისტოს ლესელიძეში (გაგრის რ-ნი). დაამთავრა ლენინგრადის სანიტარულ-ჰიგიენური სამედიცინო ინსტიტუტი. იყო ლენინგრადის სანჰიგიენური სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაკოლოგიის კათედრის ასპირანტი (1967-70), ლენინგრადის პედიატრიული სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაკოლოგიის კათედრის ასისტენტი (1971-78), თსსი ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ექსპერიმენტული ფარმაკოლოგიის ჯგუფის ხელმძღვანელი (1978-84), 1984 წლიდან – თსსუ ფარმაკოლოგიის კათედრის დოცენტი, 1992 წლიდან – ამავე კათედრის პროფესორი.

1972 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. ავტორია 60 სამეცნიერო ნაშრომისა, მისი რედაქტორობით გამოცემულია ორი სახელმძღვანელო: „სამედიცინო ფარმაკოლოგია“ (ექიმებისა და სტუდენტებისათვის 3 ტომად), „ფარმაკოლოგია“ (სტუდენტებისათვის).

მისი ხელმძღვანელობით დაცულია ერთი საკანდიდატო და 2 სადოქტორო დისერტაცია, არის სტუდენტთა და ასპირანტთა სამეცნიერო შრომების ხელმძღვანელი, დისერტანტთა ოპონენტი, კონსულტანტი, ექსპერტი, საქართველოს ფარმაკოლოგთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს ექსპერტთა საბჭოსთან არსებული საკოორდინაციო საბჭოს წევრი, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ფარმაკოლოგიის განხრით (პათოფიზიოლოგიის განხრით კი – წევრი), აგრეთვე ფარმაკოლოგიის კომიტეტის ექსპერტი. საქართველოში ფარმაკოლოგიის დარგის პირველი პროფესორი ქალი, ჟურნალ „გმნ“-ის რედკოლეგიის წევრი.



**ანთელავა ესტატე (თენგიზ) მიხეილის ძე,** დაიბადა 1935 წლის 10 დეკემბერს სოხუმში.

1952 წელს დაამთავრა სოხუმის №3 საშუალო სკოლა.

იმავე წელს ჩაირიცხა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის სპეციალობაზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1956 წელს.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა კომკავშირულ-პარტიულ ორგანოებში.

პარალელურად ეწეოდა პედაგოგიურ და სამეცნიერო მუშაობას. 1975-80 წლებში მუშაობდა სოხუმის ქართული საშუალო სკოლა-ინტერნატის დირექტორად.

1981-89 წლებში საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდგომ მუშაობდა

აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სსრ კავშირის ისტორიის კათედრის უფროს მასწავლებლად, შემდეგ – ამავე კათედრის დოცენტად.

1989 წლიდან მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ისტორია-იურიდიული ფაკულტეტის დეკანად და მსოფლიო ისტორიის კათედრის დოცენტად. 2002 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ბოლშევიკების ბრძოლა პოლიტიკური ხელისუფლებისათვის რუსეთში" (1905-1922 წ.წ.). გამოქვეყნებული აქვს 30-მდე სამეცნიერო შრომა, მათ შორის – სამი მონოგრაფია. ჰყავს მეუღლე – **დიანა ძიაპშიპა**, შვილები – **მიხეილი და თეა**.

**ანთელავა მიხეილ თენგიზის ძე**, დაიბადა 1976 წლის 22 ოქტომბერს სოხუმში, მოსამსახურის ოჯახში, ქართველი. დაამთავრა სოხუმის მე-2 საშუალო სკოლა. 1993 წელს ჩაირიცხა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ისტორია-იურიდიული ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის სპეციალობაზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1998 წელს.

იმავე წელს ჩააბარა მისაღები გამოცდები სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში კონსტიტუციური სამართლის სპეციალობით. 2001 წელს დაამთავრა ასპირანტურა. ამჟამად მუშაობს თსუ-ს სოხუმის ფილიალის კრიმინალისტიკური ლაბორატორიის უფროს ლაბორანტად. მუშაობს საკანდიდატო დისერტაციაზე ფედერალიზმის პრობლემებზე.

**ანთელავა თეა ესტატეს ასული**, დაიბადა 1975 წლის 28 ოქტომბერს სოხუმში, მოსამსახურის ოჯახში.



სწავლობდა სოხუმის I საშუალო სკოლაში. 1992 წელს ჩაირიცხა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ინგლისური ენის სპეციალობით.

1997 წელს მუშაობა დაიწყო ამავე უნივერსიტეტის უცხოური ენების კათედრაზე ლაბორანტად. ამჟამად მუშაობს ამავე კათედრის ინგლისური ენის მასწავლებლად.

**ანთელავა ირაკლი**, ირაკლი ანთელავაზე, როგორც მეცნიერზე, მოღვაწესა და მოქალაქეზე, კოლეგასა და მეგობარზე, ბევრია სათქმელი. დღეს ცოტას ვამბობთ იმაში დარწმუნებულები, რომ მისი დამსახურების დამფასებლები ჩვენს ისტორიოგრაფიას არასოდეს გამოელევა.

ირაკლი ანთელავას ცხოვრების გზა ფიანდაზებით არ იყო მოფენილი.

დაიბადა 1912 წლის 21 თებერვალს ზუგდიდის მაზრის სოფელ ყულისკარში. სუსხიანი დროის შვილის ბავშვობას დაობლებამაც ნისლი მოფინა. ნათელი ნიჭითა და მტკიცე ნებისყოფით დაჯილდოებული ირაკლი ბედმა არც ყმაწვილკაცობაში გაანებივრა. ამის მიუხედავად, მან ცხოვრებისეულ სიძნელეებს და გამოცდას გაუძლო, სწავლის გზა აირჩია.

1928 წელს დაამთავრა ზუგდიდის საშუალო სკოლა და შევიდა თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის განყოფილებაზე, სადაც სტუდენტობას ერთიანული უნივერსიტეტის დამფუძნებელ გამოჩენილ მეცნიერთა ბრწყინვალე თაობა ასწავლიდა. 1931 წელს, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ირაკლი ერთ წელს მასწავლებლობდა სოფელ დარჩელში.

ახალგაზრდა სპეციალისტი სამეცნიეროდ ემზადებოდა, კვალიფიკაციის შემდგომ ამაღლებას ესწრაფოდა. რის გამოც 1932 წელს შევიდა ლენინგრადის ფინანსურ-ეკონომიკურ ინსტიტუტში, რომელიც 1936 წელს წარჩინებით დაამთავრა. ეკონომიკური მეცნიერებით დაინტერესება მომავალი მეცნიერის ბიოგრაფიის დეტალად არ შეიძლება ჩაითვალოს.

ვფიქრობთ, ყველა, ვინც კი ჩახედულია ირაკლი ანთელავას მეცნიერულ შემოქმედებაში, დაგვეთანხმება, რომ ფინანსურ-სტატისტიკურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა ღრმა ცოდნის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა იმ სოლიდური ისტორიულ-ეკონომიკური გამოკვლევების შექმნა, რომლებიც განსვენებული მეცნიერის მემკვიდრეობის მშვენებაა.

უამპირობოდ მკვლევარი ისტორიკოსი ვერ შეძლებდა „სტატისტიკის საუკუნის" საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ისეთ მაღალკვალიფიციურ, ფაქიზ ანალიზს, რომლითაც ირაკლი ანთელავას ნაშრომები გამოირჩევა.

26 წლის ახალგაზრდა სპეციალისტი ერთდროულად შეუდგა სამეცნიერო და პედაგოგიურ მუშაობას: 1938–1956 წლებში იგი მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში ჯერ მეცნიერ-თანამშრომლად, 1942 წლიდან კი ინსტიტუტის ისტორიისა და ეთნოგრაფიის განყოფილების გამგედ;

პარალელურად პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა სოხუმის ა.მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ჯერ უფროს მასწავლებლად, ხოლო 1941 წლიდან კათედრის გამგის თანამდებობაზე.

1956 წლის დამლევიდან სიცოცხლის ბოლო დღემდე, 21 წელი, პროფესორი ი. ანთელავა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტშია, აქედან 20 წელი ხელმძღვანელობდა საქართველოს ახალი ისტორიის განყოფილებას; შეთავსებით პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ჯერ თბილისის ა.ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხოლო 1958 წლიდან სიცოცხლის ბოლო დღემდე – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ასეთია პროფესორ ი. ანთელავას ბიოგრაფიის მოკლე, კალენდარული მახასიათებლები. მთელი მისი შეგნებული ცხოვრება გახლდათ ორმაგი დატვირთვით მუშაობა – მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობა. ამ სამუშაოებს ი. ანთელავა შეუნელებელი ენერგიითა და უაღრესი კეთილსინდისიერებით ასრულებ-

და. ირაკლი ანთელავამ მთელი სიცოცხლე სწავლაში, თავდადებულ შრომასა და გარჯაში გაატარა. ეს იყო მისი გატაცება და სიხარული.

ასე განვლო მან შრომისა და მოღვაწეობის 40 წელი, – 1939 წელს პირველი გამოკვლევის გამოქვეყნებიდან, უკანასკნელ ნაშრომამდე, რომელსაც მან საავადმყოფოში, 1978 წლის 14 მარტს, გარდაცვალებამდე ორი-სამიოდე დღით ადრე, დაუსვა ლამაზი სიცოცხლის დამაგვირგვინებელი საბედისწერო წერტილი.

მაღალნიჭიერი და ღრმად ერუდირებული მეცნიერის დაუღალავმა შრომამ ჩინებული ნაყოფი გამოიღო: 80 მეცნიერული ნაშრომი, მათ შორის 8 მონოგრაფია, მრავალი პუბლიცისტური ნარკვევი და სტატია – აი, ის სათუთად მოსავლელი მემკვიდრეობა, რაც პროფესორმა ირაკლი ანთელავამ დაგვიტოვა.

**ანთელიძე** *შდრ.:* **ანთა, ანთა-ი, ანთია, ანთელა** (გვარები: **ანთელავა, ანთია, ანთელიძე, ანთაძე, ანთიძე**... (იხ. *ანთელავა, ანთაძე*).

**ანთელიძე** – მას უღალატია ნაკაშიძისათვის, აღნიშნულია მამუკა ნაკაშიძის სასიერის წიგნში [1689-1717 წ.წ. შდ-1034].

**ანთელავა ილია პავლეს ძე დაიბადა** 1951 წლის 25 ნოემბერს თბილისში, აღიზარდა მოსამსახურის ოჯახში.



დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი (განხრა – საქართველოს ისტორია); 1973 წელს მუშაობდა ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად, 1974 წლიდან ისტორიის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელია, ხოლო 1975 წელს (აპრილში) იცავს საკანდიდატო დისერტაციას, არის ამავე ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

1984 წელს სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ ხდება ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი. პარალელურად, მუშაობს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში (1987-1993) საქართველოს ისტორიის კათედრის პროფესორად. 1995-1997 წლებში იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის საქართველოს ისტორიის კათედრის პროფესორია.

1997 წლის ივლისში დაინიშნა ქალაქ ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის დირექტორად, ხოლო ოქტომბერში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეგრელოს სამხარეო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელია, ამ ცენტრში შედის მუზეუმიც. ამავე პერიოდში მუშაობს იგი თსუ-ს ზუგდიდის ფილიალის პროფესორად.

იყო ავტორი 15 წიგნისა და 100-მდე სამეცნიერო ნაშრომისა.

1997 წელს ჟიული შარტავას სახელობის პრემია მიენიჭა მეცნიერების დარგში გაწეული დიდი და მრავალისმეტყველი მოღვაწეობისათვის. 1978 წელს გახდა

საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი (მეცნიერების დარგში

**ანთელავა ნუგზარ კონსტანტინეს ძე** დაიბადა 1954 წლის 8 ივლისს ქ. ზუგდიდში.



1971 წელს დაამთავრა თბილისის სპორტული სკოლა წარჩინებით. 1978 წელს დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკულტეტი ეთნოგრაფიის სპეციალობით. 1979-1982 წლებში სწავლობდა ასპირანტურაში. 1984 წელს ქალაქ ერევანში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე – *„ქართული გვარის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა"*, რომელიც დაისტამბა წიგნად. მუშაობდა სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებში იყო ღია ცისქვეშა მუზეუმის დირექტორი. არის 34 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

1993 წლიდან მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო მეთაურის აპარატში სახელმწიფო მრჩეველად, დასავლეთ საქართველოსთან ურთიერთობის კოორდინატორად.2002 წლის აპრილში დაინიშნა ზუგდიდის რაიონის გამგებლად.

ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

**ანთელიძე ნათია** – მაკვანეთის მცხოვრები, ერთი კომლი, ქაიხოსრო გურიელმა იგი შესწირა აჭის წმინდა გიორგის *[1658-1660 წ.წ.]*.

**ანთელიძე მანანა სამსონის ასული.** ტანსაცმლის მოდელიერი. დ. 04.07.1950. ციმბირი, კალიმა. მშობლები: **ევგენია ტაბიძე, სამსონ ანთელიძე,** მეუღლე – **ლეონიძე სემეკო** (1946), შვილი – **ანდრო სემეკო-ანთელიძე** (1975).



სწავლობდა სპი სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის ფაკულტეტზე (1967-72), თსუ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განყოფილებაზე (1888-91). სადიპლომო ნამუშევრები: „ცირკის შენობა გუმბათოვანი გადახურვით", „ეთნოგრაფიული ტრადიციების თანამედროვე ტრანსფორმაცია". გამოფენებში მონაწილეობს 1991 წლიდან. მხატვართა საერთაშორისო ფედერაციის წევრია 1994 წლიდან. ძირითადი ნამუშევრები: კოლექციები ეთნოგრაფიულ თემაზე (ზამთარი, ზაფხული), ისტორიულ თემაზე (არქაული საქართველო, ძვ. თბილისი), „ლურჯი და ოქრო", „მხოლოდ და მხოლოდ ოქრო".

გამოფენები: თანამედროვე ხელოვნების გალერეა (თბილისი, 1991), „ამა" – ავანგარდული მოდის ასამბლეა (1995), საგაზაფხულო ფესტივალი (სასტ. „მეტეხი", 1996), საშობაო დღესასწაული (სასტ. „მეტეხი", 1996), „წლის საუკეთესო კაბა" (მოსკოვი, სასტ. „რედისონ-სლავიანსკაია", 1996), პერსონალური (სასტ. „მეტეხი", 1997, კლუბი „დიპლომატი", 1997). მონაწილეობდა კონკურსებში: „ამა" – ავანგარდული მოდის ასამბლეა (თბ., 1995), „წლის საუკეთესო კაბა" (მოსკოვი, 1996). არის შპს „პირამიდას" პრეზიდენტი, მოდელების სტუდია „10+1"-ის სამხატვრო ხელმძღვანელი, თსუ-ს მოდელიერების პედაგოგი.

**ანთია 2033**
**ზუგდიდი – 916,**
**წალენჯიხა – 493,**
**თბილისი – 181.**

**ანთია** 1 **ანთარ** *(მეგრ.)*, **აითარ** *(აფხ.)* – მესაქონლეობის ღმერთი. 2. **ანთი** *(სვან.)* კაცის სახელი *(ლიპარტელიანი, ლექსიკ.)*. 2. **ანთა, ანთარი** *(მეგრ.)* ქალის ღვთაება – ზღვის ღმერთი (ყიფშიძე). საქონლის მფარველი. ანთიას დღესასწაული იცოდნენ დიდმარხვის პირველ დღეს *(ნ. ჯომიდავა, გვ. 22)*.

კომლი: *ალერტკარი – 4, ჯიხაშკარი – 4* და სხვ. გვარის ადგილობრივი ვარიანტია **ანთაძე**. ტოპონიმი: *ლეანთალე//ლიანთალე* – ბორცვი ხინწის მარცხენა ნაპირას, სადაც ანთელაებს უცხოვრიათ *(ოდიში)*.

**საანთალე** – ალერტკარის ცენტრსა და საშხვაკვილოს უბანში, სერის ნაწილს ეწოდება საანთალო ეწერი. ანთი ანთიმოზის შემოკლებული ფორმაა. ანთელა მისი კნინობითი მოფერებითი ვარიანტია. 1904 წლის აღწერის თანახმად, ანთელაშვილები აზნაურები არიან და ცხოვრობენ ყულისკარში, ჯაჭვინჯში და ხორგაში *(პ. ცხადაია, 51)*. ანთიათა გვარის 200-ზე მეტი კომლი მოდის 4 სოფელზე: *ჭითაწყარი – 66, ჭკადუაში – 52, ლია – 45*. კომლი სხვა სოფლებში: *მუჟავა – 19, ახალსოფელი (ზუგდიდის რ-ნი) – 16, წალენჯიხა – 9, ინგირი – 8, დარჩელი – 6, ჯვარი – 6* და სხვ. ტოპონიმებიც ქვემო სამეგრელოშია დაფიქსირებული: **საანთიო** ოთხგან ეწოდება ანთიებით დასახლებულ უბანს: ცივის მარცხენა მხარეს *(საშურღაიო, ზანის თემი)*, ჩხუშის მარცხენა მხარეს *(ჭითაწყარი)*, ჯუმის მარჯვენა მხარეს *(ჯუმი, ახალსოფლის თემი, ზუგდიდის რ-ნი)*, საგულარდოს გვერდით *(ჭკადუაში)*. ანთიებს სწამთ, რომ მათი წინაპრები ყოფილან ანთიძეები გურიიდან. ანთი გურიაში აღნიშნავს წითურ კაცს და, როგორც მიუთითებენ, პირის სახელადაც გამოიყენებოდა. გვარი **ანთია** დასახელებულია 1682 წლის შეწირულობის წიგნში: ფარემუზ ანთიას უკანონოდ ჰყოლია ნაყმევი კოკოლაი ეჯიბია, სადადიანოს ყმა გლეხი *(ქსძ III, 583)*. ზოგი ანთი-ს ანთიმოზის შემოკლებულ ვარიანტადაც მიიჩნევს *(იხ. პაატა ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 51)*.



**ანთია შალვა ჯვადეს ძე** დაიბადა 1923 წელს წალენჯიხის რაიონის სოფელ მუჟავაში. 1945 წელს დაამთავრა ერთწლიანი სამოანგარიშო სკოლა და მუშაობა დაიწყო ზემოსვანეთში, სადაც იმუშავა 1948 წლამდე. 1948 წლიდან კი – წალენჯიხის რაიონის სოფელ მუჟავაში გადასახადების მოლარე-მიანგარიშედ. 1957 წელს აირჩიეს მუჟავას სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივნად. ამ პერიოდში შევიდა თბილისის საფინანსო-ეკონომიკურ სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგაც დაინიშნა წალენჯიხის რაიფინგანის სახელმწიფო შემოსავლების ინსპექტორად. 1968 წელს აირჩიეს მუჟავას სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. მისი ამ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში აშენდა შინმოუსვლელთა ობელისკი, სასოფლო საბჭოს შენობა, საბავშვო ბაღი, გაიხსნა ნაბაგუს რვაწლიანი სკოლა, აშენდა სკოლის ახალი შენობა. შ. ანთიას ზურგში მამაცური შრომისათვის მიღებული აქვს 1941–1945 წლების მედალი, 1976 წელს რესპუბლიკური მედლობის ორდენი, „შრომის ვეტერანის" ორდენი.

**ანთიძე 1025**
**თბილისი – 405,**
**ჩოხატაური – 209,**
**ოზურგეთი – 144.**

**ანთიძე.** საკუთარი სახელი **ანთა, ანთაი. ანთა** ქართველთა წარმართული ღვთაების **ანთარის** ბოლომოკვეცილი ფორმაა, რომელიც საკუთარ სახელად ქცეულა (*ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. I. 115*). „ანთებს ძველად (*VI–VII სს.*) ეძახდნენ აღმოსავლეთ სლავიანებს. ასე რომ, **ანთიძის** (შდრ.) ანთაძის დღევანდელი მიახლოებითი თარგმანი იქნებოდა **რუსიძე** ან **რუსიშვილი, რუსაძე** (*აკ. შანიძე. მაცნე. II. 191*). *„ანთები იყვნენ ქართველთა მონათესავე ტომები, რომლებსაც ეკავათ შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო და ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ქართველებთან. ამაზე მიუთითებს დღემდე შემორჩენილი ქართული გვარები, როგორიცაა ანთია, ანთაძე, ანთელავა და სხვ."* (*ილ. მაისურაძე. ქართველი გვარსახელები. თბ., 1981. გვ. 22*). ამავე ძირისაა **ანთაძე, ანთაური.**

შდრ. **ანთა, ანთარი** – ზედა ღმერთი საქონლის მფარველი სიკვდილისაგან (*ყიფშიძე*).

**ანთიძე მაკა გურამის ასული,** საინფორმაციო სააგენტო როიტერ-ის კავკასიის ბიუროს რედაქტორი. დაიბადა თბილისში 1970 წლის 27 აპრილს. მშობლები: **ლარა ანთიძე, გურამ ანთიძე.** შვილი **ზუკა ბაბუნაშვილი** (1994). დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტი (1992). სააგენტო „კონტაქტის" რედაქტორი (1992–93), სააგენტოების ბიეს-პრესს-ის, ასოშაიტედ პრესს-ის, როიტერის-ის კორესპონდენტი (1996–99). როიტერის-ის კავკასიის ბიუროს რედაქტორია 1999 წლიდან. გამოქვეყნებული აქვს სტატიები ქართულ და უცხოურ პრესაში.



**ანთიძე ავთანდილი ვლასის ძე** დაიბადა 1937 წლის 14 ნოემბერს, თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. მამა **ვლასი სამსონის ძე ანთიძე** მუშაობდა მთავარ სამხედრო-საჯარისო სამმართველოში, 1943 წელს დაიკარგა მეორე მსოფლიო ომში. დედა – **ვენერა სიმონის ასული ვაჩეიშვილი** საპენსიო ასაკამდე მუშაობდა ვაჭრობის სისტემაში, გარდაიცვალა 1998 წელს.

1963 წელს დაამთავრა პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი პედაგოგიკისა და მეთოდიკის სპეციალობით. 1973 წელს კი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიულ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1978 წელს. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1958 წლიდან. მას ხელოვნებაშიც აქვს შეტანილი თავისი წვლილი. სხვადასხვა დროს იყო საქართველოს ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის, საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლისა და თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს ანსამბლის მოცეკვავე – მსახიობი. მიღებული აქვს მთავრობის მრავალი ჯილდო და სიგელი.

ინჟინრულად მუშაობდა სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში, საქართველოს მხატვართა კავშირში, 1976 წლიდან პროფკავშირულ საქმიანობას ეწევა. 1984 წლიდან დღემდე საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების მუშაკთა პროფკავშირის

გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარეა.

პაატას მეუღლე **დალი შალვას ასული ჟველია** (ფილოლოგი, ჟურნალისტი, მუშაობს გაზეთებში „რეზონანსი", „ოლიმპი") და ოთხი შვილი: **ნიკა, ლაშა, ავთანდილი** და **ირაკლი.**

**ანთიძე დალი მამულის ასული,** გრაფიკა, ფერწერა, დ. 02.01.1963. თბილისი. მშობლები: **მერი ქსოვრელი, მამული ანთიძე.** სწავლობდა ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში (1979-83), თსსა გრაფიკის ფაკულტეტზე (1985-1992). სადიპლომო ნამუშევარი – ილუსტრაციები სახარების თემაზე (ხელმძღვანელი – თ. ყუბანეიშვილი). საქართველოს მხატვართა კავშირის ახალგაზრდა მხატვართა და ხელოვნებათმცოდნეთა გაერთიანების წევრია 1993 წლიდან არის დოცენტი (1997). მოღვაწეობს ზაარბრიუკენის (გერმანია) სამხატვრო ინსტიტუტში.

| |
|---|
| **ანიაშვილი 204** |
| **გორი – 163,** |
| **თბილისი – 35,** |
| **დუშეთი –** |
| **.ანიკაშვილი 24** |
| **გორი –5,** |
| **ზუგდიდი – 2,** |
| **თბილისი – 17.** |

**ანიაშვილი, ანია** – ? პაატას ძმა ბერიკა, მოწმე ქრისტეფორე კათალიკოსის მიერ დათუა ზუმბულიძისათვის მიცემული სარგის წყალობის წიგნისა (1635 წ.). შდრ.: *ანიაშვილი (1670 წ.).*

**ანიკაშვილი.** ფუძე **ანიკა** ნაწარმოებია სახელიდან ანა. ანიკო, ანუკა. მოფერებით **ანკა, ანიკა, ანი, ანუშკა.**

**ანტონაშვილი//ანტონიშვილი. ანტონა** – შვილი ეუკეკასი. *იხ. ეუკეკაშვილი ანტონა.*

| |
|---|
| **ანტონაშვილი 26** |
| **თბილისი – 14,** |
| **მცხეთა– 4,** |
| **საგარეჯო – 8.** |

**ანტონა** – მელიქი და მამასახლისი. მოწმე იოსებ თბილელის მიერ ხოჯა ბარხუდარასათვის მიცემული ხარჯის წიგნისა *(1667 წ. შდ-66).*

**ანტონა** – დედოფლის ანბარდარი. მოწმე ხანუმისათ აფრიამას მიერ ქაიხოსრო ბარათაშვილისათვის მიცემული სახლების ნასყიდობის წიგნისა *(1683 წ. XII. ქდ-8563).*

**ანტონაშვილი** – ახალციხელი გლეხი. იოსებ ყანჩაელის წინამძღოლობის დროს იგი თავისი ნებით შეეწირა მღვიმის მონასტერს *(1682 წ. შდ .82).*

**ანტონაშვილი** – გორის მცხოვრები. ამილახვრის ყმა. საამილახვრო დავთრის მიხედვით. ევალებოდა ლაშქრობა *(XVII ს-ის II ნახ., 1448-5032).*

**ანტონაშვილი** – ქვარხითის მცხოვრები. თანიასყმა. ბოგანო, მოლაშქრე. საამილახვროს დავთრის მიხედვით. ევალებოდამშვილდით ლაშქრობა *(XVII ს-ის II ნახ. 448-5032).*

**ანტონაშვილი ბერი** – შვილი პაატა ანტონაშვილისა, იხ.

**ანტონაშვილი თამაზა** – შვილი პაატა ანტონაშვილისა, იხ.

**ანტონაშვილი ოჰანა** – ძმა გოგინა ანტონაშვილისა, იხ.

**ანტონაშვილი პაატა** –სამწევრელი. პაატას შვილები: **თამაზა, ბერი.** მიჰყიდა შერმაზან ხაშარაძეს ერთი დღის მიწა თავისი ძმისა და მეკარეიშვილის მიწებამდე *(1681 წ. 1448-8782).*

**ანტონაშვილი პაპუნა** – ქვარხითის მცხოვრები, თარიას ყმა. საამილახვროს დავთრის მიხედვით, მისი კომლიდან ორ კაცს ევალებოდა შუბით ლაშქრობა *(XVII ს–ის II ნახ. 1448–5032)*.

**ანტონე** – გოგიტა არდაშვრაშვილის მემკვიდრე. მოწმე ნიკოლოზ პალატისშვილის მიერ გოგიტა არდაშვრაშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა *(1477 წ. VII.4 ქდ–9814 ა)*.

**ანტონი//ანტონ, ანტონი** – დედის ძმა მელქისედეკ კათალიკოსისა. მას უბრძანა მელქისედეკ კათალიკოსისათვის „ანდრია სალოსის ცხოვრება", რომელიც მელქისედეკმა შესწირა სვეტიცხოველს *([1029–1033 წ.წ.] 1448–5018 ა)*.

**ანტონი** – ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი, მწიგნობართუხუცესი და პროტოპროტოსინკელოსი. მას წყალი გაუყვანინებია სხალტბიდან შიომღვიმის მონასტერში. მისივე თხოვნით, თამარ მეფემ მღვიმის მონასტერს „წყლის საკაზმავად" შესწირა ორი კომლი სასეფო გლეხები: სვიმონ, გიორგი და იაბერ ქოსაისძენი *([1195 წ.]*

**ანტონი** – იშხნელ-ყოფილი, საწოლისა და ჭყონდიდლისმწიგნობარი, დაამტკიცა არსენ ჭყონდიდელის მიერ მგელა აბულახტარისძისათვის მიცემული სოფლის წყალობის დაწერილი ([1241–1242 წ.წ.] 1448–5003) და სხვ. (პალ. I. გვ. 159).

**P.S.** ანტონიძე დამოუკიდებლად წარმოქმნილ გვარად გამოიყურება.

**ანტოშვილი**, ფუძე იგივე ანტონ–ია. ანტო მოფერებით–კნინობითი ფორმაა.

**ანუა** წარმოქმნილია ქალის საკუთარი სახელისაგან. მისი პირვანდელი ფორმაა ანა (ანნა). შდრ.: *(კოლხეთი. 88. გაჩეჩკილი)*. ანუა, ანუაა *(კოლხეთი. 37. გაჭედილი)*. ანუკ, ანუკა, ანუკ–ი *(სვანეთი)*. ანუსია და სხვ.= გვარი ანუაშვილი.

**ანუა ქალაშან**. ცოლი მისი გუნდა, ვაჟი ხასანი, როგორც ქრისტიანი ქართველები, მოიხსენიებიან XVII ს–ის II ნახევარში *(იხ. გაზ. „საქართველო". მარტი. 1997)*.

**ანუკაშვილი** გვარის ფუძეა ანიკო (შდრ.: ანნა. ანო. ანიკო. *ანუკა. ანუკო)*.

**ანუკა** – ბატონი, ოყიდა ზისელ აბრამაშვილისაგან ატენს სასახლე და კალოსაბძელი *(1652 წ. 1450–36/197)*.

**ანუკა** – მანუჩარ ციციშვილის ასული *(1671 წ. 1450–51/70)*. თანამეცხედრე სახლთუხუცეს ზაზა [ციციშვილისა]. იხ., ოყიდა იმედა ფანიაშვილისაგან ნიჩბისში გუგუნას ვენახთან მდებარე ვენახი *(1671 წ. II. 1. 1450–51/70)*.

**ანუკა** – სარდლის ქალი. ვახტანგ და სვიმონ დოლენჯიშვილებმა მისგან აიღეს ვალი – შვიდი თუმანი და გირაოდ მისცეს თავიანთი მკვიდრი ყმა – უმეკაშვილი *(XVII ს. ქდ–3824 ფრაგმ.)*.

**ანუშიძე**. გვარის ფუძედ ჩანს მოფერებითი სახელი ანუშ–ი.

**ანტონიშვილი 37**
თბილისი – 19,
ბორჯომი – 6,
გურჯაანი – 5.

**ანუაშვილი 101**
საგარეჯო – 40,
თბილისი – 30,
გარდაბანი – 18.

**ანტონიძე 87**
მარნეული–44,
რუსთავი–24,
თბილისი – 8

**ანტოშვილი 20**
გურჯაანი – 11,
თბილისი – 19

**ანუშიძე** არიან ორთაბათუმის საკრებულოში, მეჯინისწყალში. სპარსული სიტყვისგანაა ნაწარმოები და **ანუშ** უკვდავს, დაულეველს, კურთხეულს ნიშნავს. სომხებში შემორჩა ქალის საკუთარ სახელად ფორმით **ანუშ**.

ორთაბათუმელი (წინსელა) **მემედ ანუშიძე** იყო წარსულის კარგად მცოდნე, დაფასებული კაცი. პროფესორ იური სიხარულიძისთვის უამბია, რომ აქაური

**ანუშიძე 39**
**ბათუმი – 7,**
**ქობულეთი – 1,**
**ხელვაჩაური – 31.**

ი. ცინცაძის სიგელი დიმიტრი ბაქრაძეს გულიან ფაყებძე-ფალავამ გადასცა. ისიც დაადასტურა, რომ ძველ საფლავში განისვენებს ის იასეს შთამომავალი მემადალა ცინცაძე, რომელმაც უკანონობა ვერ მოითმინა, სტამბოლში ფადიშაჰს ეწვია და აჭარლებს შეეწირება აარიდა *(იხ. ი. ბაქირიშვილი, აჭარის ისტორია გვარსახელებში, ბათუმი, 1996, გვ. 24-25).*

**ანჩაბაძე//აჩბა,** გვარის ფუძეა **ანჩა, ბა** და **ძე** კი სუფიქსია, ე.ი. **ანჩაბაძე** ორი ქართული სუფიქსით გაწყობილი გვარია. ზოგჯერ წერენ და ამბობენ, **„ანჩაბაძე აფხაზურ-ქართული გვარიაო."** ასე წერა და გამოთქმა უმართებულოა. მთქმელი არ უკვირდება და არ აცნობიერებს, რომ მოცემულ მაგალითში აფხაზიც ისეთივე ფესვიანია, როგორც კახელი, ქართლელი, რაჭველი, გურული. გვხვდება ნაწარმოები გვარიც – **ანჩებქია**, რომლის პირველ ფორმად

**ანჩაბაძე 283**
**ზუგდიდი – 134,**
**თბილისი – 76,**
**გარდაბანი – 12.**

მიჩნეულია **ანჩიბაია**. პროფ. **ზურაბ ანჩაბაძე** გვარის წარმომავლობას ტოპონიმ **ანჩს** უკავშირებს. პროფ. ვალერი ზუხბაიას გადმოცემით, გალელი **ანჩაბაძეები** სამხრეთისკენ იშვერდნენ ხელს, *„ჩვენ იქიდან ვართ ჩამოსულნიო."*

ანჩაბაძეთა გვარის ადგილობრივი ვარიანტია **ანჩაბაია**, გვხვდება აგრეთვე ფორმით **აშჩაბაძე**. ასეთნაირად მოიხსენიება XV ს-ის დამლევს *(იხ. პალ., I, 160; პალ., II, 474). შდრ.: ანჩაფაძე.*

ანჩაბაძეები აფხაზეთის გარდა ცხოვრობენ ქ. ზუგდიდსა და ზუგდიდის რაიონის სოფლებში *(მაგ. განარჯიის მუხურში).* **ანჩაბაძეები, როგორც აფხაზეთში, ისე სამეგრელოში თავადები იყვნენ.** ვახუშტი „აფხაზეთისათვის" წერს: **„ხოლო აფხაზეთს იგივე შარვაშიძე, მფლობელი აფხაზთა თვით, და უმდაბლესი ანჩფაძე"** *(ტ. IV, გვ. 36).*

მეცნიერთა ვარაუდით, ანჩაბაძეებიდან წარმოსდგებიან ქართლ-კახეთის ცნობილი თავადური გვარები – **მაჩაბლები** და **აფხაზი (აფხაზიშვილები).** ანჩაბაძეებთან გენეტიკურ კავშირზე ამახვილებენ ყურადღებას ჩრდილო კავკასიაში მოსახლე ზოგიერთ თავადურ გვართან, რომელთა წინაპრები აფხაზეთიდან გადასახლებულან XIII-XIV საუკუნეების შემდეგ.

აფხაზეთში ანჩაბაძეების რამდენიმე შტო არსებობდა – *გუმის, ბზიფის, აბჟუის, საძენის, სამურზაყანოსი* და სხვ. მათგან მუჰაჯირობის ხანაში *(XIX ს-ის 60-70-იანი წ.წ.)* ოსმალეთის იმპერიაში მთლიანად გადასახლდნენ გუმისა და საძენის ანჩაბაძეები, სხვებისა კი ნაწილობრივ. მათი მრავალრიცხოვანი

შთამომავლობა დღეს თურქეთში ცხოვრობს.

ამრიგად, **ანჩაბაძე** (აფხაზურად – **აჩბა**) აფხაზეთის უძველეს ფეოდალურ გვარად ითვლება. აფხაზური თქმულებები ერთხმად ამტკიცებენ, რომ **აჩბები** აფხაზეთს განაგებდნენ **ჩაჩბებზე (შარვაშიძეებზე)** ადრე. არსებობს ანდაზაც: **„აჩბა უმჰაკუა, ჩაჩბა უზჰიომ"**, ანუ **„ჯერ აჩბა თქვი და შემდეგ – ჩაჩბა."**

ვარაუდით, აფხაზეთში ანჩაბაძეების მმართველობა უკავშირდება აფხაზთა სამეფო ხანას *(VIII–X ს.ს.)*. შემთხვევითი არ არის, რომ აფხაზურ გადმოცემებში აფხაზთა მეფის – **აფსჰას** – შესახებ ყოველთვის ფიგურირებს **აჩბას** საგვარეულო. ზოგი თქმულებით აფსჰა (აფხაზთა მეფე) თვითონ იყო აჩბას გვარიდან, სხვა თქმულებით კი – მთიდან ჩამოსულმა აჩბებმა აიძულეს აფსჰა, მათთვის დაეტოვებინა აფხაზეთის მიწა-წყალი.

ამ გადმოცემის საფუძველზე მკვლევრები ვარაუდობენ, რომ ადრე შუასაუკუნეების აფხაზი მთავრები და შემდეგ მეფეები – მოყოლებული ლეონ II-დან, აჩბათა საგვარეულოდან იყვნენ *(დაწვრ. იხ. გაზ. „დარბაზი", მაისი, 1998 წ., გ. ანჩაბაძე, ანჩაბაძეები)*.

როდის დაკარგეს ანჩაბაძეებმა პირველობა აფხაზეთში, არ ჩანს, მაგრამ ფაქტია, რომ XII ს-ში ცხუმის ერისთავები უკვე შარვაშიძეები არიან. ფიქრობენ, რომ შარვაშიძეების დაწინაურება უკვე XI ს-ში მოხდა. ცნობილია, რომ 1045 წლის ახლოს „ქართლის ცხოვრებაში" მოხსენიებულ აფხაზთა ლაშქრის წინამძღოლი **ოთაღო ჭაჭას ძე ჩაჩბას** საგვარეულოს წარმოადგენდა.

აფხაზთა მტკიცებით, მათი უძველესი მმართველი დინასტია იყო **აჩბა**, რაც მათ ენაზე ძველებურად **მთავარს** ნიშნავდა. შემდეგ კი **ანჩაბაძეები** შეცვალეს **შარვაშიძეებმა**, რომლებმაც მიიღეს გვარსახელი **ჩაჩბა** (ზოგჯერ გამოითქმის აგრეთვე **აჩაჩბა**), რაც **აჩბათა აჩბას** (ე.ი. მთავართამთავარს) ნიშნავს. დასაშვებადაა მიჩნეული იგივე შემთხვევა, რაც მოგვიანებით სამეგრელოში მოხდა, როდესაც დადიანთა ძველი დინასტიის გადაშენების შემდეგ მთავრის ტახტი **ჩიქვანებმა** დაიკავეს და **დადიანის** გვარი მიიღეს, ვინაიდან ეს უკანასკნელი ტრადიციულად ოდიშის მფლობელობასთან იყო გაიგივებული.

ანჩაბაძეთა დამოკიდებულება ამ ფაქტებისადმი ნაჩვენებია ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობაში „რაინდები", სადაც რუხის ომში ორთაბრძოლის წინ მოხუც **ანჩაბაძესა** და **არჩილ ბატონიშვილს** შორის შაირობა იმართება. **ანჩაბაძე** ამბობს:

*„შერვაშიძეს ვეცილები, მე მეკუთვნის ბატონობა; მით უმეტეს, ვერ ავიტან – ჩიქვანს ჰქონდეს პირველობა".*

ბუნდოვანი გადმოცემების მიხედვით, ანჩაბაძეებსა და შარვაშიძეებს შორის მომხდარა ბრძოლა, რომლის შედეგად აფხაზეთში მმართველი საგვარეულო გამოიცვალა, ეს ცნობა ხალხურმა ზეპირსიტყვიერებამ XX საუკუნემდე შემოინახა. არის ასეთი თქმულებაც: **„აჩბები წაიკიდნენ და ჩაჩბები აიშალნენ."** *(თქმულება ჩაუწერია სიმონ ჯანაშიას).*

ანჩაბაძეები რომ უსწრებდნენ შარვაშიძეებს, ამას ერთი ფაქტიც ამაგრებს. აფხაზეთის ძველი და ახალი მმართველი კლანები – აჩბები და ჩაჩბები, საზოგადოებრივი და სულიერი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებში ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში მოიხსენიებიან.

მაგალითად, საინტერესოა, რომ აფხაზი წარმართი ქურუმები ლოცვის დროს აუცილებლად ახსენებდნენ ორივე საგვარეულოს. კერძოდ, მსხვერპლის შეწირვის რიტუალი მთავრდებოდა ასეთი სიტყვებით:

*„დიდებულო ღმერთო, გვიხსენი ყოველივე ცუდისა და ბოროტისაგან. მანამდე, სანამ ამ საკლავის ხორცით არ გაუმასპინძლდები ყველა აჩბასა და ჩაჩბას.“* როგორც ფიქრობენ, ამ ფორმულაში პირველად აჩბების მოხსენიება განპირობებულია მათი ისტორიული პრიორიტეტით აფხაზეთის მმართველობაში.

გადმოცემით, დასავლეთ აფხაზეთიდან გადასახლებულა ჩრდილო კავკასიაში ანჩაბაძეთა ორი შტო.

**აბაზების** ცნობილი თავადური გვარი – **ლოუ** ანუ **ლაუ** (რუსული ფორმა – **ლოოვი**) და ჩერქეზული საგვარეულო – **ანჩოჩო** („ყო“ ჩერქეზულად „ძეს“ ნიშნავს, ე.ი. **ანჩოყო – ანჩისძეს. ანჩისყოები** ჩერქეზ უაკნეელთა ტომის თავადები იყვნენ. აბაძეხებში კი, რომლებსაც თავადები არ ჰყავდათ, აზნაურები.

შემორჩენილი წერილებით, წყაროებში ანჩაბაძეების პირველი მოხსენიება XV ს-ის ბოლოს განეკუთვნება. კერძოდ, იმერეთის მეფის ალექსანდრე II-ის (1484-1510 წ.წ.) მიერ გაცემულ ერთ სიგელში ნახსენებია **ალთუმიშარ აჩბაბაძე (ანჩაბაძე)**. ზოგ დოკუმენტში ეს გვარი **ანჩაფაძის** ან **ანჩაფისძის** ფორმით არის დადასტურებული. XVII საუკუნიდან კი უკვე ანჩაბაძის ფორმა მკვიდრდება. მაგალითად, 1659 წლის ახლოს ანჩაბაძეები მოიხსენიებიან ქაიხოსრო გურიელის მიერ გაცემულ საბუთში, სადაც აღწერილია აფხაზი, მეგრელი და იმერელი ფეოდალების თავდასხმა გურიის სამთავროზე დასავლეთ საქართველოში მიმდინარე ფეოდალური შინაომების დროს.

XVII საუკუნის შუახანებში აღმოსავლეთ საქართველოში ფიგურირებს როსტომ მეფის გაზრდილი **გიორგი ანჩაბაძე-აფხაზი**, სპარსულენოვან დოკუმენტებში **აფხაზ-ბეგად** წოდებული. იტალიელმა მხატვარმა კასტელიმ კი დაახლოებით ამავე პერიოდში თავის ალბომში შეიტანა აფხაზი მხედართმთავრის – აჩაბაიას სურათი.

XVIII-XIX საუკუნეებში ანჩაბაძეთა ცალკეული შტოები ფლობენ მიწებს მათზე მსხდომი აზნაურებითა და გლეხებით აფხაზეთის ყველა ძირითად რაიონში: ბზიფში, გუმაში, აბჟუაში, სამურზაყანოში, საძენში (*შესაბამისად, თანამედროვე გუდაუთის, სოხუმის, ოჩამჩირის, გალის, გაგრა-ადლერის რაიონები*). იყვნენ შარვაშიძეების ვასალები, თუმცა ხშირად ეურჩებოდნენ მთავრებს.

აქტიურად მონაწილეობდნენ დასავლეთ საქართველოში მიმდინარე ფეოდალურ შინაომებში.

*[illegible]*

XIX საუკუნეში აქ რუსების შემოსვლის შემდეგ ანჩაბაძეთაგან ბევრი ცარიზმის სამხედრო სამსახურში შევიდა. მაგრამ ბევრი იყო ისეთიც, ვინც ანტირუსულ მოძრაობაში ჩაება.

კავკასიის ომისა და აფხაზეთის აჯანყებათა დოკუმენტებში მოხსენიებულნი არიან ანჩაბაძეები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთის ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში.

კავკასიის ომის დასრულებისა და აფხაზეთის ავტონომიური სამთავროს გაუქმების შემდეგ (1864 წ.) ათასობით ათასი აფხაზი ოსმალეთის იმპერიაში გადასახლდა. მათ შორის მრავლად იყვნენ ანჩაბაძეებიც მათზე დამოკიდებული აზნაურებითა და გლეხებით ასე მაკალითად, მთლიანად წავიდნენ აფხაზეთიდან საძენისა და გუმის ანჩაფაძეები და. აგრეთვე. ბზიფელებისა და აბჟუელების მრავალი წარმომადგენელი. ამ გადასახლებულთა შთამომავლები დღესაც დიდი რაოდენობით ცხოვრობენ თურქეთში. როგორც ითქვა, **მაჩაბლები ანჩაბაძეების შთამომავლებად ითვლებიან.**

მაჩაბლების შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს: *„მაჩაბელი იტყვის ანჩაფიძეობას. აფხაზეთიდამ მოსვლას.“* იგივე აზრია გატარებული იოანე ბაგრატიონის თხზულებაში. სადაც მაჩაბელთა შესახებ ნათქვამია: *„ამანთუ უკვე გვარნი არიან უფროირე ძველად კავკასიის მთით შთამოსრულნი. ანჩაფაძეთ წოდებულნი თავადნი. რომელნიც პირველ მოსახლეობდნენ აფხაზეთს შინა. ხოლო დროსა მეფისა ალექსანდრესასა. განიყო რა საქართველო სამ სამეფოდ-იქმნა მაშინ ალრეულობაი. რომლის გამო აიყარნენ ანჩაფიძეები. გამოვიდნენ ქართლსა. დაეშენნეს ასაბეთს ადგილსა და მერე მეფემან გიორგი მიიღო ანჩაფაიძეები ესე და უბოძა ადგილი ლიახვის ხეობასა შინა და შესცვალა გვარი მათ მაჩაბელად.“* ამრიგად, მაჩაბელთა გვარი ნაწარმოებია ფეოდალური რეზიდენცია **აჩაბეთიდან,** უკანასკნელ ხანებში გამოთქმულია მოსაზრება მაჩაბელთა აზნაურ **თავხელიძეებისაგან** წარმომავლობის შესახებ, რაც, ჩვენი აზრით, სინამდვილეს არ უნდა შეესაბამებოდეს.

რაც შეეხება **აფხაზთა** საგვარეულოს, ის მომდინარეობს ზემოხსენებული **გიორგი ანჩაბაძე-აფხაზისაგან**. აფხაზიშვილებს მამულები ჰქონდათ ქვემო ქართლსა და კახეთში *(იხ. აფხაზიშვილები)*.

XIX ს-ის ბოლოს და XX-ის დასაწყისში ანჩაბაძეები ქართულ-აფხაზური არისტოკრატიის ტიპიური წარმომადგენლები იყვნენ. საქორწინო ურთიერთობებით მათ მჭიდრო ნათესაური კავშირები ჰქონდათ დასავლურ-ქართლურ გვარებთან – **დადიანებთან, აფაქიძეებთან, ჩიქოვანებთან, ჩიჩუებთან, გურიელებთან, დადეშქელიანებთან** და სხვ. ასევე, ცხადია, **შარვაშიძეებთან, მარშანიებთან, ემხვარებთან, მარღანიებთან.** რუსეთის იმპერიის თავადებად ანჩაბაძეები ოფიციალურად იქნენ დამტკიცებული 1903 წელს.

ამ პერიოდის მოღვაწეთაგან შეიძლება დაეასახელოთ **დავით ანჩაბაძე** (გარდ.

*1888 წ.)* – **პირველი აფხაზი უმაღლესი განათლებით.** დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

ახლოს იყო გიორგი შარვაშიძესთან. როგორც საზოგადო მოღვაწე, იგი ილია ჭავჭავაძის მიმდევარი იყო. აქტიურად თანამშრომლობდა მის „ივერიაში".

მეტად საინტერესო და კოლორიტული პიროვნება იყო **თარაშ (ტარას) ანჩაბაძე** *(1859-1935 წ.წ.)*. რუსეთის არმიის კადრის ოფიცერი, რუსეთ–თურქეთისა და რუსეთ–იაპონიის ომების მონაწილე. სახელგანთქმული მონადირე. წერდა ლექსებს. მისი მეუღლე **მაშო დადიანი–ანჩაბაძისა** (1870–1958) მრავალი წლის განმავლობაში დიდ კულტურულ და საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა აფხაზეთში.

მისი თაოსნობით 1909 წელს აქ ჩამოყალიბდა „ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" განყოფილება, რომლის უცვლელი თავმჯდომარეც თვითონ იყო. ამ საზოგადოების ერთ–ერთი პირველი ღონისძიება იყო ქართული სკოლის დაარსება სოხუმში 1910 წელს.

**ანჩაბაძე პეტრე კონსტანტინეს ძე** მრავალმხრივ საქმიანობას ეწეოდა განათლებული *(1869–1928)* – თავადი, მემამულე, საზოგადო მოღვაწე. ეხმარებოდა გლეხებს მეურნეობაში იმ დროისათვის მოწინავე ტექნიკის ათვისებაში. უმიწაწყლო გლეხებს მიწის ნაკვეთებს ურიგებდა.

მშობლიურ სოფელ ოტობაიაში (სამურზაყანო) გახსნა სადურგლო, სამჭედლო და სახარაზო სახელოსნოები, სადაც სოფლის ახალგაზრდობა ითვისებდა ხელობას.

საკუთარი სახსრებით ააგო ბორანი ენგურზე საზოგადო სარგებლობისათვის. მისი ინიციატივითა და მონაწილეობით 1898 წ. ოტობაიაში გაიხსნა ორკლასიანი სკოლა

1912 წელს კი აიგო ახალი სასკოლო შენობა. ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა, სადაც ინახებოდა მრავალი წიგნი იმდროინდელი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების *(მათ შორის ილიასა და აკაკის)* ავტოგრაფებით.

**ანჩაბაძე ვალერიან ტარასის ძე** (1886–1921) – თავადი, კადრის ოფიცერი. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. ჰქონდა სახელმწიფო ჯილდოები. 1918 წლიდან ქართულ არმიაში მსახურობდა.

1921 წელს იგი აფხაზეთში მოქმედი ქართული ჯარების სარდლის მოადგილე იყო. მისი მეთაურობით ჯარის ნაწილებმა რამდენიმე ხნით შეაჩერეს წითელი არმიის შეტევა ახალ ათონთან, რამაც ქართული დაჯგუფების მთავარ ძალებს საშუალება მისცა, სოხუმისკენ დაეხიათ. დაიღუპა სოხუმის მისადგომებთან მდინარე გუმისთის ფორსირების დროს რუსეთ–საქართველოს ომში 1921 წლის მარტში.

კიდევ ორი თუ სამი ანჩაბაძე იყო მოკლული 1921 წლის 17-18 მარტს ბათუმში, თურქებთან ბრძოლის დროს, როდესაც აჭარის ბედი წყდებოდა.



**ანჩაბაძე ვიანორ ტარასის ძე** (1888–1938) – სამხედრო ექიმი. დაამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემია. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. ჰქონდა სახელმწიფო ჯილდოები. 1918–1921 წ.წ. აფხაზეთის ეროვნული და სახალხო საბჭოების წევრი 1927 წლიდან – აფხაზეთის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი *(ერთადერთი უპარტიო სახალხო კომისარი საქართველოში)* 1938 წელს რეპრესირებული იქნა და დახვრიტეს. სიკვდილის შემდეგ რეაბილიტირებულია.

**ანჩაბაძე ზურაბ ვიანორის ძე** (22.04.1920–28.1.1984) – გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1960), პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1979), საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1980). მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა კავკასიის ხალხთა ისტორიის განყოფილებას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში. 1973 წლიდან იყო სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, 1979 წლიდან – გარდაცვალებამდე კი ამ ინსტიტუტის ბაზაზე გახსნილი აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

ზურაბ ანჩაბაძე 200-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია საქართველოსა და კავკასიის ხალხების ისტორიის შესახებ. მას კარგად იცნობდნენ კავკასიაში ყველგან და საბჭოთა კავშირის ძირითად სამეცნიერო ცენტრებში. სარგებლობდა აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობის ფართო ფენების პატივისცემითა და სიყვარულით.

ზ. ანჩაბაძეს მიღებული ჰქონდა სახელმწიფო ჯილდოები. არჩეული იყო სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოების დეპუტატად.

**ანჩაბაძე გიორგი ზურაბის ძე** (დაბ. 10.17 1949) – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1990), პროფესორი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი-თანამშრომელი. დამთავრებული აქვს თბილისის სახ. უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი (1971). გ. ანჩაბაძე 100-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორია (საქართველოსა და კავკასიის ხალხების ისტორია, წყაროთმცოდნეობა, ისტორიოგრაფია, სამხედრო ისტორია).

XX ს-ის 20–30-იან წლებში ანჩაბაძეებმა თავადაზნაურთა კლასის საერთო ბედი გაიზიარეს. ბევრის ათობით წარმომადგენელი დახვრიტეს. მრავალი სხვადასხვა ვადით გადაასახლეს „გულაგის" საპყრობილეებში. ანჩაბაძეებს შორის იყვნენ ისეთებიც, ვინც იარაღით ხელში ებრძოდა ბოლშევიკურ რეჟიმს. მაგალითად, გახსენების ღირსია **კოტა ანჩაბაძე**, ცნობილი აბრაგი, რომელიც წლების განმავლობაში აქტიურად მოქმედებდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

**ანჩაბაძე ჯემალ ვლადიმერის ძე** (დაბ. 18.03.1938) – შსს-ს პოლკოვნიკი.

დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი (1962) და თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი (1978).

შსს-ს ორგანოებში სხვადასხვა თანამდებობაზე 1964 წლიდან მუშაობდა. 1998 წლიდან ასაკითა და დამსახურებით პენსიაშია. ამჟამად ხელშეკრულებით მსახურობს შსს-ს შინაგან ჯარებში. ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და სამი შვილიშვილი.

**ანჩაბაძე გიორგი ჯემალის ძე** (დაბ. 4.1.1973) – სპორტსმენი. დაამთავრა თსუ-ს საერთაშორისო ეკონომიკურ-გეოგრაფიული ფაკულტეტი (1997). მონაწილეობდა, როგორც საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატში, ასევე საზღვარგარეთ – ისრაელსა და ბელგიაში. რამდენიმეჯერ აღიარებული იქნა საქართველოში ჩატარებული მინი-ფეხბურთის ჩემპიონატების საუკეთესო მოთამაშედ. იყო საქართველოს პირველი ოლიმპიური ნაკრების კაპიტანი და საქართველოს ნაკრების წევრი. ამჟამად თამაშობს თბილისის „დინამოში". ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.



**ანჩაბაძე გივი ალექსის ძე** დაიბადა 1933 წ. 26 აპრილს თბილისში, 1951 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის მე-7 ვაჟთა სკოლა მედალზე.

1957 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. მიენიჭა ინჟინერ-მეტალურგის კვალიფიკაცია.

1957 წლიდან 1976 წლამდე მუშაობდა თბილისის ფოლად-თუჯ სამსხმელო ქარხანაში ცენტროიდში.

განვლო გზა ინჟინრიდან დირექტორამდე.

1976 წლიდან 1980 წლის ნოემბრის ჩათვლით მუშაობდა თბილისის პარტიის ლენინის სახელობის რაიკომის პირველ მდივნად.

1980 წლიდან 1983 წლამდე მუშაობდა ქ. მოსკოვში საკავშირო ცენტრალურ კომიტეტში ინსპექტორად.

1983 წელს დაინიშნა საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ;

1985 წლის აგვისტოში არჩეული იქნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად, სადაც იმუშავა 1991 წლის იანვრამდე.

1989 წლის ივლისიდან 1990 წლის სექტემბრამდე მუშაობდა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ.

დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.

არაერთგზის იყო არჩეული საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, აფხაზეთის, თბილისის და გალის რაიონული საბჭოების დეპუტატებად.

მინიჭებული აქვს შრომის ვეტერანის საპატიო წოდება.

გივი ანჩაბაძე არის არაერთი გამოგონებისა და სამეცნიერო შრომის ავტორი.

**აჩბა ვლადიმერ კონსტანტინეს ძე** (15.12.1918 – 2.09.1990) – საბჭოთა არმიის ოფიცერი. გაიარა გზა ჯარისკაციდან პოლკოვნიკამდე. 1941–45 წ.წ. ომის მონაწილე. არაერთხელ დაიჭრა.

დაამთავრა სამხედრო-პოლიტიკური აკადემიის ჯავშან-სატანკო ფაკულტეტი (1952) და უმაღლესი საკადემიო კურსები უფროსი ოფიცრებისათვის (1960). თადარიგში გასვლის შემდეგ 1975–85 წ.წ. იყო საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. ჰქონდა სახელმწიფო ჯილდოები.

**აჩბა ვალერიან ვლადიმერის ძე** (დაბ. 28.02.1944)– მუსიკოსი, პედაგოგი. წარჩინებით დაამთავრა თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია (1970).

იმავე წლიდან დღემდე იქვე მუშაობს ვოკალურ ფაკულტეტზე. სოლო სიმღერის კათედრის დოცენტი (1984). 1979 წლიდან საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტი-ვოკალისტი. ავტორია რიგი პუბლიკაციებისა სოლო სიმღერისა და საოპერო ხელოვნების შესახებ. ჰყავს მეუღლე და ერთი ქალიშვილი.

**აჩბა თამარ ვალერიანის ასული** (დაბ. 1.17 1971) – პიანისტი. წარმატებით დაამთავრა ნიჭიერთა მუსიკალური ათწლედი (1989) და შემდეგ – თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია (1994).

ჯერ კიდევ ათწლედში სწავლისას დაიმსახურა არაერთი პრესტიჟული პრემია მუსიკალურ კონკურსებზე: 1979 წ. – დ. კაბალევსკის სახელობის ნორჩი პიანისტების რესპუბლიკური კონკურსის ლაურეატი (I პრემია); 1983 წ. – ა/კავკასიის ნორჩი პიანისტების კონკურსის ლაურეატი (I პრემია), საქტელერადიოს სპეციალური პრიზი.

1995 წლიდან მუშაობს მუსიკისა და სახვითი ხელოვნების ვენის უნივერსიტეტში (ავსტრია) კონცერტმეისტერად და მასწავლებლად. მიიღო „იუნისეფის" პრესტიჟული პრიზი ახალგაზრდა მუსიკოსთა და შემსრულებელთა ავსტრიის ნაციონალურ კონკურსში (1995). 1986 წლიდან გამოდის მთელ რიგ საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალებზე ცნობილ მევიოლინე დ. რომანოვა-შვარცბერგთან ერთად *(ავსტრია, საფრანგეთი, გერმანია, ხორვატია, იტალია, შვეიცარია, აშშ, პოლინეზია, ესპანეთი, ჰოლანდია, საქართველო და სხვ.)*

| ანცარიძე 33 |
|---|
| ქარელი – 15, |
| თბილისი – 10, |
| გორი – 7. |

**ანცარიძე**, რთულად ამოსახსნელი ფუძე გააჩნია. ვარაუდით ანცარი განვითარებული (მიღებული) უნდა იყოს სიტყვისაგან **ანცი**, **ცელქი და დაუდეგარი, მოუსვენარი** (ჩვეულებრივ ითქმის ბავშვზე). *ანცი ურმა. ცელქი (საბა. 57).*

| ანძაველიძე 58 |
|---|
| ბორჯომი – 16, |
| გორი – 15, |
| ახალციხე – 11. |

**ანძაველიძე**, გვარი თავისი ფორმით (აგებულებით) ტოპონიმური წარმომავლობის იერს ტოვებს. ანძაველიძე არსებულა აგრეთვე მამაკაცის საკუთარი სახელი **ანძაველი** *(ალ. ღლ. 73).*

**ანჯაფარია//ანჯაფარიძე,** *ანჯაფარიძე.* უფრო ადრეულია ანჯაფარია. ნაწარმოები ჩანს საკუთარი სახელისგან **ანჯაფარ.** *ანჯაფარიაში ნოდოხორუ (ნასახლარი) კიწია-აბედათი (მარტვილის რ-ნი), ნაანჯალურუახუთი (ჩხორ. რ-ნი) აქ ანჯაფარიები სახლებულან. დღეს ეკლესიაც არის. XIX საუკუნის ბაზილიკური ტიპის ნაგებობა (გ. ელიავა. ჩხორ. ტ. 47).* მეორენაირი ახსნით, ნიკოლოზ ჯომიდავას მიაჩნია, რომ **ანჯაფარია ჯაფარიძეთა** გვარის **კოლხური** ვარიანტია (*აჯაფარ. ნ განვითარებული ჩანს*). ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ფუძეს **ჯაფარ** დასავლეთ საქართველოში დაერთო პრეფიქსად ან და მიღებული იქნა **ან+ჯაფარ. ანჯაფარია-ანჯაფარიძეები** რაჭიდან გადმოსულებად ითვლებიან.

იგივე რაჭველი **ჯაფარიძეების** განაყოფები არიან სვანი ჯაფარიძეები. გადმოცემის მიხედვით, რაჭველ ჯაფარიძის მეუღლეს **ჩართოლანს** ბავშვი არ რჩებოდა. სვანეთიდან ორი ბებია ქალი ჩამოსულა და პატარძალს მოუმშობიარებია. ტყუპი ვაჟიშვილი გასჩენია. ბებიებმა დამალეს ბავშვები, პატრონებს უთხრეს, დაიღუპნენო, სინამდვილეში კი გუდებში ჩასვეს და სვანეთში წაიყვანეს. იქ ისინი გაიზარდნენ, ჯაფარიძის გვარით გამრავლდნენ. შედეგად შემოგვრჩა გვარი **ჯაფარიძე** (სვანი ჯაფარიძეები) და ხუმრობით ნათქვამი „*წადი, შე გუდით ჩამოყვანილოო*“.

ლევან II დადიანის კარზე ვეზირად იყო **პაპუნა ანჯაფარიძე.** იგი დაატიმრა მთავარმა, რადგან მას ინტიმური კავშირი ჰქონდა მის პირველ მეუღლესთან. **ლამბერტი** დატყვევებული ვეზირის შესახებ გვატყობინებს, რომ „*იგი ძლიერ პატივცემული იყო მთელ ოდიშში და ქვეშევრდომებს დიდად უყვარდათ.*“ ამიტომაც იყო, რომ თუ საკუთარ ცოლს ლევანმა ცხვირი მოჭრა და ისე გაისტუმრა აფხაზეთში, ვეზირს ამგვარი რამ ჯერჯერობით ვერ შეჰბედა, რათა „შინაური ომი არ გამოეწვია.“

ლევან დადიანს თავის სამთავროში დიდი ოპოზიცია გაუჩნდა. გიორგი ლიპარტელიანი მამია დადიანისშვილი იყო და მისი მიმდგომი ხალხი არ აპატიებდნენ ლევანს მის შეურაცხყოფას. შეთქმულებაში მონაწილეობდა სეტემან შარვაშიძე, იმერეთის მეფე გიორგი III, სიმონ გურიელი, ლევანის ძე, რომელსაც სულაც არ ეპიტნავებოდა ოდიშის მთავრის მეტისმეტი გაძლიერება. პაპუნა ანჯაფარიძეს სიმონისთვის ჩაუგონებია, რომ „*დადიანი ისე თავდაუჭერელი შეიქმნა, რომ ვიდრე ის მთავრად დარჩება, მის სამთავროში მშვიდობა არ ჩამოვარდება. პირიქით, მისი დაუცხრომელი ხასიათის მიზეზით მომიჯნავე მთავრებს ხშირად თავს დაეცემა და დაზიანებსო.*“ შეთქმულებმა ლევანი ვერ მოკლეს. ჭრილობა რომ მოიშუშა, შეთქმულები დასაჯა. პაპუნა ანჯაფარიძე სიკვდილით დაისაჯა.

ქართულ ენციკლოპედიაში შეტანილი არიან:



ანჯაფარიძე ვერიკო (ვერა) ივლიანეს ასული (დ. 23.09(6.10) 1900 ქუთაისი), მსახიობი, სსრკ სახალხო არტისტი (1950). საშუალო განათლება მიიღო ქუთაისში. სწავლობდა მოსკოვში ს. ალადოვის (1916–17) და თბილისში გ. ჯაბადარის (1918–20) დრამატულ სტუდიებში. 1920–1926 წ.წ. რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობია. 1926–28 წ.წ. მუშაობდა ბათუმისა და თბილისის მუშათა თეატრებში. 1928–32 წ.წ. – ქუთაისის სახელმწიფო თეატრში კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით. 1932–33 წლების სეზონი ანჯაფარიძემ მოსკოვის რეალისტურ თეატრში გაატარა. 1933 წლიდან მარჯანიშვილის სახელობის თეატრშია (1957–59 წლებში თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი). ანჯაფარიძე ქართული თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელია. მის მიერ შექმნილ ტრაგიკულ და დრამატულ სახეებს ახასიათებს მაღალი პოეტიკურობა, უშუალობა, ლირიზმი, სცენური ნახატის სინატიფე და სიფაქიზე. ანჯაფარიძის აქტიორულმა ოსტატობამ და მაღალმა კულტურამ ხელი შეუწყო თანამედროვე ქართული თეატრის რეალისტური და რომანტიკული ტრადიციების განვითარებას. ანჯაფარიძის საუკეთესო როლებია: ლიზა (შიუკაშვილის „სიყვარული"), ოფელია (შექსპირის „ჰამლეტი"), იუდითი (გუცკოვის „ურიელ აკოსტა"), დეზდემონა (შექსპირის „ოტელო"), გინატრე (დადიანი ნინოშვილის გურია"), მარგარიტა (დიუმას „მარგარიტა გოტიე"), ლარისა (ოსტროვსკის „უმზითვო"), ჯავარა (ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი"), მაყვალა (კასრაძის „მოძღვარი"), კლეოპატრა (შექსპირის „ანტონიოსი და კლეოპატრა"), შეშლილი ბინე (აფხაზის „ლეგენდა სიყვარულზე"), მარია სტიუარტი (შილერის „მარია სტიუარტი"), ბებია (პასონას „ხვები ზუზუნად კვდებიან"), მედეა (ევრიპიდეს „მედეა"), დედა (ჩაპეკის „დედა"), ზეინაბი (სუმბათაშვილის „ღალატი"). ანჯაფარიძის შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია სიმამდვილის ამსახველი დრამატული ნაწარმოებების გმირთა სახეებს – ცაბუ (დადიანის „ნაპერწკლიდან"), ანზე (ვაკელის „შური"), დარეჯანი (გაბესკირიას „მათი ამბავი"), დარეჯანი (მოსაშვილის „მისი ვარსკვლავი", სახელმწიფო პრემია, 1952) და სხვ. 1923 წლიდან ანჯაფარიძე მონაწილეობს კინოფილმებში – ფრანგი ქალი („კომუნარის ჩიბუხი", 1928), მარო („საბა", 1929), კნეინა ბარათაშვილისა („არსენა", 1937), რუსუდანი („გიორგი სააკაძე", *I სერია, 1941, სახელმწიფო პრემია, 1943; II – 1942, სახელმწიფო პრემია, 1946*), ჰანსის დედა („ბერლინის დაცემა", *II სერია, 1949*), ოთარაანთ ქვრივი („ოთარაანთ ქვრივი", *1957*), ქეთო („რაც გინახავს, ველარ ნახავ", *1965*) და სხვ. 1974 წლის მიენიჭა კ. მარჯანიშვილის სახელობის პრემია.



ანჯაფარიძე ზურაბ ივანეს ძე (დ. 12.04.1928 ქუთაისი), მომღერალი, (დრამ. ტენორი); სსრკ სახალხო არტისტი (1966), ზ. ფალიაშვილის პრემიის ლაურეატი (1971). დაამთავრა ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (პროფ. დ. ანდღულაძის კლასი, 1952). 1952–59 წ.წ. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის, 1959–70 წ.წ. – სსრკ დიდი თეატრის სოლისტია. 1970 წლიდან კვლავ თბილისის ოპერისა და ბალეტის

თეატრს უბრუნდება. სასიამოვნო ტემბრის ხმა, უშუალობა, არტისტიზმი, ეროვნული ინტონაციის უტყუარი გრძნობა. ანჯაფარიძეს ქართული ვოკალური სკოლის ტრადიციების საუკეთესო გამგრძელებელთა რიგებში აყენებს. პარტიები: აბესალომი, მალხაზი, რატი (ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი", „დაისი", „ლატავრა"), მინდია (თაქთაქიშვილის „მინდია"), ბაში-აჩუკი (კერესელიძის „ბაში-აჩუკი"), პუშკინი და ერისთავი (თორაძის „ჩრდილოეთის პატარძალი"), არსენა (ბუკიას „არსენა"), გერმანი, ვოდემონი (ჩაიკოვსკის „პიკის ქალი", „იოლანტა"), ოტრეპიევი (მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი"), ხოზე (ბიზეს „კარმენი"), რადამესი, დონ-კარლოსი, ჰერცოგი (ვერდის „აიდა", „დონ-კარლოსი", „რიგოლეტო"), კავარადოსი (პუჩინის „ტოსკა"), ფაუსტი (გუნოს „ფაუსტი") და სხვ. ანჯაფარიძეს უმღერია საბჭოთა კავშირისა და სხვა სახელოვნებო თეატრის სცენაზე და საზღვარგარეთაც (რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი, კანადა, საბერძნეთი, საფრანგეთი, იტალია და სხვ.). გაახმოვანა გერმანისა და ვოდემონის პარტიები კინოფილმებში „პიკის ქალი" და „იოლანტა."

**ანჯაფარიძე თეიმურაზ,** როგორც წესი, ნეკროლოგს მხოლოდ დიდი თანამდებობის ადამიანებზე, საყოველთაოდ ცნობილ პიროვნებებზე, პოლიტიკურ ან სახელმწიფო მოღვაწეებზე წერენ.

ბატონი თეიმურაზ ანჯაფარიძე ამ რანგის პიროვნება არ ყოფილა.

სამაგიეროდ, ის იყო კაცი, როგორიც უნდა იყოს ყოველი თბილისელი, ყოველი ქართველი, ყოველი მოქალაქე – თავისი პროფესიის ბრწყინვალე მცოდნე, ყველას მოსიყვარულე ადამიანი, რომელიც ყველას, ყველას უყვარდა, რომელსაც ყველა პატივს სცემდა და რომელთან ურთიერთობასაც ყველა ცდილობდა.

იგი იყო ჭეშმარიტი ქართველი ინტელიგენტი!

იყო უბრწყინვალესი მედიკოსის ლევან ანჯაფარიძისა და გოცირიძეთა გვარის დიდების დიდებული ძე, დიდი ვერიკო ანჯაფარიძის ძმისშვილი, მრავალ შესანიშნავ ქართველთა ნათესავი, ახლობელი და მეგობარი და ყველა ამათი გონიერება, მაღალი კულტურა, ქართველობა თავმოყრილი იყო ბატონ თეიმურაზში.

მრავალი წლის მანძილზე იგი ერთობ საპასუხისმგებლო თანამდებობაზეც იმყოფებოდა, მაგრამ მისთვის ეს მთავარი არასოდეს ყოფილა.

ვინმეს უნახავს ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, რომელიც მასთან კერძოდ მისულ ავადმყოფს გასამრჯელოს არართმევდეს?

ასეთი იყო ეს თავმდაბალი, მუდამ ტკბილად მოუბარი და მუდამ მომღიმარი ადამიანი.

გვინდა ვუსურვოთ მის შვილებსა და შვილიშვილებს, ყველა ქართველის შთამომავალს, რომ იყვნენ იმ თვისებების მატარებელნი, რაც ჰქონდა ბატონ თეიმურაზ ანჯაფარიძეს.

**ანჯაფარიძე ლევან ივლიანეს ძე** (10 (23).11. 1902, ქუთაისი – 21.08.1972,

თბილისი), თერაპევტი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი (1938), დოცენტი (1941), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1964).

ჰემატოლოგიის ფუძემდებელი და ენდოკრინოლოგიური კლინიკის ერთ-ერთი ორგანიზატორი საქართველოში. 1926 წელს დაამთავრა თსუ-ს სამკურნალო ფაკულტეტი. 1939–1949 წ.წ. იყო თბილისის გ. მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კლინიკური განყოფილების გამგე. 1954-68 წ.წ.

ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის თერაპიის II კათედრის გამგე. ჰემატოლოგთა საერთაშორისო საზოგადოების წევრი (1958 წ.). 1963–1970 წ.წ.

თბილისის თერაპევტთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე.

**ანჯაფარიძე ოთარ გიორგის ძე** (1920). ვირუსოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი 1964), პროფესორი (1967), სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1971). 1943 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. 1943-46 წლებში იყო ბათუმის სანეპიდსადგურის მთავარი ექიმი.

1946 წლიდან მუშაობს მოსკოვის სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. 1963-65 წლებში სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტროს ბაქტერიული და ვირუსული პრეპარატების წარმოების მთავარი სამმართველოს უფროსია. 1958-63 და 1965 წლიდან განაგებს მოსკოვის ვირუსული პრეპარატების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს. ამ ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელია. შეისწავლის ვირუსის საწინააღმდეგო იმუნიტეტს და პოლიომიელიტის, ცოფის, ენცეფალიტის, წითელას, ყვავილისა და სხვ. ინფექციურ დაავადებათა საწინააღმდეგო ვაქცინების წარმოების მეცნიერულ საფუძვლებს; იკვლევს ვირუსული ინფექციის ქრონიკული ფორმების ჩამოყალიბების უჯრედოვან მექანიზმს, ადამიანის ლეიკოზისვირუსულ ეტიოლოგიას და კანცეროგენეზის მექანიზმს. ო. ანჯაფარიძე იყო სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტრს ვაქცინებისა და შრატების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, უჯრედთა კულტურების საერთაშორისო კომიტეტის წევრი და საერთაშორისო ჟურნალის თანარედაქტორი *(ქსე. ტ. I. გვ. 505).*



**ანჯაფარიძე ეთერ ზურაბის ასული,** პიანისტი, საქართველოს სახალხო არტისტი, დოცენტი. დაიბადა თბილისში 1956 წ. 15 სექტემბერს. მშობლები: **ივეტა ბახტაძე, ზურაბ ანჯაფარიძე.** დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორია (1979), ასპირანტურა (1981). მუშაობდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში სპეციალური ფორტეპიანოს კათედრის პედაგოგად (1981–1991). არის ნიუ-იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკალური კონსერვატორიის პედაგოგი (1992 წლიდან). საშემსრულებლო მოღვაწეობა დაიწყო 1971

წლიდან. არის ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა, ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო მონრეალის (კანადა) საერთაშორისო (გრან-პრი) კონკურსების ლაურეატი. ხალხთა მეგობრობის ორდენის კავალერი. მისი ბიოგრაფია შეტანილია შემდეგ (კრებულში: „თანამედროვე პიანისტები" (1977, 1985, მოსკოვი), ტაიმი სატო „რუსი პიანისტები" (ტოკიო).

**ანჯაფარიძე ზაალ, ოტოლარინგოლოგი,** მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ქალაქის №1 კლინიკური საავადმყოფოს ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა კლინიკის ექიმი. დაიბადა 1958 წ. 1 ნოემბერს თბილისში. სწავლა დაიწყო სტავროპოლის მედინსტიტუტში (1975-76), ხოლო დაამთავრა თსსი (1976-81). მუშაობდა თსსი-ს ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა კათედრაზე კლინიკურ ორდინატორად (1981-83), სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში (1984-87). სწავლობდა მოსკოვში, სამედიცინო აკადემიის ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა კლინიკის ასპირანტურაში (1988-92), რომლის დამთავრების შემდეგ მიიღო ექიმ-მკვლევარის წოდება. 1992 წ. 22 მაისს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: *„მიკროენდოსკოპიის როლი ზედა სასუნთქი გზების დაავადებათა დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში"*. ავტორია 14 სამეცნიერო ნაშრომისა, რომლებიც ეხება ახალი სადიაგნოსტიკო საშუალებების გამოყენებას ოტოლარინგოლოგიაში, მათ შედარებით ეფექტიანობას, აგრეთვე, ოტოლარინგოლოგიაში დიაგნოსტიკის მათემატიკური მოდელირების მეთოდის დანერგვას, განსაკუთრებით ზედა სასუნთქი გზების დაავადებათა დიაგნოსტიკაში. მიღებული აქვს რაციონალიზატორული წინადადების სერტიფიკატი, ევსტაქისლულის პათოლოგიის დიაგნოსტიკის გაუმჯობესების, ენდოსკოპიური აპარატურის გამოყენება. არის აკადემიკოს ე. ფიფიას სახელობის სამედიცინო ინსტიტუტის ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა კურსის წამყვანი ასისტენტი. იყო რუსეთის ფედერაციის პულმონოლოგთა კავშირის (ენდოსკოპიის სექციის) წევრი (1990-93). 1991 წლის 25 ნოემბერს მოსკოვის სამედიცინო აკადემიის საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭა ექიმ-მკვლევარის წოდება. არის არასამთავრობო ორგანიზაციის „სიტყვის თავისუფლების და სამართლიანობის ფორუმის" დამფუძნებელი.

**ანჯაფარიძე ქეთევან,** ექიმ-ნეფროლოგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, რცკ-ს ნეფროლოგიური განყოფილების გამგე, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი ნეფროლოგი. დაიბადა 1922 წ. 9 ნოემბერს სოფ. ბანძაში (მარტვილის რაიონი). დაამთავრა თსსი, სამკურნალო ფაკულტეტი (1944-49). იყო სოხუმის ჯანმრთელობის განყოფილების მთავარი ეპიდემიოლოგი (1949-50), აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტროს IV სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის მთავარი ექიმი (1951-60), რცკ-ს ექიმი ორდინატორი-თერაპევტი (1960-73). 1973 წლიდან რცკ-ს ნეფროლოგიური განყოფილების გამგე და საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი ნეფროლოგია. 1974 წლის 5 თებერვალს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია მოსკოვში: *„ქრონიკული პიელონე-*

*ფრონტის მკურნალობა „ფრონტ საჩინეზე“.* ავტორია 38 სამეცნიერო-პრაქტიკული შრომისა ნევროლოგიის აქტუალურ საკითხებზე. დაჯილდოებულია მედლით „კავკასიის დაცვისათვის“ (1945), არის „ჯანდაცვის ფრიადოსანი“ და ღირსების ორდენის კავალერი (1987).

**ანჯაფარიძე ქეთი,** ექიმი-პედიატრი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. დაიბადა 1936 წლის 28 მაისს თბილისში. დაამთავრა თსსი 1953–59). იყო თსსი-ს ბავშვთა სნეულებათა კათედრის უფროსი ლაბორანტი (1962–64), ამავე კათედრის ასისტენტი (1962–86). 1986 წლიდან აღნიშნული კათედრის დოცენტია. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: *„ჩვილ ბავშვთა პნევმონიების კლინიკურ-მორფოლოგიური თავისებურებები“* (1971). ავტორია 17 სამეცნიერო ნაშრომისა პედიატრიის საკითხებზე.

**აპზღარიშვილი//აპზაღარიშვილი** მოიხსენიება 1417 წელს. მისი შტოგვარია **პაპიასშვილი.** შდრ.: **აპზღარიშვილ-პაპიასშვილი გიორგი – ჰყავს შვილი სათხოპ.** ალექსანდრე მეფემ მიჰყიდა მას აპზაღარიშვილთაგან ადრევე ნაყიდი და შემდგომში ნაძალადევად წართმეული ყინწვისის მონასტერი, ბებურეთუბანი, გორგაული, ხოლოური, მარიამული მიწები *(1417 წ. XIII 1450–26/110);*

**აპრილაშვილი//აპრელაშვილი აპრილაშვილი.** შდრ: *იანვარაშვილი, მარტაშვილი (–მარტიაშვილი).*

| | |
|---|---|
| **აპრილაშვილი 44** | |
| **თბილისი – 15,** | |
| **ახმეტა – 11,** | |
| **თიანეთი – 5.** | |

**აპრელაშვილი არაქელა** – სამწყრელი, მასთან ერთად ალიხანა ესუფაშვილმა, ბერის და ბერუა ქურციკაშვილებმა, მამასახლისმა იაგანამ, ხუცესმა ტერ-აკოფამ, ასნაორაშვილმა დავითმა, ყარახანა ხურკაშვილმა, ყაზარა ზუკულაშვილმა, შანარა ხოციკაშვილმა, არაქელა მარქარაშვილმა დაკაკზოამ პაპია შანშიაშვილს მიჰყიდეს თავიანთი ვენახები (1663 წ. V.5. 1450–10/9ა).

**აპრილაშვილი ფოცხვერა** – ბარაყუნში მცხოვრები, ნიკოლოზ კათალიკოზმა იგი, მამულითურთ, უწყალობა გულეან ელიოზისშვილს *(1588 წ. შდ–2526).*

**აპრიპა** – მექვაბე, მოწმე მიიარას მიერ ალავერანა საფარაშვილისათვის მიცემული მამულისნასყიდობის წიგნისა *(1671 წ. 1448–3615).*

| | |
|---|---|
| **აჟიბა 105** | |
| **ბათუმი – 53,** | |
| **გარდაბანი – 1,** | |
| **ზუგდიდი – 1.** | |

**აჟიბაია,** ორმაგსუფიქსიანი გვარსახელია. ძირია **აჟი,** სუფიქსები **ბა** და სუფიქსი **-ია.** გ. როგავა აფხაზურ „აჟვეიპშას“ მონადირეობის ღმერთს ან აფხაზურ „აჟირას,“ მჭედლობის ღმერთის კულტს უკავშირებს (იხ. გ. როგავა, საქ. გეოგრ. ისტ., გვ. 13). **აჟიბაია** მოიხსენიება 1844 წლის ბარმიშის თემის დასახლება აფიცხუში.

| | |
|---|---|
| **არაბაშვილი 400** | |
| **გორი – 220,** | |
| **თბილისი – 62,** | |
| **თელავი – 35.** | |

**არაბაშვილი.** შდრ. მამაკაცის საკუთარი სახელი **არაბა** (შდრ. **არაბიძე**).

**არაბაშვილი პაატა** – ქრცხილეანს მცხოვრები, რატი და გიორგი [მაჩაბლების] ნაქონი ყმა-გლეხი. გიორგი მეფემ იგი უწყალობა ალხაზ მაჩაბელს *(1678 წ. 1448–521).*

**არაბიძე 2080**
**ზესტაფონი – 544,**
**თერჯოლა – 485,**
**თბილისი – 276.**

**არაბაქე//არაბიძე, არაბიძე** ერთ-ერთი უძველესი გვარია, რომლის ადრინდელი ფორმაა არაბაქე. მათ უცხოვრიათ რაჭის სოფელ ქედში. აქ შემორჩენილია ნასახლარების ნაშთები და სხვა ძეგლები *(იხ. მოსიყრაძეები).*

**არაბა** მამაკაცის საკუთარი სახელია. შდრ.: **არაბა** ხევსურეთში (–არაბული). **არაბ** *(ალ. ღლ. სახელ.).* **არაბა** *(ზარზმის ტაძრის წარწერაში),* შდრ. აგრეთვე **არაბაშვილი.**

**არაბიძე** – ქედში მცხოვრები, ერისთავმა მირიან ქართლისძემ იგი, მამულითურთ, უწყალობა თავის აზნაურს – გიორგი შერაზანიშვილს *(XV–XVI სს. ქძ. № 1024).*

**არაბიძე** – ჭალას მცხოვრები, ალექსანდრე მეფემ იგი შესწირა გელათის მონასტერს *(1484–1510 წ.წ. 1449–1585).*

**არაბიძე ბედია** – მისგან უყიდია მამული რამინა ჭიგრიძეს ჭალაში *(XV ს-ის I მეოთხ. შდ–1552 იზ).*

**არაბიძე ბედინა** – შვილი მამიზბედა არაბიძისა;

**არაბიძე გიორგი** – შვილი მამიზბედა არაბიძისა.

**არაბიძე მამიზბედა** – ჰყავს შვილები: ბედინა, გიორგი. მიჰყიდა მჩხიკვეთის ფესას მიწა იობ ფადლაძეს *(XVI ს-ის I მეოთხ. შდ–1552 კ).*

**არაბიძე მინდობაი** – ქალაქელი ხელოვანი, მოწმე პირობის წიგნისა ბეგარის მოუშლელობის შესახებ *(1505–1519 წ.წ. 1449-1670. პალ. I. გვ. 161).*

**არაბიძე ვასილ ვალერიანის ძე,** კინომხატვრობა, ფერწერა, დაზგური გრაფიკა, წიგნის გაფორმება და ილუსტრაცია. დ. 10.01.1932, ზესტაფონი. მშობლები: თინა გედევანიშვილი, ვალერიან არაბიძე. მეუღლე – მერი გოგიშვილი. შვილები: მაია, გიორგი. სწავლობდა თსსა დაზგური ფერწერის ფაკულტეტზე (1953–56). პედაგოგები: შ. მამალაძე, გ. ჯაში, კ. სანაძე, ე. შუხაევი. სადიპლომო ნამუშევრების სერია „იმერეთის გზებზე“ – „შემოაღამდათ“, „ბაზრისკენ“ (ხელმძღვანელი კ. სანაძე). გამოფენებში მონაწილეობს 1959 წლიდან. საქართველოს მხატვართა კავშირის წევრია 1968 წლიდან, კინემატოგრაფისტთა კავშირისა – 1970 წლიდან. ძირითადი ნამუშევრები: „იმერული ნატურმორტი“ (1962), „ტლუ ბიჭები“ (1964), „ს. წინარეხი“ (1964), „ნახირის დაბრუნება“ (1964), „იმერელი მექისახეები“ (1968), „პატარა სოფელი“ (1982), „სოფ. აჭარაში“ (1972), „ქ. სიღნაღი“ (1990). გააფორმა კინოფილმები: „კარდაკარ“ (1960), „არდადეგები“ (1962), „ვარსკვლავთცვენა“ (1963), „მიხა“, „მაცი ხვიტია“, „დილის ნისლი“, „კიკვიძე“. გამოფენები: საიუბილეო *(თბ. სახ. გალერეა, 1980).* მისი ნამუშევრები დაცულია თსსა, სეგ, კ/ს „ქართული ფილმის“ არქივში. 1979 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება. დაჯილდოებულია სპეციალური პრიზით კ/ფ „მაცი ხვიტიას“ მხატვრობისათვის. 1996 წელს გახდა კინოფესტივალ „ოქროს არწივის“ ლაურეატი. 1961–95 წლებში მუშაობდა კინოს–

ტუდია „ქართულ ფილმში“ დამდგმელ მხატვრად. მისი ბიოგრაფია შეტანილია ლექსიკონში. 308 სულზე მეტი არაბაშვილი ჩაწერილია არაბოვად, დროა, აღადგინონ ძამაპაპური გვარი *(ი.ა.)*

**არაბული,** არაბულები ხევსურების ტომს ეკუთვნიან და შუასაუკუნეებიდან დღევანდლამდე ამ ტომის ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარია. 1995 წელს აღწერების გაცემის დროს აღირიცხულია 2903 სული.

გვარი არაბული კაცის სახელ **არაბასგან** მოდის. გადმოცემით ასე რქმევია ხევსურეთის სოფელ გუდანის მოსახლის ერთ-ერთ შვილს. მის ჩამომავლებს ეწოდებოდათ: **არაბაური–არაბაული–არაბული.** მათ ადრე უცხოვრიათ ხევსურეთის არაგვის სათავეებთან – ზეისტყემის, წინხადუს, ბაცალიგოს და სხვა სოფლებში. ამ გვარის უძველეს განაყოფებად ითვლებიან: **რკინა, ბიჩინაგა, ჩუჩაყი და გელ-გუჯა,** რომელთა მოდგმამ ცალ-ცალკე ქვეგვარი (ფრატრია) წარმოშვა. ამ გზით ჩამოყალიბდა ქვეგვარები: **რკინაული, ბიჩინაგური, გელგუჯაური, ხოშურაული;** ჩუჩაყაურებში – **ფიცხელაური, ბუღნაური, თინიბექაური.** ისინი ახალ-ახალ ადგილებს იკავებდნენ ჯერ ხევსურეთის არაგვის ხეობაში, შემდეგ კი (XVI–XVIII ს.ს.) – ხევის, გუდამაყრის, ერწო-თიანეთისა და ახმეტის ტერიტორიებზე. XIX–XX საუკუნეებში დასახლდნენ აგრეთვე საგარეჯოს, თელავისა და დედოფლისწყაროს რაიონებში.

ქვეგვარებში (ფრატრიებში) წარმოიშვა ცალკეული სახლიდან (ცეცხლიდან) განაყოფი ოჯახთა ჯგუფები, რომელთაც ხევსურები „**სახლიკაცებს**“ ან „**მამიშვილობას**“ უწოდებენ. ეს „მამიშვილობები“ ტერიტორიული სიშორის მიუხედავად მაინც ინარჩუნებდნენ ერთმანეთთან სისხლისმიერ ნათესაობას და **საგვარო თემს** ქმნიდნენ.

არაბულების მთავარი ღვთაებები იყო **პირქუში** *(სოფ. ბაცალიგოს)* და **სახმთო** *(ზეისტყემისა და გუდანში),* რომელთაც შემდეგ შეუერთდა ან ჩაენაცვლა ქრისტიანული: **წმიდა სამების, ღვთისმშობლის, მთავარანგელოზის, წმიდა გიორგისა** და სხვა კულტები.

არაბულების ხევსურეთის გარეთ განსახლების შემდეგ მათგან წარმოიშვა ახალი გვარები: **ფიცხელაური** *(გუდამაყარში, ხევში, კახეთში).* **ფიცხელაურების** ჩამომავლებმა მიიღეს ახალი გვარები: **ფაშურიშვილი, ბერიკაშვილი** *(თიანეთში),* **ძამსაშვილი–ცამციშვილი** *(კახეთში, სოფ. ვაჩნაძიანი)* და სხვა. ძირად არაბულნი არიან: **თიანელი იარაჯული და რკინაული, დუშელი კარიაული და ხიტალიშვილი, წინაფშაველი გულმაგარაშვილი, არაგვისპირელი ბიჩინგაური და ახალაშვილი.**

არაბულთა ხმალი ტრიალებდა ბახტრიონის ციხესთან, ასპინძისა და კრწანისის ველებზე.

ღმერთისა და საქართველოსათვის და ბაგრატიონთა ტახტის ძლიერებისათვის, არაბულნი გამოდიოდნენ კახეთის სამეფო ლაშქრის სადროშოში, ალავერდელ

ეპისკოპოსთა დროშის ქვეშ.

აქამდე არაბულნი ცხოვრობენ ხევსურეთში, ხევში, ერწო-თიანეთში, ქვემო და შიდა ქართლში, გარე და შიგნით კახეთში, ქიზიყსა და შირაქში.

## არაბულთა სხვადასხვა შტო (ძვებვარი, ფრატრია)

**ხოშურაული**
*(სოფ. მისახო)*

**ელგუჯანი:**
ელგუჯაურნი
ბარისახეანი
ობოლანი
კაეკაეანი
*(სოფ. წინხადუ, ბარისახო, გველეთი)*

**რჯინაული:**
ხელიმოკლიანი
ფანცქალანი
თეკრონაულნი
არაბანი
გახნუანი
მანგიანი
ატაბურანი
ქასანი
ცისკარანი
ეაუუანი
კოხიონი
*(სოფ. ზეისტეჩო, ხიტალე, ორბეულთა, ხადუ, ჩირდილი)*

**ბიჩინაბური:**
ციხელაურნი
შეიდხინკალანი
მარაისძენი
ადიონანი
მანგიურანი
თოხოლჩანიხიდიანი
ბერაიშვილნი
თოთელნი
ბაბალანი
თილილანი
გაბიელანი
დეეანი
ბახურანი
*(სოფ. დათვისი, ჯუთა, ართხმო)*

**ჩუჩაყაური:**
ფიცხელაური
ფაშურნი
ღერენიკანი
ბაგრატანი
მილხანი
კოტორანი
ხარანი
საბუდარანი
ალუდიკანი

ნახშირაულნი
კოკოშანი
ურჯუკანი
ხონდანი
მარტიანი
*(სოფ. აყნელი, ოხერხევი, აჭეხა) ბაკურხევი, მაწმო)*

**ბუღნიაური:**
ფერსანი
გამრეკელანი
ხელანი
თათუანი
ომალიკანი
მგელიკანი
*(სოფ. ბაცალიგო ჩხუბა)*

**თინიბეძაური**
ალდიანი
შიშნიანი
აშიკანი
*(სოფ. ბაცალიგო)*

## არაბულიდან წარმომდგარი გვარები:

**ახალაშვილი**
170
დუშეთი,
თბილისი,
მცხეთა

**ბერიაშვილი**
437
თიანეთი,
გურჯაანი

**ბიჩნიგაური**
146
დუშეთი,
თბილისი,
გარდაბანი

**ვეშაგური**
607
დუშეთი,
თბილისი,
მცხეთა

**იარაჯული**
590
თიანეთი,
თბილისი,
ახმეტა

**კარიაული**
452
დუშეთი,
თბილისი,
მცხეთა;

**ფაშურიშვილი**
121
თიანეთი,
თბილისი,
ახმეტა

**ციცხელაური**
1721
თბილისი,
თელავი,
ყაზბეგი

**ძამსაშვილი-ცამციშვილი** 171
გურჯაანი,
თბილისი,
თელავი

**ხიტალიშვილი**
53
თბილისი,
დუშეთი,
მცხეთა.



**არაბულების გერბი**

**არაბულებს არაერთი გამოჩენილი პიროვნება ჰყავდათ და ჰყავთ. მათ შორის არიან:**

**არაბული ხირჩლა (ბაბურაული).** ხირჩლა მე-17 საუკუნის I ნახევრის ცნობილი სახალხო გმირია. მან კაი ყმის სახელი პირადი ბრძოლებით მოიპოვა. ხირჩლა დაბადებულია ხევსურეთის არაგვის სათავესთან მდებარე სოფელ ზაისტეროში. იგი არაბულების ერთ-ერთი ქვეგვარის - **რკინაულების** წარმომადგენელი იყო, ხალხის მეხსიერებას კი **ბაბურაულის** ზედწოდებით შემორჩა, რაც **ბაბურას** ძეს ნიშნავს და მამის ან პაპის სახელიდან (**ბაბურა**-საგან) უნდა მოდიოდეს.

ჭაბუკობის ასაკში ხირჩლა სოფელ ბაცალიგოში დამკვიდრდა საცხოვრებლად და იქიდან გაიჭრებოდა ხოლმე თავის ლურჯა ცხენით ხან ჩრდილოეთისაკენ, სადაც ქისტ და ღილღველ მეკობრეებს უნდა დახვედროდა, ხან სამხრეთისა თუ დასავლეთისაკენ, საიდანაც არაგვის ერისთავები პერიოდულ ლაშქრობებს აწყობდნენ ფშავ-ხევსურეთის დასაპყრობად და დასაბეგრად. ხირჩლას ორი ძმა ჰყავდა - **ფუნჩია** და **გოგოთური**, რომლებიც ყოველთვის გვერდით ედგნენ სახელოვან ძმას. ზეპირ გადმოცემებში ხირჩლას ცხოვრების მრავალი ეპიზოდი ფრაგმენტულად ჩანს, ზოგიერთი კი უფრო სრულად და ნათლად იკვეთება. ერთხელ ქისტების ლაშქარს ხევსურეთის რამდენიმე სოფელი დაურბევია და საძლის გადასასხლელით ხევისკენ წასულა. ხირჩლას ეს რომ გაუგია, მცირე რაზმით დასდევნებია, სოფ. ჯუთასთან დასწევია და დიდი ზიანი მიუყენებია მტრისთვის. ხირჩლა შეუპოვრად ებრძოდა ზურაბ ერისთავსა და მის ერთგულ ყმას, ხევის მოურავს **შიოლა ღუდუშაურს**. შიოლას ბრალი მიუძღოდა იმ სამოცი ხევსური მეომრის დაღუპვაში, **ზურაბ ერისთავმა** ღალატით რომ დახოცა თურსოს ხეობაში. ამის გამო ხირჩლა რამდენჯერმე დაეცა ღუდუშაურის სოფელს, ერთხელაც პირისპირ შეებრძოლა შიოლას და ხმლით დაჭრა იგი. ხირჩლამ დიდად ისახელა თავი ზურაბ ერისთავის ლაშქართან ბრძოლაში, როდესაც ხევსურეთის სხვადასხვა თემებმა და გვარებმა გაერთიანებული ძალით საბოლოოდ დაამარცხეს და განდევნეს თავიანთი მიწა-წყლიდან ყმითა და სისხლით გაუმაძღარი ერისთავი. ხირჩლა ბაბურაულის ერთ-ერთი დამსახურება ის იყო, რომ მან აღკვეთა ჩრდილოეთით მოსაზღვრე ტომების თარეში ხევსურეთში. პირიქით, თვითონ შეუტია ქისტებს და ისე შეაწუხა მითხოს თემის მცხოვრებნი, რომ მათ გუდანის ჯვარის საყმოსათვის ყოველწლიური ბეგარის გადახდა იკისრეს.

აღნიშნულ სამამაცო მოქმედებათა გამო ხევსურეთის მთავარ სალოცავში - **გუდანის ჯვარში** ხირჩლას საპატიო სკამი დაუდგეს და მისთვის პერსონალური ჯილდო - **„საკარგყმო"** დააწესეს: ახალწლის დღეობაში **დასტური** (ხატის მსე) ლუდით სავსე კასრს ხატის კარზე გამოიტანდა და სასმელს საგანგებო თასით ჩამოატარებდა, დამსწრენი ხირჩლას ვაჟკაცობას დალოცავდნენ

და სახოტბო სიმღერებს უძღვნიდნენ. ეს ტრადიცია მისი გარდაცვალების შემდეგაც, მეოცე საუკუნის დასაწყისამდე სრულდებოდა.

ხირჩლა ბაბურაულზე მრავალი ხალხური ლექსი და გადმოცემა არსებობდა, რომელიც მე-19 საუკუნის ბოლოს ჩაიწერეს **ვაჟა-ფშაველამ** და მისმა ძმებმა – **ბაჩანამ და თედომ**.

**არაბული ნადირა სალირის ძე (ხოშარაული).** ნადირა არაბული იმ ისტორიულ გმირთა შორის დგას, რომელთაც 1659 წელს კახეთის აჯანყებაში ისახელეს თავი და ქვეყანა დიდ განსაცდელს გადაარჩინეს. ამ ბრძოლაში კახთა და თუშთა გარდა მონაწილეობდა ქსნის და არაგვის ხეობებიდან შეკრებილი ჯარი. ვახუშტი ბაგრატიონი მოკლედ ასე გადმოგვცემს მთელ ეპოპეას: „ზაალ *ერისთავმან შემოიფიცა საქმისა თვისსა და ფშავ-ხევსურ-თუშნი, და ბიძინა სუფრაჯი და ერისთავი ქსნისა შალვა ძმით ელიზბარ. შეკრიბნა ესე ყოველნი, წარუძღუანა ძე თვისი და მოუხდინეს პირველად ბახტრიონს. მოსრნეს და მოსწყვიდნეს თათარნი. მერმე ალავერდს და შემდგომად ყოველსა კახეთსა შინა მოსწყვიდნეს... და განათავისუფლეს კახეთი*".

ხალხურ ლექსებსა და თქმულებებში ხევსურთა ლაშქრის მეთაურად დასახელებულია **ნადირა ხოშარაული**. მას ბახტრიონის ბრძოლის „ნასახლარ" გმირთა შორის იხსენიებს ვაჟა-ფშაველაც, თუმცა ოდნავ შეცვლილი გვარის („გუდანელთ *ჩამასახლისი ხოშარეული ხარია*"). ხოშარაულთა ქვეგვარი (ფრატრია) არაბულთა გვარის ერთ-ერთი უძველესი შტოა. ნადირას ძმის – გამახარდის შთამომავლები მე-20 ს-ის შუა წლებამდე ცხოვრობდნენ ბაცალიგოს თემის სოფელ მისახში. თვით ნადირას პირდაპირი მემკვიდრე არ დარჩენია.

ზეპირი გადმოცემების მიხედვით, ნადირამ შეკრიბა ხევსური მეომრები, ისინი ფშაველებთან ერთად ალაზნის ხეობაში გადავიდნენ და თუშების ლაშქარს შეუერთდნენ. აჯანყების ხელმძღვანელთა გეგმით, თუშ-ფშავ-ხევსურებს ბახტრიონის ციხის აღება დაევალათ, სადაც ირანელთა გარნიზონი იდგა. ხევსურები მეწინავეობის ანუ პირველი იერიშის უფლებას თხოულობდნენ. თუშთა მეთაური ზეზვა გაფრინდაული ამ სახიფათო, მაგრამ საშურველ პატივს არავის უთმობდა და ვერ შეთანხმდნენ. ამის გამო ბრძოლის წინა დღეს ნადირა ნაწყენი დაშორდა ზეზვას, თუმცა განზრახვაზე ხელი არ აუღია. შუაღამისას აყარა თავისი მეომრები და პირველი მიეჭრა ციხე-სიმაგრეში მდგომ მტერს. ამ თვითნებობის მიზეზით ხევსურებმა დიდი ზარალი განიცადეს, მაგრამ თუშები და ფშაველები დროულად მიეშველნენ და ბრძოლა მტრის სრული განადგურებით დასრულდა. თვით ნადირას ამ ბრძოლაში სამაგალითო მამაცობა გამოუჩენია, რისთვისაც ნადაელიდან ჯილდოდ საუკეთესო ხმალი და ახმეტაში მამულიც მიუღია. ხალხურ ლექსში ის იხსენიება, როგორც „*მამკლავი თათრის ხანისა, სათაოდ (საუფროსოდ) ამღე ხმლისა*". ერთი სიმღერის ფრაგმენტი კი მისი ცხოვრების ტრაგიკულ დასასრულზე მიგვანიშნებს:

*„სადირო შეილო ნადირავ, სიცოცხლით კარგუნახავო,*
*თავ-სოფლის მაჭყლევებულო, ბატონის შაუნახავო...“*

ერთენული საქმიანობის თავგამოდება მამაც მკვლელებმა ღირსეულად არავინ დაუფასა; თანამემამულენი თურმე, იმაზე ემდუროდნენ, რომ ხევსურები მან წაიყვანა საომრად, საიდანაც ბევრი მათგანი ველარ დაბრუნდა. კაი ყმა „ბატონ-მაც“ (მეფემ) არ ან ვერ „შეინახა“ და ერთხელაც კახეთს წასული ნადირა შინ აღარ დაბრუნებულა; სად და როგორ დაიღუპა, ვერავინ გაიგო.



**არაბული არსენა გიორგის ძე,** დაიბადა 1950 წლის 27 თებერვალს საგარეჯოს რაიონის სოფელ გომბორში. 1966 წელს დაამთავრა ამავე სოფლის საშუალო სკოლა. 1977 წელს დაამთავრა კიროვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მონადირეთმცოდნეობის ფაკულტეტი. 1974-77 წლებში, როგორც სტუდენტი-პრაქტიკანტი, ხოლო 1977-80 წლებში, როგორც მონადირეობის მცოდნე სპეციალისტი, მუშაობდა ამიერკავკასიის ტყეთმცოდნეობის საწარმოში. ამ პერიოდში მონაწილეობა მიიღო შემდეგი ობიექტების მოწყობის, ორგანიზაციის და განვითარების პროექტების შემუშავებაში: სახელმწიფო ნაკრძალები – ყაზბეგის, ლიახვის, ბიჭვინთა-მიუსერის, ყარაიაზის; სახელმწიფო სატყეო-სამონადირეო მეურნეობის – ყორული, იორი, ჭაჭუნა, გარდაბანი, კაცობური; – საქართველოს მონკავშირის სამონადირეო სათევზაო მეურნეობები – საირმე, დიდგორი, ალაზანი, ჭიაური, ქისისხევი.

1980-82 წლებში მუშაობდა ნაკრძალებსა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოში. 1982-97 წლებში მუშაობდა საქართველოს მონკავშირის პრეზიდიუმის ვიცე-პრეზიდენტად. უძღვებოდა სამონადირეო-სათევზაო მეურნეობის ორგანიზაციულ, ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ საკითხებს. 1985 წლიდან 1991 წლამდე უშუალოდ ხელმძღვანელობდა გარეულ ნადირ-ფრინველის და თევზის ხელოვნური საშენების შექმნისა და გაძლოლის ღონისძიებებს. აწარმოებდა სამონადირო, სათევზაო ტურიზმის მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურის შესწავლას.

1998-99 წლებში მონაწილეობა მიიღო ონის რაიონის სატყეო მეურნეობის განვითარების პროექტის შედგენაში, ხოლო 2000-01 წლებში – ამბროლაურის რაიონის სანადირო ცხოველების რესურსების შეფასებაში.

**არაბული გიორგი (გია)** დაიბადა 10.10.1960, თბილისში. მშობლები: ცისანა ცქიტიშვილი, ირაკლი არაბული. მეუღლე – **რუსუდან ბუჩუკური** (1960). შვილი – **თამუნა** (1985).

სწავლობდა თსსა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტზე (1979-84). პედაგოგები: *ი. ქოიავა, თ. ხუციშვილი, გ. ფირცხალავა.* სადიპლომო ნამუშევარი – *„იაკობ ცურტაველი. შუშანიკის წამება“,* ყდა, მინანქარი. გამოფენებში მონაწილეობს 1978 წლიდან. საქართველოს მხატვართა კავშირის წევრია 1997

წლიდან. ძირითადი ნამუშევრები: „მუქური ძმანი გურჯანელნი“ (1978), „შუშანიკის წამება“ (1979), „კომპოზიცია“ (1980), „კომპოზიცია“ (1982), „პორტრეტი“ (1983); „აბსტრაქცია“ (1984), „ქედები“ (1991), „ქალი პლაჟზე“ (1994), „ქალაქი ღამით“ (1995), “56“ (1996), „კომპოზიცია“ (1997. გამოფენები: ჯგუფური (თბ., 1990. „ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი“, 1982), ფრანკფურტი (1982), რესპუბლიკური (თბ., 1987, 1990), ბრიუსელი (1990), საშემოდგომო (ქბ., 1994), საგაზაფხულო (თბ., 1992).

მისი ნამუშევრები დაცულია იაპონიის, შვედეთის, ინგლისის კერძო კოლექციებში. მუშაობს არქიტექტურულ-დიზაინერულ ფირმა „საქრეკლამაში“ კომპიუტერული გრაფიკის სპეციალისტად. პედაგოგად – სოფელ არლუნის სკოლაში.

**არაბული მანანა,** 21.04.1967. რუსთავი. მშობლები: **თამარ არაბული, გოგლა არაბული**. სწავლობდა თსსა კერამიკის განყოფილებაზე (1982–87). პედაგოგები: ა. კაკაბაძე, გ. იაშვილი. სადიპლომო ნამუშევარი – „XX საუკუნის ვენერა“ *(ფაიფური, ხელმძღვანელი გ. იაშვილი).*

გამოფენებში მონაწილეობს 1987 წლიდან. ცხოვრობს და მუშაობს მოსკოვში (1993 წლიდან). არის ჟურნალი „არპერ მაგაზინ“-ის მხატვრული რედაქტორი.

**არაბული მანანა,** 6.02.1961. მშობლები: **ნინო არაბული, შალვა არაბული.** მეუღლე – **გელა რაზმაძე** (1960). შვილი – **ირაკლი** – 1980.

სწავლობდა თსსა გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტის კერამიკის განყოფილებაზე (1980–85). პედაგოგები ა. კაკაბაძე, რ. იაშვილი, მ. ჯალაღანია, ი. გაჩეჩილაძე, პ. ვაშაკიძე, რ. ცუხიშვილი, ნ. კიკნაძე.

სადიპლომო ნამუშევარი – ლუდისა და ხინკლის ჭურჭელი „შატილი“ *(ხელმძღვანელი – ა. კაკაბაძე).* გამოფენებში მონაწილეობს 1985 წლიდან. საქართველოს მხატვართა კავშირის წევრია 1997 წლიდან.

ძირითადი ნამუშევრები: დეკორატიული კომპოზიცია „მიძღვნა“ (1986), „არწივი“ (1990), „ხევსურული მოტივი“ (1995), „ხატობა“ (1996), „განსხვავებული სასმისები“ (1997), „ხევსურული ქუდები“. ავტორია ნაშრომისა „ხევსურული კლინკერი“ (თსსა სამეცნიერო ნაშრომების კრებული. 1986).

გამოფენები: საგაზაფხულო, საშემოდგომო, საშობაო (1986–1998), შემოქმედებითი ჯგუფების საანგარიშო, იურმალა (ლატვია, 1986), აკვარელის რესპუბლიკური – სეგ (თბილისი, 1986), კერამიკა-მინის კათედრის საიუბილეო – თსსა (1998), თბილისი და თბილისელები, სეგ (1988).

მისი ნამუშევრები ინახება ბრაზილიის, ავსტრიის, გერმანიის, ინგლისის, პოლანდიის კერძო კოლექციებში.

მონაწილეობდა იურმალის შემოქმედებით სახელოსნოში (1986), ამიერკავკასიის რესპუბლიკების კერამიკოსთა I სიმპოზიუმში, თბ., 1998.

მიღებული აქვს სირკ მიღწევათა გამოფენის (მოსკოვი) ბრინჯაოს მედალი (1986). მუშაობს თსსა კერამიკა-მინის კათედრაზე.



არაბული ბალათერ დაიბადა 1950 წელს, დუშეთის რაიონის სოფელ ბარისახოში. დაამთავრა ბარისახოს სკოლა-ინტერნატი. სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტებზე. პირველად ლექსები გამოაქვეყნა 1967 წელს ჟურნალ „ცისკარში“. პირველი წიგნი გამოსცა 1979 წელს, გამომცემლობა „მერანში“. 1980 წლიდან არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, გამგეობის წევრი. ამჟამად მუშაობს საქართველოს საერთო-ეროვნული მწერალთა კავშირის მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ. ამავდროულად არის გაზეთ „ლომისის“ და ჟურნალ „ნობათის“ მთავარი რედაქტორი, ჟურნალ „ცისკრის“ პოეზიის განყოფილების გამგე. საერთაშორისო საქველმოქმედო ასოციაცია „ნუგეშის“ პრეზიდენტი. ბალათერ არაბულს გამოცემული აქვს ლექსების, ნარკვევების და თარგმანების 13 წიგნი. მისი ლექსები თარგმნილია იტალიურ, ესპანურ, ინგლისურ, რუსულ, ბულგარულ, უკრაინულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, მონღოლურ, ლატვიურ და სხვა ენებზე. შესულია რამდენიმე უცხოურ პოეტურ ანთოლოგიაში. არის რამდენიმე ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებული. 2002 წელს იტალიაში, იუნესკოს მიერ ჩატარებულ მსოფლიო პოეზიის საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსზე მისმა ლექსმა „მზე“, 17 ქვეყნის მონაწილეთა შორის, გამარჯვება მოიპოვა და დაჯილდოვდა პრიზით – „ვერცხლის დრაკონი“. 2000 წელს ბალათერ არაბული მიწვეული იყო ესპანეთში ჩატარებულ ევროპის ქვეყნების პოეზიის ფესტივალზე, სადაც გამოიცა მისი ლექსების წიგნი და რამდენიმე ლექსი შეიტანეს პოეზიის ანთოლოგიაში. არის ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი. ჰყავს მეუღლე – გულიკო პირველი და ორი შვილი – ლაშა და დავითი.



არაბული მზია გიორგის ასული დაიბადა 1949 წელს სოფელ დათვისში (დუშეთის რაიონი). დაამთავრა ბარისახოს საშუალო სკოლა-ინტერნატი და 1966 წელს სწავლა გააგრძელა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში გერმანული ენის ფაკულტეტზე. სტუდენტობის პერიოდში პარალელურად გაიარა გიდობის ორწლიანი კურსი ინტურისტში და მუშაობდა გიდად გერმანელ ტურისტებთან. ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სამუშაოდ გაგზავნილი იქნა დუშეთის რაიონში, მლეთის საშუალო სკოლაში გერმანული ენის მასწავლებლად.

1975 წელს დაინიშნა ანანურის საშუალო სკოლის დირექტორად.

ამ თანამდებობაზე მუშაობდა 20 წელი და დუშეთის რაიონის პედაგოგიურ საზოგადოებაში სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით.

მუშაობის პერიოდში 2-ჯერ იყო გაგზავნილი გერმანიაში კვალიფიკაციის

ასამაღლებელ კურსებზე, 1984 წელს – ქ. დრეზდენში, 1999 წელს – ქ. ბრემენში.

მზია არაბული ამჟამად წარმატებით აგრძელებს პედაგოგიურ მოღვაწეობას ანანურის საშუალო სკოლაში.



**არაბული ალექსანდრე ბეწინას ძე** დაიბადა 1927 წ. თელავის რაიონის სოფ. თეთრწყლებში. არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ეკოლოგიური აკადემიის საპატიო აკადემიკოსი, ი. გოგებაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, ჟურნალისტთა კავშირის ფედერაციის წევრი, საზოგადოება „ცოდნის" საბჭოსა და „მწვანეთა ასოციაციის" წევრი.

მისი სამეცნიერო მოღვაწეობის მიმართულებაა სანადირო-სარეწაო ცხოველთა ბიოეკოლოგიის შესწავლა და დაცვა-გამოყენება. ამ დარგში გამოქვეყნებული აქვს 300-ზე მეტი მეცნიერული და მეცნიერულ-პოპულარული ნაშრომი, მათ შორის 20-ზე მეტი ცალკე წიგნი და მონოგრაფია: „გარეული ღორი, შველი და ირემი აფხაზეთში", „შველი, ღორი და ირემი მცირე კავკასიონზე", „ირემი ბორჯომის ნაკრძალში", „დათვი საქართველოში", „საქართველოს სანადირო-სარეწაო ფაუნა და მისი დაცვა", „საქართველოს იშვიათი ძუძუმწოვრები და მათი დაცვა", „ნატურალისტის ჩანაწერები", „რას მერჩი, ადამიანო", „ჯიხვმა თქვა სალის კლდისამა", „ნადირობა ფოტოაპარატით", „როგორ მაპოვნინა დათვმა ფუტკარი", „მონადირის 40 მცნება", „ნადირთა კვალდაკვალ", „ეპიზოდები ჩილიქოსნების ცხოვრებიდან", „მონადირის ცნობარი", „ველურად გამოსაყენებელ მცენარეთა მეგზური", თანაავტორია: „საქართველოს ძუძუმწოვართა ატლასისა", „წითელი წიგნისა" და „ამერიკაში ინგლისურ ენაზე გამოცემული: „მსოფლიოს გარეული ცხვრები და თხები", „სანადირო-სარეწაო ცხოველთა რაოდენობრივი აღრიცხვის მეთოდები" და სხვა.

ალექსი არაბული ფართო პროპაგანდას ეწევა და უშუალოდ მონაწილეობს აღკვეთილებისა და სამონადირეო მეურნეობების შექმნა-მოწყობის საქმიანობაში. მისი უშუალო მონაწილეობით საქართველოში 1956-1965 წლებში 58-მდე (მათ შორის 28 კარგად ორგანიზებული) სამონადირეო მეურნეობა შეიქმნა და მოეწყო.

ამ წლებში მოღვაწეობდა საქართველოს „მონაკავშირის" პრეზიდიუმში: ნადირთმცოდნედ, კინოლოგად, საგარეჯოს რაიონის „ყორულის" სამონადირეო მეურნეობის დირექტორად.

1980-1990 წლებში მუშაობდა ზოოლოგიის ინსტიტუტის მცხეთის რაიონის „ხეკორდის" ექსპერიმენტული ბაზის გამგედ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სატყეო ფაკულტეტზე კითხულობდა ლექციებს: „ნადირთმცოდნეობაში" და ხელმძღვანელობდა გარეულ ნადირ-ფრინველთა აღმრიცხველ ჯგუფებს. ფლობს

და წარმატებით იყენებს საველე მუშაობისას კინო-ფოტო გადაღების ტექნიკას. მოსწავლეთათვის შექმნა ცხოველთა ბიომრავალფეროვნებაზე პოპულარული სალექციო ციკლი და ფოტოსტენდები. აქტიურად მონაწილეობს გეარიშეილობის კავშირის საორგანიზაციო საქმიანობაში.



**არაბული აკაკი ნიკოლოზის ძე,** დაიბადა 1948 წ. თიანეთის რაიონის სოფელ ნადოკრალში. 1966 წელს დაამთავრა ამავე რაიონის სიმონიათხევის საშუალო სკოლა. 1967 წელს შევიდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, რომელიც დაამთავრა 1973 წელს, სპეციალობით სასარგებლო ნამარხთა ძებნა-ძიების ტექნიკა-ტექნოლოგია.

განაწილებით გაიგზავნა საშენ მასალათა სამინისტროს გაერთიანებაში, სადაც 1973 წელს დაინიშნა გაერთიანება „საქარმადნეულის" იმირის კარიერში სამთო სამქროს უფროსად. 1977 წელს გადაყვანილი იქნა დირექტორის მოადგილედ ამავე წარმოებაში. 1987 წელს დაინიშნა დირექტორად. 1997 წელს დაინიშნა სააქციო საზოგადოების „ბაზალეთის" გენერალურ დირექტორად, სადაც დღეისთვის მუშაობს დაკავებულ თანამდებობაზე. ჰყავს სამი შვილი: ერთი ვაჟი და ორი გოგო.



**არაბული ალუდა გაგას ძე** დაიბადა 1938 წლის 19 აგვისტოს, ხევსურეთის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ დათვისში. აქვე იზრდებოდა და ცხოვრობდა თითქმის ოცდაათი წლის ასაკამდე.

სწავლობდა ბარისახოს სკოლა-ინტერნატში. იყო წარჩინებული მოწაფე. მესამე-მეოთხე კლასიდან წერდა ლექსებს, ეტიუდებს, ესკიზებსა და ნოველებს.

წლების განმავლობაში მასწავლებლობდა ხევსურეთის სოფლებში. დაამთავრა თბილისის ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი და რამდენიმე ხანს ისტორიას ასწავლიდა ბარისახოს სკოლა-ინტერნატში.

სამოცდაათიან წლებში თბილისში გადმოსახლდა და მუშაობა დაიწყო თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარ სარედაქციო პალატაში.

ლექსებს სისტემატიურად 1966 წლიდან ბეჭდავდა, როგორც სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, ისე – ცალკე კრებულებად.

1976 წლიდან მწერალთა კავშირის წევრია.

გამოცემული აქვს ლექსების 15 კრებული. მათ შორის აღსანიშნავია: – „მამულის ხმები", „ნისლის ძეირფასი ფერები", „მთვარის საყურე" და „ნეტა, რას ითხოვს სისხლი..."

70-80-იან წლებში შექმნა ახალი ორიგინალური ციკლი ლექსებისა: „ტოლხამ თქვა, – შეთეკაურმა." რამაც მკითხველთა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია და მოწონებაც დაიმსახურა.

ამასთან ერთად იგი ეწევა ფართო საზოგადოებრივ, საგამომცემლო და საქველმოქმედო საქმიანობას.

1989 წელს გახსნა საკუთარი გამომცემლობა „სადარა“ და ქართული ემიგრანტული ლიტერატურის მრავალტომეულის გამოცემა დაიწყო. ამ გამოცემის მთავარი და ერთადერთი მიზანი იყო ერის სულიერი კულტურის გამთლიანება.

როდესაც ქვეყანაში შეიარაღებული განუკითხაობის პერიოდი დადგა, მან ერთმა პირველთაგანმა ჩამოაყალიბა „ბავშვთა დამხმარე საერთაშორისო ასოციაცია“, რომელსაც მიზნად ზნეობრივი და სოციალური მწვავე პრობლემების დაძლევაზე უნდა ეზრუნა. მატერიალური და მორალური დახმარება გაუწია ობოლი და მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისათვის.



**არაბული ამირან დავითის ძე,** დაიბადა 1956 წლის 8 მარტს ყაზბეგის რაიონის სოფელ ჯუთაში. ოთხწლედის დამთავრების შემდეგ სასწავლებლად გადავიდა სნოს საშუალო სკოლა-ინტერნატში, ხოლო მე-9 კლასიდან სწავლა განაგრძო ყაზბეგის საშუალო სკოლა-ინტერნატში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1973 წელს.

ამავე წელს ჩაირიცხა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

სტუდენტობის წლებში სისტემატიურად თანამშრომლობდა უნივერსიტეტის გაზეთის რედაქციასთან. იქვე ხელმძღვანელობდა ფოტოკლუბ „ერისიონის“ მუშაობას

რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში ბეჭდავდა მოთხრობებსა და რეცენზიებს. ყოველწლიურად მონაწილეობდა ზამთრისა და ზაფხულის ფოლკლორულ ექსპედიციებში.

1978–88 წლებში სწავლობდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტურაში ფოლკლორის განყოფილებაში.

1983 წელს დაიცვა საკანდიდატო („მითოლოგიური საწყისები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ხალხურ სიტყვიერებასა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“), ხოლო 1998 წელს – სადოქტორო (*„ქართული ხალხური სამგლოვიარო პოეზია“*) დისერტაცია.

1995 წლიდან არის საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი.

გამოქვეყნებული აქვს სამი წიგნი: *„ვინამ თქვა თუშმა დალევა“* (1986 წ.), *„ვაჟა-ფშაველას პოეტურ სამყაროში“* (1990 წ.) და *„არხოტ რო წყაროთ გორია“* (1997 წ.).

არის ავტორი სამ ათეულზე მეტი სამეცნიერო წერილისა და გამოკვლევისა. 1999 წლიდან ხელმძღვანელობს ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილებას. არის ამავე ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი და სამეცნიერო საბჭოს წევრი. ჰყავს მეუღლე **ეთერ თათარაიძე** და სამი შვილი: **მინდია, ანანო** და **მარიამი.**



**ბაჭყია (ირაკლი) აკაკის ძე არაბული,** დაიბადა 1952 წლის 9 ივლისს დუშეთის რაიონის სოფელ დათვისში.

სსრკ-ის სპორტის ოსტატი კრივში, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი, უმაღლესი კატეგორიის მწვრთნელი. 1970 წელს დაამთავრა ბარისახოს საშუალო სკოლა-ინტერნატი. 1971-72 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. 1975-79 წლებში სწავლობდა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში - კრივის სპეციალობით.

1976 წლის საქართველოს უნივერსიადისა და 1979 წლის საქართველოს სპარტაკიადის ორგზის გამარჯვებული. 1976 წლის სომხეთის ღია პირველობის ჩემპიონი. საკავშირო ტურნირების სამგზის გამარჯვებული. ოთხგზის პრიზიორი. ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების მეორე პრიზიორი.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი. ამჟამად მუშაობს ფიზიკური აღზრდის მასწავლებლად და მწვრთნელად.



**არაბული გაგა მიხეილის ძე,** დაიბადა 1972 წლის 29 აპრილს თბილისში. ბავშვობა ხევსურეთში გაატარა. 1989 წელს დაამთავრა თბილისის 123-ე საშუალო სკოლა. 1994 წელს - თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

მიღებული აქვს საკანდიდატო მინიმუმით გათვალისწინებული საგნების ჩაბარების უფლება. მონაწილეობდა აფხაზეთში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში. დაჯილდოებულია მედლით „მხედრული მამაცობისათვის". მიღებული აქვს სამხედრო განათლება. უფროსი ლეიტენანტია. მუშაობდა სასაზღვრო ჯარებში. ამჟამად დაცვის დეპარტამენტის თანამშრომელია.



**არაბული გიორგი აბრამის ძე,** დაიბადა 1926 წელს თიანეთის რაიონის სოფელ უკუღმართში. 1948 წელს დაამთავრა სოფელ გომბორის საშუალო სკოლა და ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1955 წელს.

მისი პროფესიული მოღვაწეობის მეტი წილი საგანმანათლებლო სისტემაში საქმიანობას განეკუთვნება. სხვადასხვა დროს მუშაობდა სოფელ სართიჭალის საშუალო, სოფელ ლამბალოს საშუალო, საგარეჯოს I საშუალო, სოფელ კოჭბანის არასრულ საშუალო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად; საგარეჯოს III, სოფლების - ხაშმისა და ბადიაურის საშუალო სკოლების დირექტორად. მუშაობდა აგრეთვე საგარეჯოს კულტურის სახლის დირექტორად, საგარეჯოს რაიონულ რადიოგადაცემათა რედაქტორად, რაიონის კულტურის განყოფილების გამგედ, კომპარტიის რაიკომის

ინსტრუქტორად.

გაგა არაბული აქტიურად იყო წალკის რაიონის კულტურულ და შემოქმედებით ცხოვრებაში: ეწეოდა სამეცნიერო ლიტერატურულ ცხოვრებას. მის არქივში შემონახულია მრავალი ლექსი, მოთხრობა, მოგონება. იგი იყო მხატვრული კითხვისა და ხალხური მთქმელების რესპუბლიკური კონკურსების არაერთგზის გამარჯვებული. საგარეჯოს სახალხო და თიანეთის თეატრებში შექმნა არაერთი დასამახსოვრებელი სახე.

გიორგი არაბულის ოჯახური და ცხოვრებისეული პრინციპების გამგრძელებლად დარჩნენ: მეუღლე – **ესმა ლაფაჩიშვილი**, შვილები – **კობა, დათო, ლელა** და შვილიშვილები – **ალექსანდრე, გიორგი, მარიამი და ზეინაბი.**



**არაბული გიორგი ალექსის ძე,** დაიბადა 1949 წელს სოფელ დათვისში (დუშეთის რაიონი). 1952 წელს ოჯახი გადასახლდა საგარეჯოს რაიონის სოფელ გომბორში, სადაც 1969 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა. იმავე წელს სწავლა გააგრძელა თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში

1973–74 წლებში იმყოფებოდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში. სხვადასხვა დროს მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგარეჯოს, ყაზბეგის, თიანეთის რაიონულ განყოფილებებში სისხლის სამართლის სამძებროს უფროსად და მილიციის უფროსის მოადგილედ.

1985 წელს დაამთავრა შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის უმაღლესი აკადემია. 1987 წლიდან მუშაობდა საგარეჯოს რაიონულ განყოფილებაში ჯერ სამძებროს უფროსად, ხოლო შემდეგ მილიციის უფროსად. 1995 წლიდან 1998 წლამდე მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროს ინსპექტორად. 1998–2002 წლებში იყო დუშეთის და თიანეთის კრიმინალური პოლიციის უფროსი. 1992 წლიდან მიენიჭა პოლიციის პოლკოვნიკის წოდება.

ჰყავს მეუღლე – **ზიზი არაბული** და ვაჟი – **გიორგი გიორგის ძე არაბული.**



**არაბული გაგა მინდიას ძე,** დაიბადა 1927 წელს დუშეთის რაიონის სოფელ გუდლეთში. მეშვიდე კლასამდე სწავლობდა სოფელ ბარისახოს საშუალო სკოლაში. 1942 წელს ჩაირიცხა თბილისის პიოტრ ბესედელიანის სახელობის სპეციალურ სკოლაში, რომელიც ამზადებდა კადრებს სამხედრო საავიაციო სასწავლებლისათვის. 1945–50 წლებში სწავლობდა კიროვობადის სამხედრო საავიაციო სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა ლეიტენანტის წოდებით და განაწილებულ იქნა თელავის სამხედრო ნაწილში, სადაც გადამზადება გაიარა ამერიკულ ბომბდამშენ 20-ზე. 1952–53 წლებში მართავდა საბჭოური გამოშვების ახალ რეაქტიულ ბომბდამშენ 28-ს. მიენიჭა ავიაციის კაპიტანის წოდება. 1954

წელს დაწყებული სამხედრო ნაწილების შემცირების გამო გადაიყვანეს თადარიგში. 1970 წლიდან მუშაობს „საქაერონავიგაციის" დისპეჩერად.



არაბული გელა ჯემალის ძე, დაიბადა 1979 წლის 19 ოქტომბერს თბილისში. 10 წლის ასაკში დაიწყო საწრთვნელი ვარჯიში კრივში. დაამთავრა გარდაბნის რაიონის სოფელ წინუბნის საშუალო სკოლა. პარალელურად ვარჯიშობდა თბილისის ახალგაზრდა ნაკრებში და იყო რესპუბლიკური ჩემპიონატების პრიზიორი. მიღებული აქვს სიგელები და დიპლომები. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა ფიზკულტურის და სპორტის აკადემიაში კრივის განხრით, რომელიც დაამთავრა წარმატებით. 2001 წლის აგვისტოდან იმყოფება ავსტრიაში და ეწევა სპორტულ მოღვაწეობას. ხელმძღვანელობს კრივის სექციას და თვითონაც მონაწილეობს შეჯიბრებაში. არის ავსტრიის პირველობაზე გამართულ შეჯიბრებაში ორგზის გამარჯვებული.



არაბული გიგო აბიკას ძე, დაიბადა 1941 წელს, დუშეთის რაიონის სოფელ ბარისახოში (ჩირდილში). დაამთავრა ბარისახოს საშუალო სკოლა-ინტერნატი და სწავლა გააგრძელა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1960 წელს სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობით. მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობითაა აშენებული კომპლექსები: ბარისახოს სკოლა-ინტერნატის დამატებითი ნაწილი, სოფელ ჩარგალში 8 წლიანი სკოლის შენობა და სხვ. საგურამოში სკოლის ინტერნატის შენობა.

1972 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო-სამხატვრო აკადემია, სახვითი ხელოვნების სპეციალობით და მუშაობა დაიწყო მის მიერ აშენებულ საგურამოს სკოლა-ინტერნატში სახვითი ხელოვნების მასწავლებლად. ამავე დროს მუშაობდა საკავშირო მნიშვნელობის კვლევით ინსტიტუტში მხატვარ-კონსტრუქტორად. პარალელურად ეწეოდა შემოქმედებით მუშაობას თბილისის სამხატვრო კომბინატში ობიექტების მხატვრულად გაფორმებაში.

1991 წლიდან №11 პროფტექნიკუმში ამზადებდა მხატვარ-დიზაინერებს. მისი გაუქმების შემდეგ, 1997 წლიდან მუშაობას აგრძელებს საქართველოს სასაზღვრო დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტში – ოფიცერთა გადამზადების კურსებზე მხატვარ-დიზაინერის თანამდებობაზე. აქვს სტუმართმოყვარე ოჯახი. ჰყავს შვილი და ორი შვილიშვილი – დოდო და ლუკა.



არაბული გიგო ხვთისოს ძე, დაიბადა 1946 წელს, დუშეთის რაიონის სოფელ ჩირდილში.

1965 წელს დაამთავრა ბარისახოს სკოლა-ინტერნატის 11 კლასი. ამავე წელს ჩაირიცხა თბილისის სულხან-საბა ორბელიანის (ყოფილი ა.ს. პუშკინის) სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1969 წელს.

1971 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრებისთანავე, 1974 წელს, ამავე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტი გახდა. იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა 1978 წელს. აქვს სპორტის ოსტატის წოდება კლასიკური სტილით ჭიდაობაში.

1976–79 წლებში იყო ჯერ უბნის ინსპექტორი, შემდეგ – უფროსი ინსპექტორი თბილისის დიდუბის (პირველი მაისის) რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში. 1979–2000 წლებში – ამავე რაიონის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის განყოფილების უფროსი.

ამჟამად პოლიციის პოლკოვნიკის წოდებით მუშაობს დიდუბე-ჩუღურეთის შსს მესამე განყოფილების უფროსის მოადგილის თანამდებობაზე.

ჰყავს მეუღლე, ორი ქალიშვილი და ერთი შვილიშვილი.



**არაბული გიორგი ხვთისოს ძე**, დაიბადა 1935 წლის 17 მარტს ხევსურეთში, ბაცალიგოს თემის სოფელ ჩხუბაში. მისი მშობლები – ხვთისო იანეს ძე არაბული და ძილა ამკას ასული წიკლაური – სოფლის მეურნეები იყვნენ.

გიორგი არაბულმა 1954 წელს დაამთავრა საშუალო სკოლის კურსი, ხოლო 1959 წელს – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. ორ წელს პედაგოგად მუშაობის შემდეგ საცხოვრებლად გადავიდა თბილისში და 1963 წლიდან მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულ „ვეფხისტყაოსნის" აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში, სადაც მონაწილეობდა ძველი ქართული ენის სალექსიკონო ფონდის შექმნაში და რუსთველოლოგიური ლიტერატურის დამუშავებასა და ანოტირებაში. 1971 წელს დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

1983 წელს გამოაქვეყნა პირველი წიგნი – *„ნარკვევები ვეფხისტყაოსნის ტექსტების შესახებ"*, სადაც მსჯელობს რუსთველის თხზულების მხატვრულ სტილზე, პოემაში არსებულ ტექსტობრივ ხარვეზებზე. გიორგი არაბულმა შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა *„ბიბლიოთეკა მოსწავლეთათვის"*, პირველი წიგნი, V–XVIII სს. ქართული მწერლობის ნიმუშები (თბილისი, 1993 წ.). სამეცნიერო საზოგადოებამ და კრიტიკამ დადებითად შეაფასა მისი წიგნები *„შოთა რუსთაველის ბიოგრაფია ქართულ მეცნიერებაში"* (თბ., 1992წ.) და *„ვაჟა-ფშაველას სამი პოემა" (თემატიკურ-იდეური ანალიზი, თბ., 1999 წ.)*.

მან გამოსაცემად მოამზადა *„რუსთველოლოგიური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია", 1957–1965 წ.წ. თბ. 2002 წ.*

გიორგი არაბული არის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, „ვეფხისტყაოსნის"

აკადემიური გამოცემის მთავარი რედაქციის წევრი. 2003 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ჰყავს ცოლი, ორი შვილი და ერთი შვილიშვილი.



**არაბული გოგი ირაკლის ძე.** დაიბადა 1954 წლის 21 იანვარს თელავის რაიონის სოფელ თეთრწყლებში. 1971 წელს დაამთავრა თელავის II საშუალო სკოლა. 1973–75 წლებში მსახურობდა საბჭოთა კავშირის არმიაში.

1944 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის, ხოლო 1999 წელს – ეკონომიკური ფაკულტეტები. 1990 წლიდან იყო ეროვნული მოძრაობის აქტიური მონაწილე.

1992–94 წლებში მუშაობდა თავდაცვის სამინისტროს კახეთის სამხარეო კონტრდაზვერვის უფროსად.

შექმნა წარმატებული აგენტურული ქსელი დაღესტანსა და აზერბაიჯანში. აქვს ვიცე-პოლკოვნიკის წოდება.

გოგი არაბული არის პოლიტიკური გაერთიანება „ალორძინების" თავმჯდომარე თელავში. 1998–2002 წლებში – თელავის საკრებულოს წევრი და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე.



**არაბული დავით ალექსის ძე,** დაბადებული 1942 წელს სოფელ დათვისში, დუშეთის რაიონში. 1960 წელს დაამთავრა სოფელ გომბორის საშუალო სკოლა. 1961–64 წლებში – სავალდებულო სამხედრო სამსახურში. 1964–68 წლებში სწავლობდა თელავის პედინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა წითელ დიპლომზე.

1968–69 წლებში იმუშავა ალვანის საშუალო სკოლაში მასწავლებლად. 1969–71 წლებში სწავლობდა ტალინის სამხედრო პოლიტიკურ სკოლაში.

1971–74 მუშაობდა სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში კადრის ოფიცრად. 1978 წლიდან მუშაობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებაში სამინისტროს კადრების განყოფილების უფროსად, შემდეგ – სამთავრობო დაცვის უფროსად. ამჟამად არის შინაგან საქმეთა სამინისტროს შტაბის განყოფილების უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი. ჰყავს მეუღლე – ელიკო არაბული და ვაჟი – ზვიად არაბული.



**არაბული ელისო ბიძიას ასული,** დაიბადა ხევსურეთის სოფელ ბაკურხევში. იგი აღიზარდა ტრადიციული წესით, ხევსურულ გარემოში, სადაც ქსოვდა და ქარგავდა ყველა: მამიდები, დეიდები, ბებიები, მეზობლები და ნათესავები... სწავლობდა ბუნებრივ ფერებს და საღებავებს: ფერთა შერწყმას, ორნამენტის საიდუმლოს.

მისი ოჯახიც ტრადიციული წესით შეიქმნა. მისი მეუღლეა პოეტი კობა არაბული. ჰყავს სამი შვილი: მხატვარი – ბუბა არაბული, ექიმი-სტომატოლოგი – თეა არაბული და პოლიტექნიკური უნივერსიტეტის სტუ-

დენტი – გიორგი არაბული. ელისო არაბული არის ხალხური ხელსაქმის ოსტატი, შემოქმედებითი კავშირის წევრი 70-იანი წლებიდან და საპატრიარქოს თანამშრომელი. იგი ხელმძღვანელობს საპატრიარქოს ხალხური ბეწვის განყოფილებას, რომელიც პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ჩამოყალიბდა, სადაც ამჟამად მოღვაწეობს 13 მოწაფე და უკვე თანამშრომელი, რომლებიც მკვეთრად გამოირჩევიან თავისი მაღალხარისხოვანი გამოკვეთილი ოსტატობით.

ელისომ და მისმა თანამშრომლებმა აღადგინეს ხალხური სამოსელის ძველი ფორმა და მოდელები, ბუნებრივი ფერი და ორნამენტი, რომელიც მოერგო დღევანდელ გემოვნებას და საერო საეკლესიო „მოდის“ ეტალონად იქცა. ამ მხრივ უნიკალურია ხევსურული მამაკაცის და ქალის ქუდები, რომელსაც თქვენ ხშირად შეხვდებით საერო და სასულიერო მოღვაწეთა ჩაცმულობაში. მათ ერთნაირად შეენის ეთნოფილური და ერთადერთობით აღბეჭდილი ტალავარი.

ეს ქუდები, აგრეთვე დაწნული თასები, ჩანთები, დაფარნები, ჟილეტები, წიგნის სანიშნეები და სხვა უცხოეთის არა ერთ გამოფენაზე აღმოჩნდა წარდგენილი. ელისო არაბულის ნამუშევრებმა სიგელები მიიღო იტალიაში, ესპანეთში, საფრანგეთში, რუსეთში ხალხურ ოსტატთა ნამუშევრების გამოფენაზე.

მან მოამზადა და აღზარდა შეგირდთა მთელი თაობა, სამრეკლო სკოლაში, რომლებიც თვითონ იქცნენ პედაგოგებად და ახლა მსოფლიოს აცნობენ ქართველი ერის გენეტიკურ ტალანტს და გემოვნებას. მათი ნამუშევრები ინახება საპატრიარქოს ძვირფას სტუმართა საჩუქრებად და სუვენირებად. შეიძლება ითქვას, რომ ელისო არაბულმა და მისმა სკოლამ ახალი სიცოცხლე მიანიჭეს ხალხურ სამოსელს და მთელი სილამაზით გამოაბრწყინეს, გაუჩინეს მრავალი მიმდევარი და საყოველთაო ყურადღების სფეროში მოაქციეს.



**არაბული კობა მინდიას ძე**, დაიბადა 1945 წლის 19 თებერვალს ხევსურეთში, სოფელ დათვისში. 1963 წელს დაამთავრა ბარისახოს სკოლა-ინტერნატი. 1964–72 წლებში – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიისა და ხელოვნების ფაკულტეტები.

1972 წლიდან 1992 წლამდე მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ (*სასცენო განყოფილებაში, შემდეგ – პირველ შემოქმედებით გაერთიანებაში“ – რედაქტორად.*) აქვე ხდება „სახალხო ფრონტის“ აქტიური წევრი. 1990 წელს დააარსა გაზეთი „წუთისოფელი“, რომელიც გამოდიოდა 1996 წლამდე. 1992 წელს დააფუძნა ეროვნულ ტრადიციათა აღორძინებისა და დაცვის შემოქმედებითი ცენტრი „სერაფიტა“. 1998 წლიდან ხელმძღვანელობს მწერალთა გაერთიანება „ბახტრიონს“. კობა არაბული არის ცნობილი პოეტი (*ლექსების რამდენიმე კრებულის ავტორი*) კინოდრამატურგი, პუბლიცისტი, მწერალთა ეროვნული კავშირის წევრი. 1975 წლიდან მონაწილეობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულ მთიანეთის პრობლემათა შემსწავლელი კომისიის მუშაობაში. მან (*კომისიის სხვა წევრებთან ერთად*) მოამზადა ხევსურეთის

ეკონომიკური განვითარების პროგრამა და მიწაზე კერძო-სათემო მფლობელობის მოდელი, რომელიც დაამტკიცა საქართველოს მთავრობამ. კობა არაბული კვლავ მუშაობს მთის სოფლების ტრადიციული სამეურნეო სისტემის აღდგენისა და ტურისტული კომპლექსების მოწყობის საინტერესო პროექტებზე, აგრეთვე – ლექსების, ლიტერატურული წერილებისა და ესსეების კრებულებზე. კობა არაბულს ჰყავს მეუღლე – **ელისო ფიცხელაური**, ხალხური ხელსაქმის (ქსოვა-ქარგვის) ოსტატი. შვილები: **ბაბუ** – მხატვარი, **თეა** – ექიმი-სტომატოლოგი, **გიორგი** – პოლიტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი.



**არაბული ელისო ირაკლის ასული,** დაიბადა ყაზბეგის რაიონის სოფელ ჯუთაში 1975 წლის 13 აგვისტოს. 1981 წელს შევიდა ყაზბეგის საშუალო სკოლაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1992 წელს. 1992–94 წლებში სწავლობდა თბილისის სავაჭრო კოლეჯში. 1994 წელს ჩაირიცხა უნივერსიტეტში მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე, სამკერვალო ნაწარმის მოდელიორ-ტექნოლოგის სპეციალობით, ინჟინერ-მოდელიორ-ტექნოლოგის კვალიფიკაცია. სწავლის პერიოდში რამდენჯერმე ჰქონდა თავისი ნამუშევრების (*ხელით ნაქსოვი ორნამენტებიანი კაბები, ქუდები, სვიტრები, მამაკაცის „პერანგები" და ა.შ.*) გამოფენა, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა დამსწრე საზოგადოებაში.

1999 წელს ჩაირიცხა თტუ-ში მსუბუქი მრეწველობის ნაწარმთა და ტექნოლოგიის კათედრის მაგისტრატურაში. მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად შესრულებული აქვს ორი ნაშრომი. *1. ქსოვილთა რაციონალური გამოჭრის გაანგარიშება თანამედროვე მეთოდების გამოყენებით სამკერვალო მრეწველობაში. 2. ქართულ-ხალხური ხევსურული ტანსაცმელი.*

2001 წელს ჩაირიცხა ასპირანტურაში. ამავე წელს სააგენტო „ნატალისთან" ერთად ჰქონდა საკუთარი მოდელების ჩვენება, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა. თავის ხელით შესრულებული ხევსურული ტრადიციული ტანსაცმლის გამოფენა-გაყიდვა მოაწყო გერმანიის ქალაქ მიუნხენში.

ამჟამად მუშაობს თტუ-ის მსუბუქი მრეწველობის ნაწარმთა და ტექნოლოგიის კათედრაზე უფროს მასწავლებლად.



**არაბული ვანო თენგიზის ძე,** დაიბადა 1974 წლის 28 თებერვალს თბილისში. 1991 წელს დაამთავრა თბილისის მე–16 საშუალო სკოლა და ჩაირიცხა ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემიაში, რომელიც დაამთავრა 1995 წელს. იმავე წლიდან სწავლა განაგრძო საქართველოს შსს პოლიციის აკადემიაში. 1998 წელს დაინიშნა საქართველოს პრეზიდენტის პირადი დაცვის სამსახურში. შემდეგ მუშაობდა აშშ–სა და გაერთს საელჩოებში ელჩების კერტ-სპენსერისა და დიტერ ბოლდენის პირად დაცვაში. გაეროს საელჩოდან ვანო გაგზავნეს აშშ-ში კვალიფიკაციის ამაღლების სემინარზე. 2001 წლიდან მუშაობს საქართველოს

პარლამენტის თავმჯდომარის დაცვაში. შსს-ს კაპიტნის წოდებით.

1990–91 წლებში მიიღო სპორტის ოსტატის წოდება ძიუდოსა და სამბოში. მრავალგზის გაიმარჯვა საერთაშორისო ტურნირებში. არის ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი სამბოში.



**არაბული თამარ მიხეილის ასული,** დაიბადა 1975 წელს თბილისში. სწავლა დაიწყო 123-ე საშუალო სკოლაში. 1992 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის მე-6 გიმნაზია, იმავე წელს ჩაირიცხა თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1997 წელს. სტუდენტობისას სისტემატიურად მონაწილეობდა ფოლკლორულ ექსპედიციებსა და სამეცნიერო კონფერენციებში. პარალელურად ხელშეკრულებით მუშაობდა გელათის მეცნიერებათა აკადემიაში „გელათის ქართული საგალობლების" შემკრებად.

თამარ არაბულის სამეცნიერო თემებმა (*„ნერსე ერისთავის სულიერი მისია", „ერთი მითოლოგიური ლექსის გამო", „ფხოველნი ჯვარის მსახურნი არიან და ქრისტიანობასა იცნობენ", „რუსთაველის მიჯნურობა პირველი და ხევსურული სწორფრობა", „ერთი სწორფრული ლექსის გამო"*) სპეციალისტთა დიდი ყურადღება დაიმსახურა, ხოლო სადიპლომო ნაშრომის – „სწორფრობა და ხალხური სიტყვიერება" – გასავრცობად და გასაღრმავებლად 1998 წლის თებერვალში მიიღო საქართველოს პრეზიდენტის გრანტი. 2000 წლის 1-ლი ნოემბრიდან მუშაობს მარნეულის რაიონის სოფელ წერაქვის მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის საშუალო სკოლაში ხელოვნებისა და მითოლოგიის მასწავლებლად და პარალელურად – საკანდიდატო დისერტაციაზე: სწორფრობა და ხალხური სიტყვიერება (*მითოლოგიური გადმოცემები და ნათქვამები*).



**არაბული თენგიზ ვანოს ძე,** დაიბადა 1938 წლის 15 ივნისს, თიანეთის რაიონის სოფ. ნადოკრაში. 1995 დაამთავრა თბილისის №6 სახელოსნო სასწავლებელი და მუშაობა დაიწყო ზეინკლად თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში. პარალელურად სწავლობდა ღამის საშუალო სკოლაში, ხოლო შემდეგ – ინდუსტრიულ პედაგოგიურ ტექნიკუმში.

1963 წელს მუშაობა დაიწყო №26 ტექნიკურ სასწავლებელში საწარმოო სწავლების ოსტატად. დაუსწრებლად დაამთავრა ჯერ ფიზკულტურის, შემდეგ – პოლიტექნიკური ინსტიტუტი. სწავლის პერიოდში მონაწილეობდა სპორტულ შეჯიბრებებში და გახდა სპორტის ოსტატი ძიუდოში, სამბოში, ქართულ და თავისუფალ ჭიდაობაში.

1965 წლიდან მუშაობდა „სპარტაკისა" და „ლოკომოტივის" ძიუდოისტთა ჯგუფების მწვრთნელად. 1986–92 წლებში იყო საქართველოს სამბისტ ჭაბუკთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი. 1993 წლიდან მუშაობდა საქართველოს სამ-

ბის ფედერაციაში მსაჯერად. ამჟამად ამ ფედერაციის გენერალური მდივანი. აღზრდილი ჰყავს 70-ზე მეტი სპორტის ოსტატი. მათ შორის – ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები და პრიზიორები, რისთვისაც მიღებული აქვს დამსახურებული მწვრთნელისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდებები. არის ამიერკავკასიის ჩემპიონი (7-ჯერ) სამბოსა და თავისუფალ ჭიდაობაში, აგრეთვე მრავალ საერთაშორისო შეხვედრაში გამარჯვებული ძიუდოში. ჰყავს მეუღლე – **ნ. ჩიხლაძე**, პედაგოგი და შვილები **აკაკი და ვანო**, ორივე სპორტსმენი.



**არაბული ირაკლი გიორგის ძე**, დაიბადა 1918 წელს თელავის რაიონის სოფელ თეთრწყლებში. (*ნათლულია ქაქუცა ჩოლოყაშვილის, რომელიც მის მამასთან მეგობრობდა. ამ სოფელში მათ ოჯახში აფარებდა თავს.*) დაწყებითი განათლება მიიღო მშობლიურ სოფელში. შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის მუშათა პროფესიულ სასწავლებელში აქედან მესამე კურსიდან გადავიდა და დაამთავრა საგურამოს წინამძღვრიშვილის სახელობის სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმი. 1943 წლიდან დაინიშნა თელავის რაიონის სოფელ თეთრწყლების კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

ომიანობის წლებში აქტიურად მონაწილეობდა თავისი სოფლის პარტიზანთა თავდაცვით საქმიანობაში.

1951–52 წლებში სწავლობდა თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. 1952 წელს სოფლის მოთხოვნით კვლავ აირჩიეს თავისი სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, თანაც დაუსწრებლად სწავლობდა თბილისის სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში სატყეო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1962 წელს.

1967–79 წლებში კოლმეურნეობის რეორგანიზაციის შემდეგ ირაკლი არაბული მუშაობდა სოფელ თეთრწყლების მებოსტნეობა-მერძევეობის გაერთიანებული საბჭოთა მეურნეობის დირექტორია. ამჟამად პერსონალური პენსიონერია, მაგრამ მისდევს მეფუტკრეობას. ჰყავს 4 შვილი (**თამრიკო, დათო, გოგი და მამუკა**) და 8 შვილიშვილი.



**არაბული ირაკლი მიხეილის ძე**, დაიბადა 1942 წელს დუშეთის რაიონის სოფელ წინხადუში, გლეხის ოჯახში.

დაამთავრა თბილისის 30-ე საღამოს საშუალო სკოლა, 1952 წელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო გამომცემლობა „სახელგამში" (*შემდეგ – „საბჭოთა საქართველო"*) რედაქტორის თანამდებობაზე. ირაკლი არაბული 32 წლის მანძილზე ემსახურებოდა ქართული მხატვრული ლიტერატურის გამოცემას, როგორც ერთ-ერთი მაღალკვალიფიციური რედაქტორი და ობიექტური კრიტიკოსი.

წერდა აგრეთვე მხატვრულ ნარკვევებს და რეცენზიებს თანამედროვე მწერლების ნაწარმოებებზე.

ირაკლი არაბული 1961 წლიდან იყო საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. ჰყავდა მეუღლე და სამი შვილი. გარდაიცვალა 1993 წელს.



**არაბული ნათელა გიორგის ასული,** დაიბადა 1952 წელს სოფელ დათვისში (დუშეთის რაიონი) დაამთავრა ბარისახოს საშუალო სკოლა-ინტერნატი და 1972 წელს სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკურ ფაკულტეტზე *(სპეციალობით ფინანსები და კრედიტი)* სტუდენტობის პერიოდში მუშაობდა მართველ გამომთვლელი მანქანების ქარხანაში ელექტრო-მემონტაჟედ *(1972-76 წლები).* 1977 წელს გადაყვანილია ინჟინერ-ეკონომისტად.

1976 წლის და განმეორებით 1979 წელს არჩეულია საქართველოს სსრ თბილისის ორჯონიკიძის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატად.

მიღებული აქვს სამგზის კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება, ხუთწლედის ახალგაზრდა გვარდიელის წოდება და ბრინჯაოს მედალი.

1982 წლიდან 1992 წლამდე არჩეული იყო ვაკის რაიონის სასამართლოს სახალხო მსაჯულად.

1988-91 წლებში აქტიურად მონაწილეობს ეროვნულ მოძრაობაში. არის 1989 წლის 9 აპრილის მონაწილე. 1989-90 წლებში არის ქარხნის საგაფიცვო კომიტეტის წევრი.

1989-90-91 წლებში არჩეულია ვაკის რაიონის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ.

1991 მუშაობას იწყებს ვაკის რაიონის სოციუზრუნველყოფის განყოფილების გამგედ.

1992 წელს გადაყვანილ იქნა ვაკის რაიონის საგადასახადო ინსპექციაში მთავარ საგადასახადო ინსპექტორად. სადაც მუშაობს დღემდე. ფლობს კომპიუტერს და ხევსურული კერვის ხელოვნებას.



**არაბული კობა გიორგის ძე,** დაიბადა 1954 წელს თბილისში. 1971 წელს წარჩინებით დაამთავრა საგარეჯოს II საშუალო სკოლა და დაიწყო შრომითი საქმიანობა.

1973-78 წლებში კობა არაბული საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტია.

1978-93 წლამდე კობა არაბული სახელმწიფო სამსახურშია სხვადასხვა თანამდებობებზე.

1993-95 წლებში იგი არის ერთ-ერთი პირველი ამერიკული ორგანიზაციის *(ექსპერტთა საერთაშორისო კორპუსი - აშშ)* წარმომადგენელი საქართველოში, რომელიც თბილისში ხსნის თავის ოფისს და ეწევა მრავალმხრივ საქმიანობას.

ამ პერიოდში საქართველოში სხვადასხვა დროით ჩამოვიდა და მუშაობდა 50-ზე მეტი სპეციალისტი:

1995 წლიდან კობა არაბული თანამოაზრეებთან ერთად აყალიბებს მთიანი რეგიონების პრობლემების კვლევაზე ორიენტირებულ არასამთავრობო ორგანიზაციას – საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების კვლევის ხელშემწყობ ცენტრს. რომელიც დღეისათვის აგრძელებს საქმიანობას ოდნავ სახეშეცვლილი სახით – კავკასიის მთიანეთის მდგრადი განვითარების ცენტრი – „დეკა“.

1997–99 წლებში კობა არაბული თანამშრომლობს საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტთან.

ამ პერიოდში ხელმძღვანელობს მის მიერ დაფუძნებულ ახალგაზრდული პრობლემების კვლევის სამეცნიერო-მეთოდურ ცენტრს და ტრადიციული ახალგაზრდული კვლევის „ოქროს აკვანის“ მომზადება-ჩატარების სამუშაოებს:

1999–2000 წლებში კობა არაბული ასრულებს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად შექმნილი „მაღალმთიან რაიონებში არსებული რესურსების სრულად გამოყენებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით მრავალწლიანი პროგრამის შემმუშავებელი სამთავრობო კომისიის“ პასუხისმგებელი მდივნისა და საქართველოს პარლამენტის მთიანი რეგიონებისა და განსახლების კომიტეტის ექსპერტის მოვალეობას:

2000 წლიდან კობა არაბული თანამშრომლობას იწყებს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ურბანულ ინსტიტუტთან. როგორც ექსპერტ-სპეციალისტი.

2001 წელს აღნიშნული მუშაობის საფუძველზე კოლეგებთან ერთად იგი აფუძნებს ახალ არასამთავრობო ორგანიზაციას *„თვითმმართველობის დამოუკიდებელ ექსპერტთა ასოციაციას“* და ხელმძღვანელობს მის მუშაობას.

2001 წლიდან კოლეგებთან ერთად აფუძნებს *„საქართველოს მთიანეთის ფედერაციას“* და ხელმძღვანელობას მის დირექტორთა საბჭოს.

ჰყავს მეუღლე – **ნანა მიტიჩაშვილი** და სამი შვილი – **ალექსანდრე, გიორგი და მარიამი.**



**არაბული ლეილა ალექსანდრეს ასული,** დაიბადა 1956 წელს თბილისში.

მამა – **ალექსანდრე არაბული** – მეცნიერ-მუშაკი. დედა – **ნინო არაბული** – პედაგოგი დაამთავრა თბილისის 126–ე საშუალო სკოლა.

შევიდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ეკონომიკურ ფაკულტეტზე

პარალელურად სწავლობდა და წითელ დიპლომზე დაამთავრა

მუსიკათმცოდნეობის ფაკულტეტი.

მისი გატაცება თავიდანვე სამკურნალო მცენარეთა ცოდნა, ხალხური მკურნალობის წესების შესწავლა-გამოყენება იყო.

ამ ინტერესის ჩასახვასა და გაღრმავებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის მის ბებიას *(ფიტოთერაპია და შინაური ცხოველების უებარი მკურნალისა და მცოდნეს)*. აგრეთვე მის მამის ბიოლოგ **ალექსი არაბულს**, რომელიც სამკურნალო მცენარეთა შეგროვებასა და რეცეპტში დიდ დახმარებას უწევს.

ლეილა არაბულმა წარმატებით დაამთავრა ჯანმრთელობის დაცვის სახალხო უნივერსიტეტის კოსმეტიკური სასწავლებელი, სამედიცინო ინსტიტუტი. არის საერთაშორისო სერთიფიკატის მფლობელი. ტრადიციულ, არატრადიციული და ხალხური მედიცინის ურთიერთშერწყმით და პრაქტიკული გამოცდილებით.

მან არა მარტო საფუძვლიანად შეისწავლა და აითვისა ხალხური მკურნალობის საიდუმლოებანი, უფრო გააუმჯობესა და მეცნიერულ დონეზე აიყვანა. მან შეიმუშავა ინდივიდუალური მკურნალობის ხერხები, ორიგინალური რეცეპტებით უკვალოდ კურნავს ისეთ მძიმე დაავადებებს, როგორიცაა: სტაფილოკოკი, დერმატომიკოზი, ლუპუსი, დერმატიტი, წითელი ქარი და სხვა. იგი იმედგაცრუებულ, სასწორაკვეთილ უცხოელ და ადგილობრივ პაციენტებს სიცოცხლის და ცხოვრების ახალგაზრდულ ხალისს უბრუნებს. ჰყავს ერთი ქალიშვილი **ნინიკო გოგია**, რომელსაც ობლად, მაგრამ კარგად ზრდის.



**არაბული ირაკლი (არსენა) აბიკას ძე**, დაიბადა ხევსურეთის სოფელ ჩირდილში 1948 წლის 28 ივნისს. ბარისახოს სკოლა-ინტერნატის დამთავრების შემდეგ 1965 წელს სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტზე, ავტომატიკისა და ტელემექანიკის სპეციალობით, რომელიც დაამთავრა 1970 წელს.

შრომითი საქმიანობა დაიწყო სამეცნიერო-ტექნიკურ გაერთიანება „ელექტროხელსაწყო"-ში, სადაც გაიარა გზა ინჟინრიდან წამყვანი კონსტრუქტორის თანამდებობამდე. 1982-86 წლებში მუშაობა განაგრძო შინაგან საქმეთა ორჯონიკიძის სახელობის რაიონულ განყოფილებაში მთავარ ინჟინრად, სადაც ხელმძღვანელობდა რაიონის ობიექტებისა და ბინების დაცვას და ამ საქმეში ახალი ტექნიკისა და საშუალებების დანერგვას.

1986 წლიდან მუშაობს საქართველოს ჯანდაცვის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილედ და ხელმძღვანელობს სისტემის აღჭურვის თანამედროვე სამედიცინო და საინფორმაციო ტექნიკური საშუალებებით. 1989 წლიდან გადაყვანილ იქნა გარემოს დაცვის სამინისტროს

რესპუბლიკური გასამხედროებული სამმართველოს უფროსის მოადგილედ, სადაც ამჟამადაც მუშაობს. ამავე დროს, 1997 წლიდან საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ხევსურეთისა და ჩეჩნეთ–ინგუშეთის საზღვრის მონაკვეთზე მეთაურის პირველი მოადგილე და ზურგის სამსახურის ხელმძღვანელია. ჰყავს მეუღლე მარინა კიტოვანი და შვილები გიორგი და დავით არაბულები.



**არაბული მინდია თოთიას ძე**, დაიბადა 1943 წლის 7 აპრილს ხევსურეთის სოფელ გველეთში. 1946–52 წლებში სწავლობდა სოფელ ბარისახოს საშუალო სკოლაში. 1954 წელს დაამთავრა სოფელ ზემო-ქედის (წითელწყაროს რაიონი) საშუალო სკოლა, ხოლო 1961 წელს – ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი.

1962 წლიდან მუშაობდა გამომცემლობა „ნაკადულში" ჯერ რიგით რედაქტორად, შემდეგ – მხატვრული ლიტერატურის რედაქციის გამგედ.

გამოცემული აქვს საკუთარი ლექსების ათი კრებული, პოეტური თარგმანების (რუსი მწერლების) ორი წიგნი და მოთხრობების ორი კრებული.

მინდია არაბული იყო საქართველოს მწერალთა კავშირისა და ჟურნალისტთა კავშირის წევრი.



**არაბული მინდია ამირანის ძე**, დაიბადა 1981 წლის 25 სექტემბერს თბილისში. დაამთავრა თბილისის მე–6 ქართული გიმნაზია.

სიყმაწვილის ადრეულ ასაკშივე ამჟღავნებდა წერის ნიჭს, ხატვისაკენ მიდრეკილებას. ჰქონდა და აქვს უნიკალური მუსიკალური მონაცემი *(ბოლო წლებში ინტენსიურად ესწრებოდა ნოდარ ანდღულაძის გაკვეთილებს; მისივე უშუალო ხელმძღვანელობით მუშაობდა ხმის დახვეწასა და ჩამოყალიბებაზე)*. უკრავს და მღერის ფორტეპიანოზე, ფანდურზე, ბალალაიკაზე. გიმნაზიის სრული კურსის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა თსუ დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიის ფაკულტეტზე. პირველი კურსის დასრულების შემდეგ სასწავლებლად წავიდა აშშ-ში, ჩრდილო–კაროლინის შტატში, ბრევარდის კოლეჯში, სადაც ორი წლის განმავლობაში ეძლეოდა დიუკის სახელობის პრესტიჟული სტიპენდია. 2001 წელს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ დასტამბა მინდა არაბულის ნოველებისა და მინიატურების კრებული „ვარიაციები მზეზე", რომელმაც მკითხველთა და ლიტერატურის მცოდნეთა დიდი მოწონება დაიმსახურა. ამჟამად სწავლობს ჯორჯიის შტატში, ქ. ატლანტაში.



**არაბული მინდია ირაკლის ძე**, დაიბადა ყაზბეგის რაიონის სოფელ ჯუთაში 1968 წლის 19 ივნისს. 1974–83 წლებში სწავლობდა სკოლაში. სწავლა გააგრძელა ქ. თბილისის ლესელიძის სახელობის გასამხედროებულ

სპეც სკოლაში, რომლის კურსი დაამთავრა 1986 წელს. იმავე წელს ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1990 წ-ს.

1990 წლიდან მსახურობდა ყოფილი საბჭოთა კავშირის არმიის რიგებში ასეულის მეთაურად. 1991 წლიდან საქართველოს ჯარების ეროვნულ გვარდიაში ბატალიონის შტაბის მოადგილედ. იმავე წელს დაინიშნა ბატალიონის მეთაურად.

1992 წლის სამსახური გააგრძელა თავდაცვის სამინისტროს სპეცდანიშნულების მთავარ სამმართველოში ერთ-ერთი საბრძოლო განყოფილების უფროსის თანამდებობაზე. 1992-93 წლებში მონაწილეობდა მიმდინარე საბრძოლო ოპერაციებში, კერძოდ, აფხაზეთში, რისთვისაც ხელმძღვანელობისაგან აქვს მიღებული მედალი „მხედრული მამაცობისათვის".

1994 წლის სამსახური გააგრძელა საქართველოს სასაზღვრო ჯარებში. მსახურობდა გარდაბნის კომენდატურაში ერთ-ერთი სასაზღვრო საგუშაგოს უფროსად.

1995 წელს გადაყვანილი იქნა საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთზე ცალკეული სასაზღვრო საგუშაგოს „ყაზბეგი"-ს უფროსად. 1998 წელს ჩაირიცხა უკრაინის ეროვნულ სასაზღვრო აკადემიაში დაუსწრებელ ფაკულტეტზე, რომელიც 2001 წელს დაამთავრა.

2002 წელს დაინიშნა საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთზე ცალკეული სასაზღვრო კომენდატურა „გარდაბნის" კომენდანტად, სადაც დღემდე მსახურობს მაიორის წოდებით.



**არაბული მიხეილ ბაჭყიას ძე,** დაიბადა 1948 წლის 30 ნოემბერს ხევსურეთში, სოფელ დათვისში. 1965 წელს დაამთავრა ბარისახოს საშუალო სკოლა-ინტერნატი. 1970 წელს - თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი და დაბრუნდა მშობლიურ კუთხეში პედაგოგად. წლების განმავლობაში იყო ბარისახოს სკოლა-ინტერნატის სასწავლო ნაწილის გამგე, დირექტორი, ბარისახოს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე; მიხეილ არაბულის ინიციატივით მჭიდრო კავშირი დამყარდა უნივერსიტეტის რექტორთან, კათედრებთან და ხევსურეთის სკოლებში სასწავლო-საგანმანათლებლო და კულტუროლოგიური საქმიანობა მკვეთრად გაუმჯობესდა. გაიზარდა მოსწავლეთა კონტინგენტი. გამდიდრდა ბიბლიოთეკა და კაბინეტ-ლაბორატორიები. შეწყდა კადრების დენადობა. მიხეილ არაბულის უშუალო ინიციატივით ბარისახოში აციმციმდა ცისფერი ეკრანი.

მაგრამ 1985 წელს „კომუნისტური პარტიის იგნორირებისათვის" გაანთავისუფლეს სკოლა-ინტერნატის დირექტორის თანამდებობიდან. ამის შემდეგ იგი ოჯახთან ერთად საცხოვრებლად დედაქალაქში გადავიდა. მუშაობდა თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში და სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებაში უფროს რეფერენტად. მიხეილ არაბულს ჰყავს მეუღლე – **სოფიკო ფარდანაშვილი**, პედაგოგი. შვილები: გაგა, რომელსაც მიღებული აქვს უმაღლესი ფილოლოგიური და სამხედრო განათლება. მსახურობდა სასაზღვრო ჯარში. ამჟამად უფროსი

ლეიტენანტის წოდებით. მუშაობს სახელმწიფო ქონების დაცვის დეპარტამენტში. ქალიშვილი – თამარი, განათლებით ფილოლოგი. მუშაობს მარნეულის რაიონის სოფელ წერაქვის მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის საშუალო სკოლაში მასწავლებლად.

ამავე დროს არის პერსპექტიული მკვლევარი-ფოლკლორისტი. ამზადებს ნაშრომს საკანდიდატო დისერტაციისათვის.



**არაბული მუხო გიორგის (ხირჩლას) ძე,** დაიბადა 1921 წლის 21 ივლისს სოფელ ახმეტაში. 1948 წელს დაამთავრა ახმეტის საშუალო სკოლა, 1954 წელს – თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტი.

1954–58 წლებში სხვადასხვა დროს მუშაობდა ახმეტისა და თელავის სარაიონო კულტურის სახლებსა და თელავის მასწავლებელთა სახლში სამხატვრო ხელმძღვანელად და რეჟისორად, ვაჟა-ფშაველას სახელობის თელავის სახელმწიფო თეატრის მსახიობად.

1958 წლის თებერვალში მუშაობა დაიწყო საქდესში. გაიარა შრომითი გზა კორექტორიდან გამოშვების მთავარ რედაქტორამდე. 1992 წელს დააარსა მთიელთა კავშირის გაზეთი „მთიელი" და იყო მისი მთავარი რედაქტორი. 1994–95 წლებში სხვადასხვა დროს მუშაობდა გაზეთ „ძლევაი"-ს რედაქტორის პირველ მოადგილედ, ჟურნალ „ჟურნალისტი"-ს მთავარ რედაქტორად, „საქართველოს ეროვნული ბანკის" მთავარ რედაქტორად. ამჟამად მუშაობს საქართველოს სახელმწიფო საინფორმაციო სამსახურის – საქინფორმის პასუხისმგებელი მდივნის მოადგილედ და კორესპონდენტთა ქსელის უფროსად. 1982 წელს მიენიჭა საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება. დაჯილდოებულია „შრომის ვეტერანის" მედლით, საქინფორმის, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის, კულტურის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის სიგელებით. წლების განმავლობაში არჩეული იყო საქართველოს ჟურნალისტთა და საქართველოს პროფკავშირების მრავალი ყრილობის დელეგატად, საქინფორმის ჟურნალისტთა და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელად. დასახელებული იყო საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატად. დაარსებიდან დღემდე არის საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი. რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი.



**არაბული ზაქრო ობოლას ძე,** დაიბადა 1929 წლის 25 თებერვალს დუშეთის რაიონის საბაცალიგოში. 1933 წელს მისი მშობლები გადმოსახლდნენ ახმეტის რაიონის სოფელ ქორუბანში. 1947 წელს დაამთავრა აწყურის საშუალო სკოლა, ოქროს მედალზე.

1948 წელს შევიდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, სატყეო-საინჟინრო ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1952 წელს.

მუშაობდა ახმეტის ხე-ტყის გადამამუშავებელ კომბინატში დამზადების ინჟინერ-ტექნოლოგად. შემდეგ – კომბინატის მთავარ ინჟინრად. 1960–64 წლებში დაუსწრებლად ჩააბარა საკანდიდატო მინიმუმით გათვალისწინებული საგნები და რუსულ ენაზე დაიცვა დისერტაცია. 1972 წელს დაინიშნა ახმეტის რაიონის სატყეო მეურნეობის დირექტორად. შემდეგ – კახეთის რაიონის სატყეო-სამრეწველო კომბინატის გენერალურ დირექტორად, რომელსაც ხელმძღვანელობდა სიცოცხლის ბოლო წლებამდე. იყო დამსახურებული მეტყევე, პერსონალური პენსიონერი, მიღებული აქვს მრავალი ჯილდო.

იყო ქართული პოეზიის უდიდესი მოყვარული ფოლკლორული მასალების შემგროვებელი. გარდაიცვალა 1993 წელს. ზაქრო არაბულის ოჯახის ღირსეულ გამგრძელებლებად დარჩნენ შვილები: ნუგზარი, ზურაბი და ნუნუ; შვილიშვილები: ლევანი, ლუკა, ზაქრო, ივანე, ნათია და ია.



არაბული რევაზ (გიგლა) აკიას ძე დაიბადა ყაზბეგის რაიონის სოფელ ჯუთაში 1936 წლის 25 ნოემბერს. მშობლები – აკია ბერდიას ძე არაბული და ნინო გიორგის ასული არაბული – იყვნენ კოლმეურნეები.

რევაზ არაბულმა 1956 წელს დაამთავრა ორჯონიკიძის მე–19 ქართული საშუალო სკოლა და იმავე წელს შევიდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე. 1961 წლიდან მუშაობდა მშენებლობის სამინისტროს №1 ტრესტში ოსტატად, სამუშაოთა მწარმოებლად, უბნის უფროსად.

1970–იან წლებში ორჯერ იმყოფებოდა სამსახურებრივ მივლინებაში იემენის არაბთა რესპუბლიკასა და გვინეაში მშენებლობის უფროს ექსპერტად და მთავარ ინჟინრად.

1970–72 წლებში მუშაობდა რუსთავის ხე-ტყის დასამუშავებელი კომბინატის მთავარ ინჟინრად და დირექტორად.

1978 წლიდან იყო მე–11 ტრესტის მუდმივმოქმედი სამშენებლო მატარებლის „ელევატორმშენის" უფროსი, ხოლო 1982 წლიდან – მე–11 ტრესტის მთავარი ინჟინერი.

1984–94 წლებში მუშაობდა „საქსოფმშენის" №13 ტრესტის და მშენებლობის სამინისტროს №23 ტრესტის მმართველად.

1994 წელს №13 ტრესტის ბაზაზე დაფუძნდა სააქციო საზოგადოება „ლომისა", რომლის გენერალური დირექტორი ამჟამად არის რევაზ არაბული.

მისი ხელმძღვანელობით აშენდა მრავალი ღირსშესანიშნავი ობიექტი, როგორც სამრეწველო, ასევე სასოფლო-სამეურნეო, კულტურული და სოციალური დანიშნულებისა, ისეთი გიგანტები, როგორიცაა კაჭრეთის პურ-პროდუქტების კომბინატი 120 000 ტონა ხორბლის შესანახი ელევატორით, აბაშის კომბინირებული საკვების ქარხანა, მარნეულის პურ-პროდუქტების ქარხანა, შატილისა

და გუდანის საცხოვრებელი კომპლექსი, გუდაურის, ბაზალეთის შრომის ვეტერანთა პანსიონატი და მრავალი სხვა. რევაზ არაბული დაჯილდოებულია „ხალხთა მეგობრობის“ და საქართველოს რესპუბლიკის ღირსების ორდენებით.



**არაბული სერგო ხვთისოს ძე,** დაიბადა 1927 წლის 15 მარტს დუშეთის რაიონის სოფელ გველეთში, გლეხის ოჯახში. 1936-47 წლებში სწავლობდა დუშეთის რაიონის სოფელ ბარისახოს საშუალო სკოლაში. 1952 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო დუშეთის, შემდეგ სოფელ ანანურის საშუალო სკოლაში ლოგიკისა და ფსიქოლოგიის მასწავლებლად.

1954 წლიდან ცხოვრობდა თბილისში და მუშაობდა ტრესტ „საქართველოს ნაის“, „საქსახნაომრეწვის“, „საქსახაგრომრეწვის“ თბილისის სასწავლო-კურსობრივი კომბინატის დირექტორად.

მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდო – მედალი „შრომითი მამაცობისათვის“.

ჰყავდა მეუღლე და ერთი ქალიშვილი.

გარდაიცვალა 1996 წელს.



**არაბული ფრიდონ ნიკოლოზის ძე,** დაიბადა 1940 წელს დუშეთის რაიონის სოფელ ნოჯიკეთში. 1946 წელს მშობლებთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა თბილისში.

1947-58 წლებში სწავლობდა თბილისის 62-ე საშუალო სკოლაში. 1965 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი. 1957-64 წლებში მონაწილეობდა რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებზე თავისუფალ ჭიდაობაში. აქვს სსრკ სპორტის ოსტატის წოდება. 1965 წლიდან 1989 წლამდე მუშაობდა სამშენებლო ტრესტ „ამიერკავკასიის ტრანსმშენში“ მშენებელ-ოსტატად, სამუშაოთა მწარმოებლად, უბნის უფროსად, მთავარ ინჟინრად. 1989 წელს „საქსოფმშენის“ №13 ტრესტში ჩამოაყალიბა სპეციალიზებული მოძრავი მექანიზებული კოლონა, რომელსაც ხელმძღვანელობდა 1993 წლამდე. 1993 წლიდან არის სამშენებლო სააქციო საზოგადოება „კლდეკარის“ გენერალური დირექტორი.

ფრიდონ არაბულს ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟიშვილი.



**არაბული შალვა ნათელიძის ძე,** დაიბადა 1933 წელს ყაზბეგის რაიონში, სოფელ ჯუთაში, კოლმეურნის ოჯახში. 1955 წელს დაამთავრა დუშეთის რაიონის სოფელ ბარისახოს საშუალო სკოლა და იმავე წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, ჟურნალისტიკის განყოფილებაზე.

1958 წლიდან იყო ყაზბეგის რაიონული გაზეთის „დარიალის“ კორესპონდენტი. გაზეთში აქვეყნებდა წერილებს, მხატვრულ ნარკვევებსა და საკუთარ ლექსებს. 1964 წლიდან ცხოვრობდა დაბა ყაზბეგში და

მუშაობდა რაიონული გაზეთის რედაქციაში სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ. 1978 წლიდან მუშაობდა კომპარტიის ყაზბეგის რაიკომში აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგედ. 1975 წლიდან იყო სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრი. ჰყავდა მეუღლე და ერთი შვილი. გარდაიცვალა 1983 წელს.



**არაბული შოთა გიორგის ძე,** დაიბადა 1930 წელს ყაზბეგის რაიონის სოფელ ჯუთაში.

1952 წელს დაამთავრა დუშეთის რაიონის სოფელ ბარისახოს საშუალო სკოლა. 1957 წელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი.

1958–77 წლებში მუშაობდა ყაზბეგის რაიონში სხვადასხვა თანამდებობაზე.

1978-დან 1993 წლამდე იყო რაიონული გაზეთის „დარიალის" რედაქტორი. შემდეგ მუშაობდა გაზეთ „ბეთლემის" რედაქტორად.

1981 წლიდან არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი;

გამოცემული აქვს მოთხრობების ოთხი კრებული.

მისი მოთხრობები დაბეჭდილია მოსკოვში რუსულ, ინგლისურ და ესპანურ ენებზე გამოცემულ ქართველ მწერალთა კრებულებში.

შოთა არაბულის შემოსვლას ქართულ მწერლობაში გულთბილად გამოეხმაურნენ: ნიკო კეცხოველი, რევაზ ჯაფარიძე, ჯანსუღ ღვინჯილია და სხვები. ვინც მხატვრულ ლიტერატურას კითხულობს, აუცილებლად ეხსომება მისი მოთხრობები: „ბაბრი და ხევსურები", „გუდანის ჯვარის ნაყმევი", „მტრების წუთისოფელი", „დარიალის დარაჯი", და სხვ.

შოთა არაბულის უპირველესად აღაშფოთებს სხეობრივი მრწამსი ინტერესებს და ცდილობს, მკითხველს დაანახოს ის, რაც წმინდა და იდეალურია მისი პერსონაჟების სულში.

ჯანსუღ ღვინჯილიამ აღნიშნა, რომ შოთა არაბული ალექსანდრე ყაზბეგის სამწერლო ტრადიციის გამგრძელებელია.

კრიტიკოსის თქმით, მისი გმირები *„დატვირთულნი არიან ღრმა ადამიანური განცდებით, ამაღლებული სულისკვეთებით, ტრადიციების ერთგულებით, მამა-პაპური კანონებითა და კაცური მოვალეობის შეგნებით. ახალ გარემოში, ახალ სიტუაციაში იმ „ლამაზი არსის" გადასარჩენად მიიმართება მწერლის ფიქრი, რომელზეც დიდმა ვაჟა-ფშაველამ მიგვითითა თავის დროზე".*

ისიც უნდა ითქვას, შოთა არაბულის მწერლური ინტერესი მარტო მთის თემატიკით არ იზღუდება; იგი თვალყურს ადევნებს ჩვენს ტრაგიკულ დღევანდელობას და წარმატებით განაგრძობს შემოქმედებით შრომას.



**არაბული შოთა (გიორგი) ჯოყოლას ძე,** დაიბადა დუშეთის რაიონში, ხევსურეთის თიშთა საკრებულოს სოფელ ჩირდილში.

1966 წელს დაამთავრა ბარისახოს საშუალო სკოლა.

1974 წელს – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი.

1977–79 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრის სტაჟიორი (ხელმძღვანელი – პროფესორი მიხეილ სახოკია).

1977 წლიდან მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბოტანიკის განყოფილებაში, ჯერ უმცროს, ხოლო 1993 წლიდან – უფროსი მეცნიერ-მუშაკის თანამდებობაზე.

1993 წლიდან საქართველოს მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს მიერ არჩეულია აღნიშნული განყოფილების ხელმძღვანელად.

არის მრავალი მონოგრაფიის და სამეცნიერო შრომის ავტორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

2002 წელს დიდი ბრიტანეთის კემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრის მიერ საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში შეტანილი წვლილისა და მეცნიერული მიღწევებისათვის შოთა არაბული შეტანილია მსოფლიოს გამოჩენილ ადამიანთა წიგნში და აღნიშნული ორგანიზაციის მიერ დაჯილდოებულია სპეციალური დიპლომითა და მედლით.



**არაბული ნუგზარ სუმბატას ძე,** დაიბადა 1964 წლის 26 ივლისს დუშეთის რაიონის სოფელ გველეთში.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს ტექნიკურ სასწავლებელში რადიო-ტელეაპარატურის სპეციალობით.

პარალელურად ვარჯიშობს სპორტში, ძიუდოსა და მძლეოსნობაში.

მსახურობდა საბჭოთა არმიაში ჩეხოსლოვაკიაში, სადესანტო ნაწილში.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მუშაობს იწყებს ელექტრო-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში.

მონაწილეობს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

1990 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი.

ამჟამად ეწევა სამეწარმეო საქმიანობას ხევსურეთის ალორძინებისათვის.

ჰყავს ქალ-ვაჟი – **ხვთისო და მაია.**

არაგვიშვილი – 35
გარდაბანი – 19,
თბილისი – 16.

არაგვიშვილი, გვარადქცეული მდინარისა და მხარის სახელი არაგვი *(არაგვისპირი, არაგვის პირელი)*.

არაგვიშვილი – არაგვის თავად ერისთავების მოყვარული ურთიერთობა ჰქონდათ შემდეგ საგვარეულოებთან:

ნუგზარ ერისთავი, – იყო ჩოლოყაშვილების სიძე. ცოლად ჰყავდა **მარიამ ჩოლოყაშვილი.**

ზურაბ ერისთავი – იყო კახეთის მეფის თეიმურაზის სიძე, ქალიშვილის ქმარი.

ანნა, ნუგზარ ერისთავის ქალიშვილი. ცოლად ჰყავდა **თეიმურაზ ბაგრატიონს** (მუხრანის მფლობელის).

ოთარ ერისთავი დაქორწინებული იყო ენისელთა მოურავე თავად **მერაბ ჯორჯაძის** ქალიშვილ **მარიამზე.**

ოთარ ერისთავი, დაქორწინებული იყო თავადის ასულ **ანნა-ხანუმ აბაშიძეზე.**

**ანნა-ხანუმი,** თავად **ანდუყაფარ გივი ამილახვრის** ვაჟიშვილის მეუღლე.

**ქეთევანი,** ქსნის ერისთავ თავად **შალვა ერისთავის** მეუღლე.

**თინათინ ერისთავი** – ცოლად ჰყავდა თავად **ლევან პაატას ძე აბაშიძეს.**

ელენე (ლელუკა) – **ფარემუზ ჩოლოყაშვილის** მეუღლე (**ბაბანას ჩოლოყაშვილის** რძალია)

გიორგი ერისთავი – დაქორწინებული იყო თავად **თამაზ ყაფლანიშვილის** (ორბელიანის) ქალიშვილ **დარეჯანზე.**

თინათინ ერისთავი – ნოდარ ციციშვილის ვაჟიშვილს, თავად ვახტანგ ციციშვილის მეუღლე.

ბადურ ერისთავი – დაქორწინებული იყო თავადის ასულ **თამარა ციციშვილზე.**

ანნა-ხანუმ ერისთავი – თავად **პაპუნა ბარათაშვილ (გერმანოზიშვილის)** მეუღლე.

იოსებ პაატას ძე ერისთავი – იყო თავად **ჩოლოყაშვილის** სიძე.

№ პაატას ასული – თავად **ოთარ ჩოლოყაშვილის** მეუღლე.

სარდიონ (სარიდან) ერისთავი – დაქორწინებული იყო **როდამ ბეჟანის ასულ რატიშვილზე.**

ბეჟან ერისთავი – თავად გივი ამილახვარის ქალიშვილის ქმარი.

ანნა გიორგის ასული ერისთავი – ბატონიშვილ **ბექარ ბატონიშვილ (ბაგრატიონის)** მეუღლე.

გულქან (გუქა) ერისთავი – ბატონიშვილ **სიმონ ლევანისძე (ბაგრატიონის)** მეუღლე.

სტეფანე დავითის ძე ერისთავი – ცოლად ჰყავდა **კოშკაროვების** ქალიშვილი.

ბარბარე ერისთავი – **კონსტანტინე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელის** მეუღლე.

გიორგი ბეჟანის ძე ერისთავი – ცოლად ჰყავდა თავადის ასული **ნინო მალხაზის ასული ანდრონიკაშვილი.**

ანნა ბეჟანის ასული ერისთავი – იყო ომან მაყასძე მაყაშვილის მეუღლე.

ივანე რაფაელის ძე ერისთავი – ცოლად ჰყავდა თავადის ასული მაკრინე პაატას ასული ჭავჭავაძე.

დავით რაფაელის ძე ერისთავი – დაქორწინებული იყო თავადის ასულ ნინო ავთანდილის ასულ ამილახვარზე.

გიორგი (კაზო) ერისთავს – ცოლად ჰყავდა (I ქორწინებით) ნინო ლუარსაბის ასული სუმბათაშვილი, მეორედ – თინათინ ალექსანდრეს ასული ჩოლოყაშვილი.

ელენა ალექსანდრეს ასული ერისთავი – ილია ლოგინოვის ძე მანზეას მეუღლე.

იოსებ დავითის ძე ერისთავი – ცოლად ჰყავდა (პირველი) დარია იოსების ასული თუმანიშვილი, მეორედ – რახილა მიხეილის ასული თუმანიშვილი.

ანნა დავითის ასული ერისთავი – გათხოვილი იყო თავად ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძეზე.

ბარბარე დავითის ასული ერისთავი – გათხოვილი იყო თავად ზაქარია ნოშრევანის ძე ჯორჯაძეზე.

მარიამ (მამუცა) გიორგის ასული ერისთავი – თავად ნიკოლოზ ზაქარიას ძე ავალიშვილის მეუღლე.

თამარი გიორგის ასული ერისთავი – თავად ივანე ალექსანდრეს ძე ჯანდიერის მეუღლე.

მიხეილ გიორგის ძე ერისთავი – ცოლად ჰყავდა თავადის ასული ეკატერინე ალექსანდრეს ასული ვახვახიშვილი.

ნინო გიორგის ასული ერისთავი – ცოლად ჰყავდა თავად ვასილ გიორგის ძე ფაველენიშვილს.

ბარბარე რაფაელის ასული ერისთავი – ცოლად ჰყავდა ნიკოლოზ გრიგოლის ძე ხიმშიაშვილს.

ფედოსია რაფაელის ასული ერისთავი – ცოლად ჰყავდა ლევან ალექსანდრეს ძე მაყაშვილს.

ელენე რაფაელის ასული ერისთავი – გათხოვილი იყო თავად გიორგი დავითის ძე ტუსიშვილზე.

დავით იოსების ძე ერისთავი – დაქორწინებული იყო თავადის ასულ ანნა ალექსანდრეს ასულ ანდრონიკაშვილზე.

ნიკოლოზ იოსების ძე ერისთავი – დაქორწინებული იყო თავადის ასულ ელენე (ნენე) გიორგის ასულ მაყაშვილზე.

ნინო დავითის ასული ერისთავი – ცოლად ჰყავდა თავად ენიკოე სარდიონის ძე ფალავას.

მარიამ დავითის ასული ერისთავი – გათხოვილი იყო გერმანე გეტცზე.

სოფიო ნიკოლოზის ასული ერისთავი – იყო თავად გიორგი რევაზის ძე ჩოლოყაშვილის მეუღლე.

არაზაშვილი – 26
თბილისი – 12,
ქუთაისი – 9,
სიონი – 5.

არავიაშვილი – 220
(თბილისი – 67,
საგარეჯო – 48,
თელავი – 30).

**არაზაშვილი არაზა** – ოფრეთელი; მას. ასატურასა და თუმინას ეკავათ მიწა. რომელსაც მას ეკავებოდა მარიამ დედოფლის ყმა. ალიხანა (იაგულაშვილი). დედოფლის ბრძანებით. დავა გაარჩიეს სომხეთის მელიქმა ყორხმაზბეგმა და ოფიერის მოურავმა აფთანდილმა. სადაო მიწის ადგილას ადრე ტყე ყოფილა. რომელიც ხორხმელელებს ეკუთვნოდათ. ოფრეთელებს ეს ტყე გაუკაფავათ. ამიტომ მარიამ დედოფალმა ეს მიწა ალიხანას მიაკუთვნა (1634-1675 წწ.)

არათანაშვილი – 45
დუშეთი – 22,
რუსთავი – 6,
თბილისი – 5.

**არათანაშვილი** გვარის ფუძეა საკუთარი სახელი არათანა. შდრ.

არავაძე – 34
გურჯაანი – 14,
თელავი – 20;

**არათანაშვილები** – გენაფერისის მცხოვრებნი. შედიოდნენ წილკნელის სამწყსოში ...რამა არ ელოთ". თუ მათი სახლის უფროსი კაცი ან ქალი მოკვდებოდა. უნდა გადაეხადათ საწესჩველო სარგო: კაცზე მისული საწირავი. ცხენი. იარაღი. ქალზე – ერთი საწირავი და ერთი ნიშანი. ერთ დღეს მღვდლის მასპინძლობა. ერთი დღის ნაყენება. ხარი და მარხილი (1669 წ.).

არაძელაშვილი – 47
(თელავი – 11,
თბილისი – 10,
კასპი – 5).

**არაქელაშვილი||არაბელაშვილი||არაქელაანთი** არაქელა ქართული სახელია. **არაქელა** იმერეთში ქუთაისხარულ კაცს ჰქვია. საკმარისია, ამ სახელს მოაბა რუსული ფორმანტი ოვი და მაშინ ჰგონიათ, რომ იგი სომხურია. აქ ის ფაქტიც მუშაობს, რომ სომხებთან არის გვარი **არაქელიანი**.

არაქელოვების გარკვეული ნაწილი საქართველოში **არაქელაშვილები** და ქართველები არიან. კიდევ ერთხელ ვაფიქსირებთ, რომ **არაქელაშვილი ქართული გვარსახელია.**

**არაქელაშვილი ბერუა** – მოწმე სარქის ხერხაშვილის მიერ მეარღე შერმაზანასათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1682 წ.).

**არაქელაშვილი გიორგი** – მის მიწამდე მიჰყიდა სეხნია საგინაშვილმა ვარდუა მარქარაშვილს თავისი სამკვიდრო მამული (1690 წ.).

**არაქელასშვილი დავითა** – ბეჟან ზაქუმისშვილის ყოფილი ყმა, ჰყავს ძმა ალა. რომელთან ერთად უღალატა თავის ბატონს და გადაიხვეწა. მისი წილქილი, რომელიც ადრე ეკუთვნოდა ხოსროვა დალალაშვილის ყმას – პარავაშვილს. ბეჟან ზაქუმიშვილმა მიჰყიდა ისევ ხოსროვა დალალაშვილს (1664 წ.).

**არაქელაშვილი წატურა** – ლორისთავეს მცხოვრები. იგი, მამულიანური მიჰყიდა გუგუნა ბარათაშვილმა მდივანბეგ ვახტანგ (ბარათაშვილს) (1681 წ.).

**არაყიშვილი არაყიშვილი** *(იხ. ჯავახიშვილი. ქართული მუსიკ. ისტ. საკ. 24.25_ დიმიტრი არაყიშვილი).* პროფესია – მოსაქმეობის ტერმინი არაყი (თურქ.)



**არაყიშვილი დიმიტრი იგნატეს ძე** (11(23). II, 1873, ვლადიკავკაზი (ახლანდელი ორჯონიკიძე). – 13. VIII. 1953 თბილისი), კომპოზიტორი, მუსიკათმცოდნე-ეთნოგრაფი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ქართული პროფესიული მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქართველოს სახალხო არტისტი (1929), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1950), სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. მუსიკისადმი სიყვარული არაყიშვილს გაუღვივა ლადო აღნიაშვილის ქართულმა გუნდმა *(ხელმძღვანელი ი. რატილი)*, რომელსაც პირველად 1890 წელს მოუსმინა არმავირში, სადაც თავისი ჭაბუკობის წლები გაატარა. ამ პერიოდს განეკუთვნება მისი პირველი ნაწარმოებები – რომანსი *„ჩემო მკერდ-ლო, ტიკო, ტიკო"* *(ლექსი ი. ჭავჭავაძისა)* და ქართული ცეკვა ფორტეპიანოსათვის. 1894–1901 წწ. არაყიშვილი სწავლობდა მოსკოვის ფილარმონიული საზოგადოების სამუსიკო დრამატულ სასწავლებელში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა.

1906 წელს დ. არაყიშვილმა მოწინავე რუს მუსიკოსებთან ერთად მოსკოვში საფუძველი ჩაუყარა „სახალხო კონსერვატორიას", სადაც თვითონაც ასწავლიდა. მისი პირადი თაოსნობითა და ღვაწლით 1808 წელს მოსკოვში გამოვიდა ჟურნალი „მუზიკა ი ჟიზნ", რომელსაც რამდენიმე წლის განმავლობაში თვითონვე რედაქტორობდა. მოსკოვში მოღვაწეობის პერიოდს განეკუთვნება მისი ოცზე მეტი საუკეთესო რომანსი, ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე" (1904), რომელიც 1919 წელს თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე დაიდგა *(ამ ნაწარმოებით იწყება ქართული ეროვნული ოპერის სცენური ისტორია.)* სიმფონიური სურათი „ჰიმნი ორმუზდე" *(„საზანდრებს შორის", 1911)* და ბევრი საგუნდო ნაწარმოები.

1918 წელს დიმიტრი არაყიშვილი საქართველოში გადმოსახლდა. მთავარ ამოცანად მან მუსიკოსთა ახალგაზრდა კადრების მომზადება დაისახა. 1921 წელს თბილისში მისი უშუალო ინიციატივით დაარსდა მეორე კონსერვატორია, რომელთანაც ჩამოყალიბდა საგუნდო კლასი, სიმებიანი კვარტეტი, საოპერო სტუდია. 1926–1930 წ.-ში არაყიშვილი იყო თბილისის კონსერვატორიის *(1923 წ. ორივე კონსერვატორია გაერთიანდა)* დირექტორი, კათედრის გამგე, საკომპოზიციო ფაკულტეტის დეკანი. 1932 წელს იგი სათავეში ჩაუდგა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირს. საბჭოთა პერიოდში დ. არაყიშვილის შემოქმედება გამდიდრდა სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებით *(კომ. ოპერა „დინარა", სიმფონიები, კანტიდა)*.

არაყიშვილის მემკვიდრეობის ყველაზე ვრცელი და მნიშვნელოვანი დარგია კამერულ-ვოკალური ლირიკა. ამ ჟანრში კომპოზიტორმა ჭეშმარიტად კლასიკური მნიშვნელობის ნიმუშები შექმნა– *(დაწვრ. იხ. ქს. ტ. 1. თბ., 1975, გვ. 45)*.

**არაჩემია,** (შდრ.: **ჩემია**), არ უარყოფს, გვეუბნება, რომ „არაა" ჩემი, და არა დაჩემებული, როგორადაც ბ-ნ ჯომიდავას მიაჩნია. მას არაფერი აქვს საერთო

*იაკობ არაყიშვილი*

**არაჩაშვილი – 92**
**თბილისი – 26,**
**დუშეთი – 32,**
**მცხეთა – 19.**

**არაჩემია 89**
**ზუგდიდი – 36,**
**თბილისი – 22,**
**სენაკი – 13.**

არჩქაშვილთან.

ჯომიდავას მიერ მოტანილი ინფორმაციით, თითქოს **არაჩემია** შედის ყველაზე გავრცელებულ 1000 გვარში და იგი 551-ე ადგილზეა.

**არაცულია,** უნდა გულისხმობდეს **უცულო-ს,** ცული რომ არა აქვს. ცული სხვაა და წალდი სხვა.

**არახამია 1522 (765)**
**ზუგდიდი – 404,**
**ჩხოროწყუ – 209,**
**თბილისი – 152.**

**არახამია,** ვიდრე გვარის ძირის წარმოშობაზე ვიტყოდეთ, აუცილებლად უნდა გაირკვეს **არ, არა-ს** მნიშვნელობა. კონკრეტულად გვარში **არახამია** რომელია ფუძე – **არახამი** თუ **ხამი.** ვიდრე ამ კითხვაზე არ გავცემთ პასუხს, ვერ ამოვხსნით მართებულად ყველა იმ ქვემოთ აღწერილ გვარს, რომლებიც არ და არა-თია ნაწარმოები: **არახამია (-არაჰამია), არაჩემია, არდია, არნანია** და სხვ.

**სულხან-საბა ორბელიანი** *„ლექსიკონი ქართულში"* წერს: *„არას ნაკლები. არასაგით არ არიელ არის. არს. არსება. არ აუარებდით. აუარებელი. ვარა. ვიარვიარა. არა უქმნელობის უარი. ერ. არ უარის თქმა"* (*I. გვ. 59-60*).

არაა მართალი ბ-ნი ნიკოლოზ ჯომიდავა როცა წერს, რომ **არახამია** ბიბლიურ სახელ **აბრაჰამიდან** მომდინარეობს. იგი სტოვებს თავკიდურ ასო ა-ს, აცლის ბ მომდევნო ასოს და გამოჰყავს **არაჰამი (-არახამია).** ვარაუდით, **არა** არის პრეფიქსი, ხოლო გვარის ძირია **ხამი.** *„ხამი ესე გლეხთაგან მიღებული არს და სახელ-სდებენ პირტახტთა აგარაკთა და გამოუჭვავეთა ცხოვლთა და აბრეშუმთა. ჩვეულებისა დარავინდრა სხვათა.* ***ხამად*** *ითქმის ცხენი ნაბამი ნასუქარი. განა გამოუჭვეველი რაიმე. გაუხედნავი.* ***ხამი*** *სხეული სამოსელი"* (*ტ. II. გვ. 414-415*).

**არახამია** (გახარა), არახამიაში ნოხორი. დაბა ჩხოროწყუ (ჩხოროწყუს რ-ნი).



**არახამია გონელი მიხეილის ძე** დაიბადა 1957 წლის 28 იანვარს ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირში. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა 1974 წელს. იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1979 წელს. შემდგომ, 1980-1988 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. იქვე, 1984 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე *„ძეგლი ერისთავთა, როგორც ისტორიული წყარო"*, ხოლო სადოქტორო დისერტაცია დაიცვა 1995 წელს თემაზე: *„ქართლის ცხოვრების" პირველი მატიანის წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული შესწავლის საკითხები"*.

1989-1993 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფილიალის ზუგ-

ლოლის სამეცნიერო ცენტრის და ისტორიული მუზეუმის დირექტორად. ამავე დროს, 1991–1996 წლებში მუშაობდა ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგედ. 1996–2001 წლებში იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანი და ისტორიის კათედრის გამგე. 2002 წლის აპრილიდან არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეგრელოს სამხარეო სამეცნიერო ცენტრის დირექტორი. პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა თბილისისა და ზუგდიდის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. ის 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის, ოთხი წიგნის ავტორია. მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროა შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის პრობლემები. გამოქვეყნებული აქვს შემდეგი წიგნები:

1. „ძველი ქართული საგვარეულო მატიანეები“, თბილისი, 1988;

2. „სუმბატ დავითის ძის ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“ (გამოკვლევა და ტექსტი. თბ., 1990;).

3. „ქართლის ცხოვრების“ პირველი მატიანე, თბ., 2002;

4. „ოდიშის სამთავროს ისტორიიდან“, თბ., 2001.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

**არახჩიაშვილი** [წარმომდგარია მეტსახელ არაჩხ-იდან. შეადარეთ: არახჩინ-ი (თურქ.) *თხელი ქსოვილის საშინაო ქუდი]*

ქართულ ისტორიულ წყაროებში ნახსენებია: „ჩხეიძე იმერეთიდან გადმოსული თავადია. XVII საუკუნის პირველ ნახევარში ის უკვე ქართლშია. აზნაურთა დიდი ნაწილი, როგორც ჩანს, თან გადმოჰყოლია.

ჩხეიძეს, როგორც მასალები გვიჩვენებს, ტრაქტატის სიაში დასახელებულ აზნაურებს გარდა, კიდევ ერთი აზნაური ჰყავს – არახჩიაშვილი.

1788 წლის სეხნია ჩხეიძე ნასყიდობის წიგნს აძლევს აბაშიძეს, სადაც წერს: *„დამჯერია და მოგყიდეთ ჩვენის ყმის აზნაურიშვილის გიორგისა და ვახუშტი არახჩიაშვილის მამულ-ადგილი“ (სცსსა, ფ. 1450, დავთ. № 34, საბ. № 150).* ქართლის თავადის ჩხეიძის საბუთში არახჩიაშვილი XVIII საუკუნის ბოლოდან გვხვდება.

| |
|---|
| არგანაშვილი 86 |
| თბილისი – 45, |
| დუშეთი – 23, |
| ასპინძა – 7. |
| არღანაშვილი 22 |
| თბილისი– 19, |
| ქუთაისი –3. |

**არბოლიშვილი**, *ერედვი* (ცხინვალის რაიონი), *ოსიაური* (ქარელის რაიონი);

– არბოლიშვილი (– *არბო-ელი*), სადაურობის სიტყვა არბოელი: არბო სოფელია გორის რაიონში (იხ. *ილ. მაისურაძე, სიდან მოდის ქართული გვარი? გაზეთი „კომუნისტი“, №189, 17. VIII. 1974*).

**არგანაშვილი//არგანაური//არგანაიძე** არგანაშვილების წინარე გვარია არგანაური–არგანაიძე–არგანაშვილი. ასეთია გვარის ევოლუცია.

**არგანაშვილი//არღანაშვილი.** ქართულ სინამდვილეში ბევრი გვარი მუსიკალური ინსტრუმენტების სახელებიდანაა ნაწარმოები.

ჩვენს მიერ ნახულ კრებულში (თეთრიწყაროს რაიონი) 1781 წლის დათარიღებულ გუჯრის ქვეშ **ალთუნა აზიაშვილი** – მესტვირე. ცოტა ხანში იმავე რაიონის სოფელ ქვაგეთში ცხოვრობდა გვარის – **მესტვირიშვილი** (1875 წ.). ამავე გზითაა შექმნილი გვარები: **მედოლიშვილი, მენაღარაშვილი** (*მენაღარე, ნაღარის დამკვრელი ან მკეთებელი*). **მექანარიშვილი** – მოსაქმეობის სახელი მექანარე – ქნარის გამკეთებელ-დამკვრელი; სოფელ თელავში ცხოვრობენ **მექანარიშვილები**, რომელთა წინაპარი ქნარის დამკვრელი მუსიკოსი ანუ მექანარე ყოფილა (*ს. მაკალათია, კახეთის ხეობა. (1960). გვ. 15*). შდრ.: **არუთინიშვილი** (*თურქ.-სპარ. სული – არუთინი, იგივეა რაც მექანარე. მესინჯე (მეზინჯე) – სინჯის მკვეთელი, დამკვრელი" (იხ. ივანე ასლანიშვილი. ქართული გვარსახელები. თბ. 1994. გვ. 221–222*). სოგვარი შეცვლილით **არგანაშვილსა** და **არღანაშვილს** აიგივებენ. საბა ბრძანებს: *„არგანი ჯოხიან ნახევ. არგანი არის კვერთხი უსხირი. საბრძნეულად და დასაყრდნობელად კაცთა უკეთურთათვის" (საბა. ტ. II. გვ. 461).*

**არღან-ი** (*არღნისა*) მექანიკური სამუსიკო საკრავია. წარმოადგენს დიდ ყუთს, რომელსაც მხარზე იკიდებენ ღვედით; უკრავენ ტარის ტრიალით (*ქეგლ. 38*).

**არგანაშვილი** მომდინარეობს შერქმეული (მეტ)სახელიდან. **არგან-ა.**

**შენიშვნა:** ჩვენი აზრით, ორი განსხვავებული გვარით გვაქვს საქმე. **არგანაშვილი** ნაწარმოები უნდა იყოს **არგანი-დან.**

**არგანი (არგნისა)** (ძვ.) გრძელი საბჯენი ჯოხი (*ქეგლ. 37*). **არღანაშვილი** კი მუსიკალური საკრავიდან – **არღან-ი.**

**არგანაშვილები** ეტყობა ჯოხებს ამზადებდნენ და გვარი მოსაქმეობის აღმნიშვნელია. მეორე გვარი კი **არღან-თანაა** დაკავშირებული (*ი.ა.*).

**არგუნაია (–არღუნაია?).** არგუნ-ი *ნაჯახს* ნიშნავს. ამ შემთხვევაში უბრალოდ შემთხვევით დამთხვევასთან უნდა გვქონდეს საქმე. **არგუნა-ია** ჩვენი აზრით არითრონით გაწყობილი გვარია. **არ** არითრონია, **გუნა** საკუთარი სახელი, **ია** კი სუფიქსი. იხ. საკუთარი სახელი გუნა (*დოკ. 423. ალ. ღლ. 108*). იგივე გვარი გვხვდება ფორმით **არგუსია.** არსებობს ტოპონიმები: **გაარგუს** – *ეკლე-მორცვი ენქორეთში (პატარა ინგირი). ნაარგუს(ი) – მინდორი მინდორი საადგილოში და სახნავი გალის საგურაპოში.* არგუსიაში არგუს **აგვისტოში დაბადებულს** უკავშირებენ. *შდრ.:* **არგუს ავგუსტინე** (*პ. ცხადაია, 52*).

**არგუნაია** მოიხსენიება X საუკუნის 30-იან წლებში გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში.

**არგუნაიას** აფხაზურ ვარიანტადაა მიჩნეული **არგუნი (–არღუნი).**

**არდაზდიანიშვილი//არდაზიანდიშვილი//არდაზიშვილი//არდაზიან//აედოზანაშვილიდან მომდინარეობს გვარები: ყორღანაშვილი, როინაშვილი, როსტომაშვილი, მერაბისშვილი, მდივანაშვილი (–მდივნიშვილი).**

არდაზდიანიშვილები (ბარათაშვილები) გაყრის წიგნის მიხედვით, გერმანოზსა და მის ძმებს: თაყას, გოსტაშაბს, ფალავან-ხოსროს ერგოთ ანნაურიშვილები არდაზდიანიშვილები *(1523 წ. შდ-1299ა).*

არდაზიანი დღეისათვის იშვიათობაა.

არდაზიანთა გვარის წარმოშობის შესახებ არსებობს ასეთი გადმოცემა: საშუალო საუკუნეებში არდაზიანები მესხეთის სოფელ ვანაში მოსახლეობდნენ. ერთხელ ამ მხარეს გარეშე მტრები შემოსევიან და იქაურობა აუოხრებიათ. მტრებთან ბრძოლაში სხვებთან ერთად არდაზიანებიც ჩაბმულან. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ არდაზიანთა გვარის ერთი წარმომადგენელი ქართლში გადმოსულა. გადმოცემა მოგვითხრობს, რომ ქართლში ხალხმა მას არდაზიანდი უწოდა, ბრძოლიდან დაუზიანებლად გამოსვლის გამო დაარქვა და აქედან მოდის გვარი არდაზიანიო.

სინამდვილეში, ეს არის ლეგენდა არდაზიანთა გვარეულობაზე. ამ გვარის წარმოშობას ნამდვილი ისტორიული საფუძველი აქვს. ეს გვარი სხვა ქართული გვარეულობის განშტოებას წარმოადგენს და მისგან არის წარმოშობილი.

არდაზიანი, რაც დღეს გვარის აღმნიშვნელია, წინათ მხოლოდ კაცის სახელი იყო. მაგალითად, 1522 წელს ქართლის მეფე ლუარსაბ პირველის მიერ ქვათახევის მონასტრისათვის მიცემულ სიგელში მოხსენიებული არიან ძმები **არდაზიანი და რამაზი.** სახელი **არდაზიანი** შემდეგ გავრცელებულია ცნობილ ქართულ გვარეულობა **ყორღანაშვილებში,** რომლებიც ქვემო ქართლში მოსახლეობდნენ და თავად ბარათაშვილთა აზნაურები იყვნენ.

ირკვევა, რომ სახელი **არდაზიანი** **ყორღანაშვილთა** გვარში ჯერ კიდევ XVI საუკუნის პირველ ნახევარში ყოფილა დამკვიდრებული. ამას მოწმობს 1523 წელს შედგენილი ბარათაშვილთა გაყრილობის წიგნი, სადაც ყორღანაშვილთა ერთი განშტოება უკვე **არდაზიანის** შვილებად იწოდებიან.

არდაზიანი, როგორც სახელი, შემდეგშიც ფართოდ იყო გავრცელებული. 1742 წლის 29 ოქტომბრით დათარიღებულ არდაზიან ყორღანაშვილისა და ოსეფა ებინაშვილის მამულის ნასყიდობის სიგელსა და წიგნში მოხსენიებულია ვანათელი ყორღანაშვილი არდაზიანი. აქვე მოხსენიებული არიან ყორღანაშვილთა განაყოფები უკვე გვარით **არდაზიანები – გაბრიელი და გიორგი.**

ასევე, ქართლის მეფე როსტომის მიერ 1634 წლის 27 ივნისს სამეფო მდივან-მწიგნობარი მერაბ ყორღანაშვილისადმი ბოძებულ მამულის თარხნობის წიგნში იხსენიება **არდაზიანი (ყორღანაშვილი).**

არდაზიანთა ყორღანაშვილებისაგან ჩამომავლობას ადასტურებს აგრეთვე XIX საუკუნის მოღვაწე პეტრე არდაზიანი (მწერალ ლავრენტი არდაზიანის მამა).

ამრიგად, არდაზიანთა გვარეულობას საფუძველი დაუდო არდაზიან ყორღანაშვილმა, რომლის შვილები შემდეგ უკვე იწოდებოდნენ, როგორც არდაზიანები.

გამოჩენილი ქართველი მწერალი, ქართული რეალისტური პროზის ერთ-ერთი

ფუძეშლილი ლავრენტი არდაზიანიც მისი მოამიმავალი იყო (იხ. გაზ. „თბილისი“, *10 აგვისტო, 1964 წ. ე. სილაშისიძე. „საიდან წარმოდგა არდაზიანთა გვარი?“).*

არდაზიანები ატარებენ აგრეთვე გვარს – არდაზიანიშვილი. „არდაზიანიშვილები *– როსტომ მეფემ ბარღოუ ყორღანაშვილის უწყალობა მათი ნაქონი ყმა-მამული: სოფელი ვანათი, ერთი გლეხი, ერთი ნასახლი საკომლო (1635 წ. IX.10. ქდ-2432). იქვე მოიხსენიებიან არდაზიანიშვილი გიორგი, პაპუნა, შიოშ, ელარიონ, პაპუნა, შიოშ (მეორე), გიორგი (მეორე)“ (ძეგლ. I, გვ. 165) (იხ. ყორღანაშვილი).*

ყორღანაშვილი მომდინარეობს ორი გვარიდან, ორი გვარის შტო-გვარია: არდაზიანიშვილ=არდაზიანებიდან და შანშიაშვილებისაგან (იხ. შანშიაშვილი).

ყორღანი (ყორღნისა) თურქული. *1. (ძვ.) მეზობლების მიწებს შორის გაკეთებული სასაზღვრო ნიშანი. ქვების გროვა მიწაზე – სამანი. – სასაზღვრო ყორღანები. 2. საფლავზე გაკეთებული მაღალი ბორცვი (ძველად ასეთ დაკრძალული მეხაშიში, თეთრიწყაროს რ-ნი, გმირი ქალი – ანა-ბაგი. – ი.ა.). ყორღანი – საერთოდ ბორცვი* (ქეგლ. 467). შემდგომში ტერმინი ყორღან-ი საკუთარ სახელადაც ქცეულა და მასზე დაშენებულა აზნაურ შანშიაშვილთა შტო-გვარის ყორღანასშვილი.

ყორღანოვი რუსიფიცირებული ფორმაა, გვარის მფლობელები ყოფილი შანშიაშვილ-ყორღანაშვილები არიან. მათ შეუძლიათ აღიდგინონ მამაპაპური გვარი *(ი.ა.).*

ყორღანაშვილთა გვარი ასეთნაირად წარმოიდგინება:

| |
|---|
| **ყორღანაშვილი 411** |
| **საგარეჯო – 121,** |
| **თბილისი – 95,** |
| **სიღნაღი – 84;** |
| **შდრ.: ყორღანოვი 20** |
| **თბილისი – 10,** |
| **თელავი – 4,** |
| **სიღნაღი – 6.** |

შანშიაშვილი–ყორღანაშვილი–ყორღანოვი–ორბაშვილი–ავთანდილაშვილი–ისეთაშვილი–როსტომაშვილი–ავთანდილაშვილი–გაბრიელაშვილი–არდაზიანიშვილი–მღვდელაშვილი–დავითაშვილი–არდაზიანი–რამაზიშვილი–მერაბიშვილი

ყორღანაშვილების გვარი მომდინარეობს აგრეთვე არდაზიანიშვილ–არდაზიანებიდან.

ყორღანაშვილი ყორღანა მოიხსენიება 1737 წელს ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში, რომელსაც ისე რთინიშვილ-ყორღანაშვილი აძლევს თავის ბიძაშვილს ზაალ როსტომაშვილს *(სცსსა. ფ. 266. № 3908; დოკ. I, 267);* ყორღანა, ციხისელი მებატონე იხსენიება 1693 წელს ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში, რომელსაც მეფე ნაზარალი-ხანი *(ერეკლე I)* აძლევს ვახტანგ ბარათაშვილს (დოკ. I, 92).

არდაზიანდი//ყორღანაშვილი//არდაზიანის გვარი აწარმოა არდაზა ყორღანაშვილმა. არდაზიანდი როსტომ მეფის მიერ მერაბ ყორღანაშვილისთვის მიცემულ მამულის თარხნობის წიგნში აღნიშნულია, რომ მას ეკუთვნოდა სოფლები: შავნი, ფიცხისი და მოქრისი *(1634 წ. VI. 27. 1448-3265).*

. არდაზიანიშვილები – [ბარათაშვილების] გაყრის წიგნის მიხედვით, გერმანოზსა და მის ძმებს თაყას, გოსტაშაბს, ფალავან ზოსიმს ერგოთ აზნაურიშვილები

არდაზმიანიშვილები *(1523 წ. შდ–12993)*.1

1. ბარათაშვილთა პირველი გაყრა მოხდა 1523 წ. შემოქმედში თაყამ, გოსტაშაბმა და ფალავანხოსრო ბარათაშვილებმა აწარმოეს გვარები: თაყაშვილი, გოსტაშაბიშვილი, ფალავანხოსროშვილი (ქაიხოსროშვილი); გერმანოზმა კი – გერმანოზიშვილი.

არდაზდიანიშვილები – როსტომ მეფემ იარალი ყორღანაშვილის უწყალობა მათი ნაქონი ყმა-მამული: სოფელი ვანანი, ერთი ღლეხი, ერთი ნაოხარი საკომლო *(1635 წ. IX.10. შდ–2432)*.

არდაზდიანიშვილი – როსტომ მეფემ ფარეშთუხუცეს პაატა ჯავახიშვილს განუახლა წოლორეთის მისივე მკვიდრი მამულის წყალობა არდაზდიანიშვილისაგან ნაყიდ მამულიან ერთად *(1651 წ. შდ–14426)*.

არდაზიანდიშვილი გიორგი – პყავეს ძმა პაპუნა, შვილი შიოშ, მათთან ერთად იხსენიება როსტომ მეფის მიერ მერაბ ყორღანაშვილისათვის მიცემულ მამულის წყალობის წიგნში. იგი ძმასთან ერთად ლალა-ფაშას დროს ლისიდან აყრილა და ხიზნად მისულა შავნში. შავნი, მოქრისი და ფიცხისი სვიმონ მეფისაგან „უშოვია“. შავნზე შესცილებიან იოვანე და ამილახვარი გოსტაშაბისშვილები, რომელთაგან გამოუსყიდია ეს სოფელი. მისი [შვილი], შიოშ ლუარსაბ მეფეს გაპყოლია *(1635 წ. IX.10. შდ–2432)*.

ყორღანაშვილი, ყორღაანი (სიხინჯარი) იყვნენ მებატონეები.

ყორღანაანთ ყმებისა და მამულების აღწერილობას შეიცავს მეფე ვახტანგ VI-ის ბრძანებით 1710 წლის 10 მაისს ზურაბ ერისთავისძისა და წინწყაროს მამასახლისის ავთანდილას მიერ შედგენილი ბარათაანთ და ყორღანაანთ ყმების ხარჯის გარიგება. მას ვან ერთის სახასო ყმათა ნუსხა *(საქ. მუზ. № 10. 380. შდ: დოკ. I. 143)*.

1721 წლის აღწერით ალგეთის ციხეში უყმო დამოუკიდებელ აზნაურებად მოიხსენიებიან: ავთანდილა, ავთანდილა (მეორე), ასლამაზა, ზაზა, თამაზა, იონათამი, კახაბერ, კაცია, მანუჩარა, ნაზარა, ოთარა, პაპა, პაპა (მეორე), როსტა ყორღანაშვილები *(იასონ ლორთქიფანიძე. ქვ. ქართლი. 24. 77. 83. 121. 131)*; დასტურლამალში იხსენიებიან: კახაბერი. პაპა. კაცია. პაპა (მეორე) – ხაზინის ასნაფები. მანუჩარი – სარქარი. ასლამაზა– ყაფიჩი (ყაფიჩი-მეკარე პეტრე უმიკაშვილი), ავთანდილა იასაული *(იას. ლორთქ. 471)*.

ყორღანაშვილების მრავალრიცხოვანი და განშტოებული საგვარეულოს ისტორიისათვის უხვ მასალას გვაწვდიან სიგელ-გუჯრები, ვახუშტი ბატონიშვილის სტატისტიკური აღწერა ქვემო ქართლისა XVIII ს-ის I მეოთხედში და მის საფუძველზე იასონ ლორთქიფანიძის გამოკვლევა-ანალიზი, რომელიც შესულია 1935 და 1938 წლებში გამოცემულ სქელტანიან წიგნებში „ქვემო ქართლი“, *ნაწ. I და II, ნაწილი III და IV.*

პირველი წიგნის 34 პარაგრაფი ეძღვნება აზნაურ ყორღანაშვილებს. საბუთებით დგინდება, რომ არდაზდიანი//არდაზდიანიშვილებმა აწარმოეს გვარები:

მერაბისშვილები, ავდროხანაშვილები და სხვ. არდაზიანიშვილ–ყორღანაშვილები 1523 წლის ეძლევიან ქაითარ ბარათაშვილის შვილებს სოფ. ციხის (71. 814); როგორც ითქვა, ლილა–ფავშის დროის არდაზიანიშვილებს (ყორღანაშვილების წინაპარი) ეჭირათ მეფე სვიმონისაგან მიქრისი, ფაცხისი და შავთა *(71–448. 671. 753)*.

ყორღანაშვილები – ავდროხანაშვილები–არდაზიანიშვილები–მერაბისშვილები იხსენიებიან 1702 წლის *(სიძ. I. № 370)*; 1635 წელს *(ისტ. საბ. IV)*;

ასიტა ყორღანაშვილ//არდაზიანიშვილს 1702 წლის აკურის'ში უმკვიდრებენ ორ კომლს (იას. ლორთქ. 71–25);

ყორღანაშვილ//არდაზიანიშვილი მერაბი 1735 წელს ტფილელს ეძლევა სოფ. ფიცხისს *(იქვე. 71–671)*.

აბაშ ყორღანაშვილ//მერაბიშვილი 1736 წ. იმავე ტფილელს ეძლევა სოფ. უკან დალეთის (იქვე. 71–185).

ყორღანაშვილები–არდაზიანი 1742 წ. სოფელი ეანეთი *(დოკ. I. 311)*; ყორღანაშვილები აზნაური გოდერძა, ზაალი, როინაშვილი თამაზ, კვესია, პაპის ყმა, როინაშვილი ედიშერი, როინაშვილი, თამაზ მეორე, როინიშვილი ფარსადან, ფარემუზა, ფრიდონა, ქაიხოსრო, 1721 წ. აღწერით მებატონეები, ცხოვრობდნენ და ყმები ჰყავდათ ალგეთში (იქვე. 76. 121).

დასტურლამალი, ფრიდონი – ყაფლან, გოდერძა – შიოამდევა, ზაალი, ედიშერი – ნაზირის ასნაფები; ყორღანაშვილები: ედიშერ, ფარსადან, ქაიხოსრო (ერთად აზნაურები.) 1721 წ., აღწერით, მებატონეები, ცხოვრობდნენ ალგეთში, ყმები ჰყავდათ თრიალეთში (იას. ლორთქ. 472);

ყორღანაშვილები: თაყა, ტარიელ აზნაურები. 1721 წ. აღწერით, მებატონეები, ცხოვრობდნენ ალგეთში (იქვე. 472).

ყორღანაშვილი ოსეფა 1784 წ. მოიჯარადრე მებატონე ელიზბარ დავითაშვილისა სომხითის *(დღევ. ქვემო ქართლი)* სოფელ გოლ'ში *(იქვე. 472)*; მდივან მერაბ ყორღანაშვილის შვილები: შაველა, მდივანა, იარაღი, შვილისშვილები ავთანდილ და პაპუა 1664 წ. ებოძა მერაბის შვილებს სამახარობლო. წინათვე ნაქონი კომლი ენაგეთში (იქვე. 472).

ყორღანაშვილი შიოშ აზნ. 1721 წ. აღწ. ბაქარ მეფის მემამულე. ცხოვრობდა და ყმები ჰყავდა ალგეთ'ში *(იას. ლორთქ. 134. 121)*;

ყორღანაშვილები მოგვიანებით რუსული გაფორმებით ყორღანოვები, – 1886 წ. აღწერით ყორღანოვებს: ქაიხოსრო შანშეს ძე ყორღანოვს ეანეთში ეკუთვნოდა 92 ქცევა მეორე. ხოლო 100 მესამე კატეგორიის სასარგებლო მიწა. შემოსავალი 3, 18 კაპ.; ნიკოლოზ გრიგოლის ძე ყორღანოვს ენაგეთში შესაბამისად 40 და 15, შემოსავალი 1, 83 კაპ.; ვასილ სოლომონის ძე ყორღანოვს პატარა ენაგეთს მეორე კატეგორიის 4 ქცევა, შემოსავალი 0.16 კაპ.; ივანე სოლომონის ძე ყორღანოვს დიდსა და პატარა ენაგეთს 1.22. 2 ქცევა, შემოსავალი 1 მან. 1

კაპ.: **მიხეილ სოლომონის ძე ყორღანოვს** იმავე სოფლებში ჰქონდა სულ 5 ქცევა მიწა, შემოსავალი 26 კაპ.; **ვლადიმერ სტეფანეს ძე ყორღანოვს** პატარა ენაგეთის ჰქონდა მეორე კატეგორიის 5 ქცევა მიწა, შემოსავალი 20 კაპ.; **ანტონ და ადამ სოლომონის ძე ყორღანოვებს** ჰქონდათ I კატეგორიის მიწა 3 ქცევა, მეორე 1449 ხოლო მესამე 280 ქცევა. შემოსავალი 10 მან. და 27 კაპ.; **დავით, ალა და პანო ყორღანოვებს** პატარა ენაგეთს ჰქონდათ 3.122, 100 ქცევა, ე.ი. სულ სამივე კატეგორიის 225 ქცევა. გადასახადი 6 მან. და 69 კაპ.; **იოსებ და პანო ყორღანოვებს** 95 ქცევა, შემოსავალი 16 მან. 10 კაპ. პატარა ენაგეთს მიწები ჰქონდათ: პატარა ენაგეთს **სტეფანე სოლომონის ძე ყორღანოვს.** ყორღანოვების ქვრივს **ეკატერინეს, ზაალს, მიხეილს, ზაქარიას, ვლადიმერს, ელისაბედს, ალექსანდრეს.**

„ბერუა – **ყორღანაშვილის** ყმა. მოწმე მელქუა პაპუასშვილის მიერ ბანდურა ყორღანაშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა ([1700 წ. XII.1450–16/169]).

ერთი საბუთით **ავდროზანა (ყორღანაშვილ=ავდროზანაშვილი)** მიწას ყიდის ოთარ ყორღანაშვილზე. „გარსუაშვილი – მისი გზა ესაზღვრებოდა აედროზანას მიერ ოთარ ყორღანაშვილისათვის მიყიდულ მიწას (1688 წ. 1450–17/28).

„**ყულია გარსევანიშვილი** – მოწმე ყარადალა ყორღანაშვილ–რამაზაშვილის მიერ ფარემუზ ბეყანიშვილისათვის მიცემული ადგილის ნასყიდობის წიგნისა (1612 წ., შიც XVII შუახანები V. 1450–17/14).

**ყორღანაშვილები, როგორც სამეფო აზნაურები,** ეკონომიურად დაწინაურებული და თვალსაჩინო თანამდებობის პირები არიან. ისინი, ისევე, როგორც თურქისტანიშვილები, საგინაშვილები, სააკაძეები და სხვ. ცენტრალურ ხელისუფლებასთან დაახლოებულნი იყვნენ – 1783 წლის ტრაქტატის სიაში 81 სამეფო აზნაურთა შორის ყორღანაშვილები მე–8 ადგილზე მოიხსენიებიან.

ქართველი სამეფო აზნაური ყორღანაშვილების გვარი რუსული ფორმანტით „ოვი" (**ყორღანოვი**) გააფორმეს და კარგახანს შინაური თუ გარეული ალმაცერად უყურებდა. დადგა დრო, ერმაც და ბერმაც იცოდეს, რომ **ყორღანაშვილების გვარი სათავეს არდაზ[დ]იანიშვილებისაგან იღებს.** ამ გვარის ისტორიაშიც იმძლავრა ქართულმა ტრადიციამ და გვარის წევრებმა (წარმომადგენლებმა) **ყორღანამ, როინმა, როსტომმა, ავდროზანამ, რამაზმა, მერაბმა** შესაბამისი გვარები აწარმოა. სახელებიდან გაჩნდა გვარები: **არდაზიანი, არდაზდიანიშვილი, ყორღანაშვილი, როინაშვილი, როსტომაშვილი, მერაბიშვილი, რამაზიშვილი, მდივან–მწიგნობართან მდივნიშვილი (მდივანაშვილი)..** ჰქონიათ ასევე შტოგვარები: **ოსეფასშვილი, გაბრიელისშვილი, დავითისშვილი** და სხვ.

„**აზნაური ყორღანაშვილი.** ამათნი წინაპარნი.. ჰსჩანდნენ დროსა მეფისა ალექსანდრესასა აზნაურადვე მიღებული წელსა 1415–სა, ხოლო უკანასკნელნი ამათნი გვართაგანნი, რომელნიცა ორგულობისა გამო მეფისა გარდაყრილ იქმ–

სენ გულიყარა კლდესა ზედა ალგილსა წოდებულსა და არიან ესენიცა მეორისა ხარისხისა აზნაურად და მქონნი მამულთა სომხითისა შინა. აწ არიან რათ-დენიმე სახლად განყოფილნი: 1. **ოსეფას შვილები; 2. გაბრიელის შვილები; 3. დავითის შვილები** და სხეანი" (საანდაზო ლექსები – 48).

ყორღანაშვილების გვარიდან არაერთი ცნობილი პირია გამოსული. ამას უნდა დაემატოს განაყოფი გვარებიდან (**როინაშვილი, როსტომაშვილი, არდაზიანი, მდივნიშვილი, რამაზიშვილი**) ცნობილი ადამიანები. მათ შესახებ საუბარი გვე-ქნება ასო "ყ"-სა და შესაბამისი ასოებით გაწყობილ ქართული გვარ-სახ-ელების ლექსიკონში.

**არდაშელაშვილი//არდაშერასშვილი//არდაშერაშვილი** [არდაშელ საკუთარი სახელია. **არდაშა** 1687–1690 წ.წ. მგალობელი "შეამდგომელი და გარდამწყვეტი". **არდაშელ** –სვეტიცხოვლის დეკანოზი; **არდაშელ – 1695–1698 წ.წ. ბატონის** მელვინე.. აქედან გვარი **არდაშელაშვილი//არდაშელიშვილი//არდაშერაშვილი]** –373. **არდაშელისშვილებს** ქვემო ქართლში მოსულებად თვლიან და 545 წელს **თავადად** მოიხსენიებენ. *"ამათნი გვარნი მოვიდნენ სომხითსა შინა და დაეშენნენ და მუნიდგან იწოდებიან არდაშერისშვილებად"* (*შემოკლ. აღწერა* – 126). **შავერდა არდაშელაშვილი** – ამირასლან და ბერინა მექვაბიშვილებს, როს-ტომა და ბაისულ ალმურაშვილებს ედავებოდა იმ მამულზე, რომელიც მან დილარგუეისშვილისაგან იყიდა და შემდეგ მექვაბიშვილებსა და ალმურაშვილებს მიჰყიდა. საქმე გაარჩია მდივანბეგმა და სადაო მამული მექვაბიშვილებსა და ალმურაშვილებს მიაკუთვნა *(1638 წ. III.20. Hდ-9814ბ.)*; **დავით არდაშელისშვილი** – წვერელი, ევალებოდა გამოსაღები თორმეტი ლიტრა ქერი (XVII ს. Hდ-6894).

შდრ: **არდაშერასშვილი//არდაშერაშვილი გოგიტა, ლაგაური, მამაგულა, მამუ-ლია, ნადდია, პაპია, შავერდა, შალვა, ჯუანშერა** მოიხსენიებიან XV –XVI ს.ს.-ში *(პალ. I. 165–166)*.

ამავე ძირისაა: **არდაშელია**, შდრ.: **არდემაიშვილი, არდემანაშვილი**.

**არდაზიშვილი** ნაწარმოებია მამაკაცის საკუთარი სახელიდან **არდაზა**. შდრ: **არდაზიანი**.

**არდაზიშვილი 296**
**გურჯაანი – 113,**
**თბილისი – 103,**
**თიანეთი – 46.**

**არდაზა** – კაკაბეთში მცხოვრები. **თეიმურაზ მეფემ** იგი შესწირა ალავერდს თავისი თანამეცხედრის. **ანას** ასულის სააღაპოდ (1612წ.).

**არდაშელია**, **არდაშა** 1687–1690 წწ. *მგალობელი "შეამდგომელი და გარდამწყვეტი"* ნიკოლოზ ამილახორის მიერ ზაალ ქართლისათვის მიცემული სახ-ელობის წყალობის წიგნისა (1687წ.). მოწმე კათალიკოს იოვანე დიასამიძის მიერ გარეჯის კრებულისათვის მიცემული ზვრის შეწირულების წიგნისა (1690 წ.). ვარაუდით **არდაშელიები**

**არდაშელია – 216**
**გვარი გავრცელებულია სამურზაყანოში, ზუგდიდსა და წალენჯიხის რაიონში.**
**ზუგდიდი – 100,**
**თბილისი – 60,**
**წალენჯიხა – 13.**

აღმოსავლეთ საქართველოდან სამეგრელოში გადასული არდაშელიშვილები არიან. მოგვიანებით არდაშერაშვილი არდაშელაშვილი არდაშელიშვილი აზნაურები იყვნენ.

ჯოტო ვარდენის ძე არდაშელია, დაიბადა 1907 წელს, გალში. ცხრაწლედის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო წითელი ჯვრის საზოგადოებაში. ერთნახევარი წლის შემდეგ იგი კომკავშირის სამაზრო კომიტეტმა მიავლინა თბილისის საკურორტოლოგიო ინსტიტუტში სასწავლებლად. მაგრამ მალე ოჯახური პირობების გამო იძულებული გახდა მიეტოვებინა ინსტიტუტი და შესდგომოდა შრომით საქმიანობას თავის მშობლიურ ქალაქში.

50 წლის მანძილზე სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა. აქედან თითქმის ნახევარი საუკუნე ვაჭრობის სისტემაში კეთილსინდისიერად მოღვაწეობდა. 1933 წელს, როცა გალში პირველი რაიკავშირი დააარსეს, ჯოტო არდაშელია მისი საორგანიზაციო განყოფილების უფროს ინსტრუქტორად დანიშნეს. შემდეგ მუშაობდა საქონელმცოდნედ, დირექტორის მოადგილედ, დირექტორად. ოცი წელი იმუშავა გალის სოფლის კოოპერატიის კადრების განყოფილების გამგედ და ეს წლებიც ვაჭრობის სისტემის პატიოსანი კადრებით დაკომპლექტებასა და სახელგატეხილ მუშაკებთან ბრძოლას შეალია.

ბატონ ჯოტოს მარტო ვაჭრობის სისტემაში უმწიკვლო შრომა ეყოფოდა იმისათვის, რომ მშობლიურ რაიონში ყვარებოდათ და დაეფასებინათ. იგი ბოლომდე თავისი სტიქიის ერთგული დარჩა; გულთან ახლოს მიჰქონდა თავისი კუთხის ავ-კარგი.

უზომოდ იყო შეყვარებული მის მშვენიერებაზე – ტყეზე. ამის დასტურად ერთი მაგალითის მოყვანაც კმარა: მან ადგილობრივ და რესპუბლიკურ გაზეთებში პირველმა დაიწყო ბრძოლა აქრის (ოჩაკის) ტყეების ჭრის აღკვეთისათვის. როგორც იტყვიან, რკინის ქალამნები ჩაიცვა, მოიარა ზემო ინსტანციებიც და მიზანსაც მიაღწია.

რესპუბლიკის ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს უყურადღებოდ არ დარჩენია ბუნების ქომაგის ღვაწლი: ბუნების დაცვაში თვალსაჩინო წვლილის შეტანისათვის ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტმა ჯოტო არდაშელია დააჯილდოვა საპატიო ნიშნის მედლით „ბუნების ქომაგი“.

ჯოტო არდაშელიას დიდი ღვაწლი მიუძღვის გალის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის გახსნაში. უანგაროდ იღწვოდა სამურზაყანოს ისტორიული ძეგლების დასაცავად. იგი ხშირად ბეჭდავდა ადგილობრივ გაზეთში წერილებს, მოგონებებს გალის ისტორიულ წარსულზე, მის თვალსაჩინო ადამიანებზე. ტყუილად როდი უწოდებენ მას გალის ცოცხალ მატიანეს.

წავიდა ჩვენგან თავის ქვეყანაზე. მის წარსულსა და მომავალზე უზომოდ შეყვარებული, ღვაწლმოსილი პიროვნება. ჯოტო არდაშელიას სახელი დიდხანს დარჩება ახლობლებისა და თანამემამულეთა შორის.

[illegible]



**არდაშელია ციალა ჯოტოს ასული,** მწერალი, პუბლიცისტი. დაიბადა ქ. გალში (აფხაზეთის ასსრ). მოსამსახურის ოჯახში.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. რამდენიმე წელი მუშაობდა მშობლიურ რაიონში.

1964 წლიდან ცხოვრობს და მოღვაწეობს თბილისში. 1976 წელს გამოვიდა მისი მოთხრობების პირველი წიგნი. ავტორია ორი მხატვრული რომანისა: „დაუნანელი ამირანლები", „ქამი მოვალს!" ისტორიულ-მხატვრული ნარკვევებისა და პუბლიცისტური წერილების კრებულებისა: „ვინ იყო ქვათა ამათა მკვეთი", „კეირილი გვმართებს ღლისით, მზისით", „საუნჯე საუნჯეებისა", „უძლური ჭირისუფალი". მოთხრობების წიგნისა: „საყრდენი," „განგების რკალში" და სხვ. 1964–82 წლებში მუშაობდა ჟურნალ „ცისკარში" ლიტმუშაკად. 1982–1985 წლებში იყო სოხუმში გამომავალი ალმანახის „რიწის" პ/გ მდივანი. 1986–88 წლებში მუშაობდა მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარ სარედაქციო კოლეგიაში უფროს რედაქტორად. 1991 წლიდან დღემდე ჟურნალ „დროშის" თანამშრომელია. ციალა არდაშელია ეროვნული მოძრაობის უხუცესი წარმომადგენელია. იგი ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელია.



**ავთანდილ (ალიკო) ჯოტოს ძე არდაშელია,** დაიბადა ქ. გალში (აფხაზეთის ასსრ).

სოხუმის გორკის სახელობის პედინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, წლების განმავლობაში გალის რაიონის სკოლებში მოღვაწეობდა პედაგოგად. იყო სასწავლო ნაწილის გამგე, დირექტორი.

ბოლო 13 წელი (1991 წლამდე) მუშაობდა გალის რაიონის კულტურის განყოფილების გამგედ. მისი თაოსნობით მრავალი სასიკეთო საქმე გაკეთდა რაიონში. 1983 წელს ქალაქის კულტურის სახლთან ჩამოყალიბდა ბავშვთა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „მაფშალია", რომელიც 1985 წელს ბულგარეთში გამართული ბავშვთა ანსამბლების მე-12 საერთაშორისო ფესტივალზე გახდა სოფიის ფესტივალის პრიზის ოქროს მედლის მფლობელი 1988 წელს. ამავე ანსამბლის ბაზაზე შეიქმნა სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორული ანსამბლი „თუთარჩელა" (ხელმძღვანელი ლ. ლოგუა და ფ. ოკუჯავა). თბილისში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე „ქართული სიმღერა და ქორეოგრაფია" ანსამბლ „თუთარჩელას" პირველი ხარისხის დიპლომი და ლაურეატის საპატიო წოდება მიენიჭა. კულტურის სახლის დაქვემდებარებაში იყო: ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლი „მახარე", ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „აერო", ხალხურ საკრავთა კვარტეტი, ნორჩ გიტარისტთა წრე, ქორეოგრაფიული და სამეჯლისო ცეკვების სტუდიები. ავთანდილ არდაშელიას თაოსნობითვე გალში დაფუძნდა სამხატვრო სასწავლებელი.

მისი მზრუნველობა და ყურადღება არ აკლდა გალის სახალხო თეატრს,

მუსიკალურ სკოლას, ხოლო გალის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი მთელ აფხაზეთში პირველობდა. თბილისშიც ხშირად ჩამოჰყავდათ და მრავალი დიპლომისა და ჯილდოს მფლობელი გახლდათ. გარდა იმისა, რომ აუთანდილ არდაშელია თავდადებით ემსახურებოდა კულტურის საქმეს, თავადაც წერდა ლექსებს, ხატავდა, ძერწავდა. გარდაიცვალა 1997 წელს თბილისში, დევნილობაში.

**არდბელავა 134**
**ზუგდიდი – 61,**
**ფოთი – 27,**
**თბილისი – 9.**

არდბელავა. ადგილობრივი ვარიანტია არდბელია. რთული ფუძიანი გვარსახელი უნდა იყოს. შდრ.: **არდ–ი** და **ბელ–ა** (ბელი).

**არდემანიშვილი, არდემან** საკუთარი სახელი ყოფილა და მისგან წარმომდგარი გვარი – **არდემან–ი–შვილი.** გვხვდება ორი ფორმით: **არდემანაშვილი** და **არდემანიშვილი.**

**არდემანაშვილი 112**
**თბილისი – 116,**
**გორი – 3,**
**კასპი – 3.**

არდემანაშვილი. ბოლნისის რაიონი: საკუთარი სახელი არდემანა (შდრ.: არდევან); არდემანიშვილი" *ილ. მაისურ., 22).*

**1995 წელს მიღებული**
**ვაუჩერების მიხედვით**
**არდიათა გვარში 532 სულია**
**აღრიცხული, ზუგდიდში – 304,**
**წალენჯიხაში – 86,**
**თბილისში – 42.**
**რაც შეეხება სოფლებს:**
**ჩხორიაში – 23,**
**საჩინოში – 17,**
**თეკლათში – 4**
**და სხვა.**

არდია (ფუძით არდი). სამეგრელოში გვაქვს გვარი არდია, ხოლო იმერეთში, ქართლსა და საქართველოს სხვა მხარეში – **არდიშვილი.** კოლხეთში (სენაკში და სხვაგან) **არდი** მამაკაცის საკუთარი სახელი იყო, ასე, რომ არდიების წინაპარს არდი რქმევია, რომელმაც საფუძველი დაუდო **არდიათა** გვარსახელს. სიტყვას **„არდი"** რაღაცნაირი მნიშვნელობა გააჩნია.

ივ. ჯავახიშვილი წერს, რომ საკუთარ სახელად ქცეული **არდი** ***მზის ღვთაების*** სახელი იყო ურარტუს ქვეყანაში, *„მზეს ქართულად ოდესღაც „არდი" უნდა რქმეოდა"* *(იხ. ივ. ჯავახიშვილი., ქ. ერ., ისტორია, 1, 103).*

ილია მაისურაძე არდიდან მიღებულად თვლის „არდადეგს". იგი **არდიშვილის** გვარის წარმომავლობის განხილვისას წერს: *„შდრ., სიტყვა „არდადეგი" (მზის მოდგმის დღე) (ილ. მაისურ., ქართული გვარ–სახელები, თბ., 1981, გვ. 22).*

სულხან–საბა ორბელიანთან სიტყვა **არდი** ბალახია. *„არდი შინაური ვარდკაჭაჭა"* *(ტ. I, გვ. 61).* **არდის** აქვს აგრეთვე **ანაზდის** (ანაზდეული), წამის მნიშვნელობა *(იხ. იქვე, გვ. 55).* ტოპონიმი: **ლევარდიე** – უბანი ინწგრასა და ხურჩას შუა (კუხში, საჩინოს თემი). სა–არდი–ო უბნები ჩხორიასა და ტყაიაში (ჩხორიის თემია). იქაური **არდიები** ირწმუნებიან, რომ მათი წინაპრები ჯვარშენიდან მოსულან, სადაც ეკლესიაში მიჰქონდათ „საჯიჯიხატო" გოჭის თავი *(პ. ცხადაია, გვ. 52).*

**არდიათა** გვარის ღირსეული წარმომადგენლები არიან მამა–შვილი **მურმან** და **მიხეილ (კახა) არდიები.**

[illegible]



მურმან მიხეილის ძე არდია, დაიბადა 1937 წლის 6 სექტემბერს ზუგდიდში, მოსამსახურის ოჯახში. ზუგდიდის პირველი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში აგრონომიის ფაკულტეტზე რომელიც დაამთავრა 1962 წელს, სწავლული აგრონომის კვალიფიკაციით.

შრომითი საქმიანობა დაიწყო საქართველოს ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ს. კ. ინსტიტუტში. სხვადასხვა წლებში მუშაობდა: ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიის ს.კ. ინსტიტუტში ჯერ უმცროს, შემდგომ კი უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე. იმყოფებოდა პარტიულ სამუშაოზე ჯერ საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის II მდივნად. 1984–92 წლის აპრილამდე საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური რესპუბლიკური სამმართველოს უფროსია, იქვე სხვადასხვა პერიოდში ხელმძღვანელობდა ამავე სამმართველოს სამეცნიერო-ტექნიკურ საბჭოს. იყო აგრეთვე ამიერკავკასიის ზემოხსენებულ ს.კ. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, თსუ-ს სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოს, იუნესკოს კომიტეტის წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკოლოგიური საზოგადოების გამგეობის წევრი, ჟურნალ „საქართველოს ბუნებას" რედკოლეგიის წევრი, მრავალი სამთავრობო კომისიების წევრი.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო თსუ გეოგრაფიულ სპეციალობათა სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე. 1992–95 წლებში – ქალაქ ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის პრორექტორი სასწავლო მუშაობის დარგში, შემდგომ კი პირველი პრორექტორი. პარალელურად მუშაობდა საქართველოს პარლამენტის ზუგდიდის წარმომადგენლობაში წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე.

1965–67 წლებში სტაჟირებაზე იმყოფებოდა ქ. სანკტ-პეტერბურგში (ყოფილი ლენინგრადი), სადაც ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. ხმელეთის ჰიდროლოგიის სპეციალობით (განხრა – მელიორაციული ჰიდროლოგია). ავტორია 30 ნაშრომისა და ორი გამოგონებისა. ერთ-ერთი სამეცნიერო შრომისთვის მიღებული აქვს საერთაშორისო რესპუბლიკური სახელმწიფო პრემია.

ბატონი მურმანი არის ორგანიზატორი და მონაწილე 1988 წელს თბილისში ჩატარებული კანადის I სიმპოზიუმისა და სსრკ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის რწმუნებულთა თათბირის (საკითხები: გარემოს დაცვა და ჰიდრომეტეოროლოგიის, მონიტორინგის პრობლემები). იგი მრავალგზის მიიწვიეს ავსტრიაში, ბელგიასა და ინგლისში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების მუშაობაში, როგორც საბჭოთა ექსპერტი, რომლებიც მიეძღვნა მეტეოროლოგიისა და ბუნების დაცვის აქტიურ საკითხებს.

ამჟამად მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეგრელოს

რეგიონული სამეცნიერო ცენტრში ხელმძღვანელის მოადგილედ სამეცნიერო მუშაობის დარგში. ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის გეოგრაფიულ მეცნიერებათა კათედრის გამგე. არის საქართველოს ეკოლოგიური მეცნიერებათა აკადემიის სამეგრელოს რეგიონალური მეცნიერებათა ცენტრის აკადემიკოს-მდივანი. ამავე აკადემიის პრეზიდიუმის წევრი. ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი. შს სამინისტროსთან არსებული სამეგრელო-ზემო-სვანეთის საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორი.



მიხეილ (კახა) არდიამ 1980 წელს დაამთავრა ქ. ზუგდიდის ილია ვეკუას სახელობის №1 საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც 1986 წელს ეკონომისტის სპეციალობით წარჩინებით დაამთავრა. 1990 წელს დაამთავრა თბილისის მენეჯერთა სკოლა. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის მენეჯერის სპეციალობით. მოკლევადიანი პრაქტიკა გაიარა საფრანგეთის ქალაქ მონპელიეს უნივერსიტეტში. ასევე – 1991 წელს ავსტრიის სავაჭრო პალატასა და ავსტრიის ბანკ „კრედიტანშტალტ"-ში. მონაწილეობდა მსოფლიო ბანკის სემინარებში: 1993 წელს ქ. კიევში – მსოფლიო ბანკის პროცედურებით ანგარიშსწორების განხორციელების დარგში, ხოლო 1993 წელს მიწვეული იყო ქ. ვაშინგტონში, საერთაშორისო ფინანსური ურთიერთობების პროექტის განსახორციელებელ სემინარებში. 1996 წელს ასევე წარჩინებით დაამთავრა ქ. ლონდონის მენეჯმენტის სკოლა. სპეციალობა – პროექტის ეფექტიანი მართვა და შესყიდვის პროცედურები. ქ. ვაშინგტონსა და ქ. ფილადელფიაში გაიარა აშშ-ს საზოგადოებრივი და კერძო სტრუქტურების ინსტიტუტის კურსები. პრაქტიკები ჰქონდა ქ. ფილადელფიის მერიაში.

პროფესიული გამოცდილება:

1986–89 წ.წ. თბილისის მთაწმინდის (ყოფილი კალინინის) რაისაბჭოს აღმასკომში მუშაობდა ეკონომისტად, უფროს ეკონომისტად, მთავარ ეკონომისტად. მის მოვალეობებში შედიოდა რაიონის ეკონომიკური განვითარების გეგმების შედგენა.

1989–91 წწ. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს საგარეო-ეკონომიკური და სავალუტო ურთიერთობათა სამმართველოს წამყვანი სპეციალისტი. მოვალეობა – რესპუბლიკის სავალუტო ფონდში ვალუტის მოძრაობის მართვისა და კონტროლის საკითხები.

1994 წლის ნოემბრიდან 2002 წლის ივლისის ჩათვლით მსოფლიო ბანკის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის განხორციელებისათვის შექმნილი მუნიციპალური მომსახურეობის განვითარების დამოუკიდებელი „სააგენტოს" გენერალური მენეჯერია. მოვალეობა – პროექტის მართვა მსოფლიო ბანკის პროცედურების შესაბამისად.

განსაკუთრებული შენიშვნის ღირსია ბოლოს აღნიშნული პროექტი, რომელ-

იც მოიცავდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში სარეაბილიტაციო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას, კერძოდ: ქალაქებში სკოლების და საავადმყოფოების აღდგენის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების, მუნიციპალიტეტების და მერიების საქმიანობის ეფექტურად მართვის და მენეჯმენტის საკითხებს. სამუშაოები ჩატარდა ქალაქ თბილისის, ფოთის, ზუგდიდის, ქუთაისის, სენაკის, ჭიათურის და თელავის მუნიციპალიტეტებში.

მონაწილეობა მიიღო უცხოელ ექსპერტებთან და კონსულტანტებთან ერთად დასახლებული ქალაქების კომუნალური სამსახურების განვითარების პროექტების გეგმების შედგენასა და შესრულებაში.

მიხეილ არდიამ ლომის წილი შეიტანა საზოგადოება „კოლხეთი"-ს დაფუძნებაში. იგი ღირსეულად მოუძღვის წინ ახალგაზრდულ ჯგუფს, რომელიც აქტიურად მოღვაწეობს ამ საზოგადოებასთან. სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთის" ვიცე-პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, მისი ინიციატივით, ბევრი გამოჩენილი ადამიანისა და საზოგადო მოღვაწის (საქართველოში თუ საზღვარგარეთ) საიუბილეო-შემოქმედებითი საღამო მოეწყო.

რაც შეეხება პროფესიონალიზმს: მიხეილ არდიას და მისი გუნდის მიერ მომზადებულ კადრებს საზღვარგარეთ იწვევდნენ საკონსულტაციოდ

რა გააკეთა ზუგდიდისათვის – მოკლე ნუსხა:

*ზუგდიდის მოსახლეობას საჩუქრად გადასცა სასწრაფო დახმარების მანქანა;*

*მოახდინა საავადმყოფოს რეაბილიტაცია და გათბობის სისტემის მოწესრიგება; ასევე მოხმარებული წყლის გადამამუშავებელი სადგურის რეაბილიტაცია.*

*მის მიერ შესყიდულ იქნა ნაგვის შესაგროვებელი 127 კონტეინერი.*

*შეძენილ იქნა საყოფაცხოვრებო ნარჩენების გასაზიდი მანქანა;*

*საცხოვრებელი პირობები შეუქმნა 1500-მდე იძულებით გადაადგილებულ პირს საავადმყოფოს შენობაში, რომლებიც თავს აფარებდნენ სკოლის ხუთ შენობას, რაც აფერხებდა სასწავლო პროცესს;*

*მისი თაოსნობით ზუგდიდს გამოეყო 344 999 აშშ დოლარი.*

*მისივე წყალობით, დასრულდა ფინანსური პრობლემების გამო შეჩერებული ზუგდიდის მცხოვრის კარის ეკლესიის მოხატვა და სხვა აღდგენითი სამუშაოები*

მიხეილ არდიას ქველმოქმედებათაგან განსაკუთრებით საინტერესოა მისი განსაკუთრებული ზრუნვა მოსწავლე-ახალგაზრდობისადმი. მაგალითისათვის მოვიყვანთ ერთ-ერთ წერილს:

*„ბატონო კახა,*

*კიდევ ერთხელ მინდა, დიდი მადლობა გადაგიხადოთ იმ ყურადღებისა და ქველმოქმედებისათვის, რაც თქვენ ჩვენი ორგანიზაციის მიმართ გამოიჩინეთ. ვიცით, გაინტერესებთ ჩვენი საქმიანობა. მოგახსენებთ მოკლედ: იანვარში მოვაწყვეთ*

ბანაკი ბაკურიანში 60 ბავშვისთვის. თებერვალში – სამხრეთ კავკასიის ახალგაზრდა ლიდერთა შეხვედრა-სემინარი ლიკანში. მარტში – ტრენინგი ოფიციალური ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის ზუგდიდში. ამჟამად 25 სოციალურად დაუცველი, დევნილი ბავშვი უფასოდ სწავლობს „ათინაიში" ინგლისურ ენას, რომელთაგან 6 ივლისის თვეში გაემგზავრება აშშ-ში ერთი თვით.

მომავლისთვის დაგეგმილი გვაქვს სასწავლო სექციების გახსნა, სადაც უფასოდ შეისწავლება უცხოური ენები (გერმანული, ინგლისური, ფრანგული), კომპიუტერი, ხელოვნება, მუსიკა, სპორტის სხვადასხვა სახეობა. ამჟამად ახალი პროექტის განხორციელებისთვის საჭიროა რემონტი გაუკეთდეს სამეცადინო ოთახებს, სადაც სასწავლო პროგრამები განხორციელდება.

ბატონო კახა, ვიცით რა თქვენი დამოკიდებულება ჩვენდამი, მოსწავლე-ახალგაზრდობისადმი, რაზედაც დიდ მადლობას მოგახსენებთ, ამჟამადაც მოგმართავთ თხოვნით, თუ კიდევ იქნება შესაძლებლობა, „ათინაის" გაუწიოთ დახმარება ამ პროექტის სარემონტო ნაწილის დაფინანსებაში.

პატივისცემით, გია ხასია, ასოციაციის პრეზიდენტი.

**„იყო ზუგდიდელი– ჩემთვის დიდი პატივიცაა და მოვალეობაც" – მიხეილ არდია**

მიხეილ არდია საკუთარ თავზე, როგორც წესი, არ საუბრობს. ზუგდიდისადმი თავის დამოკიდებულებას კი მოკლედ ასე გამოხატავს:

„იყო ზუგდიდელი – ჩემთვის დიდი პატივიცაა და მოვალეობაც. ამ ქალაქში გავიზარდე და სწორედ მან დაიწყო ჩემში პიროვნების ფორმირება. თავისი ისტორიის გამო სიამაყით, სახლის წყურვილით, ტრადიციებისადმი პატივისცემით, მოწიწებულობით და ზოგჯერ სიმკაცრითაც. მან პირველმა მაგრძნობინა პასუხისმგებლობა, სიყვარულის და მეგობრობის ძალა და მადლი, რომელიც ყველგან თან დამყვება. ამიტომ ზუგდიდთან სამუდამო ვალში ვარ.

ამ ქალაქში ბევრი მოკავშირე და თანამზრახველი მყავს. მართალია, ბევრს არც ვიცნობ, მაგრამ ვიცი, ჩვენი საფიქრალი და სატკივარი ერთია:

ეს არის მოუწყობელი და მოუვლელი ქუჩები და კომუნიკაციები ქალაქში, რომელიც თავს იწონებდა სიკოხტავით;

ეს არის შელახული და მტვერდადებული სიძველეები;

ეს არის მის მკვიდრთა ქალაქიდან გადახვეწილი დიდი ნაწილი, რომელიც მშობლიურ გარემოში უფრო ნაყოფიერად იღვაწებდა, სამისო პირობები რომ ჰქონოდა;

ეს არის ქალაქში დარჩენილთა დიდი ნაწილი, რომელიც უფრო მეტს მიაღწევდა, აწყობილ ქვეყანაში რომ ეცხოვრა;

ეს არის აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულთა ნავსაყუდელი, რომელიც მიჩვეულია, ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი ჰქონდეს.

*მაჰმადიანთათვის ეს შეიძლება სენტიმენტები იყოს. მაგრამ ჩვენს სინამდვილეში – ფაქტია.*

*ამ ქვეყანაში. ვისაც თუნდაც ჩვენს ასაკამდე მოუღწევია. ვიცი. არაერთხელ უფიქრია. მშობლიური ფუძეზე ახალი სახლი აეშენებინა. მეც ერთ-ერთი მათგანი ვარ და ვიცი. ახალს არაფერს ვიტყვი. მხოლოდ ეს არის. მქონდა საშუალება. სათანადო გამოკვლევა დამეგროვებინა.*

*ბედნიერი ვარ. თუ ნათესავებთან ერთად ამ სახლის საძირკვლის ჩაყრის საშუალება მომეცემა."*

**არდიშვილი 29**
**თბილისი – 15,**
**ქუთაისი – 14.**

**არდიშვილი//არუდოვი.** [საკუთარი სახელი არდე (*კოლხ. ნელია. ალ. ღლ.. 74*). **არდი,** მზის ღვთაების სახელი ურარტუს ქვეყანაში.

„მზეს ოდესღაც ქართულად **„არდი"** უნდა რქმეოდა (*ივ. ჯავახიშვილი.. ქართველი ერის ისტ.. I. 103*). შეადარეთ: **„არდადეგი"** (–მზის დგომის დღე) (ილ. მაისური. 22). **არდი** (*ბალახი*) *შინაური ვარდკაჭაჭა (საბა. I. 61)*]

რუსეთის მთავრობამ აზნაურებად ცნო და საგვარტომო წიგნში შეიტანა: **„პრაპორშჩიკი ნიკოლოზ ბესოს ძე. მეუღლე მისი. ელისაბედი.**

ნიკოლოზის ძმები: **ჯამბული, თარხანი, იაგორი.**

მათი დაი **ირინე:** **ალექსი როსაბის ძე.** მეუღლე მისი. **ეკა.**

ქალიშვილები: **მაშვენა, სალომე.** ალექსის ძმა **ექვთიმე**

მეუღლე მისი **ბაბუსია".**

**არდიშვილები** საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ცხოვრობენ.

სოფელ წინწყაროში 1880–იან წლებში **არდიშვილები არუდოვები** (*ბერძნები*) გახდეს (*იხ. ი. ახუაშვილი. ქართული გვარსახელები. ტ.I. თბ. 1994*).

**არდიშვილებს** უცხოვრიათ საჯავახოშიც. იმერთა მეფე სოლომონ II. როგორც თავის ერთგულს ქაიხოსრო ერისთავს (შარვაშიძეს) უწყალობებს საჯავახოში ოთხ კომლ **აზნაურ–არდიშვილს** (*იხ. ო. სოსელია. ნარკვევები.. გვ. 261*).

**არდოტელი 100**
**გარდაბანი – 49,**
**დუშეთი – 21,**
**თიანეთი – 14.**

**არდოტელი.** არდოტი ტოპონიმი ყოფილა შიდა ქართლში, აქედან გვარი **არდოტელი** (სადაური)..

**არევაძე 1173**
**ხარაგოული – 331,**
**თბილისი – 329,**
**გურჯაანი – 119.**

**არევაშვილი//არევაძე.** მამაკაცის საკუთარი სახელი **არევა.**

(*იხ. სტატისტიკური ცნობები: XVIII ს. 209. ალ. ღლ.: 74*). **ნაწარმოებია გვარები არევაშვილი და არევაძე.**

**არევაშვილი პაპნია** – ღვარებს მცხოვრები. ზუბიტას ყმა. გიორგი მეფემ იგი. ძმითა და შვილებით. უწყალობა შერმაზან გლურჯიძეს (*1688 წ. V. 16. 1448–524*).

**არევაძე თამაზა** – 1670–1680 წ.წ. მოწმე: [ბახუტა] ჯავახიშვილის მიერ

თავისი ყმების, ბერის და გიორგისათვის მიცემული მამულის წყალობის წიგნისა (1670 წ. სს. II. № 87).

ბახუტა ჯავახიშვილის მიერ ბერ დავითაშვილისათვის მიცემული მიწის წყალობის წიგნისა *(1680 წ. შდ–8485)*.



**არევაძე ხათუნა იოსების ასული იურისტი, თბილისის საოლქო** სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა ამბროლაურში 1967 წლის 4 მაისს. მშობლები: **ნუცა დონაძე იური ბუაძე მეუღლე იოსებ არევაძე** (1965). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკულტეტი (1991). იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოქალაქეთა საჩივრებისა და მიღების განყოფილების უფროსი კონსულტანტი (1991 წლიდან), განყოფილების უფროსი (1999 წლიდან), თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლეა 2000 წლიდან.



**არევაძე ელგუჯა ვალერიანის ძე (1928–2002)**, დაიბადა თბილისში. 1956 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილისსახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1961 წელს კი დაასრულა მოსკოვის პროფმოძრაობის ინსტიტუტი. 1956 წელს შრომითი მოღვაწეობა დაიწყო ტრესტ „ამიერკავკასტრანსმშენში". 1991 წელს აირჩიეს სატრანსპორტო მშენებელთა დამოუკიდებელი პროფკავშირის თავმჯდომარედ. მისი უშუალო მონაწილეობით აშენდა მარაბდა–ახალქალაქის რკინიგზის მაგისტრალი, თბილისის აერო, ავტო და რკინიგზის ვაგზლები, თბილისის ელმავალმშენებელი, ელექტროვაგონშემკეთებელი, ელექტროტექნიკური ქარხნები, მრავალი საცხოვრებელი სახლი და სხვა ობიექტი.

ელგუჯა არევაძე მონაწილეობდა საქართველოში სტიქიური მოვლენების დროს დაზარალებული შენობა–ნაგებობების აღდგენაში, დაზარალებულთათვის ინდივიდუალური სახლების მშენებლობაში. აფხაზეთის ომის დროს, საბრძოლო პირობებში, სოხუმსა და მის შემოგარენში იყო აღდგენითი სამუშაოების ერთ–ერთი ხელმძღვანელი. სამხედროებთან მჭიდრო კავშირში მონაწილეობას იღებდა სოხუმის დაცვასა და სამხედრო დანიშნულების ნაგებობების მოწყობაში. მინიჭებული აქვს აფხაზეთის ომის მონაწილის სტატუსი, იყო „ღირსების" ორდენის კავალერი, მინიჭებული აქვს საპატიო რკინიგზელის წოდება.

ელგუჯა არევაძე იყო ღირსეული გვარისშვილი. მისი წინაპრები შავშეთის მკვიდრნი იყვნენ. მე–16 საუკუნეში გამოექცნენ გამუსულმანებას და დასახლდნენ ხარაგაულის რაიონის მაღალმთიან სოფელ სერბაისში.

**არეშაშვილი//არეშიშვილი//გარსუაშვილი//მერაბიშვილი//ორბელიანი,** ქართული ისტორიოგრაფია იცნობს, როგორც პიროვნულ, ისე საგეოგრაფიო სახელებს არეშა, არიშა. *არეშაშვილები აზნაურიშვილები იყვნენ ქვემო ქართლის* მებატონე-მემამულეები *(იხ. ქვ. ქართლის 1721 წლის აღწერა)*.

„მატიანე ქართლისაის" ერთი ცნობით, გავაზის ახლოს (კახეთში) მდებარე–

**არეშიშვილი 26**
**თბილისი – 19,**
**რუსთავი – 2.**

იბდა ციხე **არიში**. იქვე აღნიშნულია **არიშის** წყალი. იქვე იყო ძველად **არიშის** ციხე დღევანდელ ახალსოფელთან ახლოსაა სოფელი არეში. ნიკო ბერძენიშვილი მოიხსენიებს **არშას** ციხეს, **არიშუ**-ს, **არეშის** და **არეშს**. პროფესორი ალექსანდრე ღლონტი ქსნის ხეობაში, ლარგვისთან აფიქსირებს პიროვნულ სახელს **არეში** *(ალ. ღლ., „ლაგოდეთის ტოპონიმია", გვ. 46)].*

ქვემო ქართლელ აზნაურიშვილების – **არეშიშვილების** გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **არეში**. გვარი გვხვდება ფორმით: **არეშიშვილი, არეშისშვილი, არეშიანი, არეშიძე, არიშიძე, აროშიძე,** საკუთრივ **არეშაშვილი**.

*„**აზნაური არეშაშვილი.** ამათნი წინაპარნი ესახლნენ ვანის მხარეს, რომელნიცა შემდგომ თურქთა დაპყრობის შემდგომად მოვიდნენ ამათნი გვარნი და დაეშენენ სომხითსა შინა და მიღებულ იყვნენ აზნაურად მეფეთაგან. და უმეტეს ჰსწყალობდა მეფე ვახტანგ არეშას, არეშაშვილს, რომელიც გარდმოჰყვა რუსეთსა შინაცა. შთამომავალობანი მათნი მოსახლენი და მეფისა ირაკლისაგან მოხსენებულნი ტრაქტატსა შინა აზნაურად. ამათ გვართათვის ჰსწერენ სომეხთა მეისტორიენი, რომელი იყვნენ გვარით ორბელიანნი, ხოლო იწოდებიან აწ არეშაშვილად სახელისა გამო"* („საანდაზო ლექსები", 59).

„**აზნაურიშვილი არეშაშვილი.** არეშაშვილი არის ძირით იმერეთიდან **არეშისძე**. ამათი გვარი მოვიდა ვახტანგ VI-ის დროს და დაეშენა სომხითსა შინა 1803 წელს და მუნით მიიღეს **არეშიშვილობა**" *(იქვე, 88).*

პირველ ვარიანტში არის რაციონალური მარცვლები. მეორე ვარიანტის გაზიარება შეუძლებელია თუნდაც იმის გამო, რომ **არეშიშვილები** ვახტანგ მეფეზე გაცილებით ადრე ჩანან *(არეშიშვილები ცხოვრობდნენ ქვემო ქართლში, იყვნენ ამ მხარეში აზნაურები. არეშიშვილები იყვნენ გლეხებიც).* მათი ძირითადი საცხოვრისი და საძველე ყოფილა სოფელი **ფარხუნო** (თეთრიწყაროს რაიონი). თავდაპირველად სოფელს **არეშიშვილები** (არეშევა) რქმევია. მიმდებარე ტერიტორიაზე რუსული დასახლების „ბელი კლიუჩის" გაჩენის შემდეგ (1820-იანი წლებიდან) მას **არეშოვკა** უწოდეს. ამას გვამცნობს რესპუბლიკის ცენტრალური საისტორიო არქივში დაცული საბუთები (*1851, 1873, 1886 წლების კამერალური აღწერის საოჯახო სიები).*

ისტორიული საბუთები გვამცნობენ:

**ამზა არეშიშვილი** – აზნაურიშვილი, [ბარათაშვილების] გაყრის შემდეგ იგი ერგო გუგუნა ბარათაშვილს (1523 წ. შდ–1299ფ);

**ასლამაზ არეშიშვილი** – ჰყავს სახლიკაცები: ***ფახუშტი, გარსევან, თოსფათ, ელიზბარ, ასლან.*** სვიმონ მეფემ მას უწყალობა ხრამის ხეობაში სოფელი ვარხიონა (1583 წ. V. 25. 1448–2330); **არეშიშვილთა შტოგვარი ყოფილა გარსუაშვილი.** **„არეშიანთ გარსუაშვილი გრიგოლ– ძმა არეშიანთ გარსუაშვილი შერმაზანასი;** არეშიანთ გარსუაშვილი (ვარ. *არეშისშვილი*) **შერმაზანა** – 1619–1627 წ.წ ვარხ-

უწის მცხოვრები, აზნაურიშვილი, ჰყავს ძმა გრიგოლ *(1627 წ. შდ–1679)*.

ამზა არეშიშვილი აზნაურიშვილად ჰყავს მოხსენიებული აგრეთვე თედო ჟორდანიას *(ქრონ. III. 349)*.

ვახუშტი ბატონიშვილი 1721 წ. ქვემო ქართლის აღწერაში გარისკარისხუნოში აზნაურებად ასახელებს: დუშია, გიორგი, ბიძინა, მანუჩარ, შამშია, სალმახან, ბეჟუა, ამზა, ჩალაბა, უთრუთა, სარქისა, დუშია (მეორე), სეხუას ძმისწულ არეშიშვილებს.

თავად გოსტაშაბიშვილებს აზნაურად ჰყავდა 24 არეშიშვილი. 1721 წ. აღწერით იძებნებოდა 14 მებატონე გოსტაშაბიშვილი, მათი აზნაურები არიან არეშიშვილები. გარის-კარისხუნას არეშიშვილის ყმა-გლეხები არიან: *გულუა და მარკოზა ხარატიშვილი, ბოგანო გოგას, ბოგანო პაპუა, აზნ. გიორგი არეშიშვილის ყმა აკოფა ხუციშვილი, ბიძინა არეშიშვილის ასლანა დოაკენიშვილი, ბოგანო ბერუა. ჯ.ს.: ყმს ათს. ბოგანო შვიდი" (ვახუშტი. 91–93).*

ვარიხუნის გარდა არეშიშვილები ცხოვრობდნენ და ყმები ჰყავდათ სოფლებში: *დურნუკში, ქსავეთში, დუალიაში (დღევ. პატარა თონეთი), იფნარაში, ეკოში, ლიპში.*

რამდენიმე ცნობა არქივიდან:

1873 წ. ახლად დაარსებულ სოფელ იფნარაში იყო 7 კომლი, მამაკაცი 39, ქალი 27. შედიოდა ლილუ-ხანის სასოფლო საზოგადოებაში და ეკუთვნოდა მემამულე არეშოვს (არეშიშვილს) *(ცსსა. ფ. 254. № 3. 117. 1873 წ. ფ. 78–80)*; დიდი ქსავეთის სახაზინო ყმას ივანე იოსების ძე ჯოიაშვილსა და მის მეუღლეს სოფა ზურაბის ასულს ქალიშვილი ანა მოუნათლა აზნაურმა ალექსანდრე არეშიშვილმა და სიმონ ჯოიაშვილის ასულმა ქეთევანმა *(სცსსა. ფ. 489. აღწ. 9. ს/წ № 1. 1883 წ.)*; ივანე იოსების ძე ჯოიაშვილს 1883 წ. დიდი ქსავეთის წმ. გიორგის ეკლესიაში შვილი მოუნათლა აზნაურმა იოსებ გრიგოლის ძე არეშიშვილმა (იქვე).

არეშიშვილებს (არეშოვებს) 1886 წლის აღწერის მონაცემებით ეკუთვნოდათ: ვარიხუნში, ეკოსა და ლიპში ვასილ გრიგოლის ძე არეშიშვილის ვარგისი მიწა I კატეგორიის 1 ქცევა, II კატეგორიის 28 ქცევა, III კატეგორიის 70 ქცევა, სულ 99 ქცევა, შემოსავალი 2 მან. 73 კაპ.; ახალშენსა და გენაურში *შუშანა, ნიკოლოზ, იოსებ გრიგოლის ძეებს, იაგორ, ალექსანდრე ხოსროს ძეებს* – მეორე კატეგორიის – 200 ქცევა მესამე 400, შემოსავალი 14 მანეთი; *ალექსანდრე გრიგოლის ძე არეშიშვილს (არეშოვს)* შესაბამისად 20 და 90 ქცევა, შემოსავალი 2 მან. და 15 კაპ.; **როსტომ, ალექსანდრე და იაგორს ხოსროს ძეებს**, სამღერეთში, ეკოსა და ვარიხუნის I კატეგორიის 1 ქცევა, II კატეგორიის 52 ქცევა, მესამე 103, შემოსავალი 3 მან. 65 კაპ.; *როსტომ ხოსროს ძე არეშოვს* ნიხიკვიასა და შავსაყდარს ეკუთვნოდა შესაბამისად 4, 100 და 135 ქცევა, შემოსავალი 6 მან. და 44 კაპ. და ა.შ. *(ფ. 254. აღწ. 3. საქ. 2057.*

ფურ. 146–157).

მემამულე არეშიშვილები ბარათაშვილების აზნაურებს შორის პირველ ადგილზე მოიხსენიებიან, ხოლო სამეფო აზნაურებს შორის კი 35-ზე.

არეშიშვილები მოგვიანებით რუსული ვარიანტი „-ოვი"-ით გააფორმეს და არეშოვებად მონათლეს.

რუსეთის იმპერიამ აზნაურებად აღიარა და საგვარეულო წიგნში შეიტანა: არეშიშვილი ალექსი მიხეილის ძე. მეუღლე მისი თაყუა. ვაჟიშვილები: ქალ-იბეგი, ალექსანდრე; პეტრე შავერდასძის ქვრივი, მალალა. ვაჟიშვილები: შავერდა, პრაპორშჩიკი დავითი; ნიკოლოზ სიმონის ძე: ზაურიადნი პრაპორშჩიკი ისაი პაპოს ძე. მეუღლე მისი ბარბარე. ვაჟიშვილი ალექსანდრე. ქალიშვილი ნატო. მისი ძმა იაგორი. მეუღლე თალალა. ვაჟიშვილი დავითი. ქალიშვილი მაკრინე; ხოსრო როსტომის ძე. მეუღლე მისი ანანა. ვაჟიშვილები: როსტომი, არტემი, ალექსანდრე, იაგორი; ქალიშვილები: სალომე, ბარბარე, ეფემია. ხოსროს ძმა გიქო, მეუღლე შუშანა. ვაჟიშვილები: ვარლი, ნიკოლოზი, იაკობი. ქალიშვილი სოფიო; იოსებ არტემის ძე. მეუღლე მისი ბარბარე. ვაჟიშვილი კოლეჯის რეგისტრატორი ივანე. ქალიშვილები: ანა, სალომე; ნიკოლოზის ქვრივი ელისაბედი. ვაჟიშვილები: მიხეილი, გრიგოლი; ქალიშვილები: ნატო, სოფიო, ეკატერინე; პავლე ნინიას ძე. მეუღლე მისი რუსუდანი. ვაჟიშვილი: გიორგი, გარსევანი, ივანე. გრიგოლი ძმა მისი პეტრე, მეუღლე ქალია. ვაჟიშვილი დარჩია. ქალიშვილი მარიამი; დავით ნიკოლოზის ძე. ძმა ივანე. ივანეს მეუღლე ნატო. ვაჟიშვილი ნიკოლოზი, ქალიშვილი სოფიო; პეტრე ბერუას ძე. მეუღლე მისი ბარბარე. ვაჟიშვილები: გიორგი, არტემი. ქალიშვილები: ნატო, მარიამი.

გარსუაშვილი არეშიშვილების შტო-გვარია. შდრ.: გარსევან არეშიშვილი სახლიკაცი ასლამ არეშიშვილისა, არეშიანთ გარსუაშვილი გრიგოლი – ძმა არეშიანთ გარსუაშვილ შერმაზანისი: არეშიანთ გარსუაშვილი (ვარ. არეშისშვილი) შერმაზანა – 1619–1627 წ.წ. ერხონას მცხოვრები. აზნაურიშვილი. ჰყავს ძმა გრიგოლი (1627 წ.) (პალ. I. 168).

გარსუაშვილი ამჟამად მიღებული აღწერების მიხედვით არ აღირიცხება.

მერაბიშვილი, ამ გვარის შესახებ ჩვენ საუბარი გვაქვს ბარათაშვილების გვართან. მერაბიშვილი რამდენიმე გვარის შტოა, აქ მხოლოდ იმის თქმით დავკმაყოფილდებით, რომ ოთმანა არეშიშვილის ძმა მერაბ არეშიშვილმა აწარმოა შტო-გვარი მერაბიშვილი. შდრ.: არეშიანთ მერაბისშვილი თამაზ – მოლარე. მოწმე და დამწერი ზურაბ ბარათაშვილის მიერ გურგენ ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1656 წ.).

შენიშვნა: ზოგჯერ არეშიშვილები ჩაწერილი არიან არებაშვილად. სომეხთა მეისტორიენი წერენ, თითქოს არებაშვილ-არეშიშვილთა წინარე გვარი იყო ორბელიანი (იხ. იოანე ბაგრატიონი, აღწერა.., გვ. 58).

სხვა ვარიანტით: არეშიშვილი არის, ძირით იმერეთად ამ არეშისძე. ამათი

გვარი მოვიდა მეფე ვახტანგ VI-ის დროს და დაეშენა სომხითსა შინა 1703 და მერმით მიიღეს **არეშაშვილობა** (იქვე. 79).

შდრ.: **არეშიძეები** – რაჭველები. როსტომ მეფის დის. ლუარსაბის იმერეთში დატყვევებისას მანგლელი ათანასე ტატიშვილის ძმისწულებმა დაატყვევეს ძმები **არეშიძეები** *(1645 წ.) (პალ. I. გვ. 170).* შდრ. **არეშიძე.**

**არეშიძე//არეშიშვილი.** რუსეთის მთავრობამ აზნაურებად ცნო და საგვარეულო წიგნში შეიტანა:

**410. არეშიძე ამირხან ზაალის ძე, მეუღლე მისი სალომე. ქალიშვილები: რახილა, ანა, მაია, ელისაბედი. ამირხანისძმა ალმასხანი, მისი მეუღლე ალათია. ამირხანისდა ევდოკია; 411. ლევანი, მეუღლე მისი სოფიო. ვაჟიშვილები: მიზარბეგი, გრიგოლი. ქალიშვილები: ნატო, ელენე; 412. ქაიხოსრო გიორგის ძე, მეუღლე მისი ვარდი. ვაჟიშვილები: საჩინო, ერასტი, ქალიშვილები: ალათია, ესმა, პელაგია; ხოსია დათუას ძე, მისი ვაჟიშვილი გრიგოლი. ქალიშვილები: კაკტია, ირინე; 414. გოგია ზაალის ძე, დაი მართა; 415. ფირან იესეს ძე, მეუღლე მისი მარიამი. ვაჟიშვილები: ტარიელი, სიმონი, ილია, ქალიშვილი თებრონე, ფირანის ძმა ნიკოლოზი. მეუღლე ქეთევანი. ვაჟიშვილები: გრიგოლი, ალექსანდრე, ქალიშვილი პელაგია.**

**არეშიძე,** მთის რაჭას ბუდობდა ძველთაგან გვარი არეშიძეთა. ღების მახლობლად. მუხამეშის ხევში დეეციხის მფლობელნი იყვნენ თავადნი არეშიძენი.

მთა ვერ ჰგუობდა ფეოდალთა ბუდეს. ეგრე უბნობენ. ღებელთ უხოცავთ არეშიძენი. ვინცა ვინ არეშიძეთაგან გადარჩენილან. რაჭის ქედს აქეთ გადმოსულან. ვიეთნი არეშიძენი ლიხის ქედს აქეთ გადმოსულან. ქვემო ქართლს. სიგელ-გუჯრებში ესენი ხსენდებიან. ვითარცა აზნაურნი არეშიშვილნი.

ბატონიშვილი იოანეც ეგრე გვამცნობს. ვითარმედ არეშიშვილნი და არეშაშვილნი ლიხთ-იმერეთითგან გადმოსულნი არეშიძენი არიანო.

XV საუკუნიდან ჩანან ზემო იმერელნი არეშიძენი.

1500 წელს იმერთა მეფემ ალექსანდრემ. ძველი სიგელის მიხედვით. 120 ათასი ძველი კირმანეული თეთრი გაუჩინა ბექან არეშიძეს სისხლის ფასად.

1503 წლის საბუთში ხსენდება არეშიძე ლომი. რომელიც თავისის ციხითა და თავისის ყმა-მამულით. თავად ჯაფარიძეთა სამსახურში მდგარა.

XVI საუკუნიდან ჩანან ქვემო ქართლელი არეშიშვილნი – სახასო და საბარათიანო აზნაურნი.

1583 წელს ქართლის მეფე სვიმონ I-მა არეშიშვილთ ხრამის ხეობაში

სოფელი ვარხონა უბოძა ერთგულების წილ.

1646 წელს როსტომ მეფემ სვიმონ I-მა არეშიშვილებს დაუბრუნა ბარათიანთაგან წართმეული არეშიანთ მამულები.

1652 წელს ამავე მეფემ არეშიშვილთ უბოძა ერთი ამოვარდნილი ბარათაშვილის მამული სოფელ ვეძას. ამათ გარდა, აზნაურ არეშიშვილთ ქვემო ქართლს მამული აქვენდათ: ენაგეთს, დურნუკს, ეცოს, ლიპს, იფნარს, ახალშენს, გენაურს, სამღერეთს, ჩხიკვთას, შავსაყდარს, ხატისოფლეთს...

აზნაურნი არეშიშვილნი მეფეს გიორგი XI ახლდნენ სპარსეთ-ავღანეთში და დიდად ერთგულად და თავგადადებით მსახურობდნენ თურმე.

ჟამითი-ჟამად სამეფო კარზე სალაროს მოლარედ და საწოლის მწიგნობრად ჩანან არეშიძე-არეშიშვილნი.

XVII საუკუნის ზემო ქართლის სადროშოს აღწერის დავთარში ხსენდებიან იმერეთიდან გადმოყვანილი რაჭველი არეშიძენი.

**არეშიძე 960**
**თბილისი – 471,**
**თერჯოლა – 116,**
**ქუთაისი – 111);**
**არეშოვი**
**(იგივე ქართველები 70**
**მცხეთა – 44,**
**თბილისი – 21,**
**ახმეტა – 2.**

*ღმერთისა და საქართველოსათვის და ბაგრატიონთა ტახტის ძლიერებისათვის არეშიძენი გამოდიოდნენ ცალკე იმერეთის სამეფო ლაშქარში და ცალკე ქართლის სამეფო ლაშქარში, მოწინავე, შუაგულ და მემარჯვენე სადროშოებში.*

ამჟამად არეშიძენი ცხოვრობენ ისევ ზემო იმერეთს, ქვემო ქართლს და შიდა ქართლს და კიდევ ოდიშს, ოკრიბას, გარეკახეთსა და პერეთს.

საქართველოში არეშიძეთა, დიდ-პატარის, ქუდოსან-მანდილოსნის საერთო რიცხვი ცხრაას სამოცს აჭარბებს.

არებაშვილი – 0.

ერთხანს ვარხონა – ვახუნას სახელი გადაარქვეს და არეშოვკა უწოდეს *(იხ. ი. ახუაშვილი, ქართული გვარსახელები)*.

**არეშიძე გურამ** – დაამთავრა თსუ-ის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეოლოგიის განხრით. მუშაობდა თურქმენეთში, ყარა-ყუმის უდაბნოში, პამირზე, აღმოსავლეთ ციმბირში (ბაიკალზე), საზღვარგარეთის თოთხმეტ ქვეყანაში, იყო სავაჭრო-ეკონომიკური წარმომადგენელი მონღოლეთსა და ჩრდილო ჩინეთში, დაჯილდოებულია ლაოსის შრომისა და მეგობრობის დიდი ოქროსორდენით. სტუდენტობის პერიოდში იყო კარგი სპორტსმენი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი სიმძიმეების აწევაში.

მეუღლე ლამარა გამსახურდია – დაამთავრა ი. ჭავჭავაძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი ინგლისური ენის სპეციალობით. მუშაობს გამომცემლობა „განათლებაში" უცხო ენებისა და ლიტერატურის რედაქციის გამგედ.

შვილი **მამუკა არეშიძე** – დაამთავრა შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი. მუშაობდა საქართველოს ტელევიზიაში რეჟისორად. ამჟამად არის საქართველოს პარლამენტის წევრი.

რძალი **მარინა სალარაძე** – მსახიობი. შვილიშვილი **გიორგი არეშიძე** – ლონდონის შილერის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტი.

**არეშიძე კიმი** – დაამთავრა თსუ-ის ეკონომიკის ფაკულტეტი. მუშაობდა ლითონმომარაგებისა და გასაღების ბაზაში. მეუღლე **ეთერ გოგიჩაშვილი** (1928–1986) – დაამთავრა ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენების ინსტიტუტი გერმანული ენის სპეციალობით. შვილები: **ვასო, გიორგი, ანა.**

**ვასო არეშიძე** (1956–1995) – დაამთავრა თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი. მუშაობდა საქართველოს სპორტკომიტეტში იურისკონსულტანტად. რძალი **ზალი ცირეკიძე** – დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

შვილიშვილი **ირაკლი არეშიძე** – სტუდენტი.

**გიორგი არეშიძე** – დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტი, მუშაობდა თბომეურნეობის უფროსად. ამჟამად მუშაობს კერძო სტრუქტურაში.

რძალი **ნინო კაპანაძე** – დაამთავრა თსუ-ის ეკონომიკის ფაკულტეტი. მუშაობს საგადასახადო ინსპექციაში.

შვილიშვილი **ქეთევან არეშიძე** – მოსწავლე.

**ანა არეშიძე** – დაამთავრა პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ბიბლიოთეკათმცოდნეობის განხრით. შვილიშვილი **ლევან ედიშერაშვილი.**



**არეშიძე მამუკა,** საქართველოს პარლამენტის კავკასიის საკითხთა ექსპერტი, ჟურნალისტი, რეჟისორი. დაიბადა თბილისში 1957 წლის 27 ნოემბერს.

მშობლები: **ლამარა გამსახურდია, გურამ არეშიძე.** მეუღლე – **მარინე სალარაძე** (1956). შვილი – **გიორგი** (1978). დაამთავრა თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი (1980). იყო ტელევიზიის ახალგაზრდული პროგრამების მთავარი რედაქციის რეჟისორი (1981-87), კინორედაქციის მთავარი რეჟისორი (1987–89), გადაცემა „საღამო მშვიდობისა" წამყვანი და რეჟისორი (1988–93), ინფორმაციის მთავარი რედაქციის მთავარი რედაქტორი (1993–95). საქართველოს პარლამენტის წევრი, კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის საკოორდინაციო ჯგუფის ხელმძღვანელი (1995–99). არისსახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1992), ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი (1991).

არეელაშვილი, დღეისთვის გვხვდება გვარი არეელაძე, იყო აგრეთვე არეელაშვილი. გვარში არ წინსართი უნდა იყოს. გვარის ფუძე იქნებოდა ველა, შდრ.: ველაშვილი.

შდრ.: არეელასშვილი მანდენა – მოწმე სეფიეულა ნაქუმისშვილის მიერ პაპია ტერტერაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა *(1683 წ. V.2. 1450-9/108).*

| | |
|---|---|
| **არეელაძეები** | **1843** |
| **თბილისი** | **169** |
| **სამტრედია** | **524** |
| **ვანი** | **281** |

**არეელაძეები.** არეელაძეთა გვარში ფუძეა სიტყვა არვე, იგივეა რაც „ჯოგი თხათა და ცხვართა“ *(საბა, I, გვ. 63).* ძე სუფიქსია. ფუძესა და სუფიქსს შუა შემხვედური ლა ინფიქსია, როგორც ირკვევა. საქმე გვაქვს ხელობა-საქმიანობიდან მიღებულ გვართან. ქართულ ონომასტიკაში გვხვდება გვარები ჯოგიაშვილი *(ერთ-ერთი ვერსიით სტალინის წინაპრების თავდაპირველი გვარი ჯოგიშვილი ყოფილა. ჯოგიშვილი, ჯუგაშვილი – ჯულაშვილი).* XVI საუკუნეში ვანის რაიონში სოფელ მთისძირიდან გადმოსულა სამი ძმა და ერთი და არეელაძე და დასახლებულა მდ. ჭურთაევას მარცხენა ნაპირზე, სოფელ ჭაგანში. ესენი ყოფილან *იეანე, ხუხუნა, ვასილი* და *მარიამი.* დასახლების დროს სოფელი რუკაზე ჯაგნარად მოიხსენიება (შდრ. ჯაგი და ნარი). *„არეელაძეებმა მიხედეს ადგილს, გაწმინდეს სამოსახლოები და წამოიმართა სოფელი ჭაგანის სახელით“.*

XVII-XVIII საუკუნეში სოფელმა საკუთარ ეკლესიაზეც იზრუნა და სამი ეკლესია გაჩნდა (მათ შორის ერთი მათგანი ჭაგანის ღვთისმშობლის სახელს ატარებს).

*არეელაძეები უბატონო გლეხები იყვნენ და შეძლებულ აზნაურს არ ჩამოუვარდებოდნენ.*

არეელაძეები ლიბოძლიერი და გამორჩეული გვარია. ჰყავთ მეცნიერები, კულტურის, განათლების, მედიცინის, მმართველი ორგანოების მუშაკები. ბოლო წლებში გვარს სახელი უფრო გაუძლიერეს ფეხბურთელებმა – არეელაძეებმა.

ღმერთმა ამრავლოს გვარი არეელაძეთა.



**არეელაძე ოთარი მიხეილის ძე,** დაიბადა 1943 წლის 17 დეკემბერს ქ. თბილისში მოსამსახურის ოჯახში.

1953 წელს დაამთავრა მე-17 საშუალო სკოლა ოქროს მედალზე. იმავე წელს ლენინის სახელობის საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსან პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1959 წელს სპეციალობით არქიტექტურა. მუშაობა დაიწყო ქ. ორთოლში ამავე წელს უფროს არქიტექტორად სოფლის შენობათა და ნაგებობათა სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში.

1962 წლიდან მუშაობდა ქ. თბილისში „თბილქალაქპროექტში“ უფროს არქიტექტორად.

1996 წლის მუშაობდა სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტში "თბილქალაქპროექტში" დაგეგმარების სექტორის პროექტის მთავარ სპეციალისტად.

1957 წელს გადაიყვანეს უფროსის მოადგილედ და პროექტის მთავარ არქიტექტორად.

1978 წლიდან მუშაობს საქალაქო საბჭოს აღმასკომის მთავარი არქიტექტურულ-დაგეგმარების სამმართველოს უფროსად და ქალაქის მთავარი არქიტექტორის პირველ მოადგილედ.

1996 წლიდან მუშაობდა ქ. თბილისის მთავარ არქიტექტორად.

არის 60-მდე ქალაქგეგმარებითი პროექტის ავტორი. მიღებული აქვს ჯილდოები. 1985 წელს მიანიჭეს საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორის საპატიო წოდება.

სხვადასხვა დროს არჩეული იყო 7 მოწვევის დეპუტატად. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი, სამი შვილიშვილი.



**არველაძე გურამ ივანეს ძე**, დაიბადა თბილისში, 1934 წლის 21 აპრილს. 1954 წელს დაამთავრა თბილისის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლა. 1966 წელს – სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტი.

მუშაობდა ს/მ მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ს/კ ინსტიტუტში სხვადასხვა თანამდებობებზე. 1969 წლიდან ს/მ სამინისტროში მექანიზების მთავარ სამმართველოში გამომგონებლობის, რაციონალიზაციისა და საპატენტო განყოფილების მთავარ ინჟინრად. შემდეგ განყოფილების უფროსად. 1975 წელს მუშაობდა მწვანე მშენებლობისა და საბაღო-საპარკო მეურნეობის სამმართველოს მთავარი მექანიკოსის განყოფილების უფროსად. 1982 წლიდან საქართველოს ს/მ სამინისტროს მეცნიერებისა და პროპაგანდის სამმართველოს მეცნიერების განყოფილების მთავარი ინჟინერია.

საქართველოს საქაგრომრეწვის შექმნასთან დაკავშირებით, გადაყვანის წესით დაინიშნა მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის მთავარ სამმართველოში ახალი ტექნიკის დანერგვის წამყვან სპეციალისტად. 1992 წლიდან გადაიყვანეს საქაგრომრეწვის მუშათა კადრების მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების რეგიონალური ცენტრის დირექტორის მოადგილედ. 1992 წ. მუშაობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების გამოყენების განყოფილებაში პირველი კატეგორიის სპეციალისტის თანამდებობაზე.

1997 წლამდე მუშაობდა ამავე აკადემიაში აგრარულ მეცნიერებათა ინტელექტუალური პროდუქციის რეალიზაციისა და საკონსულტაციო მომსახურების განყოფილების უფროსად, ხოლო 1997 წლიდან არის სამეცნიერო ტექნიკურ მიღწევათა გამოყენების განყოფილების უფროსის მოადგილე.

მამა – **არველაძე ივანე ნიკიფორეს ძე**, მუშაობდა ფინანსთა სამინისტროში

ექსპერტად. დედა – გუგუშვილი თამარ არტემის ასული ექიმი იყო.

მეუღლე – ბერძენიშვილი გულნარა ბიძინას ასული ამჟამად ლექციებს კითხულობს ჟურნალისტიკის კათედრაზე აგრარულ უნივერსიტეტში.



**არველაძე ია,** დაიბადა 1929 წელს. თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის მედალზე დამთავრების შემდეგ დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტი. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1953 წლიდან აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში (ამჟამად გაერთიანება „ცისარტყელა"). მუშაობდა ქიმიურ ლაბორატორიაში ინჟინრად. 1956 წლიდან საამქროს უფროსად. 1962 წლიდან – მთავარ კოლორისტად.

მისი უშუალო ხელმძღვანელობით შეიქმნა კოლორისტული ლაბორატორია, სადაც მუშავდება მხატვრის მიერ ქაღალდზე შესრულებული ნახატი ფერთა სხვადასხვა გამაში, რაც რთული და საპასუხისმგებლო საქმეა. მოითხოვს ფაქიზ და ნატიფ გემოვნებას. მისი ხელმძღვანელობით ათვისებულია მრავალი ახალი სალებავი. მისი ნამუშევრები მონაწილეობდა საკავშირო სამხატვრო ტექნიკურ საბჭოებზე, საერთაშორისო თუ საკავშირო ბაზრობებზე. მისი ნამუშევრები ყველგან იღებდა მაღალ შეფასებას.

გარდა ძირითადი საქმიანობისა, იგი წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს სამხატვრო აკადემიაში, ასწავლიდა ქსოვილების მხატვრული გაფორმების ტექნოლოგიას, იყო მრავალი დიპლომის ხელმძღვანელი და რეცენზენტი. მის მიერ აღდგენილია ქსოვილების მოხატვის ძველი ქართული მეთოდები, რომლებსაც აზიარებდა სტუდენტებს.

ია არველაძე საქართველოს დამსახურებული ინჟინერია. არის მრავალი რაციონალიზატორული წინადადების ავტორი. ქსოვილების მაღალმხატვრული გაფორმებისათვის მიღებული აქვს ჯილდოები. მონაწილეობდა კოლორისტთა საერთაშორისო კონგრესზე.



**არველაძე სიმონ,** სახალხო განათლების ღვაწლმოსილი მუშაკი, სამამულო ომის მონაწილე, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი. დაიბადა 1905 წელს სოფელ ჭაგანში (სამტრედიის რაიონი). ბატონმა სიმონმა თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა. მასწავლებლად მუშაობდა ჯერ ბორჯომში, შემდეგ – გაზეთ „კომუნისტის" რედაქციაში. შემდეგ, 1953 წ. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველოს უფროსად.

1941–1945 წლებში მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში, იყო 414-ე ქართული დივიზიის ოფიცერი. მან განვლო რთული გზა ასეულის მეთაურიდან პოლკის მეთაურის მოადგილემდე. იბრძოდა კავკასიის დასაცავად, ნოვოროსიისკიან, ტამანის ნახევარკუნძულზე, ანაპის 414-ე ქართულ დივიზიაში. 1948 წლამდე

კვლავ საბჭოთა არმიის რიგებში იყო. მიღებული ჰქონდა მთავრობის 9 ჯილდო, მათ შორის წითელი ვარსკვლავის ორდენი.

ბატონი სიმონი არველაძეების დიდი ქომაგი იყო – გარეგნულად ახოვანი, ლამაზი, მაღალი სულითა და პატიოსნებით გამორჩეული პიროვნება. გარ-დაიცვალა 1984 წელს.



არველაძე კირილე, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლე-ბელი. დაიბადა სოფელ ჭაგანში 1873 წელს. ჭაგანში სკოლა 1875 წელს გაუხსნიათ და მისი პირველი მასწავლებელი კირილეს მამა იეანე არველაძე ყოფილა. მამას კირილე მღვდლად უნდოდა გაეზარ-და, რისთვისაც იგი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მიაბარა. სასწავლებლის წარმატებით დამთავრების შემდეგ უგამოცდოდ ჩაირიცხა თბილისის სასულიერო სემინარიაში, საიდანაც იგი გაირ-იცხა მოსწავლეთა 1893 წლის გაფიცვაში აქტიური მონაწილეობისათვის. მხოლოდ მოგვიანებით დართეს ნება, სტავროპოლის სასულიერო სემინარიაში გაეგრძელებინა სწავლა, რომელიც ასევე წარმატებით დაამთავრა. მაგრამ მღვდლობაზე უარი განაცხადა და სახალხო მასწავლებლის რთული გზა აირჩია.

პედაგოგიური მოღვაწეობა ბანძის შვიდკლასიანი სასწავლებლიდან დაიწყო. სკოლა ახალგახსნილი იყო და მას მხოლოდ 3 მასწავლებელი ჰყავდა, რის გამოც თითოეულ მათგანს რამდენიმე საგნის სწავლება უხდებოდა. ამ პერიოდში კ. არველაძე ეწეოდა ფართო საზოგადოებრივ საქმიანობას, ასწავლიდა გლეხებს სხვადასხვა კულტურების მოყვანის აგროწესებს, უკითხავდა ჟურნალ–გაზეთებს, მონაწილეობდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლ ფარულ ორგანიზაციებში. აქ მან 9 წელი იმუშავა.

უმაღლესი განათლება ტარტუს უნივერსიტეტში მიიღო, სადაც დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი. სწავლის პერიოდში, გარდა იურიდიული ფაკულ-ტეტის სავალდებულო ლექციებისა, ისმენდა ლექციებს ფილოსოფიაში, ფსიქოლოგიაში და პედაგოგიკის ისტორიაში.

იურიდიული განათლების მქონე კ. არველაძეს, როგორც ქართველს, მეფის ხელისუფლებამ სასამართლო ორგანოებში თანამდებობა არ მისცა და იგი ისევ დაუბრუნდა თავის საყვარელ საქმეს. 1912 წლიდან თბილისის 1–ელ გიმნაზიაში ქართული ენის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. 195 წელს ქალაქ გორის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორმა ტ. ა. სმირნოვმა ნიკო ლომოურის გარდაცვალების შემდეგ ქართული ენის მასწავლებლად კ. არველაძე მიიწვია. 1917 წელს ბატონი კირილე ინიშნება სემინარიის დირექტორად იმავე სმირნოვის წარდგინებით, სადაც მან შემოიკრიბა გამოჩენილი ქართველი პედაგოგები – ალ. გარსევანიშვილი, ს. რობაქიძე, თ. ჟორდანია და სხვები. აღნიშნულ პედაგოგებთან ერთად მან გაშალა მუშაობა პედაგოგიური სასწავლებლის დასაარსებლად. ისინი წერენ ქართულ ენაზე სკოლის საგნების მეთოდიკას. იგი

წერს წიგნს „არითმეტიკის პროგრამა პირველი წლისა. 31 კონსპექტი და მეთოდური შენიშვნები."

1921 წელს გორის სემინარია პედაგოგიურ ტექნიკუმად გადაკეთდა. ამ პერიოდში იგი ფართოდ ებმება საზოგადოებრივ-კულტურულ საქმიანობაში. 1927–31 წლებში გორის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის წევრია და ცეკის ალმასკომის თავმჯდომარეს მისი არყოფნის დროს, თავმჯდომარეობს გორის სამხარეთმცოდნეო საზოგადოებას, კითხულობს მოხსენებებსა და ლექციებს და თანამშრომლობს პედაგოგიურ ჟურნალ-გაზეთებში.

1931 წლიდან, თბილისში გადმოსვლის შემდეგ, ასწავლის რუსულ ენას და ლიტერატურას სხვა ტექნიკუმებში, ფართოდ არის ჩაბული საქართველოს პედ-აგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პედაგოგიკის ისტორიის სექცი-ის მუშაობაში. ამ პერიოდში მან მოაგროვა საქართველოს სკოლების ისტორი-ის მასალები და ინსტიტუტს ჩააბარა შემდეგი შრომა: „XIX საუკუნის II ნახ-ევრის საანბანო წიგნები", „გორის სასულიერო სასწავლებლის ისტორიის მასალები", „საქართველოს სამრევლო სკოლების მასალები", „საქართველოს სასულიერო სასწავლებლების მასალები 1900–1918 წლებში" და სხვ.

მას საკუთარი ოჯახი არ ჰყავდა, მაგრამ აღზრდილი ჰყავს საკუთარი ძმისშვილებისა. მადლიერი შთამომავლობა პატივს სცემს მის ნათელ ხსოვნას. იგი 1950 წელს გარდაიცვალა. დასაფლავებულია ვაკის სასაფლაოზე.

**არველაძე რევაზ**, დაიბადა თელავში 1941 წ. 28 ოქტომბერს. მშობლები: მარიამ ტალახაძე, დავით არველაძე. მეუღლე მარინა ხომერიკი. შვილები: დავითი (1972), გიორგი (1980).

დაამთავრა სპი-ს ენერგეტიკის ფაკულტეტი (1964). იყო საქართველოს მინისტრთა საბჭოს განყოფილების გამგის მოადგილე (1980–84), საქენერგეტიკის უფროსის პირველი მოადგილე, მთავარი ინჟინერი (1984–90), ენერგეტიკის სამეც-ნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი (1990–96), სათბობენერგეტიკის მინ-ისტრი (1992–93), პრეზიდენტის საკოორდინაციო სამსახურის უფროსი (1994–95), სათბობენერგეტიკის მინისტრის პირველი მოადგილე (1996–97), ენერგეტიკის ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი (1994 წლიდან).

საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. არის ენერგეტიკის მეცნიერებათა დოქტორი, 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, ენერ-გეტიკის საერთაშორისო აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, საინჟინრო აკადემი-ისა და მეცნიერების, მრეწველობის, განათლებისა და ხელოვნების საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი.

**არველაძე ლილიანა**, გობელენი. დ. 27.II.1972, თბილისი. მშობლები: მაგული პაპლიაშვილი, ვასიკო არველაძე. მეუღლე – ბაჩუკი ჭაშელაშვილი (1967). სწავლობდა თსსა ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე (1990–95). გამოფენებში მონაწილეობს 1995 წლიდან. საქართველოს მხატვართა კავშირის წევრია 1998

წლიდან. ძირითადი ნამუშევრები: გობელენები: „ქალი“ (1995), „მინდვრის ყვავილები“ (1995), „გვირილები“, (1996), „ჯვარცმა“ (1997). აკვარელები: „მოცეკვავე ზანგი“, „თაიგული“ (1998).

გამოფენები: საგაზაფხულო (1995, 1997), საშემოდგომო (1996), სხვ.



**არველაძე გიორგი მიხეილის ძე,** დაიბადა 1902 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ ჭაგანში. მშობლები: **მიხეილ არველაძე და პასიკო ჩომახიძე.** პატარა გიორგი მრავალშვილიან ოჯახში გაიზარდა. ოჯახში 6 შვილი იყო, ორი ძმა და 4 და. დაწყებითი განათლება სოფელში მიიღო, შემდეგ დაამთავრა სამტრედიის საშუალო ჰუმანიტარული ტექნიკუმი. 1923 წელს დაასრულა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ გაიარა სამხედრო-სავალდებულო სამსახური, იყო ქართულ ცხენოსან ლეგიონში, რომელიც თბილისში იყო დისლოცირებული.

ჯარიდან დაბრუნების შემდეგ, გ. არველაძე იწყებს პედაგოგიურ საქმიანობას. ორი წელი საკუთარ სოფელში იმუშავა, შემდგომ კი სოფ. ლანჩხუთის შვიდწლიანი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ დანიშნეს. ერთი წლის შემდეგ დირექტორად დააწინაურეს. ბ-ნმა გიორგიმ მასწავლებელ ნადია ბენდელიანზე იქორწინა. ორივემ ხელიხელჩაკიდებულებმა ერთად სწიეს ოჯახური ჭაპანი. მათ მრავალი ღირსეული პიროვნება აღუზარდეს დედა-საქართველოს. მათ შორის აკადემიკოსი ბენო ბალავაძე, ქორეოგრაფი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი კონსტანტინე მანჯგალაძე, პედაგოგი (მუსიკალური სკოლის დირექტორი) ირაკლი ბალავაძე, მოჭიდავე ვახტანგ ბალავაძე, ცნობილი მსახიობი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ეროსი მანჯგალაძე-

*„ჩემს მეხსიერებაში ისინი რჩებიან, როგორც წმინდათაწმინდა ადამიანები. ისინი არიან ჩვენი ერისა და ქართველი ადამიანის სინდისის განსახიერება. მე ფუ ადამიანი ვარ და მოქალაქე მქვია, ამაში დიდი წვლილი მიუძღვით ბატონ გიორგის და ქალბატონ ნადიას. ნადია მასწავლებელი იყო ნიმუშის დედის, მასწავლებლის, აღმზრდელის, გამწვრთნელის, ჭკუის დამრიგებლის. ჩემს ცხოვრებაში ბევრ რამეს სწორედ მათი დარიგებიდან ვიყენებ“ (კონსტანტინე მანჯგალაძე, მოწაფე).*

დაოჯახების შემდეგ გიორგი არველაძემ სოფ. ლანჩხუთში ათწლიანი საშუალო სკოლა დააარსა, რომლის პირველი დირექტორიც თავად გახლდათ.

არველაძე-ბენდელიანის წყვილმა თითქმის 90 წლის ასაკამდე ერთგულად, სიყვარულით, თუმც დიდი გაჭირვებითაც გასწია ცხოვრების ჭაპანი. მათ ერთობლივ მყუდრო თანაცხოვრებას წინ ბევრი მძიმე წელი ელოდა..

1942 წელს გიორგი სამამულო ომში გაიწვიეს.

ჩრდილოეთ კავკასიიდან დაწყებული ბრძოლა მდინარე ოდერის წარმატებული გადალახვით გაგრძელდა. ამას პოზნანის აღება მოჰყვა. გიორგი არველაძის

ასეულის მეთაურის სამარ ეპოპეაში შედის კიევის გათავისუფლება, ქალაქ მელიტოპოლის აღება და ტრიუმფალური სვლა ბერლინისაკენ.

დაჭრა, ჭრილობების მოშუშება, კვლავ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა, ისევ ჭრილობა, სამხედრო ჰოსპიტლის გულისგამგმირავი კვნესა და ბოლოს – სანუკვარი გამარჯვება. ამისთვის კი უამრავი ჯილდო – მედალი, ალექსანდრე ნეველის ორდენი და უმაღლესი მთავარსარდლის 5 მადლობის ბარათი.

ამით დამშვენებული გიორგი თავის ასეულთან ერთად ფაშისტებისგან გათავისუფლებული გერმანიის საზღვრების სადარაჯოზე თითქმის ორი წლის განმავლობაში იმყოფება.

შინ დაბრუნება...

ხელახალი მშვიდობიანი ცხოვრების დაწყება „თითქმის მშობლიურ" ლანჩხუთში. გიორგი არველაძე სკოლას აღარ დაბრუნებია. იქ მის ნაცვლად პარტორგანიზაციის მდივნად მისი მეუღლე დანიშნეს. თავად გიორგიმ საზოგადოებრივი მოღვაწეობა ორგანოში გააგრძელა. სამტრედიის უშიშროების სამსახურში პოლიტგანყოფილების უფროსის თანამდებობა დაიკავა. ამას მოჰყვა დამსახურებული პენსია და პენსიონერი გიორგი არველაძის სოფელ ლანჩხუთის სახალხო კონტროლის თავმჯდომარეობა. საზოგადოებრივ საქმეს ის ღრმა მოხუცებულობამდე არ ჩამოშორებია. მის მეუღლეს ნადია ბენდელიანს კი არასოდეს მიუტოვებია პედაგოგობა. რაც ლანჩხუთის სკოლაში მისულ ქუთაისის გიმნაზიადამთავრებულ გოგონას იქ დახვედრილმა მასწავლებელმა – მექი ბალავაძემ შთააგონა. მანვე დაულოცა გზა, რომელიც ნადია მასწავლებლისთვის ფეხბედნიერი აღმოჩნდა. გზა, რომელიც შრომის წითელი დროშის ორდენით დაგვირგვინდა. „საქართველოდან წარგზავნილ მასწავლებლებს შორის ერთ-ერთი ვიყავი, ვინც 1939 წელს მოსკოვში გაგვაგზავნეს. მე სამტრედიის რაიონს წარმოვადგენდი. ჯილდოები კრემლში თავად კალინინმა გადმოგვცა, რის შემდეგაც ერთი საერთო ფოტო გადაგვიღეს". – სიამაყით ჰყვებოდა ხოლმე ქალბატონი ნადია, თუმცა იგი გაცილებით მეტად გულაჩუყებული თავის ნამოწაფართა მადლიერებას ხვდებოდა.

„ვინ იცის, რამდენი სითბო აფრქვიეთ ჩემი და ჩემისთანების სულს! მას ვერაფერი წაშლის, რადგან იგი დაიწყო, ნადია მასწავლებელო, თქვენი მოსიყვარულე გულის შემოგებებითა და გაბრწყინებული თვალებით.

დედაენასა და ჩვენს შორის შუქად ჩამდგარო, შესანიშნავო ოსტატო და გამორჩეულო ხელოვანო სასახელო ყრმათა ზრდისა!

მეამაყება, რომ არასოდეს გვინახავს თქვენი თვალები შემოქმედებითი ცეცხლის გარეშე და ასე ანთებდით იმ ჩირაღდანს, რომელსაც სათუთად ვინაწილებდით ჩვენ, თქვენი დიდი ოსტატობითა და ადამიანობით სხივჩამდგარი პატარები.

მახსოვს, პიესა დაგვადგმევინეთ. ჩემი ამხანაგებიდან ბევრი მწვანე ქალალისკაბით

შემოსილი წყარო იყო. იქვე ლურჯი ქაღალდის კაბაში ნაზად თაჩარგული სონა მეგრელიშვილი, ყურცქიტა კურდღელი – ეროსი მანჯგალაძე, მე ვარდისფერი ქაღალდის კაბით შემოსილი დილა გახლდით.

ო, როგორი სიხარულით ვირგებდით ტანზე თქვენი მოსიყვარულე ხელით დამზადებულ კაბებს და რა ნაზად ვეხვეოდი იას – „მე დაგძლიე, მე დაგძლიე, ჩემო პატარა ქალბატონო“–მეთქი.

ნეტავ იმ ტკბილ დილებს, როცა თქვენ გვამზადებდით ცხოვრების დიდ გზაზე გასასვლელად!

ნეტავ იმ თქვენი საკუთარი ხელით ჩვენს საკლასო ოთახში დადგმულ წელიწადის ოთხ დროს, შინაარსითა და სილამაზით სავსეს, ესთეტიკურად რომ გვხვეწდა და გვამაღლებდა!

ნეტავ იმ მდინარე ლოლობას, რომლის გასწვრივ ჩამწკრივებულ პირველკლასელებს თქვენი ხავერდოვანი ხმით გვარკვევდით ჩრდილოეთის, დასავლეთის, სამხრეთისა და აღმოსავლეთის მხარეებში!

ნეტავ, იმ დღეებს, როცა ყოველცისმარე აღნიშნავდით ამინდს და შემდეგ ვაჯამებდით – რამდენი მზიანი, წვიმიანი თუ ქარიანი დღე იყო ამა თუ იმ თვეში!

მოკრძალებით ვეამბორები იმ კეთილ გულს, რომელმაც ჩვენ ძალიან ბევრი სიხარულით აგვავსო. იმთავითვე და ახლაც ჩვენთვის დიდი ადამიანობისა და მასწავლებლობის ბედნიერი საზომი ბრძანდებით.“

შვილები: არველაძე ცისანა გიორგის ასული, დაბ. 1933 წელს, პენსიონერი;

არველაძე ნანი გიორგის ასული, დაბ. 1935 წ., პენსიონერი;

არველაძე გიორგი გიორგის ძე, დაბ. 1937 წ., პენსიონერი.

შვილიშვილები: ორბელიანი ნინო გურამის ასული, დაბ. 1963 წ., მუსიკის პედაგოგი;

ორბელიანი ზურაბ გურამის ძე, დაბ. 1964 წ., „ალდაგის“ კომპიუტერული ტექნიკის განყოფილების უფროსი;

არველაძე ნინო გიორგის ასული, დაბ. 1968, ექიმი-სტომატოლოგი;

არველაძე ნადია (ნათია) გიორგის ასული, დაბ. 1969 წ., ჟურნალისტი

იუსტინე ივანეს ძე არველაძე, დაიბადა 1887 წლის აგვისტოს სამტრედიის რაიონის სოფ. ჭაგანში.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ტარტუს უმაღლეს სასწავლებელში, რომელიც წარმატებით დაამთავრა და დაბრუნდა სამშობლოში. დარჩა მეუღლე – ვარო მაჭარაშვილი და ორი ვაჟი: რეზო და შოთა არველაძე. ისინი ქვეყნის სასიქადულო შვილები გახდნენ და ბრწყინვალედ გააგრძელეს ძლიერი და სათაყვანებელი, კაცთმოყვარეობაზე აგებული ქართული ოჯახის ტრადიციები.



რევაზ იუსტინეს ძე არგვლაძე (უფროსი), დაიბადა 1916 წლის იანვარს ქ. თბილისში. დაამთავრა თბილისის მე–18 საშუალო სკოლა, ბათუმის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი და ბოლოს – ოდესის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. საიდანაც მძიმედ დაჭრილი და II ჯგუფის ინვალიდი დაბრუნდა 1944 წელს. მიღებული აქვს მრავალი ჯილდო და ორდენი საბრძოლო გმირობისა და მამაცობისათვის. მშვიდობიან პერიოდში პენსიაზე გასვლამდე მუშაობდა „სამტრესტის" სისტემაში. მრავალი მნიშვნელოვანი ჯილდოს გარდა მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული მეღვინის საპატიო წოდებაც. არის ღირსების ორდენის კავალერი. ამჟამად ბატონი რეზო ცხოვრობს ქ. თბილისში მეუღლესთან – თინა ლოლობერიძესთან, 2 შვილთან, 4 შვილიშვილთან და 6 შვილთაშვილთან ერთად.



იუსტინე (კოჭა) რევაზის ძე არგვლაძე, დაიბადა 1947 წლის 14 სექტემბერს ქ. თბილისში.

სპეციალობით ექიმია. არის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი. ამჟამად მუშაობს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სამკურნალო სამმართველოს უფროსად. არის ქ. თბილისის პირველი მოწვევის საკრებულოს წევრი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. ჰყავს მეუღლე თამარ დოლიძე – სპეციალობით ექიმი, სამი ვაჟი და 5 შვილიშვილი.



რევაზ იუსტინეს ძე არგვლაძე, დაიბადა 1969 წლის სექტემბერს ქ. თბილისში. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური ფაკულტეტი. ფლობს ინგლისურ, რუსულ და გერმანულ ენებს.

ახალგაზრდობიდანვე ეწეოდა აქტიურ სპორტულ მოღვაწეობას. დიდი ხნის განმავლობაში წარმატებით თამაშობდა თბილისის „დინამოში". არის საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და თასის მფლობელი ფეხბურთში.

წარმატებით გამოდიოდა საქართველოს შემადგენლობაში. სხვადასხვა დროს თამაშობდა გერმანიისა და ბელგიის უმაღლესი ლიგის ტიტულოვან გუნდებში, კერძოდ: „კიოლნში", „მეპელენში". კარიერის დამთავრების შემდეგ აქტიურად შეუდგა სამწვრთნელო მოღვაწეობას. იყო თბილისის „დინამოს" მთავარი მწვრთნელი და პრეზიდენტი. შემდეგ სასწავლებლად გაემგზავრა გერმანიის უმაღლეს სამწვრთნელო სკოლაში ის პირველი ეტაპი საკმაოდ წარმატებით გაიარა და მომავალ წელს (2003 წ.) უმაღლესი კატეგორიის მწვრთნელის სერთიფიკატით დაბრუნდა სამშობლოში. არის ლიცენზირებული აგენტი (მენეჯერი). ჰყავს მეუღლე – თეონა თავართქილაძე, დიზაინერი და ორი ვაჟი – 9 წლის ნიკა და 5 წლის გატო.



არველაძე არჩილ, ფეხბურთელი. დაიბადა თბილისში 1973 წ. 22 თებერვალს. მშობლები: თამარ დოლიძე, იუსტინე (კოჭა) არველაძე. მეუღლე – თინათინ არველაძე (1976). შვილები: რევაზი (1996), სალომე (2000). დაამთავრა თსუ-ის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი (1997). იყო თბილისის „დინამოს", თურქეთის „ტრაბზონ-სპორის", ჰოლანდიის „ბრედას" ფეხბურთელი. არის გერმანიის გუნდ „კიოლნის" ფეხბურთელი; საქართველოს ორგზის ჩემპიონი, თასის ორგზის მფლობელი, თურქეთის თასის სუპერთასის, თურქეთის ჩემპიონატის ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელი; თურქეთის 1993–94 წლების საუკეთესო უცხოელი ფეხბურთელი. მონაწილეობდა ფილმებში: „ცხელი ზაფხულის სამი დღე", „კუკარაჩა", „ძროხა", „მარტოხელა მონადირე".



შოთა იუსტინეს ძე არველაძე, დაიბადა 1973 წლის 22 თებერვალს ქ. თბილისში. დაამთავრა თბილისის № 35-ე საფეხბურთო საშუალო სკოლა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი – მშენებლობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობით. დიდი ფეხბურთის თამაში დაიწყო თბილისის „დინამოში", რომლის შემადგენლობაში გახდა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და თასის მფლობელი. საუკეთესო ბომბარდირი, საუკეთესო ფეხბურთელი და სხვა. თავის საფეხბურთო კარიერასგანმავლობაში გატანილი აქვს 300-ზე მეტი გოლი. იმედს გამოვთქვამთ, რომ გოლების რაოდენობა კიდევ გაიზრდება. შოთა არველაძე საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების წამყვანი თავდამსხმელია.

შოთა არჩილის ტყუპისცალია. ორივენი, შეიძლება ითქვას, რომ თურქეთის ნაციონალური გმირები არიან, რადგან თავიანთი პატიოსანი და თავდადებული შრომით დიდი წვლილი შეიტანეს თურქეთის ფეხბურთის აყვავებასა და განვითარებაში.

შოთა არის თურქეთის ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორი და თასების მფლობელი. საუკეთესო ბომბარდირი და საუკეთესო ფეხბურთელი და, რაც მთავარია, სამაგალითო პიროვნება. იგი მთელს თურქეთში უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს.

შოთა ასევე დიდი წარმატებით გამოდიოდა ჰოლანდიის ცნობილ კლუბში „აიაქსში" მსოფლიოში აღიარებულ ვარსკვლავებთან ერთად, ორჯერ გახდა ჰოლანდიის ჩემპიონი, ორჯერ პრიზიორი და ამდენჯერვე თასების მფლობელი.

ამჟამად იგი ბრწყინვალედ ასპარეზობს დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთ უდიდეს კლუბში – კერძოდ შოტლანდიის „გლაზგო-რეინჯერსში".

ჰყავს მეუღლე – თამუნა მელაძე და 6 წლის ვაჟი გიორგი არველაძე. ფლობს ინგლისურ, რუსულ და თურქულ ენებს.

კვლავაც გამარჯვებით ველოს ცხოვრებისა და სპორტის რთულ გზაზე.

არველაძე ლონდა, დაიბადა ქ. ბორჯომში 1931 წლის 5 იანვარს. მამა სიმონ

არველაძე, დედა მარიამ ლეჟავა. სწავლობდა ქ. თბილისში I ქალთა საშ. სკოლაში. სწავლა განაგრძო თბილისის უცხო ენების ინსტიტუტში. შემდეგ მუშაობდა თბილისის 134 საშუალო სკოლაში ფრანგული ენის მასწავლებლად.

ამჟამად მუშაობს თბილისის 135 საშუალო (საფეხბურთო) სკოლაში.

ჰყავს ორი შვილი გიორგი ოდიკაძე და ნინო ოდიკაძე, ორი შვილიშვილი.



**არველაძე თინათინ კლონიას ასული,** დაიბადა 1917 წელს ქ. ზესტაფონში.

1040 წელს ამთავრებს ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიულ ფაკულტეტს. 1940 წლიდან 1949 წლამდე მუშაობს ქ. ზესტაფონის რაიონულ საავადმყოფოში ექიმ-პედიატრად.

1944 წელს გათხოვდა და გადმოვიდა საცხოვრებლად თბილისში. 1050 წლიდან მუშაობს ქ. თბილისის რკინიგზის საბავშო ბაგა-ბაღის გამგედ 1963 წლამდე. 1963 წლიდან 1992 წლამდე მუშაობს სან-ეპიდ-სადგურში ექიმ-ბაქტერიოლოგად. არის შრომის ვეტერანი და მინიჭებული აქვს საპატიო ექიმის წოდება.



**არველაძე თამარ გურამის ასული,** დაიბადა 1965 წლის 15 დეკემბერს ქ. თბილისში. მამა გურამ ივანეს ძე არველაძე – ინჟინერი. დედა – გულნარა ბიძინას ასული ბერძენიშვილი – ჟურნალისტი. ძმა ზურაბ გურამის ძე არველაძე – ინჟინერი.

სამუშაო გამოცდილება: 1986 წლიდან დიქტორად. საქართველოს ტელევიზია და რადიომაუწყებლობა. 1988 წლიდან კინო რედაქციაში – რედაქტორად. აკეთებდა და მიჰყავდა გადაცემები: „გალაკტიონოთ ქართული კულტურა", „კინოფესტივალის დღიურები", „ალიონი", საინფორმაციო, კინო, ლიტერატურული, მუსიკალური, სამეცნიერო გადაცემები: „მოამბე", „ქალის საათი", „ნაშუადღევს", „კინომოზაიკა", შემდეგ „მაცნე", ასევე კინოფესტივალები „ოქროს არწივი", „ოქროს საწმისი", ტელეხიდები", სიმფონიური მუსიკის ფეს- ტივალები, კონცერტები და ა.შ.

გადაღებულია რამოდენიმე ქართულ ფილმში. მათ შორის შესრულებული აქვს მთავარი როლი მ. მინდიაშვილის ფილმში „მატარებელი ხუთ წუთში გავა". არის საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი.



**არველაძე გულნარა ბიძინას ასული,** დაიბადა ქ. თბილისში 1935 წ. 18 მაისს.

მამა ბიძინა ბერძენიშვილი ინჟინერი. დედა თამარ ბერძენიშვილი ეკონომისტი. დაამთავრა თსუ.

1966 წლიდან მუშაობს საქტელერადიოკომიტეტში მთარგმნელად, რედაქტორად. 1989 წელს სამუშაოდ გადადის თავდაცვის სამინისტროში მთარგმნელად. თარგმნილი აქვს სამხედრო ნაწილებისთვის საჭირო ლიტერატურა. მუშაობს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტში პრეს-

სამსახურში. გამოქვეყნებული აქვს საქართველოს სხვადასხვა გაზეთებსა და ჟურნალებში პუბლიკაციები. შეტანილია საქართველოს ჟურნალისტთა ენციკლოპედიაში, როგორც მრავალდარგოვანი ჟურნალისტი. ასწავლის ჟურნალისტიკას აგროუნივერსიტეტის ჟურნალისტიკის კათედრაზე.

არის საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი.



**არეშიძე ზურაბ გურამის ძე,** დაიბადა 1961 წლის 29 აგვისტოს ქ. თბილისში. დაამთავრა ქ. თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კავშირგაბმულობის ფაკულტეტი.

მუშაობს ქ. თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში.

ჰყავს მეუღლე – **ხათუნა მახათაძე-არეშიძე** და სამი შვილი: **ნინო, არჩილი** და **გიორგი.**



**ხათუნა მახათაძე-არეშიძე,** დაიბადა 1966 წლის 11 ივნისს ქ. თბილისში. დაამთავრა ქ. თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობს საერთაშორისო ენის აკადემიაში.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი – **ნინო** – დაიბადა 1988 წლის 3 ივნისს. **არჩილი** – 1992 წლის 5 ნოემბერს. **გიორგი** – დაიბადა 2000 წლის 22 მაისს.



**არეშიძე მანანა რევაზის ასული,** დაიბადა ქ. თბილისში 1949 წლის 11 ნოემბერს. მამა **რევაზ იუსტინეს ძე არეშიძე** დამსახურებული მშენებელი. დედა **თინათინ კვინიას ასული ლოლაძე** ექიმ-პედიატრი, შრომის ვეტერანი.

დაამთავრა თბილისის მეორე მუსიკალური სასწავლებელი 197 წელს და უცხო ენათა ინსტიტუტის ინგლისური ენის ფაკულტეტი 1979 წელს. მუშაობდა თბილისის რკინიგზის №13 საბავშვო ბაღში ინგლისური ენის მასწავლებლად. 1979 წლიდან მუშაობს ქართული ფოლკლორის სასახლეში ქორეოგრაფიული განყოფილების კონცერტმეისტერად.

ჰყავს შვილი **წერეთელი გიორგი ირაკლის ძე,** დაბადებული 1972 წ. შვილიშვილი **თინათინი** დაბადებული 1999 წელს.

**არეშიძე ელგუჯა გიორგის ძე** დაბადებული 1947 წლის 8 იანვარს, სამტრედიის რაიონის სოფელ ჭაგანში, მოსამსახურის ოჯახში. მამა, **გიორგი სერგოს ძე არეშიძე** მუშაობდა სამტრედიის კვების სხვადასხვა დაწესებულებებში. დიდი სამამულო ომის ინვალიდი, პენსიონერი. მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები, სხვადასხვა ორდენები და ჯილდოები.

დედა. **ნინა გიორგის ასული გაშაკიძე** პედაგოგი. მუშაობდა ჭაგანის არასრულ საშუალო სკოლაში, მათემატიკის მასწავლებლად.

1952 წელს სწავლა დაიწყო ჭაგანის შვიდწლიან სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა სამტრედიის რაიონის სოფელ დანიის საშუალო

სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1961 წელს. 1965 წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მექანიკა მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სპეციალობით კვების მანქანები და აპარატები, რომელიც დაამთავრა 1974 წელს. 1964 წლიდან მუშაობდა საამშენებლო სამმართველოში, სოფლის მეურნეობის მანქანების საკონსტრუქტორო ბიუროში კონსტრუქტორად, კვების მრეწველობის საკავშირო კვლევით ინსტიტუტში, საკონსტრუქტორო განყოფილებაში კონსტრუქტორად.

ამჟამად მუშაობს სააქციო საზოგადოება „კახეთში" საამქროს უფროსად.

2003 წლის 20 მაისს არველაძეთა საგვარეულო შეკრებამ აირჩია თავიანთი გვარის უფროსად.

არველაძე გიორგი ელგუჯას ძე დაიბადა 1977 წლის 6 სექტემბერს, თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. მამა, ელგუჯა გიორგის ძე არველაძე, სპეციალობით ინჟინერი, მუშაობს სააქციო საზოგადოება „კახეთში". დედა, ნანა ლევანის ასული კაჭკაჭიშვილი, სპეციალობით ეკონომისტი, ამჟამად – დიასახლისი.

1982 წელს სწავლა დაიწყო თბილისის 61-ე საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1993 წელს. ამავე წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის, ელექტრული აპარატების სპეციალობით, რომელიც დაამთავრა 1999 წელს.

ამჟამად არის შპს „საქართველოს რკინიგზის" თანამშრომელი.



არველაძე ნინო ელგუჯას ასული დაიბადა 1982 წლის 25 ივნისს, ქ. თბილისში, მოსამსახურის ოჯახში.

მამა, ელგუჯა გიორგის ძე არველაძე, სპეციალობით ინჟინერი, მუშაობს სააქციო საზოგადოება „კახეთში".

დედა, ნანა ლევანის ასული კაჭკაჭიშვილი, სპეციალობით ეკონომისტი, ამჟამად დიასახლისი.

1988 წელს სწავლა დაიწყო თბილისის 61-ე საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1999 წელს წარჩინებით.

ამავე წელს ჩაირიცხა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში, ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის, მთარგმნელი-რეფერენტის სპეციალობით. ამჟამად ირიცხება მე-4 კურსზე.



არველაძე შოთა იუსტინეს ძე 1919-1994) თსს-ის სამკურნალო ფაკულტეტის კურსდამთავრებული (1941). ამავე წელს გაიწვიეს ომში. 1945 წლამდე მუშაობდა თათარეთა ავტონომიური რესპუბლიკის ქ. ნურტალის ჰოსპიტლის ქირურგიული განყოფილების გამგედ. 1945 წლიდან 1961 წლამდე ამავე ჰოსპიტლის მთავარი ექიმია. 1961 წელს იგი ბრუნდება თბილისში და მუშაობას იწყებს თბილისის მე-7 საავადმყოფოში ქირურგ-ანესთეზიოლოგად.

იყო თბილისის მე-8 საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილე, მთავარი ექიმი: ნ. ყიფშიძის სახელობის რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავად-

მკოვის ქირურგიული განყოფილების გამგე. მთავარი ექიმის მოადგილე ქირურგიის დარგში. სადაც ბოლო დრომდე მუშაობდა.

იყო რამდენიმე სამეცნიერო შრომის ავტორი. ეწეოდა საზოგადო მოღვაწეობას. დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენითა და მედლით.

გარდაიცვალა 1994 წელს. პაატას მეუღლე **თინათინ ეზუგბაია,** შვილი **დავით არველაძე,** რძალი **მაია გივის ასული სახეაძე** და სამი შვილიშვილი: **შოთა, გიორგი** და **თინათინ არველაძეები.**

## არველაძეთა მცირე ნაწილი

ივანე არველაძე სოფ. ჭაგნის დიაკვანი – სოფიო
არველაძე –
მათი შვილები: ნიკიფორე, კირილე, იუსტინე – კესარია
არველაძე–გელეიშვილი – პასკიო არველაძე–ხაინდრავა –
მაშიკო არველაძე–მჭედლიძე – კირილე – უცოლშვილო
იუსტინე, ვარვარა მაჭარაშვილი – რევაზ, შოთა –
შვილიშვილები – იუსტინე (კიჭა), მანანა, დავით –
რევაზ არველაძის შვილები – რეზო, არჩილ, შოთა –
შოთა არველაძის შვილიშვილები – შოთა, გიორგი
არველაძეები – ნიკიფორე არველაძე, ნინო შოვნაძე –
შვილები: შვილიშვილები – ქეთევანი – ვახტანგ, ელენე,
შოთა ყუბანეიშვილები – თამარი – სიმონ – ია, ლონდა
არველაძეები
ივანე – გურამ არველაძე – ტერენტი – ლევი, ლიანა –
ანა – ნაზი, ციცინო ნიკოლოზ – უცოლშვილო –
თინათინ – იური, თემური, ნინო – ოთარ – მერაბ, გიორ-
გი – სიმონ არველაძე – შვილები:
შვილიშვილები – ია – მალხაზ, მაკა ნიკოლაძეები –
ლონდა – გიორგი, ნინო ოდიკაძეები – ივანე არველაძის
შვილი – გურამ არველაძე, შვილიშვილები – ზურაბ,
თამარ არველაძეები.

**არზიანები**
**1995 წლის დასაწყისის მონაცემებით, ვაუჩერი მიუღია 619 სულს**
**სენაკი – 181,**
**თბილისი – 139,**
**ფოთი – 93.**

**არზიანები.** პაატა ცხადაიას მიაჩნია, რომ **იან**–სუფიქსიანი გვარის გავრცელების ძირითადი რეგიონი სამეგრელოა. **ანი** და **იანი** სუფიქსით გაწყობილი გვარების საშობლო სვანეთია და ამ სუფიქსებით გვარების წარმოება გვარის წარმომავლობის I საფეხურს მიეკუთვნება. სვანეთში გვაქვს სუფიქსი **ან** და **იან**–ი. აღმოსავლეთ საქართველოში სუფიქსი **ეთ**–ი. მესხეთში – **ათ**–ი. აფხაზეთში – სუფიქსი **ბა**.

**არზიანები სვანი ხარძიანების განაყოფი (შტოგვარია),** ისინი XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისში სოციალურ უთანასწორობას გაქცევიან და სამეგრელოში, დღევანდელი სენაკის რაიონის სოფელ ლეძაძამეში გადასულან. ამჟამად ცხოვრობენ: *ლეძაძამე – 18 კომლი, გურიფული – 8 კომლი, საჯიჯაო – 5 კომლი, ხობი – 3 კომლი და სხვ.* იქვე გაჩენილა საარზიანო//ლეარზიანე – უბანი გურძეებისა და სკურდის შესაკრთავთან (ლესაჯაიე, ლეძაძამის თემი).

ხარძიანისაგან გამოყოფილი პირველი პირია **ხუხუ არზიანი** (1800–1850 წ.წ.). მას შეურთავს ცოლად გარიმან დადიშქელიანის ასული **მარიამი.** სწორედ მათ დაუტოვებიათ სვანეთი და ლებარდის გზით, მდინარე ტეხურას გაყოლით ლეძაძამეში გადასულან. იქ მათ შეძენიათ ვაჟიშვილი **გუტა** და იგი **არზიანი** გამხდარა. ხუხუ ოდა-სახლებს აშენებდა და სოფელში კარგი სახელით სარგებლობდა.

**არზიანი გუტა ხუხუს ძე** (1820–1908 წ.წ.). ლეძაძამეში მცხოვრებ გუტას ჩხოროწყუელი გიორგი თოდუას ასული **ზეხალო** შეურთავს (1825–1910 წ.წ.). შეძენიათ 6 შვილი. 4 ვაჟი და 2 ქალი. **ჯათუ, გვადი, კვატი, კიტი, ელისაბედი და ესმა.** გუტას ტუფის ქვა სპოტით აღმოუჩენია. კვაუთის იმაზე ეკლესია აუშენებია, რომლის ნანგრევები დღემდეა შემორჩენილი.

**არზიანი ჯათუ გუტას ძე** (1852–1932 წ.წ.). 1880 წელს პირველი ცოლი **ნინა გერგაია** გარდაცვლილა. მისგან ორი ვაჟი დარჩენია – **ბუდუ** და **ვანო.** ბუდუმ ცოლად პედაგოგი **ნინა იაკობის ასული ჭანტურია** მოიყვანა. მათ ჰყავდათ შვილი **ზაური არზიანი,** რომელიც სენაკში ცხოვრობდა. **ვანი** აფთიაქის გამგე იყო, მისი ცოლი **ვერა ჩარკვიანი** ფარმაცევტი იყო. მათი ვაჟიშვილები – **სერგო** და **შოთა არზიანები** ექიმები იყვნენ (სამამულო ომის მონაწილენი). **ჯათუ არზიანმა** ცოლად **ელენე კაკაშვილი** შეირთო. ორი ბიჭი შეეძინათ. **ხუტა** (1903–1937 წ.წ.) და **დურუ** (1908–1936 წ.წ.) ხუტასშვილი არის **ნაზი არზიანი–გუნიასი.** დურუ ავადმყოფი იყო და უცოლშვილოდ გარდაიცვალა. ნაზის ორი ბიჭი ჰყავს.

**არზიანი გვადი გუტას ძე,** ცოლად ჰყავდა ხუხია მირცხულავას ასული **სალომე.** მათ 5 შვილი გაზარდეს: **კოწია, სამსონი, ნადია, ვალოდია, თეოფანე.** კოწია არზიანი თბილისში ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში მუშაობდა.

ცოლად ჰოლონდელი ჟენია რიბანეკი ჰყავდა. ეთერი არზიანი ქიმიკოსი იყო. თსუ-ში მუშაობდა. ვაჟი კოტიკო რუსეთში ცხოვრობს. მუშაობდა საავიაციო ქარხანაში ინჟინერ-მექანიკოსად და ცოლად უკრაინელი ანნა კოროშკინი ჰყავს. კონსტანტინე არზიანი მათემატიკოსია – დოცენტად მუშაობს მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ქალიშვილი ჟურნალისტია. ეთერის ვაჟი დათო არზიანი ბაბუა კოწიამ იშვილა და თავის გვარზე დაიწერა. დათოს ჰყავს ქალიშვილი ანა – მოსწავლეა. დათო გვარად მანჯგალაძეა.

**არზიანი სამსონ** (1900–1968 წ.წ.) ვეტექიმად მუშაობდა ტაბახმელაში. მას ბიოკომბინატში მთავარი ტექნოლოგის თანამდებობა ეკავა. მეუღლეა **თინა დოგრაშვილი**. ჰყავთ ქალ-ვაჟი. **ტატა** მოსკოვშია, **კოკა** კი – თბილისში. კოკას ქალიშვილი **თიკო** არზიანი გათხოვდა წელს. იგი 17 წლისაა. **ნადია** რუსული ენის მასწავლებელი იყო. ცოლად ჰყავდა აბაშელ **სევერიან ცომაიას**, შვილები – **შაქრო, სერგო, ვახტანგი**, ყველა მაღალი პროფესიის ექიმია. **გოული, თინა** პედაგოგები არიან. **ვალოდია** მეტყევე-ინჟინერი იყო. ცოლად ჰყავდა **მანტა ცომაია**. შვილი ჰყავთ **ომარი**, ომარის ვაჟს, **პეტრეს** ჰყავს ვაჟი **ომიკო** – მოსწავლეა.

**არზიანი ნინო პეტრეს ასული**, ექიმი, გაუთხოვარი.

**არზიანი კვატი გუტას ძე**, ცოლი სტეფანე ლაშხიას ასული ეფროსინე. შვილები – **პაშა, პლატონი, ჟენია**. პაშა მუსიკის მასწავლებელი იყო. პლატონი კლარნეტზე უკრავდა. უცოლშვილოდ გარდაიცვალა. ჟენია ჯახაია გალში ვეტექიმად მუშაობდა. შვილები: **რუკა, ცირა** – პედაგოგები. **ნერონი** გალში ფინანსისტად მუშაობდა. **ოთარი** დღეს მოსკოვშია.

**არზიანი ელისაბედ გუტას ასული**, მღვდლის გიორგი ბაკურაძის ცოლი იყო. ჰყავდათ ორი ვაჟი – **პეტრე და ივანე** (ბაკურაძეები). პეტრემ კიევის სასულიერო აკადემია დაამთავრა და შემდეგ სენაკის დედათა მონასტრის მღვდელი იყო. ცოლად შეირთო კიეველი **მარია კახანოვა**. ივანე იურისტი იყო და უცოლოდ გარდაიცვალა. მსახურობდა ქუთაისში. ქალიშვილი პელაგია ტარიელ გვათუაზე გათხოვდა და 6 შვილი ჰყავდა: **თამარა, მარგო, ლეილა, ჯორჯი, იპოლიტე გვათუები**. იპოლიტე თბილისში მოსამართლედ მსახურობდა.

**არზიანი ესმა გუტას ასული**, მღვდლის დიმიტრი ბუსკაძის ცოლი იყო, რომელიც მსახურობდა ფოცხოს ეკლესიაში. შვილები – **მამია, ანდრონიკე, არისტარხი, ბაბილინა, დანიელი, პელაგია**. მამიამ პოლკოვნიკისჩინამდე მიაღწია. ანდრონიკე იურისტი იყო, არისტარხი და ბაბილინა – პედაგოგები. პელაგია ჭავას ქალ-ვაჟი ჰყავდა.

**არზიანი კინტი გუტას ძე** (1860–1947 წ.წ.) მშენებელი იყო. ცხოვრობდა ლეძაძამეში. მოიყვანა სენაკელი ქალი ვარვარა (ვასასი) სოფელ შხეფიდან, კანწურიაშვილების გვარისა. ჰყავდა შვილები: **საშა, ირაკლი და ანტონი**. საშა **სამსონ ფარცვანიას** გაჰყვა ცოლად, რომელიც სენაკის მაზრის რკინიგზის

სალგურის უფროსი იყო. მათი შვილი ჟულია – კონიაკის ქარხანაში მუშაობს ლაბორატორიის გამგედ. რუსიკო ჩხოროწყუში ეტექიმა. ეთერ საჯაია ქორეოგრაფია სენაკში, თამარი რკინიგზაში მუშაობდა. ამჟამად პენსიონერია. ირაკლის უფროსი ვაჟი ვალიკო სამამულო ომში დაიღუპა. შეტანილია „ხსოვნის წიგნში". მისი ცოლი ნატაშა ქაჯაია მარტვილიდან იყო. თათუჯა აბურჯანიძეზე გათხოვდა – ცოცხალია. ვენერა როგავების რძალი იყო, გარდაიცვალა. გოგი არზიანი სენაკში ცხოვრობს. შვილი ბადრი მოსკოვშია – ბიზნესმენობს. პატარა დათო სენაკის გიმნაზიაში სწავლობს. გოგის ქალიშვილი დოდო სოხუმში გათხოვდა მამფორიაზე. გოგი არზიანს ცოლად ჰყავს თალიკო გოგინავა.

**არზიანი ანტონ**, დ. 1908 წ., მშენებელ-ინჟინერი. მეუღლე – **თინა ჩაგანავა**. ჰყავს ორი ქალიშვილი. **რუსუდანი** გათხოვილია. მისი მეუღლეა **მალხაზ ფირფილაშვილი**, ტრავმატოლოგი. **რუსუდანი** და **ქეთევანი** ფილოლოგები არიან. ქეთევანი გაუთხოვარია.

*(მასალა მოგვაწოდა პედაგოგმა ქეთევან ანტონის ასულმა არზიანმა. თბილისი, 2001 წლის 24 ივნისი).*



**არზიანი ანზორ**. დაიბადა 1949 წელს, სოფელ საჯიჯაოში. იქ დაამთავრა საშუალო სკოლა. წარჩინებული და გამორჩეული მოსწავლე იყო.

ოქროს მედალზე დამთავრებისთანავე, 1957 წელს ჩაირიცხა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიულ ფაკულტეტზე, რომელიც წითელ დიპლომზე დაამთავრა 1962 წელს. იმავე წელს ტრესტ „საქჩაის" გადაწყვეტილებით გაანაწილეს საჯიჯაოს ჩაის ფაბრიკაში უფროს აგრონომად, სადაც მუშაობდა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

გარდაიცვალა 1986 წელს, 46 წლის ასაკში.

ანზორ არზიანი მთელ სოფელში ცნობილი **სარდიონ არზიანის** შვილიშვილი და **კალისტრატე არზიანის** შვილი იყო.

ანზორის მეუღლე **ციალა ხუნჯუა** საჯიჯაოში სიკეთით და სიყვარულით ცნობილი, კოლმეურნეობის სახელოვანი თავმჯდომარის **ავთანდილ ხუნჯუას** ქალიშვილია.

მძიმეა ციალასთვის საყვარელი მეუღლის დაკარგვა, მაგრამ ვაჟკაცურად უძღვება ოჯახს. იგი ხეთის საშუალო სკოლაში ინგლისური ენის მასწავლებელია.

ანზორის ქალიშვილებიც სიკეთით და მოყვასის სიყვარულით მამას დაემსგავსნენ.

უფროსმა ქალიშვილმა **მანანა არზიანმა** დაამთავრა თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ფაკულტეტი, მუშაობს თბილისის საქენერგოს ქიმიურ ლაბორატორიაში ინჟინერ-ქიმიკოსად.

უმცროსი ქალიშვილი ნანა – თბილისის ეკოლოგიურ-ეკონომიკური ინსტიტუტის ეკონომიკური ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტია.

ბუნებამ მას ძვირფასი მამის დაკარგვა არ აკმარა, ხელიდან გამოეცალა საყვარელი ბიძა – **ბადრი არზიანი**, რომელიც უმამობას არ აგრძნობინებდა მას.

ანზორ არზიანის სახელი უკვდავია, იგი არასოდეს დაიბინდება.

არზიანების გვარიდან „ხსოვნის წიგნში" (გამოც. 1996 წ.) შეტანილი არიან:



**არზიანი ბადრი.** საჯიჯაოელი ბრძენი გლეხკაცის, სარდიონ არზიანის სახელოვანი მემკვიდრე იყო ბადრი. სარდიონის ოჯახზე ლეგენდები დადიოდა სოფლად თუ ქალაქად. სამაგალითოდ ჰყავდათ იგი.

ხობის რაიონულმა გაზეთმა „სამეგრელომ" 1996 წლის 9 თებერვლის ნომერში მთელი გვერდი დაუთმო ბადრი არზიანის სიკვდილით გამოწვეულ ტკივილებს.

აი, რას წერდნენ ბადრის მეგობრები ნეკროლოგში: „ხობის რაიონის აქტივს, მის სახელოვან ადამიანთა რიგებს გამოაკლდა სამაგალითო მოქალაქე და უაღრესად ერუდირებული სპეციალისტი, ინჟინერ-მშენებელი ბადრი კალისტრატეს ძე არზიანი.

ბადრი არზიანი დაიბადა 1949 წ. ქ. ხობში. 1966 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ნოჯიხევის საშუალო სკოლა და იმავე წელსვე ჩაირიცხა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე.

ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ბადრი არზიანი სპეციალობის მიხედვით მუშაობას იწყებს თბილისში. შემდეგ იგი გადმოჰყავთ ფოთში და სათავეში უდგება ერთ-ერთ მსხვილ სამშენებლო ორგანიზაციას. 1985 წლიდან ბადრი არზიანი მშობლიურ რაიონშია და მუშაობს მოძრავ მექანიზირებულ კოლონა №6-ის უფროსის მოადგილედ, ხოლო 1987 წლიდან სიცოცხლის ბოლო დღემდე ხელმძღვანელობდა რესპუბლიკის აგროსარეწველო კომბინატის ხობის სამშენებლო სამმართველოს.

უახლოესმა მეზობლებმა თავიანთ წერილში „ჩვენი ბადრი" გულისტკივილით ასე აღნიშნეს:

„მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა შენი სიკვდილი, დაუჯერებელი, საშინელი და აუტანელი.

9 დღე და ღამე ებრძოდა სიკვდილს სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებული.

9 დღე და ღამე ფეხზე იდგა შენი საძმო, სანათესაო, სამეზობლო, ექიმები წუთითაც არ მოგცილებიან.

მუხლმოდრეკილნი და ცისკენ ხელაპყრობილნი უფალს შენს გადარჩენას ვევედრებოდით, მაგრამ ღმერთს მხოლოდ რჩეულები მიჰყავს ამქვეყნიდან და შენც რჩეული კაცკაცი ამოგარჩია. შენ სხვა ხიბლი გქონდა, სხვა სული. მთელი

ქვეყნიერებისათვის სამყოფ სითბოს დაიტევდა გულში. არასოდეს დაგავიწყდება სხვისთვის გაგენაწილებინა გულის სითბო. საკუთარი თავიც გაეწირებოდა. თუკი ვინმეს რამეში დასჭირდებოდა. ამიტომაც უყვარდით გამორჩეული მოწიწებით, სიფაქიზით.

გარეგნობაც გამორჩეული გქონდა. წარმოსადეგი, ახოვანი, მტკიცე სულის, შეუდრეკელი და ძლიერი.

მამით ობოლს დედამ ყველაფერი გაგიკეთა. შენს პროფესიაზე უზომოდ შეყვარებული შესანიშნავი ინჟინერ-მშენებელი იყავი, განათლებული და ზედმიწევნით ერუდირებული.

რაოდენ დასანანია, რომ შენი ადგილი საზოგადოებაში, რაიონულ აქტივში ასე ჩქარა დაცარიელდა.

შენ, ვაჟკაცობისა და სტუმართმოყვარეობით განთქმულ კალისტრატე არზიანის ღირსეულ მემკვიდრეს, ნიჭიერებისა და ჯიშის უშბად გნათლავდნენ, ხოლო შენს ერთგულებას მეგობრისადმი იალბუზის სიწმინდეს ადარებდნენ.

ბადრი, შენ ცხოვრების სახელოვანი გზა მხოლოდ ნიჭითა და მონდომებით გაიკვლიე. ბევრი შენი სტუდენტობის მეგობარი მინისტრიც იყო, რაიკომის მდივანიც, „უმაღლესი ეშელონის" ბინადარიც, მაგრამ შენ არასოდეს გამოგიყენებია ბოროტად მათთან ურთიერთობა.

დიახ, ნამდვილად სამაგალითო ვაჟკაცი იყო ბადრი არზიანი და გვჯერა, დიდი უფალი იქაც, ზეციურ სამყაროში ღირსეულ ადგილს მიუჩენს მას.

**არზიანი გიორგი კონსტანტინეს ძე,** დაბადებულა 1895 წელს (ვერ ვასაბუთებთ დაბადების ზუსტ ადგილს), ხობის რაიონში.

პირველდაწყებითი სწავლა-განათლება რაიონის გიმნაზიაში მიუღია. იგი იყო რაიონში სახელგანთქმული, შრომისმოყვარე სოციალისტური შრომის გმირი. მას გმირობა 1947 წელს მიენიჭა. რაიონში და ამავე დროს საქართველოშიც, დიდი პატივით სარგებლობდა.

გიორგი არზიანს ჰყავდა შვიდი შვილი, ამათგან სამი გოგო და ოთხი ვაჟიშვილი. თავიანთ დროზე შვილები შესაფერისად საქმიანებით და ოჯახს მოკიდებულები იყვნენ ისე, როგორც შეეფერება ნამდვილ ქართველ ოჯახს.

ვაჟიშვილები: **ალიოშა, აპოლონი, ხუტა და ჟორა.** ითვლებოდნენ გვარის გამგრძელებელ – მრავალშვილიანებად. ოთხივე ვაჟიშვილი ცალ-ცალკე ცხოვრობდა, თავიანთი ოჯახით ერთად.

დავიწყოთ უფროსი შვილით – **ალიოშას** ჰყავს მეუღლე – **ეთერ** იასონის ასული სახურია ზუგდიდის რაიონიდან. შვილები: **რევაზი, ლიანა, ლამზირა და ალფეზი.**

რევაზი ხუთი შვილის მამაა: **თამილა, ლელა, ბელა, ირაკლი და ეთიკო.** ცხოვრობდა გაგრის რაიონის ლესელიძეში. დღეს ლტოლვილია, ცხოვრობს თბილისში.

ლიანა ცხოვრობს თბილისში. ჰყავს სამი შვილი. მეუღლე ოთარ ჩხაიძე.

ლამზირა გერმანიის მოქალაქეა. შვილი არ ჰყავს. მეუღლე – კნუტ კრონერი.

უმცროსი ვაჟი ალფეზი ცხოვრობს ხობში, მამის ოჯახი. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი: ლევანი და ლანა. მუშაობს და პატრონობს მამის ოჯახს და პენსიონერ დედას.

აპოლონი – აღარ არის ცოცხალი. ცხოვრობდა ჩეჩნეთ–ინგუშეთში, გროზნოში. ჰყავს ერთი გოგო. მუშაობდა გროზნოში ლენინის რაიონის მთავარ მოსამართლედ. მეუღლე – ლილი ვასილის ასული სამხედრო ჰოსპიტალში მუშაობდა მკურნალად.

აპოლონი გარდაცვალების შემდეგ საქართველოში დაიკრძალა. ოჯახი კი ისევ გროზნოში ცხოვრობს.

ხუტა არზიანი ცხოვრობს ხობის რაიონში. მეუღლე არ ჰყავს. ჰყავს ოთხი შვილი: გიმზერი, მურადი, ლალი და ჯულიეტა. ყველა დაოჯახებულია და ეწევიან შესაფერის შრომით საქმიანობას. ზოგი რაიონში და ზოგიც რაიონს გარეთ. ხუტა ისევ ფუსფუსებს ოჯახში შეძლებისდაგვარად.

ქორას ჰყავდა მეუღლე გუგული ნასარიძე სიმონეთიდან. ქორა გარდაიცვალა 1999 წელს. ჰყავს ოთხი ვაჟიშვილი: ჯონი, გიზო, მალხაზი და გიორგი. ორი – მალხაზი და გიორგი ოჯახს მოკიდებულები არიან, მაგრამ შვილები არა ჰყავთ. ცხოვრობენ პაპისეულ ოჯახში. აგრძელებენ ცხოვრებას პაპისა და მამის დანატოვარ ოჯახში. შრომობენ და არ კარგავენ გმირი პაპისსახელს.

ამგვარად, გიორგი კონსტანტინეს ძე არზიანი გარდაიცვალა 1979 წელს. დაკრძალვის ხარჯები საქართველომ გაიღო. მიაბარეს რაიონის მიწას. დიდი პატივით იყო გაცილებული რაიონის ხელმძღვანელობიდან. უკანასკნელ გზაზე.

გიორგის დღეს შვიდი შვილიდან მხოლოდ ორი ჰყავს ცოცხალი: ქალიშვილი გული და ვაჟი – ხუტა. ესენიც ასაკით 70 წელს არიან გადაცილებულები.



არზიანი ნიკიფორე, ოთხი ბიჭი და ერთი გოგო იზრდებოდა სარდიონ არზიანის ოჯახში. ეს ოჯახი ყოველმხრივ სამაგალითო იყო. უპირველესად ზნეობა, სიტყვის ურყეობა, შრომა და სტუმართმოყვარეობა. აი, რა ასხვავებდა სარდიონ არზიანის ოჯახს სხვათაგან.

არზიანი ნიკიფორე (ნიკული) სარდიონის ძე დაიბადა 1920 წელს. არასრული საშუალო განათლება მშობლიურ სოფელში მიიღო. შემდეგ ნარაზენის სუბტროპიკული ტექნიკუმი დაამთავრა და სწავლა განაგრძო ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში დაუსწრებელი განყოფილების ბიოლოგიურ ფაკულტეტზე. სწავლასთან ერთად მუშაობდა გალმა საჯიჯაოს სკოლაში.

1939 წლის დეკემბერში ნიკიფორე არზიანი გაიწვიეს სამხედრო არმიის რიგებში, სადაც დიდმა სამამულო ომმა მოუსწრო და ისიც ჩაება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. როგორ იბრძოდა კაპიტანი ნიკოლოზ არზიანი ფრონტზე

ამაზე მისი საბრძოლო ორდენები და მედლები მეტყველებს: 5 ორდენი, 12 მედალი და 11 უმაღლესი მთავარსარდლის პირადი მადლობა. აი, მისი ხუთწლიან ომში მონაწილეობის საბრძოლო დამსახურების ჯილდო. არაფერს ვამბობთ იმაზე, თუ ხუთჯერ ნაჭრილობევს, ჭრილობამოუშუშებელს, როგორ მიეჩქარებოდა ფრონტზე, რასაც შური ეძია მის თვალწინ დაღუპული ძმის, სევერიანე არზიანის გამო.

იმხანად ფრონტზე მყოფ ოთხ ძმებს შორის ყველაზე უფროსი ბატონი სევერიანე გახლდათ. სათანადო ორგანოების ჩარევით მან გაიგო ძმების ადგილსამყოფელი, ვინ სად იბრძოდა. გაირკვა, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტზე თურმე მხარდამხარ იბრძოდნენ ძმების, სევერიანესა და ნიკიფორეს ასეულები. ძმებმა იცოდნენ ერთმანეთის შესახებ და ცდილობდნენ როგორმე მოეხერხებინათ ურთიერთდაკავშირება. მოხდა ისე, როგორც ზღაპარში. ძმები, სევერიანე და ნიკიფორე ერთ გვარდიულ შენაერთში მოხვდნენ. დღედღეზე ახლოვდებოდა ძმების შეხვედრა. თითქოს ასრულდა ოცნება, მაგრამ ვაი, რომ ის საშინელი აღმოჩნდა.

მაღლობზე თავშეფარებულ ფაშისტებს გამანადგურებელ ცეცხლს უშენდა სევერიანე არზიანის ასეული. ნიკიფორემ დააზუსტა ძმის საბრძოლო კოორდინატები, მაგრამ შეხვედრა ძნელი აღმოჩნდა. არც ფაშისტები თმობდნენ პოზიციებს. უთანასწორო ბრძოლა ჩვენების გამარჯვებით დამთავრდა. ასეულის მეთაურს ეს გამარჯვება სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ყუმბარებით დამსხვრეულ ქვემეხთან იპოვნა ნიკიფორემ თავისი მკერდგაგლეჯილი ძმა. „ეს რა მიქენი, ბიჭო", – არაადამიანურად დაიღრიალა მან და მკვდარი ძმა მკერდში ჩაიკრა. ზარბაზნების ქუხილში საკუთარი ხელით გათხრილ საფლავს მიაბარა ჯერ კიდევ თბილი სხეული საკუთარი ძმისა. გადატეხილი ქვემეხის ლულა ჩაარჭო ნიკიფორემ ძმის საფლავში, ადგილი მონიშნა და ჩურჩულით შეჰფიცა: „შენს სახელს ვფიცავ, ათმაგად ვაზღვევინებთ მტერს შენს სიკვდილს."

და მართლაც არ გაუტეხია ნიკიფორე არზიანს ძმისათვის მიცემული სიტყვა. ვერაგ მტერზე გამარჯვება მან ბერლინში იზეიმა.

ომიდან გამარჯვებით დაბრუნებული ახალგაზრდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ირიცხება და იურისტის დიპლომით მუშაობას იწყებს შინაგან საქმეთა სამინისტროში ჯერ პოლიტგანყოფილების უფროს ინსპექტორად, შემდეგ ამავე განყოფილების უფროსის მოადგილედ. წლების მანძილზე იყო თბილისის კიროვის სახელობის რაიონის მილიციის განყოფილების, ხოლო შემდეგ კი თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სამსახურის განყოფილების უფროსი, საიდანაც პოლკოვნიკის ჩინით დამსახურებულ პენსიაზე გავიდა.

შინაგან საქმეთა ორგანოებში მისი მუშაობა არაერთხელ აღინიშნა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით. შინაგან საქმეთა საკავშირო სამინისტრომ მას დამსახურებული ჩეკისტის წოდება მიანიჭა და ფრიადოსანი

მილოცვილის ნიშნით დააჯილდოვა.

ამ შესანიშნავ კაცსაც სანაქებო ოჯახიც ჰქონდა შექმნილი. მისი მეუღლე ქალბატონი **ნათელა**, როგორც ექიმი და როგორც პიროვნება სამაგალითო იყო. შვილებიდან უფროსი **ვლადიმერი** ექიმია, და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი. **ვახტანგი** ინჟინერ-ტექნოლოგი. **ნანა** კი უცხო ენათა სპეციალისტი. სამივეს დედ-მამის სახელისათვის შესაფერი ოჯახები აქვთ შექმნილი.

მართალია, ბატონ ნიკიფორეს საბოლოო ცხოვრებამ თბილისში მოუწია და სამუდამო განსასვენებელიც იქ ერგო, მაგრამ სიცოცხლის ბოლო დღემდე მას მუდმივი ურთიერთობა ჰქონდა მის საყვარელ სოფელთან და რაიონთან. მათთან ერთად ამაყობდა მიღწეული წარმატებებით. სწორედ ამ თვისებებით უყვარდათ და აფასებდნენ მას, ამიტომ მისი ხსოვნა მუდამ იცოცხლებს მათ გულებში.

**არზიანი ნინო**, ფერმწერი. დ. 19.04.1975 წ., თბილისი. მშობლები: **მარინა ზოდელავა, ვახტანგ არზიანი**. მეუღლე – **ოთარ მესხი** (1975). შვილი – **დათო** (1995). სწავლობდა თსსა კინოსა და ტელევიზიის მხატვრობის განყოფილებაზე (1992-98), ს. ქობულაძის სახ. გრაფიკის შემოქმედებით სახელოსნოში (1998-99). პედაგოგები: დ. თაყაიშვილი, თ. სამსონაძე, გ. წერეთელი. სადიპლომო ნაშრომი მ. ჯავახიშვილი „მეჩექმე გაბო" (ხელმძღვანელი თ. სამსონაძე). გამოფენებში მონაწილეობს 1998 წლიდან. არის საქართველოს დიზაინერთა (1999) და მხატვართა (1999) კავშირების წევრი. ძირითადი ნამუშევრები: „გაუგებრობა", „მზესუმზირები" (1997), „მოლოდინი" (1996), „ქალის საიდუმლო" (1998), „სევდა" (1998), „გაცილება" (1999), „პიანინო" (1999). გამოფენები: პერსონალური „ქარვასლა" (1998), თსსა მუზეუმი (1997), ვალენსია (1999). მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა და საფრანგეთის კერძო კოლექციებში.

**არზუმელაშვილი 21**
**თბილისი – 11,**
**თეთრიწყარო – 5,**
**ლაგოდეხი – 1**

**არზუმელაშვილი//აზრუმელაშვილი**. ერთი და იგივე გვარია. დაკავშირებულია ეზრუმთან (– ეზრუმელაშვილი).

**ართილაყვა** ართი მგრ. ერთია, ყვა სუფიქსია. *ერთ შვილს* (დედისერთა) უნდა მიგვანიშნებდეს.

**ართილაყვა 179**
**ოზურგეთი – 79,**
**თბილისი – 63,**
**ბათუმი – 14.**

**ართმელაძე//ართმელიძე**. თავდაპირველად გვხვდებოდა **ართომელაძე ართუმელაძე**. *ართმელა//ართუმელა*, მეტსახელი გვარში: **ართმელაძე** (*ალ. ღლონტი. 24; ილ. მაისურაძე. 22*).

**ართმელაძე 1237**
**ქობულეთი – 340,**
**ოზურგეთი – 134,**
**ჩოხატაური – 96;**

**ართომელაძე ისაკ** – მოწმე ვახტანგ გურიელის მიერ შემოქმედის ზარზმის ხატისათვის ბოძებული შეწირულების წიგნისა (*1572 წ. ახლ. ქსძ. VI. № 333*).

**ართუმელაძე ოთანაი** – მაჩუტაძის ნაქონი. გიორგი გურიელმა იგი უწყალობა მირზაბეგ თადგირიძეს (*[1664-1677 წ.წ.]*

**ართმელიძე 39**
**ასპინძა – 17,**
**ჩოხატაური – 17,**
**თბილისი – 1**

**P.S.** ართმელაძე ცხოვრობენ ხულოს, ქობულეთის, ლანჩხუთის რაიონებში, ბათუმში. მიღებულია სახელიდან **ართმელა** – **ართმელიდან,** ილ. მაისურაძე ფუძეში გამოყოფს **ართ**–სა და **მელა**–ს. ადარებს გვარს **ქართმელიძეს** და იმოწმებს მდინარის სახელს **ჩხერიმელა**. **ართუმელიძედ** იწერებოდა გურიელის მოწაფე ისაკი. ცნობილია ურთქმელიძის ფონეტიკური ვარიანტიც.

ართმელაძეები ხულოს რაიონის სოფელ დოლოგომის საკრებულოს სოფ. წინწკალაშვილებში არიან. აქედან 1879 წელს გურიაშიც გადასულან საცხოვრებლად, სოფ. ნოტში დაწინაურებულან. მათი წარმომადგენლები რეზები და იმედ **ართმელაძეები** ახლად შექმნილი კოლმეურნეობის პირველი ხელმძღვანელები ყოფილან. 1978 წლიდან ასპინძისა და მესხეთის სხვა რაიონებში ჩასახლებულთა შორის ართმელაძეებიც არიან. იოსებ ბექირიშვილი ეთანხმება ბ–ნ ილია მაისურაძეს და ვარაუდობს, რომ გვარი **მელაძეებიდან** უნდა მომდინარეობდეს. მელაძეთა გვარი აჭარაში მეტად პოპულარული და მრავალრიცხოვანია. წერს იგი. ის. სამეგრელოში სარჩიმელიაც ხომ მელიდან გაჩნდა. გვეუბნება, რომ შედარებითი გვარები: **არძენაძე** და **ძენაძე** არ აქ არითონის მაგიერობას ეწევა. **ართმელაძე** (შდრ. **ართ** მგრ. ერთი).

ხინოს ეპისკოპოსებს შორის ართმელაძეთა წარმომადგენელიც არის. რომელის წინაპრები ხულოს რაიონიდან ყოფილან. რიფათ **ართმელაძე** სოფ. ცხეთყანაში დაიბადა. ცხოვრების რთული გზა განვლო. იყო აჭარის სამხედრო კომისარი, პანსიონატ „ბათუმის" დირექტორი, სათავეში ედგა ომის ვეტერანთა საოლქო საბჭოს. მინიჭებული ჰქონდა პოლკოვნიკის წოდება, დაჯილდოებული იყო მრავალი საბრძოლო ორდენითა და მედლებით.

1996 წლის მაისში ბათუმში გაიხსნა **სიმონ, ესმა** და **ბადრი ართმელაძეების** ნამუშევრების გამოფენა. სიმონმა თბილისის სამხატვრო აკადემია დაამთავრა და მშობლიურ სოფელში იმოღვაწა. მისი პეიზაჟების ფუნჯით ასახვაში, იგი გამორჩეულია საქართველოში. მისი შვილებიც ესმა და ბადრი მამასავით შემოქმედები და მამის კვალზე მავალნი არიან. ესმამ და ბადრიმ რამდენიმე გამოფენაში მიიღეს მონაწილეობა. ვერცხლის მედლებითა და სხვა ჯილდოებით აღინიშნა მათი ნამუშევრები *(იოსებ ბექირიშვილი, აჭარის ისტორია გვარსახელებში, ბათუმი, 1996, გვ. 25–26).*

**ართმელაძე ბადრი,** ფერწერა. დ. 1.10.1957, ხულოს რ–ნი, ოქტომბერი. მშობლები: **ფეროდე აჯიბა, სიმონ ართმელაძე.** მეუღლე – **როენა ხოზრევანიძე.** შვილები: **დარინა** (1980), **დათო** (1982), **ედიშერი** (1984). სწავლობდა ბათუმის ნ. კანდელაკის სახ. სამხატვრო სასწავლებელში (1973–75) და თბილისის ს.ს. ორბელიანის სახ. პედინსტიტუტის ხატვა–ხაზვის ფაკულტეტზე (1985–89). პედაგოგები: თ. თურმანიძე, ა. ფილიპოვი, ჯ. გაგაძე. სადიპლომო ნამუშევრები: „შესვენება" (ბათუმი), „ჩემი სოფელი" (თბ.). გამოფენებში მონაწილეობს 1978 წლიდან. საქართველოს მხატვართა კავშირის წევრია 1988 წლიდან. ძირითადი

ნამუშევრები: „მთებში" (1980), „საძოვრებზე" (1981), „საბაური", „ნატურმორტი" (1982), „თეთრი მთებში" (1984) „1941 წელი", „ზემო აჭარის პეიზაჟი", „ბეშუმი", „სოფლის გზა" (1985), „დილა", „საღამო მთებში" (1986). გამოფენები: პერსონალური: ბათუმი (1993), აჭარელი მხატვრები თბილისში (1985, 1986), ნორილსკი (1986), ზონალური, ბათუმი (1984), „მოსვლა ფერების", ბათუმი (1994).

**ართმელაძე ესმა.** ფერწერა, გრაფიკა. დ. 17.03.1962 ხულოს რ-ნი, ს. ოქტომბერი. მშობლები: **ფერიდე აჯიბა, სიმონ ართმელაძე.** სწავლობდა ბათუმის ნ. კანდელაკის სახ. სამხატვრო სასწავლებელში (1978-81) და თბილისის ს.ს. ორბელიანის სახ. პედინსტიტუტში ხატვა-ხაზვის ფაკულტეტზე (1987-90). პედაგოგები: თ. თურმანიძე, ნ. შაიძე, გ. ფუტკარაძე. სადიპლომო ნამუშევრები: „ქალები" (ხელმძღვანელი შ. ხამხარაძე), „მთებში" (ხელმძღვანელი გ. ფუტკარაძე). გამოფენებში მონაწილეობს 1982 წლიდან. საქართველოს მხატვართა კავშირის წევრია 1988 წლიდან. ძირითადი ნამუშევრები: გრაფიკა – „ზამთარი", „გაზაფხული" (1981), „ომი დამთავრდა", „ჩემი მხარე" (1985), „მთის პეიზაჟი", „წისქვილი", „ქალის პორტრეტი" (1986), „ზამთარი", „საფარა" (1987); ფერწერა – „ნატურმორტი" (1985). გამოფენები: პერსონალური, ბათუმი (1993), გამარჯვების 40 წელი, ბათუმი (1985), ქალთა დღისადმი მიძღვნილი, ბათუმი (1997). მიიღო ბრინჯაოს მედალი სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, მოსკოვი (1983). მისი ნამუშევრები დაცულია ბათუმის სახელმწიფო მუზეუმში. პედაგოგად მუშაობდა ბათუმის სამხატვრო სასწავლებელში (1990 წლიდან).

**ართმელაძე სიმონ.** ფერწერა. დ. 10.05.1933, ხულოს რ-ნი, ს. ოქტომბერი. მშობლები: **გულფერ აბულაძე, ნურიალი ართმელაძე.** მეუღლე – **ფერიდე აჯიბა.** შვილები: **ბადრი** (1957), **მზია** (1960), **ესმა** (1962). სწავლობდა თსსა-ს ფერწერის ფაკულტეტზე (1957-62). პედაგოგები: უ. ჯაფარიძე, ს. ქობულაძე. სადიპლომო ნამუშევარი „იაილებზე" (ხელმძღვანელი უ. ჯაფარიძე. გამოფენებში მონაწილეობს 1962 წლიდან. საქართველოს მხატვართა კავშირის წევრია 1977 წლიდან. ძირითადი ნამუშევრები: „პეიზაჟი" (1958), „იალებზე" (1962), „ზაფხულის საძოვრებზე" (1965), „ჩემი სამშობლო", „მწყემსები" (1967), „პეიზაჟი" (1969), „გადაცემა ლენინზე", „ბურუსი" (1970), „შემოდგომა" (1962-70), „შუამთობა" (1971), „აჭარისწყალის ხეობა" (1973), „გოდერძის უღელტეხილი" (1977), „ავტოპორტრეტი" (1979), „ჩანჩქერი" (1989). გამოფენები: პერსონალური – ბათუმი (1980, 1993), ხულოს რ-ნი (1981, 1983), ცხაკაია (1987(, საქართველოსსახვითი ხელოვნება, მოსკოვი (1987), „მოსვლა ფერების", ბათუმი (1994). მისი ნამუშევრები დაცულია აჭარის კულტურისს ამინისტროში, ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში, აჭარის ხელოვნების მუზეუმში, დაჯილდოებულია მედლით შრომითი მამაცობისათვის და აჭარის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელით.

**არინდაული.** გვარის ფუძე უნდა იყოს ქალის საკუთარი სახ-

| |
|---|
| **არინდაული 66** |
| **ახმეტა – 58,** |
| **თბილისი – 3,** |
| **თელავი – 3.** |

ელი არინა (*იხ. ალ. ღლ.. 257*).

**არისტავები.** ყოფილი ერისთავებია გვარად. ბათუმში მცხოვრებ არისტავათა წინაპარს უსიამოვნება მოუვიდა იქაურებთან. იქიდან გადაბარგდა აფხაზეთში და ერისთავი (ერისტოვი) არისტავად გადაიქცა. ბათუმელის გზად მიმავლისთვის დაუწყევლია – ისე მოგწყობოდეთ საქმე, რომ გვარში გამგრძელებელი აღარ გამოგრჩენოდეთო. როგორც ჩანს, არისტავებს წყევლამ უწია და დღეს გვარში გვარის გამგრძელებლად მხოლოდ და მხოლოდ ერთი ვაჟიშვილი ჰყავს.

**არიშვილი 221**
**ქუთაისი – 116,**
**წყალტუბო – 62,**
**თბილისი – 18.**

**არიშვილი**, ადრინდელი გვარია **არიაშვილი**.

**არიაშვილი გიორგი** – 1656-1690 წ.წ. ტბეთში მცხოვრები. ჰყავს [სახლიკაცი] **ზაქარია არიაშვილი**, იხ. მოწმე: დათუა ქებაძის მიერ იორამ ნამორაძისათვის მიცემული საბადურის ნასყიდობის წიგნისა (1656 წ. 1450-33/363). პაატა ოტიაშვილის მიერ იორამ ნამორაძისათვის მიცემული საბადურის ნასყიდობის წიგნისა (*1690 წ. 1450-33/352*).

**არიაშვილი ზაქარია** – 1684-1690 წ.წ. ჰყავს [სახლიკაცი] **გიორგი არიაშვილი** (1690 წ. 1450-33/352). მოწმე ზაქარია მახარობლიძის მიერ ხოჯა ხოჯასშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1684 წ. 1450-33/15). პაატა ოტიაშვილის მიერ იორამ ნამორაძისათვის მიცემული საბადურის ნასყიდობის წიგნისა (1690 წ. 1450-33/352).

**P.S.** შდრ.: არიში ციხე-ქალაქის სახელი ყოფილა. რუსთავის (არიშის) ერისთავი. ერისთავთერისთავად ზის მეჭურჭლეთუხუცესი არიშიანი (1105/15-1150/60 წ.წ.).

**არიშიანის მემკვიდრეა აბულასან იობისძე** ა) ერისთავთერისთავი, რუსთავის ერისთავი 1173-1191 წ.წ.; ბ) ნაცვალი მეჭურჭლეთუხუცესისა 1184/85-1190 წ.; მეჭურჭლეთუხუცესი 1190-1191 წ.წ.

**შდრ.: არიშიანი ვარდანის ძე** ერისთავთერისთავი. სვანთ ერისთავი/გურიელი მსახურთუხუცესი 1270-იანი წ. – XIII ს-ის ბოლო.

არიშიანსა (არიშისძესა) გვარში საგვარეულო სახელია **არიშიანი**. როგორც ითქვა, საგვარეულო სახელი „არიშიანი" დაკავშირებულია სამფლობელო რეზიდენციის ციხე-ქალაქის სახელწოდებასთან „არიში" (ამრიგად, ეს საგვარეულო სახელი „არიშიანი" იმავე ტიპის სახელწოდებას წარმოადგენს, როგორისაც სახელი „ბედიანი", რომელიც მომდინარეობს სამფლობელო რეზიდენციის ციხე-ქალაქის სახელწოდებიდან – **ბედია**.

**არმაზაშვილი 20**
**ახმეტა – 19,**
**საგარეჯო – 1.**

**არმაზაშვილი.** **არმაზ**-ა როგორც საკუთარი სახელი, ისე გეოგრაფიული სახელწოდებაცაა. შდრ.: **არმაზი** მცხეთის რაიონის ტერიტორიაზე (*არმაზის გათხრები*). სავარაუდო სადაურობის მიხედვით შექმნილი გვარი უნდა იყოს. არმაზიდან წასულებმა თან წაიღეს სახელწოდება **არმაზი** (შდრ.: *ბოგვეული, ბოგვეულიშვილი, ყვარელაშვილი*).

**არმეგონაშვილი 38**
მცხეთა – 37,
საგარეჯო – 1

არმეგონაშვილი. არმეგონა. მშობლისმიერი მეტსახელი. გვარში არმეგონაშვილი *(მცხეთის ტოპონიმია. 1975. გვ. 57).*

არნანია, არ პრეფიქსი უნდა იყოს, ხოლო ნან–ა, ნან–ი – ფუძე. არ უარყოფაზე მიგვანიშნებს. არნანია *197 (ზუგდიდი – 170, თბილისი – 6, ფოთი – 4).*

**არობელიძე 384**
ოზურგეთი – 196,
თბილისი – 74,
ბათუმი – 32.

არობელიძე. სადაურობის მიხედვით ნაწარმოები გვარია არობლიო+ელ–ი და ძე

**არონია 490**
ზუგდიდი – 181,
წალენჯიხა – 153,
თბილისი – 83.
კომლი: ახალი
აბასთუმანი – 6,
მუჟავა – 4

არონია, გვარადქცეული საკუთარი სახელი არონია *(იხ. არონია. კოლხეთი. 62. ახუთი. ალ. ღლ.. 75).* მოიხსენიებიან: მუხური (ჩხოროწყუს რ–ნი), რაიონი – მუჟავა (წყალტუბოს რაიონი). მუჟავა. მიქავა. წალენჯიხის რ–ნი *(ნ. ჯომიდავა. 26).* არონა – *ყველარის ხარის სახნველსა – არონა და ულუყულის (ულეურის ხარისასა) – ოქროქა ეწოდების (საბა. I. გვ. 175).*

არონია ნაზი დაიბადა წალენჯიხის რაიონის სოფელ მუჟავაში. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩააბარა თსუ იურიდიულ ფაკულტეტზე. იქვე დატოვეს სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარედ. შემდგომ მუშაობას იწყებს იუსტიციის სამინისტროში (1978–84 წ.წ).

1984 წელს ინიშნება მოსამართლედ. 1998 წლიდან ჯერ საქართველოს ომბუდსმენის პირველ თანაშემწედ სასამართლოებთან მუშაობის საკითხებში. 2000 წლიდან საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულია სამეგრელო–ზემო სვანეთში. მეუღლე დემურ საჯაია – ინჟინერი. შვილები – მიკა – სტუდენტი და მარიამი – მოსწავლე.

**არონიშიძე 59**
თბილისი – 32,
ფოთი – 18,
ოზურგეთი – 4

აროსია, ფუძეა აროსა (–აროსი). აროხია 47 (მარტვილი – 37, თბილისი – 6, სენაკი – 2). კომლი: თამაკონი – 9, გურძემი – 3 და სხვ.

არონიშიძე, ორსუფიქსიანი გვარსახელია. შდრ.: საკუთარი სახელი არონ. სუფიქსები ში და ძე *„არონ, სვან. X მულახი“ (ალ. ღლ. 75).* არონ ქართველ ებრაელებში გავრცელებული სახელია. გვხვდება სვანეთშიც.

**აროშვილი 159**
გურჯაანი – 72,
თბილისი – 55,
საგარეჯო – 25.

აროშვილი, მოფერებით–კნინობითი ფორმიდან არო–დანაა ნაწარმოები. იგივე არონა–ს ეტყვიან არო. შდრ.: გიორგი – გიო, გოგიდან – გოგა. გუგულიდან – გუგა და სხე.

**არსენაშვილი 431**
თელავი – 104,
თბილისი – 78,
გურჯაანი – 72;

**არსენაიძე 25**
საჩხერე – 25;
**არსენაძე 184**
ზესტაფონი – 56,
ქარელი – 31,
თბილისი – 30.

აროშიძე. სავარაუდოა, არონიდან ნაწარმოები სახელია აროში. *აროშიძე 507 (ოზურგეთი – 302. თბილისი – 136. ბათუმი – 37).*

არსენაშვილი. მომდინარეობს XI საუკუნიდან არსებული სახელიდან არსენ. რომელმაც თავისი ბზინ–

ვარება XIX–XX საუკუნეებშიც არ დაკარგა. რაც ლორის თვითონწყაროდან არსენა ობელაშვილისა და არსენა ჯორჯიაშვილის დასახელება (იხ. არსენიშვილი, არსენაიძე, არსენაძე, არსენიძე).

**არსენიშვილი 282**
**თბილისი – 113,**
**ლაგოდეხი – 35,**
**თელავი – 25.**

**არსენიშვილი.** გვარის ფუძეა **არსენ,** უძველესი სახელია. შდრ.: **არსენ** (1123–1125 წ.წ.), ბერი, დავით IV-ის მოძღვარი. მისი ბრძანებით დაუტოვა დავით მეფემ ანდერძი მღვიმის მონასტერს. მას განუცხადა დავითმა თავისი სურვილი მღვიმეში ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის აშენების შესახებ. მისი და იოანე მოძღვრის რჩევით, დავითს მღვიმის მონასტერში სვიმეონწმინდის წესდება შემოუღია. დავითის გარდაცვალების შემთხვევაში არსენს უნდა დაესრულებინა მშენებლობა ეკლესიისა. მასვე დაუტოვე დავითმა კონსტანტინატი და პერპერა კალაპოტის გამოსაყრელად, მოსალესად და მოსახატავად. დაუდგამს მღვიმის მონასტერში დავით მეფის მიერ შეწირული ბრძოლის, ბაზიჯისა და მინის კანდელები. მის ხელთ იყო ოცდაათი ლიტრა „ვერცხლის წმიდაი" სასანთლეებისათვის და „სიწმიდის სამსახურისათვის." მასა და იოანეს დავითმა მიაბარა ჭურჭელი „სპარსთაგან ნატაცები", რომლის გაგზავნაც მონასტერში ევალებოდა დემეტრეს. დავითმა შესწირა სვიმეონ საკვირველმოქმედის მონასტერს მუხრანში ხოდაბუნი იმ წესით, როგორც ამას არსენი დაადგენდა (1123–1124 წ.წ.). დავითის ანდერძის თანახმად, მას კათალიკოსთან ერთად, უნდა ერჩია დიმიტრისთვის, თუ როგორ დაერიგებინა დავით მეფის მიერ „ნაშოენი" „უმკვიდრო და უმამულო" მიწები (1125 წ.).

**არსენი** – კალმახელთა მწირველი (1200 წ. ახლო, შდ–4 ა). **არსენ** – [1241]–[1250] წ.წ. ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, გაზრდილი რუსუდან მეფისა ([1241/1242 წ.წ.] 1448–5003), ქართლის კათალიკოსი, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი. შემდგომში შიომღვიმის მონასტრის მწირი ([1247–1250 წ.წ.] შდ–1 დ).

**არსენ IV** – [1241]–[1250] წ.წ. ქართლის კათალიკოსი. დაამტკიცა: მიქაელ კათალიკოსის მიერ 1241 წ. ახლო ხანებში ვაჩე გუარამაისძისათვის ბოძებული სოფლების წყალობის დაწერილი ([1242–1244 წ.წ.] 1448–9253). საეკლესიო კრების დადგენილება შიომღვიმის მონასტრის შეუვალობის შესახებ ([1244–1248 წ.წ.]). **არსენ** – [1247]–[1260] წ.წ. მანგლელი ეპისკოპოსი//მთავარეპისკოპოსი. დაამტკიცა: გრიგოლ სურამელის მიერ შიომღვიმის მონასტრისთვის მიცემული შეწირულების დაწერილი ([1247–1250 წ.წ.] შდ–1 დ).

**არსენ** – დამწერი ელიოზ კათალიკოსის მიერ სვეტიცხოვლისათვის მიცემული მამულების შეწირულების წიგნისა ([1399–1419 წ.წ.] ქრ. II. 206). **არსენ** – 1690-იანი წლები, ნინოწმინდელი. ქართლის კათალიკოს იოანე დიასამიძესთან, ალავერდელთან და სხვა მიტროპოლიტ-ეპისკოპოსებთან ერთად დავით გარეჯის წინამძღვრად დაადგინა ონოფრე მაჭუტაძე და განუწესა წინამძღვრობის რიგი (1690 წ. III.12. შდ–349). გარეჯელებმა, გიორგიწმინდელებმა, თეალელებმა

და ბერძენყლებმა მას მისცეს პირობის წიგნი, რომლის თანახმადაც, თუ ასატი მეუფისე მოკვდებოდა, ნინოწმინდის საყდრისათვის ხარი და ღრამა უნდა გადაეხადათ. მათივე თხოვნის საფუძველზე ნინოწმინდელს ამოუკვეთია ეს გადასახადი.



**არსენიშვილი ალიო ილიას ძე** (დაიბადა სოფ. დაბაძველში, ახლან დღეს ტყიბული, 1892 წ. – 14. XI. 1939 წ., თბილისი).

ქართველი კრიტიკოსი და მთარგმნელი. დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

1913 წლიდან ქართულ და რუსულ პრესაში აქვეყნებდა ლიტერატურულ წერილებს.

1918 წლიდან მიემხრო „ცისფერყანწელებს“.

მისი წერილები გამოირჩევა ერუდიციით და ფაქიზი გემოვნებით. განხილულია ქართველი, რუსი და უცხოელი მწერლების შემოქმედება, ესთეტიკური საკითხები. მასვე ეკუთვნის თ. დრაიზერის, პ. მერიმეს და სხვათა ნაწარმოებების თარგმანები.

ა. არსენიშვილს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ა. ბლოკთან (არქივში ინახება წერილები).

მოსკოვის უნივერსიტეტის დამთავრებისას დაჯილდოვდა ოქროს დიდი მედლით „ყველაზე ნაკითხი“ სტუდენტისათვის.

დიდი მეგობრობა ჰქონდა გალაკტიონთან, ვალერიან გაფრინდაშვილთან, ტიციან ტაბიძესთან, პაოლო იაშვილთან, კოლაუ ნადირაძესთან (მათ არაერთი ლექსი უძღვნეს ალის).



**არსენიშვილი დავით ილიას ძე** (12.12.1905 წ. ტყიბული – 16.11 1963 წ. თბილისი). თეატრალური რეჟისორი, თეატრის ისტორიკოსი, ხელოვნებათმცოდნე, ყოფილ სსრკ-ში სამუზეუმო და საგამოფენო საქმის ერთ-ერთი პირველი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი. 1923 წელს დაამთავრა დრამატული სტუდია მოსკოვში. 1924 წელს მუშაობდა პროლეტკულტის თბილისის თეატრში, ხოლო 1925–27 წლებში თბილისის „რევოლუციურ თეატრ-სტუდიაში“ რეჟისორად და ერთდროულად კითხულობდა ლექციებს ქართული თეატრის ისტორიაში. 1927 წელს დააარსა სათეატრო მუზეუმი თბილისში. მუზეუმის დირექტორი იყო დაარსებიდან 1935 წ. 1 მარტამდე.

1928–29 წლებში შეაგროვა მასალა ა. გრიბოედოვისადმი მიძღვნილი გამოფენისათვის და სათავე დაუდო ლიტერატურული მუზეუმს მთაწმინდაზე. 1936–38 წლებში სწავლობდა სამხატვრო თეატრის სტუდიაში კ. სტანისლავსკის ხელმძღვანელობით და მიიღო რეჟისორის განათლება. სხვადასხვა ქალაქებში იწვევდნენ სათეატრო ნაგებობათა პროექტების კონსულტანტად (1933 წელს მოსკოვში გამოვიდა რევოლუციური თეატრების საერთაშორისო ოლიმპიადაზე

მოხსენებით: „ახალი თეატრის არქიტექტურა"). 1942–49 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო საბჭოში კულტურის ძეგლთა დაცვის სექტორის უფროსად (ანჩისხატის ეკლესია მან გადაარჩინა დანგრევას). ომის წლებში უშუალოდ ხელმძღვანელობდა თბილისის ისტორიული ძეგლების შენიღბვის საჰაერო თავდასხმისგან დასაცავად! დ. არსენიშვილმა შეაგროვა მასალა თბილისში სამხატვრო სალონის შესაქმნელად (გაიხსნა 1944 წ.).

იყო მოსკოვის ანდრია რუბლიოვის სახელობის ძველი რუსული ხელოვნების მუზეუმის (ახლანდელი ანდრია რუბლიოვის) სახელობის ძველი რუსული კულტურის ცენტრალური მუზეუმი შექმნილი და პირველი დირექტორი 1949-59 წ.წ. ამჟამად 2001 წელს მუზეუმის კედელზე გაკეთდა მემორიალური დაფა (ზ. წერეთლის ნამუშევარი).

1927–58 წ.წ არსენიშვილმა მოაწყო სამხატვრო და თემატური გამოფენები (*თბილისი, ბაქო, ერევანი, მოსკოვი, ლენინგრადი*). განსაკუთრებით აღსანიშნავია „თ. ჭავჭავაძე" (1936 წ., მოსკოვი, ლენინის სახ. ბიბლიოთეკა), „შოთა რუსთაველი" (საიუბილეო გამოფენა, 1937 წ., მოსკოვი).

მან შეარჩია და მოამზადა მასალა პარიზის, ლონდონის, ბერლინის, მიუნჰენის კიოლნის, რომის, ნიუ-იორკის გამოფენებზე გასაგზავნად.

წერდა სამეცნიერო სტატიებს ქართულ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე.

1955 წ. თავისი ინიციატივით ქ. ასტრახანში ჩაატარა დაზვერვითი არქეოლოგიური სამუშაოები და მიაკვლია ქართველი მეფეების ვახტანგ VI და თეიმურაზ II-ის საფლავებს.



**არსენიშვილი გიორგი**, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი. დაიბადა სიღნაღში 1941 წ. 9 ნოემბერს. მშობლები: ნინო ბეგიაშვილი, ლონგინოზ არსენიშვილი. მეუღლე – ელენე სტურუა (1942). შვილები: ნინო (1968), ივანე (1972). დაამთავრა თსუ-ის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი (1966), ასპირანტურა (1971). იყო თსუ-ის დოცენტი (1971–74), მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე (1974–77), კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი (1977–82), კათედრის გამგე (1981–98), საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული კახეთის მხარეში (1955–2000). დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ტელესაკომუნიკაციო სისტემები გამოძახებათა ცვალებადი ინტენსიობებით" (1993). არის 53 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი ალბათობის თეორიაში, შემთხვევითი პროცესთა თეორიაში, ტელეგრაფიკის თეორიაში, აგრეთვე საბუნებისმეტყველო დარგებში მათემატიკური მეთოდების გამოყენების შესახებ. კითხულობდა ლექციათა კურსს ალბათობის თეორიასა და მათემატიკურ სტატისტიკაში. არის საერთაშორისო ტელესაკომუნიკაციო აკადემიის ნამდვილი წევრი.

**არსენიშვილი დავით (დადა),** ქანდაკება, მონუმენტურ-დეკორაციული ხელოვნება. დ. 8.03.1955 თბილისი. მშობლები: **ეკატერინე ბაღდავაძე, კონსტანტინე არსენიშვილი.** სწავლობდა თსსა-ს ქანდაკების განყოფილებაზე (1973–79). პედაგოგები: ს. კაკაბაძე, ვ. თოფურიძე, დ. ლეჟავა შვილი. სადიპლომო ნამუშევარი „წიქარა“ *(ხელმძღვანელი თ. ნიჟარაძე)*. გამოფენებში მონაწილეობს 1979 წლიდან. იყო საქართველოს მხატვართა კავშირის ახალგაზრდა მხატვართა გაერთიანების წევრი (1985–88). ძირითადი ნამუშევრები: შამოტში შესრულებული ქანდაკებები „თევზები“ (1984), „ქალღმერთი“ (1985(, „წმ. ნინო“ (1993), გააფორმა სასტუმროს ინტერიერი და რესტორანი ფასანაურში (კ. არსენიშვილთან ერთად, 1979), ბიჭვინთის შემოქმედებითი სახლის ინტერიერი, ბარი, მცირე ფორმები *(ვ. ჯაფარიძესთან, გ. ჟღენტთან ერთად, 1973)*, სასტუმრო და რესტორანი სიღნაღში (ნ. შარაშიძესთან, კ. არსენიშვილთან ერთად, 1980), პანო „მშვიდობა“ თერჯოლის ბიბლიოთეკის ფასადისათვის (1982), კაფე „თბილისი“ (1984), კაფე-სახაჭაპურე და თევზის მაღაზია მუხიანში (1984). მუშაობდა ზ. წერეთლის ჯგუფში თბილისში აეროპორტის გზის, დილმის, ბროკპორტის (აშშ) ობელისკებზე (1979–84). იყო თსსა-ს ქანდაკების კათედრის (1984–89) და თსუ-ის ქანდაკების განყოფილების პედაგოგი (1981–84).

**არსენიშვილი ირინა,** დასავლეთ ევროპის ხელოვნება, თანამედროვე ხელოვნება. დ. 28.04.1943, თბილისი. მშობლები: **ნინო გელოვანი, ვლადიმერ არსენიშვილი.** მეუღლე – **გიორგი მამასახლისოვი** (1941). სწავლობდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში (1961–66), სსრკ სამხატვრო აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში. საქართველოს მხატვართა კავშირის წევრია 1983 წლიდან. ძირითადი ნამუშევრები: საკანდიდატო დისერტაცია „XV საუკუნის ვენეციელი ფერმწერის კ. კრიველის შემოქმედება“ (1977), „კვატროჩენტოს ეპოქის ხელოვნების ზოგიერთი თავისებურების შესახებ“ მეცნ. აკად. „მაცნე“ № 3, 1980 (რუსულ ენაზე), „პირველი დაზგური სურათები ქართულ ფერწერაში“, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, № 10, 1988, „თანამედროვე დაზგური ქანდაკება“, ჟურნ. „გეორგიკა“ (1990–91, გერმანულ ენაზე), „პაოლო ვენეციანო და მისი პოლიპტიქი საქ. ხელოვნების მუზეუმში“, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, №4, 1983, „ქართული დაზგური ფერწერის სათავეებთან“, ჟურნ. „გეორგიკა“, №12, 1989, „იენა–თბილისი (გერმ. ენაზე), მონოგრაფია „კარლო კრიველი“, მოსკოვი. მონაწილეობდა ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ VI საერთაშორისო სიმპოზიუმში (1989) და ივ. ჯავახიშვილის დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაში (1996). იმყოფებოდა სამეცნიერო მივლინებაში იტალიაში (1975–76(. არის ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი (1977 წლიდან), დოცენტი (1984 წლიდან). მუშაობს თსუ-ის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრაზე (1977 წლიდან), არის ამავე კათედრის გამგე (1998 წლიდან).

ირინა არსენიშვილი

**არსენიშვილი კონსტანტინე (კოტე)** კინომხატვრობა, მონუმენტურ-დეკორაციული ხელოვნება, ხელოვნების ისტორია. დ. 8.08.1954, თბილისი. მშობლები: **ეკატერინე ბაღდავაძე, კონსტანტინე არსენიშვილი.** მეუღლე – *ნინო ბოჭორიშვილი* (1959). შვილები: **ნიკოლოზი (1986), ეკატერინე (1997).** სწავლობდა თსსა-ს ხელოვნებათმცოდნეობის (1971-76) და კინომხატვრობის (1976-89)განყოფილებებზე. პედაგოგები: ლ. რჩეულიშვილი, ს. სამსონაძე, გ. გიგაური. სადიპლომო ნამუშევარი: მ. ჯავახიშვილი „ჩანჩურა" (ხელმძღვანელი დ. თაყაიშვილი). იყო საქართველოს მხატვართა კავშირის ახალგაზრდა მხატვართა გაერთიანების წევრი (1985-88). დ. არსენიშვილთან ერთად გააფორმა ობიექტები თბილისში, თერჯოლაში, სიღნაღში.

**არსენიძე** თეიმურაზ. თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნება, ფერწერა. დ. 14.03.1947, ტყიბული. სწავლობდა თსსა-ს ტანსაცმლის მოდელირების განყოფილებაზე (1965-71). საქართველოს მხატვართა კავშირის წევრია 1981 წლიდან. გამოფენებში მონაწილეობს 1971 წლიდან. ძირითადი ნამუშევრები: ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრი: ჯ. როსინი, „სევილიელი დალაქი", რეჟ. ასლანი (1976), ზ. ფალიაშვილი, „აბესალომ და ეთერი", შტრაუსი „ცისფერი დუნაი", შ. დავიდოვი „ზეიადაური", ჯ. ვერდი, „ტრუბადური", რეჟ. მ. თუმანიშვილი. პუნი „ვალპურგის ღამე" გამოფენები: საქართველოს თეატრისა და კინო მხატვართა რესპუბლიკური (1975), სენეკში მიელინებული მხატვრები (1981), ქუთაისი. 1991 წლიდან ქუთაისის საოპერო თეატრის მთავარი მხატვარია.

| |
|---|
| **არსიაშვილი 47** |
| **თბილისი – 36,** |
| **კასპი – 9,** |
| **საგარეჯო – 2.** |
| **არსოშვილი 186** |
| **გარდაბანი – 126,** |
| **თბილისი – 44,** |
| **გორი – 9.** |

**არსიაშვილი–არსოშვილი** სხვადასხვა გვარსახელია. მომდინარეობენ საკუთარი სახელიდან **არსია** და **არსო** *(შდრ.: არსი)*.

**არტემაშვილი.** **არტემ** (**არტო, არტუა**) მამაკაცის საკუთარი სახელია. **არტემ** (ბერძ.) ჯანმრთელი, უვნებელი, ჯანსაღი, ქორფა. შდრ.: **არტემონ** *(ბერძ. აფრა, იალქანი).*

| |
|---|
| **არტემაშვილი 30** |
| **დუშეთი – 15,** |
| **თბილისი – 12,** |
| **მცხეთა – 1.** |

**არტემიძე** (შდრ.: არტემაშვილი). **არტემიძე 31 (თბილისი – 17, თეთრიწყარო – 13, რუსთავი – 1).**

**არტონია.** იხ.: **არტონია გაგო** – მუხურს მცხოვრები. ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა – საპურობო (1621 წ. ქსძ. III, №91).

**არტონია მამულა** – მუხურს მცხოვრები. ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: საპურობო, სამი დღის ყანის შველა, ლაშქრობა, მგზავრობა.

**არტონია ქშია** – მუხურს მცხოვრები. ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: ოცი კოკა ღვინო, ერთი თეთრის „რაგინდა რა". ოთხი ჯამი ღომი, ათი კოკა ღვინო, მეინალობა *(1621 წ. ქსძ. III, № 91).*

**არუაშვილი.** შდრ.: მეტსახელი არუა (–აქედან არუნა), შემონახულია მოსულიშვილის გვარის სახინჯარში (ქიზიყის ტოპონიმია, 1982, 59).

**არუთინაშვილი//ასლამაზაშვილი//მექანარიშვილი,** საკუთარი სახელი

არუთინ-ა ნასესხებია თურქულიდან და ნიშნავს მექანარეს – ქანარის (ქნარის) დამკვრელს. „არუთინა დაგვიყენებია აუშთარისთავლიდარად“ (აბჯრის დამცველად, საჯაბადარის მოხელედ) (იხ. „დასტურლამალი“, გვ. 672, წიგნში „ქართული სამართლის ძეგლები“). პეტრე უმიკაშვილი არუთინ-ას განმარტავს, როგორც სინჯს (*სჰ. „სინჯ თეფშის მსგავსი საკრავის თითბრისა. გარს ეჟენებიანი, რომელსაც ერთმანეთის ურტყამენ ხმის გამოსაცემად“ (იქვე. გვ. 798)*.

ქართულში არუთინა იგივდება სახელებთან *არუთენა, არუფინა* (– აქედან *არუთენაშვილი, არუფინაშვილი*).

პატარა თონეთში 1843 წელს მოიხენიება ბადალა არუთინაშვილი, იგივე ასლამაზაშვილი *(სცსსა. ფ. 254. I. 2043. ფ. 310–322)*.

**არუთინაშვილი//მექანარიშვილი** (ჯავახი) მოიხსენიება თელათუბანში (ყოფილი თელათიგორი, კასპის რ-ნი) 1695 წელს (დოკ. I, 95).

არუთინა-არუთენა გავრცელებული სახელი ყოფილა დღევანდელ ქვემო ქართლში. № 1449 კოლექციაში სახელი 58-ჯერაა მოხსენიებული. შდრ.: არუთენაშვილი ზაზუტა, არუთენაშვილი მიხარასი, არუთინა მწერალი, არუთინა ექიმი და სხვ.

**არუნაშვილი 145**
**თბილისი – 42,**
**გორი – 19,**
**კასპი – 18)**

არუსია. ნ. ჯომიდავასთან „არუსია წარმომდგარია რუსი ერთენებისაგან“ (იხ. გვ. 26). ალბათ, უნდოდა ეთქვა, რომ გვარის ფუძეა ქართონიმი რუსი. გვაქვს მამაკაცის საკუთარი სახელები რუს-ი (დოკ. 1. 305, იერუსალ. 90; სტატ. ცნ. XVIII ს., 482; ი. ცინცაძე. ძიებანი. 1956. 47; რუსა ფშ. მალაროსკარი; რუსია, რუსო, სახ. არქ. 1449. №864. ფურც. 39 (ალ. ღლ., 182). შდრ.: რუსია.

**არუსია 64**
**ჭიათურა – 25,**
**ზუგდიდი – 16,**
**თბილისი – 9.**

**P.S.** სოფელ მუხაიში ერთ-ერთ მანჩალიძაშვილ ქალს ერქვა არუსა (– *არუსიაკა*).

არქაია. არქი – ბერძნულად მთავარი. სავარაუდოდ მეტსახელი არქი, არქო (შდრ.: არქოთი მეფეთა. არქი წისქვილის თოხი, რკინის პატარა ნაჭერი, ჩასმული წისქვილის ზედა ქვაში, რითაც ბორბალი აბრუნებს ზედა ქვას (ქეგლ). გვადაწმიდუ არქანია – 1875 წლის გლეხთა აჯანყების მეთაური ჯვარსა და ლიაში (წალენჯიხის რ-ნი. ნ. ჯომიდავა. 26).

არქანია: არქაია და არქანია ერთი და იგივე გვარი უნდა იყოს. ერქვანიასთან არაფერი აქვს საერთო. არქანი და ერქვანი სხვადასხვაა. არქანი შესაძლოა უფრო ახლოს იყოს არკვანთან. ამის დადგენა ლინგვისტთა საქმეა არკვანი“ – აკვანი. „არკვანს ქიდანჯისუ“ – აკვანში ჩააწვინე“. *აკვანი* – ასევე ნიშნავს მეგრ. *აკვანს* (*გ. ელიავა. გვ. 20*).

**არქანია 1532**
**წალენჯიხა – 688,**
**ზუგდიდი – 358,**
**თბილისი – 210.**

არქანია ჯვარნა – ღლ. წალენჯიხის რ-ნის სოფელ ჯვარშას ცნობილი წერილფეხა საქონლის მომშენებელი.



არქანია ათანასე ერასტოს ძე დაიბადა 1919 წელს წალენჯიხის რაიონში სოფელ მუჟავაში გლეხის ოჯახში. [illegible] სკოლის დამთავრების შემდეგ 1935 წელს ჩაირიცხა ზუგდიდის საბუღალტრო სასწავლებელში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა. 1939 წელს მუშაობას იწყებს სოფელ ჭალის კოლმეურნეობაში მთავარი ბუღალტრის თანამდებობაზე. შემდეგ გადადის ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობაში, მუშაობს თავმჯდომარის მოადგილედ. ბოლოს მუშაობას აგრძელებს მუჟავას კოლმეურნეობაში მთავარ ეკონომისტად. 1979 წელს გადის პენსიაზე. დიდი სამამულო ომის პერიოდში ზურგში აქტიურად მონაწილეობდა, რის გამოც დაჯილდოვდა მედლით.

აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იყო თაოსანი და ორგანიზატორი სოფელში ბევრი სასიკეთო საქმისა. იყო ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოს წევრი.

ათანასე ერასტოს ძე არქანია გარდაიცვალა 2000 წელს. სოფლის საზოგადოებამ დიდი პატივით გააცილა ამაგდარი ადამიანი.



არქანია ამირან კონსტანტინეს ძე დაიბადა 1918 წლის 19 მაისს წალენჯიხის რაიონ სოფელ მუჟავაში. გადის საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე მეოთხე კურსიდან. 1941 წლიდან გაწვეულ იქნა სამამულო ომის ხაზზე. ომში იბრძოდა ლეიტენანტის წოდებით. როგორც ოჯახისთვის გახდა ცნობილი, იგი გმირულად დაღუპულა ლატვიის სსრ რასეინის რაიონის სოფელ გერკალესის მიწაზე. დასაფლავებულია იქაურ საძმო სასაფლაოზე.



მიხეილ (მიშიკო) არქანია დაიბადა 1925 წელს წალენჯიხის რაიონ სოფელ მუჟავაში. დაამთავრა სოფელ ჭალის საშუალო სკოლა. შემდეგ – სოხუმის გორკის სახელობის პედინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი. 1952–61 წლებში მუშაობდა ფხულანისა და ჭალის საშუალო სკოლებში ისტორიის მასწავლებლად. 1961 წელს აირჩიეს მუჟავას სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. 1972–81 წლებში მუშაობდა ამავე სოფლის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. მისი თავმჯდომარეობის დროს ამ კოლმეურნეობამ მიაღწია მაღალ მაჩვენებლებს, რისთვისაც აჯილდოვებენ მედლით „შრომითი მამაცობისათვის." მისი თაოსნობით ჩაეყარა საფუძველი ამავე კოლმეურნეობის კანტორის მშენებლობას, რომელიც დღემდე ამშვენებს სოფელს. გაყვანილ იქნა მისასვლელი გზები სოფლის მაღალ ადგილებზე. ამით კოლმეურნეობას შეემატა სახნავ-სათესი მიწის დიდი ფართობი. ასევე მის სახელთანაა დაკავშირებული სოფლისათვის სასიკეთო საქმეების წამოწყება.

არქეიანი. შდრ. საკუთარი სახელი არქონ *(პ. ინგოროყვა. სვანეთი. 2.14).*

არდუთაშვილი
მხარგრძელები
გაგელები თმოგველები
(უჯარმელები)
ფავლენიშვილები
ფავლენიშვილები
შიოშიშვილები
თეიმურაზიშვილები
ივანესშვილები
იორამიშვილები
არდუთაშვილი 61
გორი – 43,
თბილისი – 13,
კასპი – 3.

არდანაშვილი
(იხ.გვარში
არგანაშვილ-არგანი-არდანაშვილი).
არდანაშვილი 22
თბილისი – 19,
ქუთაისი – 3.

არდვიანი 29
თბილისი – 17,
მცხეთა – 8,
ზუგდიდი – 1

არდვლიანი 1047
მესტია – 289,
თბილისი – 208,
კოდორის ხეობა
112.

*არდუთაშვილ/მხარგრძელები. „არდუთაშვილნი აწ აზნაურნი, გარნა მხარგრძელნი არიან" (ვახუშტი. ქ. ც. IV. 33). „ფავლენიშვილი* იტყვის მხარგრძელობასა" (იქვე 34). არდუთაშვილთა შტო-გვარია (მხარგრძელთა), ენით, კულტურით, დამწერლობით, სარწმუნოებით ქართველები არიან. მათი წინაპრები კი ქართველები და ამიერკავკასიის მკვიდრნი არ ყოფილან (იხ. ი. ახუაშვილი *28*): არდუთაშვილ-მხარგრძელთა საგვარეულო განშტოებად თვლიან: გაგელებსა და თმოგველებს. მხარგრძელები დღეს გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში ცხოვრობენ.

არდუთაშვილი გიორგი – ქართლის მცხოვრები. ზაქარია კათალიკოსმა იგი, მამულიანურთ უწყალობა დავით გედევანიშვილს (1617 წ.) *(პალ. I. 176)*.

არდუთაშვილი ფარსადანა – 1680–1700 წ.წ. ძმა ეპისკოპოს ფრიდონ არდუთაშვილისა. მონაწილეობა მიიღო პაპია, დონმაზა და ელიზბარ ზანზიაშვილებს შორის სამამულე დავის გარჩევაში *(1696 წ.)*.

მხარგრძელები, დიდებულ ფეოდალთა საგვარეულო XII-XIV საუკუნეების საქართველოში. მათი აღზევება დაიწყო გიორგი III-ის კარზე დემნა უფლისწულის ამბოხების შემდეგ (1177 წ.). განსაკუთრებით გაძლიერდნენ მხარგრძელები თამარისა და მისი მემკვიდრეების ლაშა გიორგისა და რუსუდანის დროს. სამეფო კარზე არსებული 6 უხუცეს-ვაზირის „ხელიდან" – ამირსპასალარისა, მანდატურთუხუცესისა, ათაბაგისა და მსახურთუხუცესისა – მხარგრძელებსა და მათ საგვარეულო განშტოებათა წარმომადგენლებს ეპყრათ. მხარგრძელები მსხვილი მემამულეები იყვნენ. მათ მამულს შეადგენდა ქვემო ქართლისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ნაწილი (ლორე-ტაშირი, გაგი, თმოგვი, კაენი, შამქორი). აგრეთვე შემოერთებული სომხეთის თემების მნიშვნელოვანი ნაწილი (ანისი, დვინი, ბიჯნისი, გელაქუნი, ტაკუში, ტერუნაკანი, ერგევანქი, მაწნაბერდი, ნორბერდი, ანბერდი, გეტაბაკჯი, ჩარექი, ქარპერთი და სხვ.). აქედან მხარგრძელების უფროს შტოს (ზაქარიას სახლს) ეკუთვნოდა ქართლში: ლორე-ტაშირი, სომხეთში შირაკი, არარატი, სივნიეთი, არცახი, შტიქი, გელაქუნი: უმცროს შტოს (ივანეს სახლს) – ქვემო ქართლის ნაწილი, სომხეთში ვასპურაკანის ნაწილი (დვინის მხარე). გაგელი მხარგრძელები ფლობდნენ: ქვემო ქართლში გაგის მხარეს, შამქორის (განძამდე) და მათ მიმდებარე სომხურ მიწებს: თმოგველ მხარგრძელებს – ჯავახეთში თმოგვის

მხარგრძელი 43
გურჯაანი – 22,
თბილისი – 14,
საგარეჯო – 6).
გაგელი 0;
შდრ: გაგელიძე 240
თბილისი – 94,
დუშეთი – 93,
მცხეთა–23).
თმოგველი 0.
შდრ: არდუთაშვილი
ათაბეგა (1692–1696 წ.წ.),
ნაცვალი, მოწმე.

მხარე. ივანეს სახლის მამულის ნაწილს XIII საუკუნის შუა წლებში, ავაგის გარდაცვალების (1250 წ.) შემდეგ, დაეუფლა შანშეს სახლი, რადგანაც ავაგს ვაჟი არ დარჩა. გარდა სამემკვიდრეო მამულებისა, მხარგრძელებს ჰქონდათ, აგრეთვე, მეფის მიერ საკარგავად (ე.ი. სამსახურის პირობით, პირად მფლობელობაში) მიცემული მიწები, მაგალითად, ზაქარიას თამარ მეფემ საკარგავად უბოძა სახელმწიფო ქალაქი რუსთავი.

მხარგრძელთა საგვარეულო მონასტრები იყო ახპატი, სანაინი, ქობერი, ჰნევანქი, კოში და სხვ. წყაროებში მოხსენიებულ მხარგრძელთა შორის პირველია ხოსროვ, მისი შვილები იყვნენ ავაგ-სარგისი და ქარიმა. ავაგ-სარგისის შვილი იყო ზაქარია, თამარის ამირსპასალარის – სარგისის მამა. XII ს-ის ბოლოს მხარგრძელებს გამოეყო 2 საგვარეულო განშტოება: გაგელები და თმოგველები.

**გაგელები**, XII-XIII საუკუნეების საქართველოს დიდებულ ფეოდალთა საგვარეულო, მხარგრძელთა განშტოება. გვარის ფუძემდებელი იყო ზაქარია გაგელი, ვარამ მხარგრძელის ძე, რომელმაც თამარ მეფისგან მიიღო სამამულედ (სამემკვიდრეოდ) ციხე გაგი და იწოდა გაგელად. გაგელები ფლობდნენ გაგს და მის მხარეს ციხეებითა და ქალაქებითურთ (შამქორი, ტავუში, კაწარეთი, ტერუნაკანი, ერგევანდი, ქარაჯორი, გარდმანი, ზეგამი, ნორბერდი, მაწნაბერდი და სხვ.). ეს იყო ე.წ. „ქვემოთი სანაპირო" მხარე, რომლის ფარგლები აღწევდა განძამდე და მისი მფლობელები, ამგვარად, მონაპირეები იყვნენ. გაგელები განსაკუთრებით დაწინაურდნენ და გაძლიერდნენ ზაქარია გაგელის ძის ვარამ (ვაჰრამ) გაგელის დროს, რომელმაც გაგის მამულთან ერთად დაიმკვიდრა მსახურთუხუცესობა და მიიღო აგრეთვე მამული შიდა ქართლში – თეძმის ხეობაში. XIII ს-ის 50-იანი წლებიდან, გაგელთა სახლი დამცრობილა. მეფეს მსახურთუხუცესობა გრიგოლ სურამელისათვის გადაუცია. როგორც ჩანს, გაგელებს დაუკარგავთ გაგი და მასთან ერთად – გაგელობაც. XII ს-ის 40-იანი წლების მოღვაწე ვარამის ძე აღბუღა უკვე გაგელად აღარ იხსენიება და გაგელის ხსენება ამ დროიდან ქრება წყაროებში. აღბუღა იძულებული გამხდარა, ხელი მიეყო მამულების დასყიდვისათვის, სახელდობრ, ორთაღებისათვის (საკრედიტო-სავაჭრო კორპორაცია) მიუყიდია მისი მამისათვის მეფის მიერ ნაწყალობევი სოფელი ხოელე (*ქსე, ტ. 2, გვ. 611*).

**გაგელი ვარამ (ვაჰრამ)** (გ. 1249 ან 1259 წ.), XIII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს დიდებული (დიდი ფეოდალი), ძე ზაქარია გაგელისა. მეფეების თამარის, ლაშა გიორგისა და რუსუდანის მსახურთუხუცესი 1212 წლიდან. გაგის ციხისა და მისი მხარის მემამულე – მემკვიდრეობითი მფლობელი.

**გაგელი ზაქარია**, XII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოს დიდი ფეოდალი, გაგელთა საგვარეულოს ფუძემდებელი. ბლუ ზაქარიად წოდებული, ძე ვარამ მხარგრძელისა. თამარ მეფემ მას უწყალობა სამამულედ (სამემკვიდრეოდ) გაგი ქვეყნებითურთ განძამდე („ქვემოთი სანაპირო" მხარე), რის შემდეგაც ზაქარია იწოდა გაგელად (იქვე).

მხარგრძელთა სადაურობა-ეთნოსის თაობაზე არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული. ხშირია შემთხვევები, როცა გვარის სხვადასხვა ენაზე თარგმნიან (რუსულად დოლ-

გორიუკოეი, სომხურად ერიკა-ნაბა'ნუკი). ნებისმიერი გვარისადმი ასეთი მოპყრობა დაუშვებელია. გვარი თარგმანს არ ექვემდებარება. მხარგრძელთა ყველა წარმომადგენელი, მოყოლებული ზაქარია ამირსპასალარის პაპის ზაქარია I-იდან, XII-XIV საუკუნის ბოლომდე, როგორც ქართულ, ისე სომხურ წყაროებში მხარგრძელებად იწოდებოდნენ.

XIII საუკუნის (ე.ი. მხარგრძელთა თანამედროვე) სომეხი ისტორიკოსების კირაკოს განძაკეცისა და ვარდანის ცნობით, მხარგრძელთა წინაპრები ეროვნებით ქურთები იყვნენ. XIII ს-ის ქართული წყაროები კი (თამარის ისტორიკოსები) მათ მიიჩნევდნენ ძველი ირანის მეფის არტაქსერქსე I მხარგრძელის (აქემენიდი) შთამომავლებად. ეს თვალსაზრისი გამოხატავს შუა საუკუნეების ავტორების ჩვეულ ტენდენციას, – უცხოურ დინასტიებს დაუკავშირონ მეფეებისა და დიდ ფეოდალურ საგვარეულოთა წარმომავლობა.

როგორც ითქვა, მხარგრძელთა აღზევება დაიწყო გიორგი III-ის კარზე დემნა უფლისწულის ამბოხების (1177 წელი) შემდეგ. განსაკუთრებით გაძლიერდნენ თამარისა და მისი მემკვიდრეების ლაშა გიორგისა და რუსუდანის დროს. სამეფო კარზე არსებული 6 უხუცეს-ვაზირის „ხელიდან" – ამირსპასალარისა, მანდატურთუხუცესისა, ათაბაგისა და მსახურთუხუცესისა – მხარგრძელებსა და მათ საგვარეულო განშტოებათა წარმომადგენლებს ეპყრათ. მხარგრძელები მსხვილი მემამულეები იყვნენ. მათ მამულს შეადგენდა ქვემო ქართლისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ნაწილი (ლორე-ტაშირი, გაგი, თმოგვი, კაენი, შამქორი), აგრეთვე, შემოერთებული სომხური თემების მნიშვნელოვანი ნაწილი (ანისი, დვინი, ბიჯნისი, გელაქუნი, ტავუში, ტერუნაკანი, ქოჩგეეანქი, მაწნაბერდი, ნორბერდი, ანბერდი, გეტაბაკქი, ჩარექი, ქარიპერძი და სხვ.). აქედან მხარგრძელების უფროს შტოს ("ზაქარიას სახლს) ეკუთვნოდა, ქართლში – ლორე-ტაშირი, სომხეთში შირაკი, არაგი, სიუნიეთი, არცახი, უტიქი, გელქუნი; უმცროს შტოს (ივანეს სახლს) – ქვემო ქართლის ნაწილი, სომხეთში ვასპურაკანის ნაწილი (დვინის მხარე); გაგელ-მხარგრძელები ფლობდნენ ქვემო ქართლში გაგის მხარეს, შამქორის (განძამდე) და მათ მიმდებარე სომხეთის მიწებს; თმოგველ-მხარგრძელები – ჯავახეთში თმოგვის მხარეს. ივანეს სახლის მამულის ნაწილს XIII საუკუნის შუაწლებში, ავაგის გარდაცვალების (1250 წ.) შემდეგ, დაეუფლა შანშეს სახლი, რადგანაც ავაგს ვაჟი არ დარჩა.

მხარგრძელთა სახლი სამამულე და სამოხელეო ნიადაგზე მეტოქეობას უწევდა სამხრეთ საქართველოს სხვა ფეოდალურ სახლებს: ორბელებს, თორელებს, ჯაყელებს, მანკაბერდელებს. გიორგი III-ის დროს, დემნა უფლისწულის აჯანყების შემდეგ, ორბელები დაისაჯნენ და მხარგრძელები დაეუფლნენ, როგორც მათ მამულს, ისე სახელოებს (ამირსპასალარობა, მანდატურთუხუცესობა). XIII ს-ში ამნისტიების შემდეგ, ორბელებმა ნაწილობრივ და დროებით აღიდგინეს თავიანთი მდგომარეობა და შეავიწროვეს მხაგრძელები. საბოლოოდ ამ მეტოქეობაში გაიმარჯვა ჯაყელთა სახლმა, რომელმაც განდევნა სამხრეთ საქართველოდან მხარგრძელები (მათი განშტოება – თმოგველებიც), თორელები (მათი განშტოება ახალციხელებიც), ორბელები, მანკაბერდელები და შექმნა აქ თავისი დიდი სამთავრო – სამცხე-საათაბაგო.

მოკლედ მხარგრძელთა გვარის საჩინო პირთა თაობაზე:

**მხარგრძელი ხოსრო** (ხოსროი), ტაშირ-ძორაგეტის (ქვემო ქართლი) მემამულე XI საუკუნეში. წყაროებში მოხსენიებული პირველი მხარგრძელი. მამა ავაგ-სარგისისა და ქარიმისა, პაპა ზაქარია I მხარგრძელისა. მოხსენიებულია ახპატის ეკლესიის სომხურ წარწერაში. მხარგრძელნი, სომხური წყაროების მიხედვით, XI საუკუნეში „ბაბილონის ქვეყნიდან" გადმოსახლებულა ტაშირ-ძორაგეტის სომხეთის სამეფოში. აქ მას სამამულედ მიუღია ხოჟორნი (წოფის ხევი), სადაც აუგია ციხე (მხარგრძელთა საგვარეულო რეზიდენცია). მხარგრძელები ტაშირ-ძორაგეტის კვირიკიან სომეხთა მეფეების (სომეხ ბაგრატუნთა განშტოება) ვასალები ყოფილან ამ სამეფოს საბოლოოდ გაუქმებამდე (გააუქმა დავით აღმაშენებელმა 1118 წელს).

**მხარგრძელი ზაქარია I**, საქართველოს დიდებული მეფის დემეტრე I-ის (1125-56 წ.წ.) მეფობის ხანაში. ამირსპასალარ სარგისის მამა. ქვემო ქართლის მემამულე, ორბელთა ვასალი. მხარგრძელი ზაქარია II (გ. 1212 წ.), საქართველოს დიდებული, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე. ამირსპასალარ სარგისის ძე, ამირსპასალარ-მანდატურთუხუცესი, დიდი მემამულე ქვემო ქართლის (ლორე-ტაშირი), შემოერთებული სომხეთის თემების (შირაკი, არარატი, სიუნიქი, არცახი, უტიქი, გელაქუნი) რუსთავის (კახეთი) და სხვ. მფლობელი. ზაქარია მხარგრძელის დროს საქართველოს შემოერთებული ჰქონდა სომხეთის (შირაკი) ცენტრი ქ. ანისი, რომელიც სამამულე მფლობელობაში გადაეცა ზაქარია მხარგრძელს. ზაქარიას (ისევე, როგორც ადრე მის მამას - სარგისს), მიენიჭა ანისის მფლობელის ტიტული - შაჰანშა (ეს ტიტული დამკვიდრებული იყო აგრეთვე საქართველოს მეფის ტიტულატურაში). შემდგომში ეს ტიტული საკუთარ სახელად იქცა ზაქარია მხარგრძელის სახლში.

მხარგრძელი მონაწილეობდა ქართველთა თითქმის ყველა ლაშქრობაში XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე: შამქორისა და ბასიანის ბრძოლებში, ანისის, არდებილის, ირანის ლაშქრობებში და სხვ. ის, როგორც სამხრეთ საქართველოს ფეოდალი, სარდლობდა მეწინავე სადროშოს. თამარის ისტორიკოსის ცნობით, „მას ჟამსა დიდად განდიდებულნი იყვნენ მეფისა მიერ ზაქარია ამირსპასალარი და ივანე მსახურთუხუცესი". ზაქარია მხარგრძელმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს ფეოდალური მონარქიის განმტკიცებაში, თურქების მიერ დაპყრობილი ამიერკავკასიის მიწების გათავისუფლებასა და საქართველოსთან შეერთებაში. ამიტომაც იმდროინდელი ქართული წყაროები (რომლებიც ასახავენ ქართული ფეოდალური არისტოკრატიის თვალსაზრისს), ქებით იხსენიებენ მხარგძელს და მაღალ შეფასებას აძლევენ მის თავდადებას ქართული სახელმწიფოს ინტერესებისათვის, ერთგულებას მეფისადმი, მის პიროვნულ ღირსებებს. ზაქარია ცდილობდა, აგრეთვე, ზოგიერთი ცვლილება შეეტანა სომხურ სარწმუნოებაში, რათა დაეახლოებინა ის ქართულ სარწმუნოებასთან. ამ მიზნით, მხარგრძელის ინიციატივით, მოწვეული იქნა ლორის (1205) და ანისის (1207) საეკლესიო კრებები. ვარდანის ცნობით, მხარგრძელი გარდაიცვალა ირანის ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ. დაკრძალეს სანაინში, თავის საგვარეულო მონასტერში.

**მხარგრძელი ზაქარია III** (გ. 1261 წ.), XIII საუკუნის ქართველი დიდებული, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცეს შანშე I-ის ძე. მხარგრძელი წაჰყვა დავით ულუს ბათუ-ყაენთან ოქროს ურდოში, ხოლო იქიდან – ყარაყორუმში. 1259 წ. მონღოლებს განუდგა და დავით VI ნარინთან გაიქცა ქუთაისში. მონღოლებმა ის მოტყუებით ჩაიყვანეს ურდოში და სიკვდილით დასაჯეს. ცოლად ჰყავდა ოლთისის მფლობელის, სარგის ჯაყელის ასული.

**მხარგრძელი ივანე I** (გ. 1227 წ.), საქართველოს დიდებული XII საუკუნის ბოლოსა და XIII ს-ის პირველ მესამედში, ამირსპასალარ სარგისის ძე. ჯერ მსახურთუხუცესი (სასახლისა და სამეფო დომენის გამგებელი), შემდეგ – ათაბაგი, დიდი მემამულე, ქვემო ქართლის, შემოერთებული სომხური თემების ნაწილის (დვინის მხარე – ვასპურაკანი, გელაქუნი) მფლობელი.

ივანე მხარგრძელი, მისი მამის, სარგისის ამირსპასალარად დანიშვნის დროს, თამარ მეფემ „თავაყვანა დარბაზის ყმად" (ე.ი. კარისკაცად). იური ანდრიას ძის აჯანყების (1191 წ.) ჩაქრობის შემდეგ, ივანეს მეფემ უწყალობა ამ აჯანყების მონაწილის, ვარდან დადიანის სახელო – მსახურთუხუცესობა და მისივე სამფლობელო (ციხეები აღმოსავლეთ საქართველოში – კაენი და კაიწონი, აგრეთვე, გელაქუნი). ივანე მხარგრძელი აქტიურ როლს თამაშობდა საქართველოს, როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში. თავის ძმასთან, ზაქარიასთან ერთად ის იყო მეწინავე სადროშოს ერთ-ერთი სარდალი, მონაწილეობდა შამქორისა და ბასიანის ბრძოლებში, კარისა და ხლათის ლაშქრობებში, ხვარაზმელთა წინააღმდეგ ბრძოლებში და სხვ. მხარგრძელის სარდლობით საქართველოს ლაშქარმა ჩააქრო დიდოელებისა და ფხოველების აჯანყება.

მხარგრძელი უფლისწულ ლაშა გიორგის აღმზრდელი იყო, რის გამოც მიიღო ათაბაგის ტიტული. ამ დროიდან ათაბაგი მნიშვნელოვანი ფიგურა გახდა საქართველოს სამეფო კარზე. მან თანდათანობით დაიკავა მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდელი ადგილი, იქცა მის ნაცვლად მთავრობის მეთაურად, მეორე კაცად მეფის შემდეგ. ივანეს ამირსპასალარობაც ებოძა. თუ აქამდე ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის თანამდებობა გაერთიანებული იყო, ამიერიდან ამირსპასალარის სახელო შეუთავსდა ათაბაგობას და დროებით დამკვიდრდა ივანეს სახლში. მანდატურთუხუცესის თანამდებობა კი ზაქარია მხარგრძელის სახლში დარჩა. ივანე კონფესიურად თავდაპირველად მონოფიზიტი იყო, შემდეგ მიიღო დიოფიზიტობა. მან დიოფიზიტად აქცია ახპატისა და სანაინის მონასტრები. ივანე დაკრძალეს სანაინის მონასტერში, რომელიც მისი სახლის საძვალედ იქცა. აღნიშნულ პირთა გარდა, ამ გვარიდან ქართველი დიდებულები იყვნენ: ავაგი, ათაბაგ-ამირსპასალარი; ავაგ-სარგისი ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, მანდატურთუხუცეს შანშე I-ის ძე, ხელს აწერს ცნობილ „რკონის დაწერილს"; ივანე II, მანდატურთუხუცესი, შანშე I-ის ძე. მისი ბრძანება კოშელი გლეხების გადასახადისაგან გათავისუფლების შესახებ ამოკვეთილია კოშის ეკლესიის (ერევნის ახლოს) კედელზე.

**მხარგრძელი სარგის**, ამირსპასალარი ზაქარია II-ისა და ათაბაგ ივანე I-ის მამა. მას დაახლოებით 1162 წელს, გიორგი III-მ ანისის ამირობა უბოძა. მხარგრძელი

შანშე (XIII საუკუნის ქართველი დიდებული, მანდატურთუხუცესი, გავლენიანი სახელმწიფო მოღვაწე ამირსპასალარ-მანდატურთუხუცეს ზაქარიას ძე).

**მხარგრძელებს ჰქონდათ სხვა გვარიც – არღუთაშვილი.**

ზაქარია და ივანე მხარგრძელები მაინც გამორჩეულად მეფის ერთგულები არიან. სწორედ ის სახელი და სამფლობელო, რომლის ხელში ჩაგდება უნდოდა ყუთლუ-არსლანს, თამარ მეფემ მხარგრძელებს უწყალობა.

– *მიიცვალა გამრეკელი ამირსპასალარი და იმოგვესაგან ყოვლ არა დააკლდეს შვილისა მისისა. მაშინ უბოძეს ამირსპასალარობა ზაქარიას მხარგრძელსა, ძესა სარგის ამირსპასალარისასა. მეკლდომა სომეხთა მეფისა ადგილსა, პატრონსა ლორისასა მოუმატეს ქალაქიცა რუსთავი მოყმესა ლორსსა სასპეტიბისასა. და ჭიაბერსა მანდატურთუხუცესსა მოუმატეს და უბოძეს ქისიანი ქალაქი და ციხე მრავალნი მოსულეყვთა და შეიწყალეს სარგის ვარამის ძე, დაადგინეს და უბოძეს თმოგვი"*– (ქ. ცხ., II, ისტორიანი და აზმანი, 55). იქვე ისტორიანსა და აზმანში (ახალ. ქ. კაკაბაძის რედაქციით) ვკითხულობთ: *„და განაჩინა ამირსპასალარად სარგის მხარგრძელი, კაცი გვარიანი და აღზრდილი ლაშქრობათა შინა და ჭაბუკობასა. და უბოძა ლორე, სათავადო და სამთავრო სომხეთისა შინა, და წყალობა უფრო დიდისაცა მისისა ზაქარიას დაადგინა. თავადვანა დარბაზის ყმად უწყრობა შვილი მისი ივანე"* (1941 წ., გვ.77). გიორგი რუსის თამარის ქმრობისას წინააღმდეგ ბრძოლაში დამსახურებისათვის თამარმა წაართვა სახელო ორგულ ქმას – ვარდან დადიანს და ივანე მხარგრძელს უბოძა: *„შეიწყალეს და უბოძეს სარგისის ძესა ივანეს ათაბაგ-ლად მსახურთუხუცესობაი, ხელი შინაური და სასატონი, და კაცნი და კაწრეთი გელაქუნით და სხვათა მრავალთა სახარჯოთა ქალაქითა და ციხითა"* (იქვე გვ. 94). *„ჯალალედინი „მოიწვენს ქუეყანად მხარგრძელისა, რამეთუ ივანე ათაბაგსა ეპყრა დვინი, და ანისი მიეცა ძმისწულისა მისისა შანშესა, მანდატურთუხუცესისათვის"*.

ქუეყანა მხარგრძელთა. რაც შესაძლებელია ქვეყანა აღინიშნოს მთავრის სახელით (აქვე ივანე ათაბაგი მხარგრძელი და შანშე მანდატურთუხუცესი მხარგრძელი). ბუნებრივია, ასეთი მთავრის სახელით აღინიშნოს ამავე სამთავროს ლაშქარი (როგორც *ეს გვხვდება გვ. 182).* სადაც ცოტნე დადიანი ნიშნავს ოდიშის ლაშქარს, ხოლო ვარამ მსახურთუხუცესი – ქვემო სანახროს ლაშქარს, ავაგ ამირსპასალარი და შანშე მანდატურთუხუცესი სომხითის ორი სანახრო-სამთავრო ლაშქარს. *(ქ. ცხ. II, გვ. 1696; ნ. ბერძენიშვილი, საქ. ისტ. საკითხ., გვ. 101.*

– უმეტობა იყო. ქართველები მონღოლებთან ერთად ალამუტს ლაშქრობდნენ.

„მაშინ ზემოხსენებული ესე ეგარსლან, კაცი საკვირველი და მხედრობისა ცოდნითა აღსავსე ენოთ განდიდნა, რომელ კნინღა და სახელისა დებადცა მეფისა იკადრა. და ყოველი ქართველთა ნათესავი ბრძანებასა მისსა მორჩილობდეს, ესოდენცა მეფესა. და თვით დიდი და პატიოსანი შანშე მანდატურთუხუცესი და გაგელი ვარამ და სხუანი ყოველნი მთავარნი". „ეგარსლანის ბრძანებას მორჩილებდეს „ყოველი ქართველთა ნათესავი". ამ „ყოველ ქართველთა ნათესავში" არის დასახელებული შანშე და ვარამ მხარგრძელები სხვა „ყოველ მთავრებთან" ერთად. რუსულ წყაროებში

მხარგრძელები არღუტინსკი-დოლგორუკოვებად არიან „მონათლულნი“. იმავე წყაროში აღნიშნულია: „არღუთაშვილი მხარგრძელები. თავად არღუთაშვილ-მხარგრძელთა გვარი სათავეს იღებს 1061 წლიდან. ეს გვარი შეტანილია ქართველის თავადთა სიაში, რომელიც თან ერთვის 1783 წლის 24 ივლისს ხელმოწერილ ტრაქტატს“.

რუსეთის მთავრობამ ქართველ თავადებად აღიარა და საგვარტომო წიგნში შეიტანა: „81. არღუთაშვილი-მხარგრძელი, გენერალ-ლეიტენანტი მოსე ზაქარიას ძე, მისი ძმა, ტიტულოვანი მრჩეველი ივანე. ქალიშვილები: ეკატერინე, ნინო. 82. იოსებ დავითის ძე, მისი ძმა, პორუჩიკი ნიკოლოზი. 83. პოდპორუჩიკი ვასილ ნიკოლოზის ძე, მეუღლე მისი ბარბარე. ვაჟიშვილი ნიკოლოზი. ვასილის ძმა, პრაპორშჩიკი ალექსანდრე. 84. ივანე თაყას ძე, მეუღლე მისი სოფიო. ვაჟიშვილები: პორუჩიკი თაყა, ალექსანდრე, გრიგოლი, ვასილი, ბებური. ქალიშვილები: ეფემია, კეკელა. 85. შტაბს-კაპიტანი.

| არღუნაშვილი 32 |
|---|
| თბილისი – 8, |
| გორი – 1, |
| რუსთავი – 1. |

| არშაულიძე 37 |
|---|
| ახმეტა – 31, |
| თელავი – 6. |

| არშილავა 50 |
|---|
| ბაღდათი – 39, |
| თბილისი – 6, |
| ქუთაისი – 5. |

არღუნაშვილი. შდრ. საკუთარი სახელი არღუნ *(ქრონიკები. II. 234; ძე. საქ. IV. განყ. III. 46).*

არშაულიძე. შდრ. საკუთარი სახელი არშალო (ალ. ღლ. 75).

არშილავა. გვარში არ პრეფიქსია. ფუძეა შილა. *„შილა – წითელი სამოსელი, მეწამული ხამი-ტყავი უწმინდესი“. შილანი „მათსა შილანსა ზედა გარდავიხედოთ“. „შილი – მაზლის ცოლი“; „ორი ძმის ცოლნი“* (საბა. II. 301).

| არჩაია 534 |
|---|
| სენაკი – 176, |
| თბილისი – 6, |
| ქუთაისი. – 5. |
| გვხვდება ქვემო სამეგრელოში. კომლი: |
| თეკლათი – 16, |
| ძველი სენაკი – 13, |
| ჭითაწყარი – 12, |
| ზანა – 7, |
| ერგეტა – 4, |
| ნარაზენი – 4, |
| ახალკახათი – 3. |

არჩაია, გვარში ფუძეა გამოყენებული არჩა. არჩა კოლხურში მამაკაცის საკუთარი სახელია. ისე, რომ, თუ ამდიდ არ გვეღალატობს. არჩაია ეპონიმური (წინაპარისაგან ბოძებული სახელი) გვარსახელია. პირსახელი არჩა დაფიქსირებული აქვს, როგორც ალექსანდრე ღლონტს *(იხ. ქართველური საკუთარი სახელები. 1986. გვ. 75).* ისე პაატა ცხადაიას წიგნში „გვარები და გვარია დასახლებანი სამეგრელოში“ (2000 წ., გვ. 53).

ჩვენი ვარაუდით, არჩა საკუთარი სახელის არჩილ-ის მოფერებით-კნინობითი უნდა იყოს. არჩილ უძველესი სახელია. შდრ. არჩილ სტეფანოზის ძე (ქ. ცხ., I. 139-142; არჩილ მეფე (II), ქართლის მეფე, მოწამე. იქვე. 232-244; არჩილ მეფე (1664-1675) (ქართლ. ცხ., II. 442); არჩილ ვახტანგ V-ის ძე. იქვე. 435; არჩილ ძე ბაგრატ მუხრანბატონისა (იქვე. 355) და სხვ.

ტოპონიმი: საარჩაო – უბნები გოლასკურსა და უფალკარში. საარჩაო – უბანი ჭითაწყარში. 1657-1660 წლის საბუთში დასახელებულია ბაბუშურა *(ქსძ. III. 532) (იხ. პ. ცხადაია. გვ. 52).*

გვაქვს გვარები არჩვავა, არჩვანძე, არჩვაძე. ამათ არაფერი აქვთ საერთო არჩაიასთან.

არჩვენიშვილი. საერ. მეტსახელი არჩვან-ი (– არჩვანა). *არჩვენიშვილი 27 (გურჯაანი – 27)*

**არჩემაშვილი 209**
**თიანეთი – 78,**
**თბილისი – 49,**
**თელავი – 45.**

არჩემაშვილი, გვარის ფუძეა მამაკაცის საკუთარი სახელი არჩემა იხ. (არჩემა, ფშავი. ს. მაკალათია. გვ. 147)

## I. სათავეებთან

არჩემაშვილები. არჩემაშვილები ქართველები (ფშაველები) არიან. მათ უძველეს ისტორიულ საცხოვრისად ფიქსირდება დუშეთის რაიონის სოფელი ეაკისოფელი, რომელიც მდებარეობს უკანაფშავის თემში, ფშავის არაგვის მარჯვენა მხარეს. უკანაფშავის სათემო სალოცავია გიორგი წყაროსთაულის ხატი, რომელიც მდებარეობს ფშავის ხევის უკიდურეს აღმოსავლეთით, ფშავის არაგვის სათავეებში. ყველა მონაცემით უკანაფშავის თემი ერთ-ერთი მძლავრი თემთაგანი იყო ფშავეში. ამ თემში შედიოდა შემდეგი სოფლები: ეაკისოფელი, გოქცი, ბოსანა (ძველი ნასოფლარია), ელიაგნა, ჩალახევი და ჭიღალი. ამ სოფლებში განლაგებულია როგორც სათემო, ასევე სასოფლო ხატები, წარმოდგენილი რთული კომპლექსების სახით. აქვე ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევებსაც ეხედებით.

ეაკისოფლის მცხოვრებთა რიცხვი, სადაც არჩემაშვილებს ოდითგანვე უცხოვრიათ, ადგილობრივ უხუცეს მცხოვრებთა თქმით, 90 კომლი ყოფილა და ამიტომ აქ რამდენიმე ხატია და ქრისტიანული სამლოცველოც არის. კერძოდ, ეაკისოფლის თავზე გაშენებულია მოხარნადე ღვთისმშობლის ხატი.



ამ ხატისა და სოფლის შუა დგას ქრისტიანული ეკლესია თავის სამრეკლოთი. სოფლის დასახლებულ ნაწილს დასავლეთიდან აკრავს ადგილის დედის ხატი და მახლობლად კვირაცხოვლის ხატი ყოფილა. მოხარნადე ღვთისმშობლის ხატი ამ ხატებს შორის ყველაზე ძლიერად ითვლებოდა და სამი სოფლის (ეაკისოფლის, გოქცი, ელიაგნა) საზოგადოებრივ-საკულტო ცენტრს წარმოადგენდა.

ეაკისოფლის ადგილის დედა ღვთისმშობელი საკუთრივ ამ სოფლის ხატია. იგი მდებარეობს სოფლის თავში. მის დასავლეთ მხარეზე კომპლექსშია: დედა ღვთისმშობლის კოშკი, საჯარე, საზარე, სასანთლე, საქვაბე და გალავანი. როგორც აღინიშნა, ეაკისოფელი თავის დროზე ხალხმრავალი სოფელი ყოფილა.

არჩემაშვილებიც მრავალკომლიან გვარად ითვლებოდა. დღეს ეაკისოფელში ათიოდე მაცხოვრებელიღაა და, სამწუხაროდ, აქ არჩემაშვილები აღარ ცხოვრობენ. მხოლოდ ეაკისოფლის სასაფლაოს დღემდე შემორჩენილ ქვე-

* ვ. ბარდაველიძე – „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები“, ტ.I. გამომც. „მეცნიერება“. თბ. 1974. გვ.192

ბზე ჯერ კიდევ ამოიკითხება მათი წინაპარი არჩემაშვილების დაბადება-გარ-დაცვალების თარიღები.

სხვადასხვა რთულ გარემოებათა გამო (ომიანობის, ლეკიანობის, ქისტების გაუთავებელი თავდასხმების, ჭარბი მოსახლეობის მიგრაციის) არჩემაშვილები უკანა ფშავიდან ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ბარის რაიონებში გადასახლე-ბულან. ერთ-ერთი პირველი შტო არჩემაშვილებისა თიანეთის რაიონის სოფელ ეკალისოფლიდან გადასულა სოფელ ყვარაში, მდინარე იორის ხეობაში (ზედაწელი), სადაც მათი ნასახლარები დღესაცაა.

პირველი შტოს გადასახლებას მეორე შტოც მიჰყოლია, რომელიც თელავის რაიონის სოფელ ლეჩურში დასახლებულა. როგორც ეკალისოფელში ახსოვთ, უკანასკნელი ოჯახები არჩემაშვილებისა აქედან XX საუკუნის 50-60-იან წლებში გადასახლებულან თელავის რაიონის სოფელ ფშაველსა და საგარეჯოს რაიო-ნის ს. გომბორში, სადაც ამჟამადაც ცხოვრობენ. დუშეთის რაიონის სოფელ ეკალისოფლიდან თიანეთის რაიონის სოფელ ყვარაში დასახლებულ არჩემაშვილებს მტრის თავდასხმების, ცხვარ-ძროხის გატაცების უსაფრთხოების უზრუნველყო-ფის მიზნით გადაუწყვეტიათ კიდევ უფრო უშიშარ ბარ-ადგილას გადასახლე-ბა. არჩემაშვილებს სხვა გვარის ფშაველებთან (კოჭლაშვილები, ნათაძრალაშვილები, თიაბაშვილები, ციხელაშვილები, ლუბიანურები) ერთად შეუკრებიათ საჭიროდ რაოდენობის ოქრო და დასასახლებელი ადგილ-მამული თავად ბაბალე („პრე-ლესტ ბაბალე") ბარათაშვილისაგან უყიდიათ დაბა თიანეთის სამხრეთ-დასავლეთით, სადაც გაშენებულა სოფელი, რომელსაც დღესაც „თეთრახევას" უწოდებენ.

თავდაპირველ სახელწოდებად მეცნიერ-ტოპოგრაფები მიიჩნევდნენ „არჩევაანთ ხევს", რითაც თითქოს უფრო სარწმუნო ხდებოდა არჩემაშვილების მიერ ამ სოფლის დაარსება. შემდგომმა მეცნიერულ-ტოპოგრაფიულმა კვლევამ ცხადყო, რომ არავითარი სხვა სახელი ამ სოფლისა არ უნდა იყოს, გარდა „თეთრახევისა", რადგან „არჩევაანთ ხევი" არცერთ ისტორიულ წყაროში არ არის მოხსენიებული, მით უმეტეს, რომ ამ სოფლის დამაარსებლები თიანეთის მაზრის სამხედრო საუწყებო. წვეულმდებლობა გაწვევის დავთარში (თიმ-ფონდი №1653) ჯერ კიდევ XX ს. დასაწყისში მოხსენიებულნი არიან ისევ ყვარის მაცხოვრებლებად: **არჩემაშვილი ფილიპე დავითის ძე, ნათაძრალაშვილი იოსებ გამახარეს ძე,**



**არჩემაშვილი ალექსი იორამის ძე** და ა. შ. არჩემაშვილების გვარის ოთხ-ორმოცდა ოჯახი მთიდან წამოსვლის შემდეგ საგარეჯოს რაიო-ნის სოფელ კოჭბანში მოხვედრილა, ხოლო დიდი ვაჟა-ფშაველას თაოსნობით დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ქვემოქედში ს. თეთრახევიდანაც ჩასულან არჩემაშვილები, ნათაძრალაშვილები, ლუბიანურები. ს. ქვემოქედში დღესაც ცხოვრობენ მათი შთამომავლები. არჩემაშვილები უსახელო გვარად არ ითვლება. მათ შრომაც ემარჯვებოდათ და მტერთან ბრძოლაც. ერთ-ერთი ხალხური ლექსი, რომელიც

ივრის ხეობაში. სოფელ ყვარის პირდაპირ აზიდულ კორსაკის მიჯნაში ლეკების თავდასხმის მომენტს ასახავს. ნაწყვეტი:

*„შალვასა, ბოიგარასა, ღმერთო, დასწერე ჯვარით, დაბრუნდნენ სალეკოში როგორც კალოში ხარია..."*

ლეკებთან მებრძოლი შალვა და ბოიგარა არჩემაშვილები ყოველთვის გმირულად იბრძოდნენ. ბევრი მოწინააღმდეგე მოუკლავთ. ბოიგარის დაცვის შემდეგ, შალვას იქვე მდგომი ხისათვის მიუყრდნია ზურგი და ისე უბრძოლია ხმლით. ერთ-ერთი ლეკი ხეზე ასულა, კისერში ხანჯალი ჩაურტყია და სასიკვდილოდ დაუჭრია დაჭრილ შალვას, სანამ წაიქცეოდა, კიდევ ორი ლეკი მოუკლავს. არჩემაშვილები იმითაც ამაყობენ, რომ მათი ალალი დისწული გახლდათ საქართველოს სახალხო არტისტი ნიკო ქუმსიაშვილი, რომელიც აღზარდა თეთრახეველმა მამიდამისმა თინათინ დავითის ასულმა არჩემაშვილმა. დაუვიწყარი იყო ნიკოს სტუმრობა თეთრახევში. დედის ძმებში განსაკუთრებით უხაროდათ ბავშვებს, რომლებისთვისაც მას ქალაქიდან დიდი ყუთებით კანფეტები მოჰქონდა. ასევე საამაყოდ დარჩა არჩემაშვილებისათვის ნიკოს ქალიშვილის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, როდამ ქუმსიაშვილის ცხოვრება, რომელმაც ბრწყინვალე წიგნი დაწერა მამაზე და მისი უკვდავყოფისათვის დიდებული მუზეუმიც გახსნა თიანეთის რაიონის სოფელ ორხევში.

## II. არჩემაშვილები XX საუკუნის 30-იან წლებში

რუსეთის საოკუპაციო ჯარების შემოსვლა საქართველოში ძალზე სისწრაფით მოხდა. სანამ თიანეთის რაიონის სოფლები გაიგებდნენ საქმის ნამდვილ ვითარებას, მოსახლენი უკვე მომხდარი იყო: მენშევიკების მთავრობა უცხოეთში გახიზნულიყო, ძალაუფლებას ბოლშევიკები დაპატრონებოდნენ. „ქალაქში ისევ არეულობააო"– სხვებთან ერთად ასე ამბობდნენ თიანეთელი, სიღნაღელი, დედოფლისწყაროელი ადამიანები. მათ შორის არჩემაშვილებიც. ისინიც სხვებისავით მიწას ამუშავებდნენ, ცხვარ-ძროხას უვლიდნენ. ზაფხულში მთაში, ზამთარში შირაქში. კოლექტივიზაციას უნდობლად შეხვდნენ მაშინდელი თაობის არჩემაშვილები: კაცრიელი, მწარია, ბადრო, ხვთისო, ფილიპე, მეცხვარე, ივანე, გიორგი არჩემაშვილები, მაგრამ ძალა აღმართსა ხნავს.

კოლმეურნეობაში გააერთიანეს გამწევი ძალა, ურემი, გუთანი. ამ ამბებს ვერ



ეწყობოდა თეთრხეველი კაცრიელ დავითის ძე არჩემაშვილი და თავის უკმაყოფილებას ვერ მალავდა: რაიონიდან მოსულ პროპაგანდისტებს და აგიტატორებს აჩუმებდა, ახლადშექმნილ კოლმეურნეობას დასცინოდა. აკი არც აპატიეს კაცრიელს. იგი ერთ საღამოს მილიციის მუშაკებმა წაიყვანეს და ციმბირის გზას გაუყენეს. მისი წაყვანის ამბავს ასე გვიამბობდნენ: მილიციელები მოვიდნენ და

* თენგიზ პატურაშვილი, „ერწო-თიანეთის ისტორიიდან". წიგნი II. გვ.138-139.

კაცრიელს უთხრეს: თიანეთში გიბარებენ, გადაერიდეთ და მალევე დაბრუნდებით.

– ისე მე თქვენი... არ მოერიდა კაცრიელი დაუპატიჟებელ სტუმრებს, – როგორც მე მალე მოვალო. მან ბუხარში ნაღვერდლებზე ხინკლები გაახურა, არაყი დაასხა ჭიქაში, დალოცა ოჯახი და უთხრა მილიციელებს, წავიდეთო! ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა პურმარილით ცნობილმა კაცრიელმა ე.წ. „სტუმრები" სუფრაზე არ მიიპატიჟა

**მეცხვარე იორამის ძე არჩემაშვილი** „ნასტრაჟნიკალი" იყო, დიდად არც იმას ეპიტნავებოდა კოლექტივიზაცია, მაგრამ როგორც დისციპლინას მიჩვეული კაცი, ხმას არ იღებდა. **მწარია და ბადროც** ჩუმად იყვნენ. პირველი მიწადმოქმედებას მისდევდა, მეორე – მეცხვარეობას. ბადრომ ცხვარში თავისი ძმისწული **ლაზარე კაცრიელის ძეც** წაიყვანა და შეაყვარა ეს საქმე. ლეჩურელი არჩემაშვილებიც საკოლმეურნეო შრომაში ჩაებნენ. კოჯბანელი დავით არჩემაშვილი გააკულაკეს, დიდძალი ცხვარი ჩამოართვეს. მან ვერ აიტანა ეს და გული გაუსკდა.

**არჩემაშვილები დიდი სამამულო ომის პერიოდში (1941–45 წ.წ.).** 1941 წლის 22 ივნისი მძიმედ გათენდა მთელი ქვეყნისათვის, ქართველი ხალხისათვის, რამდენიმე რაიონსა თუ სოფელში მობინადრე არჩემაშვილებისათვის. მტრის პირველ შემოტევას ქ. ბრესტის შემოგარენში პირველი შეხვდა თიანეთის რაიონის ს. თეთრახევის მკვიდრი ირაკლი იობის ძე არჩემაშვილი, რომელიც 1939 წლის კადრში იყო გაწვეული. პირველ შემოტევებს გადაურჩა ფშაველი ვაჟკაცი. მისი ბოლო წერილი მოსკოვის გარეუბნიდან მოსულა, ტყვიამფრქვევზე ვარო. მაგრამ ეს იყო და ეს, უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ომის დაწყებისთანავე, მობილიზაციის გამოცხადებამდე დაიძრა ახალგაზრდობა სამხედრო კომისარიატისაკენ. მოხალისეთა შორის აღმოჩნდნენ ბორძა, მოსე, გიორგი, იორდანე, იოსები, ლაზარე, ივანე, ნიკო, ხვთისო არჩემაშვილები. პირველ ნაკადს მიჰყვნენ



იოსებ მწარიას ძე და ნიკო ლაზარეს ძე არჩემაშვილები. ეს უკანასკნელები ბრძოლის ველზე დაეცნენ. უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ გიორგი ივანეს ძე, იოსებ და დავით ალექსის ძე არჩემაშვილები. მათი ტყვედ ნამყოფი ძმა იორდანე დაბრუნდა. ფრონტიდან დაბრუნდა გიორგი ხვთისოს ძე არჩემაშვილი, რომელიც საკოლმეურნეო ბრიგადას ჩაუდგა სათავეში ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული დაბრუნდნენ ნიკო მეცხვარეს ძე, ბორძა მწარიას ძე, მოსე



ივანეს ძე, ივანე იობის ძე არჩემაშვილები. ფრონტელი ვაჟკაცები ჯერ ისევ ახალგაზრდები იყვნენ, არც ოჯახები ჰქონდათ შექმნილი, არც რაიმე სპეციალობას იყვნენ დაუფლებულნი. ფრონტული შემართება და ენერგია მათ საზოგადოებისაკენ, საქვეყნო საქმეებისაკენ ეძახდა,– და აი, ბორძა არჩემაშვილი საფინანსო ტექნიკუმში

შევიდა და მალე ტაოონის საფინანსო განყოფილების მთავარი საგადასახადო



ინსპექტორი გახდა. მოსე და ივანე არჩემაშვილებმა ი.ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრეს და პირველი – მოსე რაიონში ერთ-ერთი საშუალო სკოლის დირექტორად დაინიშნა, ხოლო მეორე – ივანე ჯერ თიანეთის რაიონის აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე იყო, ხოლო შემდეგ რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე. ორივემ შესანიშნავი ოჯახი შექმნა. მოსემ სამყო შვილები აღზარდა – ბესიკი, მალხაზი, ილია და ასმათი.

ბესიკს და მალხაზს დიდი მომავალი ელოდა, მაგრამ ბედმა უმოწყალოდ იმუხთლა. სამაგიეროდ, მათი შვილები დიდ იმედებს იძლევიან.

მოსეს უმცროსი ვაჟი ილია არჩემაშვილი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა თიანეთის რაიონის საკრებულოს და კვლავ სახელისუფლებო მმართველობის აქტივშია. ივანეს ვაჟკაცები ირაკლი და ნუგზარიც წამოიზარდნენ, განათლება მიიღეს, ოჯახები შექმნეს.

**IV. არჩემაშვილების ოთხშემდგომი თაობა (XX საუკუნის 50-70-იანი წლები).** ფრონტელი არჩემაშვილების კვალდაკვალ წამოიზარდნენ უმცროსი არჩემაშვილები: ძმები გიორგი, ხარება და ალექსი ლაზარეს ძე, ნიკო



მოსეს ძე, ხვთისავარ იობის ძე, ძმები ლევან და ვლადიმერ გიორგის ძე, ბონის ბორისას ძე, გიორგი (სიკვა) და ვალიკო ალექსანდრეს ძე, როლანდ, გივი, გოჩა არჩემაშვილები, ტარიელ დავითის ძე, რევაზ დავითის ძე, ვაჟა, თემურ, ბერდო და სოსო არჩემაშვილები, რომლებსაც საინტერესო შრომითი ბიოგრაფიები აქვს. მათ შორისაა გიორგი ლაზარეს ძე არჩემაშვილი, საქართველოს ყოფილი



ცეკავშირის მთავარი საქონელმცოდნე, ამჟამად პენსიონერი, ხვთისავარ იობის ძე არჩემაშვილი, ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი, გაზეთ „ალმაშენებლის" მთავარი რედაქტორი, ლევან გიორგის ძე არჩემაშვილი



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკი, ტარიელ დავითის ძე არჩემაშვილი, თბილისის ქარხანა „ელექტროშედუღების" დირექტორის მოადგილე, გიორგი დავითის ძე არჩემაშვილი, ინჟინერი, ლევან ალექსის ძე არჩემაშვილი – მშენებელი ინჟინერი, მარიკა ნიკოს ასული არჩემაშვილი, საქართველოს ავიაკომპანია „აირზენას" წამყვანი მუშაკი, გია გიორგის ძე არჩემაშვილი – ხის გადამამუშავებელი კომბინატის დირექტორი.

**არჩემაშვილების მომავალი** დაიწყო XXI საუკუნეში. როგორ ხედება მას ერთ-ერთი პატარა გვარი არჩემაშვილებისა? შეიძლება ითქვას უკეთ, რადგან მას XX საუკუნის 50-იან წლებამდე არც ერთი უმაღლესი განათლებული პიროვნება არ ჰყავდა. ახლა კი ამ მხრივ მდგომარეობა ურიგო არ არის.



არჩემაშვილი აბესალომი

არჩემაშვილი ალექსანდრე
არჩემაშვილი ვალიკო





არჩემაშვილი გიორგი
შვილთან და ძმასთან

არჩემაშვილი გიორგი





არჩემაშვილი ბესარიონი

არჩემაშვილი დავითი





არჩემაშვილი გია

არჩემაშვილი ილია





არჩემაშვილი გიორგი

არჩემაშვილი გიორგი





არჩემაშვილი ლეილა
არჩემაშვილი ზვიადი

არჩემაშვილი ლევანი





არჩემაშვილი რევაზი

არჩემაშვილი ნიკო, ხარება





არჩემაშვილი ირაკლი

არჩემაშვილი მაია





არჩემაშვილი ზაზა



არჩემაშვილი ზეზვა



არჩემაშვილი როლანდი

არჩემაშვილებს ჰყავთ ეკონომისტები, იურისტები, ფილოლოგები, სასოფლო-სამეურნეო, ნავთობქიმიური, პოლიტექნიკური განათლების სპეციალისტები. მათგან ბევრი საპასუხისმგებლო სამუშაოზეა. მათ შორის აბესალომ ბესარიონის ძე არჩემაშვილი საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის განყოფილების გამგეა. მისი ძმა გიორგი თავდაცვის სამინისტროს უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების უფროსია. გიორგი ნოდარის ძე არჩემაშვილი გაზეთ „ვეროჯვა თაობის" კორესპონდენტია. ზაზა ელგუჯას ძე არჩემაშვილი – თავდაცვის სამინისტროს უშიშროების დეპარტამენტის ოფიცერია. ნუგზარ ლევანის ძე და ზვიად რევაზის ძე არჩემაშვილები აღმოსავლეთმცოდნეები არიან და საზღვარგარეთ მოღვაწეობენ. თინათინ ირაკლის ასული არჩემაშვილი ქ. თბილისის №25 აფთიაქის პროვიზორია, ხოლო მისი და ნათია ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტია. იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობს გოგიტა არჩემაშვილი. ლეილა რევაზის ასული – ს. კოჭბანის 8-წლიანი სკოლის დირექტორია. ლაშა ლევანის ძე – ეკონომისტია და აშშ-ში მუშაობს. ზეზვა ხვთისავარის ძე არჩემაშვილი – კინორეჟისორია და ამჟამად ქ. პარიზში ცხოვრობს. მისი და მარიამი ტელეკომპანია „რუსთავი-2"-ის მთარგმნელია. ტექნიკუმები დაამთავრეს ვალიკო, გიორგი, ალე და ლელა ნარჩემაშვილებმა.

იმედია, რომ უკანასკნელ პერიოდში ცხოვრების პირობების გაუარესების მიუხედავად, არჩემაშვილების გვარი, მათი ახალგაზრდა შთამომავლობა უკეთ გაირჯება მამულის სამსახურში და გაიზიარებს ჩვენი წინაპრების ბრძნულ გამონათქვამს: *„ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა."*

[illegible]

შდრ. არჩაია გვარიან არჩილაია (– არჩილ, ალ. საქართველოში იქნებოდა არჩილაშვილი).

**არჩვავა 23**
**სენაკი – 13,**
**ფოთი – 1,**
**ჩხოროწყუ – 9**

**არჩვაძე – 2338**
**თბილისი – 1177,**
**ჭიათურა – 184,**
**რუსთავი – 102.**

**არჩუისძე//არჩვაძე.** გვარის ფუძე არჩვ-ი, ოსხვება ცხოველ არჩვის წაბაძეთა ჯერ მეტსახელი. შემდგომ კი საკუთარი სახელი გამხდარა. ამავე გზითაა მიღებული ცხოველებიდან დათვი – დათვია, დათუა. ვეფხვი – ვეფხია. მგელი – მგელა. მგელიკა (გელა). ფოცხვერი – ფოცხვერა. შევარდენი – შევარდენა.

არჩვაძეთა გვარი შუასაუკუნეებიდან ჩანს. ადრე ეს გვარი იწერებოდა და გამოითქმოდა **არჩუისძე (– არჩუაძე)**, მოგვიანებით **არჩვაძე**.

**არჩუაძე** – გიორგი მეფემ შესწირა ცაგერის ეკლესიას სერაპიონის ცაგერლობის დროს დიხის არჩუეთისეული მამული (1610 წ.): *„სვიმონ მეფემ სვეტიცხოვლის განუახლა წიასწყალში ერისთავისგან ბოძებული არჩვაძეების შეწირულება“* (1559 წ.): გიორგი (გორიდელი), მამუკა, მამუკა (მეორე), გიორგი (მეორე) არჩვაძეები მოიხსენიებიან 1616 წელს მამულის წყალობის წიგნში, მიცემული კათალიკოს ზაქარიას მიერ დავით და სხვა გედევანიშვილებისადმი *(საქ. მუზ. № 2510 შდ)*.

**არჩვაძე** – ზაალ სააკაძემ თავის განაყოფს, ზურაბ საკაძეს, მის რუმდე მიაყიდა საჯვარეს წინა ვენახი (1688 წ. VII. 20. შდ–548).

**არჩვაძეები** – სვიმონ მეფემ სვეტიცხოვლის განუახლა წიასწყლის ერისთავისგან ბოძებული არჩვაძეების შეწირულობა (1559 წ., XII. I. ად–1572), ნიკოლოზ კათალიკოსმა სხვა საგლეხოებთან და მამულებთან ერთად მათი თავი გაუცვალა ვახტანგ ბატონიშვილს ქურისუბანზე (1574 წ.).

არჩვაძეები 1941 წელს საცხოვრებლად გადმოდიან თეთრიწყაროს რაიონის ხოველ ასურეთში. შდრ. **არჩვავა, არჩუაშვილი, არჩუაძე** *(იხ. პირთა ანოტირებული ლექსიკონი. წიგნი. I, თბ. 1991: ავთანდილ სილაგაძე, ანზორ ტოტაძე. გვარსახელები საქართველოში. თბ. 1997: იაკობ ახუაშვილი. ქართული გვარსახელები. თბ. 1994)*.

საქართველოში ყველაზე დაწინაურებულ ათას გვარში არჩვაძეებს რაოდენობის მიხედვით 343-ე ადგილი უკავიათ.



**არჩვაძე თენგიზ გრიგოლის ძე** ქართულ ენციკლოპედიაში შეტანილია (დ. 3.8. 1932, თბილისი). მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი, დაამთავრა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი (1956 წ) და მუშაობა დაიწყო კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში, 1967 წლიდან მუშაობდა რუსთავის დრამატულ თეატრში, 1973 წლიდან – კ. მარჯანიშვილის თეატრში. თამაშა კინოფილმებში: „კეთილი ადამიანები“ (თამაზი, 1961). „ერთი ცის ქვეშ“ (ზაზა, 1961). „ხევისბერი გოჩა“ (გუგუა.

იაკობ ახუაშვილი

1964). „ხევსურული ბალადა“ (იმედა. 1965). „მე ვხედავ მზეს“ (დათიკო. 1965). „26 კომისარი“ (ალიოშა ჯაფარიძე. „აზერბაიჯანფილმი“. 1966). „ვედრება“ (ალუდა ქეთელაური. 1967). „ჯვარცმული კუნძული“ (გიორგი. 1968). „დილოსტატის მარჯვენა“ (არსაკიძე. 1969). „დათა თუთაშხია“ (მუშნი ზარანდია. 1977) და სხვ. სპექტაკლებში: „მოკვეთილი“. „დელა“. „ფსკერზე“. „ლალატი“. „თეთრი პატრონსანი“ და სხვ. მიღებული აქვს სახელმწიფო პრემია. დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის ორდენით. ლირსების ორდენით. არის საქართველოს თეატრის მოღვაწეთა და კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი. *(ქსე. ტ. I. გვ. 614).*

**არჩვაძე გასილ**, ქირურგი. მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი. თსსუ-ს სამკურნალო ფაკულტეტის ზოგადი ქირურგიის კათედრის ასისტენტი. დაიბადა 1959 წ. 23 აგვისტოს თბილისში. დაამთავრა თსსი-ს სამკურნალო ფაკულტეტი (1976–81). იყო: თსსი-ს ზოგადი ქირურგიის კათედრის ინტერნი (1981). ამავე კათედრის ორდინატორი (1982-84). შემდეგ ასპირანტი (1985-88). 1988 წლიდან კათედრის ასისტენტია. 1988 წლის 19 დეკემბერს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „ენტერალური ზონდური კვება ადრეული ოპერაციის შემდგომ პერიოდში კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულის ქირურგიული მკურნალობისას“. ავტორია 45 სამეცნიერო ნაშრომისა. 3 გამოგონებისა და 6 რაციონალური წინადადებისა. რომლებიც ეხება ენტერალური კვებას. აპარატდიალიზატორისა და თიაქრის მკურნალობის ორგანულ ოპერაციულ ხერხს. არის თსსუ-ს სამკურნალო ფაკულტეტის ზოგადი ქირურგიის კათედრის სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საპატიო გამომგონებელ-რაციონალიზატორი. გრ. მუხაძის სახელობის ქირურგიული საზოგადოების წევრი.

**არჩვაძე ლადო** – დიდი სამამულო ომის აქტიური მონაწილე. ლვაწლმოსილი პედაგოგი. მუსიკოსი. ხელმიწვენილი მშრომელი და მზრუნველი ადამიანი.

**არჩვაძე თომა** – ლვაწლმოსილი მევენახე და მელვინე. ეპქრობაში დახელოვნებული პიროვნება. დიდებული მეოჯახე.

**არჩვაძე კოლია** – განათლებული პიროვნება. კარგი პედაგოგი და აღმზრდელი.

**არჩვაძე დათიკო** – დიდი სამამულო ომის აქტიური მონაწილე. კარგი მეოჯახე. მშრომელი. ხელმიწვენით პატრონსანი.



**არჩვაძე ლალი სამსონის ასული**, თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა 1944 წლის 23 მაისს. მშობლები: მარიამ არჩვაძე, სამსონ არჩვაძე. დაამთავრა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი. იყო თბილისის კიროვის რ-ნის პროკურატურის გამომძიებელი 1967–69. „სახაგრომრეწვის“ სისტემის იურისტკონსულტი (1976 წლიდან). იურიდიული განყოფილების უფროსი. საქართველოს პროკურატურის არბიტრი. სამოქალაქო განყოფილების პროკურორი (1989-99). თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე 1999 წლიდან.

**არჩვაძე–გიორგობიანი ლენა ნესტორის ასული** (1920 წ. ფუტიეთი, ამბროლაურის რ-ნი).

ფუტიეთის ოთხწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისში, ჯერ საშუალო სკოლაში, შემდეგ ჰიდრო-კერეის ტექნიკუმში. მეორე მსოფლიო ომში დაეღუპა მეუღლე და მარტოხელამ გაზარდა ორი შვილი.

თავდადებული შრომისთვის მიღებული აქვს სამი მედალი 1941–45 წლებში. შემდგომში აგრძელებდა შრომით საქმიანობას სოფელში. არჩეული იყო ადგილობრივი საბჭოს დეპუტატად.

მუშაობდა თბილისის ცენტრალური უნივერმაღის კომბინატში ჯერ მკერავად, შემდეგ ბრიგადირად. არჩეული იყო საქართველოს მე–13 მოწვევის თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად.



**არჩვაძე ირმა ომარის ასული,** ფერწერა. დ. 18.06. 1968. თბილისი. მშობლები: მერი შიოშვილი, ომარ არჩვაძე. სწავლობდა თსსა–ს ფერწერის ფაკულტეტზე 1989–95). პედაგოგები: ზ. ნიჟარაძე, ა. პაპიაშვილი. სადიპლომო ნამუშევარი – „სიყვარული. ტრიპტიქი (ხელმძღვანელი ა. პაპიაშვილი). გამოფენებში მონაწილეობს 1986 წლიდან. ძირითადი ნამუშევრები: „ტყის გვირილები", „ქალი სარკესთან", „ხათუნას პორტრეტი", „მზესუმზირები", „ირიშკას პორტრეტი", „სიზმარი" (ყველა 1993–96). გამოფენები: საშემოდგომო (თბილისი, 1992), ჯგუფური (იბ. „თეთრი გალერეა", 1993). მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა და საბერძნეთის კერძო კოლექციებში.

**არჩვაძე ივანე დიმიტრის ძე,** გრაფიკა, ფერწერა, თეატრალურ–დეკორაციული ხელოვნება. დ. 13.05.1954. ცხინვალი. მშობლები: ელისო ფიცხელაური, დიმიტრი არჩვაძე. მეუღლე – ქეთევან ნათენაძე. შვილები თორნიკე (1987), ელისო (1992). სწავლობდა ი. ნიკოლაძის სახ. სამხატვრო სასწავლებელში (1969–73), თსსა–ს თეატრალურ სახელოსნოში (1973–79). სადიპლომო ნამუშევარი – იაკობ ცურტაველის "შუშანიკის წამება", დეკ. ესკიზები (ხელმძღვანელი – ფ. ლაპიაშვილი). გამოფენებში მონაწილეობს 1980 წლიდან. შექმნილი აქვს დეკორაციები და კოსტიუმები გორის გ. ერისთავის სახ. დრამატული თეატრის სპექტაკლებისთვის: სოფოკლე. „ოიდიპოს მეფე", რეჟ. ი. მაცხონაშვილი (1988); ო. ჩხეიძე. „სოლომონ – მსაჯული მეფისა" (1989); ბ. ლავრენევი „ორმოცდამეერთე" (1988); მ. სალუქვაძე. „ტრაგედია ვნების კვირა", რეპეტიცია „ლაზარეს აღდგინებისა მიაგებდე კაცად კაცისასა" (1993); ვ. დადიანიძე. „ხე ალვად ამოდიოდა" (1996); მ. ჯავახიშვილი. „ჯაყოს ხიზნები" (1997) (ყველა – რეჟ. ა. ჯაყელი). ფერწერა: „ამირანმაა" (1997); სერია „ოდისევსის მოგზაურობა" (1995). მონაწილეობდა პრაღის თეატრალურ–დეკორაციული ხელოვნების კვადრიენალეში (1980). გამოფენები: სადიპლომო ნამუშევრების. ლენინგრადი (1980); საბერძნეთი თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში. სეგ (1998). მისი ნამუშევრები ინახება სეგ. საქართველოს სამხ–

ატერო ფონდში, ი. ჭავჭავაძის მემორიალურ მუზეუმში, თბილისი. 1987 წლიდან მუშაობს გორის გ. ერისთავის სახ. დრამატულ თეატრში დამდგმელ მხატვრად. 1995 წლიდან არის მთავარი მხატვარი.



**არჩვაძე ოთარ რევაზის ძე,** ფერწერა, ქანდაკება, გობელენი, ლითონმქანდაკებლობა, ოქრომჭედლობა. დაიბადა 2.06.1941. გორის რ-ნი, ს. ქორდი. მშობლები: ანა ოქროპირიძე, რევაზ არჩვაძე. მეუღლე – **თინა ჩაჩანიძე** (1939). შვილები: **ხათუნა** (1971), თეა (1973). სწავლობდა თსსა-ში. პედაგოგები: ო. ჯაფარიძე, თ. ჯაფარიძე, ზ. სამხარაძე, რ. თურქია, დ. ციციშვილი. სადიპლომო ნამუშევარი – სერია „ქართული ნატურმორტები", ბატიკა (ხელმძღვანელი – გ. ყანდარელი). გამოფენებში მონაწილეობს 1971 წლიდან. ძირითადი ნამუშევრები: ბატიკა – „ბროწეულები" (1970); „სამკაულები", მელქიორი (1971); ბატიკა – „თევზები" (1973); ბატიკა – „მეჩაიეები" (1975); „ჩვენ ლოცავთ სამშობლოს", გობ. შალი (1975); „ცისკარი", შალი (1977). გამოფენები: საერთაშორისო (ქ. იაბლონეცი, 1971); რესპუბლიკური (თბილისი, 1971); საოლქო (ცხინვალი, 1971); საშემოდგომო (თბ., 1973); რესპუბლიკური (თბ., 1974, 1975, 1977, 1984, 1985). მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს კულტურის სამინისტროში, ცხინვალის კულტურის განყოფილებაში, ქ. იაბლონეცში. პედაგოგად მუშაობს თსსა-ს ხატვის კათედრაზე.



**არჩვაძე ხათუნა ოთარის ასული,** დაზგური გრაფიკა, წიგნის გაფორმება და ილუსტრაცია. დაიბადა 10.12.1971, თბილისი. მშობლები: **თინა ჩაჩანიძე, ოთარ არჩვაძე.** მეუღლე – ირაკლი პირველი (1970). სწავლობდა თსსა-ს დაზგური გრაფიკის ფაკულტეტზე (1989-95). პედაგოგები: ლ. შენგელია, აბაშიძე, მ. გოგინეიშვილი, დ. ერისთავი, გ. გუნია. სადიპლომო ნამუშევარი – მიგელ დე უნამუნო "წმინდა მანუელ სათნო წამებული" (ხელმძღვანელი – დ. ერისთავი). გამოფენებში მონაწილეობს 1994 წლიდან. საქართველოს მხატვართა კავშირის წევრია 1996 წლიდან. ძირითადი ნამუშევრები: ქსილოგრაფიების სერია – აკუტოგავა რიუნოსკე „რაკუნომიელი ქალი" (1995), ლექსების კრებული „ღმერთი და ვარდი", ილუსტრ.: „ახალციხე", ლინოგრავიურა (1993), „ჰარმონია" (1994), „მოცარტი", ლინოგრ. (1995), „გუგული", ლითოგრაფ. (1997). გამოფენები: საგაზაფხულო (ბათუმი, 1995), შიდსის საწინააღმდეგო (თბ., ქარვასლა, 1997), საშობაო (სეგ. 1997). არის თსსა-ს ასპირანტი.

| |
|---|
| **არჩილია 16** |
| **სენაკი – 8,** |
| **თბილისი – 6,** |
| **მარტვილი – 2.** |

**არჩილია.** არ-ჩელ-ა(ი)-აა. ჩელი (ჩელით) ბრტყელი მახვილი ხრმალსავით. ჩელე. მეტსახელი. ხიზაბავრა, ასპინძის რაიონი. დარჩელს არაფერი აქვს საერთო არჩელ-თან (ი.ა.).

**არჩილია,** გვარის ფუძე არ უნდა იყოს არჩილ-ი. უნდა მოიძებნოს ჩილი-ს მნიშვნელობა. პრეფიქსი არ გვეუბნება. ჩილიც არაო.

**არჩუაშვილი 59**
თბილისი – 7,
თელავი – 6,
რუსთავი – 4.

**არჩუაშვილი.** შდრ. მამაკაცის საკუთარი სახელი **არჩო**, კოლხეთი, 107. ხობი (*ალ. ღლონტი, 75*).

**არჩუაძე** 957
გორი – 454,
თბილისი – 225,
საგარეჯო – 108.

**არჩუაძე.** ამ გვარში ფუძედ გამოყენებულია სახელი **არჩო** (აქედან **არჩუა**). უძველეს სახელად ჩანს **არჩუი**. გვარი *არჩვაძე XII–XIII საუკუნეებში არჩუისძედ იწერებოდა.*

**არძენაძე.** ქედის რ–ნის დანდალოს საკრებულოს მცხოვრებლები არიან. სამი ოჯახის შუახევის რაიონის ჩანჩხალოში. ბათუმის ციტრუსკომბინატის დირექტორის პეტრე **არძენაძისა** და ხალხურ მთქმელ–მოშაირე, მასწავლებელ **გურამ არძენაძის** თქმით, მათი წინაპრები მესხეთიდან იყვნენ. ეს ცნობა მართალი უნდა იყოს. დანდალო–ხარაულაში მესხეთის მკვიდრთა სხვა წარმომადგენლებიც ჩანან, რაც განხილულია ნარკვევში აჟალიანების შესახებ. თურქეთის ინეგოლის სოფელ ჰილმიეში, გასულ საუკუნეში ჩასახლებული ქედელი **ოსმან არძენაძე** ააჯუნად იწერება. არიან სხვაგანაც.

ძველ ქართულში **არძენი** *დიდ ლოდს* ნიშნავდა. პროფ. ილია აბულაძის განმარტებით კი, **არძ** *გულ–არძ–ნილი, მრუდე, მოხრილი, ცბიერია* (*იხ. მისი ძველი ქართული ლექსიკონი, გვ. 99*). ქედის გარეუბანშია ს. არსენაული, მაგრამ არძენიდან მომდინარე არ უნდა იყოს. **არსენი** ბერძნულად *მამაცი, ვაჟკაცია*. მისგან მიღებულია გვარები **არსენიძე, არსენიშვილი.** მაჭახლის ნუსხაშია **არსენ ჩავლაეთი (ჩავლეიშვილი).** ძენაძეებად დღეს აღარავინ იწერება. ადრე ცხოვრობდნენ ქედის რ–ნის კოკოტაურში, სადაც შემოინახა უბანი ამავე სახელწოდებით.

**არწივაძე** 57
ბაღდათი – 16,
ქუთაისი – 14,
გარდაბანი – 10;
**არწივიძე** 106
ბაღდათი – 87,
თბილისი – 2,
მცხეთა – 1.

**არწივაძე//არწივიძე,** ორივე გვარის ფუძეა ფრინველის სახელი **არწივი//არწივაძე,** ფერსათი (ბაღდათის რ–ნი); საკუთარი სახელი **არწივა; არწივიძე//არცივაძე.** შდრ. რუს 193). (ილ. მაისურაძე. 23). **არწივი//არწივა** (*გ. ლეონიძე. სახელები*).

**არწივაძე კოტორა** – ფერსათის მცხოვრები– მოიხსენიება 1558 წელს (*პალ. I. გვ. 177*).

**არხოზაშვილი** 32
გორი – 20,
კასპი – 7,
ბორჯომი – 3.

**არხოზაშვილი.** მეტსახელი **არხოზა** (– **ხოზა**–).

**არხომაშვილი** 303
ქარელი – 246,
თბილისი – 33,
გორი – 10.

**არხომაშვილი.** მოხსენიებულია ქვენაფლავეს (იხ. ქვენიფლაველი). 1659 წელს.

**არჯევანიძე** 30 (სენაკი – 8, წყალტუბო – 7, თბილისი – 6).

**არჯაკელი** 25 (გარდაბანი – 14, თბილისი – 11);

**არჯანია** 30 (თბილისი – 12, კოდორის ხეობა – 10, ზუგდიდი – 3);

**არჯანოვი** 127 (თბილისი – 56, წალკა – 40, გარდაბანი – 11);

**არჯევანიშვილი** 126 (გურჯაანი – 59, თბილისი – 25, ყვარელი – 15);

**ᲐᲠᲯᲔᲕᲐᲜᲘᲫᲔ** 1499 (თბილისი – 414, ხაშური – 150, ხელვაჩაური – 107); **ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ** 178 (გურჯაანი – 27, თელავი – 14, თბილისი – 6) *(იხ. ალექსანდრე სილაგაძე, ანზორ თოთაძე, გვარსახელები საქართველოში, თბ., 1997, გვ. 27).* *(იხ. არჯანია, არჯევანიძე).*

**არჯაკელი** სადაურობაზე მიგვანიშნებს. არჯაკი – დასახლებული პუნქტის სახელწოდებაა.

**ᲐᲠᲯᲐᲜᲘᲐ 30**
**თბილისი – 12,**
**კოდორის ხეობა – 10,**
**ზუგდიდი – 3.**

**არჯანია** (– არჯენია). არ არის პრეფიქსი. ჯან არის ფუძე, ხოლო ია – სუფიქსი. გვაქვს სახელები ჯანა (ჯანაშვილი), ჯანა-შია, ჯანიაშვილი – არც დარეჯანს და არც ანჯელის მონაწილეობა არა აქვს გვარის არსარას წარმოებაში.

**არჯევანასშვილი//არჯევანაშვილი**, არჯევანაშვილი – ხანდაკს მცხოვრები. გოშვარ და რიმინ [ჯავახიშვილების] გაყრის დროს იგი ერგო გოშვარს ([1527–1558 წ.წ.] შდ-605).

**არჯევანასშვილი** – ჯავახიშვილების ყმა. ჰყავს შვილები: მამულა, ბატკუა, დათუა. მისი ცოლეულიშვილი ცოლად შეერთავს სიონის საყდრის ყმას, დიდებულ კაცს. ჯავახიშვილები ტფილელ მიტროპოლიტის ბარნაბას არჯევანასშვილის შვილებზე შეუდავნენ. დავის გარიგების შედეგად თოთამ ჯავახიშვილმა თავისი ძმის, ვახუშტისსულის მოსახსენებლად, სიონის ღმრთისმშობელს შესწირა მამულა, ბატკუა და დათუა არჯევანასშვილები (1580 წ. VII.20. 1449–1552).

**ᲐᲠᲯᲔᲕᲐᲜᲘᲫᲔ 1499**
**თბილისი – 414,**
**ხაშური – 150,**
**ხელვაჩაური – 107.**

**არჯევანასშვილი ბატკუა** – შვილი არჯევანასშვილისა, იხ.

**არჯევანასშვილი დათუა** – შვილი არჯევანასშვილისა, იხ.

**არჯევანასშვილი მამულა** – შვილი არჯევანასშვილისა, იხ.

**არჯევანიძე.** ფუძეა არჯა, აქედანაა მიღებული მამაკაცის საკუთარი სახელი არჯევან. არჯითაა ნაწარმოები ქართული გვარები: არჯაევანიძე, არჯაკელი, არჯანია, არჯევანიშვილი, არჯევანიძე, არჯევენიშვილი (– არჯანოვი).

**არჯევანიძე** – მუჯირეთუბანის მცხოვრები.

**არჯევანიძე თამაზა** – ამილახორიშვილებსა და მურვანისშვილებს შორის სამამულე დავის გარიგების წიგნის თანახმად, იგი ერთ წილად ერგო ამილახორიშვილებს (1698 წ. შდ-1077).

**არჯევანიძე თამაზა** – ბიჯნისის მცხოვრები. ნაზარალი-ხანმა იგი უწყალობა იესე რუსიაშვილს (1699 წ. III.17. შდ-10268).

**არჯევანიძე.** არჯე სპარსულად *მარჯვეს* ნიშნავს, აქედან წარმოსდგება ქართული – მარჯვე და ადამიანის ხელის გამომხატველი სიტყვა – მარჯვენა. არჯევანს კი ზენდურ (ირანულ) სიტყვად მიიჩნევენ, ითარგმნება, როგორც ღირსი, ღირსეული. საქართველოში ჩანს დიდი ხნის წინათ დამკვიდრებულა კაცის საკუთარ სახელად, შემდეგ გვარადაც. XI საუკუნის ანონიმი ავტორის

„მატიანე ქართლისაში" მოხსენიებულია არჯევან ხოლოლას ძე, რომელიც მიემხრო ბიზანტიელებს და შაეშეთის ცეპტის ციხე მათ ჩააბარა. ცაგერის რაიონში ახლაც გვხვდება ეს სახელი და გვარიც (სოფელ ზუბში). ზემო იმერეთში არის ნამოსახლარი არჯევანიძეების უბნის სახელწოდებით. თელავის რაიონში არჯევანიშვილებად იწერებიან. ჭარბობს, ცხადია, ძეთი გაფორმებული. ასე იყო ადრეც, რასაც ცხადჰყოფს „საქართველოს სიძველენის" სამი წიგნის პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლები, შედგენილი ე. თაყაიშვილის მიერ და გამოცემული 1970 წელს. ელინდება, რომ გვარსახელი არჯევან–არჯევანიძე ძირითადად სამცხე–ჯავახეთში იყო. თრიალეთის ქედზე არის ტოპონიმი „არჯევანის მთა". ს. არჯევანიძე – ოლთისში (იუსუფელი). გვარი არჯევანიძე ლაგოდეხის რაიონშიცაა. აჭარელი არჯევანიძეები ქედასა (ს. უჩხითში) და ბათუმში ცხოვრობენ, ხოლო ქობულეთში დასახლებულან არჯევანიშვილები. 1945 წლის 5 აპრილს ჰოლანდიის კუნძულ ტექსელზე ქართველ ტყვეთა შორის დაიღუპა ხელვაჩაურის რ-ნის ს. აჭარისაღმართის მკვიდრი ვეზირ არჯევანიძე. მაჭახლის ს. ჭანიერში ლომან არჯევანიძეები ლომაძეებად დაიწერნენ (ი. ბექირიშვილი).



არჯევანიძე თემურ გრიგოლის ძე, კინომხატვრობა, ფერწერა. დაიბადა 20.09.1948, ხაშური. მშობლები: ანა თოდაძე, გრიგოლ არჯევანიძე. მეუღლე – ნათელა კიკოშვილი (1951). შვილი – ანა (1988). სწავლობდა თსსა–ს ფერწერის პედაგოგიკის ფაკულტეტზე (1970–75). პედაგოგები: ც. შანშიაშვილი, ე. ამბოკაძე. სადიპლომო ნამუშევარი – „ქალიშვილის პორტრეტი" (ხელმძღვანელი – ე. ამბოკაძე). გამოფენებში მონაწილეობს 1976 წლიდან. საქართველოს მხატვართა კავშირის წევრია 1986 წლიდან, კინემატოგრაფისტთა კავშირისა – 1987 წლიდან. ძირითადი ნამუშევრები: ფილმები „წისქვილი ქალაქის გარეუბანში", „ნუშის ნაძვის ხე" (რეჟ. რ. ესაძე, 1981–85), „კავკასიური ამბავი. „სკაპენის ოინები" (რეჟ. გ. კალატოზიშვილი, 1984), „მოქცევაი ქართლისა", „ხანა ჩვენი ბავშვობისა" (რეჟ. ზ. თოფურიძე, 1986), „ნიჟი" (რეჟ. დ. ციხცაძე, 1988). ფერწერული ტილოები „ადამ და ევას ქართლ–კახური ვარიანტები", „კახელი მოხუცის პორტრეტი" (1982), „ქალიშვილის პორტრეტი", „დაფით ალმაშენებელი", „დედა მძინარე შვილით" (1983–84), „ექსპრესული პეიზაჟი", „ძახილი", სერიიდან „თავისუფლების მოლოდინი" (1985), „მოხუცები". მისი ნამუშევრები დაცულია სახელმწიფო სამხატვრო ფონდებში, მხატვრის სახლოსნოსა და კერძო კოლექციებში. მუშაობს კინოსტუდია „ქართულ ფილმში" დამდგმელ მხატვრად.

ასაბაშვილი, ასაბი-ა სულხან-საბას განმარტებით ნიშნავს მტერზე მიმყოლს. ნახეთ: „ასაბია *მტერზედ მიმყოლი*" (ტომი I, გვ. 68). ასაბა იყო მამაკაცის საკუთარი სახელი „ასაბა, გვარში – ასაბაშვილი" (*იხ. ალ. ღლონტი. ქართველური საკუთარი სახელები. თბ., 1986, გვ. 76*). იხ. ასაბაშვილი გამახარე – ევძისხევს მცხოვრები, ერთი კომლი. შეტანილია სვეტიცხოვლის კუთვნილი საკომლოების

| ასაბაშვილი 844 |
|---|
| ყვარელი – 484, |
| თბილისი – 102, |
| მარტვილი – 73. |

ნუსხაში (1689 წელი, 1449–1792).

**ასაბაშვილი ჩიტო** – ვეძისხევს მცხოვრები (დომენტი) კათალიკოსისა და პაპუა რუსიშვილს შორის სამამულე დავის გარიგებაში მონაწილეობა მიიღო. როგორც მოწმეკარმა (1660–1676 წ.წ. ად–2119) (იხ. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, წგნ. I, თბ., 1991, გვ. 178). იქვე მოიხსენიებიან დათუნა და მამუკა ასაბაშვილები.

ასაბაშვილები მოიხსენიებიან აგრეთვე 1873 წელს ლღევანდელი თეთრიწყაროს რაიონი სოფელ დიდ ენაგეთში (ლევ. ჯორჯაძეშვილი. იხ. იაკობ. ახუაშვილი. *ქართული გვარსახელები. თბ., 1994, გვ. 223).*



**ასაბაშვილი ბიძინა დიმიტრის ძე**, ფერწერა, გრაფიკა, ავეჯის პროექტირება, ინტერიერი, დიზაინი. დაიბადა 28.08.1950, თელავი. მშობლები: ნინო თვალიაშვილი, დიმიტრი ასაბაშვილი. მეუღლე – თამარ ასაბაშვილი (1950). შვილები: ლევანი (1980), თორნიკე (1983). სწავლობდა თსსა-ს არქიტექტურის ფაკულტეტზე (967-73). პედაგოგები: ო. კალანდარიშვილი, ლ. მესხიშვილი, ე. გოორგობიანი, ნ.მ. ზაალიშვილი. სადიპლომო ნამუშევარი – „ტურისტული ცენტრი ნაქალაქარ გრემთან" (ხელმძღვანელი ა. ქურდიანი). გამოფენებში მონაწილეობს 1983 წლიდან. საქართველოს მხატვართა კავშირის წევრია 1997 წლიდან. არქიტექტორთა კავშირისა – 1987 წლიდან. ძირითადი ნამუშევრები: ფერწერა – „ბათუმის პორტი" (1978), „შემოდგომის პალიტრა" (1980), „ძველი თბილისი" (1982), „ნატურმორტი ფარნით" (1990), „ნატვრის ხე" (1995), „არქეოლოგიური მონაპოვარი" (1995), „ძვ. თბილისი" (1996), სასტუმრო „ბახტრიონის" პროექტი (ჯ. დარჩიასთან ერთად), გაგრა, სასტუმრო „გაგრაფში", აუზი, პანო, ზამთარი (1975), სიღნაღი, პარკი, „აუზი", კერამიკული პანო, სოფ. ნაფარეული, ღვინის ქარხანა, მოზაიკა (1976), სოფლის შესასვლელი, პანო, შემოდგომა, ქანდაკება (1982). გამოფენები: საგაზაფხულო, სეგ (თბ., 1983), რესპუბლიკური, სეგ (1984), პერსონალური, მხატვრის სახლი (1985), ქარვასლა (1986), საშემოდგომო – სეგ (1986). მისი ნამუშევრები დაცულია აშშ-ს, გერმანიის, საქართველოს კერძო კოლექციებში. მუშაობს ფირმა „ბ.ა. და კომპანიის" დირექტორად (1993 წლიდან). შვილები ლევან ასაბაშვილი – არქიტექტორი, თორნიკე ასაბაშვილი – არქიტექტორი.

**ასათაშვილი** (იხ. ასათიანი).

**ასათაშვილი დალი**, მედიცინის მეცნ. კანდიდატი, თსსუ-ს შინაგანი სნეულებების №1 კათედრის დოცენტი. დაიბადა 1940 წლის 11 თებერვალს თელავში. დაამთავრა თსსი-ს სამკურნალო ფაკულტეტი. იყო ყაზახეთის სსრ კოკჩეტავის რაიონის საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგე (1965–68), თსსი-ს ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის ასპირანტი (968–71), ამავე კათედრის ასისტენტი (1972–74), სუბორდინატურის კათედრის ასისტენტი (1974–93), ამავე კათედრის დოცენტი (1973–76), 1977 წლიდან შინაგან სნეულებათა №1 კათედრის დოცენ-

ტია. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „ჰისტამინის ცვლის ზოგიერთი მაჩვენებლები კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების დროს." ავტორია 36 სამეცნიერო ნაშრომისა. გამოქვეყნებული აქვს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთათვის დამხმარე სასწავლო-მეთოდური ბროშურები: „დიფერენციალური დიაგნოსი ფილტვის ინფილტრატის დროს", ანტიბაქტერიალური მკურნალობა ფილტვის პათოლოგიების დროს" (ქართულ და რუსულ ენებზე), 1978 წ. „დიფერენციალური დიაგნოსი პლევრიტებისა და რპნევმონიების დროს" (ქართულ ენაზე) 1988 წ. იყო კომუნისტური შრომის დამკვრელი (1985), არის თერაპიული და გასტროენტეროლოგიური საზოგადოებების წევრი. 1951-53 წლებში გადასახლებული იყო სამხრეთ ყაზახეთში პახტაარალის რაიონის სოფ. მახტალაში.

| |
|---|
| **ასათიანი 3716** |
| **თბილისი – 1160,** |
| **ქუთაისი – 1113,** |
| **წყალტუბო – 214.** |

**ასათიანი//ასათიშვილი//ასათისძე, შტო-გვარებია: ღუღუნაშვილი//ღუღუნიშვილი//მალაქიშვილი//ვაჩნაძე (?).**

გვარის ფუძე არაბულიდან ნასესხები სიტყვა **ასათ** (ასათა). **ასათ** არაბულად ლომს აღნიშნავს.

საქართველოში ყველაზე გავრცელებულ 1000 გვარში რაოდენობით ასათიანების გვარს 144-ე ადგილი უკავია.

სახინო ქართულ საგვარეულოთა შორის ასათიანებს ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავიათ. საგვარეულოს ისტორიაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან ის მასალებიც კი, რომლებიც ჩვენ მოვიპოვეთ. ისტორიული წყაროები და ასათიანთა თანამედროვენი გვარწმუნებენ, რომ მათი დიდი ღვაწლი მიუძღვით საქართველოს ისტორიის წინაშე. ასათიანთა გვარის სადაურობა-წარმომავლობის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობაა. გულუბრყვილო ეტიმოლოგიის მომხრეები ფუძეს **ასათი**, ცოტნი 110-საც კი მიიჩნევენ. პროფესიონალ-ონომასტოლოგები კი თვლიან, რომ გვარს საფუძვლად უცხოური, ნასესხები სიტყვა აქვს გამოყენებული. აღნიშნული მოსაზრების მიხედვით, როგორც უკვე ითქვა, გვარის ძირია არაბული სიტყვა **ასათ**, რომელმაც რვა-ცხრა საუკუნის წინ (თუ ადრე არა) შემოაღწია ჩვენამდე და თურქული სიტყვა (*ასლან, არსლან, იგივე „ლომი"*) პარალელურად ქართველი კაცის სახელად იქცა. სახელებმა ასათმა და ასლანმა აწარმოა გვარები: ***ასათისძე, ასათიშვილი, ასათიანი (შდრ.: არსლაისძე, ასლაისძე, ასლანიშვილი, ასლანაძე, ასლანიძე, ასლანია, ასლანიკაშვილი, ასლუაშვილი).***

იოანე ბატონიშვილის მიხედვით, **ასათიანები** იყვნენ „ასათიშვილები", ხოლო *„ასათიშვილები კი ვახნაძიანთ გვარისანი არიან ხორნაბუჯელნი"– (იხ. იოანე ბატონიშვილი. შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა. ტფ., 1799. გვ. 139: ხელნ. ინსტ., ფ. შ. №3729).*

თ. სისელიძე კომენტარი გაუკეთა იოანე ბატონიშვილის მოსაზრებას და აღნიშნა, რომ ასათიანთა ასათიშვილობა ეჭვს არ იწვევს. გვარსახელი **ასათიანი**

უშუალოდ პირის სახელ ასათისაგან არის ნაწარმოები *(ო. სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორი-იდან. თბ., 1990. გვ. 119).*

იმისდა მიუხედავად, სიტყვა ასათ ნასესხებია თუ ადგილობრივი (აბორი-გენული), უძველესი ქართველური საკუთარი სახელია. ამ სახელით არაერთი ცნობილი წინაპარი გვყავდა. მაგალითად, ასათ (ასამ) გრიგოლისძე ქართველი დიდგვაროვანი ფეოდალი, გრიგოლისძეთა (გიშელთა) გვარის პირველი ცნო-ბილი წარმომადგენელი. XII საუკუნის დასაწყისში ფლობდა ციხე გიშს; ასათ მოქმედი, X საუკუნის ოქრომჭედლაკბეჭდი, აფხაზეთი სოფელ ბრილში 1898 წელს აღმოჩენილი ჯვრისა.

გვარების ასათიანშვილები და ასათიანები წინ უსწრებს უძველესი ფორმის გვარი ასათისძე. ვახუშტი ბატონიშვილი ქვეყანაში „მთავართა გვართათვის". წერს, რომ: „... გუარნი მთავართა მათ ძველთანი არიან: ქობულისძე, ასათისძე, კარიჭისძე..." *(იხ. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. გვ. 13).*

ქართულ ისტორიულ წყაროებში ასათისძეთა გვარით ცნობილია პერიოდის ორი ერისთავი: 1. გ. 1178 წ.) გრიგოლ ასათისძე, გრიგოლისძეთა (გიშელთა) ფეოდალური გვარის წარმომადგენელი. მონაწილეობდა დემნა უფლისწულის აჯანყებაში გიორგი III-ის წინააღმდეგ (1177-78 წ.წ.) დიდგულას მეფის ლაშქართან ბრძოლაში: "ომსა შინა" დაკარგულა "ხრმლის დაკოდილობისა და გამოკვლისა ცხენისათა"; 2. მისი შვილიშვილი, პერიოდის ერისთავი XII საუკუნის 80-90-იან წლებში.

აღნიშნულ ფაქტზე კომენტარისთვის კვლავ მოვიხმოთ ისტორიკოსი ო. სოსელია: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ავტორის ცნობის მიხედვით, სავარაუდოა მხოლოდ, რომ გრიგოლ ასათისძე ისე, როგორც იოანე ბატონიშვილის ასათი და მისი მემკვიდრეები, წარმოშობით ისტორიული პერიოდიდან იყვნენ. ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა ის, რომ ზემოხსენებული გრიგოლი თამარის „პირნი" დიდებულ აზნაურთა წრეში ჩანს (იხ. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი". ქართლის ცხოვრება, II. ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბ., 1959, გვ. 18-19). დემნას განდგომის ამბების თხრობისას ისტორიკოსის მიერ გრიგოლის პერსონალუ-რად დასახელება კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ იგი აზნაურების მაღალ ფენას ეკუთვნოდა. ასე რომ, ასათიანთა სახლის ისტორია შორეულ წარსულთან და დიდგვარიან აზნაურებთანაა დაკავშირებული *(იხ. ო. სოსელია. დასახ. ნაშრომი. - 120).*

რამ გამოიწვია ან როდის მოხდა ასათის შვილთა ხორნაბუჯიდან დასავლეთ საქართველოში გადასვლა და საბოლოოდ იქ დამკვიდრება, ცნობილი არ არის. საფიქრებელია, ეს მოხდა დემნას აჯანყების დამარცხების შემდეგ; ამიერიდან ასათისშვილ-ასათიანებს აღმოსავლეთ საქართველოში აღარ ვხვდებოდით და, შეიძლება, XII საუკუნის 70-იან წლებშივე გადავიდნენ ისინი ლიხთ-იმერეთში.

ლიხთ-იმერეთის თავადურ საგვარეულოთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ასათიანთა გვარი. აქ ასათიანები ჩანან ქვეყნის ყველა კუთხეში: იმერეთში, გურიაში, ლეჩხუმში, სვანეთში, დადიანის კარზე. მაგრამ აღზევებას ისინი დიდხანს ვერ აღწევენ. გარკვეულ დრომდე მათ ყველგან მხოლოდ სამეფო თუ სამთავრო ან, უბრალოდ, სათავადო აზნაურთა რიგებში ვხედავთ.

ლეჩხუმში დამკვიდრებული სამეფო აზნაურები უნდა იყვნენ ქველი და არდაშელ ასათიანები, რომელნიც, სარგის კაკაბაძის ვარაუდით, XV საუკუნის სასისხლო სიგელში გვხვდებიან. ეს სიგელი მათთვის მეფე ვახტანგს (გორგასლად წოდებულს) მიუცია. ამ დროს ისინი ხსენებული მეფის წინაშე „დიდად ერთგული აზნაურიშვილები" ყოფილან. მეფეს შეუწყნარებია ასათიანების „აჯა და მოხსენება" და მათთვის „სრული სისხლი" გაუჩენია: ვისაც „ასათიანის გვარის კაცი შეაკვდებოდა", მას სისხლის ფასად უნდა გადაეხადა „ერთი მონასტერი ასოცითა გლეხითა, თეთრითა" და სხვითა *(იხ. ს. კაკაბაძე, სასისხლო სიგელების შესახებ, საისტორიო მოამბე, II, 1924, გვ. 14–15).*

თუ სასისხლო სიგელის მონაცემები სანდოა, ასათიანები აღნიშნულ საუკუნეში უკვე ფრიად წარჩინებული აზნაურები ყოფილან, რაკი მათი სისხლი ასე ძვირად ფასობდა.

აღსანიშნავია, რომ მიქაელ კუჭაისძის მიერ ბალსზემო სვანეთის ხევისთვის მიცემულ „დაწერილში", რომელიც XV საუკუნის მეორე ნახევარს ეკუთვნის, „თავადებად" იხსენიება ჯეუხაი ასათიანი. ჩანს, ასათიანთა გვარის ერთი შტო ამ დროს სვანეთშიც ზის *(პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვ. II, თბ., 1941, გვ. 39, № 30).*

იმერეთის მკვიდრი უნდა იყოს ცოტა უფრო გვიან, 1519 წლის ახლო ხანის შეწირულების წიგნში დასახელებული „ღუღუნას შვილი" ბერი ასათიანი. მას იმერთა მეფის ბაგრატ III-ის „სახასო ყმა სალდაყმაძე" მოუკლავს და „მისად დასაურვებლად" (საზღაურად) მეფისთვის თავის ყმა-გლეხი მიუცია. მეფეს კი ეს გლეხი თავის „სულისათვის" გელათისათვის შეუწირავს. სამწუხაროდ, საბუთში ბერი ასათიანის სადაურობა მითითებული არ არის, არც მისი გლეხის გვარი და სახელი იხსენიება, მაგრამ ბერი იმერეთის ასათიანი უნდა იყოს.

იმერეთში ასათიანები ადრიდანვე რომ მკვიდრობდნენ, ეს ჩანს 1578 წელს შედგენილი ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრის დავთრიდანაც. იქ ნათქვამია: „საყუავის ტყე ქუტირის საზღუარს ზედათ ქუთათისამდე სამოდო არის, და ასათიანის საზღუარს აქათ" *(ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გამოც. ი. დოლიძისა, გვ. 283, № 67).*

გვიანდელი, 1820 წლის ცნობითაც, აზნაური ასათიანები ქუტირში ბინადრობენ. აქ მათ ჰყავთ ყმა-გლეხები, ხოლო თვით ქუტირელი ასათიანები თავად იოვანე (იოანე) აბაშიძის (იმერთა მეფის სოლომონ პირველის შვილიშვილის) ვასალებია, ე.ი. სათავადო აზნაურები არიან.

ასათიანები ზემო იმერეთშიც სახლობდნენ (და სახლობენ ახლაც). ასათიანთა გვარის კიდევ ერთი შტოს საცხოვრისი იყო გურიის სამთავროში, სახელდობრ – ასკანაში. აქ. ასათიანები. ე. მელიქიშვილის 1848 წლის ჩანაწერების მიხედვით, თავიანთ წინაპარს „წარსულ საუკუნეებში" დამკვიდრებულად თვლიდნენ. ასკანის ციხესიმაგრის აგებასაც მას მიაწერდნენ. ამ ციხისა და სოფელ ასკანის ფლობის გამო გურიის ასათიანები თავიანთ „წინანდელ" გვარად „ასკანიანს" ასახელებდნენ.

სინამდვილეში ასკანის ციხე გურიის მთავრის საკუთრება იყო. ასათიანები ამ ციხის მხოლოდ მოურავის სახელოს ფლობდნენ მემკვიდრეობით და ისიც გვიან ხანიდან. XVIII საუკუნის შუა წლებში აღნიშნული ციხის მოურავად ჯერ კიდევ მანველიშვილი იჯდა, შემდეგ კი – ასათიანი *(იხ. ქ. ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავრო. – გვ. 44–45)*. დასახელებული პერიოდიდან, მამია IV-ისა და მისი ძმის გიორგი V-ის გურიელობაში იხსენიებიან ძმები ბეჟან, იოანე/ივანე და პეტრე ასათიანები. იოანე ასკანის ციხის მოურავია. გურიის სამთავროში ჩანან იოანეს თანამოგვარეები პაატულა და იესულა ასათიანები.

ლიხთ-იმერეთის სხვა კუთხის აზნაურ ასათიანებზე უფრო მეტად ჩანან და სხვებისგან გამოირჩევიან ლეჩხუმელი ასათიანები. მართალია, 1650 წლის ახლოხანს ვხედავთ აქ დათუა ასათიანს, რომელიც სოფელ ჭაშლეთის (ქვემო ლეჩხუმი) ერთი კომლი საკათალიკოსო გლეხი უჭირავს, მაგრამ ისინი აქ უფრო ადრეც უნდა ყოფილიყვნენ. მეცნიერები უშვებენ მოსაზრებას, რომ შეიძლება მათ განშტოებას წარმოადგენდნენ ზემოხსენებული სხვა ასათიანებიც, რომელნიც ჟამთამსვლელობაში რაღაც მიზეზის გამო ლეჩხუმიდან წავიდნენ და სხვადასხვა ადგილას დამკვიდრდნენ. ყოველ შემთხვევაში, თუ ზემოდასახელებული ქველი და არდაშელ ასათიანები ლეჩხუმელი ასათიანებია *(იხ. სარგის კაკაბაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 14–16)*, აქ მათი მოსახლეობა XV საუკუნეში უკვე ფაქტი უნდა იყოს. ოღონდ, აღნიშნული საუკუნის შემდგომ წყაროებში ასათიანები ლეჩხუმში დიდხანს არ გვხვდებიან. მხოლოდ 1650 წლის ახლოხანს ვხედავთ აქ დათუა ასათიანს, რომელსაც სოფ. ჭაშლეთის (ქვემო ლეჩხუმი) ერთი კომლი საკათალიკოსო გლეხი უჭირავს *(დასახელ. საქართველოს სიძველენი. ტ. I. გვ. 54)*.

დათუაზე ცოტა უფრო გვიან – 1673–1796 წლებში ჩანს იესე ასათიანი. იგი თავის თავს ზოგჯერ „მწერლად" ასახელებს, ზოგჯერ კი – „მდივნად". მის მიერაა დაწერილი ამ კათალიკოსის აღნიშნული წლების ორი უთარიღო წყალობის წიგნი: „*მე, მდივანს ასათიანს იესეს დამიწერია და მოწამეც ვარო*", ამბობს იგი ამ საბუთის დასასრულს *(ქართული სამართლის ძეგლები. III. გამოც. ი. დოლიძისა, გვ. 615-616. №№ 168, 169)*.

ეს იესეა ბარაკონის (რაჭა) ეკლესიის გულანის „მწერალი" იესე ასათიანი და 1786 წლის „ხოტეური" გულანის გადამწერი („უცბად მხრეკელი") იესე ასათიანიც

*(ე. თაყაიშვილი, მოგზაურობა რაჭაში, თბ., 1963, გვ. 113).*

ამ იესეს თანამედროვე უნდა იყოს დასახელებული „ხოტეური გულანის მინაწერში მოხსენიებული მღვდელ-მონაზონი იოანე ასათიანი“.

XVIII საუკუნის დამდეგიდან იწყება ლეჩხუმის აზნაურ ასათიანთა ერთი შტოს დაწინაურება. ამას ხელს უწყობს ოდიშის სამთავროში ახალი, ჩიქოვანთა დინასტიის გაძლიერება. ამ დინასტიიდან გამოსული ბეჟან დადიანობაში (1714–1728 წ.წ.) იხსენიება პირველად ხახუტა ასათიანი, რომელიც ბეჟანთან კარგ განწყობილებაშია. უკანასკნელი ხახუტას თავის „ერთგულ ყმას“ უძახის და აღნიშნულ წლებში შედგენილი წყალობის წიგნით აძლევს მას ცხუკეშელს „სეიმონ ჩიქვანისეული“ ერთ კომლ გლეხს „მის სახლ-კარითა, ჭურით-მარნითა, მიწა-მამულითა“ და ყველაფრით“ *(იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd– № 2206).*

მკვლევრებს ეს ხახუტა მიაჩნიათ გვიან პირველი გათავადებული აზნაური ხახუტა ასათიანად, რომელიც ამ საგვარეულოში დაცული ისტორიული გადმოცემითაა ცნობილი. ჩანს, ეს გადმოცემა სინამდვილეს სწორად ასახავს. მოგვიანებით, საბუთებში, მართლაც გვხვდებიან ხახუტას შთამომავალი თავადი ასათიანები.

გადმოცემა ხახუტას გათავადებას თამარ იმერთა დედოფლის, მეორე სახელით კოჭიბროლას თავგადასავალს უკავშირებს. ვახუშტის ცნობით, თამარი მამია გურიელის ასული იყო. ეს მამია სავარაუდოდ მე-3 მამია უნდა იყოს, რადგან თამარი მის გურიელობაში (1689–1714 წლები ინტერვალებით) ჩნდება ისტორიის ასპარეზზე.

1709–1711 წლებში თამარი ოდიშის ფაქტობრივ მფლობელზე გიორგი ლიპარტიანზე დაქორწინდა. უკანასკნელის დამარცხების შემდეგ (1714 წ.) თამარს ახალციხის საფაშოში ვხედავთ. 1716 თუ 1718 წელს აქ ნახა ის გიორგი VI-მ, ცოლად შეირთო და იგი იმერეთის დედოფალი გახადა.

1736 წლის წყალობის წიგნიდან (ის მეფე ალექსანდრე V-მ უბოძა ხახუტა ასათიანსა და თამარ დედოფალს), ვიგებთ, რომ *„გვირგვინოსანმა მეფეთ-მეფემ ალექსანდრემ წყალობის წიგნი და სიგელი უბოძა ხახუტა ასათიანს, თამარს, მათს შვილებს ხოსიამას, მანუჩარს და მალაქიას – ასე და ამა პირსა ზედან, რომე ჩვენის გულისათვის ბევრი საქმე გემსახურათ. მერმე დაგვიამაგდენით და ჩვენ ერთგულად აგრა და მოხსენება თქვენ შეგიწყალეთ და გიბოძეთ პატრიქეის რომელიც სადედოფლო იყო – სასახლე თუ გლეხები მათის ცოლშვილით, სახლ-კარით, ჭურ-მარნით, ტყით, ველით, ვენახით – გვიბოძებია. გიბედნიეროს ღმერთმან. თუ თქვენი ერთგული იყოთ, ჩვენს ეს ჩვენგან წყალობა არვინ არ მოგიშალოთ“* (იხ. დოკუმენტები – ი. ნ. ბერძენიშვილის რედ., გვ. 466–467, № 661, დედანი).

შემდეგში 1737 წელს, კიდევ იმავე ალექსანდრემ კოჭიბროლას თანამეცხედრეს ხახუტა ასათიანს უბოძა *„სომეხი სტეფანა, ზურაბა და ჯამფაშა მათის ცოლშვილითა, სახლკარითა და ყველაფრით“.*

[illegible]

**ხახუტა** იყო პირველი თავადი ასათიანთა გვარში. მისგან მომდინარეობენ შემდგომ სხვა ლეჩხუმელი თავადი ასათიანები. ასე რომ, ასათიანები ლეჩხუმ-იმერეთის ძირძველ თავადთა რიგებს არ ეკუთვნოდნენ, რომელთაც თავადის წყალობა მეფის წყალობით კი არ ჰქონდათ მიღებული, არამედ წინაპართაგან მემკვიდრეობით მოსდგამდათ. ცნობილია, რომ თავადობა თავდაპირველად მეფის წყალობის საგანი არ იყო, ასეთად ის, როგორც სხვაგან ფეოდალურ საქართველოშიც გვიან, მეტადრე XVIII საუკუნეში იქცა.

აღსანიშნავია, რომ ხსენებული საუკუნის მეორე ნახევარში ასათიანები დასავლეთ საქართველოს გამოჩენილ თავად-აზნაურთა რიგებში ჩანან. მათ მიერ 1759 წელს სოლომონ პირველისთვის მიცემულ ტყვეთა სყიდვის აღკვეთის შესახებ პირობის წიგნში ასათიანებიც არიან წარმოდგენილი (თ. ჟორდანია, *ქრონიკები... III, გ. ჟორდანიასა და შ. ხანთაძის გამოცემა, თბ. 1967, გვ. 262-263).*

**ხახუტა ასათიანი,** გადმოცემით, თურმე შესანიშნავი გარეგნობის კაცი იყო: მაღალი, ტანადი, მეტად კარგი სახიერი" თამარ//კოჭიბროლაზე ადრე პირველ ცოლად ხახუტას ლეჩხუმელი აზნაურის ყრუაშვილის ქალი ჰყოლია, რომელსაც ჰყავდა ერთი ვაჟი ხახუტა. კოჭიბროლა გურიელის ასულისგან კი ასათიანს, როგორც ზემოთ ვნახეთ, სამი ვაჟი ესვა: ხადაჩამა (ზარდაჩან), მანუჩარი (მანუჩარ) და მალაქია. მათგან ყველაზე უმცროსი, დასახელების რიგის მიხედვით, მალაქიაა.

თავადის წოდება მემკვიდრეობით ხახუტა ასათიანის მხოლოდ იმ შვილებზე გადავიდა, რომელნიც თამარ დედოფლისგან იყვნენ გაჩენილი (ხადაჩამა, მანუჩარ, მალაქია). მათი მამით ძმა, ყრუაშვილის ქალისაგან ნაშობი ხახუტა (II) და მისი მემკვიდრეები აზნაურებად დარჩნენ.

მანუჩარს ორი ვაჟი ჰყავდა: ლევანი და ზაალი. ლევანი დაქორწინებული ყოფილა ჩიქვანის ასულზე. ჰყოლია სამი ვაჟი: სამსონ, ყარამან, ჯავახ, ხოლო ზაალის მეუღლის ვინაობა ცნობილი არ არის. ესვა კი ორი ვაჟი – ლუარსაბი და კონსტანტინე (იხ. ო. სოსელია, დასახ. ნაშრ., 134).

ამ მანუჩარის შთამომავალი უნდა იყვნენ პოეტ ლადო ასათიანის წინაპრები – **თავადი გუჯუ და ჯანსუღ ასათიანები.**

იყვნენ ლეჩხუმში თავადობის მაძიებელი აზნაური ასათიანებიც. ისინი უთუოდ ხახუტა II-ის შთამომავლობას ეკუთვნოდნენ, რომელთაც ჰქონდათ ერთგვარი პრეტენზია თავადობისა, რადგან მათი წინაპარიც (ხახუტა I) თავადი იყო.

ხახუტა I-ის მემკვიდრეებიდან მალაქია და მისი შტო დაწინაურდა.

მალაქიას თანამეცხედრე იყო ოდიშელი თავადის დგებუაძის ქალი რუსუდანი. ჰყავდა ოთხი ვაჟი: ბერი, მამუკა, დავით, გრიგოლი და სამი ასული: ელიტე (გათხოვილი იყო ოფშკველ რევაზ ნიჟარაძეზე), ანა (შეუღლებული ბანძელ ბატა ფალავასთან) და ატატო (დაქორწინებული კულაშელ ვახტანგ მიქელაძეზე).

მალაქიას შთამომავლობა, სხვა ასათიანთაგან გამორჩევით, „ასათიან-მალაქიაშვილად" იწოდებოდა.

თავად ასათიანთა მამამთავარს ხახუტა I-ს თავადისათვის დამახასიათებელი ატრიბუტები (ციხესიმაგრე, ეკლესია, ყმა-მამული და სხვ.) გათავადებამდე გაუჩნდა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მისადმი ბეჟან დადიანის კეთილგანწყობამ. საქმე ისაა, რომ გადადიანებული ბეჟან ჩიქვანი ლეჩხუმში თავის საყრდენ ძალებს ეძებდა. ხახუტა ასათიანი აქ ერთ-ერთი გავლენიანი ფეოდალი იყო, რომელიც საამისოდ ბეჟანს გამოადგებოდა. ამიტომაა, რომ იგი ხახუტას სწყალობს. სწორედ ბეჟანი არის მერმინდელი ოდიშის მთავრის დავით დადიანის ის „მეშვიდე წინაპარი", რომელსაც მალაქიას მემკვიდრეები და მათი მონაწილე აზნაური ასათიანები იხსენიებენ დასახელებულ მთავრისადმი მირთმეულ „ვედრებაში" და რომელსაც უბოძებია მათთვის ინასარიძეთა სოფელ ღლონთისას მნიშვნელოვანი ნაწილი *(ინასარიძეთა გვარი ერთ-ერთი წარჩინებული ფეოდალური გვარი იყო (იხ. ინასარიძეები).*

მთლიანად ასათიან-მალაქიაშვილთა და მათი მონაწილეთა მფლობელობაში იყო სოფ. პატრიკეთის (იმერეთში) მიწა-წყლის ის ნაწილი, რომელიც იქ „სადედოფლოდ" ითვლებოდა, ასევე, ზემოხსენებულ ღლონთისასა და დერჩის დიდი ნაწილი, კერძოდ, დერჩში მათ ეკუთვნოდათ: ჩიტიულა, ციხე (ადგილის სახელია), ტბა, დერჩი-ბარი, ხიდიყელი, წაბლარი და სხვ. მათვე ჰქონდათ ადგილ-მამულები საჩხეურს, ცხუკუშერს (ცხუკუშეერს), ტვიშს, ქორენიშს, ბარდნალას, ჭაშლეთს, ონჭეიშსა და წუგნამალთეთში" *(იხ. ო. სოხელია, იქვე, 135).*

ასათიან-მალაქიაშვილების რეზიდენცია სოფელ დერჩში იყო. იქ „სოფლის თავში" ჰქონდათ „სასახლე", სამი ციხესიმაგრე და ეკლესია, აშენებული ნათლისმცემლის სახელზე. ამ ეკლესიაში იყო მათი საძვალეც. მათვე ეკუთვნოდათ სოფ. ღლონთისას ციხესიმაგრეც, რომელიც ვახუშტის გადმოცემით, იყო „მაგარი, დიდშენი და შეუვალი" *(ვახუშტი, აღწერა..., გვ. 762).*

ზემოხსენებულ ხახუტასა და მის შვილებს – ხახუტა მეორეს, ხადაჩამას, მანუჩარსა და მალაქიას გარდა, მეტ-ნაკლებად ცნობილი არიან ლეჩხუმელ ასათიანთა საგვარეულოს სხვა წარმომადგენლებიც:

**მამუკა I** (აზნაური), **ხახუტა I** ასათიანის თანამედროვე, **ბერი I** მამუკა I-ის ძე აზნაური, **გრიგოლ I** მალაქიას ძე (თავადი), **სისონიკა** (თავადი?), **გიორგი I** (აზნაური), **ზაალ** (აზნაური), **ხოსია I** (აზნაური), **ბერი II** მალაქიას ძე (თავადი), **ხახუტა I**-ის შვილიშვილი, **როსტომ I**, ბერი II-ის ძე (თავადი), **ტატუ** (აზნაური), **ქაიხოსრო** (აზნაური), **ბასილ** (აზნაური), დადიანის „კარის მწირველი" მღვდელ-მღიეანი **სიმონ I** (აზნაური), **ვახტანგ I** ზაალის ძე (აზნაური), **მამუკა II** მალაქიას ძე (თავადი), **ნიკოლოზ//ნიკოლოზა** რამაზას ძე (აზნაური), **ლაზარე** (აზნაური), **დავით//დათა I** მალაქიას ძე (თავადი), **ივანე I** ბერი II-ის ძე (თავადი, მღვდელ-მონაზონი), **მიხეილ** (აზნაური), მღვდელ-მონაზონი: **რამაზა** (აზნაური,

ფირან, ივანე II გლახუა, ბეჟუკი, დათიკა (აზნაურნი). ტარიელ, ფარნაოზ, ძმები, ბერი II-ის შვილები (თავადნი). ლევან I ბერი II-ის ძე, მალაქიას შვილიშვილი. უშანგი დავითის ძე, ბერი II-ის შვილიშვილი (თავადი), ეფრემ (აზნაური). ოქროპირ ვასილის ძე (აზნაური). გრიგოლ II (თავადი?). დავით//დათა II ბერი I-ის ძე, ვახტანგ II, ხოსია I-ის ძე (აზნაური). რევაზ ხახუტა II-ის ძე (აზნაური). რევაზს სამი ვაჟი ესვა: ერასტ, კოსტა და სარდიონ; გიორგი II დავით//დათიკა III-ის ძე (აზნაური). პახუმ დავით II-ის ძე (თავადი), იესე მოსეს ძე, ბიჭია (აზნაურნი). ხახუტა II თავად ხახუტა I-ის ძე (აზნაური). მალხაზ ზაზუა II-ის ძე (თავადი), ვარდენ ფარნაოზის ძე (თავადი). ივანე II (თავადი?). მიხეილ იოსების ძე (თავადი?) ბეგლარ როსტომ I-ის ძე (აზნაური). ლუკა ნიკოლოზის ძე (აზნაური), შამშე პახუმის ძე (თავადი).

შამშე პახუმის ძე არის დავით II-ის შვილიშვილი და შვილიშვილისშვილი ბერი II მალაქიას ძისა. ძმისწული უშანგი ასათიანისა. დაიბადა 1895 წელს სოფელ დერჩში. აქტიურ მონაწილეობას იღებდა რევოლუციურ მოძრაობაში პეტროგრადში. რევოლუციის შემდგომ დაბრუნდა საქართველოში. მუშაობდა „საქდესში" სტილისტ-რედაქტორად. ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობასაც. დაქორწინებული იყო თამარ ალექსანდრე ასულ ახვლედიანის ქალზე. დარჩა ორი ასული: ირინე და ლილი. გარდაიცვალა 1973 წელს, თბილისში.

შამშე ასათიანის ასულნი, ირინე და ლილი ასათიანები, მეცნიერებათა ხარისხებით, მოღვაწეობენ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლებად. მომდინარეობენ თავად ხახუტა I ასათიანის უმცროსი ვაჟის (კოჯიბროლასაგან ნაშობ) მალაქიას შტოდან და წარმოადგენენ ასათიან-მალაქიაშვილთა მეშვიდე თაობას *(იხ. ო. სოსელია. დასახ. ნაშრ. 155).*

ასათიანთა ფეოდალური გვარი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ოდიშის სამთავროს გაუქმებასთან დაკავშირებით (ფაქტობრივად, 1857 წ.) ასათიანთა სათავადოც ადმინისტრაციულად გაუქმდა.

რუსეთის მთავრობამ აზნაურის ხარისხში ცნო და 1850 წლის 6 დეკემბერს საგვარტომო წიგნში შეიტანა: დავით ივანეს ძე ასათიანი, ქვრივი ხვახვა. ვაჟიშვილი ბიჭია. მისი მეუღლე ელისაბედი. ვაჟიშვილი დავითი. ქალიშვილი ანა; ნიკოლოზ ივანეს ძე, მეუღლე მისი ტასო. ვაჟიშვილები: ალექსი, ლუკა, ქალიშვილები: ნატო, ფოტინა. ნიკოლოზის ძმა ვასილი. მეუღლე ელისაბედი. მათი ვაჟიშვილი მიხეილი. ქალიშვილი პელაგია; გაბრიელ გიორგის ძე, მეუღლე მისი ანა. ვაჟიშვილები: იესე, გიორგი, ნიკოლოზი, იაკობი, სიკო. იესეს მეუღლე მაია. ქალიშვილი სალომე; უფლისა ივანეს ძე, მეუღლე მისი ეფროსინე. ვაჟიშვილები: ონისიმე, სამსონი. ქალიშვილები: სალომე, მზეხათუნა, ეკა, ციცო.

უფლისას ძმა მალაქია. მეუღლე მაგდალინა. ვაჟიშვილი არტემი; ქაიხოსრო ივანეს ძე, მეუღლე მისი ანუსია. ქაიხოსროს ძმა ვახტანგი; მანუჩარ ივანეს ძე, მეუღლე მისი მარიამი. ვაჟიშვილები: ივანე, კოხტა, იესე, სიმონი. ქალიშვილი ვარდი. ივანეს მეუღლე სალომე; ვახუშტი იესეს ძე, მეუღლე მისი წამალა. ვაჟიშვილი ალექსანდრე. ქალიშვილები: ევდოკია, ანუსია; ამირან იესეს ძე, მეუღლე მისი თათია. ვაჟიშვილები: ზურაბი, მურზაყანი, მალაქია, დავითი, ნიკოლოზი. მურზაყანის მეუღლე თინათინი. ვაჟიშვილი რაფიონი; ოთია ფირანის ძე, მეუღლე მისი მზეხათუნი, ვაჟიშვილები: იოსები, ალმასხანი, ფირანი. ქალიშვილი ეკავი. იოსების მეუღლე მართა. ვაჟიშვილები: ნოშრევანი, ერემია. ალმასხანის მეუღლე ანუსია. მათი ვაჟი ბიჭია; ვახტანგ ფირანის ძე,მეუღლე მისი დარეჯანი. ვაჟიშვილები: ანდრო, იულონი, დიონისე, ქალიშვილი ივლიტა; ხოსია კაციას ძე, მეუღლე მისი ირინა. ვაჟიშვილები: კაცია, ბერი, გრიგოლი, გედეონი. კაციას მეუღლე რუსუდანი. ქალიშვილი ეფემია; გლახა ქაიხოსროს ძე, მეუღლე მისი მარინე. ვაჟიშვილები: სიმონი, ყარამანი, სოკრატე. ქალიშვილები: ელენე, მაია, ანა, ელისაბედი“ *(სპისოკ კნიაზიამ. I. 308-319).*

გურიიდან რუსეთის მთავრობამ აზნაურის წოდებაში დაამტკიცა და საოჯახო სახელობით სიაში შეიტანა: ასათიანი ქაიხოსრო ივანეს ძე, მეუღლე მისი რუსუდანი. მათი ვაჟიშვილები: ალექსანდრე. ბეჟანი. დავითი. კაცია. სოლომონი. მათი ქალიშვილები: ხვარამზე, მასულა, ელისაბედი, ბარბალე, ფატმანი. ალექსანდრეს მეუღლე მანიჟა. მათი ქალიშვილები: გოჯასპირა, მაკა, სოფიო, თუთა. ბეჟანის მეუღლე ანასტასია. მათი ვაჟიშვილი ივანე. ქალიშვილი ეკა; ზაალ ენუქის ძე, მეუღლე მისი ეფემია. მათი ქალიშვილები: ატატო, მატო. ზაალის ძმა საყვარელი; გიორგი დავითის ძე, მეუღლე მისი მართა. მათი ვაჟიშვილები: დავითი, კონსტანტინე, სიმონი. ქალიშვილი ეკა; ივანე დავითის ძე, მეუღლე მისი მართა. მათი ვაჟიშვილი ქიონი; გიორგი ბეჟანის ძე. მისი ძმა ალექსი. დედა მარინა; გუბერნიის მდივანი ივანე ივანეს ძე. მისი ვაჟიშვილი იოსები. ქალიშვილი სარა *(გურიის თავ. და აზნ. ოჯახები. თბ. 1993, 32-33).*

ასათიანები ხელვაჩაურის რაიონის ს. ორთაბათუმში, ახალშენსა და ბათუმში ცხოვრობენ.

გერმანელი ფაშისტების მიერ წამოწყებულმა მეორე მსოფლიო ომმა დიდი საფრთხე შეუქმნა კაცობრიობას, საბჭოთა კავშირის განადგურებით ვერც ქართველი ხალხი გაიხარებდა. მასაც ასიმილაცია, გაწმენდა ელოდა, რადგან ჰიტლერელთა სისხლიანი – არიელები არ იყვნენ. ქართველი ხალხი ერთსულოვნად ჩაება ბრძოლაში. მარტო აჭარიდან 24 ათასამდე წავიდა ომში. ორთაბათუმიდან (ჩაისუბანი) სამი ძმა ასათიანი – არიფი, ხასანი და ოსმანი. არიფი 1943 წელს დაიღუპა. ხასანი – 1944–ში. ოსმანი დაბრუნდა და სალიბაურის ჩაის ფაბრიკასთან სახლობს. მოლდავეთში მოპოვებული მასალებით მათ შესახებ ჩვენ 1985 წლის 15 იანვარს გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“ გამოვაქვეყნეთ წერილი „ამბავი ძმები

ასათიანებისა". ეს შენი, ჩემი, ყველას ისტორიაა.

ყველაფერი იმ უცნაური წერილით დაიწყო, რომელიც მოლდავეთის რესპუბლიკის დუბოსარის რაიონის ს. დელაკეუდან მოვიდა ჩაისუბანში, ასათიანების უფროსი ძმის, აწგარდაცვლილი დურსუნის სახელზე. მოლდაველი წითელი კვალისმაძიებლები იტყობინებოდნენ, რომ მათი სოფელი ფაშისტებისგან გაათავისუფლა საბჭოთა არმიის იმ ბატალიონმა, რომლის პოლიტხელი იყო ლეიტენანტი ხასან ასათიანი. იგი ძმათა სასაფლაოზე განისვენებსო.

ამ ცნობამ ელვასავით მოირბინა სოფელი, ცრემლებს სიხარული და მოგონებანი, მოლდავეთში გამგზავრების სამზადისი ცვლიდა. ისტორია არასოდეს დაივიწყებს საბჭოთა ადამიანების უმაგალითო თავდადებას დიდ სამამულო ომში. სამშობლოს ყოველი გოჯი მიწისთვის სხვებთან ერთად მუხანათ მტერს ვაჟკაცურად ეკვეთნენ საქართველოს შვილები. მათ შორის იყვნენ ორთაბათუმლები, რომელთაგან ორასმა თავი შესწირა ჩვენს ბედნიერებას.

ფრონტს მიაშურეს ობოლმა ძმებმა – ხასან, არიფ და ოსმან ასათიანებმაც. ოსმანმა პირველი საბრძოლო ნათლობა ჩრდილოეთ კავკასიაში მიიღო. გააფთრებული ბრძოლები ტუაფსესთან და ყუბანის გადალახვისას ელოდა. აქ ჰიტლერელებმა მოიშველიეს ტანკები და თვითმფრინავები, ახალი ცოცხალი ძალა. მაგრამ ვერა და ვერ გატეხეს ერთგული დამცველების ნებისყოფა.

შემდეგ ის ნაწილი, რომელშიც ოსმანი იბრძოდა, ბელორუსიაში გადაისროლეს. აქაც არაერთ სისხლისმღვრელ შეტაკებასა და იერიშში მიიღო მონაწილეობა. ვინ მოთვლის, რამდენჯერ აფეთქდა მის გვერდით ჭურვი, ბევრჯერ პირისპირ შეხვდა მტერს, მაგრამ მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა მაშინ, როდესაც სოფლებსა და ქალაქებს ათავისუფლებდნენ, მოხუცები და ბავშვები გულში რომ იკრავდნენ ოსმანს, როგორც განმათავისუფლებელს.

მინსკთან ოსმანი შეეცადა, მოენახა თავისი ძმა არიფი, რომელიც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1939 წელს გაიწვიეს წითელი არმიის რიგებში: „კარგად მახსოვს მისი ბოლო წერილი. ის 1941 წლის 18 ივნისს მივიღეთ სწორედ მინსკიდან. იმთავითვე ვიგრძენით შეშფოთება იმ რთული საერთაშორისო ვითარების გამო, რომელსაც ფაშისტური გერმანია გვიქმნიდა, – დასძენს ო. ასათიანი. – მაგრამ ძმას ვერ მივაგენი."

ოსმანმა ბრძოლებით გაიარა პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია და ჰიტლერელთა ბუნაგის – ბერლინის შტურმშიც გამოიჩინა თავი. პირველი საბრძოლო ჯილდო – წითელი ვარსკვლავის ორდენი ბელორუსიაში დაიმსახურა. დაჯილდოებულია აგრეთვე მედლებით „პრაღის გათავისუფლებისათვის" და სხვ.

ომგადახდილმა ვაჟკაცმა არაერთი ჯილდო და მადლობა მშვიდობიან შრომაშიც დაიმსახურა. პატივს სცემდნენ ყველგან, სადაც კი უმუშავია: სალიბაურის მეურნეობაში, ჩაის ფაბრიკასა და სათბურში. კეთილსინდისიერი, უწყინარი კაცი, ოთხი შვილის მამაა. ჰყავს 12 შვილიშვილი და 7 შვილთაშვილი. ოსმანი მათ

შორის იყო. ერეკლე ღაბა ხელოსნაურში სახალხო დღესასწაულის "კოლხობის" დროს ახალშეუღლებულებს სამაგალითო ოჯახის შექმნა და ბედნიერება უსურვა.

მაგრამ მის ძმებს ხასანს და არიფს არ დასცალდათ შინ დაბრუნება, დაოჯახება და ქვეყნის საკეთილდღეოდ შრომა. ისინი დაიღუპნენ. არც ოსმანმა და არც ოჯახმა არ იცოდა, სად დაიღუპა ხასანი. მხოლოდ ის იცოდნენ, რომ სასწრაფოდ დაამთავრებინეს პოლიტმუშაკთა კურსები და ფრონტის წინა ხაზზე გაგზავნეს. მტერს მუსრავდა როსტოვის მისადგომებთან, უკრაინაში. შემდეგ სამხედრო-პოლიტიკური სასწავლებელში მიავლინეს, მერე კი ასეულის პოლიტხელად დანიშნეს. ხ. ასათიანის ბოლო წერილი ოჯახში 1944 წელს, განაფხულზე მიიღეს. იუწყებოდა, რომ დააწინაურეს, იბრძვიან მოლდავეთის მიწაზე, შეტევით აიღეს მელიტოპოლი.

არიფი სამედიცინო ინსტიტუტში სასწავლებლად მიემგზავრებოდა, საბუთებიც მოამზადა, მაგრამ არც მას დასცალდა სიცოცხლე, ჩვენს ბედნიერებას შეეწირა.

გმირები არ კვდებიან, მათ ხალხი არასოდეს ივიწყებს. *(ი. ბექირიშვილი)*

**ასათიანი მიხეილ იოსების ძე** (? – 1879), ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი, ამ სასწავლებლის ზედამხედველად არჩეულ იქნა 1874 წლის ოქტომბერში.

მ. ასათიანს ეკუთვნის: „კანონების მღვდელთათვის საცოდნელად საჭირონი გამოკრებულნი ქუთ. სას. სასწ. ზედამხედველის მ. ასათიანისაგან", ქუთაისი, 1876 *(კარიჭაშვილი, კატალოგი, გვ. 286, № 11).*

წერდა კორესპონდენციებს გაზეთებში X-ის ფსევდონიმით. „დროების" 1876 წლის №17-სა და №84-ში დაბეჭდილია ასათიანის წერილი „ბურსაკების" ცუდი კვების შესახებ.

მ. ასათიანს ეკუთვნის რამდენიმე პოემა და ლექსი, გამოქვეყნებული მისი სიკვდილის შემდეგ ჟურნალ „იმედის" 1881 წლის I, II, III, IV და V ნომრებში:

1. „შიკრიკი" (პოემა) – „იმედი", 1881, I, დაწერის თარიღი: 1879, 26.02; 2. „მტკვრის ბაასი რიონთან (პოემა, იქვე, დაწერის თარიღი 7.12.1879; 3. „ოსეფას ანდერძი" (ლექსი), იქვე; 4. „შიკრიკი" – „იმედი" 1881, II, 48–58, თარიღი: 1879, 5.03. 5. „ახალ მოდის ექიმი (რუსულიდან ლექსად)" „იმედი", 1881, III–IV, 126–129, დაწერის თარიღი: 10.10.1879; 6. „მე და ონისიმე" (მოთხრობა) – „იმედი", 1881, V, 3–28; 7. „განაფხული" (ლექსი) – „იმედი", 1881, V, 50–52.

ამ ნაწარმოებთა გამომცემელი ი. იმედაშვილი წერს:

„განსვ. მიხ. იოს. ასათიანს, რომელსაც ეკუთვნის ჩვენი ჟურნალის დაარსების აზრი, შემდეგ იმის მოკვლისა, დარჩა ბევრი ხელთნაწერი თხზულებები სულ ლექსად სულ ისე. ეს იმისი თხზულებები იმისმა მეუღლემ ქვრივმა ეკატერინე ასათიანმა გადმოგვცა ჩვენ და იბეჭდებიან ჩვენ ჟურნალში. ამ I-ს იბეჭდება შიკრიკი პოემა და ოსეფას ანდერძი."

„ობზორი" წერს – მალე ქართულად გამოვაო ახლად მოკლულის მიხ.

ასათიანის პოემა „მტკვარი და რიონი" (დროება, 1880, 8.2).

ასათიანის მოკვლის თაობაზე პრესაში გამოქვეყნდა წერილები.

„ობზორი"-ის №№ 381, 388, 390, 393, 395, 396, 405, 407, 418, 425, 429, 430-ში მოთავსებულია სხვადასხვა პირთა წერილები ამ საკითხზე. „დროების" 1880 წ. № 14-ში დაბეჭდილია წერილი „ასათიანის მოკვლაზედ".

ასათიანი, ლუკა. ქალაქ ბათუმს 1888 წლის 28 აპრილს მიეცა თვითმმართველობის სტატუსი და 1888 წლის 25 აგვისტოსა და 2 სექტემბერს ჩატარდა ქალაქის სათათბიროს (საბჭოს) ხმოსანთა პირველი არჩევნები.

ქალაქის სათათბიროს მეორე არჩევნები უნდა გამართულიყო 1892 წელს, მაგრამ იგი გადატანილი იქნა 1894 წლისათვის. აირჩიეს 35 ხმოსანი და ცხრა კანდიდატი. ქართველ ხმოსანთა რაოდენობა მეორე არჩევნებში საგრძნობლად გაიზარდა.

1895 წლის 25 იანვარს მოეწყო ქალაქის გამგეობის თანამდებობის პირთა არჩევნები. ქალაქის თავად აირჩიეს ლუკა ასათიანი, გამგეობის წევრებად - გრ. ვოლსკი და ი. ივანოვი, ქალაქის გამგეობის მდივნად - ი. მესხი.

ლუკა ასათიანი დაიბადა 1826 წელს ქუთაისის გუბერნიის სოფელ ქვიტირში. მამამისი - ნიკო, ღარიბი აზნაური იყო. ლ. ასათიანმა ქუთაისის ოთხკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მამის ადრე გარდაცვალების გამო, ვერ განაგრძო სწავლა და დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყო. ჯერ ბაქოს ოლქის სასამართლოს მწერლად იმუშავა, საიდანაც გადაიყვანეს ქუთაისის ოლქის სასამართლოს წევრად. რამდენიმე წლის შემდეგ იგი საცხოვრებლად გადავიდა ქალაქ ერევანში, სადაც დაიწყო მუშაობა გუბერნიის სამმართველოში.

აქ მან დაიმკვიდრა პატიოსანი, მუყაითი მუშაკის სახელი, რამაც განაპირობა მისი სამსახურებრივი დაწინაურება და დანიშნეს ქუთაისის ოლქის სასამართლოს წევრად, საიდანაც აირჩიეს ქუთაისის ქალაქის თავად.

ამ თანამდებობაზე მან იმუშავა 12 წელი. აქედან, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა შალიკაშვილმა, რომელიც ლუკა ასათიანს დიდ პატივს სცემდა, მიიწვია იგი სამუშაოდ მრჩევლად საგუბერნიო სამმართველოში. ლუკა ამავე დროს ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის სამეთვალყურეო კომიტეტის თავმჯდომარე გახლდათ. ქუთაისის ქალაქის თავად ლ. ასათიანის არჩევასთან დაკავშირებით, გ. წერეთელმა გაზეთ „დროებაში" იგი ასე დაახასიათა: „ლუკა ასათიანს არ მიუღია არც მაღალი სწავლა და არც მაღალი პრინციპები, მაგრამ იმისათვის მიუცია ბუნებას კარგი გონება და კეთილი ზნე. ამ ორივე თვისებით აღჭურვილს ლ. ასათიანს უშრომია მუდამ ცხოვრებაში კაცური სახელისათვის. ჩვენ ვიცით, რომ ლ. ასათიანი მშრომელი კაცია, ჩვენ ვიცით, რომ ის ტაქტის კაცია. ბოლოს ჩვენ ესეც ვიცით, რომ ამ ორი ღირსებით აღჭურვილი მალე გამოაბრუნებს დახლართულ ქუთაისის საქალაქო გამგეობის საქმეებს და ეს ჩვენ წინათვე გვეხარია". და მართლაც, ლ. ასათიანმა ქუთაისის ქალაქის თავად მუშაობის

პერიოდში ბევრი კარგი საქმე გააკეთა. რამაც განაპირობა მისი სამჯერ არჩევა ამ თანამდებობაზე. ლუკა იყო თავისი საქმის დიდი მცოდნე, კარგი ორატორი, ლინჯი, მამაკაცისათვის დამახასიათებელი ყველა დადებითი თვისებით შემკული. ყოველივე ეს განაპირობებდა მისდამი დიდ პატივისცემას საზოგადოების ყველა ფენაში. მას დიდი გავლენა ჰქონდა რუსეთის მეფის კარზე, რასაც მოხერხებულად იყენებდა დასახული სამსახურებრივი მიზნების მისაღწევად. ის ნაკლებს ლაპარაკობდა და ბევრს აკეთებდა, რასაც ხელს უწყობდა მისი დიდი პროფესიონალიზმი. სწორედ ლუკას მიესადაგებოდა ბრძნული გამონათქვამი: „პური მეპურემ უნდა გამოაცხოს“. სწორედ ამ თვისებებმა განაპირობა, დიდი ბრძოლის შემდეგ, მისი არჩევა ბათუმის ქალაქის თავად.

ბათუმში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენლებს სურდათ ქალაქის თავად თავიანთი კაცი გასულიყო. განსაკუთრებით პრეტენზიას აცხადებდნენ რუსები და სომხები. ქალაქის თავის მოვალეობის შემსრულებელი კაიანდრა დარწმუნებული იყო, რომ არჩევნები მის სასარგებლოდ დამთავრდებოდა. სომხებმა კი ქალაქის თავის კანდიდატად გენერალი ბებუთოვი ჩამოიყვანეს.

საჭირო შეიქმნა ქართული ფრაქციის მუშაობის გააქტიურება, რათა თვითმმართველობაში რაც შეიძლება მეტი ქართული ორიენტაციის პიროვნება მოხვედრილიყო. არჩევნების შედეგი მართლაც რომ სახარბიელო აღმოჩნდა. სათათბიროს ხმოსანთა უმრავლესობა ქართველობა გახლდათ. ასევე გარკვეული მუშაობის შემდეგ, ქართველთა მხარეზე დადგა ბერძნული ეროვნების ხუთი ხმოსანი, რომელთა გაყვანაში ქართველებს დიდი წვლილი მიუძღოდათ. ამან განაპირობა ბერძენ ამომრჩეველთა თანადგომაც.

არჩევნებს ესწრებოდა სპეციალურად ამ დღისათვის თბილისიდან ჩამოსული ილია ჭავჭავაძე, რომელიც საარჩევნო ყუთთან ახლოს სავარძელში იჯდა. გამარჯვებამ იგი დიდად გაახარა. ამის შემდგომ აუცილებლობამ მოიტანა, რომ ქართული ქალაქის თავად ქართველი არჩეულიყო.

ასეთ პიროვნებად დასახელდა ლუკა ასათიანი. მას მიართვეს ბათუმის საზოგადოების წერილობითი თხოვნა, რომელსაც ხელს აწერდა 21 კაცი. თავდაპირველად ლუკამ უარი განაცხადა შეთავაზებულ თანამდებობაზე. მიზეზად კი დაასახელა ასაკი და გადაღლილობა. დიდი თხოვნის შემდეგ იგი დათანხმდა. მან აღნიშნა: „თუ მაგვარ საიმედო პირად ვარ მიჩნეული, მადლობის მეტი რა მეთქმის და სულითა და გულით ვემსახურები, რამდენადაც ჩემი ძალღონე შემაძლებინებს“ *(დავით კლდიაშვილი. „ჩემი ცხოვრების გზაზე“)*. და მართლაც, ლუკა ასათიანმა ეს აღთქმა ბრწყინვალედ შეასრულა და ბათუმელთა დიდი სიყვარული დაიმსახურა, რაც დღესაც შეუცვლელად შენარჩუნებული გვაქვს. ლუკას ბათუმში საცხოვრებელი სახლი უყიდეს, როცა ის ცენზიანი ხმოსანი გახდა.

დაძაბული ორთაბრძოლის შემდეგ, ლუკა ასათიანმა კენჭისყრაში გაიმარჯვა. საქალაქო საქმეების დიდი მცოდნე, პირველი დღიდანვე განახლებული

ენერგიით შეუდგა ქალაქის განაშენიანებისა და კეთილმოწყობის საქმეს. მისი წარმატებები აღიზიანებდა მტრებს, რაც ხშირად გამოსჭვიოდა ბათუმში გამომავალ გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ ფურცლებზე. მაგრამ ლუკა იმდენად იყო ჩაფლული მუშაობაში, რომ ჰალმის მტრულ გამოხდომებს ვერც კი ამჩნევდა. ჰალმს შავბნელ საქმეებში გვერდით ედგა როტშილდის ქარხნის გამგე ზოლოლოვსკი, რომელიც ქართველობას მისდამი რწმუნებულ ქარხანაში ახლოსაც არ იკარებდა. არჩევნებში ქართველების გამარჯვებამ მას ძილი დაუფრთხო და არ იცოდა, რა საწინააღმდეგო ღონისძიებანი გაეტარებინა მათ მიმართ. რა თქმა უნდა, ასეთი შოვინისტი ელემენტები მთავრობის მოხელეების დიდი მხარდაჭერით სარგებლობდნენ. მაგრამ ლუკასთანა მებრძოლები თანდათანობით, გაკეთებული საქმეების პარალელურად, ძლიერდებოდნენ და საზოგადოებაში დიდ სიყვარულსა და ავტორიტეტს იხვეჭდნენ.

1898 წლისათვის დაინიშნა ახალი არჩევნები. განვლილ სამ წელიწადში მმართველობამ დიდი უნარი გამოიჩინა. ქალაქში ბევრი რამ გაკეთდა. ქართველმა ხმოსნებმა დაამტკიცეს, რომ ისინი მზად არიან, დიდი საქმეების საკეთებლად. მიუხედავად ამისა, მდგომარეობა საშიში იყო, რადგანაც რუსობამ და სომხობამ გადაწყვიტეს ახალ არჩევნებში რევანში აეღოთ. დამარცხების შემთხვევაში, ქართველობა, როგორც წინათ, დაჩაგრულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. ამიტომაც ქართველთა მოწინავე ნაწილი გაერთიანდა. შეიგნო, რომ არჩევნებში დამარცხება სიკვდილის ტოლფასი იყო, რადგანაც ქალაქსა და ხალხს უკეთ ვერავინ მოემსახურებოდა, ვიდრე სათავეში მოსული ქართველი მოღვაწენი. გაჩაღდა დიდი მუშაობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ ლუკა ასათიანი, გრიგოლ ვოლსკი, ივანე მესხი, ზია აბაშიძე, დავით კლდიაშვილი და სხვები.

არჩევნები მოეწყო 1898 წლის 18 ოქტომბერს და 15 ნოემბერს. არჩეული იქნა 41 ხმოსანი, რომელთა შორის უმეტესობას ქართველობა შეადგენდა. მათ შორის ხმოსნებად არჩეულ იქნენ ზია და ფეზლი აბაშიძეები (მემედ აბაშიძის ბიძაშვილები).

1889 წლის 7 იანვარს მოეწყო ქალაქის თავისა და გამგეობის წევრების არჩევნები. ქალაქის თავად კვლავ აირჩიეს ლუკა ასათიანი, გამგეობის წევრად – გრიგოლ ვოლსკი, მდივნად კი – ივანე მესხი.

ხელმეორედ არჩეულმა მხცოვანმა მოღვაწემ დამსწრეთ მადლობა გადაუხადა შემდეგი სიტყვებით: „ჩემს მოხუცებულობას მხოლოდ შრომა დაამშვენებს. შრომა სინდისიერი და სასარგებლო და გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რაც ძალა და ღონე მაქვს, გიძღვნათ ასეთი შრომა.“

ლუკა ასათიანმა თავის ირგვლივ შემოიკრიბა ყველა პროგრესული პიროვნება ეროვნების მიუხედავად. მათ შორის აღსანიშნავია *ხუსეინ ფერაძე, სულეიმან და ახმედ ბეჟანიძეები, გულო-აღა კაიკაციშვილი, დედე-აღა ნიჟარაძე, ხუსეინ და იბრაიმ აბაშიძეები, გრიგოლ ელიავა, მიხეილ ნაკაშიძე, სარდიონ ქუთათელაძე, ექვთიმე ბერძენიშვილი, კარლო ჩხეიძე, ივანე მესხი, გრიგოლ ვოლსკი, დავით*

კლდიაშვილი და სხვები, რომლებიც ჩართული იყვნენ ყველა იმ დიდ საქმეში, რამაც განაპირობა უმოკლესი ექვსი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი საქმეების განხორციელება ქალაქში. აღსანიშნავია ისეთი სასიცოცხლო დანიშნულების სამუშაოების შესრულება, როგორიცაა: ქალაქის მიმდებარე ტერიტორიებზე ჭაობის ამოშრობა, კაპიტალურად გაყვანილი სანიაღვრო კანალიზაციის არხები, მათ შორის ჟილინსკისა და ივანოვის არხები (ჟილინსკი იყო მშენებელი ინჟინერი, გენერალი), რომლებმაც მთელი ქალაქი გადაკვეთეს. მათ შეუერთდა სხვა, მოკლე, მაგრამ ფრიად მნიშვნელოვანი არხებიც. პარალელურად წარმოებდა ქალაქის დადაბლებული ადგილების ხრეშითა და გრუნტით ამოვსება. ყოველივე ამან განაპირობა ბათუმის ჭაობიანი ადგილების ლიკვიდაცია და მეტად საშიში ავადმყოფობის – მალარიის მოსპობა. ამ სამუშაოების შესრულების შემდეგ შესაძლებელი გახდა, გაყვანილიყო ახალი ქუჩები და მოასფალტებულიყო მათი სავალი ნაწილი. ქალაქში დამონტაჟდა მცირე მოცულობის ელექტროსადგური, რამაც განაპირობა ნავსადგურისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ელექტროგანათება.

ლუკა ასათიანის პირადი ინიციატივით დაიწყო ქალაქის საბჭოს შენობის აგება, რომელიც დღესაც ამშვენებს ქალაქს.

ქალაქის მცხოვრებთა რიცხვის სწრაფმა ზრდამ მოითხოვა, სასწრაფოდ აშენებულიყო 120-საწოლიანი საავადმყოფო. ამასთან დაკავშირებით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც სათავეში ჩაუყენეს სათათბიროს ხმოსანი ზია აბაშიძე. საავადმყოფოს მშენებლობის დაწყებასა და გახსნაში დიდი როლი შეასრულა ქალაქის მთავარმა ექიმმა გრიგოლ ელიავამ.

ლუკა ასათიანი და გრიგოლ ვოლსკი (გრიგოლი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის განყოფილების თავმჯდომარე) დიდ ყურადღებას უთმობდნენ განათლების აღორძინებას. მათი პირადი ინიციატივით ქალაქში, უმოკლეს ვადაში, ყველა ეროვნებისათვის მშობლიურ ენაზე გაიხსნა დაწყებითი კლასები. ასევე დამთავრდა მშენებლობა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პირველი ქართული სკოლის შენობისა (ახლანდელი № 1 სკოლის ადგილზე), რომლის მშენებლობაში დიდი ღვაწლი მიუძღვის მემედ აბაშიძის მამას – იბრაიმ აბაშიძეს, რომელმაც სკოლას თავისი მიწის ნაკვეთი დაუთმო. ასევე გაიხსნა ორი დაწყებითი სკოლა – ვაჟთა და ქალთა.

ლუკა ასათიანის ბათუმის ქალაქის თავად არჩევამდე, მიუხედავად დიდი მცდელობისა, ვერ მოხერხდა ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების გახსნა. ამ საქმეს ლუკამ სულ მოკლე დროში მოაბა თავი. გიმნაზიების ასაგებად პირველ რიგში საჭირო იყო ფულის შოვნა, რაშიც დიდი როლი ითამაშა მისმა ავტორიტეტმა მეფის კარზე. ამის შემდეგ შეუდგნენ მიწის ნაკვეთის გამოყოფას, რაც გადაწყვიტა ზია აბაშიძემ, რომელმაც ვაჟთა გიმნაზიისათვის (ახლანდელი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი) საკუთარი

მიწის ნაკვეთიდან გამოყო ფართობი და საქმესაც შეუდგნენ. უფრო რთულად წარიმართა ქალთა გიმნაზიის გახსნის საქმე. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისადმი ლუკა ასათიანის არაერთი წერილობითი თხოვნის მიუხედავად პასუხი არ ჩანდა. ბოლოს კი „მზრუნველმა" უხეში წერილობითი პასუხი გამოგზავნა. ეს პასუხი გამოაქვეყნეს გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკში". რამაც დააფრთხო ოლქის მზრუნველი და იძულებული გახდა, თხოვნაზე დადებითი პასუხი მიეცა ლუკასათვის. მშენებლობის ორგანიზაცია და გახსნა გრ. ელსკის მიენდო. ერთ წელიწადში აშენდა გიმნაზიისათვის მშვენიერი შენობა (ახლანდელი №2 ქართული სკოლა). ქალაქში დაარსდა ლომბარდი, აიგო დახურული ბაზრის შენობა, დიდი ყურადღება მიექცა კულტურული ცხოვრების აღორძინებასაც. საფუძველი ჩაეყარა საჯარო ბიბლიოთეკას, გამოცოცხლდა თეატრალური ცხოვრება, ფართო გასაქანი მიეცა სავაჭრო-საყოფაცხოვრებო და საბანკო საქმიანობას. ქალაქის ძველი რაიონი სავაჭრო ცენტრად იქცა. აშენდა რამდენიმე კომფორტაბელური სასტუმრო, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ბათუმის ნავსადგურს, რომელიც ქალაქის სასიცოცხლო არტერიას წარმოადგენდა.

ლუკა ასათიანმა ყველა ჩანაფიქრისა და გეგმის განხორციელება ვერ მოასწრო. მესამე არჩევნებამდე ერთი წლით ადრე, მოულოდნელად გარდაიცვალა. რამაც საზოგადოების დიდი გულისტკივილი გამოიწვია.

ლ. ასათიანის გასვენებას გაზეთი „ცნობის ფურცელი" შემდეგნაირად გამოეხმაურა: „დღეს, ნოემბრის 10-ს, ქალაქის საბჭოს ჰქონდა საგანგებო კრება. თავმჯდომარე ივანოვმა საბჭოს მოახსენა გარდაცვალება ქალაქისთავისა და მოკლე სიტყვით გაახსენა დამსწრეთ, თუ რა სამსახური მიუძღოდა განსვენებულს ბათუმის წინაშე. დასასრულ ივანოვმა საბჭოს წინადადება მისცა, განსვენებული სახელის უკვდავსაყოფად დაწესდეს ორი სტიპენდია ვაჟთა და ქალთა გიმნაზიაში და საქართველო სასწავლებელში – საბჭოს დარბაზში დაიკიდოს პორტრეტი განსვენებული ქალაქის თავისა. ეხლანდელი ბაზრის ქუჩას დაერქვას ასათიანის ქუჩა". მართლაც, მადლიერმა ბათუმელებმა სათანადო პატივი მიაგეს ლ. ასათიანის უკვდავ სახელს. მისი ცხედარი დიდი პატივისცემით გადაასვენეს მშობლიურ ქალაქ ქუთაისში.

პოეტმა ნიკოლოზ დადიანმა ლუკა ასათიანს შემდეგი შინაარსის ლექსი უძღვნა:

*„არ ეზრახვის არცა აზრი, არც მიხვდომა, არცა წერა: /სადაც იყო, ყველგან ღირსად ის ალაგი შეიფერა, /არავინ არ შეარიგა, ვინც სად იცნო გაიძვერა/ თუმც ბევრ „კლასში" არ გასულა, / ცოდნით ბევრი ვერ სჯობს, ვერა! /იტყოდა და ითვისებდა თავისთავად რაც ეფერა, / ასწავლიდა, თავს იწრთნიდა, ცრუ სწავლით არ გაიბერა/ ნიჭით, ჭკუით და სისწორით ბევრი „ხარბი" დაიმტერა, / სჯიდა ღირსად და ღირსად ადგა – მუნ ღრმა კვალი დააწერა".*

*(თეიმურაზ კომახიძე. ბათუმი. 1995. გვ. 89–95).*

ასათიანი ალექსანდრე სამსონის ძე დაიბადა 1889 წლის 10 აპრილს ლეჩხუმში, სოფელ ბარდნალაში. მისი მამა სამსონ ასათიანი ყოფილა სოფლის მეურნე, კარგი ვექილი და საზოგადო მოღვაწე. დედა მარგალიტა იყო გარდაფხაძის ასული. მათ 12 ქალ-ვაჟი ჰყოლიათ. ბავშვობა ალექსანდრეს გაუტარებია ლეჩხუმში – თავის სოფელ ბარდნალაში და ლენტეხში, სვანეთში. იგი აღიზარდა საუკეთესო ქართულ პატრიოტიზმსა და კლასიკურ მაგალითზე.

საშუალო განათლება ალ. ასათიანმა მიიღო ქუთაისის სათავადაზნაურო პროგიმნაზიასა და რეალურ სასწავლებელში. გატაცებული იყო სოციალისტური იდეებით. უმაღლესი განათლების მისაღებად ჯერ შევიდა მოსკოვის კომერციულ ინსტიტუტში, სადაც დაასრულა ეკონომიური განყოფილება და შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. პეტერბურგში სტუდენტობისას ალ. ასათიანმა უარყო სოციალისტური აზროვნება და დაუახლოვდა იმ ქართულ ჯგუფს, რომელმაც საქართველოს გათავისუფლებისათვის ბრძოლის მეთოდები ილია ჭავჭავაძის იდეოლოგიაზე დააფუძნა" (იხ. „ივერია", №7, გვ. 19). ალ. ასათიანი მტკიცედ მიემხრო ეროვნულ მისწრაფებას. დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაარსებაში. მან მთელი სიცოცხლე შესწირა ამ პარტიის იდეოლოგიური საფუძვლების ჩამოყალიბებას და მის ორგანიზაციულ გაფორმებას.

1917 წლის ივნისში თბილისში გამართულ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელ ყრილობაზე ალ. ასათიანის რამდენიმე მოხსენება გაუკეთებია სოციალურ-ეკონომიკური და მიწის საკითხებზე, აგრეთვე იყო თანამომხსენებელი კ. აბხაზის მოხსენებისა – „საქართველოს სიმდიდრენი და მისი დამუშავება". ყრილობის დასასრულ არჩეულ იქნა პარტიის მთავარი კომიტეტი და მის თავმჯდომარედ სპირიდონ კედია წამოაყენეს, ხოლო თავმჯდომარის ამხანაგად (მოადგილედ) – ალექსანდრე ასათიანი. ალ. ასათიანმა თავისი წვლილი შეიტანა კიდევ ზემოწერილებთან შეთანხმებულად, რათა ივანე ჯავახიშვილს თბილისის უნივერსიტეტის არსებობა გაეფორმებინა, სანამ ქართული სახელმწიფო შეიქმნებოდა.

1919 წელს თბილისში გამოიცა ალ. ასათიანის ფრიად სერიოზული მეცნიერული ნაშრომი **„მიწის საკითხი საქართველოში"**, რომელსაც დიდხანს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიური დარგის სტუდენტების დამხმარე სახელმძღვანელოდ იყენებდნენ. ამავე პერიოდში მას სხვა ნაშრომებიც დაუწერია, სახელდობრ, „თვითმმართველის საკითხი საქართველოში" და „მუშათა საკითხი საქართველოში" (*იხ. „ივერია", № 7, გვ. 14*).

ალ. ასათიანი იძულებული გახდა, დაეტოვებინა მშობელი ქვეყანა – იგი ერთხანს სტამბოლში ცხოვრობდა და იქიდან ჰქონდა კავშირი საქართველოსთან. შემდეგ საფრანგეთში გადასახლდა.

– 63 წელი იცოცხლა ალექსანდრე ასათიანმა და იმდენი მოასწრო, რომ სამართლიანად დაიმკვიდრა დიდი ქართველი პოლიტიკური მოღვაწის, მებრძოლი პატრიოტისა და ღრმა მოაზროვნის სახელი.

**ასათიანი ანთეოს ერასტის ძე** [დ. 6 (18) 5.18959 ქუთაისი]. ქართველი ჰიგიენისტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1950), პროფესორი (1950), საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1961). სკკპ წევრი 1921 წლიდან.

1921–22 წლებში იყო გაზ. „კომუნისტის" პასუხისმგებელი მდივანი. 1924–25 წლებში პარტიის ახალციხის სამაზრო კომიტეტის პირველი მდივანი. 1927 წლის საქართველოს ცეკას წევრი. 1935–36 წლებში ამიერკავკასიის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისრის პირველი მოადგილე. 1938 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. 1942–47 წლებში იყო საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო გამომცემლობის დირექტორი. 1944–47 წლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კვების ჰიგიენის კათედრის გამგე. 1947–52 წლებში საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი. 1947–74 წლებში განაგებდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სოციალური ჰიგიენისა და ჯანდაცვის ორგანიზაციის კათედრას. ასათიანი საქართველოს ჰიგიენისტთა საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი (1939) და თავმჯდომარეა (1963–68). 1968 წლიდან საქართველოს მედ. ისტორიკოსთა საზოგადოების თავ-რე. დაამუშავა რაციონალური კვებისა და სამკურნალო პროფილაქტიკურ დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების ზოგიერთი საკითხი.



**ასათიანი გიორგი ირაკლის ძე** (დ. 10.06.1914, ბორზია, ჩიტის ოლქი). ქართველი საბჭოთა დოკუმენტური კინოს რეჟისორი და ოპერატორი, სსრკ სახ. არტისტი (1067). სკკპ წევრი 1940 წლიდან. 1936 წელს დაამთავრა ლენინგრადის კინოინჟინერთა ინსტიტუტი. მუშაობდა კინოკორესპონდენტად ასტრახანის ოლქი. 1943–45 წლებში იყო სამხედრო კინოკორესპონდენტი. მის მიერ ამ წლებში გადაღებული მასალები შევიდა დოკუმენტურ ფილმებში: „ნოვოროსიისკის ალება" (1944), „ჩაპაევის გვარდიული არმია" (1945). მან თავისივე სცენარის მიხედვით დადგა და გადაიღო ფილმები: „მოგზაურობა ნეპალში" (1959), „ნადირობა ჯუნგლებში" (1960), „მსოფლიო ტაშს უკრავს" (1961), „სარისარიულიანი ამერიკა" (1961), „ალჟირის დღიური. მაროკოელთა მიწა", „საჰარა" (სამივე 1962), "რესპუბლიკის დაბადება" (1963), „მეხუთე კონტინენტის გზები", „ურუგვაი" (ორივე 1964), „პარიზი— პარიზი" (1967), „ინკების ქვეყანაში" (1968), „მიუნხენი მეოთხედი საუკუნის წინ" (1969). ასათიანის ფილმებისთვის დამახასიათებელია კადრის ზუსტი კომპოზიცია, კინომასალის ორიგინალური შერჩევა, მხატვრულობა. ამასთან, იგი შესანიშნავი კინოჟურნალისტია. მისი ფილმები საინტერესო და სასარგებლოა შემეცნებითი თვალსაზრისითაც. სხვა ფილმებია: „აყვავებული საქართველო" (1957), „ბრიუსელი" (1958), „მაროკო" (1962), „უძველესი

„კულტურის ქუჩანა" (1963) (ლენინკომკავშირის პრემია, 1964), „შეხვედრა საზღვრისპირას", „ერთი დღე ბუენოს-აირესში" (ორივე 1964), „ესპანეთის ძიებაში" (1973) და სხვ.

**ასათიანი გრამიტონ ყაფლანის ძე** [დ. 6 (19) 6.1895, სოფ. ტყეში, ახლანდელი ცაგერის რ-ნი]. ქართველი გინეკოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1946), პროფესორი (1946), საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1960). 1927 წელს დაამთავრა თსუ-ს სამკურნალო ფაკულტეტი. 1945–48 წლებში განაგებდა დაღესტნის სამედიცინო ინსტიტუტის მეანობა-გინეკოლოგიისა და პათანატომიის კათედრებს. 1953–68 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეანო განყოფილებას. შეისწავლა ენდომეტრიუმის (საშვილოსნოს შინაგანი გარსი) ასაკობრივი ცვლილებანი ფოლიკულური ჰორმონების მოქმედებასთან დაკავშირებით და გონორეული ვაგინიტი. შექმნა ორი გინეკოლოგიური იარაღი.

**ასათიანი გურამ ლევანის ძე** (დ. 12. 8. 1928, თბილისი). ქართველი საბჭოთა ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1955 წლიდან ქართულ და რუსულ პრესაში იბეჭდება მისი კრიტიკული წერილები თანამედროვე ლიტერატურის აქტუალურ საკითხებზე. მასვე ეკუთვნის ნ. ბარათაშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილი მონოგრაფიული გამოკვლევა და გ. ტაბიძის, ტ. ტაბიძის პ. იაშვილის, გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანის, ი. აბაშიძის, გ. რჩეულიშვილის ლიტერატურული პორტრეტები. 1965 წლიდან ხელმძღვანელობს შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მე–19 საუკუნის ქართული ლიტერატურის განყოფილებას. არის მწერალთა კავშირის კრიტიკის საბჭოს წევრი.



**ასათიანი ეთერ სოკრატეს ასული** დაიბადა 1922 წლის 22 აგვისტოს ცაგერის რაიონის სოფელ ტვიშში. მშობლები ასათიანი ალექსანდრა ყაფლანის ასული, ასათიანი სოკრატე თეოფანეს ძე – პედაგოგები, წითელი დროშის ორდენის კავალრები და რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლები იყვნენ. თეოფანე ასათიანი მღვდელმსახური გახლდათ. ბოლშევიკებმა 1921 წელს გააპარსეს, გრძელი წვერი მოგიშვათ. ისტორიულად წმინდა სასულიერო ჩანაწერები და ნივთები დაუწვეს. 17 უნიკალური ხატი გაუნადგურეს. ეთერის დედა ალექსანდრა ყაფლანის ასული ქალთა გიმნაზიის კურსდამთავრებული იყო, მამა – თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული.

მეუღლემ ომარ ჭიჭინაძემ დაამთავრა თბილისის ფიზიკური აღზრდის ინსტიტუტი. მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. შვილები: ჭიჭინაძე ელგუჯა კარდიოლოგიური საავადმყოფოს მიკროქირურგიის კათედრის გამგეა; ჭიჭინაძე დავითი ნეოკეტერინალური დეპარტამენტის თავმჯდომარეა. ჭიჭინაძე ერმილე

საქართველოს მიწის აღრიცხვიანობის გერმანის ოფისის ჯგუფის უფრ ოსი.

შვილიშვილები: ჭიჭინაძე გიორგი დავითის ძე – ექიმი სტომატოლოგი. ჭიჭინაძე რატი ელგუჯას ძე – სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი. ჭიჭინაძე ლადო ელგუჯას ძე – თსუ სტუდენტი. ჭიჭინაძე დათო დავითის ძე – მოსწავლე. ჭიჭინაძე ნინო ერმილეს ასული – მოსწავლე. ჭიჭინაძე მარიამი ერმილეს ასული – მოსწავლე. შვილთაშვილი 4 წლის ჭიჭინაძე სანდრო გიორგის ძე.

80 წელს გადაცილებული ეთერ ასათიანი დღეს მხნედაა და ექიმ-სტომატოლოგად აგრძელებს მუშაობას მეორე სტომატოლოგიურ პოლიკლინიკაში.

როგორც კი გახმაურდა, რომ იბეჭდებოდა წიგნი, რომელშიც სხვა პირებთან ერთად ეთერ ასათიანზეც იქნებოდა საუბარი, რედაქციამ ეთერ ასათიანის მისამართით ცაგერის რაიონის გამგეობისაგან ასეთი შინაარსის წერილი მიიღო:

-ქალბატონო ეთერ! დიდი პატივისცემითა და სიყვარულით გილოცავთ განვლილი ცხოვრების საიუბილეო თარიღს. მაქვს პატივი, ლეჩხუმისა და ლეჩხუმელების სახელით მოგესალმოთ და გისურვოთ ჯანმრთელობა, სულის სიმრთელე და ულევი სიყვარული... თქვენს მიერ განვლილი გზა ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ცხოვრობდეს, შრომობდეს და იღწვოდეს ქართველი ქალბატონი ოჯახის, ერისა და ქვეყნის კეთილდღეობისათვის.

–ხართ უბედნიერესი დედა, რომელმაც ქართველ ერს გაუზარდეთ სამი ვაჟკაცი, რომლებიც არა მარტო თქვენი და თქვენი ძვირფასი ოჯახის, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნის სასახელო პიროვნებები არიან– თქვენ ბრძანდებით ურთგულესი მეუღლე და მეგობარი აწგარდაცვლილი, გამოჩენილი პიროვნების, რესპუბლიკის დამსახურებული მწერთნელის, ამაგდარი პედაგოგის ბატონ ომარ ჭიჭინაძისა. – თქვენს წინაშე ქედს იხრის ტვიშის თემი და სრულიად ლეჩხუმის მოსახლეობა, თქვენი, ჩვენი და რაც უპირველესია, ლადო ასათიანის სამშობლო.

მზად ვართ, თქვენი საიუბილეო საღამო გაემართოთ თქვენს მშობლიურ კუთხეში, მოგეფეროთ და დაგაფასოთ ღირსეულად."



ასათიანი ვაჟა გერონტის ძე დაიბადა 1939 წლის 1 აგვისტოს ცაგერის რაიონის სოფ. მახაშში.

მამა – გერონტი პორფილეს ძე ასათიანი იყო მოსამსახურე, დედა – ნინა ალექსანდრეს ასული ახვლედიანი – დიასახლისი. სკოლისა და თბილისის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის სარეჟისორო ფაკულტეტის დამთავრებისთანავე (1864 წ.) ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საღამოს სწავლების განყოფილებაზე, რომლის დამთავრების შემდეგაც მიიღო იურისტის კვალიფიკაცია. სწავლასთან ერთად მუშაობდა სხვადასხვა ადგილებში, ხოლო 1966 წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს შ/ს სამინისტროს სისტემაში, სადაც განვლო გზა უბნის ინსპექტორიდან პოლიციის უფროსის თანამდებობამდე, უმცროსი ლეიტენანტიდან – პოლიციის პოლკოვნიკის წოდებამდე. 1998 წელს

გავიდა თადარიგში. იმ დღიდან მუშაობს გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობაში, ჯერ აპარატის უფროსად, ხოლო ამჟამად საიდუმლო სამსახურის უფროსად. ჰყავს მეუღლე **მანანა /მარიამი/ ნიკოლოზის ასული გოგიაშვილი,** რომელიც მუშაობს თბილისის №1 ბავშვთა სახლში სასწავლო ნაწილის თანამდებობაზე.

შვილები: **ნინო, ეკა და გიორგი.** ყოველი მათგანი დაოჯახებულია. გიორგიმ მამის გზა განაგრძო და მუშაობს გლდანი-ნაძალადევის შ/ს სამმართველოს III განყოფილებაში სექტორის უფროსად.

ეკა ასათიანს ორგანოში მუშაობის პერიოდში მიღებული აქვს მრავალი მადლობა, მედლები და სიგელები.

**ასათიანი ვლადიმერ სამსონის ძე** (10.9.1901 – 9.3.1972). ქართველი ბიოქიმიკოსი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1931), საქართველოს სსრ მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე (1955), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1960).

1923 წელს დაამთავრა პერუჯის (იტალია) სამეფო უმაღლესი ექსპერიმენტული აგრო-ქიმიის ინსტიტუტი.

1923–26 წლებში მუშაობდა პარიზის, სტრასბურგის, შარლოტენბურგის უნივერსიტეტებში. 1926 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ორგანული და ფიზიოლოგიური ქიმიის კათედრაზეა. 1948 წლიდან თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ორგანული და სასამართლო ქიმიის კათედრის გამგეა. 1931–33 წლებში ანასეულის ჩაის მეურნეობის სრულიად საკავშირო სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის დაარსების ერთ-ერთი ორგანიზატორი და დირექტორის მოადგილე. 1937–39 წლებში ტუბერკულოზის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი. 1964 წლიდან – საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის დირექტორი.

ვლადიმერ ასათიანი იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიოქიმიის საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი და თავმჯდომარე, საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს ფარმაკოლოგიის კომიტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფერმენტების კომისიის თავმჯდომარე, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიისა და დიდი სამედიცინო ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი.



**ასათიანი თინათინ ლევანის ასული** (დ. 123.1918, თბილისი), ქართველი ფიზიკოსი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1970). დაამთავრა თსუ. 1944 წლიდან მუშაობს სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ერევნის ფიზიკის ინსტიტუტში (ამჟამად ატომური ენერგიის სახელმწიფო კომიტეტის ერევნის ფიზიკის ინსტიტუტი). კოსმოსური გამოსხივების ფართო ატმ. ღვარების გამოკვლევისას მან პირველმა გამოიყენა ატმ. ღვარის ენერგიის გაზომვის ახალი მეთოდი.

1959 წელს იწყებს კოსმოსური მიონების პოლარიზაციის ხარისხის ენერგიაზე დამოკიდებულების შესწავლას, ხოლო 1953 წლიდან მონაწილეობს დამუხტულ ნაწილაკთა კვლევის ახალი მეთოდიკის დამუშავებაში – განივრღვრული ნაპერწკლოვანი კამერების შექმნაში (ლენინური პრემია, 1970). ამ სამუშაოს შედეგად გაირკვა, რომ მაგნიტურ ველში განივრღვრული კამერის მოთავსებისას ნაპერწკალი შეიძლება განვითარდეს დამუხტულ ნაწილაკთა წინასწარ მოცემული წრიული ტრაექტორიის გასწვრივ. ამან განაპირობა კამერების ფართო გამოყენება დამუხტული ნაწილაკების იმპულსის გასაზომ ხელსაწყოებად.



**ასათიანი ლადო (ვლადიმერ) მელქისედეკის ძე** 14.171917, ქუთაისი – 2376. 1943, თბილისი). ქართველი პოეტი. დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი (1938). პირველი ლექსი („ოებერვლის დილა") გამოაქვეყნა 1936 წელს ქუთაისში, გაზეთ „სტალინელში". 1938 წლის საუკეთესო ლექსებში („ლხინი კახელებთან", „ფშაური ბალადა" და სხვ.) უკვე თვალსაჩინოდ გამოვლინდა მისი პოეზიის თავისებურება, რომელიც ორგანულად იყო დაკავშირებული ხალხური ზეპირსიტყვიერების სისადავესა და უშუალობასთან და მე–19 საუკუნის ქართული კლასიკური ლირიკის ტრადიციებთან. ასათიანის პოეზიის არსებითი თვისებაა მაჟორული ხმოვანება და ეროვნულ–პატრიოტული განწყობილება. ეს განწყობილება ბატონობს მის პატრიოტულ ლირიკაშიც („სალაღობო", „კრწანისის ყაყაჩოები", „ციხის სიზმარი", 1940; „ცხრა ძმა ხერხეულიძე", 1942 და სხვ.), სატრფიალო–ინტიმურ ლექსებშიც („ალბომიდან", 1939; „გზაში", „ა.ე.", 1940 და სხვ.), ძველი საქართველოს ყოფისა თუ პოეტის ბავშვობის ამსახველ კოლორიტულ სურათებშიც („ნადირობის შემდეგ", 1940; „გულბაათ ჭავჭავაძე", 1942; „ბარდნალა", 1940; „სარწყული", 1941 და სხვ.), ფიროსმანისადმი მიძღვნილ თავისებურ ციკლშიც („თეთრი უსათაური", 1939; „ფიროსმანის დუქანი", 1940 და სხვ.). ნაადრევი სიკვდილის წინათგრძნობით აღძრული მწუხარე ფიქრები („ანდერძი", 1940; „სასაფლაო", 1942 და სხვ.) დაძლეულია სიცოცხლის შეუპოვარი რწმენით, რომლის საფუძველი მამულის სიყვარულია. საქართველოს ისტორიის მძაფრი პერიპეტიები ასათიანის პოემებსა („ასპინძა", „ბასიანის ბრძოლა", 1942) და ლექსებში განუყოფლად ერწყმის თანამედროვეობის ცხოველ განცდას. ასათიანის პოეზიას განსაკუთრებულ ელფერს სძენს ფრაზის სისადავე, სიტყვის მუსიკალობა, აზრის აფორისტული სიზუსტე და ტევადობა. წრფელი არტისტიზმი. ასათიანმა გარკვეული ზეგავლენა მოახდინა მისი თანატოლებისა და მომდევნო თაობის ზოგიერთი ქართველი პოეტის შემოქმედებაზე. 1940 წლიდან მოყოლებული, მისი ლექსები და პოემები მრავალჯერ გამოიცა ცალკე წიგნებად. თარგმნილია რუსულად (1953).

**ასათიანი ლევან ნიკიფორეს ძე** (12.7.1900, თბილისი – 14.5.1955, იქვე). ქართველი ლიტერატურის მკვლევარი; ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

დაამთავრა თსუ-ს ისტორიის ფაკულტეტი (1925). მუშაობდა ჟურნალ „მნათობის" პასუხისმგებელ მდივნად, შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად. მისი საყურადღებო ნაშრომებია: „ვოლტერიანობა საქართველოში" (1927, 1933), მიძღვნილი მე-18-მე-19 საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე პროგრესულად მოაზროვნე ქართველი მწერლებისადმი; „ძველი საქართველოს პოეტი ქალები" (1936), სადაც გამოქვეყნებული აქვს ქართული მწერლობის მანამდე უცნობი ნაწარმოებებიც; ვრცელი მონოგრაფია „ცხოვრება აკაკი წერეთლისა" (1940, 1956). ასათიანის მრავალი წერილი აშუქებს ქართველი კლასიკოსებისა და საბჭოთა მწერლების შემოქმედებას, აგრეთვე ქართულ-უცხოური ლიტერატურული ურთიერთობის საყურადღებო საკითხებს. მისი რედაქციით გამოცემულია ქართველ კლასიკოსთა თხზულებანი ქართულ, რუსულ, უკრაინულ და სომხურ ენებზე.



**ასათიანი მამია ვასილის ძე** (11.3.1907, ქუთაისი – 5.3.1970, თბილისი), ქართველი საბჭოთა მწერალი. დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ტექნიკუმი. სწავლობდა თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტზე. მუშაობდა ქუთაისში საშუალო სკოლის დირექტორად, განათლების განყოფილების გამგის მოადგილედ, საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარედ და სხვ. ასათიანის პირველი ლექსი დაიბეჭდა 1929 წელს, ნოველათა პირველი კრებული („ხუთი ნოველა") – 1936 წელს. თავის მოთხრობებსა და ნოველებში ასათიანი გვიხატავს თანამედროვეთა საინტერესო სახეებს, მათ შრომას, სამშობლოსთვის თავდადებას, სიკეთისკენ მისწრაფებას, სიყვარულს (კრებულები „მოთხრობები", 1955, 1960, 1967; „მთის ლეგენდები", 1963; „შიშველი ხმალი", 1964; „ხალდეს ყვავილები", 1966; „გელათის ქრონიკები", 1968 და სხვ.). მამია ასათიანი ავტორია მრავალი ნარკვევისა, აგრეთვე მოგონებებისა ქართველ მწერალთა და თეატრალურ მოღვაწეთა შესახებ.

**ასათიანი მიხეილ იოსების ძე** (1849, სოფ. ბაკურციხე, ახლანდელი გურჯაანის რ-ნი, – 19 (31) 12. 1879), ქართველი მწერალი, პუბლიცისტი. სწავლობდა თბილისის სასულიერო სასწავლებელში და სემინარიაში. დაამთავრა ყაზანის სასულიერო აკადემია (1874). მუშაობდა მასწავლებლად ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. მონაწილეობა მიიღო ქართველ ხალხოსანთა ჟურნალის „იმედის" დაარსებაში და მისი პირველი რედაქტორიც უნდა ყოფილიყო, ტრაგიკულად რომ არ დაღუპულიყო. მისი თხზულებები იბეჭდებოდა ჟურნალ „იმედში" (1881 წლიდან). მის ლექსებში, მოთხრობებსა და საჟურნალო ფელეტონებში ასახულია ხალხოსანი ახალგაზრდობის მისწრაფებანი და იდეალები, დაბალი სოციალური ფენების უუფლებობა, აგრეთვე ქართველი ინტელიგენციის მისწრაფება ეროვნული ძალების კონსოლიდაციისკენ („შიკრიკი", „მტკვრის ბაასი რიონთან" და სხვ.). ავტორია, აგრეთვე, ავტობიოგრაფიული მოთხრობისა „მე და ონისიმე".



**ასათიანი მიხეილ მიხეილის ძე** (10.5.1882, თბილისი – 20.1.1938, იქვე). ქართველი ფსიქიატრი და ფსიქოთერაპევტი. მეცნიერება ფსიქიატრიის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. 1907 წელს დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო იმავე უნივერსიტეტის ფსიქიატრიის კათედრაზე. 1911 წელს თავის მასწავლებელთან პროფესორ ვ. სერბსკისთან ერთად დატოვა უნივერსიტეტი განათლების მინისტრის კასოს რეაქციულ მოქმედებათა წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. მუშაობდა მოსკოვის ნევროფსიქიატრიულ სანატორიუმში და რედაქტორობდა ჟურნალ „პსიხოთერაპიას". 1917 წელს აირჩიეს მოსკოვის უნივერსიტეტის ფსიქიატრიის კათედრის ასისტენტად. 1920–38 წლებში მუშაობდა თსუ-ს სამკურნალო ფაკულტეტზე. 1930 წლიდან საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფსიქიატრიის კათედრის გამგე. ერთდროულად, 1925 წლიდან გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა მისივე თაოსნობით დაარსებულ ფსიქიატრიის ინსტიტუტს. აღსანიშნავია მისი გამოკვლევები ფსიქოლოგიურ აშლილობათა ფიზიოლოგიური მექანიზმების დასადგენად. მან ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა ფსიქიატრიაში მოძღვრება პირობითი რეფლექსების შესახებ. მასვე ეკუთვნის ფსიქოთერაპიის ორიგინალური ე.წ. რეპროდუქციულ განცდათა მეთოდი (*იხ. ქსე. ტ. 1. გვ. 621-622*).

**ასათიანი არჩილ**, სამედიცინო ფიზიოლოგი. მედიცინის მეცნ. დოქტორი. თსსუ-ს ნორმალური ფიზიოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. დაიბადა 1933 წლის 28 აპრილს. დაამთავრა თსსი-ს სამკურნალო ფაკულტეტი (951–57). იყო თსსს-ის ნორმალური ფიზიოლოგიის კათედრის ასპირანტი (1957-60), ასისტენტი (1961–65), დოცენტი (1965–72), პროფესორი (1972-87). 1987 წლიდან ამავე კათედრის გამგეა. 1963 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „თავის ტვინის ღეროს როლი კუჭის სეკრეციული მოქმედების რეგულაციაში". 1972 წელს სადოქტორო დისერტაცია „კვებითი მოქმედების ნეირო-ჰუმორული მექანიზმები". ავტორია 80 სამეცნიერო ნაშრომისა, კვებითი მოქმედების რეგულაციის პრობლემებზე. მათ შორისაა ერთი მონოგრაფია „კვებითი მოქმედების ნეირო-ჰუმორული მექანიზმები" და სახელმძღვანელო „ბიოლოგიური ფიზიკა" (1992). არის საქართველოს ფიზიოლოგთა კავშირის წევრი.

**ასათიანი გიორგი**, ქირურგი. მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, კათედრის ასისტენტი. დაიბადა 1965 წლის 11 სექტემბერს თბილისში. დაამთავრა თსსი-ს სამკურნალო ფაკულტეტი (1982–88). იყო თბილისის მე-8 კლინიკური საავადმყოფოს ექიმ-ინტერნი (1988-89), ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმ-ქირურგი. 1991 წლიდან თსსუ-ს პედიატრიული ფაკულტეტის ქირურგიულ სნეულებათა კათედრის ასპირანტი, შემდგომ ასისტენტია. 1994 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „იმუნოფერმენტული ანალიზის მეთოდის ჰელიკობაქტერ

პილორის გამოვლენის მნიშვნელობა კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის პათოლოგიის პირობებში".

**ასათიანი ვიქტორია,** ონკოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, სწავლული მდივანი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. დაიბადა 1933 წლის 1 იანვარს თბილისში. დაამთავრა თსსი-ს სამკურნალო ფაკულტეტი (1951–57). იყო მეცნიერებათა აკადემიის ქირურგიისა და ჰემატოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი (1957-60), ონკოლოგიის ს/კ ინსტიტუტის კიბოს ექსპერიმენტული ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომელი (1960–68), ამავე ინსტიტუტის ექსპერიმენტული ქიმიოთერაპიის ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1968-81). 1981 წლიდან ონკოლოგიური სამეცნიერო ცენტრის სწავლული მდივანია. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის გავლენა გადანერგილი სიმსივნეების ზრდაზე (1961). ავტორია 98 სამეცნიერო ნაშრომისა ექსპერიმენტული ქიმიოთერაპიის საკითხებზე, აქვს 4 საავტორო მოწმობა. დაჯილდოებულია საქართველოს ჯანდაცვის საპატიო სიგელით (1998). არის ონკოლოგცენტრის სამეცნიერო საბჭოს, ონკოლოგთა საზოგადოების, საკოორდინაციო საბჭოს წევრი.

**ასათიანი თენგიზ,** მეან-გინეკოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, ოპერაციული გინეკოლოგიის განყოფილების გამგე. დაიბადა 1946 წლის 11 მაისს თბილისში. დაამთავრა თსსი (1964–70), მოსკოვში, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში – ასპირანტურა (1972–75(. იყო მოსკოვის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ასისტენტი (1975–82). 1982 წლიდან თბილისის სამედიცინო აკადემიის დოცენტია. 1986–96 წლებში იყო საქართველოს მთავარი მეან-გინეკოლოგი. 1976 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „ხანგრძლივი პერიდურალური ანესთეზია სამეანო პრაქტიკაში". ავტორია 50 სამეცნიერო ნაშრომისა, რომლებიც ეხება სამეანო-გინეკოლოგიურ პრობლემებს, ქალის ჯანმრთელობას. გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფიები. მისი ხელმძღვანელობით დაცულია ერთი დისერტაცია. არის საქართველოს მეან-გინეკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, მსოფლიოსა და ევროპის მეან-გინეკოლოგთა ასოციაციის წევრი.



**ასათიანი კახაბერ,** ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანიის განყოფილების ხელმძღვანელი. დაიბადა 1961 წლის 10 თებერვალს, ქუთაისში. დაამთავრა თსსი–ს სამკურნალო ფაკულტეტი (1978–84). კლინიკური ორდინატურა გაიარა ქირურგიის ინსტიტუტში (1984–86): 1986 წლიდან არის ქირურგიის ინსტიტუტის კარდიო-ქირურგიული განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი, 1997 წლიდან ხელმძღვანელობს სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანიის აღრიცხვა-რეგისტრაციის განყოფილებას. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია "აორტოკორონალური შუნტირების

ოპერაციის რისკ-ფაქტორები კორონარული არტერიების მრავლობითი დაზიანების მქონე ავადმყოფებისთვის. ავტორია 4 სამეცნიერო ნაშრომისა საკანდიდატო დისერტაციის პრობლემებზე.

**ასათიანი დიანა,** მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი. ექიმ-თერაპევტი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. დაიბადა 1950 წლის 5 დეკემბერს თბილისში. დაამთავრა თსსი-ს სამკურნალო ფაკულტეტი (1972-77). იყო თბილისის მე-15 პოლიკლინიკის ექიმ-კარდიორევმატოლოგი (1977-78). 1978 წლიდან მუშაობს კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიისა და რეაბილიტაციის ს/კ ინსტიტუტში. საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა 1989 წელს. ავტორია 30 სამეცნიერო ნაშრომისა, რომლებიც ეხება გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიის ფიზიოთერაპიული მეთოდებით მკურნალობას. არის კურორტოლოგთა და ფიზიოთერაპევტთა საზოგადოების, მედ. სოციალური აკადემიის წევრი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ფორტეპიანოს კლასი (1970-75).

**ასათიანი ნატალია,** დიაბეტოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ფუნქციონალური დიაგნოსტიკის განყოფილების გამგე. დაიბადა 1954 წლის 14 სექტემბერს თბილისში. დაამთავრა თსსი-ს სამკურნალო ფაკულტეტი (1971-77). იყო რკინიგზის № 2 პოლიკლინიკის ექიმ-თერაპევტი (1977-79), რკინიგზის საავადმყოფოს „ხელოვნური კუჭქვეშა ჯირკვლის" კაბინეტის გამგე (1980-86), უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1982-87). წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი (1991-97).

1986 წელს კიევში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „ავტომატური სისტემა „ბიოსტატორის" საშუალებით დარეგულირებული ნახშირწყლოვანი ცვლის კორექციის გავლენა შაქრიანი დიაბეტისა და გულის თანმხლები იშემიური დაავადების კლინიკომეტაბოლურ დახასიათებაზე". ავტორია 39 ნაშრომისა, რომლებიც ეხება დიაბეტოლოგიის პრობლემებს.

დასტამბული აქვს მეთოდური რეკომენდაციები: „ბიოსტატორ „ხელოვნური ბეტა-უჯრედის" გამოყენება შაქრიანი დიაბეტისა და გულის იშემიური დაავადების კომბინირებული ფორმების მკურნალობის დროს", 1985; არის პროექტების: „დიაბეტი და ორსულობა", „დიაბეტის სკრინინგი", „ორგანიზაცია და სწავლების მეთოდიკა დიაბეტის სკოლაში", „პრაქტიკოსი ექიმების ცოდნის ამაღლება დიაბეტისა და მისი გართულებების პროფილაქტიკის მიზნით" (ხელმძღვანელი). 1995 წლიდან დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის (ედფ) და 1997 წლიდან დიაბეტის სწავლების შესახებ ევროპის ასოციაციის წევრია.

**ასათიანი აკაკი,** პოლიტიკოსი, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის წევრი, ფრაქცია „ტრადიციონალისტის" თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში, 1953 წლის 22 ოქტომბერს.

მშობლები: ციალა სვანიძე, თორნიკე ასათიანი. მეუღლე – ირინე აბულაძე

(1954). შვილები: თორნიკე (1974), რატი (1989).

დაამთავრა თსუ-ს აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი (1977). იყო სამხატერო-პედაგოგიური სასწავლებლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი (1978-79), საქინფორმის მთარგმნელი (1980-82, 1984-89), კულტურის სამინისტროს სარეპერტუარო კოლეგიის რედაქტორი (1983-84), საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე (1990-91), თავმჯდომარე (1991-92). საქართველოს პარლამენტის წევრი (1992-95). კვლავ საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. მონაწილეობდა საქართველოში პირველი (1918-21 წლების შემდეგ) დემოკრატიული მრავალპარტიული საპარლამენტო არჩევნების დანიშვნასა და ჩატარებაში, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მიღებაში (1991 წლის 9 აპრილი), საქართველოს კონსტიტუციის შემუშავებასა და მიღებაში (1995). გამოქვეყნებული აქვს მოთხრობები ჟურნალ „ცისკარში" (1986, № 4).

**ასათიანი კახი,** (დაიბადა თელავში, 1947 წლის 1 იანვარს – გარდაიცვალა 2002 წელს, თბილისში). იყო ავიაკომპანია „აირზენა – საქართველოს ავიახაზების" ვიცე-პრეზიდენტი.

მშობლები: **ქსენია ასათიანი, შალვა ასათიანი.** მეუღლე – **ლუიზა თავართქილაძე** (1947).

შვილები: **სალომე** (1969), **მაკა** (1973). დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ელექტრომექანიზაციის ფაკულტეტი (1973), მოსკოვის სპორტის აკადემია (1977). იყო თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის წევრი (1965-75), სსრკ ნაკრების წევრი (1963-72), თბილისის „დინამოს" გუნდის უფროსი (1978-83), „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (1984-89), ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის თავმჯდომარე (1990-91), საქართველოს სპორტისა და ტურიზმის მინისტრი (1991-92), სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე (1992-2000). გამოქვეყნებული აქვს ორი მონოგრაფია. მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება.



**ასათიანი ვალერი (ვალერიან) როსტომის ძე** დაიბადა 1950 წლის 15 ნოემბერს ქალაქ ქუთაისში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სპეციალობით – კლასიკური ფილოლოგია. ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ხმელთაშუა ზღვის კულტურების კვლევის ლაბორატორიის გამგე. გამოცემული აქვს წიგნები და სტატიები ქართულ-ბერძნულ-ბიზანტიური კულტურული ურთიერთობის საკითხებზე.

სხვადასხვა დროს მუშაობდა რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებში. იყო საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, სახელმწიფოს მეთაურის მრჩეველი.

მინისტრთა კაბინეტის აპარატის ხელმძღვანელი. 10 წლის მანძილზე (1985–1990, 1995–2000 წ.წ.) – საქართველოს კულტურის მინისტრი. არჩეული იყო პარლამენტის წევრად.

ამჟამად ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას. დაჯილდოებულია ალბერტ შვაიცერის მშვიდობის საერთაშორისო მედლით. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ჰომეროსი ძველ ქართულ მწერლობაში" (1978), სადოქტორო დისერტაცია – „ანტიკური და ბიზანტიური ტრადიციები ძველ ქართულ მწერლობაში" (1991). ავტორია წიგნებისა „ანტიკურობა ძველ ქართულ მწერლობაში" (1987), „ანტიკური და ბიზანტიური ტრადიციები ძველ ქართულ მწერლობაში" (1995), „აკაკი წერეთელი" (1995).

**ასათიანი ვახტანგ თამაზის ძე,** დაიბადა 1949 წლის 23 სექტემბერს ხარაგოულის რაიონის სოფელ ხორითში.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრი. შედიოდა საქართველოს ეროვნული კონგრესის შემადგენლობაში. უმაღლესი განათლება დაამთავრა სტავროპოლის პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-ტექნოლოგის სპეციალობით. მუშაობდა „საქმარაგანმრეწვის" სისტემაში და სხვ.

1992 წელს პარლამენტის წევრად აირჩიეს საკომპენსაციო სიით ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიისაგან.

**ასათიანი ალექსანდრე (სანდრო) გიორგის ძე,** გრაფიკა. წიგნის გაფორმება და ილუსტრაცია, კომპიუტერული გრაფიკა, დიზაინი. დ. 15.09.1972, თბილისი. მშობლები: **დარეჯან გველესიანი, გიორგი ასათიანი;** მეუღლე – **მარიამ მირცხულავა.**

სწავლობდა თსსა-ს გრაფიკის განყოფილებაზე (1991-96). პედაგოგები: დ. ნოდია, ლ. შენგელია-აბაშიძე, გ. წერეთელი, ნ. ზაალიშვილი. სადიპლომო ნამუშევარი – ტ.ს. ელიოტი – წიგნის მაკეტი და ილუსტრირება" (ხელმძღვანელი ლ.შენგელია-აბაშიძე).

გამოფენებში მონაწილეობს 1991 წლიდან. ძირითადი ნამუშევრები: მაკეტი და ილუსტრირება – გ. ტაბიძე „პოეზია", „ძველი ბერძნული მითები", ჯ. ჩელატი „ორი მოსიხრობა"; კომპიუტერული უზრუნველყოფა – „მხიარული საუბრები სექსის, ჰიგიენისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ", რ. მიზილი, „შაშვი" (აგრეთვე წიგნის მაკეტი და ყდის დიზაინი), „შავი ზღვის თევზები"; გამოცემლოდა „დიოგენეს" 999 წლის კალენდარი, პლაკატების სერია, მიძღვნილი ონის სინაგოგას 100 წლისთავისადმი. გამოფენები: „თანამედროვე და ექსპერიმენტული ხელოვნების საღამო" (საქართველოს მწერალთა კავშირი, თბილისი, 1992), „პოეზიის კვირეული" (საჯარო ბიბლიოთეკა, თბილისი, 1994), „რეფლექსია" (ბათუმის პედაგოგიური კოლეჯი, 1995).

**ასათიანი/ლეკვეიშვილი, ასათის ძე/ასათიანი/გიშელი/გრიგოლისძენი.** შდრ: ასათ-I, გრიგოლ I-ის ძე (გრიგოლი დამოუკიდებელი მეფე ალმოსავლეთ

პერიოდისა 11-12 საუკუნეთა მიჯნაზე). ასათ I დამოუკიდებელი მეფე აღმოსავლეთ ჰერეთისა 1117 წლამდე. ასათ II 1126-1196 წ.წ. ერისთავთ-ერისთავი ჰერეთისა და რუსთავისა. ვაზირი-მეჭურჭლეთუხუცესი– *მთავარია გუარიაანთის: ხოლო გვარნი მთავართა მათ ძველთაგანნი ესენი არიან– ასათისძე (ვახუშტი. ქცხ. ტ.IV. გვ. 28)*

ასათისძე ქართველი დიდგვაროვანი ფეოდალი, გრიგოლისძეთა (გიშელთა) გვარის პირველი ცნობილი წარმომადგენელი. XII ს-ში ჰერეთის ერისთაობა მიიღო. XII-XIII ს.ს. ჰერეთის ცნობილი ერისთავები (გრიგოლისძენი) ასათის შთამომავლები იყვნენ *(იხ. გრიგოლისძენი, გიშელები)*. იხ. ასათიანები. „ასათიანი. *ასათი მიხეილი იყო მხედარი, წელსა 1073, და მისი შვილი დასახლდა იმერეთს და მერმე მათი გვარი მიიღო ასათიანად და მუნიდგან იწოდებიან ამ გვარად“ („აღწერა.–139).*

ლეკვეიშვილების გვარის შესახებ ქ-ნი საშა ლეკვეიშვილი, თავიანთი გვარის ისტორიისადმი მიძღვნილ წიგნში *„მშობელ მიწაში გვიდგას ფესვები“* წერს:

„გვარის წარმოშობის გზები და საშუალებანი მეტად მრავალფეროვანია და ამიტომ წერა ძალიან შორს წაგვიყვანს, მითუმეტეს, რომ ჩვენი გვარის – ლეკვეიშვილის წარმოშობა სახეზე გვაქვს, იგი ცხოველის, ამ შემთხვევაში ლეკვისაგან არის წარმოშობილი.

მაისურაძე ლეკვეიშვილის გვარის წარმოშობის შესახებ წერს: *„ლეკვეიშვილი წარმოშობილია საკუთარი სახელის ლეკვა-საგან. ამბროლაურის რაიონში არის გვარი ლეკვაიშვილი: ლეკვაიშვილი კი წარმოშობილია ლეკვის სახელისაგან.“* ასე, რომ სამივე გვარს ძირი ლეკვი აქვს. აქედან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ გვარი ლეკვეიშვილი წარმოშობილია საკუთარი სახელისაგან, რომელიც წარმოადგენს ცხოველის სახელს.

არანაკლებ საინტერესოა რას ამბობენ თვითონ ლეკვეიშვილები გვარის წარმოსავლობაზე. მათი გადმოცემები ძირითადად დაკავშირებული ლეკვთან, მაგრამ თვლიან, რომ ისინი თავდაპირველად ლეკვეიშვილები კი არა, ასათიანები იყვნენ. ეს ვერსია მტკიცედ არის ფესვგადგმული გვარში, სადაც არ უნდა ცხოვრობდნენ ისინი, ერთხმად ამტკიცებენ – ასათიანები ვართო. ვერსიები, როგორც აღვნიშნე, ძირითადად ერთნაირია, განსხვავდება ნიუანსებით. აქ წარმოდგენილია ყველა ის ვერსია, რომელიც ძირითადად დომინირებს გვარში.

ივერი ვარლამის ძე ლეკვეიშვილი იგონებს: „ბაბუაჩემის, ერმილე ეგნატეს ძე ლეკვეიშვილისაგან (1865) გამიგონია, რომ ჩვენი გვარის შტო წარმოშობით ლეჩხუმიდან იყო, ასათიანი.

ერთ-ერთი ასათიანი ჩამოსულა იმერეთში, აქაური ქალი შეურთავს ცოლად. გასჩენია რამდენიმე შვილი, მაგრამ არ შერჩენია. მისულა ეკლესიაში, იქ მღვდელმა უთხრა: მონათლე და შვილი რომ გაგიჩნდება ლეკვია დაარქვითო. მართლაც ასე მოხდა, ბავშვს ლეკვია დაარქვეს. აქედან წარმოიშვა გვარი. იმ

ლეკვიას შთამომავალი იყო ბასილა ლეკვეიშვილი. გადმოცემით ბასილას შთამომავლები არიან თანამედროვე ლეკვეიშვილები."

დიდი ჯიხაიშიდან ლეკვეიშვილები ამბობენ, რომ წამოსულები არიან გურიიდან (ხონის რაიონი) დაახლოებით XIX საუკუნის 60–70-იან წლებში. გადმოცემით იციან, რომ მათი წინაპარი ასათიანი იყო.

ციალა აკაკის ასული ლეკვეიშვილი: „ბაბუასაგან გამიგონია, ჩვენი წინაპარი ასათიანი იყო, ვფიქრობ, რაჭიდანაა ვართ ჩამოსულები."

ავთანდილ კონსტანტინეს ძე ლეკვეიშვილი: „ბაბუაში ჩამოსახლებული იყო ლეჩხუმიდან, სოფელ ლაილაშიდან, რაღაც მიზეზების გამო ასათიანი, რომელსაც შვილი არ ჰყავდა. იგი ხშირად ეხვეწებოდა ღმერთს: ოღონდ შვილი გამიჩინე და თუნდაც ლეკვი იყოსო. სწორედ აქედან წარმოიშვა გვარი ლეკვეიშვილი." ბატონმა ავთანდილმა თავისი გადმოცემის დასადასტურებლად არც თუ დიდი ხნის ამბავიც გაიხსენა: 1954 წელს სამტრედიის რაიონის მშრომელთა დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა მ. ასათიანი, რომელიც თვლიდა, რომ ლეკვეიშვილები ასათიანები იყვნენ წარმოშობით.

საინტერესო ვერსია აქვს თბილისში მცხოვრებ ბატონ ნოდარ ილიას ძე ლეკვეიშვილს: „როგორც ბიძაჩემისგან გამიგონია, ლეკვეიშვილები ადრე ასათიანები ყოფილან ლეჩხუმიდან. ამ დროს ერთ-ერთი გასართობი საშუალება ნადირობა ყოფილა, ამიტომ მონადირე ძაღლების ჯიშსა და გაწვრთნას დიდი ყურადღება ექცეოდა. ჩვენს წინაპარს, ასათიანს ჰყოლია კარგი ჯიშის ძაღლი. ძაღლს შესძენია ლეკვები, რომლებიც გაუჩუქებია. მხოლოდ ერთი ლეკვი დაუტოვებია თავისთვის. ერთ-ერთ თანასოფლელს თუ მეგობარს უთხოვია ამ ერთადერთი ლეკვის დათმობა, მაგრამ ჩვენს წინაპარს უარი უთქვამს. მაშინ მთხოვნელს მოუპარავს ლეკვი. ამის თაობაზე მათ შორის მომხდარა უსიამოვნება და ჩხუბში შემოაკვდა მეზობელი. ვინაიდან იმ დროს ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო სისხლის აღების წესი, ჩვენი წინაპარი გადმოსახლებულა იმერეთში, კერძოდ იანეთში, შეუცვლია გვარი და ვინაიდან ლეკვის გამო მოუხდა ეს ტრაგედია, გვარად დაურქმევია ლეკვეიშვილი.

16–17 წლისა ვიყავი, ჩემი გვარის წარმოშობის ამბავი რომ გავიგე და გადავწყვიტე, დამებრუნებინა ასათიანის გვარი. ჩემი უფროსი ძმა შოთა (იმჟამად სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი იყო) სასტიკი წინააღმდეგი იყო და მითხრა, რომ თვითონ გვარს არ გამოიცვლიდა. ეს კი გამოიწვევდა იმას, რომ ჩვენი შვილები და შვილიშვილები ერთმანეთს დაკარგავდნენ სხვადასხვა გვარის გამო. ამ საკითხზე ბევრს ვფიქრობდი და ერთხელ მესიზმრა: ვიყავი ტყეში და ერთმა კაცმა, სახე არ მახსოვს, წამავლო ხელი და საკმაოდ ღრმად ჩამიყვანა მიწისქვეშეთში. სადაც დღესავით სინათლე იყო. აღმოჩნდი კუბოებით ნაშენ სვეტებიან დიდ სივრცეში. კუბოები ერთმანეთზე კარით იყო დაშენებული. კაცი, რომელიც წინ მიმიძღოდა, მიხსნიდა, თუ რომელ სვეტში რომელი გვარი

იყო ჩაწყობილი. სვეტები თითქმის ერთი სიმაღლისა იყო. ბოლოს შეჩერდა ერთ სვეტთან და მითხრა: „აი, ეს სვეტი ლეკვეიშვილებისა არის და სულ ბოლოში მამაშენის კუბოა (მამა 2–3 წლის გარდაცვლილი იყო)."

გამომეღვიძა და დიდხანს ვფიქრობდი რას ნიშნავდა ეს სიზმარი. ბოლოს მივედი იმ დასკვნამდე, რომ ჩემი ძმა მართალი ყოფილა; ჩვენს გვარს საკმაოდ ღრმა ფესვები აქვს და მისი გამოცვლა მიზანშეწონილად არ ჩავთვალე."

ბატონი ნოდარის ეს გადმოცემა, სიზმრის გარეშე, დაიბეჭდა გაზეთში „მეოთხე". სადაც იაკობ ახუაშვილის სტატიები იბეჭდება ხოლმე ქართული გვარების წარმოშობის შესახებ. არის ვერსია, რომ იანეთში გადმოსული ასათიანი დაქორწინდა, ჩაესიძა ლეკვეიშვილს და სისხლის აღების შიშით ცოლის გვარი მიიღო.

ვინ იყვნენ ასათიანები? ქართულ ენციკლოპედიაში ვკითხულობთ:

**ასათ (ასამ) გრიგოლის ძე**, ქართველი დიდგვაროვანი ფეოდალი გრიგოლის ძეთა (გიშელთა) გვარის პირველი ცნობილი წარმომადგენელი. XII საუკუნის დასაწყისში ფლობდა ციხე გიშს. 1117 წლიდან დავით აღმაშენებლის მიერ გიშის აღების შემდეგ ჰერეთის ერისთაობა მიიღო XII–XII საუკუნეებში ჰერეთის ცნობილი ერისთავების (გრიგოლისძენი) ასათიანის შთამომავლები იყვნენ (გიშის ცნობილი ციხესიმაგრე იყო რუსთავთან).

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუმცა ყველა ლეკვეიშვილი ასათიანობაზე დებს თავს, მაგრამ ნათესავ–მოყვარე ამ გვარისა არავის ჰყავს. სოფელ იანეთში ლეკვეიშვილის გვარი ერთ–ერთი ძველი გვარია, სხვადასხვა ვერსიებიდან და წყაროებიდან გამომდინარე, შეიძლება არსებობს ლეკვეიშვილების ორი შტო – ძირეული ლეკვეიშვილებისა და ასათიანებისაგან წარმოშობილი. მთავარი კი ის არის, რომ წინაპართა გადმოცემა არ უნდა დავივიწყოთ, მაგრამ რა გვარიც გვაქვს, იმით უნდა ვიამაყოთ, მით უმეტეს, რომ ლეკვეიშვილების გვარში იმდენი კარგი ადამიანი იყო და არის, რომ ბევრ გვარს შეშურდება" *(დასახ. ნაშრ. გვ. 85–88)*

**ასამბაძე**, მიღებული უნდა იყოს არაბულ ტერმინ **ასაბა–ასაბა–დან**, რომელიც სულხან საბა ორბელიანის მიხედვით, **მტერზე მიმყოლს** ნიშნავს, ხოლო ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონით (ქეგლ) – **თანამდებობას, ამხანაგს**. მაჭახლისპირელ წულუკიძეთა ერთ ნაწილს შერქმეულ გვარად **ასაბიშვილი** (ასაბალიშვილი) ჰქონდა (იხ. წულუკიძე) ბათუმში არის აგრეთვე გვარსახელი **ასამბა**, ეტყობა, აფხაზური, მაგრამ იმავე არაბული სიტყვიდან წარმოქმნილი.

ს. ასამბაძეებშია საიქსი ასანიზიარეულის სახელწოდებით, მაგრამ არა გვგონია, სოფლის სახელი მისგან იყოს წარმოქმნილი, თუმცა, საესებით შესაძლებელი იყო, აღმოსავლურ **ხასან – ასანს** დართოდა პრეფიქსი **ბა**, რომელიც აფხაზურს გარდა, პოპულარულია თურქულ ტოპონიმებში, მაგრამ მაშინ უნდა გვქონოდა **ასანბაძე**



*იაკობ ახუაშვილი*

1902 წლის ქობულეთის რევოლუციური ამბების აქტიური მონაწილე ჩანს ესმა ასამბაძე ქედიდან გამოსახლებული. ასამბაძეები დაამშვენა შინაგან საქმეთა სამსახურის პოლკოვნიკმა, საერთო ენის გამომნახველმა, შერიგების დიპლომატ-მა, ფიზიკურადაც ძლიერმა დავით ასამბაძემ. მას აჭარის სოფლებში ბევრი იცნობდა, ანგარიშს უწევდნენ. ამ ღირსეული კაცის შეხვედრა, მოსმენა ძალდაუტანებლად სასიამოვნო იყო. მისი შვილი – გიორგი ასამბაძე აჭარის ავტოინსპექციის უფროსი იყო, შემდეგ – შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ახლა სას-ტუმრო „მედეას" დირექტორია. იოსებ ასამბაძე ბათუმის სატვირთო ავტო-საწარმოს დირექტორია. ასამბაძეები ერგეში, ფერიასა და ანგისაშიც არიან.



**ასამბაძე დაუთ (დავით) ოსმანის ძე** (დაიბადა 1903 წელს – გარდაიცვალა 1971 წელს, ქედის რაიონი, ს. ასამბაძეები).

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბათუმის მილიციის უფროსი, შემდგომ – სამინისტროს ბანდიტიზმთან ბრძოლის განყოფილების უფროსი. დაუთი აჭარაში ლეგენდად აღიარებული პიროვნებაა. მასზე დაწერილია ორი ნარკვევი (მწერალ პარმენ რურუას „დაუთი" და ჯემალ ქათამაძის „ნდობის კაცი"). ის დამსახურებული „ჩეკისტი" იყო, რომელმაც ბევრი ტყეში გასული ყაჩაღი შემოირიგა და საკუთარ ოჯახს დაუბრუნა. საკუთარი კარიერის ფასად ათავისუფლებდა უკანონოდ დასჯილ პიროვნებებს. დღესაც არის თურქეთში სოფელი, სადაც ცხოვრობენ ძირძველი აჭარლები და დაუთის შესახებ ფანდურზე ამღერებენ სიმღერას, როგორც გადამრჩენზე (ს. იანიჩეჲი, ფაცკალიათ).



**ასამბაძე გიორგი (ზებურა) დავითის ძე** (დაიბადა 1937 წელს ბათუმში). შინაგან საქმეთა სამინისტროს დამსახურებული მუშაკი. ამ დარგში მოღვაწეობდა წარმატებით 1961–1991 წლებში. იყო ქობულეთის რაიონის მილიციის უფროსი, ხოლო შემდგომ – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე. აგრძელებდა რა მამის კაცურ ტრადიციებს, მის ავტობიოგრაფიაში ჩაწერილია მრავალი კეთილი საქმე ცალკეული პიროვნებებისთვის კანონიერების აღდგენასა და მათ გათავისუფლებაში. დაჯილდოებულია მრავალი ორდენით, მედლითა და სიგელით. ამჟამად დამსახურებული პენსიონერია.

**ასანაშვილი**, ასან-ი. ასანა გავრცელებული სახელი იყო. იხ. ასან-ი. საკირე, ბორჯომის რაიონი. ასანა ქსნის ხეობა, ლარგვისი (ალ. ღლ.: *76*).

ასანა სიონის, დმანისის, ლანჩუკს მცხოვრებლები *(1577–1582 წ.წ.)*.

ასანაშვილი – მეჯვრისხევს მცხოვრები, ასანაშვილი დურია – შუა ბოლნისს მცხოვრები, ასანაშვილი ზალია – შვილი პაპუა ასანაშვილისა.

**ასანაშვილი 185**
**ყვარელი – 86,**
**თელავი – 43,**
**რუსთავი – 29.**

**ასანიშვილი**
**(შდრ. ასანაშვილი) – 416**
**თბილისი – 174,**
**სიღნაღი – 79,**
**საგარეჯო – 77.**

**ასანაშვილი ნაზარა** – შვილი პაპუა ასანაშვილისა. **ასანაშვილი პაპუა** – ჰყავს შვილები: **ზალია, ნაზარა,** მიჰყიდა გივი თუმანიშვილის ყმას.. სახლი *(1687 წელს).*

**ასანაშვილი ჟამიტა** – მეჯვრისხევს მცხოვრები, თამარ დედოფალმა იგი უწყალობა ყულარაბაჯის (1611 წ. პალ. I. 179).

**ასანია.** გვარში ა პრეფიქსია. ფუძეა **სან-ა(ი)** (შდრ. საკუთარი სახელები: **სანი, სანო**). აფხაზეთში გვარის წინ **ა, არ** და **არა** პრეფიქსია. პრეფიქსსა და სუფიქსს შუა დარჩენილი სიტყვა არის გვარის ფუძე (მწარმოებელი). ეს წესი ვრცელდება აფხაზეთში შექმნილ მეგრულ გვარებზეც.

**ასანიძე.** ვიდრე ამ გვარსახელზე წავიკითხავდეთ, გაეცანით შესავალს ბარამიძის წარმომავლობაზე. აქ ჩამოთვლილია არაერთი აღმოსავლური წარმართული პერიოდის სახელი. მათ შორის **ასანი,** რომლებიც საქართველოში არათუ საკუთარ სახელებად, არამედ მათგან წარმოქმნილი გვარების სახითაც დამკვიდრდნენ. ზოგიერთს უკვირს, ზოგსაც გამოთქვამს, არცაა გასაკვირი, რადგან გაშინაურებულ-გაქართულებული და ყურს შეჩვეულია, მაგრამ ფაქტი ჯიუტია. საკმარისია გაეცნო ა. გაფურთეის (იმია ი ისტორია), მ. ანდრონიკაშვილის, გ. ჟორდანიას, ალ. ღლონტისა და სხვათა ნაშრომებს, ლექსიკონებს და დარწმუნდებით რომ ქართული გვარ-სახელების უდიდესი ნაწილი **ირანულ-არაბულ თურქული** და **შუმერულ-ებრაულ-ბერძნული წარმოშობისაა.**

**ასანი სახელ ხასანიდან** – ჰასანიდან მომდინარეობს, რაც არაბულად **კეთილს,** კარგს ნიშნავს. ეს სახელი ერქვა ისლამის მეორე განშტოება შიიტების დიდი მოციქულის, წამებული წმინდანის ალის უფროს ვაჟს, რომელიც სპარსი შიიტების აღიარებულ მიმდევრად ითვლება. შორეულ აღმოსავლეთსა და იუგოსლავიას შუაში მოქცეულ ქვეყნებში დასტურდება ეს სახელი, მისგან წარმოქმნილი ტოპონიმები და გვარები.

ცნობილია ირანის შაჰი **უზუნ ხასანი,** ასე ჰქვია ყაბარდოელ მწერალს გურტუევს. გვარები ხასანოვი, ტბა ხასანი და სხვა. ერთი შეხედვით, იფიქრებ, ხასანი, რადგანაც ქართულში ჰასანად გამოითქმება, გაუბრალოების მიზნით ჩამოაცილეს ჰ და **ასანი** მიიღეთ, მაგრამ თვით თურქულენოვან ხალხებს ხასანისგან ასანიც უწარმოებიათ, ეტყობა, ცნობილ-საალერსო ფორმით. მე-18 საუკუნეში აზერბაიჯანის ოლქ ნუხას **ასან ხანი** განაგებდა, მუღანლოსაც ამ სახელიანი ხანი ჰყავდა, აქვე იყო აგრეთვე წარჩინებული **თალა ასან ხანი.** ბაშკირებშია გვარსახელი **ასანბაევი,** ყაზახეთში **ასან ჟანბულატოვი** *(სისტემი ლინგვისტიკა ... გვ. 146),* ხოლო ბულგარეთში, რომელთა წინაპრები ვოლგისპირეთ-ჩრდილო კავკასიიდან მე-7 საუკუნეში გადასახლდნენ ახლანდელ ადგილას, არის **ასენ ასენოვი** და **ასენ ილიევიც** (ამ მამაცი მესაზღვრის სახელი მიეკუთვნა ჩვენს მესაზღვრეთა სარფის საგუშაგოს).

უძველეს დროშიც შემოუღწევია საქართველოში. მე-11 საუკუნეში გვაზავას

ერთ შვილს ასაზ ერქვა. მისი მოხატულია სვანეთის ნაკიფარის ეკლესიის გიორგის ხატები.

ცნობილია აბულასანი – ქართლისა და თბილისის ამირა, რომელიც ერთი მოთავეთაგანი იყო თამარ მეფის პირველი გათხოვებისა. სხვა დროს თბილისს განაგებდა ასევე არაბი ასან ფაშა, ხოლო გილანის ქვეყნის ყაენი ყოფილა ასან ბეგი, რომელიც მონღოლთაღრიონდელი ჟამთააღმწერის მატიანის მიხედვით, ქართველებთან ერთად პირველი შეება მონღოლებს *(ქართული პროზა, ტ. 3, გვ. 423–425)*. ულუმბოს მონასტრის 1407–1410 წლების წარწერებში მოხსენიებულია მამა ასანიძე, მე-14 საუკუნის ჟამთააღმწერის ასწლოვან მატიანეში კი ვკითხულობთ: „შეება ასან" (იბ. 1987, გვ. 215).

კრებულში „საქართველოს სიძველენი" არის ასანა უზბაში, ასანმირზა და ასანბეგიშვილი. ისტორიულმა საბუთებმა შემოგვინახეს აგრეთვე ტაოელი დიდებულის გვარსახელი აბულასანისძე, რაც არაბულად ნიშნავს „აბული ასანის მამა."

ასევე ყურადღებას იქცევს აბულასან ქუთათელი აბუსერი *(თ. ჟორდანია, ქრონიკები, 1, გვ. 87, 197)*. ეს სახელი გვხვდება ახალციხის მუზეუმის ხელნაწერებში, ქიზიყის, ზესტაფონის, ხარაგოულის, საჩხერისა და ჭიათურის რაიონების, აჭარის და ტაო-კლარჯეთის გეოგრაფიულ ადგილთა სახელებში. ასანანთი უბანია ბოლბეში, ასანიშვილები ქვემო მაჩხაანში, ასანაური და ასანიძე სიღნაღში, ს. ასანური, ასანურის ტყე, ასანურის ქუჩა, ასანაანი ნინოგორში, აფენის საკრებულოში *(ალ. ღლონტი, ქიზიყის ტოპონიმიკა, 1982, გვ. 21.)*

ბოლნისის რაიონშია ს. ასანხოჯალო. ზემო იმერეთში ასანიძეების ყანა, წყარო, გზა, ასანიძეების ნაყანევარი, ასანბეგი, ასანაურალი, ასანიძეები *(ს.ქ. ტოპონიმიკა, ტ. 1, ზემო იმერეთი)*. ბასიანს ერთხანს ასანყალა ერქვა, ისტორიკოს ნ. ლისოვსკის ცნობით. ბორჩხის რაიონში გასული საუკუნის დამლევს იყო სოფელი ასანაურის სახელწოდებით *(ი. ბექირიშვილი, ნარკვევები აჭარის წარსულიდან, გვ. 104)*, სადაც ასანიძეები ახლაც ცხოვრობენ. ჩვენ მათ იქ შევხვდით 1993 წლის ივნისში. ჩემს კითხვამდე მითხრეს, რომ ბათუმელი ასანიძეები მათი ნათესავები არიან. ს. ქართალში არიან ასან ექტინჯი, ოსმან ბაქანი (შდრ. ბაქანიძე) – ასანიძეები, ხოლო ფაცაში ასანოღლებად იწერებიან. მათი წინაპრები ახლანდელი შუახევის რაიონის ს. ნენიდან იყვნენ. ასანიძეები ყოფილან მარადიდშიც, ზემო აჭარაშიც. მოგზაურ გიორგი ყაზბეგის მიხედვით, 1874 წელს ლორჯომელ მასპინძელ ოსმანაღა მიქელაძეს ქუჩუკ (პატარა) ასანიძე ჩასიძებია.

და კიდევ, შუახევი რაიონის ს. მაწყვალთაშია უბანი ქმნასიანების სახელწოდებით, ხოლო ქედის რაიონის ასამბაძეებში – სათესი ასანაზიარევი. ასანსა და ასაზს შორის ალბათ კავშირი არ არსებობს, მაგრამ მაინც საკითხავი რჩება. ასანიძეებით დასახლებულ ამავე სახელწოდების სოფელში ადგილს ასანიზიარევი ანუ ასა-

ნის ნაზიარევი ქვია და არა ასანბანაზიარევი. დასაშვებია, რომ ასანბაძეს ასანა ერქვა და ტოპონიმსაც მისგან მიეცა დასაბამი. ღოღაჯარაში ალი ასანიძე ნასოფლარია მიქელაძის და ასე დაწერილა. **ასან ალა** იყო ს. დაელაძეებში. ხიხაძირში გაბაიძეთა სიძესაც ეს სახელი ერქვა, რამაც ასანიენთი მოგეცა *(ე. მგელაძე. ზემო აჭარის სოფლები ძველად. გვ. 34, 37, 48.)*

ბათუმის ავტოსკოლის დირექტორი **თემურ ასანიძეა**, მის ძმას, ყოფილ ფეხბურთელს **აბდული** ჰქვია. რამდენიმე ოჯახი **ხასანიძედ** იწერება. რიზეს სავალდებულოში გაეცვანი ქირურგ **ხასანოღლის**, თურქეთში სხვაგანაც არიან *(ი. ბექირიშვილი, გვ. 29)*.

| |
|---|
| ასანიძე 2747 |
| ჭიათურა – 1027, |
| თბილისი – 345, |
| საჩხერე – 231. |

**ასანიძე//ასმანიძე//ნადირაძე.** მკვლევრმა იცის, რომ ქართული გვარსახელების უდიდესი ნაწილი ირანული, არაბული, თურქული, შუმერულ-ებრაული და ბერძნულ-რომაული სახელებიდანაა ნაწარმოები. ასანიძეთა გვარის ფუძე სახელ **ხასანიდან** – **ჰასანიდან** მომდინარეობს. ეს სახელი ისლამის მიმდევარ არაერთ ცნობილ პიროვნებას ერქვა.

ასანიდან გვაქვს როგორც გვარები, ისე ტოპონიმები. ასანიძეების სამშობლოდ აჭარა ითვლება. მათი წინაპრები ახლანდელი შუახევის რაიონის სოფელ ნენიადან იყვნენ. ასანიძეები ყოფილან მარადიდშიც, ზემო აჭარაშიც *(იხ. იოსებ ბექირიშვილი. აჭარის ისტორია გვარ-სახელებში. ბათუმი. 1996. გვ. 27-29)*.

„**ასანიძე ქიტია** – აბანოს სასახლის მოსახლე, ერთი კომლი ჰყავს სამი ვაჟი, მოხსენიებულია ზემო ქართლის სადროშოს აღწერის დავთარში (მე-17 ს-ის მე-2 ნახევარი, შდ-7017).

**ასანიძე** – ასანს კარგს, ლამაზს უხმობენ არაბნი, ხოლო თურქთა ენაზედ **ასან** – წყალად ითარგმნების.

**ასანა** – საქართველოში საკუთარი სახელია კაცისა თურქთაგან შემოტანილი. გვარის სახელით **ასან** – ფუძისანი არიან: **ასანიშვილნი** – კახნი და **სანიშვილნი** – ქიზიყელნი და ასანბეგიშვილნი – ქვემო ქართლელნი და ასანელაშვილნი – შიდაქართლელნი და ასანიძენი იმერნი.

ეგრე უბნობენ, **ნადირაძეთა გვარისათ ყოფილაო** ის პირველი ასანა, ვისზედაც მოდიან ასანიძენი. ამასაც უბნობენ, ასან ნადირაძე აჭარიდან გადმოსულაო ზემო იმერეთის ოლქსდაც. ესე ყოველი ასანიძეთა გვარში შენახული გადმოცემაა და არა უმეტეს, თანაც, ვინძლო ეს გადმოცემა არა მთლად ასანიძეთა, არამედ ასანიძეთა ერთი შტოის ამბავი იყოს.

ქართულ საისტორიო საბუთებში ასანიძენი პირველად მე-16 საუკუნიდან ჩანან ლიხთ-იმერეთს.

მე-16 საუკუნის ამირეჯიბ გაბელისძეთა, ულუმბოს მონასტრისათვის ბოძებულ შეწირულობის ნუსხაში ხსენდებიან **ასანიძენი მამია და ჯანიბეგ**, როგორც გუჯარასა და ჯრუჭულას შორის მდებარე მამულიდან სააღაპე გამოსაღების ამღებნი.

იოსებ ბექირიშვილი

შემდეგში ასანიძენი შიდა ქართლშიც გამოჩენილან.

მე-17 საუკუნის ზემო ქართლის საღვთოს აღწერის დავთარში ჩაწერილია აბანოს სასახლის მოსახლე ქიტია ასანიძე თავისი სამი ვაჟით.

ღმერთისა და საქართველოსათვის და ბაგრატიონთა ტახტის ძლიერებისათვის ასანიძენი გამოდიოდნენ ცალკერძ იმერეთის სამეფო ლაშქარში, წერეთელთა დროშის ქვეშ, ცალკერძ ქართლის სამეფო ლაშქარში ამილახვართა დროშის ქვეშ.

საქართველოში ასანიძენი ცხოვრობენ: ზემო იმერეთს და ოდიშს და გურიას და აჭარას და ქვემო და შიდა ქართლს და ჰერეთს. განსაკუთრებით მრავლად არიან: ჭიათურის, ოზურგეთის, გორისა და ლაგოდეხის მხარეებში.

ასანბეგიშვილი – 0.
ასანელაშვილი – 0.
ნადირაძე 5166
(თბილისი – 1285,
საჩხერე – 557,
სამტრედია– 547).

საქართველოში ასანიძეთა ლიდ-პატარის, ქალიან-მამრიანის საერთო რიცხვი ორიათას შვიდას ორმოცს აჭარბებს. მახინჯაურელ, ახალშენელ და ბათუმელ ასანიძეთა წინაპრები მახო-სიმონეთიდან ყოფილან.

ვარაუდობენ, რომ ასმანიძეებიც გაიხიზნენ იმერეთში და შესაძლებელია შემდეგ ასანიძეებად დაეწერნენ *(იხ. იოსებ ბეჟიაშვილი, გვ. 58).*



**ასანიძე გიორგი,** მსოფლიო ჩემპიონი ძალოსნობაში. დაიბადა საჩხერეში, 1975 წლის 20 აგვისტოს. მშობლები: გოგუცა ასანიძე, ლეონიდე ასანიძე. მეუღლე – თეა კოტუა-ასანიძე (1977). შვილი – მარიამი (1996). არის მსოფლიო თასის პირველი ეტაპის ბრინჯაოს პრიზიორი (1993), ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი (1994-95), მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (1995), ექვსგზის მსოფლიო რეკორდსმენი ახალგაზრდებს შორის (1994-95), ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი (1998), მსოფლიო რეკორდსმენი და ჩემპიონი (1998), მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი (ათენი, 1999), ევროპის ჩემპიონი (2000), მსოფლიო რეკორდსმენი ატაცში (181 კგ. სოფია, 2000), სიდნეის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი (2000), ევროპის ჩემპიონატის სამგზის ოქროს პრიზიორი (2001). დაჯილდოებულია ღირსების (1999), ვახტანგ გორგასლის III ხარისხის (2000) ორდენებით. აღიარებულია საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენად (1998).

ასაშვილი 173
(თბილისი – 81,
თუშეთი – 56,
მცხეთა – 11.)

**ასაშვილი,** გვარის ფუძეა საკუთარი სახელი ასა.

იხ. ასა, არქივი 1887 წ. თეკალი, სვანეთი... *(ალ. ღლონტი, 76).*

**ასაშვილი ბექან** – ახალშენს მცხოვრები. ჰყავს მამა ასა, ბიძა პაპანა, ძმები: ოთია, მაზიტა, როსტომ მეფემ იგი სახასოდ აქცია და გაათარხანა. "არც გლურჯიძეს და არც სხვა მებატონეს" მასზე ხელი არ უნდა ჰქონოდა (1634 წ.).

ასეიშვილი 35
(თბილისი – 11,
ბათუმი – 8,
რუსთავი – 8.)

ასეიშვილი. გვარის ფუძეა ასა, რომელიც გურულებთან ასეი-თ გამოითქმოდა. გურიაში საცხოვრებლად გადასული ასაშვილი, ჩხატარიშვილი და მისთ. ასეიშვილი, ნიკოლაიშვილ–ნიკოლეიშვილი, ჩხატარაიშვილი ხდებოდა.

ასვანუა 65
ზუგდიდი – 33,
თბილისი – 16,
წალენჯიხა – 16.

ასვანუა, ა პრეფიქსია, სვანი ფუძეა, ხოლო უა – სუფიქსი. ასვანუა გვარადქცეული ქუნიაა *(შდრ.: საბერიო (გალის რ-ნი), ქ. გალი).*

ასთავიშვილი 37
თბილისი – 11,
გორი – 1,
რუსთავი – 1.

ასთავიშვილი//ასისთავიშვილი. დღევანდელი ასათიანი გვარი ადრე ჩაწერილი იყო ასისთავისშვილად, როგორც მკითხველი ხედება. შინაარსის მიხედვით არსებითი განსხვავებაა ასთავი–შვილსა და ასისთავის–შვილს შორის.

ასიაშვილი ქართული გვარსახელების კატალოგში *(შეადგინა და გამოსცა ილია მაისურაძემ 1981 წელს).* ასიაშვილთან მითითებულია: *„სვიფოლა ასიაშვილი, ქვემო მარტყოფი, საპარსეთი, ფერეიდანი“.*

ფერეიდანს გარდა, ეს საგვარეულო საქართველოშიც არის.

ასიაშვილი ადამიანის საკუთარი სახელისგან წარმოდგება.

ასია მამაკაცის ძველთაძველი სახელია. ასე იწოდებოდა დაიენის (დიაუხი) მეფე, რომელიც ასურეთის მეფის სალამანასარ მესამის (859–825 ძვ. წ.ა.) თანამედროვე იყო.

ასიას ნაირსახეობა „აცია“, ნუზის ონომასტიკონშიც არის დადასტურებული *(გ. მელიქიშვილი, უძველესი სამეფო სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე, „მიმომხილველი“, 11, 1951, გვ. 212).*

საკუთარი სახელი ასია ჭოროხის ხეობიდან თანდათან უნდა გავრცელებულიყო ჩვენი ქვეყნის შიდა რეგიონებში, ხოლო შემდეგ გვარსახელადაც ქცეულა.

ასიაშვილები გურიაშიც ცხოვრობენ. აქ მათი ადრინდელი სამკვიდრო ზემოსურებია („ასიაშვილების გორი“, მდ. სუფსის მარცხენა სანაპიროზე).

ამ საგვარეულოს წარმომადგენლებიდან ზემოსურებში დღემდე პატივისცემით მოიხსენიებენ იოთამ, გიორგი და სხვა ასიაშვილებს.

მათი ნაშიერები იყვნენ პატიოსანი მშრომელები ისაკ, ფრიდონ და სხვები.

პედაგოგიური საქმიანობით სახელი მოიხვეჭეს ილია გიორგის ძე, ანგია ისაკის ძე და სხვა ასიაშვილებმა. უკანასკნელმა საკოლმეურნეო შრომის ორგანიზაციასა (წლების განმავლობაში იყო კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე მახარაძის რაიონში) და ხელოვნებასაც (ჩინებული მომღერალი ერისხანს ლოტბარობდა კიდეც) დასდო ღვაწლი.

ასიაშვილებმა დიდ სამამულო ომშიც ისახელეს თავი და ზოგ მათგანს *(გიგლა ისაკის ძე, სანდრო მიხეილის ძე)* შინმოუსვლელის მწარე ხვედრიც ხვდათ წილად *(პროფესორი იური სიხარულიძე)*

ასიტაშვილი. გვარის ფუძეა საკუთარი სახელი ასიტა. შდრ.: ასიტა – ოკრიში მისი ნაქონი ბეჟიაშვილმა მამული აბბა-ალავერდელმა უწყალობა იოსამ და მისა კოზმანაშვილებს (1670 წ.).

**ასიტაშვილი 232**
თბილისი – 217,
გურჯაანი – 8,
გარდაბანი – 1.

ასიტაშვილი თამაზა – წყნეთში მცხოვრები, ქაჯეს ძმა შემაზა (1688-1703 წ.წ.).

**ასისტიშვილი 120**
რუსთავი – 19,
სიღნაღი – 8,
თბილისი – 7.

ასისტიშვილი, ახალსოფელი (ყვარლის რაიონი), ფონეტიკურად შეცვლილია. წარმომდგარი ჩანს ასისთავი-საგან. სამხედრო თანამდებობის ეს ტერმინი წარმოდგენილია შეკუმშულად: „ასთავის" (– ასისტეის – ასისტის) *(იხ. მისურაძე, 24).*

**ასკილაშვილი 289**
გორი – 190,
გურჯაანი – 105,
რუსთავი – 41.

ასკილაშვილი. შდრ.: ასკილი (ხე) ტყის ვარდი *(ვრ. მეტსახელი ასკილა).*

ასკილეისკირი. გვარში ა პრეფიქსი (წინსართი) სკილე(ი) ფუძეა, ხოლო სკირი (სქირი) ძესა და შვილის მნიშვნელობის აღმნიშვნელი სუფიქსია *(შდრ. სკილისკანტური (საბა).*

გვარის უკეთ მართებული ახსნა უნდა ვეძიოთ. ამ გვარისთვის უადგილოა ნ. ჯომიდავას მტკიცებულება ასკილა და ასკილე მით უფრო – ასკილაური სოფელი საგარეჯოს რაიონში, ა წინსართი არ გვაძლევს საფუძველს ერთით, მეორე ან მესამე მოსაზრებით გვარის მაწარმოებლად.

**ასკურავა 257**
ლანჩხუთი – 135,
თბილისი – 74,
ბათუმი – 48.

**ასკილეისკირი 28**
აბაშა – 20,
ფოთი – 5,
თბილისი – 1.

ასკურავათა გვარის ეტიმოლოგიის ახსნა წყაროებში არ შეგვხვედრია. ჩვენი აზრით, გვარის ფუძეა არა სკურ–ი, არამედ სქური (სქურე). თავდაპირველი ასო ქ რუსულის გავლენით შეცვლილა ასო კ–თი. გვარში ა არტიკლი (წინსართია) ფუძეა სქურ–ი (–სქურე), ხოლო ვა სუფიქსია. სქური კი, როგორც მკითხველმა იცის, ცნობილი მინერალური წყალია სამეგრელოში.

ასკურავები ძირითადად ცხოვრობენ გურიასა და აჭარაში. სამეგრელოში გვხვდებიან აბაშის რაიონში: ზანათი – 3 კომლი, სუჯუნა 3 კომლი და სხვაგან.

ასკურავა, ა–სკურ–ა–ვა, სკური სოფელია და კურორტი წალენჯიხის რაიონში. ასკურავა ცნობილი გვარია გურიაში.

1995 წელს ვაუჩერი აიღო 353 სულმა.

ასკურავების გვარში მრავალი გამოჩენილი პიროვნებაა. მათგან წიგნში მოხვდა შემდეგ პიროვნებათა შეტანა:

ასკურავა შერმადინ (შალვა) მიხეილის ძე (1897-1919). პარტიული მოღვაწე ამიერკავკასიაში, სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილე. 1918 წელს ხელმძღვანელობდა სენაკის მაზრის გლეხთა შეიარაღებულ აჯანყებას.

ასკურავა ივანე ალექსის ძე დაიბადა 1917 წელს სოფელ სქირში. ლანჩხუთის რ-ნი. თეატრის მხატვარი. საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1950).



ასკურავა ვლადიმერ (ბიჭიკო) დავითის ძე, დაიბადა 1939 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფ. ქვიანში. საშუალო სკოლა დაამთავრა იქვე. სწავლობდა მოსე თოიძის სამხატვრო სასწავლებელში, სწავლასთან ერთად მისდევდა აქტიურ სპორტს. იყო საბჭოთა და საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი და პრიზიორი ველოსპორტში.

35 წლის წინ ასკურავების საგვარეულო პროფესიას, სახალხო მკურნალობას მიჰყო ხელი. არის ჩინეთ-ისრაელ-ამერიკის მედიცინის აკადემიის წევრი, პროფესორი 1994 წლიდან. 1999 წელს მიღებული აქვს ღირსების ორდენი. 2000 წელს – საზოგადოება თბილისელის საპატიო მედალი. რუსეთის თავადთა საზოგადოებამ 2002 წელს მიანიჭა თავადის წოდება. 2002 წლის 30 ივლისს მიენიჭა ალბერტ შვეიცერის სახელობის პრემია.



ასკურავა ივანე ალექსის ძე, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი, თეატრალური მხატვარი. დაიბადა 1917 წლის 9 იანვარს ლანჩხუთის რაიონის სოფ. ქვიანში. სახალხო მასწავლებლის ოჯახში.

დაწყებითი და საშუალო განათლება მიიღო თბილისში.

1933 წელს სწავლა გააგრძელა თბილისის სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკულტეტზე, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფესორი ვალერიან სიდამონ-ერისთავი. ხატვის კლასი მიჰყავდათ პროფესორებს შარლემანს და ს. ქობულაძეს.

1939 წელს დაიცვა დიპლომი პროფესორ მოსე თოიძის ხელმძღვანელობით. აკადემიის დამთავრების შემდეგ განაწილებული იყო ლანჩხუთის სახელმწიფო თეატრში დეკორატორად, სადაც გააფორმა პირველი დამოუკიდებელი სპექტაკლი (დადგმა არჟუა ლოლუასი).

1940 წლის 2 იანვრიდან ვ. სიდამონ-ერისთავის მიწვევით მუშაობას იწყებს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში დამდგმელ მხატვრად.

1941 წელს გააფორმა პირველი სპექტაკლი, ოპერა „რახილი“, რომლის დადგმა განახორციელა სამამულო ომის დროს კიევიდან ევაკუირებულმა ცნობილმა მომღერალმა კიპარენკო-დამანსკიმ, მონაწილეობდნენ ასევე ევაკუირებული დირიჟორი სტოლერმანი, ბანი ჩასტი და მსახიობი გუჟოვა.

თავისი ხანგრძლივი შემოქმედების მანძილზე მან გააფორმა ორასამდე დრამატული, საოპერო და საბალეტო სპექტაკლი. მას უმუშავია ისეთ ცნობილ რეჟისორებთან, როგორებიც იყვნენ ა. წუწუნავა („დაისი“, „დემონი“), ვ. ყუშიტაშვილი („იულიუს კეისარი და კლეოპატრა“), ვ. ტაბლიაშვილი („დარეჯან ცბიერი“,

„ტოსკა“, „რიგოლეტო“, „აბესალომ და ეთერი“ და სხვ.), მ. კვალიაშვილი („ტრუბადური“, „პიკის ქალი“, „ფაუსტი“, „ლატავრა“ და სხვ.), გ. გაჩეჩილაძე („ქეთო და კოტე“, „აბესალომ და ეთერი“, „ფაუსტი“, „რიგოლეტო“) და სხვა.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის შემოქმედებაში დიდ ბალეტმეისტერთან ვახტანგ ჭაბუკიანთან თანამშრომლობას. ივანე ასკურავამ გააფორმა მისი თითქმის ოცამდე საბალეტო სპექტაკლი („მთების გული“, „ჟიზელი“, „ლაურენსია“, „გორდა“, „მშვიდობისათვის“, „დემონი“, „ვალპურგის ღამე“ და სხვ.). გარდა ამისა, მან გააფორმა მრავალი საბალეტო სპექტაკლი, რომელთა დადგმები განახორციელეს ცნობილმა ბალეტმეისტერებმა: ნ. კაკლიაშვილმა, ი. ლავროვსკიმ, მ. სერგეევმა, გ. ალექსიძემ და სხვა.

მისი გაფორმებით დაიდგა სპექტაკლები საქართველოს მრავალი ქალაქის სცენაზე: ბათუმში, ფოთში, გორში, თელავში, ზუგდიდში და სხვა, ხოლო ქუთაისის საოპერო თეატრი გაიხსნა მის მიერ გაფორმებული სპექტაკლით „აბესალომ და ეთერი“ (1966).

ივანე ასკურავამ გააფორმა სპექტაკლები საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც: კუიბიშევში (ბალეტი „ბაიადერა“), უნგრეთის ქალაქ სეგედში (ბალეტი „ოტელო“), მაიკოპში („ბებია და შვილიშვილი“), ერევანში (ოპერა „დაისი“) და სხვა.

გაფორმებული აქვს სრულმეტრაჟიანი ტელეფილმი შექსპირის „მეთორმეტე ღამე“, მხატვრული ფილმი-ოპერა „აბესალომ და ეთერი“, კინოჩანახატი ზ. ფალიაშვილის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

მონაწილეობდა საკავშირო, რესპუბლიკურ, ევროპისა და სხვა ქვეყნების კოლექტიურ გამოფენებში.

მხატვრის თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნება დიდადაა დავალებული მისი უშუალო ხელმძღვანელის ე. სოლომონ-ერისთავის შემოქმედებით და იმ მხატვრების შემოქმედებით (დ. კაკაბაძე, ლ. გუდიაშვილი, ე. ახვლედიანი, ა. ციმაკურიძე, ს. ვირსალაძე, ი. სუმბათაშვილი, ფ. ლაპიაშვილი, რ. სტურუა (მამა)), რომელთა გარემოში უხდებოდა მას მოღვაწეობა.

ქართული თეატრალური მხატვრობის ისტორია დღეს წარმოუდგენელია ივანე ასკურავას უპრეტენზიო, მაგრამ ჭეშმარიტად მაღალი ხელოვნების გარეშე.

**ასლამაზაშვილი//ასლამაზიშვილი//ზურაბიშვილი//ფეიქრიშვილი//არუთინაშვილი//რამაზაშვილი.** ისტორიულ დოკუმენტებში გვარი ასლამაზაშვილი გვხვდება 1615 წ. *(შდ- 3054), 1689 (შდ-676), 1782* წ. *(შდ-2987)* და ა.შ. წლებში.

დღევანდელ თეთრიწყაროს რაიონში მცხოვრებ ასლამაზაშვილებს ჰქონდათ შტო-გვარები: *ზურაბაშვილი* (1738, ცსსა, ფ. № 20/33; დოკ. I. 280); ფეიქრიშვილი (ცსსა, ფ. 254, № 3, 1608, 1886 წ. ფურ. 82-146); რამაზაშვილი.

1843 წლის აღწერით სოფელ თონეთში მოიხსენიება ასლამაზაშვილი *(ცსსა, ფ. 254, 1, 2043, ფურ. 310-322)*, რამაზაშვილი, იგივე ასლამაზაშვილი (მოგვიანებით

რუსული გავლენებით ასლამაზოვი) (თონეთი, იქვე).

აღნიშნული დოკუმენტები ადასტურებს, რომ ასლამაზაშვილ-ასლამაზიშვილების წინაპრები სოფ. თონეთში სარწმუნოებით და ტომით ქართველები არიან. ამასვე ადასტურებს თვით გვარის ეტიმოლოგია. ის ორი ქართული სიტყვისაგან შედგება – ასი და ლამაზი.

წარმოქმნილია, როგორც დამოუკიდებლად, ქართველურ საკუთარ სახელ **ასლამაზ**-ზე სუფიქს შვილის დართვით, ისე ნაწარმოების გვარებიდან: **ბარათაშვილი, იაგულაშვილი, არუთინაშვილი**. თვით ასლამაზიშვილების გვარმა აწარმოა შტო-გვარები: **ზურაბაშვილი, ფეიქრიშვილი, რამაზაშვილი, ტერტერაშვილი, არუთინაშვილი**.

ასლამაზაშვილის გვარის ძირია ქართველური საკუთარი სახელი **ასლამაზა**. ის ქვემო ქართლში XVIII საუკუნეში ერთ-ერთი გავრცელებული და პოპულარული სახელი იყო. „მოუხდა თოთამს დმანისის ციხეში საუხუცესოდ ასლამაზა, რატევანს ასლამაზ მირდაშენს ასლამაზა“ (*ს. კაკაბაძე. საისტ. მოამბე. წიგნი I*).

**ასლამაზიშვილი** – ასლამაზი ყოვლადწმიდისა – საქართველოში წამებულთა ღირსთა მამათა სახელი იყო, რომელიც მართლმადიდებლურ ეკლესიაში იხსენიებოდა ყოველი წლის 11 (24) დეკემბერს (*საქართველოს ეკლესიის კალენდარი. თბ. 1991. გვ. 90*).

ასლამაზაშვილები საბუთებში ორი ფორმით იხსენიებიან: **ასლამაზაშვილი** და **ასლამაზიშვილი**. აზნაურიშვილი ასლამაზიშვილები ფეოდალ ბარათაშვილთა საკუთარეულის განშტოება ყოფილა: „**ასლამაზისშვილი** (ვარ. ბარათაშვილი-ასლამაზიშვილი) დაიცვა – განაყოფი ფალავან – ხოსრო (ბარათაშვილისა მისი კეთილი მამული ერწოში სვიმონ მეფემ უწყალობა ფალავან-ხოსრო ბარათაშვილს (*1629 წ. 1450-26.268-ა*), ხოლო მარიამ დედოფალმა უწყალობა ზებედეს (*1634-1654 წ.წ. 1450-10.118*).

**ასლამაზიშვილი** – მისი, რემუა ჭაბუაშვილისა და ხარუაშვილის ნაცვლად ზაალ სააკაძის წილში ერგო სამღერულში ბეჟუა ასლანიშვილი და ელიზბარ ხელეშვილი მამულებით (*1651 წ. 1450-27.178*).

**ასლამაზიშვილი შაზინა** – მამასახლისი, მოწმე ოჰანას მიერ ამირადასათვის მიცემული დარბაზისა და მარნის ნასყიდობის წიგნისა (*1649 წ. V. 1449-2654*).

**ასლამაზას** როსტომ მეფემ უწყალობა ქალაქის მამასახლისობა (1641 წ. 6914) **ასლამაზა** იყო მელიქისუხუცესი, ნაცვალი, შუადამხდური (*იხ. პირთა ანოტირებული ლექსიკონი. წ. I. 1991წ.*).

XIX ს-ში ქალაქ თბილისში მუდმივად ცხოვრობდა 23 სხვადასხვა გვარის 70-ზე მეტი მამრობითი სქესის თავადი. ამას გარდა, იყო 68 სხვადასხვა გვარის აზნაური. მათ შორის იყვნენ: ყორღანაშვილები, გაჩაშვილები, თურქისტანიშვილები, შანშიაშვილები, საგინაშვილები, ჩუბინაშვილები, ხიმშიაშვილები, რჩეულიშვილები,

ლარაძეები, ასლამაზაშვილები და სხვები (*ხ. ზგაძე, ჩვენი - ძვ. თბილისის ისტორია, თბ., 1958, გვ. 256*).

ისტორიულ დოკუმენტებში გვარი ასლამაზაშვილი გვხვდება 1615 წლიდან (3054), 1689 (767), 1782 წ. (2987) და ა.შ. წლებში. დღევანდელ თეთრიწყაროს რაიონში მცხოვრებ ასლამაზაშვილებს ჰქონდათ შტო-გვარები: ზურაბაშვილი (1738 წ., ცსსა, ფ. 254, № 2033; დოკ. 280); ფეიქრიშვილი (ცსსა, ფ. 2584, № 3, 1608, 1886 წ., ფურ. 82–146); რამაზაშვილი.

1843 წლის აღწერით, სოფელ თრიალეთში მოიხსენიება ასლამაზაშვილი (ცსსა, ფ. 254, I, 2043, ფურ. 310–322), რამაზაშვილი, იგივე ასლამაზაშვილი (მოგვიანებით რუსული გავლენით ასლამაზოვი) (თინეთი, იგივე).

აღნიშნული დოკუმენტებით დასტურდება, რომ ასლამაზიშვილების წინაპრები სოფ. თრიალეთში სარწმუნოებით და ტომით ქართველები არიან. ასევე ადასტურებს თვით გვარის ეტიმოლოგია. ის შედგება ორი ქართული სიტყვისგან ასი და ლამაზი (*იხ. საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მიერ 1987 წლის 18 დეკემბერს გაცემული ცნობა № 66.01.662*).

კონი ასლამაზიშვილი, ქართველი აზნაური არის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ერთ-ერთი დამაარსებელი.

კონი ასლამაზიშვილს ორი სახლი ჰქონდა თბილისში. ამ სახლების პროექტების ავტორები (ერთისა) ყოფილა არქიტექტორი ბარაშკინი, მეორისა გრ. ივანოვი (ბარაშკინის პროექტები ინახება ფონდებში №№16, 205, 209; დაბეჭდილია აკად. ვ. ბერიძის წიგნში „თბილისის ხუროთმოძღვრება 1801–1917 წწ.“ თბ., 1963).

წავკისში (გარდაბნის რ-ნი), მოიხსენიებიან აზნაური ასლამაზიშვილის მემკვიდრე ფარსადან ასლამაზიშვილი, მისი ბიძაშვილი ნასყიდა და ელიზბარ ასლამაზიშვილები, კომლი ა, სული გ (*იხ. ივ. ჯავახიშვილი, ხელნ. I, გვ. 164*).

რუსეთის მთავრობამ აზნაურებად ცნო და „ხავერდოვან წიგნში“ შეიტანა: „1165. ასლამაზიშვილი დავით ალას ძე, მეუღლე მისი ეფემია. ვაჟიშვილები: ალასა, ზურაბი, ლევანი. ქალიშვილები: მაკა, გაიანე; 1166. ჯიმშერ გურგენის ძე, მეუღლე მისი ხორეშანი. ვაჟიშვილები: გიორგი, ივანე, მიხეილი – ასლამაზი, ალექსანდრე, ნიკოლოზი; 1167. თომა გურგენის ძე, მეუღლე მისი ტასო. ვაჟიშვილი იაგორი. ქალიშვილები: ოსანა, ანანა.“

*შენიშვნა:* ასლამაზაშვილების გვარი, როგორც დავინახეთ, ორი გზითაა ნაწარმოები. დიდი ნაწილი მოდის ეპონიმური სახელიდან ასლამაზ, მცირე ნაწილი კი მომდინარეობს ბარათაშვილებიდან. ასლამაზაშვილები (ასლამაზიშვილები) გვხვდებიან გლეხებადაც.

არც ასლამაზაშვილების გვარი ასცდა გაუცხოებას. ჯერ რუსებმა ის მონათლეს ასლამაზოვად, სომეხმა ტერტერებმა კი საეკლესიო ჩანაწერებში ისე ჩაუწერეს სომეხი, რომ ამის შესახებ ასლამაზოვებმა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ

შეიტყვეს. 1995 წლის აღწერილის მონაცემებით, საქართველოში ცხოვრობდა 429 ასლამაზაშვილმა. შედარებით კომპაქტურად ცხოვრობენ თელავში, დმანისში, კასპში, გარდაბანსა და მცხეთაში. 303 კაცი ჯერჯერობით კვლავ ასლამაზოვადაა სახელდებული (თბილისი – 208, დუშეთი – 33, გარდაბანი – 22).

ასლამაზოვები იგივე ასლამაზაშვილ–ასლამაზიშვილები არიან. სასურველია (და, ალბათ, აუცილებელიც) აღიდგინონ მამაპაპური გვარი ასლამაზაშვილი–ასლამაზიშვილი.

გვარის მშვენება იყო ასლამაზაშვილი სურენ არტემის ძე (3.3.1914, სოფ. კავთისხევი, ახლანდელი კასპის რაიონი – 22.9.1970, თბილისი). საბჭოთა კავშირის გმირი (22.11.1944 წ.), გვარდიის სერჟანტი. 1937–39 წლებში მსახურობდა წითელ არმიაში. დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე ასლამაზაშვილი მოხალისედ წავიდა ფრონტზე. იბრძოდა ჩრდილო კავკასიაში, ქალაქ ორჯონიკიძესთან, უკრაინასა და ბესარაბიაში, მონაწილეობდა რუმინეთის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის გათავისუფლებაში, იმპერიალისტური იაპონიის კვანტუნის არმიის განადგურებაში. მდინარე დნეპრის გადალახვისას და მის მარჯვენა ნაპირზე წარმოებულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. დემობილიზაციის შემდეგ, 1945 წლიდან, ასლამაზაშვილი მუშაობდა თბილისის სართავ-საქსოვ კომბინატში, თბილისის რკინიგზის სადგურში, 1955–69 წლებში – თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში (ქსე, ტ. I, 1975, გვ. 63).



**ასლამაზაშვილი რაინდი ივანეს ძე** დაიბადა 1947 წელს დმანისის რაიონის სოფელ ჯავახში. დაამთავრა განთიადის საშუალო სკოლა, შემდეგ თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი გეოგრაფიის სპეციალობით და თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჟურნალისტის სპეციალობით.

სხვადასხვა დროს მუშაობდა სოფელ პატარა დმანისის გეოგრაფიის მასწავლებლად; სოფელ მოსლების საშუალო სკოლის დირექტორად; დმანისის რაიონულ გაზეთ „თრიალეთის" განყოფილების გამგედ; გაზეთ „სოფლის ცხოვრების" პასუხისმგებელ მდივნის მოადგილედ; გაზეთ „კრიმინალური ქრონიკის" პასუხისმგებელ მდივნად. ამჟამად არის დმანისის რაიონულ გაზეთ „დმანისის" რედაქტორი.



**ასლამაზაშვილი ნიკოლოზ გრიგოლის ძე** დაიბადა 1918 წლის 16 მარტს, დმანისის რაიონის სოფელ ჯავახში. საშუალო სკოლა დაამთავრა 1938 წელს სოფელ გომარეთში (რაიონში პირველი გამოშვება). ამავე წელს გაწვეული იქნა სამხედრო სამსახურში – მონაწილეობდა ფინეთის ომში და დიდ სამამულო ომში პეტროზავოდსკის მიმართულებით.

დაჯილდოებულია მედლებით „საბრძოლო მამაცობისათვის", მედლით „ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებისათვის", „სამამულო ომის ორდენით".

იუზამ ასლამაზიშვილი

ომის შემდგომ წლებში მუშაობდა განთიადის საშუალო სკოლაში სამხედრო-ფიზკულტურის მასწავლებლად, პარტიის დმანისის რაიკომის ინსტრუქტორად. 1956 წელს სასწავლებლად შევიდა თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში და ისტორიკოსის სპეციალობით დაამთავრა იგი 1960 წელს.

შემდგომ პერიოდში მუშაობდა: ჯავახის 8-წლიან სკოლაში ისტორიის მასწავლებლად; ჯავახის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივნად; ჯავახის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ, სოფელ განთიადის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ; ბოლოს კვლავ ჯავახის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლად.

ამჟამად ცხოვრობს დმანისის რაიონის სოფელ ჯავახში. ჰყავს 4 შვილი, 10 შვილიშვილი და 12 შვილთაშვილი. არის რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი.

**ასლამაზიშვილი იური** (მაწანწალა) ქანდაკება. დ. 6.03.1939. საგარეჯო. მშობლები: ქეთევან ტოპეშაშვილი, სერგო ასლამაზიშვილი; მეუღლე – ქეთევან ქვლივიძე; შვილები: იაგო (1980), ანა (1981). სწავლობდა თსსა-ს ქანდაკების ფაკულტეტზე (1966-72). პედაგოგები: ა. კაკაბაძე, გ. ოჩიაური, ჯ. მიქატაძე. სადიპლომო ნამუშევარი – „გაზაფხული". გამოფენებში მონაწილეობს 1971 წლიდან. ძირითადი ნამუშევრები: „სტუდენტი გოგონა" (1971); „დეკორატიული მოტივი" (1973); „ხორუმი" (1978); „წიქარა" (1979); „ალექსანდრიის ბიბლიოთეკა" (იუნესკოს საკონკ. ნამ. 1984); „დიდგორის მემორიალი" (კონკ. 1984); „გამარჯვების მემორიალი, 1941-45 წ.წ." (კონკ. 1985); „წიქარა", ქვა (1989); „9 აპრილის მემორიალი" (კონკ. 1990); „არწივი დაჭრილი" (1991); „ომი და კაცობრიობა" (1996); „დაჭრილი საქართველო" (1996); „ებრაელების მოსვლა საქართველოში" (1997); ყაზახეთი, პეტრო-პავლოვსკი. „ბრესტის დაცვა" და „ლენინგრადის ბლოკადა" (1977); საგარეჯო, ალ. ცხვედაძის მემორიალი (1998).

**ასლამაძე 55**
**თბილისი – 41,**
**დმანისი – 12,**
**ბოლნისი – 1.**

ასლამაძე. შდრ. ასლამ-ი, ასლამა, კოლხეთი. 38. სალხინო (ალ. ღლონტი).

**ასლანაძე 28**
**თბილისი – 8,**
**თერჯოლა – 8,**
**ქუთაისი – 5.**

ასლანაძე. ასლან უცხოურიდან ნასესხები სახელია. თურქულად ლომს ნიშნავს. ის დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ამ სახელს დღესაც ბევრი პიროვნება ატარებს. შდრ.: ასლანა – მდივანი, ასლანა – ქალაქის მელიქი და მამასახლისი, ასლანა – ჰასახი, ასლანა – თავლიდარი, ასლანა – სახლთუხუცესი, ასლანა – ფარეშთუხუცესი, ასლანა – ნაცვალი, მოწმე და დამხედური. (*პალ. I. გვ. 188-189*).

**ასლანია 21**
**ზუგდიდი – 14,**
**თბილისი – 3,**
**მესტია – 1.**

ასლანდია. გვარში ფუძეა ასლან. ძირითადად ცხოვრობენ ზუგდიდის რაიონში. ვაუჩერი აულია 21 სულს (*ზუგდიდი – 14, თბილისი – 3, მესტია – 1*).

ასლანია, მომდინარეობს მამაკაცის საკუთარი სახელიდან ასლან

(სპარს. არსლან – ლომი).

ასლანი ამჟამად საქართველოში 2012 კაცს ჰქვია – (ქობულეთი – 435, ხელვაჩაური – 248, თბილისი – 191).

**ასლანიკაშვილი 223**
**თბილისი – 71,**
**წყალტუბო – 48,**
**ქუთაისი 34.**

**ასლანიკაშვილი.** გვარის ფუძეა მამაკაცის საკუთარი სახელიდან **ასლან** მიღებული მოფერებით-კნინობითი სახელი **ასლანიკ.** შდრ: მამია-დან ნაწარმოები მამუკა. მამუკელა (აქედან მამუკელაშვილი. მამუკაშვილი). შალვადან შალიკა (შალიკაშვილი. შალიკიანი და სხვა.)

ქართველ მამაც მფრინავთა კოჰორტას დიდ სამამულო ომში ამშვენებდა **აკაკი ანდრიას ძე ასლანიკაშვილი.** დაიბადა 1916 წელს ცაგერის რაიონის სოფელ ოფიტარაში. 1932 წელს ამბროლაურის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ იმუშავა პედაგოგად. შემდგომ კი მონაწილეობდა შირაქისა და კოლხეთის ათვისებაში. კომკავშირული საგზურით ჩაირიცხა ბალაისკის საავიაციო სასწავლებელში კურსანტად. 1940 წელს უფროსი ლეიტენანტის სამხრეებით, როგორც მფრინავ-კონსტრუქტორი გაიგზავნა დნეპროპეტროვსკის ოლქის პავლოგრადის საავიაციო სასწავლებელში. 1941 წლის ოქტომბერში იგი ჩელიაბინსკის საავიაციო სასწავლებელშია, სადაც განაგრძო მფრინავების მომზადება. მისი გმირობა და სიმამაცე, როგორც სამხედრო მფრინავისა, რამდენიმე ავტორმა აღწერა. შეტანილია ნოვაკის წიგნში „ტყის საიდუმლოებანი". ომის დამთავრების შემდეგ კარგა ხანს იმსახურა ავიაციაში, შემდგომ კი, როცა პენსიაში გავიდა, მუშაობა დაიწყო გაგრის რაიონის განთიადის აფხაზური სკოლა-ინტერნატში, აგრეთვე ლესელიძის ქართულ სკოლაში, ასწავლიდა სამხედრო საქმეს.



**ასლანიკაშვილი კალისტრატე (კალე) ანდრიას ძე** დაიბადა 1898 წელს ცაგერის რაიონის სოფელ ოფიტარაში. დაამთავრა ოყურეშის საშუალო სკოლა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში რუსეთში.



საქართველოში დაბრუნდა გასაბჭოების შემდეგ. მიიღო აქტიური მონაწილეობა რაჭა-ლეჩხუმში და სვანეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში. 1917 წლიდან იყო წითელ პარტიზანთა წევრი. 1920 წელს შევიდა თბილისის სამხედრო სასწავლებელში (სხვათა შორის, მასთან სწავლობდნენ გ. ყურაშვილი, ჩანჩიბაძე, ე. მჟავანაძე, კ. ლესელიძე და სხვები).

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მივლინებულ იქნა ცაგერის რაიონის შინსახკომის უფროსად. სხვადასხვა დროს მუშაობდა ლენტეხის, ამბროლაურის და სამტრედიის შ. განყოფილებებში უფროსად. 1937 წელს გადაიყვანეს თბილისში საქართველოს შ.ს. ერთ-ერთი განყოფილების უფროსად, ხოლო ომის პერიოდში სტალინის მიერ გაგზავნილი იქნა უზბეკეთში ფერგანის ოლქის შ.ს.

უფროსად. 1945 წელს დაბრუნდა საქართველოში, კერძოდ, ქუთაისის შს. უფროსად, სადაც იმუშავა დამსახურებულ პენსიაზე გასვლამდე. დაჯილდოებული იყო მრავალი სამთავრობო ჯილდოთი.



**ასლანიკაშვილი ლევან** დაიბადა 1961 წელს. დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-ელექტრომექანიკოსის სპეციალობით. 1988 წლიდან მთელი ძალ-ღონით ჩაება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. იყო საქართველოს სახალხო ფრონტის წევრი მისი ჩამოყალიბების დღიდან და მონაწილეობას იღებდა ყველა იმ წამოწყებაში, რომელიც დაკავშირებული სახალხო ფრონტის სახელთან.

1992 წლის დასაწყისში ლევან ასლანიკაშვილმა საბოლოოდ აირჩია მამულის დამცველის წმინდათაწმინდა გზა. იგი იყო მარნეულის ბატალიონის ასმეთაური და ეროვნული გვარდიის კაპიტანი. აფხაზეთში იბრძოდა სეპარატისტების მიერ გაჩაღებული ომის პირველი დღიდანვე. ლევან ასლანიკაშვილი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც გადამთიელთაგან გათავისუფლებულ ლესელიძეში შევიდა აგვისტოს ბოლოს. მასვე ხვდა წილად, ერთ-ერთი პირველი დაცემულიყო რიცხობრივად მრავალგზის აღმატებულ მტერთან ბრძოლაში 1992 წლის 3 ოქტომბერს.



**ასლანიკაშვილი ლერი ვახტანგის ძე** დაიბადა 1969 წელს ოჩამჩირის რაიონის სოფელ არადუში.

8 წლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისში კონსტანტინე ლესელიძის სახელობის სპეციალიზირებულ სამხედრო სასწავლებელში. მისი დამთავრების შემდეგ, 1988 წელს სწავლა განაგრძო მოსკოვის ავტოსატრანსპორტო სამხედრო სასწავლებელში. მისი დამთავრების შემდეგ დაბრუნდა და აქტიურად ჩაება დამოუკიდებელი საქართველოს აღორძინებისა და მთლიანობისათვის ბრძოლაში.

აფხაზეთში ომის დაწყებისთანავე მოხალისეთა რიგებში ჩადგა და სოხუმის ახლადჩამოყალიბებული 243 ბრიგადის №1 ბატალიონის მებრძოლი გახდა. ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე შეეწირა გარეშე ძალათა მიერ თავსმოხვეულ უგუნურ დაპირისპირებას.

აფხაზეთიდან დროებით მოშორებულებმა, რომლებიც წყალტუბოში ცხოვრობენ, ააგეს მემორიალური კომპლექსი, მიძღვნილი საქართველოს მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნისადმი. კომპლექსის ავტორია ლერი ასლანიკაშვილის მამა, ვახტანგ ასლანიკაშვილი.

ლერი ასლანიკაშვილი გარდაიცვალა 1993 წლის მარტში. დაკრძალულია სოფელ არადუში.

**ასლანიშვილი**-(ბარათაშვილი) //ადამაშვილი//ბეჟუაშვილი// (ბეჟუ-ანი)//გოსტაშაბიშვილი. მომდინარეობს საკუთარი სახელიდან **ასლან**. შეადარე ადრინდელი ფორმა **არსლან**. **ასლან**-ი თურქულია და ნიშნავს **ლომს**, გეან-დელი მნიშვნელობით *გმირი, გოლიათი, დიდი*.

სახელი გვხვდება XII საუკუნეში, დავით აღმაშენებლის მეფობის ხანაში (1064–1068 წ.წ.).

ასლანიშვილთა გვარის უძველესი ფორმაა **არსლას ძე, არსლანის ძე, არსლანიშვილი**.

ასლანიშვილი ბარათაშვილთა განაყოფი გვარია (*იხ. პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. I. თბ.. 1991 წ.; იას. ლორთქიფანიძე. ქვ. ქართლელი. წიგნი I და II. 1935 წ.. III და IV. 1938 წ.*).

როგორც ითქვა, **ქვემო ქართლელი ასლანიშვილები ბარათაშვილთა გვარის გაყოფის შედეგადაა წარმოქმნილი**, აქ ისინი იყვნენ მებატონე-მემამულეები. დასადგენია მხოლოდ მათი კავშირი მესხეთელ ასლანიშვილებთან, სადაც ისინი კათოლიკენი და სასულიერო პირებად არიან წარმოდგენილნი. ისტორიამ ამ გვარიდან არაერთი მესხელი სასულიერო მოღვაწის სახელი შემოგვინახა.

ბარათაშვილთა შორის მოიხსენიებიან:

**ბარათაშვილი** (ვარ. ასანბეგიშვილი, თაყასაშვილი) **ასლან** – 1663–1699 წ.წ შვილი თაყა ბარათაშვილისა, იხსენიება მოწმედ გუგუნა თამაზისშვილის მიერ როსტომ ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1682 წ. 7.1450. 1.110).

**ბარათაშვილი** (ვარ. ორბელიშვილი, ორბელისძე) **ასლან** (ვარ. ასლან ბეგ) – 1652–1697 წ.წ. მოლარე II მოლარეთუხუცესი (1677–1697 წ.წ. – 1357, 1450 – 1.110, 1448–57, – 9439) სომხითის მოურავი (1692–1697 წ.წ. 1450; 6.15, 15.79, – 403), დიდი ორბელ ბარათაშვილის შთამომავალი (1690–იანი წ.წ. –759). ჰყავს მამა ყაფლან ბარათაშვილი, ძმები: პაპუნა და თამაზი. შვილები: ლუარსაბ, ოთარ, მანუჩარ, რევაზ, ქაიხოსრო ორბელიშვილები (1693–1696 წ.წ. 1450.15.106, 15. 95.15.79, 543, 1450–15.115, 759); იხ. პირთა ანოტ. ლექს., I, გვ. 396–397).

ასლანიშვილები იყვნენ საჯაბადროს მოხელენი („აბჯრის დამცველი" (ივ. სურგ. 193–194); **შავერდა ასლანიშვილი** მოიხსენიება მოწმედ 1619 წელს შიოშ ხოლოდაშვილის (აქ მხარის ბატონის) ნასყიდობის წიგნში (საქ. სიძვ. II, 406); იასე ასლანიშვილი, შვილები ფარემუზა და პეტრე მოიხსენიებიან ნასყიდობის წიგნში, რომლითაც ირკვევა, რომ 1745 წელს ვახუშტი გოსტაშაბიშვილმა მიჰყიდა მისი კუთვნილი ნავენახარი (საქ. სიძვ., I, 92); **პაპა ასლანიშვილი** მოხსენიებულია 1721 წლის ერთ-ერთ საბუთში. ასლანიშვილები არიან მება-ტონეები, ყმა-გლეხები ჰყავთ და მამულები აქვთ სოფლებში: თოფრაყალა, ძეძენარიანი, შუაბოლნისი, სიქიშხანი, უშევანი, დელცნუტი, ურუტი, ეგრისი, ანდრია, ანდიკა, დარბაზი, შარმაზა, სოფელი, ჩიტალა, ზემო ბოლნისი, რევაშენი,

ბერთაქარი, კრკრიანი, აბულმაკი, თავანი, ჯალალამი, ჭრეში, შიშილეთი და სხვ. ამ სოფლების მეტაპროფე-მესაკუთრეები არიან: ქაიხოსრო, თუმანი, მანუჩარი, რუ-ევაზ, თამაზ (სარდალი) ასლანიშვილები. თავადის მამულებზე ასლანიშვილების ანაურებად ჰყავთ: ანაურიშვილი გიორგი ტეველიშვილი – ზურაბ ღრუბელიშვილი შაბური – სიმონ-ურუზი – როსტომი – ფეშო ანაურიშვილი ახსაზიყანის ძმა დათუნა, ანაურიშვილი ბეჟან ყორღანიშვილი, ივანე ჯორჯოლიანის ანაურიშვილები ოვანესა, ზალია აქაანდოლ ტერტერაშვილები – რამაზ ჩიკოიძე, თამაზა კარგარეთელი – ბასილა ხუციშვილი (*იხ. ვახუშტი. მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მე-18 საუკუნეში. თბ. 1907. გვ. 224-231*).

ქვემო ქართლში ასლანიშვილებს ეხვდავთ გლეხთა შორისაც. ასლანიშვილები იყვნენ მართლმადიდებლები, მესხეთში სცხოვრებლებმა მიიღეს კათოლიკობა. რამდენიმე მაგალითი: 1834 წლის, თებერვლის 18-ს აელაბარში მცხოვრებმა სახაზინო ყმამ გრიგოლ ასლანიშვილმა იოანეს ძემ იქორწინა კუკიაში მცხოვრებ სახაზინო ყმის იმერლის ბუჭუკელა თხილაძის ასულის ქალწულ ქალ თინათინზედ: ჯვარი დასწერა წმინდა ჯვარის გამოჩენის ეკლესიის მღვდელმა იოანე პეტრეს ძე იმნაძემ. გვირგვინის კურთხევის დროს იყო დიაკონის თანამდებობის აღმასრულებელი პავლე ფცნატეს ძე ჩიკურაძე" (*სცსსა. ფ. 489. აღწ. 6– საქ. № 203. ფურც. 6*).

**ასლანიშვილებს საჩინო საგვარეულოთა ტრადიციისამებრ ჰქონიათ განაყოფი გვარები: ასანბეგიშვილი, თაყასშვილი, ორბელიშვილი, ორბელისძე, ადამაშვილი.)**

მაგალითად, 1843 წლის აღწერით, პატარა თონეთში თავად ლუარსაბ ორბელიანის დასჯილ ყმებად მოიხსენიებიან **იაკობ ასლანიშვილი, იგივე ადამაშვილი. სოსია ასლანიშვილი//ადამაშვილი გოგია ასლანიშვილი//ადამაშვილი** (იქვე. ფ. 254. I. 2042 ფურც. 328).

ასლანიშვილთა გვარმა მრავალი სახელოვანი პიროვნება მისცა ისტორიას. მათ შორისაა პატრი **დონ გაბრიელ ასლანიშვილი**, მხურვალე ქართველთაგანი. ქართველ ქველმოქმედ და დიდ მამულიშვილთა წარმომადგენლის სტეფანე ზუბალაშვილის მიერ (დედის ელისაბედის ანდერძით) აშენებული ბათუმის ქართველ კათოლიკეთა დიდი ეკლესიის წინამძღვარი.

... **დონ გაბრიელი** დაიბადა 1860 წელს. სწავლა დაამთავრა რომს, იქვე ეკურთხა მღვდლად. იცოდა ევროპული და აზიური ენები. ბათუმის ეკლესიისათვის იგი არის შესაფერი წინამძღვარი, ვინაიდან ეს ეკლესია სადაო სახეს იღებს. ის ოდესმე იქნება ქართველ კათოლიკეებს წაართვან კიდეც. დონ გაბრიელი კი ისეთი მოძღვარი გახლავთ, რომ ეკლესიას კი არა და ჩხირსაც ვერავინ წაართმევს უსამართლოდ.

დონ გაბრიელ ასლანიშვილი, ანუ რუსთაგან ასლანოვად წოდებული, შთამომავლობით ქართველია და ისინი სოფელ ბაერლები არიან (*ახალქალაქის მაზრა*).

დონ გაბრიელ ასლანიშვილი ხალხის ცხოვრებაზე გონიერი შეხედულებისაა. მიაფლიან იმარიულების მოძღვარია. ის დიდი მომხრეა ხალხის განათლებისა და განვითარებისა. დიდი მოსურნეა, რათა საქართველოში გაიხსნას სკოლები. შემცირდეს ღარიბ-ღატაკთა რიცხვი. ამიტომაც მან იმეცადინა და ერთ დროს ახალქალაქის მაზრიდან, რამდენიმე კომლი ქართველი უმიწაწყლო გლეხები გორში გადმოასახლა. მათ იჯარით უშოვნა გორთან მამულები და დაასახლა.

დონ გაბრიელმა ეკლესიის საქმენი კარგად შემოფარგლა. მოღვაწეებსაც გული დაუდინჯა. ეკლესიის შეკეთებაც მოახერხა. საეკლესიო ადგილის ვალი გადაიხადა. სხვაც ბევრი რამ გააკეთა. რაც მთავარია, ხალხში სიმართლისა და ჭეშმარიტებისათვის ზრუნვა არ მოუკლია" *(ზ. ჭიჭინაძე. ნიკოლოზ ბესარიონის ძე ლოლობერიძე და ქართული სტამბა (1627–1913 წ.წ., ტფ. 1914).*



**ასლანიშვილი იოსებ ანტონის ძე** შეტანილია ქართულ ენციკლოპედიაში. ექიმი – ენდოკრინოლოგი, მთასვლელი და საზოგადო მოღვაწე. საქართველოს დამსახურებული ექიმი (1946 წ.), მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი (1936 წ.), დოცენტი (1940 წ.), სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი (1946 წ.). ენდემური ჩიყვის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ორგანიზატორი საქართველოში. 1914 წელს დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. მუშაობდა სამრეწველო ტრავმატიზმის, ქირურგიული ტუბერკულოზის, ფიზკულტურისა და მთასვლელობის საექიმო კონტროლის დარგში. სწავლობდა მთაში (ზემო სვანეთი, მთარაჭა, აჭარა) ენდემური ჩიყვის გავრცელებას და მის ბუნებას. დააარსა ენდოკრინოლოგიური ლაბორატორია თბილისში (1932 წ.) და წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა მას. 1923 წელს მონაწილეობდა ალ. დიდებულიძის ხელმძღვანელობით მოწყობილ პირველ ქართულ გეოფიზიკურ ექსპედიციაში მყინვარწვერზე, რომელმაც გ. ნიკოლაძის ექსპედიციასთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ალპინიზმის განვითარებას. ი. ასლანიშვილი საქართველოში ა. ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბის ერთ-ერთი დამაარსებელია (1936 წ.) საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების წევრი. იყო ჟურნალების „შევარდენი" (1920–1922), „თეატრი და მუსიკა" (1919), „ხელოვნება" (1919–1921 წ.წ.), „თანამედროვე მედიცინა" (1924–33 წ.წ.) და სხვ. რედაქტორი. გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები ენდოკრინოლოგიის, მთასვლელობის, ხელოვნებისა და სპორტის საკითხებზე.



**ასლანიშვილი შალვა სოლომონის ძე.** მუსიკათმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (1946 წ.), პროფესორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1943 წ.), ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი (1927 წ.).

1930–73 წ.წ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის თეორიის კათედრის გამგე 1945–50 წლებში სათავეში ედგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის მუსიკალური ფოლკ–

ლორის განყოფილებას. 1927–50 წლებში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მთის რაიონების მრავალი სიმღერა ჩაწერა. ამ მოღვაწეობის შედეგად შექმნილი ნაშრომები საფუძვლად დაედო ქართული ჰარმონიის კურსს, რომელიც იკითხება თბილისის კონსერვატორიაში.

შ. ასლანიშვილი მუშაობს მუსიკის თეორიის, განსაკუთრებით ქართული ხალხური და პროფესიული მუსიკის საკითხებზე. მან აღზარდა მრავალი მუსიკათმცოდნე *(იხ. ქსე. ტ. I, გვ. 636–637).*

ასლანიშვილთა გვარიდან აღნიშვნის ღირსნი არიან: **ასლანიშვილი ალექსანდრე (ალეკო)** – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქტორის მოადგილე, ჟურნალისტი და პუბლიცისტი.

**ასლანიშვილი ვასილ.** დაიბადა 1924 წელს სოფ. მაშავერაში (დმანისის რაიონი). 7 კლასის დამთავრების შემდეგ 1937 წელს შევიდა და 1941 წელს დაამთავრა ქ. თბილისის ზოოვეტერინარული ტექნიკუმი ვეტ-ტექნიკოსის სპეციალობით. დაუსწრებლად, 1954 წელს დაამთავრა სამწლიანი სრულიად საკავშირო აღრიცხვის თბილისის ფილიალი სოფლის მეურნეობის ბუღალტრის სპეციალობით, ხოლო 1969 წელს ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი სახალხო მეურნეობის ბუღალტრის სპეციალობით.

1942 წლის თებერვლიდან გაწვეული იყო სამხედრო სამსახურში. 1942–45 წლებში მონაწილეობდა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე სხვადასხვა მიმართულებით ოფიცრის ჩინით. – მუშაობდა ოცეულის მეთაურიდან ასეულის მეთაურამდე. ფრონტზე ბრძოლებში დაჭრილია თიხჯერ. მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები 2 ორდენი (წითელი ვარსკვლავი და სამამულო ომის I ხარ) და მრავალი მედალი.

სახალხო მეურნეობის დარგებში ნამუშევარი აქვს 55 წელი. მათ შორის ბუღალტრად და სამინისტროში მთავარ რევიზორად 35 წელი, საბჭოთა მეურნეობისა და დამზადების კანტორის დირექტორად 5 წელი, ფინანსის გამგედ და სამინისტროს საფინანსო განყოფილების უფროსად 4 წელი და სხვადასხვა დარგებში 11 წელი.

არის რესპუბლიკის დამსახურებული ბუღალტერი 1982 წლიდან. ამჟამად არის რაიონის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე

**ასლანიშვილი ალექსანდრე** (ალი), ფერწერი. დ. 20.2. 1958 ისპანის ოლქ–ისფერეიდანის რ–ნის, ს. ჩუღურეთი. მშობლები: **ნინო ზამანანი (იოსელიანი), ალექსანდრე (ისკანდერ) ასლანიშვილი;** მეუღლე – **რუსუდან ჩაჩანიძე** (1962); შვილები: თეკლე (1988), მარიამი (1990), ლუკა (1995). სწავლობდა თსსა-ს ფერწერის განყოფილებაზე (1980–86). პედაგოგები: გ. ჯაში, დ. ხახუტაშვილი, კ. მახარაძე. სადიპლომო ნამუშევარი – პეიზაჟების სერია „გაგრა" (ხელმძღვანელი – კ. მახარაძე). გამოფენებში მონაწილეობს 1984 წლიდან. ძირითადი ნამუშევრები: სერიები „მთათუშეთი" (1986), „გაგრა", „ღამის ხელები" (1987), „ჩემი სოფლის

ბაღები", „მოგონებანი ფერეიდანზე" (1996-98), „ბორჯომი", „ლიკანი" (1998). გამოფენები: ქართული სახვითი ხელოვნების რეტროსპექტული. 80-იანელები, „მხატვრის სახლი", თბილისი (1987), სეზონური (1997-98), პერსონალური – საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობის საზოგადოება (1999). მუშაობდა საგარეჯოს სამხატვრო სკოლის დირექტორად (1986-91).

**ასლანიშვილი სერგო,** ფერმწერი. დ. 19.2.1924, როსტოვი. სწავლობდა თსსა-ს ფერწერის ფაკულტეტზე (1944-51). პედაგოგები: მ. თოიძე, ი. მამალაძე, ა. ციმაკურიძე. სადიპლომო ნამუშევარი – „რთველი კახეთში" (ხელმძღვანელი ა. ციმაკურიძე). გამოფენებში მონაწილეობს 1952 წლიდან. საქართველოს მხატვართა კავშირის წევრია 1983 წლიდან. ძირითადი ნამუშევრები: ფერწერა – „რთველი კახეთში" (1951), პორტრეტები – „ა. ჭავჭავაძე" (1953), „ე. ჭავჭავაძე" (1954), „ა. ჭავჭავაძის სიკვდილი" (1966), „ხილის ნატურმორტი" (1995), „თელავი" 1953), „ატმების და საზამთროს ნატურმორტები" (1996), „ალაზნის პეიზაჟი" (1986), „საღამო. ალაზნის პეიზაჟი" (1986). გამოფენები: თელაველ მხატვართა – თბილისი (1982), რესპუბლიკური, თბილისი (1982), რესპუბლიკური, თბილისი (1984), თელავის მხატვართა, ქუთაისი (1985), თელავის ზონალური (1980), პერსონალური (1981), საიუბილეო, თელავი (1983), საგაზაფხულო, ზონალური (1984), საიუბილეო, პერსონალური (1997). მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს მხატვართა ფონდში, თსაა, წინანდლისა და თელავის მუზეუმებში. არის საქართველოს დამსახურებული პედაგოგი, თელავის საბავშვო სამხატვრო სკოლის დირექტორი (1951 წლიდან).

ასლანიშვილთა გვარის ძირის „ასლან" ქართული თარგმანი რომ გაგვეკეთებინა, გვექნებოდა გვარები: **ლომაია, ლომაშვილი, ლომაძე, ლომიძე** და სხვ.

ასლანიშვილების გვარმა ასლამაზიშვილების ბედი გაიზიარა. დღემდე 1129 კაცზე მეტი **ასლანიშვილი ასლანოვადაა ჩაწერილი (თბილისი – 362, წალკა – 161, მარნეული – 129).**

**ასლანიშვილი – 1168**
**თბილისი – 341,**
**ბოლნისი – 145);**
**შდრ.: ასლანოვი,**
**უპირატესად**
**ასლანიშვილები – 1129**
**თბილისი – 342,**
**წალკა – 161,**
**მარნეული – 129.**

**ასლანიშვილი–ადამაშვილი–ბარათაშვილი.** როგორც ითქვა, გვარის ფუძეა **ასლან** (ძველი ფორმაა **არსლან**). შდრ.: **არსლანიშვილი – სტეფანწმინდელი.** ალექსანდრე მეფის ბრძანებით, იგი ხევმა მძევლად მისცა გერგეთის საყდრიშვილებს (1439 წ.).

ასლან (თურქ.) ნიშნავს *„ლომს"*, ჰოლანდიურად აღნიშნავს *„ოქროს მონეტას"*, გვიანდელი მნიშვნელობებია: *„გმირი"*, *„დიდი"*, *„გოლიათი"*.

საქართველოში სახელი ასლან (არსლან) ჩნდება XII საუკუნეში.

შდრ.: **არსლან ოქრომჭედელი.** XII საუკუნე (ტბეთის სულთა მატიანე, 183).

ჯერჯერობით გამოკვლეულია, რომ ასლან ადამაშვილიდან და ასლან ბარათაშ-

ულიდან გაჩნდა შტო-გვარები – ასლანიშვილი. ასლანიშვილები უპირატესად ჩანან მესხეთში (იქ უფრო საეკლესიო პირები არიან) და ქვემო ქართლში, სოფელ ბორბალოში (თეთრიწყაროს რაიონი), სადაც ბარათაშვილთა სალოცავი და საძელო იყო, ცხოვრობდნენ მათი განაყოფი ასლანიშვილები. ამ ასლანიშვილების განშტოებად ითვლებიან იმავე სოფელში მცხოვრები ბექუაშვილები.

გვარი ასეთნაირად წარმოგვიდგება: ადამაშვილი–ასლანიშვილი, ბარათაშვილი–ასლანიშვილი, ასლანიშვილი–ბექუაშვილი.

ასლანიშვილთა მცირე ნაწილი ქვემო ქართლის ყოფილი მებატონე-მემამულე ბარათაშვილ-გოსტაშაბიშვილთა განაყოფები არიან.

გამოკვეთილად ასლანიშვილთა ორი შტო გვაქვს დაფიქსირებული – ქვემო-ქართლელნი და მესხნი. მესხეთში ასლანიშვილები ძირითადად საეკლესიო პირები იყვნენ და ეკლში სახლობდნენ. ეკლელთა მკვიდრი ბერიელი სოლომონ ასლანიშვილი წერდა: „ის მახსოვდა, რომ ენახული იქ ჩვემის მამა-პაპის საშობლო სოფელი, იმ სოფელზედ. სადაური ისინი არიან გამოსახლებულნი."

ბექუაშვილი – 1094
თბილისი – 282,
თელავი – 231,
ქუთაისი – 106).
*იხ. იაკობ ახუაშვილი, ქართული გვარ-სახელთა საიდუმლოებანი, თბ., 1997, გვ. 37–38).*

ასლანიშვილების შტო-გვარებია: ადამაშვილი და ბექუაშვილი (სოფ. ბორბალოში, თეთრი წყაროს რაიონი). ორივე გვარი არსებობს დამოუკიდებლადაც.

ასლანიძე. გვარის დამწყებია ვინმე ასლან-ი. 1999 წლის მიღებული აღწერების მიხედვით დაფიქსირებულია 95 სული. ქობულეთი – 25, დედოფლისწყარო – 18, ლანჩხუთი – 8.

ასლიშვილი ძველი გვარია (1512 წ.). მომდინარეობს მამაკაცის საკუთარი სახელიდან ასლო, ასლია. შდრ. ასლია – მოწმე ნუბიტა ფირუაშვილის მიერ ბეჟან ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1633 წ.).

ასლიშვილი ბერუა – მოწმე მიწის ნასყიდობის წიგნისა (1512წ.) (პალ. I. 190).

ასმავა (27) – 40
ჩხოროწყუ – 12,
ზუგდიდი – 8,
სენაკი – 7.

ასმავა. გვარის ფუძე ნაწარმოები უნდა იყოს ქალის უძველესი სახელიდან ასმათი. დღესაც ეს სახელი უაღრესად პოპულარულია საქართველოში. იგი (1528) 5175 ქალს ჰქვია (*თბილისი – 937, ზუგდიდი – 365, ქუთაისი – 226*).

ასპანიშვილი 57
თელავი – 56,
რუსთავი – 1.

ასპანიშვილი. მომდინარეობს მამაკაცის საკუთარი სახელიდან ასპან (იხ. ასპანიძე).

ასპანაძე – 212
ქუთაისი – 58,
თბილისი – 25,
თერჯოლა – 34.

ასპანიძე. ნაწარმოებია მამაკაცის საკუთარი სახელიდან ასპან. შდრ. ასპან ამირეჯიბი – მას ლუარსაბ მეფემ უწყალობა აძეიხი. წალულს რამაზანისშვილისა და რევაზიშვილის კუთვნილი მამულები (1613 წ.).

ასპან ამირეჯიბი – შვილი ქაიხოსრო ამირეჯიბისა (პალ. გვ. *135*).

| |
|---|
| **ასპანიძე – 668** |
| **ასპინძა – 197,** |
| **თბილისი – 166,** |
| **ახალციხე – 104.** |

ასპანიძე. გვარის ფუძეა ასპან (ასპანიძე). ასპანისძენი გამუსლიმანებას გამოექცნენ და ფანასკერტში დასახლდნენ. ამის მიხედვით იწოდნენ ისინი ფანასკერტელად (ფანასკენტი). ისინი ახლოს იყვნენ თამარ მეფესთან და მეგობრობდნენ სპასპეტ ზაქარია მხარგრძელთან. სწორედ ზაქარიას შუამდგომლობით თამარ მეფემ წარჩინებულად დაადგინა და დაავალა ფანასკენტის ზედამხედველობა და მამულიც მისცა. მეფე ბაგრატის მეფობის უკანასკნელ წლებში ზაქარია ფანასკერტელი (მოგვიანებით ფანასკერტელი) იყო წარჩინებული მხედართა წინამძღოლი. *„რომელსა უწოდნენ ზაზად და ამან უკვე დიდად მსახურა დროსა მისულისა დანგ თემურისა. რომელიცა ბრძოდა მეფესა და ვინადგან წარჩინებულ იქნა ზაზა ფანასკერტელი. აიძულა მეფემან და გარდმოასახლა საქართველოს შინა და მიუბოძა მძლეურისა ხეობასა შინ სოფლები და განაყოფისა ამათა უბოძა ნიჩბისის ხეობაზედ სოფელნი. და დაასახლნა მუნ."*

ასპანისძენი უძველესი ფეოდალური გვარია მესხეთში. მათგან მომდინარეობენ ფანასკერტელები და ციციშვილები. ფანასკერტელები იყვნენ შავშეთკლარჯეთ–ტაოსა ერისთავთ–ერისთავნი (ვრცლად საუბარი გვაქვს ციციშვილებთან.).

**ემზარ ასპანიძე** ბორჯომის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა 1961 წ. 2 სექტემბერს. მშობლები: **როზა ბეთხოშვილი, ნოდარ ასპანიძე**; მეუღლე – **ვერა კონსტანტინოვა** (1962); შვილები: **სოფიო** (1987), **სალომე** (1990). დაამთავრა სპი საშენებლო ფაკულტეტი (986). იყო №6 სამშენებლო ტრესტის ლაბორატორიის გამგე, პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარე (1986–87), კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი, ახალგაზრდული მშენებლობის სექტორის გამგე (1987–90), ბიზნესმენი (1990–98), ასპინძის რაიონის გამგებელი (1998–2000). ბორჯომის რაიონის გემგებელია 2000 წლიდან.

**ასპანისძე–ასპანიძე–ფანასკერტელი–ციციშვილები...** *„ასპანისძე ძველი ქართული ფეოდალური საგვარეულო სახელი". ს. ჯანაშია).* XII საუკუნეში ასპანისძენი ტაოს მფლობელნი იყვნენ და ფანასკერტელად იწოდებოდნენ. მათი ერთი შტო XV საუკუნეში გადმოსახლდა ქართლში და ფანასკერტელ–ციციშვილად იქცა *(ნ. ბერძენიშვილი. ფანასკერტელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიიდან. ისტორიული გეოგრაფია. I. 1960. 95–116; იდ. მოსურ., 24).)*

ასპანიძესთაგან მოდის დღევანდელი ციციშვილების გვარის ასპანიძეები. დღესაც ცხოვრობენ ასპინძის რაიონში.

მოგვიანებით ასპანისძენი შედიოდნენ სვეტიცხოვლის სამწყოსში. სამცხესაათაბაგოს თავადთა სიის მიხედვით, მათი სამკვიდრებელი სასაფლაოთი, მონასტრით და კარის ეკლესიით, სვირიდონ (ბეენაშვილს) დაუკავებია (1516 წ.). „ასპანისძენი სასაფლაოსა. მონასტრისა და კარის ეკლესიისა სვირიდონის აქუს" *(სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები. თბ. 1961, გვ. 35).*

ამავე ძირისაა ასპანაშვილი (შდრ. სპარსული ასპანს), ასპანიძე (ასპანიძე-ლაშვილი).

**ასრაკაძე – 26**
თბილისი – 16,
გარდაბანი – 5,
თეთრიწყარო – 4;

**ასრაკაძე–არსაკაძე–არსაკიძე–არსუკიძე–კიკოლაშვილი.** ისტორიაში ეს გვარი ცნობილია სვეტიცხოვლის ამშენებლის – არსუკიძის სახელით. არსაკიძეთა გვარის განშტოებაა კიკოლაშვილი. კიკოლაშვილები აზნაურიშვილებად მოიხსენიებიან.

**კიკოლაშვილი – 359**
თბილისი – 151,
ყვარელი – 62,
გარდაბანი – 35.

კიკოლაშვილები (კიკოლაანი) მოიხსენიებიან ანტონ II-ის ოქმით საეკლესიო გამოსაღების ნუსხაში (1800წ. 14 მარტი). ქ გალა კიკოლასი არის ნიშანი ასაღები (ქსძ. III. 1052). ქვემო ნიჩბისში არის კიკოლაანთ საყდარი. არქიტექტურული ძეგლი. დგას სოფლის განაპირას. თარიღდება X საუკუნით. ქვემო ნიჩბისის მახლობლადაა სოფელი ხეკორძი. ამ სოფლის ჩამოუდის ხეკორძულას წყალი. სოფ. ფარცხისში (თეთრიწყაროს რაიონი). ერთი ძმა ასრაკიძეა. ხოლო მეორე კიკოლაშვილი.

ცხოვრობენ თეთრიწყაროს რაიონში (ჯორჯიაშვილი. ფარცხისი) და სხვაგან.

ასრაკაძე იგივე არსაკაძე – არსაკიძეა. მათი შტო-გვარია კიკოლაშვილი. საკუთარ სახელად გვხვდება როგორც ასრაკ ისე არსაკ და კიკოლა *(იხ. იაკობ ახუაშვილი. ქართული გვარსახელები. თბ. 1994. გვ. 230)*. სოფელ ფარცხისში (თეთრიწყაროს რაიონი) 1871 წელს მოიხსენიება ილიკო ასრაკაძე–კიკოლაშვილი.

ბოგვეში მცხოვრებ დავით ასრაკაძის მეუღლეს 1820 წელს შეეძინა ქალიშვილი თამარი, მომქმედად იყო სოფ. ბორბალოში მცხოვრები იმერელი კვირია ქებაძე. სოფელ ფარცხისში 1873 წლის აღწერაში მოიხსენიებიან: გიგოლა იოსებისძე, პეტრე აბრამისძე, დავით ბერისძე ასრაკიძეები *(სცსსა. ფ. 254. №3. 124, საქმე №279. ფურც. 253)*.

**ასპინძელაშვილი 30**
თბილისი – 15
რუსთავი – 3,
ბორჯომი – 1.

**ასპინძელაშვილი,** გვარაქცეული სადაურობის სიტყვა. ასპინძა რაიონული ცენტრის სახელწოდებაა სამხრეთ საქართველოში.

**ასპოშვილი – 30**
გურჯაანი – 29,
თბილისი – 1.

**ასპოშვილი.** გვარის ფუძე ასპო ნაწარმოებია საკუთარი სახელიდან ასპან, ასპანადან. ასპან-ადან მოფერებით-კნინობითი სახელებია ასპო, ასპუა.

**ასრათაშვილი – 162**
თბილისი – 54,
თეთრიწყარო – 33,
რუსთავი – 6.

**ასრათაშვილი** ასრათაშვილი მომდინარეობს მამაკაცის საკუთარი სახელიდან ასრათა (ჰასრათა) *(პალ. I. 191)*.

**ასრათაშვილი** – მისი ვენახი ესაზღვრებოდა ბერიკა ხუდადაშვილის მიერ ტარიელ ქავთარაძისათვის მიყიდულ ვენახს (1692წ.) *(იქვე)*.

ასრათ არაბულია და ნატერას ნიშნავს (ნატერიშვილი), იგივეა რაც „მონატრება“. ოჰანეზა, ანდრო, ივანე ასრათაშვილები მოიხსენიებიან დიდ თიანეთში (თეთრიწყაროს რაიონი) 1886წ. *(იხ. იაკობ ახუაშვილი. ქართული გვარსახელები. გვ. 229).*

შენიშვნა: *ხუდადაშვილები* ქართველები არიან. რუსულ საბუთებში ისინი ბევრ სხვა გვარის მსგავსად ხუდადოვად ჩაწერეს (ი. ა.).

**ასრატაშვილი – 22**
**თბილისი – 11,**
**რუსთავი – 11.**

**ასრატაშვილი** (შდრ. **ასრათაშვილი**). **ასრათა,** საქართველოს სიძველენი. **II**, 204.

**ასტამაძე.** ასტამი, ცომის მოსაფხეკი. მეტსახელი **ასტამი.** ასტამაძე გორგოსრიოლისხევს მცხოვრები... (1700 წ.).

**ატამაძე – 38 (გარდაბანი – 59, გორი – 34, თბილისი – 45).**

**ატაშვილი – 53**
**მესტია – 45,**
**თბილისი – 6,**
**გორი – 1.**

**ატაშვილი.** ატა გვხვდება როგორც საკუთარი, ისე მეტსახელი. შდრ. **ატა** სტატისტიკური ცნობები XVIII ს. 410 (ალ. ღლ., 76).

**ატილაშვილი–ათელაშვილი–ქავთარაშვილი** ერთის შემთხვევაში ერთიდაიგივე გვარია. ქავთარაშვილი არის ბარათაშვილის განაყოფი გვარიც და გვხვდება აგრეთვე დამოუკიდებლად წარმოქმნილადაც (იხ. ბარათაშვილები.).

**ქავთარაშვილი – 600 (ახმეტა – 478, ყაზბეგი – 50, თბილისი – 32).**

**ქავთარიშვილი – 60 (ახმეტა – 53, თბილისი – 3, თელავი – 2).**

**აფაქელავა,** პავლე ინგოროყვას სვანეთში ჩაწერილი აქვს მამაკაცის საკუთარი სახელი აფაქ *(იხ. ალ. ღლ. გვ. 76).*

აფაქიძეთა. მეგრული მეტყველებით „აფაქია“-თა გვარი ძირძველი ფეოდალური გვარი იყო ოდიშის სამთავროში. გვარი მომდინარეობს საკუთარი სახელიდან აფაქ. პირის სახელი აფაქ X საუკუნიდან გვხვდება ქართულ წყაროებში.

**აფაქიძე – 1337**
**თბილისი – 300,**
**ხელვაჩაური – 249,**
**ზუგდიდი – 148.**

აფაქიძეები ცხოვრობენ როგორც სამეგრელოში, ისე გურიაში, აჭარაში, თბილისში და სხვაგან. გვართან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული.

აფაქიძე. აღმოსავლურმა სახელებმა **აფაქ, აბას, აბულ, არსაკ, არჯევან, კალდია, დად, მახარობელა, საგინ, სადირ, სალიბეგ, პაპია, ჩოლოყა, სუმბათ, ნინე, დარეჯან, მერკვილ** და ბევრმა სხვამ სპარსეთიდან, არაბეთიდან, თურქეთიდან, მანამდე კი შუმერ-ურარტუდან საქართველოში იმთავითვე შემოაღწიეს და ისე მყარად დამკვიდრდნენ, რომ ეჭვიც არ გვეპარება მათ უცხოურ წარმოშობაში. უფრო მეტიც, ამ სახელებიდან ჩვენმა წინაპრებმა აწარმოეს გვარები **აფაქიძე, აბასაშვილი, აბულაძე, არსაკიძე, არჯევანიძე, დადიანი–დადიანიძე, კალდიაშვილი, პაპიძე–პაპიაშვილი, საგინაშვილი, საგინაძე, სადირაძე, სალარაძე–სალარაშვილი.**

აფაკ სპარსულში *სუფთას, წმინდას,* აგრეთვე *მართალ, რიგიან, საქმის კაცს*

გამოხატავს. ეს კარგად ჩანს აჭარულ დიალექტში. იტყვიან: „ცოცხი და წყალი აფაქებს სიბინძურეს“, „ღმერთი იმედია გააფაქებს მაგას ამ დღიდან“. ე.ი. ზნედაცემულს, უსინდისოს უფალი ნამდვილად მოგვაცილებს, მოგვაშორებს. სხვისაზე შავბნელი გზით მოპოვებულზე არასაჭირო, ზედმეტ საგანზეც ამბობენ „გააფაქე მომაშორე წაიღე“. ასევე იციან გამოთქმა „აფაქდი“ ანუ აღექი, წადი. ეს მაშინ, როცა კაცი ლაყბობითა თუ უწესრიგობით თავს გაბეზრებს, წასვლა-შეწყვეტას ვერ ხედება.

საკუთარი სახელი აფაქ დასტურდება სვანეთში. გვარი აფაქიძე რაჭაში, იმერეთში, კახეთში, დმანისში გვხვდება, ხოლო გურიაში შუფაქიძის ფორმით. 1532 წ. იმერეთის მეფე ვახტანგ გორგასალის მოხელე იყო ამირეჯიბ აფაქიძე. 1540 წლის იმერეთის ერთ სიგელშია კალანდ აფაქიძე. აჭარაში ჩაქვისთავის (ქობულეთის რაიონი) და ზედა ჯოჭოლეთაში (ხელვაჩაურის რაიონი) მრავლად არიან. წარმოშობით ჯოჭოლელმა, დამსახურებულმა მასწავლებელმა ვახტანგ აფაქიძემ მოთხრა: ჩემიანებს წინაპრებიდან სმენიათ, რომ მათი ნამდვილი გვარი სუმბათიძე თუ სუმბათაშვილი იყო. მეგრელი ბახტაძეებიც ამ გვარისანი არიან.

რა მოხდა, რატომ გამოიცვალეს გვარი? გვარების გადახედვა-დაზუსტებისას, რაც მოსახლეობის აღწერისა და ნამდვილი საბუთების შექმნიდან გამომდინარეობდა, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ზოგიერთებს ნება დართეს, მათთვის სასურველ გვარზე დაწერილიყვნენ. და აი, სუმბათიძეებმა, სუმბათაშვილებმა თუ სუმბაძეებმაც იფიქრეს: ალბათ, ეს გვარი კარგია, ასე მრავლად რომ გავრცელებულა დასავლეთ საქართველოში და აღასრულეს კიდეც.

ე. აფაქიძის ცნობა სარწმუნო ჩანს. XI–XIII საუკუნეების მაჭახელის სულთა მატიანეში, რომელშიც ჯოჭოელი და ეგრელი იხსენიება, ღმრთისადმი შესანდობარში დამოწმებულია სუმბატ ჩიტაშვილი და სუმბატ დვალიშვილი, არის გვარებიც, ორი გივი სუმბატისშვილი 138 და 574 ნომრებით (ტბეთის სულთა მატიანე, გვ. 78, 104, 134, 138), ე.ი. სუმბატიშვილები სხვადასხვა წლებისანი არიან. თუ დავუმატებთ იმას, რომ აჭარაში, გაღმა იმერხევში, უფრო სწორად თურქეთის მფლობელობაში მყოფ მაჭახელში გვარი სუმბაძეც დასტურდება, მაშინ თამამად შეიძლება, ე. აფაქიძის ინფორმაცია მართებულად მივიჩნიოთ და ისიც ვთქვათ, რომ ერგო-ჯოჭოში ძველად სუმბათაშვილებიც ცხოვრობდნენ.

სუმბათაშვილ-იუჟინი გამოჩენილი რეჟისორი იყო. სუმბატიდან წარმოქმნილი გვარი სომხებსაც აქვთ. აჭარაში რომ აფაქიძეები ცოტანი არიან, ამას ადასტურებს მათი აქტიური მონაწილეობა მეორე მსოფლიო ომში. მათგან ერგე-მახინჯაურში 12 აფაქიძე არ დაბრუნებულა ფრონტიდან. აფაქიძეები ბათუმის გარეუბან ანგისაშიც ცხოვრობენ. აქაურია წარმოშობით ბათუმის მერიის არქიტექტურის სამმართველოსთან არსებული საპროექტო განყოფილების უფროსი, ქალაქის ყოფილი არქიტექტორი ომარ აფაქიძე. მისი დაპროექტებულია გოგებაშვი-

ლის ქუჩაზე, ხის დასამუშავებელი კომბინატის წინ მდებარე საბაჟოს შენობა, რიგი საცხოვრებელი სახლები, აჭარის უზენაეს საბჭოზე მისაშენებელი კორპუსი. ო. აფაქიძე რამდენიმე კონკურსში გამარჯვებულია.

ვახუშტი ბატონიშვილი აფაქიძეს არც საქართველოს ფეოდალური მონარქიის ერთიანობის ხანისა და არც მის პოლიტიკურ დაშლილობის პერიოდის წარჩინებული საგვარეულოთა სიაში არ იხსენიებს. ჩამოთვლის რა იგი „აწინდელთა ჟამთა" ოდიშის წარჩინებულ გვარებს (ჩიქოვანს, გოშაძეს, ფალავას, ჯაიანს, ჩიჩუას) დასძენს: „და სხუანიცაო" (ვახუშტი, აღწერა, – გვ. 27–28, 38). ეტყობა, აფაქიძეებს ის ამ სხუანში" გულისხმობს (*იხ. ო. სოსელია, გარკვეული ფეოდ. ხანის დასავ. საქ-ოს სოც-პოლიტ. ისტორიიდან, თბ., 1990, გვ. 155–176*).

– გერმანელი მოგზაურის იოჰან გიულდენშტედტის 1772 წლის ცნობიდან ვიგებთ, რომ ოდიშის სამთავროს თავადური გვარებიდან მას დაუსახელეს: ჩიქოვანი, ჩიჩუა, მხეიძე, დგებუაძე, ფალავა, მიქაძე და აფაქიძე. აქედან ჩანს, რომ აფაქიძეები ამ დროს გამოჩენილი თავადები იყვნენ.

**აფაქიძე** – იხსენიება მოწმედ ვახტანგ მეფის მიერ ჩარჩაზე გურალიძისათვის მიცემულ სასისხლო სიგელში (1432 წ.).

**აფაქიძე** – ეჯიბი, მოწმე დავით მეფის იმერ ივანე მაღნარაძისათვის მიცემული სასისხლო სიგელისა.

**აფაქიძე ათანასე** – შვილი კალანდი აფაქიძისა, იხ.

**აფაქიძე კალანდი** – ფასაეჯუნის მთავარანგელოზის ყმა, ჰყავს შვილები ათანასე და ფილიპე, ბაგრატ მეფემ გაუჩინა სისხლის ფასი 35 0000 ძველი თეთრი, სანახშირედ – 12000 (1540 წ.).

**აფაქიძე ფილიპე** – შვილი კალანდი აფაქიძისა, იხ.

აფაქიძეთა შესახებ იოანე ბატონიშვილის ქართველ თავად-აზნაურთა გვარების „აღწერაში" ვკითხულობთ: *„არფახან იყო თათარი ჩინგიზ ყეენისა დროსა, წელს 1335-ს" (!) მიიღო ქრისტიანული სარწმუნოება. „და შვა აფხაზეთს და უწოდეს ძესა მისსა აფაქიძედ. მერე დაეშენენ ოდიშსა შინა. მიღებულ იყვნენ თავადად და მუნიდგან იწოდებიან გუარი მათი აფაქიძეებად"* (შემოკლ. აღწერა, – გვ. 138).

აფაქიძეთა წარმომავლობაზე იოანე ბატონიშვილის ზემოაღნიშნულ ცნობას რეალური საფუძველი არ გააჩნია. იგი ეყრდნობა ზეპირგადმოცემებს და შეთხზულია თვით გვარების წარმომადგენელთა მიერ თავიანთი განდიდების მიზნით. იოანეს სხვა არც ერთი წყარო არ ემოწმება. სხვა არა იყოს რა, აფაქიძეთა გვარის ხსენება ერთი საუკუნეზე მეტი ხნით წინ უსწრებს „არფახან" „თათარის" გამოჩენას, რომელთა ძენი, იოანეს თქმით, აფაქიძედ იწოდნენ. მისი ცნობიდან ერთი კი ცხადია: აფაქიძეთა გვარის ისტორია შორეულ წარსულს უკავშირდება.

გვარსახელი აფაქიძე პირის სახელი „აფაქი"-დან უნდა იყოს ნაწარმოები. აფაქიძეთა მამამთავარი უთუოდ „აფაქი" თუ „აფაქ" იყო და მან მისცა დასაბამი ამ გვარსახელს. პირის სახელად „აფაქ" დადასტურებულია სვანეთის XIII საუკუნის მეორე ნახევრის საისტორიო ძეგლებში. მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სახელი ბევრად ადრეც იყო მიღებული (*იხ. თ. სოსელია. დასახ. ნაშრომი. – გვ. 156–157*).

დიახ, ისტორიკოსის ქალბატონ ოლღა სოსელიას აზრით არ დადასტურდება აფაქიძეთა გვარი გეხვდება X ს–ში. სარგის კაკაბაძეს წიგნში „შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანი და მისი ეპოქა" მოხმობილი აქვს ჯვარის მონასტრის აღაპების მთავარი ნუსხა (სულ სამი ნუსხა გვაქვს), მოთავსებული X საუკუნის სვინაქსრის არშიებზე საათანადო კალენდარულ დღეების გასწვრივ (დედანი). წარმოდგენილ აღაპებში (სულ 44 აღაპია) მოიხსენიებიან: ჩხაგუ აფაქისძის შვილი ცოტნე, ტაიბულა აფაქისძე (*აღაპი № 59.42*). ჩარგაზ აფაქისძე და ბედიანის ასული ნათელი (*გვ. 246. აღაპი № 73.51*)

აფაქიძეების საგვარეულოს ყველაზე ადრინდელი ისტორიულად ცნობილი წარმომადგენელი ცოტნე აფაქიძეა. იგი ჩხაგუას შვილია. ასე იხსენიება ცოტნე იერუსალიმის ქართველთა ჯვარის მონასტრის აღაპების ტიმოთე-ლორთქიფანიძისეული ნუსხის 47 აღაპში. ჩანს, მას რაღაც დიდი დვაწლი მიუძღოდა ამ მონასტრის წინაშე, რაკი აქ მისთვის „აღაპი საუკუნო" (მოსახსენიებელი ტრაპეზი) დააწესეს. ამ აღაპის მიხედვით, მისი მოღვაწეობის პერიოდი XI–XIII საუკუნეებით განისაზღვრება.

ცოტნე აფაქიძეთა მეორე თაობაა. ასე, რომ ამ საგვარეულოს ისტორიის დასაწყისში აღნიშნულ საუკუნეებზე უფრო ადრინდელ ხანაშია საგულვებელი.

ცოტნეს შემდეგ, XIII საუკუნის დამლევსა და მომდევნო საუკუნის დამდეგს ჩანან მარუშიანი და მიქაელ აფაქიძეები.

უფრო გვიან, XIV საუკუნის მიწურულსა და XV საუკუნის დასაწყისს ეხვდაეთ ჯავახ აფაქიძეს მის თანამეცხედრესთან – ბორენასთან ერთად (*იხ. ე. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI–XVII სს.)*. თბ., 1962, გვ. 74, აღაპი 47; გვ. 81, აღაპი 19; გვ. 123, კომენტარი 19; გვ. 83, აღაპი 49,50; გვ. 132, კომენტარი 49,50).

შეიძლება ჯავახისა და ბორენას უმცროსი თანამედროვენი იყვნენ XIV საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწენი ტაიბულა და ჩარგაზ აფაქიძეები. ჩარგაზის თანამეცხედრე უნდა იყოს მასთან ერთად მოხსენიებული „ბედიანისა ასული ნათელი".

აფაქიძეთა საგვარეულოს ამ პლეადას მიეკუთვნება აგრეთვე ეკიბ აფაქიძე, რომელიც XV საუკუნის პირველ ნახევარში გეხვდება და რომლის მეუღლეც დასახელებულია „ნებისმყოფელი".

აფაქიძეები დიდად შეძლებული ფეოდალები ყოფილან. მაგალითად, ჯავახ აფაქიძემ ჯვარის მონასტერს „ას ოცი ფლური" გაუგზავნა და ამით „დაჭირებისა ჟამსა" დიდად დაეხმარა, ხოლო ეჯიბმა ამავე მონასტერის 15 „კუამლი კაცი" შესწირა. ყოველივე ეს აფაქიძეების უმრავლესობასა და ეკონომიკურ სიძლიერეზე მეტყველებს.

აფაქიძეთა გვარის უკვე თამარისავე მეფობაში დიდად დაწინაურებული ყოფილა. მარუშიანი ძველად აფაქიძეების ერთ-ერთი საგვარეულო სახელი იყო თამარის დროინდელი „ჩუხჩარეხი" მარუშიანი, გვარად აფაქიძეა. X საუკუნის 70-იანი წლების მიდევაწე ქართლის ერისთავი „იოანე მარუშის-ძე, კაცი ძლიერი და ერმრავალი", რომელიც ბაგრატ გურგენის ძეს (978 წლიდან ერთიანი საქართველოს მეფე ბაგრატ III მეფედ „ქმნებდა", გვარად **აფაქიძე** იყო.

**მარუში** იოანეს მამის სახელი უნდა იყოს. შესაძლებელია, რომ იოანეს მამა მარუშიც, ისე, როგორც ზემოხსენებული გვიანდელი ხანის მარუშიანი, აფაქიძეთა გვარის ეკუთვნოდა. მაგრამ ამ ვარაუდის შემამაგრებელ მონაცემებს წყაროებში ჯერჯერობით ვერ ვპოულობთ.

სვანეთის XIII საუკუნის მეორე ნახევრის საისტორიო ძეგლებში მოხსენიებულია გვარსახელი „**აფაქიანი**". ო. ხოსელიას აზრით, ეს ქართულ-მეგრული აფაქიძე-აფაქიას სვანური ფორმაა. ერთი „**აფაქ აფაქიანი**" გვხვდება აღნიშნულ ხანაში „მატიანე სუანეთისა კრებისა"-ში. ამავე ხანში ვხვდებით სვანეთში: ნოეს და „მეუღლეს მისსა ხუცის", გიორგის, ვეიდას, მის მეუღლე ხალინასთან ერთად, ლუდიაეს, ზეიალს აფაქიანებს *(პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვ. II, გვ. 121–124).* **ფაქ** შდრ. **ფაქიზი** (ინდო-ირანული).

ამგვარად, დასახელებულ პერიოდში აფაქიანები სვანეთში მრავლად არიან. მათგან ზოგი ლეშტყირს სახლობს, ზოგი – მაისს და ზოგი კიდევ სხვაგან *(იქვე, გვ. 121–124).*

რა კავშირი იყო სვანეთის „აფაქიანებსა" და ოდიშის აფაქიძეებს შორის, ამის დადგენა არ ხერხდება. მაგრამ ის გარემოება, რომ ამ გვარ-სახელის ქართული ფორმა უფრო ადრე (XI–XIII სს.) იხსენიება, ვიდრე სვანური, იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ აფაქია-აფაქიძეთა გვარი სვანეთში ბარის საქართველოდანაა გადასული.

1432 წელს შედგენილი გურალიძეთა სასისხლო სიგელის ცნობით, აფაქიძეთა სახლის ერთი წევრი ფრიად დაწინაურებული ჩანს. აღნიშნულ სიგელში ვახტანგ მეფის მიერ მოწმედ დასახელებულია **აფაქიძე** „*ამირეჯიბი, ციხისთავის ერისთავი, ციხე-ქალაქთა მობჯრე, მოლარეთუხუცესი და პურის ხარჯისა მომკრეფელი*" (სარგის კაკაბაძე, სასისხლო სიგელების შესახებ, საისტორიო მოამბე, წ. II, ტფილისი, 1924, გვ. 62.).

ამირეჯიბს, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია დადგენილი, „*დიდი და განსაკუთრებული უფლება ჰქონდა მინიჭებული და ყოველთვის და ყოველგან*

*მეფის ნახვა და მოხსენების წარდგენა შეუძლია". აქედან ნათლად ჩანს, რომ მას დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმეები უნდა ებარებოდა" (ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წ. II. ნაკვ. I. ტფილისი. 1928. გვ. 162).* ასეთი ხელის მფლობელი აფაქიძე უეჭველია, სამეფო კარზე დიდი პატივითა და გავლენით სარგებლობდა. ეს კი მთელი მისი საგვარეულოს პატივიც იყო.

არის კიდევ ერთი სასისხლო სიგელი, რომელშიც იხსენიებიან აფაქიძეები. ამ სიგელს აძლევს 1540 წელს მთავარანგელოზის ეკლესიის „ქასალებს" კალანდ აფაქიძესა და მის ძმებს – ათანასესა და ფილიპეს იმერთა მეფე ბაგრატ III და მათი სისხლის ფასს 35 000 ძველი თეთრით განსაზღვრავს (*ს. კაკაბაძე. იქვე. გვ. 68–69*). მაგრამ დასახელებული აფაქიძეები საეკლესიო აზნაურები არიან და არა თავადები.

ცნობილია, რომ ფეოდალურ საქართველოში ადგილი ჰქონდა წოდებრივ კიბეზე ამაღლებასა და დამდაბლებას. ამასთან, შეიძლებოდა ერთი და იმავე გვარის მატარებელი თავადიც ყოფილიყო და აზნაურიც (მაგალითად: აბაშიძე, წერეთელი, ლორთქიფანიძე, აგიაშვილი). ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევასაც, როცა ერთსა და იმავე გვარს თავადიც ატარებდა, აზნაურიც და გლეხიც. მაგრამ გლეხები აფაქიძეთა გვარში ჩვენთვის ცნობილ წყაროებში არ გვხვდება. აზნაურს კი ამ გვარში ზემოაღნიშნულ წელზე უფრო გვიანაც ვხვდებით. მაგალითად, 1795 წლის ოდიშის მთავარი გრიგოლ დადიანი ცაიშის ეკლესიას სწირავს „აზნაურ აფაქიძეს" (*საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*).

ვარაუდობენ, რომ აფაქიძეთა სათავადო დაახლოებით XV საუკუნეში ჩამოყალიბდა. ამ საგვარეულოს თავკაცია ფეშო აფაქიძე ჩანს, რომ აფაქიძეთა სათავადო ოდიშში ჭილაძე-გოშაძე-ჯაიანთა სათავადოების პარალელურად და ერთდროულად ყალიბდება (*იხ. ო. სოსელია. ნარკვევები. I. გვ. 271–298*).

ისტორიული გადმოცემით, აფაქიძეებს ეკუთვნოდათ სოფელი ზანა, რომელიც საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა, სახელდობრ, პატარა ზანას (*ამჟამად პატარა ზანა გამოყოფილია ზანასაგან და სოფ. ხორშში შედის*).

ამ ტერიტორიას მთლიანად ეწოდებოდა „საფაქო ზანა". აფაქიძეებს ეკუთვნოდათ აგრეთვე სოფ. უშაფათისა და ფოცხოს მნიშვნელოვანი ნაწილიც. ნაწილი კი სამთავრო თუ საეკლესიო იყო.

„საფაქიო ზანას" აღმოსავლეთით სოფ. უშაფათის სამთავრო ან საეკლესიო ნაწილი საზღვრავდა, დასავლეთით – ხობის წყალი, რომელიც ჰყოფდა მას თავადი ჩიქოვანების სამფლობელო სოფ. საჯიჯაოსაგან, ჩრდილოეთით – ლეხაჭინე და მისგან გამყოფი მდინარე „ზანაძგა", ხოლო სამხრეთით – სოფ. ეკი და ხორში.

აფაქიძეები ყმა-მამულს ფლობდნენ აგრეთვე სოფელ მახაშსა და ეკში (*ქუთ. მუზ. საბ. № 494*).

აფაქიძეთა რეზიდენცია შუაგულ ზანაში იყო. აქ იყო მათი სასახლე და კარის ეკლესია აშენებული მაცხოვრის სახელზე. აქვე იყო მათი საგვარეულო სასაფლაოც.

ვარაუდით, აფაქიძეების აზნაურები სოფ. ეკში მცხოვრები მზარეულები იყვნენ.

გადმოცემის მიხედვით, ზანა აფაქიძეებს თითქოს ლევან I დადიანმა უბოძა. ამ მოსაზრებას არ იზიარებს ო. სოსელია.

აფაქიძეთა თავადური გვარის ერთი შტო დამკვიდრებული იყო სოფელ საჩინოში (წალენჯიხის რაიონი). ზემო სამეგრელოში მოსახლე თავად აფაქიძეთა სამფლობელო საკმაოდ ვრცელ მიწა-წყალს მოიცავდა. მასში ნაწილობრივ თუ მთლიანად შემდეგი სოფლები შედიოდა:

**1. საჩინო; 2. კუხეში; 3. ნაგურუ (ნაწილობრივ), „სააფაქო ეწერი" („ნერგის ეწერი").**

ეს სოფლები ერთ მთლიან ტერიტორიას ქმნიდა, რომელსაც აღმოსავლეთით სოფელი **ჯგალი** საზღვრავდა, დასავლეთით – **ლია**, ჩრდილოეთით – **ჯვარი** და სამხრეთით – **წალენჯიხა**.

აღნიშნული სოფლებს გარდა, ზემო სამეგრელოს აფაქიძეები მეტნაკლებად ყმა-მამულს ფლობდნენ ზუმს, ნოჯალას, ვერცხულს, ლექანთარეს, ლეხეიჩეს, ლემაჟეს, ლეკარდეს, ნაყას, ლეციმონტეს, ლეფოფიეს, წყეაშსა და სხვაგანაც *(ო. სოსელია, ნარკვევები... გვ. 165)*.

ზემო სამეგრელოში აფაქიძეების აზნაურები იყვნენ საჩინოელი **შელიები**.

ზემო სამეგრელოს აფაქიძეებს ორ ადგილას ჰქონდათ რეზიდენცია. ერთი – „სააფაქო ეწერში", სადაც ჰქონდათ სასახლე და კარის ეკლესია, აგებული წმინდა გიორგის სახელზე, მეორე – საჩინოში, სადაც აგრეთვე გაწყობილი ჰქონდათ სასახლე, მაგრამ სათავადოს ცენტრად „სააფაქო ეწერი" ითვლებოდა.

მათი საგვარეულო სასაფლაო იყო წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესიაში. აქვე იწერდნენ ჯვარს ისინი ქორწინების დროს.

აფაქიძეები ზემო სამეგრელოში ორ ციხესიმაგრეს ფლობდნენ: ერთს – საჩინო-ჯვარის საზღვარზე, რომლის ნანგრევები დღესაც ჩანს, და მეორეს – კუხეშში, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „**მამუკას**" ციხესიმაგრეს („მამუკაში ჯიხა", „მამუკაში ჯიხური"-ს) ეძახის. ეს ციხე მაღალ ბორცვზე დგას და გადაჰყურებს სოფელ საჩინოსა და ნაგურუს. ამ ციხის ძველთაძველი მფლობელი თურმე **მამუკა აფაქიძე** იყო და ამიტომაც დაერქვა ციხეს ასეთი სახელი. აღსანიშნავია, რომ XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ამ ციხის მიდამოებში სახლობდა თავადი **ლევან აფაქიძე**, რომელიც, გადმოცემით, მამუკას შთამომავლად ითვლებოდა. ამ ლევანის მემკვიდრე იყო სამეგრელოში კარგად ცნობილი რევოლუციური მოღვაწე აწ განსვენებული **ბაგრატ აფაქიძე**.

XVII ს-ის დამდეგიდან ისტორიის ასპარეზზე ეხვდებით ამ საგვარეულოს წარმომადგენლებს: ქაიხოსრო აფაქიძეს, რომელსაც 1611-1616 წლებში ლევან II დადიანის კარზე სახლთუხუცესის სახელო უჭირავს და მეტად მნიშვნელოვანი ფიგურაა. ქაიხოსროს თანამედროვე იყო და დიდხანს ჩანს ისტორიის ასპარეზზე ევდემონ აფაქიძე. იგი საეკლესიო სფეროს მოღვაწეა და ამ სფეროში ფრიად დაწინაურებულია. 1616-1644 წლებში ევდემონი ჭყონდიდელ ეპისკოპოსად ზის. მან მოაჭედინა და შეამკო 1644 წელს მარტვილის მონასტრის ხატი. მანვე მოაჭედინა აგრეთვე „წმინდა სახარება" და ამ მონასტრებს შესწირა. ასეთი დამსახურებისათვისაა უთუოდ, რომ ეს მღვდელმთავარი დახატულია აღნიშნული მონასტრის სამხრეთის კარის მარჯვენივ კედელზე წარწერით: „მამა ჭყონდიდელი ევდემონ აფაქიძე".

ამგვარად, XVII საუკუნის პირველ ნახევარში ოდიშის სამთავროში აფაქიძეთა თავადური გვარის წევრები პირველობდნენ როგორც საერო, ისე საეკლესიო სფეროში.

კიდევ ერთი საინტერესო ცნობა აფაქიძეთა სასულიერო მოღვაწეობის შესახებ: ჯვარის მონასტრის მოსახსენიებელთა XXVII ჯგუფი შეიცავს ექვს ალაპს. ეს ალაპები განწესებულია შემდეგი პირთათვის:

147. ნიკოლოზ აფხაზეთისა კათალიკოზი, ბედიელ ყოფილი (ალაპი № 100. 97);

148. მარუშიან აფაქისძე (ალაპი № 50.48).

149. მიქაელ აფაქისძე (ალაპი № 49.47).

150. ხაჟიკ ფალქოზისძე (ალაპი № 46.44).

152. ნინაია ამაშუკელი (ალაპი № 11.08).

ალაპი ჩაწერილია XIV საუკუნის დასაწყისში. ყველა ზემოდ მოხსენიებული პირი ერთი მხრიდან, დასავლეთ საქართველოდანაა (ჯ. ინგორ., 758). ამავე უფრო ადრე 1250-1274 წლებს შუა ალაპები განწესებულია შემდეგ პირთათვის:

48. ცოტნე აფაქისძე (ალაპი № 47.34).

49. ტაიბულა აფაქისძე (ალაპი № 59.42).

50-51. ჩარგაზ (ჩარქაზ) აფაქისძე და ბედიანის ასული ნათელი (ალაპი № 73.51).

აღნიშნულ საუკუნესა და მომდევნო საუკუნის მიჯნაზე (1696-1706 წლებში) ეხვდებით ბუჭუ აფაქიძეს. იგი „თავად ბატონ დადიანთან" ერთად „თავესმდებადაა" მოხსენიებული ხახუ ჩიჩუას დასახელებული წლების ერთი შეწირულების წიგნში, რაც ბუჭუ აფაქიძის მაღალ ღირსებაზე მეტყველებს.

ბუჭუზე გვიანდელი პირია ლაზარე აფაქიძე, რომელიც აგრეთვე საეკლესიო მოღვაწეა. 1780 წელს იგი ლეჩხუმის საერისთავოს უდაბნოს „ზედამდეგია" და არქიმანდრიტის ხარისხიც აქვს. ცოტა გვიან ჩანან: როსტომი, კაცო (კაცია), ხუ-

ტუნია აფაქიძეები. ამდროინდელი აფაქიძეებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნებაა **ბექან აფაქიძე**. იგი იყო „ვექილი" „წარმომადგენელი" ოდიშის მთავრისა „თბილისში და კასპის მხარეში". მას უნდა დაეცვა „სამეგრელოს ქვეშევრდომთა ინტერესები", გაეწია სამეგრელოსათვის იგივე სამსახური, რა სამსახურსაც ეწევიან სხვა ქვეყნებში კონსულები".

აღნიშნულ პერიოდში აფაქიძეთა ფეოდალურ გვარში რაინდულ და ბათუ ფალავნებთან ერთად თავი ისახელა „ყაბახის" სროლაში და მთავრის ქება დაიმსახურა. ეს იყო დასახელებული წლის აღდგომის დღესასწაულის დღეებში, რომელსაც ესწრებოდა ოდიშში ფრანგი ქართველოლოგი აკადემიკოსი მარი ბროსე.

დავით დადიანის დროსვე ჩანს **ასლან აფაქიძე**. ამავე დროს გვხვდება **ჯარისმან აფაქიძე**. იგი კაცი აფაქიძის ძეა და, მაშასადამე, ზემოთხსენებული როსტომის შვილიშვილი. ჯარისმანი „ბრწყინვალე" თავადის ყირიმ დადეშქელიანის სიძე ყოფილა. უკანასკნელის „გერი" თავადი ჩიჩუას კეკელა ჯარისმანის თანამეცხედრეა.

დავით დადიანის შემდგომ პერიოდში, 1857 წელს ვხვდებით **ერისტო აფაქიძეს**. ეს ის ერისტოა, რომელმაც თავისი გლეხი ერთ ხმალში დაუგირავა თავისივე სახლიკაცს თავად **ხახუ აფაქიძეს**. მომდევნო 1858 წელს იხსენიება პოდპორუჩიკი **მერაბ აფაქიძე**. აფაქიძეები დიდად ერთგულებდნენ მთავრის ძმას გრიგოლ დადიანს.

დავით დადიანის მთავრობის შემდგომ ხანში იხსენიება აგრეთვე **გუგუ აფაქიძე** ოდიშში. ამავე ხანში ცნობილი არიან აფაქიძეთა თავადური გვარის სხვა წარმომადგენლებიც: **ვარადებულ, ვარდენ, მანუჩარ, ივანე, დათა, არჩილ, სისონი, მალხაზ, ბეჩუა** და **ირაკლი აფაქიძეები**.

მათგან გამოირჩევა და უფრო დიდხანს ჩანს ისტორიის ასპარეზზე **ვარადებულ გიორგის ძე აფაქიძე**. იგი დაიბადა 1829 ან 1830 წელს. იყო წიგნიერი. თანამეცხედრედ ჰყავდა სამურზაყანოელი თავად **ანჩაბაძის** ასული ივლიტა. ესხა 10 შვილი. მათგან 8 ვაჟი და 2 ქალი. ვარადებული 1909 წელს უკვე ზუგდიდის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლად („მარშლად") არის მოხსენიებული. ეს ვარადებული იყო პაპა (დედის ხაზით) ჩვენი დროის ცნობილი ქართველი არქეოლოგის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს **ანდრია მელიტონის ძე აფაქიძისა**.

ვარდებულის შვილებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა მისი პირმშო შვილი **იასონი**. იგი დაიბადა 1877 წელს სოფელ ზანაში. 1902 წელს დაამთავრა პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და დაინიშნა ქ. ტობოლსკის (ციმბირი) ვიცე-გუბერნატორად. ამ თანამდებობაზე დარჩა 5 წელს. შემდგომ ის ბრუნდება საქართველოში. 1909 წელს აქ, თბილისში, მეფისნაცვლის კანცელარიის საპოლიციო ნაწილის საგანგებო განყო-

ფილების მოხელეა. 1912 წელს იასონი მეფისნაცვლის კანცელარიის ამავე განყოფილების VII კლასის მოხელედ არის დასახელებული. 1916–1917 წლებში იასონი თავად არის მეფისნაცვლის კანცელარიის საგანგებო ნაწილის სასამართლოს განყოფილების საქმეთა მმართველი და უფროს თანაშემწედ ჰყავს გიორგი ნიკოლოზის ძე ნოვოსპასსკი. იასონი დაქორწინებული იყო ქართლის თავად ივანე თარხან-მოურავის ასულ ელენეზე, რომელიც მამის მხრით დიდი მოურავის გიორგი სააკაძის შთამომავალი იყო, ხოლო დედის მხრით – ერეკლე მეორისა. გვიანდელი ხანის აფაქიძეებიდან ცნობილი არიან აგრეთვე:

**სვიმეონი.** მოხსენიებულია 1884 წელს ჯრუჭის მონასტრის (ზემო იმერეთი) არქიმანდრიტად.

**მიხეილ ლევანის ძე**, რომელიც 1891, 1893 წლებში იყო ქუთაისის გუბერნიის საოლქო სასამართლოში „უჩინო" თარჯიმანი. 1901–1903 წლებშიც იგი კვლავ თარჯიმანია ამავე გუბერნიის გლეხობის საქმეთა საკრებულოში, ხოლო 1904 წელს სამურზაყანოს უბნის სასამართლოს ბოქაულად ვხვდებით.

**ავქსენტი ფარნაოზის ძე.** 1902–1904 წლებში ჩანს ქ. ფოთის პოლიცმეისტერის სამმართველოს რეგისტრატორ-არქივარიუსად.

**პლატონ დუტუს ძე.** 1904 წელს იყო დეპუტატობის კანდიდატი ზუგდიდის მაზრიდან ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოში.

**ანდრია ლევანის ძე**, გვხვდება შტაბს-კაპიტნის ჩინით 1914 წელს ქვეითი ჯარის თენგინის პოლკში.

**ევგენი აფაქიძე**, თავად სისონა აფაქიძის ქალი. ზუგდიდის მაზრის, სოფ. საჩინოს მცხოვრები" (გაზ. „კავკაზი", *28 ივლისი, 1882 წ.*).

აფაქიძეთა სათავადომ თავისი აღმავლობის ზენიტს მიაღწია XVII საუკუნეში, ლევან II-ის დადიანობაში (1611–1657 წწ.). ამ დროს პირველობდა ეს საგვარეულო ოდიშის სამთავროში. შემდგომ კი აფაქიძეთა პოლიტიკური გავლენა სუსტდება. მათ ადგილს აქ ჩიჩუები და ჩიქვანები იკავებენ. ოდიშის სამთავროს გაუქმებასთან ერთად (ფაქტობრივად 1857 წელს) ზანელ და ზემო სამეგრელოელ აფაქიძეთა სათავადოებიც ადმინისტრაციულად გაუქმდა (იხ. ო. სოსელია, დასახ. ნაშრომი, - გვ. 155– 176).

ქართულ ენციკლოპედიაში შეტანილი არიან:



**აფაქიძე ანდრია მელიტონის ძე** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი. დაიბადა სოფ. ზანაში (სენაკის მაზრა) 1914 წ. 3 სექტემბერს.

მშობლები: ძმა აფაქიძე, მელიტონ აფაქიძე; მეუღლე – რუსუდან მეგრელაძე (1910);

შვილები: გუდა (1943), თამარი (1949). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკულტეტი (1937). იყო „ენიმკის" მეცნიერ-თანამშრომელი (1937–

41). სამამულო ომის მონაწილე (1941-42). საქართველოს სახ. მუზეუმის დირექტორი (1942-53). ისტორიის ინ-ტის არქეოლოგიის სექტორის გამგე (1953-74). ისტორიის ინ-ტის ანტიკური არქეოლოგიის სექტორის გამგე (1974-80), მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი (1980-83). მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტია 1983 წლიდან.

დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში" (1959). თანაავტორია წიგნებისა: „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში", „დიდი პიტიუნტი", „საქართველოს არქეოლოგია" (სახელმძღვანელო), „საქართველოს ისტორიის ნარკვევები" (I ტ.). არის ავტორი წიგნისა: „არქეოლოგიური ლექსიკონი".

არის ე. თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების, საქართველოს არქეოლოგიური კომისიის, საქართველოს არქეოლოგიური ფონდის გამგეობის თავმჯდომარე. მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1964). სახელმწიფო პრემიის (1982). ს. ჯანაშიას პრემიის (1964) ლაურეატი. სამამულო ომის მედლის (1945). შრომის წითელი დროშის (1986). საპატიო ნიშნის (1946). ღირსების ორდენის (1994) კავალერი. თბილისის საპატიო მოქალაქე (1998);



**აფაქიძე ვალენტინ ანდრიას ძე** (1904 სოფ. ფახულანი, ახლანდელი წალენჯიხის რაიონი. – 1969. მოსკოვი). საბჭოთა სამხედრო მოღვაწე. გენერალ-მაიორი (1945). სამოქალაქო ომის მონაწილე. 1922-24 წლებში იბრძოდა შუა აზიაში ბასმაჩების წინააღმდეგ. 1928 წელს დაამთავრა თბილისის ქვეითთა სამხედრო სკოლა. 1940 წლიდან მეთაურობდა 112-ე მსროლელი დივიზიის 524-ე მსროლელ პოლკს. დიდ სამამულო ომში იბრძოდა ბალტიისპირეთში. 1941 წელს მძიმედ დაიჭრა. განკურნების შემდეგ იყო პოდოლსკის სამხედრო სასწავლებლის უფროსი. 1947-48 წლებში დაამთავრა მ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიასთან არსებული დივიზიის მეთაურთა კურსები. 1953-60 წლებში მუშაობდა სსრკ თავდაცვის სამინისტროს აპარატში. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით. 5 სხვა ორდენით და მედლებით.

**P.S.** აფაქია გურიაში გავრცელებული გვარია. იგი დადასტურებულია XIII საუკუნის II ნახევრის საისტორიო ძეგლებში. წარმომადგენელია ცოტნე აფაქიძე. იგი ჩხაგუს შვილია (XI-XIII ს-ბი) *(იხ. ელ. მეტრეველი. მასალები. თბ. გვ. 74. ალაპი 47. ო. ხოსელია. II. 57).*

აფაქიძეთა თავადური საგვარეულო დამკვიდრებული იყო საჩინოში (წალენჯიხის რაიონი *(ო. ხოსელია. III. 164-165).*

**თავადი მამუკია აფაქიძე ცხოვრობდა დღევანდელ წალენჯიხის რაიონის სოფელ საჩინოში. აქ არის ციხის ნანგრევი და მას „მამუკიას ჯიხას" ეძახიან ქაიხოსრო აფაქიძეს ლევან II დადიანის კარზე სახელი უჭირავს. როგორც**

ოდიშის სამთავროში მაღალი ხელისუფლებით აღჭურვილ მოხელეს. მისი თანამეცხედრეა როდამი.

**აფაქიძე-აზნაური.** ოდიშის მთავარმა გრიგოლ დადიანმა 1795 წელს ცაიშის ეკლესიას შესწირა *(ო. სოსელია. III. 161).*

*შენიშვნა: აფაქიძეთა შტო-გვარებადაა მიჩნეული სუმბათაშვილი, სუმბათიძე, ბახტაძე, სუმბაძე (ეს უფრო ეხება გვარებს, რომლებიც აჭარაში გავრცელებული ი. ა.).*



**აფაქიძე ფერიდე გივის ასული,** დაიბადა ქ. ზუგდიდში 1970 წლის 29 სექტემბერს, მოსამსახურის ოჯახში. ჰყავს დედ-მამა და ძმა.

ფერიდე აფაქიძემ 1987 წელს წარჩინებით დაამთავრა ქ. ზუგდიდის №2 საშუალო სკოლა. 1989 წელს ჩაირიცხა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალში, ფილოლოგიის ფაკულტეტის განყოფილებაზე, რომელიც 1996 წელს დაამთავრა. პარალელურად მუშაობა დაიწყო თავის მშობლიურ სკოლაში გახანგრძლივებული დღის ჯგუფის, შემდეგ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, ხოლო 1995 წლიდან ფერიდე აფაქიძე ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმშია და დღემდე მუშაობს ექსკურსიამძღოლად.

ფერიდე აფაქიძე ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში დაკისრებულ მოვალეობასთან ერთად მეცნიერულ საქმესაც ეწევა. იგი არის თანაავტორი წიგნისა „დოკუმენტური მასალები სწავლა-განათლების ისტორიისათვის სამეგრელოს სამთავროში". ასევე მზადა აქვს გამოსაცემად დოკუმენტური მასალები აფაქიძეთა გვარის წარმომადგენლებზე სამეგრელოს სამთავროში.



**აფაქიძე ეთერი ნიკოლოზის ასული,** დაიბადა ბოლნისის რაიონში, სულხან-საბას მშობლიურ სოფელ ტანძიაში. მის მშობლებს, ნიკოლოზ ვასილის ძე აფაქიძეს და სონია სოლომონის ასულ მახნაშვილს ექვსი შვილი დარჩათ, სამი ქალი და სამი ვაჟი. ეთერი უმცროსი შვილია, რომელიც ტყუპისცალ დასთან, მაყვალასთან ერთად დაიბადა. ეთერის ძალიან გაუნაწყენებია მოხუცი ჭაღარა პაპა, თავისი დაბადებით და ასე უთქვამს: „მეექვსე თუ იბადებოდა, ბიჭი მაინც ყოფილიყო" – ეთერი კი ისეთი თბილი და ყურადღებიანი ყოფილა, ქერიე პაპა მის მზეს იფიცებდა. თურმე ისეთი სუსტი დაბადებულა, რომ ძუძუსაც ვერ ერეოდა, რომ ეჭამა. მაგრამ ფეხიც ტყუპისცალზე ადრე აუდგია და ენაც. პატარაობიდანვე თავისი განსაკუთრებული ნიჭით გამოირჩეოდა და პირველ კლასიდანვე წერდა ლექსებს. ეამაყებოდა, რომ საბას მიწის შვილი იყო და ცდილობდა, სასახელოც გაზრდილიყო. ამას მოწმობს პოეტის ლექსის სტრიქონებიც:

*„არა, არასდროს რომ თქვან ავგი, ამაზედ არვის არ მივცემ საბას.*

*მერე სირცხვილით როგორ შევხედო ჩემს ტანძიაში გაზრდილ ბრძენ საბას?!“*

მაშინ ტანძიაში მხოლოდ ოთხკლასიანი სწავლება ყოფილა, და სიძეს, თედო კულდონაშვილს, რომელსაც დიდი სიყვარულით იხსენებს ეთერი და მის საფლავის ქვაზეც ეთერის ლექსი აწერია, – ჩამოიყვანა ბოლნისში სწავლის გასაგრძელებლად. დიდ სკოლას, პატარა მოსწავლის დიდი ნიჭი, შეუმჩნეველი არ დარჩენია და იმ სკოლის მერხიდან დღემდე, პოეტი ბოლნისის რაიონული გაზეთის შტატგარეშე კორესპონდენტია და სისტემატიურად აქვეყნებს ლექსებს. მას მშობლიური ტანძიასავით უყვარს ბოლნისი და ბოლნისელები. ამიტომ ამბობს პოეტი:

*„ბავშვობის წლები შენთან გავლიე, შენ მეგულები სამშობლოდ რახან,*
*ვშიშობ ყოველთვის, არ რა შევცოდო, ვაიმე შენ თუ დაგეტყო ლაქად“.*

სამაგიეროდ, ბოლნისელებიც ამაყობენ ეთერ აფაქიძით და დიდ პატივს სცემენ მის ნიჭს. ეთერ აფაქიძე საბას ყველა იუბილის მონაწილეა და ტანძიელთა სახელით, მუდამ იხდის მადლობას მათ მიმართ, ვინც მის ტანძიას უდგას მხარში. ეთერ აფაქიძის პირველ კრებულს „საბას მიწიდან მოვდივარ“, რომელიც გამომცემლობა „მერანი“-ს მიერაა გამოცემული, დიდი სიხარულით შეხვდა მკითხველთა ფართო საზოგადოება. დიდი სტატიით გამოეხმაურა ბოლნისის გაზეთი, გაზეთი „თბილისი“, „ლიტერატურული საქართველო“ და „ქალთა გაზეთი“.

ეთერის კრებულს თავიდან ბოლომდე წითელ ზოლად გასდევს მშობლიური ერის დიდი სიყვარული და მისი ტკივილით გამოწვეული პოეტის გულის ტკივილიც, რაც განსაკუთრებულად ასახულია ცხრა აპრილისადმი მიძღვნილ ლექსებში:

*„უფრო გამორჩეულად შენ მიყვარდი, აპრილო!*
*ეს რა რისხვით მოხვედი გულშილახვარგაყრილო?!*
*რაც არ უნდა ვცადო, გული აღარ მატკინო,*
*მაინც იმ სატკივრისგან ვერ მომარჩენ აპრილო!*
*ტანკით პროსპექტს კი არა, გულზედ გადამიარე.“*

პოეტს 4500 ტირაჟიანი კრებულიდან, თავისთვის ერთი ძლივს შემორჩენია, დანარჩენებს კი დიდტანიანი წიგნების გვერდით, თაროებზე დაუდევთ ბინა ქართველ მკითხველთა ოჯახებში.

ეთერი ძალიან განიცდის ძმათა შორის შუღლს და შიდა არეულობას, ქართველი კაცის ხელით ქართველის სისხლის დაღვრას და სიშურნეს, რაც მამა-პაპიდან მოგვდგამს და ზოგჯერ ჩამოურეცხავ სირცხვილსაც კი გვაყენებს ხოლმე, რაც ამ ლექსშიც ჩანს:

*„პირველად მაშინ მოგვეჭრა თავი, წიწამურთან რომ ისროლეს ტყვია,*
*რამდენჯერ მწარედ ჩავუქრებულვარ, ილიას მკვლელს რომ ქართველი ჰქვია*

*მიდის მტკვარი და მიდის რიონი, და ეს სირცხვილი ვერავერის მიაქვს".*

თუნდაც ეს ლექსი:

*-შესდექ ქართველო, კარგად დაუფიქრდი, ვიდრე მაგ წყეულ სისხლებს დაა-რაედე,*

*ერთიმეორეს თუ არ დაინდეთ, ვინ მიგიყვანოს სანატრ ტაძრამდე?!"*

ეთერი აფაქიძის ლექსების მთავარი თემა, დღევანდელი სატკივარია, რომ ვერ ეგუება ქართველი ერისგან საქართველოს დაცლას, მისი დიდი დარდი ერისა და გენის გადარჩენაა. მისტირის წასულ ქართველებს, რაც თავისი ტყუპისცალი დის, დროებით საბერძნეთში ცხოვრებითაც აქვს გამოცდილი და ასე ამბობს:

*-სჯობდა, ცალ-ცალკე გაეჩინეთ ყავით, საყვედურს ვუთვლი ჩვენს ბედისწერას,*

*რად გაგვაჩინა ღმერთმა ტყუპებად, თუ კი შორი-შორს ყოფნა გვეწერა?!"*

ან თუნდაც ეს ლექსი:

*-ამ ლამაზ მიწის პატრონი, სხვის მიწას რად ემწყემსები?*

*სადაც არ უნდა წახვიდე, აქვე გითრევენ ფესვები!"*

ერთ ლექსში კი, რომლის სახელწოდებაცაა *„საქართველოდან ქართველები რატომ მიდიან?"* – სულხან-საბას ეკითხება პოეტი, რადგანაც ამის ახსნა თვითონ ვერ მოუძებნია:

*-პატარა არის საქართველო, განა დიდია? მაშ ქართველები საქართველოდან რატომ მიდიან?*

*საქართველოდან ქართველები თუ წავლენ, საბავ, უქართველებოდ საქართველო რა არის, აბა?*

და მიმართავს ყველას:

*-გემუდარებით, გადაკეტეთ ყოველი გზები, საქართველოდან არ შეუშვათ ქართველი ძმები,*

*საქართველოსთვის ჭირილობები ისედაც კმარა, საქართველოდან ქართველის წასვლა? არა და არა!"*

ეთერ აფაქიძეს ჰყავს მეუღლე, ილიკო ბანდურაშვილი, სამი შვილი და სამი შვილიშვილი. ქალიშვილმა რიტა ბანდურაშვილმა წითელ დიპლომზე დაამთავრა ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. მუშაობს გაზეთ „თბილისში".

უმცროსმა ვაჟმა – გოჩამ, სამი უმაღლესი დაამთავრა, უშიშროების აკადემია წითელ დიპლომზე, მუშაობს თავისი განხრით, გიორგიმ კი – პოლიტექნიკური უნივერსიტეტი. ეთერის ცოდნა რკინიგზის ექსპლოატაციაშიც აქვს მიღებული და მუშაობს მეტროპოლიტენში. ეთერის ნიჭს დიდ პატივს სცემენ სამსახურშიც. ეთერის შვილიშვილებს, გიორგის, ირაკლის და სოფიკოს ყველა ცნობს საბავშვო ბაღში ბებიის ლექსებით. თავის ყველა ამ სიკეთეს ეთერი უმადლის პატარა ძმას, შოთა აფაქიძეს, რომელმაც ტყუპისცალი დები

თბილისში თოთხმეტი წლისანი ჩამოიყვანა და გათხოვებამდე შეიკედლა.

**შოთა აფაქიძე ანდრიას ძე**, თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი. დაიბადა თბილისში 1937წ. 18 დეკემბერს. მშობლები: **ქსენია ბახტაძე**, **ანდრია აფაქიძე**. დაამთავრა თსუ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტის გერმანისტიკის განყოფილება (1968). იყო თსუ უცხოეთის განყოფილების უფროსი რეფერენტი (1968–70), ასპირანტურის გამგე (1970–74), სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი 1974 წლიდან. თსუ ახალგაზრდა მეცნიერთა შრომებში გამოქვეყნებული აქვს 5 სამეცნიერო სტატია გერმანული ენისა და ლიტერატურის საკითხებზე. დაჯილდოებულია იუანე ჯავახიშვილის მედლით (1978), ღირსების ორდენით (1990).

საბჭოთა კავშირის ორგზის გმირზე, **თემურ აფაქიძეზე** მასალა ქ. ბათუმში მცხოვრებმა **ნუგზარ რაჟდენის ძე აფაქიძემ** მოგვაწოდა. იგი წერს: „2002 წელს (დაახლოებით ივლის-ოქტომბრის თვეში) იგი ტრაგიკულად დაიღუპა და მასზე მასალების მოპოვება ამ პერიოდის რუსულ პრესაში შეიძლება".

იმავე წერილში, რომელიც ამ სტრიქონების ავტორის სახელზეა გამოგზავნილი, ნ. აფაქიძე გვწერს: *„ჩემი მოგვარისა და კოლეგის ჯუმბერ აფაქიძის ინფორმაციით, აფაქიძეები (აჭარელი აფაქიძეების მონათესავენი) თურქეთშიც ცხოვრობენ, ოღონდ იქაური წესების გამო სხვა გვარად იწერებიან. მათ კარგად იციან და ემაყებათ თავიანთი ქართული, დიდგვაროვნული წარმომავლობა და ერიდებიან სისხლის აღრევას თურქებთან."*

საკუთარ თავზე ბატონი **ნუგზარ აფაქიძე** წერს: დავიბადე ბათუმში 18. 11. 1952 წ. მამაჩემი – **რაჟდენ მელიტონის ძე აფაქიძე** (1917–1990) სენაკის რაიონის სოფელ ნანაში დაიბადა. მშობლები ადრე გარდაეცვალა და 12 წლის ასაკიდან საცხოვრებლად ქ. ბათუმში გადმოვიდა თავის ბიძასთან – **ტრიფონ აფაქიძესთან**. მამა ომის მონაწილე იყო. დედასთან – **ნათელა პლატონის ასულ შალიკავასთან** ერთად იგი აჭარის მაღალმთიან სოფლებში, 60-იანი წლებიდან კი ქ. ბათუმში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. მან კარგად იცოდა მეგრული ენა. საზოგადოებაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან.

ჩემი ძმა – **ილია აფაქიძე** (1951 წ. დაიბადა) პროფესიით გეოლოგია, ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. მუშაობს ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში ქ. ბათუმში.

მე პროფესიით არქიტექტორი ვარ. 1976 წელს თბილისში დავამთავრე სპი-ს არქიტექტურის ფაკ-ი ქალაქმშენებლობის განხრით. ვთანამშრომლობ სხვადასხვა საპროექტო ფირმებთან. ამჟამად საქართველოს არქიტექტორთა კავშირის (საკ-ის) აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარის I მოადგილე ვარ, ვარ საკ-ის გამგეობის წევრი. ვარ ავტორი მრავალი მნიშვნელოვანი პროექტისა და განხორციელებული ობიექტსა. ვარ რამდენიმე არქიტექტურული კონკურ-

სის ლაურეატი. 1988 წელს რესპუბლიკურ კონკურსში ჩემს მიერ დაპროექტებული გიმნაზიის პროექტმა III პრემია მოიპოვა.

1999 წელს კი თბილისში, რესპუბლიკურ კონკურსში ჩემი და არქ. ი. ბურჭულაძის პროექტით ქ. ბათუმში განხორციელებული საცხოვრებელი სახლი, წლის საუკეთესო არქიტექტურულ ნაწარმოებად აღიარეს საქართველოში და I პრემიით დაგვაჯილდოეს.

აჭარის პრესაში ხშირად იბეჭდება ჩემი კარიკატურები და იუმორისტული მოთხრობები. რამდენიმე მათგანი ცენტრალურ პრესაშიც დაიბეჭდა (*გაზეთი „მეოთხე" 2002 წ. 17–24 აგვისტო, გაზეთი „ახალი ეპოქა" 2002 წ. № 35; № 37 და სხვა.*).

**აფრიამაშვილი.** გვარის ფუძე აფრია სათავეს იღებს მამაკაცის საკუთარი სახელიდან აფრასიონ.

| | |
|---|---|
| **აფრიამაშვილი 752** | |
| **ადიგენი – 547,** | |
| **ახალციხე – 77,** | |
| **თბილისი – 63.** | |
| **აფრიაშვილი – 193** | |
| **თბილისი – 82,** | |
| **გურჯაანი – 72,** | |
| **რუსთავი – 11.** | |

შდრ.: აფრასიონ – ხოხონა ჯიშკარიანის მსახური. ხოხონამ იგი მიჰყიდა თავის ძმას, ხახუტა ჯიშკარიანს (1663 წ.).

აფრიამა – მესანთლე. მოწმე, სახლის ნასყიდობის წიგნისა (1686 წ.).

აფრიამა – ხუცესი. მოწმე, ბაღის ნასყიდობის წიგნისა (1691 წ.).

აფრიამაშვილები – შულავერის მცხოვრებნი, რომელთაც მეფემ განუახლა მათი წყალობა თამაზ წოვანიშვილს (1658 წ.).

აფრიამაშვილები ცხოვრობენ ადიგენის რაიონის სოფელ არალში. იქიდან რამდენიმე ოჯახი გადმოსახლდა სოფელ კუმისში (დღევანდელი გარდაბნის რაიონი). შდრ.: სტეფანე აფრიამაშვილი, საბუთის დამწერი, მოიხსენიება 1775 წელს იოანესა ამაზასპშვილის მიერ სამ კათოლიკოსიშვილისადმი მიცემულ ყმობის წიგნში (დოკ. II, 90); დავით აფრიამაშვილი მოიხსენიება 1787 წელს ერთ-ერთი პირობის წიგნში (იქვე, გვ. 140); ახუა აფრიამაშვილი 1851 წელს იხსენიება სოფელ მუხათში (*სცსსა, ფ. 254, №3, ფურც. 35-38*).

ქართველების გრიგორიანული წესით მონათვლის გამო კუმისში მცხოვრები კათოლიკე აფრიამაშვილები სომხად მოუნათლავთ და გვარი რუსული ფორმანტი ოვ-ით გაუფორმებიათ (ზოგჯერ აპრიამოვად იყვნენ ჩაწერილი).

„აფრია გვარში, აფრიაშვილი" (*ალ. ღლონტი, ქიზიყის ტოპონიმია, 1952, 63*).

**აფრიდონი.** XII საუკუნის II ნახევრის საქართველოს პოლიტიკური მოღვაწე, გიორგი III-ისა და თამარ მეფის მსახურთუხუცესი. წარმომავლობით „უგვარო" – აზნაურის ყმა (ვასილი). დაწინაურდა გიორგი III-ის მეფობის დროს, როდესაც ცენტრალური ხელისუფლება ატარებდა დიდგვარიან ფეოდალთა შეზღუდვის პოლიტიკას. აფრიდონს სახელად (საგამგებლოდ) გადაეცა ქვაბულისძეთა ყოფილი მამული. სამეფო დომენად ქცეული თმოგვის ციხე-ქალაქი

და მისი მიმდგომი ქვეყანა, აგრეთვე კლდეკარის ერისთავებისათვის დავით აღმაშენებლის მიერ ჩამორთმეული და სამეფო დომენად ქცეული თრიალეთი. გიორგი III-ის გარდაცვალებისა და თამარის მეფობის პირველსავე წელს დიდგვარიანებმა შეუტიეს ცენტრალურ ხელისუფლებას. მოითხოვეს აღზევებულ „უგვაროს“ ფეოდალთა გადაყენება. ცენტრალურმა ხელისუფლებამ უკან დაიხია. აფრიდონს ჩამოერთვა მსახურთუხუცესობა და საგამგებლო ქვეყნები *(ქსე. ტ. I. გვ. 18). შდრ.: აფრიდონიძე).*

**აფრიდონიძე.** **აფრიდონისძე მამუკელა** – ახალსოფელს მცხოვრები, ემართა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ოცდახუთი ცხრიანი კოკა ღვინო, თორმეტ თეთრად ღირებული საკლავი, სამი ქათამი, ოცი კვერცხი, ტვირთი სასახლის, საყდრის და ზვრის მუშაობა. ხუთი თეთრი, ერთიც სხვა თეთრი. თუ საყდრის ყანაში იმუშავებდა, ორი ნაოცხალი ღომი უნდა გამოელო, თუ არა – რვა (1578 წ.).

**ᲐᲤᲠᲝᲡᲘᲫᲔ – 68**
**კოდორის ხეობა–50,**
**თელავი – 5,**
**თბილისი – 5.**

**აფროსიძე,** საკუთარი სახელი **აფრია, აფრო.**

**ᲐᲤᲡᲐᲕᲐ – 40**
**ჩხოროწყუ – 12,**
**წალენჯიხა – 12,**
**ფოთი – 11.**

**აფსა // აფსავა,** ამ გვარებს ნ. ჯომიდავა უკავშირებს სიტყვას **აფსათი,** ნადირთა და ფრინველთა გამგებელ ღვთაებას. გვხვდება სვანურ მითოლოგიაში. (იხ. ქსე). **აფსა** ფუძე ზოგჯერ გადადის ფუძეში **აბსა.** **აფსა** დამოუკიდებელი გვარია წრდილოეთ კავკასიაში. შესაძლებლადაა მიჩნეული, რომ იგი ეთნონიმ **აფსუასთანაა** დაკავშირებული. იგივე ფუძე გვხვდება გვარებში **აფსანაძე, აბსანაძე, აფსარიძე.** აღნიშნული გვარები მეგრულია, თუმცა ზოგნი აფხაზობენ კიდეც.

**აფსავა** **ნაგუჯალა** მოიხსენიება 1834 წელს ოჩამჩირის რ-ის სოფელ კინდღში *(იხ. ნ. ჯომიდავა. გვ. 30).* გვარი გავრცელებულია ძირითადად სამეგრელოში და ქშნის დასახლებულ უბანს – სააფსაო-ყულისკარში. შესაძლოა, **აფსავა** ზუგდიდში გავრცელებული **აბსავას** ვარიანტი იყოს ან პირიქით. **აფას** (სვან). – **აფასავა** – **აფსავა** – **აბსავა** *(ვ. ცხადაია. გვ. 54).*

**ᲐᲤᲣᲚᲐᲕᲐ – 89**
**წყალტუბო – 65,**
**ქუთაისი – 18,**
**მარტვილი – 1.**

**აფსანძე,** შდრ. **აფსავა, აბსანძე** **აფსანძე** 25 სული. ძირითადად ცხოვრობენ ზუგდიდის რაიონში.

**აფულავა.** **აფუ** (მეგრ.) (შორისდებული) აღტაცების გამომხატველი. აფუ! მუ ჯგირი რე ქიანა! „იფ, რა კარგია ეს ქვეყანა“! **აფულა** აფხაზური. სიტყვაა, მეორე მნიშვნელობით ფულს აღნიშნავს (შდრ. **ფულარიანი).**

**ᲐᲤᲨᲘᲚᲐᲕᲐ – 206**
**ლანჩხუთი – 66,**
**ზუგდიდი – 29,**
**წალენჯიხა – 29.**

**აფშილავა–აბშილავა–აფშილავა** უფრო სწორია **აფშილავა (აფშილაა). აბშილავა,** ადგილობრივი გამოთქმით **აბშილა,** ძველი ეთნონიმი **აფშილი** *(აფხაზი. იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქ ერის ისტ.. I. 427).*

**აფშილავა–ამშილავა** *(ილ. მაისურ. 17).* **აფშილებს (აფსილებს)** როგორც

ერთი-ერთი უძველეს ტომს. პირველად იხსენიებს რომაელი მწერალი გაიუს რეკუნდუს პლინიუსი (I ს.). აფშილების (აფსილების) სახელი შემონახულია აფხაზების საკუთარ სახელწოდებაში „აფსუა".

აფშილაევების საცხოვრებელი ადგილად მიჩნეულია ოქონდალეთი. იქ იყო მათი დიდი მამა (ბაბალიში).

სვანეთის ძეგლების მიხედვით (XIII ს. II ნახ. აფშილაევები ცხოვრობენ დღევანდელ ზემო სვანეთის სოფელ ლალში.

კომპაქტურად ცხოვრობენ ბანისში (3 კომლი). ტოპონიმები ზემო სამეგრელოში: ლე-აფშილ-ე უბნები ნაშაკალევსიან (თაია) და ჯალირის საზღვართან (ნაკიფუ). ამჟამად აქ ცხოვრობენ ქვარაცხელიები. ნასოფშილუ-ბორცვი ოჩოფუეს სათავესთან (ფუქი). ქვემო სამეგრელოს მხარეს (ახალსოფელი) ცხოვრობენ ქადარიები, ჭაჭუები, ხარჩილავები, დავითაიები. კოდია- საოფშილე - სახნავი ტეხურას ჭალაში (პატარა სოსირი). აფშილაევის ვარიანტია აშშილავა და ავშილავა. XVIII ს-ში მოიხსენიება გონჯი აფშილავა (ქსძ. III, 771). (იხ. პ. ცხადაია. გვ. 54).

**აფშინაშვილი – 41**
**დედოფლისწყარო–19,**
**თბილისი – 13,**
**ახმეტა – 17.**

აფშინაშვილი. აფშინა (სპარ. სახლის პატრონი. მმართველი). ხევსურეთში **ხახმატი-აფშინა** (ალ. ღლ. 77).

**აფციაური–ჯაბაური–ჯავარაშვილი–გამახარესშვილი–გამიხარდისძე–ფსუტური–აფციაურიშვილი**, გვარის შემოქმედი მხარეა გუდამაყარი. მხარე აღმოსავლეთ საქართველოში, მდინარე გუდამაყრის არაგვის ხეობაში. დასავლეთიდან შემოსაზღვრულია მთიულეთის, ხოლო აღმოსავლეთიდან გუდამაყრის ქედით. ამ უკანასკნელზე გადიოდა გვიანდელი ხანის ქართლისა და კახეთის სამეფოთა საზღვარი. გუდამაყრელებს იხსენიებს ლეონტი მროველი (XI საუკუნე) ქართლის გაქრისტიანების ისტორიასთან (VI საუკუნე) დაკავშირებით – ქართველთა განმანათლებელი ნინო სხვა მთიულებთან ერთად წობენში მათ ქრისტიანობას უქადაგებდა.

**წობენი ისტორიულ-გეოგრაფიული პუნქტია აღმოსავლეთ საქართველოში, ახლანდელ დუშეთის რაიონში, მდინარე არაგვის მარცხენა ნაპირზე, დაბა ჟინვალსა და სოფელ ჩინთის შორის. ეროვნული ტრადიციის თანახმად ქართველთა განმანათლებელმა ნინომ ამ ადგილებში გააქრისტიანა არაგვის ხეობის მთიულები: ჭართალელნი, ფხოველნი, წილკნელნი, გუდამაყრელნი. სოფელ ჩინთის განაპირას მინდორზე ამოზიდულ 15 მეტრ სიმაღლის კლდეს ხალხური გადმოცემით „ნინოს ქვა" ჰქვია. შუა საუკუნეებში წობენი საეკლესიო გლეხებით დასახლებული სოფელი იყო.**

ადრინდელ შუა საუკუნეებში წობენი ერქვა აგრეთვე მდინარე არაგვის მარცხენა ნაპირზე, საგურამო-ხერკის ჩრდილოეთით ჟინვალამდე მოსახლე თემს.

გუდამაყარში მეურნეობის წამყვანი დარგი იმთავითვე იყო მეცხოველეობა. გუდამაყრის მხარის ისტორიულ ძეგლთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელო-

ეანია აღორძინებული ფეოდალური ხანის მახვილოს ციხე, რომელიც ბაკურხევის მარჯვენა მხარეზე მდებარეობს, მახვილოვით აზიდულ მთაზე, და პირიმზის ფუძის ანგელოზის ეკლესია სოფელ ჩოხში. გუდამაყრის ხეობაზე გადიოდა საქართველოს თანამედროვე სამხედრო გზის ერთ-ერთი განშტოება, რომელიც არაგვის ხეობას ხევთან აკავშირებდა. ფეოდალურ ხანაში გუდამაყარი არაგვის საერისთაოში შედიოდა. XIX საუკუნეში იგი დუშეთის მაზრის შემადგენლობაში იყო. თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით მოიცავს დუშეთის რაიონის გუდამაყრის სასოფლო საგამგებლოს ტერიტორიას.

ცნობილია გუდამაყრის არაგვი (შავი არაგვი), გუდამაყრის უღელტეხილი, გუდამაყრის ქედი.

გუდამაყრის მოსახლეობა ძირითადად ოთხი გვარისაგან შედგებოდა: წიკლაურ-ბექაურები, აფციაურები და ჩოხელები *(იხ. ჭყონია. ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, ნაწ. I, 1965, გვ. 27-29)*. აქედან წიკლაურებისა და ბექაურების მთავარი სალოცავი ფუძის ანგელოზი, ხახმატის ჯვარი და პირიმზე იყო, აფციაურებისა — სალმით მაღალი, ზეგარიდის წმინდა გიორგი და წვერის ანგელოზი, ხოლო ჩოხელებისა — ჩოხის წმიდა გიორგი.

სალეთო (სალმითო) მაღალი იყო ღვთაებისადმი განკუთვნილი დღეობა, რომელსაც მართავდა სოფლის თემი ან ოჯახი. კონკრეტულ შემთხვევაში მას მართავდა აფციაურების გვარი. იგი იცოდნენ დარ-ავდრის, ხვნა-თესვის, ჭირნახულის სიუხვის, თიბვის კარგად დასრულების, გადამდებ სნეულებათა არიდების და სხვა მიზნით. თითოეული ოჯახი ზოგად სიხარულს კონკრეტულსაც მოიაზრებდა. ვინ ახალი სახლი ააშენა, ვის ვაჟი შეეძინა, ვის ავადმყოფი განეკურნა. ღვთაებისათვის შეწირულ პირობას ასრულებდა.

ოჯახი (გვარი) სალეთოსათვის წინასწარ ემზადებოდა. მაგალითად, ხევსურეთში ლუდს გამოხდიდნენ, მოკეთეებს დაიბარებდნენ, სოფელს დაპატიჟებდნენ, მოიწვევდნენ ხუცესს, რომელიც „კოდს გახსნიდა". სანთელმიკრული ლუდიანი თასით მესალეთოეს შეავედრებდა „მესალეთოე ანგელოზს". შემდეგ ბანზე დაკლავდნენ სამ საკლავს: ერთს მესალეთოე ანგელოზისათვის, მეორეს — ადგილობრივი მთავარი სალოცავისათვის, მესამეს — აუცილებლად — კვირიასათვის. დაამწყალობებდნენ ოჯახს, სალეთოს ობიექტს. ამის შემდეგ დადგამდნენ „სალოცებელს" იმდენ ლუდიან თასს, რამდენი ღვთისშვილიც იცოდა ხუცესმა და მათ უმცროს-უფროსობის რიგის მიხედვით „მოახსენებდა".

სალეთოში მხიარულება და სიუხვე უნდა ყოფილიყო, რათა ღვთაებათა კეთილგანწყობა მოეპოვებინათ.

აფციაურთა გვარზე გარკვეული მასალა სერგი მაკალათიამ მოგვაწოდა წიგნში „მთიულეთი" (თბ., 1930 წ.). იგი წერს: *„გადმოცემით აფციაური და ჩოხელი ერთიდაიგივე გვარია, ძმათაშვილებია. მათი წინაპარი გვარად თაგაური ყოფილა (ქისტი), ორი ძმა თაგაურის აფსა და ჩალს ქისტეთში კაცი მოუკლავთ.*

*მესისხლეობას გამოექცევიან და გუდამაყარში შეხიზნულან. აქ აფციაურები წარმოშობილან, ჩილასაგან კი ჩოხელები"* (გვ. 79).

აფციაურებს უცხოვრიათ სოფლებში: აფხოტი (სოფელი დუშეთის რაიონში, გუდამაყრის საგამგებლო, მდ. გუდამაყრის არაგვის მარჯვენა ნაპირზე, ზ. დ. 1600 მ., დუშეთიდან 50 კმ.), ლუმაცხო (იქვე), მთიულეთის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, გუდამაყრის ხეობაში, ზ.დ. 1560 მ., დუშეთიდან 60 კმ.), ლუთხუბი (გუდამაყრის ქედის დასავლეთ კალთაზე, მდინარე ლუთხუბის (გუდამაყრის არაგვის მარცხენა შენაკადი) ხეობაში, ზ. დ. 1440 მ., დუშეთიდან 63 კმ.), ცხვედიეთი (სოფელი დუშეთის რაიონში, ფასანაურის საგამგებლო) გუდამაყრის ქედის დასავლეთ კალთაზე, მდინარე მთიულეთის არაგვის მარცხენა მხარეს, ზ. დ. 1400 მ., დუშეთიდან 60 კმ.); წინამხარი (ორი სოფელია), გუდამაყრის ხეობაში, მდ. გუდამაყარის არაგვის მარჯვენა ნაპირზე, ზ. დ. 1300 მ., დუშეთიდან 53 კმ.); და ალევის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, მდ. ხანდოსხევის ხეობაში; ჯულიხი, სოფელი დუშეთის რაიონში (ჭართალის საგამგებლო), გუდამაყრის ქედის დასავლეთ კალთაზე, მდ. ჯულისის (მთიულეთის არაგვის მარცხენა შენაკადი) ხეობაში), ზ. დ. 1280 მ. დუშეთიდან 36 კმ. (სხვათაშორის, სახელწოდება ჯულისიდანაა გვარი ჯულელი).

საქართველოს მთიანეთში (არაგვის მხარეში) დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, ერთი გვარიდან წარმოქმნილია არაერთი გვარი, რომელსაც ამ მხარეში ნაყარ გვარებს ეძახიან. ნაყარი გვარი იქმნებოდა ოჯახის წევრ ცალკეულთა სახელების მიხედვით. აფციაურების სათემო გვარში, 1774 წლის აღწერაში და სხვა საბუთებში მოიხსენიებიან სახელები: *გიორგა, ნადირა, ლომისა, პაპუნა, ფაცხვერა, მირიანა, გვანა, გელისა, ელისბარა, ავთანდილა, ზაქრია, ათელაი, ათელა, გამხარე, აფთარა, საბუჯარი, მაზიტა, პაპისა, დათვია, ჯავარა...* ამ სახელებიდან გაჩენილა გვარები: გიორგაშვილი, ნადირაშვილი, ლომისაშვილი, პაპუნაშვილი, ფაცხვერაშვილი, მირიანასშვილი, გვანასშვილი, გელისაშვილი, ელისბარასშვილი, ავთანდილოშვილი, ზაქრიაშვილი, ათელაიშვილი, ათელაშვილი, გამხარეშვილი, აფთარაშვილი, საბუჯარიშვილი, მაზიტაშვილი, პაპისაშვილი, დათვაშვილი, დათვიაშვილი, ჯავარაშვილი...

თვით აფციაურებისა და ჩოხელების გვარი წარმომდგარა თაგაურების გვარიდან. გამოდის, რომ თაგაურებიდან წარმოიქმნა 23 გვარსახელი.

გვარიდან დაწინაურებული პიროვნებებიდან გაჩენილა თიკუნი (მეტსახელი). ესენია: კრუტაანი, აშენებაანი, მირიანიანი, ივანიანი, ბასილიანი, ასპანიანი, ბუზუნაურნი, მამუკიანი, აფთარიანი, მახარებელნი... *(იხ. ს. მაკალათია, მთიულეთი 78–79).*

1843 წლის აღწერით, აფციაურის გვარში ატარებდნენ სახელს – ჯალაბაური. ცნობილია, რომ აფციაურისა გვარის ერთი ნაწილი ხევსურეთიდან გადმოსახლებული ძირად ჯალაბაური იყო.

**აფციაური – 5083**
თბილისი – 1954,
დუშეთი – 600,
თეთრიწყარო – 591;
**ჩოხელი – 2573**
თბილისი – 1088,
დუშეთი – 380,
მცხეთა – 251;
**ბიორბიშვილი – 182**
გორი – 72,
თბილისი – 56,
ახმეტა – 8;
**ნადირაშვილი – 2980**
თბილისი – 1123,
სიღნაღი – 341,
გორი – 240.
**ლომიშვილი – 194**
თბილისი – 182,
მცხეთა – 11,
რუსთავი – 1;
**პაპუნაშვილი – 1768**
თელავი – 508,
გურჯაანი – 391,
თბილისი – 282;
**მირიანაშვილი – 1570**
თბილისი – 70,
სიღნაღი – 498,
გურჯაანი – 132;
**ბვიანიშვილი – 119**
თბილისი – 70,
დუშეთი – 29,
მცხეთა – 10;
**გელიშვილი – 89**
თბილისი – 31,
მცხეთა – 28,
კასპი – 22;

...აფციაურების გვარში ხშირად გვხვდებოდა მამაკაცის სახელი „საბიჯური“, ბაზალების გვარში – როგორც „საბიჯური“, ისე „აფციაური“ (*რ. თოფჩიშვილი, დასახ. ნაშრ. 77–78*).

აფციაურები 1850-იან წლებში საცხოვრებლად გადმოდიან გარისის (დღევანდელი თეთრიწყაროს მიწაზე). 1853–1854 წწ. აღწერით ისინი აფციაურიშვილებად ჩაწერილან (*სცსსა. ფ. 254. №2. 188. ფურც. 380-382; სცსსა. ფ. 254. №2. ფურც. 374–376*).

1854 წელს სოფელ ლეეში გადმოსულან და 1873 წლის აღწერაში მოიხსენიებიან: ამირან ადამისძე (ეძახდნენ ამირაანთს. დღეს ეძახიან გოგიანი). ნინია დავითისძე, ნინია (მეორე), ივანე ხიზანისძე, ნინია პატისძე, ბეწიკა, ივანე, მამუკა ივანესძე, მახარობელ ივანესძე (*სცსსა. ფ. 254. №3.112. საქმე 74. ფურც. 177–181*).

1886 წლის კამერალური აღწერის სიებს ემატება ადამ აფციაური; ბახვა აფციაურის გადმოცემით, გამახარესშეილის გვარს ატარებდა მისი დიდი პაპა. შინაურობაში ეძახდნენ გამიხარდიას. ბინის შეკეთებისას ქართულ კრამიტზე ამოუტვიფრავს „შიო გამიხარდისძე“. მის ჩამომავლებს დღეს საბჯურიანთს ეძახდნენ. აფთარიშვილებს სოფელ ნაქალაქარში აფთარიანთს ეძახიან (დღეს ჯავარაშვილებად ეწერებიან). პოეტ იოსებ აფციაურების განაყოფებს მახარობლაანი ჰქვია. იმავე აფციაურების წინაპრებიდან მოდის თიკუნები კრუტაინი და აშენებაანი (*იხ. იაკობ ახუაშვილი. ქართული გვარსახელები. თბ. 1994, გვ. 231–232*).

**ბუდამაყრის დუმაცხოს**
**არაგვის ერისთავის ყმა**

*გრიგოლ კობიაშვილის სამოურავო*

აფციაური. გიორგის შვილი

გივი ნაცვალი, პაპი, პაპუნა, მარტია, გიორგი და აფთარა

აფციაური ნადირიასშვილი

ოზდეგა, გიორგი, მამუკა, ნადირა, ავთანდილ და ბასილა,

აფციაური ლომისშვილი ელიზბარ

იაკობ ახუაშვილი

გელიშვილი არის აგრეთვე
დუდუშაურების
ნაყარი გვარი);
ელისბარაშვილი
ელისბარიშვილი – 20
თბილისი – 9,
გურჯაანი – 6,
რუსთავი – 2.
ზაქარიაშვილი – 387
თბილისი– 143,
კასპი – 69,
გურჯაანი – 44;
აფთარაშვილი – 141
გურჯაანი – 103,
თბილისი – 12,
რუსთავი – 5);
პაპიშვილი – 97
გურჯაანი – 54,
თბილისი – 17,
ახმეტა – 9;
დათვიაშვილი – 74
გორი – 29,
თბილისი – 23,
გარდაბანი – 21;
ჯავარაშვილი – 175
ყვარელი – 60,
გურჯაანი – 34,
თბილისი – 25.

აფციაური პაპუნასშვილი ასპაან

აფციაური პაპუნასშვილი ვეფხო და ფაცხვერა

ბუდამაყრის ათნოსს არაგვის
ერისთვის ყმა ამისივე სახელი:

აფციაური მირიანასშვილი ბერი, ათილა და მირიან

აფციაური გვინის შვილი ბერი-

აფციაური გელისშვილი ელისბარ და ათელა

აფციაური ელისბარიშვილი ფაცხვერი და ავთანდილ

აფციაური ავთანდილისშვილი ხახა, ავთანდილ და მახარობელი

აფციაური ავთანდილისშვილი შალვა

აფციაური ზაქარის შვილი ირემა

აფციაური ათილაშვილი დატარა და ნადირა

აფციაური აფთარასშვილი პატარკაცი და დათვა

აფციაური სამუჯურისშვილი ბერი

აფციაური პირქუშის ობოლი შიოშა

აფციაური გიორგის ობოლი ბერი

ხევის არშის ციხე არაგვის
ერისთავის ყმა ამისივე სახელი

ბაზალი აფციაურისშვილი კ–ი ა თავი გ ისე, ბერი და ნასყიდა

აქავ ბაზალი აფციაურისშვილი კ–ი ა თავი გ
ივანე, საბიჯური და გივი

მრევლს მანასეურს არაგვის ერისთავის ყმა ამისი

აქავ ჩოხელი ივანეს შვილი პავლე, შიო, ხორსო
აქავ ჩოხელი ბექანისშვილი აბრამა ელისბარი და ბესალან
აქავ ჩოხელი დათვასშვილი ნასყიდა
აქავ ჩოხელი ბალას ობოლი ბერი
აქავ ჩოხელი ქუცის ობოლი ზაქარია და პაპუნა
აქავ ჩოხელი ბალისშვილი მამუკა, გოჭია და ბექან მსახური

აქავ ჩოხელი გელისშვილი ბერი და შალვა მსახური
აქავ ჩოხელი ლაზარესშვილი გივი
აქავ ჩოხელი ავთანდილისშვილი ბერი
აქავ ჩოხელი დათვასშვილი გამახარე, შიო და დათუნა

## არაგვის ხეობის მებატონენი

არაგვის ერისთავი
ადამ ყარანგოზისშვილი
ჩრდილელი ოთარისშვილი

## მოურავები არაგვისა

ზანდუკელი გოგია ოტიასშვილი
კობიაშვილი საამ
კობიაშვილი გრიგოლ
ნადირაძე შიო
ღუდუშაური მარტია
ღუდუშაური თომა ფისანისშვილი
შაბურიშვილი იოთამ
შაბურიშვილი ფირან
ჭილასშვილი ბაბანა
ჩოფიკაშვილი ყაზიბეგი
ჩქარეული აღდგომლიშვილი იასე

## ბუდამაყრის ჩოხს არაგვის ერისთავის ყმა ამისივე სახელო

ჩ. გამახარდასშვილი ზაზა, მგელი და ბექან
ჩ. თათარისშვილი ხახა და მთავარი
ჩ. ბერდისშვილი ბერდია
ჩ. ბექანისშვილი შალვა
ჩ. ზაზასშვილი ზაზა
ჩ. მგელისშვილი მუცლია და ლომნია
ჩ. ჯამანისშვილი ირემა და ქურციკი

## ბუდამაყრის ხოზას არაგვის ერისთავის ყმა ამისივე სახელო

ჩოხელი პატარკაციშვილი მამუკა
ჩ. მამუკასშვილი გამახარე, ბერი და ივანე
ჩ. ბექანისშვილი ამირან, ბისდან და პაპი

## გუდამაყრის წინა მხარს არაგვის ერისთვის ყმა ამისივე სახელო

აფციაური მაზატასშვილი ათელა, აფრიდო, გამახარე და მამის იმე-
დი

ა. პაპისშვილი ბერი

ა. პაპისშვილი მაზატა

ა. ბერის ობოლი საბუჯირი

## გუდამაყრის ჰოჰოხს ეპყრა სახელო

ჩოხელი ბალიჩასშვილი მამის იმედა

ჩ. ვაჟაკასშვილი ავთანდილა და ბაწაწუნა

ჩ. იმედასშვილი თოთიაური

ჩოხელი მამის იმედას ობოლი მამუკა

ჩოხელი შალვას ობოლი

გუდამაყრის ლუთსუმს ეპყრა სახელო

აფციაური დათვას შვილი მამუკა

აფციაური გამახარეს შვილი ირემა და თათარა

აფციაური დათვიასშვილი ვაჟიკა

აფციაური ბექანისშვილი ბექან და გამახარე

გურამ მაისურაძე წიგნში: „ოქტომბრის დროშით" (1977 წ.) აღწერს 1905–1907 წლების რევოლუციის გამოძახილს ალგეთხეობაში და არსენ ჯორჯიაშვილიდან დაწყებული სახალხო გმირებს შორის – თევდორე აფანასიევი, პეტრე მონტინი, ალიოშა მაისურაძე, ილია მჭედლიძე – ასახელებს გაბრო არტემიძეს, გოგლა აფციაურს, ვასო აფციაურს, ალექსი ბექაურს, დათიკო დავითაშვილს, ილო კანდელაკს, ალექსი მელიქიშვილს და სხვებს, რომლებიც აქტიურ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდნენ. პროკლამაციებს ავრცელებდნენ დაბებში, სოფლებში, ყრიდნენ ტყეებში (სადაც გლეხები მუშაობდნენ), გზებზე, აკრავდნენ ხეებზე.

გაბრო აფციაური ასისთავად იყო არჩეული.

გლეხმა გოგლა აფციაურმა შერისხულ ქ. ციციშვილს ასეთი ლექსი გამოუთქ-ვა: *„მოვიდა მამასახლისი ციციშვილის გვარისა,*

*მაგ ძაღლსა იმედი სულ აქვს შოქრილი ხმლისა.*

*რას დაძრწის სოფელ-სოფელს, ქუდაჯა აქვს სვავისა.*

*ეძებს ერთობის ბიჭებსა, კატასავით ჩხავისა.*

*ვერ ძღება გლეხის სისხლითა*

*დაბადებული ყვავისა.*

*– იყუჩე, მამასახლისო, წკრიალი გვესმის ზარისა,*

*გაგიმწარდება სიცოცხლე, მოდა შეუკურის ჭამისა.*

*ჩამოკვრიამკა ვარ-ხმალი შემარცხვენელი მკლავისა.*
*გაგიწყრებიან ოსები, სული დაგახრჩობს კვამლისა.*
*ცხენიდან ჩამოგაგდებენ, ყრმული დის თოფის წამლისა.*
*სამხრენი დაგეფხრიწება, ვერ გიშველის შენი გვარისა.*
*სად წახვალ, ძაღლო, იუდავ, კაბა ჩაიცვი ქალისა.*
*შავეთი დაგესიზმრება... გოგლა ვარ მოქმედი ამისა!“*

1907 წელს მუხანათურად მოკლეს ალგეთისპირელთა მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ბასილ სისაური. მადლიერმა ხალხმა დიდი პატივით დაკრძალა მშობლიურ სოფელ დრეში. ხალხმა სიმღერად აიტაცა გოგლა აფციაურის მიერ იმ დღეებში გამოთქმული ლექსი:

*„მე, ბასილა სისაური, ხალხის ტანჯვით არ მეძინა.*
*ათასცხრაასხუთწელში, გავუძეხი იმათ წინა.*
*ვფიქრობდი, რომ უფსკრულისთვის მიმებარა მეფის ბინა.*
*ვაებაში ვერ გავძელი, სიკვდილმა ვერ შემაშინა.*
*ხალხის აბუჩად აგდება როდემდისინ მომეთმინა!*
*მეც ხალხის ყიჟინს გავყევი, იმათ სვედა მომსმენია.*
*ნახშირგორიან ჩავუსაფრდი, რომ პრისტავი დამეწვინა.*
*ხუთი სტრაჟნიკი მოვკალი, მე აღარ დავბრუნდი შინა.*
*სამ წელიწადს ტყეში ვიყავ, მარტოობაც მომეწყინა.*
*ათასცხრაას შვიდმა წელმა დამასვენა, დამაძინა.*
*ტყვიამ გულში გამიარა და ბუჩქებში ჩამაწვინა.*
*მოსემ იმ ფანიანელმა ჯვარ-მენდალი შეიძინა.*
*მე დრეში დამასაფლავეს, ის კი გადიყვანეს წინა.*
*თამნიაურთა მარტია გამჩენელმა შეარცხვინა.*
*მე გამყიდა, რა მოიგო, მტარვალობა ჩაიდინა.*
*მაგას ქვეყანა აგინებს, მე კი ხალხმა მომცა ბინა“.*

კომპოზიტორ რევაზ ლაღიძის მრავალ მუსიკალურ ნაწარმოებთა შორის ერთ-ერთმა „სიმღერა ტყეზე“ საქვეყნოდ გაითქვა სახელი.

ამის ავტორი და შემოქმედი გახლდათ ჩემი აფციაურთა გვარის კაცი, ნამდვილი გვარიშვილი და მამულიშვილი ვასო აფციაური.

მოვუსმინოთ მწერალსა და კაი ყმას ბატონ **შალვა ამინაშვილს**:

**ვასო აფციაურის** სახელი ბავშვობიდანვე მქონდა გაგონილი და ისიც ვიცოდი, რომ მისი დაწერილი იყო იმ დროს უკვე ფართოდ ცნობილი და პოპულარული ლექსი *„ტყეებს ნუ სჩეხავ, ძმობილო!“* ვასო აფციაური ხშირად ადიოდა ხოლმე ხოპისში სტუმრად ვასო პაპასთან და იქიდან, ჩვენდა გასახარად, ჩამოჰქონდა ძველი ჟურნალ-გაზეთები: „ახალი სოფელი“, „მნათობი“, „ქართული მწერლობა“, „ჩვენი თაობა“, „არიფიონი“, „ახალი კავკასიონი“, „გრდემლი“, „ლიანდაგი“, „პროლეტარული მწერლობა“, „ქურა“, „ხომალდი“ და სხვ. ამ

ჟურნალების სიუხვე ადასტურებდა, რომ ვასო აფხაზური არა მარტო კარგი ხალხური მთქმელი იყო, არამედ ლიტერატურული ცხოვრებით დაინტერესებული მკითხველიც. ყველანაირ პერიოდულ გამოცემას რომ კითულობს, ისახავს ცხადია, კითხულობს და სხვებსაც აკითხებს. „ახალ სოფელში" კი (ამ სახელწოდებით 20-იან წლებში გაზეთიც გამოდიოდა და ჟურნალიც) მისი ლექსებიც იყო ხოლმე დაბეჭდილი.

სერგო გიგაურმა ერთხელ, ბიგყიდან მასთან ერთად ოფუროწყაროში რომ მივემგზავრებოდით, მე და ლექსო ბერიძეს მანქანიდან დაგვანახა კიდეც:

– აგერ, ვასო აფხაზური.

ჩხიკვეთის გზაზე ხელჯოხიანი, ზურგზე აბგაგადაკიდებული ხნიერი კაცი მიაბიჯებდა ნელა, წელში ოდნავ წახრილი, – ასეთი დამამახსოვრდა ვასო აფხაზური. მაშინ 15-16 წლისანი ვიქნებით, მერე აღარსად შევხვედრივართ.

ჩემთვის მხოლოდ რამდენიმე ლექსია ცნობილი ვასო აფხაზურისა. სამწუხაროა, რომ იგი სიცოცხლეში არ ეცადა (ვინ იცის, იქნებ ეცადა კიდეც და რაკი წინააღმდეგობას წააწყდა, უკან დაიხია), თავისი ლექსები შეეკრიბა და წიგნად გამოეცა. ის ლექსები, რომლებიც გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურული მუზეუმის ფონდებშია დაცული, მის ძმას – გიორგი აფხაზურს გადაუცია მუზეუმისათვის.

1985 წელს ცნობილმა მწერალმა გიორგი ნატროშვილმა ვასო აფხაზურის ხუთი ლექსი კიდევ გამოაქვეყნა „ლიტერატურის მატიანეში". ეს ლექსებია: „აკაკი წერეთლის სიკვდილზე", „გოდება ვაჟა-ფშაველას სიკვდილზე", „არაგვი", „ათას ცხრაას ხუთში ნათქვამი" და „მთის ტირილი".

გულწრფელია გლეხი პოეტი სტრიქონებში, ჯერ აკაკის და შემდეგ ვაჟას გარდაცვალებით გამოწვეული მწუხარების დღეებში რომ დაუწერია. მშვენიერი ლექსი „მთის ტირილი" კი 1892 წლითაა დათარიღებული (მაშინ პოეტი 23 წლისა იქნებოდა):

*„მთას ჯერ არ გადეიძვია*
*მოძინებულსა მხარზედა,*
*ცხრა თვის ძილ იცის, დევური,*
*ნაბადი ხურავ ტანზედა".*

როგორც ჩანს, ვასო აფხაზური არ გაჰყვა პოეზიის გზა-ბილიკს და ლექსის „რიგით ტრფიალად" დარჩენა ამჯობინა, მხოლოდ ათასში ერთხელ თუ აიღებდა ხელში კალამს, როცა რაიმე შეაწუხებდა ან რაიმე გულს დაუკოდავდა პოეტს.

ვასო აფხაზურის ბიოგრაფია სერგო გიგაურმა გამოაქვეყნა (*ჟურნალი „დროშა", 1971 წ. № 12*), როცა მისი ცნობილი ლექსი „ტყეებს ნუ სჩეხავ, ძმობილო!" დაიცვა ცრუ ავტორებისაგან. საქმე ის იყო, რომ რაკი ეს ლექსი ფართოდაა გავრცელებული და ფოლკლორისტებს – ხალხური ზეპირსიტყვიერე-

ბის შემკრებებს მათი ჩაწერა უხდებოდათ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, თავს უფლება მისცეს, მის ავტორად სწორედ ის მთქმელი (მთქმელები) გამოუცხადებიათ, ვისგანაც ლექსი ჩაიწერეს. ამრიგად, „ტყეებს ნუ სჩეხავ, ძმობილოს" ავტორებად წარმოგვიდგინეს ზოგმა – იყალთოელი მაკარაშვილი, ზოგმა – მარტყოფელი ახალკაციშვილი, ზოგმა – თიანეთელი ბოკერიაშვილი.

სერგო გიგაურმა „დროშის" ფურცლებიდან დაამტკიცა, რომ ეს ლექსი პირველად ვასო აფციაურის ხელმოწერით გამოქვეყნდა. დაიბეჭდა ჟურნალ „ახალი სოფლის" 1926 წლის მე–4 ნომერში, იქვე მკითხველს წარმოუდგინა ლექსი იმ სახით, როგორც ავტორმა შესთავაზა რედაქციას. ამ ნაწარმოების სხვადასხვა ვარიანტებია ცნობილი (ყველა დაბეჭდილია „ქართული ხალხური პოეზიის" მე-12 ტომში) და ურიგო არ იქნება, ჩვენც გავეცნოთ მის თავდაპირველ ვარიანტს:

*„ტყეებს ნუ სჩეხავ, ძმობილო,*
*ნუ გაატიტვლებ, ბრალია,*
*ია და ვარდი დაზრება,*
*ვენახებს მოუთხრის ქარია,*
*ტყე შეუნახე შვილებსა,*
*მამა ხარ: შენი ვალია.*
*კლდე-ღრე დაშრება სალია,*
*ძირს ცივი წყარო დაშრება,*
*ყანას მოგვიჭამს კალია;*
*ველარ იშოვი ხე-ტყესა*
*გამოგვეთხრება თვალია,*
*დაგლეჯავს, დაგანიავებს*
*ძლიერი ზღვა ქარია*
*ტყეს გაუფრთხილდი, ძმობილო,*
*ტყე მუდამ შენი ვალია,*
*მას ნუ უყურებ მტრულადა,*
*მოყვრულად მოიხმარია,*
*შვილების ცოდვას ნუ იდებ*
*გამოახილე თვალია..."*

არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ვასო აფციაურის ამ ლექსს დავიწყება არ ემუქრება, ის მუდამ იცოცხლებს.

**ვასო შიოს ძე აფციაური,** დაიბადა 1869 წელს, სოფელ ვანევიში (ვერის ხევი, მანგლისის რაიონი) ღარიბი გლეხის ოჯახში. მისი მამა იმ სოფლის მებატონე ყორღანაშვილის გლეხი ყოფილა. მებატონის ულმობელ მოპყრობას შეუწუხებია ის, აყრილა სიღარიბის გამო და გადასახლებულა სოფელ შუბათში (გორის მაზრა) თავისი ცოლ-შვილით. სოფელ შუბათში მებატონე ყოფილა მაღალაშვილი.

შიო დასახლებულა სრულიად გაუტყეხელ ადგილას, ტყეში, სადაც დიდი შრომისა და ვაების შემდეგ დაუწყია ცხოვრება. ნახსენები მჭადუნე მაღალაშვილიც უდიერი გამოდგარა. მის ხელშიც შეწუხებული შიო აყრილა კვლავ და გადმოსახლებულა სოფელ ნამტვრიანში (მანგლისის რაიონი). იქ გაუკეთებია სახლი და დაუწყია ცხოვრება. აღნიშნული სოფელი უფრო ბევრი ბატონისა ყოფილა მირეწყული. ისე, რომ გლეხობა ამ სოფელში სულ 15 კომლი იყო და ბატონები კი 15 კომლს აღემატებოდა. ვასოს გადმოცემით, ბატონების გაყრასთან ერთად, გლეხებიც ხან ერთ მებატონესთან გადადიოდნენ და ხან – მეორესთან. შიოს აქედან უკვე ევლარსად მოუხერხებია კარგახანს სადმეს გადასვლა. აქედან შემდეგ გადასულა სოფელ ჩარუხეთში (გორის მაზრა) ჯავახიშვილის ადგილში. ეს ადგილი ციებ-ცხელებიანი ყოფილა. აქედან ორი წლის შემდეგ აქედანაც გადასულა სოფელ ხოპისში (მანგლისის რაიონი). მშობლები ვასოს აქ დახოცია. მას არსად არ უსწავლია. ყოფილა ცნობილ მწერალ ვაჟა-ფშაველასთან ერთი წელიწადს და მასთან უსწავლია წერა-კითხვა. სხვა დრო გაუტარებია მშობლებთან ოჯახში და ეხმარებოდა ხვნა-თესვაში და საქონლის მწყემსობაში. ახალგაზრდობიდანვე იყო სამსახურში მეტყევედ.

არც ერთი შენიშვნა არც ძველი და არც ახალი მთავრობისაგან მას არ მიუღია. ამ თანამდებობაზე გაატარა 50 წელიწადი. თავისუფალ დროს სწერდა ლექსებს.

**აფციაურნი.** ძველთაგან გუდამაყარში ბუდობდა რიცხვმრავალი გვარი აფციაურთა.

ეგრე უბნობენ, ითაქოს ქისტეთით გუდამაყარში გადმოხვეწილან ძმანი აფი და ჩალი. აფი ასინოხს დამდგარა, ჩალი – ჩოხს. ძმათაშვილნი ყოფილან თურმე აფციაურნი და ჩოხელნი.

მერმე ხევსური, შატილიონი, ჯალაბაური გადმოიხვეწა გუდამაყარში და ძველ აფციაურთა გვარზე შემოდგა ფიცით.

მერმე მახევე, გორისციხელი, აეშაჯანიაური მოსისხლეს გამოექცა და გუდამაყართა გვარზე შემოდგა ფიცით.

ერთიც მოდგა ჟამი განსაცდელი, ჟამი ვაჟობისა და სწორთა მეჯობინობისა. ჯალაბაურთ აფციაურნი ზურაბ ერისთავისშვილის გაჰყვნენ კახეთს. თუშთა და ფშაველ-ხევსურთა ლაშქარში გაერივნენ. ბახტრიონს ციხის გალავანს გადაევლნენ. ხმლითა სცეს ყიზილბაშთ და სახელი და გუდამაყრის ნაცვლობა მოიპოვეს. წელი იყო 1659.

ხსოვნაში შემორჩნენ პაპი და გივი ჯალაბაურთ აფციაურნი – ნაცვალნი გუდამაყრისა, ღუმაცხოს მამასახლისი აფციაური ჯალაბა.

1795 წლის 11 სექტემბერს გამთენიისას აფციაურნი კრწანისის ველზე იდგნენ არაგველთა შორის.

დუმაცხოს ჯვარპატიოსნის ძირის აფციაური ციხე სდგმიათ „შორით მზარაე მტერია".

ვერ იტევდა გულამაყარი აფციაურთა სიმრავლეს. ბარად მოედინებოდნენ ჟამით-ჟამად. ახალ სამოსახლოზე ახალი გვარის სახელნი დაექვივნათ ახალ მოსახლეთ ადგილ-ადგილ.

ჟარეჟ. ფსუტურნი და ჯაბაურნი ქსანზედ და ჯავარაშვილნი ერწოს. აფციაურთა შტო-ნაყარნი გვარნი არიან.

ძირად აფციაურთა და გვარზედ შემდგარ-შემოფიცულთა და აფციაურთა შტო-ნაყარ გვართა საერთო სალოცავებია: *ზეგარდის წმინდა გიორგი, დუმაცხოს სახიერო მაღალი და ათონხს წვერის ანგელოზი.*

ღმერთისა და საქართველოსათვის და ბაგრატიონთა ტახტის ძლიერებისათვის. აფციაურნი გამოდიოდნენ ქართლის სამეფო ლაშქრის მემარცხენეთ, მიმსვლელ-მცემელთა სადროშოში, თავად ბაგრატიონ-მუხრანბატონთა დროშის ქვეშ.

ამჟამად აფციაურნი ცხოვრობენ: გულამაყარში, შიდა ქართლში, ალგეთზე და თრიალეთში, სამცხეში, გურიაში, ერწო-თიანეთში, გარე და შიგნით კახეთში, ქიზიყში, შირაქში და ჰერეთში, აგრეთვე ჩრდილოეთის მხარეს, კავკასს გადაღმა: ვლადიკავკაზში და სტავროპოლის და დიდი ნოღაის ველებზე.

საქართველოში აფციაურთა დიდ-პატარას, ქუდოსან-მანდილოსნის საერთო რიცხვი ხუთიათასს აჭარბებს.

**ჩოხელი გივი დიმიტრის ძე,** (დ. 27. VI. 1937, თელავი), ფეხბურთელი, თბილისის „დინამო"-ს (1957–1963), სპორტის დამსახურებული ოსტატი (1965). 1960 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი. სსრკ I ნაკრებში ჩაატარა 19 მატჩი (1960 ევროპის ჩემპიონი; 1962 მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე). ოთხჯერ დაასახელეს სსრ კავშირის „33 საუკეთესო ფეხბურთელის" სიაში. 1969–70 და 1974 წლებში მუშაობდა თბილისის „დინამო"-ს უფროს მწვრთნელად, 1983–85 წლებში – გუნდის უფროსად.

**ჩოხელი ელენე ალექსანდრეს ასული** (დ. 5. III. 1914, თბილისი) მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი (1965). 1932 წელს დაამთავრა თბილისის პირველი ქორეოგრაფიული სტუდია, 1937 წელს– თბილისის კონსერვატორიასთან არსებული მუშფაკის მუსიკალური ფაკულტეტი, ხოლო 1943-დან თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი იყო. შექმნა სახასიათო როლების მთელი გალერეა. გადაღებულია კინოში („ქუჯუნას მზითევი", 1934; „სამშობლო", 1939; „დაბრუნებული ღიმილი", 1967; „ტარიელ გოლუა", 1968; „მხიარული რომანი", 1972 და სხვა).

**ჩოხელი კობა ხარხელის ძე** (3. VIII. 1893, სოფელი ჯულხი, ახლანდელი დუშეთის რაიონი, – 8. VII. 1971, სოფელი ზემო ქედი, დედოფლის წყაროს რაიონი). საკოლმეურნეო მოძრაობის ორგანიზატორი. 1921–25 წელს ზემო ქე-

დის ე. წ. ოქმკომის თავმჯდომარე იყო, ხოლო 1926–32 – იქვე კომკავშირის ხელმძღვანელი. 1932–48 ამავე სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე. დაჯილდოებული იყო ლენინის, შრომის წითელი დროშის, ოქტომბრის რევოლუციის ორდენებითა და მედლებით.

**აფხაზავა 1683**
**ლანჩხუთი – 343,**
**თბილისი – 245,**
**ზუგდიდი – 226.**

**აფხაზავა** (აბხაზავა). აღრინდელი ფორმა აფხაზაა. ცხოვრობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ნაწილი მეგრულობს, ნაწილი კი გურულობს. იმისდა მიხედვით, ვინ სად ცხოვრობს.

**აფხაზავა** – საქრისტიანოს მკვიდრები, ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: თავ-ბეგარა – ერთი საკლავი, ერთი ქათამი, ხუთი ლიტრი ღომი, ხუთი ფოხალი ღვინო, გოჯკუმური, საკანელ – ოცი კოჭი ყველი, ღომი და ღვინო (1621 წ.).

**აფხაზაშვილი – 95**
**გარდაბანი – 35,**
**გორი – 33,**
**თბილისი – 18.**

**აფხაზავა ბიჯოჯია** – დარჩენილი, ემართა ცაიშის ბეგარა: ერთი საკლავი, ერთი ქათამი, მისი მარილი, ერთი პური, ხუთი ფოხალი ღვინო, ექვსი ლიტრი ღომი და გოჯკუმური (1616 წ.).

**აფხაზავა გაკაკა** – დარჩენილი, ემართა ცაიშის საყდრის ბეგარა: ერთი საკლავი, ერთი ქათამი, ერთი პური, მისი მარილი, ექვსი ფოხალი ღვინო, შვიდი ლიტრი ღომი და გოჯკუმური (1616 წ.).

**აფხაზავა გვანიბა** – დარჩენილი, ემართა ცაიშის საყდრის ბეგარა: ერთი საკლავი, ერთი ქათამი, ერთი პური, მისი მარილი, შვიდი ლიტრი, ექვსი ფოხალი ღვინო და გოჯკუმური (1616 წ.).

**აფხაზავა ნაცვალი** – დარჩენილი, ემართა ცაიშის საყდრის ბეგარა: ერთი საკლავი, ერთი ქათამი, ერთი პური, მისი მარილი, შვიდი ფოხალი ღვინო, ცხრა ლიტრი ღომი და გოჯკუმური (1616 წ.).

**აფხაზავა უწყენარ** – დარჩენილი, ემართა ცაიშის საყდრის ბეგარა – გოჯკუმური (1616 წ.).

**აფხაზავა ფაცქუდა** – დარჩენილი, ემართა ცაიშის საყდრის ბეგარა: გოჯკუმური (1616 წ.).

**აფხაზა(ა)ვა ქაქალია** – დარჩენილი, ემართა ცაიშის საყდრის ბეგარა: ერთი საკლავი, ერთი ქათამი, ერთი პური, მისი მარილი შვიდი ლიტრი ღომი, ექვსი ფოხალი ღვინო და გოჯკუმური (1616 წ.).

**P.S.** აფხაზავა ეთნონიმური წარმოშობისაა ანუ მომდინარეობს სახელწოდებიდან აფხაზი. არიან გურიაშიც. აჭარაშიც ცხოვრობენ ჩაქვში, ხულოსაურის რაიონის ახალშენის საკრებულოს სოფელ სამებაში, კორნაპში, აჭარის ალმარიაში, საიდანაც რამდენიმე ოჯახი მოსაზღვრე რაიონის სოფელში გადავიდა. ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა ქობულეთელი სულეიმან ხასანის ძე აფხაზავა და ახალშენელი იზეთ ალის ძე აფხაზავა, ე.ი. მაშები მუსლიმანები ყოფილან. ამდენად, ჩვენთან არც ისე ახლადასახლებულები ჩა-

ნან. გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან აჭარაში მოსული აფხაზი მუჰაჯირების ნაწილმა, ალბათ, ქართველებთან დაახლოებულმა, ასე დაიწერა. გურული წარმოშობის **თამაზ აფხაზავა** აჭარის რადიოს კორესპონდენტია, კარგი მეკობარი და ოჯახისშვილი.



**აფხაზავა ევგენი** (? – გარდაიცვალა (1917 წ.), რუსეთის იმპერიის არმიის ოფიცერი (შტაბის როტმისტრი?). მონაწილეობდა I მსოფლიო ომში (დასავლეთის ფრონტზე). 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, იქმნება რა ქართული ეროვნული სახელმწიფო და შესაბამისად ეროვნული სამხედრო ნაწილები, ე. აფხაზავა თავის სამხედრო ძალით და ჯავშნიანი მატარებლით იცავდა საქართველოს აღმოსავლეთ რეგიონებს და დედაქალაქ თბილისს თურქეთის ფრონტიდან გამოქცეული, დეზერტირული რუსულ სამხედრო ნაწილებისაგან, ეშელონებისაგან. ერთ-ერთი ასეთი შეტაკებისას ქართულმა ჯარმა ევგენი აფხაზავას მეთაურობით სადგურ შამქორთან გაანადგურა რუსი დეზერტირები, რომლებიც თბილისის დასალაშქრად და გასაძარცვად მიიწევდნენ. ამ ბრძოლაში დაიღუპა ევგენი აფხაზავა. იგი დაკრძალეს მშობლიურ სოფელ ანალაურში (ახლა არსებული პქვია), რომელიც მდებარეობს ლანჩხუთის რაიონში, მაშინდელი ოზურგეთის მაზრაში. შემდგომ, საბჭოთა პერიოდში ეს სასაფლაო იქ არსებულ ეკლესიასთან ერთად განადგურებულ იქნა.

**ნოე მიხეილს ძე აფხაზავა,** (? – გარდაიცვალა 1951 წ.) ექიმი-რენტგენოლოგი, სოციალ-დემოკრატი (მენშევიკი). ოციან წლებში გადასახლებულ იქნა ყაზახეთში. სადაც გარდაიცვალა და დაკრძალულია ქალაქ აკმოლინსკში.

**ტიტე აფხაზავა,** (1903–1969) ოციან წლებში ემიგრირებული საფრანგეთში ქალაქ გრენობლში ჰქონდა ტყავის ქარხანა. განისვენებს ქ. გრენობლის სასაფლაოზე.

**აკაკი ერმილეს ძე აფხაზავა,** (1908–1988), სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სწავლული მდივანი (1958–69 წწ.). სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტი.

**აფხაზავა ივანე (ვანიჩკა) ირაკლის ძე,** (1912–1899 წწ). – მშენებელ-ინჟინერი, გზათა მშენებლობის სპეციალისტი. საქართველოს დამსახურებული ინჟინერი.

**ვაჟა სოლომონის ძე აფხაზავა,** (1919–1985) ფინეთ-სსრკ ომის მონაწილე I ჯგუფის ინვალიდი, ფილოლოგი, ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.

**ილია სოლომონის ძე აფხაზავა,** (1922–1994), გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი. საქართველოს მეცნ. აკად. ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი. ავტორი მონოგრაფიებისა „ტბები ჩვენი



თამაზ აფხაზავა

ბუნების მშვენება", თბ. 1969 და სხვ. დიდი სამამულო ომის მონაწილე. უფროსი ლეიტენანტი. I ჯგუფის ინვალიდი.

**მიხეილ იპოლიტეს ძე აფხაზავა,** (1920–94). დიდი სამამულო ომის მონაწილე. ექიმი. ზესტაფონის ქალაქის საავადმყოფოს და ხარაგაულის საავადმყოფოს მთავარი ექიმი. ინვალიდობის კომისიის თავმჯდომარე.

**ნუგზარ ჭიჭიკოს ძე აფხაზავა,** დაიბადა 1953 წ. გარდაიცვალა 2003 წელს. ფილოლოგი, მწერალი და ჟურნალისტი.

14 წიგნის ავტორი: საბავშვო მოთხრობები, ფანტასტიკა, ფსიქოლოგიური რომანი. საქართველოს ჟურნალისტთა და მწერალთა კავშირის წევრი. ნათარგმნი აქვს რამდენიმე ტექნიკური დარგის მოთხრობა. მისი მოთხრობები ნათარგმნია რუსულად, ბელორუსულად და ლატვიურად.

**ნოე ილიას ძე აფხაზავა,** დაიბადა 1945 წ. ისტორიკოს-არქეოლოგი. ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი. აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი. ავტორი მონოგრაფიებისა: „ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა", თბ. 1979 წ. „ქვემო ავლევი ადრეულ შუასაუკუნეებში", თბ. 1988 წ. და სხვ.

**რუსუდან ივანეს ასული აფხაზავა,** დაიბადა 1944 წ. მუსიკოსი. თბილისის კონსერვატორიის დოცენტი.

**სლავა მიხეილის ძე აფხაზავა** დაიბადა 1947 წ. ექიმი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

**მართა მიხეილის ასული აფხაზავა** დაიბადა 1952 წ. ფსიქიატრიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. სამედიცინო პოსტდიპლომური განათლების აკადემიის ანატომიის ჰისტოლოგიის და ემბრიოლოგიის კათედრის დოცენტი. არის მრავალი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი.

**ზაალ ამირანის ძე აფხაზავა** 1951-1997. გეოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი. კავკასიის მინერალოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. აქვს მრავალი ნაშრომი ვულკანოლოგიის პრობლემებზე.

**გია ჟორას ძე აფხაზავა. თეიმურაზ აფხაზავა** (ქსე I ტ.) მოჭიდავე.

**ემა აფხაზავა** – მუსიკოსი. საესტრადო მომღერალი.

**ლევან იროდის ძე აფხაზავა** დაიბადა 1921 წ. ინჟინერ-მშენებელ-ჰიდროტექნიკოსი. რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი. რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი. თბილისის მშენებლობის მთავარი ინჟინერი. დიდი სამამულო ომის მონაწილე – მრავალი საბრძოლო და შრომის ორდენის მფლობელი.

**რუსუდან ლევანის ასული აფხაზავა,** დაიბადა 1953 წ. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი. მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. პედიატრიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

არჩილ ლევანის ძე აფხაზავა, დაიბადა 1957 წ. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი. გეოფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.



აფხაზავა ამირან არკადის ძე, დაიბადა 1926 წლის 19 აგვისტოს ლანჩხუთის რაიონის სოფ. ნიგვზიანში, მოსამსახურის ოჯახში.

მამა: აფხაზავა არკადი ნიკოლოზის ძე დაიბადა 1905 წელს. პროფესიით პედაგოგი.

დედა: ებრალიძე ლოლა დავითის ასული დაიბადა 1905 წელს. პედაგოგი.

პირველი დაწყებითი განათლება მიიღო ლანჩხუთის რაიონის სოფ. ნიგვზიანის საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1944 წელს. ამავე წელს სწავლა განაგრძო ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც 1951 წელს დაამთავრა.

1952 წელს დაიწყო მუშაობა თბილისის 26 კომისრის სახელობის ფეხსაცმელების ფაბრიკაში, სადაც არჩეული იყო ამავე ფაბრიკის კომკავშირის მდივნად და მუშაობდა 1956 წლამდე. 1966 წლის 5 ოქტომბრიდან 1998 წლის 3 ოქტომბრამდე მუშაობს ქ. თბილისის ბამბის ფაბრიკაში პარტბიუროს მდივნად. 1959 წლის 8 ივნისიდან 1960 წლის 19 დეკემბრამდე მუშაობს ბოლნისის რაიონის მილიციაში სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების მტაცებლობის ბრძოლის განყოფილების უფროსად. 1960 წლის 19 დეკემბრიდან – ბოლნისის რაიონის მოსამართლედ, ხოლო 1962 წლიდან სამი რაიონის – ბოლნისის, მარნეულის და დმანისის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარედ 1965 წლის 20 დეკემბრამდე.

1967 წლის 1 თებერვლიდან 1968 წლის 16 აგვისტომდე მუშაობდა საქ. შ.ს.ს. სახაზინო სამმართველოში იურიდიული განყოფილების უფროსად. 1969 წლის 13 თებერვლიდან 1970 წლის 1 აპრილამდე – საქ. კვების მრეწველობის სამინისტროს იურისკონსულად. 1971–1993 წ.წ. თბილისის ცხიმკომბინატში იურიდიული განყოფილების უფროსად. 1997 წლის 23 იანვრიდან მუშაობს ადვოკატად საადვოკატო ფირმა „იურისპრუდენციაში".

ნოე აფხაზავა, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

**აფხაზიშვილი – 151**
თბილისი – 101,
გარდაბანი – 28,
გურჯაანი – 8.

**აფხაზიშვილები**, 24 სული რუსული ფორმანტი ოვ-ით არიან ჩაწერილი. ეგონებათ, დროა, რომ აღიდგინონ გვარი **აფხაზაშვილ-აფხაზიშვილი** (ი. ა.). შდრ. **აფხაზი**.

**აფხაზი** საკუთარ სახელადქცეული ეთნონიმია. აფხაზი ქართველი კაცისათვის იგივეა, რაც მეგრელი, გურული, კახელი, იმერელი (*მეგრელიძე, გურული, კახელიშვილი, იმერლიშვილი*) და სხვ.

აფხაზავების გვარზე პაატა ცხადაია ასეთ ინფორმაციას გვაწვდის: ინგირი – 37, კიწია – 16, ხაბუმე – 11, ჩხოროწყუ – 10, ოქტომბერი – 8, კახათი – 7, საჯიჯაო – 7, ეკი – 3, ჩხორია – 3 და სხვ. ტოპონიმებიც დაფიქსირდა როგორც ზემო, ისე ქვემო სამეგრელოში: ლეაფხაზე – უბანი შეხესა და ოლობუეს შუა (ნოღა, კიწიის თემი) და ყოფილი დასახლებული უბანი ჭოლადიდისა და ბუმის წყალგამყოფზე *(მ. ჭოღა, მოლანახე)*.

საფხაზა-საფხაზო – უბანი კახაწყაროს მარჯვენა მხარეს (ცაიშის კახათი). საფხაზო ქუჩა-აფხაზეთის ქუჩა – აფხაზავებით დასახლებული მცირე უბანი ლექარჩესა და ლეკვარცხელიას შუა (ორეშე, ინგირის თემი). ნაფხაზუ – მინდორი ჯვეგულაში (ლეგოგიე – ნასაჯუ).

გვარის მომდინარეობს ეთნონიმისაგან – აფხაზი, რაც გვარის დამაარსებელის მეტსახელი ან სულაც ოფიციალური სახელი იყო. 1621 წლის დასახელებულია საეკლესიო დავთარში საქართლოროს მცხოვრები აფხაზავა, რომელსაც მართებს საკათალიკოსო გადასახადი (ქსძ. III, 414). იმავე საბუთში დარჩელის მცხოვრებთა შორის მოიხსენიებიან: ბიჯია, ბახიჭულა, ქაქალი, გვანიბა, ნაცვალი, უწყინარი, გაკაკა, ფაქცულა აფხაზავები (იქვე 455–460). აფხაზიშვილი აფხაზი შერვაშიძე შარვაშიძე ეთნონიმური წარმომავლობის გვარსახელს მიეკუთვნება. აფხაზი ტომის აღმნიშვნელი სიტყვაა. შეცდომას დავუშვებთ, თუ კი გვარს უშუალოდ აფხაზს დავუკავშირებთ. სატომო სახელიდან ქართველებს არაერთი გვარი გვაქვს ნაწარმოები. ხშირად სატომო სახელი პიროვნულ მეტსახელად ქცეულა და შემდგომ ამ გზით შექმნილა გვარი: *ქართველი, თათარი, თურქესტანი, ფრანგისტანი, ფრანგი, თურქი* და მისთ. აწარმოეს გვარები: *ქართველიშვილი, ქართველაძე, თათარიშვილი, თურქესტანიშვილი, ფრანგისტანიშვილი, ფრანგიშვილი, თურქია, თურქიაშვილი, თურქიშვილი, აფხაზი, აფხაზავა, აფხაზიშვილი* და სხვ. ასეც მომხდარა: *თათარაშვილების* აღრინდელი გვარი *ქაჯთარაძე* ყოფილა. ერთ-ერთი ქაჯთარაძე თათრებს მთიულეთიდან გაუტაცნიათ. დიდი ხნის შემდეგ ტყვეობიდან თავი დაუხსნია და მცხეთაში დასახლებულა. მის ჩამომავლობას ამის გამო თათარასეულობა მიუღია. ბერიძენიშვილებს თურქეთში თურმე გურჯს ეძახდნენ. ამის მიხედვით ჯერ გურჯიოღლებად, საქართველოში დაბრუნების შემდგომ კი გურჯიევებად გამხდარან. აქვე, ქვემო ქართლში, წინწყაროში მცხოვრები ქართლელიშვილებიც გურჯიევებად ჩაუწერიათ.

აფხაზიშვილები გასულ საუკუნეებში ჩანან როგორც ქართლში, ისე კახეთში. ავტორი არ იზიარებს ამ გვარის მატარებლების აფხაზეთიდან მოსულობის იდეას. ისე კი *აფხაზიშვილები ყოფილან, როგორც თავადები, ისე აზნაურები* ალგეთში, დეალოსას ხევის მარჯვენა მხარეზე, ბოლნისის სამხრეთით. ხორბუკის აღმოსავლეთ-ჩრდილოეთით 1654 წელს იხსენიება მებატონე აფხაზი". სოფელ თონეთში 1721 წლის აღწერით 3 მებატონეს შორის მოიხსენიება ბატო-

ნი აფხაზიშვილი". შდრ.: **აფხაზი ივანე კონსტანტინეს ძე** (1785–1831 წწ.) რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი. აფხაზი კონსტანტინე (XIX საუკუნის 60-იანი წლები – 1922 წ.), აღმოსავლეთ საქართველოს თავად-აზნაურთა ლიბერალური წრის ერთ-ერთი ლიდერი, მეთაურობდა ე. წ. „უპარტიოთა კავშირს".

აფხაზიშვილს ჰკუთვნებია სოფლები ჩხიკვთა და ჯურიერი. იქვე მოიხსენიებიან მისი ყმა-გლეხები (*ვახუშტი. მასალანი . გვ. 158. 268*).

**აფხაზი იოვანე**, 1646–1659 წლებში სამეფო კარის მესტუმრე, როსტომ მეფემ მას უწყალობა საბარათაშვილოში ამოვარდნილი სეხნია საგინაშვილის მამულები მაწევანს, სიონესა, ხრამს და ირგვლისუბანს (1646 წ. 1450–1217);

**გიორგი აფხაზიშვილი** XVII საუკუნის 70–80–იანი წლები: შვილი იოვანე აფხაზისა ყაფლანიშვილისა აზნაურიშვილია. მან თამაზ ყაფლანიშვილთან ერთად მონაწილეობა მიიღო ბარათაშვილ-ოთიამაშვილებსა და დოლენჯიშვილებს შორის სამამულე დავის გარჩევაში (XVII ს. 70–80–იანი წლები. 1450–38.26).

**შანშე აფხაზისშვილი** (ვარ. აფხაზი) 1696–1700 წლებში აზნაურიშვილი, ჰყავს შვილი ივანე, ძმისშვილები: **ავთანდილ, პაატა** (1696 წ.) (*იხ. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I. გვ. 193–194*).

ა. ხახანაშვილს მოჰყავს საანაურო ოქმი, სადაც აფხაზიშვილების გვარის შესახებ ვკითხულობთ: **თავადი აფხაზიშვილები**: თავადი **ნიკოლოზ აფხაზიშვილი** უჩივის მამის ყმას, საგარეჯოელ გლეხს, ოსიყმეს, იმასთან დაკავშირებით, რომ მამის გარდაცვალების შემდეგ იგი აღარ უხდის შეპირებულ ღვინოს და სურს, რომ სხვა თავადს ეყმოს. სასამართლომ ოსიყმა სამუთაშვილი გაანთავისუფლა თავად ნიკოლოზ აფხაზიშვილის ყმობიდან, ხოლო მის ვაჟს ოსიყმაშვილს კი დააკისრა, შვილებით განაგრძოს ნიკოლოზ აფხაზიშვილის ყმობა. ოქმი შედგენილია 1788 წლის 1 აგვისტოს. მეფე ერეკლე II–მ ეს გადაწყვეტილება დაამტკიცა 1788 წლის 6 სექტემბერს *(1893, გვ. 20–21)*.

თავადი პოლკოვნიკი **აფხაზიშვილი** მოიხსენიება 1826 წლის 7 თებერვალს. საბუთში წერია: „მიეწეროს იმერეთის სამოქალაქო მმართველობის გამგებელს პოლკოვნიკ თავად აფხაზისშვილს და ეთხოვოს მას ქმნა დამოუკიდებლობისა მისის განკარგულებისა, რათამცა იგი, ვის მიერცა ჯერ არს წარმოქმული იქმნეს გამომძიებელთადმი და შემდგომი ამა საქმისა მათ აცნობოს" (*სცსსა, ფ. 489, აღწ. 1, საქმე 2080, ფურც. 31*). საქმე ეხება ჩხარის ეკლესიის მიერ აღძრულ სარჩელს სამღებროში ფულის დანაკლისთან დაკავშირებულს. საბრალდებო საქმე აღიძრა ეკლესიის ხაზინდარ, აზნაურ ელისე იშხნელის წინააღმდეგ.

რუსულად შედგენილი წყარო ასეთ ინფორმაციას გვაწვდის: „**აფხაზიშვილები**. *თავად აფხაზიშვილების გვარი მომდინარეობს გიორგი-ბეგ აფხაზისაგან, რომელიც XVII საუკუნის შუახანებში ცხოვრობდა. ეს გვარი მოიხსენიება მეფე ერეკლე II–ის მიერ რუსეთიდან 1783 წლის 24 ივლისს ხელმოწერილ ტრაქტატზე დართულ კახეთის თავადთა შორის.*

რუსეთის იმპერატორის წარდგინებით. სახელმწიფო საბჭომ 1826 წლის 7 მარტს. თავადის ხარისხი მიანიჭა კაპიტან ივანე შერმაზანის ძე აფხაზიშვილსა და მის შვილებს: დავითს, შერმაზანსა და დიმიტრის; 1827 წლის 2 ნოემბერს სახელმწიფო საბჭომ თავადის ხარისხში დაამტკიცა პოლკოვნიკი ივანე შტაბს-კაპიტანი გიორგი და ანტონ ნიკოლოზის ძე აფხაზიშვილი" (— გვ. 50).

აფხაზიშვილი აფხაზი, „თავადი აფხაზისშვილი. ესენი არიან აფხაზეთიდან მოსულნი, ოდეს იწყეს მამადიანობა აფხაზთა. ესენი მოვიდნენ კახეთსა და მეფემან თეიმურაზ მიილო თავადობისა და ხარისხითა აფხაზად წოდებულნი. რომელნიც იწოდებოდნენ აწ აფხაზისშვილებად და უბოძა კარდენახს სახასო მამულნი და ყმანი და მუნ სცხოვრობენ მუნ ჟამიდგან წელსა 1636-სა და არიან ერთ სახლად" („აღწერა", გვ. 42).

ქართლ-კახეთის თავადები, შთამომავლები აფხაზეთის მთავრების ანჩაბაძეების, შარვაშიძეებისა. გადმოსახლდნენ აფხაზეთიდან XVIII ს-ში მეფე თეიმურაზ II მეფობის დროს. განსაკუთრებული ნიჭი, სიმტკიცე, თავდადება გამოიჩინეს სამხედრო საქმეში, პოლიტიკაში, ხელოვნებაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში. გვარმა მრავალი თვალსაჩინო მოღვაწე გაზარდა.

XVIII ს. ცნობილი იყო ნიკოლოზ აფხაზი – სწავლული, მხატვარი, განმანათლებელი. ნიკოლოზის მეუღლე – სოფიო გურამიშვილი იყო მეფე გიორგი XII ნაოლული. დარეჯან დედოფლის ლავალებით მოხატა ანანურის ეკლესია. დიდსულოვანი ადამიანი, კარგი მამა, პატრიოტი, საქართველოს ინტერესების დამცველი. ნიკოლოზმა ღირსეული შვილები გაუზარდა ერს.

მისი ერთი შვილი – ანტონი (1806–1837), პოდპორუჩიკი იყო. 1832 წ. შეთქმულების მონაწილე.

მეორე შვილი – ივანე აფხაზი (1784–1831) რუსეთის არმიის გენერალი იყო. 1821 წ. ლენქორანის გარემოცვის დროს, როცა ყიზილბაშები იმარჯვებდნენ რუსებზე და მთავარსარდალი კოტლიაროვსკი სამჯერ დაიჭრა, ივანე აფხაზი (მაშინ მაიორის ჩინით) II ბატალიონს გაუძღვა, რაზმით ციხის კედელზე ავიდა, ხელთ იგდო მოწინააღმდეგის ბატარეა, ზარბაზნები და მეციხოვნეებს დაუშინა. ივანე აფხაზის მეუღლე იყო ქაიხოსრო წერეთლის ასული – სალომე.

1822 წლიდან იმერეთის, 1827 წლიდან აზერბაიჯანის პროვინციების (ყარაბალი, ნუხა, შირვანი) მმართველი. თავი გამოიჩინა რუსეთ-ოსმალეთის ომში.



კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზი (1864–1923). თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საკრებულოს წინამძღოლი, გენერალი, ილია ჭავჭავაძის დისშვილი, კახეთის რკინიგზის მშენებელი, დიდი მამულიშვილი და პატრიოტი, საქართველოს პირველი უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი.

პირველი ეროვნული ყრილობის ინიციატორი. „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის" თანაავტორი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი

ბრძოლის ერთ-ერთი ლიდერი. ჩეკისტებმა 15 გმირთან ერთად 1923 წ. 20 მაისს დახვრიტეს ვაკის პარკის მიდამოებში.

**„ჩვენი სიკვდილი გამარჯვებას მოუტანს საქართველოს“**

80 წლის წინ – 1917 წლის ნოემბერში, თბილისის სახელმწიფო თეატრის შენობაში გაიხსნა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა. ყრილობის ჩატარების ერთ-ერთი ინიციატორი და სულისჩამდგმი თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი, გენერალი **კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზი** იყო. ყრილობას ესწრებოდა თავად-აზნაურთა საკრებულოს 12 წარმომადგენელი:

**დიმიტრი ჩოლოყაშვილი** – თბილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი;

**მიხეილ სუმბათაშვილი** – ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი;

**მიხეილ მაჩაბელი;**
**ივანე აფხაზი;**
**კონსტანტინე მაყაშვილი;**
**დავით გურამიშვილი;**
**ვასილ რცხილაძე;**
**ვარლამ ჩერქეზიშვილი;**
**მიხეილ გედევანიშვილი;**
**გიორგი ჯამბაკურ-ორბელიანი.**

ყრილობა გახსნა ა. ჩხენკელმა. სიტყვები წარმოთქვეს:

*ევგენი გეგეჭკორმა, მამელ აბაშიძემ, კონსტანტინე აფხაზმა, ნოე ჟორდანიამ, დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობის წინამძღოლმა დ. ნიჟარაძემ.*

მთელმა ყრილობამ (ბოლშევიკების გარდა) მხარი დაუჭირა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის იდეას. საქართველოს თავადაზნაურობამ მთელი საზოგადო ქონება გადასცა ქართველ ერს. ეს ქონება უნდა მოხმარებოდა ახლად დაარსებულ სახელმწიფოს, მისი მატერიალური დასაყრდენის გასამაგრებლად.

„**კოტე აფხაზის ინიციატივა ისტორიაში იშვიათი მოვლენაა** – აღნიშნული იყო პრესაში. – **დიდად შეუწყო ხელი ქართველთა ერთობის გამრთელებას, მისი ეროვნული ორგანიზმის გამაგრებას**“.

გთავაზობთ გენერალ კოტე აფხაზის გამოსვლას ეროვნულ ყრილობაზე.

„მე წარმოგიდგენთ თქვენს წინაშე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის დავალებით, რათა გაუწყოთ თავად-აზნაურთა ყრილობის დადგენილება ღვინობის თვის 29 დღისა. ამ დღეს გადაწყდა, რომ მთელი თავად-აზნაურობის ქონების ღირსეულ მემკვიდრედ გამოცხადებულ იქნას ქართველი ერი.

ეს ქონება არ იყო მამა-პაპის მიერ შთამომავლობით დატოვებული, არამედ

იყო თავად-აზნაურობის მიერ შექმნილი ამ ორმოცდაათი წლის განმავლობაში.

თავად-აზნაურობას დიდი წარსული აქვს სამხედრო ასპარეზზედ. ამის გარდა, სამოქალაქო ასპარეზზედაც მრავალი შესანიშნავი პირი მოგვცა ამ წოდებაში (ტაში).

თავად-აზნაურობა შეურიგებელი მტერი იყო რუსეთის ძალმომრეობისა. მთიულეთის, კახეთისა და იმერეთის ამბოხებაში თავად-აზნაურობამ მიიღო მონაწილეობა და ხელმძღვანელობა. მაგრამ ამ ამბოხებებმა ჩვენი უბედური მდგომარეობა ვერ იხსნა რუსეთის კლანჭებისაგან.

რუსეთმა საქართველოს ტერიტორია ერთნაირ საშუალებად გაიხადა ჩვენში თავისი დაპყრობითი პოლიტიკისათვის. ქართველი ერი ერთადერთი ერი იყო, რომელსაც შეეძლო, წარსული მოეგონებინა და რუსეთის დაპყრობითი გეგმები დაეშალა.

ამ გარემოებამ რუსეთის წრეებში შიში დაბადა, რაც ქართველთა შევიწროებაში გამოიხატა. ყველა ამას მოჰყვა რუსეთის ადმინისტრაციის გაძლიერება ჩვენში, რასაც დაერთო უცხოელთა კოლონიზაცია და უცხო კაპიტალის შემოჭრაც.

ამან კი ქართველი ერის დაბეჩავება და დაუძლურება გამოიწვია. ქართველობა თანდათან იდევნებოდა, ქართული სული თანდათან ჰქრებოდა. ქართველმა თავად-აზნაურობამ ხელი მიჰყო კოლექტიური ქონების შექმნას და მოკლე ხანში პატრონი გახდა იმ ქონებისა, რომელიც მან დღეს ქართველ ერს უანდერძა.

სათავად-აზნაურო ბანკი 1874 წელს დიმიტრი ყიფიანის მეცადინეობით დაარსდა. ბანკის წესდებაში აღიარებული იყო, მისი მოგების ნახევარი მოხმარდეს მიწის მუშაობას.

ბანკმა დიდი შემოსავალი მისცა თავად-აზნაურობას. დღეს ბანკი წლიურად 300 000 მ. წმინდა შემოსავალს იძლევა. ამ მოგებით იკვებება 30 ქართული კულტურული დაწესებულება.

კახეთის რკინიგზა. ამ გზას დიდი ხნის ისტორია აქვს. თავად-აზნაურობას დიდი შრომა დასჭირდა ამ საქმის კეთილად დასაგვირგვინებლად. 1915 წელს ამ გზაზე მატარებელმა დაიწყო მუშაობა.

ამ გზამ დიდი სამსახური გაუწია კახეთის მცხოვრებლებს. აღვნიშნავ მხოლოდ, ეს რკინიგზა რომ არ ყოფილიყო, კახეთის მცხოვრებლები ამ ომის დროს შიმშილით დაიხოცებოდნენ. ამ რკინიგზის ღირებულება 18 მილიონ მანეთს შეადგენს.

თავად-აზნაურობის შენობა სასახლის ქუჩაზე, რომლის შემოსავალი წლიურად 120 000 მანეთს იძლევა!

თავად-აზნაურობას აქვს ელექტრონის სადგური, რაც წლიურად იძლევა 100 000 მანეთ წმინდა შემოსავალს.

ქართული გიმნაზია, რომლის შენობის ღირებულება ორ მილიონ მანეთს აღემატება..."

1923 წლის 20 მაისს გენერალი, თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საკრებულოს წინამძღოლი, I ეროვნული ყრილობის მოწყობის ინიციატორი, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის" ხელმომწერი, საქართველოს ეროვნული საბჭოს პარლამენტის წევრი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, შერვაშიძეთა უძველესი გვარის შთამომავალი, ილია ჭავჭავაძის დისშვილი, **კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზი** ბოლშევიკებმა დახვრიტეს 15 ქართველ პატრიოტთან ერთად აწინდელი ვაკის პარკის მიდამოებში.

55 წლის კოტე აფხაზი სიკვდილის წინ არ შეშინებულა. დამსჯელ რაზმს მან განუცხადა, რომ მშვიდად ტოვებდა ამ ქვეყანას, რადგან სწამდა სამშობლოს აღორძინება... **„მე ვკვდები სიხარულით, რადგანაც ღირსი გავხდი სამშობლოს სამსხვერპლოზე ზვარაკად მიტანისა. ჩვენი სიკვდილი გამარჯვებას მოუტანს საქართველოს!"**

**აფხაზი**, იგივე **აფხაზიშვილები**, ქართული თავადური გვარეულობა, რომელიც აფხაზეთის მმართველ თავად შარვაშიძეთა საგვარეულო შტოდ ითვლება. მათი წინაპარი თავადი **მანუჩარი** დაახლოებით 1632 წელს აფხაზეთიდან გადასახლდა კახეთში, სადაც მისცეს მიწა და მიიღო გვარი **აფხაზი**.

ქართველი მეფის როსტომის 1654 წლის 12 აპრილის სიგელში, ირანის შაჰის აბას 1655 წლის ფირმანში გეორგი ბეგ-აფხაზი და ქართულ-კახეთის მეფე თეიმურაზ I-ის სიგელში (1738 წლის 1 სექტემბერი) მისი შთამომავალი დავით აფხაზი ვაჟიშვილი ოთარით დასახელებული არიან თავადებად.

მისი უწყინელესობის დამტკიცებითა და სახელმწიფო საბჭოს 1826 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებით რუსეთის იმპერიის თავადის ხარისხში ცნობილი არიან და ქართული (ტიფლისის) გუბერნიის საგვარეულო წიგნის V განყოფილებაში შეტანილი არიან თავადი **ივანე შერმაზანის ძე** ვაჟიშვილებით **დავითით, შერმაზანითა და დიმიტრით.**

სენატის 1841 წლის 13 თებერვლის, 1851 წლის 30 აპრილის, 1860 წლის 8 აგვისტოს და 1868 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გვარში ჩარიცხეს თავად ივანეს შვილები – თავადი **ალექსანდრე და ნიკოლოზ შერმაზანის ძეები (შვილებით გრიგორითა და სიმონით)** და **ალექსანდრე დიმიტრის ძე**.

თავად აფხაზიშვილთა გვარს არა აქვს რუსეთის უწყინელესის მიერ დამტკიცებული გერბი.

მკვლევარებმა თავად აფხაზიშვილთა (აფხაზთა) საგვარეულო სიიდან, რომლებიც წარმოდგენილნი არიან 1 ცხრილში, მასალები მოიძიეს შემდეგ პირებზე:

1. **დავით** თავის ვაჟიშვილ **ოთართან** ერთად მეფე თეიმურაზ II-ის მიერ 1738 წელს გაცემულ სიგელში მოიხსენიება თავადად (№2.1)

7.3. ივანე შერმაზანის ძე ?-1847). კაპიტანი. 1829 წლის ძმიშვილთან ერთად დამტკიცებული იქნა თავადის ხარისხში. შემდგომში მაიორი. დაქორწინებული იყო თავადის ასულ ხორეშან ივანეს ასულ აბაშიძეზე

8.7. დავით ივანეს ძე (1796–848). პრაპორშჩიკი (1829). შემდეგ შტაბს-კაპიტანი (1836). პირველი ქორწინებით ცოლად ჰყავდა (1825) თავადის ასული ელენე ედიშერის ასული ამილახვარი. მეორეთ (1833) – თავადის ასული დუდუხანა (დარეჯან, დარო), სვანეთის მმართველი მურზაყან დადეშქელიანის (1818–1847) ასული.

შერმაზან (სიმონ) ივანეს ძე (1797–1830). პრაპორშჩიკი (1829). დაქორწინებული იყო (1820) თავადის ასულ თამარა რევაზის ასულ ერისთავზე (ქსნის) (1808–1848).

19.11 დავით ილიას ძე (30. 06. 1866–1918 – შემდეგ). დაამთავრა ტფილისის კადეტთა კორპუსი და ელისაბედგრადის საარტილერიო სასწავლებელი (1887). კორნეტი (15. 10. 1890). მსახურობდა ტვერის 43-ე დრაგუნთა (1890–1900), შემდეგ კარგოპოლის მე-13 დრაგუნთა (შემდგომში მე-5) პოლკში (1900–1917). I სამამულო ომის მონაწილე. იბრძოდა პოლონეთის სამეფოში და ბასტიონის პირეთში (9.11.1915). დროებით ხელმძღვანელობდა მე-5 ულანსკის, მეფე ვიქტორ ემანუელის III პოლკს:

დაჯილდოებული იყო წმ. ვლადიმერის მე-4 ხარისხის ბაფთითა და ხმლით, წმ. სტანისლავის მე-2 საფეხურის, წმ. ანნას მე-2 საფეხურის ხმლითა და ბაფთით, ორდენების კავალერი. 1917 წლის სექტემბერს წარდგენილ იქნა წმ. ვლადიმერის მე-3 ხარისხის ორდენზე. 1917 წელს დანიშნული იქნა მე-5 საკავალერიო დივიზიის მსროლელი პოლკის მეთაურად.

კავკასიის ფრონტის მთავარსარდლის ბრძანებით 29.07.1917 წელს მიენიჭა გენერალ–მაიორის წოდება და დათხოვნილ იქნა სამსახურიდან. 1918 წლის იანვრიდან აყვანილი იქნა აღრიცხვაზე კავკასიის ფრონტის შტაბში. 1918 წლის აგვისტოში იმყოფება ტფილისში. დაქორწინებული იყო აზნაურიშვილ მარგარიტა ალექსანდრეს ასულ საგინაშვილზე. ალექსანდრე ივანეს ძე საგინაშვილის ქალიშვილზე. ჰყავდათ უშვილოები.

23.13. კონსტანტინე ნიკოლოზის ძე (25.09.1867–1923). 1886 წელს დაამთავრა პაველოვის I სამხედრო სასწავლებელი. პოდპოლკოვნიკი (1908). მეთაურობდა დიდი მთავრის თავად მიხეილ ნიკოლოზის სახელობის კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის მე–4 ბატარეას. წმ. ანნას მე–3 საფეხურის (1906) და წმ. სტანისლავის მე–2 საფეხურის ორდენების კავალერი. სადარიგოში გაეიდა პოლკოვნიკის წოდებით (21.03.1911).

არჩეული იქნა ტფილისის გუბერნიის მემამულეთა წინამძღოლად (13.01.1913) და უზენაესმა დაამტკიცა ამ წოდებაში (2.04.1913).

I მსოფლიო ომის დაწყებისას კავკასიის მთავარმართებელ გრაფ ვორონცოვ

# თავადი აფხაზები (აფხაზოვები)

ცხრილი 1



დაშკოეის წინადადებით, კვლავ დაიწყო სამხედრო სამსახური და მიიღო ბრძანება, ჩამოეყალიბებინა კავკასიის ახალი საველე საარტილერიო ბრიგადა. შემდგომ ჩამოაყალიბა კავკასიის სასროლი საარტილერიო ბრიგადა და დანიშნული იქნა მის მეთაურად.

უზენაესის ბრძანებით სამსახურის აღსრულებას შეუდგა პოდპოლკოვნიკის წოდებით და შეუნარჩუნდა მემამულეთა წინამძღოლის თანამდებობა (15.09.1914). 1915 წლის აპრილში გაემგზავრა დასავლეთის ფრონტზე, სადაც იბრძოდა 1915 წლის დეკემბრამდე; გამორჩეულობის და მამაცობისათვის მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება (8.11.1815) და მიიღო წმ. ვლადიმერის ორდენი ბაფთით და ხმლით (1915) და მე–3 საფეხურის ხმალი (1916).

კავკასიის ახალი მთავარმართებლის დიდი თავადის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის განკარგულებით მიელინებული იქნა ტფილისში მემამულეთა წინამძღოლის თანამდებობის აღსასრულებლად. 1916 წლის 4 ივლისს კვლავ სამი წლის ვადით არჩეულ იქნა წინამძღოლად (1916–1918); უზენაესმა თანამდებობაზე დაამტკიცა (5.07.1916); დატოვებულ იქნა მთავარმართებლის მიერ კავკასიის ფრონტის განკარგულებაში.

1916 წლის 25 ოქტომბერს არჩეულ იქნა ტფილისის გუბერნიის მემამულეთა წინამძღოლად სახელმწიფო საბჭოს მიერ, მაგრამ ვეღარ მოასწრო ცხრაწლიანი ვადის ამოწურვა 1917 წლის თებერვლის გადატრიალების გამო. 1917 წელს ითხოვეს თადარიგში გასვლას. 1918 წლის 21 თებერვალს ბოლშევიკების დროს დათხოვნილი იქნა პენსიაზე (დაუტოვეს პოლკოვნიკის წოდება). გაუფორმეს შესაბამისი საბუთები.

დაქორწინებული იყო პოდპოლკოვნიკ იასონ სოფრომის ძე იოსელიანის ქალიშვილ ელენე იასონის ასულზე. სამსახურებრივ ჩამონათვალში მოხსენიებულია მხოლოდ ერთი ვაჟი ნიკოლოზი.

27.15. **გიორგი გიორგი ძე** (10.10.1872–?) დაამთავრა ტფილისის რეალური სასწავლებელი. I მსოფლიო ომის დაწყებისას მოხალისედ ჩაირიცხული იქნა ტფილისის ქართულ რაზმეულში (3.11.1914). მათთან ერთად გამოვიდა ბათუმში და თურქეთის ფრონტზე. მონაწილეობდა ართვინის ალებაში (14–16. 03.1915). შემდგომ ხელმძღვანელობდა კონსტანტინევსკის საარტილერიო სასწავლებელს (9.01.1916); დაამთავრა მოკლევადიანი კურსები. უზენაესმა მიანიჭა მას საველე არტილერიის პრაპორშჩიკობა (29.06.1916); გარდაიცვალა იტალიაში.

28.15. **ალექსანდრე გიორგის ძე** (22.10.1893–?), დაამთავრა პირველი ხარისხის დიპლომზე მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. როგორც მისი ძმა გიორგი, ჩაირიცხა დაჩქარებულ კურსებზე კონსტანტინევსკის საარტილერიო სასწავლებელში (21.07.1917) და მისი დამთავრების შემდეგ მიიღო საველე არტილერიის პრაპორშჩიკის წოდება (1917).

დაქორწინებული იყო თავადის ასულ ნინა ილიას ასულ ჭავჭავაძეზე.

## თავადი აფხაზოვები (აფხაზი-ანჩაბაძე) (თავად ანჩაბაძეთა საგვარეულოდან)

ცხრილი 2

| შთამომავლობა | | | |
|---|---|---|---|
| I | | თავადი შანშე აფხაზი[1] | |
| II | | ივანე[2] | |
| III | გიორგი[3] | ქაიხოსრო[4] | ბერქეზი[5] |
| IV | ივანე[6] | | |
| V | შანშე[7] | ავთანდილი[8] | პაატა[9] |
| VI | ივანე[10] | | |
| VII | ნიკოლოზი[11] | | |
| VIII | ივანე[12] 1785-1831 | გიორგი[13] (შანშე) 1796-1826 | ანტონი[14] (ტარასი) 1805-1838 |

30.16. **მარინა ივანეს ასული** (დ. 1907). პირველი ქორწინებით გათხოვილი იყო თავად ბესარიონ ლევანის ძე მიქელაძეზე, მეორეთი თავად ლევან ვლადიმერის ძე ლორთქიფანიძეზე.

34.23. **ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე** (14.05. 1899–?). ემიგრაციაში ცხოვრობდა კანადაში.

**თავადი აფხაზიშვილები (აფხაზი-ანჩაბაძე), აფხაზიშვილები (აფხაზი-ანჩაბაძე)** კახეთში გადასახლებულ აფხაზეთის თავადური საგვარეულოს შტო. მოიხსენიებიან 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატზე დართულ კახეთის თავადთა სიაში. ამ ოჯახის ფუძემდებელი იყო თავადი **შანშე აფხაზი**, რომლის ვაჟიშვილი თავადი ივანე და შვილიშვილები გიორგი, ქაიხოსრო და ჩერქეზი მოიხსენიებიან 1658 წელს, ხოლო თავად გიორგის შვილიშვილები, თავადები **შანშე, ავთანდილ და პაატა** (№7–9) 1702 წელს. **ნიკოლოზ აფხაზი** (№11) მდივანბეგის გადაწყვეტილებით, რომელიც 1788 წლის 6 სექტემბერს დაამტკიცა მეფე ერეკლე II-მ, წოდებული იქნა თავადად. მისი ვაჟიშვილები – **ივანე, გიორგი (იგივე შანშე) და ანტონი** (№12–14) ცნობილი იქნენ თავადის ხარისხში საქართველოს (ტიფლისის) გუბერნიის საგვარეულო წიგნის V ნაწილში. იგი დაამტკიცა 1827 წლის 2 ნოემბერს იმპერატორმა და სახელმწიფო საბჭომ.

თავად აფხაზიშვილების ამ შტოსაც არ ჰქონდა უზენაესის მიერ დამტკიცებული გერბი, მაგრამ ცნობილია საგვარეულო გერბი, რომლითაც ისინი სარგებლობდნენ. მათი საგვარეულო წარმოდგენილია მე-2 ცხრილში.

აქედან ცნობილნი არიან:

11.10. **ნიკოლოზ ივანეს ძე** (1749–1806). მდივანბეგი, შემდეგ კოლეჯის მრჩეველი, მხატვარი.

12.11. **ივანე ნიკოლოზის ძე** (დაახ. 1785.7–1831.2). კავკასიაში პ.ს. კოტლიარევსკის ადიუტანტი; ხელმძღვანელობდა აფხაზეთის რაზმს ასლან შარვაშიძის მომხრეთა წინააღმდეგ; მონაწილეობდა ლაშქრობაში არაქსისასითის და სიმაგრე ასლანდუზის აღებაში; 1812 წლის დეკემბერში მაიორის წოდებით ხელმძღვანელობდა ლენქორანის ციხე-სიმაგრის შტურმში. წმ. ანნას 4 ხარისხის, წმ. ვლადიმერის 4-ე ხარისხის ორდენების (24.09.1811), წმ. გიორგის 4-ე ხარისხის (28.05.1820) ორდენების კავალერი; ჰქონდა ოქროს ხმალი მამაცობისათვის;

მსახურობდა ქართულ გრენადერთა პოლკში; პოლკოვნიკი (1821, პატენტი 24.04.1822), ეგერთა 44-ე პოლკის მეთაური; 1827 წელს გენერალ პანკრატიევის კორპუსში შტაბის უფროსი;

1829 წლის თებერვალში გენერალ-მაიორის წოდებით ამიერკავკასიის პროვინციებში კრუცის უფროსი.

1831 წელს აწყნარებდა ტაგაურისკის საზოგადოების მთიელთა აჯანყებას

გარდაიცვალა გზაში. მიდიოდა პოლონეთის სამეფოში, სადაც სამსახურისთვის გამოძახებული იყო ვარშავის თავად გრაფ ი. ფ. პასკევიჩ-ერივანსკის მიერ. დაქორწინებული იყო (1826) თავადის ასულ **სალომე ქაიხოსროს ასულ წერეთელზე** (1810–1899).

15.11. **გიორგი (იაგორი, შანშე) ნიკოლოზის ძე** (დაახ. 1796–1826) პოდპორუჩიკი (პატენტი 10.04. 1818), შემდეგ ქართულ გრანადერთა პოლკის შტაბს-კაპიტანი, დაიღუპა ლეზგინებთან ბრძოლაში.

14.11. ***ანტონ (ტარასი) ნიკოლოზის ძე** (დაახ. 1805–1838), პოდპორუჩიკი. დაქორწინებული იყო თავადის ასულ **სოფიო ნიკოლოზის ასულ გურამიშვილზე** (გვ. 99–101).

**აფხაზი ანტონ ნიკოლოზის ძე** (1806–1837) პოდპორუჩიკი, 1832 წ. შეთქმულების მონაწილე, ძმა გენერალ **ივანე აფხაზისა** (იხ.) და შტაბსკაპიტან **გიორგი, ეგორ (იგივე შანშე) აფხაზისა**.

დაიბადა 1806 წ. (1833 წლის თებერვალში მან უჩვენა შეთქმულების საგამოძიებო კომისიას, რომ იგი 27 წლისაა. მამა მისი **ნიკოლოზი** ერეკლეს დროის ცნობილი მხატვარია, დედა – **სოფიო ნიკოლოზ გურამიშვილის** ასული იყო მეფე გიორგი XII-ის ნათლული.

1832 წ. შეთქმულების გამომჟღავნებამდე ანტონი მსახურობს პოდპორუჩიკად. იგი ახლო ნაცნობია სოლომონ დოდაშვილისა. *„ანტონ აფხაზზე ახლო ნაცნობი მე არა მყოლია"* – უჩვენებს დოდაშვილი (რვ. II. 159). ანტონი იყო სოლომონის ერთ-ერთი მეჯვარე.

ანტონ აფხაზი არ ყოფილა შეთქმულების მაინცდამაინც აქტიური მონაწილე. როგორც შეთქმულების საგამომძიებლო მასალებიდან ჩანს, ანტონი ყაზარმელთა წრეში ოთხჯერ თუ მოხედა.

როგორც ცნობილია, იასე ფალავანდიშვილმა შეთქმულები დაასმინა ვოლხოვსკისთან. მთავარმართებელი როზენი როდესაც გაეცნო ვოლხოვსკის ინფორმაციას, უნდობლად შეხედა ამ ამბავს.

იასეს დასმენის შესამოწმებლად როზენმა გამოსაკითხად დაიბარა ანტონ აფხაზი. ანტონმა პირველივე გამოკითხვისას (1832 წ. 10 იანვარს) უჩვენა: ერთხელ ვახშამზე სოლომონ დოდაშვილის ბინაზე ალექსანდრე ორბელიანმა მოითხოვაო დამსწრეთაგან ფიცის დადება. ეს დადასტურება იყო იესეს დასმენისა და ანტონის ჩვენებას მოჰყვა სხვათა დაპატიმრება. თვით ანტონი დააპატიმრეს 11 იანვარს.

საგამომძიებლო კომისიამ ის მიაკუთვნა დამნაშავეთა მეექვსე კატეგორიას. ამ კატეგორიაში შედიოდნენ ის „პირნი, რომელთაც იცოდნენ შეთქმულების ამბავი და შეიძლება ექვემდებარებოდნენ იმაში, რომ ისინი ეთანხმებიან შეთქმულებას".

ანტონ აფხაზი პატიმრობიდან გაათავისუფლეს 1833 წლის 7 სექტემბერს და

გაგზავნეს სამსახურში კავკასიის ხაზზე. აქ ის მსახურობს ქვეითა პოლკში პოდპორუჩიკად.

1836 წ. 4 სექტემბერს გაათავისუფლეს სამსახურიდან ავადმყოფობის გამო. ამის შემდეგ ის დასახლდა თბილისში.

მასზე დაწესებული იყო ფარული მეთვალყურეობა: გარდაიცვალა 1937 წელს.

**აფხაზი დავით ივანეს ძე.** შტაბსკაპიტანი. ისპოლნიტელნი ექსპედიციის სოვეტნიკი. 1933 წ. 23 ნოემბერი.

დავით აფხაზი სტეფანე ლორისმელიქოვისა და მოქალაქების მიხეილ სარაჯევსა და სოლომონ აბამელიქოვთან ერთად გაგზავნეს ნიკოლოზ I-თან 1841 წ. ამიერკავკასიაში სამოქალაქო მმართველობის შემოღებისათვის მადლობის მოსახსენებლად (აქტები).

როზენის მთავარმართებლობა'ში თბილისს ჩამოვიდა სვანეთის თავადის – დადეშქელიანის ცოლი **გოგო-ხანუმ** თავისი ქალით – **დარეჯანით.** როზენმა ურჩია მას, მიეთხოვებინა დარეჯანი დავით აფხაზისათვის. ეს ქორწინება მართლაც მოხდა (აქტები, VIII, 464). დავითის დაცოლშვილიანებაზე იხ. ი. მეუნარგიას „*საქართველო დავით დადიანის დროს*". გვ. 14–15.

**დავითის ქალი ნინო** 1861 წ. ოქტომბერში ცოლად შეირთო **ალექსანდრე ზაქარიას ძე ვახვახოვმა** (საქ. ხელნაწ. ინსტ. ფონდი).

**აფხაზი ეგორ (გიორგი) იგივე შანშე ნიკოლოზის ძე** (?). **ნიკოლოზ** მხატვრის (იხ.) შვილი და შვილიშვილი **ანტონ აფხაზისა** და გენერალ **ივანე ნიკოლოზის ძე აფხაზის** (იხ.) ძმა. შტაბსკაპიტანი ქართველ გრენადერთა პოლკისა. მოკლეს ? წ. 6 ნოემბერს ლეკებთან ბრძოლაში წალენჩის მთის ძირას. ალაზნის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. ალმალოსთან ახლოს.

დაასაფლავეს კახეთში წმ. სტეფანეს სახელობის მონასტერში (ხირსის მონასტერში).

1827 წ. დედამ – **სოფიო გურამიშვილის ასულმა** – ითხოვა ნება. გადმოსვენებინათ ე. ნ. აფხაზის ნეშტი თბილისში. ქაშვეთის ეკლესიაში. მაგრამ საქართველოს ეგზარქოსმა უარი უთხრა.

**აფხაზი ივანე ნიკოლოზის ძე** (1784–1831) გენერალი. სამსახური დაიწყო 1800 წ. მე-17 ეგერთა პოლკში: მიიღო პოდპორუჩიკის ჩინი. გადაყვანილ იქმნა კავკასიის გრენადერთა პოლკში. 1821 წ. ლენქორანის გარემოცვის დროს. როცა ყიზილბაშები იმარჯვებდნენ რუსებზე და თვით მთავარსარდალი კოტლიაროვსკი ზედიზედ სამჯერ დაიჭრა, აფხაზი (მაშინ მაიორის ჩინით) გაუძღვა მეორე ბატალიონს. აეიდა თავისი რაზმით ციხის კედელზე. ხელთ იგდო მოწინააღმდეგის ბატარეა. შეაბრუნა ზარბაზნები და მეციხოვნეთ დაუშინა. რის შემდეგ გამარჯვება უკვე რუსის ჯარს დარჩა.

1820 წელს პოდპოლკოვნიკი აფხაზი დაინიშნა 44-ე ეგერთა პოლკის სარდლად, შემოქმედთან მოკლულ პუზირევსკის მაგიერ.

1821 წ. აფხაზეთში დიმიტრი შარვაშიძის გამეფების დროს დაამარცხა უკანასკნელი მეტოქე ასლან-ბეი, აიკლო ამის მომხრე სოფლები, ხოლო მოსახლეობა აიძულა, მთებში გახიზნულიყო.

1827 წელს იგი გენ. პანკრატიევის კორპუსის შტაბის უფროსია, ხოლო 1829 წ. გენერალ-მაიორის ჩინით ინიშნება მაჰმადიანური პროვინციების (ყარაბახის, ნუხის და შირვანის) მმართველად.

ამ თანამდებობაზე ყოფნისას მისი ხელქვეითი ადმინისტრაცია ძალიან თავგასული იყო და ბოროტმოქმედება-თვითნებობას მრავლად ჩადიოდა, რაც გამოარკვია თბილისიდან საგანგებოდ მივლენილმა მოხელემ. ალბათ, ამის გამო პასკევიჩი იძულებული იყო, იგი აქედან წამოეყვანა 1830 წელს.

ამავე წელს არის ვლადიკავკასიის კომენდანტის თანამდებობაზე. 1830 წ. ზაფხულში დაიმორჩილა საქართველოს სამხედრო გზის ახლოს, კავკასიის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე მცხოვრები ქისტები და ოსები.

1831 წელს პოლონეთის აჯანყების დროს ა. გრაფ პასკევიჩის გაწვევით გაემგზავრა მოქმედ არმიაში და იმავე წელს შემოდგომაზე გარდაიცვალა ქოლერისაგან ქ. ბრესტ-ლიტოვსკში.

ი. ნ. აფხაზი იმდროინდელ ქართველ საზოგადოებაში საკმაოდ მიღებული და გავლენიანი ყოფილა, რაც ჩანს იქიდან, რომ 1832 წ. შეთქმულებს იგი მხედართმთავრად ჰყავდათ ნაგულისხმევი *(მაგ. იხ. ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება).*

იმ დიალოგში, რომელიც ახალგაზრდობისას თავის დღიურში შეუტანია გრიგოლ ორბელიანს 1831 წ. 3 აგვისტოს თარიღით, პოლონეთისკენ სალაშქროდ მიმავალი მოჩანს ერეკლე მეფის რუსოფილური პოლიტიკის მომხრედ და თანაც საქართველოს განთავისუფლების პრინციპულ მოსურნედ, ოღონდ ასეთი დამოუკიდებლობა მას შესაძლებლად მიაჩნია ასი წლის მერე, როცა საქართველოს ეყოლება „რეგული“ ე.ი. მუდმივი ჯარი და „მრავალი მსწავლულნი კაცნი და ყოველი კეთილი, ახალი სასარგებლო დაწესებულება ადვილად აღსრულდების“.

შენახულია და მოძალევსკის მიერ გამოქვეყნებულია ა-ს ექვსი წერილი ბორის გაბრიელის ძე ჭილაშვილთან, უმთავრესად კავკასიაში ყოფნისას („—“, 1904 წ. იანვარი, გვ. 119–126).

ეს წერილები საუკეთესოდ გვიხატავენ ა-ს კლასობრივ ფიზიონომიას და რუსეთის ტახტისადმი ერთგულებას, განსაკუთრებით მისი შემდეგი სიტყვები: **„დღეს თერგი გადავლახე, ყველას ვამარცხებ, ყველაფერს ვბუგავ და დედაბუდიანად ვანგრევ; დანდობა მარტო მორჩილებს“.**

გრიგოლ ორბელიანი თავის წერილში „მგზავრობა ჩემი ტფილისიდამ პეტერბურღამდის“ წერს 1831 წ. 19 ივნისის თარიღით: „19-სა შევისვენეთ ვლადიკავკაზს. კნიაზ აფხაზმან, რომელიც ახლა არის მუნ კომენდანტად, ძალიან შეაძრწ-

უნა მეის ხალხნი".

მეორედ შეხვედრია გრ. ორბელიანი მას უკვე 3 აგვისტოს სტავროპოლში და სწორედ იქ ჰქონიათ ღირსსახსოვარი „უბნობა".

გრიგოლ ორბელიანის დღიურით, აფხაზი სტავროპოლიდან მიემგზავრება 4 აგვისტოს *(დღიურის ტექსტი გამოაქვეყნა პავლე ინგოროყვამ „მნათობი", 1940. № 2. გვ. 69-84).*

იოანე აფხაზმა „პირველად გაამგზავრა რუსეთად სწავლისთვის" პლატონ იოსელიანი 1831 წ. *(იხ. მისი „ცხოვრება გიორგი XIII-სა" ტფ. 1895. გვ. 100).*

იოანე აფხაზის ორი ძმა შანშე (თაგორ) და ტარასი უშვილოდ ამოწყდა.

იოანე აფხაზმა 1828 წ. დანიშნა იმერეთის სარდლის ქაიხოსრო წერეთლის ქალი სალომე.

„იოანე ნიკოლაიჩმა აფხაზოვმა დანიშნა ქაიხოსრო წერეთლის მეორე ქალიშვილი მაისს სალამოზედ და მოვალე იყო ბეჭდისა. შუამდგომლობითა თომა ბაინდურიშვილისათა და იაკობ ზუბალოვისათა. დიდი ყოფა აქვს. ეშმოვეთ ჩვენ სიძე. მადლობა ღმერთს" – წერს ქუთაისიდან გრიგოლ წერეთელი დავით თარხნიშვილს 1826 წ. 10 მაისს *(ნ. ბერძენიშვილი. მასალები საქ. ეკონომ. ისტორიისათვის. წ. II. 1953. გვ. 271. № 373).*

იე. აფხაზმა იმავე 1823 წ. ცოლად შეირთო ეს ქალი (იხ. აფხაზოვი სალომე), რომელიც დაქვრივების შემდეგ მისთხოვდა იესე იოსების ძე ანდრონიკაშვილს.

აფხაზის ცოლი სალომე მდიდარი იყო. აფხაზმა მისი ფულით შეიძინა მამულები.

**აფხაზი ივანე შერმაზანის ძე** (?-1847). კარდანახელი მემამულე რუსოფილი. პლ. იოსელიანის სიტყვით, მეფე გიორგი XIII-ს ჰყავდა მიღებული და ხშირად, როგორც კარგ დეკლამატორს, ათქმევინებდა ხოლმე ლექსებს.

1803 წ. იყო გენერალ გულიაკოვის რაზმში და ლეკებთან ბელაქანში 9 მარტის ბრძოლის დროს თავი ისახელა.

1812 წ. კახეთის აჯანყების დროს აჯანყებულებმა რაკი ვერ მოიმხრეს, გადაუწვეს და აუწიოკეს სახლ-კარი, გადაუკაფეს ვენახები და საქონელიც წაუსხეს. ა. რუსის ჯართან დარჩა და ძალიან უწყობდა ხელს აჯანყების ჩაქრობას.

ნიშნად მადლობისა, მეფის მთავრობამ მას პირდაპირ კაპიტნობა უბოძა, ხოლო მის ორ მოსწრებულ ვაჟს დავითსა და შერმაზანს – პრაპორშჩიკობა. 7 წელი იყო ა. თუშ-ფშავ-ხევსურეთის მოურავად. მერე 6 წელი ითვლებოდა სიღნაღის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლად. 1826 წ. 7 მარტს იოანე აფხაზი თავისი სამი შვილით (მესამე ვაჟი იყო დიმიტრი) თავადის წოდებაში დაამტკიცეს. 1832 წ.

ებოძა მაიორობა. გარდაიცვალა 1847 წ. 16 ივლისს *(ც. 2590. საქმე № 7).*

იოანე აფხაზის ძმა **შერმაზან აფხაზს** ბრალად დასდეს ლევან ბატონიშვილის მოწამვლა *(პავლია ორბელიანი. – წერილები და მასალები საქ. ისტორიისათვის. წ. I. 1914. გვ. 19). საისტორიო მოამბე. 1925. I. გვ. 251–155.*

შერმაზან აფხაზი მოუკლავთ 1782 წ. 22 ივნისს. იოანე აფხაზისა და მისი შვილის დიმიტრის ნაქონი „ქილილა და დამანა" გადაწერილი 1810 წ., წილად ერგო დიმიტრის. 1848 წ. შემდეგ იგი ი. ჭავჭავაძემ შესწირა წერა-კითხვის საზოგადოებას. №32.

იოანეს შვილი დიმიტრი 1851 წ. 27 თებერვალს აირჩიეს „–"-ის ნამდვილ წევრად („–" 1851. № 18). იოანეს უფროს ძმას შერმაზანს ცოლად ჰყავდა **ანასტასია ერეკლეს ასულისა და რევაზ ერისთავის ქალი თამარი.** შერმაზან გარდაიცვალა 1830 წ. 18 დეკემბერს. დარჩა ორი ძმა – **ალექსანდრე და ნიკოლოზი.**

**ნიკოლოზ შერმაზანის ძეს** ცოლად ჰყავდა ილია ჭავჭავაძის და **ნინო გრიგოლის ასული ჭავჭავაძე.**

**აფხაზი ნიკოლოზ.** მხატვარი. მამა **გენერალ ივანესი** (იხ.), შტაბსკაპიტან **შანშესა** (იგივე ეგორ, რომელიც მოკლეს 1826 წ. ლეკებთან ბრძოლაში) და შთამომავლების – ანტონისა (იხ.). პლ. იოსელიანის ცნობით, გიორგი XIII-ის ცოლს მარიამს მწიგნობარმა ისაკ კანდელაკმა 1783 წელს მიართვა დაუჯდომელი, რომელშიაც იყო „მხატვრობები მშვენივრად ნახატნი ოქროსა და ვერცხლის ვარაყითა". წიგნის ბოლოს კი ეწერა: „დედაო ღვთისა, მადიდე სულითა მხატვარი სახითა შენითა ნიკოლოზ".

ამ მხატვრის შესახებ პლ. იოსელიანი წერს: „გამოეძიე ენაობა მხატვრისა ამისა და ვპოვე, რომელ იყო იგი ნიკოლოზ აფხაზი, რუსეთისაც მეფისაგან სხვათა თანა დესპანთა წარგზავნილი, მამა ლენმაიორის ივან ნიკოლაიჩისა" *(ცხოვრება გიორგი XIII-ისა 1895. გვ. 99–100).*

დარეჯან დედოფლის დავალებით ნიკოლოზ აფხაზმა მოხატა ანანურის ეკლესიის კანკელი. განაახლა ანანურის ეკლესიის კედელზე ძველად დახატული 13 ასურელ მამათა ხატნი *(იქვე. გვ. 321).*

ნიკოლოზ აფხაზის რუსეთში ნამყოფობა მტკიცდება 1784 წ. 29 სექტემბრის ერეკლე II-ის ერთი განჩინებითაც. ეს საბუთი იძლევა მასალას ნიკოლოზ აფხაზის პიროვნების შესახებაც:

„როჭიკაშვილ გლახას და ბეჟიას თავის განაყოფის როჭიკაშვილის ედიშერ ნაზირის სასახლის წყალობა რომ უყავით აქ ქალაქში. ეს სასახლე როჭიკაშვილის ედიშერის შვილებს აფხაზის ნიკოლოზ მხატვრისათვის მიეყიდნათ რუსეთში.

ჩვენ რუსეთიდამ ქართლში მამულს არავის გავასყიდვინებთ და არც სამართლის გაისყიდება. მაგრამ რადგანაც ეს აფხაზი ნიკოლოზ ჩვენგან დაბარებული იყო რუსეთიდამ და ჩვენ მოვიყვანეთ, ამისათვის რომ ქვეყნისთვისაც და

[illegible]

ეკლესიებისთვისაც შესამატი იყო. ამის მიზეზით ეს ნასყიდობა აღარ მოუშა-ლეთ და რომელიც სახლები გლახა რაჭიკაშვილს ჩვენგან მიცემული აქვნ-და წყალობით, ის სახლები ისევ ჩამოვართვით და აფხაზს მხატვარს ნიკო-ლოზს მივეცით, რადგანაც ნასყიდიც აქვნდა და სამხატვრო ადგილიც იყო" *(საქ. ც. ა. ფ. 1450. დავთ. 12. № 37).*

ერეკლე II-ს ნიკოლოზ აფხაზი რუსეთიდან დაუბარებია, რადგან „ეკლესიე-ბისთვისაც შესამატი იყო". ჩანს, ერეკლე აპირებდა მის მხატვრად გამოყენე-ბას.

1800 წ. 23 მაისს გიორგი XII-მ „ჩვენს მრავალრიგად ნამსახურს ქნაზს აფხაზს მხატვარს ნიკოლოზს" და მის შვილებს იოანეს და შანშეს უბოძა ანჩისხატის ქუჩაზე „კურსიხეულის ბატონობის მეფის მამის ჩვენის სახაზო" *(საქ. ც. ა. ფ. 1450, დავთ. 12 საბ. № 22).*

იგივე ნიკოლოზ აფხაზი უნდა იყოს ისიც, რომელზედაც გრ. ორბელიანი წერს თავის დღიურში:

„გავიარეთ ანანური, სადა არს ციხესა შინა აღშენებული მშვენიერი საყ-დარი_ და კანკელი არს შეწირული არაგვის ერისთავის ჯიმშერისა მიერ_ მე-ფობასა ქართლსა შინა თეიმურაზისასა და კახეთს ირაკლის მხატვარი ყოფი-ლა ვიღაც ნიკოლოზ, რომელსაცა კარგად დაუხატავს კანკელი ჩვენ" (1753). *(გრ. ორბელიანი, „მგზავრობა ჩემი ტფილისიდამ პეტერბურღამდის", „მნათობი", 1940, № 2, გვ. 71).*

ალ. ხახანოვის მიერ მოტანილი 1788 წლის ერთი საბუთის შინაარსით ირკ-ვევა, რომ ნიკოლოზ აფხაზს მამა მოკლულია რუსეთში.

ნიკოლოზ აფხაზი ცოცხალია 1803 წლის იანვარში. ის ხელს აწერს სა-ბუთს „კნიაზი ნიკოლოზ აფხაზი" *(საქართველოს სიძველენი, I, 474, № 405).*

**აფხაზი გიორგი** – ქუთაისის საყდრის მრევლი, ემართა ქუთაისის საყდრის ბეგარა: სანთლის ჩამოსხმა, ცხენის სამსახური და პურის ჭამა.

**აფხაძე, იხ. აფხაიძე,** აფხაძე ვაჟობედა – ქუთაისს მცხოვრები, ემართა ქუთაისის საყდრის ბეგარა: პურის ჭამა და სამსახური.

აფხაძე (ორი სახელის შეერთებით აფ და ხა ხომ არაა მიღებული ეს გვარი?!)



**აფხაიძე გივი აკაკის ძე,** დაიბადა 1944 წლის 26 აგვისტოს ქ. თბილისში, ინტელიგენტის ოჯახში. 1961 წელს დაამთავრა თბილი-სის 55-ე საშუალო სკოლა და 1962 წელს ჩააბარა მისაღები გა-მოცდები თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ქანდაკე-ბის განყოფილებაზე, რომელიც 1968 წელს დაასრულა.

1970 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკა-დემიაში სამრეწველო ხელოვნების კათედრაზე სასწავლო ოსტატის თანამდებობაზე.

1972 წელს გახდა საკავშირო მხატვართა კავშირის წევრი.

დღიდან სამხატვრო აკადემიის დამთავრებისა. სისტემატიურად მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა გამოფენებზე.

გივი აფხაიძე იმ ნიჭიერ მოქანდაკეთა რიგებს ეკუთვნოდა, რომელმაც ერთ-ერთმა პირველთაგანმა ხელი მოკიდა ქართული ჭედურობის ხელოვნების აღდგენას და მის ხელახლა განვითარებას. საინტერესოდ მუშაობდა როგორც დაზგურ ქანდაკებაში, ისევე გაფორმებით ხელოვნებაში. იყო რესპუბლიკის და საერთაშორისო გამოფენების მონაწილე.

მის მიერ იყო გაფორმებული რესპუბლიკის და საბჭოთა კავშირის მრავალი ქალაქის მუზეუმების, სპორტული და ადმინისტრაციული შენობების ფასადები და ინტერიერები.

გივი აფხაიძე შესანიშნავად ფლობდა სპილენძის, ხის, ქვის და ბრინჯაოს დამუშავების მაღალ ტექნიკას. თვითონვე ასრულებდა მათ ტექნიკურ დამუშავებას და მის მიერ შესრულებული პორტრეტები და ფიგურული კომპოზიციები გამოირჩეოდნენ მაღალი კულტურით და გემოვნებით.

გივი აფხაიძე გამოირჩეოდა თავისი პედაგოგიური მოღვაწეობითაც. სამრეწველო ხელოვნების კათედრაზე დაევალა ქანდაკებით მცირე პლასტიკის სწავლება (ბიონიკა). თავიდანვე მის პედაგოგიურ მოღვაწეობაში მკვეთრად გამოიკვეთა სწავლების ახალი მეთოდი, რასაც აშკარად მოჰყვა კურსებზე სტუდენტთა პრაქტიკულ მუშაობაში საინტერესო მაღალმხატვრული ნამუშევრები. მისი ხელმძღვანელობით შექმნილი სტუდენტთა ნამუშევრები ერთხმად იმსახურებდა მოწონებას და მაღალ შეფასებას.

მის მიერ დანერგილი სწავლების სიახლე მდგომარეობდა იმაში, რომ მჭიდროდ დააკავშირა ბიონიკა, როგორც სწავლების საგანი, დიზაინთან. ახალი ხედვა ამ სფეროში მოითხოვდა ახალგაზრდა მასწავლებლისაგან ორიგინალური მეთოდის გამოყენებას აღმზრდელობით საქმეში, რასაც ნიჭიერმა პედაგოგმა დიდი წარმატებით გაართვა თავი. მისი ხელმძღვანელობით შესრულებული საკურსო ნამუშევრები დღემდე ინახება კათედრის ფონდში, როგორც მეთოდური სახელმძღვანელო ამ დარგში.

გივი აფხაიძე, როგორც პიროვნება, იყო მართალი, სულიერად ფაქიზი გრძნობის, მეგობრებისათვის თავდადებული. სარგებლობდა კოლეგებთან გამორჩეული ავტორიტეტით და დიდი სიყვარულით სტუდენტებთან. გააჩნდა უდიდესი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა. იყო ზედმიწევნით პუნქტუალური, ულალატო საქმეში. ამავე დროს იყო არაჩვეულებრივად კეთილმოსურნე, მინიჭებული ჰქონდა მოჭარბებული კაცთმოყვარეობა. შემოქმედებით მუშაობაში კი თავის მიმართ იყო ულმობლობამდე მომთხოვნი და პრინციპული.

1981 წლის 7 ნოემბერს სიცოცხლე დაასრულა თვითმკვლელობით, თავის სახელოსნოში.

**აფხაიძე აკაკი მიხეილის ძე. დაიბადა ქვედა წყალტუბოში 1902 წელს.**

შეძლებული გლეხის ოჯახში. დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია და შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტზე მანქანა-იარაღების განხრით. პროფესორ ამირეჯიბის მიერ დატოვებული იქნა ასპირანტურაში. აქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და ცხოვრების ბოლო წლებამდე (1977 წლამდე) ასწავლიდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში.

იყო თავდადებული მეცნიერი და პედაგოგი. როგორც პედაგოგი, გამოირჩეოდა მომთხოვნელობით და სიმკაცრით.

გამოქვეყნებული აქვს ასამდე ნაშრომი, მათ შორის სახელმძღვანელოები სტუდენტებისათვის. გამოცემული აქვს ფუნდამენტალური სახელმძღვანელო ქ. ლეჟავასთან ერთად „სოფლის მეურნეობის მექანიზმები“, რომელიც დღემდე გამოიყენება.

**აფხაიძე ნათელა აკაკის ასული.** დაიბადა 1942 წლის თებერვალში ქ. თბილისში, ინტელიგენტის ოჯახში. სკოლაში ექვსი წლის ასაკში შევიდა. პარალელურად ეუფლებოდა მუსიკას.

სკოლის დამთავრების შემდეგ 1958 წელს შევიდა ცენტრალური მუსიკალური სკოლის საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტზე, ხოლო 1959 წელს გამოცდები ჩააბარა თბილისის ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე გერმანული ენის განხრით.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ წლების განმავლობაში მუშაობდა ერთ-ერთ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში მთარგმნელად.

1986 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე „ხაზობრივი კონსტრუქციები თანამედროვე გერმანულ სამეცნიერო ლიტერატურაში“.

გამოქვეყნებული აქვს ათამდე ნაშრომი გერმანული ენის სინტაქსის პრობლემებზე. დისერტაციის დაცვის შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში გერმანული ენის პედაგოგად, ხოლო 1990 წლიდან დღემდე მუშაობს თბილისის ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გერმანული ფილოლოგიის კათედრაზე დოცენტის თანამდებობაზე.



**აფხაძე გრიგოლ ივანეს ძე.** დაიბადა 1914 წლის 29 ოქტომბერს სოფელ წყალტუბოში გლეხის ოჯახში.

1927 წელს დაამთავრა წყალტუბოს არასრული საშუალო სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ტყიბულის მაღაროებში მნგრეველად. საშუალო განათლება მიიღო თბილისის მუშათა განათლების კომბინატში. 1937–41 წლებში სწავლობდა თბილისში, საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე.

ხანგრძლივი შრომითი საქმიანობისა და სწავლის პერიოდში მუშაობდა კოლმეურნეობაში მოანგარიშედ, ბრიგადირად, ინსტიტუტში – კომკავშირის

კომიტეტის მდივნად. მეორე სამამულო ომის პერიოდში – მობილიზაციით თავდაცვის სპეც-მშენებლობაზე. თბილისის მშრომელთა დეპუტატების ლენინის სახელობის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, ხოლო საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ორ წლიანი პარტიული სკოლის დამთავრების შემდეგ საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილედ. თბილისის 26 კომისრების სახ. რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. თბილისის საბჭოს აღმასკომის კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსად. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსის მოადგილედ. დაენიშნა რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსია. მუშაობის პერიოდში არჩეული იყო რესპუბლიკური, ქალაქის და რაიონების პარტიულ, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელ ორგანოებში.

დაჯილდოებული იყო სსრ კავშირის ორი ორდენით, მედლებით და საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრის, ომისა და შრომის ვეტერანის საპატიო წოდებები. გარდაიცვალა 2000 წელს.

**აქიაშვილი 90**
**თბილისი – 36,**
**დედოფლისწყარო – 5,**
**გარდაბანი – 4.**

აქიაშვილი. ძველ წყაროებში გვხვდება ფორმით აქელაშვილი, აქიმესძე, აქიმიშვილი, აქიმიძე. დღეისათვის გვხვდება ფორმით: აქიაშვილი და აქიმიძე.

აქელაშვილი თემა – გიორგი (ბარათაშვილის) ყმა, მოწმე: ყუმხასაშვილის მიერ გიორგი (ბარათაშვილისთვის) მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1674 წ.), პაპუა ყამაზასშვილის და გიგოლა ფირველაშვილის მიერ გიორგი ყაფლანისშვილისათვის მიცემული ხოდაბუნის ნასყიდობის წიგნისა (1676 წ.), ზაქუმ ზაქუმისშვილის მიერ ვახტანგ (ბარათაშვილისათვის) მიცემული ზვრის ნასყიდობის წიგნისა (1677 წ.).

აქიმესძე ქავთარ – მოწმე ლომი სონღულისძის მიერ სვეტიცხოველისათვის მიცემული ზვრის შეწირულების წიგნისა (1898 წ.).

აქიმიშვილი ამბრი – მასა და მის სახლიკაცს ალის მონასტრის კრებულმა მისცა ოხვეტელში კოკოლაური მამული იმ პირობით, რომ დაუკლებლივ გადაეხადათ შეწერილი გამოსაღები.

**აქიმიძე 47**
**ახმეტა – 38,**
**თბილისი – 7,**
**თელავი – 1**

აქირთავა. გვარსახელში ა პრეფიქსია.

**აქირთავა – 233**
**ზუგდიდი – 108,**
**თბილისი – 42,**
**ჩხოროწყუ – 13.**

ფუძე ქირთ-ა (-ქირთი) ავა სუფიქსია. *„გვარის ფუძე აფხაზური სიტყვა აქვრთუა, რაც ნიშნავს ქართველს. აფხაზეთში აქირთავები ანუ აკირტავები აზნაურები იყვნენ“ (პ. ცხადაია, 54).*

ცხოვრობენ ნაკიანში და გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯშიც.

აქუბარდია, აქბარდია გვარში ა არითრონი უნდა იყოს. ბარდი ფუძე, ხოლო ია სუფიქსი. ქუბი (ბალახია, ჭვავი). შდრ. ქუბურობა (საბა, II, 235); ბარდიც ასევე ბალახია. ადგილობრივი ვარიანტია აქბარდია. ტოპონიმი საქბარდო, ქ. ჯვარში ენგურის პირას დასახლებული უბანია (ჟ. ცხადაია, *54*).

| |
|---|
| ᲐᲥᲣᲑᲐᲠᲓᲘᲐ 1107 |
| ზუგდიდი 399, |
| წალენჯიხა – 346, |
| თბილისი – 161, |
| ჯვარი – 31, |
| ჭალე – 25, |
| ლია – 9, |
| ხვალი – 4, |
| ორული – 3, |
| რუხი – 3, |
| შამგონა – 3, |
| წალენჯიხა – 3. |

დავით აქუბარდია ტელეკომპანია „კავკასიის" პრეზიდენტი. დაიბადა თბილისში 1953 წ. 12 ივლისს.

მშობლები: ლამარა გეგეჭკორი, ლევანი აქუბარდია; შვილები: თეონა, თამუნა, დათუნა.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტი (1977). მუშაობდა საავიაციო ქარხანაში ამწყობ-ზეინკლად (1971–72). იყო საგეგმო კომიტეტის ეკონომისტი (1977–80), მეცნიერებათა აკადემიის უფროსი ინსპექტორი (1980–1990), ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილე (1990–94).

ავტორია წიგნისა „მენეჯმენტის საფუძვლები". პერიოდულ პრესაში აქვეყნებს სტატიებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პრობლემებზე.

*ცხოვრების კრედო* – სიკეთის ქმნა.

*პროფესიული კრედო* – არ ვავნო ადამიანებს.

*მიზანი* – შევქმნა ერთიანი საერთო-კავკასიური სატელევიზიო სივრცე, რომელზეც გავლენას ვერ მოახდენს ვერც ჩრდილოეთი, ვერც აღმოსავლეთი და ვერც დასავლეთი.



აქუბარდია ევგენი იოსების ძე დაიბადა 1926 წ. 22 ნოემბერს სოფელ ჯვარში (ახლანდელი წალენჯიხის რაიონი). 1953 წელს წარჩინებით დაამთავრა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. არის მწერალი და პუბლიცისტი, აფხაზეთისა და საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, შ. შერვაშიძის სახელობის პრემიის ლაურეატი.

მისი პირველი მოთხრობა „ყავარჯნები" გამოქვეყნდა „ლიტერატურულ ალმანახში" 1953 წელს. მოთხრობების პირველი კრებული „განთიადისას" 1961 წელს. ე. აქუბარდიას ეკუთვნის რომანი-ტრილოგია „კოჩა". I ნაწილი – 1968 წ. II– 1974, III– 1983. სამივე ერთად 1986 წ. 1991 წელს – მოთხრობების კრებული „აკვანი", რომლის ათიათასიანი ტირაჟი მთლიანად შეეწირა აფხაზეთის ტრაგედიას.

„კოჩას" ავტორი არის აფხაზეთის კულტურის (1979 წ) და საქართველოს კულტურის დამსახურებული მოღვაწე (1987 წ.), აფხაზეთის ომის აქტიური მონაწილე. გიორგი შარვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

ღირსების ორდენის კავალერი, ომის ვეტერანი, აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგული მებრძოლი მწერალი შვილის მამა. ამჟამად მუშაობს საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილედ.

აფხაზეთიდან დევნილი, ამჟამად ცხოვრობს თბილისში.



**აქუბარდია ტერენტი დავითის ძე** დაიბადა 1918 წელს გალის რაიონის სოფელ ღუმურიში. წარჩინებით დაამთავრა ქ. გალის №1 საშუალო სკოლა, ხოლო 1941 წელს წითელ დიპლომზე დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტი, მათემატიკის განხრით.

იგი გაიგზავნა ქ. გალში სკოლის დირექტორად, იმუშავა 30 წელი. იყო აფხაზეთის დამსახურებული მასწავლებელი. აქვს მიღებული უამრავი მადლობა, მედალი და სიგელი. არის ხუთი შვილის მამა.

**აქულაშვილი 45**
**ბოლნისი – 36,**
**თბილისი – 7,**
**დმანისი – 1.**

აქულაშვილი, გვარში ა პროთეზულია, ფუძედ კი გამოყენებულია მამაკაცის საკუთარი სახელი **ქულა** (**ქულია**). სოფელ მუხათში ქუაშვილებში (იგივე ქუაშვილი) რამდენჯერმე მეორდება სახელი **ქულა** (**ქულია**). ქუაშვილების ერთ-ერთ დიდ ოჯახს აქულაანთს ეძახდნენ.

**ალაბაბაშვილი–რამაზასშვილი** ალაბაბაშვილი, ნაწარმოებია საკუთარი სახელიდან ალაბაბა. შდრ. ალაბაბა სოფელ ბიჯას მცხოვრები, იგი მამულით წილში ერგო იოთამ ბარათაშვილს (1537–1538 წწ.) არა (ალასი) ბატონი, პატრონი (უპირატესად იხმარებოდა ეპარქიათა წრეში. გვხვდება ქართულ გვარ-სახელებში: *ალაბეგაშვილი, ალაიბეგიშვილი (შდრ. ბატონიშვილი), ალაფანგიშვილი, ალამარისაშვილი, ალამურაშვილი, ალაპიშვილი, ალარაჯანაშვილი.*

ალაბაბაშვილი – 0. დღეს აღარაა ამ გვარის განშტოება **რამაზასშვილი**. „**ალაბაბასშვილი–რამაზასშვილი ალიპექაბარა**“ (1699 წ.)

რამაზასშვილი არის აგრეთვე სხვა გვარების შტო-გვარიც, ამ გვარზე ვრცლად სხვა ადგილას გვაქვს საუბარი (იხ. ბაგრატიონები).

**ალაბაბაშვილი– რამაზაშვილი ალიპექბარა** – მიჰყიდა ფირყულანთ ნაზარასშვილ გიორგის საზარასა და ბეჟანას სახლ-კარი, რომელსაც ესაზღვრებოდა ზევით გალავანი და ბურჯი, ქვევით ფრანგებისა და ველისათა სახლ-კარი, დალა-გურგენათ ფარსადანის ბაღი, სოლოთანთ მელქოას სახლ-კარი, ხოლო მისი გზა თაყოანთ და ყოცოანთ სახლებისკენ ჩადიოდა (1699 წ.).

**ალაბეგასშვილი//ალაბეგაშვილი ალაბეგ** (ვარ. **ალაბეგა**) – მისი ბაღის პირას გამავალი შარა იყო საზღვარი როსტომ მეფის მიერ სეფი ყულიბეგისათვის მიცემული სახასო ვენახისა (1648 წ.).

**ალაბეგ** – მამასახლისი, მოწმე მანიაშაშვილის მიერ ალფასასთვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1651 წ.).

**ალაბეგ** – უზბაში, მოწმე მინბაშ მამად ბალირბეგის მიერ გივი თუმანიშვი-

ლისათვის მიცემული ყაბაზის გაუქმების წიგნისა (1689 წ.).

ალაბეგა – შეილი სარქისასი, იხ.

ალაბეგასშვილი ალაბეგაშვილი ბიძინა – მოწმე ბარძღურა უბლიაშვილის მიერ დათუნა თოფჩიაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1698 წ.).

ალაბეგაშვილი გოგია – მოწმე ნასყიდა ევეხასის მიერ მიხარა სალოსაშვილისათვის მიცემული საწისქვილე მიწის ნასყიდობის წიგნისა (1671 წ.).

ალაბეგაშვილი გოგია – შინდარის მცხოვრები. მისი წყალობა ელენე დედოფალმა და ნაზარალი-ხანმა განუახლეს ზაალ აბაზაძეს (1693 წ.).

ალაბეგაშვილი გოგინა – მოწმე შანშე აბაზაძის მიერ გიორგი ლალაშვილისათვის მიცემული მიწების გაცვლის წიგნისა (1658–1675 წწ.).

ალაბეგაშვილი ბეჟანა – მოწმე დათუნა ბატკუაშვილისა და იესა ბატატაშვილის მიერ უთრუთ ციციშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1699 წ.).

ალათოშვილი ალათოშვილი//აგათოშვილი ერთი და იგივე გვარია. წარმომდგარია მამაკაცის საკუთარი სახელიდან აგათა (–აგათო), ალათა (–ალათო). აგათოშვილი–ალათოშვილი ვაჩნაძეების შტო-გვარია. წარმოსდგა ალათო ვაჩნაძისაგან.

ალათოშვილი ამჟამად 20 სულზე ნაკლებია. ბევრმა აღიდგინა პირვანდელი გვარი – ვაჩნაძე.

აგათოშვილი – გიორგი მეფემ მას მისცა პირობა წყალობისა, თანადგომისა და მფარველობისა იმ შემთხვევაში, თუ მეფე კახეთს დაიჭერდა.

აგათოშვილი ბეჟან (1648–1683 წ.წ.- შვილი დავით აგათოშვილისა, ჰყავს ძმები: გიორგი (1648–1683). საანდიერ (1659), შვილი დათუნა. მას უწყალობა კარდენახში ამოვარდნილი დავით ვაჩნაძის მამული – შვილი კოძლი იესეს უნდა დაეჭირა: ჩალაუბანსა და ბაკურციხის – დავით გარსევანიშვილის მამული (1659 წ.).

აგათოშვილი ბერუკა – ნაცვალი. გიორგი მეფემ მას მისცა წყალობისა და უვნებლობის პირობა (1678–1688 წ.წ.) (იხ. პალ. 68).

„5. თავადი ვაჩნაძეშვილი... ვაჩნაძენი არიან მამულით სახელებითაც სხვა გვარად წოდებულნი, ესე იგი, ასათისშვილებად და აგათოშვილებად და ონანაშვილებად... აგათოშვილები სახლობენ ბაკურციხეს და ონანაშვილი კოლაკს" (აღწერა. – 40–41). ონანოვად ჩაწერილები ვაჩნაძე-ონანაშვილები არიან (ი.ა.)

**ალაია 28**
**ზუგდიდი – 16,**
**თბილისი – 9,**
**წალენჯიხა – 3).**
**შდრ.: ალაშვილი 71**
**სიღნაღი – 27,**
**ახმეტა– 21,**
**თბილისი – 13.**

ალაია, ალაჰია, ალა (ალახი) [თურქ-სპარ.] (ძე.) ნიშნავდა ბატონი, პატრონი (უპირატესად იხმარებოდა ვაჭართა წრეებში). ალა ჩანს მეტსახელადაც. შდრ.: ალათანგი//ალათან-გელ (ბერძნ. – კეთილმახარობელი) (ალ. ღლონტი, 77).

**ალამონაშვილი 28**
დედოფლისწყარო – 1,
თბილისი – 2,
ბათუმი – 1.

ალამონაშვილი. ალამონა, მეტსახელი. გვარში. ალამონაშვილი (ალ. ღლონტი. 77). ალამონ (ვარ. ალამოინა) – 1651–1652 წ.წ. ვაზირი. გაარიგა როსტომ მეფესთან და მდივანბეგ როინ ჯავახიშვილთან ერთად ყაფლან ბარათაშვილისა და მისი განაყოფების. იოთამიშვილების დავა აბანოსა და ტანძის მიწებზე (1651 წ.) (პალ. 197).

ალამურაშვილი//ბალდასარაშვილი//ნონიაშვილი ალამურაშვილი. გვარის ფუძე მამაკაცის საკუთარი სახელი ალამურა. ალამურა – მისი მიწა ესაზღვრებოდა გოგია ქოსაშვილის მიერ ოთარ ყორღანაშვილისათვის მიყიდულ მიწას (1688 პალ. I. გვ. 197).

ალამურანთ ბალდასარასშვილი გასპარა – 1664–1696 წ.წ. ჰყავს შვილი ალამურანთ დავითა (იქვე).

შტო-გვარი ბალდასარაშვილი წარმოქმნილია საკუთარი სახელიდან ბალდასარა. 1721 წლის ქვემო ქართლის აღწერაში კომლებს გვერდით უწერიათ ერთვნება. ბალდასარაშვილი ქართულ გვარებზეა მითვლილი (ი.ა.).

**ალაპიშვილი 366**
თბილისი – 256,
კასპი – 83,
რუსთავი – 12.

ალაპიშვილი. ალაპი, მკვდართათვის გადახდილი ნადიმი. გვარი ნაწარმოებია მეტსახელისაგან ალაპი.

**ალაშვილი 71**
სიღნაღი – 27,
ახმეტა – 21,
თბილისი – 13.

ალაშვილი. ალა (ალასი) თურქულ-სპარსულია და ძველად, ისტორიულად ბატონს, პატრონს აღნიშნავდა. უპირატესად იხმარებოდა ვაჭართა წრეში. აქედანაა მიღებული მამაკაცის საკუთარი სახელი ალა, ალასი, ალალ-ი, ალათო... ქალის – ალათი (ბერძ. ნიშნავს კარგს) და სხვ. *(იხ. ალ. ღლონტი. 77.78).*

„313. აზნაური ალაშვილი. შაჰ-აბასის დროს მოვიდნენ კახეთსა შინა, ოდეს შაბაზ აჰყარა მუნიდგან სომეხნი და ესე იყო მდიდარი კაიკაცი და მეფემან დაასახლა 1604 წელს და მის შვილებს უწოდებენ ალაშვილებად და მიღებული იყო მეფისაგან აზნაურებადვე" *(შემოკლებითი აღწერა. – 131–132).*

ძირით ალადან ნაწარმოებია გვარები: *ალათანგისშვილი, ალაიბეგიშვილი (აზნაურიშვილები), ალამონაშვილი, ალამურაშვილი, ალაპიშვილი, ალავჯანაშვილი-არუთინაშვილი, ალაია.*

**ალავჯანაშვილი 46**
კასპი – 10,
ყვარელი – 10,
თბილისი – 5.

ალავჯანაშვილი//არუთინაშვილი ალავჯანაშვილი ნაწარმოებია საკუთარი სახელიდან ალავჯან (შდრ: ალა+ჯან-ი). ალავჯანა – თეთრუბნის მცხოვრები, იგი, ძმისწულებთან ერთად, ბაგრატ და ლევან ბატონიშვილებმა უწყალობეს სახლთუხუცეს ქაიხოსრო რატიშვილს (1688 წ.).

ალავჯანაშვილთა შტო-გვარია არუთინაშვილი. ალავჯანაშვილი-არუთინაშვილი გივი – ახალქალაქს მცხოვრები, გიორგისა და

**ალავჯანიანი 29**
მცხეთა – 2,
მარნეული – 4,
ლაგოდეხი – 2,
ალავჯანოვი 29
მცხეთა – 7,
მარნეული – 4,
ლაგოდეხი – 2.

პაპულას ნაოხრის ნაცვლად იგი წილში ერგო მოურავსა და ზურაბ საავაძეს (მე–17 ს–ის ბოლო მეოთხედი). არუთინაშვილი იყო ანდრონიკაშვილების. ასლამაზიშვილების – შტო–გვარიც (იხ. ანდრონიკაშვილები, ასლამაზაშვილები).

**ალდგომელაშვილი 573**
**თბილისი – 252,**
**თეთრიწყარო – 100,**
**გორი – 60.**

**ალდგომალაშვილი//ალდგომელიშვილი//ალდგომაშვილი//ალდგომლისშვილი**

ალდგომელაშვილი, გვარი ჩვენ დავაფიქსირეთ 1688 წლის საბუთში. წარმომდგარია მამაკაცის საკუთარი სახელიდან ალდგომელა (–ალდგომელი). მოწმედ 1601 წელს მოიხსენიება ზველი. ვარდიაშვილი ალდგომელა (ოკ. I, 14); იქვე ალდგომელა. სახელს ალდგომელა ალდგომა დღეს დაბადებულს არქმევდნენ. „ალდგომელა *ერქვა ქრისტეს საფლავის მოსამსახურე ქართველ ბერს*" (იხ. ელ. მეტრეველი, მასალები, 34); 1764 წელს ყმის ნასყიდობის წიგნში მოწმედ დასახელებულია გომის მოურავი ალდგომელა (*საქ. მუზ. ფ. შდ–27*).

ჩანაწერებში გვარი გვხვდება ორი ფორმით: ალდგომელაშვილი და ალდგომელიშვილი. არის ასევე ალდგომაშვილი და ალდგომლისშვილი.

**ალდგომაშვილი გიორგი** – კალაურში მცხოვრები, ერთი კომლი. შეტანილია სვეტიცხოვლის კუთვნილი საკომლოების ნუსხაში (1689 წ. 1449–1793).

**ალდგომელა** – ძმა მამუკელასი, იხ.

**ალდგომელაშვილი** – ანდრიას მცხოვრები, პაპუნა, გუგუნა და ევარაზა გერმანოზაშვილების ყმა–მამულზე დაეის გარიგების წიგნის თანახმად, იგი სამად უნდა გაეყოთ ([1688–1703 წ.წ] შდ–577ა).

**ალდგომელაშვილი ბექია** – მოწმე იმედა ფანიაშვილის მიერ მანუჩარ ციციშვილის ასულ ანუკასათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1671 წ. III.I. 1450–51/70).

**ალდგომელაშვილი მიქელა** – კალაურში მცხოვრები, ერთი კომლი. შეტანილია სვეტიცხოვლის კუთვნილი საკომლოების ნუსხაში (1689 წ. 1449–1792).

**ალდგომლისშვილი** – კრეფას მცხოვრები, იგი, მამულით, წილად ერგო იოთამ ბარათაშვილს ([1537–1538 წ.წ] VIII.16. 1450–11/112).

**ალდგომლისშვილი ბერიკა** – პკაეს შვილი ზურაბა, ქიტია ქუბასშვილისაგან მიწა უყიდია, მაგრამ ნასყიდობის წიგნი არ ჰქონია და ქავთარისშვილს მისთვის იასაული ჩამოუყვანია იერისთავზე, იგი იძულებული გამხდარა, ნაყიდი მიწა კვლავ ყოფილი პატრონისთვის გამოეხსნევინებინა. ამ მიწის გვერდით ნიგვზის მიწის ნახევარი მას დაუხვნევინებია, ნახევარი კი – ასლამაზას (1690 წ. 12 შდ–2422).

**ალდგომლისშვილი ზურაბა** – შვილი ბერიკა ალდგომლისშვილისა, იხ.

სოფელ ზაში (ქვემო ქართლი) 1721 წელს მოიხსენიება ზურაბ ალდგომელიშვილი (ვახუშტი, 122). „*სოფელ ანდრიას მახარა ალდგომელაშვილი* (იქვე, 134). სოფელ ერტისში (დღევ. თეთრიწყაროს რ–ნი) მცხოვრები ლაზარე ალდგომელაშვილი

1818 წელს ნათლავს ქალიშვილ მარიამს. მიმრქმელი (ნათლია) ყოფილა თანასოფლელი იაკობ ზანიაშვილი (იქვე. ფურც. 146). ერტისში მცხოვრებ ივანე აღდგმელაშვილს 1829 წელს დაებადა ვაჟი. მონათლა მღვდელმა ანტონ ციმაკურიძემ. სახელი უწოდა სოლომონი. პავლე აღდგმელაშვილს შეეძინა გოგო. სახელი უწოდა ეკატერინე (სცსსა. ფ. 478. აღწ. № 76. ფ. 2): სოფელ ერტისში 1873 წლის აღწერით მოიხსენიებიან პეტრე, შარმაზან, მიხეილ, სოლომონ, გიორგი, ისაკი, ანდრია აღდგომელაშვილები *(სცსსა. ფ. 254. № 3. 114. საქმე № 134. ფ. 172–188).*

1721 წლის აღწერით, აღდგომელაშვილები ცხოვრობენ სოფლებში: ასურეთი, ანდრია. ზა. ერტისი. მუხათი. ნახიდური.

სოფელ ერტისში ჩემს მეხსიერებას შემორჩნენ: აღდგომელაშვილები ილო, გოგა და გიორგა (წვერიანი გიორგი. მეტსახ– იგივე გიგოლაანი). ამათი წინაპრანა ფახუა (ზურნის დამკვრელი). ფიროზაანთ გოგუა, სანდრუა და აბრამა. გოგუა ჩხუბით იყო განთქმული. შარს თვითონ ეძებდა. ერთი სახრე რომ მიგეცა ხელში ერთ სოფელს სცემდა. ხელის გამოღებას ვერავინ ბედავდა. სამი ძმა გოგლა, მიხა და ვასო პაპა აღდგომელაშვილები. სანდროს და გოგუას და იყო კეკელა ბერია. სოფლელებს მან თავი იმით დაამახსოვრა. რომ სულ მუდამ ჩიხტი-კოპით დადიოდა. გოგოლაანთ ეფრემასთანაა დაკავშირებული თქმულება პირველი ღამის წესის გადავარდნისა სოფელში. გიგოლას ფარცხისელ კიკოლაანთ (კიკოლაშვილების) ქალი მოუყვანია. ბატონ გაბაშვილს უთქვამს თურმე რომ საჩექმე ამოიტანოსო. ეფრემა ხანჯალამოღებული მიუიდა ბატონსა და კუდით ქვა ასროლინა. კონაანთ შაქრუა, ვასუა, გოლა, სოკა, დათიკო, მეექვსეს ნარგიზე-ბზე მეხი დაეცა და გარდაიცვალა. ქიტაანთ ილო, იოსება– უშვილო ივანიანთ სანდრუა, მიხა (უშვილო).– ილო პაპას შვილები – შოთა, კირკიტა, მანია. გიგას დარჩა სამი ვაჟი – არჩილა (სარჩენა), შაქრო, გივი, წვერიან გიორგას გურა-მი და ნოდარი. სანდრუას ვაჟები – იოსები (იგივე წუწიკო) ცნობილი მოჭიდავე გახლდათ. წრეში მისი გამოსვლა, წინყირამალა და მოწინააღმდეგის ფეხები ჰაერში იყო. უჩვეულოდ კეთილი და კაცთმოყვარე შემორჩა ჩემს მეხსიერებას. ვანო (ვანუშა) პედაგოგები (ჩემი მეგობარი). სამწუხაროდ დროზე ადრე წავი-და ამ ქვეყნიდან. ასანთა (ჯანიშია და ლონით გამორჩეული). დები – ნინა, ოლა და ნათელა.

მერაბ აღდგომელაშვილი, დაიბადა 1948 წელს. თეთრი წყაროს რაიონის სოფელ – ერტისში. იქვე დაამთავრა ღამის საშუალო სკოლა. სკოლის შემდეგ მუშაობდა კოდის მეფრინველეობის ფაბრიკაში. ეხერხება ხეზე კვეთილობა. მერაბს ხშირად ნახავთ ქორწილისა და გასეენების თამადად. ზეპირად იცის ლექსები. თვითონაც თხზავს ლექსებს.

ალსაბაძე იშვიათობადაა. აზნაური ალსაბაძე. ამათნი წინაპარნი არიან იმერეთიდგან მოსრული ახტაბაძედ წოდებულნი და მერე ცვლილებისა გამო

ალსაბაძედ იწოდებიან. ესენიც არიან ცნობილი ღვთისა მეფისა თეიმურაზისასა 1699 წელს და ტრაქტატსა შინაცა მოხსენებულ. რომელნიმე სახლობენ იმერეთის და რომელნიმე ქართლსა შინა" (*საინდაზო ლექსები. 81*).

ალსაბაძეები იყვნენ საეკლესიო აზნაურები. ეკავათ მამამთავრის, დეკანოზის, მგალობლის და სხვ. თანამდებობები, რომლებიც ასევე ჩვეულებრივ მემკვიდრეობით იყო გვარებში ზუმბულიძე, კვალიაშვილი, ალსაბაძე (იხ. მაღალაშვილები).

1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატზე დართულ სიაში ალსაბაძეები სხვა საეკლესიო საზნაურო სახლთა შორის მე-12 ნომრად არიან მოხსენიებული.

ალსაბაძეთა გვარიდან ქართულ ენციკლოპედიაში შეტანილია რეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი (1965 წ.)



ალსაბაძე შოთა რევაზის ძე. 1927–28 წლებში მუშაობდა თბილისის მუშათა თეატრებში, 1928–38 წლებში – რუსთაველის თეატრში, 1928–47 წლებში – ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში. 1928 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. დადგმული აქვს სპექტაკლები: რუსთაველის სახელობის თეატრში – ე. კოჩინის „ლიანდაგი გუგუნებს" (1928 წ.), ა. კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტი" (1930 წ.), უ. შექსპირის „ოტელო" (1937 წ.), თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში – ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი" (1937 წ.), ახუნდოვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში (ბაქო) – რ. გლიერის „შაჰსენემი" (1936 წ.), ლენინგრადში, მ. გორკის სახ. დრამატულ თეატრში – გ. მდივანის „ლირსება" (1938 წ.). ავტორია საოპერო ლიბრეტოებისა „ლადო კეცხოველი" და „პატარა კახი" (კომპოზიტორები გ. კილაძე და ე. გოკიელი) (ქსე. ტ. 2. გვ. 62).

ალვინაშვილი. შდრ. ალვან (–ალვან–ა) მეტსახელი. ალვან, სვანეთი, მესტია (*ალ. ღლონტი. 72*).

| ალვინაშვილი 24 |
|---|
| თბილისი 18, |
| ახმეტა– 5, |
| მცხეთა – 1 |

ალლაძე ხშირად გვარის რუსულად ჩაწერის გამო აგლაძე ხდებოდა. შდრ.: მამაკაცის საკუთარი სახელი ალლა, ალლია (*ალ. ღლონტი. 77*).

| ალლაძე 78 |
|---|
| თბილისი – 65, |
| რუსთავი – 8, |
| გორი – 2. |

ალლამაშვილი, ალლია. მეტსახელი. ქვემო გომი, კასპის რაიონი (*ალ. ღლონტი. 77*). ალლია, ალლო, ალლუა, ალლემა.

ალნიაშვილი. გვარი მომდინარეობს საკუთარი სახელიდან ალნია. ეს სახელი ბევრ პირთან გვხვდება. სამთავროს სიგელში 1513 წელს (№ 68) მოხსენიება ალნია (ქრონ. II. 332). ამილახვარ ამირინდოს ძმას ერქვა ალნია (იქვე. გვ. 332–333); ალნია იყო აგრეთვე ხერხაულიძე (იგივე ხერხეულიძე (284).

| ალლემაშვილი 164 |
|---|
| ადიგენი – 113, |
| ახალციხე – 45, |
| თბილისი – 2. |

| ალნიაშვილი 507 |
|---|
| თბილისი– 240, |
| მცხეთა – 99, |
| გურჯაანი – 20. |

გიორგი, დათუნა, თათანა, იასე, ნასყიდა (მეორე, მესამე და მეოთხე). შერმაზანა (შერმაზანა მეორე) მოიხსენიებიან საბუთებში XVII საუკუ-

ნის პირველ და მეორე ნახევარში *(იხ. პირთა ანოტ. ლექს. გვ. 199–200).*

1721 წლის აღწერით. ქვ. ქართლში. სოფელ ჯანხოშაში მებატონე–მემამულეებად მოიხსენიებიან: **ალნიაშვილი ალავერდა, ალნიაშვილი შერმაზანა, ალნიაშვილი შალვა, ალნიაშვილი თამაზა, ასლამაზა, ალიხანა, მამაჯანა** *(ივანე ლოლაშვილი, ჯავახიშვილი. ქვემო ქართლი. ნაწ. III და IV. თბ., 1938. გვ .80).*

**იმავე აღწერით სოფ. ენაგეთში მოიხსენიებიან ნასყიდა და თამაზა ალნიაშვილი** (ვახუშტი. მასალანი... 93). განჩინებაში ზაზა თაზისშვილის ყმების საქმეზე 1770 წლის 10 დეკემბერს იხსენიება *„მეტეხის მამასახლისი ბერუა ალნიასშვილი"* (სცსსა. ფონ. 1450. დავთ. № 34. საბ. № 122).

**ალავერდა ალნიაშვილის ყმები ჰყავდა ჯანხოშას. იქვე უყმო აზნაურები არიან: თამაზა, ასლამაზა, ალიხანა, მამაჯანა ალნიაშვილები** *(ვახუშტი. მასალანი... გვ. 287–288).*

**ალნიას გოსტასშვილ პაპუნამ – მიჰყიდა ახალქალაქელ არაქელა სანდიერისშვილ–** ნარიბეგისშვილს ჩოჩეთში მამისთვალასშვილისაგან შეძენილი მიწა, რომელიც ესაზღვრებოდა აბრ[ა]მას. აზმაიფარასშვილისა და პაპუნა ბოჭორიძის მიწებს შორის *(1693 წ. XII.15. შდ–1852ა).*

**ალნიასშვილი** – მისი მიწა ესაზღვრებოდა ბაინდურ ვახტანგასშვილის მიერ ხოსიტა ყორღანაშვილისათვის მიყიდულ მიწას (1669 წ. X.11. 1450–17/).

**ალნი[ა]სშვილი** – 1690–1696 წ.წ. მისი მიწა ესაზღვრებოდა დოლმაზა ზურიკასშვილის მიერ ბერუა დიარასშვილისათვის პაპისგორში მიყიდულ მიწას *(1690 წ. II. 1450–53/210)* და ოქრუაანთ არაქელასშვილ ბეჟუასათვის მიყიდულ სამი დღის მიწას *(1696 წ. XI.1. 1450–8/63).*

**ალნ[ი]აშვილი გიორგი** – ბადურა ზაალიშვილის ყმა, მისი მამული იყიდა როსტომ ყორღანაშვილმა *(1695 წ. III. 1450–1/77).*

**ალნიასშვილი დათუნა** – ძმა ნასყიდა ალნიასშვილისა. იხ.

**ალნიაშვილი თათანა** – ქალაქს მცხოვრები, მოხსენიებულია ყმების ნუსხაში *(XVII–XVIII ს.ს. შდ–819).*

**ალნიასშვილი იასე** – მოწმე და დამწერი გოგია ზანდარასშვილის მიერ დემეტრე პაპასშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა *(1678 წ. შდ–1547).*

**ალნიასშვილი ნასყიდა** – მოწმე პაატა ქოჩორასშვილის მიერ ქაიხოსრო ზაალისშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა *(1612 წ. 1450–1/84).*

**ალნიაშვილი ნასყიდა** – მოწმე იარალი ყორღანაშვილის მიერ თავის ბიძაშვილ ოთარასათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (*1615 წ. XVII ს. 80–იანი წლები. 1450–8/76).*

**ალნიასშვილი ნასყიდა** – ხევდურეთში მცხოვრები. ედიშერ და პაპუნა [ციციშვილების] გაყრის დროს იგი. მამულით. ერგო ედიშერს ([1688–1703 წ.წ.] შდ–1636).

**ალნიასშვილი ნასყიდა** – [ბარათაშვილების] ყმა. მოწმე გიორგი [ბარათაშვილის] მიერ ნასყიდა ყორღანაშვილისათვის მიცემული სახლ-კარის ნასყიდობის წიგნისა *(XVII ს. II ნახ. 1450–19/2).*

**ალნიასშვილი ნასყიდა** – პაპეს ძმა დათუნა. ქიტუა აბულაშვილთან ერთად, თავისი ბატონის, ბერის დასტურის, ბერი ყორღანასშვილს მიჰყიდა თავისი მკვიდრი. ნასყიდი საწისქვილე ბოსტნით, ტყითა და გზით *(XVII ს. IV მეოთხ. 1450–16/115).*

**ალნიაშვილი შერმაზანა** – 1674–1697 წ.წ. ფრიდონ ნადირაშვილის სიძე (1686 წ. XII. 1450–1/54). მოწმე: აედროზან ყორღანაშვილის მიერ ჯანია ყორღ[ა]ნაშვილისათვის მიცემული ნასყიდობის წიგნისა (1674 წ. III.20. 1450–16/11), ფრიდონ ნადირაშვილის მიერ გიორგი ყორღანაშვილისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1686 წ. XII. 1450–1/54), როსტია ყორღანაშვილის მიერ ვახტანგ ბარათაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1690 წ. IV.7. 1450–26/257).

**ალნიაშვილი შერმაზანა** – მისი მიწა ესაზღვრებოდა ლოლმაზა ზურიკაშვილის მიერ ოქრუაანთ ბეჟუასათვის მიყიდულ სამი დღის მიწას (1696 წ.).

**ალნიაშვილი ძულია** – მოწმე სასახლის ალგილის ნასყიდობის წიგნისა (1662 წ.). შდრ.: ალნიაშვილი (საქ. სიძე. I. 124), ალანიძე.

„ალნიაშვილი (საქ. სიძე. I. 439): შილდა (ყვარლის რ-ნი), საქ. სახ. ალნია *(თ. ჟორდანია. ქრონიკ. II. 206). 3)*

ალანია; შდრ.: ალანიძე *(ილ. მაისურაძე. 24).*



**ალნიაშვილი ვლადიმერ (ლადო) დიმიტრის ძე,** ქართველი საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი. 1883 წელს გამოსცა სახელმძღვანელო „პირველი ნაბიჯი [რუსული] ენის შესასწავლად დაწყებითი ქართული სკოლებისათვის“.

ალნიაშვილმა ჩამოაყალიბა ქართველ მომღერალთა გუნდი („ქართული ქორო“, ი. რატილის ლოტბარობით, 1885–1886 წ.წ.), რომელმაც დიდი ისტორიული როლი შეასრულა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში – მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა ქართულ ეროვნულ სასიმღერო შემოქმედების აღორძინებას, მის პროპაგანდასა და შემდგომ განვითარებას. ალნიაშვილის აქტიური მონაწილეობით, 1887 წელს დაარსდა „ქართველთა წიგნების გამომცემელი ამხანაგობა“, რომელმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაში.

ამავე წელს ალნიაშვილმა გამოსცა რუსულ-ქართული „უბის ლექსიკონი“. მანვე შეადგინა და გამოაქვეყნა ქართული ხალხური ზღაპრების კრებული (1890 წ.), რომელიც საფუძვლად დაედო მარჯორი უორდროპის მიერ ინგლისურად თარგმნილ „ქართულ ხალხურ ზღაპრებს“ (1894 წ.). 1892–93 წლებში ალნიაშვილმა სკოლისგარეშე საკითხავად გამოსცა „ახალი ანბანის“ რვა წიგნაკი. 1894 წელს

გაემგზავრა სპარსეთში შაჰ-აბასის დროს გადასახლებული ქართველების ცხოვრების შესასწავლად.

1896 წელს ჟურნალ „მოამბეში" (№2-8) დაიბეჭდა ალნიაშვილის ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული ნაშრომი „სპარსეთი და იქაური ქართველები".

**ალნიაშვილი ლევან სიმონის ძე.** რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოსა და ამიერკავკასიაში. განათლებით იურისტი. 1932 წლიდან იყო თსუ-ს რექტორი. 1935 წლიდან – საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისრის პირველი მოადგილე.

**ალნიაშვილი პეტრე სიმონის ძე.** რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

**ᲐᲚᲝᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘ 46**
ადიგენი – 25,
ახალციხე – 18,
რუსთავი – 2.

**ალოშაშვილი.** გვარის ფუძეა ალო, ალოა (მოფერებით-კნინობითი ალოშა. შდრ.: ალოძე ალვსება (-ალვსებაძე=ალსაბაძე). მაღლაკს მცხოვრები (1578 წ.).

**ᲐᲨᲐᲫᲔ 155**
ახმეტა – 100,
თბილისი – 26,
რუსთავი – 9.

**აშაძე.** ზემო ალვანი (ახმეტის რაიონი). სავარაუდოა, საკუთარი სახელი აშა, შდრ.: აშა. გვარში: აშაძე (*ილ. მაისურაძე. 25*).

**აშა.** იგივეა, რაც ეარიმი. *ეარიმი – უარის ყოფა*, რომელსა სპარსნი პაშას უწოდენ. უარის თქმა, გარდაფიცვა. ნახე ეარიმა, იაერამა, მეეარიმე (საბა, I, 256).

**ᲐᲨᲕᲔᲗᲘᲐ 150**
ქუთაისი – 74,
ტყიბული – 4,
თერჯოლა – 1.

**ᲐᲨᲙᲐᲠᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ 26**
გურჯაანი – 15,
თბილისი – 11.

**აშკარელაშვილი.** გვარადქცეული სადაურობის სიტყვა. სოფლის სახელი აშკარეთი დადასტურებულია ხალხურ ლექსში „თაეფარაენელი ჭაბუკი, აშკარეთის ქალსა ჰყვარობდა". შდრ.: აშკალა სოფელი წალკის რაიონში (ილ. მაისურაძე. 25). შდრ. აშკარელი.

**ᲐᲨᲙᲐᲠᲔᲚᲘ 36**
რუსთავი – 2,
თბილისი – 5,
გურჯაანი – 3;

**ᲐᲨᲙᲐᲠᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ 26**
გურჯაანი – 15,
თბილისი – 5.

**აშკარელი.** გვარადქცეული სადაურობის სიტყვა. სოფლის სახელი აშკარეთი დადასტურებულია ხალხურ ლექსში „თაეფარაენელი ჭაბუკი აშკარეთის ქალსა ყვარობდა". შდრ. აშკალი სოფელი წალკის რაიონში (ილ. მაისურაძე. 25). ამავე ძირისაა აშკარელაშვილი და აშკარელიშვილი.

**აშოთია.** ა-შოთ-ია. უთუოდ შოთაშვილისა და შოთაძის გვარის ფარდია. ფუძედ გამოყენებული აქვს მამაკაცის საკუთარი სახელი შოთა.

**ᲐᲨᲙᲐᲨᲘᲫᲔ 134**
ქუთაისი – 39,
სენაკი – 35,
სამტრედია – 16.

**აშორდია//აშორტია** ერთი და იგივე გვარსახელია. თავდაპირველ ფორმად ჩანს გვარი აშოთია

**ᲐᲨᲝᲗᲘᲐ 175**
ტიბული – 101,
ქუთაისი – 28,
ლაგოდეხი – 21.

**აშოტ** (-აშოთ) უძველესი ქართული სახელია. ის არაერთხელ გვხვდება ქართლის ცხოვრებაში (*იხ. ტ. 1. გვ. 252, 261, 381...*). ამ სახელიდანაა ნაწარმოები ცნო-

**აშორდია 117**
სენაკი – 34,
მარტვილი – 23,
თბილისი – 13.
კომლი:
კიწია – 29,
გურძემი – 4 და
სხვ. აშორტია 269
მარტვილი – 89,
ზუგდიდი – 77,
ფოთი – 26;
კომლი:
კურზუ – 6,
დიდი ჭყონი – 3...

ბილი სახელი შოთა და ქართული გვარები: აშორდია (აშოთია)//აშორტია (ერთი და იგივე გვარი სამივე ფორმით გვხდება). შოთაშვილი და შოთაძე აშორდიათა გვარს ქონდო-ბის ასეთი გზა აქვს გავლილი: აშოთია (–აშორტია–აშორდია).

**აშორდია მალხაზ ტულის ძე** (დ. 27.06.1955. თბილისი), ქართველი მათემატიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1998). პრო-ფესორი (2002). აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემი-ის აკადემიკოსი (2001). დაამთავრა მოსკოვის მ.ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერ-სიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი (1978). 1985-1990 წლებში მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (ახლ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი). 1990 წლიდან მუშაობს თსუ-ს ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში. 1995 წლიდან კი – თსუ-ს სოხუ-მის ფილიალში. მეცნიერული შრომები ეხება განზოგადებულ ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემებისათვის სასაზღვრო ამოცანებისა და მდგრადობის თეორიების საკითხთა ფართო წრეს.





**აშორდია ტული მიხეილის ძე** (28.09.1918. ზუგდიდი – 26.06.1982. თბილისი), ქართველი ინჟინერ-კონსტრუქტორი. 1941 წელს დაამთავრა საქართველოს ს.მ. კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტი (ახლანდელი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი). 1941–1955 წლებში მუშაობდა სსრკ-ს საავიაციო სამინისტროს დიმიტროვის სახელობის ქარხანაში კონსტრუქტორად. 1955 წლიდან მუშაობდა თბილისის სახეხი ჩარხების ქარხანაში ტექნიკური განყოფილების უფროსად. მრავალი გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადების ავტორი. მისი თაოსნობითა და ხელმძღვანელობით საქართველოს ჩარხმშენებლობაში ფართოდ დაინერგა ეკონომიკურად მომგებიანი პოლიმერული მასალები. დაჯილ-დოებულია სხვადასხვა მედლებითა და საპატიო სიგელებით.

ტული აშორდიას ინტერესთა სფეროს მიეკუთვნებოდა საქართველოს ძველი და ახალი ისტორიის სხვადასხვა საკითხების შესწავლაც. აღსანიშნავია მისი ფუნდამენტური გამოკვლევა, რომელიც ეხება მე-19 საუკუნეში ყალბი საბუთებით გათავადაზნაურების საქმეს მაშინდელი ქუთაისის გუბერნიაში.

**აშრალოვი 159**
თბილისი – 88,
ქარელი – 16,
კასპი – 9.

**აშრალი,** აშრიალი საქორწე ბადე, ქორის ბადე (საბა, 82).

**აშხარაა**, აშხარ-ა. ფუძეა შხარა. შხარა ზემო სვანეთში მთას ჰქვია. გადატანითი მნიშვნელობით, შესაძლოა, გვარი მთიელზე მიგვანიშნებდეს (შდრ.: აშხარაა ქალღმერთის კულტია მცირე აზიაში). აშხარაა – აშხარავას საერთო არაფერი აქვს მცირე

ანისაში არსებულ კულტსან უბრალო დამთხვევაა. მსგავსი სინონიმები ცხოვრებაში უამრავია.

**აჩელაშვილი 157**
ახალქალაქი – 49,
თბილისი – 33,
ბორჯომი – 27.

**აჩიბაია.** გვარში ფუძედ ჩანს **აჩი**, ბა და ია სუფიქსია. ორსუფიქსიანი გვარსახელია. ნ. ჯომიდავა წერს: „აჩიბაია – მთავარი, დიდი სარდალი". არ ჩანს, რას გულისხმობს – ამ გვარის ეინმე მთავარს, დიდ სარდალს თუ ფუძე **აჩიბ**–ას მნიშვნელობა აქვს მხედველობაში.

**აცანია.** აცანა სოფელია ლანჩხუთის რაიონში. სადაურობის მიხედვით წარმოშობილ გვართან უნდა გვქონდეს საქმე.

**აცანია სუმბატა**, ცოლი გულუმხანი, ძმაი ამისი – ბადარი, ცოლი – ეეე. მოხსენიებულია 1834 წლის იენისში. ტამიშში (გაზეთი „საქართველო", მარტი, 1997).

**აჩქიტიძე** *(–იჩქიტიძე//იჩქითიძე (?) 20 (თბილისი – 1, ლაგოდეხი – 19).*

**აჩუაშვილი 157**
თელავი – 140,
თბილისი – 8,
რუსთავი – 2.

**აჩუაშვილი. აჩუა (აჩუასი)** [ხევს. გურ.] ცხენი ბავშვის ენაზე („ქართულ კილოთქმათა სიტყვის კონა, I, 48); – ქ არის საბარათაშვილოსი ბატონის დედოფლის სახასო, წინწყაროს... გოჭინა აჩუაშვილი (ვახუშტი, 103); იხ. **თევდორე და ივანე აჩუაშვილები** (კულ. 1448, №9184).

**აჩუაშვილი გოგია** – მოწმე სეხნია საგინაშვილის მიერ ქარდუა მარქარაშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1690 წ. შდ–515 1).

შდრ.: **აჩუ** – ცხენი შერისხვა, ცხენის შერისხვა (საბა, 83).

**აცანელიძე 26**
თბილისი – 7,
ოზურგეთი – 7,
ბათუმი 1.

**აცანელიძე.** ჯვარცხმა (ჩოხატაურის რაიონი), გვარადქცეული სადაურობის სიტყვაა. აცანა სოფელია ლანჩხუთის რაიონში. წინარე გვარი არ ჩანს. წინაპრები აცანიდან გადასულან ჩოხატაურში და თან საკუთარი სოფლის სახელი წაუღიათ.

**აძიძბაია, აძი–აბა** აფხაზურად წყალს ნიშნავს. ბა და ია სუფიქსებია. იგივეა, რაც შვილი, ძე, შთამომავალი. **აძი–ძას** ქართულ სიტყვა წყალობას ადარებენ.

**აწკარუნაშვილი 504**
გორი – 457,
თბილისი – 25,
რუსთავი – 13.

**აწკარუნაშვილი.** მეტსახელი **აწკარუნა.**

**აწყვერელი.** სადაურობის მიხედვით ნაწარმოები გვარია. აწყური სოფელია ახალციხის რაიონში.

**აწყვერელი 43**
თბილისი – 35,
თელავი – 4,
ბოლნისი – 2.

**აჭაია** (შდრ.: აჭაიძე). ზურაბ რატიანის მიხედვით, გვარი ეთნონიმ ჭანიდან მომდინარეობს.

**აჭაია** 20 (ხობი – 20).

**აჭაიძე.** ვარ. მეტსახელი **აჭა**, შდრ.: **აჭია**, მეტსახელი, ქიზიყი (სუქრიანი) (ალ. ღლონტი, 78).

**აჭარაძე**, აჭარ//აჯარი, გვარში აჭარამე *(ალ. ღლ.: 78).*

**აჭაიძე 20**
ახმეტა – 11,
ყვარელი – 7,
ახალციხე – 1

აჭიშვილი 32
ახმეტა – 31,
ოზურგეთი – 1.

აჭიშვილი, აჭი//აჭია, მეტსახელი გვარში აჭიშვილი.

აპარაძე 182
თბილისი – 68.
საჩხერე – 38.
ქარელი – 23).

ახალაია. გვაქვს მამაკაცის საკუთარი სახელი ახალა (ხევსურეთი. შატილი: ტბეთის სულთა მატიანე 224, 392). ახალაია, ახალკაცი, მეტსახელი. გვარებში ახალკაცი, ახალკაციშვილი, შდრ.: ახალკოჩი (მეგრ. ახალკაცი). ახალი... (ალ. ღლონტი, გვ. 78).

ახალაია 2701
ზუგდიდი – 1445,
ჩხოროწყუ – 679,
თბილისი – 577). -

ონომასტიკოსები ფიქრობენ, რომ გვარების: ახალაია, ახალაშვილი, ახალაძე, ახალაური, ახალბედაშვილი, ახალშენაშვილი და მისთ. წარმოშობა დაკავშირებულია პირის ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლასთან. სოფელში სხვა კუთხიდან მოსული კაცი, რიგ მიზეზთა გამო, საკუთარ გვარს მალავდა და იგი ზემოთ აღნიშნული გვარით იწყებდა ცხოვრებას სხვათა შორის, ამავე გზითაა წარმოშობილი გვარი ხიზანაშვილი-ხიზანიშვილი.

მსგავსი გზითაა შექმნილი აფხაზეთში გვარი აგრბა (მეგრელს აღნიშნავს). ასევე გაჩნდა დასავლეთ საქართველოში ქართველიშვილი, ქართუა, აღმოსავლეთ საქართველოში – იმერლიშვილი.

ახალაიას გვარზეა ხალხური ანდაზა: „*ახალაიაში ოსურეფი პატარაიაში ოსურეფს მიშ არაგანდეხია*", რაც ნიშნავს: „ახალაიას ცოლები. პატარაიას ცოლებში ლაპარაკობდნენო". „ახალაიაქ პატარაიას მიშასხაპუა", რაც ნიშნავს: „ახალაია პატარაიას ცეცხლში ჩაერია." „ახალაიაში ჯოღორი გოშიაშ ჯოღორეფს მიშალალანდუა". „ახალაიას ძაღლი გოშიას ძაღლებთან ყეფდაო" (*ხალხ. სიბრძნე, გვ. 16*).

გვარი შესულია საქართველოს ყველაზე გავრცელებულ ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 104–ე ადგილზეა.

ახალაია მიხეილ (დღევ. შრომა, სოხუმის რ–ნი), მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (*იხ. ნიკოლოზ ჯომიდავა. 3000 მეგრული გვარსახელი, გვ. 31.*).

ახალაია პართენ გიორგის ძე 1908 წელს დაიბადა ხობის რაიონის სოფელ საჯიჯაოში მასწავლებლის ოჯახში.

რაიონში სამად–სამი ლენინის ორდენოსანი მასწავლებელი იყო და მათ შორის ერთი ბატონი პართენის მამა გახლდათ.

სოფელ საჯიჯაოს შვიდწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ, ბატონი პართენი შედის ქალაქ სენაკის პედაგოგიურ სასწავლებელში, რომელსაც 1926 წელს ამთავრებს. იმავე წელს ირიცხება ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელსაც წარჩინებით ამთავრებს 1938 წელს.

წლების განმავლობაში იმუშავა თავის მშობლიურ სოფელში მათემატიკისა და გეოგრაფიის მასწავლებლად, სასწავლო ნაწილის გამგედ, სოფელ ძველი ხიბულის საშუალო სკოლის დირექტორად. ასევე წლების განმავლობაში

მუშაობდა ჯიპიშაქრისა და ზუბის საშუალო სკოლების დირექტორადაც. სადაც ბატონ პარმენს უმუშავია, ყველგან განუსაზღვრელი ავტორიტეტი ჰქონდა მოსწავლეებსა თუ მასწავლებლებში, მთელ საზოგადოებაში. დიდი და პატარა ბატონ დირექტორს უწოდებდა. დაჯილდოებული იყო ერთი ორდენითა და ორი მედლით. მუდმივად ირჩევდნენ ადგილობრივი საბჭოს დეპუტატად. 1961 წელს კი საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება მიენიჭა.

როცა უკვე 60 წლის მიღწეულმა ჩვენი სოფლიდან წასვლა გადაწყვიტა, მთელმა სოფელმა სთხოვა დარჩენა, მაგრამ არ დარჩა. უკვე ასაკში შევდივარ და ამ სიშორეს ვერ ვივლი. სადმე ოჯახთან ახლოს უნდა ვიმუშაოო და სოფელ ზუბის საშუალო სკოლაში გადავიდა დირექტორად.

მთელმა სოფელმა გააცილა ბატონი პარმენი. შესანიშნავი სუფრა მოუწყეს. ნამდვილ დღესასწაულად გადაიქცა მისი გაცილება.

ბოლოს, ყვავილებით მორთულ, სპეციალურ ავტომანქანაში მოწიწებით ჩააბრძანეს ეს ნამდვილი მოძღვარი და ტაშის გრიალში თავისი სოფლისკენ წააბრძანეს.

სოფ. ზუბში რამდენიმე წელი იმუშავა ჩვეული შემართებით. შემდგომ სოფელ ჯაპიშაქრის სკოლაში გადავიდა დირექტორად და ბოლოს...

1969 წელს მაინც არ დაინდო სიკვდილმა ეს ყველასათვის უსაყვარლესი ადამიანი...

გასვენების დღეს მის კუბოსთან საპატიო ყარაულში იდგნენ მისი აღზრდილები და მდუღარე ცრემლებით ემშვიდობებოდნენ ხატივით საფიცარ მასწავლებელს.

**ახალანძე 21**
**ქუთაისი – 17,**
**ჩხოროწყუ – 3**

**ახალანძე** – ახალაძის მეგრულ ფორმადაა მიჩნეული

**ახლოური 228**
**კასპი – 107,**
**თბილისი – 56,**
**ახალგორი – 45.**

**.ახალაური//ახლაური//ახლოური.** ამავე ფუძისაა **ახალაია, ახალაშვილი, ახალაძე.**

**ახალაშვილი.** წარმომდგარია **ახალა** არაბულიდან. **ახალაშვილი** არის აგრეთვე დამოუკიდებლად გაჩენილი გვარიც (იხ. პალ. I, 202). გადმოცემით, ბატონისაგან გამოქცეული და სხვა სოფელში შეხიზნული ყმა, რაკი საკუთარ გვარს ვერ ამჟღავნებდა, **ახალაშვილს, ახალაიას, ახალაძეს, ახალბედაშვილს, ახლოურს, ახალკაცს, ახალმოსულიშვილს, ახალშენაშვილს, ხიზანიშვილს...** არქმევდა.

**ახალაშვილი 170**
**დუშეთი – 70,**
**თბილისი – 57,**
**მცხეთა – 20.**

**ახალასშვილი დავით** – შვილი ელი[ა] ახალასშვილისა. იხ.

**ახალასშვილი ელი[ა]** – ჰყავს [ძმები]: **პაატა, ნიკოლოზ,** შვილები: **დავით, ზურაბ.** იყიდა ბეჟან საგინაშვილისაგან ვენახი, რომელსაც ესაზღვრებოდა თისებიძისა და ჩიტუკაშვილის ვენახები, თუხარელის ნავენახევი *(XVII ს. III მესამედი, III.7. 1450–35/187).*

**ახალაშვილი ზურაბ** – მისი ვენახი ესაზღვრებოდა ბეჟან საგინაშვილის მიერ ელი[ა] ახალაშვილისათვის მიყიდულ ვენახს XVII ს. II ნახ. 1450-35/187).

**ახალაშვილი ნიკოლოზ** – [ძმა] ელი[ა] ახალაშვილისა. იხ.

**ახალაშვილი პა[ა]ტა** – [ძმა] ელი[ა] ახალაშვილისა. იხ. (პალ. I. 202).

| |
|---|
| ახალაძე 2535 |
| ქუთაისი – 487, |
| თბილისი – 363, |
| წყალტუბო – 330. |

**ახალაძე** ახალთან, ახალმოსახლეობასთან, ახალ საქმესთან არის დაკავშირებული. ამას ცხადყოფს გვარსახელები *ახალშენიშვილი, ახალაშვილი, ახალაია, ახალკაცი, ახალმოსულიშვილი (ქობულეთი), ახალაური (თელავის რ-ნი)*; სოფლის სახელები ახალშენი და ახალსოფელი, ხელვაჩაურის, ახალდაბა შუახევის რაიონებში, ადგილთა სახელები *ახალტყე, ახალახო, ახალგზები, ახალეკლე, ახალია, ახალიუბანი, ახალნაკაფი, ახალყანა, ახალშენები*, სხვაგანაც რომ გვხვდება.

აჭარელი ახალაძეები ს. გონიოში არიან, არც ისე შორს, მაჭახლის ხეობაში 900–1000 წლის წინათ მცხოვრები ახალაძეების შთამომავლები. მაჭახლის მატიანეში მოხსენიებულია ახალა, დავით, ეზადინ და ნანა ახალაძეები, ახალა მიქელაძუარელი და ახალაური (*ტბეთის სულთა მატიანე. თბ. 1977. გვ. 140*). ე.ი. დასტურდება, როგორც სახელი, ისე გვარი, ამასთან, სამი ფორმით, მათ შორის, შედარებით იშვიათი ელ და ურ სუფიქსიანი, რაც აჭარის ტოპონიმებში შემორჩა. ასე რომ, ჩვენში ახალაძეები მაშინაც იყვნენ, როცა გურია საერთოდ არ არსებობდა (*ი. ბექირიშვილი, გვ. 29*).

**ახალაძე ახალბედა** – ფერსათის მცხოვრები. ემართა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ოცდაცამეტი კოკა ღვინო, თორმეტი თეთრის საკლავი, ერთი ქათამი, სამი თეთრი, ოცი კვერცხი, საბელი და ყოველდღე მუშაობა (1558 წ. შდ–626).

**ახალაძე ბუჭულა** – ფერსათის მცხოვრები. ემართა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ოცი კოკა ღვინო, თორმეტი თეთრის საკლავი, ქათამი, ერთი თეთრი, ოცი კვერცხი, ერთი ურემი ლომი, ერთი საბელი და ყოველდღე მუშაობა (1559 წ. შდ–626).

**ახალაძენი** – მესხეთის მცხოვრები გლეხები. ალექსანდრე მეფემ ისინი შესწირა გელათის მონასტერს ([1484–1510 წ.წ.] 1449–1585).

**ახალაძე როსტე[ვან]** – ნაქალაქევში მცხოვრები. ჯანგიზ მხეცისძემ იგი შესწირა გელათის ღმრთისმშობელს (1540 წ. 1449–1674).

**ახალაძე შოშიტა** – რიონის მცხოვრები. დედოფალმა ნესტანდარეჯანმა იგი ალექსანდრე მეფის სულის მოსახსენებლად შესწირა გელათს ([1660 წ.] შდ–598).

**ახალაძე მაია**, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა წყალტუბოში 1966 წ. 23 დეკემბერს. მშობლები: გულიკო ჯანელიძე, რომან ახალაძე. მეუღლე – **ზურაბ ქუთათელაძე** (1962). დაამთავრა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი (1990), ასპირანტურა (1996). იყო ქუთაისის სასამართლოს ადმინისტრაციული მოსამართლე (1996–98), საოლქო სასამართლოს მოსამართლე,

სამოქალაქო, საწარმოო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის თავმჯდომარე (1998-2000). საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრია 2000 წლიდან. არის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი.

**ახალბედაშვილი 424**
გორი – 162,
თბილისი – 134,
ახმეტა – 14.

**ახალბედაშვილი**, გვარის ფუძეა ახალბედა, ეს გვარი ბერშუეთში (გორის რაიონი) გაჩენილა. გვართან დაკავშირებით ილია მაისურაძე წიგნში „ქართული გვარსახელები" (1981 წელი) წერს: *„ამ გვარის წინაპარი, გადმოცემის თანახმად, მესხეთიდან გადმოსახლებულა. გვარად მაისურაძე როგორც ახლად მოსულისთვის, მისთვის ახალბედაშვილი უწოდებიათ (ინფორმატორი გიორგი ნაცვლაშვილი, 1970 წ.)*

ახალბედა – ახალბედაშვილი 1671 წელს მოიხსენიება.

გიორგი ახალბედაშვილი მოწმეა ზურაბ კევნერელის მიერ თამაზ ტარხნიშვილისთვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (11695 წ.).

ახალბედაშვილი ივანე და სუხიტა ვეძისხევს მცხოვრებნი თითო კომლი. შეტანილია სვეტიცხოვლის საკომლოების ნუსხაში (1689 წ.).

ახალბედაშვილი სუხიტა – ვეძისხევს მცხოვრები, ერთი კომლი. შეტანილია სვეტიცხოვლის საკომლოების ნუსხაში (1689 წ.).

**ახალბედაშვილი კობა**, ტელეკომპანია მე-9 არხის საინფორმაციო სამსახურის უფროსი. დაიბადა თბილისში, 1962 წლის 6 მაისს. მშობლები: **მზია დიაკონაშვილი, გივი ახალბედაშვილი.** მეუღლე – **მაია ჩიკვაიძე** (1969). დაამთავრა თსუ-ს გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი (1986). იყო გაზეთ „ლელოს" კორესპონდენტი (1983), გაზეთ „თბილისის" კორესპონდენტი (1989-90), „7 დღის" თანარედაქტორი (1990-93), „მიმომხილველის" რედაქტორ-გამომცემელი (1993-97!), „7 დღის" მთავარი რედაქტორი (197-2000). მე-9 არხის საინფორმაციო სამსახურის უფროსი 2000 წლიდან. არის ჟურნალისტთა საზოგადოების თანათავმჯდომარე.

**ახალკაცი 1567**
ხაშური – 343,
თბილისი – 337,
გორი – 318)

**ახალკაცი**, ოსიაური (ქარელის რ-ნი), ბორჯომის რ-ნი და სხვ. გადმოცემით ბატონისაგან გამოქცეული და სხვა სოფელში შეხიზნული ყმა, რაკი თავის გვარს ვერ ამჟღავნებდა, ახალკაცს ირქმევდა. შდრ.: მეგრ. საკუთარი სახელი ახალკოჩი (ალ. ღლონტი). შდრ.: რუსული გვარი – ნოვიკოვი. ანალოგიურია ახალკაციშვილი, ახალმოსულიშვილი, ახალშენიშვილი, ახალაია, ახალაძე, ახლოური და სხვ.

ახალკაცი მეტსახელადაც გეხვდება. ეტყობა, ჯერ მეტსახელი იყო და შემდგომ გვარად იქცა. სოფელ კოდაში (დღევ. თეთრიწყაროს რ-ნი), 1869 წელს გორის მაზრის სოფელ ცაგულიდან გადმოდის გოგოლა (დოლმაზაშვილი) ახალკაცი *(სცსსა. ფ.№ 254. № 3. 119. საქმე № 156. 1873 წ., ფურც. 497-539).*

შემდგომში ახალკაცები ახალკაციშვილებად ეწერებიან. კერძოდ, კოდიდან გადასული სოფელ ენაგეთში (იგივე რიონი) ახალკაცი ახალკაციშვილადაა ჩაწერილი. იხ. გიორგი ალექსანდრეს ძე ახალკაციშვილი (1871 წ.) (მეტრ. წიგნი. ფ. 489, აღწ. 9, თეთრიწყარო № 1). „დიდი ენაგეთის წმ. გიორგის მღვდელმსახური (პრიჩეტნიკი) გიორგი ალექსანდრეს ძე ახალკაციშვილმა. 1871 წელს განათლა ქალიშვილი ელენე, მიმქმელი იყო დიდი ენაგეთის ფოშტის ურიადნიკი ექვთიმე იოანეს ძე გერსანია (ალბათ, გერსამია). მართლმადიდებლობითის სარწმუნოებისა (ფ. *489. 9. № 1. 1876 წ.*).

ახალკაცი – დავით ქსნის ერისთავმა იგი უწყალობა ფარსადან ზედგენიძისშვილს (1695 წ. II.4. შდ–1314).

ახალკაცი – ცხოვრობდა ჯვარ რენეს. შემდეგ იგოეთს. თექთუმან თექთუმანიძემ ზაალ ქარუმიძეს მიჰყიდა მამული რენე მისი მამულის გამოკლებით (1699 წ. შდ–1553).

ახალკაცი ადუა – მოწმე საქალა ბოლოკასშვილის მიერ დავით ქავთარაძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1679 წ. შდ–14648).

ახალკაცი გიორგი – ქარაზნაში მცხოვრები. ელიზარ და პაპუნა [კაციშვილების] გაყრის დროს იგი, მამულიანურად, პაპუნას ერგო ([1688–1703 წ.წ.] შდ–1636).

ახალკაცი გოგია – ცხენურის მცხოვრები, დათუნა ბასილაშვილის ყმა. საამილახვროს დავთრის მიხედვით, მისი კომლიდან ორი კაცს ევალებოდა თოფით ლაშქრობა (XVII ს. II ნახ. 1448–5032).

ახალკაცი გულიქამარ – მოწმე აესანდილ მინაშვილის მიერ ფილასონ ქურდევანიძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1569 წ. 1450–47/12).

ახალკაცი ზაზუტა – ქვემო ნიქოზის მცხოვრები, ნაზარალი-ხანმა იგი, მამულიანურად, უბოძა პაპუნა ფანჯელიშვილს (1689 წ. XI7 16. 1448–53).



ახალკაცი ქეთევან, გრაფიკა მონუმენტურ-დეკორაციული ხელოვნება. დ. 3.08.1964. თბილისი. შემოქმედება ჯანა გულვერდაშვილი, ანატოლი ახალკაცი. სწავლობდა თსსა–ს გრაფიკის განყოფილებაზე (1983–1989). პედაგოგები: დ. ერისთავი, დ. ნოღაია, ლ. შენგელია-აბაშიძე. სადიპლომო ნამუშევარი – ა. სულაკაური „ყვითელი მოთხრობები" (ხელმძღვანელი – ლ. შენგელია-აბაშიძე). გამოფენაში მონაწილეობს 1989 წლიდან. საქართველოს მხატვართა კავშირის ახალგაზრდული გაერთიანების წევრია 1989 წლიდან. მიხატული აქვს საბერძნეთის სალონიკის მიდამოების ეკლესიები (1996–97). ამჟამად ცხოვრობს და მოღვაწეობს საბერძნეთის ქ. სკიდრაში (1995 წლიდან).



ახალკაცი ნოდარ ფარსადანის ძე, დაბადებული 1938 წლის 2 იანვარს თბილისში. ფეხბურთელი და მწვრთნელი. 1977 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, ხოლო 1981 წელს – სსრკ დამსახურებული მწვრთნელის წოდებები.

ფეხბურთის თამაში დაიწყო თბილისის „ნორჩ დინამოელში". 1957–

59 წლებში თამაშობდა თბილისის ასკ-ში. 1960-67 წლებში თბილისის „ლოკომოტივის" ფეხბურთელი. 1967-71 თბილისის „ლოკომოტივის" მცველი მწვრთნელი. 1971-74 წლებში არის საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსი. 1974-76 წ.წ. თბილისის „დინამოს" გუნდის უფროსი. 1976-83 და 1985-86 წ.წ. თბილისის „დინამოს" მთავარი მწვრთნელი. სსრკ ჩემპიონატებში მისი ხელმძღვანელობით გუნდმა მოიპოვა ოქროს (1978), ვერცხლის (1977), სამჯერ ბრინჯაოს (1976 გაზაფხული, 1976 შემოდგომა, 1981) მედლები და ორჯერ დაეუფლა სსრკ თასს (1976 და 1979). იყო სსრკ ხალხთა VII სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორი (1979). 1981 წელს მოიპოვა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი – 1982 წლის ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატზე სსრკ ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი. 1990-98 წ.წ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პირველი პრეზიდენტი.

1996-98 წლებში უეფა-ს ტექნიკური განვითარების კომიტეტის წევრი. გარდაიცვალა 1998 წლის 25 იანვარს. საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის რეფერენდუმის მიხედვით არჩეულია საქართველოს საუკუნის მწვრთნელად (1999 წელს).

ბატონ ნოდარ ახალკაცმა დიდი სიყვარული და მარადიული ხსოვნა დატოვა ქართველთა გულებში.

**ახალკაციშვილი 531**
**თბილისი – 222,**
**გარდაბანი – 84,**
**საგარეჯო – 67.**

**ახალკაციშვილი**, იხ. ახალკაცი.

**ახალკაცი როინაი** – მოწმე ავთანდილ მინიაშვილის მიერ ფილათსონ ქურდევანიძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1569 წ. 1450-47/12).

**ახალკაცისშვილი** – შერმაზან ჯავახისშვილმა ოთია გოგიბედაშვილს მიჰყიდა მამული – ახალკაციშვილის ნაქონახობი (1700 წ. III.15. 1448-4105).

**ახალკაცისშვილი** – კასპს მცხოვრები, ამილახვრის ყმა. საამილახვროს დავთრის მიხედვით. მისი კომლიდან ორ კაცს ევალებოდა მშვილდით ლაშქრობა (XVII ს. იხ. ნახ. 1448-5032).

**ახალკაციშვილი** – საბუნარში მისი მამული ეკუთვნოდა [ბარათაშვილს] ([XVII ს. ბოლო] 1450-33/286).

**ახალკაცისშვილი ბერთა** – მიჰყიდა თანდილა მარინდაშვილს ნახევარი დღის ნაქონახობი. მეხევიშვილისა და ფაშატაშვილის მიწებამდე (1696 წ. 1450-28/220).

**ახალმოსულიშვილი**
**470 (თელავი – 236,**
**გურჯაანი – 116,**
**თბილისი – 50).**

**ახალკაციშვილი მამუკა** – ღრტილეთის მცხოვრები, საამილახვროს დავთრის მიხედვით. მისი საკომლოდან ორ კაცს ევალებოდა თოფით ლაშქრობა XVII ს. II ნახ. 1448-5032).

**ახალქალაქელაშვილი**, გვარის ახალშენაშვილის ფარიანტი. ამჟამად მცირერიცხოვანია და რუსიფიცირებული ფორმით ახალქალაქოვებად არიან ჩაწერილი. ახალქალაქელოვი 21

*(თბილისი - 2, თელავი - 19).*

**ახალშენაშვილი 42**
თბილისი - 11,
ზუგდიდი - 4,
მცხეთა - 27;
**ახალშენაშვილი 29**
თბილისი - 13,
დუშეთი - 5,
თერჯოლა - 2).

**ახალშენაშვილი//ახალშენიშვილი.** შდრ.: ახალკაცი, ახალკაციშვილი, ახალმოსულიშვილი. კაცი ერთი ადგილიდან მეორეზე რომ გადადიოდა და დასახლდებოდა, მას ახალმოშენეს ეძახდნენ.

ახალციხელი-თორელები სადაურობის ამსახველი გვარსახელია. გვარი მომდინარეობს ახალციხიდან (ძველად ლომსია) ქალაქი სამხრეთ საქართველოში. გაშენებული ახალციხის ქვაბულში, მდინარე ფოცხოვის ორივე ნაპირზე. (საქართველოში კიდევ სამ სოფელს ჰქვია ახალციხე)

ახალციხელები თორელთაგან გამოყოფილი შტოა. ახალციხელი XII-XIII საუკუნეებში სამხრეთ საქართველოს ძლიერი ფეოდალური საგვარეულო იყო.

**ახვერდაშვილი 261**
საგარეჯო-93;
თბილისი-63;
თელავი-27.
**ახვერდოვი 356**
თბილისი-223;
კასპი-62;
მცხეთა-20.

XII ს-ის ბოლოს ახალციხელებმა პირველებმა წაართვეს სახელო თორელთა ძირითად შტოს - ახალქალაქის (ე.ი. ჯავახეთის ერისთავისთავებს). ამირსპასალარი გამრეკელი-თორელის შემდეგ ახალციხელებმა მიიღეს ჯავახეთის მონაპირის სახელო, ხოლო კარის (ყარისი) აღების შემდეგ (XII საუკუნის დასაწყისი) - ამ მხარის მონაპირეობაც.

მათი შემდეგ ახალციხელები დასუსტდნენ და სამხრეთ საქართველოში კვლავ თორელთა ძირითადი შტო გაბატონდა. XII ს-ის II ნახ. ახალციხე და კარის გამგებლობაც ხელთ იგდეს ჯაყელებმა (1270 წ. დემეტრე II კარი სადუნ მანკაბერდელს გადასცა). ახალციხელების დაკნინებული საგვარეულო შიდა ქართლში გადასახლდა. მათი შთამომავლობა მოხსენიებულია 1487 წ. ქართლის მეფის კონსტანტინე II სიგელში.

ბასიანის ომის დროს *„მოუკლეს ცხენი ივანე მსახურთ-უხუცესსა. ზაქარია გაგელსა. ახალციხელსა შალვასა და ივანესა. თაყაიდან თმოგველსა კაცსა მხნესა, და სხუათა მრავალთა თავადთა"*. (ნ. ბერძენიშვილი. საქ. ისტ. საკ. გვ 176) ქართლის ცხოვრებაც (ტ. II. ისტ. ანმ. 971). ეხება ამ საკითხს და წერს: „ბასიანის ომში ბევრ მხედართმთავარს ცხენები გამოუკლეს „და ქუეითად დარჩნეს რაზმსა შინა მკვიდრნი საქართველოსანი".

ესენი იყვნენ: ივანე მხარგრძელი, ზაქარია გაგელი, შალვა ახალციხელი, ივანე ახალციხელი, თაყაიდან თმოგველი (იქვე. გვ 291).

ახალციხელი ივანე (გ. 1225წ). XII-XIII წ.წ. საქართველოს სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე: ქართველების მიერ კარის (ყარსი) აღების შემდეგ (X ის დასაწყისი) თამარ მეფემ დანიშნა მის მცველად და მონაპირედ. უბოძა კარის მომიჯნავე მხარეები - „კარული ქვეყანა". ათაბაგობა და ამირთამირობა. თავის ძმასთან შალვასთან ერთად სარდლობდა მესხთა მეწინავე ლაშქარს ბასიანისა

და გარნისის ბრძოლებში. დაიღუპა გარნისის ბრძოლაში.

**ახალციხელი ფარადაულა,** ახალციხელთა ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენელი XIII საუკუნის I ნახევარში, ძე **შალვა ახალციხელისა.** საქართველოში მონღოლთა შემოჭრის შემდეგ ფარადაულა გაიქცა რომის სულთან ყიასედინთან, რომელმაც ის თავის ერთ-ერთ სარდლად დანიშნა. დარდინ შარვაშიძესთან ერთად სარდლობდა სულთნის ჯარს მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლაში (1244 წ.). სულთნის ჯარი დამარცხდა, შარვაშიძე მოკლეს, ხოლო ფარადაულა თვით სულთანმა მოაკვლევინა. მემატიანის სიტყვით, იყო *„კაცი მხნე და წყობათა შინა სახელოვანი".*

**ახალციხელი შალვა** (გ. 1226წ.) XII–XIII საუკუნეების საქართველოს სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, თამარ მეფის ვაზირი (ჯერ მეჭურჭლეთუხუცესი, შემდეგ მანდატურთუხუცესი), ერისთავთერისთავი, ჯავახეთის მონაპირე.

შამქორის ბრძოლაში (1195წ.) ხელთ იგდო ხალიფის დროშა, რომელიც თამარ მეფემ გელათში ხახულის ღვთისმშობელს შესწირა. ახალციხელ სარგის თმოგველთან ერთად სარდლობდა ქართველთა ლაშქარს კარისთვის (ყარსი) ბრძოლებში (XIIIს. დას). ბ ა ს ი ა ნ ი ს ბრძოლაში (1203) შალვა და მისი ძმა ივანე სარდლობდნენ მესხთა მეწინავე ლაშქარს. თამარის მეფობის ბოლო წლებში მან თურქთაგან გაათავისუფლა კუჩრილი (სამხრეთ საქართველოში). გ ა რ ნ ი ს ი ს (1225 წ) ივანე ახალციხელთან ერთად სარდლობდა მესხთა მეწინავე ჯარს. ახალციხელები მტრის სიჭარბეს არ შეუშინდნენ, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდნენ. შალვა ახალციხელი ტყვედ ჩავარდა. სჯულის შეცვლაზე უარი თქვა და ჯალალ-ედინმა სიკვდილით დასაჯა *(იხ. თსე. ტII. თბ: 1977. 100–101).*

**ახანელი** – ლევან მეფემ იგი უწყალობა მაქსიმე ჩოლაყაშვილს (1566)

**ახატაშვილი//ახატაანთ, ახატაშვილი პაატა** – ამოვარდნილ ქაიხოსრო ბარათაშვილის ნაქონი ყმა, ნაზარალ-ხანმა იგი უწყალობა როსტომ ბარათაშვილს (1694)

**ახვერდასშვილი,** გვარის ფუძეა **ახვერდა** – სოფ. მიჯას მცხოვრები, მოიხსენიება 1537–1538–ში.

**ახვერდოვები** იგივე **ახვერდაშვილები** და მართლმადიდებელი ქართველები არიან. **ახვერდა,** შედგება ორი სიტყვისაგან: **ალახ(ჰ)** – ღმერთი და ვერდის მიცემა: „ღმერთის ბოძებული", „ღმერთის მიერ მოცემული."

**ახვლედიანი–ახულედიანი,** ალპ. ცაგერა. (ცაგერის რ-ნი). დერჩი (წყალტუბოს რაიონი) და სხვა. (გაერც.) სვანური წარმოშობისაა. სავარაუდოა, საფუძვლად უდევს საკუთარი სახელი **ახვილდ (ახავილდ),** სადაც **ილდ** სვანური კნინობითობის მაწარმოებელი ფორმანტია და ერთის საკუთარ სახელის ახავ-ის (შდრ. **ახავიდაშვილი, ახაბაზე..**).

ახვლედიანი ერთ-ერთი ლიბოძლიერი და ისტორიული გვარია. ცხოვრობენ ლეჩხუმში, აჭარაში, თბილისში და სხვაგან.

1639–1659 წლებში შედგენილია ალექსანდრე III-ის წყალობის წიგნი **გიორგი და ხოსია ახვლედიანებისადმი.** საბუთში იხსენიება სვიმონ ქუთათელი, რომელიც 1659 წელს კათალიკოსად დაჯდა. მეფე უბოძებს მათ ლეჩხუმის ციხეს და *ლეჩხუმის შემავალი კაცი. სოფელ სრულად. აგრეთვე ცხუკუშერი სოფელი ხელშეუვალად. ამას გარდა ტვიშს გლეხებს: პირველი, მეორე ესენი მათის ცოლ-შვილითა, სახლ-კარითა. ერთი სახლის ძმათ– არის იმისი მაშვალი ქუთათელი სვიმონ. აბაშიძე სახლთუხუცესი როსტომ* (ს. კაკაბაძე, დსს საბუთები, გვ 63–64).

| | |
|---|---|
| **ახვლედიანი 4531** | |
| **თბილისი–1171** | |
| **ქუთაისი–1026** | |
| **ცაგერი–670** | |

**ახვლედიანი** – ლეჩხუმს ბუდობდა ოდითგან ძველი და სახელოვანი გვარი ახვლედიანისა. ეიესინი გლეხნი და ეიესინი აზნაურნი და ეიესინი თავადი. თავად ახვლედიანთ ეპყრათ ლეჩხუმს ზოგიშის ციხე.

XVII საუკუნის ჭყონდიდელ-ცაგარელის ერთის განჩინებაში ხსენდება **თავადი ახვლედიანი,** ეთარცა ბატონი ლეჩხუმისა.

იმერთა მეფეთა დაცვაში სამსახური მოუდიოდათ ლეჩხუმელ ახვლედიანთ ადრევე გადასულან ახვლედიანნი ოდიშს და იმერეთს.

XVII საუკუნის შუა ხანებში იმერთა მეფე ალექსანდრემ. სოფელი ცხუკუშერში და ლეჩხუმის ციხე უბოძა ახვლედიანთ.

**ამავ XVII საუკუნიდან ახულედიანთა ერთი შტო თავად ბაგრატიონ–მუხრანბატონის აზნაურთა შორის გამოჩნდა შიდა ქართლში.** შემდეგში სამუხრანოელ აზნაურ ახვლედიანთ, კუართისა საუფლოისა და მირონისა და სუეტისა ღმრთიეალმართებულისა და წმინდისა დედა ქალაქისა მცხეთისა სამსახური მოუდიოდათ. **ახვლედიანები არიან, აგრეთვე საასათიანოს აზნაურნი.** ქართული სიგელ-გუჯარი არ განასხვავებს გვარის სახელს **ახვლედიანსა და ახულედიანს.**

ამჟამად ახვლედიანები ცხოვრობენ: ლეჩხუმში, ქვემო რაჭაში, ოდიშში.

გურიაში, იმერეთში, აჭარაში, სამცხეში, თორში, ქართლში, კახეთში და ქიზიყში. განსაკუთრებით მრავლად არიან: ცაგერის, წყალტუბოს, გალის, მარტვილის, ოზურგეთის მხარეში" (*ალ. ნაზღაიძე*).

**ახვლედიანი გიორგი** – ჰყავს [სახლიკაცი] ხოსია. ალექსანდრე მეფემ უწყალობა მას ლეჩხუმის ციხე და სოფელი ცხუკუშერი. ამას გარდა ტყიშს მცხოვრები გლეხები (1639–1659).

**წმინდან ნიკოლოზ რამაზის ძე ახვლედიანის ქვრივი გვრიტია,** ვაჟიშვილები: **ლუარსაბი, სამსონი, ბესარიონი, ბარნაბი.** ქალიშვილი **კალინკა:**

**ტარიელ დავითის ძე,** ვაჟიშვილები: **ალექსანდრე, შამია, ელიზბარი, ნესტორი.** ქალიშვილი **მაგჯასპი.** ალექსანდრეს მეუღლე **სალომე:**

**ხოსია გიორგის ძე,** მეუღლე მისი **დარეჯანი.** ვაჟიშვილები: **დავითი, დიმიტმირი, სპირიდონი.** ქალიშვილი **ირინე.** დავითის მეუღლე **ელისაბედი.** ქალიშვილი **მაია.** დიმიტრის ვაჟიშვილი **მიხეილი:**

**გიორგი ბუჭუას ძე,** მეუღლე მისი **მაია.** ვაჟიშვილები: **დარისპანი, სპირიდონი, ივანე,** ქალიშვილი **რიფსიმე.** გიორგის ძმა **იოსები,** მეუღლე **ელისაბედი.** ვაჟიშვილი **ალმასხანი;**

**ივანე ბეჟანის ძე,** მეუღლე მისი **ტასო.** ვაჟიშვილები: **მოსე, სპირიდონი,** ქალიშვილები: **ლარისა, მარტა.** ივანეს ძმა **როსტომი,** მეუღლე **მარინე,** ვაჟიშვილი **ბიჭიკო.**

*იოსებ ბექირიშვილი* აჭარაში მცხოვრებ ახვლედიანებზე ასეთ ცნობას გვაწვდის: **ახვლედიანები** ცხოვრობენ მახინჯაურ–ბათუმში .მახინჯაურში XV საუკუნეში დასახლებულან. ამაყები ვერ ეგუებოდნენ ოსმალთა ბატონობას, იბრძოდნენ მათ წინააღმდეგ. ამის ნათელი მაგალითია ძმები **სალიხ და ხარიტონ ახვლედიანები.** სალიხი კინაღამ ემსხვერპლა ინგლისელებისა და ოსმალების თარეშს, მაგრამ იგი დაპატიმრებას და ციხეში ჩასმას მემედ ბეგ აბაშიძემ გადაარჩინა. სალიხის თანამოაზრეები კი ბაქოში გადამალეს.

1920 წლის სექტემბერში აქ გაიმართა აღმოსავლეთის ხალხთა კრება. მისი დელეგატები თავისუფლებას, მიწას და შრომას მოითხოვდნენ. ერთობლიეი მოქმედების შემდეგ სოფლის მოსახლეობამ ბოიკოტი გამოუცხადა ინგლისელებს და მენშევიკებს. 1919 წელს მახინჯაურელებიც მონაწილეობდნენ ქედა ახალშენის ტყეია–წამლის საწყობების აფეთქებაში. სხვებთან ერთად ს. ახვლედიანის დამსახურებაა ისიც,

რომ შეიქმნა ახლადაზრდილი ორგანიზაციები.

1921 წლის 18 მარტს აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა და სათავეში სალიხ ახვლედიანიც მოექცა. იგი მახინჯაურის რევკომს ჩაუყენეს სათავეში და იმავე წელს, ხ. ნიჟარაძესთან ერთად წითელი მეჯლისის (მთავრობის) წევრად აირჩიეს.

სალიხის ვაჟკაცობასა და კაცურ-კაცობაზე ლეგენდები დადიოდა.

ძალზე სპეტაკი და ერთგული იყო განთქმული მკვლევარ-ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე **ხარიტონ ახვლედიანი**. ბათუმისას ცოლად ჯიხაშვილის ასული ჰყავდა. თბილისის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ აჭარის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორად დანიშნეს. გამოაქვეყნა უამრავი ნარკვევი და ნაშრომი, რომელთაც გარდა ცოლი დასწერეს. მაგრამ იგი აჭარის თემას არ მოეშვა და მრავალგზის გააშუქა აჭარელი ხალხის ბრძოლა დამპყრობთა წინააღმდეგ. მისი ხელმძღვანელობით გამდიდრდა კოლექციები, გახშირდა ექსპედიციები და სამეცნიერო სესიები.

კვლევა-ძიების, მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის გზას დაადგა მისი ძმის *არიფის* შვილი **აზიზ ახვლედიანი**. გამოქვეყნებული აქვს აჭარის საისტორიო და საგმირო სიტყვიერებისა და სხვა კრებულები. კარგა ხანს სათავეში ედგა ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის განყოფილებას. იგი სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია.

**ახვლედიანებს მრავალი რჩეული პიროვნება ჰყავთ. მათ შორის არიან:**

**ახვლედიანი არდევან ვალერიანის ძე**, ქართველი მეანგინეკოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1936წ), პროფესორი (1934წ). შეადგინა მეანობის პირველი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე.



**ახვლედიანი გიორგი სარიდანის ძე**, ქართველი ენათმეცნიერი, თსუ-ს პროფესორი (1918წ), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1939 წ), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1941წ), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1943 წ), ჩრდილო-ოსეთის ასსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1967), ექსპერტული ფონეტიკის საერთაშორისო საზოგადოების (1940) წევრი.

დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტი (1914 წ), სადაც ახვლედიანის გამოკვლევას ნარნარა და ცხვირისმიერი თანხმოვნებისათვის სანსკრიტში,

ბერძნულსა და ლათინურ ენებში“ ოქროს მედალი მიენიჭა.

პეტერბურგის უნივერსიტეტში მუშაობდა ინდოლოგიაში, ირანისტიკასა და ზოგად და ექსპერიმენტალური ფონეტიკაში.

შედიოდა თბილისის უნივერსიტეტის პირველ პროფესორთა კოლეგიაში, გამოსცა პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები, შექმნა ექსპერიმენტალური ფონეტიკის ლაბორატორია. სხვადასხვა დროს კითხულობდა საუნივერსიტეტო კურსებს: ენათმეცნიერების შესავალს, ზოგად და ექსპერიმენტალურ ფონეტიკას, სანსკრიტს, ბერძნულს, ოსურს, რუსული ენის ისტორიასა და დიალექტოლოგიას, ინდოევროპულ ენების შედარებით გრამატიკას, დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიას და სხვა.

გ. ახვლედიანმა ი. ყიფშიძესთან და აკაკი შანიძესთან ერთად საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ენათმეცნიერების კვლევა-ძიების საქმეს.

1923 წ. მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა „ქართული სამეცნიერო საზოგადოება“.

მის სახელთანაა დაკავშირებული ჩვენში ახალგაზრდა კადრების აღზრდა ზოგად და ექსპერიმენტალურ ფონეტიკაში, ზოგად ენათმეცნიერებაში, გერმანისტიკაში, რომანისტიკაში, ინდოლოგიაში, ირანისტიკაში, ოსოლოგიაში. აქვს მრავალი ნაშრომი, რომელიც გამოირჩევა საკვანძო საკითხების ახლებურად გაშუქებით...

გ. ახვლედიანი ფონეტიკის პრაქტიკული გამოყენების – ლოგოპედიის მამამთავარია საქართველოში.

გ. ახვლედიანი თარგმნიდა და გამოაქვეყნა ძველი ინდურიდან „დასაბამი ნივთთა“ (ჰიმნი რიგვედიდან), ავესტურიდან „ავესტა“; ქართულ ზღაპრებში მიაკვლია ინდურ სიუჟეტს..

გ ახვლედიანმა დიდი ამაგი დასდო ქართული საენათმეცნიერო ტერმინოლოგიის საქმესაც. მისი რედაქტორობით მრავალი წიგნი გამოიცა და დღესაც სამაგიდო წიგნია ქართველთა ოჯახებში.



**ახვლედიანი ელენე დიმიტრის ასული,** ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი. საქართველოს სახალხო მხატვარი (1960 წ); შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი (1971 წ). 1922 წელს სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში. იყო გ. გაბაშვილის მოწაფე.

იმავე წელს როგორც აკადემიური სტიპენდიანტი, საზღვარგარეთ მიავლინეს და სწავლა გააგრძელა პარიზში კოლაროსის აკადემიაში

(1922–27). სწავლის პერიოდში მონაწილეობდა „დამოუკიდებელთა სალონის“ გამოფენებში. იმოგზაურა იტალიაში. 1927 წელს დაბრუნდა სამშობლოში და უკვე ჩამოყალიბებული მხატვარი იყო.

1928 წლიდან დაიწყო მუშაობა თეატრალურ მხატვრობაში. შეასრულა დეკორაციებისა და კოსტიუმების ესკიზები. საქართველოსა და სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქების თეატრებში დადგმული 72 სპექტაკლისთვის.

უაღრესად დიდია ე. ახვლედიანის მიერ შეტანილი წვლილი ქართულ მხატვრობაში, თეატრისა და კინოს დეკორაციებისა და კოსტიუმების გაფორმებაში.



ახვლედიანი გივი ნიკოლოზის ძე ლიტერატურისმცოდნე-ფოლკლორისტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1994), პროფესორი (1998), ქართველ მწერალთა და ლიტერატურათმცოდნეთა დამოუკიდებელი კავშირის წევრი (1996), გიორგი ლეონიძის სახელობის პრემიის ლაურეატი (1996). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი.

იგი 1928 წელს ქუთაისში დაიბადა. 1952 წელს წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ქართული განყოფილება. 1952–1970 წლებში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობდა მშობლიური ქალაქის მუშა-ახალგაზრდობის მე–5 და მე–3 საშუალო სკოლებში.

1970 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების ჯერ უმცროსი, უფროსი და ამჟამად წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელია.

ამასთან ერთად, 1992 წლიდან შეთავსებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალში მოღვაწეობს. კითხულობს ფოლკლორის კურსს. არის ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის პროფესორი. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სამცხე–ჯავახეთის ფოლკლორის შესწავლაში.

გივი ახვლედიანი ღრმად ერუდირებული და ფართო დიაპაზონის მეცნიერია.

იკვლევს ფოლკლორისტიკისა და ლიტერატურულ-ფოლკლორულ

ურთიერთობათა პრობლემებს. მეცნიერსა და მწერალს სხვადასხვა სამეცნიერო კრებულებსა და ჟურნალებში გამოქვეყნებული აქვს 90 ნაშრომი. ავტორია შვიდი წიგნისა. მის მიერ გამოცემული წიგნები მიგვანიშნებს იმ უდიდეს ღვაწლზე, რომელიც მას ქართული ფოლკლორის შესწავლის საქმეში მიუძღვის. ესენია: „ქართლის ცხოვრების" ფოლკლორული წყაროები (1990); „XIX საუკუნის ქართველი ისტორიკოსები და ფოლკლორი" (1990); „ტრადიციების პრობლემა XVIII-XIX საუკუნეების ქართველი ისტორიკოსების ნაშრომებში" (1984); „ქართული საისტორიო ზეპირსიტყვიერება" (1989); „ქართული ფოლკლორის პრობლემები" და სხვა.. გივი ახვლედიანი ახვლედიანთა სახელოვანი გვარის ღირსეული წარმომადგენელია.



**დავით ახვლედიანი** სააქციო საზოგადოება „ვაზიანის" გენერალური დირექტორი. დაიბადა თბილისში 1960 წ. 11 იანვარს. მშობლები: **ლიანა ვარაზაშვილი, გივი ახვლედიანი;** მეუღლე – **ქეთევან ქობულია** (1962); შვილები: **ქრისტინე, ტასო** (1991).

დაამთავრა სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობის სახელმწიფო ინსტიტუტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის ფაკულტეტი (1984). იყო სსრკ სავაჭრო-სამრეწველო პალატის მთავარი ტექნიკოსი (1980-83), ჩუღურეთის რაიონის კომკავშირის რაიკომის რეფერენტი, კულტურის სექციის გამგე (1983-89). მარკეტინგში კვალიფიკაციის ასამაღლებლად იმყოფებოდა გერმანიაში (1991-92). იყო პურის მინიქარხნის დირექტორი (მოსკოვი, 1993-96), ს/ს „ვაზიანის" მარკეტინგის დირექტორი (1996-97) გენერალური დირექტორია 1997 წლიდან.



**ერლომ ახვლედიანი** მწერალი, კინოდრამატურგი.

დაიბადა თბილისში 1933 წ. 23 ნოემბერს. მშობლები: **ბარბარე დადიანი, სერგო ახვლედიანი;** შვილები: **ანა** (1970), **ბაქარი** (1987). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკულტეტი (1957), უმაღლესი სასცენარო კურსები (მოსკოვი, 1964).

იყო კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ინსპექტორი (1959-60), საქართველოს ტელე-რადიოკომიტეტის მხატვრული ტელეფილმების სტუდიის უფროსი რედაქტორი (1967-68), „ქართულ ფილმთან" არსებული მწერალთა შემოქმედებითი გაერთიანების წევრი

(1971–72), სატელევიზიო ფილმების ხელმძღვანელი (1982–87, 1995–99).

არის ავტორი წიგნებისა: „ზარმაცი თაგუნას ამბავი“ (1971); „ვანო და ნიკო“ (თარგმნილია და გამოქვეყნებული რუსულ, სომხურ, ჩეხურ, გერმანულ, უნგრულ და არაბულ ენებზე).

15 ფილმის ავტორი და თანაავტორი. მათ შორისაა „აპრილი“, „ფიროსმანი“, „ივანე კოტორაშვილის ამბავი“, „ამაღლება“, „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, „არასერიოზული კაცი“, „ცხელი ზაფხულის სამი დღე“, „ანგელი დასავლეთში“, „გზა შინისაკენ“, „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“ და სხვ.

არის სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.



**ახვლედიანი ლომერ ბიძინას ძე** კინოოპერატორი, საქართველოს სახალხო არტისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

დაიბადა თბილისში 1934 წ. 2 ოქტომბერს. მშობლები: **ოლიმპიადა წულუკიძე, ბიძინა ახვლედიანი**; მეუღლე – **ნანა ავალიშვილი** (1927); შვილები: **ნინო** (1960), **არჩილი** (1964).

დაამთავრა სპი გეოლოგიის ფაკულტეტი (1958), კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტის საოპერატორო ფაკულტეტი (მოსკოვი, 1975).

სხვადასხვა დროს მუშაობდა ტელეფილმების სტუდიისა და კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დამდგმელ ოპერატორად (1957 წლიდან).

გადაღებული აქვს მხატვრული ფილმები „ქვევრი“, „სამკაული სატრფოსათვის“, „მზე შემოდგომისა“, „აურზაური სალხინეთში“, „ნატვრის ხე“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „მშობლიური ჩემო მიწავ!“, „დონკიხოტი“, „ბესამე“, „ექსპრეს-ინფორმაცია“, „თეთრი დღესასწაული“, „რიჩარდის, მილორდის და შესანიშნავი სამოთხის ჩიტის შესახებ“, „სამოთხის ვაშლი“, „თეთრმარქიზები“, „ბებერი ჯაგლაგები“ და სხვ. დოკუმენტური ფილმები: „დღესასწაული კონფოლდანში“, „სერპანტინი“, „შექსპირის სამშობლოში“.

არის საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის და კინემატოგრაფისტთა კონფედერაციის წევრი.

არის ლენინის პრემიის ლაურეატი, დაღესტნის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

მისი ბიოგრაფია შეტანილია ენციკლოპედიაში „საქართველო“ (I ტომი 1997), კინოენციკლოპედიაში. ჰობი: მუსიკა და სპორტი.



ახვლედიანი ვახტანგ მემედის ძე დაიბადა 1939 წლის 10 აგვისტოს დაბა მახინჯაურში. მშობლებმა – სოფელში დაფასებულმა ადამიანებმა მამუდ ახვლედიანმა და უმიან აბაშიძე-ახვლედიანმა ჩაუნერგეს მას მაღალი ადამიანობისა და ქართველობის თვისებები – მამულის, ერის სიყვარული, შინაგანი კეთილშობილება, გულისხმიერება და მოყვასისადმი თანადგომა.

აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდგომ – ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა პედაგოგად გამომცემლობა „აჭარის" განყოფილების გამგედ, საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის აჭარის საზოგადოების პასუხისმგებელ მდივნად, გაზეთ „ადჟარიას" მთავარი რედაქტორის მოადგილედ, მთავარ რედაქტორად, აჭარის მთავლობის მმართველად, ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის თავმჯდომარედ. ამჟამად იგი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარეა.

ვახტანგ ახვლედიანის პირველი ნაწარმოებები ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე გამოჩნდა 60-იან წლებში. 1971 წელს გამოიცა ნოველების პირველი კრებული „ჟამი სიყვარულისა." დღეს მისი სამწერლო შემოქმედება ოცდაათამდე წიგნს ითვლის. მწერლის ნოველები, საბავშვო მოთხრობები, სათავგადასავლო რომანები, პოემები, ლექსები, პუბლიცისტური წერილები მკითხველისა და ლიტერატურის მიმომხილველთა დიდ ინტერესს იწვევს. თარგმნილია რუსულ, ბულგარულ, თურქმენულ, ლიტვურ, სომხურ, ფინურ, სლოვაკურ ენებზე. თარგმნილი აქვს ბულგარული ლიტერატურის კლასიკოსის ნიკოლა ვაფცაროვის ლექსები და ლიტველი მწერლის იერონიმას ლაუცუსის ნოველები.

1998 წლის ბათუმის თოჯინების სახელმწიფო თეატრმა დადგა ვახტანგ ახვლედიანის პიესა – „ზღაპარი მეგობრობის" ძალა, რომელმაც უკრაინის ქალაქ შეპეტოვკაში გამართულ თოჯინების თეატრების საერთაშორისო ფესტივალზე ნამდვილი ფურორი მოახდინა და 18 ქვეყნის 25 სპექტაკლს შორის პირველი ადგილი დაიკავა.

ვახტანგ ახვლედიანი მრავალმხრივი პიროვნებაა. ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების ექვსი პერსონალური გამოფენის ავტორია. ერთი გამოფენა 1987 წელს მოეწყო ბულგარეთის ქალაქ ბლაგოევგრადში (ამჟამად გორნი-ჯუმაი). უყვარს კლასიკური მუსიკა, თავდავიწყებით ასრულებს ქართველი და საზღვარგარეთის კომპოზიტორების რომანსებ-

სა და სიმღერებს.

საკუთარი წიგნების უმრავლესობა თვით ავტორის მიერ არის გაფორმებული.

სხვადასხვა დროს დაჯილდოებულია ბულგარეთ–საბჭოთა კავშირის მეგობრობის ოქროს მედლით (ბულგარეთი), მშვიდობის მედროშის საერთაშორისო დიპლომით.

არის აკაკი წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი. მინიჭებული აქვს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება (1987 წ.), დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

მეუღლე – **ნაირა**, ქალიშვილები **ხათუნა** და **ზეინაბი**. შვილიშვილი **სალომე**.

**ახვლედიანი გიორგი** (იგივე აკა მორჩილაძე) – თანამედროვე მწერალი. დაიბადა თბილისში. მუშაობდა გაზეთებში რეპორტიორად.

არის ავტორი გახმაურებული ბესტსელერებისა: „მოგზაურობა ყარაბაღში", „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები", „გადაფრენა მადათოვზე და უკან" და სხვა.

მისი ნაწარმოებების მიხედვით დადგმულია სპექტაკლები და გადაღებულია მხატვრული ფილმი.

**ახლოური** შდრ. ახალაია, ახალაშვილი.

**ახმეტელაშვილი**, გვარადქცეული სადაურობის სიტყვა.

**ახმეტა** რაიონული ცენტრი კახეთში (შდრ. **ახმეტელი**).

**ახმეტელაშვილი** და **ახმეტელი** ერთი და იგივე გვარია.

გვარადქცეული სდაურობის სიტყვა: ანაგა (სიღნაღის რაიონი), დაბა ახმეტა (რაიონის ცენტრი).

**ახლოური 228**
**კასპი 107**
**თბილისი 56**
**ახალგორი 45**

**ახმეტელაშვილი 77**
**თბილისი 32**
**სიღნაღი 17,**
**ლაგოდეხი 10**

როგორც ითქვა, ქართული გვარების ერთი წყება სადაურობის მიხედვითაა შექმნილი. შდრ. *ბოდაველი*, *ქსოვრელი*, *კეცხოველი*, *კორინთელი* და ყველა სხვა გვარი, რომლებიც სუფიქსითაა გაწყობილი.

**ახმეტელი 131**
**თბილისი–87;**
**თელავი–20;**
**ახმეტა–13**

ვარაუდით, ახმეტელთა წინარე გვარი სხვა უნდა ყოფილიყო.

ქართულ ენციკლოპედიაში შეტანილია:



ახმეტელი ალექსანდრე (სანდრო) ვასილის ძე (1(13). IV. 1886, სოფ. ანაგა, სიღნაღის რაიონი – 1937), რეჟისორი, ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი. საქართველოს სახალხო არტისტი (1933). დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1916). 1919 წელს თბილისის საოპერო სტუდიაში დადგა დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე". 1920 წელს მიიწვიეს რეჟისორად თბილისის ქართულ თეატრში, სადაც დადგა ს. შანშიაშვილის „ბერდო ზმანია". 1923 წელს კი კ. მარჯანიშვილმა მიიწვია რეჟისორად თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრში. შემდეგ იყო ამავე თეატრის მთავარი რეჟისორი.

1926–1935 წლებში სამხატვრო ხელმძღვანელია. 1924 წელს ახმეტელი იყო ერთ-ერთი ინიციატორი მსახიობთა კორპორაცია „დურუჯის" დაარსებისა (1924). იგი იყო კ. მარჯანიშვილის მოწაფე და მისი მრავალი დადგმის თანავატორი (ჯ. სინგის „გმირი", 1923; ს. შანშიაშვილის „ჰერიეთის გმირები", უ. შექსპირის „უინძორელი ცელქი ქალები", ორივე 1924 წელს და სხვა).

1928 წელს ს. ახმეტელმა დადგა ბ. ლავრენიოვის „რღვევა", რომელიც გარკვეული ეტაპი იყო რუსთაველის ცხოვრებაში და ს. შანშიაშვილის „ანზორი". ამ სპექტაკლებში კლასობრივი ბრძოლის ფონზე გახსნილია ახალი ადამიანის ფსიქოლოგიური სამყარო. შ. ახმეტელმა „ანზორში" შ. დადიანის „თეთნულდსა" და ვ. კირშონის „ქართა ქალაქში" (1929) მასობრივი სცენების საშუალებით, მასისა და ინდივიდის დაპირისპირების შედეგად გამოავლინა ახალი ეპოქის ხასიათი და კოლექტივიზმის ძალა. ს. ახმეტელის შემოქმედებაში ახალი სიტყვა იყო ფ. შილერის „ყაჩაღების" (1993) დადგმა (თანადამდგმელი შ. აღსაბაძე). აქ ყაჩაღთა ბრბო გამოყვანილი იყო ტირანიის წინააღმდეგ მებრძოლ ორგანიზებულ ძალად.

ს. ახმეტელის მიერ შექმნილ სპექტაკლებში აისახა გრანდიოზული ისტორიული მოვლენების შედეგად დამყარებული ახალი საზოგადოებრივი დამოკიდებულებანი, ჩაგვრისაგან განთავისუფლებული ადამიანის ინდივიდუალობა. მის შემოქმედებაში ელინდებოდა თანამედროვე თეატრის ამაღლებული სული, ჰეროიკა, ქართული ხალხური თეატრის იმპროვიზებული თავისებურებები: ემოციურობა, გამოგონებები, რომლებ-

შიც ფართოდ იყენებდა ქართულ სიმღერებსა და ცეკვებს. სპექტაკლები: ა. გლებოვის „ზაგმუკი" (1926), ნ. შიუკაშვილის „ამერიკელი ძია" I ნაწილი (1926), II ნაწილი (1927), მ. ლორთქიფანიძის „ათი დღე" (1927, ჯ. სიდეს მიხედვით, ა. ვასაძესთან ერთად), კ. ლიპსკეროვის „კარმენსიტა" (1927), ი. ბილბულო-ცერკოვსკის „საჯე მარცხნივ" (1927, ა. ვასაძესთან ერთად) „ლამარა" (ვაჟა-ფშაველას მიხედვით, 1930), სლავინის „ინტერვენცია" (1934), ხოზიკას „ხოჭოების ლოლი" (1928, კ. პატარიძესთან ერთად), ჰაზენკლევერის „საქმის კაცი" (1929, შ. აღსაბაძესთან ერთად), ა. მირცხულავას (მაშაშვილის) „ბაზაში" (1931), გ. ბუხნიკაშვილის „ნაბიჭვარი" (ვ. შკვარკინის მიხედვით) საოპერო სპექტაკლები: ზ. ფალიაშვილის „ლატავრა" და დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე" (ქრესტ. 2 გვ. 107.)



**მანანა ახმეტელი** შალვას ასული მუსიკათმცოდნე, საქართველოს მუსიკალური საზოგადოების თავმჯდომარე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა თბილისში 1937 წ. 7 აპრილს. მშობლები: **ქეთევან ჩუბინაშვილი, შალვა ახმეტელი**; შვილი – გიორგი თოფურია (1961). დაამთავრა კონსერვატორიის მუსიკისმცოდნეობის ფაკულტეტი (1962). არის ჟურნალ „ხელოვნების" მუსიკისა და ქორეოგრაფიის განყოფილების გამგე (1965 წლიდან), იყო საქართველოს მუსიკალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე (1990–98), თავმჯდომარეა 1998 წლიდან. არის პრობლემური და კრიტიკული წერილების, ესეების, რეცენზიების, შემოქმედებითი პორტრეტების, დიალოგების, სატელევიზიო გადაცემების ავტორი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირისა და თეატრის მოღვაწეთა კავშირის წევრი. მისი თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა კამერული ანსამბლების სულხან ცინცაძის სახელობის კონკურსს (2000).

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997). მისი ბიოგრაფია შეტანილია ენციკლოპედიაში „საქართველო" (I ტომი, 1997).



**ახმეტელაშვილი (ახმეტელი) გივი სარდიონის ძე** დაიბადა 1923 წელს. 1941 წელს დაამთავრა ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა. არის დიდი სამამულო ომის მონაწილე. 1942–43 წლებში იბრძოდა კავკასიის ფრონტზე. 1949 წელს დაამთავრა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი. 1949–52 წლებში მსახურობდა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში

უფროს მასწავლებლად. 1952 წლიდან ასპირანტურის სრული კურსის გავლის შემდეგ იმუშავა თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში უფროს მასწავლებლად, შემდეგ კი კათედრის გამგედ.

არის საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი ალპინიზმისა და ტურიზმის განხრით. იყო რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. ამჟამად პენსიონერი.



**ახმეტელი სტეფანე**

**ახმეტელი სიმონი**



**ახობაძე-ახუბაძე ახობაძე** – პაპუნამ თავის სახლიკაცებითან ერთად ზაალ წინამძღვრიშვილს, ბატონ ბეჟანის ნებართვით, მიჰყიდა ერთი დღის მიწა ახობაძისეულ მიწამდე (1700 წ. შდ – 14564)

| |
|---|
| **ახობაძე 2363** |
| **სამტრედია–933;** |
| **თბილისი–758;** |
| **აბაშა–217.** |

**ახობაძე პაპუნა** – ქორაზანში მცხოვრები. ედიშერ და პაპუნა [ციციშვილების] გაყრის დროს იგი, თავისი მამულით, პაპუნას ერგო ([1688 – 1700 წწ. – 1636).

| |
|---|
| **ახმედიშვილი 25** |
| **თელავი 25** |



**მამია ახობაძე აპოლონის ძე** საქართველოს დამსახურებული მხატვარი, საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანი. დაიბადა სოფ. მიწაბოგირაში (სამტრედიის რაიონი) 1933 წ. 23 მაისს.

მშობლები: **ბაბილინა გეგეშიძე, აპოლონ ახობაძე;** მეუღლე – **ლიანა ლეჟავა** (1937); შვილები: **ქეთევანი** (1958), **გიორგი** (1965). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკულტეტი (1960). იყო თსუ პედაგოგი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი (1958–97), არის პროფესორი (1997 წლიდან; გორის სამხატვრო სკოლის პედაგოგი (1960–99); საქართველოს მხატვართა კავშირის ფერწერის სექციის ბიუროს, პროფკავშირების ბიუროს წევრი, ახალგაზრდა მხატვართა და ხელოვნებათმცოდნეთა სექციის თავმჯდომარე, მხატვართა კავშირის მდივანი (1982 წლიდან). არის ავტორი ფერწერული ნამუშევრებისა „ნონა გაფრინდაშვილის პორტრეტი" (1962), „შორეული ნაოსნობის წინ" (1964), „სიმღერა საქართველოზე", პეიზაჟების სერიისა „საქართველო", შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" ახალი ილუსტრაციებისა და სხვ.

არის საქართველოს დამსახურებული მხატვარი (1984), დაჯილდოებულია იაპონიის საერთაშორისო გამოფენის ოქროს მედლით. არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1961).

მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" *(ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, თბილისი, 2000)* სსრკ მხატვართა კავშირის ბიოგრაფიულ ცნობარში, ახალ ქართულ ენციკლოპედიაში.



**მერაბ ახობაძე ნიკოლოზის ძე** უზენაესი სასამართლოს საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სტუ პროფესორი.

დაიბადა თბილისში 1944 წ. 30 ივლისს. მშობლები: თამარ ბაკურაძე, ნიკოლოზ ახობაძე; მეუღლე – რუსუდან ბულია (1953); შვილები: ნინო (1978), თამარი (1980).

დაამთავრა სპი ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი (1966), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მართვის პრობლემების ინ-ტის ასპირანტურა (1973).

იყო სსრკ მეცნიერებათა აკად. მართვის პრობლემების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი (1973–75), ს/გ „ელექტროაპარატის" გამოთვლითი ცენტრის უფროსი (1975–79), სტუ ავტომატიკისა და ტელემექანიკის კათედრის დოცენტი (1979–98), შპს „კოკა-კოლა-კავკასიონის" ეკონომიკისა და მარკეტინგის მენეჯერი (1994–96), საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს ანალიტიკური ცენტრის მეცნიერ-კონსულტანტი, საგადასახადო სამსახურის ანალიზისა და ინფორმაციის განყოფილების კონსულტანტი (1996–97).

არის სტუ იმიტაციური მოდელირებისა და სისტემების ლაბორატორიის ხელმძღვანელი. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „მაკრო სისტემების მათემატიკური მოდელირება და მართვა" (1997).

არის რამდენიმე წიგნის, მეთოდური მითითებისა და სამეცნიერო სტატიის ავტორი; ღირსების ორდენის კავალერი (1999), საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

**ახოიშვილი, ახოშვილი** სხვადასხვა გვარია, ორივე მათგანს საფუძვლად უდევს სიტყვა **ახო** (შდრ. **ახოშვილი, ახოიშვილი, ახვაშვილი**). ახო საყანედ გაკაფული ტყეა: ახოებში თესვა, გადაჭიმული ახოები.

**ახო** მეტსახელი, გვარში: **ახოშვილი** (ელ. მაისურ: 26).

| | |
|---|---|
| ახოიშვილი 70<br>გურჯაანი–50;<br>თბილისი–19;<br>თელავი–1; | ახოტელაშვილი 29<br>დმანისი–20;<br>ბოლნისი–3;<br>თბილისი–6; |

ახრახაძე, ახარახა, მეტსახელი გვარში: ახრახაძე (ალ.ღლ. 78)

ახსაბაძე ეს გვარი წყაროებში გვხვდება ფორმით ახვსებაძე, ახუსებაძე, ალვსებაძე, ალსაბაძე.

მეცნიერები ალსაბაძეზე ამახვილებენ ყურადღებას და მიიჩნევენ, რომ მეტსახელ ალსაბა-სთან აქვს საქმე. ჩვენი ვარაუდით, ამოსავალი ფუძე უნდა იყოს ალვსილი.

**ახუსებაძე** – ხევდურული ყმა-გლეხი, ადრე ბალავარ ხოსაშვილს ეკუთვნოდა. კოსტანტინე მეფემ იგი უბოძა ქართლში გადმოსახლებულ ზაზა ფანასკერტელს (1467წ. 1448–64).

**ახვსებაძე** – მისი ვენახის თავთან მდებარე, ლომინასაგან ნაყიდი მიწა ელიაზარ ელიოზისშვილმა შესწირა შიომღვიმის მონასტერს (1492წ. 1449–1615).

**ალვსებაძე** – მცხეთიშვილი. მისი ნაქონი მამული ნიკოლოზ კათალიკოსმა უბოძა დათუნას (1680 წ. III. 27. 1448–123).

**ახვსებაძე ახალბედა** – შვილი გიორგი ახვსებაძისა. იხ. მოწმე მამისა ახვსებაძის მიერ იოაკიმე ფადლაძისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა:

**ახვსებაძე გიორგი** – XVI ს. I მეოთხ. ჰყავს შვილები: **ახალბედა ნიკოლოზ** (XVI ს. I მეოთხ. 1552-ია), **მამისთვალა, მამისიმედი** (XVI ს. I მეოთხ. 1552-ია), **მამისა, მამისბედა** (XVI ს. I მეოთხ. 1552-ია ), ძმისწულები: **მამისიმედი, ივანა, ნოქაფელ II, ნუძაფელ** (XVI ს. I მეოთხ 1552-ია) მიჰყიდა მამული [იოაკიმე ფადლაძეს] (XVI ს. I მეოთხ. 1552-ია), სათიბის ნახევარი იობ ფადლაძეს (XVI ს. I მეოთხ. 1552-ია) მოწმე მამისა ახვსებაძის მიერ იოაკიმე ფადლაძისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (XVI ს. I მეოთხ. 1552-ია).

**ალვსებაძე დემეტრე** – სვეტიცხოვლის ყმა. ჰყავს [ძმა] რამაზა, შვილი იასე. კათალიკოსმა იოანე დიასამიძემ მას განუახლა მკვიდრი სახლოს-ომფორის მოლარეობის, საცეციანო მამამთავრობისა და სამცხეთიშვილოს მამულის წყალობა (1989წ. I. 26 –4770).

**ალვსებაძე იასე** – შვილი დემეტრე ალვსებაძისა. იხ.

**ახვსებაძე ივანა** – ძმისწული გიორგი ახვსებაძისა [სახლიკაცი] მა–

მისა ახვსებაძისა, იხ.

**ახვსებაძე მამისა** XVI ს. I მეოთხ. შეილი გიორგი ახვსებაძისა, იხ. ჰყაეს [სახლიკაცები]: **მამისიმედი, ივანა, მოქაფელ** (XVI ს. I მეოთხ – 1552–ია). განაყოფი **მამისთვალა** (XVI ს. I მეოთხ 1552–ი) მოწმე: გიორგი იმედაძის მიერ იოვანკიმე ფადლაძისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (XVI ს. I მეოთხ. 1552დ). გიორგი ალფასიძის მიერ იოვაკიმე ფადლაძისათვის წაბლ[ნ] არის ნასყიდობის წიგნისა (XVI ს. I მეოთხ. 1552), სამნია ბერიკაძის მიერ ოვაკიმე ფადლაძისათვის მიცემული ნასყიდობის წიგნისა (XVI ს. I მეოთხ. 1552–ე).

**ახვსებაძე მამისბედა** – შეილი გიორგი ახვსებაძისა, იხ.

**ახვსებაძე მამისთვალა** – შეილი გიორგი ახვსებაძისა, იხ.

**ახვსებაძე მამისიმედი** – შვილი გიორგი ახვსებაძისა იხ. [სახლიკაცი] **მამისა ახვსებაძისა**, იხ.

**ახვსებაძე მამისიმედი** – ძმისწული გიორგი ახვსებაძისა, იხ.

·**ახვსებაძე მუქაფა** – იგი თავისი მამულებით, მცხეთას, კოდმანს, მუხრანს აშხურთიანთ[ა]კენ, გალავნის კუთხის გაყოლებით, ლაზარესშეილის ბაღამდე, კათალიკოსმა ქრისტეფორემ უწყალობა კანდელაკ შიო ეგაძეს (1623 წ. 9446).

**ახვსებაძე ნასყიდა** – მოწმე გიორგი კვატიაშეილის მიერ იობ ფადლაძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (XVI ს. I მეოთხ. 1552–იე).

**ახვსებაძე ნიკოლოზ** – შეილი გიორგი ახვსებაძისა, იხ.

**ახვსებაძე ნოქაფელ || ნოძაფელ** – ძმისწული გიორგი ახვსებაძისა. იხ. [სახლიკაცი] **მამისა ახვსებაძისა**, იხ.

**ალვსებაძე რამაზა** – [ძმა] **დემეტრე ალვსებაძისა**, იხ.

შენიშვნა: **ალვსება** იყო საკუთარი სახელი. შდრ. **ალოძე ალვსება** – მაღლაკს მცხოვრები_ (1578 წ.) (პალ 200). **ალვსება** ძველ ქართულში **აღდგომას** ნიშნავს (ალივსე ჯანითა-ლონითა, ეტყვიან თოთო ბავშვს გაბანვის შემდეგ).

| |
|---|
| **ახსიაშვილი 46** |
| **თბილისი – 30,** |
| **გარდაბანი – 2,** |
| **თეთრიწყარო – 14.** |

**ახსიაშვილი** და **ალვსიაშვილი** ერთიდაიგივე გვარსახელია. პირვანდელი ფორმაა **ალვსიაშვილი**, ფუძეა **ალვსია** (ალვსილი_) შდრ. **ალვსება** (ალვსებაძე, ალსაბაძე_)

**ალვსიაშვილი** – წვერს მცხოვრები, იგი ბოვნელ რევიშვილს მოტყუებით ჰყავდა მისაკუთრებული. შემდ-

გომში ნაზარალი–ხანძა იგი უწყალობა ქაიხოსრო ბარათაშვილს (1689წ. VII. II. 1450–12/98).

**ახსიაშვილი||ახესიაშვილი||ალესიაშვილი||ალსიაშვილი** (1732წ). საკუთარი სახელი.

**ახსია ახსიაშვილი** დასახლებულია მოწმედ 1732 წელს. დაბელი გიორგი იაგულაშვილი, დაბელ ხელფეხა გიორგისათვის მიცემული ნასყიდობის წიგნში (საქ. სიძვ. I. 136); „ქ. ნამანგლეეიშვილის როსტომისა და გუნას ყმა სოფელ წეერში ბეჟუა და თევდორე ახსიაშვილები“ (ვახუშტი 120).

**ახსიაშვილი სტეფანე მიხეილის ძე**, ბიძაშვილი **სოხია ახსიაშვილი**, ქართველი მართლმადიდებლები. მოიხსენებიან 1837 წლის აღწერით. სოფელ სალარაშენში (დღევ. თეთრიწყაროს რაიონი) (სცსს. გ. 254, №3. საქ. №126. აღწ. №289. ფურც. 675–686);

1737 წლის სოფელ წეერას დეკანოზია **ოქროპირი ალესიაშვილი** (დოკ. I. 172). **ალსიაშვილი** მოიხსენიება სოფელ ახალშენში (ვახუშტი 121); სოფელ ენაგეთაში მცხოვრებმა **იოსებ ახსიაშვილმა,** 23 წლისამ, 1830 წელს იქორწინა ამავე სოფელში მცხოვრებ ყაჩნაძის ქალთან, 16 წლის ბარბარესთან. გვირგვინი უკურთხა მღვდელმა ანტონ ციმაკურიძემ. თაველები იყვნენ: პეტრე კეკელიშვილი, აბრამ ამონაშვილი“ (გვ. 489, №6. №98. ფურც 29);

სოფელ ენაგეთის მცხოვრებ **იოსებ ახსიაშვილს** კანონიერი მეუღლე ღარაბას ასულ ბარბარასაგან ეყოლა შვილი. სახელი განათლა და მონათლა მღვდელმა ანტონ ციმაკურიძემ, ნათლია იყო ამავე სოფლელი დაეით სვიმონიშვილი (დ. 489. აღწ. 6. საქმე 150. 1832 წ. ფურც. 11).

**ახსიაშვილი||ალსიაშვილები** 1721 წლის აღწერით მოიხსენებიან სოფლებში – ენაგეთი, ახალშენი, კოდა, დბიხი, სამღერეთი, სალარაშენი, ბოგვი (დღ. ჯორჯიაშვილი).

**ახსიაშვილი, ახსია,** საქ. სიძვ: I, 136; **ახსიაშვილი,** სოფელი *ჯორჯიაშვილი (თეთრიწყაროს რაიონი). საკუთარი სახელი* ***ახსია*** *(თ. ჟორდ. ქრონ. I 136)*

**ალასია,** შდრ: **ალასიაშვილი** (ცხინვალი). XIX საუკუნეში ცხოვრობდნენ სოფელ კოდაში.

**ახუაშვილი 82**
**თეთრიწყარო 57**
**თბილისი – 19,**
**მარნეული – 3**

**ახუაშვილი**, ახუაშვილი ადგილობრივი ლოკალური გვარია. ქვემო ქართლის სოფელ ჭრეშიდან ვინმე ახუა (ახუაშვილების გვარის წინაპარი) მურადაშვილ მამუასთან ერთად საცხოვრებლად გადადის სოფელ მუხათში. 1781 წლის აღწერაში *(იხილეთ ივანე ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები. I. თბ. 1967. გვ. 177.)* მოიხსენიება ახუა, ხოლო 1817 წლის აღწერაში ჩნდება გვარი ახუაშვილი. კერძოდ მიხეილ და გაბრიელ ახუაშვილები, მართლმადიდებლური სარწმუნოებისანი. მშობლიური ენა ქართული.

ახუა იყო როგორც მამაკაცის, ისე ქალის საკუთარი სახელი. ასე ბარათაშვილს ჰყავდა და ახუა, ახუა ერქვა აგრეთვე კახეთში იმ ქალბატონს, რომელმაც მეფე ერეკლე ხმამაღლა დაიტირა და დღემდე შემორჩა დატირების ტექსტი. ტექსტი პროფესორმა *გიორგი (გოგი) ჯავახიშვილმა* წლების წინათ გამოაქვეყნა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებზე.

სოფელ მუხათში მახსოვს: გაბუანთ მხრიდან: **არტემა**, მისი შვილები: **გიორგი** (საკოლმეურნეო მოძრაობის ხელმძღვანელი, კოლმეურნეობის პირველი თავკაცი, შემდგომში ბრიგადირი, სოფლის თავკაცი, ჭირისა და ლხინის სუფრის თამადა).

**ვარდო** (დაიკარგა დიდ სამამულო ომში);

**ბეგა** (ჯირკვეთის ბრგე კაცი, ხელმოჭირნე, არც სხვისა უნდოდა და თავადაც არაფერს მოგცემდა);

**მელანო** (თბილისში იყო გათხოვილი);

**პეტრო**, მაღალი ტანის, ჯანღონით სავსე, წვრილშვილიანი გახლდათ. ეკონომიურად ძალზე უჭირდა მის ოჯახს, ერთი ურემი რასაც დაიტევს იმდენ ჯაგს (ძეძვზეა საუბარი) იკიდებდა და ორ კილომეტრზე ქაცვანიდან სახლში მოჰქონდა.

ყოფილა **ვასო ახუაშვილი**, რომელიც მე არ მახსოვს. მისი ერთადერთი ვაჟიშვილი **სანდრო** (მედოლე) ფრონტზე წავიდა და იქიდან არ დაბრუნებულა.

**მიხუანთ** მხრიდან (მე მიხუანთ შთამომავალი ვარ) მახსოვს მამაჩემის ბიძა **სერაფიონი** (უშვილო იყო, შვილად აიყვანა და გაზარდა ჩემი და თასია, ერთ-ერთი ულამაზესი ქალი რაიონსა და იმ მხარეში), **ვარდო** და **მიხო** ახუაშვილები. როგორც ზემოთაც ითქვა, გვარი მცირერიცხოვანია. როგორც ამბობენ, ამ გვარისანი თურმე კახეთშიც ცხოვრობენ (სოფ. აკურა).


ახუა
1781 წ.
გაბრიელ
ახუაშვილი
1817 წ.
მიხეილ
ახუაშვილი
გვარი ჩანს
1803 წლიდან
თათო
დედა ანისია
ანდრო
მეუღლე ქეთევანი
გაბრიელი
მიხეილი
ანა
დარეჯანი
მათე
სოფიო
მარიამი
სანდრო
იაკობი
სერაფიონი
ანდრო
ალა
გიორგი
მარიამი
ნინო
ქეთევანი
ნიკოლოზი
ია

ახუაშვილები ძირითადად სოფელ მუხათში (თეთრიწყაროს რაიონი) ცხოვრობენ. გამოირჩევიან გარჯითა და შრომისმოყვარეობით.

ჩემი ხელით სამი პეშვი მიწა მივაყარე გიორგი, ბეგა, ვარდო, შალვა, ბექან, სარგის, ლიმონ, ვასო (პეტრეს ძე), პეტრე და სერგო (სეგა) ახუაშვილებს.

ამჟამად გვარში გვყევანან: ანიკო ახუაშვილი-ბაქრაძისა, განო და მისი ვაჟიშვილი, არტემა და მისი ვაჟიშვილი, არჩილი და მისი ქალ-ვაჟი, ოთარი ვაჟებით, პეტრე, ვასო (სანდროს ძე), მისი ვაჟიშვილი, გია და მისი ვაჟიშვილი, დათო (დავითი) და მისი ვაჟიშვილი, ბექანი და მისი შვილი... სერგოს შვილები...



ცალკე აღნიშნას იმსახურებს ლიმონა (ლიმონა) ახუაშვილი, თავისი დიდი და შინაარსიანი ოჯახით. მეუღლე ელენე (ლენა) უჩუმბეგიშვილი, ახუაშვილების სანაქებო რძალი. ჰყავს სამი შვილი: გიორგი, დავითი და ნანა ახუაშვილები, თავიანთი შვილებით, სიძითა და რძლებით.

ლიმონ ახუაშვილი ბუღალტრული განათლების მქონე გახლდათ. ბევრჯერ შეუცვლია პროფესია, რათა სტუმართმოყვარე ოჯახი ერჩინა და ეწარმოებინა.

ბევრ სიკეთესთან ერთად ლიმონ ახუაშვილი ქვემო ქართლში და განსაკუთრებით მეზობელ სოფლებში რჩეული თამადა იყო. ამ სტრიქონების ავტორი ბევრს ეცადა, მაგრამ მისებრი თამადა ვერ დადგა.



**ახუაშვილი იაკობ ვარდოს ძე.** დაიბადა 1928 წლის 25 მაისს, თეთრი წყაროს რაიონის სოფელ მუხათში, – გლეხის ოჯახში.

მამა ვარდო იაკობის ძე ახუაშვილი, დედა რიმსიმე ლევანის ასული დევდარიანი დევალახაშვილი.

დაამთავრა სოფელ კოდის 7-წლიანი სკოლა და თბილისის ფიზიკური კულტურის რესპუბლიკური ტექნიკუმი (ორივე წარჩინებით). უგამოცდოდ ჩარიცხეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე.

დაამთავრა აგრეთვე ლენინგრადის კულტურის ინსტიტუტის ასპირანტურა. იქვე 1980 წელს დაიცვა დისერტაცია პედაგოგიკაში.

1996 წლიდან არის საქართველოს ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი – აკადემიის აკადემიკოსი, 2000 წელს მიენიჭა პროფესორის

წოდება. 1988 წელს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიანიჭა დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება.

1996 წელს შექმნა „გვარიშვილობის“ რესპუბლიკური კავშირი. არის ამ კავშირის პრეზიდენტი. გამოქვეყნებული აქვს 43 წიგნი (260–ზე მეტი თაბახის ოდენობით) და 2000–ზე მეტი სტატია – პედაგოგიკის, ისტორიის, ფიზიკური აღზრდის, ეთნოგრაფიის, ონომასტიკის, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის საკითხებზე.

პრესაში გამოქვეყნებული სტატიები ეხება სოციალურ სფეროს, ისტორიას, ერთა შორის ურთიერთობას. მწვავედ აკრიტიკებდა ყოფილ ხელისუფლებას.

მეუღლე **ია ვლადიმერის ასული ვარდოსანიძე**, ორი ქალიშვილი **მარინე და მანანა**. სიძეები **გელა აბესაძე [თენგიზ მამეიშვილი]**, **ვახტანგ ციტაიშვილი**, ოთხი შვილიშვილი: **ნიკა, ია, ნინო და ქეთი**.

**ახურაშვილი**, საკუთარი სახელი **ახურა**, შდრ: **საამ ახურაშვილი** – მოწმე თანდრია ბადრისშვილის მიერ ბარნაბა ტფილელისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1592).

**ახუსებაშვილი გულისადებ** – თბილისში მცხოვრები, ვაჭარი, მოიხსენიება 1523 წ:

**ახუსიაშვილი გოგლა** – მოწმე მიწის ნასყიდობის წიგნისა (1664); იქვე ახუსიაშვილი ხატისა – წვერელი (1635).

**ახჯანაზაშვილი კიკოზა**, სარდალა, მოიხსენიება 1688 წელს.

**აჯაბნუშასშვილები ყულია** – დაეა ჰქონდათ ბასილი ტიტუაშვილთან სასახლისა და მარნის ადგილზე (1648)

**აჯაიასშვილი**, შედრ: **აჯაი**, დმანისის მცხოვრები, **აჯაია** – მიჯას მცხოვრები (XV ს.).

**აჯამელაშვილი 24**
**თბილისი 24.**

**აჯიაშვილი**, საკუთარი სახელი **აჯია** (ამ გვარისანი არიან ებრაელებიც და ქართველებიც. ქართველი **აჯიაშვილები** აზნაურები იყვნენ.

**აჯიაშვილი 151**
**თბილისში–87;**
**ყვარელი–16;**
**სიღნაღი–8.**

**აჯაფაშვილი 22**
**გურჯაანი 11,**
**თბილისი 11**

**აჯიყაფაშვილი ზურაბ** – მოწმე ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ გიორგი გლურჯისათვის მიცემული მიწის გაცვლილების წიგნისა *(1527–1556 წ.წ; 1450–23/103; პირთა ანოტირებული ლექსიკონი, წიგნი I, თბ; 1991, გვ. 43–208).*

# რეზიუმე

ქართველი კაცის თანდაყოლილი თვისებაა დაიცვას წინაპართაგან მემკვიდრეობით მიღებული ფუნდამენტური ფასეულობანი (მშობლიური ენა, ისტორიული მიწა-წყალი, სახელმწიფოებრიობა, სარწმუნოება, ტრადიციული ცხოვრების წესი) საკუთარი სასიცოცხლო ინტერესები და შიდა ეთნიკური მთლიანობა. *„ყოველ ერს, ისევე როგორც ყოველ ცალკეულ ადამიანს, სიცოცხლის საფუძვლად უდევს ერთადერთი თემა, ცენტრალური ბგერა, რომლის გარშემო ჰარმონიის დანარჩენი ბგერა იკრიბება".* ქართველობა ის ფენომენია რომელშიდაც საკმაოდ ნაადრევად მომწიფდა ეთნიკური თვითშეგნება და დაიწყო გვარებად ცხოვრება. გვარს, როგორც ქართველი ოჯახის თანხმლებსა და სარკისებრ ასახვას ყოველთვის პატივს მიაგებდა და უფრთხილდებოდა წინაპარი. ქართული გვარი წყაროებში უკვე ჩნდება VI საუკუნეში (ფარტაძე) და მათი გაჩენის პროცესი დღესაც გრძელდება. წინამდებარე III ტომში შევიდა ასეულობით გვარი რომლებიც ასო ან-ით არიან გაწყობილი. მოცემულია გვარის ხნოვანება (რომელი საუკუნიდან მოიხსენიება იგი), ვინ იყო გვარის პირველი წინაპარი (რა გზით გაჩნდა იგი), როგორია მისი ისტორია, ვინ ჰყავდნენ და ჰყავთ გვარში გამოჩენილი პიროვნებები, სოციალური მდგომარეობის რა საფეხური (გლეხი, საეკლესიო პირი, მთავარი, ერისთავი, თავადი, აზნაური) ეკავათ, რომელ გვარებთან იყო ესა თუ ის გვარი ქორწინებრივ კავშირში, ბევრ გვარს ახლავს შტოგვარი და გვარის წევრთა ბიოგრაფია...

ამ წესით შედგენილ „ისტორიულ-ბიოგრაფიული შინაარსის" შემცველ ოცტომეულს მიიღებს მკითხველი. 20 ტომეულს ჩვენ სამართლიანად შევურჩიეთ მეორე სახელწოდებაც: *"საქართველოს ისტორია გვარსახელებში".*

იაკობ ახუაშვილი

## Резюме

Врожденная черта характера грузина — это, защищать фундаментальные ценности принятые по наследству от предков (родной язык, исторические территории, государственность, вера, традиционный образ жизни), собственные жизненные интересы и внешняя этническая целостность. «Для каждой нации, как и для каждого человека главной жизненной основой является единственная тема, центральный звук, вокруг которой собираются все остальные звуки гармонии. Грузинский народ — это феномен, в котором достаточно рано созрела этническая само—сознательность и они начали жить с фамилиями. Предки всегда ценили и уважали фамилию, как зеркало грузинской семьи. В исторических источниках фамилия появляется уже с VI века (Фартадзе) и этот процесс продолжается по сей день. В предыдущем III томе вошли сотни фамилии, которые начинаются на букву А. Дана древность фамилии (с какого века упоминается она), кто был первым носителем фамилии (каким путем возникла фамилия), какова её история, кто был и есть в фамилии знаменитые личности, какую ступень социального положения они занимали (крестьянин, церковный служитель, мтавари, эристави, князь, помещик), с какими фамилиями была связана в браке та или иная фамилия, у многих фамилий есть своя гениология и т.д. Читатель получит двадцатитомник, в который войдет «историко—биографическое содержание фамилии». 20—томнику мы справедливо подобрали второе название: «История Грузии в фамилиях».

# Resume

Essencial side of the Georgian's (men's) character is protecting fundamental values raceived from the ancestors (national language and other historical values, religion, traditions). „Every nation as well as every human has main value, the central sound that makes the harmony". Georgian people – have been formed in ethnic kinds very early and the people began to live in families.

Ancestors always honoured famalies and later sirnames as a mirror of Georgian family. In the Georgian historical sources, sirname appears from the VIth century (Phartadze). In the last 3[rd] book of our research, hundreds og Georgian sirnames were put by alphabetical order, begining from A. In this book every sirname has its own historical discription – from which century this or other sirname appear in Georgian historical sources, who was the first representative of a mentioned sirname, who are famous people of the family, how were the sirnames formed, what the legend tells us about the history of various families, who have they been in past – peasants or dergimans, nobles or merchanst. Thus, every sirname has its geneology.

A reader will receive 20 books of „historical and biographic notes georgian sirnames". These 20 books are also named as: „Georgian history in sirnames".

# გვართა საძიებელი

## ა


აბაზასშვილი//აბაზაშვილი 107, 260
აბაზაშვილი 106, 107, 108, 260, 389
აბაზაშვილი//აბულეთისძე 108, 309, 310, 311
აბაზაძე 8, 42, 43, 47, 62, 106, 108, 109, 110, 111, 112, 114, 308, 309, 310, 495, 869
აბაზასძე//აბაზაძე//აბაზაზძე 108, 109, 110, 260
აბაზოვი 108
აბასაშვილი 814
აბასოვი 108
აბაიძე 15, 115
აბაიაძე//აბაიძე 115
აბაიშვილი 115, 121
აბაიძე 115
აბაკელი 115
აბაკელია 106, 116, 419,
აბალაკი 116,
აბალასშვილი 116
აბალოიძე 116
აბალოიძე//მირზაშვილი 116
აბამელიქი 116, 117, 859
აბამელიქიშვილი 117,
აბამელიქ-ლაზარევი 116, 117
აბასაშვილი 117
აბაშაშვილი 106
აბაშვილი 115, 117
აბაშია 118
აბაშიშვილი 20, 42, 43, 44, 106, 118, 119, 120, 121, 123, 388, 551
აბაშიძე 19, 33, 34, 43, 92, 93, 106, 118, 121, (124-დან 240 გვერდის ჩათვლით), 243, 245, 253, 291, 327, 329, 357, 495, 503, 540, 586, 677, 682, 755, 762, 773, 774. 778, 787, 819, 853, 887, 888, 894,
აბაშიძე-ფინეზიშვილი 131, 133, 188, 226,
აბაშიძე (აბაშიშვილი//ბეშიძე//ივანეშვილი//სვიმონიშვილი-გაბუაშვილი//ლაბუაშვილი//ევგენისშვილი//ნიკოლოზიშვილი,
აბაშიძე//პაატაშვილი 133
მამუკაშვილი//პაატაშვილი-ფინეზაშვილი//სავანელი...
აბაშერიძე 118
აბაშიძე//გორლენკო 131, 133,
აბაშიძე//წერეთელი 206, 207,
აბაშიძისშვილი 131,
აბაშმაძე 118, 241,
აბგაიძე 241,
აბგაჯავა 241,
აბდალაძე//აბუდალაძე 241,
აბდელანი 241,
აბდელიანი 241,
აბდულასშვილი//აბდუშელიშვილი 241,
აბდუშელაშვილი//აბდუშელიშვილი (აბდუშერიშვილი) 106, 242, 244, 245, 246, 247, 248, 249, 250, 251, 252, 253, 254, 255, 256, 257, 259
აბდუშელიშვილი//ჯაყელი ალიბეგაშვილი 242

აბდუშელიძე 259
აბელაშვილი 106, 259, 568, 569
აბელაშვილი//ანდრონიკაშვილი
259, 569
აბელაძე 259
აბელიშვილი 106
აბელ-მელიქიშვილი 106
აბელსალამიძე//აბესლამიძე 259
აბესალაშვილი//აბესალამაშვილი/
/მურადაშვილი//
ყორხმაზაშვილი 260
აბესალამაშვილი//აბესალა-
მიშვილი//ყორხმაზაშვილი
260
აბესაშვილი 261,
აბესაძე 106, 260, 261, 262, 264,
266, 267, 268-დან 280-მდე, 289,
906
აბესლამიძე//აბესლამური//
აბესლამეთ 259
აბეჩხრიშვილი 283,
აბეწაშვილი//აბეწვაშვილი
283
აბზიანიძე 262, 283
აბიაშვილი 284
აბისონაშვილი 284
აბლაძე 301
აბლუაშვილი 196,
აბჟანდაძე//ავჟანდაძე//ავშანდაძე
284,285
აბრავა 285
აბრალავა 285, 286,
აბრალაშვილი 285
აბრამალაძე 288
აბრამალიძე 287, 294,
აბრამელაძე 288
აბრამა'შვილი//აბრამიშვილი
287, 288, 289, 291, 544, 631,
აბრამაშვილი//აბრამიშვილი//
აბრამიძე//ფარსადანაშვილი
288,
აბრამია 106, 288, 293, 294, 297,
აბრამიშვილი 106, 128, 288, 289,
290, 291, 292, 294, 297,
აბრამიძე 289, 294, 297, 813
აბრამოვი 292
აბრახაიმაშვილი 288
აბრახამია 285, 288, 297,
აბრუმია 285, 298
აბრუშია 285
აბესავა 285
აბესავა-აბსავა 322
აბესაძე-აბესავა-აბსავა 322
აბსავა 322, 830
აბსანძე 260, 298, 299, 830
აბსანძე//აბსანაძე//აბსანიძე//
აფსანძე 260, 261, 298
აბსანიძე 300
აბსარიძე 300
აბუაშვილი 300, 301
აბუთიძე 477
აბულაა 301
აბულა-აბულავა 301
აბულაშვილი 8, 106, 302, 303,
465, 875,
აბულალო 302,
აბულასანი 302
აბულასანიძე 793
აბულაძე 8, 301, 303, 304, 305,
306, 307, 308, 376, 728, 756,
785, 814
აბულაძე//აბულაძეშვილი 303
აბულაძე//ობლიძე 106, 303,
აბულეთისძე//აბაზასძე//მარი-
ლელი 108, 110,
აბულეთისძე 48, 67, 74, 76, 77,

106, 108, 109, 110, 111, 308, 309,
აბულელი 41
აბულვარდიშვილი 106, 302
აბულვერდიშვილი 302
აბულოვანი 303
აბულიძე 301, 303
აბულოვი 301
აბულფათისშვილი 302
აბულფათიშვილი 106, 302
აბურჯანია//აბურჟანია 311, 721
აბუხბაია 320
აბლაჭელიძე 100,
აბშილავა//აფშილავა//ამშილავა/
/ავშილავა 320, 321, 322
აბხაზავა//აფხაზავა//აფხაზი//აბხ-
აზი//აფხაზი 322
აბუქურია//აბუქარია//აბუქაია 320
აბხაზი 776
აბუსერისძენი 312, 313, 315, 316
ა) აბუსერიძე-ტბელი 314,
ბ) იანტბელიძე//იანთბერიძე
316
აბსაიძე 300
აბსარიძე 300
აბსნაძე 299, 300
აგათიშვილი 323,
აგათოშვილი (აღათოშვილი)//ვაჩ-
ნაძე 383, 869
აგაშენაშვილი 323,
აგიაშვილი 819
აგიაშვილი//მასხარაშვილი//
ომათმათიძე//მასხარაშვილი-
აგიაშვილი 323, 324, 325, 326,
327, 328, 329, 330, 331, 334,
აგირბა 334,
აგირბაია 334,
აგლაძე 335, 336, 337, 338, 339
აგლაძე//აღლაძე 335, 336,
აგრბა 334, 879
აგულაშვილი 339
აგულოვა 339
აგუმავა 339, 340
აგუმავა-აგუმაა 339, 340
აგურაშვილი 340
ადამაშვილი 340, 341, 342, 343,
350, 447, 806, 807
ადამაშვილი//ასლანიშვილი
340, 811
ადამაძე 343
ადამია 106, 343, 344, 345, 346,
347, 348, 349, 350
ადამიძე 343, 350
ადანაია 106, 350
ადანია 350
ადარნასიანი 42
ადაძე 293, 350, 460
ადაიშვილი 351
ადეიშვილი 351, 352, 610,
ადეიშვილი//ანდღულაძე 352
ადვაძე 352
ადიბეგაშვილი 353, 354
ადიბეგასშვილი//ადიბეგაშვილი//
ფინეზაშვილი 106, 353
ადიკაშვილი 300, 354,
ადოლაშვილი 354, 552
ადოლაშვილი//ბერიძეშვილი 354
ადოლაშვილი//ბერიძეშვილი//ბერ-
იძე 354
ადომლიშვილი 354
ადონაია-ადონია 354, 355
ადოშვილი 355
ადუასშვილი//ადუაშვილი 355
ადუაშვილი 355
ავაგუმაშვილი 355
ავაზაშვილი 356
ავაზნელი 356

ავალიანი 18, 106, 326, 356, 357, 358, 359,360, 361, 362, 363, 364, 365, 366, 367, 368, 369, 370, 372, 373, 503, 756,
ავალიანი-ავალიშვილი 356, 360
ავალიანი-კაციტაძე 380
ავალიშვილი 43, 106, 359, 367, 368, 374, 375, 376, 377, 378, 379, 380, 495, 538, 577, 579, 587, 678
ავალიშვილი//ავალიანი//ციციშვილი//პეტრესშვილი//გოგიაშვილი//გივიშვილი//მეითრიშვილი//ივანესშვილი 356, 365, 366
ავალიშვილი//ხერხეულიძე 380
ავანაშვილი 381
ავაქაშვილი 382, 544
ავაქიშვილი 382, 544
ავატამაშვილი
ავბეწაშვილი//ავბეწვაშვილი//ავბეწვასშუილი 382
ავბეწვაშვილი 382
ავგაროზისძე 382
ავგაროზისძე-ანდრიაშვილი 383
ავგაროზისძე-შინდაძე 383
ავგაროზაშვილი//ავგროზაშვილი//შინდაძე 382, 383, 384
ავდრაზანაშვილი 20
ავდროზანაშვილი 687
ავთანდილაშვილი//ავთანდილიშვილი 106, 385, 386, 387, 388, 389, 836,
ავთანდილიანი 389
ავთანდილიშვილი-ბეჟანიშვილი 106, 388
ავთანდილიშვილ-იეგანაშვილი 388, 389
ავთანდილიშვილი//ტერტერაშვილი 106, 388
ავთანდილოვი 385, 389
ავკოფაშვილი-ავქოფაშვილი 389,406
ავლადაშვილი 413
ავლახაშვილი-ავლოხაშვილი 389
ავჟანდაძე 389, 390
ავსაჯანაშვილი 390
ავსაჯანაშვილი//ავსაჯანიშვილი//ავსაჯანიაური//გოგოლაური 390
ავსაჯანიშვილი//გოგოლაური 390
ავქაფაშვილი 390, 391
ავქაფაიშვილი 390, 391
ავქაფაშვილი//ავქოფაშვილი//იაკობაშვილი 390
ავქოფიშვილი 391
ავქოფაშვილი 389, 391
ავშაჯანიაური 841
ავჯიშვილი 391
აზაკიშვილი 392
აზაკიში 392
აზალაძე 392
აზანიშვილი 392
აზარაშვილი 392, 394
აზარიანი 349
აზარიაშვილი 349, 392, 544
აზარიაშვილი//ენაკოლოფაშვილი//ვარდანაშვილი//ვართანაშვილი 392, 394
აზარიძე//აზაროვი 394
აზატაშვილი//აზატოვი//ხატიაშვილი 395
აზატიანი 395
აზატოვი 395
აზაურაშვილი 394, 395
აზიაშვილი 683
აზიკური 395
აზირაშვილი 395

აზმაიფარაშვილი 396, 397, 398, 874
აზნაურაშვილი 106, 392
აზნაურაშვილი//ლამაზაშვილი 398
აზნაურიძე 398, 399
აზნაიაშვილი 399
აზნაუროვი 398
აზრაკაძეშვილი/აზრაკაძე 399
აზრუმელაშვილი//ნურიკაშვილი 399
ათაბაგი//ათაბაძე 399, 400
ათაბაგი//ათაბაძე//ათაბეგოვი// ჯაყელი 399, 400
ათაბეგაშვილი//ათაბეგიშვილი// მირიმანიძე 400
ათაბეგიშვილი//მირიმანიძე 400
ათათია 400
ათანაშვილი//ათანეზოვი 400
ათანელი//ათანელაშვილი//ათანელიშვილი//ათანელოვი 401
ათაქაშვილი 401
ათენაშვილი 401
ათინაშვილი 544
ათონაშვილი 401
ათუაშვილი 401
ათუნაშვილი 401
აიდარაული//აიდარაშვილი 401
აიდარაშვილი 401
აივაზაშვილი 401
აივაზიშვილი 401
აიწურაძე 401
აკაბა 402
აკერმანტია 401, 402
აკვაბზა 402
აკიმორჩიშვილი 402
აკიყბაია 402
აკირტავა 866
აკიშბა//აკიშბაია//აკიყბაია 402
აკოასშვილი 402
აკობაშვილი 403, 406
აკობია 402, 403, 404, 406,
აკობიანი 406
აკობიძე 402, 406
აკოფაშვილი 391, 402, 406
აკოფია 406
აკოფოვი 391, 402, 403,
ალაგარდაშვილი 402
აკოლაშვილი 407
აკოლიანი 407
აკულაშვილი 407
აკულინი 407
აკულოვი 407
ალაბიძე 128
ალადადასშვილი//ალადადაშვილი//ალადათაშვილი 544
ალადათაშვილი//ალადადაშვილი//საქსანაშვილი 407
ალადაშვილი 106, 408, 409
ალადაშვილი//ავლადაშვილი// ალავიძე 106
ალავერანაშვილი 411
ალავერანაშვილი//ალავერნაშვილი 411
ალავერდაშვილი//ალავერდიშვილი//იაგანაშვილი 411, 412
ალავიძე 413, 414, 415
ალავიძე//ალალიძე//ავლადაშვილი//მამალაძე 413, 414, 415
ალაზაშვილი//ალაზოვი 413
ალალაშვილი 423
ალალიძე 423
ალანდია 417

ალანია 417, 418, 419,
ალანიძე 420
ალასანია 420
ალაფიშვილი 420, 421
ალაშვილი 421
ალბორაშვილი 421
ალბორიშვილი 421
ალბორიშვილი//ალბოროვი 421
ალბოროვი 421
ალბუთაშვილი 421
ᲐᲚᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ//ალელიშვილი/
/ნოზაძე//ცაცუნაშვილი 420
ალეიშვილი 421
ალექსაია 421
ალექსანასშვილი//ალექსანაშვილი//ნანუჭაშვილი 421, 422
ალექსანდრია 422,
ალექსასშვილი//ალექსაშვილი 423, 424
ალექსევი 256
ალექსიშვილი 106, 424, 425, 426, 427, 428, 435
ალექსიშვილი//ალექსიძე 424, 425
ალექსი-მესხიშვილი 106, 203, 428, 429, 430, 430, 433, 436,
ალექსიძე//ალექსიშვილი 424
ალექსიძე 436, 437, 438, 439, 440, 441, 442, 443, 444
ალთუნაშვილი 106, 444, 445, 446, 447, 448,
ᲐᲚᲗᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ//ოქრუაშვილი 446
ᲐᲚᲗᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ//ყაითმაზაშვილი//მინასაშვილი 106, 446
ალიაშვილი 449
ალაიბეგიშვილი 449
ალაირბეგისშვილი 458
ალიბეგაშვილი//ალიბეგიშვილი 106, 243, 254, 449, 450, 451, 452, 453, 454, 455, 456
ალიბეგიშვილი 449, 450
ალიბეგოვი 449
ალიმბარაშვილი 458
ალიმბარაშვილი-ამილბარაანი 458, 459, 519,
ალიმბარაშვილი-ამილბარაშვილი 459
ალიმბერიშვილი 458
ალისანდიდი 422
ალიჭაძე 459
ალიქოშვილი 459
ალიყულაშვილი 106, 459, 460
ალიყულაშვილი//ზაქუმისშვილი 109, 459
ალიყულიშვილი//სააკაძე 106
ალიშანიძე 460
ალიშენი 460
ალიხანაშვილი 12, 106, 109, 121, 382, 445, 461, 462
ალიხანაშვილი//ალიხანოვი 461
ალიხანიშვილი 461, 462
ალიხანიანი 461
ალსანდია 462
ალოაშვილი 462
ალმასია 462
ალუაშვილი 462
ალუდაური 462
ალუდიშვილი 462
ალფასიძე 463
ალფასიძე-ალფასაშვილი 463
ალფასძე 463
ალფენიძე 463
ალშიბაია//ალიშბაია 106, 463, 464

ალხაზაშვილი//ალხაზიშვილი 106, 386, 465, 466, 467, 468
ალხანაშვილი 12,
ამანათაშვილი 468
ამანათაშვილი//მძევალიშვილი 468
ამანათაშვილი-მძევლიშვილი 469
ამანათოვი 468, 469
ამანატოვი 469
ამანელისძე 70, 72, 478
ამატაკისშვილი 469
ამაღლობელი 106, 469, 470, 471
ამაშუკელი 106, 126, 236, 471, 472, 473, 474, 821
ამბა 474
ამბალია 474
ამბარასშვილი 474
ამბარაშვილი//ამბარიშვილი 474
ამბერსაძე 106, 475
ამბიძე 475
ამბოკაძე 475, 758
ამბოკონაშვილი 475
ამბრიაული 476
ამბრიაშვილი 475, 476
ამბრისშვილი 476
ამბროასშვილი 476
ამბროლავა 476
ამბროლაძე 476
ამბროლიაძე 476
ამბროლიანი 406, 476
ამბროსაშვილი//ამბროსიშვილი//ამირანაშვილი 476, 477
ამბროსაშვილი//ამირანაშვილი 477
ამბროსეშვილი//ამბროსიშვილი//ამბროსის ძე 477
ამბროსიშვილი 477
ამბროსიძე 477
ამბრულიძე 476
ამენალაისძე//ემანელეისძე 478
ამზაშვილი//ამზიაშვილი//ამზუაშვილი 478
ამზაშვილი//ამაზაშვილი//ამზოევი 478
ამილახვარი 33, 93, 106, 207, 303, 407, 424, 478, 479, 480, 481, 482, 483, 484, 485, 486, 487, 488, ...630, 677...
ამილახვარი//ზევდგენიძე//ზედგინიძე//გურამიშვილი//ხიდირბეგიშვილი//ტუსიშვილი//მეყანწიშვილი 479
ამილახორი 34, 43, 44, 106, 235, 309, 355, 367, 421, 490
ამილახორი//ამილახვარი//ამილახორიშვილი//ზევდგინიძე//ზედგინიძე 43,44, 56
ამილახორიშვილი 757
ამილბარასშვილი//ამილბარაშვილი//ამილბარიანი 459, 519
ამილბარაშვილი 21, 106, 459, 519, 528
ამილბარაშვილი//ამილბაროვი 20, 519
ამილბარაშვილი//ციციშვილი 106
ამილღაბარაშვილი-აბაშიძე 131
ამირბარაშვილი 21, 519
ამირამიზაშვილი 5434 565
ამირანაშვილი 8, 97, 106, 520, 521, 522, 523, 524, 525, 526
ამირანაშვილი//ამბროსაშვილი 520
ამირანიძე 520, 526
ამირალაშვილი 423, 526
ამირალაშვილი//დავითაშვილი//თამაზაშვილი 526
ამირაშვილი 526, 527
ამირაძე 527, 528

ამინაშვილი 519, 520, 902
ᲐᲛᲘᲠᲔᲯᲘᲑᲘ 43, 106, 125, 528, 529, 540, 575, 578, 597, 811
ამირაჯიბი//ამირეჯიბი//ქვა-
ბლიძე//გაბლიძე//ფალავანდიშ-
ვილი//ზაალიშვილი//
რამინიშვილი 528
ამირბაბაშვილი 527
ამირბარი 528
ამირბეგაშვილი//ამირბეგოვი 527
ამირბოქაშვილი 527
ამირგულაშვილი//ამირგულოვი 527
ამირეზაშვილი//ამირზანაშვილი 527
ამირეჯიბი//ამირზანაშვილი 527
ᲐᲛᲘᲠᲔᲯᲘᲑᲘ//ამირაჯიბი//გაბ-
ელიძე//ფალავანდიშვილი//
მიხრიკისძე//დავითიშვილი//გაბე-
ლიძე 528, 529, 530, 531, 532, 533, 534, 535, 536, 537, 538, 539, 540, 578, 597,
ამირზანაშვილი 527
ამირიშვილი 543
ამირიძე 8, 527, 543
ამირღანაშვილი 423
ამირხანაშვილი 527, 543, 544, 545, 546, 547, 548
ამირხანაშვილი//ანდრიაშვილი// 543
ამირჯანაშვილი//ამირჯანისშვი-
ლი 527, 548, 549
ამისაშვილი 550
ამისულაშვილი 550
ამნიაშვილი 550
ამნიკაშვილი 550
ამნუაშვილი//ხიზანიშვილი 550
ამოანისშვილი 551
ამოზაშვილი 550
ამონაშვილი 551
ამონიშვილი 478
ამროლიანი 18
ამრაზიშვილი 551
ამროლიანი 18
ამრუმელაშვილი 551, 552
ამრუმელიშვილი 552
ამუზაშვილი 551
ამურველაშვილი 551, 552
ᲐᲛᲣᲠᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ//ოქროას-
შვილი//ერწველაშვილი//ერწ-
ოელი 551, 552
ამყოლაძე 552
ამშიკაშვილი 552
ამჩაბაძე 632
ანაკიძე 552
ანანაშვილი 553
ანანბა 552
ანანიაშვილი 106, 552, 553, 554, 555, 556
ანანიევი 557
ანანიკიანი 557
ანანიძე 552, 557, 558, 559
ანანოვი 553
ანასაშვილი 559, 560, 562, 563
ანესაშვილი 562
ანკურსია 564
ანდალაშვილი//ანდალაიშვილი//
/ანდალიშვილი 564
ანდარეზაშვილი 565
ანდერმანიშვილი//საგინაშვილი 565
ანდიაშვილი 565
ანდრაზიშვილი 565
ანდრაზიშვილი 13,
ანდრიაშვილი 543, 544, 565
ანდრიაშვილი//ამირაზაშვილი//
ამირხანანთი 586, 587,

588, 589, 590, 591, 592, 593, 594, 595, 596, 597, 598, 599, 600, 601, 602, 603, 604, 677, 678, 792, 861, 871
ანდრიაძე 565, 566
ანდრიბაევა 566
ანდრონიკაშვილი 33, 106, 215, 216, 259, 369, 509, 542, 567, 568, 569, 570, 571, 572, 573, 574, 575, 575, 576, 577, 578, 579, 580, 582, 583, 584, 585, 586, 587, 600, 792, 861, 871...
ანდრონიკაშვილი//პაპუაშვილი//თამაზიშვილი//ზურაბაშვილი//სოლომონიშვილი//მდივანბეგიშვილი//მზეჭაბუკიშვილი//აბელაშვილი//ზაალიშვილი//ერასტიშვილი//თავადიშვილი//თაყაშვილი//ენდრონიკაშვილი 567, 574,
ანდღულაძე 605, 606, 607, 670,
ანეზაშვილი 612, 614,
ანეზაშვილი//ანესასშვილი//ონეზაშვილი 614
ანეზოვი 615
ანესაშვილი 553, 614, 615
ანთაიძე 615, 617, 618, 621, 629,
ანთაური 615, 617, 621, 629
ანთაძე 106, 615, 616, 617, 618, 620, 621, 623, 629,
ანთელაა 301
ანთელავა 106, 307, 615, 617, 621, 622, 623, 624, 625, 626, 627,
ანთელიძე 617, 626, 627
ანთია 293, 615, 617, 621, 626, 629, 630,
ანიაშვილი 639
ანიკაშვილი 630
ანტონაშვილი 630, 631
ანტონიშვილი 630, 631
ანტონიძე 631
ანტონოვი 52
ანტოშვილი 631
ანუა 631
ანუაშვილი 553, 631
ანუკაშვილი 631
ანუშიძე 553, 631, 632
ანქვაბი 340
ანჩაბაია 632
ანჩაბაძე 106, 478, 632, 633, 634, 635, 636, 637, 638, 822, 857
ანჩაბაძე//აჩბა//აფხაზი//აფხაზიშვილი//მაჩაბელი 632
ანჩაფისძე 43, 634
ანჩებქეია 632
ანჩფაძე 632
ანცარიძე 639
ანძაველიძე 639
ანჯაფარია 105, 540
ანჯაფარიძე 204, 640, 641, 642, 643, 644, 645
ანჯაფარიძე//ანჯაფარია 105, 106, 640, 642,
აპზღარაშვილი 645
აპზღარიშვილი//აპრილაშვილი//აპრელიაშვილი 645
აპზღარაშვილი//პოპიაშვილი 645
აპრიამოვი 829
აჟიბა 645
აჟიბაია 645
არაბაური-არბაული-არაბული 647
არაბაქე//არაბიძე 646
არაბელაშვილი 679
არაბიძე 645, 646
არაბოვი 647
არაბული 647, 648, 649, 650, 651, 652, 653, 654, 655, 656, 657, 658, 659, 660, 661, 662, 663, 664, 665, 666, 667, 668,

669, 670, 671, 672, 673, 674, 675, 676
არაგაძე 679
არავიაშვილი 679
არაზაშვილი 679
არათანაშვილი 679
არაქელასშვილი//არაქელაშვილი//არასანია 681
არაქელაშვილი 8, 388, 423, 424, 679, 874,
არაქელიანი 8, 395, 679,
არაქელოვი 8, 679
არაყიშვილი 679,
არაყიშვილი//არაყჩიშვილი 679, 680
არაჩაშვილი 681
არაჩემია 680, 681
არაცულია 681
არახამია 680, 681
არახჩიაშვილი 682
არბელაძე 106
არბოლაშვილი 682
არბოლიშვილი 682
არგანაური-არგანაიძე-არგანაშვილი 390, 682
არგანაშვილი//არგანაური//არგანაიძე 390, 682
არგანაშვილი//არღანაშვილი 681, 682, 683
არგუნაია//არგუსია 683
არგუნი (არღუნი) 683
არდაზაშვილი 107
არდაზდიანიშვილი//არდაზიანიშვილი//არდაზიშვილი//არდაზიანი//ავდროხანახანაშვილი//ყარღანაშვილი//როინიშვილი//როსტომაშვილი//მერაბიშვილი//მდივანაშვილი//მდივნიშვილი 683, 688
არდაზდიანიშვილი (ბარათაშვილი) 682, 685, 686
არდაზიანი – 20, 684, 685, 686, 688
არდაზიანიშვილი 684, 688
არდაზიშვილი 684, 686, 688, 689
არდაშელაშვილი//არდაშერაშერასშვილი//არდაშერაშვილი//
არდაშელიშვილი 106, 689, 690
არდაშელია 689, 690, 691,
არდაშერაშვილი 631, 690
არდაშერიშვილი 689
არდბელაა 301
არდბელავა 692
არდემანაშვილი 692
არდემანიშვილი 692
არდია 681, 692, 693, 694, 695, 696
არდიშვილი 106, 692
არდიშვილი//არუდოვი 692,697
არდოტელი 697
არებაშვილი 106, 701, 703,
არევაშვილი 697
არევაძე 697
არელმანელი 42, 45
არეშაშვილი//არეშიშვილი//გარსუაშვილი//მერაბიშვილი//ორბელიანი 698, 699, 700, 702, 703
არეშიშვილი//არებაშვილი 106, 701
არეშისძე 699, 710
არეშიშვილი//არეშიძე//არეშოვი 699, 700, 702, 703
არეშიძე//არიშიძე 106, 699, 701, 702, 703
არეშოვი 705
არველაშვილი 705
არველაძე 705, 706, 707, 708, 709,710, 711, 712, 713, 714, 715, 716, 717
არზიანი 719, 720, 721, 722, 723, 724. 726,
არზუმელაშვილი 726,

იაკობ ახუაშვილი

არზუმელაშვილი//აზრუმელაშვილი 726
ართილაყვა 726
ართმელაძე 617, 726, 727, 728
ართმელაძე//ართომელაძე//
ართმელიძე 726, 727, 728
ართუმელიძე 617, 726, 727
არმინიონი 581
არიაშვილი 729
არინდაული 728
არისლაისძე 760, 806
არისლანისძე 806
არისტოვი 729
არიშიანები 67, 68, 73, 74, 79, 88, 729,
არმაზაშვილი 729
არმეგონაშვილი 730
არნანია 681, 730,
არნოლდი 198
არობელიძე 730
არონია 730
არონიშიძე 739
აროსია 730
აროშვილი 730
აროშიძე 730
არსაკიძე 753, 814
არსენაიძე 730
არსენაშვილი 729, 730
არსენიშვილი 731, 732, 733, 734, 735, 756
არსენიძე 735, 756
არსიაშვილი 735
არსიაშვილი-არსოშვილი 735
არსლასძე 806
არსლანიშვილი 810
არსოშვილი 735
არსუკიძე 813
არტემაშვილი 735
არტემიძე 735, 837
არტონია 735
არუაშვილი 735
არუდაშვილი//არუდოვი 735
არუთენაშვილი 736
არუთინაშვილი//ასლამაზაშვილი//მექანარიშვილი//არუთინოვი 735, 736, 800
არუთინაშვილი 683, 735, 736, 870
არუნაშვილი 736
არუსია 736
არუფინაშვილი 736
არქაია//არქანია 736
არქანია 737
არღანაშვილი//არგანაშვილი//არგანია 738
არღაშვილი 737
არღვლიანი 737
არღუთაშვილი 738, 743, 744
არღუთაშვილი//მხარგრძელი//გაგელი//თმოგველი//უჯარმელი//ფავნელიშვილი//შიოშვილი//თეიმურაზიშვილი//ივანესშვილი//იორამიშვილი 43, 44, 738, 744
არღუთაშვილი//ჯუღელი 106
არღუნაშვილი 744
არშაკუნიანი 31
არშაულიძე 744
არშილავა 744
არჩაია 744, 752,
არჩევანიშვილი 744
არჩემაშვილი 745, 746, 747, 748, 749, 750, 751,
არჩევავა 744, 752
არჩვანძე 744
არჩვაძე 744, 752, 753, 754, 755,
არჩვაძე//არჩუისძე 744, 752, 753,
არჩვენიშვილი 744
არჩილაშვილი 752

არჩილია 744
არჩუაშვილი 756
არჩუაძე 752, 756
არჩუკაშვილი 526
არძენაძე 727, 756
არძენია 757
არცივაძე 756
არწივაძე 756
არწივიძე 756
არხოზაშვილი 756
არხხოშაშვილი 756
არჯავანიძე 756
არჯაკელი 756, 757
არჯანია 756, 757
არჯანოვი 756, 757
არჯევანასშვილი//არჯევანაშ-
ვილი 757
არჯევანიშვილი 756
არჯევანიძე 106, 437, 757, 758, 814
არჯევენიშვილი 757
არჯენია 757
ასაბაშვილი 758, 759, 790
ასაბაშვილი//ასაბადიშვილი 790
ასათაშვილი 386, 759
ასათიანი 106, 127, 163, 371, 759,
760, 761, 762, 763, 764, 765,
766, 767, 768, 769, 770. 771,
772, 773, 774, 775, 776, 777,
778, 780, 781, 782, 783, 784,
785, 786, 787, 788, 796,
ასათიანი//ასათიშვილი//ვაჩნაძე//
ასათისძე//ლულუნაშვილი//ლულუნიშ-
ვილი//მალაქიაშვილი 102, 760
ასათიანი//მალაქიაშვილი 766
ასათიანი//ლეკვეიშვილი//ასა-
თისძე//ასათიანი//გიშელი//გრიგ-
ოლისძენი//ასათიანი//ლეკვეიში-
ლი 761, 787
ასათიშვილი 760, 761, 869,
ასათის ძე 42, 760, 761, 788
ასაკაშვილი (?)
ასამბაძე 790, 791
ასანაშვილი 791, 792,
ასანბაძე 790, 794,
ასანბეგიშვილი 793
ასანბერიშვილი 807
ასანია 792
ასანიშვილი 791, 794,
ასანიძე 792, 793, 794, 795
ასანიძე//ასმანიძე//ნადირაძე
ასასაშვილი 106
ასატურაშვილი 549
ასატურიშვილი 550
ასაშვილი 795, 796
ასეიშვილი 795, 796
ასეიშვილი//ნიკოლაიშვილი//ნიკ-
ოლეიშვილი//ჩხატარაიშვილი 796
ასვანუა 796
ასთავიშვილი 796
ასიაშვილი 796
ასისთავიშვილი 796
ასისტიშვილი 797
ასიტაშვილი//ასიტოვი 797
ასკილაშვილი 797
ასკილეისკერი 797
ასკურავა 797, 798
ასლამაზაშვილი 735, 799
ასლამაზიშვილი 106, 871
ასლამაზიშვილი//ბარათაშვილი
106
ასლამაზაშვილი//ასლამაზიშვ-
ილი//ზურაბიშვილი/ფეიქრიშვილი/
/არუთინაშვილი – რამაზაშვილი 799,
800, 801, 802, 803
ასლამაზაშვილი//ასლამაზოვი// 800, 801,
802
ასლამაძე 803
ასლანაშვილი 340

ასლანაძე 803
ასლანიშვილი 340, 760, 800, 806, 807, 808, 809, 810, 811,
ასლანიშვილი-ადამაშვილი-ბარათელი 810
ასლანაშვილი-ბექუაშვილი 811
ასლანდია 803
ასლანია 760, 803
ასლანიკაშვილი 760, 804
ასლანიშვილი//ბარათაშვილი//ადამაშვილი//ბექუაშვილი//გოსტაშაბიშვილი 806
ასლანიძე 760, 811
ასლანოვი 807, 811
ასლიშვილი 811
ასლუაშვილი 412, 760
ასმავა 795
ასმანიძე 795
ასნაორაშვილი 645
ასპანაძე 811
ასპანისძე 811
ასპანიშვილი 811
ასპანიძე 125, 519, 811, 812
ასპანისძე//ფანასკერტელი 69, 125, 812
ასპანისძე//ფანასკერტელი//ციციშვილი...20, 812,
ასპანიშვილი 529
ასპინძელაშვილი 813
ასპოშვილი 813
ასრათაშვილი 813
ასრაკაძე 813
ასრაკაძე//ასრაკიძე 813
ასრაკაძე//კიკოლაშვილი 813
ასრათიშვილი 814
ასრატაშვილი 814
ასტახიშვილი 538
ატაშვილი 814
ატილაშვილი//ათელაშვილი//ქავთარაშვილი 814
აფანასიევი 837
აფაქელავა 814
აფაქია 17, 37, 106, 814
აფაქიანი 17, 814, 818
აფაქიძე 17, 37, 106, 126, 478, 635, 814, 815, 816, 817, 818, 819, 820, 821, 822, 823, 824, 825, 826, 827, 828,
აფთარაული 834
აფთარაშვილი 834, 835
აფთარაშვილი-ჯავარაშვილი 834
აფიაშვილი 392
აფრასიძე 829
აფრიამაშვილი 829
აფრიაშვილი 829
აფრიდონი 829
აფრიდონიძე 830
აფროსიძე 830
აფსაა//აფსავა 830
აფსავა 830
აფსანაძე 830
აფსანძე 830
აფსარიძე 830
აფულავა 830
აფშილაა830
აფშილავა 830, 831
აფშილავა-აბშილავა-აშილავა 830
აფშილავა-ამშილავა 830
აფციაური 831, 832, 833, 834, 835, 836, 837, 838, 839, 840, 841
აფციაური//გიორგაშვილი// ნადირაშვილი//ლომიაშვილი// პაპუნაშვილი// ფაცხვერაშვილი//მირიანაშვილი/ გუმბსშვილი//გულასშვილი//ელიზბარაშვილი//ავთანდილაშვილი//ზაქარიაშვილი//ათილაიშვილი//ათილაშვილი// გამახარუშვ-

ლი//აფთარაშვილი//საბუჯარაშვილი//მზიტაშვილი//პაპისაშვილი//დათვიშვილი//დათვიაშვილი//ჯავარაშვილი 833, 835
აფციაურიშვილი 834
აფციაური-ჯალაბაური 833
აფხაზაა 301, 843
აფხაზავა 323, 843, 844, 845, 846, 847
აფხაზავა-აბხაზავა 843
აფხაზაშვილი 322, 323, 843, 846, 847
აფხაზი 323, 586, 847, 848, 849, 850, 851, 857, 858, 859, 860, 860, 861, 862
აფხაზიშვილი 106, 323, 635, 843, 846, 847, 848: 849, 850, 851, 852
ᲐᲤᲮᲐᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ//შერვაშიძე//შარვაშიძე//აფხაზი//აფხაზიშვილი 632, 635, 843
აფხაზი-აფხაზიშვილი 632, 635
აფხაზიშვილი//აფხაზი 632, 848, 857
აფხაზოვი 323, 855, 856
აფხაიძე 612, 863, 864
აფხაძე 863, 865
აქბარდია 867
აქელაშვილი 866
აქიაშვილი 866
აქიმესძე 865
აქიომიშვილი 866
აქირთავა 106, 866
აქირთავა//აკირტავა 866
აქუბარდია//აქბარდია 867, 868
აქულაშვილი 868
ალაბაბაშვილი 868
ალაბაბაშვილი//რამანაზაშვილი 868
ალაბეგაშვილი//ალაბეგიშვილი 868, 869
ალათანსიშვილი 870
ალათაშვილი 870
ალათაშვილი-აგათოშვილი 869
ᲐᲚᲐᲗᲝᲨᲕᲘᲚᲘ//გაჩნაძე//აგათოშვილი 869
ალაია 869
ალაიბეგიშვილი 870
ალამონაშვილი 870
ალამურასშვილი//ბაღდასარაშვილი//ნონიაშვილი 870
ალამურაშვილი 870
ალაპიშვილი 870
ალასიაშვილი 902
ალაშვილი 106, 870
ალაჯანაშვილი//არუთინაშვილი 870
ალაჯანიანი 870
ალდგომელაშვილი//ალდგომელიშვილი//ალდგომაშვილი//ალდგომლისშვილი 871, 872
ალვინაშვილი 873
ალლამაშვილი 873
ალლაძე 335, 873
ალლემაშვილი 873
ალმურაშვილი 689
ალნიაშვილი 465, 680, 873, 874, 875, 876
ალოშაშვილი 876
ალსაბაძე//ალვსაბაძე 106, 901
ალსაბაძე//ახტაბაძე 872, 873
აშაძე 876
აშეეთია 876
აშკარელაშვილი 876
აშკარელი 876
აშკარელიშვილი 876
აშკაშიძე 876
აშოთია 876
აშოთია//აშორტია-აშორდია 877
აშორდია 876, 877

იაკობ ახუაშვილი

აშორტია 877
აშრალოვი 877
აშქარელიშვილი 876
აშხარია
აჩაბაია 634, 878
აჩბა 632, 633, 634, 638
აჩელაშვილი 878
აჩობაია 878
აჩუაშვილი 878
აჩქიტიძე 878
აცანელიძე 878
აძიმბაია 878
აწკარუნაშვილი 878
აწყვერელი 878
აჭაია 878
აჭაიძე 878
აჭარაძე 878, 879
აჭიშვილი 878
ახავიდაშვილი 887
ახალაია 879, 881, 883
ახალანძე 880
ახალაური 881
ახალაშვილი 647, 649, 879, 880, 881
ახალაძე 879, 880, 881
ახალბედაშვილი 110, 879, 880, 882
ახალკაცი 879, 880, 881, 882, 883, 884
ახალკაციშვილი 840, 879, 882, 883, 884, 885
ახალმოსულიშვილი 880, 881, 882, 885
ახალქალაქელაშვილი 884
ახალქალაქელოვი 884
ახალშენაშვილი 879, 880, 884, 885
ახალშენიშვილი 881, 882, 885
ახალციხელი//თორელები 885, 886
ახანელი 886
ახატაშვილი 886
ახვერდაშვილი 885
ახვერდოვი 885
ახვლედიანი 887, 888, 889, 890, 891, 892, 893, 894, 895
ახვლედიან-ახულედიანი 887
ახვსაბაძე 900
ახვსებაძე 900, 901
ახლოური 895
ახმეტელაშვილი 895, 897
ახმეტელი 895, 896, 897
ახმოდიშვილი 898
ახობაძე//ახუბაძე 898, 899
ახოიშვილი//ახოშვილი 899, 900
ახოტელაშვილი 900
ახრახაძე 900
ახსაბაძე 900
ახსიაშვილი//ალვსიაშვილი 901
ახსიაშვილი//ახვსიაშვილი//ალ-ვსიაშვილი//ალსიაშვილი 902
ახუაშვილი 899, 902, 903, 904-905
ახურაშვილი 906
ახუსაბაძე 900
ახუსებაშვილი 906
ახუსიაშვილი 906
აჯაბნუშასშვილი 906
აჯაიასშვილი 906
აჯამელაშვილი 906
აჯაფაშვილი 906
აჯიაშვილი 906
აჯიყაფაშვილი 906

## ბ

ბაბუნაშვილი 629
ბაბურაული 650, 651
ბაბხადია 320
ბაგრატიონი 11, 19, 22, 31, 32, 33, 36, 43, 44, 47, 55, 61, 67, 76, 81, 82, 84, 132, 139, 142, 182,

185, 255, 303, 316, 369, 434, 444, 449, 458, 483, 495, 540, 548, 597, 651, 677, 701, 842, 868, 870
ბაგრატიონ–იმერეტინსკი 597
ბაგრატიონ – მუხრანელი 34, 485, 496, 597, 677, 887
ბადრიშვილი 906
ბაზალი 834
ბაზიერიშვილი 543
ბაიდარაშვილი 386, 401
ბაინდურაშვილი 827
ბაინდუროვი 861
ბაირონი 55, 142, 255
ბაკურაძე 477, 720
ბაკურისძე 42
ბაკურციხელი 29
ბალავაძე 710
ბალანჩივაძე 398, 443
ბალინაშვილი 386
ბალიჩასშვილი 837
ბანცაძე 237
ბარათაშვილი 19, 20, 29, 44, 93, 215, 216, 222, 235, 238, 260, 287, 289, 303, 329, 355, 381, 385, 388, 391, 411, 412, 420, 458, 549, 565, 589, 685, 686, 699, 701, 702, 800, 801, 806, 811, 848, 866, 871, 875, 884, 886, 902
ბარათოვი 51
ბარდაველიძე 745
ბასილაშვილი 883
ბატატაშვილი 869
ბატკუაშვილი 869
ბაქრაძე 99, 101, 130, 250, 252, 253, 254, 415, 632, 905
ბაღდავაძე 121, 734, 735
ბაღდასარაშვილი 870
ბაღვაში 36, 40, 42, 47, 48, 62, 94, 109, 111, 130, 186
ბაჩიკური 462
ბახტაძე 220, 427, 825
ბაჯელიძე 196
ბებია 18, 293
ბებიანი 18
ბებუთაშვილი 574
ბებუთოვი 772
ბეგაშვილი 449
ბეგიაშვილი 289, 420, 733
ბედანი 101
ბედანიშვილი 289
ბედიან-დადიანი 81
ბედიანი 72
ბეენაშვილი 812
ბეზიმინსკი 619
ბეთანელი 277
ბეთიაშვილი 130
ბეთლემიძე 120, 121
ბეთხოშვილი 812
ბელებაძე 337
ბელთაძე 463
ბენდელიანი 659
ბენდუქიძე 711
ბენიძე 406
ბენკოვსკა 341
ბექანიშვილი 391, 394, 407, 423, 526, 548, 688, 835, 836
ბექანიშვილი//ბაინდურაშვილი 549
ბექანიძე 142, 144, 151, 153, 161, 226, 773
ბექატაშვილი//აფქარაშვილი 290
ბექუაშვილი 806, 811
ბერაია 419
ბერანჯე 52
ბერდისშვილი 836
ბერეჟიანი 38
ბერია 151, 293

ბერიაშვილი 343
ბერიკაშვილი 647, 649
ბერინაშვილი 477
ბერიშვილი 175, 450, 476
ბერიძე 171, 232, 293, 354, 600, 617, 813, 838
ბეროაშვილი 382
ბეროზაშვილი 397
ბერსენაძე 617
ბერსენიევა 214
ბერძენაძე 523
ბერძენი 323
ბერძენიშვილი 23, 24, 27, 28, 29, 30, 36, 38, 40, 41, 102, 308, 478, 597, 707, 715, 764, 773, 885
ბესიაშვილი 526
ბექაური 390, 832, 837
ბექაური//ბექიშვილი 390
ბექირიშვილი 259, 351, 391, 400, 459, 471, 559, 632, 727, 758, 793, 881, 888
ბეშიძე 131, 477
ბიბილაური//ბიბილაშვილი 390
ბიბილური 43
ბიგბაევი 576
ბიკაშვილი 546
ბიჩინაგური 647, 648
ბლიაძე 244
ბლოკი 255, 732
ბოგველი 729
ბოგველიშვილი 729
ბოგოლუბსკი 302
ბოდოკიაშვილი 883
ბოკერია 277
ბოკვერიშვილი 840
ბოლქვაძე 194, 538
ბოსტოღანაშვილი 352
ბოტეკი 198
ბოჭორაძე 396
ბოჭორიძე 874
ბოჭორიშვილი 325, 453, 477, 735
ბოხუა 293
ბრონშტეინი 203
ბროსე 56, 130, 822
ბუაძე 293, 477, 698
ბუბაშვილი 104
ბუკია 293, 419
ბუკრინსკაია 34
ბულია 899
ბულსამაისძე 83
ბუმბულისძე 366
ბუნუკდარი 184
ბუნიათიშვილი 111
ბურსელი 42, 67
ბურჯანაძე 312, 610, 611
ბურჯანიალი 312
ბურჯნიანი 312
ბურჯნიძე 312
ბურჯაძე 312
ბუღნიაური 647, 648
ბუჩუკური 652
ბუხაიძე 320
ბუხაშვილი 320

## გ

გაბაშვილი 245, 252, 253, 282, 385, 429, 800, 890
გაბაძე 727
გაბელაია 528
გაბელიძე 531, 532, 540, 738
გაბესკირია 641
გაბლიძე 528
გაბოძე 275
გაბრიელაშვილი 130, 685, 688
გაბუაშვილი — ღაბუაშვილი 131

გაბუნია 18, 142, 163
გაბუნიანი 18
გაგელი 42, 82, 738, 885
გაგოშიძე 477
გადრანი 18
გალდავა 37
გამახარდასშვილი 836
გამეზარდაშვილი 293
გამიხარდისძე 834
გამიხარესშვილი 834
გამრეკელი 29, 42, 84, 101
გამრეკელი//თორელი 84, 885
გამსახურდია 204, 249, 703
გამღირაული 462
გამყრელიძე 101
განძიელი 359, 369
გარაყანიძე 99, 449
გარდავა 37
გარდაფხაძე 776
გარსევანიშვილი 423, 526, 597, 688, 707
გარსუაშვილი 445, 688, 699, 701
გაფრინდაული 651
გაფრინდაშვილი 732
გაფუროვი 460, 792
გაჩეჩილაძე 441, 443, 523, 653
გაწერელია 350, 612
გეგეჭკორი 558, 867
გეგიძე 21
გედევანიშვილი 492, 496, 646, 738, 752, 850
გეთია 471
გელავა 174
გელიშვილი 834, 835, 836
გელოვანი 18, 332, 334, 355, 551, 734
გერგაია 419
გერგია 512
გერმანოზიშვილი 18, 20, 677, 871
გერსანია 883
გეუანი 121, 293
გეტცი 678
გეწაძე 95
გვაზავა 792
გვათუა 720
გვარამია 18
გვარამიანი 18
გვარიშვილი 149
გვასალია 540
გველესიანი 787
გვეტაძე 437
გვიანიშვილი 834
გვიშიანი 393, 457
გვრიტიშვილი 102
გიგანი 17
გიგაური 538, 735, 838, 840
გიგიანი 17
გიგინეიშვილი 755
გივიშვილი 356, 450
გილაური 462
გილაშვილი 394
გიორგაძე 21, 121, 196, 199, 293, 617
გიორგიშვილი 238
გიორგობიანი 271, 539, 754, 759
გირაშვილი 335
გიტიხი 176
გიულდენშტეტი 816
გიშელაშვილი 423
გიშელი 787, 788
გლონისთავისძე 41, 71, 77, 79
გლუნჩაძე 375
გლურჯიძე 121, 697
გობეჩანი-გობეჩია 17
გოგალაძე 111, 241, 282, 374, 381, 391
გოგებაშვილი 163, 546, 655, 661


იაკობ ახუაშვილი

გოგია 293, 538, 669
გოგიაშვილი 356, 366
გოგიბაშვილი 11, 43, 353, 354, 411, 449
გოგიბედაშვილი 884
გოგიბერიშვილი 95, 477
გოგილაშვილი 13, 407
გოგინავა 721
გოგიტიძე 139, 140, 166, 194, 201
გოგიტიძე-აბაშიძე 170, 194, 195, 200
გოგნიაშვილი 579
გოგიშვილი 241, 646
გოგიჩაშვილი 196
გოგოთური 650
გოგოლაური 390
გოგოლაშვილი 393, 556
გოგოჩაშვილი 550
გოგსაძე 477
გოგუა 293
გოგშაძე 355
გოდაშვილი 238
გოდერძიშვილი 443
გოეთე 255
გოზალიშვილი 437
გოთუა 152, 612
გოკიელი 398
გოლიცინი 32
გომართელი 246
გომელაური 396
გორდეზიანი 477
გორკი 334, 336, 455
გოსტაშაბიშვილი 19, 20, 411, 461, 686, 700, 806
გოშაძე 817
გოშტაშაბიშვილი 19, 20, 461
გოშოსძე 126
გოშუა 393
გოშპარიშვილი (და არა გაიშპარიშვილი) 869
გოშქოფლიანი 18
გოშხეთელიანი 18
გოჩაშვილი 19, 43
გოჩიძე 236
გოჩუანი 18
გოძიაშვილი 204
გოცირიძე 101
გრიბოედოვი 52, 732
გრიგოლია 601
გრიგოლისძე 72, 761, 787, 788, 790
გრიგოლისძე-გიშელი 761
გრიგოლაშვილი 118, 124, 443
გრუზინსკი 32, 393, 485, 496
გუგუნაშვილი 534
გუგუშვილი 348, 707
გუდიაური-გუდიაშვილი 204, 390
გულაშვილი 339
გულედანი 17
გულდიანი 17
გულვერდაშვილი 883
გულიაშვილი 339
გულიზაშვილი 369
გულმახარაშვილი 647
გულიშამხარაშვილი 423
გულუა 293
გუნია 542, 719, 755
გურაბანიძე 340
გურალიძე 340, 816
გურამიშვილი 111, 248, 340, 479, 849, 850, 858
გურასასშვილი 340, 522
გურგენიძე 422, 477
გურევიჩი 538
გურიელი 33, 37, 38, 39, 81, 88, 90, 139, 163, 187, 196, 216, 217, 236, 257, 303, 318, 319, 331, 497, 564, 616, 635, 729, 764, 765
გურული 200
გურჩიანი 17, 18

## დ


დადეშქელიანი 559, 635
დადვანი 18
დადიანი 29, 33, 37, 39, 42, 68, 70, 75, 78, 79, 86, 100, 216, 243, 263, 275, 303, 332, 333, 490, 495, 496, 497, 542, 766, 775, 814, 819, 824, 825, 892
დადიანიძე 754, 814
დავითაია 831
დავითაური 11 დავითაშვილი 390
დავითაშვილი 19, 570, 698, 390
დავითაშვილი 19, 570, 698, 837
დავითეთი 9
დავითაშვილი 19, 43, 44, 529, 532, 549, 569, 685, 687, 688, 689
დავითულიანი 477
დავრეშაშვილი 445
დათვასშვილი 835, 836
დათვიაშვილი 835, 837
დალალაშვილი 679
დალაქიშვილი 383, 550, 570
დანელაძე 392
დანელია 178, 221
დანილევსკი 248
დარახველიძე 101, 477
დარჩია 351
დგებუაძე 765, 816
დებეცი 256
დედაბრიშვილი 354, 479
დევანოზაშვილი 198
დევდარიანი 38
დევიძე 277
დევლახაშვილი 905
დევნოზაშვილი//ყურდუაშვილი 391
დემეტრაძე 101
დემურაშვილი 381
დეტრავერსი 494
დვალი 36, 293, 323, 477
დვანაძე 52
დიაკვნიშვილი 700
დიაკონაშვილი 882
დიარაშვილი 874
დიასამიძე 43, 144, 153, 284, 317, 390, 495, 552, 731, 900
დიდებულიძე 52, 372, 534, 601
დივანაშვილი//მდივანიშვილი 544
დიუმა 455
დოგრაშვილი 720
დოდაშვილი 858
დოიჯაშვილი 538
დოლენჯაშვილი 631, 848
დოლიძე 62, 118, 221, 222, 374, 398, 517, 605, 713, 714, 763
დოლმაზაშვილი 411, 412, 548, 882
დონაური 42, 45
დონაძე 698
დონდუა 544
დოსკიდია 422
დოსტაევსკი 248
დოქიძე 128, 425
დოხნაძე 477
დუმბაძე 415


## ე


ებანოიძე 128
ებრალიძე 846
ეგაძე 901
ეგზუბაია 464
ეგიზარიანი 395
ეგიზაროვი 395
ეგნატაშვილი 505
ეგნატიშვილი 383
ეგუტია 306
ედიშერაშვილი 359, 369
ევგენისაშვილი 132
ევდოშვილი 282

ევუაშვილი 868
ეზუგბაია 718
ელაინი 184
ელიავა 204, 241, 298, 402, 564, 640, 736, 773, 774
ელიოზიშვილი 44, 645, 900
ელისაშვილი 526
ელისბარაშვილი//ელისბარიშვილი 835
ელკალკაშანდა 184
ელმელიქიძე 183
ელომარი 184
ემანალაისიძე 478
ემხვარი 635
ენაგელაშვილი 401
ენაკოლოფაშვილი 394
ენალაშვილი 549
ენდელაძე 140, 192
ენდრონიკაშვილი 215, 567, 568, 569, 579, 584
ერასტიშვილი 215
ერაძე 293
ერისთავი 24, 33, 34, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 172, 201, 248, 261, 328, 333, 412, 461, 478, 485, 488, 492, 495, 503, 506, 511, 533, 539, 574, 578, 579, 582, 650, 677, 678, 754, 755, 836, 862, 883,
ერისთავ-ხოშტარია 58
ერმაკოვა 580
ერმოლოვი216, 220, 227, 381
ერწველაშვილი 552
ერწველაშვილი-ერწოელი-ერწოული-ერწოულიშვილი-ამურველაშვილი 552
ესტატეშვილი 408, 411, 548
ეუაშვილი 868
ეცადაშვილი 392
ეჯიბია 6283

# ვ

ვაზოვი 198
ვაკელი 209
ვაჟაკასშვილი 837
ვაჟა-ფშაველა 651
ვარაზაშვილი 469, 892
ვარდანაშვილი//ვართანაშვილი 392, 394, 671,
ვარდანისძე 29, 38, 42, 48, 68, 70, 72, 75, 79, 80, 86, 88, 88, 90, 128, 129, 302
ვარდანისძე//გაგელნი 68, 78
ვარდიაშვილი 871
ვარდიშვილი 367
ვარდოსანიძე 906
ვართაგავა 152
ვარსიმაშვილი 391
ვასაძე 204
ვაშაძე 556
ვაშაკიძე 653, 716,
ვაჩაძე 477
ვაჩეიშვილი 629
ვაჩნაძე 93, 200, 425, 575, 576, 579, 582, 584, 586, 587, 869, 902
ვაჩნაძეშვილი 869
ვაწაძე 477
ვახვახიშვილი 539, 575, 587, 678
ვახვახოვი 859
ვახტანგაშვილი 874
ვახტანგიშვილი 382, 445
ვახტერი 580
ვეკუა 293, 307
ველგუჯაური 647, 648
ველიაშვილი 705
ვერიკანოვი 173
ვერულაძე 140, 201
ვერძაძე 166

ვერხუაისძე 309
ვეშაგური 649
ვეციკაშვილი 630
ვიბლიანი 17
ვიგრიაშვილი 396
ვირტა 428
ვიშნევსკი 428
ვოლსკი 770, 773
ვოლსკი (უმწიფარიძე) 163
ვორონცოვი 205, 578
ვორონცოვ-დაშკოვი 59
ვრანგელი 584
ვრონსკი 607
ვუდი 581

## ზ

ზაალიშვილი 19, 759, 787, 874
ზავრიევი 348, 580
ზაზაშვილი 529, 836
ზაზიაშვილი 872
ზამბახიძე 254
ზამთარაძე 254
ზანგლადე 581
ზანდარაშვილი 479, 874
ზანდუკელი 836
ზარიაშვილი 394
ზარიძე 355, 394
ზაუტაშვილი 342, 882
ზაქარაძე 210
ზაქარიაშვილი 835
ზაქუმიშვილი 381, 400, 412, 460, 548, 549, 679, 705, 866,
ზაქუმიშვილი//ალიყულაშვილი 382, 460
ზდანევიჩი 253
ზედგენიძე 43, 44, 276, 479
ზედგინიძე 479, 609
ზევდგინიანი 495
ზევდგინისძე//ზევდგინიძე-ზედგინიძისშვილი//ზედგინიძე 479, 609, 883
ზედგინიძე-ზედგენიძე 479, 533, 540
ზვიადაძე 454, 456
ზოდელავა 726
ზოიძე 293
ზუბადალაშვილი 286
ზუბალაშვილი 286, 807
ზუბალოვი 861
ზუბიაშვილი 121
ზუმბაძე 554
ზურაბაშვილი 800
ზურაბიშვილი 799
ზურაბიშვილი//ანდრონიკაშვილი 558
ზურიკაშვილი 874

## თ

თაბაგიძე 400
თაბუკაშვილი 263
თადგირიძე 726
თავართქილაძე 713, 786:
თავაქალაშვილი 235
თავდგირიძე 139, 161, 326
თავთავაძე 518
თავხელიძე 44, 635
თაზიშვილი 487, 496, 874
თათარაიძე 657
თათარაშვილი 383
თათარისშვილი 836
თათრიშვილი 367, 847
თამაზაშვილი//თამაზიშვილი 391, 569
თამაზიშვილი 131
თამაზიშვილი//იესესშვილი 388
თანდილაშვილი 445
თარაშვილი 517, 518
თარხან-მოურავი 34, 485, 492,

496, 823,
თარხნიშვილი 30, 303, 439
თაქთაქიშვილი 43, 524, 644
თაქთაქიძე 495
თაყაიშვილი 204, 538, 726, 735, 764
თაყაშვილი 686, 807,
თბილელი 630
თევდორაძე 275
თევდორესშვილი 463
თეთრაძე 462, 555
თექთუმანიძე 883
თვალაბეიშვილი 293
თვალიშვილი 759
თინიბექაური 647, 648
თოდაძე 719, 758
თოდრია 112
თოდუა 293
თმოგველი 738
თოიძე 352, 810
თოთაძე 757
თომაშვილი 22
თორელი 740
თორაძე 398, 443
თორელ//ქავთარაისძე//ქავთარაშვილი//თორელ-ახალციხელი 81, 82
თორელი 69, 70, 72, 77, 261
თოფურია 37, 197, 897
თოფურიძე 37, 478, 734,
თოფჩიაშვილი 423, 869
თოფჩიშვილი 17, 116, 390, 462, 834
თუთბერიძე 341, 342, 616, 758,
თუმანიანი 495
თუმანიშვილი 109, 238, 241, 287,382, 423, 444, 475, 476, 489, 496, 526, 530, 563, 573, 579, 595, 600, 678, 792
თუმანიშვილი-წერეთლისა 246
თურმანიძე 727, 728
თურქესტანიშვილი 800, 847
თურქია 417, 489, 496, 755, 847
თურქიაშვილი 417, 847
თურქისტანიშვილი 688
თურქიშვილი 847
თუხარელი 495
თხილაიშვილი 144, 153

## ი

იაგულაშვილი 109, 394, 549, 550, 679, 800, 902
იაგულაშვილი-იეგულაშვილი-ბეჟანიშვილი 549
იაგულაშვილი-ბეჟანიშვილი-დემურაშვილი-ბერუაშვილი-ალავერდაშვილი-ალიხანაშვილი-ნადირაშვილი 550
იაკობაშვილი 391, 402, 406
იაკობიშვილი 402
იაკობიძე 402, 406
იანვარაშვილი 645
იარალიშვილი 20, 22, 43, 44, 423, 424
იარალოვი 22
იარაჯული 647, 549
იასაშვილი 13
იალუზაშვილი 495
იაშვილი 100, 101, 236, 246, 247, 326, 328, 329, 331, 225, 652, 732, 778
იაძე 293
იბნ-კესირი 184
იბსენი 248
იგნატოვი 620
იეგანაშვილი 106
იევანგულაშვილი 386
იესესშვილი 388
ივანოვი 770, 774, 775,

ივანჯანიშვილი 304
ითონიშვილი 390
იმედაშვილი 770, 837
იმედაძე 901
იმერლიშვილი 879
იმნაიშვილი 524
ინალიშვილი 464
ინალიფა 464
ინანიშვილი 524
ინასარიანი 18
ინასარიძე 18, 328, 766,
ინგოროყვა 64, 94, 109, 115, 117,
125, 183, 184,
189, 310, 421, 474, 612, 762,
ინწკირველი 609
იოანესშვილი 22
იოთამიშვილი 20, 848, 870,
იოკიმისშვილი 462
იონაშვილი 357
იოსებისძე 813
იოსელიანი 18, 38, 55, 223, 593,
596, 809, 855, 862,
ირემაძე 232, 617
ირუფაქისძე//ირუბაქიძე 1142
ისლინსკი 257
იშხანაშვილი 475
იშხნელი 198, 848
იჩქიტიძე 878

## კ

კავკასიძე 42
კავსაძე 609
კაზანსკი 576
კაიწონელი 69
კაკაბაძე 204, 223, 246, 323
501, 523, 525, 531,532, 539
601, 653, 734, 762, 763, 800,
803, 818
კაკაურიძე 276
კაკაშვილი 719
კაკუბაია-კაკუბავა 464
კაკუტია 540
კაიკაციშვილი 773
კალანდარიშვილი 172, 759
კალანდაძე 128, 282
კალინინი 711
კალატოზიშვილი 758
კალმახელი 40
კალმახელიძე 120
კანდელაკი 55, 728, 837, 862
კანესტრახი 200
კანთელაძე 477
კაპანაძე 196, 293, 466
კარბელაშვილი 431, 432, 594
კარიაული 647, 649
კარიჭაშვილი 381, 770
კარიჭისძე 42, 761
კასრაძე 429
კასტელი 634
კაციტაძე 477
კაცხაძე 617
კატაპარიაშვილი 15
კაჭარავა 18
კაჭარანი 18
კაჭკაჭიშვილი 717
კახაბერიძე 29, 42, 70, 72, 94, 95,
96, 97, 98, 100
კახანოვა 720
კახიძე 204
კუდელაური-კუდელაშვილი 390
კვხიშვილი (ქვხიშვილი) 110
კეკელიშვილი 902
კეკელიძე 17, 544
კეიდია 831
კენჭაძე 367
კერესელიძე 204, 477, 490,
496, 643
კესარიისკი 615

კეცხოველი 337, 359, 369
კვანტრიშვილი 262
კვანჭიანი 18
კვარაცხელია 17, 293, 831
კვეზერელი 425, 882
კვეკვესკირი 478
კვესელავა 418
კვირიკაძე 563
კვირიკაშვილი 359
კვირკველია 17
კვირკველიანი 17
კვირიკეანი 69
კვიციანი 18
კიკალიშვილი 407
კიკვაძე 477
კიკნაძე 56, 127, 557, 653
კიკოლაშვილი 813
კიკოშვილი 758
კილაძე 398, 443
კილასონიძე 575
კინსკი 490
კინწურაშვილი 720
კიროვი 173, 337
კირშონი 209
კიტოვანი 670
კლდიაშვილი 163, 773, 814
კლდიაშვილი-შალიკაშვილი 134, 235
კლიმაჩიძე 530
კობალაძე 558
კობახიძე 255, 477
კობერიძე 443, 539
კობიაშვილი 514, 834, 836
კოდუა 600
კოზლოვი 57
კოზლოვსკი 375
კოკოჩაშვილი 563
კოლონკელისძე 67, 72
კომახიძე 55, 126, 141, 142, 147, 154, 162, 226
კომნენი 570
კონდრატიევი 174
კოპე 198
კორინთელი 42, 43
კოროშკინი 720
კორსანტია 538
კორძაია 18, 454
კორძიანი 18
კოსტავა 347
კოტლიაროვი 849
კოტორაშვილი 893
კოტრიძე 99
კოტუა 795
კოშკაროვი 677
კოხია 293
კოხრეიძე 600
კრაევსკი 257
კრასნოვა 454
კრონერი 724
კრუჩინინი 214
კუზნეცოვა 489
კუკბა 464
კუპრაშვილი 324
კურისი 581
კუარაცხელიანი 17
კუარაცხელია 18
კურდღელაშვილი 367
კუცია 293
კუჭაისძე 762
კუჭაძე 530
კუჭეიძე 38
კუჭუხიძე 565

## ლ

ლავრენიოვი 262, 428, 754
ლაზარესშვილი 836
ლაზარიშვილი 391
ლაკვეხელიანი 17
ლალაშვილი 423, 520

ლამაზაშვილი 398
ლამბერტი 640
ლაპიაშვილი 754
ლაპინასშვილი 359, 369
ლარაძე 420, 592, 800
ლაფაჩიშვილი 659
ლაფჩინსკი 52
ლაღიძე 204, 372, 524
ლაშქარაშვილი 37
ლაშქარაძე 37
ლაშქარია 37
ლაშხი 323
ლაშხიშვილი 99, 328
ლაჩინაშვილი 386
ლაჭყეპიანი 101
ლებანიძე 282
ლევანდოვსკი 173
ლევინი 221
ლეკვეიშვილი 787, 788, 789, 790
ლეონიძე 372, 394, 408, 542, 595, 612
ლეჟავა 715
ლერმონტოვი 52, 55, 57, 198, 334, 455
ლესელიძე 337, 805
ლიპარიტეთი 9
ლიპარტიანი 187
ლიჩელი 538
ლობჟანიძე 477
ლოგუა 691
ლოლაძე 716
ლოლუა 798
ლომაია 418, 810
ლომაშვილი 557, 810
ლომაძე 758, 810
ლომთათიძე 18, 612
ლომიაშვილი 352
ლომინაძე 101, 530, 531, 532
ლომიშვილი 834
ლომიძე 293, 359, 369, 810
ლომოური 255, 282, 708
ლომჯარია 228
ლონდარიშვილი-ლონდარიძე 391
ლონდონი 334
ლორთქიფანიძე 20, 101, 106, 243, 333, 388, 445, 542, 686, 687, 819, 857, 874
ლორია 293
ლორიე 257
ლორის-მელიქოვი 859

## მ

მაზატასშვილი 837
მაზურინა 34
მათიაშვილი 269
მაიაკოვსკი 334
მაისაშვილი 477
მაისურაძე 13, 17, 115, 242, 280, 293, 550, 646, 682, 692, 727, 756, 788, 812, 837, 882, 899
მაკალათია 832
მაკარაშვილი 840
მაკარიშვილი 386
მალაქიაშვილი 76
მალაქშანიძე 460
მალაციძე 475
მამალაძე 646, 810
მამალაძე-ალავიძე 412
მამასახლისოვი 734
მამაცაშვილი 575, 597
მამეიშვილი 906
მამისთვალაშვილი 396, 874
მამისთუალიშვილი 289
მამუკაშვილი 131, 132, 526, 836
მამუკელაშვილი 804
მამულაძე 314
მამუჩაშვილი 547

იაკობ ახუაშვილი

მამფორია 721
მანაგაძე 222
მანდენაშვლი 477
მანდიაშვილი 359
მანთაშაშვილი 868
მანველაშვილი 763
მანია 293
მანჯავიძე 128
მანჯგალაძე 204, 710, 712, 720
მარეგიანი 18
მარგველანი 18
მარგველანიანი 18
მარგიანი 18
მარი 616
მარინაშვილი 884
მარკინი 184
მარსაგიშვილი 546
მარტაშვილი 645
მარტიაშვილი 645
მარქარაშვილი 645, 679, 878
მარუაშვილი 555
მარუშიანი 817, 818
მარუშისძე 42, 47, 48, 62, 818
მარღანია 635
მარშანია 635
მარშანია-მარშანიშვილი 460
მარჯანიშვილი 209, 231, 262, 896
მასხარაშვილი 323, 324, 331, 46
მატიაშვილი 444
მაქაძე 196
მაღალაშვილი 495, 496, 553, 574
მაღალაძე 382, 386, 465, 543
მაღნარაძე 816
მაყაშვილი 11, 401, 423, 424, 500, 532, 573, 586, 678, 850
მაჩაბელი 43, 44, 271, 465, 492, 494, 495, 496, 552, 632, 635, 645, 850
მაჩუტაძე 726
მაჩხანელი 479
მაცხონაშვილი 754
მაჭავარიანი 18, 38, 127, 128, 192,193, 199, 205, 211
მაჭარაშვილი 718
მაჭუტაძე 394, 731
მახათაძე 716
მახარაძე 522, 577, 809
მახარობლიძე 729
მახატელი 42, 43
მახნიაშვილი 237, 825
მაჯანიძე 386
მგალობლიშვილი 337, 441
მგელიშვილი 836
მდივანაშვილი 688
მდივანი 163
მდივნიშვილი 20, 685, 688, 689
მდინარიშვილი 441
მებურნიშვილი 369
მეგრელიშვილი 237, 359, 712
მეგრელიძე 171, 616, 617, 823
მედოლიშვილი 683
მეითრიშვილი 21, 356
მეითრიშვილი-სუმბათაშვილი 21
მეკარვიშვილი 630
მეკოკიშვილი 383
მელაშვილი 477
მელაძე 714, 727
მელეშკო 763
მელიქიშვილი 107, 372, 796, 837
მელიქიძე 544
მემარნიშვილი 393
მენაღარაშვილი 683
მენგრელსკი-დადიანი 597
მენთაშაშვილი 391
მერაბაშვილი 386

მერაბიშვილი 20, 107, 562, 569, 685, 687, 688, 701
მერლინი 488
მესარკიშვილი 544
მესტვირიშვილი 683
მესხი 163, 293, 323, 726, 770, 773
მესხია 307, 597
მესხიშვილი 352, 429, 430, 431, 579, 759
მეტრეველი 125, 471, 824
მეტონიძე 477
მეფარიძე 355
მექანარიშვილი 683
მექვაბიშვილი 689
მეყანწიშვილი 15, 479
მეცხვარიშვილი 15
მეხევიშვილი 884
მეხრიშვილი 13, 359, 526, 544
მზარელუა 820
მთავარაშვილი 543
მიკაილოვი 14
მიკიტენკო 209
მილდანი 18
მილორავა 397
მინიაშვილი 883, 884
მინდელი 222
მირზაშვილი 116, 411
მირიანიშვილი 11,12, 834
მირიმანიძე 109
მირცხულავა 719, 787
მიტიჩაშვილი 68
მიქანაძე 392
მიქატაძე 803
მიქაძე 432, 816
მიქელაშვილი 444
მიქელაძე 118, 255, 332, 333, 334, 368, 391, 617, 765, 794, 857
მიქელია 118
მიცკევიჩი 52, 198
მიხრიკისძე 532
მოდებაძე 194, 217,
მოლაშვილი 562
მონასელიძე 465, 565
მონტინი 837
მოსულიშვილი 735
მოურავიშვილი 30, 43, 44
მოსემღვდლიშვილი 293
მოსიძე 306
მოძმანაშვილი 547
მრევლიშვილი 612
მურადაშვილი 260, 386
მურვანიშვილი 110, 111, 757
მურუსიძე 477
მუსხელიშვილი 315
მუშათხუციშვილი 293
მუხაძე 405
მუხრანბატონი 43, 93, 139, 481, 550, 744
მუჯირიდენი 184
მღვდელაძე 548
მშველიძე 398, 608
მცხეთიშვილი 900
მცხვედაძე 210, 211
მძევლიშვილი 469
მწარიაშვილი 121
მწყერაძე-ბერუკაშვილი 382
მჭედლიშვილი 209, 235
მჭედლიძე 18, 446; 718, 837
მხარგრძელი 29, 41, 42, 43, 60, 68, 69, 70, 72, 73, 79, 83, 85, 89, 738, 739, 740, 741, 742, 743, 744, 885
მხეიძე 329, 531, 816

# ნ

ნადირაშვილი 544, 875
ნადირაძე 538, 732, 794, 836
ნავარიანი 18
ნავროზაშვილი 543
ნაზარაშვილი 868
ნაზლაიძე 162, 288, 303, 313, 359, 360, 527, 528, 888
ნათათრალაშვილი 746
ნათაძე 146
ნათენაძე 754
ნათიშვილი 251
ნათმელაძე 396
ნაკაშიძე 140, 210, 537, 539, 576, 773
ნაკვეხელიანი (ლაკვეხელიანი) 17
ნამანგლელლევიშვილი 293, 395, 902
ნამორაძე 729
ნანუაშვილი 544
ნანუჭაშვილი 241, 421
ნარიბეგიშვილი 874
ნარიმანაშვილი 385
ნარიმანიძე 527
ნარმანია 306
ნარჩემაშვილი 18
ნარჩიმაშვილი 18
ნასარიძე 724
ნასიძე 42, 43
ნასრიაშვილი 449
ნასყიდაშვილი 15
ნაცვალაძე 213
ნებიერიძე 495
ნებროთიანი 31
ნებურიძე 238
ნემსაძე 21
ნერსიანი 42
ნერუ 217, 218
ნერუდა 198
ნიკვაშვილი 13
ნიკოლაძე 393, 523, 718, 754
ნიკოლოზიშვილი 132
ნიკონოვა 35
ნიკურაძე 807
ნიორაძე 162
ნინიძე 494, 496
ნინოშვილი 262
ნინუა 293
ნიჟარაძე 38, 140, 145, 233, 331, 333, 360, 538, 754, 765, 773
ნიქაბაძე 205
ნიყუაძე 196
ნიშნიანიძე 114
ნოდია 293, 787
ნოვიკოვი 882
ნოზაძე 420
ნოღაიდელი 144, 145, 153, 617
ნურიკაშვილი 399

# ო

ობლიძე 303
ობოლინსკაია 34
ოგანეზოვი 615
ოდიაური-ოდიშვილი 390
ოდიკაძე 715, 718
ოდილავა 37
ოდილავაძე 37
ოზაშვილი 13
ოთარაშვილი 581
ოკუჯავა 580, 691
ომათმათიძე 324, 331
ონანაშვილი 869
ონანოვი 869
ონიანი 18, 538
ორბელი 48, 60, 62, 740
ორბელიანი 33, 34, 35, 36, 42, 43, 44, 68, 69, 70, 76, 77, 139,

140, 192, 199, 223, 239, 240, 306, 389, 395, 461, 483, 486, 495, 497, 508, 511, 573, 582, 584, 588, 590, 593, 597, 599, 660, 677, 681, 692, 701, 712, 860, 861, 862
ორბელისძე 806, 807
ორბელიშვილი 20, 412, 461, 806, 807
ორჯონიკიძე 127, 128, 238
ოსეფაშვილი 685, 688, 689
ოსიყმაშვილი 615
ოქროაშვილი 552
ოქროპირიძე 525, 755
ოქრუაშვილი 376, 446, 475, 476
ოტინაშვილი 729
ოყოლდაშვილი 357
ოჩიაური 522, 523, 803
ოძელაშვილი 731
ოჯაიაშვილი 359
ოჰანეზაშვილი 613

## პ

პაატაშვილი 21
პაველიაშვილი 709
პავლოვი 307
პაიკელანი 18
პაიჭაძე 617
პაკელანი 18
პანკელი 67
პაპალაძე 389
პაპასქირი 478
პაპაშვილი 874
პაპინაშვილი 221, 222, 407
პაპიაშვილი 411, 412, 543, 814
პაპიშვილი 835,837
პაპიძე 814
პაპუაშვილი 688
პაპუნაშვილი 355, 834
პარკაძე 421
პარმა 255
პასკევიჩი 860
პასკევიჩ-ერივანსკი 858
პასტერნაკი 255
პატარაია 879
პატარიძე 376
პატარკაციშვილი 836
პატეიფა 464
პატურაშვილი 747
პაუსტოვსკი 202
პაქსაძე 617
პეტეფი 198
პეტრესშვილი 356, 366
პიკფორდი 221
პირველი 654
პისარევი 35
პლუშეეკო-მურატოვა 580
პოპიაშვილი 754
პოტაპოვი 576
პოტი 500
პოტტო 207
პრიბილევსკი 206, 207
პროკერი 55
პუგაჩოვი 174
პუზირევსკი 216, 227, 859
პურიშკო 173
პუშკინი 52, 57, 225, 334, 336, 455, 660

## ჟ

ჟელეზნოვა 214
ჟველა 630
ჟილინსკი 774
ჟორდანია 140, 209, 213, 529, 531, 541, 700, 708, 765, 792, 793, 875
ჟორჟოლაძე 327
ჟორჟოლიანი 38, 326

ჟუკოვსკი 57
ჟღენტი 612, 734

## რ

რაზმაძე 372, 653
რამადანაშვილი 532, 811
რამაზაშვილი 43, 44, 385, 685, 688, 689, 799, 800, 868
რამანაშვილი 235
რამიშვილი 173, 175, 617
რასპუტინი 584
რატიანი 477
რატიშვილი 44, 576, 677
რევაზიშვილი 19, 532, 811
რემეზოვი 173
რეხვაიძე 126
რეხვიაშვილი 477
რიბანეცი 720
რიდი 208
რიკაძე 532
რკინაული 647, 648, 650
რობაქიძე 11, 708
როგავა 645, 721
როინაშვილი 20, 687, 689
რომანიშვილი 171
რომანოვა-შვარცბერგი 639
რომანოვი 113, 475
როინიშვილი 107, 685, 688
რონდელი 542
როსტომაშვილი 20, 107, 395, 685, 688
როჭიკაშვილი 43
რურუა 293
რუსაძე 615, 622
რუსია 417, 736
რუსიაშვილი 757
რუსიშვილი 417, 575, 584, 586, 615, 622, 759
რუსიძე 615, 622
რუხაძე 443
რჩეულიშვილი 465, 600, 735, 800
რცხილაძე 850

## ს

სააკაძე 43, 44, 236, 458, 474, 505, 752, 800
საამიშვილი 19
საბანაძე 152
საბრი 147
საგინაშვილი 20, 236, 301, 399, 401, 551, 564, 679, 688, 800, 814, 848, 853, 878, 880
საბინაშვილი//დესპოზაშვილი//ზურაბიშვილი//ინდოშვილი-ფარემუზაშვილი 564, 565
საგინაძე 814
საგინიანი 20
სადარაშვილი 354
სავანელი 131, 182, 235
საზვიაშვილი 386
საზულაშვილი 238
საკანდელიძე 101
სალიძე 97
სალუქვაძე 754
სამადაშვილი 349
სამსონაძე 726, 735
სამუთაშვილი 848
სამძივარი 42
სამხარაძე 121, 755
სანაკოევი 210, 211
სანანოისძე 126
სანაძე 646
სანთელაძე 477
სანთლისკუდაშვილი 359, 368, 369
სანიგიანი 17
სანიკიანი 17
სანიკიძე 17, 112

სანიშვილი 221
სარაჯიშვილი 198, 524, 582, 608, 639
სარდარაშვილი 109
სარიშვილი 300
საფარაშვილი 645
საფაროვა-აბაშიძე 140, 231
საქინაშვილი 407, 408
საქსანაშვილი 408
სალარაძე-სალარაშვილი 814
სალარისძენი 69
სალირიშვიილ 652
სალრაჩიშვილი 869
საყვარელიძე 485, 496
საჩანელი 70
სახვაძე 718
სახლთხუციშვილი 293
სახოკია 676
სახურია 723
საჯაია 721
სელიმაშვილი 39
სემაშკო 56
სემეიკო 627
სემენსკი 257
სერბსკი 782
სეფაშვილი 563
სეფეთ ნუზივი 147
სვანი 323
სვიმინაშვილი 543
სვიმონიშვილი 19, 131, 132
სიამიშვილი 569
სიბირელი 32
სიდამონიძე 685
სილაგავა 18
სილაგაძე 107, 376, 757
სიმონგულაშვილი 20, 293
სიმონგულოვი 20
სიმონიშვილი 558
სირამენკო 202
სირბილაძე 374
სისაური 838
სიხარულიძე 147, 174, 415, 612, 632
სიხუა 293
სკორობოგატოვი 262
სლესარი 366
სლივაცკი 574
სმირნოვი 708
სმონიჩა 487
სოსელია 101, 102, 128, 130, 189, 240,286, 325, 326, 464, 478. 697, 760, 761, 765, 767, 816, 817, 818, 819, 820, 824
სოლოლაშვილი 43, 382, 549
სონღულისძე 866
სოღულაშვილი 506
სოხაძე 477
სპანდიერიშვილ-ნარიბეგაშვილი 874
სპანდიერაშვილი 366, 874
სტანისლავსკი 732
სტეფანაშვილი 474
სტურუა 473, 733
სუზიტაშვილი 407
სულაისძე 126
სულაკაური 670
სულხანაშვილი 19
სულხანიშვილი 19, 56, 392, 395, 539
სულხან-საბა ორბელიანი 105
სუმბათაშვილი 21, 35, 641, 815, 825, 850
სუმბათაძე 815, 825
სუმბატაშვილი 21
სუმბაძე 825
სუნბატაშვილი 815

სურამელი 29, 41, 42, 48, 60, 68, 72, 84, 731
სურმაა 18
სურმავა 18
სურმანიძე 391
სუქმანეთი 9

## ტ

ტაბატაძე 169, 236
ტაბაღუა 306, 307
ტაბიძე 218, 372, 394, 455, 627, 732, 777
ტაბლიაშვილი 204, 222
ტაგიზადე 222
ტაველიშვილი 807
ტალახაძე 709
ტარშ[ს]აიჯაშვილი 425, 882
ტატიშვილი 278
ტატიშჩევი 32
ტბელი 47, 314
ტერაშვილი 489
ტერიშვილი 496, 576
ტერტერაშვილი 381, 411, 705, 800
ტეტემაძე 232
ტიკიშვილი 548
ტიხონოვი 55
ტლაშაძე 475
ტოლსტოი 334, 336
ტოპეშაშვილი 803
ტორმასოვი 206
ტოტუაშვილი 477, 906
ტუნაძე 617
ტურგენევი 336
ტუსიშვილი 479, 678
ტუღუში 454
ტყავაძე 326, 327

## უ

უბილვა 17
უბილანი 17
უბლამაშვილი 423, 869
უკრაინსკა 580
ულანცაშვილი 550
უმიკაშვილი 631, 686, 736
ურბნელი 399
ურუმაშვილი 391
ურუსოვა 32
უსუფაშვილი 645
უშუხვანი 18
უშხვანი 18
უჩუმბეგაშვილი 905
უჯარმელები 67

## ფ

ფაგურიძე 425
ფადლასძე 463, 900, 901
ფადლიძე 646
ფავლენიანი 495
ფავლენიშვილი 43, 490, 496, 678, 738
ფავნელი 459
ფავნელიშვილი 368
ფალავანდიშვილი 43, 125, 130, 134, 235, 238, 244, 249, 291, 367, 528, 531, 532, 533, 540, 541, 858
ფალავანხოსროშვილი 20
ფალენი 35
ფალიანი 18
ფალიაშვილი 140, 213, 453, 524, 641, 642, 808
ფანასკერტელი 69, 90, 900
ფანასკერტელ-ციციშვილი 549
ფანიაშვილი 631, 871
ფანჯიქიაანი 17
ფარაჯანიანი 38, 42

ფარსადანაშვილი 290
ფარღუთაზაშვილი 401
ფარცვანია 720
ფაფელაშვილი 121
ფაღავა 429, 678, 816
ფაყვაძე-ფაღავა 632
ფაშატაშვილი 884
ფაშურაშვილი 647, 649
ფეიქრიშვილი 799, 800
ფეოდოროვი 494
ფერაძე 194
ფეხმოჭრილიშვილი 15
ფეხშველაშვილი 15
ფიბინაშვილი 526
ფილიპოვი 727
ფინეზაშვილი 353
ფინეზიშვილი 188
ფიროსმანიშვილი 565
ფირუაშვილი 811
ფირფელაშვილი 721
ფირცხალაა 301
ფირცხალავა 652
ფიფია 293
ფიცხელაური 19, 647, 649, 664, 754
ფლოროვსკაია 14
ფოცხვერაშვილი 368
ფოცხიშვილი 393
ფრიდმანი 257
ფრანგისტანიშვილი 847
ფრანგიშვილი 847
ფრონელი 21
ფრუიძე 477
ფრუნზე 177
ფსუტური 842
ფხალაძე 267

# ქ

ქაამძე (ქათამაძე) 617
ქადარია 831
ქადეიშვილი 612
ქავთარაშვილი 20
ქავთარიშვილი 871
ქავთარაძე 213, 368, 495, 597, 813, 883
ქათამაძე 145, 153
ქაიხოსროშვილი 131, 132
ქალდიანი-ქალდანი 17
ქამუშაძე 194
ქამქამისძე 469
ქარელისძე 646
ქართველიშვილი 440, 525, 847, 879
ქართველაძე 847
ქართლოსინი 31
ქარსელაძე 422
ქარსიძე 689
ქარუმიძე 883
ქაჩიბაია 464
ქაჩიბაძე 20, 42, 44, 464
ქაჯაია 429
ქებაძე 729, 813
ქევხიშვილი 408
ქელბახიანი-ქელბაქიანი 17
ქემალი 146, 147
ქემოკლიძე 477
ქერიმადინისშვილი 183
ქეცბაია 464
ქვაბლიძე 38, 528
ქვარიანი 237, 260
ქვლივიძე 282, 393, 803
ქვრივიშვილი 121
ქირია 293
ქიქავა 38, 44, 91,
ქიქოძე 502, 605, 612

ქიშმარეიშვილი 349
ქობულაშვილი 574
ქობულაძე 427
ქობულია 892
ქობულიძე 41, 45, 75, 601, 726, 728, 761
ქოიავა 652
ქორთუა 306, 879
ქორომელიძე 727
ქოსაშვილი 870
ქოქოლაძე 400
ქოჩაკიძე 333
ქოჩორაშვილი 874
ქუბაშვილი 420, 871
ქუენაფლაველი 42
ქუთათელაძე 433, 539, 773, 881
ქუთათელი 887
ქუმსიაშვილი 747
ქურდაშვილი 17
ქურდაძე 17
ქურდევანიძე 883, 884
ქურდიანი-ქურდაძე-ქურდობაძე 17
ქურდოვანიძე 17
ქურციკაშვილი 645
ქურციკიძე 407
ქსოვრელი 630

## ღ

ღაბუაშვილი 131, 133
ღაბუაშვილი-გაბუაშვილი 188
ღაზნელი 44
ღარიბაშვილი 292
ღაღანიძე 111, 869
ღვინაური 237
ღვინიაშვილი 539, 734
ღლონტი 11, 14, 35, 115, 285, 320, 401, 514, 544, 551, 639, 726, 744, 756, 758, 792, 803, 869, 870, 882
ღოღობერიძე 33, 327, 576, 619, 713
ღრეულიშვილი 817
ღუდუშაური 19, 429, 650, 836

## ყ

ყაზბეგი 371, 377, 594
ყაიხიშვილი 381
ყაითმაზაშვილი 106, 444, 445, 446
ყაითმაზაშვილი-ალთუნაშვილი 106, 444, 446
ყამაზაშვილი 866
ყანჩაელი 630
ყარაბუდახიშვილი 43
ყარაგოზაშვილი 492, 496
ყარალაშვილი 579, 586
ყარანგოზიშვილი 836
ყარაშვილი 355, 411, 574
ყაუხჩიშვილი 63, 761
ყაფლანიშვილი 20, 42, 43, 44, 239, 388, 444, 445, 677, 807, 829, 848, 866
ყვავილაშვილი 382
ყიფიანი 18, 38, 99, 109, 127, 128, 325, 326, 327, 328, 497, 851
ყიფშიძე 374, 443, 890
ყორღანაშვილი 20, 107, 109, 238, 301, 355, 382, 444, 445, 461, 462, 465, 684, 685, 686, 687, 688, 701, 800, 811, 870, 874, 875
ყორღანაშვილი-აბაზაშვილი 107
ყორღანოვი 20, 107, 685, 686, 688
ყორხმაზაშვილი 260
ყრუაშვილი 765

ყუბანეიშვილი 111, 630, 718
ყუზანაშვილი 411
ყუმხასაშვილი 866
ყუშიტაშვილი 798

## შ

შაბათხუციშვილი 293
შაბურიშვილი 836
შავაძე 728
შავერდაშვილი 411
შავლაძე 362
შაინიძე 460
შალიკაშვილი 43, 367. 368, 400, 427, 467, 533, 539, 573, 574, 586, 770, 804
შალიკავა 828
შალიკიანი 803
შანიძე 351, 372, 460, 602, 615, 890
შანშიაშვილი 147, 382, 383, 408, 411, 445, 548, 645, 685, 738, 758, 800
შანშიაშვილი (ყორღანაშვილი, ყორღანოვი, ავდროზინაშვილი, ოსეფაშვილი, როსტომაშვილი, ავდორზანაშვილი, გაბრიელაშვილი, არდაზდიანიშვილი, მდივნიშვილი, დავითიშვილი, არდაზიანი, რამაზიშვილი, მერაბისშვილი 685
შარაბიძე 477
შარაშენიძე 581, 734
შარაძე 141, 453
შარვაშიძე 42, 72, 144-145, 153, 334, 400, 478, 635, 636, 697, 847, 886
შარია 293
შარიქაძე 235
შარლემანი 601
შედანია 286, 287
შეიხედარისშვილი 465
შელია 293, 820
შენგელაია 575
შენგელია 293, 755, 787
შენგელია-აბაშიძე 883
შენშაშვილი 526
შერაზადიშვილი 212
შერგელაშვილი 191, 237, 260
შერვაშიძე 37, 39, 459, 489, 492, 496, 632, 633, 634, 847
შერვაშიძე-ჭაჭასძე 70
შექსპირი 55, 248, 255, 380
შეშაბერიძე 319
შეელიძე 319
შკვარკიანი 209
შინდაძე 383
შიოშვილი 754
შოვნაძე 718
შოშიაშვილი 248
შუხაევი 646
შტენბერგი 582, 584

## ჩ

ჩაბრაძე 192
ჩაგანავა 721
ჩაგასიანი 18
ჩადუნელი 407
ჩავლეიშვილი 145, 756
ჩაიკოვსკი 347
ჩაკაშვილი 19
ჩალაბაძე//ჩალაძე 241
ჩალაძე 477
ჩარგაზია 18
ჩარკვიანი 18, 38, 719
ჩართველანი 18
ჩართოლანი 18
ჩაჩავა 221
ჩაჩბა 464, 633, 634
ჩაჩანაშვილი 550

<u>იაკობ ახუაშვილი</u>

ჩაჩანიძე 744, 809
ჩაჩიბაია 419
ჩაჩუა 293
ჩაჩუნაშვილი 33
ჩემია 680
ჩემინა 300
ჩერნიშოვი 173, 174
ჩერქეზია 417
ჩერქეზიშვილი 417, 542, 587, 620, 850
ჩეხოვი 336
ჩიასშვილი 369
ჩიკვაიძე 140, 215, 620
ჩინჩალაძე 547
ჩიტაია 422
ჩიტალაძე 530
ჩიტუკაშვილი 880
ჩიქვანი 633, 766
ჩიქობავა 766
ჩიქოვანი 38, 187, 612, 633, 635, 778, 816
ჩიჩუა 293, 332, 635, 816
ჩიხლაძე 666
ჩიჯავაძე 130, 325, 532, 889
ჩოკოშვილი 19
ჩოლოყაშვილი 11, 34, 42, 93, 175, 369, 487, 489, 496, 551, 571, 573, 574, 579, 582, 597, 666, 677, 850
ჩოფიკაშვილი 836
ჩოხელი 832, 834, 835, 836, 837, 841, 842
ჩოჩიაური//ჩოჩიშვილი 390
ჩრდილელი-ოთარისშვილი 836
ჩუბინაშვილი 600, 601, 800, 897
ჩუბინიშვილი 97
ჩუსტიაშვილი 476
ჩუჩაყაური 648
ჩქარეული-ალდგომლიშვილი 836
ჩხაიძე 724
ჩხატარაიშვილი 253
ჩხეიძე 43, 101, 187, 221, 236, 478, 563, 682, 754, 773
ჩხენკელი 850
ჩხეტია 37
ჩხეტიანი 194
ჩხეტიძე 37, 100, 101, 235, 236, 465
ჩხვიმიანი 17
ჩხიკვიშვილი 734
ჩხუპიაშვილი 543
ჩხუტიაშვილი 476

## ც

ცაავა 293
ცაგარელი 257
ცალქალამანიძე 618, 810
ცაცანაშვილი 420
ცელისტარაშვილი 237
ცერაძე 538
ცერცვაძე 292
ცეცხლაძე 394, 400
ციმაკურიძე 359, 369, 465, 872, 902
ცინცაძე 241, 632, 736
ცინციბაძე 241
ცინციბაძე-ცინცაძე 241
ცირდილაძე 235
ცისკარიშვილი 219
ციტაიშვილი 205, 223, 231
ციციშვილი 19, 20, 21, 33, 34, 36, 43, 93, 121, 125, 215, 235, 260, 290, 303, 354, 355, 366, 376, 382, 386, 411, 243, 425, 450, 460, 492, 496, 519, 542, 553, 571, 576, 592,

612, 631, 677, 755, 837, 871, 874, 883
ციხინსკი 331
ცომაია 720
ცუგაშვილი 543
ცუხიშვილი 653
ცქიტიშვილი 652
ცხადაია 118, 119, 260, 285, 298, 474, 628, 692, 719, 744, 866, 867, 869
ცხაკაია 405
ცხვედიანი 477

## ძ

ძაგანიშვილი 367
ძაგანისძე 42, 72
ძამსაშვილი-ცამციშვილი 647, 649
ძებრუტი 576
ძენაძე 727
ძიაფშიფა 414, 624

## წ

წერეთელი 36, 57, 93, 112, 127, 139, 140, 188, 195, 196, 203, 206, 207, 223, 235, 236, 238, 242, 244, 245, 246, 250, 261, 291, 303, 327, 332, 333, 334, 377, 429, 492, 496, 522, 533, 542, 575, 576, 577, 578, 579, 716, 726, 770, 787, 819, 858, 861
წეროძე 204
წითლისძე 565, 616
წიკლაური 293, 548, 611, 661, 822
წინამძღვრიშვილი 666, 898
წირქაძე 196
წიფურია 17
წიფურიანი 17
წიქარაული 462
წოვანაშვილი 526
წოვანშაშვილი 829
წულეისკინი 478
წულუკია 118
წულუკიძე 93, 99, 100, 118, 140, 145, 153, 223, 328, 333, 334, 612, 893

## ჭ

ჭაბუაშვილი 800
ჭაბუკიანი 38
ჭავჭავაძე 35, 56, 57, 199, 142, 146, 201, 229, 232, 245, 248, 282, 367, 374, 377, 380, 430, 498, 508, 509, 510, 513, 515, 516, 517, 541, 573, 574, 579, 584, 587, 593, 636, 678, 680, 703, 755, 810, 852, 855, 862
ჭამელაშვილი 709
ჭანტურია 18, 306, 719
ჭანტურიანი 18
ჭარბაძე 477
ჭარელიძე 98, 99, 100
ჭარმაული 477
ჭარმაული-ჭაჭნიაშვილი 110
ჭაჭუა 831
ჭახაძე 617
ჭედია 293
ჭელიძე 18, 96, 97, 477, 617
ჭკადუა 360
ჭიაბერი 60
ჭიგრაძე 646
ჭილაძე 478
ჭიჭინაძე 192, 315, 477, 515, 590, 592, 778, 779, 808
ჭილასშვილი 836, 860
ჭორთოძე 478
ჭოდოშვილი 599

ჭუკაშვილი 520
ჭულაიძე 126
ჭუმბურიძე 230, 567, 615
ჭყონია 522

## ხ

ხაბაზი 172
ხაბეიშვილი 603
ხაზალია 17
ხაზალიანი 17
ხაიამი 146
ხაინდრავა 718
ხალაძე 616
ხალვაში 140, 233, 314
ხალიუტინი 535
ხამაშურიძე 19,
ხანტამაშვილი 545
ხანთაძე 601, 765
ხანიაშვილი 545
ხანიშვილი 545
ხანიკაშვილი 545
ხაჟალია 308
ხარატიშვილი 610, 700
ხარუაშვილი 800
ხარშილაძე 534
ხარჩილავა 831
ხარძიანი 362, 719
ხასია 293, 696
ხატიაშვილი 395
ხაფთაიძე 126
ხაშარაძე 630
ხახანაშვილი 849
ხახუტაშვილი 809
ხელაშვილი 381
ხერგიანი 18
ხერკაშვილი 645
ხერხაულიანი 495
ხერხაულისძე 873
ხერხეულიძე 43, 250, 582, 873
ხეჩუაშვილი 678
ხერგუანი 182
ხიდირბეგიშვილი 479
ხიზანაშვილი 550, 879
ხიზანაშვილი-ხიზანეიშვილი 550
ხიზანიშვილი 544, 550, 879
ხიმშიაშვილი 142, 161, 172, 315, 340, 400, 678, 800
ხიტალიშვილი 647, 649
ხოზრევანიძე 727
ხოლუაშვილი 237
ხომასურიძე 19
ხომერიკი 140, 209, 709
ხორგუანი 18
ხორგუაშვილი 18
ხოსაშვილი 900
ხოშურაული 647, 648, 651
ხოციკაშვილი 645
ხოჯაბეგიშვილი 386
ხოჯაშვილი 236, 729
ხოჯუაშვილი 423
ხუბუა 293
ხუდადაშვილი 813, 814
ხუდადოვი 814
ხულუზაური 423
ხუმარაძე 533
ხუნდაძე 103
ხუნჯუა 721
ხურდაყულაშვილი 412
ხუროშვილი 383
ხუტაშვილი 519
ხურციძე 49, 442
ხუციშვილი 293, 477, 538, 652, 700

ხუჭუა 293
ხუხაშვილი 427

## ჯ

ჯაბადარი 641
ჯაბაური 842
ჯაბაშვილი 565
ჯაბუა 293
ჯავარაშვილი 835, 842
ჯავახიშვილი 11, 42, 43, 63, 103, 115, 221, 235, 236, 301, 310, 311, 354, 367, 378, 383, 398, 400, 475, 492, 494, 496, 537, 539, 543, 544, 551, 522, 564, 584, 618, 621, 625, 626, 638, 658, 661, 672, 679, 691, 692, 694, 697, 698, 726, 734, 735, 754, 757, 801, 819, 830, 884
ჯავნაშია 18, 824
ჯაიანი 816
ჯალაბაური 841
ჯალახანია 653
ჯამანასშვილი 836
ჯამბაკურ-ორბელიანი 850
ჯამბურია 18
ჯამბურიანი 17
ჯამბურიძე 18
ჯანაშვილი 118, 124, 461, 543, 592, 757
ჯანაშია 18, 464, 626, 633, 681, 757, 824
ჯანდიერი 93, 584, 586, 678
ჯანდიერი-პოსნიკოვა 348
ჯანელიძე 429, 881
ჯანიაშვილი 523, 757
ჯანლარაშვილი 386
ჯანშიარაშვილი 386, 549
ჯაფარიანი 18
ჯაფარიფხე 18
ჯაფარიძე 18, 38, 52, 99, 100, 101, 105, 192, 196, 262, 328, 471, 477, 539, 640, 728, 734, 753, 755
ჯაყელი 29, 39, 42, 69, 73, 77, 83, 85, 89, 241, 243, 254, 317, 318, 400, 469, 740, 754, 885
ჯაყელი-ბოცოსძენი 69
ჯაყელი-კორიდელი 77
ჯაყელი-ციხისჯვარელი 69, 83, 85, 89
ჯაშეშვილი 412
ჯაში 646, 809
ჯახუტაშვილი 212
ჯეირანაშვილი 361
ჯელაძე 477
ჯელე-მემედ-ყული სად-ი 147
ჯემნარაძე 326
ჯინჭარაძე 477
ჯინჯიხაძე 519
ჯიქია 37, 293
ჯიქიძე 37, 478
ჯიშკარიანი 829
ჯიხაშვილი 889
ჯმუხაძე 477
ჯოგიაშვილი 705
ჯოიაშვილი 700
ჯოიშვილი 412
ჯომარჯიძე 580
ჯუანშერიანი 42
ჯუგაშვილი 705
ჯულაშვილი 705
ჯუღელი 833

## ჰ

ჰეკერი 173
ჰიუგო 52

იაკობ ახუაშვილი

# წყაროები და ლიტერატურა

## I. ეთნოგრაფიული მასალა

ბოლო ოცი წლის მანძილზე ავტორის მიერ მოსახლეობასთან კონტაქტების (გამოკითხვა, ნანაწერები, პრესა, - გაზეთი "მეოთხე", "გვარიშვილობა") მოპოვებული მასალები.

## II. საარქივო მასალა

საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივი, ის ფონდები და კოლექციები რომლებიც შეიცავენ გვარის აღწერის მასალას.
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდები: AD, Hd, Sd, Qd, H, საქართველოს მუზეუმის შესაბამისი ფონდები.


**ივ. ჯავახიშვილი**, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, ტ. I, თბ., 1941;
**ვახუშტი ბატონიშვილი** სტატისტიკური ცნობები საქართველოს შესახებ XVIII-ში, თბ., 1907;
**იასონ ლორთქიფანიძე**, ქვემო ქართლი, ნაწილი I და II, თბ., 1935;
**იასონ ლორთქიფანიძე**, ქვემო ქართლი, ნაწილი III და IV, თბ., 1938;
**პირთა ანოტირებული ლექსიკონი**, წიგნი I, თბ., 1991;
**პირთა ანოტირებული ლექსიკონი**, წიგნი II, თბ., 1993;
**აკაკი შანიძე თეოფორული** სახელები, "მაცნე", თბ., 1967.
**აკოფაშვილი გულჩინა**, სოციალური ურთიერთობების ისტორიიდან XV-XVIII სს. ქართლში (აზნაურთა ფენა), თბ., 1965.
**ალექსანდრე ღლონტი**, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1966.
**ალექსანდრე ღლონტი**, მცხეთის ტოპონიმია (ტოპონიმიკური ძიებანი, II) თბ., 1981.
**ალექსანდრე ღლონტი**, ლაგოდეხის ტოპონიმია (ტოპონიმიკური ძიებანი II, თბ., 1981.
**ალექსიძე ზაზა**, ტბეთის სულთა მატიანე, თბ., 1977.
**ალხაზიშვილი ილია**, ჯავახური ლეგენდები, თბ., 1978.
**არახამია გონელი**, ძველი ქართული საგვარეულო მატიანეები (წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა), თბ., 1988.

**ბერძენიშვილი ნიკოლოზ,** საქართველოს ისტორიის საკითხები, მე-2 გამოცემა, თბ., 1990.
**ბერძენიშვილი ნიკოლოზ,** მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, წიგნი 1, 2, 3, თბ., 1938, 1953, 1955.
**ბერძენიშვილი ნიკოლოზ,** დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, წიგნი 1, თბ., 1940.
**ბერძენიშვილი ნიკოლოზ,** დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, წიგნი 2, თბ. 1953. (შემოკ. ნ. ბერძენ., დოკუმენტები I, II.).
**ბოჭორიძე გიორგი** რაჭის ისტორიული ძეგლები, საქართველოს მუზეუმის მოამბე, თბ., 1928.
**გვრიტიშვილი დავით,** ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბ., 1955.
**გვრიტიშვილი დავით,** ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XV-XVIIსს.) თბ., 1965.
**დოკუმენტები** საქართველოს სოციალური ისტორიიდან, XV-XVIIIსს., I, **ნ. ბერძენიშვილის** რედაქციით, თბ., 1940
**დოკუმენტები** საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II (XV-XIX-სს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1953.
**დოლიძე ისიდორე,** ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953.
**ვახუშტი ბაგრატიონი (ბატონიშვილი),** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ-ში, ქართული მწერლობა, ტ. 8, თბ., 1990. (შემოკლ. ვახუშტი, აღწერა...).
**ვახუშტი ბატონიშვილი,** აღწერა საქართველოისა, წიგნი 1, ტფ. მოსე ჯანაშვილის რედაქციით, ტფ. 1892.
**ვახუშტი ბატონიშვილი,** ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1973. (შემოკლ. ვახუშტი, ქ. ცხ.).
**ზაქარია ჭიჭინაძე,** ქართველი კათოლიკენი ყველა ასპარეზზედ, თფ., 1905.
**ზურაბ ჭუმბურიძე,** დედაენა ქართული, თბ., 1987.
**იმერეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები** (ფოტოტიპიური გამოცემა პროფ. ზურაბ ჭუმბურიძის და ქველი ჩხატარაიშვილი რედაქციით, თბ., 1999;

**კაკაბაძე სარგის,** მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალური და ეკონომიკური ისტორიისათვის, საისტორიო კრებული, ტ. I და II, თბ., 1928.

**კაკაბაძე სარგის,** საისტორიო მოამბე, წიგნი II, ტფ., 1928.

**კორნელი კეკელიძის** სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd, Sd, Qd – 6356 და ა.შ.

**ლეონიძე გიორგი,** სახელები

**მაისურაძე ილია,** ქართული გვარსახელები (სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები), თბ, 1981.

**მეტრეველი ელენე,** მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVIIIსს.), თბ., 1962.

**მეტრეველი როინ,** ნარკვევები ფეოდალურ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1972.

**სოსელია ოლღა,** ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბ., 1973.

**ჟორდანია თედო,** ქრონიკები I, თბ., 1893;

**ჟორდანია თედო,** ქრონიკები II, თბ., 1897;

**ჟორდანია თედო,** ქრონიკები, III, თბ., 1898;

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის **კ. კეკელიძის** სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის კლექციები: 1448, 4396 და სხვ.

**საქართველოს სიძველენი,** ტ. I ე. თაყაიშვილის რედ., მეორე გამოცემა, თბ., 1920. (პირველი გამოცემა, თბ., 1899).

**საქართველოს სიძველენი** ტ. II, ე. თაყაიშვილის რედ., თბ., 1910.

**საქართველოს სიძველენი** ტ. III, დამატება, თბ., 1926.

**ტბეთის სულთა მატიანე,** ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თინა ენუქიძემ, თბ., 1977.

**ქართული საბჭოთა ენციკლოპედია,** I და II ტომი, თბ., 1975, 1978წწ.

**ცოცანიძე გ.,** თუშეთში გავრცელებული გვარები და სახეები საეკლესიო ჩანაწერების მიხედვით, 1845-1868წწ., ხელნაბეჭდი.

**ცხადაია პაატა,** გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, თბ., 2000;

**ჯომიდავა ნიკოლოზი,** „3000 მეგრული გვარ-სახელი“, თბ., 1999;

# მადლობის გვერდი


წინამდებარე მე-3-ე ტომის გამოშვებაში ავტორს მხარში ედგნენ და დახმარება გაუწიეს შემდეგმა პიროვნებებმა:

**ნანა აკობიძე** გაზეთ „იევრია-ექსპრესის" მთავარი რედაქტორი, მწერალი.

**გია ჩადუნელი** – გაზ. „იევრია-ექსპრესის" დამფუძნებელი.

**მიხეილ ბაბუნაშვილი** სრულიად საქართველოს მამულიშვილთა საგვარეულო კავშირ - „გვარიშვილობის" დარბაზის წევრი, თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე.

**თენგიზ მაისურაძე** - რკინიგზელთა კულტურის ცენტრის დირექტორი, აკადემიკოსი.

**აკაკი იობაშვილი** - უნივერსიტეტ „იბერიას" რექტორი, პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი.

**კარლო ქოჩქიანი** „გვარიშვილობის" საორგანიზაციო განყოფილების უფროსი.

**ზურაბ გოგიძე** „გვარიშვილობის" საორგანიზაციო განყოფილების უფროსის მოადგილე.

**ტარიელ (თემური) ქობულაძე** – ბათუმის პროფესიული სამეცნიერო სასწავლო ცენტრის დირექტორის მოადგილე.

**გიორგი კვარაცხელია** - „გვარიშვილობის" ახალგაზრდული კავშირის პრეზიდენტი.

**რუსუდან პატარაია** – „გვარიშვილობის" დარბაზის წევრი, ჟურნალისტი.

**მარიკა ჩქოტუა** – ფილოლოგი.

**ალექსი არაბული** – „გვარიშვილობის" დარბაზის წევრი, პროფესორი.

**გიორგი არაბული** – თსუ-ის ლექტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

**ოთარ აბესაძე** – „გვარიშვილობის" დარბაზის წევრი, აკადემიკოსი.

**მარინე მარკოზაშვილი** – გამომცემლობა "გლობალ-პრინტის" დირექტორი.

ავტორი დიდ მადლობას უხდის ბატონ გია (გიორგი) ჯულაყიძეს, რომელიც ამოუდგა გვერდით ავტორს და წინამდებარე წიგნმა დიდი სიძნელეების შემდეგ იხილა მზის სინათლე.


*იაკობ ახუაშვილი*

# რეცენზია იაკობ ახუაშვილის წიგნზე „ქართული გვარ-სახელები“

მკითხველმა საზოგადოებამ უკვე მიიღო აკადემიკოს ი.ვ.ახუაშვილის „ქართული გვარსახელების“ ორი ტომი (1984 წ. 800 გვერდი, 1999 წ. 900 გვერდი). ორივე ტომის გამოსვლას, დიდი გამოხმაურება მოჰყვა და სადღეისოდ ორივე მათგანი ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. როგორც ავტორი სარეცენზიო წიგნის შესავალში წერს განზრახული აქვს მკითხველს აახლოს „ქართულ გვარსახელთა“ ოცტომეული. მათში წარმოდგენილი და განხილული იქნება გვარსახელები ანბანური რიგის მიხედვით. წინამდებარე III ტომში შესულია გვარები, რომლებიც იწყებიან ასოთი ა. (აბაზაშვილი, აბაზაძე, აბაკელია, ახსიაშვილი, აჯიაშვილი და ა.შ. სულ 770 გვარზე მეტი). ნაშრომში შესულია როგორც სადღეისოდ მოქმედი გვარსახელები, აგრეთვე ისეთებიც რომლებიც დღეს აღარაა და ისინი ისტორიის კუთვნილებად იქცნენ.

წიგნი თავისი ბუნების მიხედვით ისტორიულ-ბიოგრაფიული ხასიათისაა. იგი ეყრდნობა იურიდიული შინაარსის საბუთებს, ისტორიულ წყაროებს, საარქივო მასალას, გვარში შემორჩენილ გადმოცემებს, საეკლესიო საარქივო დოკუმენტებს (ე.ი. საქართველოს ისტორიაა გვარსახელებში). ნაშრომში გამოყენებულია როგორც ქართველ მეცნიერ-მკვლევართა, — ივ. ჯავახიშვილი, ნ.ბერძენიშვილი, ს.კაკაბაძე, ი.მაისურაძე, ი.(სოსო) მეგრელიძე, ალ.ღლონტი, ზ.ჭუმბურიძე, ი.ბექირიშვილი, რ.თოფჩიშვილი, პ.ცხადაია, ი.გაგულაშვილი, ნ.ჯომიდავა და სხვ. მასალები.

წიგნი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში მაღალ მეცნიერულ დონეზე განხილული და შესწავლილია ისეთი საკითხები როგორიცაა: საიდან მოვდივართ, ვისი გორისანი ვართ? გორი და გვარი, მართვის სოციალური იერარ-

ქია საქართველოში, მეფე, მეფის ხელისუფლება, ძირითად (მთავარ) გვარიდან ქვეგვარის, განაყოფის წარმოქმნის ტრადიცია ზოგად-ქართულია, საქართველოს მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა, მასალები ისტორიულ-ბიოგრაფიული ლექსიკონისათვის... მეორე ნაწილში გაანილიზებულია ასობით გვარსახელი. მათ შორის ადგილობრივ წარმოშობისა და ნასესხები საკუთარი სახელებისგან მიღებული ერთეული, მოცემულია თითოეული გვარის ეტიმოლოგიები, ეტიმოლოგიათა ძირითადი ნაწილი უდავო და სარწმუნო, ალბათ მხოლოდ მცირე ნაწილი კი შემდგომ დაზუსტებას საჭიროებს, მაგრამ იძლევა საინტერესო ვარაუდს ახალი დაკვირვებისათვის. ავტორს მიზანდასახული აქვს ოცტომეულში შეიტანოს ყველა გვარი და შესაძლებლობის ფარგლებში თითოეული გვარის წევრს მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც ორი ათეული წლის მანძილზე ავტორის მიერაა მოპოვებული.

ერთსახლად ცხოვრების წესი თუ გვარის ჩამოყალიბების პროცესს ხელს უწყობდა, სახელის გაჩენა სათავეს უდებდა ახალ გვარებს. ეს პროცესი კარგად ჩანს სარეცენზიო ნაშრომში, რომელიც ძალზედ მნიშვნელოვანი მომენტია, როგორც ქართული ონომასტიკისათვის ისე ცხოვრებისეული რეალობის დასადგენად. რამეთუ ზოგს დღესაც ჰგონია, რომ გვარი ასლამაზიშვილი (რუსული ჩანაწერით ასლამაზოვი) ქართული არაა და სხვა ტომთა საკუთრებაა. წიგნში დადგენილია, რომ გვარი ორი ფორმით გვხვდება ასლამაზაშვილი და ასლამაზიშვილი. გვარის ეს მეორე ფორმა ბარათაშვილების გვარის განაყოფი, ბარათაშვილების გაყრის შედეგად არის წარმოქმნილი. იმავე ბარათაშვილებიდან მომდინარეობს აბაშიშვილების, გერმანოზიშვილების, ასანბეგიშვილების, ივანაშვილების და სხვ. ორმოცდათერთმეტზე მეტი გვარი. ახლად წარმოქმნილი საგვარეულოს წარმომადგენლები ატარებენ ახალ გვარსახელს უმრავლეს შემთხვევაში

(გაყრილი წინაპრის პირის სახელის მიხედვით) და, ზოგჯერ, ძველსაც ნიშნად გვარის სიძველისა და ოდინდელი ერთობისა. ქართულ ონომასტიკისათვის დამახასიათებელი ორი და მეტწევრიანი გვარსახლის გაჩენის მიზეზი, გვარში სახელოვანი წინაპრის გარდა არის ახალ მამულზე „დასმა", რის დროსაც ნაწყალობევი მამულის ახალი მფლობელი ძველი მეპატრონის გვარსახელსაც ინარჩუნებს (ასეთია მაგალითად, აბაზასძე-აბულეთისძე ხიმშია). ყოველი ასეთი შემთხვევის გადმოცემას თან ახლავს სათანადო საბუთი (წყალობა, პირობის წიგნი, სიგელ-გუჯარი და ა.შ.).

წიგნში თავმოყრილი და ლექსიკური წესით კლასიფიცირებული უხვი მასალა ამოკრებილია მრავალრიცხოვანი წყაროდან, რომელთა შორის, როგორც ითქვა, მთავარია მოსახლეობის აღწერის, დაბადების აღრიცხვის, გვართა განლაგების ცნობარები, ზეპირი ტრადიცია, ისტორიული წყაროები, რიგ სხვა ავტორთა მიერ მოძიებული მასალები, საგვარეულო არქივები, კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ გამოცემული პირთა ანოტირებული ლექსიკონები (2 ტომად) და სხვ. მკითხველი მრავალ საინტერესოს შეიტყობს წიგნიდან და ერთდროულად, რაც უაღრესად დიდ შენაძენად მიგვაჩნია შეივსება ის ვაკუუმი რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიას (და არა მარტო მას) ჰქონდა ნაკლად.

წიგნის უხვი მასალა დალაგებულია საქმის ცოდნით და ავტორის მიერ წლების მანძილზე დაგროვილი დიდი გამოცდილებით. ყველა წყაროს თუ ცნობას (ასეთი კი ნაშრომში უამრავია) ანოტაციის ტექსტში ფრჩხილებში მიწერილი აქვს საბუთის თარიღი და თვით საბუთის აღმნიშვნელი პირობითი ნიშნები: საცავის შიფრი, ან გამოცემის შემოკლებული სახელწოდება.

ნაშრომს ახლავს სოციალურად დაწინაურებული საგვარეულოების (აბაზაძეების, ამილახვრების, ამირეჯიბების, ანდრონიკაშვილების, აგიაშვილების, აბაშიძეების და სხვ.) სახ-

ელების გენეალოგიური ტაბულები.

როგორც ითქვა ნაშრომი ისტორიულ-ბიოგრაფიული ხასიათისაა და მასში მკითხველი გაეცნობა ცალკეულ პიროვნებებს, გვარის წევრებს, რომლებმაც იღვაწეს გვარისა და ქვეყნის ინტერესებისათვის, თავი გამოიჩინეს შრომაში და მონაწილეობენ შენება-განვითარებაში. ამ მიმართებით გამოყენებულია ქართული ენციკლოპედია, ნაშრომები „ვინ ვინ არის" და ინდივიდუალური შერჩევის მეთოდი.

„ქართული გვარსახელების" მესამე ტომს სამიებლად დაერთვება მასში შეტანილი გვარები (გვერდების მითითებით) და გამოყენებული ლიტერატურა.

ნაშრომის რეცენზენტებმა არ დავიშურეთ დრო, გულდასმით გავეცანით წიგნში შესატან მასალას და მივედით იმ დასკვნამდე, რომ რაც მალე იხილავს აღნიშნული და მომავალი ტომები მზის სინათლეს უკეთესი იქნება.

ბატონი იაკობ ახუაშვილი, კოლეგა-ისტორიკოსი უდიდეს, საინტერესო და საშურ საქმეს აკეთებს, რამეთუ იგი მარტო ქართული გვარების, არამედ საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნების ხალხთა გვარების წარმომავლობაზეც ამახვილებს ყურადღებას (მაგალითად „ქართული გვარსახელების" მეორე ტომში, 1999 წელი, ცალ-ცალკე თავებადაა განხილული ებრაული, ოსური, აზერბაიჯანული, რუსული, აფხაზური და ა.შ. გვარების ისტორია, ეტიმოლოგია, წარმომავლობა).

ქვემოთ ხელმომწერი რეცენზენტები ერთსულოვნად ვუჭერთ მხარს პროფესორ-ისტორიკოს ი.ვ.ახუაშვილის მესამე ტომის სტამბური წესით გამოცემას.

პროფესორები, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორები:

ა.მათიაშვილი

გ.გაბლიშვლი

შ.თეთვაძე

15 სექტემბერი, 2002 წელი

# შინაარსი

შესავლის მაგიერ 7

ნაწილი I

საიდან მოვდივართ, ვისი გორისანი ვართ 8-10
ძირითად (მთავარი) გვარიდან ქვეგვარის, გამონაყოფის წარმოქმნის ტრადიცია ზოგად ქართულია 11-22
საქართველოს მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა 23-30
ა) ქვეყანა
ბ) გორი და გვარი
მართვის სოციალური იერარქია საქართველოში 31-38
მთავარი 39-44
კახეთის მთავართათვის 45
ცხოვრება სამცხე-კლარჯეთისა 46
ერისთავი 47-59
ერისთავთ-ერისთავი, საერისთავოები 60-63
საქართველოს სამხარეო ერთეულები 64-91
ა) მთავარი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების (მხარეების) უმაღლესი ხელისუფალნი „ერისთავთ-ერისთავნი"
ძველი საქართველოს სახელმწიფოს მთავრობა
სავაზირო
მეფენი
თავადები 92-93
თავადი რაჭის ერისთავები 94-101
აზნაურები 102-103

## ნაწილი II


საქართველოს ისტორია გვარ-სახელებში 105
მასალები ისტორიულ-ბიოგრაფიული ლექსიკონისათვის
გვართა ისტორია (აბაზაშვილი-აბაზაძეებიდან დაწყებული აბაშიძეებამდე 106-121
ა ბ ა შ ი ძ ე ე ბ ი 122-126
აბაშიძეთა საგვარეულო ისტორიიდან 126-130
თავადი აბაშიძეები, შტო-გვარები და ოჯახები 130-138
აბაშიძეების ქორწინებრივი კავშირები 139-140
აჭარელი აბაშიძეები და მათი საშვილიშვილო ღვაწლი 141-159
საითაც აბაშიძეები იქნებიან, სხვანიც იქით 160-163
ასლან აბაშიძე-არაორდინალური პიროვნება 164-169
გენერალი აბაშიძეები 171-181
აბაშიძეთა წინაპრები და თანამედროვენი 182-184
აბაშიძენი 185-234
დანართი 235-240
გვართა ისტორიები (აბაშიძეებიდან დაწყებული აჯიყაფაშვილით დამთავრებული) 241-906
რეზიუმე (ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენაზე) 907-909
გვართა საძიებელი 910-949
წყაროები და ლიტერატურა 950-952
მადლობის გვერდი 553
რეცენზია
შინაარსი 554-555


*ივერი აბაშიძე*

იაკობ ვარდოს ძე ახუაშვილი
Яков Вардоевич Ахуашвили
(На грузинском языке)

| | |
|---|---|
| რედაქტორები: | ავთანდილ სილაგაძე |
| | მერაბ რაფავა |
| სამხატვრო რედაქტორი | რევაზ რევაზიშვილი |
| ტექნიკური რედაქტორი | მარიკა ჩქოტუა |
| უფროსი კორექტორი | ია მამეიშვილი |
| კორექტორი | მარინე აბესაძე (ახუაშვილი) |